ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

სამეცნიერო მუშაობის ანგარიში

2020 წელი

თბილისი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

სამეცნიერო ღონისძიებები

2020 წელი

საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციები

28 მაისს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ამერიკისმცოდნეობის ინსტიტუტისა და ამერიკის შესწავლის საქართველოს ასოციაციის ორგანიზებით ამერიკისმცოდნეობის 21-ე ყოველწლიური საერთაშორისო კონფერენცია გაიმართა. 2020 წლის კონფერენცია მიეძღვნა მეიფლაუერის ხელშეკრულების დადების მე-400 წლისთავს.

19-20 ნოემბერს გაიმართა იუნესკოს პროგრამის ფარგლებში ფილოსოფიის მსოფლიო დღისადმი მიძღვნილ საერთაშორისო კონფერენცია ,,ფილოსოფია და თანამედროვეობა''. კონფერენცია ეძღვნება გამოჩენილი ქართველი ფილოსოფოსის მერაბ მამარდაშვილის დაბადებიდან 90-ე და გარდაცვალებიდან 30-ე წლისთავს.

ადგილობრივი კონფერენციები

21 ივნისს გაიმართა აკაკი წერეთლის დაბადებიდან 180 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია

3-5 ივლისს გაიმართა მეთოთხმეტე საფაკულტეტო კონფერენცია, რომელიც მიეძღვნა აკადემიკოს ოთარ ლორთქიფანიძის დაბადებიდან 90 წლისთავს.

18 ნოემბერს გაიმართა ფილოლოგ-კლასიკოსის ირაკლი შენგელიას საიუბილეო საღამო

30 ნოემბერს გაიმართა მთარგმნელის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილ მეექვსე სამეცნიერო კონფერენცია

18 დეკემბერს გაიმართა პროფესორ მიხეილ ქურდიანისადმი მიძღვნილი სამეცნიერო სესია მიხეილ ქურდიანი - იბერიულ-კავკასურ ენათა მკვლევარი

21 დეკემბერს გაიმართა ნიკოლოზ ბარათაშვილისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია – XIX საუკუნე – ეპოქათა მიჯნა.

21 და 22 დეკემბერს გაიმართა რიგით მეოთხე კონფერენცია: ინოვაციები XXI საუკუნის ქართულ ლიტერატურათმცოდნეობაში.

23 დეკემბერს გაიმართა ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიისა და წყაროთმცონეობის განყოფილების ყოველწლიური სამეცნიერო კონფრენცია

25 დეკემბერს გაიმართა საზოგადო მოღვაწისა და მეცნიერის, 1968-73 წლებში ექსპერიმენტული ფონეტიკის სამეცნიერ-კვლევითი ლაბორატორიის გამგის, გივი დოლიძის დაბადებიდან 100 წლისთავისადმი მიძღვნილი სხდომა

26 დეკემბერს, გაიმართა კონფერენცია - „პატრისტიკის აქტუალური პრობლემები საქართველოში“ კონფერენცია მიეძღვნა ფილოსოფიის ისტორიის გამოჩენილ მკვლევარს, IAPS/AIEP -ის ქართული სექციის წევრს, აკადემიკოს გურამ თევზაძეს (1932-2018)

28 დეკემბერს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათთა ფაკულტეტის ახალი ქართული ლიტერატურის კათედრამ გამართა კიტა აბაშიძის 150 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია.

30 დეკემბერს გაიმართა თსუ საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის ყოველწლიური სამეცნიერო კონფერენცია

სტუდენტური კონფერენციები და საგანმანათლებლო-სამეცნიერო ღონისძიებები

23 ივნისს, თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ფილოსოფიის ს/ს ინსტიტუტისა და ანთიმოზ ივერიელის სახ. ფილოსოფიისა და თეოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის ორგანიზებით გაიმართა სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენცია - თანამედროვეობის მორალური გამოწვევები

25-26 ივნისს გაიმართა სტუდენტთა VI ყოველწლიური კონფერენცია - „ანტიკურობის თანამედროვეობა". კონფერენცია ეძღვნება აკადემიკოს გრიგოლ წერეთლის დაბადებიდან 150 წლის იუბილეს და კლასიკური ფილოლოგიის კათედრის დაარსების 100 წლისთავს.

26 ოქტომბერს გაიმართა მე-8 სამეცნიერო კონფერენცია – თარგმანისა და ლიტერატურულ ურთიერთობათა აქტუალური პრობლემები

17 ნოემბერს გაიმართა იაკობ გოგებაშვილისადმი მიძღვნილი სტუდენტთა II სამეცნიერო კონფერენცია „იაკობ გოგებაშვილი – 180“

24-25 ნოემბერს გაიმართა იუნესკოს პროგრამის ფარგლებში ფილოსოფიის მსოფლიო დღისადმი მიძღვნილი სტუდენტთა რეგიონალურ კონფერენცია: ,,ფილოსოფია და რელიგია''. კონფერენცია მიეძღვნა გამოჩენილი ქართველი ფილოსოფოსის მერაბ მამარდაშვილის დაბადებიდან 90-ე და გარდაცვალებიდან 30-ე წლისთავს.

27-28 ნოემბერს გაიმართა თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ს/ს ინსტიტუტის სტუდენტთა ახალგაზრდული კონფერენცია, რომელიც მიეძღვნება თსუ ემერიტუს პროფესორის, "1001 ღამისა" და ისლამამდელი არაბული პოეზიის მთარგმნელის, არაბისტთა თაობების აღმზრდელის, ნანა ფურცელაძის 90 წლის იუბილეს.

15 დეკემბერს გაიმართა სტუდენტური ვორკშოფი ანთიმოზ ივერიელი-ქრისტიანული ეთიკის საბაზისო კონცეპტები “

18-20 დეკემბერს გაიმართა ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტთა მესამე საფაკულტეტო სამეცნიერო კონფრენცია

25 დეკემბერს გაიმართა სტუდენტური თეორიული სემინარი „ამერიკული პრაგმატიზმი ამერიკულ კულტურაში“

ზამთრის/ზაფხულის სკოლები

26 თებერვლიდან 2 მარტამდე გაიმართა ზამთრის საერთაშორისო ქართველოლოგიური სკოლა - 2020

სხვა სამეცნიერო-საგანმანათლებლო ღონისძიებები

21 თებერვალს გაიმართა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ხელშეწყობით განხორციელებული პროექტის - აღმოსავლეთი და დასავლეთი ქართულ ხალხურ ზღაპრებში: ზეპირი და ლიტერატურული ტრადიციები - შედეგების პრეზენტაცია

21 თებერვალს გაიმართა ჟურნალ „ქართული წყაროთმცოდნეობის“ პრეზენტაცია

26 თებერვალს გაიმართა თანამედროვე უკრაინელი პოეტის, ლუდმილა სკირდას, საქართველოსადმი მიძღვნილი ორენოვანი კრებულის „საქართველოს ხმები“ პრეზენტაცია.

10 ივლისს გაიმართა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ 2019 წელს გამოცხადებულ ფუნდამენტურ საგრანტო კონკურსში გამარჯვებული პროექტის „ანთიმოზ ივერიელი-ევროპული სააზროვნო სივრცის ნაწილი“ (# FR-19-7625) ფარგლებში თეორიული სემინარი, რომელიც მიეძღვნა ანთიმოზ ივერიელის შემოქმედების თეოლოგიურ, ფილოსოფიურ და კულტუროლოგიულ ანალიზს

24 სექტემბერს გაიმართა 2019 წელს ჩატარებული სამეცნიერო ექსპედიციების ანგარიშების პრეზენტაცია

14 ნოემბერს გაიმართა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერდაფინანსებული ფუნდამენტური სამეცნ პროექტის ,,ჯეიმზ ჯოისის კვლევისა და თარგმნის ისტორია საქართველოში'' (#FR17_220) შედეგების პრეზენტაცია

10 დეკემბერს გაიმართა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტის „ევიდენციალობის კატეგორია ქართველურ ენებში“ (#217300)

ფარგლებში მომზადებული ამავე სახელწოდების წიგნის პრეზენტაცია, ავტორები: ქ. მარგიანი, რ. ქურდაძე, მ. ლომია

11 დეკემბერს გაიმართა თამარ უჯუხუს წიგნის "ჩერქეზული (ადიღეური) ენის სახელმძღვანელო" (რუსულ ენაზე) წარდგენა

18 დეკემბერს გაიმართა შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტის „იოანეს სახარების ძველი ქართული თარგმანის კრიტიკული ტექსტის გამოსაცემად მომზადება“ (FR 17-170) შედეგების პრეზენტაცია (პროექტის სამეცნიერო ხელმძღვანელი პროფესორი დარეჯან თვალთვაძე)

23 დეკემბერს გაიმართა აკად. რისმაგ გორდეზიანის ბერძნული ცივილიზაციის მესამე, დამასრულებელი ტომის - „ელინისტური ეპოქიდან გვიანანტიკურობამდე” ონლაინ პრეზენტაცია

ხელოვნების ისტორიისა და თეორიის
სასწავლო-სამეცნიერო
ინსტიტუტი

ანგარიშის ფორმა № 2

2020 წელს გაწეული სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ანგარიში

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის დასახელება
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხელოვნების ისტორიისა და თეორიის ინსტიტუტი

სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა ხელმძღვანელის მითითებით
სამეცნიერო ერთეულის ხელმძღვანელი;
ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, პროფესორი ზაზა სხირტლაძე
სამეცნიერო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა.
ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი ირინე კოშორიძე,
ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი ირინე მირიჯანაშვილი,
ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი ნინო სილაგაძე,
ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი ნათელა ჯაბუა,
ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი ნინო სიმონიშვილი,
ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, ასისტენტ- პროფესორი თეო ჯალაღანია.

---

1. სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის მიერ ერთობლივად შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

1.1.

№	**გარდამავალი** (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	2	3	4
გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2020 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)			

1.2.

№	**დასრულებული** პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	2	3	4
დასრულებული კვლევითი პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი			

ანოტაცია (ქართულ ენაზე)

2. შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტით დაფინანსებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

2.1.

№	**გარდამავალი** (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	2	3	4
გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2020 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)			

2.2.

№	**დასრულებული** (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1.	**”ანისი: ქართული კულტურული მემკვიდრეობა,** (HE 15-022) ხელოვნებათმცოდნეობა, თსუ ჰუმანიტარული ფაკულტეტის ხელოვნების ისტორიისა და თეორიის ინსტიტუტი	2015-2020	პროექტის ხელმძღვანელი: ზ. სხირტლაძე პროექტის მონაწილე: თ. ჯალაღანია
2.	**ქვემო ქართლის ეპიგრაფიკული კორპუსი ტ. I (დმანისის რაიონი)** შ. რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი (FR/466/1-10/14) წამყვანი ორგანიზაცია: თსუ	2015-2020	პროექტის მონაწილე: ი. მირიჯანაშვილი
3.			
1	2	3	4
დასრულებული კვლევითი პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)			

1.პროექტი „ანისი: ქართული კულტურული მემკვიდრეობა“

პროექტი – ანისი: ქართული კულტურული მემკვიდრეობა (HE 15–022 ხორციელდებოდა 2016–2020 წლებში. ამ ხნის განმავლობაში მომზადდა ორტომეული (საერთო მოცულობა – დაახლ. 1200 გვ.), რომლის დასტამბვა დაგეგმილია 2021 წლის მარტში. 2017 წლის ნოემბერში ჩატარდა საერთაშორისო კონფერენცია – „ანისი გზაჯვარედინზე“, რომლის მასალები უკვე გამოიცა (თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2019, 270 გვ.).

პროექტზე მუშაობის პროცესში გამოვლენილ და შესწავლილ მასალებს შორის უნდა აღინიშნოს:

- ყარსის მუზეუმის ფონდებში დაცული, შვიდ ათეულზე მეტი მონეტა, რომლებიც ანისისა და ისტორიული შირაკის საქართველოს სახელმწიფოს არეალში მოქცევას უკავშირდება.

- ას ორმოცამდე ქართული ფრესკული წარწერა ანისის წმ. გრიგოლ პართეველის ეკლესიის მოხატულობიდან. ამ წარწერების უმეტესობა უცნობი იყო სამეცნიერო ლიტერატურაში, ცნობილები კი მხოლოდ ნაწილობრივ ან ხარვეზებით ამოკითხული. შესრულდა ყველა წარწერის გრაფიკული მონახაზი; შესაბამისად გაიშიფრა და დადგინდა ფრესკული ტექსტების უმეტესობა.
- საქართველოს ეროვნულ მუზეუმის ფოტოთეკაში დაცული XIX საუკუნის მიწურულს ალექსანდრე როინაშვილისა და დიმიტრი ერმაკოვის მიერ გადაღებული ას ოცზე მეტი უნიკალური ფოტონეგატივი, რომლებიც ასახავენ ანისის ნაქალაქარის არქიტექტურის თუ ეპიგრაფიკის იმხანად ჯერ კიდევ შემორჩენილ ძეგლებს.
- თბილისისა და სანკტ-პეტერბურგის სიძველეთსაცავებში დაცული XIX-XX საუკუნეების მიჯნის საარქივო მასალები ანისის ქართული სიძველეების თაობაზე.

ამასთანავე, შეძლებისდაგვარად სრულად იქნა თავმოყრილი ქართული, სომხური, არაბული, სპარსული, სირიული და ოსმალური ნარატიული წყაროები, აგრეთვე ქართული და სომხური ეპიგრაფიკული ძეგლები, რომლებიც ასახავს ანისსა და ისტორიულ შირაკში მიმდინარე, ქართული მემკვიდრეობასთან დაკავშირებულ, პოლიტიკურ, აღმსარებლობით, კულტურულ პროცესებს; შესრულდა გამოკვლევა ანისის პოლიტიკური ისტორიის, ისტორიული და საეკლესიო გეოგრაფიის საკითხებზე; საგანგებო კვლევები მიეძღვნა ანისის საქალაქო ცხოვრებას საქართველოს სახელმწიფოს მფლობელობის პერიოდში, ქართული სახელმწიფორ დომინაციის ეპოქის აღმშენებლობასთან დაკავშირებულ საეკლესიო და საფორტიფიკაციო ნაგებობებს, ანისში შემორჩენილ კედლის მხატვრობის ძეგლებს.

კავკასიოლოგიის უმნიშვნელოვანეს პრობლემებთან დაკავშირებულ ძეგლთა შორის გამორჩეულად გამოიყოფა წმ. გრიგოლ პართეველის ეკლესიის მხატვრობა, შექმნილი და ნაწილობრივ გახლებულ-შევსებული XIII საუკუნის განმავლობაში. მოხატულობა ათწლეულების მანძილზე გაუნელებელ ინტერესს იწვევდა სამეცნიერო წრეებში. მისი შექმნის დროისა და შემსრულებლების წარმომავლობის, ისევე როგორც ფერწერული ანსამბლის იკონოგრაფიულ პროგრამაში აღბეჭდილი ეთნოკონფესიური მიმართებებისა და მიზანდასახულობების თაობაზე ათწლეულების განმავლობაში სხვადასხვა მოსაზრებები არსებობდა.

მხატვრობის კვლევამ (რომლის დროსაც შესრულდა ფრესკულ გამოსახულებათა ას ორმოცამდე დეტალური გრაფიკული სქემა) ახალი კუთხით გააშუქა მის შექმნასთან დაკავშირებული საკითხები. ფერწერული ანსამბლის პროგრამაში ჩართულ წმ. გრიგოლ პართეველის ციკლთან დაკავშირებული საკითხების დაზუსტებით ცხადი გახდა კავკასიის ისტორიის განსაზღვრულ ეტაპზე, სომეხთა განმანათლებლის მიერ კავკასიის სხვა ერების მოქცევის შესახებ არსებული თეორიის უსაფუძვლობა. გაირკვა, რომ წმ. გრიგოლის ეკლესიის მოხატულობისა და, კერძოდ, სომეხთა მომაქცევლის ცხოვრების იქ წარმოდგენილი ციკლის საზრისის წანამძღვრები სხვა, ბევრად უფრო მომცველ წინაპირობებთან მიმართებითაა საძიებელი. ეს წინაპირობები, გარკვეული ისტორიული ეტაპისთვის, საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს ეკლესიის მიზანდასახულობასთან იყო დაკავშირებული.

ამას გარდა, პროექტის ფარგლებში მომზადდა და გამოიცა მხატვარ ნიკოლოზ სიჩევის საარქივო მასალები ანისის მოხატულობების შესახებ, კერძოდ 1911 წელს შესრულებული საველე დღიურები (თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი 2019 წ., 210 გვ.).

2. პროექტი: ქვემო ქართლის ეპიგრაფიკული კორპუსი ტ. I (დმანისის რაიონი)

კროექტის მიზანია ძეგლების აღწერა, ფიქსაცია, ახალი მასალების მოგროვება, ექსპედიციებში მონაწილეობა, მასალების დამუშავება. მოკლე ხელოვნებათმცოდნეური ანალიზის საფუძველზე ძეგლების დათარიღება და დამუშავებული მასალების მონოგრაფიად გამოცემა.

3. უცხოური გრანტებით დაფინანსებული სამეცნიერო პროექტები

3.1. **გარდამავალი** პროექტი

№	**გარდამავალი** (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი, დამფინანსებელი ორგანიზაცია/ სამეცნიერო ფონდი, ქვეყანა	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	2	3	4
გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2020 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)			

3.2. დასრულებული პროექტი

№	**დასრულებული** (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი, დამფინანსებელი ორგანიზაცია/სამეცნიერო ფონდი, ქვეყანა	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
	დუშეთის ისტორიული ცენტრის რეაბილიტაციის პროექტი, 16.000. 29.41 ხელოვნებათმცოდნეობა, თსუ ჰუმანიტარული ფაკულტეტის ხელოვნების ისტორიისა და თეორიის ინსტიტუტი, დამფინანსებელი ორგანიზაცია: მსოფლიო ბანკი	2016-2020	პროექტის მონაწილე: თ. ჯალაღანია
1	2	3	4
დასრულებული (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)			

დუშეთის ისტორიული ცენტრის რეაბილიტაციის პროექტი,

პროექტის მიზანია დუშეთის ისტორიული ცენტრის რეაბილიტაცია. დუშეთის საცხოვრებელი არქიტექტურა მნიშვნელოვანია არა მარტო თავისთავად, როგორც ხუროთმოძღვრული და ისტორიული კომპლექსი, ან როგორც საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის თვითმყოფადი ნაწილი, არამედ იგი საშუალებას გვაძლევს გავავლოთ საინტერესო პარალელები ქართლისა და კახეთის სხვა ქალაქების საცხოვრებელ არქიტექტურასთან, გამოვავლინოთ ყოველი

მათგანის მხატვრული და კონსტრუქციული თავისებურებანი და დავადგინოთ მათი გადაწყვეტის მსგავსება-განსხვავებანი, რაც უაღრესად მნიშვნელოვანია ქართული სახელოვნებათმცოდნეო მეცნიერებისთვის.

4. პატენტები

4.1. საერთაშორისო პატენტები:

№	საპატენტო თემატიკის სათაური	გამომგონებელი/ები და პატენტმფლობელი/ები	პატენტის საიდენტიფიკაციო კოდი

4.2. ეროვნული პატენტები

№	საპატენტო თემატიკის სათაური	გამომგონებელი/ები და პატენტმფლობელი/ები	პატენტის საიდენტიფიკაციო კოდი

5. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში

5.1. მონოგრაფიები/წიგნები

№	ავტორი/ავტორები	მონოგრაფიის/წიგნის სათაური, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	ნათია დემურიშვილი, მარინა დგებუაძე, **ირინე კოშორიძე, ნინო სიმონიშვილი**	„ჩინური ხელოვნება საქართველოს ეროვნულ მუზეუმში „ ISBN 978-9941-8-2003-8	თბილისი, კოლორი,2020	170 გვ
2	**ირინე კოშორიძე,** ლიკა მამაცაშვილი, გრიგოლ ბერაძე	დიმიტრი ერმაკოვი ირანში ISBN 978-9941-8-1756-4	თბილისი, კოლორი,2020	157 გვ
3	ნონა ხარატიშვილი, ნანა გოგელია, **ირინა კოშორიძე**	შალვა ამირანაშვილი-გზა მეცნიერისა ISBN 978-9586-9-4	თბილისი, კოლორი,2020	152 გვ

4	**ზაზა სხირტლაძე**	ლექსად თქმული წმინდა გიორგის ცხოვრება	თბილისი, საქართველოს ეროვნული არქივი, 2020 წ.	360 გვ.
5	**ზაზა სხირტლაძე, ნიკოლაი სმირნოვი, ირაკლი თეზელაშვილი**	მასალები ანისის წმ. გრიგოლის ეკლესიის მოხატულობის შესწავლისთვის	თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა	210 გვ.

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

ჩინური ხელოვნება საქართველოს ეროვნულ მუზეუმში

პუბლიკაცია ეძღვნება ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის დაარსების 70 წლისთავის იუბილეს. მასში წარმოდგენილია საქართველოს ეროვნულ მუზეუმში დაცული ჩინური კულტურის ამსახველი ექსპონატები.

დიმიტრი ერმაკოვი ირანში

პუბლიკაცია წარმოადგენს პირველ კვლევას რომლებშიც წარმოდგენილია ცნობილი ფოტოგრაფის დიმიტრი ერმაკოვის მოგზაურობის ამსაველი ფოტომასალა, დაცული საქართველოს ეროვნული მუზეუმის ს. ჯანაშიას სახ. საქარტველოს მუზეუმში. პუბლიკაცია ეძღვნება საქართველოს მუზეუმის დაარსების 100 წლისთვს.

შალვა ამირანაშვილი-გზა მეცნიერისა

პუბლიკაციაში მოთხრობილია აკად. შალვა ამირანაშვილის სამეცნიერო გზა ადრეული პერიოდიდან დასასრულამდე. განსაკუთრებული ყურადღება პუბლიკაციაში გამახვილებულია შალვა ამირანაშვილის ხელოვნების მუზეუმის დირექტორობის პერიოდში მის ღვაწლს სამუზეუმო კოლექციების მოვლის, შესწავლისა და შევსების მიმართულებით.

ლექსად თქმული წმინდა გიორგის ცხოვრება

მომზადდა XVII საუკუნის შუახანებში დათუნა ქვარიანის მიერ შექმნილი „წმ. გიორგის ლექსად თქმული ცხოვრების“ ილუსტრირებული ნუსხის ფოტოტიპიური გამოცემა. ხელნაწერი XVII საუკუნის მიწურულისაა. ერთვის „ხალხური“ ნაკადის რიგის მინიატიურები. იგინ დაცულია საქართველოს ეროვნულ არქივში. გამოცემას მომზადდა თანამედროვე არქეოგრაფიულოი პრინციპების მიხედვი. გამოცემას ერთვის ნარკვევი ქართულ და ინგლისურ ენებზე.

მასალები ანისის წმ. გრიგოლის ეკლესიის მოხატულობის შესწავლისთვის

გამოიცა 1911 წელს ცნობილი მკვლევარისა და რესტავრატორის, ნიკოლაი სიჩოვის მიერ თავმოყრილი მასალები ანისის წმ. გრიგოლის ეკლესიის მოხატულობის შესახებ. მასალები დაცულია სანკტ–პეტერბურგის მატერიალური კულტურის ინსტიტუტის სამეცნიერო არქივში. პუბლიკაციას ერთვის ნიკოლაი სიჩოვის მიერ 1911 წელს გადაღებული ფოტოები.

5. 2. სახელმძღვანელოები

№	ავტორი/ავტორები	სახელმძღვანელოს სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1 2				

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

5.3. კრებულები

№	ავტორი/ავტორები	კრებულის სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	**ზაზა სხირტლაძე – რედაქტორი**	**Ani on the Crossroads, Proceedings of the International Conference**	თსუ გამომცემლობა	270 გვ.
2	**ზაზა სხირტლაძე – რედაქტორი**	**ანისი და საქართველო, ტ 1, 2, 3**	თსუ გამომცემლობა	468 გვ. 472 გვ. 570 გვ.
3	**ნ. სილაგაძე**	ტავრიდის ხერსონესისა და შუა საუკუნეების ქართული ხუროთმოძღვრების რამდენიმე ძეგლის შესახებ (კონფერენციის მასალები, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „კულტურა და ხელოვნება თანამედროვეობის კონტექსტში“	ბათუმი, 2020	გვ. 11-14
4	**ნ. ჯაბუა**	**ტრადიციული ფორმებისა და მიდგომების ინტერპრეტაციის შესახებ საბჭოთა პერიოდის საქართველოს ხუროთმოძღვრებაში,** (საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის „კულტურა და ხელოვნება თანამედროვეობის კონტექსტში“ მასალები),	ბათუმი, 2020,	გვ 75-79

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

Ani on the Crossroads, Proceedings of the International Conference

შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტის „ანისი: ქართული კულტურული მემკვიდრეობა“ ფარგლებში 2017 წლის ნოემბერში გაიმართა საერთაშორისო კონფერენცია *„ანისი გზაჯვარედინზე“*, რომელშიც, ქართველი სპეციალისტების გარდა, მონაწილეობა მიიღეს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენლებმა, დარგის ცნობილმა მკვლევრებმა. კრებულში შევიდა კონფერენციაზე წარმოდგენილ მოხსენებათა ნაწილი. გამოცემა შესრულებულია ინგლისურ ენაზე, მოკლე ქართული რეზიუმეებით. დაბეჭდა სტამბა „სეზანში“

ანისი და საქართველო

სამტომეულში წარმოდგენილია ნარკვევები და მასალები ანის–შირაკისა და საქართველოს ურთიერთობის შესახებ. პირველი ტომი ეთმობა ნარკვევებს – განხილულია ანისის სიძველეები XIX საუკუნისა და XX საუკუნის დასაწყისის სამეცნიერო ლიტერატურაში; შესწავლ;ილია საქალაქო ცხოვრების მახასიათებლები ანისში, საგანგებო ნარკვევები ეთმობა ანისის საერო და

საეკლესიო არქიტექტურას, ქართულ ნუმიზმატიკურ მასალას, რელიეფებს. მეორე ტომი მთლიანად ეთმობა გამოკვლევას ანისის წმ. გრიგოლის ეკლესიის ქართული ფრესკების შესახებ. მესამე ტომში გაერთიანებულია ნარატიული წყაროები, ეპიგრაფიკული მასალა – ლაპიდარული და ფრესკული წარწერები, აგრეთვე საარქივო მასალები.

ტავრიდის ხერსონესისა და შუა საუკუნეების ქართული ხუროთმოძღვრების რამდენიმე ძეგლის შესახებ

მოხსენება შეეხება ტავრიდის ხერხონესის (VI ს-დან – ხერსონი) შუა საუკუნეების საეკლესიო არქიტექტურის რამდენიმე ნიმუშს, რომლებიც, ჩვენი აზრით, გარკვეულ პარალელებს პოვებს ქართულ საკულტო მონუმენტურ ხუროთმოღვრებაში. არქიტექტურული ევოლუციის მსგავსად, ხერსონესისა და ქართული ეკლესიების ისტორიაშიც იკვეთება საინტერესო საერთო ეპიზოდები.

5.4. სტატიები დიგიტალური საიდენტიფიკაციო კოდის (DOI) მითითებით

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, დიგიტალური საიდენტიფიკაციო კოდი DOI	ჟურნალის/ კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1					
2 3					
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)					

5.5. სტატიები ISSN-ის მითითებით

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათა-ური, ISSN	ჟურნალის/ კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1					
2					
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)					

6. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა უცხოეთში

6.1. მონოგრაფიები/წიგნები

№	ავტორი/ავტორები	მონოგრაფიის/წიგნის სათაური, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა

1 2				
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)				

6.2. სახელმძღვანელოები

№	ავტორი/ავტორები	სახელმძღვანელოს სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1 2				
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)				

6.3. კრებულები

№	ავტორები	კრებულის სახელ-წოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1 2 3				
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)				

6.4. სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI ან ISSN	ჟურნალის/ კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1 2 3					
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)					

7. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

7.1. საქართველოში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1 2 3			

მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა)

7.2. უცხოეთში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1 2 3			
მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა)			

ერთეულს, თუ საჭიროდ მიაჩნია, შეუძლია ანგარიშში შეიტანოს სხვა, მისთვის მნიშვნელოვანი აქტივობაც.

ანგარიში წარმოდგენილი უნდა იყოს ნაბეჭდი (2 ეგზემპლარად) და ელექტრონული ვერსიის (CD-დისკი) სახით.

ანგარიში, რომელიც არ არის შედგენილი ამ დანართის მოთხოვნების შესაბამისად, ექსპერტიზას (შეფასებას) არ ექვემდებარება და შეფასების შემაჯამებელ დოკუმენტში აღინიშნება ფორმულით "არ შეფასდა".

ქართული ლიტერატურის ისტორიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი

ანგარიშის ფორმა №2

2020 წელს გაწეული სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ანგარიში

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის დასახელება
ქართული ლიტერატურის ისტორიის სასწავლო/სამეცნიერო ინსტიტუტი

სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა ხელმძღვანელის მითითებით ელგუჯა ხინთიბიძე, მაკა ელბაქიძე, ლელა ხაჩიძე, ნესტან სულავა, ნანა გონჯილაშილი, ლადო მინაშვილი, ეკა ვარდოშვილი, თამარ შარაბიძე, ლევან ბებურიშვილი, კახაბერ ლორია, რუსუდან ნიშნიანიძე, თამარ პაიჭაძე, ქეთევან სიხარულიძე, ელენე გოგიაშვილი, ხვთისო მამისიმედიშვილი

1. სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის პერსონალის მიერ შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

1.1.

№	გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	2	3	4
1	1.დრამატურგიის ქრესტომათია (I და II ნაწილი) 2.„ქართული დრამატურგიის სახელმძღვანელო“. მიმართულება _ ახალი ქართული ლიტერატურა	1. 2018 -2022 2. 2016 -2022	1.თამარ შარაბიძე, პროექტის ხელმძღვანელი. თამარ ციციშვილი, პროექტის ძირითადი პერსონალი 2. თამარ შარაბიძე, პროექტის ხელმძღვანელი. თამარ ციციშვილი, პროექტის ძირითადი პერსონალი

გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2020 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)
ვამზადებთ ორ პროექტს ერთდროულად. ეს პროექტებია: „ქართული დრამატურგიის ქრესტომათია“, რომელშიაც შევა ავტორთა შემოქმედებიდან ორი-სამი მნიშვნელოვანი პიესა და ავტორის ბიოგრაფია; გარდამავალი პროექტია „ქართული დრამატურგიის სახელმძღვანელო“, რომელზედაც პარალელურად მიმდინარეობს მუშაობა. მასში შედის ავტორთა შემოქმედებითი ბიოგრაფიები და ცალკეულ ნაწარმოებთა ანალიზი. 2020 წელს ვასრულებთ პირველი პროექტის ერთ ნაწილს _ „ქართული დრამატურგიის ქრესტომათია“ (მე-19 საუკუნის 60-იან წლებამდე). სწორედ ამ მიზნით სხვადასხვა წყაროს გამოყენებით მოვამზადეთ მწერალთა მოკლე ბიოგრაფიები, დრამატურგიაზე ყურადღების გამახვილებით და მათი შემოქმედებიდან შევარჩიეთ პიესები დასაბეჭდად. ამ პიესებში შენარჩუნებულია დედნის ენა, ამოღებულია მხოლოდ ხმარებიდან გამოსული ასოები ან შეცვლილია ისინი მათი ეკვივალენტით. ასევე პიესები რედაქტირებულია სასვენი ნიშნების ხმარების იმ წესებით, რომლებიც არსებობს დღეს. ყველა პიესა წარმოდგენილია ერთნაირ ფორმაში. პროექტი გარდამავალია. ჯერჯერობით მომზადდა დრამატურგიის I ნაწილი. მასში შევიდა შემდეგი ავტორები: ალ. ორბელიანი, გ. ერისთავი, ზ. ანტონოვი, ივ. კერესელიძე, ბ. ჯორჯაძე, რ. ერისთავი და გ. დვანაძე, ლ. არდაზიანი. შემდეგი კრებულები მომზადდება ქრონოლოგიური პრინციპით.

1.2.

№	დასრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	2	3	4
დასრულებული კვლევითი პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)			

2. შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტით დაფინანსებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

2.1.

№	გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით,	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

	პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი		
1	2	3	4
1	ბიზანტიური და ქართული ჰიმნოგრაფიული მემკვიდრეობა (გიორგი მთაწმინდელის რედაქციის „მარხვანი“) № FR17_127	20. 12.2017-20.12.2020 3	ლელა ხაჩიძე - პროექტის ხელმღვანელი მაია რაფავა - ძირითადი პერსონალი ლია ახიბაძე - ძირითადი პერსონალი ეკა კვირკველია -ძირითადი პერსონალი (კოორდინატორი). ნანა ჩიკვატია - ძირითადი პერსონალი ექვთიმე კოჭლამაზაშვილი - დამხმარე პერსონალი ნინო ჯახველაძე - დამხმარე პერსონალი
2	ინტერკულტურული სივრცე -რუსთაველი და ნიზამი (ჰუმანიტარული მეცნიერებანი 6. 6-2) N FR17_109	2017-2020 წწ.	ვ.ამირხანაშვილი (ხელმღვანელი), ძირითადი შემსრულებლები - ი. რატიანი, მ. ელბაქიძე, ლ. კარიჭაშვილი, ო. ქაზუმოვი, ნ. გონჯილაშვილი.

გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2020 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

V ეტაპზე შესრულებული სამუშაო:

1. კრიტიკული აპარატის მომზადება ორი ათონური ხელნაწერის - Ath. 59-ის და Ath. 38-ის მიხედვით.
2. გიორგი მთაწმიდელის რედაქციის "მარხვანის" კრიტიკულად დადგენილი ტექსტის შედარება Sin. 5 და Sin 75 ხელნაწერებთან.
3. პროექტის შედეგების გაცნობა დისტანციურ საერთაშორისო კონფერენციაზე ათენში პროექტის ხელმღვანელის - პროფ. ლ. ხაჩიძის მიერ.

VI ეტაპზე შესრულებული სამუშაო:

1. გიორგი მთაწმიდელის რედაქციის "მარხვანის" კრიტიკულად დადგენილი ტექსტის შედარება წინადროინდელ ქართულ თარგმანებთან, კერძოდ, ძველ იადგარებთან და ლექციონარებთან.

2. გიორგი მთაწმიდელის რედაქციის "მარხვანის" აკადემიურად მომზადებული ტექსტის საბოლოო რედაქტირება, დაკაბადონება და ინტერნეტში განთავსება.

3. მიმოხილვითი კვლევის მომზადება. ხელნაწერების ტექსტებზე მუშაობის შედეგად მიღებული დასკვნების განზოგადება.

4. პროექტის მონაწილეების შეხვედრა კონსულტანტთან - ბერნარ უტიესთან ონლაინ რეჟიმში.

2. საგრანტო პროექტი – **ინტერკულტურული სივრცე - რუსთაველი და ნიზამი** - ითვალისწინებს ქართული ლიტერატურის უმთავრესი ძეგლის – *ვეფხისტყაოსნის* – კვლევას შუასაუკუნეების აღმოსავლური მწერლობის კონტექსტში, კონკრეტულად, რუსთაველის თანადროული დიდი აღმოსავლელი პოეტის, ნიზამი განჯელის შემოქმედებასთან მიმართებაში. საკვლევი თემის მიზანია, წარმოაჩინოს ნიზამი განჯელისა და შოთა რუსთაველის შემოქმედების ძირეული პრობლემატიკა, მათი თანხვედრის ტიპოლოგიური არსი, მეორე მხრივ, ის ისტორიულ–კულტურული თუ ლიტერატურულ–ესთეტიკური ფაქტორები, რაც, განაპირობებს მათ შორის განსხვავებას. პროექტის პირველ საანგარიშო პერიოდში პროექტის ძირითადმა მონაწილეებმა მოიძიეს მასალა საქართველოს პარლამენტის ეროვნულ, თსუ შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ბიბლიოთეკებში. მასზე დაყრდნობით შეადგინეს ბიბლიოგრაფია. აზერბაიჯანელმა პარტნიორებმა კი, საგრანტო პროექტის კონსულტანტის, აკად. ისა ჰაბიბეილის ხელმძღვანელობით გამოგზავნეს აზერბაიჯანის ეროვნულ ბიბლიოთეკაში, ნიზამი განჯელის სახელობის აზერბაიჯანული ლიტერატურის ინსტიტუტსა და აზერბაიჯანის სხვა სამეცნიერო ცენტრებში მოპოვებული მასალის მიხედვით შედგენილი ბიბლიოგრაფია.

პროექტის ძირითადი მონაწილეების მიერ განხორციელდა მოძიებული მასალის სისტემატიზება-კლასიფიკაცია შემდეგი თემატიკის მიხედვით: 1. რუსთაველისა და ნიზამის ფილოსოფიური პრობლემატიკა (ოქტაი ქაზუმოვი); 2. ეთიკური კონცეფცია (ნანა გონჯილაშვილი, ლია კარიჭაშვილი); 3. ესთეტიკური კონცეფცია (ივანე ამირხანაშვილი, ირმა რატიანი); 4. კონვენციური მოტივები (მაკა ელბაქიძე); 5. სიყვარულის კონცეფცია (მაკა ელბაქიძე). მოპოვებული და დამუშავებული მასალა მიხედვით შედგა ბიბლიოგრაფია.

პირველ საანგარიშო პერიოდში შეიქმნა ელექტრონული ბლოგი: „კულტურათაშორისი სივრცე - რუსთაველი და ნიზამი“, რომელზეც განლაგდა ძირითადი პერსონალის მიერ მოპოვებული მასალა და პროექტის მიმდინარეობასთან დაკავშირებული ინფორმაცია.

მეორე საანგარიშო პერიოდში, 2018 წლის 28 სექტემბერს მირზა ფათალი ახუნდოვის სახელობის აზერბაიჯანის კულტურის მუზეუმი და ცენტრში ჩატარდა მრგვალი მაგიდა - „ინტერკულტურული სივრცე - ნიზამი და რუსთაველი“ - ქართველი და აზერბაიჯანელი მეცნიერების მონაწილეობით.

პროექტის ფარგლებში 2018 წლის 30 ნოემბრიდან 2 დეკემბრამდე თბილისში ვიზიტად იმყოფებოდა პროექტის უცხოელი კონსულტანტი აზერბაიჯანის მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, ნიზამი განჯელის სახელობის აზერბაიჯანული ლიტერატურის ინსტიტუტის დირექტორი, აკადემიკოსი ისა

ჰაბიბეილი. ვიზიტის ფარგლებში შედგა გრანტის ძირითად მონაწილეებთან საკონსულტაციო შეხვედრა, ჩატარდა სამეცნიერო სესია, რომელზეც წაკითხულ იქნა კონსულტანტის მიერ პროექტის ფარგლებში დაწერილი სამეცნიერო სტატია. გრანტის ძირითადმა შემსრულებლებმა და კონსულტანტმა იმსჯელეს მომდევნო საანგარიშო პერიოდში განსახორციელებელი ამოცანების შესახებ.

2018 წლის 10-16 დეკემბერს პროექტის სამეცნიერო ხელმძღვანელი, ივანე ამირხანაშვილი. ვიზიტის მიზანი იყო აზერბაიჯანელ კოლეგებთან (ნიზამი განჯელის სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტი, ლიტერატურის მუზეუმი, აზერბაიჯანის მეცნიერებათა აკადემია)საკონსულტაციო შეხვედრების ჩატარება, აზერბაიჯანის სამეცნიერო ბიბლიოთეკებში პროექტის საკვლევი მასალის გარშემო სამეცნიერო ლიტერატურის გაცნობა.

თბილისში პროექტის მონაწილეთა მიერ განხორციელდა ბაქოში მოპოვებული მასალის სისტემატიზება-კლასიფიკაცია და მასზე, ასევე ქართულ სამეცნიერო ცენტრებში მოპოვებულ მასალაზე დაყრდნობით შეიქმნა პროექტით გათვალისწინებული სამეცნიერო ნარკვევების შავი ვარიანტები.

რუსთაველისა და ნიზამის კოსმოლოგიური შეხედულებების შესწავლისათვის გასათვალისწინებელია გიორგი თევზაძის მონოგრაფია „რუსთაველის კოსმოლოგია“. გარდა ამისა, ვიკტორ ნოზაძე, ბაჩანა ბრეგვაძე, გაიოზ იმედაშვილი, რევაზ თვარაძე, ევგენი ბერტელსი, ალექსანდრ კრიმსკი, არიფ გაჯიევი, ზ. ყული-ზადე და სხვათა შრომები. წლის პირველი ნახევრის შრომის შედეგების საფუძველზე დადგინდა, რომ შოთა რუსთაველი და ნიზამი განჯელი გეოცენტრისტები არიან. მათ შემოქმედებაში მზესა და მთვარეს ეძლევა უპირატესობა. მზიური სისტემა შემოფარგლულია ვარსკვლავური ცის სფეროთი, მის სფეროში უძრავად მდებარეობს დედამიწა. მზე, ორივეპოეტის აზრით, სამყაროს გონება და ზომიერებაა. რუსთაველთან ყოველი ციური ცხეული თავისი მატერიალური სფეროების შემწეობით დედამიწის გარშემო დღე-ღამეში ერთხელ აწარმოებს სრულშემობრუნებას. პლანეტების საკუთარი მოძრაობა მზის ძალის მოქმედებით ხდება.

„ვეფხისტყაოსანში“ მოცემული ეთიკური სისტემა რუსთველოლოგიის საწყის ეტაპზევე გახდა დაკვირვებისა და განხილვის ობიექტი. მიღებული თვალსაზრისით, რუსთაველის ეთიკური კრედო ეყრდნობა ერთი მხრივ ეროვნულ ზნეობას, რომელიც არსებითად განმსჭვალულია ქრისტიანული მორალით, ხოლო მეორე მხრივ, არისტოტელეს ნააზრევს ეთიკის პრობლემებზე. პოემის სიუჟეტის განვითარება, პერსონაჟთა მხატვრულ სახეები ცხადყოფს, რომ მათი წარმოდგენა სიკეთესა და ბოროტებაზე, ფუნდამენტურ ადამიანურ ღირებულებებზე თანხვდება ქრისტიანულ ეთიკას (თუმცა პოემის ზოგიერთი ეპიზოდი და გარემოებანი აზრთა სხვადასხვაობას იწვევს). პერსონაჟთა ზნეობა გარკვეულწილად განპირობებულია მათივე მსოფლმხედველობითა და სოციალური ნიშნულით (მაგალითად, რაინდობისა და მიჯნურობის კოდექსებით, რომლებიც კარგად ჩამოყალიბებული მსოფლმხედველობრივ-ეთიკური სისტემები ჩანს, ვაჭართა საზოგადოების ცხოვრების წესითა და ფასეულობებით). ამავე დროს, ცხადია, უმნიშვნელოვანესი ფაქტორია

პერსონაჟთა ინდივიდუალური მახასიათებლები. ამდენად, ეთიკა რუსთაველისთვის, ისე, როგორც ზოგადად, მსოფლმხედველობრივი, სოციალური და პიროვნული ფენომენია.

საგანგებო ყურადღება მიექცა მეგობრობის ფენომენს. ლიტერატურული პარალელების მოძიება-შესწავლა ცხადყოფს არა მარტო რუსთაველის გმირთა მეგობრობის ზოგადსაკაცობრიო ხასიათს, არამედ წარმოაჩენს იმ თავისებურებებსა და სპეციფიკურ სახეს, რომლებიც რუსთაველის შემოქმედების, პოეტური აზრისა და გამომსახველობის ორიგინალობის, განუმეორებლობის მაჩვენებელია (როგორც პოემის სახისმეტყველებისა და მხატვრულ სახექმნადობათა შემთხვევებში). საკითხთან დაკავშირებით ნაშრომში მიმოხილულია რუსთველოლოგიაში არსებული მასალა. უპირველეს ყოვლისა, მსჯელობა ეხება რუსთაველის მიერ მეგობრობის აღმნიშვნელი ლექსიკური ერთეულების - „მოყვარე“, „მოყვასი“, „ამხანაგი“, „ძმა“, „ძმობილი“, „ძმადფიცი“, „ძმადნაფიცი“, „ძმად-შეფიცებული“, „და“, „დობილი“, „დად-ფიცნი“ - მოხმობას, მათ განსაზღვრას და გამოყენებას ტექსტის საფუძველზე. ამ მიზნით დაძებნილი და წარმოჩენილია მათი გამოყენების შემთხვევები და გააზრებანი ძველ ქართულ ლიტერატურაში. ნაშრომში წარმოდგენილია რუსთველური მოყვრობის ჩასახვისა და დამოყვრების საფუძველთა გააზრებანი, დეტალურადაა განხილული საკითხთან დაკავშირებული პრობლემატიკა და ცალკეული ნიმუშები. ცალკე საკითხადაა წარმოდგენილი რუსთველური „მოყვრობის გამოჩენის“ სამი უცილობელი მახასიათებელი და რუსთველური მოყვრობის საფუძველთა გააზრება. ნაშრომის დასასრულს აღნიშნულია, რომ „ვეფხისტყაოსნის“ გმირთა „ზმობა“-„მოყვრობას“ შესაძლებელია, დაეძებნოს კავშირი ანტიკურ ფილოსოფიასთან, ბიბლიასთან, ტიპოლოგიური პარალელები აღმოსავლურ და რენესანსის ეპოქის მწერლობებთან. რუსთველურ მეგობრობაში სხვადასხვა მოძღვრებისა და მწერლობის გავლენა-მიმართებათა ძიება-დანახვა პოეტის მსოფლმხედველობის ტოლერანტობის მაჩვენებელია და იმაზე მეტყველებს, რომ „ვეფხისტყაოსნის“ გმირთა „ზმობა“-„მოყვრობა“ ზოგადსაკაცობრიო იდეის განსახოვნებაა, რომელიც ყოველივეს ითავსებს და იმავდროულად თავისთავადობით, განუმეორებელი ქართული ნაკვთიანობით ყველა სახისაგან განირჩევა. პოემის შინაარსი, მისი იდეური მხარე და პოეტიკა ძმობამოყვრობის განსახოვნებითაა განმსჭვალული.

ვეფხისტყაოსნის ეთიკის პრობლემატიკას 1712 წლიდან (მხედველობაში გვაქვს ვეფხისტყაოსნის „თარგმანი“ ვახტანგ მეექვსის მიერ, 1712 წლის გამოცემა) დღემდე მრავალი მკვლევარი შეეხო ცალკეულ საგაზეთო სტატიებსა თუ სამეცნიერო კრებულებში. ეთიკის საკითხები განხილულია აგრეთვე მონოგრაფიულ ნაშრომებში, ამ მიმართულებით მრავალრიცხოვან მკვლევართა შორის უნდა დავასახელოთ კორნელი კეკელიძე, ალ. ბარამიძე, გიორგი გვაზავა, გერონტი ქიქოძე, გიორგი ნადირაძე, ვიქტორ ნოზაძე და სხვები. თანამედროვე მკვლევართაგან რევაზ სირაძე, გრიგერ გარულავა, ელგუჯა ხინთიბიძე, ნესტან სულავა, მაკა ელბაქიძე, ნანა გონჯილაშვილი, ლია კარიჭაშვილი ... .

ძალზე საინტერესოა რუსთაველის თანამედროვე დიდი შემოქმედის ნიზამი განჯელის ეთიკური სისტემის გამოვლენა და შესწავლა ვეფხისტყაოსნის შესაბამის პრობლემატიკასთან მიმართებით, მათი საერთო და განმასხვავებელი ასპექტების გამოკვეთა. ნიზამის შემოქმედების ეთიკურ პრობლემატიკას ეხება ა. ფადეევის, მ. რაფილის, ს. პაშაევის, ჯ. მუსტაფაევის, მ. მურადხანლის, ე. ლევკიევსკისა და სხვათა ნაშრომები. როგორც უშუალოდ თხზულებათა შედარებითი შესწავლა ამ მიმართულებით, ასევე აღნიშნული სამეცნიერო ლიტერატურის გაცნობა-ანალიზი საყურადღებოა იმ უნივერსალიების გამოსაკვეთად, რომლებიც საერთოა ამ ორი დიდი შემოქმედის ნააზრევში და მათი ეპოქის ერთიან კულტურულ-ლიტერატურულ სივრცეს ქმნის.

2.2.

№	დასრულებული (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	2	3	4
1	ინტერკულტურული სივრცე - რუსთაველი და ნიზამი N FR17_109	2017-2020 წწ.	ივანე ამირხანაშვილი - სამეცნიერო ხელმძღვანელი, ოქტაი ქაზუმოვი - ახალგაზრდა მეცნიერი, მაკა ელბაქიძე - ძირითადი შემსრულებელი ნანა გონჯილაშვილი - ძირითადი შემსრულებელი, ლია კარჭაშვილი - ძირითადი შემსრულებელი
2	ჩეჩნური და ინგუშური თქმულებები ნართებზე, 6. ჰუმანიტარული მეცნიერებანი 6. 5 სხვა ჰუმანიტარული მეცნიერებები, საგამომცემლო-სახელმწიფო სამეცნიერო გრანტი, SP–19-123	10. XII. 2019 – 10. V. 2020	პროექტის ხელმძღვანელი: **ხვთისო მამისიმედიშვილი** პროექტის კოორდინატორი: ია გრიგალაშვილი
დასრულებული კვლევითი პროექტის 2020 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე) 1. საგრანტო პროექტი – **ინტერკულტურული სივრცე - რუსთაველი და ნიზამი** - ითვალისწინებდა ქართული ლიტერატურის უმთავრესი ძეგლის – ვეფხისტყაოსნის – კვლევას შუასაუკუნეების აღმოსავლური მწერლობის კონტექსტში, კონკრეტულად, რუსთაველის თანადროული დიდი აღმოსავლელი პოეტის, ნიზამი განჯელის შემოქმედებასთან მიმართებაში. პროექტით, ერთი მხრივ, გადრძელდა ის ტრადიცია, რომელიც სათავეს შოთა რუსთაველისა და ნიზამი განჯელის შემოქმედების		

კვლევის ისტორიიდან იღებს, მეორე მხრივ, კვლევა წარიმართა ახალი გზით: პირველად ამ პროექტის ფარგლებში ერთმანეთის მხარდამხარ, ერთმანეთის პარალელურად იმუშავეს დარგის წამყვანმა სპეციალისტები საქართველოდან, აზერბაიჯანიდან, ინგლისიდან.

პროექტის შედეგები აისახა წიგნში „ინტერკულტუტული სივრცე - რუსთველი და ნიზამი“ , რომელიც შედგება შემდეგი თავებისგან: 1. რუსთაველი და ნიზამი - საკითხის შესწავლა ისტორიულ ჭრილში; 2. რუთაველი- ნიზამის თანამედროვე; 3. ნიზამი - პოეტი და მოაზროვნე; 4. რუსთაველის და ნიზამის ესთეტიკური შეხედულებები; 5. რუსთაველისა და ნიზამის ფილოსოფიური შეხედულებანი; 6. რუსთველისა და ნიზამის ეთიკური კონცეფცია. წიგნი ორენოვანია - ქართველი მეცნიერების სტატიები წარმოდგენილია ქართულ ენაზე, უცხოელი პარტნიორებისა - ინგლისურზე. დასასრულს უახლოვდება ქართული სტატიების ინგლისურ ენაზე თარგმნა, რადგან პროექტის ფარგლებში მზადდება წიგნის ინგლისურენოვანი ელექტრონული ვერსია, რომელიც განთავსდება ინტერნეტ-სივრცეში.

პროექტის ფარგლებში ჩატარდა საერთაშორისო კონფერენცია - „კულტურათაშორისი სივრცე - რუსთაველი და ნიზამი“, რომელიც კოვიდ-19-ის შედეგად დაწესებული შეზღუდვების გამო ჩატარდა ონლაინ რეჟიმში. კონფერენციაში ქართველ კოლეგებთან - საგრანტო პროექტის სამეცნიერო ხელმძღვანელთან, ივანე ამირხანაშვილსა და ძირითად შემსრულებლებთან - მაკა ელბაქიძესთან, ირმა რატიანთან, ნანა გონჯილაშვილთან, ლია კარიჭაშვილთან და ახალგაზრდა მეცნიერთან, ოქტაი ქაზუმოვთან ერთად მონაწილეობა მიიღეს უცხოელმა პარტნიორებმა - კემბრიჯის უნივერსიტეტის პროფესორებმა, ჩარლზ მელვილმა და ფირუზა აბდულაევამ, ასევე აზერბაიჯანის აკადემიის ვიცე-პრეზიდენტმა, აზერბაიჯანის ნიზამი განჯელის სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტის დირექტორმა, აკადემიკოსმა ისა ჰაბიბეილიმ და აზერბაიჯანის ლიტერატურის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელმა ზაჰრა ალაჰვერდიევამ.

2. საგრანტო პროექტით გამოქვეყნებული წიგნი „ჩეჩნური და ინგუშური თქმულებები ნართებზე“ (გამოკვლევა, ტექსტები და კომენტარები) წარმოადგენს ქართულ ენაზე ჩეჩნური და ინგუშური თქმულებების პირველ აკადემიურ გამოცემას.

სამეცნიერო ნაშრომის მიზანი იყო ჩეჩნური და ინგუშური თქმულებების შესახებ ქართულ ენაზე შექმნილიყო ისეთი მონოგრაფიული გამოკვლევა, რომელიც სტუდენტებსა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სხვადასხვა დარგის სპეციალისტებს მიაწოდებდა სრულყოფილ ცოდნას ეპოსის სტრუქტურის, თემატიკის, ქრონოტოპის, საკრალური „ინვენტარის“, სიუჟეტებისა და მოტივების შესახებ.

აღნიშნულ საკითხზე მონოგრაფიული ნაშრომის შექმნის აუცილებლობა განაპირობა იმანაც, რომ ჩეჩნურ და ინგუშურ თქმულებებში ასახული მითოლოგემების, სიუჟეტებისა და მოტივების სრულყოფილი კვლევა და სწორი დასკვნების გამოტანა მხოლოდ ქართული კულტურისა და ქართული ფოლკლორის მონაცემებით იყო შესაძლებელი.

უკვე კარგა ხანია, რაც რუსულენოვან სამეცნიერო ლიტერატურასა და ჰუმანიტარულ კვლევებში მიმდინარეობს ქართული სამეცნიერო აზრის სრული იგნორირება. ასევე მრჩება შთაბეჭდილება, თითქოს ნართების ეპოსის სხვა მკვლევარებს უფრო პრესტიჟულად მიაჩნიათ პარალელების გავლება ძველ ბერძნულ, შუამდინარულ და ხეთურ-ხურიტულ მითებთან, ვიდრე გენეტიკური კავშირების დადგენა შუა საუკუნეების ქართულ კულტურასთან. ამდენად, აღნიშნული გამოცემის ერთ-ერთ მიზანს ჩრდილოეთ კავკასიის ხალხების, კერძოდ კი - მონათესავე ხალხების ჩეჩნებისა და ინგუშების მითო-ეპიკურ შემოქმედებასა და ქართულ ზეპირსიტყვიერებას შორის გენეტიკური კავშირების დადგენა, მითო-პოეტური და სიუჟეტური პარალელიზმების გამოვლენა წარმოადგენს.

ჩეჩნურ და ინგუშურ თქმულებებზე მონოგრაფიის გამოცემა ხელს შეუწყობს დარგის განვითარებას, მნიშვნელოვნად გაზრდის ცოდნას მეზობელი ხალხების ტრადიციული ყოფის, ზნეობრივ-მორალური ფასეულობებისა და, ზოგადად, სულიერი კულტურის შესახებ.

წიგნი იწყება მონოგრაფიული გამოკვლევით, რომელშიც განხილულია ჩეჩნური და ინგუშური თქმულებების სტრუქტურა, თემატიკა, ქრონოტოპი, პერსონაჟები, საბრძოლო იარაღი, საიდუმლო ნიშნები, ქართული კულტურის ელემენტები: წმინდა გიორგის კულტი, მტრედის სიმბოლიკა, მზეთუნახავის მითოსი, გველეშაპი, ესქატოლოგიური მოტივები. მონოგრაფიაში მნიშვნელოვანი

ადგილი დავუთმე ჩეჩნურ და ინგუშურ თქმულებებში დადასტურებული მითოლოგიური სიმბოლოების ანალიზსა და მათ იდენტიფიკაციას. ტექსტები გაანალიზებულია როგორც კავკასიის სხვა ხალხების საგმირო ეპოსებთან, ისე ქართულ ტრადიციულ კულტურასთან კავშირში. წიგნში შესულია ას თერთმეტი ინგუშური და ჩეჩნური თქმულება. მათი ქართული თარგმანი შეჯერებულია დედანთან, თუმცა ზოგიერთი ხალხური ტექსტის ჩეჩნური და ინგუშური დედანი არ აღმოჩნდა, რადგან ხალხური სიტყვიერების შემკრებლებმა თქმულებების ნაწილი თავის დროზე უშუალოდ რუსულ ენაზე ჩაიწერეს. წიგნი ოთხი ნაწილისგან შედგება: იგი იწყება ჩეჩნური და ინგუშური თქმულებების მონოგრაფიული გამოკვლევით, რომელსაც მოსდევს ქართულ ენაზე თარგმნილი ინგუშური და ჩეჩნური თქმულებები. წიგნის შემდეგი ნაწილი ეთმობა ტექსტების კომენტარებს. თქმულებები დავნომრე, რათა მკითხველს გაადვილებოდა თითოეულ ტექსტთან დაკავშირებული შენიშვნებისა და კომენტარების მოძებნა. საჭიროდ ჩავთვალე თარგმანის კომენტარებში თითოეული ტექსტის მთხრობელის ვინაობისა და ასაკის შესახებ ცნობების მითითება. კომენტარებში მივუთითე, ასევე, ინფორმაცია ჩამწერის, ჩაწერის დროისა და ადგილის შესახებ. აქედან გამომდინარე, შეიძლება დაბეჯითებით ითქვას, რომ ჩეჩნური და ინგუშური თქმულებები ნართებზე სრულიად ავთენტური ხალხური ტექსტებია. მკითხველს საშუალება ექნება კომენტარებში გაეცნოს განმარტებებს ჩეჩენთა და ინგუშთა ტრადიციული ყოფის ამსახველი ცალკეული სახელწოდებების შესახებ, რომლებიც მრავლად გვხვდება თქმულებებში. წიგნის ბოლო ნაწილი ეთმობა საძიებლებს, რომელიც მკითხველს, ასევე, გაუადვილებს თქმულებებში ასახული მდიდარი ონომასტიკური, ტოპონიმური, მითოლოგიური და საკულტო-რელიგიური სახელწოდებების მოძებნას. საძიებლებში შევიტანე, ასევე, საბრძოლო აღჭურვილობის, ადამიანთა წარმომავლობისა და საგვარეულოს აღმნიშვნელი სახელები.
წიგნი შედგება 472 გვერდისგან და დაიბეჭდა გამომცემლობა „სამშობლოში“; წიგნის რედაქტორი - ნუგზარ ანთელავა, რეცენზენტი - როსტომ ფარეულიძე. წიგნი დააკაბადონა და მისი დიზაინი შექმნა კახა მახარაშვილმა.

3. უცხოური გრანტებით დაფინანსებული სამეცნიერო პროექტები

3.1. გარდამავალი პროექტი

№	გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი, დამფინანსებელი ორგანიზაცია/ სამეცნიერო ფონდი, ქვეყანა	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	2	3	4
1	ბირმინგემის პროექტი. ქრისტიანულ-მაჰმადიანური ურთიერთობები ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში	2018-2020	თამარ შარაბიძე _ ძირითადი პერსონალი
გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2020 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე) წარმოვადგინე ვაჟა-ფშაველას მოკლე ბიოგრაფია, მისი შემოქმედების წყაროები და მწერლის შემოქმედების ვრცელი გამოკვლევის საფუძველზე დავწერე ნარკვევი _ „ქრისტიანულ-მაჰმადიანური			

ურთიერთობები ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში“. ნარკვევში შევიდა ყველა ის მხატვრული თუ პუბლიცისტური მასალა, რომელიც ზემოთაღნიშნულ ურთიერთობებს ასახავს.

3.2. დასრულებული პროექტი

№	დასრულებული (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი, დამფინანსებელი ორგანიზაცია/სამეცნიერო ფონდი, ქვეყანა	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	2	3	4
დასრულებული კვლევითი პროექტის 2020 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)			

4. პატენტები

4.1. საერთაშორისო პატენტები:

№	საპატენტო თემატიკის სათაური	გამომგონებელი/ები და პატენტმფლობელი/ები	პატენტის საიდენტიფიკაციო კოდი

4.2. ეროვნული პატენტები

№	საპატენტო თემატიკის სათაური	გამომგონებელი/ები და პატენტმფლობელი/ები	პატენტის საიდენტიფიკაციო კოდი

5. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში

5.1. მონოგრაფიები/წიგნები

№	ავტორი/ავტორები	მონოგრაფიის/წიგნის სათაური, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	თამარ შარაბიძე	1.ნიკოლოზ ბარათაშვილი 12 ბიოგრაფია ISBN 978-9941-13-871-3;	თსუ გამომცემლობა	313

2	თამარ შარაბიძე	ბოლშევიზმით დანგრეული ცხოვრება ISBN 978-9941-479-61-8	გამომცემლობა „ნეკერი“	185
3	ხვთისო მამისიმედიშვილი	ჩეჩნური და ინგუშური თქმულებები ნართებზე, ISBN 978-9941-9675-6-6	თბილისი. გამომცემლობა „სამშობლო“	472

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

თამარ შარაბიძე

1.წიგნში „ნიკოლოზ ბარათაშვილი 12 ბიოგრაფია“ წარმოჩენილია ბარათაშვილის ცხოვრებისა და მოღვაწეობის, მსოფლმხედველობისა და მხატვრული აზროვნების საკითხები; ნაჩვენებია, თუ როგორი ერთიანი და მთლიანია ბარათაშვილის პოეტური სახისმეტყველება, როგორ ერწყმის მწერლის ფილოსოფიური აზროვნება მის მხატვრულ სტილს; კომპლექსურად შესწავლილია ბარათაშვილის ეპისტოლარული მემკვიდრეობა, პუბლიკაციები, არმოღწეული თხზულებები, საზოგადოების დამოკიდებულება მწერლის მემკვიდრეობისადმი მისი სიკვდილის შემდეგ, პოეტის მიმართება რუსულ და დასავლურ რომანტიზმთან და ა.შ. წარმოდგენილია ნ. ბარათაშვილის შემოქმედების კვლევა სხვადასხვა რაკურსით.

2.წიგნი „ბოლშევიზმით დანგრეული ცხოვრება“ გამოადგებათ საქართველოს ახალი ისტორიის მკვლევართ, რადგან მასში თავმოყრილია დოკუმენტური მასალა სამი ქართველი ქალის _ ლიზიკო ქავთარაძის, ოლია მესხისა და თამარ წულუკიძის ცხოვრებიდან. წიგნი დააინტერესებს ეროვნული შეგნების ქართულ საზოგადოებას, რომლისთვისაც მტკივნეულია თავისი ქვეყნის წარსული.

ხვთისო მამისიმედიშვილი

წიგნი ქართულ ენაზე ჩეჩნური და ინგუშური ნართული თქმულებების პირველ აკადემიურ გამოცემას წარმოადგენს. ნაშრომი რამდენიმე ნაწილისგან შედგება: იგი იწყება მონოგრაფიული გამოკვლევით, კერძოდ ჩეჩნურ და ინგუშურ თქმულებებში ქართული კულტურის ელემენტებისა და ქრისტიანული სიმბოლოების განხილვით. მონოგრაფიას მოსდევს ქართულ ენაზე თარგმნილი ჩეჩნური და ინგუშური თქმულებები. წიგნის ბოლო ნაწილი ეთმობა შენიშვნებს, კომენტარებსა და საძიებლებს.

ნართების ეპოსი ჩრდილოეთ კავკასიის ხალხთა ფოლკლორული შემოქმედების ყველაზე მნიშვნელოვანი ძეგლია. არსებობს ამ ეპოსის აფხაზური, ჩერქეზული, ყარაჩაულ-ბალყარული, ოსური, ინგუშური და ჩეჩნური ვერსიები. ეპოსის მთავარი გმირები, ნართების სახელწოდებით, მითიური მეომრები არიან. ისტორიული წყაროები არ იცნობენ ხალხს ნართების სახელწოდებით. ნართების ეპოსში გამითიურებულია მეომრული საზოგადოებების ტრადიციული ყოფა და წარსულში მომხდარი ისტორიული მოვლენები.

წიგნი განკუთვნილია უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტებისთვის, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სხვადასხვა დარგის სპეციალისტებისა და ფოლკლორული შემოქმედებით დაინტერესებული მკითხველისთვის.

5. 2. სახელმძღვანელოები

№	ავტორი/ავტორები	სახელმძღვანელოს სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა

		ISBN		
1	ელენე გოგიაშვილი	ფოლკლორისტიკის თეორიები და მეთოდები ISBN 978-9941-13-950-5	თბილისი თსუ გამომცემლობა	157

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

ელენე გოგიაშვილი

სახელმძღვანელო გამოიცა ელექტრონულად და ხელმისაწვდომია როგორც სტუდენტებისთვის, ისე ყველა დაინტერესებული მკითხველისთვის. ატვირთულია თსუ ოფიციალურ ვებ.გვერდზე და საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის მონაცემთა ბაზა „ივერიელში“.
https://www.tsu.ge/ka/publishing-house/single/1227

სახელმძღვანელოში წარმოდგენილია პრინციპული დებულებები და მოსაზრებები ზეპირსიტყვიერების, როგორც კულტურული ფენომენის, წარმომავლობისა და განვითარების საკითხების შესახებ. ნაშრომი მომზადდა ფოლკლორისტიკის კათედრაზე. მისი რედაქტორია ქეთევან სიხარულიძე, რეცენზენტი - ხვთისო მამისიმედიშვილი.

სახელმძღვანელო გამიზნულია ქართული ფილოლოგიის პროგრამის სტუდენტებისა და ასევე ეთნოლოგიისა და ანთროპოლოგიის საკითხებზე მომუშავე მკითხველისთვის.

ფოლკლორის სწავლების სირთულეს მეთოდოლოგიის სხვადასხვაობა განაპირობებს. ერთი მხრივ, ფილოლოგიურ, მეორე მხრივ, ეთნოლოგიურ კვლევებთან ფოლკლორის გარდაუვალი კავშირის გამო სწავლა ინტერდისციპლინურად მიმდინარეობს. სხვა დარგის სპეციალისტების მხრიდან ხშირად ვაწყდებით გაუგებრობას ფოლკლორის ადგილის განსაზღვრასთან დაკავშირებით. ზოგჯერ ფოლკლორი ლიტერატურათმცოდნეობის დამხმარე დისციპლინად მოიაზრება მაშინ, როცა ანთროპოლოგებს ეჭვი არ ეპარებათ, რომ ფოლკლორი კულტურული ანთროპოლოგიის ერთ-ერთი განშტოებაა. სინამდვილე კი ის არის, რომ ფოლკლორისტიკა დამოუკიდებელი მეცნიერებაა.

ზეპირსიტყვიერება შეიძლება ბევრი სამეცნიერო დარგის ყურადღების ცენტრში მოექცეს – ენათმეცნიერების, კულტურის მეცნიერებების, გენდერული კვლევების, რეგიონული კვლევების, პოსტკოლონიური კვლევების, ფსიქოლოგიისა და სხვა, მაგრამ მხოლოდ ფოლკლორისტის კომპეტენცია მოიცავს ზეპირსიტყვიერი მასალის დამუშავების ყველა სივრცეს: სინქრონულს, დიაქრონულს და იდეოლოგიურ-კრიტიკულსაც.

ფოლკლორისტიკის მეთოდები მასალის აღმოჩენას, ფიქსაციას, ზუსტ აღწერას, შედარებით კლასიფიკაციას გულისხმობს და საბოლოო ჯამში კულტურული ფენომენების გააზრებისკენ არის მიმართული. სამეცნიერო თეორიები ფოლკლორის წარმომავლობისა და განვითარების საკითხებს სხვადასხვაგვარად განმარტავენ, თუმცა საბოლოო ჯამში მათი კვლევის შედეგები ერთმანეთს ავსებს.

ფოლკლორისტიკის მეთოდოლოგიის დამსახურებაა, რომ თხრობითი ტრადიციის საერთაშორისო კვლევები მრავალმხრივ განვითარდა. ვარიანტთა დამუშავებით, მათი გეოგრაფიული გავრცელებისა და ისტორიული სიღრმის ანალიზით ნათელი გახდა ზეპირი გადმოცემის სტაბილურობა.

შედარებითი შესწავლით შესაძლებელი ხდება ცალკეული ფოლკლორული ნიმუშის ისტორიის რეკონსტრუქცია. ზეპირი სიუჟეტის არსებობა დროსა და სივრცეში ნიშნავს იმას, რომ შესაძლებელია მისი დათარიღებაც. მაგრამ რამდენადაც თხრობა შემოქმედებით აქტს განეკუთვნება, მხოლოდ სიუჟეტის წარმოშობის ადგილისა და დროის დაზუსტებით ვერ გავიგებთ ინფორმაციას მთხრობელის შესახებ. ამისთვის აუცილებელია გადმოცემის ფსიქოლოგიის, ისტორიულ-საზოგადოებრივი ფონის დინამიკისა და გადმოცემის პროცესის შესწავლა. აუცილებელია დაკვირვება ზეპირი გადმოცემის საკომუნიკაციო და გავრცელების სისტემაზე.

ფოლკლორისტიკის თეორიებისა და მეთოდების გაცნობა, ფაქტობრივად, ფოლკლორისტიკის მეცნიერებად ჩამოყალიბებისა და ამ მეცნიერების ისტორიის გაცნობაა. ფოლკლორისტიკის თეორიები სამეცნიერო სკოლათა ურთიერთობებსა და მომიჯნავე დისციპლინათა სამეცნიერო პრობლემატიკასაც მოიცავს.

ნაშრომი დაყოფილია ოთხ თავად. პირველ თავში წარმოდგენილია ფოლკლორის წარმოშობისა და გავრცელების თეორიებს (მითოლოგიური სკოლა, მიგრაციული თეორია, ანთროპოლოგიური სკოლა, გეოგრაფიულ-ისტორიული მეთოდი, კულტურულ-ისტორიული სკოლა). მეორე თავში - აღმოჩენისა და ტექსტის ანალიზის მეთოდები (საველე კვლევა, ფილოლოგიური მეთოდი, სტრუქტურული ანალიზი, ინტერტექსტუალობა), მესამე თავში - შედარებითი კვლევები (ზღაპარი და წეს-ჩვეულება, „გადასვლის რიტუალები“, ტიპოლოგიური კვლევები), მეოთხე თავში - თხრობისა და კომუნიკაციის საკითხები (ფუნქციონალიზმი, პერფორმანსი, ფოლკლორი და პოპკულტურა).

5.3. კრებულები

№	ავტორი/ავტორები	კრებულის სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	მაკა ელბაქიძე, ირმა რატიანი Homo Sovieticus-ის პოლიტიკური მოდელი და ქართული ნაციონალური იდეა	ბოლშევიზმი და ქართული ლიტერატურა მეორე მსოფლიო ომის დაწყებიდან სკკპ მე-20 ყრილობამდე (1941-1956 წწ) ISBN 978-9941-485-84-8	თბილისი, გამომცემლობა „მწიგნობარი“	გვ. 11-22
2	მაკა ელბაქიძე მეორე მსოფლიო ომი და ქართული ემიგრაციის პოლიტიკური ილუზიები	ბოლშევიზმი და ქართული ლიტერატურა მეორე მსოფლიო ომის დაწყებიდან სკკპ მე-20 ყრილობამდე (1941-1956 წწ) ISBN 978-9941-485-84-8	თბილისი, გამომცემლობა „მწიგნობარი“	გვ. 437-459
3	.თ. შარაბიძე (რედაქტორი), ე. ნავროზაშვილი, გ. არგანაშვილი, თ. ვასაძე, მ. ჯალიაშვილი, ნ.გაფრინდაშვილი, ს. მუჯირი და სხვ.	„XIX საუკუნე _ ეპოქათა მიჯნა“ (ნ. ბარათაშვილის გარდაცვალებიდან 175 წლისთავისადმი მიძღვნილი კრებული)	თსუ გამომცემლობა	300

4.	ეკატერინე ნავროზაშვილი ნანა გონჯილაშვილი	მთარგმნელის დღისადმი მიძღვნილი სამეცნიერო შრომების კრებული ნ. გაბრიელიანის „კარუსელი“ – ტექსტი და თარგმანი ISBN 978-9941-13-965-9	თბილისი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2020	გვ.: 85-96

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

მაკა ელბაქიძე

Homo Sovieticus-ის პოლიტიკური მოდელი და ქართული ნაციონალური იდეა

ტოტალიტარიზმის, როგორც ძალადობრივი მმართველობის, უპირველესი ნიშანი იდეოლოგიური დიქტატურის შექმნა, კლიშეების ფორმირება და დანერგვაა, რაც, ცხადია, მნიშვნელოვნად ზღუდავს ლიტერატურული თავისუფლების ფარგლებს. მეორე მსოფლიო ომის დაწყებასთან ერთად თავი იჩინა ახალმა ტენდენციამ – პატრიოტიზმის გაღვივებამ, რასაც შედეგად მოჰყვა საბჭოთა მოქალაქეთა მობილიზაცია საერთო მტრის, ფაშიზმის წინააღმდეგ. ამან, ერთი მხრივ, საიმედოდ გაამაგრა სტალინური რეჟიმის ფუნდამენტი, მეორე მხრივ კი, გააღრმავა პროტესტი არსებული რეჟიმის მიმართ. შესაბამისად, ე.წ. დიდი სამამულო ომის წლებში უკვე ერთმანეთის პარალელურად თანაარსებობდა, ერთი მხრივ, პატრიოტიზმის ნიშნით აღბეჭდილი პროპაგანდისტური ლიტერატურული პროდუქცია, მეორე მხრივ კი, ანტიტოტალიტარული სულისკვეთებით გაჟღენთილი ტექსტები. ანტისაბჭოთა ტენდენცია ყველაზე მკაფიოდ გამოიკვეთა ქართული პოლიტიკური ემიგრაციის მოღვაწეობაში, რომელიც საგრძნობლად გამოცოცხლდა მეორე მსოფლიო ომის დაწყების შემდეგ. რევოლუციურ ქარიშხალს გარიდებულ თუ საზღვარგარეთ იძულებით გადასახლებულ ჩვენს თანამემამულეებს ომში საბჭოთა კავშირის დამარცხების და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის აღდგენის იმედი ჩაესახათ. ემიგრაციის კვალდაკვალ ომის წლებში საქართველოს ტერიტორიაზეც გამოცოცხლდა ეროვნული მოძრაობა, რომლის აქტივისტთა რიგებში ახალგაზრდა იმედისმომცემი მწერლები და მეცნიერებიც ჩადგნენ. მეორე მსოფლიო ომის დამთავრებისთანავე საქართველოს პოლიტიკურ რეპრესიათა ახალმა ტალღამ გადაუარა. რეპრესიები შეეხო იმ ქართველ ოფიცრებსა და ჯარისკაცებს, რომლებიც ომის მიმდინარეობისას ტყვეობაში აღმოჩნდნენ, პარტიზანული და წინააღმდეგობის მოძრაობის მონაწილეებსაც, მათ შორის იმ ადამიანებსაც, რომლებმაც თავი გამოიჩინეს ნაცისტურ გერმანიასთან ბრძოლებში. იმავდროულად, ფაქტობრივად არსებობა შეწყვიტა ქართულმა ემიგრაციამ, როგორც პოლიტიკურმა ძალამ. მკაცრი იდეოლოგიური ზეწოლის ქვეშ მოექცა მწერლობა, ხელოვნების ყველა დარგი, გამკაცრდა ცენზურა. საბჭოთა იდეოლოგიის მესვეურები ყველგან ბურჟუაზიული იდეოლოგიის გამოვლინებას ებრძოდნენ. საბჭოთა იდეოლოგიის აგრესიულობამ აუტანელი პირობები შეუქმნა მწერლობის და ხელოვნების მოღვაწეებს.

მეორე მსოფლიო ომი და ქართული ემიგრაციის პოლიტიკური ილუზიები

სტატია ემყარება ქალაქ რომში, გათავისუფლების ისტორიულ მუზეუმში დაცულ მასალებს, რომლებითაც ვგებულობთ 1943 წელს რომში „ქართული კათოლიკური ცენტრის“ მუშაობის და გერმანიაში პოლიტიკური დანაშაულისთვის გასამართლებულ პირებთან ამ ორგანიზაციის კავშირის შესახებ. დოკუმენტებით ვეცნობით ისეთი ცნობილი პიროვნებების სახელებს, როგორებიც არიან: ქართველი სასულიერო პირი და თეოლოგი, მიქელ თარხნიშვილი, ქართული ემიგრაციის ლიდერი, მიხეილ კედია, ქართველი ემიგრანტი, მიქელ თარხნიშვილის სემინარიისდროინდელი მეგობარი, ვასილ

სადათიერაშვილი და სხვ. გესტაპოს სურდა, მიქელ თარხნიშვილის ზურგსუკან ჯაშუშური საქმიანობა ეწარმოებინა და მისი კოლეგიუმის საფარქვეშ ვატიკანის კულუარებში შეეღწია. პარადოქსია, მაგრამ ფაქტია, რომ ოპერაცია, რომელშიც ჩართულნი იყვნენ რეიჰის უშიშროების მთავარი სამმართველოს პროფესიონალები, ჩაიშალა, ერთი მხრივ, მიქელ თარხნიშვილის პრინციპულობის და ნონკონფორმიზმის, მეორე მხრივ კი, რომის მისადგომებთან მოკავშირეთა ჯარების გამოჩენის შედეგად.

თამარ შარაბიძე

კრებული ეძღვნება ნ. ბარათაშვილის გარდაცვალებიდან 175 წლისთავს. მასში შესულია მეცნიერ-მკვლევართა და დოქტორანტთა სტატიები, ძირითადად ბარათაშვილის შემოქმედებაზე. კრებულის მიზანია ახლებურად, სხვადასხვა რაკურსით წარმოაჩინოს ბარათაშვილის ცხოვრება და შემოქმედება.

ეკატერინე ნავროზაშვილი, ნანა გონჯილაშვილი
ნ. გაბრიელიანის „კარუსელი“ – ტექსტი და თარგმანი

2011 წელს გამოცემულ თარგმანთა კრებულში „გაუხუნარი ფერები“ დაიბეჭდა რუსულენოვანი სომეხი პოეტის, ნინა გაბრიელიანის ხუთი ლექსის რუსულიდან ჭანტურიშვილისეული ქართული თარგმანი. მან ნინა გაბრიელიანის ლექსები 1992 წელს გამოცემული წიგნიდან – „ბროწეულის მარცვალი“ – თარგმნა.

კრებულში წარმოდგენილი ლექსებიდან განსახილველად ავიღეთ *კარუსელი, რომელიც* შინაარსობრივად და პოეტური გამომსახველობითი საშუალებების მხრივაც დატვირთული ტექსტია.

ნ. გაბრიელიანის სათაური *კარუსელი* ლექსის პოეტიკის ძირითადი მარკერია და, ერთი მხრივ, სამყაროს მოდელს და, მეორე მხრივ, სამყაროზე პოეტის შეხედულებებს წარმოგვიდგენს. ნ. გაბრიელიანის *კარუსელი* რომ მუსიკალური კომპონენტის შემცველი ტექსტია ამას სათაურის შემდეგ ფრჩხილებში ჩასმული მუსიკალური ტერმინი *ტოკატაც* მოწმობს. სათაურის მუსიკასთან მიმართებას კი კომპოზიციურად კრავს და ასრულებს მიძღვნა/ეპიგრაფი – *კ.ს ხაჩატურიანს.* ნინა გაბრიელიანმა ლექსი 80-იან წლებში სწორედ კარენ ხაჩატურიანის სონატის შთაბეჭდილებით დაწერა და თავის ლექსში სწრაფი ტემპით შესრულებული სონატის მეორე ნაწილის - ტოკატის - რიტმიკის გამეორება სცადა. რუსულიდან ჭანტურიშვილი თარგმანში ზუსტად იცავს ავტორისეულ სათაურს, რემარკასა და მიძღვნა/ეპიგრაფს.

ნინა გაბრიელიანის *კარუსელი,* ავტორისავე განმარტებით, კონვენსიური ასტროფული ლექსია და არათანაბარმარცვლიანი 21 სტრიქონისგან შედგება; რუსულიდან ჭანტურიშვილმა ლექსი ასევე არათანაბარმარცვლიანი ასტროფული რითმიანი ლექსით თარგმნა.

ნინა გაბრიელიანის ლექსის სტრუქტურის ერთ-ერთი ყველაზე უფრო მკვეთრად გამოხატული მაორგანიზებელი საშუალება – გამეორებაა, რომელსაც პოეტი მხატვრული ეფექტის გასაძლიერებლად იყენებს, ლექსში მეორდება ერთი და იგივე სიტყვა, ფრაზა, სტრიქონი. ლექსში ასევე მაღალია ალიტერაციისა და ასონანსის კოეფიციენტიც, რაც ფონეტიკურ ხმოვანებასთან ერთად, ლექსის რიტმულ სტრუქტურასაც აწესრიგებს.

ლექსში რიტმიკის ორგანიზებას ემსახურება ანაფორა, იგი აწმყო დროის ზმნებითაა წარმოდგენილი. პოეტი მიმართავს ასევე რეფრენს.
თარგმანში მეტნაკლები სიზუსტით გადმოდის ცალკეული სიტყვების, ფრაზებისა და სტრიქონების გამეორება. ალიტერაციის, ბგერათა ჯგუფების, ტავტოგრამისა და ასონანსის გადმოტანა თარგმანში ხორციელდება „პირობითად იმ კონკრეტული შესაძლებლობების მიხედვით, რომელთაც ენა იძლევა“. იქ, სადაც დედნისეული ელემენტების გამეორება შეუძლებელია, რ. ჭანტურიშვილი მიმართავს სწორ სტრატეგიას და თარგმანში შემოაქვს ეფექტური, გამომსახველობითი ძალის მქონე სიტყვები. იგივე შეიძლება ითქვას ანაფორისა და რეფრენის შემთხვევებშიც.
რ. ჭანტურიშვილის თარგმანში შენარჩუნებულია დედნისეული აჩქარებული რიტმი, ინტონაცია და ლირიკული გმირის განწყობილება, თუმცა ზოგჯერ მათ დაცვას ორიგინალის აზრობრივი სიზუსტე ეწირება. თარგმანში ჩნდება შეცვლილი ან ახალი ლექსიკური ერთეულები, ტაეპები (ან პირიქით – გამოტოვებული სტრიქონები), „რომლებიც გარკვეულ როლს ასრულებენ ლექსის რიტმულ-ინტონაციურ ორგანიზებასა და ჟღერადობაში“.

სტატიაში განხილულია თარგმანში არსებული სინონიმური გავრცობის, კლების, მატების, ჩანაცვლების მაგალითები და გამოტანილია შესაბამისი დასკვნები.

5.4. სტატიები ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდის (DOI) მითითებით

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათა-ური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI	ჟურნალის/ კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	მაკა ელბაქიძე	ვლადიმერ პროპი და მისი „ზღაპრის მორფოლოგია“ (ფუნქციათა ურთიერთმიმართ ების საკითხი ჯადოსნურ ზღაპარსა და შუასაუკუნეების რაინდულ რომანში)	XIV საერთაშორისო სიმპოზიუმის – ლიტერატურათმცოდნე ობის თანამედროვე პრობლემები „აბრეშუმის გზის ქვეყნების ფოლკლორი (ეძღვნება გოგლას - გიორგი ლეონიძის ხსოვნას)“, მასალები, ელექტრონული წიგნი	თბილისი: ლიტინსტიტუ ტის გამომცემლობა	გვ. 128-140
2	ე.ხინთიბი ძე	"ვეფხისტყაოსნის" გზა ევროპისაკენ და ინგლისური საისტორიო წყაროები	„ქართველოლოგი“, #28	თბილისი, „ქართველოლო გი“	22 გვ. http://kartvelologi.tsu. ge/public/ge/arqive/ 18/9

3	ე.ხინთიბიძე	„ვარდთა და ნეხვთა ვინათგან მზე სწორად მოეფინების“	„ქართველოლოგი“, #28	თბილისი, „ქართველოლოგი“	18
4	ე.ხინთიბიძე	„ისევ ვეფხისტყაოსნის ქაჯეთის შესახებ“	„ქართველოლოგი“, #28	თბილისი, „ქართველოლოგი“	

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

მაკა ელბაქიძე

ვლადიმერ პროპი და მისი „ზღაპრის მორფოლოგია“

რუსმა ლიტერატურათმცოდნემ და ნარატოლოგიის ფუძემდებელმა, ვლადიმერ პროპმა 1928 წელს გამოაქვეყნა თავისი პირველი ფუნდამენტური ნაშრომი „ზღაპრის მორფოლოგია“, რომელშიც სლავური ხალხური ზღაპრების სტრუქტურის შესასწავლად რუსული ფორმალიზმის პრინციპები გამოიყენა. პროპმა ძირითადი ყურადღება გაამახვილა ტექსტის აბსტრაქტულ ფორმაზე, ასევე ზღაპრის პერსონაჟთა ტიპებსა და ფუნქციებზე. ტექსტში განვითარებული მოვლენებისა და პერსონაჟთა ანალიზისას ის მივიდა დასკვნამდე, რომ არსებობს 31 საბაზისო ფუნქცია და სიმბოლოთა 7 ტიპი და რომ ყველა ხალხური ზღაპარი ამ სტანდარტული „ინგრედიენტების“ საფუძველზეა აგებული.

თავდაპირველად ამ ნაშრომს დიდი გამოხმაურება არ მოჰყოლია. პროპის სახელი ევროპაში პოპულარული გახდა 1958 წლიდან, მისი ნაშრომის ინგლისურ ენაზე გამოქვეყნების შემდეგ. თავის კრიტიკულ სტატიაში (1960 წ) ცნობილმა ფრანგმა ანთროპოლოგმა და ეთნოლოგმა კლოდ ლევი სტროსმა ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ ვლადიმერ პროპის 20-იან წლებში დაწერილ ნაშრომში პრობლემათა ისეთი ფორმულირება და ანალიზი ჩანდა, როგორიც მხოლოდ 50-იანი წლების სტრუქტურული ანალიზისთვის შეიძლება ყოფილიყო დამახასიათებელი. როლან ბარტმა 1966 წელს გამოქვეყნებულ ესეში „შესავალი ნარატივის სტრუქტურულ ანალიზში“ რუსი ფოლკლორისტის თეორია მოიხსენია, როგორც ახალი სიტყვა ნარატოლოგიაში.

პროპის ნააზრევის მისადაგება ეფექტური აღმოჩნდა არა მარტო ზეპირსიტყვიერების ნიმუშების, არამედ ლიტერატურული ძეგლების კვლევისას. თავდაპირველად პარიზის სემიოტიკური სკოლის ერთ-ერთმა ფუძემდებელმა, წარმოშობით ლიტველმა მეცნიერმა ალგიდრას ჟულიენ გრეიმასმა შეიმუშავა აქტანტთა ნარატიული სქემა, რომელშიც პერსონაჟთა 6 ფუნქციური კატეგორია გამოჰყო და გასული საუკუნის 60-იან წლებში ამ მოდელის მიხედვით დაიწყო ლიტვური მითოლოგიის შესწავლა და რეკონსტრუქცია. მოგვიანებით ამერიკელმა მედიევისტმა დონალდ მადოქსმა ეს სქემა ფრანგულ რაინდულ რომანს მიუსადაგა.

ე.ხინთიბიძე

1. ნაშრომში შესწავლილია ინგლისური საისტორიო მწერლობისა და პირველწყაროების ცნობები შაჰ-აბას პირველის წარმოშობით ქართველ ქრისტიან ცოლთა თაობაზე, რომელიც არ ჩანს განხილული ქართულ საისტო-რიო მწერლობაში. კერძოდ, XVI ს-ის დასასრულის ინგლისელი დიპლომატი და მოგზაური სერ ანტონი შერლი და XVII ს-ის დასაწყისის ინგლისელი ატაშე ირანში სერ ტომას ჰერბერტი თავიანთ XVII ს-ში გამოქვეყნებულ წიგნებში აღნიშნავენ, რომ აბასმა ცოლად შეირთო ქართლის მეფე სიმონის და კახეთის მეფე ალექსანდრეს ქალიშვილები (დაახლოებით XVI-XVII სს-ის მიჯნაზე).

ინგლისური საისტორიო მწერლობა და პირველწყა-როები მიუთითებენ, რომ ინგლისელ დიპლომატს სერ ანტონი შერლისა და მის კომპანიას XVI ს-ის დამლევს შაჰ-აბასის კარზე ხელს უწყობდნენ შაჰის ქართველი ქრისტიანი ცოლები. ეს ცნობა განამტკიცებს იმ თვალსაზრისს, რომ ვეფხისტყაოსნის სიუჟეტი XVII ს-ის დასაწყისის ინგლისელ დრამატურგთა წრესთან, და თვით შექსპირთან, მიტანილია შაჰ-აბასის გარემოცვაში დაწინაურებულ წარმოშობით ქართველთა თანამშრომლობის შედეგად სერ ანტონი შერლისთან.

2. სტატიაში წარმოდგენილია „ვეფხისტყაოსნის“ სათაურში გამოტანილი ფრაზის ფილოსოფიური ინტერპრეტირება და გამოთქმულია თვალსაზრისი, რომ იგი ეყრდნობა პირველმიზეზის მიერ სამყაროსეული საგნების შექმნის არეპაგიტულ ინტერპრეტირებას და განსხვავდება, როგორც პლოტინოსის, ასევე პროკლეს ინტერპრეტირებისაგან.

3. სტატია თავისებური გაგრძელებაა „ქართველოლოგი“ # 26-ში ე. ხინთიბიძის მიერ „ვეფხისტყაოსნის“ *ქაჯების* შესახებ გამოქვეყნებული ნარკვევის ინტერპრეტირებისა. ერთმანეთისაგან დიფერენცირებულია „ვეფხისტყაოსანში“ ფიქსირებული სახელწოდება - „ქაჯი“: ქაჯი - ხალხთა წარმოდგენაში არსებული უხორცო არსება; ქაჯი - „ვეფხისტყაოსნის“ ქაჯეთის ქალაქის მკვიდრი; ქაჯი - როგორც გრძნეული ადამიანი.

5.5. სტატიები ISSN-ის მითითებით

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათა-ური, ISSN	ჟურნალის/ კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი	გამოცემის ადგილი, გამომცემლ ობა	გვერდების რაოდენობა
1	ლელა ხაჩიძე	ბიზანტიური და ქართული ჰიმნოგრაფიის ისტორიიდან (გიორგი მთაწმინდელის რედაქციის „მარხვანი“) 2020, 122-144. ISSN 1512-2514	„სჯანი“ #21	თსუ შითა რუსთაველ ის ქართული ლიტერატუ რის ინსტიტუტ ი	23
2	მაკა ელბაქიძე	სერ გევეინი და მწვანე რაინდი. ISSN 0235-3776	სამეცნიერო ჟურნალი „ლიტერატურული ძიებანი“. N 40	თბილისი: თსუ გამომცემლ ობა	გვ.244-260

3	ლ. მინაშვილი	იაკობ გოგებაშვილი, როგორც საბავშვო მწერალი	იაკობ გოგებაშვილი - 180, სამეცნიერო შრომების კრებული	თსუ გამომცემლობა, თბილისი	გვ. 72-77.
4	ლ. მინაშვილი	ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის ურთიერთმიმართების შესახებ	აკაკი წერეთლის დაბადებიდან 180 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო შრომების კრებული	თსუ გამომცემლობა, თბილისი	გვ. 77-88.
5	ე. ვარდოშვილი	ილია ჭავჭავაძე და სახელმწიფოებრივი აზროვნების საკითხები, Ilia Chavchavadze and the issues of state thinking	ცხუმ-აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის შრომები XIX-XX, Tskhum-Abkhazian Academy of Sciences XIX-XX. ISSN N2233-3363, უაკ (VDC)908 (479.224) /ც - 998. რეზიუმე ინგლისურ ენაზე	თბილისი, 2020, გამომცემლობა „მერიდიანი“	გვ. 139-144.
6	.თამარ შარაბიძე	იყო თუ არა აკაკი მეორე დასის წარმომმადგენელი? ISBN 978-9941-13-955-0	აკაკი წერეთლის დაბადებიდან 180 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო შრომების კრებული	თსუ გამომცემლობა	8
7	თამარ შარაბიძე	აკაკის პუბლიცისტური სატირის ზოგიერთი ნიმუშის ანალიზი	იაკობ გოგებაშვილის დაბადებიდან 180 წლისთავისადმი მიძღვნილი	თსუ გამომცემლობა	12
8	თამარ შარაბიძე, ნანა გონჯილაშვილი	ხელოვნებისა და მხატვრული ლიტერატურის მიმართებისათვის - მსოფლმხედველობრივი პოზიცია და	სამეცნიერო კონფერენცია	შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის გამომცემლობა	9

		ინტერკულტურული მესიჯი			
9	თამარ შარაბიძე	„დონ ჟუანის“ იდუმალი ხიბლი და ქართველი მთარგმნელები	მთარგმნელის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი VI სამეცნიერო კონფერენციის მასალები	თსუ გამომცემლობა.	8
10	თამარ შარაბიძე	ნიკოლოზ ბარათაშვილის პორტრეტი	XIX საუკუნე-ეპოქათა მიჯნა (ნ. ბარათაშვილის გარდაცვალებიდან 175 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კრებული	თსუ გამომცემლობა	12
11	თამარ შარაბიძე	ერეკლე II მე-19 საუკუნის ქართული ლიტერატურის სამსჯავროზე	ერეკლე II-ის დაბადებიდან 300 წლისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო-შემეცნებითი კონფერენციის მასალები	თტუ გამომცემლობა.	14
12	ლევან ბებურიშვილი	ზვიად გამსახურდიას თეორიულ-ლიტერატურული შეხედულებები ISBN 978-9941-487-56-9	ზვიად გამსახურდია - პოლიტიკა, მეცნიერება, ლიტერატურა (კონფერენციის მასალები)	თბილისი, გამომცემლობა „არტანუჯი“	გვ. 405-413.
13	ლევან ბებურიშვილი	იაკობ, გოგებაშვილი, როგორც ლიტერატურის კრიტიკოსი, 978-9941-13	იაკობ გოგებაშვილი -180 სამეცნიერო შრომების კრებული	თბილისი, თსუ გამომცემლობა	გვ.13-22.
14	თამარ პაიჭაძე	მოდერნისტული რეკვიზიტი და ქართული ლიტერატურული ტრადიცია ISSN25875485	აღმოსავლეთ ევროპის მულტიკულტურული სივრცე (სამეცნიერო სტატიების კრებული)	ბსუ/გამომცემლობა ბათუმი	გვ. 153-158
15	ნიშნიანიძე რუსუდან	,,პარიზში გამოცემული ქართული	სამეცნიერო რეფერირებადი ჟურნალი ,,ენა და კულტურა“ № 23	გამომც. ,,მერიდიანი“ ქუთაისი	გვ. 152-158

		პოეტური კრებული“ ,2020 ISSN 1987-7323 ჟურნალი განთავსებულია: Google scholar-ის მონაცემთა ბაზაში; საქ. პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ,,ივერიელის“ კოლექციაში; ქართ. რეფ. ჟურნ.(ქრჟ) www.techinformi.ge			
16	რუსუდან ნიშნიანიძე	,,შინისაკენ... საიმედო და კვიმატი დაბრუნება“ თბილისი **2020** **ISSN 2449_3090**	პერიოდულ ჟურნალი ,,ბედნიერი ოჯახი“ №7 (11)	საქ. საპატრიარქოს გამომც. თბილისი	გვ.74 _76
17	Elene Gogiashvili	Drachen- und Riesengestalten in georgischen und bulgarischen Volksmärchen (დრაკონები და გოლიათები ქართულ და ბულგარულ ხალხურ ზღაპრებში). გერმანულ ენაზე ISSN 2534-8574	Études Balkaniques LVI, 2020, 4, pp. 828-847.	სოფია, ბულგარეთი	სტატია მოიცავს 20 გვერდი
18	ნ. გონჯილაშვილი, ე.ნავროზაშვილი	მირზა ფათალი ახუნდზადეს ერთი პიესის თარგმანის ისტორიისათვის ISBN 978-9941-13-955-0	აკაკი წერეთლის დაბადებიდან 180 წლისთავისადმი სამეცნიერო შრომების კრებული	თბილისი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის	11 გვერდი გვ.: 51-61

				უნივერსიტეტის გამომცემლობა	
19	ნ.გონჯილაშვილი, ნ. სულავა	კავკასიური სივრცის ქრისტოლოგიური მნიშვნელობა „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ მიხედვით 1987-6157	გულანი, № 23	ახალციხე	10 გვერდი გვ. 177-187
20	ნ.გონჯილაშვილი ნ. სულავა.	კავკასიური სივრცე ქართულ ჰაგიოგრაფიაში	კორნელი კეკელიძის დაბადების 140 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო შრომების კრებული. 2020 (იბეჭდება)	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.	
21	ნ.გონჯილაშვილი	ნ. ბარათაშვილის „მერანის“ „გზა უვალის“ გააზრებისათვის	XIX საუკუნე - ეპოქათა მიჯნა, ნიკოლოზ ბარათაშვილის გარდაცვალებიდან 175 წლისთავისადმი მიძღვნილიკონფერენციის მასალები 2020 (იბეჭდება)	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.	
22	ნ.გონჯილაშვილი	უფლის ჯვარცმის შესახებ დაცული ცნობები „წმ. ნინოს ცხოვრების“ რედაქციებში ISSN 0235-3776	ძიებანი,N 41, 2020 (იბეჭდება)	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.	

23	თ.შარაბიძე, ნ. გონჯილაშვილი	ხელოვნებისა და მხატვრული ლიტერატურის მიმართებისათვის - მსოფლმხედველობრივი პოზიცია და ინტერკულტურული მესიჯი	XIV საერთაშორისო სიმპოზიუმი ლიტერატურათმცოდნეობის თანამედროვე პრობლემები აბრეშუმის გზის ქვეყნების ფოლკლორი (ეძღვნება გოგლას – გიორგი ლეონიძის ხსოვნას), 2020 (მასალები იბეჭდება)	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.	
24	ნ. გონჯილაშვილი	მიწისა და ზეცის საგალობელი (აკაკი წერეთლის პოეზიის მიხედვით) ISSN 0235-3776	ძიებანი,N 40, 2019-2020 (იბეჭდება)	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.	
25	ე.ხინთიბიძე	„ბერძნული მითოსის კიდევ ერთი დამოწმება „ვეფხისტყაოსანში“ ISSN -1512081	„რუსთველოლოგია“, IX	თბილისი, „თსუ გამომცემლობა“	14 გვ.
26	ე. ხინთიბიძე	„შუა საუკუნეების ქართული აგიოგრაფიის სპეციფიკისათვის“	ლიტერატურის ინსტიტუტის გზამკვლევი: ქართული ჰაგიოგრაფია	თბილისი, „თსუ გამომცემლობა“	12 გვ. იბეჭდება
27	ე. ხინთიბიძე	„ვეფხისტყაოსნის გზა ინგლისურ დრამატურგიამდე“	„ინოვაციები XXI საუკუნის ქართულ ლიტერატურათ მცოდნეობაში - 2020“ , 3.	თბილისი, „ქართველოლოგი“	14 გვ. იბეჭდება
28	ე. ხინთიბიძე	„ქართული ფილოლოგიის პატრიარქი - კორნელი კეკელიძე და ჩემი	კორნელი კეკელიძე - 140	თბილისი, „ქართველოლოგი“	გვ. 15 იბეჭდება

		ორიოდე მოგონება“			

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

ლელა ხაჩიძე

„მარხვანი“ ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ლიტურგიკულ-ჰიმნოგრაფიული კრებულია, რომელიც შეიცავს დიდმარხვის პერიოდის საგალობლებს. ეს კრებული შეიცავს ბიზანტიური და ქართული ჰიმნოგრაფიის საგანძურს - მრავალრიცხოვან საგალობლებს, რომელთა ავტორები ქრისტიანული ეკლესიისა და კულტურის უდიდესი წარმომადგენლები არიან. საგალობელთა დიდი ნაწილი კი ანონიმურადაა მოღწეული, რომელთა ავტორების დადგენა მხოლოდ ბერძნული წყაროებით დღეისათვის შეუძლებელია.

ქართულმა „მარხვანმა“ ისევე, როგორც ყველა სხვა საღვთისმსახურო წიგნმა, განვითარების მწვერვალს მიაღწია ქართული ეკლესიისა და კულტურის უდიდესი წარმომადგენლის - გიორგი მთაწმინდელის მოღვაწეობით (1009–1065).

ჩვენამდე მოღწეულია გიორგი ათონელის რედაქციის „მარხვანის“ შემცველი მრავალრიცხოვანი ხელნაწერები. მათი შესწავლის საფუძველზე გამოიყო ხელნაწერთა ერთი ჯგუფი, რომლებიც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ამ კრებულის კვლევისათვის. ჩვენი მიზანია გიორგი მთაწმინდელის რედაქციის „მარხვანის“ აკადემიური ტექსტის გამოსაცემად მომზადება XI-XIII საუკუნეების ცხრა ქართული ხელნაწერის მიხედვით სათანადო გამოკვლევასთან ერთად.

ამ კრებულის შემცველ ხელნაწერებს შორის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება პარიზის ეროვნულ ბიბლიოთეკაში დაცულ ხელნაწერს - Paris. Georg. 5. როგორც ირკვევა, ესაა ამ კრებულის ავტოგრაფული მნიშვნელობის მქონე უნიკალური ხელნაწერი, რომელიც გიორგი მთაწმინდელის რედაქციის „მარხვანის“ პუბლიკაციის საფუძვლად მივიჩნიეთ.

Paris. Georg. 5-ის კოდიკოლოგიური, ისტორიული და ლიტურგიკული კვლევის საფუძველზე გაირკვა, რომ ეს ხელნაწერი შედგენილია შავ ანუ საკვირველ მთაზე ანტიოქიაში.

სხვადასხვა წყაროების, მათ შორის გიორგი მთაწმინდელის „ცხოვრების“ გათვალისწინებით დაგინდა ისიც, რომ „მარხვანის“ სრული, საბოლოო რედაქცია გიორგი მთაწმინდელს შეუდგენია შავ მთაზე 1056 – 1059 წლებში.

გიორგი მთაწმინდელის „მარხვანის“ შესწავლა მოწმობს, რომ ესაა კრებული, რომელშიც მთელი სისრულითაა ასახული გიორგი ათონელის თანამედროვე და წინადროინდელი ბიზანტიური ლიტურგიკული პრაქტიკა. ამასვე მოწმობს Paris. Georg. 5 ხელნაწერში დაცული გიორგი მთაწმინდელის ანდერძები.

გიორგი ათონელის „მარხვანში“ დიდმარხვის თითოეული დღის განგება შეიცავს ვრცელ ჰიმნოგრაფიულ მასალას - სხვასხვა ტიპის მცირე ფორმის საგალობლების კომპლექტებს, მარხვანისათვის სპეციფიკური ფორმის საგალობლების (სამსაგალობლების) რამდენიმე ციკლს და ვრცელი ფორმის საგალობლებს - ჰიმნოგრაფიულ კანონებს, რომელთა ავტორები არია ბიზანტიური ჰიმნოგრაფიის თვალსაჩინო წარმომადგენლები.

მსგავსი სისრულის კრებული ბერძნული „მარხვანის“ არსებულ პუბლიკაციებსა და სამეცნიერო ლიტერატურაში აღწერილ ხელნაწერებში არ დაიძებნა. მსგავსი კრებული არ გვხვდება არც სლავურ „მარხვანებში“, რომლებიც კონსტანტინოპოლური პერიოდის ბერძნული „მარხვანების“ ზუსტ ანალოგებს წარმოადგენს.

გიორგი მთაწმინდელის რედაქციის „მარხვანისათვის“ დამახასიათებელია დიდი სიზუსტე საგალობლებისათვის ავტორების მითითებასა და მათი ტექსტების დადგენაში, რაც დღეს დიდ

მეცნიერულ მნიშვნელობას იძენს. პარიზულ ხელნაწერში წარმოდგენილია 14 ბიზანტიელი ჰიმნოგრაფის მრავალრიცხოვანი საგალობლები. კვლევის პროცესში გაიშიფრა მათი ავტორობის აღმნიშვნელი მონოგრამები, აგრეთვე მონოგრამა „ „ ,რომელიც არქაული ტიპის საგალობლებთან -„იბაკოებთანაა“ მითითებული.

დღეისათვის ცნობილ ბერძნულ-სლავურ „მარხვანებსა“ და სამეცნიერო ლიტერატურაში აღწერილ კრებულებთან შედარებამ ცხადყო, რომ გიორგი ათონელის „მარხვანი“, განსაკუთრებით Paris. Georg. 5 ხელნაწერი, ბიზანტიური ჰიმნოგრაფიის მრავალი ნიმუშის გამოვლენის ან რეკონსტრუქციის საშუალებას წარმოადგენს. მათ შორისაა თვით ბიზანტიური ჰიმნოგრაფიის მამამთავრად მიჩნეული დიდი შემოქმედი - რომანოზ მელოდოსი. როგორც ირკვევა, სწორედ მას ეკუთვნის ბიზანტიური ჰიმნოგრაფიის ერთ-ერთი უძველესი საგალობელი, რომელიც აქამდე ანონიმურად იყო მიჩნეული და ითვლებოდა რომანოზისა და მისი სკოლის „უძველეს წინაპრად“.

„მარხვანში“ შესული საგალობლების უმეტესობა თავად გიორგის მიერაა თარგმნილი. გვხვდება რამდენიმე შემთხვევა, როდესაც საკუთარ თარგმანთან ერთად, გიორგი წარმოადგენს წინდროინდელ თარგმანსაც - იმ შემთხვევებში, როცა ეს თარგმანები განსაკუთრებული მხატვრული ღირსებებით გამოირჩევა.

„მარხვანში“ დაცული გიორგი ათონელის მრავალრიცხოვანი თარგმანები ქართული მთარგმნელობითი ხელოვნების საუკეთესო ნიმუშებს წარმოადგენს. ორიგინალებთან შინაარსობრივი და რიტმულ-მელოდიური დაახლოების მიზნით შექმნილი ეს ტექსტები ორიგინალური მწერლობის ნიმუშების შთაბეჭდილებას ტოვებს. გიორგი ათონელი ზედმიწევნით ფლობს მისი დროისათის არსებულ ქართულ ლექსიკურ მარაგს. ამავე დროს, ქმნის ახალ ლექსიკურ ერთეულებს და ტერმინებს.

გიორგი ათონელის „მარხვანში“ შესული მრავალრიცხოვანი საგალობლების შედარებამ წინადროინდელ ხელნაწერებთან ცხადყო მისი მოღვაწეობის კიდევ ერთი თავისებურება - საგალობელთა ურთულესი რიტმულ - მელოდიური საზომების გამართვა და დაზუსტება.

მსგავსი სამუშაო ჩაუტარებია მას რომანოზ მელოდოსის საგალობლებზეც - ყოველი მათგანის ტექსტი პარიზულ ხელნაწერში „ახალი წესით“ - ძლისპირ - დასდებლის შესატყვისობითაა წარმოდგენილი, რაც იმას ნიშნავს, რომ მათი პოეტური საზომიც და მელოდიაც „ახალ წესსაა“ დაქვემდებარებული, რომელიც მაშინ საყოველთაოდ იყო გავრცელებული. როგორც ჩანს, მსგავსი სამუშაო ჩაუტარებია მას „მარხვანისათვის“ განკუთვნილ მთელ რეპერტუარზე.

გიორგი მთაწმინდელის რედაქციის „მარხვანის“ შემცველი მრავალრიცხოვანი ხელნაწერებიდან ტექსტის საბოლოოდ დასადგენად შევარჩიეთ XI-XIII საუკუნეებით დათარიღებული 8 ხელნაწერი: Ath. 59 (XI ს.), Ath. 38 (XI ს.), A 568 (XII ს.), Jer. 61 XII-XIII სს), Jer.130 (XI -XIII სს.), Jer. 67 (XII ს.), Jer. 56 (XII-XIII სს.) და Jer. 141 (XIII-XV სს). ამ ხელნაწერების შესწავლამ ცხადყო, რომ „მარხვანი“ ერთ-ერთი პირველი კრებულია, რომელზე მუშაობაც გიორგის დაუწყია ათონზე მოღვაწეობის პერიოდში. „მარხვანის“ სრულ, საბოლოო რედაქციას წინ უძღოდა ამ კრებულის პირველი, მოკლე რედაქცია, რომელიც დაცულია ათონურ ხელნაწერში - Ath. 59.

გიორგი ათონელის „მარხვანის“ შემცველი ხელნაწერების შედარებითმა კვლევამ ტექსტის საბოლოოდ დადგენის საშუალება მოგვცა. ამ ხელნაწერებზე დართული ანდერძ - მინაწერების შესწავლამ კი გამოავლინა რამდენიმე აქამდე უცნობი ფაქტი ათონზე ქართველთა მოღვაწეობის ისტორიიდან.

მაკა ელბაქიძე
სერ გევეინი და მწვანე რაინდი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობამ 2018 წელს ქართველ მკითხველს შესთავაზა ანონიმი ინგლისელი ავტორის რაინდული რომანის სერ გევეინი და მწვანე რაინდი ქართული თარგმანი (თარგმნეს პაატა და როსტომ ჩხეიძეებმა). სტატიაში მიმოხილულია რომანის წყაროები, მისი სიუჟეტი და კომპოზიცია, მისი ნარატიული ორგანიზაცია და პერსონაჟთა მხატვრული სახეები; ჟანრული თავისებურებანი და ა.შ.

ლადო მინაშვილი

1. იაკობ გოგებაშვილს ქართულ სინამდვილეში სამართლიანად თვლიან საბავშვო მწერლობის ფუძემდებლად. იაკობ გოგებაშვილის მოთხრობათაგან გამოირჩევა სრულიად განსაკუთრებული ზემოქმედებითი ძალის მოთხრობა "იავნანამ რა ჰქმნა?" მოთხრობა თავისი ხასიათით ახლოსაა იაკობ გოგებაშვილის ისტორიულ მოთხრობებთან, რამდენადაც, როგორც ავტორი მიუთითებს, გარკვეულ ისტორიულ დროს ეხება, მაგრამ ვერც სავსებით ისტორიულად ჩაითვლება, რამდენადაც მასში არც გარკვეული ისტორიული ფაქტია ასახული და არც ისტორიული პირები მოქმედებენ.

ისინი, ვინც ამ შედევრს განიხილავენ, – იქნება ეს ფსიქოლოგი, პედაგოგიკის სპეციალისტი თუ ლიტერატურისმცოდნე, საგანგებოდ ჩერდებიან, ყურადღებას ამახვილებენ თხზულებაში ასახული გრძნობების "ფსიქოლოგიურ სისწორეზე". ეს ბუნებრივია და სავსებით მოსალოდნელი ისეთი დიდი პედაგოგისა და მწერლისაგან, როგორც იაკობ გოგებაშვილია, რომელმაც შესანიშნავად იცის ადამიანის საზოგადოდ, და კერძოდ, ბავშვის სამყარო, სულის ყოველი მოძრაობა, რომლის შემოქმედების მთავარი ნიშანია სიმართლე და გულწრფელობა.

ლიტერატურის ისტორიკოსისათვის, პირველ ყოვლისა, მნიშვნელოვანია, თუ როგორ ახერხებს მწერალი ამის გადმოცემას, რომ ასე იტაცებს და აღელვებს მკითხველს, ამ აზრით, პირველ ყოვლისა, ის უნდა ითქვას, რომ მწერალი ამას აკეთებს ძირითადად პერსონაჟების განცდების, სულიერი მოძრაობის გარეგამოხატული ნიშნების მიხედვით. მწერალი კი არ მოგვითხრობს, თუ რას განიცდის მისი გმირები, არამედ გვიჩვენებს მათ განცდებს გარეგამოტანილი ქცევებით, მოქმედებებით, პერსონაჟების სახეზე აღბეჭდილი გრძნობების აღწერით, ხშირად მწერალი გრძნობათა დასახასიათებლად მიმართავს გაშლილ შედარებებს, რომლის დროსაც შესადარებლად აღებულია ისეთი მოვლენები და საგნები, რომლებიც მოზარდისთვის მახლობელია და გასაგები. თან ყველაფერი ეს ხდება გაჭიანურების, ვრცელი აღწერა-დახასიათების გარეშე დინამიურად, რაც კარგად პასუხობს ჯერ კიდევ გაუწაფავი მკითხველის ინტერესებს.

2. ქართული მწერლობის მეისტორიე ყოველთვის საგანგებოდ მოიხსენიებს ერთ ფაქტს: ჟურნალ ,,ცისკრის" 1859 წლის მარტის ნომერი იხსნებოდა აკაკი წერეთლის ლექსით ,,პ.წ." (პელაგია წერეთლისას), მას მოჰყვებოდა ილია ჭავჭავაძის ლექსი ,,მეც შავ თვალებს". ილია ჭავჭავაძე ამ დროს იყო 21, ხოლო აკაკი – 18 წლისა. ასე შეხვდა ერთმანეთს ჟურნალ ,,ცისკრის" ფურცლებზე ეს ორი სახელი ქართველი მკითხველის ცნობიერებაში, რათა სულ მალე სამუდამოდ დაეკავშირებინა ერთმანეთისათვის, სამუდამოდ დაეწყვილებინა – ილია და აკაკი, აკაკი და ილია.

აკაკის პოეზიაში ვხვდებით ი. ჭავჭავაძის თემებს, მოტივებს, ილიას ზეგავლენის კვალს როგორც პოეტისას. აკაკი ერთგვარად იმეორებს, ავითარებს, ეპაექრება ილიას პოეტს, აკაკის პოეზია არაა თავისუფალი თავისი დიდი თანამედროვის, თანამებრძოლის ზემოქმედებიდან. აკაკი არც ერიდება ამ ზემოქმედებას, რადგან ის დიდი პოეტია და თავის ინდივიდუალობას ინარჩუნებს ყველა შემთხვევაში, თავის პოეტურ მანერას, სტილს უქვემდებარებს ყოველივეს ირგვლივ, მათ შორის სხვათა მოტივებს, თემებს, თქმებს.

თავის მხრივ, არც ილია ჭავჭავაძე რჩებოდა დიდი აკაკის ღვთიური ნიჭის მიმართ გულგრილი და ეს მას არაერთგზის გამოუხატავს. უშუალო შემოქმედებითი ზეგავლენა აკაკისა ილიამ მაინც არა როგორც პოეტმა, არამედ, პირველ ყოვლისა, როგორც დიდმა მოაზროვნემ, ლიტერატურათმცოდნემ, ესთეტიკოსმა განიცადა. აკაკი წერეთლის ლექციებსაც ,,ვეფხისტყაოსანზე" უნდა ვუმადლოდეთ, როგორც ამას პასუხში ილიასადმი მოხდენილად, აკაკურად თვით აკაკიც აღნიშნავდა, ილიას ნაფიქრ-ნააზრევს საზოგადოდ ლიტერატურული ქმნილების და კერძოდ ,,ვეფხისტყაოსნის" ზოგადსაკაცობრიო შინაარსზე, ,,ვეფხისტყაოსნის" იდეალური გმირების იმ თვისებებზე, რომელთა რეალობასაც ჩვენ ვცნობთ და კიდევ ბევრ სხვა საკითხზე.

ეკა ვარდოშვილი

ილია ჭავჭავაძე და სახელმწიფოებრივი აზროვნების საკითხები - XIX ს. ქართველი საზოგადოების წინაშე მწვავედ დადგა ნაციონალური საკითხი. აღსანიშნავია, რომ ილიას შემოქმედებაში წარმმართველია ეროვნული დამოუკიდებელი იდეა. ერის წინამძღოლის სახე ჩანს მის საპროგრამო ნაწარმოებში „მგზავრის წერილები“. 1883 წ. „შინაურ მიმოხილვაში“ ილია საზღვრავს, თუ რა განაპირობებს საზოგადოების პროგრესს. წერილში „ოსმალოს საქართველო“ საუბრობს ქართველთა ტოლერანტული ბუნების, აღმსარებლობის თავისუფლების შესახებ. წერილში „ცხოვრება და კანონი“ აღნიშნავია, რომ ადამიანთა უფლებებისა და მოვალეობების სწორად განსაზღვრა არის ქვეყნის წარმატების საწინდარი.
ი. ჭავჭავაძის სახელმწიფოებრივი აზროვნება ეფუძნება დასავლურ ფასეულობებს, იგი მნიშვნელოვანი და აქტუალურია დღესაც.

ლევან ბებურიშვილი

1. ლიტერატურისა და ხელოვნების თეორიულ პრობლემებზე ზვიად გამსახურდიას საგანგებო ტრაქტატები არ შეუქმნია, თუმცა მის მრავალფეროვან სამეცნიერო და ესეისტურ მემკვიდრეობაზე დაყრდნობით სავსებით შესაძლებელია ავტორის ზოგად, თეორიულ-ლიტერატურულ შეხედულებებზე საუბარი.

ნაშრომში შესწავლილია ზვიად გამსახურდიას თვალსაზრისი რამდენიმე არსებითი საკითხის _ მხატვრული ლიტერატურის არსისა და დანიშნულების, ლიტერატურათმცოდნეობის მეთოდოლოგიისა და თარგმანის თეორიული პრობლემების _ ირგვლივ.

ზვიად გამსახურდიას აზრით, სიტყვაკაზმულ მწერლობას? ზ. გამსახურდიას ესთეტიკურ კონცეფციაში სინთეზირებულია კლასიკური ესთეტიკიდან, შუა საუკუნეების ქრისტიანული ღვთისმეტყველებიდან და მისი თანამედროვე დასავლური ლიტერატურათმცოდნეობიდან მომდინარე პრინციპები. პოეზია, მხატვრული შემოქმედება ზვიად გამსახურდიასთვის, უპირველეს ყოვლისა, ლოგოსის მსახურებას წარმოადგენს. მისი შეხედულებით, ლიტერატურა, ერთი მხრივ, საზოგადოებრივი ცნობიერების ანარეკლად გვევლინება, ხოლო, მეორე მხრივ, კი _ შემოქმედის სულიერი გამოცდილების გაცხადებად სიტყვაში.

საყურადღებოა ზვიად გამსახურდიას შეხედულება პოეტური ენის გენეზისის საკითხზე. იგი იზიარებს ნეორომანტიკულ-სიმბოლისტურ თვალსაზრისს ენაში მუსიკალური საწყისის პირველადობის შესახებ. ზ. გამსახურდიას თქმით, „ენა მუსიკალური სტიქიონის ცნობიერი გამოცხადებაა და არა მარტოოდენ „ნიშანთა სისტემა“... კაცობრიობის პირველადი ენა მუსიკალური და ალოგიური იყო“.

საინტერესოა ზვიად გამსახურდიას შეხედულებები მთარგმნელის ენობრივი ორიენტაციის საკითხზეც. ზვიად გამსახურდიას მიერ თარგმნილი „ილიადის“ პირველი ქების თარგმანს თავის დროზე კრიტიკული წერილით გამოეხმაურა ცნობილი ენათმეცნიერი ალექსი ჭინჭარაული, რომელმაც მთარგმნელი არქაული სიტყვების ჭარბად გამოყენებაში დაადანაშაულა. ზვიად გამსახურდიამ არგუმენტირებული პასუხი გასცა ცნობილ მეცნიერს. გამსახურდიას საპასუხო წერილში ნათლად გამოვლინდა მისი მთარგმნელობითი კრედო და ენობრივი ორიენტაცია.

ზვიად გამსახურდიას გამოკვლევების, წერილებისა და ესეების კითხვისას ვრწმუნდებით, რომ მათ ავტორს თანამედროვე დასავლური ლიტერატურათმცოდნეობის დონეზე შეეძლო მსჯელობა ესთეტიკისა და კრიტიკის აქტუალურ პრობლემებზე.

2. იაკობ გოგებაშვილს, გარდა მხატვრული და პედაგოგიკური ხასიათის თხზულებებისა, ეკუთვნის ძალზე საინტერესო და, რიგ შემთხვევაში, სახელმძღვანელო მნიშვნელობის მქონე კრიტიკული დაკვირვებები 19-ე საუკუნის ქართულ კლასიკურ მწერლობაზე.

იაკობის, როგორც კრიტიკოსის, ინტერესის სფეროში მოქცეულია ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ვაჟა-ფშაველას, ალექსანდრე ყაზბეგის, რაფიელ ერისთავის, ეკატერინე გაბაშვილის მხატვრული შემოქმედება. თავის კრიტიკულ პუბლიკაციებში იაკობი გვევლინება როგორც პირუთვნელი შემფასებელი და ანალიტიკოსი, რომელსაც ძალუძს ნათლად გამოკვეთოს ამა თუ იმ მწერლის შემოქმედების ძირითადი თავისებურებები, მხატვრული ღირსებები და, ამასთანავე, საჭიროების შემთხვევაში, ძალზე დელიკატურად მიუთითოს ნაკლოვანებებზეც.

იაკობის, როგორც დიდი პედაგოგისათვის, ნაწარმოების შეფასებისას წარმმართველი თხზულების პედაგოგიკური, დიდაქტიკური ღირებულებაა. უმთავრესად ამ თვალსაზრისით აფასებს გოგებაშვილი ნაწარმოების ავ-კარგს. იაკობი განსაკუთრებით მაღლა აყენებს ახალი ქართული ლიტერატურის კლასიკოსთა იმ ნაწარმოებებს, რომელთაც, მისი აზრით, შეუძლიათ მკითხველზე დიდი ზნეობრივ-ემოციური ზემოქმედების მოხდენა, მისი ესთეტიკური და ეთიკური აღზრდა.

სწორედ პედაგოგიკური ღირებულების ჭრილში განიხილავს იაკობ გოგებაშვილი ილია ჭავჭავაძის შემოქმედებას. მიუხედავად იმისა, რომ იაკობის მსჯელობა ილიას ლიტერატურულ მემკვიდრეობაზე მომეტებულად მაინც ზოგადი ხასიათისაა, მასში სრულყოფილად, მთელი სისავსითაა შეფასებული ილია ჭავჭავაძის ლიტერატურულ-საზოგადოებრივი მოღვაწეობის არსი და მნიშვნელობა ქართველი ხალხისათვის.

გამოჩეულია იაკობ გოგებაშვილის დამოკიდებულება აკაკი წერეთლის ლიტერატურული მემკვიდრეობის მიმართ. იაკობის შეფასებით, აკაკი არის ქართული პოეტური სიტყვის დიდოსტატი, „იალბუზი ქართული პოეზიისა“. იაკობი, როგორც მეტად მახვილი თვალის მქონე კრიტიკოსი, მიუთითებს აკაკი წერეთლის შემოქმედების ერთ უძირითადეს თავისებურებაზე, რომელიც შემდგომში ლიტერატურათმცოდნეთა საგანგებო კვლევის ობიექტად იქცევა. იაკობი აღნიშნავს, რომ აკაკი წერეთლის პოეზიის მხატვრული სიცხადის, ფორმობრივი სისადავის მიღმა საკმაოდ რთული მხატვრული სტრუქტურა, ღრმა შინაარსი იმალება.

არანაკლებ საინტერესოა იაკობ გოგებაშვილის დაკვირვებები ალექსანდრე ყაზბეგის, ეკატერინე გაბაშვილისა და ვაჟა-ფშაველას მხატვრული შემოქმედების შესახებ.

თამარ პაიჭაძე

(ექსპრესიონიზმი) ავანგარდიზმის ქართულ ანალოგიებში ყოველთვის ცნაურდებოდა თავისთავადობის და განზოგადების ნიშნები, იმ რეალობის გათვალისწინებით, რომ სამეცნიერო ანალიტიკაში სწორედ ის გამოხატულებანი მიიჩნევა სიახლედ და წარმატებულად, რომლებშიც ინდივი- დუალიზმის, შემოქმედებითი კულტურის, არსებული ისტორია გარკვეულწილად აზღვევს მას კომპილაციისაგან და მის თავისებურებასაც განსაზღვრავს. აქედან გამომდინარე, ქართული მოდერნისტული მსოფლმხედველობის ასოციაციები თუ პარალელური სახეები `რადიკა- ლურად მარცხნივ~ ევროპული მიმართულებით უნდა ვეძიოთ, ეს კავშირები იყო არასის- ტემური, სქემატური და ზოგჯერ პირად ურთიერთობებზე აღმოცენებული. ის ლიტერა- ტურულ ურთიერთობათა ისტორია უფროა, ვიდრე შეხედულებათა იდენტობის ან თეორიულ პოზიციათა გაზიარების პროცესი.Aამ მხატვრულ დისკურსთა კონტენტ ანალიზს ლოგიკურად მივყავართ ავანგარდისტული ტენდენციების ქართულ შემოქმედებით კონტექსტში ინსტა- ლირების და სისტემატიზაციის საკითხთან. ქართული მოდერნიზმის თეორიულმა ანალიტიკამ ცალსახად წარმოაჩინა, რომ ის შეიძლება აღვიქვათ, როგორც მხატვრულ შემოქმედებითი მეთოდი, ანუ მეთოდის ლიტერა- ტურა, რომელსაც, ევროპულ შემთხვევათაგან განსხვავებით, პოლიტიზებული ხასიათი არასოდეს მიუღია, არც საზოგადოებრივ-ყოფითი ფასეულობების შეცვლის პრეტენზია ჰქონია. მეტიც შეიძლება ითქვას: მას, ისევე, როგორც სხვა ლიტერატურულ მოძრაობებს, ქართული სიტყვაკაზმული მწერლობის ტრადიციის, მენტალობის, მხატვრული აზროვნების მრავალ- წლიანი ნიადაგი დახვდა და ამ ნიადაგზე ყოველგვარმა მაქსიმალისტურმა ტენდენციამ, 122 რადიკალიზმმა, კატეგორიულობამ, ორთოდოქრალიზმმა ერთგვარი სახეცვლილება განიცადა და ნაციონალურ-ლიბერალურ ელფერი მიიღო, არა მხოლოდ როგორც მსოფლმხედველობამ, არამედ როგორც მხატვრულმა მეთოდმა. ამ პოზიციათა გათვალისწინებით უნდა გავაანალიზოთ ექსპრესიონისტული ლიტერა- ტურის დამკვიდრების საკითხი ქართულ შემოქმედებით სივრცეში, რომელმაც თავი იჩინა ოციან წლებში, არსებული ავანგარდისტული მიმართულებების პარალელურად; თუმცა ჩვენს ლიტერატურათმცოდნეობაში ის ოდენ მხატვრულ ტენდენციად და `ერთი მწერლის მოვ- ლენად~ აღიქმება. ეს მოსაზრება კი გადახედვას საჭიროებს. რადგან ექსპრესიონიზმს ქართულ ლიტერატურაში აშკარად გააჩნდა მხატვრულ-მეთოდოლოგიური ფორმატი, ინტერკულ- ტურული ტენდენცია და ამასთან ერთად გამოკვეთილი ინდივიდუალურ-ნაციონალური ნიშნებიც, რაც არა

მხოლოდ კონსტანტინე გამსახურდიასა და გრიგოლ რობაქიძის, არამედ, ასევე, გერონტი ქიქოძის, პოლიკარპე კაკაბაძის, სანდრო შანშიაშვილის, კოტე მარჯანიშვილისა და სხვა მწერალთა შემოქმედებით მემკვიდრეობაში სახიერდება.

რუსუდან ნიშნიანიძე

1. **,,პარიზში გამოცემული ქართული პოეტური კრებული“**

გიორგი გამყრელიძე ქართული ემიგრაციის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი წარმომადგენელი გახლდათ. მისი ლიტერატურული არეალი საკმაოდ ვრცელი და მრავალფეროვანია: თარგმანები ამერიკული და ფრანგული პოეზიიდან, გერმანული მწერლობის ნიმუშები; უპირველესი მაინც საკუთარი, ორიგინალური ლექსების თხზვაა.

1920 წელს საქართველოში გამოიცა მისი ლექსების წიგნი ,,შემოდგომის ჭიანურები“, 1922 წელს ,,დალურსმული ხელები“, რომელიც გრიგოლ ზოდელის ფსევდონიმით გამოიცა. 1932 წელს პარიზში ქართულ ენაზე გამოდის ასევე, პოეტური კრებული ,,ლურჯი მონოკლი“. 1960 წელს უკვე არა მხოლოდ სხვა სახელმწიფოში, არამედ სხვა კონტინენტზე, სანტიაგო დე ჩილეში დაისტამბება ,,გვიანი რთველი,“ ხოლო 1963 წელს ვაშინგტონში ქართულ ენაზე გამოიცა წიგნი, სათაურით: ,,ლექსები, მოთხრობები და ნარკვევები ფრინველებზე“.

ლიტერატურულ სტატიაში საუბარია გიორგი გამყრელიძის პარიზულ კრებულზე და იქ დაბეჭდილ მხოლოდ რამდენიმე პოეტურ ნიმუშზე (,,ოქროს ვერძი“, ,,საშინელი მებადური“, ,,მეზღვაურის დაღუპვა“); წიგნი დაყოფილია ქვეთავებად; პირველივე მათგანს ჰქვია ,,ოქროს ვერძი“. ,,საქართველო“. წარმოდგენილ წერილში გაანალიზებულია პარალელები მითიურ და ცნობილ ლიტერატურულ პერსონაჟებთან და მოძიებულია ის პოეტური რემინისცენციები, რომელიც თითოეულ ნიმუშთან დაკავშირებითაა საგულისხმო.

ვფიქრობ, ეს ქართველი ემიგრანტის ერთ-ერთი მხატვრულად საინტერესო და მნიშვნელოვანი წიგნია, რომელიც უცხოეთში გამოიცა.

2. **,,შინისაკენ... საიმედო და კვიმატი დაბრუნება“**

სტატიაში საუბარია ქართულ ისტორიულ ემიგრაციაზე. კონკრეტულად კი, ურთიერთობის იმ ფორმებსა და საშუალებებზე, რომლებსაც ისინი იყენებდნენ სამშობლოსთან დასაკავშირებლად. ეს მაგალითები წარმოდგენილია იმ ოფიციალური დოკუმენტების და მოგონებების საფუძველზე, რომელთაც მივაკვლიე და ეს სამი ისტორია გახლავთ ალექსანდრე ბაბიშვილის (ცხოვრობდა კალიფორნიაში, აშშ, მუშაობდა ,,ამერიკის ხმის“ რედაქციაში, თანამშრომლობდა ჰოლივუდთან...) ალექსანდრე ფუტკარაძის (სანტა როზა, აშშ, თანამშრომლობდა ჰოლივუდთან...) და პეტრე ხვედელიძის (ვაშინგტონი, აშშ, წლების განმავლობაში მუშაობდა ,,ამერიკის ხმის“ ქართულ რედაქციაში...) . [ბოლოს დასახელებულ ორ პიროვნებასთან მე თავად მქონდა პირადი ურთიერთობა]. საინტერესოა, ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად, სხვადასხვა ტერიტორიაზე, სხვადასხვა დროს როგორ გაჩნდა ერთი და იგივე იმედის მომცემი, ძალიან ჭკვიანური და სახლში ,,დაბრუნების“ კვიმატი აზრი.

ელენე გოგიაშვილი

სტატია წარმოადგენს კავკასიურ-ბალკანური ფოლკლორული პარალელების შედარებით-ტიპოლოგიურ კვლევას ქართული და ბულგარული ხალხური გადმოცემების მაგალითზე. ქართულ და ბულგარულ ფოლკლორში გველეშაპთან დაკავშირებულ სიუჟეტებში გაერთიანებულია ქრისტიანობამდელი და ქრისტიანული სიმბოლოებისთვის დამახასიათებელი ნიშნები.

გველეშაპის მიერ წყლის დაპატრონების მოტივი არსებით ელემენტს შეადგენს იმ ჯადოსნური ზღაპრებისა, რომლებშიც გმირის ქვესკნელში მოგზაურობაა აღწერილი.
ქვესკნელის გველეშაპებს წყალი უჭირავთ და ყოველდღიურად მსხვერპლს ითხოვენ. ეს მოტივი ხშირად გვხვდება ქართულ, კავკასიურ და ბალკანეთის ხალხთა ფოლკლორში.
რამდენადაც ხალხური ჯადოსნური ზღაპარი მყარად ინახავს უძველეს მითოლოგიურ მოტივებსა და ელემენტებს, ასევე მოსალოდნელია მასში ისტორული ეპოქების ყოველგვარი ნიშნების დაფიქსირება. ის, რომ ზღაპრებში გველეშაპი წყალს ეპატრონება, მართლაც ნაკვალევი უნდა იყოს სარწყავ სისტემასთან და ამინდთან დაკავშირებული რწმენა-წარმოდგენებისა, მათ შორის, მსხვერპლშეწირვის რიტუალისაც. გველეშაპთან ბრძოლის ეპიზოდი რამდენიმე სხვადასხვა მოტივს შეიცავს. გველთმებრძოლობის მოტივი მანამდე არსებული სხვა მოტივებიდან განვითარდა, კერძოდ, გველეშაპის მიერ გმირის ჩანთქმის მოტივიდან, რაც თავის მხრივ ინიციაციის რიტუალს წარმოადგენდა. საყურადღებოა ის, რომ გმირის გველეშაპის მუცელში ყოფნა არ არის ჯადოსნური ზღაპრისთვის დამახასიათებელი მოტივი, ჯადოსნური ზღაპარი დესაკრალიზირებულია. ქართულ ფოლკლორში ამგვარი რამ მხოლოდ თქმულებებში შეიძლება შეგვხვდეს. ამის საუკეთესო მაგალითია ამირანის თქმულება. ჯადოსნურ ზღაპარში კი გველეშაპის მუცლის მაგივრად არის ქვესკნელი. გმირი ჩადის ქვესკნელში და იქ ებრძვის ურჩხულს. მათ ორთაბრძოლას უფრო ადამიანისა და ნადირის შერკინების სახე აქვს და რეალობასთან არის დაახლოებული.
სტატიაში განხილულია ბულგარულ რწმენა-წარმოდგენებში გავრცელებული დრაკონთა ტიპები: ლამია, ზმეი და ხალა (ალა) და ქართული გველი და გველეშაპი. შედარებულია ზებუნებრივ გოლიათის საერთო ტიპი ქართულ და ბულგარულ ფოლკლორში - დევი.

ნანა გონჯილაშვილი

წმ. მარიამ მაგდალინელის სახის გააზრებისათვის XX-XXI საუკუნეების ქართულ ლიტერატურ

წმ. მარიამ მაგდალინელის პიროვნების მიმართ მართლმადიდებლურმა და კათოლიკურმა ეკლესიებმა დი ხნის მანძილზე სხვადასხვაგვარი დამოკიდებულება გამოამჟღავნა, კერძოდ, მართლმადიდებლობა მას ელთვის მოციქულთა სწორ წმინდა მენელსაცხებლე დედად აღიარებდა და აღიარებს; კათოლიკური ყარო 591 წლიდან მოყოლებული 1969 წლამდე მას მრუშ, მონანიე დედაკაცად მიიჩნევდა.
ევანგელური მონათხრობით, წმ. მარიამ მაგდალინელი უფალმა განკურნა შვიდი ეშმაკისგან (ლ. 8, 2; მრ. 9), რის შემდეგაც იგი ყველგან თან ახლდა მაცხოვარს (მრ. 15, 40; ლ. 8, 3), ქრისტესთან ერთად გაიარა ღგოთის გზა და ჯვარცმაც საკუთარი თვალით იხილა (მ. 27, 56 და სხვ.); ქრისტეს დაფლვასაც ესწრებოდა 27, 61 და სხვ.) და ჯვარცმიდან მესამე დღეს, ქრისტეს ბრწყინვალე აღდგომის დღეს მის აკლდამასთან ხსაცხებლებითა და საკმევლით მივიდა (მ. 28, 1; მრ. 16, 1-8). მან პირველმა იხილა აღმდგარი მაცხოვარი, ველმა ირწმუნა და პირველმა აუწყა ქრისტეს მოწაფეებს მაცხოვრის სასწაულებრივი აღდგომა (ი. 20, 11-

V საუკუნიდან წმ. მარიამ მაგდალინელის ცხოვრებას დაემატა ზოგიერთი ეპიზოდი მონანიე ცოდვილის, მარიამ მეგვიპტელის ცხოვრებიდან, რის გამოც ამ ორი წმინდანის სახე ერთმანეთში იქნა აღრეული და წმ. იამ მაგდალინელის მეძავ ქალად წარმოდგენას გაუმყარა საფუძველი. ამგვარი ინტერპრეტაცია ავლეთში აღორძინების ხანისა და მომდევნო პერიოდის ხელოვნებაში (ლიტერატურა, მხატვრობა) კვიდრდა.
დასავლური ლიტერატურისა და მხატვრობის გავლენით, რაც დასავლეთთან ბოლოდროინდელმა ენსიურმა ურთიერთობებმა განაპირობა, თანამედროვე ქართულ მწერლობაში, ქართულ ცნობიერებაში -XXI სს.), ურთიერთგამომრიცხავი შეხედულებები გამოვლინდა: შემოქმედთა ნაწილმა იგი დიცულად, მოციქულთა სწორად აღიქვა, ხოლო ნაწილმა კათოლიკური ტრადიცია გაიზიარა და მრუშ, ანიე დედაკაცად მიიჩნია. ეს ფაქტი მით უფრო საკვირველია, რადგან საქართველოს მართლმადიდებელი ესია და ქართული ქრისტიანული კულტურა ამ საკითხში ოდითგანვე მიჰყვებოდა და მიჰყვება თლმადიდებლური ეკლესიის წეს-კანონებსა და ტრადიციებს.

ჩვენი აზრით, ამგვარი გააზრება და მცდარი ინტერპრეტაციის გამეორება-დამკვიდრება ღირებულებათა აფასების ნიმუშია, რასაც ხელი პოსტმოდერნიზმის ჩვენში დამკვიდრებამაც შეუწყო. ჩვენს მოხსენებაში ბარი გვაქვს სწორედ იმ საკითხთა შესახებ, თუ როგორი ინტერპრეტაციები შემოგვთავაზეს ქართველმა რლებმა თავიანთ შემოქმედებაში წმ. მარიამ მაგდალინელის სახის შესახებ.

კავკასია ქართულ ჰაგიოგრაფიაში

ქართული ლიტერატურა, როგორც მსოფლიო ლიტერატურის, ქრისტიანული ლიტერატურის ორგან ნაწილი, დასავლურ-აღმოსავლურ ლიტერატურებს შორის თავის კუთვნილ ადგილს იჭერს. აღმოსავლეთის დასავლეთის გზაშესაყარი, განსხვავებული ტიპის კულტურათა ნაყოფიერი თანაარსებობის სამყარო ისტორიული რეალობაა, რომლის გათვალისწინებითაც ვითარდებოდა და უნდა განვითარდეს ქართ ეროვნული ცნობიერება, რომელიც ლიტერატურაში ვლინდება, ხოლო ლიტერატურა სამყაროს, მ მიმდინარე მოვლენებს სახეობრივად აღიქვამს და გადმოსცემს. თექვსმეტსაუკუნოვანი ქართ ლიტერატურა, როგორც აღმოსავლეთისა და დასავლეთის გზაჯვარედინზე შექმნილი სულ ინტელექტუალური საგანძური, გენეტიკურ და ტიპოლოგიურ სიახლოვეს ამჟღავნებს დასავლურ-აღმოსავ და საკუთრივ კავკასიურ ლიტერატურულ-კულტურულ სამყაროსთან. არსებობიდან მოყოლებული, ქართ ლიტერატურა, მსოფლიო ლიტერატურულ პროცესებსა და სააზროვნო სისტემებს ეხმიანებოდა, მეზობელ მორეული ქვეყნების ლიტერატურულ-კულტურულ ცხოვრებაში მონაწილეობდა.

ქართული ლიტერატურა, როგორც ქრისტიანული კულტურის ნაწილი, უძველესი დროიდ ემსახურებოდა და ამჟამადაც ემსახურება ქართული ხასიათის, ქართველი ერის არსისა და ფუნქციის, უზენაესი მიზნის შეცნობას, რამაც განსაზღვრა მისი უდიდესი მისია როგორც თვით ქართველი ცხოვრებაში, ასევე კაცობრიობისთვისაც. საქართველოს გეოპოლიტიკური სივრცე, მასზე გადაჯაჭვ გეოპოეტიკური საზრისის განვითარებით, როგორიცაა დასავლურ და აღმოსავლურ ცივილიზაციათა შესაყა მდებარეობა, ერთი მხრივ, სასარგებლო იყო სხვადასხვა კულტურული ტრადიციების რეცეფციის მხრივ, მ მხრივ, იგივე გეოპოლიტიკური ვითარება ჩვენი ქვეყნის კონსოლიდაციის საწინააღმდეგო უმნიშვნელოვა პოლიტიკური ფაქტორიც იყო და დღესაც ასეა, რადგან სწორედ ამ ტერიტორიაზე ხვდებოდა ერთმან აღმოსავლურ-დასავლურ უდიდეს იმპერიათა სასიცოცხლო პოლიტიკურ-სტრატეგიული და, აგრე ადგილობრივ, კავკასიურ არეალში წამოჭრილი ინტერესები. ქართული მწერლობა ქართველი ერის სულიე ფიზიკურ ისტორიას წარმოსახავს. მასში მხატვრული სიტყვით მისი წარსული, აწმყო და მომავ აცხადებული. ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანია ქართული ლიტერატურის ყოველ ნიმუშზე დაკვირ რათა უკეთ განისაზღვროს ქართული ლიტერატურის როლი და ადგილი ქართველი კაცის ცხოვრებაში მთ ისტორიის მანძილზე, ვინაიდან, ლიტურგიულ ცნობიერებასთან ერთად, სწორედ ქართული ლიტერატურა მისი სულიერი და ზნეობრივი აღმზრდელი, ეხმარებოდა ერს თავისი არსისა და ფუნქციის შეცნობაში, უზენ მიზნის შემეცნებაში, სულიერი ჰარმონიის ძიებაში.

ერთ-ერთი იმ პრობლემათაგანი, რომელიც ქართული ლიტერატურის კვლევისას იქცევს ყურადღებას, ლიტერატურაში გეოგრაფიული სივრცის ასახვა და მისი მისიის, ფუნქციის განსაზღვრა. ამ თვალსაზრ საგანგებო ყურადღებასა და კვლევას მოითხოვს ქართული ჰაგიოგრაფიის გეოგრაფიული სივრცე, ი უცესის „შუშანიკის წამებიდან“ მოყოლებული, რომელიც ჩვენი ქვეყნის გეოპოლიტიკურ როლს წარმო კავკასიის რეგიონულ სივრცეში. ამას ორგვარი ღირებულება აკისრია: 1. ერთი მხრივ, ქართული ჰაგიოგრა საუკეთესო ნიმუშები აჩვენებენ, როგორ აღიქვამდა ქართველი მწერალი, ქართველი ადამიანი საზოგად მსოფლიო და, კონკრეტულად, კავკასიურ სივრცესა და მის პრობლემატიკას; 2. მეორე მხრივ, რა ადგილი ე კავკასიურ არეალში ქართულ სააზროვნო სისტემებსა და როგორ აღიქვამდნენ მას ჩვენი მეზობელი კავკას ქვეყნები. ქართული ჰაგიოგრაფიის პერსონაჟები გადასერავენ აღმოსავლეთისა და დასავლეთის, სამხრეთის ჩრდილოეთის, საკუთრივ კავკასიურ სივრცეს, რაც განსაზღვრავს ქართველ წმინდანთა ადგილს საერთაშორ და რეგიონული, კავკასიური მასშტაბით.

ამ კუთხით ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში კვლევა არ წარმართულა და ჰაგიოგრაფიულ თხზულე
ეოგრაფიული სივრცე კავკასიოლოგიური გეოპოლიტიკური თვალსაზრისით არ შესწავლილა. ამიტომ ჩ
ხსენების საგანია იაკობ ხუცესის, იოვანე საბანის ძის, სტეფანე მტბევრის, გიორგი მერჩულისა და ან
ვტორთა თხზულებების განხილვა საერთოკავკასიური ინტერესების კვალობაზე. განსაკუთრე
ღირებულებას იძენს „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ტექსტის კვლევა, რადგან ის ადგილები, სადაც ქართვე
მინდანებმა ფეხი დადგეს, ქრისტიანული ღმერთის რწმენას სიცოცხლე შესწირეს, მონასტრები აშ
ხოლოდ გეოგრაფიული პუნქტი კი არაა, არამედ ის კულტურულ-საგანმანათლებლო და სულიერ
ენტრია, რომელმაც ქართველი ერის სულიერი და ინტელექტუალური პოტენციალი წარმოაჩინა, მომავ
ამოაყალიბა, უდიდესი კულტურული მონაპოვრები შესძინა როგორც ქართულ, ისე მსოფლიო კულტურას
ორის კავკასიური არეალის კულტურულ სამყაროს, რადგან საქართველოს და მის კულტურას კავკას
ივრცეში ყოველთვის დომინანტური ადგილი ეკავა.

ბარათაშვილის „მერანის“ „გზა უვალის“ გააზრებისათვის

სამეცნიერო ლიტერატურაში (ა. ფურცელაძე, ა. გაწერელია, პ. ინგოროყვა, გ. ასათიანი, ა. ქუთელია, გ. გაჩეჩილაძე, რ. სირაძე, ბ. კილანავა, ა. გომართელი, თ. შარაბიძე და სხვ.) არაერთგზისაა ყურადღება გამახვილებული „მერანის“ დასასრულს ლირიკული გმირის მიერ „თელილი“ „უვალი გზის“ საზრისზე, რომელიც მომმეთ „სიძნელეს გზისა გაუადვილებს“. აზრთა სხვადასხვაგვაროვნების მიუხედავად, მეცნიერთა უმრავლესობა ერთხმად აღიარებს, რომ ნ. ბარათაშვილმა „მერანში“ რაღაც ახალი თქვა. სავსებით გასაზიარებელია აზრი, რომ „ბედის სამძღვრების“ გადალახვა რწმენითაა შესაძლებელი, თუმცა ეს „ახლის თქმასა“ და „უვალი გზის“ გაკვალვას, ვფიქრობთ, არ ნიშნავს.

ნ. ბარათაშვილის „თავგანწირვის“ გზა სულიერ გაჭრას უნდა გულისხმობდეს. ლირიკული გმირის მიერ შინაგანი სამყაროს სიღრმისეულად მოხილვა-„გათელვა“, რომელიც დიდ ტკივილს უკავშირდება და მისი დაძლევა მხედრისაგან უდიდეს ძალისხმევას ითხოვს („მწარეა ტანჯვა და ბრძოლა მისი“ – ბარათაშვილი 1945: 77), ლექსის დასასრულს „უვალი გზის“ საზრისად აღიქმება. ამდენად, ეს მხოლოდ მისი პირად-ინდივიდუალური, ახალი გზაა, რომელიც მომმეთ შეეწევა და შემდგომ თაობებს ნიმუშად (პარადიგმად) „დარჩება“. მისი პოეზია და ცხოვრება თვითშემეცნების გზაა,

„უვალი გზა“ (რომლის საზრისი მეცნიერთა მიერ, უმეტესწილად, არაა გამოკვეთილი) წმინდანობის გზა არაა, მაგრამ მისი „მობაძავია“. ნ. ბარათაშვილი „ბედის სამძღვრების“ გადამლახავი „უვალი გზის“ გაკვალვაში სულიერი უდაბურების, სულით ობლობის ძლევის გზას უნდა გულისხმობდეს. ნ. ბარათაშვილისათვის ეგზომ მტკივნეული მარტოსულობის გზა ერთიანად მსჭვალავს მის პოეზიასა და პირად წერილებს და ყველა სატკივარზე მეტადაა თავჩენილი. იგი სულით ობლობის დაძლევის გზას ეძებს ამქვეყნიურ ცხოვრებაში, მეგობართა და ნათესავთ შორის, წვეულებებსა და სალონებში, მაგრამ – ამაოდ. კარიერული წინსვლა თუ სხვა რამ ქვეყნიური ასპარეზი, რომელიც, პოეტის თქმით, „თავისუფლად ამოსუნთქვის“ და თავისი „ასპარეზის“ „ხელმწიფურად გარდახედვის“ საშუალებას მისცემდა, ვფიქრობთ, მხოლოდ დროებით დააძლევინებდა „ძნელს“, სულით მარტოობას, რადგან „მას ელტვიან სიამენი სოფლისა“. ნ. ბარათაშვილის სიტყვებიდან გამომდინარე, ამ ქვეყნად სულით ობლობის დაძლევა „ზეგარდმო მადლით ცხებული“ სიყვარულითაა შესაძლებელი (რომელიც მხოლოდ მშვენიერ სულთა „კავშირში“ იშვება), რაც თავად მას არ ეღირსა. მოკვდავისათვის მარტოსულობის გადალახვის გზის სწავლებას ნ. ბარათაშვილი ვერსად პოულობს, ვერც ცხოვრებასა და, ვფიქრობთ, ვერც მრავალსაუკუნოვან ქართულ მწერლობაში. მართალია, აგიოგრაფიაში (რიგ შემთხვევებში) მარტოსულობის განცდა და მარტოსულობაზე ჩივილი თავჩენილია, თუმც მოწამეობის გზაზე შემდგარი ადამიანისათვის ეს არაა მთავარი საზრუნავი. იგი ღვთისაკენ სწრაფვის,

სიხარულით ნასაზრდოებ ტანჯვა-გვემის გზაზე მოწამის ადამიანური ბუნების გამოვლინებად აღიქმება. „ცხოვრებათა“ ჟანრის გმირების შემთხვევაში, ტრანსცენდენციის თანდასწრებით ცხოვრება, ღმერთთან მუდმივი თანაყოფნის სურვილი, მზაობა და ამ გზისათვის აღსრულებული ღვწა მარტოსულობის შეგრძნებისათვის ადგილს არ ტოვებს. მომდევნო ხანის საერო თხზულებების („ამირანდარეჯანიანსა“ და სახოტბო პოეზიაში, ჟანრობრივი თავისებურებათა გათვალისწინებით) გმირთა სახეებშიც არ ჩანს მარტოსულობის კვალი. „ვეფხისტყაოსნის“ პერსონაჟებთანაც იგი მთავარ საზრუნავს არ წარმოადგენს და მხოლოდ წუთისოფლის სიმუხთლის ერთ-ერთ საყვედურად ისმის.

ნ. ბარათაშვილისთვის ყველაზე ახლობელი ქართულ მწერლობაში თვითშემეცნების გზას დამდგარი დავით გურამიშვილი იხილვება. ვფიქრობთ, ამ უკანასკნელთან მარტოსულობის განცდა მის „უძეობა“-„უშვილობაზე“ ჩივილში ვლინდება, რომელიც „დავითიანის“ „შვილებით“, მასზე ზრუნვით, მისი „გაზრდითა“ და ყმაწვილთათვის სწავლების სულისკვეთებით იძლევა. თითქოს გზაც ნაჩვენებია, მაგრამ ეს ყოვლისმომცველი გზაა და არა მხოლოდ მარტოსულთა და მიუსაფართათვის განკუთვნილი. თუმცა, საბოლოოდ ნ. ბარათაშვილის გზა მას უერთდება, რამეთუ თავგანწირული მხედრის მარტოსულობასთან გამართული სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა ჭეშმარიტ რწმენას, მის ცხოველმყოფელ ძალას ხელეწიფება, ნ. ბარათაშვილის კითხვას – „სად განისვენოს სულმა, სად მიიდრიკოს თავი?“ – „მერანი“ სცემს პასუხს. პოეტის „ღრმა მე“ დიდი ფიქრის, შინაგანი ბრძოლისა და განსჯის შემდეგ მარტოსულობის დაძლევის ერთადერთ ჭეშმარიტ გზას ირჩევს – პიროვნული თავისუფლების მოპოვების გზას. მარტოობის ძლევისათვის რწმენით ცხოველყოფილი სულის „მშვენიერი ლტოლვა“ „უმაღლესი სიამეა“. მისგან „თელილი“ „გზა უვალი“ მხოლოდ რწმენით გაიკვალება. ვფიქრობთ, `სულით ობლობის~ ძლევის სწორედ ეს პირად-ინდივიდუალური გზის ჩვენებაა მოძმეთათვის ნიმუში. ესაა დემონსტრირება იმისა, რომ ბედისაგან დასაზღვრულ წუთისოფელში შესაძლებელია, ადამიანმა (მის მსგავსად) სძლიოს საკუთარ სულის უდაბურებას. და ამ მიზნის აღსრულებაში თუ მოძმეთ `მისგან თელილი გზა~ წარუძღვება და შეეწევა, მისი თავგანწირვა `ამაოდ არ ჩაივლის~. და ეს გზა `უვალია~, რამეთუ იგი ქართულ მწერლობაში, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ვგონებ, პირველადაა თავჩენილი ნ. ბარათაშვილის პოეზიაში. ამ გზის სხვათათვის ჩვენებაა ნ. ბარათაშვილისათვის უმთავრესი საფიქრალი და საოცნებო, რისთვისაც ღირს მამულიდან მოშორება, უცხო მხარეში გადახვეწა და სიკვდილი

`მერანი~ რწმენაა იმისა, რომ ლირიკული გმირის სიკვდილი ღირებულია არა მარტო მისი პიროვნული ხსნისათვის, არამედ მარტოობით შეჭირვებისაგან დაღწევისათვის და პიროვნული თავისუფლების ძიების გზაზე შემდგარი მოძმეებისათვის, რამეთუ იგი უმაღლესი იდეალების წვდომა-მიახლების გზაა.

ხელოვნებისა და მხატვრული ლიტერატურის მიმართებისათვის - მსოფლმხედველობრივი პოზიცია და ინტერკულტურული მესიჯი.

ყოველი დროის ხელოვნება ფასობს იმით, თუ რა ახალი ფორმა და შინაარსი აისახება მასში. ამიტომაც არის, რომ ხელოვანი შინაარსთან ერთად ყოველთვის ფიქრობს გამოხატვის ფორმაზე, შედეგად იქმნება რიგი მიმდინარეობები როგორც ლიტერატურაში, ასევე მხატვრობასა და მუსიკაში. ამის შედეგად რეციპიენტის წინაშეა მხატვრულ ფორმათა არა მხოლოდ სინკრეტიზმი, არამედ ხელოვნების ერთი დარგის მიერ მეორე დარგის ფორმათა ათვისება-გათავისება.

ამ კონტექსტში უნდა განვიხილოთ ხელოვნების ორი დარგის - მხატვრობისა და ლიტერატურის - ურთიერთობის თავისებურებანი. შეხედულებანი და შრომები ამ საკითხებზე შუა საუკუნეების ლიტერატურულ ესთეტიკური აზროვნების წიაღიდან მოდის, მათ შორისაა XVIII საუკუნის გერმანელი განმანათლებლისა და მწერლის გოტჰოლდ ლესინგის ნაშრომი: "ლაოკოონი ანუ პოეზიასა და მხატვრობას შორის არსებული საზღვრების შესახებ" (1766).

„ლაოკოონი“ შემდგომში არაერთი ხელოვანისთვის იქცა მოთოდოლოგიურ და ესთეტიკურ წყაროდ. ეს დამოკიდებულება მე-19 საუკუნის ქართულ სალიტერატურო პროცესშიც ცნობიერდება. განსაკუთრებით იკვეთება ქართული ლიტერატურის კლასიკოსის ვაჟა-ფშაველას ლიტერატურულ მემკვიდრეობაშიც, რომლის შემოქმედებასაც სხვადასხვა ლიტერატურულ მიმდინარეობას უკავშირებენ და მისი მსოფლმხედველობის შესახებაც სალიტერატურო კრიტიკაში აზრთა სხვადასხვაობაა.

ამ შეხედულებათა ალტერნატიულობის ფონზე შეიძლება ითქვას, რომ ვაჟა-ფშაველას შემოქმედება დაფუძნებულია ქრისტიანულ იდეოლოგიაზე, ამასთან ერთად, მწერლის ლიტერატურული დისკურსის მნიშვნელოვანი ბაზაა მითოსი, რომელიც წარმოადგენს მასალას მწერლის მხატვრულ-შემოქმედებითი ნააზრევის წარმოსაჩენად.

მრავალმიმართულებრივი და ალტერნატიულია ვაჟა-ფშაველას მხატვრულ-მსოფლმხედველობრივი არჩევანიც: მწელის შემოქმედების ერთი ნაწილი რჩება რეალისტური ლიტერატურული მიმართულების ფარგლებში, ხოლო მეორე ნაწილი მოდერნისტულ მიმდინარეობას მიეკუთვნება. ამგვარი დიფერენცირება, თანაც გარკვეული დროის შუალედის მიხედვით, აისახება მწერლის თეორიულ ნააზრევშიც.

ამით აიხსნება ის მრავალფეროვანი მხატვრული ფორმები მწერლის შემოქმედებიდან, რომლებიც ნათესაობას ამჟღავნებენ როგორც მხატვრობასთან, ასევე მუსიკასთან. მწერლის მხატვრულ ფორმათა ორიგინალობა იმაშია, რომ, ის როგორც მხატვარი, ირჩევს გამოსახატავად მოქმედების ნიშანდობლივ, ყველაზე მეტად დამახასიათებელ მომენტს, რომელშიც აისახება მთელი სიუჟეტი მოქმედების დაწყებიდან დასრულებამდე; ის სურათობრივად ჩერდება ერთ მომენტზე და მის დასრულებას მკითხველს მიანდობს. ამასთანავე მწერალი იყენებს მუსიკალური ხელოვნებისათვის დამახასიათებელ მხატვრულ მეთოდებს, მიმართავს თავისი დროის კომპოზიტორის გუსტავ მალერის შემოქმედებისათვის დამახასიათებელ გარე ხმის ეფექტს, რაც მხატვრულ ნაწარმოებში ორიგინალობისა და უჩვეულობის განცდას იწვევს.

ამდენად, გუსტავ ლესინგისა და მისი ევროპელი მიმდევრების ესთეტიკური პრინციპები ქართული შემოქმედებითი აზროვნებისათვის ერთგვარ გამოწვევად იქცა და ასახვაც ჰპოვა.

მიწისა და ზეცის საგალობელი
(ა. წერეთლის პოეზიის მიხედვით)

ნაშრომში სამყაროს ჰარმონიულობის იდეის, მიწიერის ზეციერთან მიმართების შესასწავლად განხილულია ა. წერეთლის ლირიკა. აღნიშნულია, რომ პოეტი თავის შემოქმედებაში ამ თემატიკას არაერთგზის მიმართავს, რაც მხოლოდ ბუნების მომხიბვლელობისა და მშვენიერების გადმოცემა-აღწერას არ ისახავს მიზნად. აქ ბიბლიურ-ქრისტიანული, კონკრეტულად, ევანგელური აზროვნების წესია თავჩენილი. ზემოაღნიშნულის გასააზრებლად სამყაროს იერარქიული წყობის პრინციპებია გათვალისწინებული (დიონისე არეოპაგელისა და იოანე პეტრიწის მიხედვით).

ნაშრომში გამოკვეთილია აზრი, რომ აკაკის ხედვა სავსებით მიჰყვება კოსმიური გამომსახველობის პრინციპებს, კერძოდ, სამყაროს წყობას, ამ წყობის მიზეზსა და მიზანს, სამყაროს შემადგენელ ნაწილთა ურთიერთკავშირს, ცისა და ქვეყნის ჰარმონიულ თანაყოფნას, ამ ყოვლისმთლიანობის საფუძველს, რომელსაც მეგობრული სიყვარული უდევს საფუძვლად. ყოველივე ეს აკაკის ლირიკაში ადამიანთან, ღვთის ხატთან, დაკავშირებით იძენს საზრისს. ამავდროულად, თავისი ჰარმონიითა და სისრულით კაცთა მოდგმას ღვთისა და ქვეყნის წინაშე დაკისრებულ პასუხისმგებლობასა და მოვალეობას აგრძნობინებს, უფლის სიდიადეს შეაცნობინებს.

მირზა ფათალი ახუნდზადეს ერთი პიესის თარგმანის ისტორიისათვის

საქართველოსა და აზერბაიჯანის ისტორიული მეგობრობა საუკუნეებს ითვლის. რუსთველისა და ნიზამის ეპოქის დასახელებაც საკმარისია ამ ორი ერის კულტურულ ურთიერთობათა ნათელსაყოფად. განსაკუთრებული სიახლოვე XIX ს-ში ვლინდება, როდესაც ცარიზმის ბატონობის ეპოქაში ამიერკავკასიის ადმინისტრაციული ცენტრი თბილისში იყო, სადაც თავს იყრიდნენ სხვადასხვა ეროვნების ინტილიგენციის საუკეთესო წარმომადგენლები. მათ რიცხვს განეკუთვნება მირზა ფათალი ახუნდზადე (ახუნდოვი, 1812-1878). იგი გახლდათ კრიტიკული რეალიზმის ფუძემდებელი, დემოკრატი, განმანათლებელი და საზოგადო მოღვაწე; აზერბაიჯანულ ენაზე პირველი დრამატული ნაწარმოების შემქმნელი და აზერბაიჯანული თეატრის მესაძირკვლე, „თათარი მოლიერი“, არაბული ალფაბეტის რეფორმატორი, უუფლებობასა და მონურ პირობებში მყოფი მაჰმადიანი ქალების თავისუფლებისაკენ სწრაფვის პირველი ამსახველი აზერბაიჯანულ ლიტერატურაში.

მირზა ფათალის კომედიები (კრებულად გამოსვლამდე) იბეჭდებოდა თბილისში, ოფიციოზის გაზეთ „კავკაზის“ ფურცლებზე: თარგმანი „მუსიო ჟორდანისა“ (1851 წლის №15, 16, 17), მოლა იბრაჰიმ ხალილი – ალქიმიკოსი“ (1851 წლის №44 და № 45), „დათვი ყაჩაღის დამჭაბნელი“ (1851 წლის №83, 84, 86, 90, 91). ამავე გაზეთში 1853 წელს (№7, 8, 9) რუსულ ენაზე დაიბეჭდა „ლენქორანის ხანის ვეზირის თავგადასავალი“, „ძუნწის თავგადასავალი“ (№28, 29, 30, 31, 32). აქვე გამოქვეყნდა მისი უკანასკნელი პიესა „ადვოკატები“ (1856 წლის №93,94, 95, 96).

ქართველ მწერალთაგან აკაკი წერეთელმა პირველმა მიაქცია ყურადღება აზერბაიჯანულ ლიტერატურას და მან ქართულ ენაზე (რუსულიდან) თარგმნა მირზა ფათალი ახუნდზადეს ცნობილი პიესა – „ლენქორანის ხანის ვეზირის თავგადასავალი“, რომელიც დაიბეჭდა აკაკის ჟურნალში – „კრებული“ (1898 წლის №7, გვ. 13-53), ახლავს მთარგმნელის შენიშვნა, რომელშიც მოწოდებულია ცნობები პიესის ავტორზე (აკაკის „კრებული“ გამოიცა 1897 წელს, მასში ძირითადად აკაკის ნაწერები იბეჭდებოდა).

მირზა ფათალი ახუნდოვის პიესის „*Визирь Ленкоранского Ханства“* აკაკი წერეთლისეული თარგმანი საყურადღებოა მრავალმხრივ. ტექსტის ბევრი ადგილი აკაკის თავისებურად გადმოუტანია. მაგ.: პიესის სათაური „*Визирь Ленкоранского Ханства“* აკაკის უთარგმნია როგორც „ხანის ვეზირი“ (Визирь Хана). პიესის ადგილისა და დროის მარკერი – ლენქორანი – აკაკის ამოუღია როგორც პიესის სახელწოდებიდან, ისე – ძირითადი ტექსტიდან – ორიგინალში პირველი და მესამე მოქმედებების წინ ვკითხულობთ: *„Происходит пятьдесят лет назад, на берегу каспийского моря, в городе Ленкорань... Происходит во дворце Ленкоранского Хана, на берегу моря“*. მართალია, ამ ცვლილებით აკაკიმ თარგმანში შინაარსობრივ-ფაქტობრივი ინფორმაცია დაარღვია, მაგრამ ნაწარმოებში განვითარებული კონკრეტული პრობლემა განაზოგადა და მკითხველს უჩვენა, რომ ვეზირსა და ხანს ყველგან შეიძლება დაეძებნოს პროტოტიპები, ყველა დროსა თუ სივრცეში.

პიესის 21 მოქმედი პირიდან თარგმანში მხოლოდ 13 გვხვდება. აკაკის დაუცავს ანთროპონიმების ფონეტიკური ჟღერადობა. ამასთანავე, შეუნარჩუნებია პიესის ორიგინალისეული მოქმედებებად დაყოფის პრინციპი, თუმცა მოქმედებებში გამოუყვია სცენები და გამოსვლები. მაგ.:პირველ მოქმედებაში ერთი სცენა და ექვსი გამოსვლაა; მეორეში – ერთი სცენა და სამი გამოსვლა; მესამე მოქმედება, ამ მხრივ, გამონაკლისს წარმოადგენს; მეოთხე მოქმედებაში – ერთი სცენა და ორი მოქმედება გვხვდება.

მიუხედავად იმისა, რომ თარგმანში გვხვდება ქართული ენობრივი სინამდვილისთვის დამახასიათებელი ელემენტები და საგრძნობია ქართული ლიტერატურული ტრადიციისა და კულტურის გავლენა, აკაკის შეუნარჩუნებია ორიგინალის მახვილსიტყვაობა და ირონია.

უფლის ჯვარცმის შესახებ დაცული ცნობები „წმ. ნინოს ცხოვრების“ რედაქციებში

„წმინდა ნინოს ცხოვრება“ ქართული ქრისტიანული კულტურის საფუძველთა საფუძველია. თხზულების შესწავლა მეტად მნიშვნელოვანია, რამეთუ ნაწარმოებში ასახულია ქართლის მოქცევასთან დაკავშირებული ამბები. „წმინდა ნინოს ცხოვრება“ შუქს ფენს ქართული კულტურისა და ისტორიის არაერთ საკითხს. სხვა პრობლემატიკასთან ერთად მნიშვნელოვან ყურადღებას იმსახურებს სახარებისეულ ამბებთან დაკავშირებული პასაჟები.

„წმინდა ნინოს ცხოვრების“ შატბერდულ-ჭელიშურ რედაქციაში, კერძოდ, სალომე უჟარმელის ჩანაწერში ვკითხულობთ, რომ წმ. ნინოს ტაძრის მეთვალყურე დვინელი ქალი უყვება ქრისტეს ქვეყნად მოსვლისა და მის მიწიერ საქმეთა შესახებ; რომ იესოს სასწაულთა გამო, შურით აღივსნენ ებრაელნი, ყველგან გაგზავნეს მხედრები, რათა მათი ნათესავები სწრაფად ჩასულიყვნენ იერუსალიმში. მართლაც, ყოველი ქვეყნიდან მივიდნენ მოსეს სჯულის მცოდნენი, რომლებიც წინ აღუდგნენ წმინდა სულს და ჯვარს აცვეს უფალი, მის სამოსზე კი წილი ყარეს.

მსგავსი პასაჟი მეორდება თხზულების სხვა ნაწილშიც, კერძოდ, სიდონიას ჩანაწერში. ირკვევა, რომ ანნა მღვდელმა სიდონიას მამის მამას, ოზის, მისწერა იესოს ნათლობის შესახებ. ხოლო ოთხი წლის შემდგომ ჰეროდემ გასცა ბრძანება ყველა ისრაელი ძის მიმართ, მისულიყვნენ იესოს სიკვდილზე დასასწრებად. სიდონიას თქმით, მისი მამის დედის ძმა, მოხუცებული ელიოზი, წავიდა იერუსალიმში.

აქ საყურადღებოა ის, რომ ებრაელთა მხრიდან იესოს ჯვარცმა წინასწარ მზადდება. მოვლენათა მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ჰეროდეს ბრძანების ქართლში მიღწევას და ელიოზის იერუსალიმში ჩასვლას, მანძილიდან გამომდინარე, სამი თვე მაინც დასჭირდებოდა. ყოველივე ზემოაღნიშნული განსხვავდება სახარებისეული თხრობიდან. ჩვენს ხელთ არსებულ წყაროებში ვერ მოვიძიეთ „წმ. ნინოს ცხოვრების“ მსგავსი ცნობა, არადა ზემომოხმობილი პასაჟები თხზულების ყველა რედაქციაშია წარმოდგენილი. რამდენად უტყუარია ზემოაღნიშნული ფაქტი, ამის თქმა ძნელია. თუმცა, თუ ელიოზის იერუსალიმში წასვლა სრულ სინამდვილედ მიიჩნევა, მაშინ ზემოაღნიშნულიც უნდა ვირწმუნოთ, რამეთუ ელიოზი ჯვარცმაზე დასასწრებად იერუსალიმიდან მიღებული წერილის საფუძველზე მიდის.

ყოველივე ზემოაღნიშნული კიდევ ერთხელ მოწმობს, თუ რაოდენ მნიშვნელოვანი და საყურადღებოა „წმ. ნინოს ცხოვრების“ ტექსტი რელიგიური სფეროს და ისტორიული თხრობის თვალსაზრისით.

ელგუჯა ხინთიბიძე

1. სტატიაში განმარტებულია „ვეფხისტყაოსნის“, როგორც გადამწერთათვის, ასევე კომენტატორთათვის უცნაური (ძნელად გასაგები) ფრაზა: „უბოროტო ვის ასმია, რაც-ა კარგი საეშმაკო“. თანახმად ქართული ბიბლიის ფრაზეოლოგიისა, მიჩნეულია, რომ სიტყვა „საეშმაკო“ ნიშნავს ბერძნული ენის დემონს (ძველი, ანტიკური მნიშვნელობით). ხოლო „კარგი საეშმაკო“ პლატონისეული „ნადიმისა“ მითითებაა

სიყვარულის პერსონიფიცირებულ ღვთაებაზე - ეროსზე. რუსთველისეულ დამოწმებულ თუ განსამარტავ ტაეპში ავთანდილი ტარიელს უსაბუთებს, რომ სიყვარული („კარგი საეშმაკო“) ბოროტების გარეშე არ არსებობს.
2. სტატიაში გამოვლენილია ბიზანტიური აგიოგრაფიის სტანდარტისაგან ორიგინალური ქართული აგიოგრაფიული ტექსტების სპეციფიკა. ქართული ლიტერატურის დასაწყის ეტაპზე „შუშანიკის წამება“, განსხვავებით აგიოგრაფიული ჟანრის დამკვიდრებული სტრუქტურისაგან, ავლენს ბიზანტიური აგიოგრაფიის ადრინდელი ეტაპის (მე-6 საუკუნემდელი) მახასიათებელ ნიშნებს. ქართული მწერლობის შემდგომ ეტაპზე (მე-10 საუკუნიდან) ქართულ ორიგინალურ აგიოგრაფიულ თხზულებებში თანდათანობით საგანგებო ადგილს იჭერს ქვეყნის საისტორიო და ეროვნული ტენდენციები. ათონელთა ცხოვრებებში კი, წმინდანის სულიერი მოღვაწეობის უმნიშვნელოვანეს თვისებებად მიჩნეულია ეროვნული და მწიგნობრული (სამწერლობო) საქმიანობა.
3. პროფ. ხინთიბიძის მიერ ყურადღებაა გამახვილბული იმაზე, რომ ინგლისურ საისტორიო წყაროებში, სპარსეთის შაჰის აბას პირველის კარზე მე-16 საუკუნის ბოლოს ჩასულ ინგლისურ დიპლომატიურ ექსპედიციას, რომელსაც მეთაუროზდა ანტონი შერლი, ეხმარებოდა შაჰის ორი ქრისტიანი, ქართველი ცოლი. ეს ცნობა, რომელიც მომდინარეობს ტომას ჰერბერტისაგან (ინგლისელი ატაშე შაჰ აბასის კარზე), ქართული ისტორიოგრაფიისათვის არ იყო ცნობილი. სტატიის ავტორი ამ ცნობას პრინციპულ მნიშვნელობას ანიჭებს იმიტომ, რომ მისი თვალსაზრისით ინგლისელთა ამ ექსპედიციის და კერძოდ, ანტონი შერლის მიერ უნდა იყოს მიტანილი ინგლისის დრამატურგიულ წრეებამდე „ვეფხისტყაოსნის“ სიუჟეტი. რაშიც სავარაუდოა, შაჰის ახალგაზრდა ქართველი ცოლების წვლილი.
4. სტატიაში აკად. კ. კეკელიძის ბიოგრაფიულ დეტალებთან ერთად გამოკვეთილია მისი სამეცნიერო მოღვაწეობის მნიშვნელობა საზოგადოდ ბიზანტინისტიკის თვალსაზრისით. ამასთან ერთად, პროფ. ხინთიბიძე, თავისი ორიოდე მოგონებით, ყურადღებას ამახვილებს კ. კეკელიძის პედაგოგიურ და აღმზრდელობით პრინციპებზე. ერთი მხრივ, შემწყნარებლური დამოკიდებულება სტუდენტისადმი და მეორე მხრივ, პრინციპული სამეცნიერო კონტროლი მისი მოწაფისადმი.

6. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა უცხოეთში

6.1. მონოგრაფიები/წიგნები

№	ავტორი/ავტორები	მონოგრაფიის/წიგნის სათაური, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	ნესტან სულავა	ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხატ-სახე წმ. ანდრია კრიტელის „დიდ კანონში“, დავით აღმაშენებლის „გალობანსა“ და თამარის იამბიკოებში. ISSN1512-4657	გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი. ისტორიისა და არქეოლოგიის ცენტრი. შრომათა კრებული. # 19, 2020.	გვ. 594-618.
2	ნესტან სულავა, ნანა გონჯილაშვილი	კავკასიური სივრცის ქრისტოლოგიური მნიშვნელობა „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ მიხედვით ISSN 1987-6157	გულანი, # 23. 2020. სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი	გვ. 177-187.

3	ნესტან სულავა	წმ. იოვანე და წმ. ეფთვიმე მთაწმინდელების „ცხორების“ ერთი ეპიზოდის გააზრების შესახებ. ISBN 978-9941-26	გრიგოლ ფერაძე, 120. წმინდა გრიგოლ ფერაძის I საერთაშორისო კონფერენცია: საქართველო და ქრისტიანული ცივილიზაცია. 2020.	გვ. 193-198.
4	ნესტან სულავა	ვარდისა და მზის მეტაფორული ხატ-სახეების ტრანსფორმაცია, როგორც „ვეფხისტყაოსნის“ კომპოზიციის ერთ-ერთი საფუძველი. ISSN15123081	რუსთველოლოგია, 2019 (გამოვიდა 2020 წელს).	გვ. 52-69
5	ნესტან სულავა	პრონოეტული კონცეფცია არეოპაგიტულ მოძღვრებაში ISSN 1512-343X	ანალები, # 16. 2020.	გვ. 225-242
6	ნ. გონჯილაშვილი, ნ. სულავა,	წმ. მარიამ მაგდალინელის სახის გააზრებისათვის XX-XXI საუკუნეების ქართულ ლიტერატურაში	XIII საერთაშორისო სიმპოზიუმის - ლიტერატურათმცოდნეობის თანამედროვე პრობლემები, XIII XX საუკუნის 80-90-იანი წლების პოლიტიკური მოვლენები და ლიტერატურული დისკურსი - მასალები, 2020, ნაწილი II	გვ. 98-122

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

ნესტან სულავა

1. ბიბლიური პერსონალიები საისტორიო თხზულებაში „ცხორებაჲ მეფეთ-მეფისა დავითისი“ და მათი სიმბოლური და მხატვრული ფუნქცია

„ქართლის ცხოვრების“ შემადგენელ თხზულებათაგან უმნიშვნელოვანესი ადგილი უჭირავს დავით აღმაშენებლის ისტორიას, რომელიც, ისტორიულთან ერთად, მაღალმხატვრულ ნაწარმოებად გვევლინება, რასაც გვაფიქრებინებს მწერლის მხატვრულ-ესთეტიკურ ხედვასთან შეზავებული მისი რიტორული სტილი. ამიტომ მისი განხილვა, როგორც ესთეტიკური ფენომენის მქონე საისტორიო თხზულებისა, ძველი ქართული მხატვრული ლიტერატურის მახასიათებელ კანონზომიერებათა შესწავლას ბევრს ჰმატებს. იგი ამაღლებული სტილითა და მასში წარმოსახული მხატვრული სამყაროთი არაფრით ჩამოუვარდება სიტყვაკაზმულ ლიტერატურულ ძეგლებს. კლასიკური ეპოქის ყოველი ისტორიული ნაწარმოები სიმბოლური და ალეგორიული აზროვნების ნიმუშიცაა, რომელშიც გამოყენებულია ჰიპოდიგმურ-პარადიგმული სტრუქტურისათვის დამახასიათებელი პარალელური სახეები ძველი და ახალი აღთქმის წიგნებიდან, ე. წ. სახეთა პარალელიზმის მხატვრული ხერხი, რაც

ყოველი ცალკეული პასაჟისა და მთლიანი ნაწარმოების სრულად აღქმაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს.

„ცხოვრებაჲ მეფეთმეფისა დავითისი“ სიმბოლური და მეტაფორული აზროვნების ნიმუშადაც გვესახება, რადგან მასში გამოყენებულია სახეთა პარალელიზმის პრინციპი, რაც ძველი და ახალი აღთქმის წიგნების ხატ-სახეთა ჰიპოდიგმურ-პარადიგმულ სტრუქტურას ეფუძნება, აგრეთვე, კონტრასტული პარალელიზმის მხატვრული ხერხი, რაც პიროვნების ხასიათს, თვისებებს უკეთ წარმოაჩენს. დავით აღმაშენებელი შედარებულია ერთმანეთისაგან რადიკალურად განსხვავებულ ისტორიულ პიროვნებებთან თუ მხატვრულ თხზულებათა პერსონაჟებთან, ანტიკური ეპოქის ისტორიულ პირებთან, ბერძნულ-რომაულ მითოლოგიურ პერსონაჟებთან, აღმოსავლური ქვეყნების მხატვრული ლიტერატურის მთავარ გმირებთან მათი ცხოვრების რომელიმე ეპიზოდის ან თვისების მსგავსების მიხედვით; კერძოდ, ალექსანდრე მაკედონელთან, პტოლომეოს ეგვიპტელთან, აქილევსთან, ბარამ-გურისთან, ანტონი მეგვიპტელთან, პავლე მოციქულთან, იმპერატორ კონსტანტინესთან _ რწმენით, სიბრძნით, განათლებით, მხედართმთავრობით, ზნეობით, სიქველით; მისი ომები შედარებულია ტროას ომის გმირთა და ალექსანდრე მაკედონელის ომებთან. მეფის შედარებები ბიბლიურ პერსონალიებთან მხატვრული ფუნქციითაა დატვირთული. თხზულება განსაკუთრებით მდიდარი ბიბლიურ პირთა სახელების სიმბოლური ხსენებითა და მათი შედარების საგნად დასახვით არაა, _ სულ ათი-თორმეტი ბიბლიური პერსონაჟია დასახელებული, _ მაგრამ თითოეული მათგანი ჰიპოდიგმურია დავით აღმაშენებლის, როგორც თხზულების პერსონაჟთან, მიმართებით, და მხატვრული ფუნქციითაა დატვირთული, რადგან ისინი ზნეობრივ ორიენტირად ისახებიან და მათ მიღმა მთელი ის ზნეობრივ-ეთიკური სამყარო იკითხება, რაც კაცობრიობამ საუკუნეების განმავლობაში შეიძინა. „ცხორებაჲ მეფეთ-მეფისა დავითისი“ ჰიპოდიგმურ-პარადიგმული სახეების მეშვეობით წარმოაჩენს დავით აღმაშენებელს, როდესაც მას ბიბლიურ დავითს, სოლომონს, ბესელიელს, მოსეს, ელიას, ზაქეს ადარებს. როგორც მოსალოდნელი იყო, თხზულებაში განსაკუთრებული ადგილი ეთმობა დავით და სოლომონ წინასწარმეტყველების ჰიპოდიგმას, უმეტესად კი _ დავით წინასწარმეტყველისას, რომელიც დავით აღმაშენებლის პარადიგმად იკითხება. ბიბლიურ პერსონალიათა სახეები მემატიანემ დავით აღმაშენებლის სრულყოფილი სახის წარმოსაჩენად გამოიყენა, რისთვისაც მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებების, მდიდარი სახისმეტყველებითი ხატები მოიხმო და ისტორიულ თხზულებას ესთეტიკური ღირებულებაც მიანიჭა. ამით თავად ისტორიკოსი-მემატიანე ქართული მხატვრული სიტყვის ოსტატადაც მოგვევლინა.

2. კავკასიური სივრცის ქრისტოლოგიური მნიშვნელობა „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ მიხედვით

სტატიაში განხილულია „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ტექსტში დამოწმებული ყველა ის გეოგრაფიული პუნქტი, გეოგრაფიული სივრცე, რომელსაც საერთოკავკასიური ინტერესების კვალობაზე, მხატვრული და ეკლესიოლოგიური მნიშვნელობა ენიჭება, რადგან ის ადგილები, სადაც წმ. ნინომ ფეხი დადგა და სამონასტრე ადგილები შეარჩია, მხოლოდ გეოგრაფიული პუნქტი არაა, არამედ ის სულიერებისა და კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრია, რომელსაც ქართველი ერის სულიერი და ინტელექტუალური პოტენციალის წარმოჩენის მისია დაეკისრა. თითოეულმა მათგანმა უდიდესი როლი შეასრულა ქართველთა ქრისტიანულ რელიგიაზე მოქცევის საქმეში. თხზულებამ როგორც ქართულ, ისე მსოფლიო კულტურას, მათ შორის კავკასიური არეალის კულტურულ სამყაროს, შესძინა როგორც რეგიონული, ასევე მსოფლიო ღირებულების კულტურული მონაპოვრები. უძველესი დროიდან მოყოლებული, საქართველოს და მის კულტურას ყოველთვის დომინანტური ადგილი ეკავა კავკასიურ სივრცეში, კავკასიელთა საურთიერთობო ენაც XIX საუკუნის 50-60-იან წლებამდე ქართული ენა იყო. საქართველოს გაქრისტიანების პროცესი სახელმწიფოებრივი სტატუსის მინიჭებამდე თითქმის სამი საუკუნე გრძელდებოდა. საქართველო იყო პირველი ქვეყანა კავკასიურ არეალში, რომელმაც ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგიად გამოაცხადა, რის გამოც კავკასიურ სივრცეში ქრისტიანობის მესვეურობა ხვდა წილად. ყოველივე ამის საფუძველზე საჭიროდ მიგვაჩნია „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ტექსტზე პოლიტიკურ-სოციალური, რელიგიური, კულტურულ-ლიტერატურული და ენობრივი თვალსაზრისით დაკვირვება, რათა უკეთ განისაზღვროს საქართველოს სახელმწიფოებრიობის, ქართული კულტურის, ქრისტიანული რელიგიის ადგილი კავკასიურ სივრცეში. ამავე დროს, აუცილებელია იმის აღნიშვნაც, რომ „კავკასია“, როგორც რეგიონული სივრცის აღმნიშვნელი ტერმინი-

სახელწოდება, ქართულ ჰაგიოგრაფიაში მხოლოდ „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ტექსტში გვხვდება. „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ გეოგრაფიული სივრცე მოწმობს, რომ საქართველოს ყოველთვის ეჭირა კავკასიის გეოპოლიტიკური ცენტრის ადგილი, როგორც ქრისტიანული აღმოსავლეთის განაპირა მხარის კულტურული ქვეყნისა.

3. წმ. იოვანე და წმ. ეფთვიმე მთაწმინდელების „ცხორების“ ერთი ეპიზოდის გააზრების შესახებ.

წმ. გიორგი მთაწმინდელმა თავის ჰაგიოგრაფიულ თხზულებაში წმ. ელიას სახე ძირითადად რელიგიური თვალთახედვით დასახა. მისი ხსენების დღეს ქრისტიანული ჟამისწირვის საშუალებით წინასწარმეტყველმა ელიამ შეისმინა ბერმონაზონთა ლოცვა და ხანგრძლივი გვალვიანობის შემდეგ წვიმა მოუვლინა ათონის წმინდა მთას. წმ. გიორგი მთაწმინდელის თხზულების ამ ეპიზოდმა რამდენიმე სიმბოლური დატვირთვა შეიძინა: 1. წმ. იოვანე მთაწმინდელის ხატ-სახეს სრულყოფილება შესძინა, როდესაც მან წმ. ელიასადმი მიძღვნილი ლოცვითა და წირვით, ფაქტობრივად, რელიგიური ჟამისწირვის აღსრულებით, იწინასწარმეტყველა ყველსათვის სასურველი მოვლენა; 2. სრულყოფილად წარმოჩნდა წმ. ელიას ხატ-სახე, როგორც მორწმუნეთა ლოცვის შემწყნარებლისა; 3. წმ. გიორგი მთაწმინდელმა თავისი ეპოქისათვის, ჰაგიოგრაფიული ჟანრისათვის უჩვეულო იუმორის გრძნობით გამსჭვალული წმინდანი პერსონაჟი წარმოაჩინა.

4. ვარდისა და მზის მეტაფორული ხატ-სახეების ტრანსფორმაცია, როგორც „ვეფხისტყაოსნის“ კომპოზიციის ერთ-ერთი საფუძველი

1. შოთა რუსთველის „ვეფხისტყაოსანში“ ვარდისა და მზის მხატვრულ სახეებს უმნიშვნელოვანესი ადგილი უჭირავთ. პოემის სიუჟეტს, სხვა მხატვრულ სახეებთან ერთად, წარმართავს დამჭნარი ვარდის ახალი ვარდით შეცვლის სიმბოლიკა, რაც სამყაროსა და საზოგადოებაში მიმდინარე ცვლილებებს მოასწავებს, და მზის მეტაფორა, რომლებიც პოემის კომპოზიციური სიმწყობრის მომწესრიგებლად გვევლინებიან. დასაწყისშივე როსტევან მეფის მიერ წარმოთქმული ბრძნული აზრი ცხოვრების წარმავლობისა და დაუდგრომლობის თაობაზე ვარდის სიმბოლიკითა და მზის მხატვრული გააზრებითაა ნასაზრდოები („რა ვარდმან მისი ყვავილი...“; „მზე ჩაგვისვენდა...“), რაც პოემის დასასრულს პერსონაჟთა ცხოვრებაში ვარდის გაფურჩქვნის მეტაფორა-სიმბოლოსა და მზის ეტლის ცვალების მხატვრული სახით ეპოქალური სიახლის მაუწყებელ მხატვრულ ასახვად წარმოგვიდგება („ვარდის ფურცლობის ნიშანი...“; „ეტლის ცვალება მზისაგან...“).

2. მზისა და ვარდის მხატვრული სახის, მეტაფორის, სიმბოლოს, ალეგორიის, ალუზიისა და ენიგმის გათვალისწინება გვმართებს ცხოვრების სხვადასხვა საფეხურზე „ვეფხისტყაოსნის“ მთავარ პერსონაჟთა გარეგნობის, მათი შინაგანი სამყაროს, მძაფრი სულიერი განცდების სრულყოფილად გასააზრებლად. პოემის დასასრულს ვარდის მხატვრული ფუნქცია სრულიად განსაკუთრებულია, ვინაიდან გაზაფხულზე, ქვეყნით მწვანის ამოსვლის ჟამს ვარდის ფურცლობა ახალი სამყაროს დასაწყისადაა მოსააზრებელი, მას გარდატეხა შეაქვს პოემის გმირთა ცხოვრებაში, რომელიც ამიერიდან ბოროტისაგან განძარცვულია და სიკეთის დასაბამადაა მიჩნეული. ასევეა მზის მხატვრული სახეც ღრმა საზრისით დატვირთული, რომლის ეტლის ცვლა სიახლის დასაბამადაა მიჩნეული. მთავრდება ძველი, პატრიარქალური ეპოქა და იწყება ახალი, მზით განათებული ეპოქა, ხოლო მზე ღმერთის სიმბოლოა; ვარდის მხატვრული სახის, მისი ტროპული მეტამორფოზის, მზის ცვალებადობის მეტაფორული არსის გამოყენებამ კიდევ ერთხელ წარმოაჩინა შოთა რუსთველის აზროვნების სიღრმე, მასშტაბურობა და მხატვრული ოსტატობა.

5. პრონოეტული კონცეფცია არეოპაგიტულ მოძღვრებაში

განგების კონცეფციის განხილვა ფსევდო-დიონისე არეოპაგელის საღვთისმეტყველო შრომების მიხედვით კონცეპტუალურია ზოგადად განგების პრობლემის შესასწავლად. განგების ცნებას იცნობს ანტიკური ფილოსოფიაც და ქრისტიანული სამყაროც. ანტიკურობაში განგება ღმერთების კეთილი ზრუნვა და გადაწყვეტილებაა ადამიანის მომავალი ცხოვრების შესახებ. ტერმინოლოგიური და ცნებითი თვალსაზრისით ძველი აღთქმის თხზულებებში, კერძოდ ფსალმუნებში, ახალი აღთქმის წიგნებში მას ღვთის ნება, ან წინაჲსწარგანზრახვა და წინაჲსწარცნობა გამოხატავს (ბერძნული προνοια, οικονομια, ლათინური providentia). განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ახალი აღთქმისეული პრონოეტული კონცეფცია, საგანგებო ყურადღებას პავლეს ეპისტოლეები იქცევს. იგი პრონოეტული ტერმინია და ძირითადად აღნიშნავს ღმერთის ზრუნვას ადამიანის სულიერ ცხოვრებაზე, ღმერთის კეთილ

წინასწარგადაწყვეტილებას, ღმერთის ნებას. ქრისტიანულ საღვთისმეტყველო ლიტერატურაში გამოყენებული განგების ცნება ანტიკური ფილოსოფიისაგან სრულიად განსხვავებული საზრისითა და ფუნქციითაა აღჭურვილი და განსხვავებული მნიშვნელობით გამოიყენება.

ქრისტიანულ ლიტერატურაში მან, როგორც საღვთისმეტყველო ტერმინმა, არსობრივად განსხვავებული აზრი შეიძინა; იგი წინასწარგანზრახულებას, ადამიანის სულიერ მომავალზე ზრუნვას, მისი მომავლის წინასწარ განგებას გულისხმობს. ქრისტიანულ მოძღვრებაში განგება, ღვთის ნება მხოლოდ კეთილად წარმართვაა ადამიანის ცხოვრებისა. წმინდა ღვთისმეტყველი მამები ამ ტერმინს განმარტავენ და მის არსს ხსნიან ბიბლიურ წიგნებში არსებული მონაცემების საფუძველზე.

ნაშრომში წარმოდგენილია განგების განმარტება-ინტერპრეტაცია არეოპაგიტულ თხზულებათა კვალობაზე. ამ მიზნით განხილულია ტრაქტატები „საღმრთოთა სახელთათვის“ და „საიდუმლო ღმრთისმეტყველებისათვის“, რომლებშიც გაანალიზებულია განგების არსი; მისი მოძღვრებით, განგება არის ღმერთის წინასწარგანზრახულება, ადამიანისათვის სასოების მიმნიჭებელი, ადამიანის სულიერ მომავალზე ორიენტირებული, სულის მხსნელი, ძირითადად ღმერთის კეთილი ნება, რომელიც დაფარულია და რომლის გამოცნობას, რომლის აღსრულებას ცდილობს ადამიანი. მისი შეცვლა შეუძლებელია, მისი აცილებაც შეუძლებელია. იგი კეთილი ზრუნვაა ადამიანის სულზე, წინასწარგანზრახვაა. განგების და ადამიანის სურვილის თანხვედრა ღვთის სიკეთითაა განპირობებული, განგების არსი და კონკრეტული გამოვლინება ადამიანმა მის აღსრულებამდე არ იცის. დიონისე არეპაგელი იშვიათი სისადავით, ცხადად, ნათლად, ამავე დროს, საღვთისმეტყველო რიტორიკული სტილით გვაწვდის თავის შეხედულებას ისეთი ურთულესი, ადამიანის გონებისათვის ძნელად საწვდომი ტერმინის შესახებ, როგორიცაა განგება//განგებულება.

არეოპაგიტულ თხზულებებში არაა ნახსენები ბედი, რომელსაც ანტიკურ ფილოსოფიასა და ლიტერატურაში უდიდესი ადგილი უჭირავს. ღვთისმეტყველ წმინდა მამას ბედი/ბედისწერა არ განუხილავს, რადგან, როგორც ჩანს, იგი ღვთისაგან მომდინარედ არ მიაჩნდა. ქრისტიანული საღვთისმეტყველო მოძღვრებით, ბედი წუთისოფლურია, ბედისადმი რწმენა არაქრისტიანულია. მას ძირითადად ვარსკვლავთმრიცხველობას, ასტროლოგიას უკავშირებენ, რაც კატეგორიულად უარყოფილია ქრისტიანულ რელიგიაში.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ ქართულ მხატვრულ ლიტერატურაში, ზოგჯერ სამეცნიერო ლიტერატურაშიც, განგება (προνοια, οικονομια, providentia) მცდარად გაიაზრება და საღვთო სახელად მიიჩნევა. ამიტომ მოხსენებაში ვიმოწმებთ პრონოეტულობის აღმნიშვნელ შესატყვის ქართულ ტერმინებს, რომლებიც ეფრემ მცირის მიერაა შემუშავებული არეოპაგიტული კორპუსისა და წმ. გრიგოლ ღვთისმეტყველის ჰომილიათა თარგმნისას. მისი გამოვლენა აჩვენებს ამ ტერმინის განვითარების საფეხურებს, რაც საღვთისმეტყველო აზროვნებისა და მთარგმნელობითი მეთოდის განვითარებაზე დაკვირვების საშუალებასაც იძლევა და თანამედროვე მწერალთათვის ტერმინის სწორად აღსაქმელად რეკომენდაციისა თუ რჩევის ფუნქციასაც კისრულობს.

6. წმ. მარიამ მაგდალინელის პოსტმოდერნული გააზრებისათვის XX– XXI საუკუნეების ქართულ ლიტერატურაში

წმ. მარიამ მაგდალინელის პიროვნების მიმართ მართლმადიდებლურმა და კათოლიკურმა ეკლესიებმა დიდი ხნის მანძილზე სხვადასხვაგვარი დამოკიდებულება გამოამჟღავნა, კერძოდ, მართლმადიდებლობა მას ყოველთვის მოციქულთა სწორ წმინდა მენელსაცხებლე დედად აღიარებდა და აღიარებს; კათოლიკური სამყარო 591 წლიდან მოყოლებული 1969 წლამდე მას მრუშ, მონანიე დედაკაცად მიიჩნევდა. ევანგელური მონათხრობით, წმ. მარიამ მაგდალინელი უფალმა განკურნა შვიდი ეშმაკისგან (ლ. 8, 2; მრ. 16, 9), რის შემდეგაც იგი ყველგან თან ახლდა მაცხოვარს (მრ. 15, 40; ლ. 8, 3), ქრისტესთან ერთად გაიარა გოლგოთის გზა და ჯვარცმაც საკუთარი თვალით იხილა (მ. 27, 56 და სხვ.); ქრისტეს დაფლვასაც ესწრებოდა (მ. 27, 61 და სხვ.) და ჯვარცმიდან მესამე დღეს, ქრისტეს ბრწყინვალე აღდგომის დღეს მის აკლდამასთან ნელსაცხებლებითა და საკმევლით მივიდა (მ. 28, 1; მრ. 16, 1-8). მან პირველმა იხილა აღმდგარი მაცხოვარი, პირველმა ირწმუნა და პირველმა აუწყა ქრისტეს მოწაფეებს მაცხოვრის სასწაულებრივი აღდგომა (ი. 20, 11-18). V საუკუნიდან წმ. მარიამ მაგდალინელის ცხოვრებას დაემატა ზოგიერთი ეპიზოდი მონანიე ცოდვილის, წმ. მარიამ მეგვიპტელის ცხოვრებიდან, რის გამოც ამ ორი წმინდანის სახე ერთმანეთში იქნა აღრეული და წმ. მარიამ მაგდალინე- 94 ლის მეძავ ქალად

წარმოდგენას გაუმყარა საფუძველი. ამგვარი ინტერპრეტაცია დასავლეთში აღორძინების ხანისა და მომდევნო პერიოდის ხელოვნებაში (ლიტერატურა, მხატვრობა) დამკვიდრდა. დასავლური ლიტერატურისა და მხატვრობის გავლენით, რაც დასავლეთთან ბოლოდროინდელმა ინტენსიურმა ურთიერთობებმა განაპირობა, თანამედროვე ქართულ მწერლობაში, ქართულ ცნობიერებაში (XX-XXI სს.), ურთიერთგამომრიცხავი შეხედულებები გამოვლინდა: შემოქმედთა ნაწილმა იგი ტრადიცულად, მოციქულთა სწორად აღიქვა, ხოლო ნაწილმა კათოლიკური ტრადიცია გაიზიარა და მრუშ, მონანიე დედაკაცად მიიჩნია. ეს ფაქტი მით უფრო საკვირველია, რადგან საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია და ქართული ქრისტიანული კულტურა ამ საკითხში ოდითგანვე მიჰყვებოდა და მიჰყვება მართლმადიდებლური ეკლესიის წეს-კანონებსა და ტრადიციებს. ჩვენი აზრით, ამგვარი გააზრება და მცდარი ინტერპრეტაციის გამეორება-დამკვიდრება ღირებულებათა გადაფასების ნიმუშია, რასაც ხელი პოსტმოდერნიზმის ჩვენში დამკვიდრებამაც შეუწყო. ჩვენს მოხსენებაში საუბარი გვაქვს სწორედ იმ საკითხთა შესახებ, თუ როგორი ინტერპრეტაციები შემოგვთავაზეს ქართველმა მწერლებმა თავიანთ შემოქმედებაში წმ. მარიამ მაგდალინელის სახის შესახებ.

6.2. სახელმძღვანელოები

№	ავტორი/ავტორები	სახელმძღვანელოს სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1 2				
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)				

6.3. კრებულები

№	ავტორები	კრებულის სახელ-წოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	ნესტან სულავა	The Interpretation of the Most Holy Virgin's Image in Georgian Hymnography and in David Guramishvili's Poetry – "The Lamentation of the Virgin." The Tradicion of the Adoration of the Theotokos in the Ortodox Church "NOVA". 2020 ISBN:978-1-53616-933-1	NOVA Science Publishers, Inc. New York	ss- 221-234
2	ნესტან სულავა	Православная Энциклопедия. LIX. Гимнографические произведения,	Москва. 2020. Церковно-научный центр: Православная Энциклопедия	გვ. 225-226.

		посвященные святому Раждену. ISBN 978-5-89572-066-0(T.59) ISBN 5-89572-005-6 საენციკლოპედიო სტატია		
3	ნესტან სულავა, ელდარ მამისთვალიშვილი	Прохор Грузин. Православная Энциклопедия. LVIII. ISBN 978-5-89572-066-0(T.58) ISBN 5-89572-005-6 საენციკლოპედიო სტატია	Москва. 2020. Церковно-научный центр: Православная Энциклопедия	გვ. 512-514.
4.				

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

ნესტან სულავა

1. ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ხატ-სახის ინტერპრეტაცია ქართულ ჰიმნოგრაფიასა და დავით გურამიშვილი პოეზიაში - „ტირილი ღვთისმშობლისა“

ვნების პარასკევი ერთადერთი დღეა ლიტურგიული წლის განმავლობაში, როდესაც წირვა არ სრულდება, რადგან ყველაზე დიდი შესაწირი მსხვერპლი თავად მაცხოვარი იყო. ამ თემას მიეძღვნა საგალობელთა მთელი ციკლი, რომელშიც, სახარებათა კვალობაზე, ასახულია მაცხოვრის ჯვარცმა, რაც იშვიათი სიმძაფრისა და ტკივილის განცდას ბადებს მკითხველსა თუ მსმენელში. ვნების პარასკევის დღის განგება განსაკუთრებული სირთულით გამოირჩევა, რადგან იგი რამდენიმენაწილიანია და უაღრესად დატვირთულია სიმბოლური ხატმეტყველებით. აქ ყურადღებას იქცევს გოლგოთისაკენ მიმავალი იესო ქრისტეს შინაგანი განცდები, მისი მოწაფეების, მთელი ერის დამოკიდებულება მაცხოვრის ჯვარცმისადმი, რადგან „მცირედნი არიან რჩეულ“, თანამგრძნობნი მაცხოვრისა.

სტატიაში საგალობელთაგან განხილულია „უძველეს იადგარში“ მოთავსებული სამსაგალობელი: ღამითგანსა, აკურთხევდითსა, ადიდებთითსა, რომელსაც მოსდევს გამოავლინე და დასადებელი, ხოლო განასრულებს აქებდითსა. ყოველივე ამას მოსდევს პარასკევს შუადღიდან შესასრულებელი საგალობლები, რომელთა სახისმეტყველება საოცრად მდიდარია და კოსმიური ხილვით გაჯერებული. განსაკუთრებული სიმძაფრით ხასიათდება გარდამოხსნის ეპიზოდი. აგრეთვე, იოანე მინჩხმა თავის „მარხვანში“ საგანგებო ადგილი მიაკუთვნა ვნების პარასკევის საგალობლებს, რომელშიც ორიგინალური თვალთახედვითაა წარმოჩენილი მთელი ვნების კვირის სიმბოლური მნიშვნელობა და მაცხოვრის სულიერი მისია _ მაცხოვარმა ღმერთთან კაცობრიობის შერიგებას შესწირა თავი.

ვნების კვირის, განსაკუთრებით ვნების პარასკევის საგალობლებში უდიდესი ტკივილიანი განცდით წარმოისახება ყოვლადწმიდა ღვთისმშობელი, რომელიც სხვა დედებთან ერთად მიაცილებდა თავის ძეს, ისმენდა პილატეს განცხადებას და გოლგოთაზე უროს ხმას, როდესაც მაცხოვარი ჯვარზე სამსჭვალით დამსჭვალეს. ამ თვალსაზრისით საყურადღებოა დავით გურამიშვილის ლექსები „ჯვარცმის ამბავი“, „მოთქმა ხმითა თავ-ბოლო ერთი“, „ტირილი ღვთისმშობლისა“, რომლებშიც მაცხოვრის მოთმინებაა აქცენტირებული, ჯვარცმით სიკვდილისა სიკვდილით დამთრგუნველი მაცხოვრის ხატია შექმნილი და ჯვრის სიმბოლურობის საფუძველია განსაზღვრული, რადგან ადრე სამარცხვინოდ მიჩნეულმა ჯვარზე გაკვრამ იცვალა ღირებულებითი მნიშვნელობა და მთელი კაცობრიობის სულიერი ხსნის, სულიერი გადარჩენის მისია დაეკისრა. ამ დღისთვის განკუთვნილი ძლისპირის სიტყვები _ „ნუ მტირ მე, დედაო“, მაცხოვრის მიერ წარმოთქმული, გვაგულისხმებინებენ იმ იმედის ნაპერწკლის არსებობას, რაც მაცხოვრის ჯვარცმამ მოუტანა კაცობრიობას.

ფრესკებსა და ხატებზე წარმოსახული დატირების სცენასთან პარალელებით უფრო თვალსაჩინოვდება საგალობლებში ასახული ვნების პარასკევის მთელი სიმძიმე, რომელიც ყოველწლიურად ახლდება კაცობრიობის სულიერი ზრდის, სულიერი სისრულის, სრულყოფილების მისაღწევად, იგი ადამიანის ღმერთთან ზიარებისა და განღმრთობისაკენ მიმავალი ურთულესი გზაა, რომელიც მხოლოდ სულის სიძლიერით დაიძლევა და ღმრთივგანბრძნობილობით მიიღწევა.
2-3. საენციკლოპედიო სტატიები.

6.4. სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI ან ISSN	ჟურნალის/ კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	ირმა რატიანი, მაკა ელბაქიძე	Rustaveli, Nizami's Contemporary. Revisiting Some Poetical and Aesthetical Principles. DOI: 10.3726/b17196	The Interpretation of Nizami's Cultural Heritage in the Contemporary Period	Berlin: Peter Lang GmbH	გვ. 447-455
2	Eka vardoshvili	Leaders of Georgian Romanticism in the European Literary Social Thinking Proceedings of the 6th International Conference on ISBN 978-94-6252-974-8. ISSN 2352-5398. DOI https://doi.org/102991/assehr.K. 200526.007. www.atlamtis-press.com/proccedings/icseal-6-19/125940972 (Advances in Social Science, Education and Humanities research, volume 441).	Social, economic, and academic Leadership (ICSEAL-6-2019). Publication Date 27 May 2020.	Atlantis Press	pp. 44-48.
3	Tamar Sharabidze	**Common Plural Subjects in the Creative Works of the Same Epoch: Two-Georgian and Azerbaijani Writers**	**International Online Conference The Philosophy of Language, Literature and Linguistics - ICPL 2020**	ბაქო. ხაზარის უნივერსიტეტის გამომცემლობა	8
4	თამარ პაჭაძე	The Word as a Cultural Code in Modernist Artistic Discourse (City-Cultural Space and Symbolic Binary)	The Philosophy of Language, Literature and Linguistics - ICPL 2020	Khazar University Baku, Azerbaijan	5

5	კახაბერ ლორია	Hamsuns *I Æventyrland* sett i et "grenselandsperspektiv" (ჰამსუნის *ზღაპრულ ქვეყანაში* დანახული „მოსაზღვრე/გადამკვეთ პერსპექტივაში", ნორვეგიულ ენაზე) https://doi.org/10.7557/13.5658	*Nordlit,* N 47 (2020)	Septentrio Academic Publishing, ტრომსო, ნორვეგია	გვ. 304-316

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

მაკა ელბაქიძე

რუსთაველი - ნიზამის თანამედროვე. პოეტიკური და ესთეტიკური პრინციპების რევიზია

სტატიაში საუბარია რუსთაველის ესთეტიკური და ეთიკური კონცეფციის მიმართებაზე, ერთი მხრივ, შუასაუკუნეების დასავლეთ ევროპული, მეორე მხრივ კი, აღმოსავლური ლიტერატურის შესაბამის პრობლემატიკასთან. განსაკუთრებული ყურადღება გამახვილებულია რუსთველური სიყვარულის კონცეფციაზე, რომელშიც ჩანს როგორც კურტუაზიული რომანის, ისე აღმოსავლური პოეზიისთვის დამახასიათებელი (სახელდობრ, ნიზამის პოემების) მოტივები, რომლებიც მეტწილად კონვენციურია, ამიტომ ვეფხისტყაოსანში მზა ფორმულათა სახით გვხვდება და განსხვავებული ინტერპრეტაციით წარმოგვიდგება. ავტორები ასკვნიან, რომ დასავლური და აღმოსავლური ლიტერატურული მანერების მორიგების მცდელობა ქმნის ორი განსხვავებული კულტურული სამყაროს შეხვედრის პირველ პრეცედენტს ქართულ ლიტერატურულ სივრცეში, ვეფხისტყაოსანს კი უნიკალური ტექსტის სტატუსს ანიჭებს. სწორედ ამ სინთეზით ამდიდრებს და აფართოებს რუსთველის რომანი გვიანი შუასაუკუნეების მსოფლიო ლიტერატურულ პროცესს: თუკი იმ პერიოდის დასავლური ქრისტიანული სამყაროსთვის Weltliterature ცალსახად ევროპულ სივრცესთან და კულტურასთან გაიგივებული ცნებაა, საქართველოში ის აღმოსავლური ლიტერატურული კანონის პრინციპებსაც ითვალისწინებს.

ეკა ვარდოშვილი

ქართული რომანტიზმის ლიტრები ევროპულ ლიტერატურულ-საზოგადოებრივ აზროვნებაში - ევროპულ და ქართულ რომანტიზმს საერთო თეორიული საფუძვლები გააჩნიათ. გოეთესა და შელის ლიტერატურული ღირებულებები დაედო საფუძვლად არა მხოლოდ ევროპულ, არამედ ქართულ რომანტიზმსაც. ამრიგად, ქართული რომანტიზმის საფუძვლებია ეროვნულ-სალიტერატურო ტრადიცია, XIX საუკუნის დასაწყისში საქართველოში შექმნილი სოციალურ-პოლიტიკური ვითარება, რამაც განაპირობა მისი ღრმა ეროვნულობა და ევროპული ლიტერატურულ-ფილოსოფიური ნააზრევი.

ევროპულ ლიტერატურულ-საზოგადოებრივ ნააზრევში პირველად ა. ლაისტმა მოგვცა სამი ქართველი ლიდერი რომანტიკოსის ა. ჭავჭავაძის, გრ. ორბელიანისა და ნ. ბარათაშილის შემოქმედების ღრმა ანალიზი. თავის შრომებში ა. ლაისტი საუბრობს ქართველ რომანტიკოსთა ინდივუდუალობის შესახებ, საზღვრავს თუ რატომ არიან ისინი თავისი ეპოქის გამორჩეული პოეტები. ა. ლაისტი ქართველ რომანტიკოსთა შემოქმედებით მიღწევებს უკავშირებს ევროპული ცივილიზაციის შემოჭრას საქართველოში.

თამარ პაიჭაძე

სიტყვა, როგორც კულტურული კოდი მოდერნისტულ შემოქმედებით დისკურსში კულტურულ სივრცეში შეცნობისა და მსოფლმხედველობრივი რაკურსიდან განსხვავებულად აღიქმება კონკრეტული ცნებები, რომელებიც სალიტერატურო კრიტიკაში თავიანთი მხატვრული ღირებულებით გარკვეული სიმბოლური ბინარის ან

მხატვრულ-პარადიგმული მნიშვნელობის მატარებელები არიან. ამ თვალსაზრისით, სხვა ანალოგებს შორის (მზე, მთვარე, ღმერთი, წყალი, ჯვარი, და ა.შ.) განიხილება ქალაქიც, როგორც სიმბოლური და მხატვრული კონცეფცია ლიტერატურულ ტექსტში.

ქალაქის ცნება ქართულ ლიტერატურულ დისკურსში XX საუკუნის დამდეგიდან კონცეპტუალურ აღქმას დაუკავშირდა და მხატვრულ-სიმბოლურ ბინარად ჩამოყალიბდა. ამგვარი დამოკიდებულება განსაკუთრებით გამძაფრდა მას შემდეგ, რაც მხატვრულ ლიტერატურაში შემოქმედის, თუ ლირიკული გმირის ლოგოსამყაროს ცენტრმა ბუნების პირველქმნადობის ხაზგასმიდან, სოფლის პეიზაჟების ესთეტიკური რეკვიზიტიდან, მშვიდი და პანთეისტური გარემოდან – ქალაქის ნაცრისფერ ქუჩებში, ხმაურიან და ქაოსურ გარემოში, ცივ და გულგრილ ატმოსფეროში გადაინაცვლა. მსგავსი შემოქმედებითი ინსპირაციის სათავე ყოველთვის დევს გარკვეულ მეთოდოლოგიურ სახეცვლილებაში თუ არა ვარიაციაში მაინც...

ამ პროცესთა შემოქმედნი XX საუკუნის ლიტერატურულ რეალობაში მოდერნისტები გახდნენ, აღიქვამდნენ რა სამყაროს ირაციონალური სივრციდან და სიმბოლურ-პარადიგმული რაკურსიდან. ამ ფაქტმა კავკასიურ და კერძოდ ქართულ მოდერნიზმში თავიდანვე იჩინა თავი.

ბუნებრივია, ამ პროცესს ახსნა აქვს, ცენტრალიზაციის ტექნოკრატიის, ეკონომიკური დიფერენციაციის და მიგრაციის პროცესების, ქალაქში ადამიანთა კონცენტრაციის შედეგად XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან ქალაქი აქცია დინამიურობის, სიახლის სიმბოლოდ და აქედან გამომდინარე. შემოქმედის ასპარეზად. ცენტრალიზაციის ეს პროცესი შეუქცევადი აღმოჩნდა, რასაც შემოქმედებით ძალთა მოზიდვა მოყვა. ქალაქის სოციკულტურული ფუნქცია მთელი მნიშვნელოვნებით წარმოჩნდა. ეს პროცესი მოდერნისტული მომდინარეობების ხელოვნებაში დაფუძნებას დაემთხვა. ამ დროიდან გამოიკვეთა კიდეც გმირი, რომელსაც ქალაქში განუვითარდა სააზროვნო სისტემა და წარმოიქმნა ე.წ. "ქალაქური ტექსტი" (ქალაქური რეკვიზიტი) – ოპოზიციური შემოქმედებითი ფორმა, ე.წ. "აღმოსავლური მოდელი" სიმბოლისტური აღქმისა. ქალაქური ტექსტი – ეს არის ცნებათა (კონცეპტთა) მოტივთა, სიუჟეტთა კომპლექსი, რომელიც მოიცავს ავტორისეულ მოდელს ქალაქური ყოფისას – როგორც ზოგად, ასევე მისი კერძო გამოვლინებებში.

მოდერნისტი მწერლისათვის ქალაქი არა მხოლოდ სააზროვნო გარემოა, ის პერსონიფიცირებული მხატვრული სახეა; იმდენად რამდენადაც, ის არის სიმბოლო დინამიურობისა, თანამედროვეობისა და სიახლისა, აქედან გამომდინარე, კი სამოქმედო სივრცეც. მსგავსი ინსპირაციის მიზეზი ყოველთვის არის გარკვეული მეთოდოლოგიური გარდასახვა, ან თუნდაც ვარიაცია. უნდა გაითვალისწინოთ ასევე, მოდერნისტული ეპოქის წინარე და პარალელური პერიოდები კლასიკურ-რეალისტური ნაკადი საგანთა და მოვლენათა მატერიალიზაციის გამოკვეთილი აღქმით და ზოგჯერ ფსევდო და უტილიტარული გადახრებით, ამ დამოკიდებულების კონტრპოზიცია თუ ოპოზიცია ჩამოყალიბდა მოდერნისტულ (ამ შემთხვევაში სიმბოლისტურ) მსოფლმხედველობაში; ამგვარმა აღქმამ გამოხატულება ჰპოვა და მოდერნისტული მეთოდიკის მახასიათებელ ნიშნად იქცა ფრანგულ, რუსულ და ქართულ შემოქმედებით დისკურსში.

ცნობილი ფაქტია, რომ მოდერნიზმი მსოფლიო შემეცნებას თავდაპირველად სიმბოლისტური ანტურაჟით წარუდგა (ეს ქრონოლოგია ქართული ლიტერატურის ისტორიაშიც ანალოგიურია) და სიმბოლისტურ ტექსტებში შემოქმედებითი გმირიც გამოიკვეთა, რომლის სამოქმედო თუ სააზროვნო არეალი ქალაქური გარემო გახდა. აქედან წარმოსდგა ე.წ. „ქალაქური ტექსტი" ქართულ შემოქმედებით სივრცეში, – კლასიკური მოდელის სრული ანტიპოდი)

კახაბერ ლორია

საყოველთაოდ ცნობილია, რომ კნუტ ჰამსუნი ხშირად ეხება ე.წ. „სასაზღვრო“ თემებს. ის გადალახავს, არღვევს, ანადგურებს ან თავად „აწესებს“ ე.წ. ახალ „საზღვრებს“, როგორც გეოგრაფიულად, ისე ჟანრობრივად ან თუნდაც ბიოგრაფიულად. ჰამსუნის წიგნი - „ზღაპრულ ქვეყანაში: კავკასიაში განცდილი და ნაოცნებარი“ (1903) ამ მხრივ განსაკუთრებით დამახასიათებელია. ნაშრომი აღწერს მოგზაურობას რუსეთსა და კავკასიაში, მაგრამ ამავე დროს ჩვენ მივყვებით მოგზაურობას მთხრობელის შინაგან ბუნებაშიც. წიგნში არ არსებობს ხელშესახები ზღვარი რეალობასა და ფანტაზიას შორის. ჰამსუნისათვის დამახასიათებელი ესთეტიკური ჯადოსნობით ყველაფერი აღრეულია ერთმანეთში. ე.წ. „საზღვრის პერსპექტივა“ და მასთან დაკავშირებული პრობლემატიკა წიგნში ფუნქციობს მრავალ სხვადასხვა დონეზე. ასე მაგალითად, გეოგრაფიული საზღვრები ჰამსუნისთვის ამ მოგზაურობის „აღწერისას“ , შეიძლება ითქვას, რომ არ არსებობს. მან საკუთარი საზღვრები გაავლო იმას შორის, რასაც აღიქვამს როგორც აღმოსავლურს და რასაც აღიქვამს როგორც დასავლურს (როგორც ტოპოგრაფიულად, ისე რელიგიურად და ასევე კულტურულად). ჰამსუნი აშკარა სიმპატიასა და სიყვარულს ავლენს ყოველივე არადასავლურისა და არაქრისტიანულის მიმართ. ეს არის ის ხერხი და ის გზა, რომელითაც მან შექმნა, ასე რომ ვთქვათ, საკუთარი "ორიენტალიზმი" ამ უცნაურ წიგნში.

7. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

7.1. საქართველოში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	ნესტან სულავა	ვანის ქვაბთა მონასტრის პოეტ ქალთა ცხოვრება-მემკვიდრეობა და გენდერის პრობლემა.	16. 12. 2020. გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის 85 წლის იუბილესადმი მიძღვნილი მეცამეტე საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „განათლებისა და მეცნიერების ინოვაციური განვითარება: მიმართულებები, გამოწვევები და განვითარების პერსპექტივები“. გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი.
2	ნესტან სულავა	ჰიმნოლოგიური ტერმინები XIII საუკუნის ხელნაწერში A-85.	2020. 14-15. 11. II საერთაშორისო კონფერენცია ტერმინოლოგია —

			მემკვიდრეობა და თანამედროვეობა. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თსუ არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ინსტიტუტი ტექინფორმი, ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკა, საქართველოს ვუკოლ ბერიძის სახელობის ტერმინოლოგიის ასოციაცია. თბილისი.
3	ნესტან სულავა	საუფლო ლოცვის აღქმა XVIII-XIX საუკუნეების ქართულ ლიტერატურაში (დავით გურამიშვილი, ნიკოლოზ ბარათაშვილი, ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი).	2020. 9-10.10. 15 th International Silk Road Virtual Conference SILK ROAD – 2020 15TH INTERNATIONAL SILK ROAD VIRTUAL CONFERENCE აბრეშუმის გზის მე-15 დისტანციური საერთაშორისო 4კონფერენცია International Black 5Sea University. Tbilisi.
4	ნესტან სულავა	ბიბლიური პერსონალიების სიმბოლური და მხატვრული ფუნქცია საისტორიო თხზულებაში „ცხორებაჲ მეფეთ-მეფისა დავითისი“.	21.02.2020. დავით აღმაშენებლისადმი მიძღვნილი VII საერთაშორისო კონფერენცია, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, ისტორიისა და არქეოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ცენტრი.
5	ნესტან სულავა	წმ. გრიგოლ ხანცთელის „საწელიწდო იადგარის“ მიზანდასახულობა და მისი	21-22. 12. 2020. ინოვაციები 21-ე საუკუნის ლიტერატურათმცოდნეობ

		ადგილის განსაზღვრისათვის ქართულ ჰიმნოგრაფიაში.	აში - 4. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი.
6	ნესტან სულავა	ალეგორია აკაკი წერეთლის პოემაში „ანდრია პირველწოდებული“	2020. 9. 7. სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო „გულანის“ სხდომა.
7	ლელა ხაჩიძე	გიორგი მთაწმინდელის მთარგმნელობითი მოღვაწეობის ისტორიიდან (“მარხვანის“ მიხედვით)	შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი 9.10.2020
8	ლელა ხაჩიძე	ფოლკლორული გადმოცემები დიდმარხვის დღესასწაულების შესახებ	I დისტანციური საერთაშორისო სიმპოზიუმი- “აბრეშუმის გზის ქვეყნების ფოლკლორი” თსუ, შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი 24.10.2020
9	ლელა ხაჩიძე	საეკლესიო გალობის ისტორიიდან (გიორგი მთაწმინდელი)	თსუ XIV საფაკულტეტო კონფერენცია 2.07.2020
10	ლელა ხაჩიძე	ათონური კოლექციის ერთი ქართული ხელნაწერის (Ath. 38) შესახებ	თსუ მეცნიერების კვირეულის ფარგლებში ჩატარებული მესამე კონფერენცია

			„ინოვაციები XXI საუკუნის ქართულ ლიტერატურათმცოდნეობაში 26-27. 09. 2019
11	მაკა ელბაქიძე	ვლადიმერ პროპი და მისი „ზღაპრის მორფოლოგია“ (ფუნქციათა ურთიერთმიმართების საკითხი ჯადოსნურ ზღაპარსა და შუასაუკუნეების რაინდულ რომანში)	მე-14 საერთაშორისო ონლაინ სიმპოზიუმი - „აბრეშუმის გზის ქვეყნების ფოლკლორი“. 23-25 სექტემბერი, 2020 თბილისი
12	მაკა ელბაქიძე	„ინტერკულტურული სივრცე: რუსთაველი და ნიზამი“	საერთაშორისო ონლაინ კონფერენცია „ინტერკულტურული სივრცე - რუსთაველი და ნიზამი“. 15.10.2020 თბილისი.
13	ლადო მინაშვილი	იაკობ გოგებაშვილი, როგორც საბავშვო მწერალი	27.10.2020 იაკობ გოგებაშვილის დაბადებიდან 180 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია, თბილისი (ონლაინკონფერენცია)
14	ლადო მინაშვილი	ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის ურთიერთმიმართების შესახებ	21.06.2020 აკაკი წერეთლის დაბადებიდან 180 წლისადმი მიძღვნილი კონფერენცია, თბილისი
15	ლადო მინაშვილი	კიტა აბაშიძე ალექსანდრე ყაზბეგის შესახებ	სამეცნიერო კონფერენცია „კიტა აბაშიძე - 150“ 28.12.2020 თბილისი

			(ონლაინკონფერენცია)
16	ეკა ვარდოშვილი	ილია ჭავჭავაძის „განდეგილის“ ფოლკლორული საფუძვლებისათვის, For Folkloric basis of „Hermit“.	XIV საერთაშორისო სიმპოზიუმი ლიტერატურათმცოდნეობის თანამედროვე პრობლემები, აბრეშუმის გზის ქვეყნების ფოლკლორი (ეძღვნება გოგლას - გიორგი ლეონიძის ხსოვნას), თსუ, შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი, კომპარავისტული ლიტერატურის საერთაშორისო ასოციაცია, პროგრამა. XIV International Symposium Contemporary Issues of Literary Criticism, the Silk Road Countries Folklore, TSU, Shota Rustaveli Institute of Georgian Literature Georgian Comparative Literature association (GGLA). Programme 23-25 სექტემბერი, თბილისი 2020.
17	ეკა ვარდოშვილი	არტურ ლაისტი და ქართველი რომანტიკოსები, Arthur Leist and Georgian Romanticists.	თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი XIV საფაკულტეტო სამეცნიერო კონფერენცია მიძღვნილი აკადემიკოს ოთარ ლორთქიფანიძის დაბადებიდან 90 წლისთავისადმი, პროგრამა. TSU Faculty of Humanities, XIV Faculty Scientific Conference, In

			honour of the 90 th anniversary of Academic Otar Lortkipanidze's birth. Program, თბილისი, 3-5 ივლისი, 2020 წელი.
18	ეკა ვარდოშვილი	იაკობ გოგებაშვილი არტურ ლაისტი წერილებსა და მოგონებებში.	იაკობ გოგებაშვილის დაბადებიდან 180 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია. თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი, თბილისი, 27 ოქტომბერი 2020 წელი, პროგრამა.
19	ეკა ვარდოშვილი	აკაკი წერეთელი არტურ ლაისტის თვალთახედვით.	აკაკი წერეთლის დაბადებიდან 180 წლის იუბილესადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია, თბილისი, 21 ივნისი, 2020 წელი, პროგრამა.
20	ეკა ვარდოშვილი	გრიგოლ ორბელიანის ერთი ლექსის გაგებისათვის	XIX საუკუნე - ეპოქათა მიჯნაზე, ნიკოლოზ ბარათაშვილის გარდაცვალებიდან 175 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია, თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ახალი ქართული ლიტერატურის ისტორიის კათედრა, 21 დეკემბერი, თბილისი, 2020 წელი, პროგრამა.
21	თამარ შარაბიძე	.იყო თუ არა აკაკი მეორე დასის წარმომადგენელი?	.ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახ. უნივერსიტეტი, 21 ივნისი, 2020

22	თამარ შარაბიძე	აკაკის პუბლიცისტური სატირის ზოგიერთი ნიმუში.	ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახ. უნივერსიტეტი, 27 ოქტომბერი,2020.
23	თამარ შარაბიძე	„დონ ჟუანის“ იდუმალი ხიბლი და ქართველი მთარგმნელები	ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახ. უნივერსიტეტი, 30 ნოემბერი, 2020.
24	თამარ შარაბიძე	ნიკოლოზ ბარათაშვილის პორტრეტი	ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახ. უნივერსიტეტი, 21 დეკემბერი, 2020.
25	თამარ შარაბიძე, ნანა გონჯილაშვილი	ხელოვნებისა და მხატვრული ლიტერატურის მიმართებისათვის - მსოფლმხედველობრივი პოზიცია და ინტერკულტურული მესიჯი	შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი, 23-25 სექტემბერი, 2020.
26	თამარ შარაბიძე	ერეკლე II მე-19 საუკუნის ქართული ლიტერატურის სამსჯავროზე	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი 26-27 ნოემბერი; იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი (თესაუ) – 28 ნოემბერი.
27	ლევან ბებურიშვილი	კიტა აბაშიძის კრიტიკული მეთოდოლოგია (ზოგადო შენიშვნები)	29.12.2020. თბილისი
28	ლევან ბებურიშვილი	ლიტერატურული ენის საკითხი XIX საუკუნის 50-იანი წლების ქართულ კრიტიკაში / ნიკოლოზ ბარათაშვილის გარდაცვალებიდან 175 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია	21.12.2020. თბილისი
29	ლევან ბებურიშვილი	სოლომონ დოდაშვილის ესთეტიკურ-ლიტერატურული თვალთახედვა /	19.11.2020. თბილისი

		ფილოსოფიის მსოფლიო დღისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „მერაბ მამარდაშვილი – 90“	
30	ლევან ბებურიშვილი	იაკობ გოგებაშვილი, როგორც XIX საუკუნის ქართული ლიტერატურის კრიტიკოსი / იაკობ გოგებაშვილისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია: იაკობ გოგებაშვილი - 180	27.10.2020. თბილისი
31	ლევან ბებურიშვილი	გრიგოლ ორბელიანის ერთი ტაეპის შესახებ („ოქროს ჯაჭვი სჯობს თავისუფლებას“) / მეხუთე საერთაშორისო კონფერენცია: „არქივთმცოდნეობა, წყაროთმცოდნეობა: ტენდენციები და გამოწვევები“	24.09.2020. თბილისი
32	ლევან ბებურიშვილი	ვაჟა-ფშაველას „წერილები მეგობართან“ (პრობლემატიკა, მხატვრული თავისებურებები) / იაკობ გოგებაშვილისადმი მიძღვნილი მერვე საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია გორი, საქართველო	24.06.2020. გორი
33	თამარ პაიჭაძე ნინო მინდიაშვილი	2008 წლის აგვისტოს ომის რეფლექსიები ქართულ და ოსურ მწერლობაში	თსუ 14-15. 10.2020
34	თამარ პაიჭაძე	ფოლკლორი – ქართული ფუტურიზმის რეტროსპექტიული მატრიცა.	თსუ 22-24. 09 2020
35	თამარ პაიჭაძე	ბიბლიური მოდელი- მხატვრული პაროლი მოდერნისტული ინტერპრეტაციისათვის	თსუ 21.12 2020

36	თამარ პაიჭაძე	სალომეა - მხატვრული ბინარი და მთარგმნელობითი რეტროსპექტივები	ბსუ, ბათუმი, 1-3. 09 2020
37	ნიშნიანიძე რუსუდან	სანტიაგო დე ჩილეში გამოცემული ქართული კრებული _ ერთი მითოსური პარადიგმა	მაისი 2020 თბილისი ონლაინ
38	ნიშნიანიძე რუსუდან	იაკობ გოგებაშვილი - ლიტერატურული პერსონაჟი (როსტომ ჩხეიძის ტექსტების,,იის სურნელი თოვლში“, და ,,ეკლიანი და პატარა გზა“მიხედვით) იბეჭდება	27. 10. 2020 თბილისი ონლაინ
39	ნიშნიანიძე რუსუდან	ნიკოლოზ ბარათაშვილი - სამანს იქით... იბეჭდება	21. 12.2020 თბილისი ონლაინ
40	ნიშნიანიძე რუსუდან	ლიტერატურული გადაძახილი და არშემდგარი ექო: ზ. ქარუმიძის ტექსტი: ,,ბაში-აჩუკი“ ანუ ,,მობი დიკი“ იბეჭდება	19-20 ოქტომბერი ქუთაისი აწსუ
41	ქეთევან სიხარულიძე	ადამიანი-პერსონაჟის მხატვრული სახის დინამიკა ფოლკლორულ შემოქმედებაში	XIV საერთაშორისო სიმპოზიუმი ლიტერატურათმცოდეო ბის თანამედროვე პრობლემები თბილისი, 23-25 სექტემბერი, 2020

42	ხვთისო მამისიმედიშვილი	ზოროასტრიზმის ელემენტები ჩრდილოეთ კავკასიის ხალხთა საგმირო ეპოსებსა და რიტუალურ ტექსტებში	2020 წლის 13-15 ოქტომბერი, თბილისი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, VI საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ქართულ-ოსურ ურთიერთობათა განვითარების პერსპექტივები“
43	ხვთისო მამისიმედიშვილი	ჟამის (შავი ჭირის) გამავრცელებელი მითოსური არსებები ქართულ ფოლკლორში	XIV საფაკულტეტო სამეცნიერო კონფერენცია, თსუ, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, თბილისი, 2-5 ივლისი, 2020.
44	ეკა ჩიკვაიძე ხვთისო მამისიმედიშვილი	ფოლკლორული გადმოცემები და ქართული ჰაგიოგრაფია	XIV საერთაშორისო სამეცნიერო სიმპოზიუმი „აბრეშუმის გზის ქვეყნების ფოლკლორი“, შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი, 23-26 სექტემბერი, 2020.
45	ელენე გოგიაშვილი	ბედისწერასთან დაკავშირებული სიუჟეტური ტიპები ქართულ ზეპირ თხრობით ტრადიციაში	XIV საერთაშორისო სიმპოზიუმი ლიტერატურათმცოდეობის თანამედროვე პრობლემები 23-25.09.20 თბილისი
46	ელენე გოგიაშვილი	ფოლკლორული ტექსტის გამოქვეყნების ფილოლოგიური პრობლემები	თსუ XIV საფაკულტეტო სამეცნიერო კონფერენცია 3-5.07.2020 თბილისი
47	თ.შარაბიძე, ნ.გონჯილაშვილი	ხელოვნებისა და მხატვრული ლიტერატურის მიმართებისათვის -	სექტემბერი 23-25, თბილისი,

		მსოფლმხედველობრივი პოზიცია და ინტერკულტურული მესიჯი	
48	ნ. გონჯილაშვილი	ნ. ბარათაშვილის „მერანის“ „გზა უვალის“ გააზრებისათვის	21 დეკემბერი https://zoom.us/j/9187127946
49	ნ. გონჯილაშვილი	მეგობრობა რუსთაველთან და ნიზამისთან	საერთაშორისო ონლაინ კონფერენცია შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი, თბილისი, 15.10.2020
50	კახაბერ ლორია	კნუტ ჰამსუნის უკანასკნელი წიგნის ჟანრული თავისებურებანი	თსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის მეთოთხმეტე საფაკულტეტო კონფერენცია, თბილისი, 3-5 ივლისი, 2020 წ (ზუმის პლატფორმით). (ზუმის პლატფორმით)
51	კახაბერ ლორია	რეზო ჭეიშვილის რომანი „დალი“ –მითოლოგიური და ემპირიული განზომილებანი	XIV საერთაშორისო სიმპოზიუმი – ლიტერატურათმცოდნეობის თანამედროვე პრობლემები: „აბრეშუმის გზის ქვეყნების ფოლკლორი“, 23-25 სექტემბერი, 2020წ. თბილისი, თსუ, შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

52	ე. ხინთიბიძე	„ვეფხისტყაოსნის“ ერთი ენიგმური ფრაზა	2020 წლის 21-22 დეკემბერი, თსუ
53	ეკატერინე ნავროზაშვილი ნანა გონჯილაშვილი	ალ. გრიბოედოვის კომედიის „ვაი ჭკუისგან“ ქართული თარგმანების რეცეფცია	28/12/2020– ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი სამეცნიერო კონფერენცია –„კიტა აბაშიძე –150“

მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა)

ნესტან სულავა

1. ვანის ქვაბთა მონასტრის პოეტ ქალთა ცხოვრება და მემკვიდრეობა გენდერული თვალთახედვით

ვანის ქვაბთა მონასტერში, სადაც XV-XVI სს. დედათა მონასტერიც იყო, კედლებზე მონაზონ ქალებს თავიანთი ნაფიქრ-ნააზრევი ლექსების სახით წაუწერიათ, მცირე ნაწილი მათივე შეთხზულია, მეტი წილი დამოუკიდებელი ლირიკული ნაწარმოებები ან ფოლკლორული ნიმუშები. წარწერები შეუსრულებიათ გულქანს, ანა რჩეულაშვილს, თუმიან გოჯიშვილს, შაღაბანი სულთანს და ხვარამზეს. გარეგნული სილამაზით გამორჩეულ პირადი ცხოვრების გამო გულდათუთქულ ქალებს ჰყავდათ მიჯნურები, რომელთაც დააშორეს ჩვენთვის უცნობი მიზეზების გამო. სასოწარკვეთილნი მონასტრის კედლებს ანდობენ თავიანთ განცდებსა და სადარდელს, ღმერთს შესთხოვენ ცოდვათა შენდობასა და სულის ხსნას. მათი სახით წარმოჩნდებიან მგრძნობიარე, ცხოვრებით გაუხარელი პოეტური ბუნების მქონე ახალგაზრდა ქალები, რომლებიც თავიანთ განცდებს სიტყვას ანდობენ და ცდილობენ ფარული, მძაფრი გრძნობების კედლის წარწერებში შენახვას. ეს წარწერები წარმოდგენას გვიქმნიან XV-XVI ს-ში არსებულ გენდერულ უთანასწოროზაზე.

2. ჰიმნოლოგიური ტერმინები XIII საუკუნის ხელნაწერში A-85

ხელნაწერს A-85 ერთვის უაღრესად მნიშვნელოვანი ანდერძ-მინაწერები, რომლებშიც მრავალი ჰიმნოლოგიური საკითხია აღძრული; მას განსაკუთრებულ ღირებულებას სძენს იმ ჰიმნოლოგიურ ტერმინთა გამოყენება, რომელთაგან ზოგიერთი ადრე არ დასტურდება. ამ ხელნაწერის ანდერძებსა და კრებულის შემდგენლის, აბუსერის ძე ტბელის, მინაწერებს მრავალმხრივი მნიშვნელობა ენიჭება, რომელთაგან ამჯერად გვაინტერესებს ჰიმნოლოგიური ტერმინები. მათი ღირებულება ქართული ჰიმნოგრაფიის ისტორიის შესასწავლად მათში შემონახული უნიკალური ცნობების გამო დიდია. ხელნაწერში რამდენიმე ჰიმნოლოგიური ტერმინი იქცევს ყურადღებას: „თჳთძლისპირნი“, „საქცევი“, „პიროვანი საქცევი“, „მოურთავთ“, რომელიც ჰიმნოგრაფიული ტერმინის _ „მოსართავის“ ზმნური ფორმაა და საგალობლის შესრულებას უკავშირდება, `მოკაზმვა~, „ჭრელებნი“. ტერმინთა ნაწილი ადრეც იყო გამოყენებული სხვა ჰიმნოგრაფიულ კრებულებში, მაგ., „თჳთძლისპირნი“, და არაერთგზის ყოფილა განხილვის საგანი, მაგრამ მათი ნაწილი არ შესწავლილა. ამავე დროს, ზოგიერთი ტერმინის შესახებ არსებული შეხედულება გადახედვას მოითხოვს ახალი მასალის წარმოჩენის საფუძველზე. ჩვენ

შევეცადეთ ხსენებულ ტერმინთაგან ზოგიერთის, კერძოდ, „საქცევი“, „პიროვანი საქცევი“, „მოურთავთ“, არსის გარკვევას A-85-ის მონაცემების მიხედვით, მათ შესახებ არსებული სათანადო სპეციალური სამეცნიერო ლიტერატურის გათვალისწინებით, რადგან თითოეულის არსის ახსნა-განმარტებას მნიშვნელობა ენიჭება, როგორც ჰიმნოგრაფიული ლიტერატურული ტექსტის სახისმეტყველების გამოსავლენად, ისე გალობის მუსიკალური შესრულების ისტორიის სრულყოფილად წარმოსადგენად.

3. საუფლო ლოცვის აღქმა XVIII-XIX საუკუნეების ქართულ ლიტერატურაში (დავით გურამიშვილი, ნიკოლოზ ბარათაშვილი, ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი)

საუფლო ლოცვის აღქმამ და დავით გურამიშვილის, ნიკოლოზ ბარათაშვილისა და ილია ჭავჭავაძის ლექს-ლოცვების, აკაკი წერეთლის სატირული ლექსის საუფლო ლოცვასთან მიმართებაზე დაკვირვება და ეს მცირეოდენი შედარებაც კი აჩვენებს, რომ თითოეული მათგანი ადამიანის სულიერი განვითარების უმთავრეს საფუძვლად სისრულეს, ზნეობრივ სრულყოფილებას, ჰარმონიულობას მიიჩნევს; შურს, დასმენას, ბოროტებას, ანგარებას, მრისხანებას, ამპარტავნებას, უნუგეშოთა მიმართ თანაგრძნობის სინაკლულეს უარყოფს. ყოველივე ეს იშვიათი ლაკონიურობით, კონდენსირებულად აისახება საუფლო ლოცვაში, რომელიც ღმერთისადმი თითოეული ლექსი-მიმართვის საფუძველია, ხოლო თავის მხრივ საუფლო ლოცვა ადამიანის სულს ვერტიკალურ-ჰორიზონტალურად წარმართავს (სინქრონიულ-დიაქრონიული ასპექტით). ლექსად თქმული ყოველი ვედრება-მიმართვა მხოლოდ ერთი კონკრეტული პირის სულის განღმრთობასა და სულიერ მომავალზე ზრუნვა არაა, ესაა საზოგადოების სულიეროზაზე ფიქრი და განსჯა. საზოგადოება მოკლებულია სულიერ და ზნეობრივ ცხოვრებას, საზოგადოდ, ქრისტიანულ მრწამსს, ხოლო სიკეთენაკლულ საზოგადოებას ღვთის იმედი, რწმენა და სიყვარული აღარ აქვს. ერთი პირის, კონკრეტული პირის ცოდვა და მადლი მთელ ერზე ვრცელდება, რაც პავლე მოციქულის სიტყვით შეიძლება განიმარტოს: `ვითარცა-იგი ერთისა შეცოდებისაგან ყოველთა კაცთა ზედა დასასჯელად, ეგრეცა ერთისა მის სიმართლისათÂს ყოველთა კაცთა ზედა განსამართლებელად ცხორებისა~ (ჰრომ. 5, 18). დავით გურამიშვილის, ნიკოლოზ ბარათაშვილის, ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის ლექს-ლოცვათა მიზანი საუფლო ლოცვის მოძღვრებათა გზაზე სვლის სწავლებაა, რის გარეშეც ადამიანის სულიერი სრულყოფილება და ზნეობრივი სისრულე ვერ მიიღწევა.

4. ბიბლიური პერსონალიების სიმბოლური და მხატვრული ფუნქცია საისტორიო თხზულებაში `ცხორებაÁ მეფეთ-მეფისა დავითისი~

„ქართლის ცხოვრების“ შემადგენელ თხზულებათაგან უმნიშვნელოვანესი ადგილი უჭირავს დავით აღმაშენებლის ისტორიას, რომელიც, ისტორიულთან ერთად, მაღალმხატვრულ ნაწარმოებად გვევლინება, რასაც გვაფიქრებინებს მწერლის მხატვრულ-ესთეტიკურ ხედვასთან შეზავებული მისი რიტორული სტილი. ამიტომ მისი განხილვა, როგორც ესთეტიკური ფენომენის მქონე საისტორიო თხზულებისა, ძველი ქართული მხატვრული ლიტერატურის მახასიათებელ კანონზომიერებათა შესწავლას ბევრს ჰმატებს. იგი ამაღლებული სტილითა და მასში წარმოსახული მხატვრული სამყაროთი არაფრით ჩამოუვარდება სიტყვაკაზმულ ლიტერატურულ ძეგლებს. კლასიკური ეპოქის ყოველი ისტორიული ნაწარმოები სიმბოლური და ალეგორიული აზროვნების ნიმუშია, რომელშიც გამოყენებულია ჰიპოდიგმურ-პარადიგმული სტრუქტურისათვის დამახასიათებელი პარალელური სახეები ძველი და ახალი აღთქმის წიგნებიდან, ე. წ. სახეთა პარალელიზმის მხატვრული ხერხი, რაც ყოველი ცალკეული პასაჟისა და მთლიანი ნაწარმოების სრულად აღქმაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს.

„ცხოვრება მეფეთმეფისა დავითისი“ სიმბოლური და მეტაფორული აზროვნების ნიმუშადაც გვესახება, რადგან მასში გამოყენებულია სახეთა პარალელიზმის პრინციპი, რაც ძველი და ახალი აღთქმის წიგნების ხატ-სახეთა ჰიპოდიგმურ-პარადიგმულ სტრუქტურას ეფუძნება, აგრეთვე, კონტრასტული პარალელიზმის მხატვრული ხერხი, რაც პიროვნების ხასიათს, თვისებებს უკეთ წარმოაჩენს.

დავით აღმაშენებელი შედარებულია ერთმანეთისაგან რადიკალურად განსხვავებულ ისტორიულ პიროვნებებთან თუ მხატვრულ თხზულებათა პერსონაჟებთან, ანტიკური ეპოქის ისტორიულ პირებთან, ბერძნულ-რომაულ მითოლოგიურ პერსონაჟებთან, აღმოსავლური ქვეყნების მხატვრული ლიტერატურის მთავარ გმირებთან მათი ცხოვრების რომელიმე ეპიზოდის ან თვისების მსგავსების მიხედვით; კერძოდ, ალექსანდრე მაკედონელთან, პტოლომეოს ეგვიპტელთან, აქილევსთან, ბარამ-გურისთან, ანტონი მეგვიპტელთან, პავლე მოციქულთან, იმპერატორ კონსტანტინესთან _ რწმენით, სიბრძნით, განათლებით, მხედართმთავრობით, ზნეობით, სიქველით; მისი ომები შედარებულია ტროას ომის გმირთა და ალექსანდრე მაკედონელის ომებთან. მეფის შედარებები ბიბლიურ პერსონალიებთან მხატვრული ფუნქციითაა დატვირთული. თხზულება განსაკუთრებით მდიდარი ბიბლიურ პირთა სახელების სიმბოლური ხსენებითა და მათი შედარების საგნად დასახვით არაა, _ სულ ათი-თორმეტი ბიბლიური პერსონაჟია დასახელებული, _ მაგრამ თითოეული მათგანი ჰიპოდიგმურია დავით აღმაშენებლის, როგორც თხზულების პერსონაჟთან, მიმართებით, და მხატვრული ფუნქციითაა დატვირთული, რადგან ისინი ზნეობრივ ორიენტირად ისახებიან და მათ მიღმა მთელი ის ზნეობრივ-ეთიკური სამყარო იკითხება, რაც კაცობრიობამ საუკუნეების განმავლობაში შეიძინა. „ცხორებაჲ მეფეთ-მეფისა დავითისი“ ჰიპოდიგმურ-პარადიგმული სახეების მეშვეობით წარმოაჩენს დავით აღმაშენებელს, როდესაც მას ბიბლიურ დავითს, სოლომონს, ბესელიელს, მოსეს, ელიას, ზაქეს ადარებს. როგორც მოსალოდნელი იყო, თხზულებაში განსაკუთრებული ადგილი ეთმობა დავით და სოლომონ წინასწარმეტყველების ჰიპოდიგმას, უმეტესად კი _ დავით წინასწარმეტყველისას, რომელიც დავით აღმაშენებლის პარადიგმად იკითხება. ბიბლიურ პერსონალიათა სახეები მემატიანემ დავით აღმაშენებლის სრულყოფილი სახის წარმოსაჩენად გამოიყენა, რისთვისაც მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებების, მდიდარი სახისმეტყველებითი ხატები მოიხმო და ისტორიულ თხზულებას ესთეტიკური ღირებულებაც მიანიჭა. ამით თავად ისტორიკოსი-მემატიანე ქართული მხატვრული სიტყვის ოსტატადაც მოგვევლინა.

5. წმ. გრიგოლ ხანცთელის „საწელიწდო იადგარის“ მიზანდასახულობა და მისი ადგილის განსაზღვრისათვის ქართულ ჰიმნოგრაფიაში.

წმ. გრიგოლ ხანცთელის მიერ ზეპირად დაწერილი „საწელიწდო იადგარი“ ამ სახელწოდების მქონე პირველი კრებული უნდა იყოს, რომლის მიზანი რამდენიმე უნდა ყოფილიყო: 1. საგალობელთა ჩაწერა, 2. საგალობელთა სასწავლო დანიშნულება და 3. ნევმირება, რაც ბიზანტიაში უკვე ტრადიცია იყო. აქედან გამომდინარე, წმ. გრიგოლ ხანცთელი გვევლინება ტაო-კლარჯეთის ჰიმნოგრაფიული სკოლის ფუძემდებლად. იგი არის ქართული ლიტურგიკული პოეზიის რეფორმატორი, რომელმაც ქართულ ჰიმნოგრაფიას ეროვნული ნიშნები შესძინა, რაც ნევმირებით უნდა გამოვლენილიყო.

6. ალეგორია აკაკი წერეთლის პოემაში „ანდრია პირველწოდებული“

აკაკი წერეთლის პოემა „ანდრია პირველწოდებული“ პირველად 1884 წელს გამოქვეყნდა ჟურნალ „მწყემსში“. უნდა აღინიშნოს, რომ იგი სულ სამჯერაა გამოცემული, ერთხელ პოეტის სიცოცხლეში, მეორედ 1940 წელს თხზულებათა სრული კრებულის მესამე ტომში, მესამედ ახლახან _ აკაკი წერეთლის თხზულებათა სრული კრებულის მეოთხე ტომში 2014 წელს. ეს ფაქტი იმას მიუთითებს, რომ გამომცემლობებს, აკაკის თხზულებათა გამომცემლებს პოემის პოპულარიზაციაზე არ უზრუნიათ.

არც მეცნიერთა ყურადღებით ყოფილა განებივრებული. მხოლოდ მალხაზ კობიაშვილის მონოგრაფიაში აღნიშნული მოკლე ინფორმაცია შეიძლება დავასახელოთ. თუმცა, სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ პოემა უთუოდ იმსახურებს ყურადღებას და წმ. ანდრია პირველწოდებულის საქართველოში ქრისტიანობის ქადაგებისა და გავრცელების ისტორიას, წმ. ანდრია მოციქულის სასწაულთმოქმედებას საინტერესო თვალთახედვით წარმოგვიდგენს, რასაც თვითონ მოციქული მაცხოვრის მიბაძვად მიიჩნევს, ხოლო მაცხოვარი და წმ. ანდრია პირველწოდებული ჰიპოდიგმურ-პარადიგმული სტრუქტურით წარმოგვიდგებიან.

პოემა „ანდრია პირველწოდებული“ აკაკის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი თხზულებაა, რომელიც ადამიანებს, კერძოდ, ქართველებს, რწმენას, იმედს, ღვთის სიყვარულს, ადამიანის სულიერი განახლების იდეას, ღმერთისაკენ სვლის გზას ასწავლის. პოემის წყაროდ ქართულ და უცხოურ ენებზე შემონახული საღვთისმეტყველო, ნიკიტა//დავით პაფლაგონელისა და ეპიფანეს თხზულებები, და ისტორიული თხზულებები, „ქართლის ცხოვრებაში“ დაცული ცნობები საქართველოს გაქრისტიანების შესახებ, უნდა მივიჩნიოთ. პოემაში პირველი საუკუნეა გაცოცხლებული და, შესაბამისად, წმ. ანდრია პირველწოდებულის საქართველოში მოღვაწეობის პერიოდში ქრისტიანობასა და წარმართობას შორის მიმდინარე დაპირისპირება და ბრძოლა აისახება. პოემაში გადმოცემულ ამბავსა და პერსონაჟთა ქმედებას სიმბოლო და ალეგორია წარმართავს, რაც, საზოგადოდ, აკაკი წერეთლის მთელი პოეტური მემკვიდრეობისათვისაა დამახასიათებელი. პოემაში რამდენიმე სახისმეტყველებითი ასპექტი იკვეთება, რომელთა გაანალიზება ბიბლიურ-ევანგელური ჰიპოდიგმების გააზრებით ხდება შესაძლებელი. ამ მხრივ, ყურადღებას იქცევს პოემის ერთ-ერთი პერსონაჟის, გველის შხამით დაგესლილი უფლისწულის გარდაცვალება და მისი სასწაულებრივი გაცოცხლება, რაც წმ. ანდრია პირველწოდებულს, როგორც მაცხოვრის მოწაფეს, უფლის ძალმოსილების თანამოზიარედ წარმოგვიდგენს. გველის შხამით დაგესლილი უფლისწულის სახით საქართველო ალეგორიულადაა წარმოსახული, რაც მკითხველს XIX საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოს რეალურ ცხოვრებას აცნობს და უფლისწულის განკურნებით, მისი გაცოცხლებით იმედს უნერგავს. თავის მხრივ, უფლისწულის გაცოცხლების ეპიზოდი მაცხოვრის მიერ ლაზარეს აღდგინების ევანგელური სახისმეტყველებითაა შთაგონებული. აკაკი წერეთლის „ანდრია პირველწოდებული“ ბიბლიური სახისმეტყველებითაა გამსჭვალული და პოემის პოეტური სამყაროც მას ეფუძნება.

ლელა ხაჩიძე

1. გიორგი მთაწმინდელის მთარგმნელობითი მოღვაწეობის ისტორიიდან
(„მარხვანის“ მიხედვით)

ბიზანტიური ჰიმნოგრაფიის თარგმანები დაცულია ძველქართულ ლიტურგიკულ-ჰიმნოგრაფიული კრებულებში, რომლებმაც სრულყოფილი სახე მიიღო გიორგი მთაწმინდელის მიერ.

გიორგი მთაწმიდელი ათონისა და შავი მთის ქართული სალიტერატურო სკოლების ყველაზე ავტორიტეტული წარმომადგენელია. იგი ზედმიწევნით იცნობდა ბიზანტიურ და ქართულ სასულიერო მწერლობას. მისი ეპოქალური მოღვაწეობის ძირითადი პრინციპი იყო ქართული თარგმანების მაქსიმალური დაახლოება ბერძნულ ორიგინალებთან. აქედან გამომდინარე, მის მიერ შედგენილი კრებულები თანაბრად მნიშვნელოვანია როგორც ქართული, ისე ბიზანტიური მწერლობის შესწავლისათვის.

გიორგი მთაწმინდელის „მარხვანზე“ ჩატარებულმა ფუნდამენტურმა კვლევამ ნათელყო, რომ მან საგანგებოდ შეისწავლა „მარხვანისათვის“ განკუთვნილი ყველა წინადროინდელი ქართული

კრებული, შეუდარა ისინი ბერძნულ ორიგინალებს და მოახდინა მათი კლასიფიკაცია. საგალობელთა გარკვეული ნაწილი მან უცვლელად შეიტანა თავის კრებულში, რადგან ისინი ბერძნული ორიგინალების ადეკვატურ თარგმანებს წარმოადგენდა. საგალობელთა მეორე ნაწილს, ბერძნული ორიგინალების შესაბამისად, გაუკეთა რედაქცია, ხოლო საგალობელთა უმეტესობა ახალი, საკუთარი თარგმანებით წარმოადგინა.

როგორც ირკვევა, ანალოგიური ხასიათის სამუშაო ჩაუტარებია მას სხვა კრებულებზეც - „თუენებსა“ და „პარაკლიტონზე“.

ამ კრებულებში დაცულია V-XI საუკუნეებში მოღვაწე მრავალიბიზანტიელი პოეტ-მელოდოსის მრავალრიცხოვანი საგალობლების თარგმანები. მათი უმეტესობა ცნობილია სამეცნიერო ლიტერატურაში, თუმცა გიორგი მთაწმიდელის რედაქციის „მარხვანში“ დაცულია ამავე ავტორთა საგალობლების მნიშვნელოვანი ნაწილი, რომელთა ორიგინალები დღეისათვის ცნობილ სამეცნიერო ლიტერატურაში არ ჩანს. ამ შემთხვევაში ქართულ თარგმანებს ორიგინალების მნიშვნელობა ენიჭება. მათ შორისაა IX საუკუნის ბერძენი ავტორის - მარკოზის ვრცელი ფორმის საგალობლები, VIII საუკუნის ჰიმნოგრაფის - სტეფანე საბაწმინდელის საგალობლები და ა. შ.

2. ფოლკლორული გადმოცემები დიდმარხვის დღესასწაულების შესახებ

კანონიკურობის მიუხედავად, დიდმარხვის დღესასწაულები უკავშირდება ფოლკლორულ გადმოცემებს და ტრადიციებს. ერთი მხრივ, ფოლკლორული გადმოცემები გავლენას ახდენს დიდმარხვის სტრუქტურასა და კალენდარზე; მეორე მხრივ, თვით დიდმარხვის დღესასწაულები ასახულია ქართულ ფოლკლორსა და ტრადიციებში.

გადმოცემის მიხედვით, ჰერაკლე კეისრის სახელს უკავშირდება დიდმარხვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პერიოდის - „ყველიერის შვიდეულის“ დაწესება. ჰერაკლე კეისარი დათანხმდა იერუსალიმელი ებრაელების დასჯას იმ პირობით, რომ მთხოვნელები დანაშაულს თავის თავზე აიღებდნენ და დიდმარხვის წინ ყოველწლიურად დამატებით ერთ კვირას იმარხულებდნენ. სწორედ აღნიშნულ გადმოცემას უკავშირდება „ყველიერის შვიდეულის“ წარმოშობა.

საინტერესოა დასავლეთ საქართველოში დღემდე შემორჩენილი წეს-ჩვეულება, რომელსაც მისროზა (მირსობა) ეწოდება. მკვლევართა აზრით, ესაა ზოროასტრულ ღვთაება მითრასთან დაკავშირებული ძველი რიტუალის ასახვა. ეს დღესასწაული საქართველოს ყველა ამ კუთხეში დიდმარხვის დაწყებამდე აღინიშნება. ეს გარემოება, ვფიქრობთ, იმით უნდა აიხსნას, რომ ძველი რწმენა-წარმოდგენები ცდილობს ახალ - დიდმარხვის ქრისტიანულ წესთან „მორგებას“.

ფოლკლორულ გადმოცემებსა და რიტუალებში დომინირებს დიდმარხვის მოსამზადებელი პერიოდი (კერძოდ, ყველიერის შვიდეული, დიდმარხვის პირველი ორშაბათი) და ვნების ანუ დიდი შვიდეული.

დიდმარხვის პირველ ორშაბათს „შავ ორშაბათს“ უწოდებენ საქართველოს სხვადასხვა მხარეში, რასაც სვანეთში თან ახლდა სათანადო რიტუალი. ეს გადმოცემა დაედო საფუძვლად გრ. რობაქიძის ნოველას - „ წმინდა ხარის მოკვლა“.

დიდმარხვის ყველაზე ძველი და გამორჩეული პერიოდია ვნების ანუ დიდი შვიდეული, რომელსაც უკავშირდება მაცხოვრის ამქვეყნიური ცხოვრების ყველაზე მნიშვნელოვანი ეპიზოდები. საინტერესოა, რომ ქართული ხალხური ეპოსის უძველესი ნიმუშის - „ამირანიანის“ მიხედვით, მთავარი გმირის მარადიული მიჯაჭვა ვნების კვირას, დიდ ხუთშაბათს ხდება.

დიდმარხვის ყველაზე მძიმე დღე ვნების ანუ დიდი პარასკევია. ამ დღეს განწესებულია ყოველგვარი ცოდვისგან განრიდება, უზმოდ ყოფნა ან უმნიშვნელო საზრდოს მიღება. ხალხური ტრადიციის

მიხედვით , ამ დღეს ადამიანმა ყოველდღიური საზრუნავიც უნდა დაივიწყოს. ამ კონტექსტში უდაოდ იმსახურებს ყურადღებას ქართული ხალხური ეპოსის ცნობილი გმირის - არსენა მარაბდელის სიკვდილი ვნების ანუ წითელ პარასკევს.

3. საეკლესიო გალობის ისტორიიდან

ნაშრომი მიზნად ისახავს გალობის წესის შემოღებისა და დამკვიდრების განხილვას საქართველოში. ქრისტიანული გალობის განვითარების პირველ პერიოდში, V-VII სს-ში, ქართულ ენაზე ითარგმნა საგალობლების შემცველი უმთავრესი ლიტურგიკული კრებულები - „იერუსალიმის ლექციონარი“ და „უძველესი იადგარი“. VI ს-ში იღებს სათავეს ორიგინალური, ქართული ჰიმნოგრაფია. გალობის წესის შემდგომი განვითარება დაკავშირებულია VII-VIII სს-ების საბაწმიდურ სკოლასთან, კერძოდ, იოანე დამასკელისა და კოზმა იერუსალიმელის მოღვაწეობასთან. ამ დროიდან საგალობლები რვა ხმათა სისტემაზეა გაწყობილი. ამავე პერიოდიდან საბოლოოდ ჩამოყალიბდა საგალობელთა შექმნის ახალი წესი, რომელიც “ძლისპირ–დასდებლის“ შესატყვისობაზეა დამყარებული. საგალობელთა შექმნა და თარგმნა მრავალ სირთულესთან იყო დაკავშირებული, ამიტომაც შეიქმნა ტერმინი -„გალობის მეცნიერება“.

საქართველოს ეკლესიის დიდი მოძღვრის - გრიგოლ ხანძთელის „ცხოვრების“ მიხედვით, იმდროინდელ ქართლში არსებობდა სამგალობლო სკოლა, რომლის მიხედვითაც განისწავლა იგი. თავად გრიგოლ ხანძთელმა შემდგომში დიდი წვლილი შეიტანა ტაო-კლარჯეთის სამგალობლო სკოლების ჩამოყალიბებასა და განვითარებაში. ამ სკოლის უდიდესი წარმომადგენელია მიქაელ მოდრეკილი, რომელმაც შეადგინა ვრცელი ნევმირებული ანუ “მეხური იადგარი“. მასში დაცული ანდერძები მოწმობს, რომ მიქაელ მოდრეკილი არის პროფესიონალი პოეტ -მელოდოსი, “გალობის მეცნიერების“ ზედმიწევნით მცოდნე. იგივე უნდა ითქვას ამ ვრცელ კრებულში დაცულ ბერძნულ საგალობელთა უცნობ ქართველ მთარგმნელებზე, აგრეთვე იმ პოეტ–მელოდოსებზე, რომლებიც ორიგინალური ქართულ საგალობლებს ქმნიდნენ.

საეკლესიო გალობისადმი განსაკუთრებული დამოკიდებულება ჩანს გიორგი მთაწმინდელის “ცხოვრებასა“ და შემოქმედებაში, აგრეთვე მის მიერ დატოვებულ ანდერძებში.

4. ათონური კოლექციის ერთი ქართული ხელნაწერის (Ath. 38) შესახებ

ათონური კოლექციის ქართულ ხელნაწერთა შორისაა Ath. 38 ხელნაწერი, რომელიც XI საუკუნითაა დათარიღებული. ხელნაწერი წარმოადგენს გიორგი მთაწმინდელის რედაქციის „მარხვანს“.

Ath. 38 ვრცელი კრებულია - შეიცავს 720 გვერდს, რომელიც მრავალ ათეულ საგალობელს. ხელნაწერის მნიშვნელობას ზრდის ის გარემოება, რომ მასში ბევრ საგალობელთან მითითებულია ავტორები. Ath. 38 საშუალებას გვაძლევს აღვადგინოთ სხვა ხელნაწერებით ნაკლულად მოღწეული ე.წ.“მოსამზადებელი პერიოდი“ ანუ ანუ გიორგი მთაწმინდელის რედაქციის „მარხვანი“ წარმოვადგინოთ სრული სახით.

ხელნაწერი ყურადღებას იქცევს მასზე დართული ანდერძების თვალსაზრისითაც. ეს ანდერძები გვამცნობს XI საუკუნაში ათონზე მოღვაწე გიორგი ციხისჯვარელის პიროვნებას და მის მიერ გაწეულ ღვაწლს. აწიანის ქართული მონასტრისათვის მას მოუპოვებია ლიტურგიკულ-ჰიმნოგრაფიული კრებულები, მათ შორის Ath. 38-ში დაცული „მარხვანი“.

ამ ხელნაწერში გვხვდება აქამდე უცნობი ტერმინი -„ყურსალი“. ამ ყურსალებს მონასტრიდან წაუღიათ გიორგი ციხისჯვარელის მიერ „მოგებული“ წიგნები („პარაკლიტონი“, „სადღესასწაულოჲ“ და „მარხვანი’).

როგორც კვლევამ გვიჩვენა, სიტყვა „ყურსალი“ (Qursali) აღნიშნავდა დღევანდელი აზერბაიჯანის დასავლეთ ნაწილში მდებარე რეგიონს, რომელიც ამჟამად სომხეთის ტერიტორიაზეა და აზერბაიჯანელებითაა დასახლებული. ეს სიტყვა კომპოზიტია და ნიშნავს “ალის სოფელს ყურსის (Khurs) ტომისთვის“.

ლევან ბებურიშვილი

1. მოხსენებაში განხილულია კიტა აბაშიძის წვლილი ქართული ლიტერატურული კრიტიკის ისტორიაში, მისი შეხედულებების მიმართება ცნობილი ფრანგი ლიტერატურათმცოდნის ფერდინანდ ბრუნეტიერის მეთოდოლოგიასთან. გაანალიზებულია კრიტიკოსის მოსაზრებები ისეთი ზოგადთეორიული საკითხების ირგვლივ, როგორებიცაა მხატვრული ასახვის თავისებურებანი, ფორმისა და შინაარსის ურთიერთმიმართების საკითხი და ა. შ.
2. XIX საუკუნის 50-იანი წლები საკმაოდ საინტერესო ეტაპია ქართული კრიტიკული აზროვნების განვითარების ისტორიაში. ამ პერიოდში სხვა საყურადღებო საკითხთა გვერდით ქართულ კრიტიკაში წამოიჭრება სალიტერატურო ენის პრობლემაც. 50-იანი წლების კრიტიკული მასალების ანალიზის საფუძველზე აშკარა ხდება, რომ სწორედ ამ პერიოდში მომწიფდა სალიტერატურო ენის დემოკრატიზაციის მოთხოვნა, რომელიც სამოციანელებმა კატეგორიული ფორმით დააყენეს და რაც მთავარია, პრაქტიკულად განახორციელეს კიდეც. აღნიშნული გარემოება კი კიდევ ერთხელ გვარწმუნებს ე. წ. „თაობათა ბრძოლის“ თეორიის სიმცდარეში, რომლის თანახმადაც, ძველი თაობა რადიკალურად უპირისპირდებოდა თერგდალეულთა ენობრივ-ლიტერატურულ შეხედულებებს.
3. ნაშრომში განხილულია სოლომონ დოდაშვილის ლიტერატურულ-ესთეტიკური მრწამსი, ფილოსოფოსის შეხედულებები ლიტერატურის არსისა და დანიშნულების, ლიტერატურული ენის სიწმინდის, ქართული მწერლობის განვითარების ეტაპებისა და მათი დამახასიათებელი ნიშნების, რიტორიკის თეორიული საკითხების ირგვლივ.
4. მოხსენების ტექსტი გამოქვეყნებულია
5. ნაშრომში განხილულია ქართული რომანტიზმის თვალსაჩინო ფიგურის გრიგოლ ორბელიანის პოლიტიკური მრწამსის საკითხი. გაანალიზებულია პოეტის „პასუხი შვილთა“ და მისი ერთი პასაჟი, რომლის არასწორმა ინტერპრეტაციამაც გრ. ორბელიანის პოლიტიკური მრწამსის ირგვლივ დიდ გაუგებრობას დაუდო დასაბამი.
6. ნაშრომში განხილულია ვაჟა-ფშაველას პუბლიცისტური წერილების სერიის „წერილები მეგობართან“ შექმნის ისტორია, თხზულების პრობლემატიკა და მხატვრული თავისებურებები.

რუსუდან ნიშნიანიძე

1. **იაკობ გოგებაშვილი - ლიტერატურული პერსონაჟი**

   (როსტომ ჩხეიძის ტექსტების,,იის სურნელი თოვლში“, და ,,ეკლიანი და პატარა გზა“მიხედვით)

   იაკობ გოგებაშვილი დიდი და მნიშვნელოვანი წიგნების ავტორია. მისი დამსახურება არაერთხელ იქნა გაანალიზებული ქართულ სამეცნიერო და ლიტერატურულ კრიტიკაში. ამჯერად, მინდა ყურადღება გავამახვილო მხატვრულ სიტყვაზე - მწერლობაზე; იაკობ

გოგებაშვილი - ლიტერატურული პერსონაჟი. როსტომ ჩხეიძეს ეკუთვნის ბიოგრაფიული რომანი ,, ბურჯი ეროვნებისა ", რომელიც იაკობ გოგებაშვილის ცხოვრებასა და შემოქმედებას ეხება. მოცულობითი სალიტერატურო ტექსტი აღწერს არა მხოლოდ ამ გამორჩეული, დიდი მოღვაწის მიერ განვლილ გზას, არამედ იმ ეპოქას, რომელშიც მას მოუწია მუშაობა. ამავე მწერლის სხვა ნაწარმოებებში იაკობ გოგებაშვილი ზოგჯერ მთავარი პერსონაჟია, ზოგჯერ კი ავტორის რომელიმე მნიშვნელოვანი სათქმელის გამომხატველი. განვიხილავ პიესას ,,იის სურნელი თოვლში" და მეორეს - ,,დეტექტიური მცდელობა " -,, ეკლიანი და პატარა გზა". როსტომ ჩხეიძე ცდილობს, დახატოს ეპოქის შემქმნელი ადამიანების მხატვრული პორტრეტები. იაკობ გოგებაშვილი XIX საუკუნის თანამონაწილეა, უფრო მეტიც, ერთ-ერთი მთავარი პერსონაჟი.

2. **ნიკოლოზ ბარათაშვილი - სამანს იქით...**

ემიგრანტული მწერლობა არაერთ საკითხთან მიმართებაში გარკვეულ სიფრთხილეს ითხოვს: ვგულისხმობ არა მხოლოდ შემოთავაზებული ტექსტის ანალიზს, არამედ სიუჟეტის კონტექსტში ამა თუ იმ ფაქტის მოწოდების და კომენტარის შემთხვევასაც. დოკუმენტური ნიმუშები - მემუარები, მოგონებები, მიძღვნითი ხასიათის ლექსები თუ ამ ყაიდის ჩანახატები აღადგენენ ეპოქას, იმ ძირითად სააზროვნო პოსტულატებს, რომლებიც განსაზღვრავენ სხვადასხვა ინტერესთა სფეროს და არცთუ იშვიათად, იხატება პორტრეტები, გამოიკვეთება სილუეტები. ამ შემთხვევაში საინტერესოა, ვისზე წერენ, ვინ ხდება მათთვის მნიშვნელოვანი. არცთუ იშვიათად, უცხოეთში გამოცემულ პერიოდულ პრესაში საბჭოთა საქართველოში დაბეჭდილი მასალაც მოხვდება.

ნიკოლოზ ბარათაშვილის პიროვნება და განსაკუთრებით შემოქმედება არაერთი თვალსაზრისითაა მათთვის განსჯის საგანი. მწერლობაში მხატვრული სიდიდის და ესთეტიკის განზომილებით და რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, პოლიტიკური პოზიციითაც. ამჯერად განვიხილავ საფრანგეთში გამომავალ გაზეთში ,,დამოუკიდებელი საქართველო", ამავე სახელმწიფოში დაბეჭდილ ჟურნალში ,,სამშობლო", ისტორიულ, ლიტერატურულ, სამეცნიერო კრებულში ,,ბედი ქართლისა" და სხვა გამოცემებში წარმოდგენილ პუბლიკაციებს. ქართველი პოეტის - ნიკოლოზ ბარათაშვილის ცხოვრება და ლიტერატურული მემკვიდრეობა მნიშვნელოვანია ეროვნული ისტორიული ემიგრაციისათვის.

3. **ლიტერატურული გადაძახილი და არშემდგარი ექო ზ. ქარუმიძის ტექსტი -,,ბაში- აჩუკი ანუ მობი დიკი"**

მწერლობას თავისი სავალდებულო მოთხოვნები და რაც მთავარია, ესთეტიკა გააჩნია. არის ფარული განზომილებები და დაშვებები, რომლებიც განსაზღვრავს ავტორის ინტერესებსა და გემოვნებას; ზოგადად, ამას სტილიც დაერქმევა ხოლმე. 2013 წელს ზურაბ ქარუმიძის ტექსტის - ,,ბაში-აჩუკი ანუ მობი დიკი"-ს ელექტრონული ვერსია შესთავაზა გამომცემლობა ,,საბამ" მკითხველებს.

სწორედ სათაურმა მიიპყრო ყურადღება და იმავდროულად, ვფიქრობ, სრულიად არასწორად გამოყენებულმა კავშირმა: ,,ანუ". სად იწყება დიდი ქართველი პოეტის, აკაკი წერეთლის სათქმელი და ამერიკული ლიტერატურის კლასიკოსის, ჰერმან მელვილის ტექსტი, რომელიც ლიტერატურათმცოდნეების და კინომცოდნეთა შორის ინტერპრეტაციის სხვადასხვა მნიშვნელობას ინარჩუნებს და დღემდე განსჯის საგანია. ამ ორ სრულიად სხვადასხვა რანგისა და დატვირთვის ტექსტს შორის ,,ჩასმული" ეს ,,ანუ" და საკუთარი, ე.წ.

პოსტმოდერნისტულ ყაიდაზე მოყოლილი ამბები, სადაც ჩვენთვის ნაცნობ პოლიტიკოსებს ,,ამოვიცნობთ“. (?) მხატვრული ლიტერატურა, პუბლიცისტიკა, ჟურნალისტიკა ___ რეალობა, ნატურალიზმი, ჭუჭყიანი თხრობა, რომელიც ასეთივე ამბების დამალვას კი არ გულისხმობს, არამედ გადმოცემის იმ ფორმის მოძებნას, სიმძაფრეს რომ არ კარგავს და იმავდროულად, არ დაგასმევინებს შეკითხვას: ეს მხატვრული ლიტერატურაა?! ან: ახლა ამას ასე ჰქვია?!
სამივე ტექსტის გარშემო წარმოდგენილი ლიტერატურული რემინისცენციები და პარალელები ვფიქრობ, საინტერესოა გარკვეული ასპექტების გამოკვეთის თვალსაზრისითაც.

ხვთისო მამისიმედიშვილი

1. კავკასიას, როგორც წესი, დასავლური და აღმოსავლური, ამ ორი დიდი ცივილიზაციის შეხვედრის ადგილად მიიჩნევენ, რომელიც არასოდეს ყოფილა იზოლირებული აღმოსავლეთისგან და დასავლეთისგან. მსოფლიო რელიგიები: მაზდეანობა, ქრისტიანობა და ისლამი - გავლენას ახდენდა კავკასიის ხალხების კულტურაზე, ცხოვრების ყაიდასა და ზეპირსიტყვიერებაზე. კავკასიის ხალხთა ზეპირსიტყვიერ ტექსტებში დასავლურ და აღმოსავლურ კულტურათა სინკრეტიზმის არაერთი მაგალითი დასტურდება.

ჩრდილოეთ კავკასიის ხალხთა საგმირო ეპოსები ისტორიულად ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე ყალიბდებოდა. აქედან გამომდინარე, მასში აისახა სხვადასხვა ეპოქისა და სხვადასხვა რელიგიებთან შეხვედრის ამსახველი ელემენტები. ჩრდილოეთ კავკასიის ხალხთა ეპოსებში სიუჟეტების სიმდიდრეს განაპირობებდა, ერთი მხრივ, ურთიერთობა სამხრეთ კავკასიასთან, საიდანაც, ქართულ კულტურასთან ერთად, ვრცელდებოდა სპარსული და მახლობელი აღმოსავლეთის ხალხთა ეპიკური შემოქმედების მოტივები, მეორე მხრივ, კი, როგორც ვს. მილერი მიუთითებდა, კავკასიის მთის ხალხების ფოლკლორულ შემოქმედებაზე გავლენას ახდენდა სტეპის მომთაბარე ტომების: ჰუნების, ბულგარების, ხაზარების, ყივჩაღებისა და ნოღაელების ზეპირსიტყვიერება.

ჩრდილოეთ კავკასიის ხალხთა საგმირო ეპოსებში დასტურდება როგორც ქრისტიანული მოტივები და სახელწოდებები, ისე ზოროასტრიზმის ცალკეული ელემენტები, რომელიც ოსური და ინგუშური თქმულებების ერთ-ერთ უძველეს შრეს უნდა წარმოადგენდეს. ზოროასტრული მოტივებით მდიდარია ოსური თქმულება „სავასა“, რომლის თანახმად, ღმერთმა ცეცხლის ღვთაების თხოვნით შექმნა ადამიანი, რომელიც შემდეგ ცეცხლში აწრთო და ცეცხლის გამოყენების ნება დართო.

ზოროასტრული რწმენის გავლენა განსაკუთრებით ეტყობა იმ ოსურ, ინგუშურ და ქართველ მთიელთა, კერძოდ კი ხევსურულ ხალხურ ტექსტებს, რომლებიც საიქიოს შესახებ მოგვითხრობენ. ასეთია ოსურ ფოლკლორში ცხენშეწირვის ტექსტი, რომელიც მიცვალებულის საფლავთან სრულდებოდა, ოსური ნართული ქადაგი „სოსლანის მოგზაურობა საიქიოში“, ინგუშური თქმულება „საიქიოში გადაწყვეტილი კამათი“, ხევსურული „სულის ცხენის დალოცვის“ ტექსტი და სხვ.

მკვლევარები გარკვეულ პარალელს ავლებენ ოსური ეპოსის პერსონაჟ სათანასა და მაზდეანურ სამყაროში ერთ-ერთ პოპულარულ ქალღმერთ არდვისურ ანაჰიტას შორის, რომელიც ასევე დევგმირებს ეხმარებოდა. ხოლო ოსური ნართების ეპოსის პერსონაჟ სოსლანის მზიურ ბუნებას ზოროასტრულ ღვთაებრივ ნათელთან და მის საწყისთან მივყავართ.

ინგუშურ თქმულებებში სამოცდასამი ნართ-ორსთხოელის მიერ გამდნარი სპილენძის რიტუალური შესმა თავის ახსნას უძველეს ზოროასტრულ ესქატოლოგიაში პოულობს, რომლის თანახმად, ყოველი ადამიანი პასუხს აგებს ჩადენილ ცოდვაზე და განსაცდელს გამდნარი ლითონის ნაკადში გადაიტანს, „რომელიც მართლებს თბილ რძესავით შეერგებათ, ხოლო ცოდვილთათვის ის, ჭეშმარიტად, გამდნარი ლითონი აღმოჩნდება“. გამდნარ ლითონს, როგორც მაზდეანურ რელიგიურ მოძღვრებაში, ისე ინგუშურ თქმულებებში, ერთგვარი ორდალის ფუნქცია აკისრია. ზოროასტრული მოძღვრების თანახმად, როცა დადგება განკითხვის დღე, გამდნარი ლითონით ქვეყნიერებაზე ბოროტება აღმოიფხვრება.

ზოროასტრიზმის გავრცელება ჩრდილოეთ კავკასიაში თავის დროზე საქართველოს სამეფო კარის მეშვეობით უნდა მომხდარიყო, რადგან, როგორც ცნობილია, ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებამდე და მერეც, მთელი ორი საუკუნის მანძილზე, საქართველო მაზდეანური ირანის კულტურულ და პოლიტიკურ გავლენას განიცდიდა.

2. „ჟამნის“ სახელით ცნობილ შავი ჭირის ეპიდემიაზე ქართულ ზეპირსიტყვიერ ფონდში იძებნება გადმოცემათა ციკლი, რომელიც ავადმყოფობის გავრცელების პროცესს, ადამიანების მასობრივ დასნეულებასა და დაღუპვას ასახავს. შავი ჭირის ეპიდემიასთან დაკავშირებული გადმოცემები ქართულ ფოლკლორში, სავარაუდოდ, XIV საუკუნის შუა წლებზე ადრე ვერ შეიქმნებოდა, რადგან საქართველოში ეს საშინელი სენი 1346-1348 წლებში მძვინვარებდა, რომელმაც შემდეგ კვლავ არაერთხელ იჩინა თავი.

ქართულ ფოლკლორში, ისევე როგორც მთელ ევროპაში გავრცელებულ თქმულებებში, გადამდები სნეულებები პერსონიფიცირებულია. „ჟამთ“ თავიანთი ფუნქციითა თუ საბრძოლო იარაღით, მართალია, ორეულები მოეპოვებათ ევროპის ხალხთა ფოლკლორულ თქმულებებში, თუმცა გარეგნული ატრიბუტებით, სატრანსპორტო საშუალებით, ადამიანებთან ურთიერთობითა და აკრძალვის დაწესებით ისინი ქართულ ფოლკლორში განსხვავებულ თვისებებს ავლენენ.

შავი ჭირის გამავრცელებელ მითოლოგიურ არსებებზე გადმოცემები ქართულ ფოლკლორში ძირითადად ხევსურეთის ტრადიციულმა საზოგადოებებმა შემოგვინახეს. აღნიშნული ციკლის გადმოცემები ხევსურეთში დიდი ჟამიანობის შესახებ მოგვითხრობენ. ისევე როგორც მითოლოგიური შინაარსის ტექსტებისთვის არის დამახასიათებელი, გადმოცემებში მოქმედება ხდება კონკრეტულ გეოგრაფიულ სივრცეში, კონკრეტულ სოფლებში. ხალხური მეხსიერება ჟამთან მოსახლეობის გამკლავებას, როგორც წესი, ეპიკურ-მითოლოგიურ ჭრილში წარმოგვიდგენს. ჟამნი ადგილობრივი მოსახლეობიდან ერთ-ერთ პირს ირჩევდნენ და ჟამის გასავრცელებლად იყენებდნენ. თუმცა დაუსჯელი არც ის რჩებოდა. აკრძალვის დარღვევის შემდეგ ჟამნი მას ჟამის გამომწვევი ისრებით საყვარელ შვილს უკლავდნენ.

სოფელს „ჟამთა“ ერთნაირი ზიანი ვერ მიაყენეს. თვითიზოლაციისა თუ თემის მფარველ წმინდანთა დახმარებით შავი ჭირის გამავრცელებელმა არსებებმა ზოგან საერთოდ ვერ შეაღწიეს, ისინი უკუიქცნენ ან სოფელს გვერდით აუარეს, ზოგან მოსახლეობა ეპიდემიისგან შედარებით ნაკლებად დაზარალდა, ხოლო ზოგიერთ სოფელში მოსახლეობა თითქმის მთლიანად გაწყდა, რასაც სოფლების სიახლოვეს დღემდე მოღწეული ჟამიანთა აკლდამებიც ადასტურებს.

ზეპირ ტექსტებში სიუჟეტურად არის გაშლილი მითოლოგიური არსებების ე. წ. „ჟამნის“ მიერ მოსახლეობის დასნებოვნება; გადმოცემებში ხსენდება „ჟამნის“ სატრანსპორტო საშუალებები, ეპიდემიის გამავრცელებელი იარაღი, ეპიდემიის წინააღმდეგ ბრძოლის ფორმები: პრევენციის მიზნით მაგიური საშუალებების გამოყენება, საყმოების გადარჩენაში ზებუნებრივ არსებათა მონაწილეობა და სხვ. აღნიშნული დეტალები ზეპირ ტექსტებს ეპიკურ სრულყოფილებასა და მხატვრულ-მითოლოგიურ დამაჯერებლობას ანიჭებს.

3. მოხსენებაში წარმოდგენილია, თუ რა საერთო ელემენტები და მოტივები დასტურდება ქართულ ფოლკლორსა და ქართულ აგიოგრაფიაში. ასევე, თუ რა მიზნით არის გამოყენებული ტრადიციული ელემენტები, ერთი მხრივ, ფოლკლორულ ტექტებში, მეორე მხრივ, აგიოგრაფიულ ლიტერატურაში. მოხსენებაში განხილულია რამდენიმე საერთო მოტივი, რომლებიც დასტურდება როგორც ფოლკლორში, ასევე აგიოგრაფიულ ძეგლებში:

1) სალოცავის დაარსებასთან დაკავშირებული ზებუნებრივი ნიშნები.
2) ნათლის სვეტი აგიოგრაფიულ ტექსტებსა და მითოლოგიურ გადმოცემებში.
3) წმინდანთა და კულტის მსახურთა გარეგნობასთან დაკავშირებული საკრალური ნიშნები.
4) მირონმდინარი ხის მოტივი.
5) კულტთან (მფარველ წმინდანთან) დაკავშირებული სიზმრები, ხილვები და გამოცხადებები.
6) ირმისა და მტრედის მოტივი.
7) ესქატოლოგიური მოტივები: „მგელი კარაულთა მწყემსად“ შიო მღვიმელის ცხოვრებაში; გარეჯის ვეშაპის მოტივი დავით გარეჯელის ცხოვრებაში აპოკატასტასის კონტექსტში.

როგორც კვლევა გვიჩვენებს, ხალხურ ტექსტებსა და აგიოგრაფიულ თხზულებებში საერთო ტრადიციულ ელემენტებსა და საკრალურ სიმბოლოებს აქვთ ერთი და იგივე წყარო. ზოგიერთი მათი არქეტიპი მითოლოგიურ უნივერსალიას წარმოადგენს, ზოგიც ამ სახით ქრისტიანულ რელიგიაში ჩამოყალიბდა და შემდეგ ზეპირი თუ წერილობითი გზით გავრცელდა.

ელგუჯა ხინთიბიძე

„ვეფხისტყაოსანში“ ავტორის მიერ გამოვლენილია ანტიკური მითოსის პერსონაჟის - პერსონიფიცირებული დემონის (ანტიკური მნიშვნელობის თანახმად, ღვთაებრივი სულის, გენიის) - „ეროსის“ დამოწმება. ერთი მხრივ, *სიყვარულის* მნიშვნელობით, ხოლო მეორე შემთხვევაში, სიყვარულის პერსონიფიცირება.

ნანა გონჯილაშვილი (თანაავტორი)

ალ. გრიბოედოვის კომედიის „ვაი ჭკუისგან“ ქართული თარგმანების რეცეფცია

ალ. გრიბოედოვი თავის პიესას –„ვაი ჭკუისაგან“ – რამდენიმე წლის განმავლობაში წერდა. კომედიის შექმნაზე ფიქრი მას 1820 წლიდან დაუწყია (ს. ნ. ბეგიჩევის გადმოცემით, 1816 წლიდან), ხოლო თბილისში შესდგომია ჩანაფიქრის განხორციელებას (ამ საკითხთან დაკავშირებით მკვლევრები განსხვავებულ მოსაზრებებს გამოთქვამენ). 1823 წელს ალ. გრიბოედოვს კომედიის პირველი ვარიანტი «Горе уму» დაუსრულებია. ერთი წლის შემდეგ

კი, როგორც სათაური («Горе от ума»), ასევე პიესის ზოგიერთი ადგილი საფუძვლიანად გადაუკეთებია. ნაწარმოები მწერლის სიცოცხლეშივე ვრცელდებოდა ხელნაწერის სახით. ასევე იბეჭდებოდა მისი ცალკეული ნაწილებიც. ცენზურის მიერ მნიშვნელოვნად ჩასწორებული პიესა 1833 წელს გამოიცა, კომედიის სრული ტექსტი კი – მხოლოდ 1862 წელს. კომედია მრავალმხრივაა საინტერესო: აქტუალური თემატიკით, სტრუქტურით, რეალიებითა და ნაციონალური კოლორიტის შემცველი იდიომატური გამონათქვამებით და ა. შ., რომელთა ერთი ენიდან მეორე ენაზე გადატანა მთარგმნელისგან დიდ ნიჭსა და გამოცდილებას მოითხოვს.

უნდა აღინიშნოს, რომ მე-19 საუკუნის 30-იან წლებში უკვე ჩნდება კომედიის უცხო ენაზე ამეტყველების ცდები. პირველი გერმანული და პოლონური თარგმანები 1931 წლით თარიღდება (მთარგმნელები არიან: კარლ ფონ კნორრინგი, ლუის შნაიდერი, აპოლ კოჟენოვსკი). მოგვიანებით ნაწარმოები ითარგმნა ინგლისურ, ფრანგულ, ლატვიურ, თურქულ, სომხურ და ა.შ. ენებზე. მკვლევართა ცნობით, დღეისათვის პიესის 25 ენაზე შესრულებული 90 თარგმანი არსებობს. ალ. გრიბოედოვის პიესის როგორც ტექსტი, ასევე თარგმანები საფუძვლიანადაა შესწავლილი რუსი და უცხოელი მკვლევრების მიერ (ე. ვ. აბლოგინა, ნ.ე. რაზუმოვა, ნ.პ ვორონოვა, მ.ა გამაზოვი, ნ.ა. სოლოვევა, ლ. ვინერი...)

ალ. გრიბოედოვის კომედიის გრიგოლ წინამძღვრიშვილისეული პირველი ქართული თარგმანი 1853 წელს დაიბეჭდა. თარგმანს ერთვის შესავალი და ბოლოსიტყვაობა. წინასიტყვაობაში მთარგმნელი მკითხველს სთავაზობს ალ. გრიბოედოვის ბიოგრაფიას, საკუთარ მოსაზრებებს კომედიის სახელწოდების შესახებ. ბოლოსიტყვაობაში გრ. წინამძღვრიშვილი „მართებულად აფასებს გრიბოედოვის კომედიის მნიშვნელობას“, საუბრობს თავის მთარგმნელობით პრინციპებზე, ამართლებს საკუთარ არჩევანს – თავისუფალი თარგმანის მეთოდს.

არსებობს ცნობა, რომ ალ გრიბოედოვის პიესა (შექსპირის „რომეო და ჯულიეტასთან ერთად) ალექსანდრე ყაზბეგსაც უთარგმნია.

1898-1899 წლებში ქართველი მკითხველი ჟურნალ „კვალში“ ალ. გრიბოედოვის კომედიის დომინიკა ერისთავისეულ (განდეგილი) თარგმანის ცალკეულ ნაწილებს გაეცნო. 1902 წელს დ. ერისთავის ეს თარგმანი ილია ჭავჭავაძის რედაქტორობით ცალკე წიგნადაც გამოიცა.

მოგვიანებით პიესა კიდევ ერთხელ ითარგმნა ქართულ ენაზე. კომედიის სიკო ფაშალიშვილისეული თარგმანი მრავალმხრივ საყურადღებოა და მნიშვნელოვანი.

მოხსენებაში წარმოდგენილია ალ. გრიბოედოვის კომედიის ქართული თარგმანებიდან გრ. წინამძღვრიშვილის, დ. ერისთავისა და ს. ფაშალიშვილის თარგმანების ანალიზი (კვლევისას ვეყრდნობით: ალ. გრიბოედოვის ტექსტის „Горе от ума“-ს ინტერნეტვერსიას (https://ilibrary.ru/text/5/p.1/index.html), ხოლო ქართული თარგმანებისთვის: 1853 წელს გამოცემულ გრ. წინამძღვრიშვილის, 1902-1903 წწ. ჟურნალ „მოამბის“ ნომრებში დაბეჭდილ დ. ერისთავისა და 1960 წელს გამოცემულ სიკო ფაშალიშვილის ტექსტებს). ნაშრომში განხილულია ალ. გრიბოედოვის ნაციონალური კოლორიტის შემცველი იდიომატური გამონათქვამების («закрутить хохол», «быть в случае»...), რეალიების («грош»...), ფუნქციური

სახელების (Фамусов, Репетилов, Чацкий თავდაპირველი ვერსიით Чадский,) თარგმანებში გადმოტანის გზები თუ საშუალებები, ქართულ თარგმანებში არსებულ ბარბარიზმები (გრ. წინამძღვიშვილთან გვხვდება: ვეჩერი, ბალი, ფრანცუზი, სკუჩნობა... ამ მხრივ გამონაკლისს არც დომინიკა ერისთავის თარგმანი წარმოადგენს), შესწავლილია, როგორ იცვლება (დროის გათვალისწინებით) პიესის ქართულ თარგმანებში მთარგმნელობითი პრინციპები, პოეტიკა, ენობრივი მარკერები (თარგმანებისთვის დამახასიათებელია: სუბიექტივიზმი, რუსული ლექსიკური ერთეულების, იდიომების არასწორად აღქმა და, შესაბამისად, გადმოტანა, კლება-მატება, გამოტოვება...).

7.2. უცხოეთში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	Lela Khachidze	Byzantine and Georgian Hymnographical Heritage (“Lenten Triodion under George the Athonite’s Redaction”).	14th Annual International Virtual Conference on Global Studies & Athens International Symposium on Education and Research 18.12.2020
2	თამარ შარაბიძე	Common Plural Subjects in the Creative Works of the Same Epoch: Two-Georgian and Azerbaijani Writers	ბაქო. ხაზარის უნივერსიტეტი, 12 სექტემბერი,2020.
3	თამარ პაჭაძე	The Word as a Cultural Code in Modernist Artistic Discourse (City-Cultural Space and Symbolic Binary)	Khazar University Baku, Azerbaijan 12.09.2020 ICPL 2020
მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა) **ლელა ხაჩიძის მოხსენება** *გამოქვეყნებულია შესაბამის საიტზე - შესაბამისი დღის (18.12.2020) პროგრამაში.			

ერთეულს თუ საჭიროდ მიაჩნია, შეუძლია ანგარიშში შეიტანოს სხვა, მისთვის მნიშვნელოვანი აქტივობაც.

ანგარიში წარმოდგენილი უნდა იყოს ნაბეჭდი (2 ეგზემპლარად) და ელექტრონული ვერსიის
(CD-დისკი) სახით.

ანგარიში, რომელიც არ არის შედგენილი ამ დანართის მოთხოვნების შესაბამისად, ექსპერტიზას (შეფასებას) არ ექვემდებარება და შეფასების შემაჯამებელ დოკუმენტში აღინიშნება ფორმულით „არ შეფასდა“.

ანგარიშის ფორმა №2

2020 წელს გაწეული სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ანგარიში

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის დასახელება

ქართული ენის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი

ინსტიტუტი შედგება ორი კათედრისაგან:

ა) ქართველური ენათმეცნიერების კათედრის ხელმძღვანელი: პროფესორი რამაზ ქურდაძე.

ბ) ძველი ქართული ენისა და ტექსტოლოგიური კვლევების კათედრის ხელმძღვანელი: პროფესორი დარეჯან თვალთვაძე.

ინსტიტუტთან არსებობს ორი სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი:

ა) ძველ ქართულ ხელნაწერთა შემსწავლელი სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი „ორიონი“, ხელმძღვანელი: აკადემიკოსი მზექალა შანიძე.

ბ) ქართველური ონომასტიკის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი ცენტრის ხელმძღვანელი: ფილ. მეცნ. დოქტორი პატიკო ცხადაია.

სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა ხელმძღვანელის მითითებით

პროფესორი **რამაზ ქურდაძე, ქართველური ენათმეცნიერების კათედრის ხელმძღვანელი**

პროფესორი **დარეჯან თვალთვაძე, ძველი ქართული ენისა და ტექსტოლოგიური კვლევების კათედრის ხელმძღვანელი**

ასოცირებული პროფესორი **კახა გაბუნია,**

ასოცირებული პროფესორი **ინგა სანიკიძე,**

ასოცირებული პროფესორი **სალომე ომიაძე,**

ასოცირებული პროფესორი **რუსუდან ზექალაშვილი,**

ასოცირებული პროფესორი **მაია ლომია,**

ასოცირებული პროფესორი **ქეთევან მარგიანი-სუბარი,**

ასოცირებული პროფესორი **ნინო შარაშენიძე,**

ასოცირებული პროფესორი **გიული შაბაშვილი,**

ასოცირებული პროფესორი **ანა ხარანაული,**

ასოცირებული პროფესორი **ლელა ციხელაშვილი,**

აკადემიკოსი **მზექალა შანიძე, ქართულ ხელნაწერთა შემსწავლელი სამეცნიერო ცენტრი „ორიონი“-ს ხელმძღვანელი**

მკვლევარი **მარინე ოდიკაძე,**

ფილ. მეცნ. დოქტორი **პატიკო ცხადაია, ქართველური ონომასტიკის სამეცნიერო–კვლევითი ცენტრი ცენტრის ხელმძღვანელი**

უფროსი ლაბორანტი **დოდო შონია,**

ლაბორანტი **სოფია შამუგია,**

ლაბორანტი **დოდო ქიტუაშვილი,**

ლაბორანტი **გიორგი ქიტოშვილი,**

ლაბორანტი **თინათინ ჯიქურაშვილი.**

1. სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის პერსონალის მიერ შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

1.1.

№	გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	2	3	4
გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2020 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)			

1.2.

№	დასრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	2	3	4
დასრულებული კვლევითი პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)			

2. შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტით დაფინანსებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

2.1.

№	გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	2	3	4
1	„უარყოფის კატეგორია ქართველურ ენებში“ *საქართველოს შემსწავლელი მეცნიერებები, ჰუმანიტარული მეცნიერებები* FR17_388	2017-2020	**რამაზ ქურდაძე** (სამეცნიერო ხელმძღვანელი) **მაია ლომია** (კოორდინატორი, მეცნიერ-მკვლევარი) ნინო ჭუმბურიძე (მეცნიერ-მკვლევარი – ძირითადი პერსონალი)

			თამარ ჩანქსელიანი (ახალგაზრდა მეცნიერი – ძირითადი პერსონალი) **ქეთევან მარგიანი** (ექსპერტ-სპეციალისტი-დამხმარე პერსონალი)

გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2020 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

2020 წლის ეტაპი აერთიანებს ორ – V და VI საანგარიშო პერიოდებს: იანვრიდან ივნისის ჩათვლით და ივლისიდან დეკემბრის ჩათვლით. 2020 წელს ორივე საანგარიშო პერიოდში მიღწეული **ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები:** კერძოდ,

V საანგარიშო პერიოდში: დასრულდა ქართულ და უცხო ენებზე არსებული სპეციალური ლიტერატურის დამუშავება; დასრულდა ქართული, მეგრული, ლაზური, სვანური ემპირიული მასალის შერჩევა და დამუშავება; დასრულდა წინა სანგარიშო პერიოდებში ველზე მოპოვებული მასალების ჩართვა კვლევაში. დასრულდა მონოგრაფიის თეორიული ნაწილის სისტემატიზაცია – განისაზღვრა პრობლემური საკითხები და დაისახა მათი ანალიზის მეთოდოლოგიური გზები.

VI საანგარიშო პერიოდში: **უცხოეთის საერთაშორისო ღონისძიებაში** მონაწილეობა განხორციელდა ონლაინკონფერენციის საშუალებით; კერძოდ, გრანტის წევრებმა 56-ე საერთაშორისო კოლოქვიუმზე(http://www.lingcoll.de) წარადგინეს ორი მოხსენება ინგლისურ და გერმანულ ენებზე: ენებზე: 1. Georgian Negative Particles *ara/ar "no/not"* of the Poetic Text and Translation Problems Text (რ. ქურდაძე, მ. ლომია), 2. Funktionsverteilung von Negationspartikeln in kartvelischen Sprachen (ნ. ჭუმბურიძე, ქ. მარგიანი, მ. ლომია). კონფერენციის ვებგვერდზე ატვირთულია პროგრამა, აბსტრაქტების კრებული, მონაწილეთა სია. **საველე სამუშაოები** განხორციელდა სამეგრელოსა და სვანეთში. მასში მონაწილეობდნენ გრანტის წევრები: რ. ქურდაძე, მ. ლომია, თ. ჩანქსელიანი. გადამოწმდა და დაზუსტდა მასალები ტიპოლოგიური შედარებისთვის. მუშაობა წარიმართა გამოკითხვის, ანკეტის შევსებისა და გაბმული თხრობის მიხედვით. ველზე მოპოვებულმა ფოტო, აუდიო/ვიდეო მასალამ შეავსო გრანტის ფარგლებში განხორციელებული საველე მუშაობის შედეგად შექმნილი მონაცემთა ბაზა. სამეგრელოში, სვანეთში, ლაზეთში, მათ შორის თურქეთის ლაზეთში, მოპოვებული მასალები ასახავენ თანამედროვე მეტყველებას. ხშირად ამ მასალებში მოცემულია ისეთი მონაცემები, რომელბიც არ დასტურდება საუკუნის წინ ბეჭდურად გამოცემულ მეგრულ, ლაზურ, სვანურ ტექსტებსა და ლექსიკონებში. **ველზე მოპოვებული მასალის მონაცემთა ბაზის ნიმუშები** (ფოტო-აუდიო-ვიდეომასალები) **აიტვირთა** ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ვებგვერდზე, სპეციალურად რუსთაველის ფონდის დაფინანსებით განხორციელებული პროექტებისთვის გამოყოფილ ვებსივრცეში. თსუ არნ. ჩიქობავას სახელობის **ენათმეცნიერების ინსტიტუტის 79-ე სამეცნიერო სესიაზე** გრანტის წევრებმა: ნ. ჭუმბურიძემ, მ. ლომიამ, ქ. მარგიანმა წარადგინეს მოხსენება: *უარყოფითი ნაწილაკების ექსპრესიული ფუნქციით გამოყენების შემთხვევები ქართველურ ენებში.* სესია ტარდება 2020 წლის 22-24 დეკემბერს. სესიის მასალების (პროგრამა და თეზისები) პდფ ვერსია განთავსებულია შემდეგ მისამართზე:

https://ice.ge/of/wp-content/uploads/2020/12/2020_სესიის-მასალები.pdf

მომზადდა: **მონოგრაფიის პირველადი ვერსია** და გაუკეთდა რედაქტირება, **რეზიუმეს ინგლისურენოვანი ვერსია** და გაუკეთდა რედაქტირება.

№	გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით,	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

	პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი		
1	2	3	4
2	FR17_387 პერფექტის სემანტიკის განვითარება და მისი გრამატიკული რეალიზაცია ქართულში 2017 წლის ფუნდამენტური კვლევებისთვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების კონკურსი საქართველოს შემსწავლელი მეცნიერებები, ჰუმანიტარული მეცნიერებები (7.6)	30 თვე, 19/12/2017-19/06/2020	**გიული შაბაშვილი** - პროექტის სამეცნიერო ხელმძღვანელი, ძირითადი პერსონალი ნინო ბაგრატიონ-დავითაშვილი - პროექტის კოორდინატორი, ძირითადი პერსონალი ირაკლი სალია - ძირითადი პერსონალი სოფია შამუგია - ძირითადი პერსონალი

გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2020 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1. შესრულებულია მონოგრაფიის შემდეგი თავები:
    1) საკითხის შესწავლის მდგომარეობა ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში
    2) პერფექტის კატეგორიის შესწავლის ისტორია საერთაშორისო სამეცნიერო ლიტერატურაში
    3) ინვერსია და ინვერსიული ზმნების საკითხები
    4) პერფექტულობის სემანტიკისა და ზმნიზედების ურთიერთმიმართება
    5) პერფექტის კატეგორიის სემანტიკური ტიპები ქართული ენის მონაცემების მიხედვით
    6) პერფექტის სემანტიკის რეალიზაციის პირობები ქართული ენის ბარის დიალექტური (იმერული და კახური დიალექტები) მასალის მიხედვით
2. მუშაობის პროცესში გამოიკვეთა რამდენიმე დასამუშავებელი საკითხი, რომელთა გათვალისწინებაც და დამატებაც მონოგრაფიას შესძენს უფრო მეტ მნიშვნელობას და ღირებულებას:
    1) პერფექტის სემანტიკის რეალიზაციის პირობები ქართული ენის მთის დიალექტების მიხედვით. როგორც ცნობილია, მთის დიალექტები (მთიულური, ხევსურული, თუშური) ინახავს უძველეს ენობრივ მონაცემებს, მათ შორის პერფექტული ფორმების ხმარების თვალსაზრისით. ამდენად ამ მონაცემების ჩართვა უფრო გაამყარებს და უფრო მოცულობითს გახდის კვლევის ამ ეტაპზე მიღებულ შედეგებს. შეიძლება ითქვას, რომ ამ მონაცემების ჩართვა მოგვცემს უფრო სრულყოფილ სურათს პერფექტის კატეგორიის სემანტიკური და ფუნქციური მახასიათებლების შესახებ.
    2) პერფექტის კატეგორიის ფუნქციურ-სემანტიკური მახასიათებლების ანალიზი კომპიუტერული ლინგვისტიკის მიდგომების მიხედვით. სამეცნიერო ლიტერატურაზე მუშაობის პროცესში გამოიკვეთა, ასევე, ახალი თეორიული მიდგომები, მათ შორის კომპიუტერული ლინგვისტიკის ანალიზის პრინციპები, რომელთა საფუძველზეც დამუშავებულია არაერთი ენის მონაცემები. ამ მხრივ, ჩვენთვის საინტერესო მონაცემების დამუშავება იქნება მნიშვნელოვანი სიახლე დარგში როგორც ქართველი, ისე უცხოელი მკვლევრებისთვის.

    ამ მხრივ, ქართული ენის მონაცემების დამუშავება და ანალიზი გაამდიდრებს და უფრო მოცულობითს გახდის პროექტის შედეგებს. გარდა ამისა, ამ მიმართულებით მიღებული კონკრეტული შედეგები საინტერესო იქნება საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოებისთვის, ვინაიდან მონოგრაფია ითარგმნება ინგლისურ ენაზეც. ამდენად, საჭიროდ მიგვაჩნია, ზემოთ აღნიშნული მონაცემები შევიდეს მონოგრაფიაში, რომლის გამოცემაც დაგეგმილია პროექტით გათვალისწინებული ამოცანების ფარგლებში. შედეგად, პროექტით დაგეგმილი ნაშრომი

გამდიდრებული იქნება ახალი ფუნდამენტური ცოდნით დარგში და პროექტის მოცემულ პერიოდში (V საანგარიშო პერიოდი) დაგეგმილი მონოგრაფიაც უფრო სრულყოფილი პროდუქტი იქნება.

3. მონოგრაფია ითარგმნება ინგლისურ ენაზე. დაწყებულია მონოგრაფიის შესრულებული ნაწილის თარგმნა. საჭიროა დამატებული თავების ინგლისურ ენაზე თარგმნა.
   გარდა ამისა, პანდემიური მდგომარეობის გამო ვერ მოხერხდა ხელშეკრულების გაფორმება ინგლისური ენის კონსულტანტთან.
4. ასევე, პროექტით გათვალისწინებული კიდევ ერთი ამოცანის შესრულება, რაც გულისხმობს ვებგვერდის შექმნასა და ორენოვანი მასალის ატვირთვას, ფერხდება მონოგრაფიის დასრულებამდე და გამოსაცემად მომზადებამდე.
5. მონოგრაფიის ძირითადი ნაწილი შექმნილია, საჭიროა, მხოლოდ ახალი გამოკვეთილი თეორიული და ემპირიული მასალის დამატება და სრულყოფილად წარმოდგენა.

პროექტის დასრულების ვადა გადაიწია 2021 წლის 28 თებერვლამდე.

№	გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	2	3	4
3	რუსთაველის ფონდის მიერ 2016 წელს დაფინანსებული იყო პროექტი „მოდალობის კატეგორია ქართულ ენაში“ 218000	2016-2020	**ნინო შარაშენიძე** - პროექტის სამეცნიერო ხელმძღვანელი; მაია ადვაძე - ძირითადი პერსონალი, პროექტის კოორდინატორი თამარ მახარობლიძე - ძირითადი პერსონალი მაგული ღამბაშიძე - ძირითადი პერსონალი, დოქტორანტი

გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2020 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

თანამედროვე ლინგვისტური კვლევების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულებაა სემანტიკა და სემანტიკურ ანალიზზე დამყარებული კვლევები. ქართულ ენაში კვლევის ამ მიმართულებით მხოლოდ ცალკეული სტატიები არსებობდა, ხოლო სემანტიკური კატეგორიები კი აქამდე არც ყოფილა გამოკვეთილი. ყოველივე ეს ქართული ენის სიღრმისეული შესწავლისათვის აუცილებელ მიმართულებად ჩანს. სემანტიკური ანალიზი ასევე მნიშვნელოვანია ტიპოლოგიური კვლევებისთვის. ამის გათვალისწინებით, პროექტის მიზანი იყო პირველი მოცულობითი კვლევის ჩატარება სემანტიკის მიმართულებით, კერძოდ სემანტიკური კატეგორიის - მოდალობის გამოყოფა და კვლევა. ქართული ენის ეროვნული კორპუსის მონაცემებზე დაყრდნობით ჩატარდა ფუნდამენტური კვლევა მოდალობის კატეგორიის შესახებ და შეიქმნა მონოგრაფია. პროექტის ფარგლებში დამუშავდა სემანტიკის და, კერძოდ, მოდალობის შესახებ არსებული უახლესი ინგლისურენოვანი სამეცნიერო ლიტერატურა, შესაბამისი მეთოდოლოგიის გამოყენებით აღიწერა

მოდალობის კატეგორია ქართულში და დამუშავდა ისეთი საკითხები, რომლებიც აქამდე არასოდეს არ ყოფილა მკვლევართა ყურადღების ცენტრში; კერძოდ, ამ თვალსაზრისი შესწავლილ იქნა ძველი ქართულის მონაცემები, გამოიყო ძველ ქართულში მოდალური სემანტიკის გამომხატველი სპეციფიკური ზმნები. კვლევისას ასევე არაერთი სხვა საკითხიც გამოიკვეთა - ქართული ლექსიკოგრაფიის მიმართულებით მოდალური სემანტიკის ასახვის გზები განმარტებით და თარგმნით ლექსიკონებში, ასევე ქართულის როგორც უცხო ენისა და მეორე ენის სწავლების პროცესში ამ მნიშვნელოვანი სემანტიკური მახასიათებლის სისტემური და სპეციფიკური მეთოდოლოგიის გამოყენებით მიწოდების საჭიროება. საფუძვლიანად გაანალიზდა მოდალობა ქართულ ჟესტურ ენაში. მონოგრაფიებში ასევე გამოიკვეთა ახალი კვლევითი მიმართულება - გრამატიკალიზაციის საკითხები. გრამატიკალიზაცია არის მრავალი ენობრივი ცვლილების ამხსნელი და სისტემურად გამომკვეთი მეთოდოლოგიური მიდგომა. მოდალობის კატეგორიის კვლევისას მას დიდი მნიშვნელობა ენიჭება, რადგან თანამედროვე ქართულში მოდალობის გამოხატვის სისტემა ეყრდნობა ზმნური ფორმების ნაწილაკებად ქცევის და მოდალური ფორმების ჩამოყალიბების პროცესს, რაც მეთხუთმეტე საუკუნიდან აისახება სალიტერატურო ენის ტექსტებში. გრამატიკალიზაციის კვლევის მეთოდები და როგორც კვლევითი მიდგომის ახალი მიმართულება პირველად გამოიკვეთა შექმნილ მონოგრაფიაში და ამ მხრივაც ჩატარებულმა კვლევამ აშკარად წარმოაჩინა სამომავლო კვლევების მიმართულებები. ამ თვალსაზრისით ჩატარებული კვლევა შეესაბამება თანამედროვე მსოფლიო ლინგვისტიკის საკვლევ სფეროებსა და მიმართულებებს.

პროექტის მიზნების გათვალისწინებით, ჩატარებულმა სამუშაომ პასუხ გასცა არაერთ კითხვას, რომლებიც მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ქართველოლოგიისათვის, არამედ კონტრასტული ლინგვისტიკისა და ტიპოლოგიისათვის. მოდალობის კატეგორიის შედარებითი ანალიზი, რაც კონტრასტული ლინგვისტიკის კვლევის სფეროა, არასრულყოფილად მიმდინარეობდა, რადგან ქართულ სამეცნიერო სივრცეში არ იყო გამოყოფილი არც მოდალობის კატეგორია და არც ის ტერმინები გამოიყენებოდა, რომლები ამ კატეგორიის კვლევისათვის საფუძველს წარმოადგენს. ამდენად, ჩატარებულმა კვლევამ არა მარტო გამოყო კატეგორია და მისი გამოხატვის საშუალებები ქართულში, არამედ სამეცნიერო მიმოქცევაში შემოიტანა დარგთან დაკავშირებული ტერმინოლოგია და კვლევის მეთოდოლოგია. ამ მხრივ საფუძველი ჩაეყარა როგორც ქართული ენის სემანტიკის კურსს, ასევე ამ მიმართულების სამომავლო კვლევებსაც.

პროექტის მთავარ ამოცანას წარმოადგენდა ენის კორპუსზე დაფუძნებული კვლევა, რომელიც საფუძველია სანდო და მეცნიერულად გამართული დასკვნებისათვის. ამ თვალსაზრისით დამუშავდა ქართული ენის ეროვნული კორპუსი (GNC) და ლიდზის უნივერსიტეტის ბაზაში არსებული ქართული ენის KAWAC კორპუსი. ამ ორი კორპუსის მონაცემებმა შესაძლებელი გახადა თანამედროვე მიდგომებითა და მეთოდოლოგიით წარმოებული კვლევა გამხდარიყო ქართული სამეცნიერო აზრის ინტერნაციონალიზაციის კარგი საშუალება.

პროექტის განხორციელების პროცესში მომზადდა რამდენიმე სტატია, რომლებმაც განიხილეს როგორც ძირითადი, ასევე კონკრეტული საკითხები. სტატიები გამოქვეყნდა ქართულ სამეცნიერო ჟურნალებში და საერთაშორისო რეფერირებად ჟურნალში. საკითხის ინტერნაციონალიზაციას ხელი შეუწყო რამდენიმე საერთაშორისო კონფერენციაში მონაწილეობამ, ასევე სამეცნიერო მივლინებებმა ინგლისსა და გერმანიაში.

პროექტის ფარგლებში დაგეგმილი იყო ერთი მონოგრაფიის გამოცემა, ხოლო ჩატარებული სამუშაოების შედეგად მომზადდა და გამოქვეყნდა ორი მონოგრაფია: **„მოდალობის კატეგორია ქართულ ენაში“ (ავტორი ნინო შარაშენიძე) და „მოდალობის კატეგორიის საკითხები ქართულში“ (ავტორები: ნინო შარაშენიძე, მაგული ღამბაშიძე, მაია ადვაძე, თამარ მახარობლიძე).**

პროექტის განხორციელების შემდგომ სემანტიკის სფეროში შეიქმნა ორი მონოგრაფია და სემანტიკური კვლევების არეალი ქართული ენისათვის მნიშვნელოვნად გაფართოვდა. ჩატარებული კვლევა და შექმნილი მონოგრაფიები, მათში დასმული, შესწავლილი და წამოჭრილი საკითხები საფუძველი გახდება ახალი კვლევებისათვის. ამის შემდგომ შეიქმნება ქართული ენის სემანტიკის კურსი ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტებისათვის, რაც ასევე გახდება საფუძველი ახალი საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო საფეხურების კვლევითი მიმართულებებისთვის და გამოკვეთილი საკითხების სიღრმისეული შესწავლისათვის. მონოგრაფიებში დამუშავებული საკითხები მომავალში გათვალისწინებული იქნება კონტრასტული ლინგვისტიკის თუ ტიპოლოგიის სფეროში წარმოებულ ახალ კვლევებში.

2.2.

№	დასრულებული (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	2	3	4
1	“იოანეს სახარების ძველი ქართული თარგმანის კრიტიკული ტექსტის გამოსაცემად მომზადება“ (ფუნდამენტური კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტი FR17_170)	20.12.2017 – 20.12.2020	1. **დარეჯან თვალთვაძე** (პროექტის ხელმძღვანელი და ძირითადი შემსრულებელი); 2. სოფიო სარჯველაძე (პროექტის კოორდინატორი და ძირითადი შემსრულებელი)

	სამეცნიერო მიმართულება: 6. ჰუმანიტარული მეცნიერებანი ქვე-მიმართულება: 6.2. ენათმეცნიერება და ლიტერატურა		3. ელგუჯა გიუნაშვილი (ძირითადი შემსრულებელი); თინათინ ჯიქურაშვილი (ძირითადი შემსრულებელი)

დასრულებული კვლევითი პროექტის 2020 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

პროექტი - **“იოანეს სახარების ძველი ქართული თარგმანის კრიტიკული ტექსტის გამოსაცემად მომზადება**“

- დონორი ორგანიზაცია - **შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი** (ფუნდამენტური კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტი **FR 17_170**)
- პროექტის განხორციელების ვადები - **20.12.2017 – 20.12.2020**
- პროექტის სამეცნიერო ხელმძღვანელი - **პროფ. დარეჯან თვალთვაძე**
- ძირითადი პერსონალი - **ელგუჯა გიუნაშვილი, სოფიო სარჯველაძე, დარეჯან თვალთვაძე, თინათინ ჯიქურაშვილი**
- დამხმარე პერსონალი - **მარინე ოდიკაძე**

პროექტის შესახებ

ბიბლიური ტექსტები - უპირველესად ფსალმუნი, სახარებები და ლექციონარი, ქართულ ენაზე IV-V საუკუნეებში ითარგმნა, რაც ფაქტობრივად დასტურდება V-VII საუკუნეების ძეგლებში შემორჩენილი მასალით (ხანმეტი ოთხთავი, გრაცის ხანმეტი ლექციონარი, ვენის ხანმეტი ლექციონარი, ძველი და ახალი აღთქმის ხანმეტი ფრაგმენტები). ბიბლიური თარგმანების ენაზე დაყრდნობით ყალიბდებოდა ქართული სალიტერატურო ენა.

რადგანაც ძველი და ახალი აღთქმის წიგნები სხვადასხვა დროს და სხვადასხვა ადგილას განსხვავებულ სალიტერატურო სკოლებში ითარგმანებოდა, ხოლო შემდგომ არსებული ტექსტის რედაქტირება ასევე საუკუნეთა განმავლობაში სხვადასხვა რედაქტორის მიერ ხდებოდა, ამდენად, თითოეულ წიგნს თავისი თარგმნისა და რედაქტირების ისტორია აქვს. სწორედ ამიტომ ბიბლიის ქართული თარგმანის სრულყოფილად შესასწავლად აუცილებელია მისი თითოეული წიგნის ცალკე შესწავლა და გამოცემა.

ოთხთავის ქართული თარგმანის ცალკეული ხელნაწერების კვლევა და პუბლიკაცია XIX ს.-ის ბოლოს დაიწყო და XX ს.-ში ინტენსიურად გაგრძელდა (ნ.მარი, მ.ჯანაშვილი, ა.ხახანაშვილი, ივ.ჯავახიშვილი, ა.შანიძე, ს.ყაუხჩიშვილი, ივ.იმნაიშვილი, რ.ბლეიკი, მ.ბრიერი, ი.მოლითორი, ლ.ქაჯაია, ზ.სარჯველაძე). მიუხედავად რამდენიმე სამეცნიერო პუბლიკაციისა, ჯერაც არ გვაქვს ოთხთავის კრიტიკულად დადგენილი ტექსტი. 2016 წელს ელექტრონულად გამოქვეყნდა წარმოდგენილი პროექტის მონაწილეების მიერ მომზადებული ლუკას სახარების აკადემიური ტექსტი (http://ogg.tsu.ge/; შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული ფუნდამენტური კვლევების საგრანტო პროექტი № 31/64), სადაც ლუკას სახარების თითოეული მუხლი ჩაიწერა რედაქციათა მიხედვით, დალაგდა ჯგუფებად და ქვეჯგუფებად ცალ-ცალკე, ჰორიზონტალურად ისე, რომ მკითხველს ნათელი წარმოდგენა შეექმნას, თუ რომელ ხელნაწერში რა ტექსტი იკითხება. აღნიშნულ გამოცემაში გათვალისწინებულია ძველი ქართული ლექციონარებში დაცული ლუკას სახარების საკითხავებიც. იგივე ჯგუფი მუშაობს მათეს და მარკოზის სახარებების ამგვარი პუბლიკაციის მოსამზადებლად და ამ მხრივ უკვე შესრულებულია სამუშაოს დიდი ნაწილი. რაც შეეხება იოანეს სახარების ქართული თარგმანის ტექსტს, ტექსტოლოგიური თვალაზრისით ამგვარად სიღრმისეულად შესწავლილი ის აქამდე არ ყოფილა. კვლევის დღევანდელ ეტაპზე ბოლო ათწლეულებში მოპოვებული ფაქტობრივი და თეორიული მასალა განაპირობდა წარსულში შესრულებული

სამუშაოს გაგრძელების აუცილებლობას, რომ ამჯერად იოანეს სახარების მიხედვით ყოფილიყო შესწავლილი ქართული ოთხთავის ტექსტის რედაქციების საკითხი.

პროექტის მიზანი - ახალი აღთქმის წიგნის, იოანეს სახარების, ძველი ქართული თარგმანის კრიტიკული ტექსტის გამოსაცემად მომზადება უძველესი სრული თუ ფრაგმენტული ხელნაწერების მიხედვით და მისი ვებგვერზე განთავსება.

კვლევის ობიექტი - იოანეს სახარების ძველი ქართული თარგმანის ტექსტი - დაცულია 300-მდე ძველ ქართულ ხელნაწერში (სრული და ფრაგმენტული ხელნაწერები, ლოტურგიკული კრებულები)

კვლევის მეთოდოლოგია - იოანეს სახარებების ქართული თარგმანის რედაქციების შესწავლა დაემყარა ძველი და ახალი აღთქმის ტექსტუალური კრიტიციზმის რამდენიმე მეთოდს: კერძოდ, ვერბალური შინაგანი და გარეგანი ტექსტუალური კრიტიციზმის მეთოდებს. კოდიკოლოგიური საკითხების კვლევისას გამოიყენებული იქნება აღწერითი და და შედარებითი მეთოდებიც. ვერბალური კრიტიციზმის მეთოდის მეშვეობით შესწავლ იქნა გადამწერთა ორთოგრაფიული, კალმისეული და გრამატიკული შეცდომები; აღინუსხა ყოველგვარი ვარიანტი, რაც აკადემიური გამოცემების კრიტიკულ აპარატში აისახა. გარეგანი კრიტიციზმის მეთოდის მეშვეობით (კოდიკოლოგიურთან ერთად) დაზუსტდა ხელნაწერთა თარიღი. შინაგანი კრიტიციზმის მეთოდის მეშვეობით შეისწავლება ახალი აღთქმის წიგნთა უადრესი თარგმანები, რომლებსაც ქართული თარგმანიც განეკუთვნება, განისაზღვრება სათარგმნი დედანი და დგინდება თავდაპირველი თარგმანის არქეტიპი.

ტექსტის შესახებ. პროექტის ფარგლებში შესწვალი იქნა 49 ხელნაწერი. მომზადდა იოანეს სახარების აკადემიურად დადგენილი ტექსტი **წინაათონური 28 ხელნაწერის** *(**X**- A-89/A-844, ხანმეტი ოთხთავის პალიმფსესტური ფრაგმენტები; **C** - ადიშის ოთხთავი ს.ი.ე.მ. 22 (897 წ.); **A^{d}** ანბანდიდი (IX-X სს.); **O** - ოპიზის ოთხთავი (Ivir. georg. 83, 913 წ.); **D** - ჯრუჭის I ოთხთავი (H –1660, 936 წ.), **E** - პარხლის ოთხთავი A – 1453 (973 წ.), **R** -Sin.Geo.O. 15 (978 წ.), **P** - Sin.Geo O. 30-38 (979 წ.), **s** - S-405 (X ს.), **fr.-13** - H -3181, 1 ფ. (X ს.), **B** - ბერთის I ოთხთავი, 998 წ. MS Georgian 1(ჰიუსტონის ბიბლიოთეკა, ჰარვარდი, აშშ); **T** - წყაროსთავის ოთხთავი A-98 (X ს), **b** - ქურაშის I ოთხთავი A-1699, H-1886, H-1887 (X ს.); **L** -ტბეთის ოთხთავი (995წ.) რუსეთის ნაციონალური ბიბლიოთეკა (პეტერბურგი); **A** - ქსნის ოთხთავი A-509; რუსეთის ნაციონალური ბიბლიოთეკა (პეტერბურგი); (Xს.); **F** - ურბნისის ოთხთავი (XI ს.); **M** - მესტიის ოთხთავი, ს.ი.ე.მ. 1, 1033 წ.; **G** - პალესტინური ოთხთავი (1048 წ.); **M** - მარტვილის ოთხთავი, შ-391 (1რ-140ვ) (X ს); 141რ-193ვ (1050 წ.); **o** Kut-176 (X-XI სს.); **h** - H-1240 (XI ს.); **S** - Sin.Geo.O. 16 (XI ს.); **c** - S-962 , ქუთ.-668 (1 ფ.) (1054 წ.); **v**- Kut-363 (XI ს.); **l** – ლიხაურის ოთხთავი Q-645 (XI ს.); **fr-17** - H-1792 (XI ს.); **w** – Vienna Georg.1 (XI ს.); **t** - A-18 (XII სს.),* **გიორგი მთაწმიდლისეული 12 ხელნაწერის** *(**a**- ალავერდის ოთხთავი, A-484, 1054 წ.; **α** – კალიპოსის ოთხთავი, Kut. 76, 1060 წ.; **V** - ვატიკანის ოთხთავი X ს.; n - შავი მთის ოთხთავი, A 845; **o**– Ivir. georg. 62, XI ს.; **N** - Sin.- 19, 1074 წ.; **Q** - Jer.-49, XI ს.; **H** - ვანის ოთხთავი, A-1335, XII-XIII სს.; **I** - ეჩმიაძინის ოთხთავი, XII-XIII სს..; **K** - გელათის ოთხთავი, Q-908 , XII-XIII სს.; **f** – იენაშის ოთხთავი, ს.ი.ე.მ. მესტია #73, XIII ს; **d** - ქურაშის II ოთხთავი (XII-XIII სს.)* და **9 ლექციონარის** საკითხავების მიხედვით *(**Lk** - კალის ლექციონარი (X ს.); **Ls** - სინის ლექციონარი - O/Sin-37 (X ს); **Ll** - ლატალის ლექციონარი (X ს.); **Lp** - პარიზის ლექციონარი (XI ს); **Lz** - O/Sin-63 (X ს.); **Ly** - O/Sin-74 (X ს.).*

იოანეს სახარების ტექსტი ელექტრონულ ვერსიაში წარმოდგენილია შემდეგი სახით: იოანეს სახარების თითოეული მუხლის აკადემიურად დადგენილი ტექსტი ჩაწერილია რედაქციებად, ჯგუფებისა და ქვეჯგუფების მიხედვით ცალ-ცალკე, ჰორიზონტალურად ისე, რომ მკითხველის ნათელი წარმოდგენა ექმნება, თუ რომელ ხელნაწერში რა ტექსტი იკითხება. მუხლებს ქვევით დართული იქნება სქოლიოები, სადაც მიეთითება, თუ რომელი ხელნაწერის მიხედვითაა წარმოდგენილი ეს ტექსტი და რომელ მანუსკრიპტშია ამ ადგილას ლაკუნა. იქვე მითითებულია ხელნაწერთა ვარიანტული წაკითხვები, სადაც აისახება მცირე სხვაობები, ორთოგრაფიული და კალმისეული შეცდომები. ამგვარადვეა მომზადდებული და სახარების ძირითად ტექსტს ერთვის იოანეს სახარების ძველ ქართულ ლექციონარების საკითხავებში დაცული ტექსტიც.

კვლევის შედეგების გაცნობა სამეცნიერო წრეებისთვის პუბლიკაციისა და მოხსენებებისა სახით. დ. თვალთვაძე, ს. სარჯველაძე - "EVERYTHING FROM GREEK AND AS EVERYTHING IS IN GREEK" - WHY AND HOW THE OLD GEORGIAN TRANSLATION OF THE FOUR GOSPELS WAS CORRECTED IN THE 11TH

CENTURY? - 56th Linguistics Colloquium Translation, Multilinguality and Cognition (Online)26.-28.11.2020 http://www.lingcoll.de/ Book of Abstracts (p.189); დ. თვალთვაძე, НЕКОТОРЫЕ ВОПРОСЫ ИЗ ИСТОРИИ ДРЕВНЕГРУЗИНСКОГО ПЕРЕВОДА ЕВАНГЕЛИЯ. IX МЕЖДУНАРОДНАЯ НАУЧНАЯ КОНФЕРЕНЦИЯ "КАВКАЗ: ИСТОРИЯ РЕГИОНА, ИСТОРИЯ ИССЛЕДОВАНИЙ" , ПОЗНАНЬ-ЖЕШУВ 2020 ОНЛАЙН, 3-4 ДЕКАБРЯ 2020; *ს. სარჯველაძე,* იოანეს სახარების ძველი ქართული თარგმანის რედაქციები და ხელნაწერები, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მოამბე (წარდგენილია დასაბეჭდად); *დ. თვალთვაძე,* ოპიზის ოთხთავის ტექსტისათვის (გაცხოველებული, კორექტირებული და რედაქტირებული ადგილები ოპიზის ნუსხაში), თსუ ქართული ენის ინსტიტუტის შრომები, ქართველური ენათმეცნიერება, VI, თბ., 2019-2020, (25 გვერდი); *დ. თვალთვაძე, გვიან რედაქტირებული ოთხთავის კიდევ ერთი ხელნაწერი ათონური კოლექციიდან (Ath. 83), 2020 წლის 26 თებერვალი. თბილისი, თსუ აკაკი შანიძის დაბადებიდან 133 წლისადმი მიძღვნილი კონფერენცია პროგრამა და მოხსენებათა აბსტრაქტები https://www.tsu.ge/data/file_db/faculty_humanities/akaki_shanidze_2020_98286.pdf; დ. თვალთვაძე, სახარების საკითხავები ლიტურგიკულ კრებულში „საწელიწდო სახარება", 3-5 ივლისი, 2020. თსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის XIV საფაკულტეტო სამეცნიერო კონფერენცია (მიძღვნილი აკადემიკოს ოთარ ლორთქიფანიძის დაბადებიდან 90 წლისთავისადმი); დ. თვალთვაძე, ს. სარჯველაძე* , ქუთაისის ნიკო ბერძენიშვილის სახელობის სახელმწიფო ისტორიულ მუზეუმში დაცული ოთხთავის ხელნაწერებიდა მათი მნიშვნელობა იოანეს სახარების ძველი ქართული თარგმანის კრიტიკული ტექსტის დასადგენად (ქუთაისის სახელმწიფო ისტორიულ მუზეუმში მივლინების ანგარიში) , 17.12.2019, თბილისი; *ს. სარჯველაძე,* ახალი მასალები ოთხთავის ქართული თარგმანის პროტოვულგატური რედაქციისათვის, სადოქტორო კოლოკვიუმი, თსუ. 2019; *დ. თვალთვაძე,* ვანის ოთხთავის გადამწერის ანდერძი: პროფესორ ივანე იმნაიშვილის საიუბილეო კონფერენცია, სამეცნიერო კონფერენცია, 12-13 იანვარი, 2018 წ., თბ., . კონფერენციის პროგრამა და თეზისები, გვ. 7-8.; *დ. თვალთვაძე,* „ბერძულსა შეაწამა და ყოვლისა ნაკლულევანებისაგან განასრულნა"- რას მოგვითხრობს გიორგი მცირე სახარების ტექსტზე გიორგი მთაწმინდელის მუშაობის შესახებ, თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სამეცნიერო კონფერენცია, 13.06.2018

პროექტის განხორციელების შედეგად ელექტრონულად გამოიცა იოანეს სახარების ძველი ქართული თარგმანის კრიტიკული ტექსტი, რომელიც გამოქვეყნებულია ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ვებგვერდზე http://ogg.tsu.ge/ და ხელმისაწვდომია ფართო სამეცნიერო წრისთვის. 2020 წლის 18 დეკემბერს Zoom-ის პლატფორმაზე ჩატარდა პროექტის შედეგების შემაჯამებელი პრეზენტაციაც. ჩატარებული ტექსტოლოგიური კვლევის შედეგად მკვეთრად გამოკვეთა იოანეს სახარების ძველი ქართული თარგმანის შემცველი ხელნაწერების რედაქციული ჯგუფები და ხელნაწერები, რომელებიც ამ რედაქციათა შიგნით ქვეჯგუფებს ქმნიან. კერძოდ, წინაათონურ პერიოდში: 1)ადიშური რედაქცია (C, fr-13 3), 2); პროტოვულგატური რედაქცია (A^{d}ODERPsBTbLAFmGMihScvl(fr-17)wt) და 3) ნარევი რედაქცია (AMm). პროტოვულგატურ რედაქციაში გამოიყო 3 ქვეჯგუფი: ა) XODEsBv; ბ)XA dRPTbih; გ) FGSclw(fr-17). ათონურ პერიოდში გიორგი ათონელის ნარედაქტირები ტექსტის (aαVonNQHIKfd) შემცველი ხელნაწერები ასევე ორ ქვეჯგუფად დაჯგუფდა: ა) ao$^{\#}$fd და ბ) αVnNQHIK, რომელთაგან პირველი სახარების ტექსტზე გიორგის მუშაობის პირველ, შუალედურ ეტაპს, ასახავს, ხოლო მეორეში გიორგის მიერ ბოლო ეტაპზე შექმნილი რედაქციის ტექსტია წარმოდგენილი, რომელსაც ქართული ვულგატა ეწოდა (//ათონური რედაქცია). ელექტრონული გამოცემის გამოქვეყნების შემდეგ იგეგმება ტექსტის ბეჭდური სახით გამოქვეყნება ვრცელ გამოკვლევასთან ერთად. ეს გამოცემა მნიშვნელოვანი წვლილი იქნება ბიბლიის ქართული თარგმანის შესწავლის საქმეში, რადგანაც ყოველ ამგვარ გამოცემას, მეცნიერულად დადგენილი ტექსტის გამოქვეყნებას გამოკვლევითურთ, რომელშიც განხილულია თარგმანის წარმომავლობა, მოცემულია ძირითად ხელნაწერთა კოდიკოლოგიური შესწავლის შედეგები და მათი აღწერილობები, წარმოდგენილია ტექსტების რედაქციების ურთიერთმიმართება, თარგმანის ენის საკითხები, თავისი წვლილი შეაქვს ახალი აღთქმის წიგნთა ქართული თარგმანის ისტორიის გარკვევაში. კვლევის შედეგები მნიშვნელოვანი იქნება ქართული ენისა და ლიტერატურის, საქართველოს ისტორიის, ქართულ-ბიზანტიური კულტურულ-ისტორიული ურთიერთობების მკვლევართათვის, ქართულ-მახლობელაღმოსავლური კულტურული კონტაქტების შემსწავლელთათვის და ზოგადად ქართველოლოგიისა და კულტუროლოგიისათვის.

პროექტი განხორციელდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე, ქართული ენის ს/ს ინსტიტუტში, ძველი ქართული ენისა და

ტექსტოლოგიური კვლევების კათედრაზე შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი ფინანსური მხარდაჭერით (ფუნდამენტური კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტი FR17_170).			
№	დასრულებული (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	2	3	4
2	„უარყოფის კატეგორია ქართველურ ენებში“ *საქართველოს შემსწავლელი მეცნიერებები, კოდი 7* *ჰუმანიტარული მეცნიერებები კოდი 7.6* FR17_388	2017-2020	**რამაზ ქურდაძე** (სამეცნიერო ხელმძღვანელი) **მაია ლომია** (კოორდინატორი, მეცნიერ-მკვლევარი) ნინო ჭუმბურიძე (მეცნიერ-მკვლევარი – ძირითადი პერსონალი) თამარ ჩანქსელიანი (ახალგაზრდა მეცნიერი – ძირითადი პერსონალი) **ქეთევან მარგიანი** (ექსპერტ-სპეციალისტი-დამხმარე პერსონალი)
დასრულებული კვლევითი პროექტის 2020 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე) 2020 წელს, აღნიშნული სამეცნიერო პროექტის ფარგლებში, წარიმართა შემაჯამებელი მუშაობა; კერძოდ, საერთაშორისო ონლაინკონფერენციაზე წარდგენილ იქნა მოხსენებები მონოგრაფიის სხვადასხვა – *მორფოლოგიისა და ლექსიკოლოგია-თარგმანის* – ნაწილიდან; ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ვებგვერდზე, სს პეციალურად რუსთაველის ფონდის დაფინანსებით განხორციელებული პროექტებისთვის გამოყოფილ ვებსივრცეში, აიტვირთა ველზე მოპოვებული მასალის მონაცემთა ბაზის (ფოტო-აუდიო-ვიდეო) ნიმუშები, ასევე, ვრცელი ინფორმაცია პროექტის შესახებ და ველზე ჩატარებული ექსპერიმენტის ნიმუშის პდფ ფაილი. მონოგრაფიის პირველადი ვარიანტი შედგენილი და რედაქტირებულია, ერთვის რეზიუმეს ინგლისურენოვანი ვერსია. მონოგრაფია მზად არის დასაბეჭდად.			

3. უცხოური გრანტებით დაფინანსებული სამეცნიერო პროექტები

3.1. გარდამავალი პროექტი

№	გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი, დამფინანსებელი	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

	ორგანიზაცია/ სამეცნიერო ფონდი, ქვეყანა		
1	2	3	4
1	საზოგადოების ინტეგრაცია მულტილინგვური განათლების გზით - ეუთოს ეროვნულ უმცირესობათა უმაღლესი კომისრის ოფისის დაფინანსებით. OSCE-1400212	2017-2021	(კათედრის პერსონალიდან - **კახა გაბუნია;** პროექტის სამეცნიერო კონსულტანტი)
გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2020 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე) პროექტის ფარგლებში შეიქმნა მე-5 და მე-6 კლასების მოსწავლეთათვის ენისა და ბუნების ინტეგრირებული სწავლებისთვის წიგნების კომპლექტები (ელექტრონული პორტალი (cciir.ge). პორტალი მოიცავს დამხმარე ვიზუალურ მასალას (პოსტერები, ნახატები, სამუშაო ფურცლები, აუდიო და ვიდეომასალა), აგრეთვე საგაკვეთილო სცენარები თითოეული თემატური ერთეულისათვის.			
2	"ტოლერანტობის, სამოქალაქო ცნობიერებისა და ინტეგრაციის მხარდაჭერის პროგრამა" (PITA)	2016-2021	(კათედრის პერსონალიდან - **კახა გაბუნია;** პროექტის ხელმძღვანელი)
გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2020 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე) პროექტის ფარგლებში შეიქმნა „თსუ ახალგაზრდული ცენტრი“ არაქართულენოვანი სტუდენტების მხარდასაჭერად. ცენტრში განთავსდა საჭირო ტექნიკა და ინვენტარი, ყოველწლიურად ტარდება უმცირესობათა ინტეგრაციისკენ მიმართული სხვადასხვა აქტივობა (2020 წელს განხორციელდა 70-მდე ღონისძიება). ამავე პროექტის ფარგლებში, შეიქმნა „უნივერსიტეტთაშორისი ქსელი“, რომელიც აერთიანებს 13 უმაღლეს სასწავლებელს; „უნივერსიტეტთაშორისი ქსელის“ ინიცირებით, შეიქმნა „ქართულ ენაში მომზადების პროგრამის დარგობრივი მახასიათებლები, რომელიც ძალაში შევიდა 2020 წლის 1 ივნისიდან და ამ მახასიათებლებზე დაყრდნობით, 20-მა უმაღლესმა სასწავლებელმა გაიარა აკრედიტაცია. „უნივერსიტეტთაშორისი ქსელის“ ფარგლებში, 2020 წლის განმავლობაში, ჩატარდა 4 სამუშაო შეხვედრა (2-ჯერ თბილისში, 2-ჯერ - ბაკურიანში; 2 ტრენინგი უნივერსიტეტების ადმინისტრაციებისა და ქართულ ენაში მომზადების პროგრამების პროფესორ-მასწავლებლებისთვის.			
3	აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) საბაზისო განათლების პროგრამა	2020-2026	(კათედრის პერსონალიდან - **კახა გაბუნია;** პროექტის მთავარი კონსულტანტი)
გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2020 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე) პროექტის ფარგლებში კახა გაბუნია ჩართულია ახალი სკოლის მოდელის დანერგვაში ეროვნული უმცირესობების სკოლებში. 2020 წლის განმავლობაში შემუშავდა 4 თემატური ერთეულის მატრიცა; ამავე პროექტის ფარგლებში, კახა გაბუნიას ორგანიზებით, ჩატარდა ტრენინგი 1600 მასწავლებლისთვის (დაწყებითი და მშობლიური ენების მასწავლებლები 300არაქართულენოვანი სკოლიდან) ნოემბერი-დეკემბრის პერიოდში.			

3.2. დასრულებული პროექტი

№	დასრულებული (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი, დამფინანსებელი ორგანიზაცია/სამეცნიერო ფონდი, ქვეყანა	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	2	3	4
1	„ქართული პალიმფსესტური ხელნაწერები“ (**GeoPal)** (გაგრძელება - ივირონის მონასტრის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობის მომზადება) გოეთეს სახელობის მაინის ფრანკფურტის უნივერსიტეტი (გერმანია) Volkswagen Stiftung (ფოლკსვაგენის ფონდი) Az. 84 408-1	30.06.2018 – 30.03. 2020	• იოსტ გიპერტი (პროექტის სამეცნიერო ხელმძღვანელი) • ბერნარ უტიე (ძირითადი შემსრულებელი) • მზექალა შანიძე (თსუ-ს სამეცნიერო ჯგუფის ხელმძღვანელი) • **დარეჯან თვალთვაძე** (თსუ-ს სამეცნიერო ჯგუფის კოორდინატორი და ძირითადი შემსრულებელი) • ეკა კვირკველია (ძირითადი შემსრულებელი) • სოფიო სარჯველაძე (ძირითადი შემსრულებელი) • თინათინ ჯიქურაშვილი (ძირითადი შემსრულებელი) • ციცინო გულედანი (ძირითადი შემსრულებელი) • გიორგი ლომსაძე (ძირითადი შემსრულებელი)
დასრულებული კვლევითი პროექტის 2020 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე) 2020 წელს დასრულდა ფოლკსვაგენის ფონდს დაფინანსებით მიმდინარე საერთაშორისო (გერმანულ-ფრანგულ-ქართული) სამეცნიერო პროექტი - „ქართული პალიმფსესტური ხელნაწერები (GeoPal), რომელიც მიზნად ისახავდა ათონის მთაზე, ივირონის მონასტრის ქართულ ხელნაწერთა კოლექციაში დაცული ხელნაწერი წიგნების დიგიტალიზაციას, ხელნაწერთა ანალიტიკური აღწერილობის გამოცემას 3			

ენაზე (ბერძნული, ინგლისური, ქართული) და ამ კოლექციაში დაცული პალიმფსესტური ხელნაწერების ამოკითხვას და შესწავლას.

პროექტის სამეცნიერო ხელმძღვანელი იყო ფრანკფურტის გოეთეს სახელობის უნივერსიტეტის პროფესორი იოსტ გიპერტი. პროექტის განხორციელებაში ჩართული იყვენენ კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის მეცნიერთა ჯგუფი, რომელიც მუშაობს ათონური ხელნაწერების აღწერილობაზე და თსუ-ს მკვლევართა ჯგუფი (აკად. მზექალა შანიძე, პროფ. დარეჯან თვალთვაძე, დოქტორანტები სოფიო სარჯველაძე, ეკა კვირკველია, მაგისტრი ციცინო გულედანი და ბაკალავრიატის სტუდენტი გიორგი ლომსაძე).

აღნიშნული პროექტის ფარგლებში 2020 წელს დასრულდა ხელნაწერთა ანალიტიკურ აღწერილობაზე მუშაობა და გამოსაცემად მომზადდა მისი ინგლისური ვერსია CATALOGUE OF THE GEORGIAN MANUSCRIPTS OF THE IVIRON MONASTERY, compiled by Jost Gippert, Bernard Outtier and Sergey Kim. in cooperation with Ketevan Asatiani, Lali Jghamaia, Manana Dolakidze, Lia Kiknadze, Lili Khevsuriani, Mikheil Kavtaria† , Tinatin Tseradze, Eka Kvirkvelia, Giorgi Lomidze, Mzekala Shanidze, Sopia Sarjveladze, Tinatin Jikurashvili, and Georgios Boudalis.

№	დასრულებული (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი, დამფინანსებელი ორგანიზაცია/სამეცნიერო ფონდი, ქვეყანა	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	2	3	4
2	საქართველოს ახალგაზრდობის მრავალფეროვნებისა და ტოლერანტობისათვის მომზადება; ეუთოს ეროვნულ უმცირესობათა უმაღლესი კომისრის ოფისის დაფინანსებით. OSCE-1400213	2017-2020	(კათედრის პერსონალიდან - **კახა გაბუნია;** პროექტის ხელმძღვანელი)

დასრულებული კვლევითი პროექტის 2020 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

პროექტის ფარგლებში შეიქმნა 2 აკადემიური კურსი ქართულ ენაში მომზადების პროგრამისა და ეთნოლოგიის საბაკალავრო პროგრამებისთვის, მომზადდა სილაბუსები და „რიდერები“ აღნიშნული კურსებისთვის. პილოტირების პროცესში ჩაერთო 13 უმაღლესი სასწავლებელი. 2020 წლის სექტემბრიდან მრავალფეროვნებისა და ტოლერანტობის კურსი სავალდებულო კურსად იკითხება ინტეგრირებულ საბაკალავრო-სამაგისტრო პროგრამაზე „მულტილინგვური განათლება“, ასევე - სავალდებულო კურსად დამკვიდრდა ქართულ ენაში მომზადების პროგრამაზე ენისა და საგნის ინტეგრირებული სწავლების მიდგომაზე დაფუძნებით.

3	სკოლამდელი განათლების ხელშეწყობა ეთნიკური უმცირესობებისათვის ორენოვანი სწავლა-სწავლების დანერგვის საშუალებით - ღია საზოგადოების ფონდი	2019-2020	(კათედრის პერსონალიდან - **კახა გაბუნია;** პროექტის სამეცნიერო კონსულტანტი)

დასრულებული კვლევითი პროექტის 2020 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

პროექტის განხორციელების შედეგად:

✓ეთნიკური უმცირესობის 6 საბავშვო ბაღში ბილინგვური განათლების საჭიროებაზე მორგებული მოდელი დაინერგება, რაც საშუალებას მისცემს მათ უპასუხონ ადგილობრივი თემების თანამედროვე მოთხოვნებს.

✓ბაღები აღიჭურვება თანამედროვე ბილინგვური და CLIL-ის განხორციელებისთვის საჭირო რესურსებით.

✓სამიზნე ბაღების წარმომადგენლები აიმაღლებენ პროფესიულ უნარებსა და მიიღებენ ბილინგვური

მეთოდიკით სწავლებისათვის საჭირო ცოდნას და გამოცდილებას. ✓400-ზე მეტ სკოლამდელი ასაკის ბავშვს განუვითარდება კოგნიტური უნარები, გაიუმჯობესებს ქართული და მშობლიური ენის ფლობის დონეს და უკეთ იქნება მომზადებული სკოლაში სწავლისათვის. ✓ბილინგვური განათლების სკოლამდელ დაწესებულებებში დანერგვისათვის მომზადდება ეფექტური მეთოდიკის გამოყენების პრაქტიკული მაგალითი, რომლის გავრცობა და გადაღება სხვა ბაღებსა და სასკოლო პროგრამებშიც იქნება შესაძლებელი.

4. პატენტები

4.1. საერთაშორისო პატენტები:

№	საპატენტო თემატიკის სათაური	გამომგონებელი/ები და პატენტმფლობელი/ები	პატენტის საიდენტიფიკაციო კოდი

4.2. ეროვნული პატენტები

№	საპატენტო თემატიკის სათაური	გამომგონებელი/ები და პატენტმფლობელი/ები	პატენტის საიდენტიფიკაციო კოდი

5. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში

5.1. მონოგრაფიები/წიგნები

№	ავტორი/ავტორები	მონოგრაფიის/წიგნის სათაური, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	**ქეთევან მარგიანი რამაზ ქურდაძე მაია ლომია**	„ევიდენციალობის კატეგორია ქართველურ ენებში“ 978-9941-9668-8-0 978-978-9941-9668-9-7	თბილისი, საქართველო გამომცემლობა „პეტიტი“	528 გვ.

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

ევიდენციალობა უნივერსალური კატეგორიაა და უკავშირდება კოგნიციას, თუმცა, პირველ რიგში, მაინც ლინგვისტური კვლევის ობიექტია, რადგან ყოველგვარი ფსიქოლოგიური აღქმის ანალიზი ენობრივი გამოხატულებით იწყება. მონოგრაფიაში მოცემულია ევიდენციალობის კატეგორიის კვლევის შედეგები ოთხივე ქართველური ენის – ქართულის,სვანურის, მეგრულის და ლაზურის – სინქრონიულ მონაცემთა შედარება-შეპირისპირების, ქართული სალიტერატურო ენის განვითარების დიაქრონიული ეტაპებისა და ქართული ენის დიალექტების ემპირიული მასალის გათვალისწინებით. საანალიზო კატეგორიის კომპლექსური განხილვა ქართველური ენების მიხედვით ერთ-ერთი **აქტუალური საკითხია**. მონოგრაფიაში განხილულია ევიდენციალობის კატეგორიის გამომხატველი ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორებიცაა: 1. ტერმინის საკითხი ქართულ და უცხოურ სამეცნიერო ლიტერატურაში; 2. ევიდენციალობის სტატუსის განსაზღვრა ქართველურ ენებში; 3. ევიდენციალური მწკრივების ტერმინთა რეინტერპრეტაციის საკითხი ქართველურ ენებში; 4. პერფექტული ევიდენციალური მწკრივების ჩამოყალიბების დინამიკა ქართველურ ენებში, ძველი ქართული სალიტერატურო ენის მონაცემების გათვალისწინებით; 5. სალიტერატურო ენისგან განსხვავებული ევიდენციალური ზმნური ფორმების ადგი-

ლი ქართველური ენების მწკრივთა სისტემაში; **6**. ევიდენციალურ ზმნურ ფორმათა სეგმენტაციისა და მარკირების საკითხები ქართველურ ენებში; **7**. მოდალიზებული ევიდენციალური მწკრივების ფორმაწარმოება და სემანტიკა ქართველურ ენებში; **8**. ევიდენციალობისა და ეპისტემიკური მოდალობის ურთიერთმიმართების საკითხი ქართველურ ენებში; **9**. ევიდენციალობისა და გრამატიკული დროის მიმართების საკითხი ქართველურ ენებში; **10**. რიტორიკული შეკითხვის, სხვათა სიტყვის და პირობით-შედეგობითი ჰიპოტაქსური კონსტრუქციების შეფასება ევიდენციალობის თვალსაზრისით; **11**. ევიდენციალური ლექსიკური სტრატეგიების აღწერა-აღნუსხვასა და თარგმანთან დაკავშირებული პრობლემატური საკითხები. ზემოჩამოთვლილი თემების სისტემურმა დამუშავებამ შექმნა ქართველურ ენებში ევიდენციალობის ავთენტურობის მტკიცების საფუძველი. მონოგრაფიის ზოგადთეორიული ჩარჩო შემუშავდა საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად, ქართველ და უცხოელ ავტორთა თეორიული ნააზრევის გათვალისწინებით. კვლევა დაემყარა ვრცელ ემპირიულ მასალას – ბეჭდურად გამოცემულ ქართულ, სვანურ, მეგრულ, ლაზურ ტექსტებს, ქართველურ ენათა განმარტებით და თარგმნით ლექსიკონებს, ელექტრონულ ბაზებს, **2017-2019** წლებში სვანეთში, სამეგრელოსა და ლაზეთში, მათ შორის თურქეთის ლაზეთში, განხორციელებული ლინგვისტური ექსპედიციების ანგარიშებს. შევსებული მასალის საფუძველზე გადააზრიანდა და დაზუსტდა არსებული დებულებები და, ამასთან ერთად, გაჩნდა ახალი საკითხების წარმოჩენისა და განხილვის საჭიროება. ამგვარმა მიდგომამ განსაზღვრა მონოგრაფიის თეორიული და პრაქტიკული ღირებულება, მნიშვნელოვნად გაზარდა დასკვნების სანდოობის ხარისხი. საბოლოო შედეგი განაპირობა საერთაშორისო და ადგილობრივ კონფერენციებში მონაწილეობამაც. ქართველურ ენათა ტიპოლოგიური ენობრივი სურათის წარმოჩენა ევიდენციალობის კუთხით მნიშვნელოვანია როგორც ზოგადი ენათმეცნიერების, ასევე ინტერდისციპლინური კვლევების თვალსაზრისითაც.

2	იზა ჩანტლაძე ჰაინც ფენრიხი ქეთევან მარგიანი (-დადვანი) **ქეთევან მარგიანი (-სუბარი)** რუსუდან იოსელიანი	კოდორულi სვანური (გამოკვლევები, ლექსიკონი, ტექსტები) ISBN 978-9941-490-05-7	საქართველო, „მწიგნობარი“	738 გვ.

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

წიგნი „კოდორული სვანური“ (გამოკვლევები, ლექსიკონი, ტექსტები)“ წარმოადგენს სვანური ენის კოდორული ინტერფერენციული მეტყველების აკადემიურ კვლევას, რომელიც, წმინდა ლინგვისტურის გარდა, მოიცავს ზოგადლინგვისტურ, სოციოლინგვისტურ, ლინგვოკულტუროლოგიურ სფეროებს. ნაშრომში ზემოაღნიშნული საკითხები შესწავლილია კოდორის ხეობის მოსახლეობის სვანური მეტყველების მეცნიერული ანალიზის საფუძველზე 2008 წლამდე მოპოვებული მასალების შედარების გზით შესაბამის მონაცემებთან სამკვიდროდან იძულებით აყრილი იმავე ხალხის დევნილობის პირობებში ავტორთა მიერ შენიშული ეთნოლინგვისტური სიტუაციის გათვალისწინებით (ზემო სვანეთსა და ქვემო ქართლში ჩასახლებულთა მაგალითზე). წიგნში ასევე შესულია ვრცელი სამენოვანი (სვანურ-ქართულ-გერმანული) ლექსიკონი და სვანური ტექსტები პარალელური ქართული განმარტებითურთ. ***კვლევა იტერდისციპლინური ხასიათისაა და გამაოდგებათ ეთნოლინგვისტური, ფოლკლორული, ისტორიული, ეკოლოგიური, თეოლოგიური მიმართულებით მომუშავე მეცნიერებს, ვინაიდან***

ნაშრომში გათვალისწინებულია და ფართოდ არის წარმოდგენილი ეთნოლოგიური მასალები, განხილულია ტოპონიმიკა, ანთროპონიმები, ზოონიმები და ა. შ., რაც მომიჯნავე დარგებისთვის მნიშვნელოვანი იქნება.

ნაშრომი წარდგენილია საქართველოს ეროვნულ პრემიაზე.

1	**ნინო შარაშენიძე**	მოდალობის კატეგორია ქართულ ენაში ISBN 978-9941-26-787-1	გამომცემლობა „უნივერსალი“	289 გვერდი

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

ნინო შარაშენიძე „მოდალობის კატეგორია ქართულ ენაში“ ISBN 978-9941-26-787-1

მონოგრაფიაში განხილულია ქართული ენის მოდალობის კატეგორია და მისი სისტემა. გაანალიზებულია გრამატიკალიზაციის პროცესი და თანამედროვე ქართულისათვის მოდალობის სისტემის ჩამოყალიბების გზები. წიგნში გამოყოფილია მოდალობის სახეები ქართულ ენაში, შემოტანილია მოდალური ინდიკატორების ცნება და წარმოდგენილია მოდალური ინდიკატორები მოდალობის სხვადასხვა სახისათვის. ასევე გაანალიზებულია მწკრივის ფორმისა და მოდალური ელემენტის დაკავშირებით შექმნილი მნიშვნელობა.

მონოგრაფია განკუთვნილია ქართველოლოგიის დარგში მომუშავე ენათმეცნიერთათვის, სემანტიკის საკითხებით დაინტერესებულ მეცნიერთათვის, ქართული ფილოლოგიის მიმართულების სტუდენტებისათვის, მაგისტრებისა და დოქტორანტებისათვის, ასევე ქართული ენის საკითხებით დაინტერესებული ფართო საზოგადოებისთვის. წიგნი აგრეთვე გამოადგებათ ზოგადი ენათმეცნიერებისა და ტიპოლოგიის საკითხებზე მომუშავე სპეციალისტებს.

2	**ნინო შარაშენიძე,** მაგული ღამბაშიძე, მაია ადვაძე, თამარ მახარობლიძე	მოდალობის კატეგორიის საკითხები ქართულში ISBN 978-9941-26-788-8	გამომცემლობა „უნივერსალი“	180 გვერდი

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

ნინო შარაშენიძე, მაგული ღამბაშიძე, მაია ადვაძე, თამარ მახარობლიძე, „მოდალობის კატეგორიის საკითხები ქართულში“ ISBN 978-9941-26-788-8

მონოგრაფიაში განხილულია ქართული ენის მოდალობის კატეგორიასთან დაკავშირებული საკითხები, მოდალური სემანტიკის გამოხატვა ძველ ქართულში, ქართული ენის დიალექტებში, ასევე ჟესტურ ენაში. წიგნში აგრეთვე წარმოდგენილია მოდალობასთან დაკავშირებული საკითხების მოწოდება ქართულის როგორც მეორე ენისა და უცხო ენის სწავლების პროცესში. მონოგრაფია განკუთვნილია ქართველოლოგიის დარგში მომუშავე ენათმეცნიერთათვის, სემანტიკის საკითხებით დაინტერესებულ მეცნიერთათვის, ქართული ფილოლოგიის მიმართულების სტუდენტებისათვის, მაგისტრებისა და დოქტორანტებისათვის, ასევე ქართული ენის საკითხებით დაინტერესებული ფართო საზოგადოებისთვის. წიგნი აგრეთვე გამოადგებათ ზოგადი ენათმეცნიერებისა და ტიპოლოგიის საკითხებზე მომუშავე სპეციალისტებს.

№	ავტორი/ავტორები	მონოგრაფიის/წიგნის სათაური, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
3	**კახა გაბუნია** შალვა ტაბატაძე, ნათია გორგაძე	ინტერკულტურული მოწიფულობის კვლევა საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებათა სტუდენტებში ISBN 978-9941-8-2239-1	თბილისი, CCIIR	130

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

2020 წელს ჩატარძა ინტერკულტურული მოწიფულობის კვლევა საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სტუდენტებში საქართველოს გაეროს ასოციაციის პროგრამის „ტოლერანტობის, სამოქალაქო ცნობიერებისა და ინტეგრაციის მხარდაჭერა“ ფარგლებში.
პროგრამა დაფინანსებულია ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს მიერ. კვლევა მიზნად ისახავს ქართველი სტუდენტების ინტერკულტურული მოწიფულობის შესწავლას და ინტერკულტურულ მოწიფულობაზე სხვადასხვა საუნივერსიტეტო ინტერვენციის მნიშვნელობის გამოვლენასა და ანალიზს.

✔ დოკუმენტში მიმოხილულია საქართველოში არსებული ეთნიკური, რელიგიური, ლინგვისტური მრავალფეროვნება და წარმოდგენილია საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში (უსდ) არსებული მრავალფეროვნება საერთაშორისო სტუდენტების, ეთნიკური უმცირესობების, გენდერული, შეზღუდული შესაძლებლობების თუ ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით.

✔ კვლევის ანგარიშში აღწერილია კვლევის შედეგები, განხილულია კვლევის ფარგლებში გამოვლენილი საინტერესო ტენდენციები და წარმოდგენილია რეკომენდაციები, რომლებიც მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს, ერთი მხრივ, საუნივერსიტეტო მრავალფეროვნების ზრდასა და საუნივერსიტეტო ინკლუზიური გარემოს შექმნას და, მეორე მხრივ, სტუდენტთა ინტერკულტურული მოწიფულობის გაზრდას.

4	შალვა ტაბატაძე, ნათია გორგაძე, **კახა გაბუნია**	საშეღავათო პოლიტიკის ეფექტურობისა და შედეგების კვლევა საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემაში; Tbilisi, 2020; DOI: 10.13140/RG.2.2.13554.12483	თბილისი, CCIIR	160

კვლევა ჩატარდა "ტოლერანტობის, სამოქალაქო ცნობიერებისა და ინტეგრაციის მხარდაჭერის პროგრამის" (PITA) ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს საქართველოს გაეროს ასოციაცია (UNAG), ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) ფინანსური მხარდაჭერით. ეთნიკური უმცირესობებისთვის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ ინიცირებული საშეღავათო პოლიტიკა მიზნად ისახავს ყველა სტუდენტს მისცეს განათლების მიღების თანაბარი შესაძლებლობა. ქართულ ენაში მომზადების ერთწლიანი პროგრამის მიზანია, დაეხმაროს არაქართულენოვან სტუდენტებს ქართულ ენაზე უმაღლესი განათლების მისაღებად აუცილებელი უნარ-ჩვევებისა და ცოდნის მიღებაში.

წარმოდგენილი კვლევა მიზნად საშეღავათო პოლიტიკის ათი წლის განმავლობაში არსებული მდგომარეობის ერთიან შეფასებას, წარმატებების ხაზგასმას, გამოწვევებისა და პრობლემების წარმოჩენასა და მათზე დაფუძნებით - სამომავლო პოლიტიკის განსასაზღვრადრეკომენდაციების შემუშავებას ისახავს. შესაბამისად, კვლევის ანგარიში მნიშვნელოვან დოკუმენტს წარმოადგენს ეროვნული უმცირესობების მიმართ განხორციელებული პოლიტიკის გაანალიზებისა და გადახედვის, შეცვლისა და გაუმჯობესებისაკენ სწრაფვისათვის.

5. 2. სახელმძღვანელოები

№	ავტორი/ავტორები	სახელმძღვანელოს სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	**კახა გაბუნია** ნათია გორგაძე შალვა ტაბატაძე მარიამ ქართველიშვილი	საგანმანათლებლო პორტალი www.clil.ge	თბილისი, CCIIR	www.clil.ge
2	ნათია გორგაძე, **კახა გაბუნია** (რედ.)	შეფასება საუნივერსიტეტო სწავლა-სწავლების პროცესში: გზამკვლევი ახალგაზრდა ლექტორ-მასწავლებლებისათვის	თბილისი, ჩჩIIღ	136
3	**კახა გაბუნია,** ქეთევან გოჩიტაშვილი	ქართულის, როგორც მეორე ენის სწავლების თეორიული და პრაქტიკული	თბილისი, მერიდიანი	240 გვ.

		საკითხები; ნაწილი I (წერა) (იბეჭდება)		

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1. საგანმანათლებლო პორტალი www.clil.ge მოიცავს:

1. 30 A5 ფორმატის წიგნი-ბროშურა,
2. მასწავლებლის წიგნი (10 თემატური ერთეული)
3. ფერადი კარტები - სულ 188 ცალი.
4. სიუჟეტური ფერადი ბარათები ენის შემსწავლელთათვის;
5. სამუსაო ბარათები;
6. სასწავლო აუდიო და ვიდეორესურსები.

2. სახელმძღვანელოში მოცემულია შეფასების ის ძირითადი განმარტებები, რომლებიც შეფასების ტიპებთან, ფორმებთან, განზომილებებთან არის დაკავშირებული და შესაბამისად, მკითხველს აძლევს შეფასების, როგორც კონცეფციის უკეთ გააზრების საშუალებას.
ნაშრომში წარმოდგენილია შეფასებასთან დაკავშირებული ეთიკური საკითხები, რომელთა გათვალისწინება აუცილებლობას წარმოადგენს სამართლიანობის, გამჭვირვალობისა და მრავალფეროვნების განზომილებების ასახვისათვის შეფასებაში. ნაშრომის ავტორი განიხილავს განმსზღვრელი და განმავითარებელი შეფასების ფორმებსა და მნიშვნელობას, აანალიზებს უკუკავშირის მახასიათებლებსა და ტიპებს.
სახელმძღვანელოში გამოყენებულია და განხილულია შეფასების კონკრეტული მაგალითები მეტი მკაფიოობისა და პრაქტიკულობისათვის.

3. სახელმძღვანელო მოიცავს ქართულის, როგორც მეორე / უცხო ენის სწავლების თეორიულ საკითხებს, სხვადასხვა მიდგომისა და კონცეფციის განხილვას, რომლებმაც პილოტირება გაიარა 2004-2020 წლებში; მონოგრაფიაში განხილულია ენობრივი უნარების განვითარებაზე დაფუძნებული კომუნიკაციური მიდგომა, გრამატიკის სწავლების როლი და მნიშვნელობა და რეკომენდებული სტრატეგიები; ასევე - წერის სწავლების ძირითადი მეთოდები, ხერხები და კონკრეტული აქტივობები.

5.3. კრებულები

№	ავტორი/ავტორები	კრებულის სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	**მაია ლომია,** ევიდენციალურ-ეპისტემიკური მწკრივების კვალი-ფიკაციისსაკითხი მეგრულში	„ენა და კულტურა“, №23, 2020 978-9941-10-724-5	თბილისი, საქართველო გამომცემლობა „მერიდიანი“	10 გვერდი

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

სამეცნიერო სტატიაში განხილულია ეპისტემიკურ-ევიდენციალური შინაარსის მწკრივების კვალიფიკაციის საკითხი მეგრულში. უნდა აღინიშნოს, რომ ეს ზმნური ფორმები ქართულ საენათმეცნიერო ლიტერატურაში შენიშნული, გამოყოფილი და აღწერილი იყო ჯერ კიდევ გასული საუკუნის მიწურულიდან, თუმცა მათ სხვაგვარი კვალიფიკაცია ჰქონდათ. როცა ევიდენ-ციალურ-ეპისტემიკური ფორმების ორგანულ (მორფოლოგიურ) წარმოებაზეა საუბარი,

იგულისხმება საუღლებელი ზმნითა (**აწმყოს კავშირებითის** ან **პირობითი I-ის** მწკრივებით) და **დამხმარე საშუალებით** (*ი&ი/ი&უაფუ „იქნება“, ი&იდუ/ი&უაფუდუ „იქნებოდა“*) გადმოცემული რთული ფორმები. ამ ფორმათა გამოყოფის ისტორია **თავიდან** მჭიდროდ დაუკავშირდა მყოფადის წარმოებას და ორივე ტიპის ფორმებს ეწოდა: ***მყოფადისრული:*** *ჭარუნდას ი&ი/ი&უაფუ „წერდეს იქნება“*; *ჭარუნდუკო ი&იდუ/ი&უაფუდუ „წერდეს იქნებოდა“.* შემდგომ ეს და ამ ტიპის ფორმები გაიყო და ეწოდათ: ***მყოფადისრული:*** *ჭარუნდას ი&ი/ი&უაფუ „წერდეს იქნება“* და ***პირობითისრული:*** *ჭარუნდუკო ი&იდუ/ ი&უაფუდუ „წერდეს იქნებოდა“.* მოგვიანებით, **აწმყოს კავშირებითითა** და **დამხმარე საშუალებით** ნაწარმოებ ფორმებს ეწოდა: **აწმყო უსრულის კავშირებითი.**

აღსანიშნავია, რომ სხვადასხვა დროს ცალკეული ავტორების მიერ (ზ. ჭუმბურიძე, ი. ქობალავა, ქ. მარგიანი), გამოთქმული მოსაზრებების გათვალისწინებამ და ამ ფორმათა ევიდენციალური კუთხით შეფასებამ შესაძლებელი გახდა მათი ევიდენციალურ-ეპისტემიკურ მწკრივებად კვალიფიკაცია. კერძოდ, სათანადო მეთოდოლოგიური მიდგომით გამოიკვეთა, რომ:

1. მეგრულში დასტურდება ორი ევიდენციალურ-ეპისტემიკური მწკრივი: *ევიდენციალურ-ეპისტემიკური აწმყო* და *ევიდენციალურ-ეპისტემიკური იმპერფექტი I.*
2. *ევიდენციალურ-ეპისტემიკური აწმყო* გადმოიცემა *აწმყოს კავშირებითის* მწკრივისა და *ი&ი/ი&უაფუ „იქნება“* ნაწილაკის საშუალებით.
3. *ევიდენციალურ-ეპისტემიკური იმპერფექტი I* გადმოიცემა *პირობითი I*-ის მწკრივისა და *ი&იდუ/ი&უაფუდუ „იქნებოდა“* ნაწილაკის საშუალებით.
4. ევიდენციალურ-ეპისტემიკურ მწკრივთა რთული ფორმები გამოხატავენ საეჭვო-სავარაუდო მოქმედებას აწმყოსა და წარსულში და ამით უპირისპირდებიან ნეიტრალური აწმყოსა და უწყვეტლის მწკრივებით გადმოცემულ მოქმედებას.
5. მეგრულში დადასტურებული ევიდენციალურ-ეპისტემიკურ მწკრივთა რთული ფორმები ქართულად გადმოიცემა აწმყოს ან უწყეტლის ზმნური ფორმებითა და „ალბათ“ ნაწილაკით.
6. მიუხედავად იმისა, რომ ევიდენციალურ-ეპისტემიკური მწკრივები ორი ნაწილისგან შედგება და რთული სტრუქტურისაა, აზრობრივად ერთიანია და მათი ადგილი მწკრივთა სისტემაშია.

5.4. სტატიები ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდის (DOI) მითითებით

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათა-ური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI	ჟურნალის/ კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	**მაია ლომია, ქეთევან მარგიანი**	ქართველურ ენათა მასალისველზე მ-ოპოვების ტრადიცია და თა-ნამედროვე მდგომარეობა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში	XIV საერთაშორისო სამეცნიე-რო სიმპოზიუმის (23-26. 09. 2020) ელექტრონული კრებუ-ლი აიტვირთება ბმულზე: http://conference.litinstituti.ge/ka/		10 გვერდი გვ. 433-442

2.	**გიული შაბაშვილი** (თანაავტორი)	ლაპარაკის ბარიერის გადალახვის ძირითადი სტრატეგიები ეთნიკური უმცირესობებისთვის (ქართული ენის მონაცემების მიხედვით)	მულტილინგვური განათლება, 2020 წელი, N15	თბილისი, cciir	15

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1. მაია ლომია, ქეთევან მარგიანი

სტატიაში განხილულია ქართველურ ენათა მასალის ველზე მოპოვების ტრადიცია და თანამედროვე მდგომარეობა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. აღსანიშნავია, რომ არასალიტერატურო ქართველური ენები – მეგრული, ლაზური და სვანური თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მისი დაარსების დღიდან ისწავლება. ამ ტრადიციას ჯერ კიდევ პეტერბურგის უნივერსიტეტში ჩაეყარა საფუძველი ივანე ჯავახიშვილის ხელმძღვანელობითა და იოსებ ყიფშიძის, აკაკი შანიძის თანამონაწილეობით, შემდგომ კი გაგრძელდა ახლადდაარსებულ უნივერსიტეტში. ამ ენათა მეცნიერული კვლევისა და სწავლებისას მნიშვნელოვანია საველე მუშაობის წარმართვა, რადგან არასალიტერატურო ენები ზეპირმეტყველებას ემყარება და მათი მონაცემების ჩაწერა საშური საქმეა. ველზე მუშაობა დინამიური, საინტერესო და, ამავე დროს, შრომატევადი პროცესია; საველე სამუშაოებისას მოძიებული, ხოლო შემდეგ ბეჭდურად გამოცემული ტექსტები სათანადო კომენტარებით, ტოპონიმიით, ლექსიკონით დიდი მნიშვნელობის სულიერი საგანძურია. ცნობილია, რომ ლინგვისტების მიერ ჩაწერილი ტექსტები გამოირჩევა სანდოობის მაღალი ხარისხით და წარმატებით გამოიყენება ინტერდისციპლინური კვლევის დროსაც.

2. გიული შაბაშვილი

ენის სწავლების პროცესში ერთ-ერთი რთულად მისაღწეევი ამოცანა არის შემსწავლელის ლაპარაკის უნარის განვითარება. ენის დაუფლების სხვადასხვა დონეზე სტუდენტებს უხდებათ ენის სხვადასხვა რეგისტრის დაუფლება და გამოყენება. გარდა ამისა, რეალურ ცხოვრებაში შემსწავლელს სამიზნე ენის გამოყენება უხდება როგორც დაგეგმილ, ისე დაუგეგმავ, სპონტანურ საკომუნიკაციო სიტუაციებში, აკადემიურ და სამუშაო გარემოში, ყოფით დონეზე, რაც კიდევ უფრო დიდი გამოწვევის წინაშე აყენებს მასწავლებლებსაც და შემსწავლელებსაც, რადგან სტუდენტს უხდება სხვადასხვა საკომუნიკაციო ამოცანისათვის რელევანტური ენის ათვისება და მისი სწორად გამოყენების უნარის განვითარება. ამ პრობლემების დასაძლევად მასწავლებლებს სჭირდებათ საგანგებო ინსტრუმენტები, სტრატეგიები და, რაც მთავარია, სიტუაციის ანალიზისა და მასზე ადეკვატურად, პედაგოგიური თვალსაზრისით გამართლებული რეაგირების უნარი. ეფექტური შედეგის მისაღწევად მნიშვნელოვანია ბალანსირებული, პერმანენტული ფიდბეკი, რომელიც ორიენტირებული იქნება არა მხოლოდ შეცდომების გამოვლენაზე, არამედ შემსწავლელის მოტივირებასა და წახალისებაზე.

როგორც ცნობილია, ლაპარაკის უნარები ერთ-ერთი ყველაზე პროდუქტულია ენობრივ უნარებს შორის. შესაბამისად, ამ უნარის განვითარებას და შემდგომ ეტაპებზე სრულყოფას რეცეფციული უნარების განვითარებასთან შედარებით ხანგრძლივი დრო სჭირდება. მასწავლებელს გადამწყვეტი როლი ეკისრება საგაკვეთილო პროცესში. ის მუდმივად უნდა ელაპარაკოს სტუდენტებს, მათაც მისცეს საშუალება, რომ ილაპარაკონ სხვადასხვა ტიპის, სხვადასხვა თემატიკის და სხვადასხვა სირთულის საკითხებზე სხვადასხვა ტიპის მოდელირებულ საკომუნიაციო სიტუაციაში.

ნაშრომი მიზნად ისახავს, იდენტიფიცირება გაუკეთოს საქართველოში ქართულის, როგორც სახელმწიფო ენის, შემსწავლელთა წინაშე არსებულ გამოწვევებს და წარმოადგინოს მათი გადაჭრის რამდენიმე გზა. ნაშრომში გამოვლენილია ბარიერები, რომლებიც ქართულის, როგორც სახელმწიფო ენის, შემსწავლელ სტუდენტთა წინაშე დგას ლაპარაკის უნარების განვითარების პროცესში. მეორე მხრივ, წარმოდგენილია ის სირთულეები, რომელთა წინაშეც დგანან მასწავლებლები ქართული ენის სპეციფიკისა და სოციოკულტურული ასპექტებიდან გამომდინარე.

5.5. სტატიები ISSN-ის მითითებით

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათა-ური, ISSN	ჟურნალის/ კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	**დარეჯან თვალთვაძე**	ოპიზის ოთხთავის ტექსტისათვის (გაცხოველებული, კორექტირებული და რედაქტირებული ადგილები ოპიზის ნუსხაში) ISSN 2346-8106	ქართველური ენათმეცნიერება, VI-VII	თბილისი თსუ-ს გამომცემლობა	25 გვერდი
2	**ლელა ციხელაშვილი**	ბერძნულით შეპირობებული გრამატიკული ცვლილებების ერთი ტიპისათვის ბარუქის წიგნის ქართულ ვერსიებში ISBN 99940-31-92-9	**„ლოგოსი.** წელიწდეული ელინოლოგიასა და ლათინისტიკაში“, #7	ივანე ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახ. უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის, კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის ინსტიტუტის რეცენზირებადი ელექტრონული და ბეჭდური სამეცნიერო ჟურნალი	გადაცემულია დასაბეჭდად
3	**რამაზ ქურდაძე**	ინტერვიუ რამაზ ქურდაძესთან (გა-დაცემა „დილის	თსუ, ჰუმანიტარულ მეც-ნიერებათა ფაკულტეტის ქართული ენის ს/ს	თსუ, თსუ გამომცემლობა	8 გვ.

		არხი თეიკო ანჯაფარიძესთან ერთად“; ჟურნალისტები – თეიკო ანჯაფარიძე და თამარ აბშილავა, 2019 წლის 26 თებერვალი, აკაკი შანიძის დაბადების დღე, რადიო „იმედი“) ISSN 2346-8106	ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული ქართველური ენათმეცნიერება, VI-VII (იბეჭდება), 2019-2020		
4	**რამაზ ქურდაძე**	მანანა ჩიტიშვილის პოეზიის ლექსიკური თავისებურებანი ISSN 2346-8106	თსუ, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართული ენის ს/ს ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული ქართველური ენათმეცნიერება, VI-VII (იბეჭდება), 2019-2020	თსუ, თსუ გამომცემლობა	11 გვ.
5	**რამაზ ქურდაძე**	სხვათა სიტყვის (-მეთქი, -თქო, ო) ნაწილაკების შემცველი მეტყველების აქტი ევიდენციალობის თვალსაზრისით ISSN 2346-8106	თსუ, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართული ენის ს/ს ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული ქართველური ენათმეცნიერება, VI-VII (იბეჭდება), 2019-2020	თსუ, თსუ გამომცემლობა	7 გვ
6	**მაია ლომია, ქეთევან მარგიანი**	ქართველურ ენათა მასალის ველზე მოპოვების ტრადიცია და	XIV საერთაშორისო სიმპოზიუმის მასალები - აბრეშუმის გზის ქვეყნების ფოლკლორი	ელექტრონული ვერსია http://litinstituti.ge/	9 გვერდი

		თანამედროვე მდგომარეობა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ISSN 1987-5363		http://conference. litinstituti.ge/2019/ka/	
7.	**ქეთევან მარგიანი**	ეპისტემიკური მოდალობის ნაწილაკთა დისტრიბუცია სვანური ზმნის უღლების პარადიგმაში ISSN 2346-8106	სამეცნიერო შრომების კრებული ქართველური ენათმეცნიერება V	იბეჭდება	9 გვერდი
8	**სალომე ომიაძე**	ლექსემა პურის სინტაგმატურ-დერივაციული ველი, ISSN 1987-7633	ტერმინოლოგიის საკითხები, IV	თბილისი, თსუ გამომცემლობა	9 გვ. (გვ. 297-305, ინგლ. რეზ. 306-307)
9	**სალომე ომიაძე**	„პიკნიკი თუ არიფანა“ – იოსებ გრიშაშვილის ერთი შენიშვნის შესახებ	არნოლდ ჩიქობავას საკითხავები, XXXI	თბილისი, თსუ გამომცემლობა	1 გვ. (გვ. 43)
10	**სალომე ომიაძე**	„სამხარი“ ცვალებადი ტემპორალობის ქრონონიმი ქართულ დისკურსში	არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის 79-ე სამეცნიერო სესიის მასალები	თბილისი, თსუ გამომცემლობა	3 გვ. (გვ. 34-36)
11	**სალომე ომიაძე**	„უვიცობის შემცირება“ – იაკობ გოგებაშვილის შემოქმედების ქვაკუთხედი	იაკობ გოგებაშვილის დაბადებიდან 180 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო შრომათა საიუბილეო	თბილისი, თსუ გამომცემლობა	7 გვ. (იბეჭდება)

12	**რუსუდან ზექალაშვილი**	მეტაფორიზაცია და მეტაფორული სამედიცინო ტერმინები; ISSN 1987-7633	„ტერმინოლოგიის საკითხები IV“, კრებული ეძღვნება ქართული ტექნიკური ტერმინოლოგიის პირველი ლექსიკონის 100 წლისთავს	თბილისი, თსუ გამომცემლობა	27 გვერდი (გვ. 202-229)
13	**რუსუდან ზექალაშვილი**	კოლოკაციათა სახეები და ფუნქციები ქართულ-გერმანულ ლექსიკონში	სამეცნიერო შრომების კრებული „ქართველური ენათმეცნიერება“ VI- VII, ეძღვნება აკაკი შანიძეს (რედ.: პროფ. დ. თვალთვაძე, პროფ. რ. ქურდაძე) (იბეჭდება). ISSN 2346-8106	თბილისი, თსუ გამომცემლობა, 2019-2020	12 გვ.
14	**რუსუდან ზექალაშვილი** (თანაავტორები: იზა ჩანტლაძე, ნანა ოდიშელიძე)	გერმანელ ლინგვისტთა ღვაწლი ქართველოლოგიაში, I - გერჰარდ დეეტერსი	იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, XLVIII ISSN 1987–6572	თბილისი, 2020	6 გვერდი (იბეჭდება)
15	**გიული შაბაშვილი** (თანაავტორი)	მადლობის სამეტყველო აქტის სპეციფიკა ქართულ და ინგლისურ ენებში (იბეჭდება)	ენათმეცნიერების საკითხები, 2020	თსუ გამომცემლობა	10 გვ.
16	**გიული შაბაშვილი** (თანაავტორი)	ინგლისური ნასესხობების სემანტიკური ჯგუფები და მათი პრაგმატული რეალიზაცია თანამედროვე ქართულ ენაში	ენა და კულტურა, 2020 წელი, N24	ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	20 გვ.

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1. **დარეჯან თვალთვაძე**

ოპიზის ოთხთავის ტექსტისათვის
(გაცხოველებული, კორექტირებული და რედაქტირებული ადგილები ოპიზის ნუსხაში)

სტატიაში კოდიკოლოგიური და ტექსტოლოგიური თვალსაზრისით შესწავლილია ოთხთავის ერთ-ერთი უძველესი თარიღიანი ნუსხა - 913 წელს ოპიზის მონასტერში გადაწერილი ხელნაწერი, რომელიც ამჟამად ათონის ივერთა მონასტერში ინახება (Ivir.georg.83). ტექსტის პუბლიკაცია ოთხთავის სხვა ხელნაწერების ვარინტების სახით არაერთხელ მომხდარა, მაგრამ იმის გამო, რომ მანუსკრიპტის ადგილზე შესწავლა გარკვეული მიზეზების გამო არ ხერხდებოდა, მისი კვლევა მხოლოდ ფოტოპირების (ხშირად არც თუ ისე კარგი ხარისხის ფოტოასლების) მიხედვით ხდებოდა. 2017 წლამდე არსებულ ყველა გამოცემაში ოპიზის ოთხთავი ე.წ. წინაათონური პერიოდის ვულგატად მიჩნეული რედაქციის (ე.წ. პროტოვულგატის) ხელნაწერთა შორის განიხილება და მეტიც, იმის გამო, რომ ის ამ რედაქციის ხელნაწერთაგან უძველესი ნუსხაა, ამ რედაქციას ზოგჯერ ოპიზურ რედაქციადაც მოიხსნებენენ (პარალელურად იხმარება ტერმინი „ჯრუჭ-პარხლის რედაქცია“). 2017 წელს გამოქვეყნდა ქართული ოთხთავის რედაქციების ელექტრონული სინოპტიკური გამოცემა („Synopsis of the Georgian Gospel redactions“), რომელიც ხელნაწერების, ფაქსიმილებისა და გამოცემების მიხედვით მოამზადეს ლელა სამუშიამ და ნათია დონდუამ (http://titus.uni-frankfurt.de/texte/etca/cauc/ageo/nt/ntkpl/ntkpl.htm). აღნიშნულ გამოცემაში ოპიზის ოთხთავი (A) შუალედურ რედაქციის (eA) ნუსხადაა მიჩნეული და ის მეცნიერთა ნაწილის მიერ (ი. იმნაიშვილი, 1979) ექვთიმე ათონელის რედაქციად მიჩნეული ურბნისის (F) და პალესტინური (G) ოთხთავებთან ერთად ერთ ქვეჯგუფში ერთიანდება.

რამდენად ავთენტურია ის წაკითხვები, რომელსაც ტექსტის გამომცემლები უთითებენ როგორც ოპიზის ოთხთავის ვარიანტულ წაკითხვას და რის საფუძველზეც ხდება მისი ე. წ. შუალედური რედაქციის ხელნაწერთა ჯგუფში გაერთიანება? - ამ კითხვაზე პასუხის გასცემა მხოლოდ ხელნაწერის კოდიკოლოგიურ შესწავლას შეუძლია. როგორც გერმანულ-ქართულ-ფარანგული საერთაშორისო სამეცნიერო პროექტის (GeoPal - ხელმძღვანელი იოსტ გიპერტი), ფარგლებში დამზადებულ ოპიზის ოთხთავის ციფრულ ფოტოების დეტალურმა შესწავლამ გვიჩვენა, ნუსხა ჩვენამდე პირვანდელი სახით არ არის მოღწეული, იგი გაცხოველებული (განახლებული) და რედაქტირებულია. მისი ტექსტი ნასწორებია გვიანდელი რედაქტორის მიერ და მასში აშკარად იკვეთება ორი ფენა - პირველადი, თავდაპირველი ტექსტი (სტატიაში აღნიშნული გვაქვს ლიტერით O) და მეორეული, კორექტირებული (აღნიშნულია O^c), ამიტომაც მისი ტესტოლოგიური კვლევისას სწორედ ეს ფაქტორები უნდა იქნეს გათვალისწინებული. პირველ რიგში, უნდა დაფიქსირდეს ყოველი კონკრეტული შესწორება და შეძლებისდაგვარად მოხდეს შესწორებამდე არსებული წაკითხვის რეკონსტრუირება.

ხელნაწერის კორექტირებული ადგილების შედარებამ ოთხთავის სხვა ხელნაწერებთან მიგვიყვანა დასკვნამდე, რომ ოპიზის ოთხთავის თავდაპირველი ტექსტი, რომლის შეცვლაზე რედაქტორს სხვადასხვა მეთოდით (წაშლა, ზემოდან გადაწერა, ჩამატება, გადასწორება...) უმუშავია, ჯრუჭ-პარხლის რედაქციის (პროტოვულგატას) ტექსტს შეიცავს (და არა ე.წ. შუალედურს) და მისი ამ რედაქციის სხვა ძირითადი ხელნაწერებისგან განსხვავებული წაკითხვები, რომელთაც ეყრდნობიან გამოცემლები მისი რედაქციის დადგენისას, ტექსტის გვიანდელი სწორების შედეგია.

ხელნაწერებში დაცული ამგვარად შესწორებული (რედაქტირებული) ტექსტის ტექსტოლოგიური კვლევისთვის გამოყენებისას, პირველ რიგში, ყურადღება უნდა მიექცეს და ტექსტოლოგიაში დადგენილი წესების მიხედვით დაფიქსირდეს ყოველი კონკრეტული შესწორება. ამასთანავე, შეძლებისდაგვარად უნდა მოხდეს შესწორებამდე არსებული წაკითხვის რეკონსტრუირება. მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება რედაქტირებული ხელნაწერის მონაცემების ავთენტურობაზე საუბარი და ხელნაწერთა ურთიერმიმართების დასადგენად მისი ვარიანტების გათვალისწინება. რადგან ოპიზის ოთხთავი გვიან რედაქტირებული ხელნაწერია, მისი ტექსტის კვლევა სწორედ ამგვარი მიდგომით უნდა მოხდეს. სამწუხაროდ, დღემდე არსებულ გამოცემებში ეს მიდგომა სისტემურად გატარებული არ არის. უმრავლეს შემთხვევაში ოპიზის იკითხვისი მითითებულია დაზუსტების გარეშე, არ ჩანს ის პირველადია თუ მეორეული (თავდაპირველი წაკითხვაა თუ კორექტირებული), რაც ზოგჯერ შეიძლება არასწორი დასკვნების საფუძველიც გახდრეს.

ჩვენ მიერ ჩატარებულმა ოპიზის ოთხთავის კოდიკოლოგიურმა ანალიზმა და ტექტოლოგიურმა კვლევამ, რომელიც 30-მდე წინაათონური რედაქციის ხელნაწერისა და გიორგი ათონელისეული ტექსტის შემცველ 15 ხელნაწერის შესწავლას ეფუძნება, გვიჩვენა, რომ ოპიზის ოთხთავის თავდაპირველი (პროტოვულგატური) ტექსტის

კორექტირება-რედაქტირება ხდება გიორგი ათონელისეული ვულგატის ტექსტის მიხედვით. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ რედაქტორი თანმიმდევრული არ არის, და მისი ამგვარი ჩარევის შედეგად მიღებული კორექტირებული ტექსტი (O^c) ზოგჯერ უმიშვნელოდ, მაგრამ მაინც სხვაობს გიორგისეული ტექსტისგან.

2. ლელა ციხელაშვილი

ბერძნულით შეპირობებული გრამატიკული ცვლილებების ერთი ტიპისათვის ბარუქის წიგნის ქართულ ვერსიებში

სტატიაში განხილულია ბერძნულით განპირობებული მორფოსინტაქსური ცვლილების ერთი ტიპი, რომელიც გამოიკვეთა ბარუქის წიგნის ძველი ქართული ვერსიებისა (ოშკისა (O, 978 ს.) დაიერუსალიმის (J, XI ს.) ბიბლიები) და მოგვიანო პერიოდის - გელათური რედაქციის//ვერსიის - ტექსტების (გელათის (G, XII ს.), საბასა (S, XIII ს. დამდეგი) და ბაქარის (B, 1743 წ.) ბიბლიები) შედარებისას. თუკი ძველი მთარგმნელები უფრო მიმართავენ ქართულისთვის ბუნებრივ სინტაქსურ კონსტრუქციებს, მაგ., ზმნის 3-ვალენტიან ფორმას პირმიმართი ირიბი დამატებით (*მიუძღუანეს ... **ოყაკიმს*** [1:7 OJ]), გელათური რეცენზიის ტექსტები ბერძნულის თანდებულიანი კონსტრუქციის ზუსტად გადმოსაღებად (*καὶ ἀπέστειλαν ... **πρὸς Ιωακιμ*** [Bar. 1:7 BGT]) ქართულისთვის უფრო არაბუნებრივ კონსტრუქციას იყენებენ: ირიბ დამატებას თანდებულიანი უბრალო დამატებით ცვლიან, რაც იწვევს ზმნის ვალენტობის კლებას, შესაბამისად, ზმნის ვერსიის შეცვლას ან სხვა ზმნით ჩანაცვლებას (*წარგზავნეს ... **ოყაკიმის მიმართ*** [იქვე, GaSB]). ზმნის ვალენტობა არ იცვლება იმ შემთხვევაში, თუ ბერძნულშიც (... *ἐνετείλατο **ἡμῖν*** [Bar. 2:9 BGT]) უთანდებულო დამატებაა დატივში (*გუამცნო **ჩუენ*** [2:9 OJ], შდრ.: *გუამცნნა **ჩუენ*** [იქვე,GaSB]). თუ ბერძნულის თანდებულიანი კონსტრუქციის შესაბამისად, ძველ ვერსიებშიც დამატების თანდებულიანი კონსტრუქციაა, მას ცვლილება არ ეხება: (ἔδωκεν κατὰ πρόσωπον ἡμῶν [Bar. 1:18 BGT]) *მოგუცა წინაშე პირსა ჩუენსა* [1:18 OJGaSB], *მოგუცნა* GaSB.

3. რამაზ ქურდაძე

ინტერვიუში საუბარია აკაკი შანიძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის უმნიშვნელოვანეს საკითხებზე. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა აკაკი შანიძის ღვაწლს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსებისა და ქართველოლოგიური დარგების განვითარების საქმეში. ინტერვიუში მოხმობილია ზოგი საინტერესო ეპიზოდი დიდი მეცნერის ცხოვრებიდან, რომლებიც რ. ქურდაძეს გაგონილი აქვს თავისი მასწავლებლებისაგან, აკაკი შანიძის უშუალო მოსწავლეებისაგან.

4. რამაზ ქურდაძე

ცნობილი ქართველი პოეტის მანანა ჩიტიშვილის შემოქმედება უაღრესად საინტერესოა როგორც თემატური მრავალფეროვნებით, მხატვრული სახეებით, მხატვრული საშუალებებით, ისე ენობრივი თვალსაზრისით.

წინამდებარე სტატია, რომელიც მანანა ჩიტიშვილის პოეზიის ლექსიკურ თავისებურებებს ეხება, პოეტთან თანამშრომლობით დაიწერა. მასში მოგვყავს პოეტის მიერ გამოყენებული ლექსიკური ერთეულების განმარტებები შესაბამისი ლექსიკონებიდან და უმეტეს შემთხვევაში აქვე წარმოვადგენთ თვით პოეტისეულ განმარტებებს ამა თუ იმ ცალკეულ სიტყვასთან დაკავშირებით. ამ მხრივ პოეტი, როგორც წარმომადგენელი იმ დიალექტისა, რომელსაც ის იყენებს თავის ლექსებში, ერთგვარად ინფორმატორის როლშიც გამოდის, რისთვისაც მას დიდ მადლობას მოვახსენებთ.

მ. ჩიტიშვილის ლექსებში მრავლად გვხვდება ქართლური დიალექტური ლექსიკა, რაც დადასტურებულია ქართლური დიალექტის სალექსიკონო მასალებში. მათგან ზოგი ფორმით და მნიშვნელობით ქართლურის ლექსიკას ემთხვევა, ზოგი კი ქართლური ლექსიკისაგან მეტ-ნაკლებად განსხვავებულია, მაგ.:

დახეჩილი - დაჩეხილი, დაპობილი;

დაღურბლებული/დაღრუბლებული - დაბურული;

მოიაშრე - გაანჩხლდი, გაკაპასდი, გაავდი და სხვ.

მანანა ჩიტიშვილის ლექსებში გვხვდება დიალექტური სიტყვები, რომლებიც ქართლურის გარდა ქართული ენის სხვა კილოებშიც დასტურდება. ზოგი მათგანი უცვლელად გვხვდება სხვა დიალექტებში, ზოგი კი ფორმობრივი ან სემანტიკური ცვლილებით:

დილაბანდზე - დილაუთენია;
მარმარებს - ქათქათებს, მარმარილოსავით ბრწყინავს;
ნაგრილი - ჩრდილი და სხვ.

მანანა ჩიტიშვილის პოეტური ლექსიკის ერთ-ერთი თავისებურება ძველი, მივიწყებული სიტყვების გააქტიურებაა, რითიც დაუვიწყარ ხიბლს სძენს თავის ლექსებს:

არჯვალი - ანჩხლი, ავი, კაპასი;
ირაო - უპატრონო, დაკარგული;
მარმაში - თხელი გამჭვირვალე ქსოვილი, ან ასეთი ქსოვილის სამოსი და სხვ.

ბუნებრივია, არც პოეტის განმარტებანი და არც ლექსიკონებიდან მოხმობილი შესაბამისი მნიშვნელობები მამანა ჩიტიშვილის ბეჭდურად გამოცემულ ლექსებს არ ახლავს და ამდენად ჩვენს სტატიაში წარმოდგენილი განმარტებანი ერთგვარ ლექსიკოლოგიურ კომენტარებად შეიძლება ჩაითვალოს, რაც ნათლად წარმოგვიდგენს ქართული სიტყვის ძალას, ხიბლსა და ღრმა მნიშვნელობებს, რითიც ასე მდიდარია მამანა ჩიტიშვილის პოეზია.

5. რამაზ ქურდაძე

ცნობილია, რომ ევიდენციალობა ლინგვისტური კატეგორიაა, რაც ინფორმაციის წაყროს მიემართება, რის მიხედვითაც მთქმელი ახდენს განაცხადს. ეს შეიძლება იყოს მოვლენის პირდაპირი ან ირიბი ცოდნა, რაც შეიძლება ემყარებოდეს ლოგიკურ დასკვნას, გაგონილს, ვარაუდს ან აღქმას. მის მიხედვით პირდაპირ აღქმული (ან მასთან გატოლებული) ინფორმაცია არაევიდენციალურია, ხოლო სხვა წყაროზე დამყარებული – ევიდენციალური.

სხვა ენობრივ საშუალებებთან ერთად ევიდენციალურობის გამომხატველად მიიჩნევენ სხვათა სიტყვებსაც. ეს საკითხი ქართულშიც მნიშვნელოვანია, კერძოდ, ევიდენციალობის თვალსაზრისით საინტერესო ენობრივ სურათს წარმოგვიდგენს **-მეთქი**, **-თქო**, **ო** ნაწილაკების შემცველი მეტყველების აქტი.

როგორც ცნობილია, *-მეთქი* ნაწილაკი გამოიყენება მაშინ, როდესაც მთქმელი თავისივე ნათქვამს თუ ჩანაფიქრს იმეორებს ან გადასცემს მეორე პირს. *-თქო* ნაწილაკი გამოიყენება მაშინ, როდესაც მთქმელი პირი ავალებს მეორე პირს, რომ მან გადასცეს ნათქვამი მესამე პირს.*-ო* ნაწილაკი გამოიყენება მაშინ, როცა მთქმელი მესამე პირის ნათქვამს გადმოგვცამს.

მოხსენებაში არის ცდა სხვათა სიტყვის ნაწილაკების შემცველი მეტყველების აქტი გაანალიზდეს სამი წევრის მიხედვით; ესენია: I. **მთქმელი, II. ინფორმაციის მიმღები-განმმეორებელი-გადამცემი, III. ინფორმაციის მიმღები.** ამ წევრებისათვის ნათქვამის მნიშვნელობა ევიდენციალობის თვალსაზრისით გარკვეულია იმის მიხედვით, თუ ვის მიემართება ნათქვამი და ინფორმაციის რა წყაროს ეყრდნობა იგი.

6. მაია ლომია, ქეთევან მარგიანი

დღეს ძალზე აქტუალურია ბუნებრივი ენების კვლევა ვრცელ ემპირიულ მასალაზე დაყრდნობით; ამიტომ გადაუდებელი მნიშვნელობისაა მონაცემთა ბაზების შექმნა არსებული ბეჭდური გამოცემების მიხედვით და მათი შევსება პერიოდულად ველზე მოპოვებული თანამედროვე ენობრივი მონაცემებით. სანდო მასალას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ზუსტი, დამაჯერებელი მეცნიერული დასკვნებისთვის. ამავე დროს, დღეს აუცილებლად მოსაგვარებელ საკითხთა შორისაა ასევე ტექსტების დამუშავება საერთაშორისო სტანდარტით.

საუკუნეების წინ, განსაკუთრებით მე-20 საუკუნის დასაწყისში, ჯერ პეტერბურგის, ხოლო შემდეგ თბილისის უნივერსიტეტში მეთოდოლოგიური სიზუსტითა და სისწორით წარმართულმა მუშაობამ ხელი შეუწყო მის გაღრმავებასა და განვითარებას სტანდარტიზაციის თანამედროვე პრინციპებით. უნდა აღინიშნოს: რაც უფრო მეტად არის შესაძლებელი ემპირიული მასალის ვერიფიცირება, მით მეტად სანდოა იგი და მასზე დაყრდნობით მიღებული დასკვნები. ტექსტის ვერიფიცირების ხარისხს განსაზღვრავს კვლევაში კომპიუტერული ტექნოლოგიების გამოყენება, რაც ხელს უწყობს ქართულ სინამდვილეში დიგიტალური ჰუმანიტარიის, უფრო ზუსტად, დიგიტალური ქართველოლოგიის განვითარებას.

საანალიზო მასალის მოპოვება და დამუშავება თანამედროვე პრინციპებითა და მიდგომებით არის მისი საერთაშორისო მიმოქცევაში ჩართვის გარანტი.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, კერძოდ, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართული ენის ინსტიტუტში დღემდე გრძელდება მონაცემთა ბაზების შევსება, ტრადიციისა და თანამედროვე მიდგომების შერწყმა-შეერთება.

7. ქეთევან მარგიანი

საკუთრივ ინფერენციული, საეჭვოობა-სავარაუდოობის გამომხატველი ნაწილაკები სვანურ ენაში რამდენიმეა. ეს მოდალური ლექსემები მხოლოდ თხრობითი კილოს ზმნურ ფორმებთან გამოიყენებიან და ანიჭებენ მათ ეპისტემიკურ მნიშვნელობას, რაც შეეხება სვანური ზმნის მოდალიზებულ ევიდენციალურ ფორმებს, რომლებიც აღნიშნულ სემანტიკას ორგანულად გამოხატავენ, ისინი საანალიზო ნაწილაკებს ვერ ითავსებენ.

ჩვენი აზრით, ინფერენციულ, ეპისტემიკური მნიშვნელობის მწკრივებთან ამ ნაწილაკების შეუთავსებლობის საფუძველი ის არის, რომ აღნიშნულ მწკრივთა კილო პირობითია (შდრ. ქართულის ვითარება: -**მცა** ნაწილაკი არ დაერთვის კონიუნქტიურ ფორმებს, ის თავად ანიჭებს თხრობითი კილოს ზმნებს კავშირებითობა-პირობითობას), ამ მწკრივთა ძირითადი ფუნქცია საეჭვოობა-სავარაუდოობის გამოხატვაა, რაც სპეციალურ მორფემას აკისრია. მაშასადამე, ენაში არსებობს მორფოლოგიური საშუალება საანალიზო სემანტიკის გამოსახატავად. შესაბამისად, დამხმარე ლექსემების პრეროგატივა საეჭვოობა-სავარაუდოობის სემანტიკის მხოლოდ თხრობითი კილოს ზმნებთან ერთად აღწერითად გადმოცემაა. ისინი მხოლოდ ინდიკატიურ ზმნურ ფორმებთან გამოიყენება. როგორც ჩანს, თხრობითი კილო, რომელიც ნეიტრალურია, ნაკლებ პრეტენზიულია დამხმარე, ლექსიკურ საშუალებებთან დაწყვილების თვალსაზრისით, ხოლო კავშირებითი და პირობითი, სწორედ სპეციფიკური სემანტიკის გამო, ამ მხრივ გარკვეულწილად შეზღუდულია.

ენის განვითარების თანამედროვე ეტაპზე ნაწილაკებისა და ზმნური ფორმების აღნიშნული სემანტიკური ურთიერთმიმართების გაუთვალისწინებლობა (ზმნების თავისუფალი ჩანაცვლება) შესაძლოა სტილური ანომალიისა და ტექსტის არასწორი ინტერპრეტაციის საფუძველიც კი გახდეს.

8. სალომე ომიაძე

პური პოლისემიური სიტყვაა. იგი თანამედროვე ქართულში ხორბლეულის ფქვილისაგან გამომცხვარი ყოველდღიური საკვების აღმნიშვნელია, ამავე დროს, სახელია ხორბლისა ანუ იმ ერთწლოვანი მცენარისა, რომლის დაფქული მარცვლისგანაც აცხობენ ქართველთა კვებითი რაციონის ძირითად შემადგენელ ზემოთ ნახსენებ პროდუქტს. განსახილველი ლექსემა, რომელიც პირველივე ქართულ ლიტერატურულ ძეგლში დასტურდება, ზოგიერთ მეცნიერს ბერძნული puros-იდან მომდინარედ მიაჩნია, სხვა რიგის მეცნიერები კი მის ქართულობას ქართველურ ენათა მონაცემებით ასაბუთებენ.

„შუშანიკის წამებაში“ (V ს.) ***პური*** ორკომპონენტიანი ზმნური სინტაგმის – ***პურის ჭამა*** – ნაწილია, რომელიც ვახშმობას (/ სადილობას) აღნიშნავს, იმავე ტექსტში გვხვდება შესიტყვება ***ჭამი პურისაჲ,*** რომლის სტრუქტურაშიც ***პური პურის ჭამის*** ტოლფარდი ერთეულია. თუმცა სხვა ძველი ტექსტების მიხედვით, ამ ორ ერთეულს შორის ოდნავი სხვაობა მაინც ჩანს – ***პურის ჭამა ჭამასთან, სადილობასთან*** მონაცვლეობს, ***პურს*** კი უფრო ხშირად ***ტაძრობა*** და ***სმა*** ანუ „**წვეულება**“ ენაცვლება, ამასვე მოწმობს ***პურის***, როგორც **წვეულების**, მსაზღვრელად **დიდის** ხმარება: „დაუმზადა ლევი ***პური დიდი*** იესუს სახლსა შინა მისსა. და იყო კრებული მეზუერეთაჲ, რომელნი იყვნეს მათ თანა, ინაჯით-მსხდომარენი“ („სახარებაჲ ლუკაჲსი“, 5, 29). „ვეფხისტყაოსანში“ (XII ს.) ***პურის ჭამისა*** და ***პურის*** გვერდით უკვე ჩნდება

იმავე ძირის ახალი ერთეული ***პუროება*** (წვეულება, სტუმრობა). ქართველთა სტუმართმოყვარეობის ენობრივ დადასტურებად უნდა მივიჩნიოთ წვეულების აღმნიშვნელთა სიმრავლე ანუ ***პურის*** სინონიმური რიგის სიგრძე. ამ ჯგუფის ზოგიერთი ერთეული გამოიყენება როგორც ინდივიდუალურად თუ ოჯახურად საკვების მიღების, ასევე სტუმართა გამასპინძლების აღსანიშნავად (მაგალითად: *სერი, სადილი, ვახშამი*), თუმცა ამ ერთეულთაგან უმეტესი სახელდობრ სტუმრების დაპატიჟებასა და გამასპინძლებას გულისხმობს *(ტაძრობა, ხადილობა, სტუმრობა, წვეულება, დარბაზობა, ლხინი, ნადიმი, ქეიფი*). დასახელებული მრავალრიცხოვანი ჯგუფიდან ***პური*** ავირჩიეთ როგორც უძველესი ლექსემა და, ასევე, როგორც ახალ მნიშვნელობათა წარმომქმნელი. სტატიაში აღწერილია ***პურის*** (როგორც წვეულების) სინტაგმატური ველი, დამოწმებულია იმგვარი კონტექსტები, რომლებიც ***პურის*** დერივატთა შექმნის გზას გვიჩვენებს.

9. სალომე ომიაძე

იოსებ გრიშაშვილის უმდიდრეს ბიბლიოთეკაში, რომელიც რამდენიმე ათას ნაბეჭდ ერთეულს აერთიანებს, არის მარკ ტვენის „ტომ სოიერის თავგადასავლის“ ორი გამოცემა (მთარგმ. გ. ყიფშიძე), რომელთაგან მეორის ტექსტში ლექსემა პიკნიკის რამდენჯერმე გამოყენების გამო სახალხო პოეტსა და გამორჩეულ ბიბლიოფილს მიუწერია – „პიკნიკი თუ არიფანა“, სწორედ ეს მინაწერი გახდა ჩვენი კვლევის საგანი.

„არიფანა“ ლექსიკური სემანტიკის დონეზე რთული ერთეულია, ის მთელ სცენარს გულისხმობს, ცალკეული მიზანსცენებით. მის სემანტიკურ სტრუქტურაში, გარდა ცენტრალური და პერიფერიული სემებისა, ფაკულტატიური სემანტიკური კომპონენტებიც იკვეთება. ინვარიანტულია მისი კოგნიტიური მნიშვნელობა „პუროება“, რომელსაც ასევე მუდმივ მახასიათებლად ერთვის „საზიაროობა“, დანარჩენი მნიშვნელობები დამაზუსტებელი, ერთგვარი თანამნიშვნელობებია.

ფრანგული წარმოშობის სიტყვა პიკნიკი [picnic], რომელიც ქართულში რუსულის გზით უნდა იყოს შემოსული, არა მარტო თარგმანებში, არამედ მე-19 საუკუნის ქართველ მწერალთა ნაწერებშიც დასტურდება, თუმცა უმეტესად იმგვარ კონტექსტებში, რომლებიც ამ სიტყვით აღნიშნული მოვლენის უცხოობას უსვამს ხაზს.

თითოეული სიტყვის სემანტიკურ სტრუქტურათა აღწერის, მათი ლექსიკოგრაფიული, დერივაციული და სინტაგმატური ველების შესწავლის, მათი მონაწილეობით შექმნილი მხატვრული კონტექსტების ანალიზისა და მათ მიერ აღნიშნული ცნებების მოცულობათა შედარების საფუძველზე, შეგვიძლია გავიმეოროთ რაფიელ ერისთავის სიტყვები – „პიკნიკი ქართულად ითქმის: არიფანა“, თუმცა გრიშაშვილის მინაწერი „**პიკნიკი** თუ **არიფანა“,** რომელიც თარგმანში ამ ერთეულების ურთიერთჩანაცვლების შესაძლებლობას უკავშირდება, ცნებათა მოცულობების თანხვედრის გარდა, კულტურული კონტექსტის, მთარგმნელის მიმართების გათვალისწინებას მოითხოვს, ამდენად, პასუხი ისეთივე ერთმნიშვნელოვანი ვერ იქნება.

10. სალომე ომიაძე

საკვების მიღების აღმნიშვნელი სიტყვები, გარდა კოგნიტიური მნიშვნელობისა, სადღეღამისო დროის დაყოფის ფუნქციასაც ასრულებენ, რაც მათ ქრონონიმთა რიგში ათავსებს. ტემპორალობა თითოეულის სემანტიკური კომპონენტია, თუმცა ენის განვითარების სხვადასხვა ეტაპზე ამ ლექსემათა შინაფორმაში შენახული დროითი მონაცემი რეალურ დროს არ თანხვდება, რაც მათი, როგორც ჯერის აღმნიშვნელი ერთეულების, ფუნქციონირების სხვადასხვაგვარ სურათს გვიჩვენებს.

„სამხარი“ და „სადილი“ ერთი ჯერის სახელებია იმ დროის ტექსტებში, როდესაც „საუზმე“ ჯერ არ არსებობდა და ისინი ორჯერად სისტემაში პირველ კვებას აღნიშნავდნენ. „სამხარი“ და „სადილი“ ერთი ჯერის სახელებია სულხან-საბას მიერ დახასიათებულ ოთხ- ან ხუთჯერად კვების სისტემაშიც, ოღონდ ისინი უკვე მეორე კვებას აღნიშნავენ.

სამხარი და **სადილი** ჯერ იმით განემსგავსნენ, რომ ერთი ჯერის სახელებმა საკვების მიღების სხვადასხვა დრო აღნიშნეს (უფრო ადრე მიღებისა – სადილმა, მოგვიანებით მიღებისა – სამხარმა), შემდეგ **სამხარს** სხვა დამოუკიდებელი ჯერის სახელდება დაეკისრა და იგი უკვე მესამე კვების აღმნიშვნელი გახდა (კვების დღიური განაწილების როგორც სამჯერად, ასევე ოთხჯერად თუ მეტჯერად სისტემათა ფარგლებში).

ამდენად, „სამხარი“ ენის განვითარების სხვადასხვა ეტაპზე აღნიშნავდა როგორც დილის კვებას (სამხარი = ახლანდელი საუზმე), ასევე – შუადღისას (სამხარი = ახლანდელი სადილი), ასევე საღამოსას (ახლანდელი მნიშვნელობით – საკვების მიღება სადილსა და ვახშამს შორის).

იმ ექსტრალინგვისტურმა ფაქტორმა, რომ კვების დღიური განაწესი იცვლებოდა წელიწადის დროისა თუ ადამიანთა საქმიანობის ტიპის მიხედვით, ლექსემა სამხარი ცვალებადი ტემპორალობის ქრონონიმად აქცია.

11. სალომე ომიაძე

იაკობ გოგებაშვილის შემოქმედების მთავარ კონცეპტად მოზარდი თაობის რეალური ცოდნით შეიარაღება უნდა მივიჩნიოთ. იგი თავის მრავალფეროვან თხზულებებში ცოდნის კონცეპტის ობიექტივაციისათვის სხვადასხვა ხერხს მიმართავს. მათგან ყველაზე ძლიერი ზემოქმედების მქონეა უცოდინარობით გამოწვეული უარყოფითი მოვლენების წარმოჩენა, რაც თავისთავად ბადებს „უვიცობის შემცირების“ სურვილსა თუ აუცილებლობას. დასახელებული ხერხი გასდევს როგორც მის პედაგოგიკურ დისკურსს, ასევე მხატვრულ ნაწარმოებებს. უაღრესად მნიშვნელოვანია იაკობ გოგებაშვილის მემკვიდრეობის ის ნაწილი, რომელიც შემეცნებითი ხასიათითა და პოპულარული თხრობის მანერითაა ნიშანდებული. სწორედ ასეთია მის მიერ აღწერილი საქართველო, ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხის მკვიდრთა ყოფა და ცხოვრება, რომელთა ყოველი ქცევის, ხასიათის ნებისმიერი თვისების მიზეზად თუ პირობად ცოდნისადმი მათი დამოკიდებულება სახელდება. განსაკუთრებით საინტერესოა აღნიშნული გზით შექმნილი ის მიკროკონტექსტები, რომლებიც იაკობ გოგებაშვილის ეთნოგრაფიულ ნაწარმოებთა დიდი ნაწილის კომპოზიციურ-შინაარსობრივ ერთეულად გვევლინება.

ცოდნის კონცეპტური სტრუქტურის რეალიზება იაკობ გოგებაშვილის მთელ მემკვიდრეობაში დეკლარაციული და კონტრასტული დაპირისპირების ხერხთა მონაცვლეობით მიიღწევა, თუმცა მის დისკურსზე დაკვირვება უკანასკნელის უპირატესობას ცხადყოფს და მაკროკონცეპტი ცოდნა უმეტესად საპირისპიროს (უცოდინარობის) უარყოფის გზით აღიწერება. აღსანიშნავი ის არის, რომ ეთნოგრაფიული ტექსტები, რომლებშიც, ჩვეულებრივ, განათლებასთან დაკავშირებულ ცნობებს დიდი ადგილი არ ეთმობა, იაკობ გოგებაშვილისათვის ისეთივე საშუალებაა „უვიცობის შემცირებისა“ და განათლების აუცილებლობის წარმოჩენისა, როგორიც საგანგებო პედაგოგიკური თხზულებები.

იაკობ გოგებაშვილის ყოველ ნაწარმოებში – მხატვრულშიც და არამხატვრულშიც – ექსპლიციტურად თუ იმპლიციტურად ცოდნის ძალაა ნაჩვენები, „უვიცობის შემცირება“ კი მისი მდიდარი შემოქმედების ქვაკუთხედი და მისი ცხოვრების საზრისია.

12. რუსუდან ზექალაშვილი

ნაშრომში განხილულია ტერმინთქმნადობისა და ნომინაციის საკითხები, კერძოდ კი, მეტონიმიისა და მეტაფორიზაციის საკითხები სამედიცინო ტერმინოლოგიაში, რომელიც ყველაზე უნიფიცირებულია, რადგან ტერმინები უმეტესად ინტერნაციონალურია.

მეტონიმიურ-მეტაფორულ სამედიცინო ტერმინები დახასიათებულია აგებულებისა და სემანტიკის მიხედვით. გამოყოფილია ერთსიტყვიანი მარტივფუძიანი, ასევე სუფიქსებით ან სუფიქსოიდებით ნაწარმოები, ორ- და მეტსიტყვიანი ტერმინები.

განსაკუთრებული ყურადღება გამახვილებულია ტერმინთა მეტონიმია-მეტაფორიზაციის უნივერსალურ ხასიათზე. მოძიებულია ნომინაციის საფუძველი: გარეგნული მსგავსება დენოტატთან (ანატომიურ ტერმინებში), ასოციაციური დაკავშირება საგნის ან არსების გარეგნობასთან, ფიზიკურ მდგომარეობასა თუ ქცევასთან.

გაანალიზებულია სამედიცინო ტერმინთა მეტონიმია-მეტაფორიზაციის წყარო: არაცოცხალი გარემო (ტოპონიმები, საყოფაცხოვრებო ნივთები, გარესამყაროს საგნები), ცოცხალი არსებები (ცხოველებისა და ფრინველების გარეგნობა ან ქცევა), რეალური ადამიანები და საქმიანობის სპეციფიკა, გამოგონილი პერსონაჟები (ლეგენდარული, ბიბლიური პირები, ზღაპრების გმირები, მხატვრული ნაწარმოებების პერსონაჟები).

ბოლოს განხილულია ამ ტიპის სამედიცინო ტერმინთა დემეტაფორიზაციია და მონოსემანტიზაცია.

13. რუსუდან ზექალაშვილი

ნაშრომში დასმულია კოლოკაციათა საკითხი, რომელიც განსაკუთრებით მნიშვნელოვანი გახდა კორპუსლინგვისტიკასა და უცხო ენათა სწავლების მეთოდიკაში.

მოყვანილია განსხვავებული შეხედულებები კოლოკაციის ცნებისა და სახეების შესახებ. გაზიარებულია **ალ. გეიკენის** კლასიფიკაცია, რომელიც ეყრდნობა კორპუსულ ლინგვისტიკას და საფუძვლად დაედო გერმანული ენის კოლოკაციათა ლექსიკონს: **ფრაზისშიდა** და **ზეფრაზული** რელაციები. პირველში: სახელებისგან შედგენილი კოლოკაციები: **A+N**; **A+A**; **N(gen)+N**; ასევე: ზმნიზედისა და სახელის შემცველი შესიტყვება **Adv** + **A**; **ზეფრაზულ** რელაციებში გამოყოფილია ზმნური

კოლოკაციები: **N** (სუბ.)+**V**; **N** (სუბ.) + **V** (პასიური); **N** (პირ. ობ.)+**V**; **N** (ირ. ობ.)+ **V**; **V+N+Post**; ბოლო ქვეჯგუფი კი ზმნისა და ზმნიზედისგან შედგება: **Adv+V**.

განსაკუთრებული ყურადრება მიქცეულია ქართულ-გერმანულ ლექსიკონში (2009; 2015) გამოყენებულნკოლოკაციათა სახეებზე. კოლოკაციის ძირითადი კომპონენტია სალექსიკონო ერთეული, მეორე კი – მასთან ხშირად გამოყენებული რომელიმე ლექსიკური ერთეული: ზმნა, არსებითი სახელი (ან მასდარი), ზედსართავი სახელი (ან მიმღეობა) და ზმნიზედა. გამოვლენილია განსხვავება ქართულ და გერმანულ კოლოკაციის ტიპებს შორის, მათი გავრცელების განსხვავებული სიხშირე (მაგ., სიმრავლე ქართულ არსებით სახელებთან, გერმანულ ენაში – კომპოზიტთა სიჭარბე); მასდარიანი კოლოკაციები შუალედურ ადგილს იკავებს სახელურსა და ზმნურ კოლოკაციებს შორის.

დადგენილია ქართულ-გერმანულ ლექსიკონში გამოყენებული კოლოკაციების ძირითადი ტიპები: **არსებით** სახელებთან – ატრიბუტული და სუბსტანტიური მსაზღვრელები; **ზმნებთან** – არსებითი სახელები სუბიექტის, პირდაპირი/ირიბი ობიექტის ან უბრალო დამატების (ხანაც გარემოების) ფუნქციით

ბოლოს ჩამოყალიბებულია კოლოკაციათა ფუნქციები ლექსიკონში სიტყვის სემანტიკის შესავსებად და დასაზუსტებლად, სისტემური მიმართებისა და ტაქსონომიური დამოკიდებულების წარმოსაჩენად.

14. რუსუდან ზექალაშვილი

ნაშრომში ყურადღება გამახვილებულია ქართველოლოგების ღვაწლსა და როლზე, განსაკუთრებით კი გერმანულ ქართველოლოგიაზე, რომელთაგან ერთ-ერთი გამორჩეული იყო **გერჰარდ დეეტერსი.** მოკლედ განხილულია მისი მნიშვნელოვანი მონოგრაფია „ქართველური ზმნა (სამხრეთ კავკასიური ენების ზმნური სტრუქტურის შედარებითი წარმოდგენა“ (Das kharthwelische Verbum (Vergleichende Darstellung des Verbalbaus der südkaukasischen Sprachen), Leipzig, 1930; გამოყოფილია გ. დეეტერსის ზოგიერთი საყურადღებო მოსაზრება ქართულ ზმნასთან დაკავშირებით და წარმოდგენილია რამდენიმე სიტყვის მისეული ეტიმოლოგია. დასმულია საკითხი დეეტერსის ნაშრომებისა და არქივის ქართულად თარგმნისა და შესწავლის აუცილებლობაზე.

15. გიული შაბაშვილი

მადლობის სამეტყველო აქტის სპეციფიკა ქართულ და ინგლისურ ენებში

სტატიაში განხილულია მადლობის სამეტყველო აქტის თავისებურებები, სხვადასხვა სამეტყველო სიტუაციაში მისი გამოყენების პრაგმატული მოტივაცია და შესაბამისი ენობრივი ფორმულები. ნაშრომში გაანალიზებულია ქართული და ბრიტანული ინგლისური ენებისა და კულტურის მონაცემები. ნაშრომი ეფუძნება ანალიტიკური და კომპარატივისტული კვლვის მეთოდებს. მასში წარმოდგენილია ბრიტანული და ქართული ბეჭდითი მედიისა და სატელევიზიო შოუების მასალები, აგრეთვე, ბრიტანული ეროვნული კორპუსის მონაცემები. თითო ენაში განხილულია მადლობის სამეტყველო აქტის 130-მდე ნიმუში.

კვლევის თეორიული ჩარჩო ეყრდნობა იუნგის კლასიფიკაციას კლასიფიკაციას, რომლის მიხედვითაც გამოიყოფა მადლობის სამეტყველო აქტის რამდენიმე ფუნქცია: 1. გარკვეული (კონტექსტზე ორიენტირებული) ‘სარგებლის’ აღნიშვნა; 2. საუბრის დაწყების, შეწყვეტის, დასრულებისა და თემის შეცვლის ფუნქცია; 3. რაიმე ადგილის დატოვებისა და გამომშვიდობების ფუნქცია; 4. შეთავაზებაზე დადებითი ან უარყოფითი პასუხის ფუნქცია; 5. უარყოფითი ემოციური მდგომარეობის გამოხატვის ფუნქცია.. ნაშრომის სიახლეს წარმოადგენს შემდეგი დამატებითი მახასიათებლების გამოყოფა: 6. მადლობა ფართო კონტექსტით; 7. მადლობა რედუპლიკაცია, ექსპრესიულობის გამოხატვა; 8. მადლობა კომპლიმენტი, ირიბი მადლობა; 9. ენაში დაფიქსირებული შესიტყვებები; 10. შესრულებულ (ან არ შესრულებულ) თხოვნაზე რეაქცია, ექსტრალინგვისტური საშუალებების ჩართვა.

როგორც კვლევამ გვიჩვენა, ფორმალურ გარემოში სამეტყველო ეტიკეტის მიხედვით მადლობის გადახდის ფორმები თითქმის იდენტურია ორივე სამიზნე ენაში. რაც შეეხება რამდენიმე სპეციფიკურ სამეტყველო სიტუაციას, მაგალითად სათქმელის შერბილებას, რედუპლიკაციას, ექსპრესიულობასა და ინტენსივობას, ამგვარი ფორმები ბრიტანული ინგლისურისაგან განსხვავებით უფრო დამახასიათებელია ქართული ენისათვის.

16. გიული შაბაშვილი

ინგლისური ნასესხობების სემანტიკური ჯგუფები და მათი პრაგმატული რეალიზაცია თანამედროვე ქართულ ენაში

ნაშრომში განხილულია ქართულ ენაში დამკვიდრებული ინგლისური ნასესხობების სემანტიკურ ჯგუფები, მათი შემოსვლის გზები, პრაგმატული რეალიზაციის პირობები და მოცემულია მათი სესხების ფორმები. მოცემულია ანგლიციზმების გამოყენების მოტივაცია. გამოყენებულია კვლევის შემდეგი მეთოდები: კორპუსული მეთოდი, კითხვარი და მისი ანალიზი, სტატისტიკური და თეორიული ანალიზი. ნაშრომის თეორიული ჩარჩო შემუშავებულია თანამედროვე სამეცნიერო ლიტერატურაზე დაყრდნობით და შემოთავაზებულია ქართული ენისათვის სპეციფიკური ჯგუფები.

ნაშრომში გამოყოფილია ანგლიციზმების შემდეგი ჯგუფები:

1. ფაქტორები, რომლებიც ანგლიციზმების სესხებასა და დამკვიდრებას უწყობს ხელს: სოციო-ეკონომიკური მოვლენები და გავლენების ვექტორის ცვლილება ანგლო-ამერიკული სამყაროსაკენ. ამ პროცესმა გამოიწვია ის, რომ ინგლისურმა ნასესხობებმა ჩაანაცვლა ქართული ენის ამავე სფეროში არსებული ლექსიკური ერთეულები ან შემოვიდა ახალი ცნებების აღსანიშნად. სოციალური პრესტიჟისა და ემოციური ელფერის გადმოცემა. ანგლო-ამერიკული სამყაროდან შემოტანილი რეალიები და მათი შესაბამისი ერთეულების არქონა. მოკლე, ლაკონიური და სხარტი ტერმინების აუცილებლობა.
2. გამოყენების სფეროების მიხედვით: ბიზნესი და კომერციული საქმიანობა, ტექნოლოგიებისა და მეცნიერების განვითარება; პოლიტიკა და საზოგადოებრივი ცხოვრება, გართობა და დასვენება; მოდა, ტანსაცმელი და სილამაზის ინდუსტრია; გასტრონომია; სპორტი.
3. ანგლიციზმების გამოყენების ფუნქციის მიხედვით: მეტაფორები, ევფემიზმები, განსხვავებული კონოტაციით შემოსული ერთეულები, სოციალურად მიუღებელი მოვლენების აღმნიშვნელი ლექსიკა, კომპლიმენტი, ემოციის გამომხატველი ლექსიკა, ტერმინოლოგია, პოლიტკორექტულობა, ერთეულები, რომლებმაც შეიცვალა შინაარსი, დენოტატივისა და კონოტატივის ფუნქციები.
4. სესხების ფორმები: პირდაპირი, არაპირდაპირი, ჰიბრიდული და ცრუანგლიციზმები.

კითხვარების ანალიზმა ცხადყო, რომ ქართულ ენაში ანგლიციზმები უმეტესად პრესტიჟულობისა და ექსპრესიულობის მიზნით გამოიყენება და ხშირ შემთხვევაში სლენგს წარმოადგენს.

ანგლიციზმების უმეტესობა, რომლებსაც სლენგის დატვირთვა აქვს, ძირითადად გვხვდება ზეპირმეტყველებაში.

სამეცნიერო დისკურსში გამოყენებული ანგლიციზმები მკვიდრდება როგორც სამეცნიერო ტერმინები, ამიტომ ეს ლექსიკური ნასესხობები ადვილად იკიდებს ფეხს სალიტერატურო ენაში, საიდანაც ინაცვლებს ზეპირმეტყველებაში, ამ შემთხვევაში ვიწრო სამეცნიერო ტერმინი უფრო ფართო მნიშვნელობას იძენს.

ანგლიციზმები, რომლებიც რამდენიმე ათეული წლის წინ შემოვიდა ქართულ ენაში, უკვე სალიტერატურო ენის კუთვნილებაა და მოიაზრება, როგორც ქართული ენის ლექსიკური ფონდის ნაწილი.

ანგლიციზმების დამკვიდრების პრაგმატული მოტივაციისა და პრაგმატული ანალიზის მიხედვით ქართული ენა მისდევს ევროპული ენების მონაცემებს. თუმცა, კვლევის შედეგად, გამოიკვეთა ქართული ენისათვის სპეციფიკური რამდენიმე შემთხვევაც, მათ შორის, ანგლიციზმების გამოყენება პოლიტკორექტულობის მიზნით, ანგლიციზმები, რომლებიც ახალ მნიშვნელობას გვიჩვენებს და ინგლისური ნასესხობები, რომლებიც პრესტიჟულობის მოტივით ანაცვლებს რუსული ენის გზით შემოსულ ძველ ფორმებს ან მათ ქართულ შესატყვისებს, რომელთაც საბჭოთა პერიოდიდან მოყოლებული უარყოფითი კონოტაცია ახასიათებს.

თანამედროვე ქართულში ინგლისური ნასესხობები მკვიდრდება რამდენიმე გზით. ერთი მხრივ, შემოდის, როგორც საერთაშორისო ლექსიკა, სოციოლექტი და მკვიდრდება როგორც ტერმინი, ხოლო, მეორე მხრივ, შემოდის ახალ ტექნოლოგიებთან, ქართული კულტურისათვის უცხო რეალიებსა ან გასტრონომიულ სიახლეებთან ერთად და ქართული შესატყვისის არარსებობის გამო რჩება ქართული სალიტერატურო ენის ნაწილად.

6. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა უცხოეთში

6.1. მონოგრაფიები/წიგნები

№	ავტორი/ავტორები	მონოგრაფიის/წიგნის სათაური, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	**Kakha Gabunia,** Shalva Tabatadze, Natia Gorgadze	Study of the Higher Education Minority Quota System Policy in Georgia, 2010-2019; Monograpfy, 2020, Tbilisi, Georgia. ISBN: 978-9941-8-2238-4	Tbilisi, ©Center for Civil Integration and Inter-Ethnic Relation, 2020	100
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე) კვლევა ჩატარდა "ტოლერანტობის, სამოქალაქო ცნობიერებისა და ინტეგრაციის მხარდაჭერის პროგრამის" (PITA) ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს საქართველოს გაეროს ასოციაცია (UNAG), ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) ფინანსური მხარდაჭერით. ეთნიკური უმცირესობებისთვის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ ინიცირებული საშეღავათო პოლიტიკა მიზნად ისახავს ყველა სტუდენტს მისცეს განათლების მიღების თანაბარი შესაძლებლობა. ქართულ ენაში მომზადების ერთწლიანი პროგრამის მიზანია, დაეხმაროს არაქართულენოვან სტუდენტებს ქართულ ენაზე უმაღლესი განათლების მისაღებად აუცილებელი უნარ-ჩვევებისა და ცოდნის მიღებაში.			

წარმოდგენილი კვლევა მიზნად საშეღავათო პოლიტიკის ათი წლის განმავლობაში არსებული მდგომარეობის ერთიან შეფასებას, წარმატებების ხაზგასმას, გამოწვევებისა და პრობლემების წარმოჩენასა და მათზე დაფუძნებით - სამომავლო პოლიტიკის განსასაზღვრადრეკომენდაციების შემუშავებას ისახავს. შესაბამისად, კვლევის ანგარიში მნიშვნელოვან დოკუმენტს წარმოადგენს ეროვნული უმცირესობების მიმართ განხორციელებული პოლიტიკის გაანალიზებისა და გადახედვის, შეცვლისა და გაუმჯობესებისაკენ სწრაფვისათვის.

6.2. სახელმძღვანელოები

№	ავტორი/ავტორები	სახელმძღვანელოს სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1 2				
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)				

6.3. კრებულები

№	ავტორები	კრებულის სახელ-წოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1 2 3				
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)				

6.4. სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI ან ISSN	ჟურნალის/ კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	**დარეჯან თვალთვაძე**	THE EDUCATIONAL POLICIES FOR SAFEGUARDING AND TRANSMITTING THE LANGUAGE AS AN INTANGIBLE CULTURAL HERITAGE http://dx.doi.org/10.17770/sie2020vol5.4806 ISSN: 2256-0629	*SOCIETY. INTEGRATION. EDUCATION*. Proceedings of the International Scientific Conference. Volume V 2020	REZEKNE (Latvia) Rēzeknes Tehnoloģi juakadēmija	8 გვერდი გვ. 570-578

2	ანა ხარანული	1.2.10. Georgian Texts ISBN: 978-90-04-35559-0	The Canonical History of the Deutero-Canonical Texts, The Textual History of the Bible (THB), Vol. 2A: Deutero-Canonical Scriptures	Leiden: E.J. Brill, 2020	456-473
3	ანა ხარანული	1.1.8. Georgian Canon ISBN: 978-90-04-35559-0	The Canonical History of the Deutero-Canonical Texts, The Textual History of the Bible (THB), Vol. 2A: Deutero-Canonical Scriptures	L eiden: E.J. Brill, 2020	258-269
4	A.Kharanauli	Origen and Lucian in the Light of Ancient Editorial Techniques ISBN: 978-3-525-52209-7	A. Aejmelaeus, D. Longacre (eds.), *From Scribal Error to Rewriting: How (Sacred) Texts May and May Not Be Changed*, De Septuaginta Investigationes(DSI)	Göttingen: Vandenhoeck & Ruprecht), 2020	15-52
5	A.Kharanauli	Septuagint Text Types in the Georgian Translations, in: A. Aejmelaeus, D. Longacre (eds.), ISBN: 978-3-525-52209-7	*From Scribal Error to Rewriting: How (Sacred) Texts May and May Not Be Changed*, De Septuaginta Investigationes (DSI)	Göttingen: Vandenhoeck & Ruprecht), 2020	391-409

6	**სალომე ომიაძე**	On the Translation of Food-Related Somatic Phraseological Units – კვებასთან დაკავშირებულ სომატურ ფრაზეოლოგიზმთა თარგმნის შესახებ ISBN 978-617-646-477-8	"General and Specialist Translation / Interpretation: Theory. Methods. Practice". XIII International Conference Papers – „სპეციალური და მხატვრული თარგმანი: თეორია, მეთოდოლოგია, პრაქტიკა" – XIII საერთაშორისო კონფერენციის შრომების კრებული	Kyiv: Agrar Media Group (კიევი, აგრარმედიაჯგუფი)	5 გვ. (გვ. 232-236)
7	**რუსუდან ზექალაშვილი**	ინფინიტივური ჯგუფებისა და კონსტრუქციების ეკვივალენტები ქართულში [The Equivalent Forms of the German Infinitive Groups and Constructions in Georgian]	სპეციალური და მხატვრული თარგმანი: თეორია, მეთოდოლოგია, პრაქტიკა: სამეცნიერო შრომების კრებული / ა.გ. გუდმანიანისა და ს.ი. სიდორენკოს საერთო რედაქციით. (ინგლისურ ენაზე). ISBN 978-617-646-477-8	კიევი: გამომცემლობა „აგრარ-მედია გრუპ", 2020	7 გვ. (გვ. 182-189)
8	**Kakha Gabunia** Shalva Tabatadze Natia Gorgadze	Intercultural content and perspectives in school textbooks in Georgia (/doi/abs/ 10.1080/14675986.2020. 1747290)	(Intercultural Education Volume 31, 2020 – Issue 4) - https://www. tandfonline. com	ონლაინ გამოცემა, აშშ	16
9	**Kakha Gabunia** Ketevan Gochitashvili	Language policy in relation to the Russian language in Georgia before and after	The Soft Power of the Russian Language;	London Routledge 2020	14

		dissolution of the Soviet Union eBook ISBN9780429061110			

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1. დარეჯან თვალთვაძე

THE EDUCATIONAL POLICIES FOR SAFEGUARDING AND TRANSMITTING THE LANGUAGE AS AN INTANGIBLE CULTURAL HERITAGE

ენის, როგორც არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის, დაცვისა და გადაცემის საგანმანათლებლო პოლიტიკა

გლობალური პროცესებით გამოწვეული ინტეგრაციის კვალდაკვალ დღეს უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ეთნიკური უმცირესობების უფლებების, ენებისა და რელიგიური კუთვნილების დაცვას. ნაშრომში განხილულია მთავრობის პოლიტიკა და ის საგანმანათლებლო პროექტები თუ პროგრამები, რომლებიც ემსახურება ეთნიკური უმცირესობების ინტეგრაციას ქართულ საზოგადოებაში. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ზოგადი და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ გატარებულ რეფორმებს, არაქართულენოვანი მოზარდებისათვის სახელმწიფო ენის სწავლებას, ახალი საბაკალავრო თუ სამაგისტრო პროგრამების შემუშავება-დანერგვასა და სხვა. კვლევის მეთოდოლოგია მოიცავს მიმდინარე პროცესებზე დაკვირვებას, ანალიზსა და შეფასებას.

http://journals.ru.lv/index.php/SIE/issue/view/139/showToc

ინდექსირებულია მონაცემთა ბაზებში: CrossRef, SciLit, Google Scholar, OpenAire, WordCat

2. ანა ხარანაული

სტატიაში განხილულია ძველი აღთქმის ე.წ. აპოკრიფული წიგნების ქართული თარგმანებთან დაკავშირებული სხვადასხვა საკითხი: წყაროები, გამოცემები, კვლევის ისტორია, წარმომავლობა, თარგმანის ტექნიკა, ენა.

3. ანა ხარანაული

კანონიკური წიგნების სია განსხვავებულია სხვადასხვა ქრისტიანულ ქვეყანაში დროის სხვადასხვა მონაკვეთში. სტატიაში საუბარია ქართული კანონის შესახებ, მისი მიმოხილულია მისი ჩამოყალიბების ისტორია და განვითარების გზა. ასევე, ნაჩვენებია მიმართებები აღმოსავლეთ საქრისტიანოს სხვა კანონებთან.

4. ანა ხარანაული

სტატიაში ავტორი ცდილობს დაასაბუთოს, რომ ბიბლიის ფილოლოგია გაგრძელებაა ჰომეროსის ფილოლოგიისა. აქ დაწვრილებით, წყაროთა მოხმობით, ერთმანეთთან არის შედარებული ანტიკურობის გრამატიკოსებისა და ქრისტიანი ფილოლოგების, ორიგენესა და ლუკიანეს მუშაობის მეთოდები.

5. ანა ხარანაული

სტატიაში ეზეკიელის, იერემიას, ესაიას და 1 ეზრას ქართული თარგმანების მაგალითზე განხილულია წინაორიგენული, ორიგენული და პოსტორგიგენული ცვლილებები შესაბამისი წიგნების ბერძნული ტექსტის ისტორიაში.

6. სალომე ომიაძე

ყველა ენაში დასტურდება კულტურის ორი უძველესი კოდის – კვებითისა და სომატურის – ურთიერთდაკავშირებით გაჩენილი ენობრივი ერთეულები. მათი ნაწილი ხატოვან გამონათქვამებს მიეკუთვნება, ნაწილი კი არამხატვრულ ფრაზეოლოგიზმთა ჯგუფს ქმნის.

ფრაზეოლოგიზმები სამართლიანად მიიჩნევა „ძნელად სათარგმნელ“ მყარ შესიტყვებებად. ზოგჯერ მათ „უთარგმნელ“ ერთეულებსაც უწოდებენ, მაგრამ ჩვენ მიერ განსახილველი ჯგუფის დიდ ნაწილზე ეს არ ითქმის, რადგან ძირითად სირთულეს ქმნის და ზოგჯერ შეუძლებელიც კია ფრაზეოლოგიზმის საყრდენი მხატვრული სახის გადატანა მეორე ენაში, ჩვენი საანალიზო ერთეულები კი ხატოვანების მაღალი ხარისხით არ გამოირჩევიან. სწორედ ამიტომ, მთარგმნელმა პირველ რიგში კვებასთან დაკავშირებული სომატური ფრაზეოლოგიზმის ხატოვანება უნდა დაადასტუროს ან გამორიცხოს. ადეკვატურად თარგმნისათვის, სამეტყველო რეგისტრისა და სტილური ელფერის შენარჩუნებასთან ერთად, მნიშვნელოვანია ნათარგმნ ერთეულში სომატონიმის პოვნიერება. სტატიაში, კონკრეტული მაგალითების საფუძველზე, ფრაზეოლოგიური თარგმანის შესასრულებელი ხერხებია განხილული.

7. რუსულიდან ზერქალაშვილი

სტატიაში დასმულია საკითხი ორი არამონათესავე ენის განსხვავებული გრამატიკული ფორმების შესახებ, კერძოდ, განხილულია გერმანული ინფინიტივური ჯგუფებისა და კონსტრუქციების ქართული ეკვივალენტები. ყურადღება გამახვილებულია ევროპული ინფინიტივისა და ქართული მასდარის განსხვავებებზე და ამით განპირობებულ სირთულეებზე თარგმნის პროცესში. გამოყოფილია გერმანული ინფინიტივური ჯგუფების ქართული ეკვივალენტები: საწყისი დამატების ან ქვემდებარის ფუნქციით, ბივერბალური კონსტრუქციები, ხოლო ინფინიტივური კონსტრუქციებისთვის: მომავალი დროის მიმღეობური ფორმები დამხმარე ზმნებთან და მიმღეობები გარემოებების ფუნქციით.

8. კახა გაბუნია

სტატიაში გაანალიზებულია საჯარო სკოლებში გრიფირების პროცესის შედეგად გასული სახელმძღვანელოების ინტერკულტურული ასპექტები.

9. კახა გაბუნია

სტატიაში განხილულია რუსული ენის როლი და მისი გამოყენების სოციოლინგვისტური არეალი სსრკ დაშლამდე და დაშლის შემდგომ პერიოდში.

7. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

7.1. საქართველოში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	**დარეჯან თვალთვაძე**	გვიან რედაქტირებული ოთხთავის კიდევ ერთი ხელნაწერი ათონური კოლექციიდან (Ath. 83)	2020 წლის 26 თებერვალი. თბილისი, თსუ აკაკი შანიძის დაბადებიდან 133 წლისადმი მიძღვნილი კონფერენცია პროგრამა და მოხსენებათა აბსტრაქტები https://www.tsu.ge/data/file_db/faculty_humanities/akaki_shanidze_2020_98286.pdf

2	**დარეჯან თვალთვაძე**	სახარების საკითხავები ლიტურგიკულ კრებულში „საწელიწდო სახარება“	3-5 ივლისი, 2020 თსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის XIV საფაკულტეტო სამეცნიერო კონფერენცია (მიძღვნილი აკადემიკოს ოთარ ლორთქიფანიძის დაბადებიდან 90 წლისთავისადმი). გამოქვეყნდა პროგრამა და მოხსენებათა აბსტრაქტები ქართულ და ინგლისურ ენებზე https://www.tsu.ge/

მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა)

1. **გვიან რედაქტირებული ოთხთავის კიდევ ერთი ხელნაწერი ათონური კოლექციიდან (Ath. 83)- გამოქვეყნებულია ფორუმის მასალებში:**
https://www.tsu.ge/data/file_db/faculty_humanities/akaki_shanidze_2020_98286.pdf

2. **სახარების საკითხავები ლიტურგიკულ კრებულში „საწელიწდო სახარება“**

მოხსენებათა აბსტრაქტები ქართულ და ინგლისურ ენებზე გამოქვეყნდა თსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საფაკულტეტო სამეცნიერო კონფერენციის ვებგვერდზე, რომელიც, სამწუხაროდ, ამჟამად (საიტის შეცლისა და ახალი სატესტო რეჟიმში მუშაობის გამო) მისაწვდომი არ არის. https://www.tsu.ge/

„საწელიწდო სახარება“ ლიტურგიკული კრებულის ერთი ტიპია, რომელშიც წარმოდგენილია მთელი წლის განმავლობაში ეკლესიაში ღვთისმსახურების დროს საკითხავი ტექსტები სახარება-ოთხთავიდან (აქედან სახელწოდება „ საწელიწდო“). მასში ტექსტები დალაგებულია არა სახარება-ოთხთავში წარმოდგენილი თანმიმდევრობით, არამედ ღვთისმსახრებისთვის დადგენილი წეს-განგებით (ტიპიკონით) განსაზღვრული კალენდარული რიგით და სახარებებიდან შერჩეულია („გამოკრებილია“) ის ადგილები, რომლებიც თემატურად უკავშირდება საეკლესიო კალენდრის კონკრეტულ დღესასწაულს (აქედან სახელწოდება „სახარებაჲ გამოკრებული“).

ასეთი „გამოკრებილი საწელიწდო სახარება“ („სახარებაჲ საწელიწდოჲ გამოკრებული“), ადრეულ ხელნაწერებში არ ჩანს. X საუკუნემდე ბიბლიური წიგნებიდან გამოკრებილი საკითხავები ერთ კრებულში „ლექციონარში“ იყო წარმოდგენილი, სადაც ძველი აღთქმის საკითხავების გვერდით შესაბამის ადგილს იკავებდა საკითხავები ახალი აღთქმის წიგნებიდან, მათ შორის, სახარებებიდან. მას შემდეგ, რაც „ლექციონარი“ ორად გაიყო (X საუკუნიდან), იწყება სპეციალური კრებულების შექმნა, სადაც მხოლოდ ძველი აღთქმის (ძირითადად წინასწარმეტყველთა) წიგნებიდან გამოკრებილი საკითხავებია გაერთიანებული („პროფიტოლოგიონები“, „პარემიონები“) და კრებულები, სადაც ახალი აღთქმის საკითხავებია შეტანილი („გამოკრებული სახარება-სამოციქულო“), ჩნდება კრებულებიც, რომლებიც მხოლოდ სახარების საკითხავებს შეიცავენ. „საწელიწდო სახარება“ („აპრაკოსი“) სწორედ ერთ-ერთი ასეთი კრებულია, მასში წარმოდგენილია აღდგომის კვირიდან დაწყებული მთელი წლის განმავლობაში ღვთისმსახურების დროს საკითხავი მასალა იოანეს, მათეს, მარკოზის და ლუკას სახარებებიდან.

ლიტურგიკულ კრებულებში დაცული ბიბლიურ წიგნთა საკითხავები ყოველთვის იქცევდა ბიბლიის ქართული თარგმანის ტექსტის მკვლევართა ყურადღებას, განსაკუთრებით ეს ითქმის ლექციონარებზე,

რომელთა შესწავლა საუკუნეზე მეტი ხნის წინ და დაიწყო და დღეს, მიუხედავად იმისა, რომ საკითხის შესწავლა ამოწურული არ არის, შეიძლება ითქვას, რომ მეტწილად დადგენილია ამ კრებულის სტრუქტურა, მასში მომხდარი ცვლილებები და ლექციონარში წარმოდგენილი ბიბლიური საკიხავების შესაბამის ბიბლიურ ტექსტთან მიმართების საკითხიც. ლექციონარებისაგან განსხვავებით, მკვლევართა ყურადღების მიღმაა დარჩენილი ბიბლიური საკითხავების შემცველი სხვა კრებულები (ალბათ იმიტომ, რომ ისინი შედარებით გვიან ჩამოყალიბებული კრებულებია, შედარებით გვიანდელი ხელნაწერებითაა მოღწეული და ივარაუდება, რომ ბიბლიის ტექსტის კვლევისთვის ნაკლებად ღირებულია). ეს ითქმის „საწელიწდო სახარების“ შესახებაც, რომლის შემცველი ხელნაწერები მრავლად მოგვეპოვება. მართალია, მათი უმრავლესობა გვიანდელი ნუსხაა, მაგრამ გვაქვს XI საუკუნის რამდენიმე ხელნაწერიც, რომელთა შესწავლა მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ამ ტიპის კრებულის სტრუქტურისა და შედგენილობის დასადგენად, არამედ მათში წარმოდგენილი სახარების საკითხავების ტექსტის რაობის, მის შესაბამის ბიბლიურ ტექსთან მიმართების დადგენის თვალაზრისით. ამ მხრივ კი „საწელიეწდო სახარებები“ დღემდე არ გამხდარა შესწავლის ობიექტი.

ჩვენს მოხსენებაში წარმოდგენილია ცდა XI საუკუნის ხელნაწერის მაგალითზე, რომელიც 1043 წელს შეიქმნა ათონის ივერთა მონასტერში „წესისაებრ სოფია წმიდისა და ასტუდიისა და ყოველთა ეკლასიათაებ საბერძნეთისასა“ და დღემდე ინახება „ივირონის“ წიგნთსაცავში (N60), ვაჩვენოთ ამ ტიპის ლიტურგიკულ კრებულებში დაცული სახარების საკითხავების მნიშვნელობა სახარება-ოთხთავის ქართული თარგმანის ტექსტის კვლევისა და ისტორიისათვის. ტექსტოლოგიური კვლევა ჩატარებულია ათონურ „საწელიწდო სახარებაში“ წარმოდგენილ მათეს სახარების საკითხავების მაგალითზე, რის შედეგად შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნულ კრებულში დაცული მათეს სახარების საკითხავები მათეს სახარების შესაბამის ტექსტებთან მიმართების თვალსაზრისით საინტერესო სურათს გვიჩვენებს. მათში გვაქვს ისეთი იკითხვისები, რომლებიც მათეს სახარების შემცველ არცერთ ძველ ნუსხაში არ დასტურდება.

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
3	**ლელა ციხელაშვილი**	-ა-კითხვითნაწილაკიანი ერთი ტიპის ფორმების შესახებ ძველ ქართულ ენაში https://www.tsu.ge/data/file_db/faculty_humanities/akaki_shanidze_2020.pdf	აკაკი შანიძის ხსოვნისადმი მიძღვნილი საჯარო სხდომა, ივანე ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, ქართული ენის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი, თბილისი, 2020 წლის 26 თებერვალი
4	**ლელა ციხელაშვილი**	ჩვენებით ნაცვალსახელთა -ა- მავრცობხმოვნიანი ფორმები ძველ ქართულ ენაში (თეზისები გამოცემულია)	ივანე ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის XIV საფაკულტეტო სამეცნიერო კონფერენცია, მიძღვნილი აკად. ოთარ ლორთქიფანიძის დაბადებიდან 90 წლისთავისადმი, თბილისი, 2020 წლის 3 -5 ივლისი.

მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა) 3. https://www.tsu.ge/data/file_db/faculty_humanities/akaki_shanidze_2020.pdf 4. (თეზისები გამოცემულია)			
№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
5	**რამაზ ქურდაძე, ქეთევან მარგიანი, მაია ლომია**	ევიდენციალობის სტატუსის შესწავლის ისტორიისათვის ქართულში	8 იანვარი, 2020 თსუ, თბილისი
6	**რამაზ ქურდაძე**	ქცევის ნიშანთა ფაკულტატიური გამოყენების ერთი შემთხვევა ქართულის, როგორც მეორე ან უცხო ენის, სწავლების დროს	თსუ XIV საფაკულტეტო სამეცნიერო კონფერენცია, მიძღვნილი აკადემიკოს ოთარ ლორთქიფანიძის დაბადებიდან 90 წლისთავისადმი, 4 ივლისი, (პროგრამა იხ. https://old.tsu.ge/data/file_db/faculty_humanities/Programmma_axali1.pdf) თსუ, თბილისი
7	**რამაზ ქურდაძე, მაია ლომია, ქეთევან მარგიანი**	ნა-/ნო- პრეფიქსიანი სახელური, ზმნური ფორმები და მათთან დაკავშირებული სემანტიკური თავისებურებანი ქართველურ ენებში	თსუ XIV საფაკულტეტო სამეცნიერო კონფერენცია, მიძღვნილი აკადემიკოს ოთარ ლორთქიფანიძის დაბადებიდან 90 წლისთავისადმი, 4 ივლისი, (პროგრამა იხ. https://old.tsu.ge/data/file_db/faculty_humanities/Programmma_axali1.pdf) თსუ, თბილისი
8	**რამაზ ქურდაძე, მაია ლომია, ქეთევან მარგიანი**	ნამყო დროის მიმღეობების სემანტიკური და ქრონოლოგიური ურთიერთმიმართების საკითხები ქართველურ ენებში	თსუ არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი 17-20 ნოემბერი, 2020 წელი სამეცნიერო სესია „არნოლდ ჩიქობავას საკითხავები“
მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა)			

5. მოხსენებაში ვრცლად იყო მიმოხილული ის ნაშრომები (ავტორები: ვ. ბოედერი, მ. ტოფაძე), სადაც ვრცლად არის განხილული ევიდენციალობის გამოხატვის საშუალებები ქართულში, რომლის მიხედვით განისაზღვრება კატეგორიის სტატუსი. ვ. ბოედერი ვრცლად იხილავს ყველა ენობრივ (მორფოლოგიუ-სენტაქსურ და ლექსიკურ) საშუალებას, თუმცა გადაჭრით არაფერს ამბობს სტატუსთან დაკავშირებით. მ. ტოფაძის მიხედვით, ევიდენციალობა ქართულში ფუნქციური, სემანტიკური კატეგორიაა. ინფორმაციის წყაროს მარკირება არ არის სავალდებულო და ეს დამოკიდებულია მთქმელის არჩევანზე. ევიდენციალობა შეიძლება გამოიხატოს სხვადასხვა გრამატიკული და ლექსიკური სტრატეგიით. ქართულში არ გვხვდება ევიდენციალობის აშკარა მორფოლოგიური ანუ ზმნური მარკერები უშუალოდ ინფორმაციის წყაროს გამოხატვის ფუნქციით. მოხსენების ავტორები გეგმავენ დამატებითი არგუმენტაციების წარმოდგენას აღნიშნული საკითხის კვლევის გასაღრმავებლად და სათანადო დასკვნების გასაკეთებლად.

6. მოხსენებაში განხილულია ქართული **სმენა** ზმნის **უ-** ხმოვანპრეფიქსიანი (**უ**-სმენს, მო-**უ**-სმენს, მო-**უ**-სმინა) და **ი-** ხმოვანპრეფიქსიანი (**ი**-სმენს, მო-**ი**-სმენს, მო-**ი**-სმინა) ფორმების სწავლების საკითხები ქართულის, როგორც მეორე ან უცხო ენის სწავლების დროს. გამოთქმულია მოსაზრება, რომ აღნიშნული ზმნის **უ-** ხმოვანპრეფიქსიანი ფორმები ინდივიდის, მსმენელის მხრიდან აქტიურ სმენით პროცესს გადმოგვცემს, მსმენელი კონცენტრირებულია იმაზე, რასაც უსმენს, ხოლო **ი-** ხმოვანპრეფიქსიანი ფორმები გადმოგვცემენ ისეთ პროცესს, როდესაც ინდივიდისათვის, მსმენელისათვის სმენითი პროცესი არაა აქტიური, მსმენელი არ არის კონცენტრირებული იმაზე, რაც ესმის. სწორედ ამიტომაცაა, რომ ზემოაღნიშნული ქართული **უ-** ხმოვანპრეფიქსიანი ფორმები ინგლისურ **To listen** ზმნას მიესადაგება (შდრ.: რუსული - **Слушать**), ხოლო **ი-** ხმოვანპრეფიქსიანი ფორმები – **To hear** ზმნას (შდრ.: რუსული - **Слышать**). აღნიშნული სემანტიკური ნიუანსი ინგლისურად სხვადასხვა ზმნებით გადმოიცემა, რუსულში – წარმოშობით ერთი და იმავე ზმნის სხვადასხვა ფუძით, ქართულში კი ამ ნიუანსს ქცევის გრამატიკული კატეგორიის გამომხატველი ხმოვანპრეფიქსები – **უ-** და **ი-** გამოხატავენ, რომელთათვისაც ამ ნიუანსის ჩვენება არაძირითადი, ფაკულტატიური ფუნქციაა.

7. ნა-/ნო- პრეფიქსიანი სახელური და ზმნური ფორმები დასტურდება ქართულ სალიტერატურო ენაში, ქართული ენის დასავლურ დიალექტებში, მეგრულ და სვანურ ენებში: აღნიშნული პრეფიქსები აწარმოებენ წარსული დროის მიმღეობებს *(ქართ. ნა-დუღ-არ-ი/მეგრ. ნა-ფუნეფ-ი/სვან. ნ-ფუინ),* წინავითარების სახელებს *(ქართ. ნა-მგზავრ-ი/მეგრ. ნა-შარ-უ/სვან. ნა-შუკ)* და უნახაობის გამომხატველ ზმნურ ფორმებს, გარდა სვანურისა *(დიალექტური: ნა-დუღარ-ა/ მეგრ. ნო-ფუ-ე-(ნ)).* ნა-/ნო- პრეფიქსიანი წარმოქმნილი სახელების სემანტიკური თავისებურება კარგად ჩანს წარსული დროის -ილ/-ულ სუფიქსიან ლექსემებთან შედარებისას. კერძოდ, ეს ფორმები, მიუხედავად დროული ერთგვაროვნებისა,

სემანტიკურად არასოდეს მონაცვლეობენ. უნდა აღინიშნოს, რომ ნა-/ნო- პრეფიქსიანი და -ილ/-ულ სუფიქსიანი, სვანურში კი მათი შესაბამისი ლ- პრეფიქსიანი, ლგ-ე კონფიქსიანი სახელური ფუძეები აწარმოებენ ზმნურ ფორმებს, რომლებზედაც ასევე ვრცელდება ზემოხსენებული შეზღუდვა სემანტიკური მონაცვლეობის შესახებ. როგორც აღინიშნა, ორივე ყალიბის (პრეფიქსიანი და სუფიქსიანი) სახელურ ფორმებს *(ნა-დულ-არ-ი : ადულებ-ულ-ი / მეგრ. ნა-ფუნეფ-ი : ფუნაფ-ილ-ი, სვან. ნ-ფუინ : ლ-ფუინ-ე)* და, შესაბამისად, მათგან მომდინარე ზმნებს (*დიალექტური: ნა-დულარ-ა : ადულებულ-ა / მეგრ. ნო-ფუ-ე-(ნ) : გეფუნაფე-(ნ)*) **აერთიანებთ წარსულში** შესრულებული მოქმედების გამოხატვა; თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ **სემანტიკური სტრუქტურის ცნება** ითვალისწინებს არა მსგავსების, არამედ **განსხვავების გამოვლენას** საანალიზო ფორმათა ურთიერთმიმართების შედეგად. როგორც ემპირიული მასალის ანალიზმა აჩვენა, მოცემულ ფორმებს შორის **განმასხვავებელი სემანტიკური ნიშანია** წარსულ დროში შესრულებული **მოქმედების ინტენსივობა** და **ექსპერიენციის გაგება,** რის შედეგადაც ვერ ფარავენ სემანტიკურად ერთმანეთს ზემოხსენებული ნა-/ნო- პრეფიქსიანი და -ილ/-ულ სუფიქსიანი ფორმები.

8. სესიის მასალები (პროგრამა და თეზისები) იხილეთ ბმულზე: https://ice.ge/of/wpcontent/uploads/2020/10/XXXI-Arn.-Chikobavas-Sakitxavebi-2020.pdf

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
9	**მაია ლომია, ქეთევან მარგიანი**	ქართველურ ენათა მასალის ველზე მოპოვების ტრადიცია და თანამედროვე მდგომარეობა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში.	თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი 23-26 სექტემბერი, 2020 წელი XIV საერთაშორისო სამეცნიერო სიმპოზიუმი
10	**მაია ლომია, ქეთევან მარგიანი, ნინო ჭუმბურიძე**	უარყოფითი ნაწილაკების ექსპრესიული ფუნქციით გამოყენების შემთხვევები ქართველურ ენებში	თსუ არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი 22-24 დეკემბერი, 2020 წელი ინსტიტუტის 79-ე სამეცნიერო სესია

მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა)

9. XIV საერთაშორისო სამეცნიერო სიმპოზიუმის მასალები (პროგრამა და აბსტრაქტების კრებული) იხილეთ ბმულზე: http://conference.litinstituti.ge/ka/

10 ენათმეცნიერების ინსტიტუტის სამეცნიერო სესიის მასალები (პროგრამა და თეზისები) იხილეთ ბმულზე:
https://ice.ge/of/wp-content/uploads/2020/12/2020_სესიის-მასალები.pdf

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი

11	**სალომე ომიაძე**	კონცეპტ „ჭამის“ ნომინაციურ ველში შემავალი სომატური ფრაზეოლოგიზმები	2020 წლის 8 იანვარი, თბილისი, თსუ
12	**სალომე ომიაძე**	ლექსემა „ნაწილის“ მნიშვნელობისათვის ერთ იდიომურ გამოთქმაში	2020 წლის 26 თებერვალი, თბილისი, თსუ
13	**სალომე ომიაძე**	„შუშანიკის წამებაში“ დადასტურებულ ჭამის ველის ერთეულთა ფორმობრივ-სემანტიკური ტრანსფორმაცია	2020 წლის 3-5 ივლისი, თბილისი, თსუ.
14	**სალომე ომიაძე**	„უვიცობის შემცირება“ – იაკობ გოგებაშვილის შემოქმედების ქვაკუთხედი	2020 წლის 27 ოქტომბერი, თბილისი, თსუ
15	**სალომე ომიაძე**	„პიკნიკი თუ არიფანა“ – იოსებ გრიშაშვილის ერთი შენიშვნის შესახებ	2020 წლის 17-20 ნოემბერი, თბილისი, თსუ არნ. ჩიქობავას სახ. ენათმეცნიერების ინსტიტუტი
16	**სალომე ომიაძე**	„სამხარი“ – ცვალებადი ტემპორალობის ქრონონიმი ქართულ დისკურსში	2020 წლის 22-24 დეკემბერი, თბილისი, თსუ არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი

მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა)

სალომე ომიაძე

11.კონცეპტ „ჭამის“ ნომინაციურ ველში დიდ ადგილს იკავებს კულტურის ორი უძველესი კოდის – კვებითისა და სომატურის – ურთიერთდაკავშირებით გაჩენილი ენობრივი ერთეულები. მათი ნაწილი ხატოვან გამონათქვამებს მიეკუთვნება, ნაწილი კი არამხატვრულ ფრაზეოლოგიზმებად უნდა შეფასდეს.

მოხსენებაში განხილული იყო 5 სომატონიმის (კუჭი, მუცელი, გული, პირი, ყელი) მონაწილეობით შექმნილი ფრაზეოლოგიზმები, რის საფუძველზეც მიღებულ იქნა დასკვნა: კონცეპტ „ჭამის“ ენობრივი ობიექტივაციის დროს სომატური ლექსემები უმეტესად პირდაპირი მნიშვნელობით გამოიყენება და მათი მონაწილეობით შექმნილი მყარი შესიტყვებები ჭამასთან დაკავშირებულ პროცესებსა თუ შეგრძნებებს მართლად აღწერს. შემდეგ აღნიშნული ფრაზეოლოგიზმების ერთი ნაწილი სხვა თემატურ ველებში გადაინაცვლებს და ხატოვან-ასოციაციური ტრანსფორმაციის შედეგად ახალ-ახალ მნიშვნელობებს ქმნის.

12. მოხსენების ძირითადი ნაწილი გამოქვეყნებულია ფორუმის მასალებში.

13. **„პუროობის სცენად“** (/„პუროობის ეპიზოდად“) სახელდებული მონაკვეთი ტექსტის სწორედ ის ნაწილია, რომელშიც თავს იყრის ჩვენთვის საინტერესო ლექსიკური მასალა. არც აღნიშნულ ეპიზოდში და არც ტექსტის დანარჩენ ნაწილში ლექსემა **პუროობა** არ გვხვდება, ის უფრო გვიან არის გაჩენილი (მე-12 საუკუნიდან დასტურდება), მისი მნიშვნელობით „შუშანიკის წამებაში“ იმავე ძირის შემცველ ერთეულთაგან გამოყენებულია **პურის-ჭამა** და **პური** („ჭამი პურისაჲ“).

მოხსენებაში განხილულ იქნა შემდეგი ერთ- თუ ორწევრა ლექსემები და სინტაგმები: პური (/ სერი), უზმა, პურის-ჭამაჲ, ჭამი პურისაჲ, პურად დასხდომა, საზრდელის მიღება, საჭმელის მიღება, ჭამადის მიღება, გემოჲს ხილვა, პურისა გემოჲ, წუენაკი მხლისა, წუენაკი შექმნული; აღწერილ იქნა თითოეულის სინტაგმატურ-დერივაციული ველი და კონტექსტების დამოწმებით ნაჩვენები იყო ის ფორმობრივ-სემანტიკური სტაბილურობა თუ ცვლილებები, რომლებიც განიცადეს ამ ერთეულებმა მეხუთე საუკუნიდან დღემდე.

14. მოხსენების ძირითადი ნაწილი გამოქვეყნებულია ფორუმის მასალებში.

15. მოხსენების ძირითადი ნაწილი გამოქვეყნებულია ფორუმის მასალებში.

16.მოხსენების ძირითადი ნაწილი გამოქვეყნებულია ფორუმის მასალებში.

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
17	**რუსუდან ზექალაშვილი**	იმპერსონალურ ზმნათა ბუნების ფსიქოლოგიური ახსნა (დ. უზნაძის ერთი ნაშრომის მიხედვით)	2020, 3-5 ივლისი, თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის XIV საფაკულტეტო კონფერენცია, მიძღვნილი აკად. ოთარ ლორთქიფანიძის დაბადებიდან 90 წლისთავისადმი

მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა)

17. მოხსენებაში განხილულია მეტეოროლოგიური მოვლენებისა და ადამიანის ორგანიზმში მიმდინარე ფიზიოლოგიური პროცესების ამსახველი იმპერსონალური ზმნების ახსნა დიმიტრი უზნაძის ნაშრომში „იმპერსონალია“, რომელიც თითქმის საუკუნის წინ დაიწერა, თუმცა აქტუალურობა დღესაც არ დაუკარგავს (გამოქვეყნდა ჟურნალში „ჩვენი მეცნიერება“, 1923). განხილულია ფსიქოლოგის აზრი, რომ იმპერსონალურ ზმნებში ასახულია აღქმათა შინაარსის მთელი კომპლექსი, ხოლო შესაბამისი წინადადება თავისი სრული სახეობის ერთგვარი **აბრევიაციაა,** რადგან უსუბიექტო ანუ უსუბსტრატოა. გამოყოფილია ვუნდტის მოსაზრება, რომელსაც იზიარებს დ. უაზნაძეც, რომ ასეთ ზმნებში შესაძლებელია სულიერი აგენსი იყოს ღვთაება. ჩამოყალიბებულია ქართველი ფსიქოლოგის მიერ იმპერსონალურ ზმნათა შემცველ წინადადებათა წარმოქმნის ფსიქოლოგიური სურათი: შესაბამის შეგრძნებათა ნაკადის მიერ მოძრაობის დაწყება ცნობიერებაში და **ქვეფსიქიკურ** არეზე დაყრნობა.

გაანალიზებულია ქართულ ლინგვისტიკაში გამოყენებული ტერმინ „**პირნაკლის“** უპირატესობა „**უპიროსთან“** შედარებით, რადგან ასეთ ზმნებში გრამატიკულად პირი აღნიშნულია, მაგრამ ლოგიკურად ან ფსიქოლოგიურად ის არ არსებობს.

ფსიქოლოგების შეფასებით, სწორედ ამ წერილში ჩამოაყალიბა ქართველმა მეცნიერმა თავისი ფუნდამენტური თეორიის მონახაზი და ენობრივი ფენომენის ანალიზით მივიდა გარკვეულ ბიოსფერულ რეალობასთან, პირველად გამოიყენა ტერმინი „ქვეფსიქიკური“, როგორც ფსიქიკასა და მატერიალურ სინამდვილეს შორის არსებული, რომელიც მანამდე უცნობი და აუხსნელი სფერო იყო, არაცნობიერი ფსიქიკით განპირობებული.

ამ წერილის საფუძველზე ხაზგასმულია ლინგვისტური პრობლემების კომპლექსური ახსნისა და ზოგჯერ ფსიქოლოგიურ პრობლემებთან კომბინირებული კვლევის საჭიროება.

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
18	**ინგა სანიკიძე**	XIX საუკუნის სასაუბრო ენის ერთი თავისებურება 1832 წლის შეთქმულების მასალების მიხედვით	აკაკი წერეთლის დაბადებიდან 180 წლის იუბილესადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია,

			თსუ, 21ივნისი 2020 წელი, თბილისი.

მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა)

18. XIX საუკუნის ქართული ლექსიკოგრაფია კოტე ყიფიანის ნაშრომთა მაგალითზე, იაკობ გოგებაშვილის დაბადებიდან 180 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია, 27 ოქტომბერი, თსუ, 2020, თბილისი.

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
19	**ნინო შარშენიძე**	მეოთხე სერიის მწკრივთა წარმოება ქართული ენის დასავლურ კილოებში დიალექტოლოგიის სამეცნიერო კონფერენცია	ახალქალაქი, 9-10 ოქტომბერი

მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა)

19. გამოქვეყნებულია კრებულში: XL რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სამეცნიერო სესიის მ ა ს ა ლ ე ბ ი, თბილისი 2020

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
20	**კახა გაბუნია**	ქართული ენის სწავლება არაქართულენოვანი მოსახლეობით დასახლებულ რეგიონებში. (კავკასიური სახლის მიერ ორგანიზებული ონლაინფორუმი)	15 აპრილი, 2020 წელი თბილისი, საქართველო (ონლაინ)
21	**კახა გაბუნია**	2015-2020 წლების სამოქმედო გეგმის განხორციელება: განათლება და სახელმწიფო ენა: პრობლემები, გამოწვევები, გადაჭრის გზები: სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგიისა და 2015-2020 წლების სამოქმედო გეგმის შუალედური შეფასება (კონფერენცია)	21-22 თებერვალი, 2020 წ. ბორჯომი.

მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა)

20-21 ფორუმის მასალები გამოქვეყნებულია.

7.2. უცხოეთში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი

1	**დარეჯან თვალთვაძე** ი. გველესიანი	THE EDUCATIONAL POLICIES FOR SAFEGUARDING AND TRANSMITTING THE LANGUAGE AS AN INTANGIBLE CULTURAL HERITAGE	14th International Scientific Conference SOCIETY. INTEGRATION. EDUCATION. ლატვია, რეზეკნე, 22-23 მაისი, 2020 https://conferences.rta.lv/index.php/SIE/SIE2020
2.	**დარეჯან თვალთვაძე** ს. სარჯველაძე	"EVERYTHING FROM GREEK AND AS EVERYTHING IS IN GREEK" - WHY AND HOW THE OLD GEORGIAN TRANSLATION OF THE FOUR GOSPELS WAS CORRECTED IN THE 11TH CENTURY?	56th Linguistics Colloquium Translation, Multilinguality and Cognition (Online) 26-28.11.2020 http://www.lingcoll.de/ Book of Abstracts (p.189) https://drive.google.com/file/d/1JeYBfND9igidWnuGqNXI9kdgLAnCcHHe/view
3.	**დარეჯან თვალთვაძე**	НЕКОТОРЫЕ ВОПРОСЫ ИЗ ИСТОРИИ ДРЕВНЕГРУЗИНСКОГО ПЕРЕВОДА ЕВАНГЕЛИЯ	IX МЕЖДУНАРОДНАЯ НАУЧНАЯ КОНФЕРЕНЦИЯ КАВКАЗ: ИСТОРИЯ РЕГИОНА, ИСТОРИЯ ИССЛЕДОВАНИЙ ПОЗНАНЬ-ЖЕШУВ 2020 ОНЛАЙН 3-4 ДЕКАБРЯ 2020

მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა)

1. THE EDUCATIONAL POLICIES FOR SAFEGUARDING AND TRANSMITTING THE LANGUAGE AS AN INTANGIBLE CULTURAL HERITAGE - მოხსენება გამოქვეყნებულია ფორუმის მასალებში https://conferences.rta.lv/index.php/SIE/SIE2020

2. "EVERYTHING FROM GREEK AND AS EVERYTHING IS IN GREEK" - WHY AND HOW THE OLD GEORGIAN TRANSLATION OF THE FOUR GOSPELS WAS CORRECTED IN THE 11TH CENTURY? - მოხსენების აბსტრატი გამოქვეყნებულია ფორუმის მასალებში http://www.lingcoll.de/
Book of Abstracts (p.189)
https://drive.google.com/file/d/1JeYBfND9igidWnuGqNXI9kdgLAnCcHHe/view

3. **НЕКОТОРЫЕ ВОПРОСЫ ИЗ ИСТОРИИ ДРЕВНЕГРУЗИНСКОГО ПЕРЕВОДА ЕВАНГЕЛИЯ**
ზოგიერთი საკითხი სახარება-ოთხთავის ქართულად თარგმნის ისტორიიდან

ბიბლიურ წიგნთა ნებისმიერი სხვაენოვანი თარგმანის ისტორია თარგმანის ორიგინალთან მიახლოების რთული და ხანგრძლივი პროცესის ასახვაა. ამის დასტურია ოთხთავის ქართულად თარგმნა-რედაქტირების ისტორიაც, რომელიც V საუკუნიდან იწყება. ამ დროდან ჩვენამდე მოღწეულ პალიმფსესტური ხელნაწერები უკვე გვიდასტურებენ მისი ორი რედაქციის არსებობას. საუკუნეების განმავლობაში სახარება-ოთხთავის ტექსტს არაერთხელ განუცდია ცვლილება. მისი ქართულად

თარგმნისა და რედაქტირების ისტორიაში სამი ეტაპი გამოიყოფა: წინაათონური ათონური და ელინოფილური.

ქართული ოთხთავის ორი ძველი რედაქცია - ადიშური და ოპიზური უკვე წინაათონურ პერიოდში გვაქვს. მათგან ადიშური რედაქციის ტექსტი სულ რამდენიმე ხელნაწერითაა მოღწეული (ადიშის სახარება (ლუკ. 3,9-15,7 და 17,25 _ 23,2-ის გამოკლებით), ხანმეტ სახარება (მათ. 11,8-მდე), ქსნის ოთხთავის და კიდევ რამდენიმე ფრაგმენტულ ხელნაწერის ზოგიერთ მონაკვეთი) და, როგორც ჩანს, არ ყოფილა ფართოდ გავრცელებული ვერსია ამ წმინდა წიგნისა, ხოლო ოპიზური რედაქციის ხელნაწერების სიმრავლე (მოღწეულია 3 ათეულზე მეტი ნუსხა), გვიდასტურებს, რომ XI საუკუნის შუა წლებამდე, როცა გიორგი მთაწმინდელის მიერ შეიქმნა ოთხთავის ახალი (ათონური) რედაქცია, ეს ტექსტი ფართოდ გავრცელებული და მიღებული იყო ქართული ეკლესიის მიერ (ამიტომაც უწოდა მას ა. შანიძემ პროტოვულგატა).

ზოგადად, ბიბლიურ წიგნთა და მათ შორის ოთხთავის ქართულად თარგმნის ისტორიაში ახალი ეტაპი XI საუკუნიდან იწყება, როდესაც რელიგიური და პოლიტიკური თვალსაზრისით, ქართულმა სახელმწიფომ დაიწყო ბიზანტიისკენ ორიენტირება და დღის წესრიგში დადგა არსებული, აღმოსავლეთის ეკლესიის ბიბლიურ და ლიტერატურულ ტრადიციებზე დაფუძნებული, ძველი ქართული თარგმანების გადასინჯვა და დაიწყო ქართული თარგმანის სახარების ბერძნულ ორიგინალთან (ბიზანტიური ტექსტის ტიპი) შედარება-შესწორება. სწორედ ამ მიზნით იწყებს გიორგი ათონელი XI საუკუნის შუა წლებში ე.წ „ქართული სახარების“ „ბერძნულისადა მიყვანებაზე“ მუშაობას და მის მიერ გაწეული მუშაობის შედეგად უკვე 1060 წლისთვის ჩამოყალიბდება ოთხთავის ბიზანტიური ტიპის ტექტის მიხედვით შესწორებული საბოლოო რედაქცია, რომლის შექმნის ისტორიის შესასწავლად მნიშვნელოვანი აღმოჩნდა მეთერთმეტე საუკუნეში გადაწერილი ხელნაწერები, განსაკუთრებით კი შავ მთის სამონასტრო ცენტრებში შექმნილი მანუსკრიპტები (1054 წლის ალავერდის ოთხთავი, 1060 წლის კალიპოსის ოთხთავი და სხვ.), რომლებიც, როგორც აღმოჩნდა, ასახავენ ოთხთავის ტექსტზე გიორგი ათონელის მუშაობის სხვადასხვა ეტაპს გვიდასტურებენ, რომ ეს არ ყოფილა გიორგის მიერ ერთჯერად განხორციელებული რევიზია. ამ ხელნაწერებში (ao#fd) დაცული ტექსტი (გიორგისეული ვულგატისაგან განსახვავებული ე.წ. შუალედური ტექსტი) და მათზე დართული ანდერძები (მთარგმენლ-რედაქტორის, გადამწერების) საშუალებას გვაძლევენ გამოვყოთ გიორგი ათონელის მთარგმნელობით-რედაქტორული საქმიანობას ძირითადი პრინციპები - რას, რატომ, რის მიხედვით და როგორ ცვლის ის სახარების ძველ ქართულ თარგმანში.

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
4	**რამაზ ქურდაძე, მაია ლომია**	Georgian Negative Particles *ara/ar "no/not"* of the Poetic Text and Translation Problems (*SRNSF #FR17_388)* უარყოფის არა / არ ნაწილაკები პოეტურ ტექსტში და თარგმნის პრობლემები (*SRNSF #FR17_388)*	ონლაინკონფერენცია, საბერძნეთი 26-28 ნოემბერი, 2020 წელი 56-ე ლინგვისტური კოლოქვიუმი https://sites.google.com/view/lingcoll

მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა)

აბსტრაქტების კრებული (პდფ ვერსია) იხ. ბმულზე:
https://drive.google.com/file/d/1JeYBfND9igidWnuGqNXI9kdgLAnCcHHe/view (გვ.109-110)

№	მომხსენებელი/	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების

	მომხსენებლები		დრო და ადგილი
5	**მაია ლომია**	მარკერის სესხებისა და ფორმთა სემანტიკური დიფერენციაციის საკითხი ქართულსა და მეგრულში	ვენის უნივერსიტეტი, ავსტრია 6-8 თებერვალი, 2020 მე-19 საერთაშორისო კონფერენცია მორფოლოგიაში
6	**მაია ლომია, ქეთევან მარგიანი, ნინო ჭუმბურიძე**	უარყოფითი ნაწილაკის ფუნქციური განაწილების პრინციპები ქართველურ ენებში	ონლაინკონფერენცია, საბერძნეთი 26-28 ნოემბერი, 2020 წელი 56-ე ლინგვისტური კოლოქვიუმი

მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა)

5. აბსტრაქტების კრებული (პდფ ვერსია) იხ. ბმულზე: https://www.wu.ac.at/en/imm19/

6. აბსტრაქტების კრებული (პდფ ვერსია) იხ. ბმულზე: https://drive.google.com/file/d/1JeYBfND9igidWnuGqNXI9kdgLAnCcHHe/view (გვ.181-182)

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
7	**სალომე ომიაძე**	კვებასთან დაკავშირებულ სომატურ ფრაზეოლოგიზმთა თარგმნის შესახებ – On the Translation of Food-Related Somatic Phraseological Units	2020 წლის 3-4 აპრილი, კიევი

მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა)

7. მოხსენების სრული ტექსტი გამოქვეყნებულია ფორუმის მასალებში.

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
8	**რუსუდან ზექალაშვილი**	გერმანული ინფინიტივური ჯგუფებისა და კონსტრუქციების ეკვივალენტები ქართულში [The Equivalent Forms of the German Infinitive Groups and Constructions in Georgian]	უკრაინა, კიევი (ეროვნული საავიაციო უნივერსიტეტი) 2020, 3-4 აპრილი
9	**რუსუდან ზექალაშვილი**	ირიბი თქმა და მისი ნიშნები ქართულ ენაში [Indirekte Rede und ihre Merkmale im Georgischen]	საბერძნეთი (ონლაინ კონფერენცია), 2020, 26-28 ნოემბერი

8. მოხსენების სრული ტექსტი გამოქვეყნებულია ფორუმის მასალებში.
9. მოხსენების სრული ტექსტი გამოქვეყნებულია ფორუმის მასალებში.

№	მომხსენებელი/	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების

	მომხსენებლები		დრო და ადგილი
10	**გიული შაბაშვილი** ქეთევან გოჩიტაშვილი	კულტურის გავლენა და როლი: ქართული ენა და საზოგადოება	2020 წლის 5 მაისი პირველი ონლაინ კონფერენცია თემაზე: „ენა და მასწავლებლის ენობრივი იდენტობა ორგანიზატორი: ენის საგანმანათლებლო როლის საერთაშორისო ასოციაცია

მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა)

10. თანამედროვე სამეცნიერო და პედაგოგიკურ ლიტერატურაში კარგად არის გამოკვეთილი კულტურის ასპექტების სწავლების როლი და მნიშვნელობა უცხო/მეორე ენის სწავლების პროცესში. თუმცა, ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში ენის სწავლების სხვა ასპექტებთან შედარებით, კულტურის სწავლების მხრივ ნაკლები თეორიული და პრაქტიკული მასალა არსებობს, რაც დაეხმარება პრაქტიკოს მასწავლებლებს ქართულის, როგორც უცხოური/მეორე ენის სწავლების ხარისხის ამაღლებაში.

უცხოური/მეორე ენის სწავლების თანამედროვე მიდგომების მიხედვით, კულტურული კომპონენტის გაუთვალისწინებლობა აფერხებს ენის სრულყოფილად ათვისებას და მის პრაქტიკულად გამოყენებას რეალურ ენობრივ სამყაროში და წარმატებულ კომუნიკაციის დამყარებას. ნაშრომის მიზანია იმის განსაზღვრა, თუ კულტურის რომელი ასპექტების სწავლება არის მნიშვნელოვანი ქართული ენის შემსწავლელთათვის და პრაქტიკული აქტივობებისა და ადეკვატური მასალის შეთავაზება.

1) **კვლევის მეთოდები:** აღწერითი მეთოდი, ანალიზი, შემუშავებულია ცხრილია და რეკომენდაციები

2) **კვლევის სიახლე:**
ნაშრომის ფარგლებში შეთავაზებული იქნება პრაქტიკული მასალა, აქტივობები, რომლებიც დაეხმარება ქართული ენის მასწავლებლებს გაკვეთილის დაგეგმვასა და სასწავლო მასალების გამოყენებაში.

3) **შეზღუდვები:**
თავისთავადი კულტურაა, რომელიც შეიცავს როგორც დასავლური, ისე აღმოსავლური კულტურის ელემენტებს, ყველა ასპექტის დაფარვა ერთ სტატიის ფარგლებში რთულ ამოცანას წარმოადგენს. ამდენად, მოცემულ ნაშრომში საბაზისო ასპექტებზე ვიქნებით ორიენტირებულები.

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
11	**ინგა სანიკიძე**	ბიბლიური წყევლის ფსიქოლინგვისტური პარადიგმა ძველ ქართულ ისტორიულ საბუთებში // *Psycholinguistic Paradigm of Biblical Damnation in Ancient*	ფსიქოლინგვისტთა მე-12 საერთაშორისო კონგრესი; პორტო, პორტუგალია. მოხსენება მიღებულია, თუმცა კონგრესის თარიღი

		Georgian Historical Documents	გადადებულია 2021 წლის 4-6 ივნისისათვის. *12th INTERNATIONAL CONGRESS OF ISAPL, PORTO, 04-06 June 2020.*

მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა)

11. ნებისმიერი ენა, როგორც ფსიქოლინგვისტური მოცემულობა, საკუთარ თავში

ინახავს არა მხოლოდ ემოციურ მდგომარეობებს, არამედ ეძიებს შესაბამის ვერბალურ გზებს ამ ემოციათა გამოსახატად. სამეტყველო აქტი თუ წერილობითი ფორმა იმ ფსიქოლოგიური პროცესის ხილული პროდუქტია, რომელიც მოლაპარაკე ინდივიდის ფსიქიკაში ფორმულირდება, ამიტომ ენაში კოლექტიური თუ ინდივიდუალური აზროვნების ფსიქიკური მდგომარეობა ერთდროული პროცესის შედეგად მიიღება. ვფიქრობთ, რომ ამ თვალსაზრისით ნებისმიერი ნაციონალური ენის მასალა ის ღირებულებაა, რომელიც ასახავს ენების სისტემურ ორგანიზებას, მათი გამოხატულების პლანს, კანონზომიერებებს, რომლებიც ფსიქოლოგიურად სტაბილურია, ანუ პარადიგმული, ან ექვემდებარება კონკრეტულ ენაზე მოლაპარაკე ინივიდის ზოგადფსიქოლოგიურ ცვლილებებს.

ჩვენი აზრით, ერთ-ერთ ასეთ უძველეს ფსიქოლინგვისტურ პროტოპარადიგმად უნდა ჩაითვალოს წყევლის როგორც ზეპირი, ისე - წერილობითი ფორმები. ჩვენს მოხსენებაში ყურადღება გამახვილდება წყევლის ბიბლიურ (კერძოდ, „ძველი აღთქმის“), ვერბალურ მოდელზე, რომელიც ასახვას ძველ ქართულ ისტორიულ საბუთებში (IX— XII ს.ს.) პოვებს.

წყევლა, როგორ ფსიქოვერბალური მოდელი, კაცობრიობის არსებობის უძველესი ეტაპისათვის არის სავარაუდებელი, იმ დროისთვის, როცა ადამიანმა ღრმად გაიაზრა სიტყვის ძალა და ის რამდენადმე დაუპირისპირა ფიზიკურ შესაძლებლობებს. წყევლის, როგორც სიტყვიერი მასალის, მანიფესტირება წერილობით ძეგლებშიც მოხდა და მისი ფსიქოემოციური საფუძველი მკითხველში უპირველესად შიშის (ჩვენს შემთხვევაში „საღვთო შიშის“) აღძვრა და „ღვთისმოშიშების“ გამოწვევა იყო. ამიტომ განსაკუთრებული სიფრთხილით შეირჩეოდა ე.წ. საწყევარი ტექსტი, რომელიც ექსპრესიული ძალით იღვრებოდა მკითხველში (//მსმენელში). ფსიქოლოგიაში „დაბალ“ ემოციად წოდებული (ს.ლ. რუბინშტეინი) შიშის ემოცია წყევლის ტექსტში დომინანტურია, თუმცა ფაქტია, რომ მას მკითხველში განგაშის ემოციის აღძვრაც სურს. შიშის განცდა ბაზისური მოჩანს, ხოლო შიშით გამოწვეული განგაშის ემოცია — ზედნაშენური. ვფიქრობთ, რომ მათი ერთობლიობა საფუძვლად ედება წყევლის ფორმულებს, რომლებიც ქართულ საისტორიო საბუთებში გვხვდება და რომელთა ტექსტური მასალა ძველი აღთქმის ტექსტებიდან უნდა იღებდეს სათავეს. ბიბლიის ფრაზა „წყეულ იყავ შენ...“ („დაბადება“, თავი III) ის საკვანძო ვერბალური ფორმულაა, რომელიც რამდენადმე სახეცვლილი, თუმცა ფსიქოლოგიურად იმავე მოტივით (შიშის ემოციის აღძვრის მოტივით) რეალიზდება ქართულ ისტორიულ

საბუთებში („შერისხოს მამამ, ძემ და სული წმინდამ“ [IX ს.]; ან: „კრულ იყოს ძილი და ღვიძილი მისი“ [IX ს.]).

ამრიგად, წყევლა და მისი ვერბალური ფორმები (ე.წ. წყევლის ფორმულები) ადამიანზე ფსიქოლოგიური ზემოქმედებისთვის იქმნება, ინდივიდში წარმოქმნის შფოთის ფსიქოლოგიურ რეაქციას მოსალოდნელი საფრთხის, უბედურების (ჩვენს შემთხვევაში ღვთის რისხვის) გამოსაწვევად და აიძულებს მას შიშის ემოციის გაძლიერებით საკუთარ მოქმედებებზე თვითკონტროლი დააწესოს, რათა თავიდან აირიდოს პოტენციური ხიფათი, ანუ ე.წ. „მძიმე საღვთო განაჩენი“.

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
12	**კახა გაბუნია**	ტრენინგმოდული: წიგნიერების განვითარება დაწყებითი კლასების ქართველ და აფხაზ მასწავლებლებში, ქართველი და აფხაზი პედაგოგები	ულციხი, მონტენეგრო, 2020 წლის 9-16 იანვარი
მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა) 12. ფორუმის მასალები გამოქვეყნებულია.			

ერთეულს თუ საჭიროდ მიაჩნია, შეუძლია ანგარიშში შეიტანოს სხვა, მისთვის მნიშვნელოვანი აქტივობაც.

ანგარიში წარმოდგენილი უნდა იყოს ნაბეჭდი (2 ეგზემპლარად) და ელექტრონული ვერსიის (CD-დისკი) სახით.

ანგარიში, რომელიც არ არის შედგენილი ამ დანართის მოთხოვნების შესაბამისად, ექსპერტიზას (შეფასებას) არ ექვემდებარება და შეფასების შემაჯამებელ დოკუმენტში აღინიშნება ფორმულით „არ შეფასდა“.

სხვა მნიშვნელოვანი აქტივობა:

1. **დარეჯან თვალთვაძე**

ტექსტის პუბლიკაცია: იოანეს სახარების ძველი ქართული თარგმანის კრიტიკული ტექსტი, გამოსაცემად მოამზადეს ელგუჯა გიუნაშვილმა, დარეჯან თვალთვაძემ, სოფიო სარჯველაძემ და თინათინ ჯიქურაშვილმა, http://ogg.tsu.ge/ ელექტრონულად გამოიცა 2020 წელს შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტის (FR 17_170) ფარგლებში.

2. ანა ხარანაული

- ქრისტიანული აღმოსავლეთის კვლევების ცენტრის დირექტორი
- გელათის მეცნიერებათა აკადემიის წევრი
- მრჩეველთა საბჭოს წევრი "De Septuaginta Investigationes", Göttingen: Vandenhoeck & Ruprecht
- ქრისტიანული აღმოსავლეთის კვლევების ცენტრის ეგიდით გამართული სემინარების ციკლის ხელმძღვანელი
- ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამა „შუა საუკუნეების ქრისტიანული აღმოსავლეთის ფილოლოგია" - ხელმძღვანელი
- ფილოლოგიის სადოქტორო პროგრამა (ქვედარგი ქართული ბიბლიის ფილოლოგია) თანახელმძღვანელი

საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოებების წევრობა

- The International Association of Patristic Studies (I.A.P.S)
- International Association of Byzantine Studies
- The International Organization for Septuagint and Cognate Studies (IOSCS), აღმასრულებელი საბჭოს წევრი
- Society of Biblical Literature (SBL)

მაგისტრანტებისა და დოქტორანტების ხელმძღვანელობა:

- დოქტორანტების: ნათია მიროტაძის, თინათინ ჯიქურაშვილის, გიორგი ქიტოშვილის, თამარ მაგრაქველიძის, ლალი ვაშაყმაძის ხელმძღვანელი
- სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი: ელენე ლურსმანაშვილი, *მიქიას წინასწარმეტყველების ქართული თარგმანის წარმომავლობა და თარგმანის ხასიათი*

3. რამაზ ქურდაძე

2020 მონაწილეობა მივიღე შემდეგი ღონისძიებების ორგანიზებაში:

- 8 იანვარს (ასოც. პროფ. ნანა მაჭავარიანთან ერთად) საჯარო სხდომის ორგანიზება მიძღვნილი აკადემიკოს ვარლამ თოფურიას ხსოვნისადმი.
- 26 თებერვალს (პროფ. დარეჯან თვალთვაძესთან ერთად) საჯარო სხდომის ორგანიზება მიძღვნილი აკადემიკოს აკაკი შანიძის ხსოვნისადმი.
- 10 დეკემბერს წიგნის „ევიდენციალობის კატეგორია ქართველურ ენებში" (ავტორები: ქ. მარგიანი, რ. ქურდაძე, მ. ლომია) პრეზენტაციის ორგანიზება.

2020 წელს ვიყავი შემდეგი სხდომების თავმჯდომარე:

- თსუ XIV საფაკულტეტო სამეცნიერო კონფერენციის, მიძღვნილი აკადემიკოს ოთარ ლორთქიფანიძის დაბადებიდან 90 წლისთავისადმი, ენათმეცნიერების სექციის სხდომის თავმჯდომარე 4 ივლისი,

https://old.tsu.ge/data/file_db/faculty_humanities/Programmma_axali1.pdf

- ქართველური ენათმეცნიერების სადოქტორო პროგრამის დოქტორანტთა სემინარისა და კოლოკვიუმის სხდომის თავმჯდომარე (27 ივლისი)
- ქართული ფილოლოგიის პროგრამის ენის მიმართულების საბაკალავრო ნაშრომების დაცვის სხდომის თავმჯდომარე (28, 29 ივლისი)
- ქართველური ენათმეცნიერების პროგრამის სამაგისტრო ნაშრომების დაცვის სხდომის თავმჯდომარე (4 აგვისტო)

4. რუსუდან ზექალაშვილი

5.	*ქართული ენის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებულის (პასუხისმგებელი მდივანი)*		
	სამეცნიერო შრომების კრებულის მომზადება დასაბეჭდად	ქართველური ენათმეცნიერება, VI- VII, ეძღვნებს აკაკი შანიძეს (რედაქტორები: დ. თვალთვაძე, რ. ქურდაძე; კრებულის შემდგენელი ასოც. პროფ. მაია ლომია) ISSN 2346-8106	თბილისი, თსუ გამომცემლობა, 2019-2020
	სახელმწიფო ენის დეპარტამენტი		
	სსიპ სახელმწიფო ენის დეპარტამენტის ექსპერტთა კომისიის ექსპერტი	**ქართული ენის ნორმალიზაციისა და ტერმინოლოგიის ქვეკომისია;** მართლწერისა და ტერმინოლოგიის ქვეკომისია.	2018 წლიდან
	სამეცნიერო ასოციაციის წევრობა		
	საქართველოს ვუკოლ ბერიძის სახელობის ტერმინოლოგიის ასოციაციის წევრი		2017 წლიდან
	გამოცდების კომისიის წევრობა		
	მაგისტრატურაში მისაღები გამოცდების კომისიის თავმჯდომარე	თსუ	2020 წლის სექტემბერში
	სამაგისტრო ნაშრომების დაცვის კომისიის ერთჯერადი წევრი		2020 წლის ივლის-აგვისტოში
	საბაკალავრო ნაშრომების დაცვის კომისიის ერთჯერადი წევრი		2020 წლის თებერვალსა და ივლის-აგვისტოში
	სადოქტორო სემინარებისა და კოლოკვიუმების ერთჯერადი კომისიის წევრი		2020 წლის თებერვალსა და ივლის-აგვისტოში
	ეროვნული სასწავლო ოლიმპიადის კომისიის წევრი		2020 წლის იანვარში

	ქართულ ენასა და ლიტერატურაში		
	ერთიანი ეროვნული გამოცდების კომისიის წევრი ქართ. ენასა და ლიტერატურაში; ქართულ ლიტერატურაში (არჩევითი საგანი)		2020 წლის ივლის-აგვისტო
	ერთიანი ეროვნული გამოცდების კომისიის სააპელაციო კომისიის წევრი ქართ. ენასა და ლიტერატურაში		2020 წლის აგვისტო
	რედაქტირება		
	იზა ჩანტლაძე, ჰაინც ფენრიხი, ქეთევან მარგიანი-დადვანი, ქეთევან მარგიანი-სუბარი, რუსუდან იოსელიანი, კოდორული სვანური (გამოკვლევები, ლექსიკონი, ტექსტები)	რედაქტორები: მერაბ ჩუხუა და რუსუდან ზექალაშვილი (წიგნი შესრულებული და გამოცემულია რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით).	2020 (738გვ.)
	ფეიქრიშვილი ჟუჟუნა, ივეტა ვაშაკიძე, ზაქარია ფურცხვანიძე	მასალები საზღვარგარეთული ქართველოლოგიის ისტორიისათვის, წიგნი მესამე – ვინფრიდ ბოედერი	თბილისი: უნივერსალი, 2020.
	მზია იობაშვილი, ტატიანა ლოლაძე, მარ. ამაშუკელი და სხვ. (შემდგ.)	ინგლისურ-ქართული სამედიცინო ლექსიკონი	თბილისი (იბეჭდება)
	რეცენზენტობა		
	დალი ბახტაძე Dali Bachtadse	ლინგვისტური ტიპოლოგიის საფუძვლები. გერმანული და ქართული ენების სტრუქტურა [Grundzüge der linguistischen Typologie. Sprachbau der deutschen und georgischen Sprachen in sprachtypologischer Sicht], მე-2 გადამუშ. და აქტუალიზებული გამოცემა.	თბილისი (რედაქტორი: პროფ. იოსტ გიპერტი): დი ენდ ჯი, 2020 (Redakteur: Prof. Jost Gippert) Tbilissi, 2020.
	სტუდენტის ნაშრომის გამარჯვება		
	აბესაძე მარიამ (ამჟამად მაგისტრატურის კურსდამთავრებული)	ფრანკფურტის კონკურსზე მიიღო 2020 წლის ჟუჟუნა ფეიქრიშვილის სახელობის პრემია (სექტემბერში)	2018 წლის საბაკალავრო ნაშრომი: აღწერილობითი ვნებითის გამოყენება და

			სტილისტიკური ფუნქციები მასმედიის ენაში
	სადოქტორო ნაშრომის რეცენზენტობა (ოპონენტობა)		სამეცნიერო ხელმძღვანელი
	მირზიკაშვილი ქეთევან	მეტყველებისა და აღქმის ტიპოლოგია. დაცვა გაიმართა თსუ-ში 2020 წლის 5 აგვისტოს	პროფ. ირინე მელიქიშვილი)
	გუმბერიძე სალომე	სახელთა ფორმაწარმოების თავისებურებანი ქართველ ებრაელთა მეტყველებაში დაცვა გაიმართა ქუთაისში (აწსუ-ში), 2020 წლის 4 სექტემბერს	ფილოლ. დოქტორი, პროფ. რუსუდან საღინაძე და ფილოლ. მეცნიერებათა დოქტორი, პროფ. რეუვენ ენოხი
№	*სადოქტორო დისერტაციის ერთჯერადი კომისიის წევრი*		
	ნინიძე თამარ	ევფემიზმის ლინგვისტური მახასიათებლები და ფუნქციები ქართულში (V-XVIII საუკუნეთა წერილობითი ძეგლების მიხედვით)	სამეცნიერო ხელმძღვანელი: ფილოლ. დოქტორი, პროფ. რუსუდან საღინაძე
	დოქტორანტის კოლოკვიუმის ხელმძღვანელობა		
	ნინო ცომაია	ქართული წარმოშობის ჟარგონული და სასაუბრო ლექსიკა პერსონაჟთა მეტყველებაში (თანამედროვე ქართველი მწერლების მიხედვით) კოლოკვიუმი გაიმართა 2020 წლის 28 ივლისს	ასოც. პროფ. ნინო შარაშენიძე
№	*სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელობა*		
	მაგისტრანტის გვარი, სახელი	ნაშრომის სათაური	რეცენზენტი
1	ბენაშვილი ნათია	რთული ზმნები და ნაზმნარი სახელები თანამედროვე ქართულში	ასოც. პროფ. ქეთევან მარგიანი
	საბაკალავრო ნაშრომების ხელმძღვანელობა		
	სტუდენტის გვარი, სახელი	ნაშრომის სათაური	რეცენზენტი
1	კაპანაძე სოფიო	წაწილაკ-მორფემოიდები ქართული ენის დასავლურ კილოებში.	ასოც. პროფ. ქეთევან მარგიანი

		დაცვა გაიმართა 2020 წლის აგვისტოში	
	დოქტორანტების ხელმძღვანელობა		
	ნინო ცომაია	ახალგაზრდული მეტყველების ლექსიკურ-გრამატიკული თავისებურებანი უახლეს ქართულ პროზაში	
	ელენა თამაზაშვილი	კალკირება თანამედროვე ქართულში	
	დოქტორანტის საკოლოკვიუმო ნაშრომის რეცენზირება		
	ღამბაშიძე მაგული	მოდალური სემანტიკის გამომხატველი რთული ზმნები ძველსა და საშუალ ქართულში. კოლოკვიუმი გაიმართა 2020 წლის ივლისში	ასოც. პროფ. ნინო შარაშენიძე და ასოც. პროფ. ლელა ციხელაშვილი
	საბაკალავრო ნაშრომების რეცენზირება		
	სტუდენტის გვარი, სახელი	ნაშრომის სათაური	სამეცნიერო ხელმძღვანელი
	რაზმაძე თამარ	ორმაგი უარყოფა ქართულში. დაცვა გაიმართა 2020 წლის აგვისტოში	ასოც. პროფ. ნინო შარაშენიძე

საქართველოს ისტორიის
სასწავლო-სამეცნიერო
ინსტიტუტი

ანგარიშის ფორმა №2

2020 წელს გაწეული სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ანგარიში

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის დასახელება
საქართველოს ისტორიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი

სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა ხელმძღვანელის მითითებით:
ინსტიტუტის ხელმძღვანელი – ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი თედო დუნდუა.
ინსტიტუტის პერსონალური შემადგენლობა:
ისტორიის დოქტორი, პროფესორი ჯაბა სამუშია,
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი მარიამ ჩხარტიშვილი,
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, ასოცირებული პროფესორი მიხეილ ბახტაძე,
ისტორიის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი აპოლონ თაბუაშვილი,
ისტორიის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი ბონდო კუპატაძე,
ისტორიის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი ქეთევან ნადირაძე,
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, ასოცირებული პროფესორი გიორგი ოთხმეზური,
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, ასოცირებული პროფესორი დიმიტრი შველიძე,
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, ასოცირებული პროფესორი ნიკოლოზ ჯავახიშვილი,
ისტორიის დოქტორი, ასისტენტ-პროფესორი ალექსანდრე ბოშიშვილი,
ისტორიის დოქტორი, ასისტენტ-პროფესორი ნათია ფიფია,
ისტორიის დოქტორი, ასისტენტ-პროფესორი ქეთევან ქუთათელაძე,
ისტორიის დოქტორი, ასისტენტ-პროფესორი ლერი თავაძე (სწავლული მდივანი).

1. სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის პერსონალის მიერ შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

1.1.

№	გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

	სამეცნიერო მიმართულების მითითებით		
1	2	3	4
გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2020 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)			

1.2.

№	დასრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	2	3	4
დასრულებული კვლევითი პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)			

2. შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტით დაფინანსებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

2.1.

№	გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	ანტიკური ხანის ბერძნულ-რომაული ეპიგრაფიკა როგორც საქართველოს ისტორიის წყარო, 6. ჰუმანიტარული მეცნიერებანი, 6.1. ისტორია და არქეოლოგია, 6.1.1. ისტორია, Fr 18-22-16	2019-2022	ხელმძღვანელი ასისტ. პროფ. ნათია ფიფია, კოორდინატორი ასოც. პროფ. ეკატერინე კობახიძე, ძირითადი პერსონალი პროფ. თედო დუნდუა
პროექტის მეორე ეტაპზე 2020 წლის განმავლობაში საკვლევი თემატიკის გარშემო კვლევითმა ჯგუფმა დაამუშავა მონოგრაფიის მეორე ნაწილი აღმოსავლეთ საქართველოში აღმოჩენილი ბერძნული და ლათინური წარწერების შესახებ. კვლევითი პროექტი მიზნად ისახავს მოცემული ეპიგრაფიკული მასალის, როგორც საქართველოს ისტორიის წყაროს, შესწავლას. შესაბამისად, აღმოსავლეთ საქართველოში აღმოჩენილი ბერძნულ-ლათინური წარწერები სწორედ ამ კუთხით არის შესწავლილი. დამუშავდა როგორც შედარებით ინფორმატიული წყაროები, ასევე მცირე წარწერები. პროექტის ფარგლებში ასევე მომზადდა სტატია უცხოურ ჟურნალში გამოსაქვეყნებლად, კერძოდ, დასავლეთ საქართველოში აღმოჩენილი წარწერების შესახებ. გარდა ამისა, მომზადდა სტატია შედარებით ახლად აღმოჩენილი და ქართული ისტორიოგრაფიისთვის უცნობი წარწერის შესახებ სოხუმიდან. გარდა ამისა, დასავლეთ საქართველოში აღმოჩენილი წარწერების შესახებ წაკითხულ იქნა მოხსენება საქართველოს ეროვნული არქივის მიერ მომზადებულ საერთაშორისო კონფერენციაზე „არქივთმცოდნეობა, წყაროთმცოდნეობა – ტენდენციები და გამოწვევები“.			

2.2.

№	დასრულებული (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	ტაო-კლარჯეთის ქართული ციხე-სიმაგრეები; საქართველოს ისტორია, საქართველოს ისტორიის წყაროთმცოდნეობა და ისტორიოგრაფია; (№ 57/03)	2013-2020	პრექტის ხელმძღვანელი (2013-2018 წწ.) პროფ. ჯაბა სამუშია. ძირითადი მონაწილეები: ასისტ.-პროფ. ალექსანდრე ბოშიშვილი, ასისტ.-პროფ. ლერი თავაძე, ასოც. პროფ. ბონდო კუპატაძე (პროექტის ხელმძღვანელი 2018-2020), ისტორიის დოქტორი აკაკი ჩიქობავა, დოქტორანტი ოქროპირ ჯიქური, ასოც. პროფ. ნინო სილაგაძე, ასოც. პროფ.ლევან სილაგაძე, ასისტ.-პროფ. მზისა ბუსკივაძე, არქიტექტორი გიორგი ბაგრატიონი

პროექტის ფარგლებში თურქეთის ტერიტორიაზე ისტორიულ ქართულ პროვინციებში – პალაკაციოში, არტაანში, ერუშეთში, კლარჯეთში, შავშეთში, ტაოში, კოლაში და სხვ. მოეწყო რამდენიმე სამეცნიერო ექსპედიცია, მოხდა აღნიშნული პროვინციების ტერიტორიაზე არსებული ქართული ციხე-სიმაგრეების აღწერა, ფოტოფიქსაცია, აზომვა, გრაფიკული მონახაზების გაკეთება, ყველა ციხე-სიმაგრის არქიტექტურული გეგმის შედგენა და ძეგლების შესაძლო მხატვრული რეკონსტრუქციის შექმნა.

პროექტის ფარგლში მომზადდა ციხე-სიმაგრეების შესახებ ისტორიულ-წყაროთმცოდნეობითი, ხელოვნებათმცოდნეობითი, ეთნოგრაფიული გამოკვლევა.

პროექტი აქტუალურია, ვინაიდან მონოგრაფიულად შეუსწავლელ საკითხს – ტაო-კლარჯეთის ქართული ციხე-სიმაგრეების კვლევას შეეხება. ტაო-კლარჯეთის ქართული სიძველეების შესწავლა ექვთიმე თაყაიშვილის, ნიკო მარის, ვახტანგ ჯობაძის და სხვა ქართველი მეცნიერების სახელებს უკავშირდება. თუმცა, მათ მიერ გამოქვეყნებული აღწერილობები არ იყო სრული, ან, უმეტესად, ეკლესია-მონასტრების შესწავლას წარმოადგენს. ტაო-კლარჯეთისადმი ინტერესი ქართველ მეცნიერთა შორის მუდმივად არსებობს, ხოლო ტაო-კლარჯეთის ქართული ღირშესანიშნაობების შესწავლა განსაკუთრებული ინტენსიობით XX საუკუნის 90-იანი წლებიდან გაგრძელდა, როდესაც დაიწყო ინტენსიური ურთიერთობები საქართველოსა და თურქეთს შორის. ტაო-კლარჯეთის ისტორიული მემკვიდრეობის შემსწავლელი ცენტრების მეშვეობით მოხერხდა, არაერთი მნიშვნელოვანი ქართული ისტორიული ძეგლების აღწერა, თუმცა ამ კუთხით მნიშვნელოვან ნაკლებობას განიცდის ტაო-კლარჯეთის ციხე-სიმაგრეების შესახებ არსებული სამეცნიერო ლიტერატურა. სწორედ ამ სიცარიელის შევსებას ისახავს მიზნად აღნიშნული პროექტი. პროექტის ფარგლებში იგეგმება ტაო-კლარჯეთის ტერიტორიაზე არსებული ქართული კულტურული ძეგლების (ციხე-სიმაგრეების) დეტალური აღწერა, რაც აქამდე არ მომხდარა. მიუხედავად იმისა, რომ დღემდე, როგორც ქართველი ისე უცხოელი მეცნიერების მიერ ქვეყნდება მრავალი ნაშრომი. თუმცა, ძირითადად, ქართული ციხე-სიმაგრეების დიდი ნაწილი ქართველი მეცნიერების თვალსაწიერის მიღმა რჩებოდა. ექსპედიციების ფარგლებში დაგეგმილია აზომვითი სამუშაობის ჩატარება ადგილზე, რომელიც ტაო-კლარჯეთში არსებულ ქართულ ციხე-სიმაგრეებს, პრაქტიკულად, პროექტის განხორციელებამდე არ ჩატარებია. ამ კუთხით პროექტში ჩართულია არქიტექტურის სამსახურიც, არქიტექტურული ბიუროს წარმომადგენელი ადგილზე სწავლობს ობიექტს და ახორციელებს აზომვითი სამუშაოებს. გაკეთებულია ტაო-კლარჯეთში არსებული ასამდე ქართული ციხე-სიმაგრის გრაფიკული და ილუსტრირებული ჩანახატები, ასევე, შესაძლებლობის ფარგლებში, ხდება მათი მხატვრული რეკონსტრუქციაც, რაც აქამდე არ გაკეთებულა. ამას გარდა, ხორციელდება ყველა შესწავლილი ისტორიული ციხე-სიმაგრეების წყაროთმცოდნეობითი კვლევა, რაც გულისხმობს ციხე-სიმაგრეთა შესახებ ვრცელი ისტორიული მიმოხილვის გაკეთებას, რის საშუალებასაც იძლევა ქართული და უცხოური საისტორიო წყაროები.

ამგვარი კომპლექსური კვლევა ტაო-კლარჯეთში არსებული ქართული ციხე-სიმაგრეების შესახებ ჯერ არ ჩატარებულა, შესაბამისად საკითხი აქტუალური და უნიკალურია. პროექტით დაგეგმილი წიგნები 2020 წლის მიწურულს გამოიცა და შეადგინა სამტომეული.			
2	საქართველო VIII საუკუნეში (პოლიტიკური ისტორია); 7. საქართველოს შემსწავლელი მეცნიერებანი, 7.6 ჰუმანიტარული მეცნიერებები, 7.6.1. ისტორია და არქეოლოგია (SP-19-394)	2019-2020	პრექტის ხელმძღვანელი და შემსრულებელი ლერი თავაძე, პროექტის კოორდინატორი ალექსანდრე ბოშიშვილი
აღნიშნული პროექტის ფარგლებში მონოგრაფიულად შესწავლილია საქართველოს მერვე საუკუნის პოლიტიკური ისტორია. ძირითადი აქცენტი გაკეთდა მერვე საუკუნის საქართველოს პოლიტიკური ისტორიის ნაკლებად ცნობილ და უცნობ ამბებზე, ასევე საქართველოს ურთიერთობაზე გარე სამყაროსთან. პროექტის დასრულების შემდეგ გამოიცა მონოგრაფია სახელწოდებით, „საქართველო VIII საუკუნეში: პოლიტიკური ისტორია“.			
3	ფეოდალური ხანის საქართველოს ეკონომიკური ისტორია SP-19-317 7. საქართველოს შემსწავლელი მეცნიერებანი; 7. 6 ჰუმანიტარული მეცნიერებები (SP-19-317)	2019-2020	პროექტის ხელმძღვანელი და შემსრულებელი აპოლონ თაბუაშვილი, პროექტის კოორდინატორი ალექსანდრე ბოშიშვილი
პროექტი ითვალისწინებდა მონოგრაფიის – ფეოდალური ხანის საქართველოს ეკონომიკური ისტორია – გამოცემას. მონოგრაფიაში მოცემულია ყველა ის საკითხი, რაც მკითხველს ფეოდალური ეპოქის საქართველოს ეკონომიკური ისტორიის ერთიანი სურათის მიღების საშუალებას მისცემს. ნაშრომში წარმოდგენილია ფეოდალური საქართველოს, როგორც სასოფლო-სამეურნეო საქმიანობა, ასევე ქალაქები, საქალაქო ცხოვრება და სავაჭრო გზები; გლეხების და ფეოდალების ქონება, „სისხლის ფასების“ ეკონომიკური ანალიზი; გადასახადები და სახელმწიფო შემოსავლები და სხვა საკითხები. ნაშრომში სრულყოფილად განმარტებული და გაანალიზებულია ყველა ის ნუმიზმატიკური და მეტროლოგიური ტერმინი, რომლებიც დაკავშირებულია საკითხთის კვლევასთან. ნაშრომში მოცემული იქნება ვიზუალური მასალაც.			
4	ქვემო ქართლის ეთნიკური და დემოგრაფიული სურათი (ისტორია და თანამედროვე მდგომარეობა) YS17-45	2017-2020	ალექსანდრე ბოშიშვილი (პროექტის ხელმძღვანელი და შემსრულებელი), ეკა კვირკველია (დამხმარე პერსონალი, ირაკლი ნოდია (დამხმარე პერსონალი)
პროექტის დასრულების შედეგად გამოიცა წიგნი „ქვემო ქართლის ეთნიკური და დემოგრაფიული სურათი (ისტორია და თანამედროვე მდგომარეობა)“, რომელშიც განხილულია ქვემო ქართლის ისტორია, მისი პოლიტიკური მდგომარეობა სხვადასხვა ეპოქაში, მოსახლეობის მოძრაობა, ამ ტერიტორიაზე ეთნიკური ჯგუფების (სომხების, თურქმანული ტომების, ბერძნების, გერმანელებისა და სხვ.) დასახლებისა და თანაცხოვრების საკითხები. მიუხედავად ქვემო ქართლში არსებული მრავალფეროვნებისა და ეთნიკური თუ კონფესიური სიჭრელისა, არცერთ ეპოქაში მოსახლეობას შორის ეთნიკური ან რელიგიური შუღლის მაგალითები არ იკვეთება. ქართული და უცხოენოვანი წყაროების მიხედვით ნათელია, რომ მათ შორის ურთიერთგაგება არსებობდა და თანაცხოვრებას მშვიდობიანად ახერხებდნენ. ეს პირველ რიგში, ადგილობრივი ქართული მოსახლეობის ტოლერანტობით იყო განპირობებული.			

აღნიშნული წიგნი განკუთვნილია ქვემო ქართლისა და, ზოგადად, საქართველოს ისტორიის, ასევე, ეთნიკური და დემოგრაფიული საკითხებით დაინტერესებული პირებისთვის.

3. უცხოური გრანტებით დაფინანსებული სამეცნიერო პროექტები

3.1. გარდამავალი პროექტი

№	გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი, დამფინანსებელი ორგანიზაცია/ სამეცნიერო ფონდი, ქვეყანა	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	2	3	4
გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2020 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)			

3.2. დასრულებული პროექტი

№	დასრულებული (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი, დამფინანსებელი ორგანიზაცია/სამეცნიერო ფონდი, ქვეყანა	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	2	3	4
დასრულებული კვლევითი პროექტის 2020 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)			

4. პატენტები

4.1. საერთაშორისო პატენტები:

№	საპატენტო თემატიკის სათაური	გამომგონებელი/ები და პატენტმფლობელი/ები	პატენტის საიდენტიფიკაციო კოდი

4.2. ეროვნული პატენტები

№	საპატენტო თემატიკის სათაური	გამომგონებელი/ები და პატენტმფლობელი/ები	პატენტის საიდენტიფიკაციო კოდი

5. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში

5.1. მონოგრაფიები/წიგნები

№	ავტორი/ავტორები	მონოგრაფიის/წიგნის სათაური, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	თედო დუნდუა, აკაკი ჩიქობავა, ემილ ავდალიანი	მონეტა, როგორც პროპაგანდის საშუალება ქართული ნუმიზმატიკური ძეგლების მიხედვით. ISBN 978-9941-25-974-6	თბილისი, გამომცემლობა „მერიდიანი“ https://www.researchgate.net/publication/339473327_COIN_AS_A_MEANS_OF_PROPAGANDA_ACCORDING_TO_GEORGIAN_NUMISMATICS_Tbilisi_2020	80 გვ. A5
ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით				
2	თედო დუნდუა	საქართველო. გეოგრაფიული გარემო და პრიმიტიული კომუნიზმი. DOI: 10.13140/RG.2.2.16317.61920	https://www.researchgate.net/publication/341114536_Georgia_Geography_and_Primitive_Communism_Tbilisi_2020	28 გვ. A5
ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით				
3	თედო დუნდუა	Money in Georgia. Appendix. DOI: 10.13140/RG.2.2.28041.67684	https://www.researchgate.net/publication/344202635_Money_in_Georgia_Appendix	121 გვ.
ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით				
4	თედო დუნდუა	Georgia as a Part of Global World: Past and Present. DOI: 10.13140/RG.2.2.28631.50083	https://www.researchgate.net/publication/344238925_Tedo_Dundua_Georgia_as_a_Part_of_Global_World_Past_and_Present_Tbilisi_2020	50 გვ.
ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით				
5	თედო დუნდუა	Studies in History of Georgia	https://www.researchgate.net/publication/341114536_Georgia_Geography_and_Primitive_Communism_Tbilisi_2020 https://www.researchgate.net/publication/320286774_Georgia_-_Early_Origin_and_Ant	

			iquity in Georg with Engl summary https://www.researchgate.net/publication/330727544 Georgia - Early Origin and Antiquity Appendix in Georg with Engl summary Tbilisi 2019 https://www.researchgate.net/publication/333680882 Studies in History of Feudal Georgia Tbilisi 2019 in Georg with Engl summary https://www.researchgate.net/publication/336135278 Georgian State History and the Perspectives Tbilisi 2019	
ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით				
6	ნათია ფიფია	ნარკვევები არგონავტებისა და მედეას შესახებ//Essays on the Argonauts and Medea ISBN: 978-9941-25-752-0	თბილისი, გამომცემლობა „მერიდიანი“	105 გვ.
წიგნში თავმოყრილია ავტორის მიერ უკანასკნელ წლებში გამოცემული ნარკვევები მედეასა და არგონავტების შესახებ, კონკრეტულად: 1) მედეას პერცეფცია ბერძნულ-რომაული ვიზუალური წყაროების მიხედვით (ლარნაკები და სარკოფაგი), 2) არგონავტები და ძველი კოლხეთი გვიანანტიკური ხანის თხზულებაში „De Excidio Trojae Historia”, 3) არგონავტები და მედეა შუა საუკუნეების და რენესანსის ეპოქის ინგლისურენოვან ლიტერატურაში (ჯეფრი ჩოსერი, ჯონ ლიდგეიტი), 4) მედეას ვიზუალური მეტამორფოზა შუა საუკუნეებსა და რენესანსის ეპოქაში. ნაშრომი გამოცემულია ქართულ და ინგლისურ ენებზე. თან ახლავს ილუსტრაციები.				
7	ლერი თავაძე	საქართველო VIII საუკუნეში: პოლიტიკური ისტორია, ISBN 978-9941-26-707-9	თბილისი, გამომცემლობა „უნივერსალი“	300 გვ.
მონოგრაფიაში წარმოდგენილია VIII საუკუნის საქართველოს ქრონოლოგიურად დალაგებული პოლიტიკური ისტორია, რაც აქამდე ცნობილ და ამავე პერიოდის ამსახველ პოლიტიკურ ისტორიებში ყველაზე ვრცელი და დეტალური ნარატივია. წიგნში განხილული პოლიტიკური მოვლენების საგულისხმო ნაწილი ავტორის მიერ არის აღდგენილი. მონოგრაფიაში ხაზგასმულია ჯუანშერის თხზულების მნიშვნელობა მერვე საუკუნის საქართველოს ისტორიის რეკონსტრუქციის საქმეში და მასში დაფიქსირებული საქართველოს გაერთიანება სხვა საისტორიო წყაროებთან შეჯერებით რეალურ ისტორიულ მოვლენადაა წარმოდგენილი. ნაშრომში უარყოფილია „არაბობის“ ანუ არაბთა ყოვლისმომცველი ბატონობის არსებობა საქართველოში, რომელსაც, მერვე საუკუნის ქართული რეალობის გათვალისწინებით, უფრო ლოკალური ხასიათი ჰქონდა, ვიდრე მასიური.				
8	ლერი თავაძე	კვირიკე III დიდი, ISBN 978-9941-32-184-9	თბილისი, გამომცემლობა „პალიტრა L“	192 გვ.
მონოგრაფია ეხება X-XI საუკუნეთა მიჯნაზე მცხოვრები მეფის კვირიკე მესამე დიდის ცხოვრებასა და მოღვაწეობას. კვირიკე მესამე ოცდახუთი წლის განმავლობაში კახეთ-ჰერეთის სამეფოს მონარქი				

გახლდათ და დიდი როლი ითამაშა საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში. წიგნში შესწავლილია კვირიკეს პერიოდის კახეთ-ჰერეთის სამეფოს ადმინისტრაციული მოწყობა, მმართველი არისტოკრატია, ურთერთობა გარე სამყაროსთან. კვირიკე მესამე დიდის მმართველობა, გარკვეულწილად, ახლებურად არის გააზრებული. შესწავლილია კახეთ-ჰერეთის სამეფოს ურთიერთობა ბიზანტიასთან, ისლამურ ქვეყნებთან, სომხურ სამეფო-სამთავროებთან, ჩრდილოეთ კავკასიასთან და სხვ.				
9	ნიკოლოზ ჯავახიშვილი	გრიგოლ I – ქართლ-კახეთის უკანასკნელი მეფე, ISBN 978-9941- 32-047-7	თბილისი, გამომცემლობა „პალიტრა L“	184 გვ.
ნაშრომში სათანადო საისტორიო წყაროებსა და ლიტერატურაზე დაყრდნობით, დადგენილია, რომ ქართლ-კახეთის ბოლო მეფე იყო არა გიორგი XII (1746-1800), როგორც ეს მანამდე იყო მიჩნეული ქართულ და მსოფლიო ისტორიოგრაფიაში, არამედ მისი შვილიშვილი - გრიგოლი (1789-1830). ეს უკანასკნელი გახლდათ ერთადერთი ვაჟი უფლისწულ იოანე ბაგრატიონისა (1768-1830) და იმავდროულად ლეგიტიმური მემკვიდრე თავისი ბიძისა - ქართლ-კახეთის სამეფო ტახტის მემკვიდრე უფლისწულ დავით ბაგრატიონისა (1767-1819), რომელიც უშვილოდ გადაეგო. 1812 წლის 31 იანვარს ახმეტაში იფეთქა ანტიიმპერიულმა სახალხო აჯანყებამ, რომელშიც ჩაება სრულიად კახეთისა და ქართლის ჩრდილო-აღმოსავლეთი ნაწილის მოსახლეობა. სისხლისმღვრელი ბრძოლების შედეგად, თებერვლის შუა რიცხვებისათვის აჯანყებულებმა საოკუპაციო რეჟიმისაგან გაათავისუფლეს ქართლ-კახეთის ტერიტორიის უმეტეს ნაწილი, სადაც რუსეთის იმპერიის იურისდიქცია აღარ ვრცელდებოდა. აჯანყებულებმა თავიანთ წინამძღოლად აღიარეს და ქართლ-კახეთის მეფედ გამოაცხადეს გრიგოლ იოანეს ძე ბაგრატიონი, რომელიც იმხანად 23 წლის გახლდათ. იგი კახეთში ჩავიდა იმერეთიდან, სადაც მანამდე დედის - ქეთევან ზურაბის ასულ წერეთლის მამულში - საჩხერეში ცხოვრობდა. რუსულ საისტორიო წყაროებში აღნიშნულია, რომ გრიგოლს - ქართლ-კახეთის მეფედ იხსენიებდნენ ოკუპანტებისაგან განთავისუფლებულ ტერიტორიაზე არსებულ ეკლესია-მონასტრებში, სადაც მის სახელზე წირვა-ლოცვას აღავლენდნენ. ჩრდილოეთიდან დამატებითი სამხედრო ძალის საქართველოში გამოგზავნის შემდეგ, ვითარება ოკუპანტთა სასარგებლოდ შეიცვალა. 1812 წლის 6 მარტს ქართლ-კახეთის უკანასკნელი მეფე გრიგოლ I მტერმა დაატყვევა და რუსეთში გადაასახლა. მართალია, გრიგოლის მეფობამ სულ ორიოდე კვირას გასტანა, მაგრამ ეს ღირსშესანიშნავი მოვლენა სამუდამოდ დაფიქსირდა საქართველოს ისტორიაში, როგორც მაგალითი ქართველი ერის ღირსეული ნაწილის თავგანწირვისა სამშობლოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენისა და ბაგრატოვანთა ათასწლოვანი სამეფო დინასტიის რესტავრაციისათვის, რაც დროებით კიდეც განხორციელდა. ამდენად, ეს არის მომხდარი ფაქტი, რისი უგულვებელყოფაც სრულიად გაუმართლებელია. ქართული ისტორიოგრაფიის ვალია, რომ ამ მოვლენას მისცეს სათანადო შეფასება, რაც აღნიშნულ გამოკვლევაში მოხდა კიდევაც. ამას გარდა, ნაშრომში ასევე მოთხრობილია ქართლ-კახეთის მეფედყოფილი გრიგოლის შემდგომი ცხოვრებისა და მოღვაწეობის, ასევე მისი მეუღლისა და შვილების შესახებ.				
10	აპოლონ თაბუაშვილი, ნიკოლოზ ჯავახიშვილი	მეფე ერეკლე II-ის დაბადების თარიღის დაზუსტებისათვის, ISBN 978-9941-9677-9-5	თბილისი, კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის გამომცემლობა	70 გვ.
ნაშრომში დეტალურად არის შესწავლილი იმ წერილობითი წყაროების მონაცემები, რომლებშიც შემონახულია ცნობები ქართლ-კახეთის მეფე ერეკლე II-ის (1720-1798) დაბადების თარიღთან დაკავშირებით. აღნიშნული საკითხის შესახებ ასევე საგანგებოდ არის განხილული ქართული ისტორიოგრაფიის ნააზრევი. ყველა ავთენტურ მონაცემზე დაყრდნობით, ამ გამოკვლევაში დადგენილია ქართლ-კახეთის მეფე ერეკლე II-ის დაბადების თარიღი - 1720 წლის 7 ოქტომბერი, ნაცვლად 1720 წლის 7 ნოემბრისა, როგორც ეს მანამდე იყო მიჩნეული ქართულ და მსოფლიო ისტორიოგრაფიაში.				
11	აპოლონ თაბუაშვილი	ფეოდალური ხანის საქართველოს ეკონომიკური ისტორია ISBN 978-9941-8-2226-1	თბილისი, გამომცემლობა „კოლორი“	267 გვ.

მონოგრაფიაში განხილულია ფეოდალური ეპოქის საქართველოს ეკონომიკური ისტორიის საკითხები. ნაშრომში გათვალისწინებულია როგორც ქართული ისტორიოგრაფიის ნააზრევი, ისე დამუშავებულია ახლად გამოვლენილი წყაროები და წარმოდგენილია ავტორისეული ხედვები. ნაშრომი დაყოფილია თემატური და ქრონოლოგიური პრინციპით. კერძოდ, წყაროების, ლიტერატურის, ფულის სისტემისა და ზომა-წონის ერთეულების ზოგადი მიმოხილვის შემდეგ საკვლევი თემატიკა წარმოდგენილია ორ თემატურ თავად. I თავი ეთმობა სასოფლო-სამეურნეო სფეროს, II თავი – ქალაქებსა და ზოგად ეკონომიკურ მდგომარეობას. თავის მხრივ, თითოეული თემატიკა მიმოხილულია დარგების მიხედვით. შესაბამისი დარგების განვითარების ისტორია კი ნაჩვენებია ქრონოლოგიურ ჭრილში. I თავში ყურადღება გამახვილებულია მიწის გადანაწილებაზე, საგლეხო ფუძისა და ფეოდალთა ზვარ-ხოდაბუნების სიდიდეზე. გარკვეული ადგილი ეთმობა სახვნელი და სხვა შრომის იარაღისა და საირიგაციო სისტემების განვითარების ისტორიას. საგანგებოდაა შესწავლილი ფეოდალურ საქართველოში მარცვლეული კულტურების წარმოების ზოგადი სურათი. ადგილობრივი მოსავლიანობა შედარებულია მეზობელ ქვეყნებში არსებულ ვითარებასთან. განხილულია ხორბლეული კულტურის როლი იმდროინდელი მოსახლეობის კვების რაციონში, მარცვლეულთან დაკავშირებით ექსპორტ-იმპორტის საკითხი, ფასი და ა.შ. ანალოგიურად მიმოხილულია ფეოდალურ საქართველოში მევენახეობა-მეღვინეობა. გამოკვლეულია მოსახლეობის ყოფაში ღვინის როლი, ექსპორტის საკითხი, ფასი და სხვ. ასევე ნაშრომში მოცემულია სოფლის მეურნეობის სხვა დარგების განვითარების ისტორიაც. ამავე თავში წარმოდგენილია მოსახლეობის სხვადასხვა ფენის ქონებრივი მდგომარეობა, გადასახადები და საუკუნეების განმავლობაში გლეხებისა და ფეოდალების „სისხლის ფასების“ დინამიკა. II თავში ნაჩვენებია ქალაქების დაწინაურებისა თუ დაკნინების ისტორია, სავაჭრო გზები, საშინაო და საგარეო ვაჭრობა, ხელოსნობა, მანუფაქტურული წარმოების განვითარება, მოქალაქეთა კაპიტალის ოდენობა, სახელმწიფო შემოსავლები და სხვა საკითხები. ფეოდალური ხანის საქართველოს ზოგადი ეკონომიკური ვითარება, მათ შორის საქალაქო ცხოვრება, ქრონოლოგიური თვალსაზრისით, რამდენიმე ეტაპად არის წარმოდგენილი: 1. ადრეფეოდალური და განვითარებული ფეოდალური ეპოქების ქართული ეკონომიკის აღმავალი ხანა, როდესაც, განსაკუთრებით XI-XIII საუკუნეებში, საქალაქო ცხოვრებამ, საერთაშორისო თუ ადგილობრივმა ვაჭრობამ და სხვა სახის ეკონომიკურმა აქტივობამ გარკვეულ პიკს მიაღწია; 2. XVI-XVII საუკუნეებისა და XVIII საუკუნის I ნახევრის ქართული სამეფო-სამთავროების ეკონომიკური დაკნინების ეპოქა; 3. XVIII საუკუნის II ნახევრის აღმოსავლეთ საქართველოს ეკონომიკის რეაბილიტაციის პერიოდი, როდესაც ჩანს საქალაქო ცხოვრების ხელახალი აღორძინება, საშინაო ბაზრის ფორმირება, საგარეო ვაჭრობისა და მანუფაქტურული წარმოების განვითარება. ნაშრომი განკუთვნილია როგორც სამეცნიერო წრეებისათვის, მათ შორის ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტებისთვის, ისე ფართო მკითხველისათვის.				
12	აპოლონ თაბუაშვილი	თეიმურაზ II ISBN 978-9941-32-084-2	თბილისი, გამომცემლობა „პალიტრა L“	188 გვ.
ნაშრომი – თეიმურაზ II წარმოადგენს სამეცნიერო-პოპულარულ წიგნს, რომელიც დაიბეჭდა პალიტრა L-ის სერიის – ქართველი მეფეების – ფარგლებში. წიგნში დეტალურადაა აღწერილი მეფე თეიმურაზ მეორის ცხოვრება. ყურადღება გამახვილებულია როგორც პოლიტიკურ მოვლენებზე, ისე სხვა ასპექტებზე.				
13	ალექსანდრე ბოშიშვილი	ქვემო ქართლის ეთნიკური და დემოგრაფიული სურათი (ისტორია და თანამედროვე მდგომარეობა) ISBN 978-9941-8-2643-6	თბილისი, კოლორი, 2020	290 გვ.
წიგნში განხილულია ქვემო ქართლის ისტორია, მისი პოლიტიკური მდგომარეობა სხვადასხვა ეპოქაში, მოსახლეობის მოძრაობა, ამ ტერიტორიაზე ეთნიკური ჯგუფების (სომხების, თურქმანული ტომების, ბერძნების, გერმანელებისა და სხვ.) დასახლებისა და თანაცხოვრების საკითხები.				

მიუხედავად ქვემო ქართლში არსებული მრავალფეროვნებისა და ეთნიკური თუ კონფესიური სიჭრელისა, არცერთ ეპოქაში მოსახლეობას შორის ეთნიკური ან რელიგიური შუღლის მაგალითები არ იკვეთება. ქართული და უცხოენოვანი წყაროების მიხედვით ნათელია, რომ მათ შორის ურთიერთგაგება არსებობდა და თანაცხოვრებას მშვიდობიანად ახერხებდნენ. ეს პირველ რიგში, ადგილობრივი ქართული მოსახლეობის ტოლერანტობით იყო განპირობებული. აღნიშნული წიგნი განკუთვნილია ქვემო ქართლისა და, ზოგადად, საქართველოს ისტორიის, ასევე, ეთნიკური და დემოგრაფიული საკითხებით დაინტერესებული პირებისთვის.

5. 2. სახელმძღვანელოები

№	ავტორი/ავტორები	სახელმძღვანელოს სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1 2				
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)				

ქართლის სამეფოში კაპუჩინი მამა-მისიონერების საქმიანობა ახალი ძალებით გიორგი გიორგი XI-ის მეფობის პირველ პერიოდში (1676-1688) გაიშალა. ამ უკანასკნელმა თავის წინამორბედ ქართლის ყველა მეფეს გადააჭარბა მისიონერებისადმი მფარველობასა და საქართველოში კათოლიკეთა ეკლესიის პატივიცსემაში. ამან უშუალო ასახვა პოვა თბილისისა და გორის მისიონის წინსვლაში. კაპუჩინთა საგანმანათლებლო საქმიანობამაც კონკრეტული შედეგი გამოიღო. 1679 წელს მისიონის პრეფექტმა თბილისიდან პროპაგანდის კოლეჯში სასწავლებლად სამი ყმაწვილი მიავლინა. ამასთან დაკავშირებით საგულისხმოა საკუთრივ თვით მეფე გიორგის მიერ პროპაგანდის კოლეჯში სასწავლებლად ქართველი ყმაწვილის სოლომონ თუმანიშვილის გაგზავნა. ამ მოვლენების ამსახველი 8 ვრცელი რელაციონი, რომელიც დღემდე უცნობი იყო ქართული ისტორიოგრაფიისათვის, გარდა ამისა, სხვა მრავალ ფაქტობრივ სიახლეს შეიცავს. კერძოდ, მათში რელიეფურად ჩანს, რომ მამა-მისიონერების წარმატებებმა ქართველ საერო და სასულიერო პირთა ხელშეწყობით მიზანმიმართული ხასიათი მიიღო. ირკვევა კაპუჩინმა მამებმა ხელში აიღეს ინიციატივა და მათი ზეგავლენით, უდიდესი მონდომებით, კათოლიკობისაკენ გადაიხარა მეფე გიორგი XI, დიდი სულხან-საბა ორბელიანი, ქართლის ჯარების მხედრათმთავარი თამაზ ყაფლანიშვილი და სხვ. ამ რელაციონებში აშკარად იკითხება, რომ მამა-მისიონერებმა ქართლის სამეფოს ზედა ფენებში მაღალი ავტორიტეტი მოიხვეჭეს და მათგან დიდი ნდობა დაიმსახურეს. ამ ეტაპზე ჩატარებული სამუშაო შეჯამებულ იქნა წყაროების კრებულში „ევროპული წყაროები საქართველოს შესახებ (XVII საუკუნის უკანასკნელი მეოთხედი)“, თბილისი, 2018 (211 გვერდი), რომელშიც ძირითადად შევიდა მანამდე უცნობი წყაროები (31 დიდი თუ მცირე რელაციონი).
2019 წლის ეტაპზე გაიშიფრა და ამოკითხულ იქნა იტალიური და ლათინურენოვანი ხელნაწერი ტექსტები. შემდეგ ითარგმნა ქართულ ენაზე. ეს მასალები ასახავენ XVIII საუკუნის აღმოსავლეთ საქართელოს საშინაო პოლიტიკურ, ეკონომიკურ, რელიგიურ, საგარეო პოლიტიკურ მდგომარეობას და, ცხადია, კაპუჩინი მისიონერების საქმიანობას. თარგმანმა შეადგინა 279 გვერდი. სიახლის თვალსაზრისით 18 ვრცელი რელაციონი ახალ წარმოდგენას გვიქმნის ერეკლე II-ისა და სოლომონ II-ის ევროპულ პოლიტიკაზე. ასევე ამ წყაროებში რელიეფურად ასახულია, თუ რა პოზიცია ეჭირათ კაპუჩინ პატრებს გეორგიევსკის ტრაქტატის მიმართ. მათი სწორი დასკვნით, ამ ხელშეკრულებით საქართველო სრულიად წყდებოდა ევროპასთან კავშირს და შესაბამისად წმინდა ტახტსაც საბოლოოდ ეკეტებოდა გზა საქართველოსკენ. ამ ეტაპზე ჩატარებული სამუშაო შეჯამებულ იქნა წყაროების კრებულში „ევროპული წყაროები საქართველოს შესახებ (XVIII საუკუნე)“. იტალიური და ლათინური ტექსტები თარგმნეს, შესავალი და შენიშვნები დაურთეს მურმან პაპაშვილმა, ელდარ მამისთვალიშვილმა და ზურაბ გამეზარდაშვილმა. თბილისი: „საჩინო“, 2020 (218 გვერდი).
პროექტის შედეგები შეჯამებულ იქნა მონოგრაფიაში საქართველო ევროპულ სამყაროში (XVII ს-ის 70-იანი წლები – XVIII ს.), თბილისი: „უნივერსალი“, 2020 (245 გვერდი).

3. უცხოური გრანტებით დაფინანსებული სამეცნიერო პროექტები

3.1. გარდამავალი პროექტი

№	გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

	მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი, დამფინანსებელი ორგანიზაცია/ სამეცნიერო ფონდი, ქვეყანა		
1	2	3	4
გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2020 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)			

3.2. დასრულებული პროექტი

№	დასრულებული (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი, დამფინანსებელი ორგანიზაცია/სამეცნიერო ფონდი, ქვეყანა	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	2	3	4
დასრულებული კვლევითი პროექტის 2020 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)			

4. პატენტები

4.1. საერთაშორისო პატენტები:

№	საპატენტო თემატიკის სათაური	გამომგონებელი/ები და პატენტმფლობელი/ები	პატენტის საიდენტიფიკაციო კოდი

4.2. ეროვნული პატენტები

№	საპატენტო თემატიკის სათაური	გამომგონებელი/ები და პატენტმფლობელი/ები	პატენტის საიდენტიფიკაციო კოდი

5. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში

5.1. მონოგრაფიები/წიგნები

№	ავტორი/ავტორები	მონოგრაფიის/წიგნის სათაური, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა

1	**მურმან პაპაშვილი**, ელდარ მამისთვალიშვილი, ზურაბ გამეზარდაშვილი,	ევროპული წყაროები საქართველოს შესახებ (XVIII საუკუნე). ISBN 9789941967887	თბილისი, გამომცემლობა „საჩინო“	218 გვ.
2	**მურმან პაპაშვილი**, ელდარ მამისთვალიშვილი, ზურაბ გამეზარდაშვილი, ხათუნა ჩაფიჩაძე	საქართველო ევროპულ სამყაროში (XVII ს-ის 70-იანი წლები – XVIII ს.)	თბილისი, გამომცემლობა „უნივერსალი“	246 გვ.
3	**მერაბ კალანდაძე**	ნაპოლეონის ეპოქის ქართველი მკვლევარი. ISBN 9789941310911	თბილისი, გამომცემლობა „ინტელექტი“	76 გვ.
4	**ზაალ გოგენია**	ესპანეთის სამოქალაქო ომის საერთაშორისო ასპექტები: ომის ინტერნაციონალიზაცია (1936 წლის ივლისი-ნოემბერი)	თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა	374 გვ.

მურმან პაპაშვილი, ელდარ მამისთვალიშვილი, ზურაბ გამეზარდაშვილი
ევროპული წყაროები საქართველოს შესახებ (XVIII საუკუნე)

წიგნი შეიცავს იტალიურ და ლათინურენოვან ხელნაწერი ტექსტები, რომლებიც ჯერ გაიშიფრა და ამოკითხულ იქნა, შემდეგ კი ითარგმნა ქართულ ენაზე. ეს მასალები ასახავენ XVIII საუკუნის აღმოსავლეთ საქართელოს საშინაო პოლიტიკურ, ეკონომიკურ, რელიგიურ, საგარეო პოლიტიკურ მდგომარეობას და, ცხადია, კაპუჩინი მისიონერების საქმიანობას. თარგმანმა შეადგინა 279 გვერდი. სიახლის თვალსაზრისით 18 ვრცელი რელაციონი ახალ წარმოდგენას გვიქმნის ერეკლე II-ისა და სოლომონ II-ის ევროპულ პოლიტიკაზე. ასევე ამ წყაროებში რელიეფურად ასახულია, თუ რა პოზიცია ეჭირათ კაპუჩინ პატრებს გეორგიევსკის ტრაქტატის მიმართ. მათი სწორი დასკვნით, ამ ხელშეკრულებით საქართველო სრულიად წყდებოდა ევროპასთან კავშირს და შესაბამისად წმინდა ტახტსაც საბოლოოდ ეკეტებოდა გზა საქართველოსკენ.

მურმან პაპაშვილი, ელდარ მამისთვალიშვილი, ზურაბ გამეზარდაშვილი, ხათუნა ჩაფიჩაძე
საქართველო ევროპულ სამყაროში (XVII ს-ის 70-იანი წლები – XVIII ს.)

წიგნში აჯამებს საგრანტო პროექტს, რომლის მიზანი იყო XVII-XVIII საუკუნეების შესახებ ვატიკანის არქივებში დაცული დღემდე უცნობი უნიკალური ხელნაწერი მასალების (433 გვერდზე მეტი) იტალიური და ლათინური ენებიდან ამოკითხვა, ქართულ ენაზე თარგმნა, კომენტირება და ანალიზი.

მერაბ კალანდაძე
ნაპოლეონის ეპოქის ქართველი მკვლევარი

ნაშრომი ისტორიოგრაფიულ ხასიათს ატარებს და ეხება სოხუმელი ისტორიკოსის, კონსტანტინე (კოტე) ბოჭორიშვილის სამეცნიერო შემოქმედებას. წიგნი განკუთვნილია სტუდენტებისათვის, ისტორიკოსებისა და დასავლეთ ევროპის ახალი ისტორიის აქტუალური პრობლემებით დაინტერესებული ფართო საზოგადოებისათვის.

ზაალ გოგენია
ესპანეთის სამოქალაქო ომის საერთაშორისო ასპექტები: ომის ინტერნაციონალიზაცია (1936 წლის ივლისი-ნოემბერი)

ნაშრომში სისტემატიზებული და გაანალიზებულია ესპანეთის სამოქალაქო ომის ინტერნაციონალიზაციის პროცესი მის საწყის ეტაპზე; შესწავლილია ჩარევის თუ ჩაურევლობის შესახებ წამყვანი ევროპული ქვეყნების და სსრკ-ს გადაწყვეტილების მიღების პრობლემები, შედარებულია გადაწყვეტილების მიღების პროცედურული და ინსტიტუციონალური საკითხები დემოკრატიულ და ტოტალიტარულ სახელმწიფოებში.

წიგნი განკუთვნილია ისტორიკოსების, საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალისტების და საკითხით დაინტერესებული ფართო მკითხველისთვის.

5. 2. სახელმძღვანელოები

№	ავტორი/ავტორები	სახელმძღვანელოს სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1				
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)				

5.3. კრებულები

№	ავტორი/ავტორები	კრებულის სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	**მარიკა მშვილდაძე**	იბერია საერთაშორისო ვაჭრობის ერთ-ერთი ცენტრი (სამთავროს #905 სამარხში აღმოჩენილი კამეები)	ლიტერატურათმცოდნეობის თანამედროვე პრობლემებისადმი მიძღვნილი XV საერთაშორისო სიმპოზიუმის „აბრეშუმის გზის ქვეყნების ფოლკლორი“-ს მასალები	გვ. 813-822
2	**ზაალ გოგენია**	18 ივლისის სახელმწიფო გადატრიალება და მისი ლეგიტიმაციის მცდელობა ფრანკოს რეჟიმის პირველ პერიოდში	ახალგაზრდა მეცნიერთა III საერთაშორისო სიმპოზიუმი ჰუმანიტარულ მეცნიერებებში, სიმპოზიუმის მოხსენებათა კრებული. თბილისი, 2020	გვ. 63-73

მარიკა მშვილდაძე

იბერია საერთაშორისო ვაჭრობის ერთ-ერთი ცენტრი (სამთავროს #905 სამარხში აღმოჩენილი კამეები)

სტატიაში შესწავლილია სამთავროს №905 სამარხში აღმოჩენილი კამეები.

ზაალ გოგენია

18 ივლისის სახელმწიფო გადატრიალება და მისი ლეგიტიმაციის მცდელობა ფრანკოს რეჟიმის პირველ პერიოდში

1936 წლის 18 ივლისის სახელმწიფო გადატრიალების ლეგიტიმაცია ფრანკისტი იურისტების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანას წარმოადგენდა. მათ უნდა დაემტიცებინათ, რომ სახალხო ფრონტის მთავრობის შექმნა და არსებობა არალეგიტიმური იყო; ისინი ცდილობდნენ სხვადასხვა პოლიტიკური და

სამართლებრივი იდეების საფუძველზე გაემართლებინათ აჯანყება როგორც „წინააღმდეგობის უფლების“ კანონიერი აქტი, ტირანული ხელისუფლების წინააღმდეგ; მსგავსი შინაარსით მაგრამ ადმინისტრაციული და სამხედრო სამართლის პრინციპებიდან გამომდინარე გაემყარებინათ არმიის უმთავრესი მოვალეობა - ერის დაცვა – „მთავრობის მხრიდან თავდასხმის პირობებში“; სისხლის სამართლის კატეგორიის ფარგლებში „სამხედრო აჯანყებისთვის“ მიეცათ „კანონიერი თავდაცვის“ (უკიდურესი აუცილებლობა) კვალიფიკაცია, რომელიც ათავისუფლებს სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობისგან.

1938 წელს ფრანკოს შინაგან საქმეთა მინისტრმა სერანო სუნიერმა ხელი მოაწერა ბრძანებას კომისიის შექმნის შესახებ, რომელსაც დაევალა 1936 წლის 18 ივლისს ესპანეთის რესპუბლიკის მოქმედი ხელისუფლების არალეგიტიმურობის საკითხის დამტკიცება. კომისიის 23 წევრს „უტყუარი მტკიცებულებებით“ უნდა დაესაბუთებინა თეზისი, რომ აჯანყება არ ყოფილა აქტი ხელისუფლების და კანონის წინააღმდეგ. სტატიაში დაწვრილებითაა განხილული კომისიის მიერ შემუშავებული დოკუმენტი ე.წ. „Dictamen“ რომლის მიხედვით არა მხოლოდ სახალხო ფრონტის ხელისუფლებაში მოსვლა არამედ თვითონ რესპუბლიკის წარმომავლობა იყო უკანონო და არც კონსტიტუცია წარმოადგენდა „ქვეყნის ფუნდამენტურ სტატუტს“. ჩამოთვლილი იყო ხელისუფლების მიერ ჩადენილი „დანაშაულებები“ და ა.შ.

„წინააღმდეგობის უფლება“ (ius resistendi) ერთ-ერთი მნიშვნელოვანი იყო გადატრიალების გასამართლებლად. ამ მიმართულებით გამოირჩევა საბინო ალვარეს გენდინის (ოვიედოს უნივერსიტეტი) საქმიანობა. მის არგუმენტებს გააჩნდა კონკრეტული მიზანი – სამხედრო აჯანყების გამართლება იურიდიული და ტრადიციული პრინციპებით, ანუ აჯანყების უფლება ჩაგვრაზე რომელსაც ტირანული ხელისუფლება ახორციელებს გარდა იმის რომ არის უნივერსალური უფლება ამავე დროს ის არის ჭეშმარიტად კათოლიკე ესპანელის ტრადიციული ბუნებისთვის დამახასიათებელი. სხვადასხვა თეორიებზე დაყრდნობით გენდინი ამტიცებდა, რომ დამონებულ ხალხს აქვს კანონიერი უფლება აჯანყდეს მთავრობის წინააღმდეგ, მაგრამ უნდა არსებობდეს სამი აუცილებელი პირობა: როცა ამოწურულია ყველა მშვიდობიანი და კანონიერი საშუალება, როცა არსებობს წარმატების მაღალი ალბათობა და როცა აჯანყება არის პროპორციული ზომა. პირველი ორი გენდინისთვის აშკარა იყო, რაც შეეება მესამეს, შედეგების გათვალისწინებით ნაკლებად იყო პროპორციული, მაგრამ სამაგიეროდ ესპანეთში კომუნიზმის გამარჯვებას მეტი ტერორი მოჰყვებოდა ვიდრე სამოქალაქო ომში. ამრიგად გენდინის აზრით, მსხვერპლი ამად ღირდა. წინააღმდეგობის უფლების ფარგლებში აღსანიშნავია იგნასიო დე ლოხენდიოს (სევილიის უნივერსიტეტი) მტკიცებები. გენდინს და ლოხენდიოს შორის განსხვავება იყო ინსპირაციის წყაროში. ლოხენდიოსთან საკითხი ისტორიის ფილოსოფიის ჩარჩოებში თავსდება და უკანა პლანზე გადადის ხელისუფლების ლეგიტიმაციის საკითხი. აჯანყების უფლება მასთან არის არა ეთიკური და მორალური ვალდებულება, არამედ ბუნებრივი აქტი გამოწვეული აუცილებლობით.

„კანონიერი თავდაცვის“ თვალსაზრისით აჯანყების გამართლებაში გამორჩეული ავტორია ისაიას სანჩეს ტეხერინა (სალამანკის უნივერსიტეტი). მისი აზრით, ეროვნული აჯანყება იყო კანონიერი თავდაცვის კოლექტიური აღსრულების მაგალითი (თუმცა ის ინდივიდუალური აქტია თავისი ბუნებით) აჯანყება მისი აზრით, იყო პროპორციული და ამავე დროს აუცილებელი ზომა.

აჯანყების გამართლების სხვა ასპექტი იყო არმიის მოვალეობის საკითხი. იურისტ ხაიმე მასავეუს მტკიცებით, არმიამ უნდა დაიცვას ერი ანუ „ბუნებრივი სოციალური არსი“, მაშინ როცა სახელმწიფო ეს არის „პოლიტიკური სუპერფეტაცია“. დილემის შემთხვევაში ჯარისკაცი იცავს „ნაციას“, თუნდაც გამოვიდეს სახელმწიფოს წინააღმდეგ. ამრიგად, ეს პოსტულატი კვლავ მიდის რესპუბლიკური მთავრობის არალეგიტიმურობის არგუმენტამდე.

აჯანყების გამართლების საერთაშორისო სამართლებრივ მიმართულებით საინტერესოა ხოსე დე იანგუას მესიას და პედრო კორტინა მაურის პოზიციები, რომლებიც სტატიაში ვრცლადაა განხილული.

5.4. სტატიები ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდის (DOI) მითითებით

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათა-ური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI	ჟურნალის/ კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1					
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)					

5.5. სტატიები ISSN-ის მითითებით

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათა-ური, ISSN	ჟურნალის/ კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	**ლევან გორდეზიანი**	Iberien zwischen Rom und Iran. Beiträge zur Geschichte und Kultur Transkaukasiens in der Antike. Hrsg. Udo Hartmann, Timo Stickler und Frank Schleicher. ISSN 1512-1046	Phasis, 21-22	თბილისი, გამომცემლობა „ლოგოს-პრესი“	გვ. 171-174
2	**მარიკა მშვილდაძე**	რომი და ინდოეთი დიდი აბრეშუმის გზის კონტექსტში. ISSN 1512-0694	კულტურის ისტორიისა და თეორიის საკითხები, XXXIV		გვ. 50-58
3	**მურმან პაპაშვილი**	საქართველოში კრისტოფორო კასტელის ყოველდღიურობის ერთი ეპიზოდის ანალიზი. ISSN 1512-4657	გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი. შრომათა კრებული №18	გორი, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი	გვ. 301-313
4	**მურმან პაპაშვილი, თეა წითლანაძე, თეა ქარჩავა,** ანდრო გოგოლაძე	The Interests of Western European Countries in Georgia in the Context of Persian- Ottoman International relations (40-60-s of 16th Century). ISSN 0132-1447	Bulletin of Georgian National Academy of Science,Vol.14, n. 4	საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია, თბილისი	გვ. 114-119
5	**მერაბ კალანდაძე**	ვარლამ ჩერქეზიშვილი ნაპოლეონზე	გორის სასწავლო უნივერსიტეტი ჰუმანიტარულ მეცნიერებათა	გორი, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი	გვ. 350-372

			ფაკულტეტი ისტორიისა და არქეოლოგიის ცენტრი. შრომათა კრებული N19(1).		
6	**მერაბ კალანდაძე**	დიმიტრი უზნაძე ალექსანდრე მაკედონელზე. ISSN 1512-1593	გელათის მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალი, 2020	თბილისი	
7	**თამარ ანთაძე**	ვარლამ ჩერქეზიშვილი ბისმარკზე	გორის სასწავლო უნივერსიტეტი ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი ისტორიისა და არქეოლოგიის ცენტრი. შრომათა კრებული N19(1).	გორი, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი	გვ. 281-296

ლევან გორდეზიანი

Iberien zwischen Rom und Iran. Beiträge zur Geschichte und Kultur Transkaukasiens in der Antike. Hrsg. Udo Hartmann, Timo Stickler und Frank Schleicher

სტატიის ანოტაცია ინდივიდუალურ ანგარიშში მოცემული არ არის.

მარიკა მშვილდაძე

რომი და ინდოეთი დიდი აბრეშუმის გზის კონტექსტში

სტატიაში შესწავლილია სამთავროს №905 სამარხში აღმოჩენილი კამეები.

მურმან პაპაშვილი

საქართველოში კრისტოფორო კასტელის ყოველდღიურობის ერთი ეპიზოდის ანალიზი

სტატიაში გაანალიზებულია საქართველოში კრისტოფორო კასტელის ყოველდღიურობის ერთი ეპიზოდი.

მურმან პაპაშვილი, თეა წითლანაძე, თეა ქარჩავა, ანდრო გოგოლაძე

The Interests of Western European Countries in Georgia in the Context of Persian- Ottoman International relations (40-60-s of 16th Century)

დასავლეთევროპული ქვეყნების ინტერესი საქართველოსადმი სპარსეთ-ოსმალეთის საერთაშორისო ურთიერთობების კონტექსტში (XVI ს-ის 40-60-იანი წლები)

ნაშრომი ეფუძნება დღემდე უცნობ ევროპულ წყაროებს (მიკელე მემბრე, ენტონი ჯენკინსონი), რომელთა ავტორებმა დატოვეს საინტერესო ინფორმაცია ქართველების შესახებ. ვენეციელი ავტორის,

მიკელე მემბრეს (რომელმაც იმოგზაურა სეფიანურ სპარსეთში საქართველოს გავლით) რელაციონი დესკრიფციული ხასიათის ინფორმაციას გვაწვდის (ყოფა-ცხოვრება, ჩაცმულობა, საცხოვრისი, აღჭურვილობა, ეკონომიკური მდგომარეობა, ომგამოვლილი პოლიტიკური ერთეულების მძიმე ვითარება), ინგლისელი ავტორის ჯენკინსონის რელაციონი კი, რომელიც შეხვდა ქართველებს სპარსეთის დედაქალაქსა და მის დომინიონებში, ყურადღებას ამახვილებს ქართული სახელმწიფოების ეკონომიკურ პოტენციალსა და პოლიტიკურ ვითარებაზე. რელაციონი ნათლად წარმოაჩენს ინგლისელი სავაჭრო აგენტების მოგზაურობების ფართო პროფილს აღმოსავლეთში, დიპლომატიურ მოქნილობასა და პოლიტიკურ ვითარების არსში წვდომას, რომელიც პერსპექტივების/კონკრეტული ნაბიჯების მარცხისა თუ წარმატების მიზეზ-შედეგობრივი ანალიზით ხასიათდება. მათ საფუძველზე ისტორიის მეცნიერებაში პირველად იქნა გარკვეული, რომ XVI საუკუნის 40-60-იან წლებში ქართველი პოლიტიკური მესვეურები საერთო ანტიოსმალურ კონტექსტში დასავლეთის რომაულ-კათოლიკურ სივრცესთან დაინტერესებულნი იყვნენ პოლიტიკური კონტაქტების დამყარებით და მას არანაირად არ ენაცვლებოდა პროტესტანტულ ქვეყნებთან ეკონომიკური კავშირების განვითარება. ქართველი პოლიტიკოსების ანტიოსმალურ გეგმებში ჰაბსბურგებთან მოკავშირეობა სასიცოცხლო აუცილებლობად მიიჩნეოდა ვიდრე პროტესტანტული ქვეყნებისადმი ინტერესი.

მერაბ კალანდაძე
ვარლამ ჩერქეზიშვილი ნაპოლეონზე

ნაშრომი ისტორიოგრაფიულ ხასიათს ატარებს. მასში პირველად არის განხილული ვარლამ ჩერქეზიშვილის შეხედულებები ნაპოლეონ ბონაპარტზე. ეს სიახლეა და გააჩნია ქართული კონტექსტი.

მერაბ კალანდაძე
დიმიტრი უზნაძე ალექსანდრე მაკედონელზე

ნაშრომი ისტორიოგრაფიულ ხასიათს ატარებს. მასში პირველად არის განხილული დ. უზნაძის შეხედულებები ალექსანდრე მაკედონელზე. ეს სიახლეა და გააჩნია ქართული კონტექსტი.

თამარ ანთაძე
ვარლამ ჩერქეზიშვილი ბისმარკზე

ნაშრომში პირველად ქართულ ისტორიოგრაფიაში შესწავლილია ვარლამ ჩერქეზიშვილის შეხედულებები ბისმარკზე.

6. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა უცხოეთში

6.1. მონოგრაფიები/წიგნები

№	ავტორი/ავტორები	მონოგრაფიის/წიგნის სათაური, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1 2				
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)				

6.2. სახელმძღვანელოები

№	ავტორი/ავტორები	სახელმძღვანელოს სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1 2				
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)				

6.3. კრებულები

№	ავტორები	კრებულის სახელ-წოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1 2 3				
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)				

6.4. სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI ან ISSN	ჟურნალის/ კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1 2 3					
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)					

7. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

7.1. საქართველოში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	**თეიმურაზ პაპასქირი**	2020 წლის აშშ-ს საპრეზიდენტო არჩევნების შედეგების შეფასებისთვის	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის მსოფლიო ისტორიის ინსტიტუტის

			ახალი და უახლესი ისტორიის კათედრის მეცამეტე ყოველწლიური კონფერენცია
2	**მარიკა მშვილდაძე**	ღვთაება დემეტრას კულტი იბერია-კოლხეთში	ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის XIV საფაკულტეტო სამეცნიერო კონფერენცია მიძღვნილი აკადემიკოს ოთარ ლორთქიფანიძის დაბადებიდან 90-ე წლისთავისადმი. თბილისი
3	**მარიკა მშვილდაძე**	იბერია საერთაშორისო ვაჭრობის ერთ-ერთი ცენტრი (სამთავროს #905 სამარხში აღმოჩენილი კამეები)	ლიტერატურათმცოდნეობის თანამედროვე პრობლემებისადმი მიძღვნილი XV საერთაშორისო სიმპოზიუმი „აბრეშუმის გზის ქვეყნების ფოლკლორი“. თბილისი
4	**მურმან პაპაშვილი**	საქართველოში კრისტოფორო კასტელის ყოველდღიურობის ერთი ეპიზოდის ანალიზი	გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი. ისტორიის და არქეოლოგიის სასწავლო სამეცნიერო ცენტრი დავით აღმაშენებლისადმი მიძღვნილი მეშვიდე საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია. გორი
5	**მერაბ კალანდაძე**	დიმიტრი უზნაძე ავსტრიის ახალი ისტორიის საკვანძო საკითხებზე	გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი. ისტორიის და არქეოლოგიის სასწავლო სამეცნიერო ცენტრი დავით აღმაშენებლისადმი მიძღვნილი მეშვიდე საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია. გორი
6	**მერაბ კალანდაძე**	ნიკო ნიკოლაძე ნაპოლეონის კანონშემოქმედებით საქმიანობაზე	ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის XIV საფაკულტეტო სამეცნიერო კონფერენცია მიძღვნილი აკადემიკოს ოთარ

			ლორთქიფანიძის დაბადებიდან 90-ე წლისთავისადმი. თბილისი
7	**მერაბ კალანდაძე**	ინგლისის რევოლუციის შესწავლა 1918-1921 წლების საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის მსოფლიო ისტორიის ინსტიტუტის ახალი და უახლესი ისტორიის კათედრის მეცამეტე ყოველწლიური კონფერენცია
8	**ლეილა (ია) ხუბაშვილი**	საქართველოს ადგილი და როლი დე პროპაგანდა ფიდეს აღმოსავლურ პოლიტიკაში	სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტი. ონლაინ კონფერენცია: საქართველო და კათოლიკური სამყარო
9	**ლეილა (ია) ხუბაშვილი**	გადატრიალება ვატიკანში. პაპი იოანე XXIII – „წითელი პაპი“.	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის მსოფლიო ისტორიის ინსტიტუტის ახალი და უახლესი ისტორიის კათედრის მეცამეტე ყოველწლიური კონფერენცია
10	**თამარ ანთაძე**	სკანდინავიის ქვეყნების ისტორიის შესწავლა საქართველოში	გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი. ისტორიის და არქეოლოგიის სასწავლო სამეცნიერო ცენტრი დავით აღმაშენებლისადმი მიძღვნილი მეშვიდე საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია. გორი

11	**თამარ ანთაძე**	ვარლამ ჩერქეზიშვილი ბაირონზე	ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის XIV საფაკულტეტო სამეცნიერო კონფერენცია მიძღვნილი აკადემიკოს ოთარ ლორთქიფანიძის დაბადებიდან 90-ე წლისთავისადმი. თბილისი
12	**თამარ ანთაძე**	ვარლამ ჩერქეზიშვილი ლაიოშ კოშუთზე	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის მსოფლიო ისტორიის ინსტიტუტის ახალი და უახლესი ისტორიის კათედრის მეცამეტე ყოველწლიური კონფერენცია
13	**ზაალ გოგენია**	კარლოს I-ისა და ფილიპე II-ის დიპლომატიური ურთიერთობები სპარსეთთან	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის მსოფლიო ისტორიის ინსტიტუტის ახალი და უახლესი ისტორიის კათედრის მეცამეტე ყოველწლიური კონფერენცია

თეიმურაზ პაპასქირი

2020 წლის აშშ-ს საპრეზიდენტო არჩევნების შედეგების შეფასებისთვის

2020 წლის 3 ნოემბერს გაიმართა მორიგი საპრეზიდენტო არჩევნები აშშ-ში, რომლის შედეგად პრეზიდენტად არჩეულ იქნა ჯოზეფ რობინეტ ბაიდენი. დაფიქსირდა იშვიათი შემთხვევა, როდესაც მოქმედი პრეზიდენტი დამარცხდა საპრეზიდენტო არჩევნებში. ბოლოს ეს მოხდა 1992 წელს, თუმცა მაშინ პრეზიდენტ ჯორჯ ბუშის დამარცხებაში დიდი როლი ითამაშა დამოუკიდებელმა კანდიდატმა როს პეროომ, რომელმაც, მიუხედავად იმისა, რომ ვერ მოიგო თუნდაც ერთი შტატი, საერთო ჯამში, ხმების თითქმის 20% დააგროვა და ამით ამომრჩევლების დიდი ნაწილი წაართვა სწორედ მოქმედ პრეზიდენტს, რომელთანაც მისი პროგრამა უფრო

ახლოს იდგა. შესაბამისად, უფრო სწორი იქნება, რომ არსებული მდგომარეობა შევადაროთ 1980 წელს, როდესაც დემოკრატი ჯეიმს (ჯიმი) კარტერი დამარცხდა რონალდ რეიგანთან, რაც გახდა თეთრ სახლში რესპუბლიკელთა 12-წლიანი მმართველობის დასაწყისი. მაშინაც გამარჯვებულმა კანდიდატმა ხმების საერთო რაოდენობით ძალზე დიდი უპირატესობით – 8,423,115 ხმით აჯობა მეტოქეს (ამჯერად ბაიდენის უპირატესობა დონალდ ტრამპზე 7,058,909 ხმა აღმოჩნდა). მიუხედავად ამისა, მსგავსება ორ არჩევნებში შორის აქ სრულდება. 1980 წლის არჩევნებში რეიგანმა მოიგო 44 შტატი (კარტერმა მხოლოდ 6 შტატი და კოლუმბიის ოლქი) და მიიღო 489 ელექტორის ხმა, ბაიდენმა კი მოიგო 25 შტატი (ისევე, როგორც ტრამპმა) და კოლუმბიის ოლქი. ელექტორების ხმებიც 306 აღმოჩნდა 232-ზე. ამავე დროს, მიუხედავად, ერთი შეხედვით, გამანადგურებელი მარცხისა, 13 ე.წ. „საბრძოლო შტატში“ (Battleground States), Cook Political Report-ის თანახმად, ტრამპმა 1,087,040 ხმით მეტი დააგროვა, ვიდრე ბაიდენმა. უფრო მეტიც, არსებობდა საკმაოდ რეალური შანსი, რომ ტრამპს არც წაეგო ეს არჩევნები, თუ ის აჯობებდა ბაიდენს არიზონაში (სხვაობა ბაიდენის სასარგებლოდ 10,457 ხმა), ჯორჯიასა (სხვაობა – 11,779) და ვისკონსინში (სხვაობა – 20,682), სადაც მან ჯამურად მხოლოდ 42,918 ხმა წააგო. ასეთ შემთხვევაში დაფიქსირდებოდა საკმაოდ უცნაური შემთხვევა, როდესაც ორივე კანდიდატი დააგროვებდა 269 ელექტორის ხმას და საჭირო გახდებოდა ხმის მიცემა წარმომადგენელთა პალატაში შტატების წარმომადგენლობების მიხედვით. ვინაიდან ამ კომპონენტში რესპუბლიკელთა უპირატესობა აშკარა აღმოჩნდა (მათ უმრავლესობა მოიპოვეს 28 წარმომადგენლობაში, კიდევ სამში წარმომადგენლების რაოდენობა გაიყო და დემოკრატებს უმრავლესობა აღმოაჩნდათ 20 წარმომადგენლობაში კოლუმბიის ოლქის ჩათვლით), ცალსახაა, რომ ამ შემთხვევაში გამარჯვება ტრამპს დარჩებოდა, მიუხედავად იმისა, დემოკრატების მიერ მთლიანობაში კონტროლირებადი კონგრესი მისცემს თუ არა აიოვას შტატის რესპუბლიკელ კონგრესმენ მარიანეტ მილერ-მიიკსს თავისი ადგილის დაკავების უფლებას. თუნდაც დემოკრატებმა აიოვას დელეგაციაში ცვლილება მოახდინოს და დემოკრატი რიტა ჰარტი დასვან მის კუთვნილ ადგილზე (ამით შტატის დელეგაციაში რესპუბლიკელებისა და დემოკრატების წარმომადგენლობა გათანაბრდება). ყველა ვარიანტში რესპუბლიკელები 26 ხმას დააგროვებდნენ.

კიდევ ერთი განსხვავება 1980 წელთან მიმართებაში სწორედ კონგრესის არჩევნების შედეგებია. მიუხედავად მთლიანობაში მოპოვებული უზარმაზარი უპირატესობისა ხმების რაოდენობით (თითქმის 5 მილიონი), დემოკრატებმა არა მარტო დაკარგეს 15 ადგილი წარმომადგენელთა პალატაში, არამედ კინაღამ უმცირესობაშიც კი აღმოჩნდნენ. 1980 წელს კი რესპუბლიკელებმა, მართალია, წარმომადგენელთა პალატაში უმრავლესობა ვერ მოიპოვეს, მაგრამ 34 ადგილით მეტი მიიღეს, ვიდრე 1978 წლის არჩევნებში. ასევე თვალსაჩინოა ეს სხვაობა სენატთან მიმართებაში. არჩევნებამდე დემოკრატები ფიქრობდნენ, რომ ისინი პირდაპირ დაამყარებდნენ კონტროლს სენატზე, მაგრამ მათ მხოლოდ 2 შემთხვევაში შეძლეს მოქმედი რესპუბლიკელი სენატორის დამარცხება (თანაც თავად დაკარგეს ერთი ადგილი). შედეგად, ამჟამად მათ სჭირდებათ ჯორჯიის შტატში ორივე სენატორის ადგილის მოპოვება განმეორებით არჩევნებში, რომელიც 2021 წლის 5 იანვარს გაიმართება, რათა წარმომადგენლობების შემადგენლობა გათანაბრდეს და 20 იანვრიდან ვიცეპრეზიდენტმა კამალა ჰარისმა მიიღოს გადამწყვეტი ხმის უფლება. 1980 წელს კი რესპუბლიკელებმა სენატზე პირდაპირ დაამყარეს კონტროლი, მოიპოვეს რა 12 ადგილით მეტი, ვიდრე 1978 წლის შედეგების შემდეგ ჰქონდათ.

რა დასკვნების გამოტანა შეიძლება ამ მონაცემებიდან? პირველ რიგში, უნდა ითქვას, რომ ცალსახაა აშშ-ს მოსახლეობის უდიდესი პოლარიზება. საპრეზიდენტო არჩევნებში წელს ამომრჩეველთა სარეკორდო რაოდენობამ მიიღო მონაწილეობა. ორივე კანდიდატმა ხმების საერთო რაოდენობით ასევე სარეკორდო მონაცემები დააფიქსირა: ბაიდენს ხმა მისცა 81,281,502 ამომრჩეველმა, ტრამპს – 74,222,593 (მანამდე საუკეთესო შედეგი 2008 წელს დააფიქსირა ბარაკ ობამამ (69,498,516 ხმა). ეს ცალსახად ტრამპის ფაქტორით იყო განპირობებული. დიდი როლი შეასრულა ამ საქმეში მედიამაც, რომლის უდიდესი ნაწილი უკანასკნელი ოთხი წლის მანძილზე დონალდ ტრამპის კრიტიკის მეტს არაფერს აკეთებდა. შედეგად, გაიზარდა ტრამპის როგორც მომხრეების, ისე მოწინააღმდეგეების რაოდენობა, რომლებმაც არჩევნებში მონაწილეობის მიღება

გადაწყვიტეს. მიუხედავად ამისა, ნათელი გახდა, რომ ორივე პარტია გარკვეული პრობლემების წინაშე დგას. დემოკრატიული პარტიის კოალიცია უფრო მყიფე გახდა. ლათინოამერიკელების დიდმა ნაწილმა ამჯერად ხმა მისცა რესპუბლიკელ კანდიდატებს. მართალია, მათი უმრავლესობა ჯერ კიდევ დემოკრატებს აძლევს ხმას, მაგრამ კალიფორნიაშიც კი შეიმჩნევა, რომ მათი სიმპათიები თანდათან იცვლება და რესპუბლიკელებს გარკვეულწილად შანსი უჩნდებათ, დაიწყონ მათი ხმების დაბრუნება. არჩევნებმა ასევე აჩვენა რესპუბლიკელთა მხრიდან შედეგების გაუმჯობესება შავკანიან მოსახლეობაშიც. აფროამერიკელების უდიდესი უმრავლესობა (ჩვეულებრივ 90%-ზე მეტი) მუდმივად დემოკრატებს უჭერს მხარს, თუმცა წელს ეს მაჩვენებელი ზოგიერთ შტატში 80%-ზე ქვევითაც კი ჩამოვიდა. მთლიანობაში, რესპუბლიკელების მაჩვენებელი ჯერ კიდევ ძალიან მცირეა, მაგრამ ამ მიმართულებით ასევე შეიმჩნევა ცვლილებები და ახალი სახეების წარმოჩენა.

თავის მხრივ, რესპუბლიკელებს ასევე აქვთ სერიოზული პრობლემა. მისი სახელი და გვარია დონალდ ტრამპი. აშშ-ს 45-ე პრეზიდენტი არ აღიარებს არჩევნებში დამარცხებას. ამავე დროს, ის მზად არის, მონაწილეობა მიიღოს 2024 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში. ეს რესპუბლიკელებისათვის სერიოზული თავის ტკივილი შეიძლება აღმოჩნდეს, რადგანაც დიდი ალბათობით, ტრამპი იმ დროისთვის ვერ შეძლებს რესპუბლიკელთა მხარდაჭერის მოპოვებას და პრაიმერიზში გამარჯვებას. არ არის გამორიცხული, რომ ასეთ შემთხვევაში მან მესამე პარტიის სახელით ან დამოუკიდებლად იყაროს კენჭი, რაც რესპუბლიკელების საპრეზიდენტო შანსებს უბრალოდ გაანულებს. ასე რომ, მათ ასევე საკმაოდ რთული ამოცანა უდგათ: თავიდან მოიცილონ ტრამპი და შეინარჩუნონ მის მიერ მოყვანილი ამომრჩევლების უმრავლესობა.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, 2020 წლის არჩევნებმა საკმაოდ ბევრი კითხვა დატოვა და დღეისათვის მომავალი არჩევნების პროგნოზის გაკეთება თითქმის შეუძლებელია.

მარიკა მშვილდაძე

ღვთაება დემეტრას კულტი იბერია-კოლხეთში

მოხსენება მიეძღვნა ღვთაება დემეტრას კულტს იბერია-კოლხეთში.

მარიკა მშვილდაძე

იბერია საერთაშორისო ვაჭრობის ერთ-ერთი ცენტრი (სამთავროს #905 სამარხში აღმოჩენილი კამეები)

მოხსენებაში გაანალიზებულია სამთავროს №905 სამარხში აღმოჩენილი კამეები.

მურმან პაპაშვილი

საქართველოში კრისტოფორო კასტელის ყოველდღიურობის ერთი ეპიზოდის ანალიზი

მოხსენებაში გაანალიზებულია საქართველოში კრისტოფორო კასტელის ყოველდღიურობის ერთი ეპიზოდი.

მერაბ კალანდაძე

დიმიტრი უზნაძე ავსტრიის ახალი ისტორიის საკვანძო საკითხებზე

პირველად ისტორიოგრაფიაში განხილული არის ისტორიულ მეცნიერებაში დიმიტრი უზნაძის წვლილი და ამჯერად ვეხებით მის დამოკიდებულებას ავსტრიის ახალი ისტორიის საკვანძო საკითხებისადმი.

მერაბ კალანდაძე
ნიკო ნიკოლაძე ნაპოლეონის კანონშემოქმედებით საქმიანობაზე

მოხსენებაში მიმოხილულია ნიკო ნიკოლაძის შეხედულებები ნაპოლეონ ბონაპარტის კანონშემოქმედებით საქმიანობაზე.

მერაბ კალანდაძე
ინგლისის რევოლუციის შესწავლა 1918-1921 წლების საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში

ინგლისის რევოლუცია დიდმნიშვნელოვანი მოვლენა იყო არა მხოლოდ ინგლისის, არამედ მსოფლიო ისტორიაში, რომლის შეფასება ისტორიკოსთა შორის აზრთა სხვადასხვაობას იწვევს. ერთნი მას ნეგატიურად აფასებდნენ და მასში ხედავდნენ „უხამს შესვენებას“ ინგლისელი ისტორიკოსი, ოქსფორდის უნივერსიტეტის პროფესორი, ჰუგო ტრევორ-როპერი ამბობდა „მე არ მჯერა, რომ რევოლუცია წარმატებით დაგვირგვინდა, რომ მან კარგი ნაყოფი გამოიღო“. ეს გახლავთ ერთი ბანაკი, პესიმისტები. არის მეორე ბანაკი, რომელიც უფრო ოპტიმისტურადაა განწყობილი და ინგლისის რევოლუციას, პირველ ყოვლისა, როგორც დადებით მოვლენას ისე აღიქვამს. აი რას წერდა ცნობილი ფილოსოფოსი ტომას ჰობსი. „დროში, ისე როგორც სივრცეში, არსებობდეს სიმაღლის განმსაზღვრელი ნიშნული, მე გულწრფელად ვარ დარწმუნებული, რომ უმაღლეს პერიოდად აღმოჩნდებოდა ეპოქა, რომელიც იყო 1640-1660 წლებში“. ამიტომ, ალბათ, ინტერესს მოკლებული არ იქნებოდა გავარკვიოთ როგორ იყო შესწავლილი საქართველოში ინგლისის რევოლუცია. ეს სიახლეა, ქართული კონტექსტი გააჩნია და ამ საკითხის შესწავლის პირველ მცდელობად გვევლინება.

წინამდებარე ნაშრომი ისტორიუგრაფიულ ხასიათს ატარებს და მიზნად ისახავს გააშუქოს ამ დიდი პრობლემის ერთ საკითხი ინგლისის რევოლუციის შესწავლა 1918-1921 წლებში საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში.ამ რაკურსით საკითხის გაშუქება საინტერესოა და აქტუალურად მიგვაჩნია. ეს საშუალებას გვაძლევს ვცადოთ, გავაბათილოთ მთელი რიგი საბჭოთა სტერეოტიპები და შტამპები, რომელმაც მყარად მოიკიდა ფეხი ქართული საზოგადოების ცნობიერებაში.

მოსაზრება თითქოს ამ სფეროში, კონკრეტულად კი, ინგლისის რევოლუციის შესწავლის საქმეში, 1918-1921 წლებში საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში, არაფერი პოზიტიური არ გაკეთებულა კიდევ ერთი საბჭოთა მითია. სინამდვილეში ეს ასე არ იყო.

1918-1921 წლებში საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში ინგლისის რევოლუციის შესწავლამ სამეცნიერო-პოპულარული ხასიათი შეიძინა და , უმთავრესად, ასახვა პოვა იმ პერიოდში გამოსულ ახალი ისტორიის პირველ ეროვნულ სასკოლო სახელმძღვანელოებში. ეს იმ პერიოდის ქართული რეალობის ფონზე, უდავოდ, წინგადადგმული ნაბიჯი იყო და ამის გვერდის ავლა, წაყრუება, როგორც ეს ხდებოდა საბჭოთა პერიოდში, გამართლებული არ უნდა ჩანდეს. ეს სახელმძღვანელოებია: დ. უზნაძის და ივ. გველესიანის, ს. ავალიანის, ალ. წერეთლის, თ. ჭუმბურიძის, ა. ვულფიუსის, ე. ლავისის „ახალი ისტორიის“ პირველი ეროვნული სასკოლო სახელმძღვანელოები. გრ. ნათაძის „ინგლისის მოკლე ისტორია“.

საქართველოში ინგლისის რევოლუციით დაინტერესების პირველმა სერიოზულმა სიმპტომებმა თავი იჩინა, არა საბჭოთა პერიოდის ქართულ ისტორიოგრაფიაში, როგორც ამას გვიმტკიცებდნენ დიდი ხნის განმავლობაში, არამედ გაცილებით უფრო ადრე, ჯერ კიდევ საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში. იმ პერიოდში გამოსული ახალი ისტორიის პირველი ეროვნული სასკოლო სახელმძღვანელოები, ვფიქრობთ, ამის ნათელი ილუსტრაცია უნდა იყოს. საფიქრელია, რომ ეს იყო მათი ჩანაფიქრის, მხოლოდ ერთი ნაწილი, რომლის განხორციელება, იმ ექსტრემალურ პირობებში, დროის მცირე მონაკვეთში, ფაქტობრივად ცაიტნოტში, მათ მოასწრეს. დაწყებული საქმის ბოლომდე მიყვანა, უმთავრესად, პოლიტიკური კატაკლიზმების გამო ვეღარ შეძლეს. საქართველოს გასაბჭოების შემდეგ ინგლისის რევოლუციის შესწავლამ სულ სხვა ხასიათი შეიძინა, რომელიც თავდაპირველი გზის გაგრძელებად, წინგადადგმულ ნაბიჯად, ძნელია

მივიჩნიოთ. რისი გაკეთებაც მოასწრეს გააკეთეს. ამ სფეროში მათი მთავარი დამსახურება, ვფიქრობთ, სწორედ ამაში უნდა მდგომარეობდეს.

1918-1921 წლებში საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში გამოსულ ახალი ისტორიის პირველ ეროვნულ სასკოლო სახელმძღვანელოებში ინგლისის რევოლუციისადმი მიდგომა მეცნიერულია და პირველ ყოვლისა, ორიენტირებულია თავისუფალ აზროვნებაზე, ისტორიული მოვლენებისადმი მრავალვარიანტულ მიდგომაზე, პლურალიზმზე, პროგრესულ-ლიბერალურ ღირებულებებზე, რომელსაც ბუნებრივია, გააჩნია თავისი პლუსები და მინუსები. ამგვარი მიდგომა, ცხადია, შემთხვევითი არაა, ცარიელ ნიადაგზე არ აღმოცენებულა და იმ პერიოდში საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში არსებული დემოკრატიული ატმოსფეროს ლოგიკური შედეგია.

იმ პერიოდში გამოცემულ ახალი ისტორიის პირველ ეროვნულ სასკოლო სახელმძღვანელოებში ინგლისის რევოლუციის გაშუქება სავსებით შეესატყვისებოდა იმჟამინდელი ისტორიული მეცნიერების მოთხოვნებს, რაც ევროპული, პირველი რიგში კი, რა თქმა უნდა, რუსული ისტორიოგრაფიის გავლენის გამოძახილია.

ისინი ინგლისის რევოლუციის ისტორიში საკმაო ჩახედულებას ამჟღავნებდნენ, ემპირული, ფაქტობრივი, მასალის ცოდნის ლოგიკური შედეგია. ინგლისის რევოლუციის შეფასებას ისინი პროგრესული-ლიბერალური პოზხციებიდან ცდილობდნენ. ამ სახელმძღვანელოებში დიდი ყურადღება ეთმობა ინგლისის რევოლუციის პოლიტიკურ და იდეურ ისტორიას, ხოლო რევოლუციის სოციალური და ეკონომიკური ისტორია განხილულია შედარებით უფრო სუსტად, მკრთალად. ამგავრი მიდგომა სავსებით თავსდება პოზიტივისტური ისტორიოგრაფიის ჩარჩოებში.

ამ ფონზე განცალკევებით დგას პროფ. გრ. ნათაძის წიგნი „ინგლისის მოკლე ისტორია“, რომელიც ქართულ სინამდვილეში ევროპის ცალკეული ქვეყნების ისტორიის შექმნის პირველ მცდელობად გვევლინება. ის ისტორიის სოციოლოგიური გაშუქების მომხრეა და „ეკონომიკური მატერიალიზმის“ პოზიციაზე იდგა. მნიშვნელოვანწილად, სწორედ, ამით აიხსნება, რომ მის ნაშრომში პოლიტიკური ისტორიის თხრობას გაცილებით ნაკლები ყურადღება აქვს დათმობილი.

მაშ ასე, 1918-1921 წლებში საქართველოს დემოკრატიულმა რესპუბლიკამ თავისი წვლილი შეიტანა და შეძლებისდაგვარად შეეცადა წინ წაეწია საქართველოში ინგლისის რევოლუციის სწავლება და პოპულარიზაცია. ეს იმ პერიოდის ქართული რეალობის ფონზე სერიოზული წინგადადგმული ნაბიჯი იყო და საქართველოში ინგლისის რევოლუციის გაშუქების პირველ თუ არა ერთ-ერთ პირველ მცდელობად გვევლინება. ამიტომ ეს სახელმძღვანელოები იმ პერიოდის ქართული ისტორიოგრაფიის მნიშვნელოვან შენაძენად მიგვაჩნია. მათი მნიშვნელობა, ვფიქრობთ, სწორედ ამაში უნდა მდგომარეობდეს. ეს იყო მათი ჩანაფიქრის მხოლოდ ერთი ნაწილი, რომლის განხორციელება მათ მოასწრეს. არსებობს დიდი ალბათობა, რომ მას მოყვებოდა გაგრძელება, მაგრამ უმთავრესად, პოლიტიკური კატაკლიზმების გამო ეს ასე არ მოხდა, თავდაპირველად კი ქართული ისტორიოგრაფია ინგლისის რევოლუციის გაშუქებისას მეცნიერული გზით მიდიოდა, სწორი ვექტორი უნდა ჰქონოდა დასახული. სწორ არჩევანს აკეთებდა, მას წმინდა შემეცნებითი მნიშვნელობა ჰქონდა და ქართულ საზოგადოებას კარგად დააკვალიანებდა, ინგლისის რევოლუციაზე ზოგად წარმოდგენას ჩამოუყალიბებდა. მთავარი, სწორედ აი ეს იყო.

ლეილა (ია) ხუბაშვილი

საქართველოს ადგილი და როლი დე პროპაგანდა ფიდეს აღმოსავლურ პოლიტიკაში

მოხსენებაში გაანალიზებულია საქართველოს ადგილი და როლი დე პროპაგანდა ფიდეს აღმოსავლურ პოლიტიკაში.

ლეილა (ია) ხუბაშვილი

გადატრიალება ვატიკანში. პაპი იოანე XXIII – „წითელი პაპი“.

1958 წლის 28 ოქტომბერს პაპის ტახტზე ავიდა ვენეციის პატრიარქი ანჯელო ჯუზეპე რონკალი, პაპობის ისტორიის ერთერთი თვალაჩინო ფიგურა. რონკალიმ შეცვალა „ატლანტიკის პაპად“ წოდებული პიუს XII (ეუჯენიო პაჩელი), ამბიციური რომაელი არისტოკრატი, თავგამოდებული ანტიკომუნისტი, ცივი ომის იდეოლოგი ტრუმენთან ერთად. პიუსის 19 წლიანი პონტიფიკატის შესახებ მისი გარდაცვალებისთანავე მასმედიაში გაჩნდა კომენტარები, რომელთა უმრავლესობაში აღნიშნული იყო, რომ კათოლიკური ეკლესიის გავლენა მასებზე ყველგან დაეცა, რომ ეკლესია ჩამორჩა თანამედროვე მსოფლიოს, არ ესმის მისი პრობლემები და არ ღებულობს მონაწილეობას იმ ამოცანების გადაწყვეტაში, რომელიც XX საუკუნის კაცობრიობის წინაშე დგას. განსჯის საგანი იყო განსვენებული პაპის ანტიკომუნისტური კურსიც; კომუნისტების გავლენა იტალიაში, საფრანგეთში და სხვა კათოლიკურ ქვეყნებში შეუჩერებლად იზრდებოდა მიუხედავად პაპის ანათემისა და განკვეთისა. აშშ ელჩი რომში კლერ ლიუს ბუსი ჯერ კიდევ პიუსის სიცოცხლეში ამბობდა, რომ „მისმა ჯვაროსნულმა ლაშქრობამ კომუნიზმის წინააღმდეგ ეკლესია დამარცხებისკენ წაიყვანა“. ამერიკული ჟურნალები პირდაპირ ადანაშაულებდნენ განსვენებულ პაპს იმაში, რომ მან თავისი წინდაუხედავი პოლიტიკით კათოლიკური ეკლესია ჩიხში შეიყვანა.

იტალიურ და ასევე სხვა ქვეყნების პრესაში განიხილავდნენ „პაპაბილებს“-პაპობის კანდიდატებს და უკმაყოფილებას ვერ მალავდნენ „პაჩელის ერის“ სამწუხარო შედეგებით, მაგრამ ამავე დროს იმედს გამოთქვამდნენ, რომ ახალი პონტიფექსი ისეთივე შეურიგებელი იქნებოდა კომუნიზმთან ბრძოლაში, როგორც მისი წინამორბედი. იმისათვის, რომ უზრუნველეყო სწორედ ასეთი მემკვიდრეობა, რომში საგანგებოდ ჩამოვიდა თვით ჯონ ფოსტერ დალესი, „ცივი ომის მთავარი ტრუბადური“. მისმა ერთერთმა შვილმა კათოლიკობა მიიღო და იეზუიტების ორდენის თვალსაჩინო ხელმძღვანელი იყო. დალესმა პიუს XII პოლიტიკური დამსახურება დასავლეთის წინაშე აღმატებულად შეაფასა და არაორაზროვნად მიანიშნა კონკლავზე ჩამოსულ კარდინალებს, რომ აშშ მთავრობა მათგან ელოდებოდა ისეთი პაპის არჩევას, რომელიც პაჩელის პოლიტიკას გააგრძელებდა.

თუმცა კლერიკალურ წრეებში მხარს უჭერდნენ „რელიგიური“ და არა „პოლიტიკური'' პაპის არჩევას. მათი აზრით კათოლიკური ეკლესიის უმაღლესი იერარქი, პირველ რიგში, დაკავებული უნდა ყოფილიყო წმინდა ეკლესიური საკითხებით და სწორხაზოვნად და ღიად არ უნდა გამოსულიყო ძველი რეჟიმის დასაცავად. იყვნენ ისეთი კათოლიკე მოღვაწეებიც, რომლებსაც მიაჩნდათ, რომ მომავალ პაპს მისი წინამორბედისაგან განსხვავებით ნეიტრალიტეტი უნდა დაეკავებინა ისეთ საკითხებში, რომლებიც დასავლეთსა და აღმოსავლეთს, კაპიტალისტურსა და სოციალისტურს ერთმანეთისაგან ჰყოფდა. მათი აზრით, პოლიტიკით უნდა დაკავებულიყვნენ კლერიკალური ორგანიზაციები და კათოლიკური პარტიები, საეკლესიო პირებს კი უკიდურეს შემთხვევაში თავი უნდა შეეკავებინათ ოფიციალური და საჯარო განცხადებებისაგან.

ასეთი დაძაბული სიტუაცია იყო 1958 წლის 25 ოქტომბერს, როდესაც სიქსტინის კაპელაში კონკლავი შეიკრიბა. დაწყებამდე კარდინალებს სიტყვით მიმართა მონსინიორ ბაჩიმ-კონკლავის მდივანმა. მისი გამოსვლა არაორაზროვნად მიუთითებდა, რომ პაპად უნდა აერჩიათ კარდინალი, რომელსაც პიუს XII-ისგან განსხვავებული კურსი ექნებოდა. კონკლავმა არჩევანი კომპრომისულ კარდინალზე რონკალიზე შეაჩერა, რომელიც მათი აზრით არც ზედმეტად რეაქციული და არც ზედმეტად პროგრესული იყო, არც ისე ახალგაზრდა და არც ისე მოხუცი, რომელიც შეძლებდა ელემენტარული წესრიგის დამყარებას კურიასა და ვატიკანში და აამაღლებდა ეკლესიის ავტორიტეტს მსოფლიო საზოგადოების თვალში. როგორც ჩანს, კარდინალები რონკალის არჩევით არ ჩქარობდნენ და არც საჭიროდ თვლიდნენ საეკლესიო პოლიტიკაში სწრაფად განსახორციელებელ ცვლილებებს. ანჯელო ჯუზეპე რონკალის ასაკი(76 წელი) და მისი წარსული საფუძველს იძლეოდა მისთვის შეეხედათ როგორც გარდამავალი პერიოდის პონტიფექსისათვის, რომელსაც შეეძლო სათავე დაედო „დათბობის“ პროცესებისთვის. თავიდანვე ვიტყვი, რომ კარდინალები შეცდნენ თავიანთ პროგნოზში; ტახტზე ავიდა პაპი, რომელმაც რევოლუციური გადატრიალება მოახდინა ვატიკანში.

ტახტზე ასვლისთანავე რონკალიმ ყველა გააოცა პაპის სახელის არჩევით. შუა საუკუნეებშიც კი არაპოპულარულ სახელს იოანეს ნაკლებად ირჩევდნენ, მითუმეტეს იოანე XXIII-ს. ამ სახელით ხომ XV საუკუნეში ტახტზე ანტიპაპი, ნეაპოლიტანელი პირატი ბალთაზარე კოსა იჯდა! მაგრამ ეს მხოლოდ დასაწყისი იყო. ახალმა პაპმა 5 წლის მანძილზე თავისი საქმიანობით წმ.პეტრეს ტაძრის კარები ფართოდ გაუღო კომუნიზმს. 1963 წლის 10 აპრილს პაპმა გამოაქვეყნა თავისი სააღდგომო ენციკლიკა „Pacem in terries"(მშვიდობა დედამიწაზე). ეს იყო ეკლესიის ისტორიაში ყველაზე გრძელი ენციკლიკა (25000 სიტყვა) და პირველი, რომლის ხელმოწერის ცერემონია პირდაპირი ეთერით გადაიცა ტელევიზიით. ეს იყო დოკუმენტი, რომელშიც პაპი განსჯიდა გამალებულ შეიარაღებას ახალი მსოფლიო ომისთვის და მოუწოდებდა არა მარტო კათოლიკურ სამყაროს, არამედ ყველას, განურჩევლად რწმენისა და რასისა, დიალოგის გზით გადაეჭრათ ყველა საკითხი, რომელიც მსოფლიოს ახალი ომისაკენ მიაქანებდა. ეს დოკუმენტი ხშირად იწოდება "უფლებათა" ენციკლიკად, რომელიც პიროვნებებს, საჯარო ხელისუფლებებს და მსოფლიო თანამეგობრობას შორის ურთიერთობათა სპექტრს ეხება და ადამიანის უფლებათა ურღვეობას ამტკიცებს. ამ ენციკლიკამ პაპს ერთი მხრივ, მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან 20 000 მადლობის წერილი მოუტანა, მეორეს მხრივ კი კონსერვატული ძალების აღშფოთება. კარდინალმა სირიმ მაგალითად, განაცხადა, რომ ამ ენციკლიკამ იმდენად დიდი ბოროტება მოუტანა ეკლესიას, რომ მის გამოსწორებას არა ნაკლებ 50 წელი დასჭირდებოდა. მაგრამ ეს არ იყო ყველაფერი.

იოანე XXIII-ის ინიციატივით მოწვეულ იქნა ვატიკანის მეორე მსოფლიო, ეკუმენისტური კრება, რომელმაც დიალოგის გზით ყველა მწვავე პოლიტიკური საკითხის გადაჭრა შესთავაზა მსოფლიოს. ვატიკანის კრების ანალიზი ჩემი მოხსენების თემას არ წარმოადგენს, აღვნიშნავ მხოლოდ რომ პაპმა მძიმე ავადმყოფობის მიუხედავად, კრება გახსნა და მარტო პირველ სესიას დაესწრო. თავის 45 წუთიან სიტყვაში კი განაცხადა, რომ ეკლესია უარს ამბობდა განკვეთისა და ანათემის პოლიტიკაზე და რომ ადამიანები ძალით და შიშით კი არ უნდა დაებრუნებინათ ეკლესიაში, არამედ გულმოწყალებითა და მიმტევებლობით.

და ბოლოს, უნდა ითქვას, რომ თავისი თითქმის 2000 წლიანი ისტორიის მანძილზე ეკლესია უარს ამბობდა გარე სამყაროსთან დიალოგზე და მუდამ პრეტენზიას აცხადებდა, რომ თავად იყო იდეებისა და ღირებულებების შემოქმედი, ვატიკანის II კრებით და დეკლარაციით Dignitatis Humanae, პირველად ისტორიაში ეკლესია დიალოგში შევიდა თანამედროვე საზოგადოებასთან და სეკულარული სამყაროსგან მიიღო გამოცდილება - ადამიანის უფლებების ცნება.

თამარ ანთაძე
სკანდინავიის ქვეყნების ისტორიის შესწავლა საქართველოში

მოხსენებაში პირველად ქართულ ისტორიოგრაფიაში გაანალიზებულია სკანდინავიის ქვეყნების ისტორიის შესწავლა საქართველოში.

თამარ ანთაძე
ვარლამ ჩერქეზიშვილი ბაირონზე

მოხსენებაში პირველად ქართულ ისტორიოგრაფიაში შესწავლილია ვარლამ ჩერქეზიშვილის შეხედულებები ბაირონზე.

თამარ ანთაძე
ვარლამ ჩერქეზიშვილი ლაიოშ კოშუთზე

ვარლამ ჩერქეზიშვილი მხოლოდ თვალსაჩინო პოლიტიკური ფიგურა არ ყოფილა. ის ანარქიზმის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი თეორიტიკოსი და პრაქტიკოსი იყო. ამავდროულად ვარლამ ჩერქეზიშვილი თავისი დროის ერთ-ერთი ცნობილ პუბლიცისტად და ჟურნალისტად გვევლინებოდა. ამ კუთხით მისი შემოქმედება ფართო საზოგადოებისათვის შედარებით ნაკლებადაა ცნობილი. ვფიქრობთ, ვარლამ ჩერქზეზიშვილის მოღვაწეობის

ამ ფრიად საინტერესო ასპექტის განხილვა მისი მრავალმხრივი საქმიანობის შესახებ უფრო სრულყოფილ და ამომწურავ წარმოდგენას შეგვიქმნის ამ გამოჩენილი მოღვაწის შესახებ.

ვარლამ ჩერქეზიშვილმა უდაოდ შეიტანა თავისი წვლილი მსოფლიოს ახალი ისტორიის პოპულარიზაციის საქმეში. ამ თვალსაზრისით, ყურადღებას იპყრობს მისი პუბლიცისტური მემკვიდრეობა. შეიძლება გადაუჭარბებლად ითქვას, რომ ის თავის პუბლიცისტურ წერილებში საკმაოდ ღრმა ცოდნას ამჟღავნებს მსოფლიოს ახალ ისტორიაში, ისტორიოგრაფიაში, ლიტერატურაში, სახვით ხელოვნებასა თუ მუსიკაში. ვარლამ ჩერქეზიშვილი იყო XIX-XX საუკუნეების ერთ-ერთი დიდად ერუდირებული პიროვნება, კარგად გათვიცნობიერებული არა მხოლოდ საქართველოს, არამედ მსოფლიო ისტორიის საკითხებში.

გამორჩეული ქართველი მოღვაწის პუბლიცისტურ მემკვიდრეობაში ჩვენი ყურადღება მიიპყრო მისმა დამოკიდებულებამ XIX საუკუნის გამოჩენილი უნგრელი სახელმწიფო მოღვაწის, რევოლუციონერის, ჟურნალისტისა და იურისტის ლაიოშ კოშუთის (1802-1894) მიმართ. რამდენადაც ეს საკითხი არასდროს ქცეულა განხილვის საგნად, გადავწყვიტეთ ხელი მოგვეკიდა ამ საინტერესო თემისათვის და შეგვევსო ქართულ-ისტორიოგრაფიაში არსებული ერთი სუფთა ფურცელი.

ხსენებული საკითხის შესახებ ჩვენთვის მთავარ წყაროს წარმოადგენს საკმაოდ ვრცელი წერილი „ლუდვიგ კოშუთი და უნგრეთის ეროვნებანი“, რომელიც ვარლამ ჩერქეზიშვილმა 1894 წელს გაგრძელებებით გამოაქვეყნა გაზეთ „ივერიაში“.

ამ წერილის ერთ-ერთი მთავარი ღირსება ვარლამ ჩერქეზიშვილის საკმაოდ სრული ინფორმირებულობაა ლაიოშ კოშუთის მოღვაწეობის შესახებ. ქართველი ავტორი კარგად იცნობს ლაიოშ კოშუთის ცხოვრებასა და მოღვაწეობას, მის ბიოგრაფიას.

წერილი არ შემოიფარგლება ფაქტების მშრალად გადმოცემით. ამგვარი სტილი არაა დამახასიათებელი ვარლამ ჩერქეზიშვილისათვის. წერილს გააჩნია შეფასებითი მუხტი, რაც მას ისტორიოგრაფიულ დატვირთვას ანიჭებს და საშუალებას გვაძლევს გავარკვიოთ, თუ როგორი იყო გამოჩენილი ქართველი პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწის დამოკიდებულება ლაიოშ კოშუთისადმი.

„ივერიაში“ გამოქვეყნებული ეს ვრცელი სტატია გაჯერებულია ლაიოშ კოშუთისადმი სიმპათიით, რაც ჩვენი აზრით, ორი გარემოებით უნდა იყოს განპირობებული. პირველ რიგში, ყურადსაღებია ის, რომ ვარლამ ჩერქეზიშვილს კარგად ჰქონდა გაცნობიერებული ისტორიაში პიროვნების როლი. ლაიოშ კოშუთის პიროვნებამ კი ნამდვილად ძალზე მნიშვნელოვანი კვალი დატოვა იმდროინდელი ევროპის პოლიტიკაში. მეორე და ალბათ ძირითადი გარემოება, რომელიც კოშუთისადმი სტატიის ავტორის დიდ სიმპატიას განაპირობებს, არის კოშუთის მოღვაწეობის ეროვნულ-განმათავისუფლებელი სულისკვეთება. სხვადასხვა ქვეყნების ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერები პოპულარული იყვნენ იმ ეპოქის ქართულ საზოგადოებაში და სარგებლობდნენ ამ საზოგადოების თანაგრძნობითა და სიმპათიით. ლაიოშ კოშუთის მოღვაწეობა კარგად თავსდებოდა ამ კონტექსტში და ამიტომ მისი სახელი ხშირად ხვდებოდა ქართული ჟურნალ-გაზეთების ფურცლებზე.

ბუნებრივია, ვარლამ ჩერქეზიშვილისთვის ლაიოშ კოშუთი ძალზე მოსაწონი პოლიტიკური ფიგურა იყო, რადგან საერთაშორისო ანარქისტული მოძრაობის ერთ-ერთი თვალსაჩინო მოღვაწის ძირითადი პოლიტიკური ორიენტირად ამავდროულად მისი სამშობლოს განთავისუფლება გვევლინებოდა. ვარლამ ჩერქეზიშვილმა საქართველოს სახელმწიფოებრივი აღდგენის გზაზე უმნიშვნელოვანესი ნაბიჯი გადადგა საერთაშორისო-სამართლებრივი კუთხით, უხელმძღვანელა რა ჰააგის მეორე საერთაშორისო კონფერენციაზე გაგზავნილი „ქართველი ხალხის პეტიციის“ მომზადებას.

ვარლამ ჩერქეზიშვილის უკრიტიკო დამოკიდებულება ლაიოშ კოშუთის მიმართ ალბათ აიხსნება ამ ორი მოღვაწის შეხედულებათა მსგავსებით, ჩერქეზიშვილის ევროპული ხედვით. ცხადია, მისთვის ახლობელი იყო სამართლებრივ პრინციპებზე დაფუძნებული კოშუთისეული მიდგომა ეროვნული დამოუკიდებლობის დაბრუნების მიმართ. მსგავსი იყო ჩერქეზიშვილისა და კოშუთის ხედვა სახელმწიფოებრივი მოწყობის საკითხთა შესახებაც. უნგრეთში ხომ სწორედ კოშუთის ძალისხმევით გაუქმდა ბატონყმობა.

ზაალ გოგენია
კარლოს I-ისა (კარლ V) და ფილიპე II-ის დიპლომატიური ურთიერთობები სპარსეთთან

პირველი ესპანელი ჰაბსბურგების (Austria menores) ანტიოსმალურ პოლიტიკაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულება იყო ურთიერთობები სპარსეთთან. ირან-ოსმალეთის დაპირისპირება ხელსაყრელ პირობებს

ქმნიდა აღმოსავლეთში მოკავშირის შესაძენად. ამ აუცილებლობას ირანის შაჰიც კარგად ხედავდა. სერიოზულ პრობლემას ამ ურთიერთობებში ქმნიდა მანძილი, სანამ წერილი ადრესატს მიაღწევდა რადიკალურად იცვლებოდა სურათი, ირანშიც, ევროპაშიც და ოსმალეთშიც. მაგალითად როდესაც 1581 წელს ფილიპემ ინდოეთის მეფისნაცვალს ფრანსისკო მასკარენიასს დაავალა შაჰ თამაზისთვის შეეთავაზებინა კავშირი თურქების წინააღმდეგ, ესპანეთის სამეფო კარზე არაფერი იცოდნენ შაჰ თამაზის გარდაცვალების და ტახტისთვის ბრძოლის შესახებ 1576 წელს.

პირველი ინფორმაცია ესპანეთის სამეფო კარზე სეფიანთა სამეფოს და მისი დამაარსებლის შაჰ ისმაილის შესახებ ეკუთვნის იტალიელ პიეტრო მარტინე ანგიერას. შემდგომში ლუდოვიკო დე ვარტემას მემუარები და მარტინ ფერნანდეს დე ფიგეროას ნაშრომი ხელს უწყობდა ინტერესის გაჩენას სეფიანთა მიმართ, რაც დღითი დღე იზრდებოდა.

ძალთა თანაფარდობის შეცვლამ ევროპაში, საფრანგეთის მეფე ფრანსუა I და სულთან სულეიმანის კავშირმა აიძულა კარლოს I (იმპერატორი კარლ V) თავის მხრივ დაახლოებოდა სპარსეთს. აქედან გაჩნდა მსჯელობა თუ რამდენად კანონიერი იყო კავშირი ისლამურ ქვეყანასთან. ფრანგი ფილოსოფოსი ჟან ბოდენი ამართლებდა ფრანსუა I-ს კავშირს ოსმალებთან, ამტკიცებდა რა, რომ კარლოსმა იგივე გააკეთა სპარსელებთან, მოგვიანებით კარლოსის ბიოგრაფი ხუან ანტონიო დე ვერა ი ფიგეროა ამტკიცებდა რომ ეს ორი კავშირი განსხვავდებოდა რამდენადაც ალიანსი სპარსელებთან არ იყო მიმართული პაპის და კათოლიკური ხელმწიფეების არამედ ეკლესიის უდიდესი მტრის ოსმალთა წინააღმდეგ.

1523 წელს შაჰ ისმაილმა გამოაგზავნა წერილი კარლოსთან. წერილში შაჰი გამოხატავდა შეშფოთებას ევროპულ სახელმწიფოებს შორის უთანხმოებების გამო და აღნიშნავდა საერთო მტრის წინააღმდეგ ერთიანი ფრონტის საჭიროების შესახებ. წერილი კარლოსთან მოვიდა 1524 წელს. სპარსი ემისრის კარლოსთან ბურგოსში შეხვედარას აღწერს დიპლომატი მარტინ დე სალინასი, ამას ადასტურებს ინგლისის ელჩი რიჩარდ სემპსონიც. თავდაპირველად საფრანგეთთან კონფრონტაციის მიზეზით კარლოსი უარს ამბობდა ომში ჩაბმაზე, მაგრამ მოჰაჩთან ბრძოლის შემდეგ შეცვალა თავისი სტრატეგია. მე-16 საუკუნის 20-იან წლების ბოლოს კვლავ გაიგზავნა ელჩები (დე ბალბი და ინგლისელი რობერტ ბრანსეტური).

რამდენიმე ინფორმაცია მოწმობს კარლოსის შესაძლო ჩარევას სპარსეთის ყურეში. ესაა ჯოვანნი ვენეციანოს ჩანაწერი, თუმცა არ არსებობს ამის დოკუმენტური მტკიცებულება. მოგვიანებით იგივეს იტყობინება ვენეციელი ისტორიკოსი მარინო სანუტო. კიდევ ერთხელ ესპანურ ქრონიკებში ჩნდება ცნობა ესპანეთის შეიარაღებული რაზმების შესაძლო მონაწილეობის შესახებ შაჰ თამაზის ჯარში, ამჯერად ფრანსისკო ლოპეს დე გომარასთან.

მე-16 საუკუნის 60-იან წლებში ფილიპე II-მ ჩათვალა, რომ სულეიმანის კონფლიქტი თავის მემკვიდრეებთან კარგი მიზეზი იყო ირანში ახალი ელჩობის გასაგზავნად. ამ დროისთვის უამრავი ცნობა მოდიოდა სტამბულიდან სხვადასხვა არხებით. სტატიაში განხილულია ვენეციიდან გამოგზავნილი ცნობების ფრაგმენტები. სადაც „ქართველები“ ნახსენებია როგორც სულეიმანის დიდი მეგობრები (1562 წლის 16 დეკემბრის ცნობა). ამასიის ზავი 1555 წელს გარდამტეხი აღმოჩნდა ამ ურთიერთობებში, ის არ იძლეოდა შაჰ თამაზთან რაიმე კავშირის დადების შესაძლებლობას. სულეიმანის გარდაცვალების შემდეგ 1566 წელს ფილიპეს სურდა ახალი ელჩობით გამოერკვია დაარღვევდა თუ არა შაჰ თამაზი ამასიის ზავს ოსმალეთთან და ამრიგად გაანელებდა მათ სამხედრო ინიციატივებს დასავლეთის მიმართულებით. მაგრამ ეს მისია ვერ ჩავიდა სპარსეთში.

ლეპანტოსთან გამარჯვების შემდეგ საღვთო ლიგის ყველა მონაწილეს და კონკრეტულად ფილიპე II-ს სურდა განეახლებინა ირანთან კავშირი ოსმალების წინააღმდეგ, მაგრამ ირანში დაწყებულმა კრიზისმა ხელი შეუშალა ამ წამოწყებას. ოსმალეთის აღმოსავლეთში გააქტიურებამ შეანელა ექსპანსია დასავლეთით და ფილიპემ დაიწყო ოსმალებთან დაახლოების პროცესი. მის იმპერიაში მიმდინარე პროცესები სხვაგან მოითხოვდა ყურადღების გადატანას, თუმცა მშვიდობიანმა პერიოდმა დიდხანს არ გასტანა. (1581-1583)

ესპანეთის მიერ პორტუგალიის ტახტის დაკავებამ თავის უზარმაზარ სამფლობელოებთან ერთად სეფიანთა ირანთან ურთიერთობა უფრო ინტენსიური და აუცილებელი გახადა.

შაჰ აბასის ტახტზე ასვლით დაიწყო ახალი ეტაპი ესპანეთ-სპარსეთის ურთიერთობებში. ფილიპე II დიდად იყო დაინტერესებული ახალი ელჩობების გაგზავნით (1594, 1596), მაგრამ მალე გარდაიცვალა და მისმა მემკვიდრემ გააგრძელა ეს ხაზი უფრო წარმატებით.

7.2. უცხოეთში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1			
მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა)			

ერთეულს თუ საჭიროდ მიაჩნია, შეუძლია ანგარიშში შეიტანოს სხვა, მისთვის მნიშვნელოვანი აქტივობაც.

ანგარიში წარმოდგენილი უნდა იყოს ნაბეჭდი (2 ეგზემპლარად) და ელექტრონული ვერსიის (CD-დისკი) სახით.

ანგარიში, რომელიც არ არის შედგენილი ამ დანართის მოთხოვნების შესაბამისად, ექსპერტიზას (შეფასებას) არ ექვემდებარება და შეფასების შემაჯამებელ დოკუმენტში აღინიშნება ფორმულით „არ შეფასდა“.

კულტურის კვლევების
სასწავლო-სამეცნიერო
ინსტიტუტი

ანგარიშის ფორმა № 2

2020 წელს გაწეული სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ანგარიში

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის დასახელება

კულტურის კვლევების სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი

სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა ხელმძღვანელის მითითებით

ნინო ჩიქოვანი, პროფესორი (ხელმძღვანელი)
ქეთევან კაკიტელაშვილი, ასოცირებული პროფესორი
ივანე წერეთელი, ასოცირებული პროფესორი
მაია ქვრივიშვილი, ასისტენტ პროფესორი
ირაკლი ჩხაიძე, ასისტენტ პროფესორი

1. სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის მიერ ერთობლივად შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

1.1.

№	**გარდამავალი** (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	2	3	4
გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2020 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)			

1.2.

№	**დასრულებული** პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

1	2	3	4
დასრულებული კვლევითი პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)			

2. შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტით დაფინანსებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

2.1.

№	**გარდამავალი** (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	2	3	4
1	ქართული ნაციონალური იდენტობა და „მეხსიერების ადგილები“: წარსულის კონსტრუირების დომინანტური და ალტერნატიული პერსპექტივები. *საქართველოს შემსწავლელი მეცნიერებები, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი FR17_624*	2018-2020	ნინო ჩიქოვანი, მკვლევარი ქეთევან კაკიტელაშვილი, მკვლევარი ირაკლი ჩხაიძე, მკვლევარი
2	საქართველო: ტრავმა და ტრიუმფი დამოუკიდებლობისკენ მიმავალ გზაზე. *საქართველოს შემსწავლელი მეცნიერებები, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი FR-18-3459*	2019-2022	ნინო ჩიქოვანი, მკვლევარი ქეთევან კაკიტელაშვილი, მკვლევარი; ივანე წერეთელი, მკვლევარი; ირაკლი ჩხაიძე, მკვლევარი; მაია ქვრივიშვილი, მკვლევარი; ქეთევან ეფაძე, მკვლევარი
3	„პოპულიზმი საქართველოში: დასავლეთის წინააღმდეგობრივი სახე ქართულ საჯარო დისკურსში დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ“ საქართველოს შემსწავლელი მეცნიერებები, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი YS-18-1461	2019-2020	ირაკლი ჩხაიძე, პროექტის ხელმძღვანელი
გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2020 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული დაპრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე) 1. კვლევით პროექტს „ქართული ნაციონალური იდენტობა და ‘მეხსიერების ადგილები’: წარსულის კონსტრუირების დომინანტური და ალტერნატიული პერსპექტივები” ათი მკვლევარი ახორციელებს. თითოეული მათგანი კონკრეტულ საკვლევ საკითხს ამუშავებს. 2020 წელს			

კულტურის კვლევათა სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის თანამშრომელთა ამოცანები შემდეგი იყო: ნინო ჩიქოვანის კვლევის ამოცანა იყო მთაწმინდის პანთეონის, როგორც მეხსიერების იმ ადგილის შესწავლა, რომელმაც „სიმბოლური არის“ ადგილი ხანგრძლივი დროის განმავლობაში შეინარჩუნა. ისტორიული განგრძობადობის სრულიად თვალსაჩინო ფაქტთან ერთად, მისი სოციალური ფუნქცია და დანიშნულება ეპოქების მიხედვით იცვლებოდა, ისევე როგორც ხერხები, რომლებიც გამოიყენებოდა მისი მნიშვნელობის შენარჩუნებისათვის. მიმდინარე წელს მკვლევარმა შეისწავლა პანთეონის არსებობის მანძილზე მისთვის მინიჭებული მნიშვნელობების დინამიკა საბჭოთა პერიოდში და დამოუკიდებლობის შემდეგ, კერძოდ, გმირების კონსტრუირება-დეკონსტრუირება-ტრანსფორმაცია, ასევე წარსულთან დაკავშირების ხერხები და მათი ცვალებადობა. მიმდინარე წელს დასრულდა საკვლევ საკითხზე მუშაობა, აგრეთვე საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალში „Caucasus Survay“ გამოსაქვეყნებლად გადაცემული სტატიის გადამუშავება რეცენზენტთა შენიშვნების შესაბამისად. კოვიდ-19 პანდემიის გამო გახანგძლივებული ვადის მიხედით, სტატია დაიბეჭდება მომავალი წლის პირველ კვარტალში.პროექტი უნდა დასრულებულიყო 2020 წელს, მაგრამ კოვიდ-19 გამო ვადა გახანგრძლივდა 6 თვით; ქეთევან კაკიტელაშვილისა და ირაკლი ჩხაიძის კვლევის მიზანი იყო ილია ჭავჭავაძის, როგორც ქართული საზოგადოებისთვის უმნიშვნელოვანესი ფიგურის მიმართ დამოკიდებულების ცვლილების ძირითადი ეტაპების და მათი გამომწვევი მიზეზების ანალიზი. მეხსიერების კვლევების პერსპექტივიდან ილია ჭავჭავაძის ფენომენის შესწავლა იმ მხრივ არის საინტერესო, რომ მისი სახელი ერთ-ერთი ყველაზე მანიპულირებადია საქართველოს უახლეს ისტორიაში. მისადმი დამოკიდებულება რამდენჯერმე რადიკალურად შეიცვალა პოლიტიკური ვითარების ცვლილებასთან ერთად. რადიკალურად გასხვავდება ილიას რეპრეზენტაცია საბჭოთა მარქსისტული იდეოლოგიის კონტექსტში (ილია რევოლუციურ-დემოკრატიული იდეოლოგიის სათავეებთან საქართველოში), ეროვნული მოძრაობის დროს მე-20 საუკუნიის მიწურულს (ერთი მხრივ წმინდა ილია მართალი მართმადიდებელი მრევლისთვის და მეორე მხრივ, ეროვნული მოძრაობის სიმბოლო) და უკანასკნელ ათწლეულებში დამკვიდრებული რეფორმატორული და პროდასავლური დისკურსის ფარგლებში (ილია, როგორც ევროპული ფასეულობების დამამკვიდრებელი, რაციონალური მოაზროვნე, თანამედროვე ქართველი ერის დამფუძნებელი მამა).

2. კვლევით პროექტში „საქართველო: ტრავმა და ტრიუმფი დამოუკიდებლობისკენ მიმავალ გზაზე“ მონაწილეობს კულტურის კვლევათა ინსტიტუტის ხუთი მკვლევარი. მიმდინარე წლის ამოცანის შესაბამისად, შემუშავდა კვლევის თეორიული ჩარჩო და მეთოდოლოგია, „გამარჯვების ტრავმის“ პოლიტიკური და კულტურული კონტექსტი, 1989-1994 წლების ასახვა ქართულ პროფესიულ საისტორიო ნარატივში, 1989-1994 წლები ისტორიის სასკოლო სახელმძღვანელოებში. რაოდენობრივი კვლევისათვის შემუშავდა კითხვარი და გაანალიზდა მიღებული შედეგები; გაანალიზდა 1989 და 1991 წლებში აპრილის თვეში მთიან აჭარასა და რაჭაში მომხდარი სტიქიური უბედურებების ინტერპრეტაცია და რეპრეზენტაცია კულტურული ტრავმის ჭრილში. ამ მოვლენების ინტერპრეტაცია კიდევ ერთი საილუსტრაციო მაგალითია იმისა, თუ როგორ მუშაობდა ტრავმის მაფორმირებელი მექანიზმი 1980-1990-იანი წლების მიჯნაზე. შესწავლილმა ტექსტებმა აჩვენა, რომ ამ სტიქიური უბედურებების მნიშვნელობებიც იმ კულტურული ნიმუშების თუ კულტურული სქემების მეშვეობით კონსტრუირდა, რომლებიც დამახასიათებელი არის ქართული კულტურისათვის ტრავმული გამოცდილების აღწერისა და მისი მნიშვნელობის კონსტრუირებისათვის; გაანალიზდა 1989 წლის 9 აპრილთან დაკავშირებული პრესის მასალები და მოხდა მათი სისტემატიზაცია; გაანალიზდა 1980-იანი წლების დასასრულისა და 1990-იანი წლების მოვლენათა აღქმა და რეპრეზენტაცია მხატვრულ და მემუარულ ლიტერატურაში, ასევე მოძიებული სატელევიზიო, მხატვრული და დოკუმენტური ფილმები.

3. პროექტის „პოპულიზმი საქართველოში: დასავლეთის წინააღმდეგობრივი სახე ქართულ საჯარო დისკურსში დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ“ მიზანია ქართული ნაციონალური პროექტის ჩამოყალიბებისა და განვითარების თავისებურებების შესწავლა დასავლური სივრცისადმი დამოკიდებულების თვალსაზრისით, ასევე, იმ ფაქტორების ანალიზი, რომლებმაც განაპირობა ორი ურთიერთდაპირისპირებული ნარატივის ფორმირების პროცესი. პროექტის განხორციელების

	შედეგად, კვლევა გვაჩვენებს პოსტსაბჭოთა საქართველოს დასავლური გზის წინააღმდეგობრივ ხასიათს. უკანასკნელი ათწლეულების განმავლობაში პოლიტიკურ დონეზე შეუქცევადი დასავლური ორიენტაცია რთული სოციალური პროცესების ფონზე მიმდინარეობს. აღნიშნულის ნათელი დასტურია ბოლო პერიოდში საქართველოში განვითარებული ტენდენციები, სადაც სინქრონულად მიმდინარეობს დასავლეთის იდეალიზაციისა და დემონიზაციის პროცესი. ვფიქრობთ, რომ ეს ტენდენცია დამოუკიდებლობის შემდგომ ჩამოყალიბებული განსხვავებული ნარატივების შედეგია, რომელთა დინამიკაში ანალიზი დაგვეხმარება პასუხი გავცეთ კითხვას, თუ რატომ არის ქართული საზოგადოების დასავლეთისადმი დამოკიდებულება წინააღმდეგობრივი ხასიათის მატარებელი.

2.2.

№	**დასრულებული** (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	2	3	4
დასრულებული კვლევითი პროექტის 2020 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)			

3. უცხოური გრანტებით დაფინანსებული სამეცნიერო პროექტები

3.1. **გარდამავალი** პროექტი

№	**გარდამავალი** (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი, დამფინანსებელი ორგანიზაცია/ სამეცნიერო ფონდი, ქვეყანა	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	2	3	4
გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2020 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)			

3.2. **დასრულებული** პროექტი

№	**დასრულებული** (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი, დამფინანსებელი	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

	ორგანიზაცია/სამეცნიერო ფონდი, ქვეყანა		
1	2	3	4
დასრულებული კვლევითი პროექტის 2020 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)			

4. პატენტები

4.1. საერთაშორისო პატენტები:

№	საპატენტო თემატიკის სათაური	გამომგონებელი/ები და პატენტმფლობელი/ები	პატენტის საიდენტიფიკაციო კოდი

4.2. ეროვნული პატენტები

№	საპატენტო თემატიკის სათაური	გამომგონებელი/ები და პატენტმფლობელი/ები	პატენტის საიდენტიფიკაციო კოდი

5. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში

5.1. მონოგრაფიები/წიგნები

№	ავტორი/ავტორები	მონოგრაფიის/წიგნის სათაური, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1 2				
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)				

5. 2. სახელმძღვანელოები

№	ავტორი/ავტორები	სახელმძღვანელოს სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1 2				
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)				

5.3. კრებულები

№	ავტორი/ავტორები	კრებულის სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1				

2 3				
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)				

5.4. სტატიები ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდის (DOI) მითითებით

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათა-ური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI	ჟურნალის/ კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1 2 3					
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)					

5.5. სტატიები ISSN-ის მითითებით

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათა-ური, ISSN	ჟურნალის/ კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1 2 3	ივანე წერეთელი	ტრავმა და ტრიუმფი ლიტერატურულ ტექსტებში: დამოუკიდებლობის შემდგომი საქართველო ISSN 1987-8583	სპეკალი N14	თბილისი	7

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

მეოცე საუკუნე „ტრავმების საუკუნედ“ იწოდება. კოლექტიური ტრავმის შესწავლა კულტურის კვლევების ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებად ჩამოყალიბდა. დაგროვდა სხვადასხვა ქვეყანაში ტრავმის შემთხვევათა შესწავლის გამოცდილება. საქართველოს რეალობა ტრავმების თეორიათა ჭრილში ნაკლებადაა გაანალიზებული. საბჭოთა კავშირის დაშლას, დამოუკიდებლობის მოპოვებას, სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური სისტემის რადიკალურ ცვლილებას თან ერთვოდა არაერთი ტრავმული მოვლენა: 1989 წლის 9 აპრილი, 1991-1992 წლების თბილისის სამოქალაქო ომი, კონფლიქტები აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონებში, ბუნებრივი კატაკლიზმები (მეწყერები, მიწისძვრები, წყალდიდობები). ნაშრომის მიზანია ვნახოთ, რამდენადაა ასახული დამოუკიდებლობის შემდგომ შექმნილ მხატვრულ ლიტერატურაში 90-იანი წლების ტრავმული მოვლენები, როგორაა იგი გაანალიზებული, გააზრებული და ინტერპრეტირებული. კონკრეტული კვლევის (case study), შინაარსობრივ ანალიზსა (კონტენტ-ანალიზი) და დისკურსის ანალიზის მეთოდების გამოყენებით, შევეცდებით ვაჩვენოთ, რამდენად შეესაბამება საქართველოს შემთხვევას „ტრავმისა და ტრიუმფის“ ეპითეტები.

ნაშრომში თეორიულ ჩარჩოდ გამოყენებულია კოლექტიური/კულტურული ტრავმის თეორია, რომლის ძირითადი მიმართულებები განსაზღვრა ჯეფრი ალექსანდერმა (Toward a Theory of Cultural Trauma. Cultural Trauma and Collective Identity, University of California Press, 2004; Trauma. A Social Theory. Polity, 2012), ასევე მნიშვნელოვანია პიოტრ შტომპკას მიერ შემოთავაზებული თეორია (Society in Action: the Theory of Social Becoming. The University of Chicago Press, 1991; The Trauma of Social Change: A Case of Postcommunist Societies. Cultural Trauma and Collective Identity, University of California Press,

2004; The ambivalence of social change: Triumph or trauma? WZB Discussion Paper, No. P 00-001) მკვეთრი სოციალური ცვლილებებით გამოწვეული ტრავმისა და გამარჯვების ტრავმის შესახებ.
ემპირიულ მასალად, როგორც უკვე აღინიშნა, შევარჩიეთ დამოუკიდებლობის შემდგომ შექმნილი მხატვრული ლიტერატურა. ამ ეტაპზე ყურადღება შევაჩერეთ სამ ნაწარმოებზე. ესენია:
1. აკა მორჩილაძის „გასეირნება ყარაბაღში“, 1992;
2. აკა მორჩილაძის „მამლუქი“, 2003;
3. არჩილ ქიქოძის „სამხრეთული სპილო“, 2016.
ჩვენ მიერ შერჩეული წიგნები არა მხოლოდ პოპულარული, არამედ კრიტიკოსთა მიერ აღიარებული ნაწარმოებებია. ტექსტები შეიქმნა მინიმუმ ათ-ათი წლის დაშორებით და საინტერესოდ ჩავთვალეთ, თვალი მიგვედევნებინა ნარატივის დინამიკისათვის დიდი დროითი დისტანციის პერსპექტივიდან. გარდა ამისა, პირველსა და მესამე ნაწარმოებებში მოქმედება ხდება დედაქალაქის ცენტრში, მისი მთავარი გმირები – გეოგრაფიული, პოლიტიკური და კულტურული თვალსაზრისით – ცენტრის წარმომადგენლები არიან, ხოლო მეორე ტექსტში ანუ „მამლუქში“ აღწერილია პერიფერიული პატარა ქალაქის ცხოვრება. საინტერესოდ მივიჩნიეთ, გვენახა, გვაძლევდა თუ არა ავტორი გმირების მიერ ერთი და იმავე მოვლენების აღქმისას რაიმე სხვაობებს.

6. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა უცხოეთში

6.1. მონოგრაფიები/წიგნები

№	ავტორი/ავტორები	მონოგრაფიის/წიგნის სათაური, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1 2				
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)				

6.2. სახელმძღვანელოები

№	ავტორი/ავტორები	სახელმძღვანელოს სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1 2				
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)				

6.3. კრებულები

№	ავტორები	კრებულის სახელ-წოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1 2				

3				
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)				

6.4. სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, დიგიტალური საიდენტიფიკაციო კოდი DOI ან ISSN	ჟურნალის/ კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	მაია ქვრივიშვილი	ახალი ქართული საზოგადოების მშენებლობა (XIX-XX საუკუნეთა მიჯნაზე). (ფრანგულ ენაზე) იბეჭდება	aspects.(REV_ACEITES_Atas Congresso Mov Soc-F) (იბეჭდება,გვ.62-68)	კლუჟ ნაპოკა, რუმინეთი	7
2	მაია ქვრივიშვილი	საბჭოთა იდენტობის ჩამოყალიბების პროცესი (ძირითადი ასპექტები)ფრანგულ ენაზე; იბეჭდება		ლისაბონი, პორტუგალია	

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

2. მოხსენების მიზანია, გააანალიზოს იდენტობის ფორმირება მე-19 და მე-20 საუკუნეების მიჯნაზე. ამ დროს ქართველებისთვის ეროვნული ცნობიერება და ეროვნული თვითმყოფადობა განისაზღვრება ტერიტორიით, ენით, საერთო ისტორიით, ტრადიციებით, კულტურით, საერთო ეთნიკურობით - საერთო წინაპრით. რადიკალურად შეიცვალა ვითარება 1921 წლის 25 თებერვლის შემდეგ: საბჭოთა რუსეთმა დაიპყრო საქართველოს რესპუბლიკა, რამაც გამოიწვია ეროვნული განვითარების შენელება. კულტურული რევოლუცია, რომელიც მე -20 საუკუნის 1920-იან წლებში დაიწყო და გაგრძელდა საბჭოთა კავშირის ლეგალურ არსებობამდე, ემსახურებოდა ახალი ადამიანის, საბჭოთა სოციალისტური ერის შექმნას. საბჭოთა ისტორიოგრაფია საბჭოთა იდეოლოგიისა და პოლიტიკის ნაწილი იყო: იგი შეიქმნა სსრკ-ს ჰომოგენიზაციისთვის, გრძელვადიანი პერსპექტივით. ვინაიდან ქართული საბჭოთა კულტურა საერთო საბჭოთა კულტურის განუყოფელი ნაწილია, ქართული თვითმყოფადობა და მისი ფორმირება მჭიდრო კავშირშია უნიკალური საბჭოთა იდენტობის ჩამოყალიბებასთან. წარმოდგენილი დოკუმენტები გამოხატავს კოლექტიური მეხსიერების ქართულ საბჭოთა პროდუქტს, როგორიცაა პოლიტიკური ლიდერები, პროპაგანდისტები, საბჭოთა მასწავლებლები, საბჭოთა ისტორიკოსები და ა.შ. უნდა აღინიშნოს, რომ ისინი ქმნიან საბჭოთა თვითმყოფადობას, ქმნიან საბჭოთა კოლექტიურ მეხსიერებას და, შესაბამისად, ყალიბდებიან, როგორც ახალი საბჭოთა ხალხი. პ. ნორას ფიქრობს, რომ წარსულის მეხსიერება განსაზღვრავს აწმყოს იდენტობას. საბჭოთა ისტორიკოსებმა ჩამოაყალიბეს "სხვა მეხსიერება.

2. სტატიაში განხილულია რამდენიმე საკითხი: ქართული საზოგადოების განვითარების პერსპექტივები განსხვავებულ ისტორიულ რეალობაში - რომანოვების და საბჭოთა რუსული იმპერიების ბატონობის დროს, ახალი ქართული საზოგადოების იდენტიფიკაციის პროცესები და მისი თავისებურებანი. განხილულია იდენტობის პროცესების დინამიკა და სტრუქტურების ჩამოყალიბება XIX-XX საუკუნეთა მიჯნაზე მიმდინარე ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობისა და სოციალურ-პოლიტიკური ცვლილებების ფონზე. იდენტობის საკითხი განსაკუთრებით აქტუალური ხდება გარდამავალ ეპოქებში. XIX საუკუნის 30- იანი წლებიდან ევროპაში ნაციონალიზმის ეპოქა დადგა. მან თავისი როლი ითამაშა მთელი რიგი სახელმწიფოების შექმნასა და ანტიკოლონიური

მოძრაობების გამოღვიძებაში.

7. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

7.1. საქართველოში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	ნინო ჩიქოვანი	ტრავმა თუ ტრიუმფი? 1989-1992 წლების მოვლენები საისტორიო მასტერ ნარატივში“	11 დეკემბერი, 2020
2	ნინო ჩიქოვანი, ქეთევან კაკიტელაშვილი	„ტრავმისა და ტრიუმფის ნარატივის სათავეებთან: საქართველო, 1989“	3-5 ივლისი, 2020
3	ქეთევან კაკიტელაშვილი	„სტიქიური უბედურებები როგორც კულტურული კონსტრუქტები: 1989-1990 ია ნი წლების საქართველოს მაგალითზე“	3-5 ივლისი
4	ივანე წერეთელი	1990-იანი წლების ტრავმული მოვლენები ლიტერატურაში	თბილისი, 3-5 ივლისი, 2020
5	ივანე წერეთელი	90-იანების ქრონოტოპი: ტრავმა და ტრიუმფი ქართულ მხატვრულ ტექსტებში	თბილსის, 11 დეკემბერი, 2020
6	ირაკლი ჩხაიძე	„ორსახოვანი იანუსი“: დასავლეთის წინააღმდეგობრივი სახის დინამიკა დამოუკიდებელ საქართველოში	11 დეკემბერი, 2020, თბილისი
7	ირაკლი ჩხაიძე	ტრავმა თუ ტრიუმფი? 9 აპრილის რეპრეზენტაციის დინამიკა 1980-1990-იანი წლების ქართული პრესის მიხედვით	
8	მაია ქვრივიშვილი	დღესასწაული როგორც მეხსიერება და როგორც იდენტობის მსაზღვრელი	3-5 ივლისი, 2020

მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა)

1. მოხსენების მიზანი - ქართულ საისტორიო მასტერ ნარატივში 1989-92 წლების მოვლენების ინტერპრეტაციის ანალიზი. ტრავმული მოვლენები ან სიტუაციები ყოველთვის კულტურული კონსტრუქციებია; მათი ინტერპრეტაცია ხდება მოცემულ კულტურაში კოდირებული და გაზიარებული მნიშვნელობების ფარგლებში. მასტერ ნარატივი ინტერპრეტაციისა და მნიშვნელობათა მინიჭების, შესაბამისად - მეხსიერების ჩამოყალიბებისა და ტრავმის ინსტიტუციონალიზაციის ერთ-ერთი საშუალებაა. საისტორიო მასტერ ნარატივები ის განმსაზღვრელი ტექსტებია, რომლებიც შექმნილია საისტორიო ტრადიციის ფარგლებში, ინსტიტუციონალიზებულია და მიჩნეულია ყველაზე ავტორიტეტულად. მასტერ ნარატივი ქმნის წარსულის აღქმისა და ინტერპრეტაციის ნიმუშს, განსაზღვრავს, თუ ვინ არიან ცენტრალური

ფიგურები, *ჩვენ-ჯგუფის წევრები, სხვები* და *მტრები*. ჯეიმს ვერჩი მას ნაციონალურ ნარატივს უწოდებს და, იან ასმანზე დაყრდნობით, „დისკურსის თანაავტორად“, ფიქრისა და ლაპარაკის განმსაზღვრელ „კულტურულ ინსტრუმენტად“ (“cultural tool”) მიიჩნევს. მოხსენებაში გაანალიზებულია ქართული საისტორიო მასტერ ნარატივის ტრანსფორმაცია 1990-იანი წლებისა დასასრულიდან დღემდე, იმ ავტორთა შრომებზე დაყრდნობით, რომლებიც მნიშვნელოვან როლს ასრულებენ წასულის მოვლენათა აღქმასა და მათი მეხსიერების შექმნაში თანამედროვე საქართველოში.

2. ნაშრომში განხილულია წარსულისაგან დისტანცირებისა და დავიწყების სტრატეგიები, რომლებიც გამოიყენებოდა ახალი მეხსიერების ფორმირების პროცესში საბჭოთა კავშირის არსებობის ბოლო და დამოუკიდებლობის პირველ წლებში. ამ პერიოდში მიმდინარე გარდამტეხი ცვლილებები და დამოუკიდებელი მომავლის პერსპექტივა „ახალ წარსულს“ მოითხოვდა. მისი კონსტრუირების პირველ ეტაპზე, რომელიც 1980-იანი წლების დასასრულს დაიწყო და დაახლოებით ათ წელს გაგრძელდა, წარსულის ხელახალი გააზრებისა და საბჭოთა გამოცდილების დაძლევის პროცესში, ძირითადად, გამოიყენებოდა აქტიური დავიწყების ფორმა, ხშირად - წარსულთან ანგარიშსწორების ფორმით. მომდევნო საფეხურზე ქვეყნის წინაშე მდგარმა მძიმე პრობლემებმა (სამოქალაქო ომი, ეთნოპოლიტიკური კონფლიქტები, ეკონომიკური კოლაფსი და სხვ.) უკანა პლანზე გადასწია ახალი მეხსიერების ფორმირების ამოცანა. შემდეგ კი, 2000-იანი წლების დასაწყისიდან, მეხსიერების პოლიტიკაში აქცენტმა პასიურ დავიწყებასა და ახალი მეხსიერების ადგილების შექმნაზე გადაინაცვლა.

3. ნაშრომში გაანალიზებულია 1989 და 1991 წლებში აპრილის თვეში მთიან აჭარასა და რაჭაში მომხდარი სტიქიური უბედურებების ინტერპრეტაცია და რეპრეზენტაცია კულტურული ტრავმის ჭრილში. ეს მოვლენები დაკავშირებული იყო იდენტობის საკითხთან და ჯგუფის სამომავლო პერსპექტივასთან. ამ მოვლენების ინტერპრეტაცია კიდევ ერთი საილუსტრაციო მაგალითია იმისა, თუ როგორ მუშაობდა ტრავმის მაფორმირებელი მექანიზმი 1980-1990-იანი წლების მიჯნაზე. შესწავლილმა ტექსტებმა აჩვენა, რომ ამ სტიქიური უბედურებების მნიშვნელობებიც იმ კულტურული ნიმუშების თუ კულტურული სქემების მეშვეობით კონსტრუირდა, რომლებიც დამახასიათებელი არის ქართული კულტურისათვის ტრავმული გამოცდილების აღწერისა და მისი მნიშვნელობის კონსტრუირებისათვის. ეს ნიმუშები გააქტიურდა და ინტენსიურად ამუშავდა 1980-იანი წლების ბოლო პერიოდის მძაფრი ტეხილებისა და დრამატული მოვლენების ახსნის, ინტერპრეტირებისა და რეპრეზენტაციისათვის. ყველაზე სრულად ეს კულტურული სქემები 1989 წლის 9 აპრილის ნარატიულ კონსტრუქტში აისახა.

4. კვლევის შედეგად ცხადია, რომ დამოუკიდებლობის შემდეგ შექმნილი ქართული ლიტერატურა, ერთი მხრივ, იკვებება 90-იანი წლების ტრავმული მოვლენებით, ხოლო, მეორე მხრივ, მისი ასე მკაფიო, დაზუსტებული და მუდმივი აღწერით ამ მოვლენების ტრავმად ჩამოყალიბებას უწყობს ხელს და ზოგიერთ შემთხვევაში მისი დაძლევის გზებსაც გვთავაზობს. წინამდებარე ტექსტების ანალიზის საფუძველზეც შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ 90-იანი წლების მოვლენები ცალსახად თავსდება შტომპკას გამარჯვების ტრავმის ნარატივში. მკაფიოდ ჩანს, რომ მოვლენებს ახასიათებს ყველა ის თვისება, რაც ზოგადად დამახასიათებელია კულტურული ტრავმისათვის: უცაბედი, შოკისმომგვრელი მოვლენები, რომლებიც დიდ გავლენას ახდენენ არა მხოლოდ ერთ ჯგუფზე, არამედ – მთელ საზოგადოებაზე და ამ საზოგადოების ყველა – ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ – დონეზე. კვლევის შემდგომ ეტაპზე დამუშავდება მეტი ავტორის როგორც

მხატვრული, ასევე – მემუარული ლიტერატურა, რაც თავისთავად კიდევ უფრო მკაფიოს გახდის საკვლევი ჰიპოტეზის მართებულებას. მეტ ყურადღებას მივაქცევთ მოვლენათა დუალისტური ბუნების – ტრავმა/ტრიუმფის თანაარსებობის მამტკიცებელი პასაჟების გაანალიზებას.

5. მხატვრული ნაწარმოებების ანალიზმა აჩვენა, რომ 90-იანების ქრონოტოპი გამარჯვების ტრვამის პარადიგმაში თავსდება. სივრცისა და დროის შემოფარგვლა ისეთი მოვლენებითაა განპირობებული, რომელთა შესახებ თხრობა და რეპრეზენტაცია ამ მოვლენათა სიმბოლიზაცია-მითოლოგიზაციას იწვევს და ტრავმა-ტრიუმფის პრიზმაში ათავსებს. 90-იანები არ არის მხოლოდ საუკუნის ბოლო ათწლეული, ის არის სამყარო, რომელიც მოიცავს აწმყოს, წარსულსა და მომავალს. 90-იანების ხედვის ფლატფორმა 89 წლის 9 აპრილია - ის აცოცხლებს წარსულსა და ქმნის მომავალს. ის გამოითხოვს წარსულიდან იმას, რაც ახლა და ამ დროს ესჭიროება. აქდან გამოდინარე, აწმყოთი განპირობებულ-გაღვიძებული წარსული ახდენას იგივე აწმყოს რეკონსტრუქციას და ახალი იდენტობ(ებ)ის შექმნას. გარდმამავალ დროს, როცა იგი თავსითავადაა სოციალური ტრავმით განპირობებული, ხდება წარსულის ტრავმული პერიოდების აღდგენა/რეკონსტრუქცია/გახსენება, რადგან წარსულის ინტერპრეტაცია წარსულის მოყოლა კი არა, აწმყოს მოყოლა, აწმყოს გააზრება და კონსტრუირებაა წარსულის, როგორც იგავის გამოყენებით. წარსული მოყოლილი ახლა არის იგავი აწმყოზე, რადგან მას სწორედ ის მნიშვნელობა აქვს, რაც აწმყოშია საჭირო. წარსული ზუსტად ისეთივე იგავია აწმყოზე, როგორც სახარებაში მეზვერესა თუ მდოგვის მარცვლის შესახებ იგავებია.

6. საბჭოთა სისტემის დეკონსტრუქციის პროცესში, ქართველებმა იდენტობის ახალი კონსტრუქციისა და საერთაშორისო სისტემაში საკუთარი ადგილის ძიება დაიწყეს. ამ დროიდან, იდეამ ქართველთა ევროპული წარმოშობისა და დასავლეთთან მჭიდრო კავშირის შესახებ მყარად მოიკიდა ფეხი საჯარო და აკადემიურ სივრცეებში. „ევროპელობის“ იდეა ჯერ კიდევ თამაშობს ერთ-ერთ საკვანძო როლს ქართული იდენტობის ფორმირების პროცესში, თუმცა, დასავლეთისადმი დამოკიდებულება არ არის ცალსახად პოზიტიური. პოლიტიკურ დონეზე ევრო-ატლანტიკური ინტეგრაციის პარალელურად, რომელიც ქართული ნაციონალური პროექტის ძირითად გზავნილად იქცა, დასავლეთისადმი შიშმა და უნდობლობამ თანდათან დაიპყრო ქართული საზოგადოების გარკვეული ნაწილი. სხვადასხვა საზოგადოებრივი ჯგუფები დასავლეთის დემონიზებას ახდენენ. კვლევის მიზანია ორი განსხვავებული, დაპირისპირებული და, ამავე დროს, მჭიდროდ ურთიერთდამოკიდებული ტენდენციის შესწავლას საქართველოს პოსტსოციალისტური ტრანსფორმაციის პროცესში.

7. კოლექტიური ტრავმის ჩამოყალიბება და ტრავმული გამოცდილების საზოგადოებისთვის გადაცემა ძირითადად ხორციელდება ბეჭდური მედიის, ფოტონამუშევრების, დოკუმენტური ფილმების, სატელევიზიო გადაცემების, ასევე სხვა ტიპის ვიზუალური მასალის საშუალებით. მედიაწყაროში განსაზღვრული ფორმით კონსტრუირებული და გადმოცემული ტრაგიკული ამბავი საზოგადოების დიდი ნაწილის ერთგვაროვან ემოციურ რეაქციას იწვევს და მას ტრაგიკული გამოცდილების თანამონაწილედ აქცევს. მედია არის სივრცე, სადაც, გარდა პროფესიონალი ჟურნალისტებისა, ტრავმული დისკურსის კონსტრუირებაში მონაწილეობენ საჯარო ფიგურები, ინტელექტუალები, ხელოვნებისა და მეცნიერების სფეროს წარმომადგენლები. გამოკვლევის მიზანია 1989 წლის 9 აპრილის როგორც კულტურული ტრავმის კონსტრუირებისა და მისი შემდგომი დინამიკის შესწავლა 1980-1990-იანი წლების ქართული პერიოდული პრესის მაგალითზე.

8. სხვადასხვა კულტურაში ისტორიის ორგანიზების, წარსულის დამახსოვრების და აღქმის თავისებურებათა ანალიზი განსხვავებულია. წარსულიდან დასამახსოვრებელი ინფორმაციის შერჩევა და ინტერპრეტაცია სოციალურად და კულტურულად არის განპირობებული. წარსულის აღქმა და მეხსიერების ფორმირება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული პოლიტიკურ კონიუნქტურაზე, და შესაბამისად, დროში ცვალებადია. კონკრეტული დრო და ვითარება თავის მოთხოვნებს უყენებს წარსულს, რადგან ცნობილია, რომ ისტორია აწმყო საზოგადოებრივი თუ სახელმწიფო მოთხოვნების ლეგიტიმაციისათვის ერთ-ერთი აუცილებელი ფაქტორია. მნიშვნელოვანია ისიც, რომ "წარსულის ხსოვნა აწმყო იდენტობას განსაზღვრავს". მეხსიერების ფორმირება მიზანმიმართული პროცესის შედეგია. წარსულში ჩადებული სიწმინდე და მისი საკრალიზაცია, ამავე დროს, წარსულის უარყოფის საფუძველი გახდა.პ. ნორა, გამოყოფს 4 ტიპის მეხსიერების ადგილს: ფუნქციურს, მონუმენტურს, ტოპოგრაფიულსა და მეოთხეს სიმბოლურ არეს, რომელიც მოიცავს სადღესასწაულო დღეების და რიტუალებს, პილიგრიმობას, იუბილეებს და ა. შ.დღესასწაული როგორც თარიღი ხაზს უსვამს მემკვიდრეობას, ასტიმულირებს ახალ წარმოდგენებს, განსაზღვრავს საზოგადოების სამომავლო მოქმედებს. სამ თარიღთან: 14 აპრილი, 9 აპრილი და 26 მაისი, დაკავშირებულია საქარრთველოს სახელმწიფოებრიობა და იდენტობა. მიუხედავად ამისა 14 აპრილი - დედა ენის დღე არ არის სახელმწიფო დღესასწაულთა რანგში, და სადავოა 9 აპრილის და 26 მაისის დანიშნულებაც. საინტერესოა როგორ და როლი შეასრულა, ასრულებს ან ვერ შეასრულა საქართველოს უახლესი ისტორიის მნიშვნელოვანმა თარიღებმა 14 აპრილი, 9 აპრილი და 26 მაისი. არის თუ არა ეროვნული ერთიანობის სიმბოლო. ზოგადად ეროვნული დღესასწაული წარმოადგენს ინსტიტუციური დღესასწაულის არქეტიპს, რომლებიც მუდმივად დატვირთულია ემოციით და საზეიმო განწყობით. დღესასწაული წარმოადგენს მეხსიერების იმ სიმბოლურ არეს, რომელიც გავლენას ახდენს იდენტობის ფორმირებაზე, ახდენს ერის/საზოგადოების კონსოლიდაციას და მნიშვნელოვან როლს თამაშობს სახელმწიფოებრივი აზროვნების ჩამოყალიბებსა და განვითარებში.

7. 2. უცხოეთში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	ნინო ჩიქოვანი	ქართული საისტორიო მასტერ ნარატივის ტრანსფორმაცია პოსტსაბჭოთა საქართველოში	ბუდაპეშტი, 15-16 თებერვალი, 2020
2	ქეთევან კაკიტელაშვილი	ისტორიული მასტერ ნარატივის ფრაგმენტაცია და იდენტობის ახალი მოდელების კონსტრუირება საქართველოში	ბუდაპეშტი, 15-16 თებერვალი, 2020
3	ირაკლი ჩხაიძე	„დაკარგული დიდების" ძიებაში: ნაციონალისტური ისტორიული ნარატივი ქართულ საჯარო დისკურსში დამოუკიდებლობის გარიჟრაჟზე	ბუდაპეშტი, 15-16 თებერვალი, 2020
4	მაია ქვრივიშვილი	საბჭოთა იდენტობის ჩამოყალიბების პროცესი (ძირითადი ასპექტები)	12-14 ნოემბერი 2020

მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა)

1. ნაშრომში წარმოდგენილია ქართული საისტორიო მასტერ ნარატივის ტრანსფორმაციის მოკლე მიმოხილვა უკანასკნელი 35 წლის მანძილზე - 1980-იანი წლების შუა ხანებიდან დღემდე. იგი ეყრდნობა ორი მრავალტომიანი გამოცემის ანალიზს: „საქართველოს ისტორიის ნარკვევები“ 8 ტომად (1970-1980 წლების გამოცემა) და „საქართველოს ისტორია 4 ტომად (2012 წლის გამოცემა), რომლებიც სრულად გამოხატავენ ისტორიის წერის კანონს გვიან-საბჭოთა და პოსტსაბჭოთა პერიოდებში. ჩვენთვის საინტერესო ცვლილებებისათვის თვალის მიდევნების მიზნით, ნაშრომში განხილულია საქართველოს ისტორიის რამდენიმე საკვანძო მომენტი. ქართული საისტორიო მასტერ ნარატივი მე-20 საუკუნის დასაწყისში ჩამოყალიბდა, როგორც პასუხი რუსეთის იმპერიულ გამოწვევაზე. საბჭოთა პერიოდში იგი გადამუშავდა ახალი მეთოდოლოგიური მოთხოვნების შესაბამისად, თუმცა მნიშვნელოვანი ცვლილებები არ განუცდია. პერესტროიკის პერიოდიდან, ეროვნული იდენტობის აღორძინებას თან ახლდა ეროვნული ისტორიისადმი ინტერესის ზრდა. საბჭოთა პერიოდში აკრძალული თემები თანდათან კვლავ გამოჩნდა - ჯერ საჯარო დისკურსში, შემდეგ კი პროფესიონალ ისტორიკოსთა ნაშრომებში. მარქსისტული მონომეთოდოლოგიური ტრადიციის დაძლევა იოლი საქმე არ აღმოჩნდა. თანდათან დამკვიდრდა ისტორიის პლურალისტური ხედვა, თუმცა ახალი მასტერ ნარატივი არ შექმნილა. პოზიტივისტური ისტორიოგრაფიის პრინციპები შენარჩუნდა ყველა ახალ ტექსტში. სიახლე, ძირითადად, ფაქტების შერჩევასა და ინტერპრეტაციაში გამოიხატა, რაც პოლიტიკური ტრანსფორმაციების აშკარა კვალს ატარებს.
2. ნაშრომის მიზანია ახალი ალტერნატიული ნარატივების ფორმირება და უკე არსებული ნარატივების აქტუალიზაცია პერესტროიკის პერიოდში. ეს ნარატივები ჩამოყალიბდა და წარმატებით დამკვიდრდა საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ. ამან გამოიწვია ართული საისტორიო მასტერ ნარატივის ფრაგმენტაცია, რომელიც ქართული ნაციონალური ისტორიისა და აფხაზებისა და ოსების ისტორიის მასთან შერწყმის საფუძველს წარმოადგენდა. ნაშრომში გაანალიზებულია ისტორიის სასკოლო სახელმძღვანელოები, რომლებიც ისტორიის კანონიკურ ცოდნას ასახავს და გავლენას ახდენს ნაციონალური იდენტობის ფორმირებაზე. რამდენადაც ისტორიის სწავლების კონცეფცია არსებულ ისტორიოგრაფიულ ტრადიციას ეყრდნობა, ნაშრომში გაანალიზებულია ქართულ და აფხაზურ აკადემიურ საისტორიო ტექსტები.
3. კვლევაში გაანალიზებულია 1980-1990-იან წლებში ნაციონალისტური ისტორიული ნარატივის ჩამოყალიბების საფუძვლები. კვლევამ გვიჩვენა, რომ დამოუკიდებლობის გარიჟრაჟზე საჯარო სივრცეში გაბატონებული ნაციონალისტური ნარატივი საფუძველს საბჭოთა პერიოდში იღებს. მისი საწყისები 1930-იან წლებში ახალი საბჭოთა ეროვნული პოლიტიკის ჩამოყალიბებას უკავშირდება და კულმინაციას აღწევს 1960-1970-იან წლებში როგორც პოეტური და პროზაული ჟანრის ნაწარმოებებში, ასევე ისტორიულ რომანებში და სხვა სახის ბელეტრისტიკულ თხზულებებში. 1980-იანი წლების ბოლოდან საკრალური კომპონენტებით შეზავებული ნაციონალისტური ისტორიული ნარატივი პოლიტიკური დისკურსის ნაწილი გახდა, რაც უმთავრესად გამოიხატა ეროვნული მოძრაობის ლიდერების როგორც რიტორიკაში, ასევე სამეცნიერო-პოპულარული ჟანრის ტექსტებში.
4. იბეჭდება

ერთეულს, თუ საჭიროდ მიაჩნია, შეუძლია ანგარიშში შეიტანოს სხვა, მისთვის მნიშვნელოვანი აქტივობაც.

ნინო ჩიქოვანი - 13-21 სექტემბერი, 2020. საერთაშორისო საშემოდგომო სკოლა „ეთნიკური უმცირესობები პოსტსაბჭოთა სივრცეში“. კიშინიოვი (მოლდოვა) - ჩერნოვცი (უკრაინა). ლექტორი. ლექციის სათაური: „ეთნიკური უმცირესობები ქართულ ისტორიის სახელმძღვანელოებში“. დონორი - გერმანიის აკადემიური გაცვლის სამსახური (DAAD)

ქეთევან კაკიტელაშვილი - 13-21 სექტემბერი, 2020. საერთაშორისო საშემოდგომო სკოლა „ეთნიკური უმცირესობები პოსტსაბჭოთა სივრცეში“. კიშინიოვი (მოლდოვა) - ჩერნოვცი (უკრაინა). ლექტორი. ლექციის სათაური: „ქართველ ებრაელთა უხილავი ისტორია“. დონორი - გერმანიის აკადემიური გაცვლის სამსახური (DAAD)

ქეთევან კაკიტელაშვილი, 12 ივნისი, 2020, ახალციხე - კონრად ადენაუერის ფონდის მხარდაჭერით განხორციელებული მშვიდობის, დემოკრატიის და განვითარების კავკასიური ინსტიტუტის პროექტი „მსოფლიო რელიგიათა კლუბი“. ლექცია: „ქართველი ებრაელები რელიგიური და ნაციონალური იდენტობის მიჯნაზე“.

ანგარიში წარმოდგენილი უნდა იყოს ნაბეჭდი (2 ეგზემპლარად) და ელექტრონული ვერსიის (CD-დისკი) სახით.

ანგარიში, რომელიც არ არის შედგენილი ამ დანართის მოთხოვნების შესაბამისად, ექსპერტიზას (შეფასებას) არ ექვემდებარება და შეფასების შემაჯამებელ დოკუმენტში აღინიშნება ფორმულით „არ შეფასდა“.

კლასიკური ფილოლოგიის,
ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის
სასწავლო-სამეცნიერო
ინსტიტუტი

ანგარიშის ფორმა №2

2020 წელს გაწეული სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ანგარიში

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის დასახელება
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი

სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა ხელმძღვანელის მითითებით
სამეცნიერო ერთეულის ხელმძღვანელი:
თინა დოლიძე
სამეცნიერო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა:
რისმაგ გორდეზიანი
იამზე გაგუა
ირინე დარჩია
ეკატერინე კობახიძე
ნანა ტონია
ზაზა ხინთიბიძე
ქეთევან ნადარეიშვილი
მანანა ფხაკაძე
რუსუდან ცანავა
თინა დოლიძე
თამარ აფციაური
ლევან გიგინეიშვილი
სოფიო შამანიდი
ანა ჩიქოვანი
მედეა აბულაშვილი

1. სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის პერსონალის მიერ შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

1.1.

№	გარდამავალი (მრავალწლიანი)	პროექტის დაწყების და	პროექტში ჩართული პერსონალი

	პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	დამთავრების წლები	(თითოეულის როლის მითითებით)
1	პროკლეს “ღვთისმეტყველების საფუძვლების” იოანე პეტრიწისეული კომენტირებული თარგმნის ინგლისური თარგმანი და ანოტირებული გამოცემა	2018 -	ლევან გიგინეიშვილი იშტვან პერცელი
ვაგრძელებ პროექტს: პროკლეს “ღვთისმეტყველების საფუძვლების” იოანე პეტრიწისეული კომენტირებული თარგმნის ინგლისური თარგმანი და ანოტირებული გამოცემა პროფ. იშტვან პერცელთან ერთად. ეს პროექტი დაიწყო 2018 წ. ბუდაპეშტში, ცენტრალური ევროპის უნივერსიტეტის გაღრმავებულ კვლევათა ინსტიტუტში (Institute of Advanced Studies). ვინაიდან ამ ინსტიტუტის გრანტის ეგიდით ეს პროექტი მხოლოდ შუა სტადიამდე მივიდა, პროფ. იშტვან პერცელი და მე პროექტის გარეშე ვაგრძელებთ მუშაობას, ვადარებთ ბერძნულ და ქართულ ტექსტებს, ვაკეთებთ ფილოსოფიურ და ფილოლოგიურ შენიშვნებს.			

1.2.

№	დასრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	2	3	4
დასრულებული კვლევითი პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)			

2. შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტით დაფინანსებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

2.1.

№	გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	ანტიკური ხანის ბერძნულ-რომაული ეპიგრაფიკა როგორც საქართველოს ისტორიის წყარო	2018-2022	ნათია ფიფია- ხელმძღვანელი ეკატერინე კობახიძე- კოორდინატორი

			თედო დუნდუა-მკვლევარი
პროექტის მეორე ეტაპზე 2020 წლის განმავლობაში საკვლევი თემატიკის გარშემო კვლევითმა ჯგუფმა დაამუშავა მონოგრაფიის მეორე ნაწილი - აღმოსავლეთ საქართველოში აღმოჩენილი ბერძნული და ლათინური წარწერების შესახებ. კვლევითი პროექტი მიზნად ისახავს მოცემული ეპიგრაფიკული მასალის, როგორც საქართველოს ისტორიის წყაროს, შესწავლას. შესაბამისად, აღმოსავლეთ საქართველოში აღმოჩენილი ბერძნულ-ლათინური წარწერები სწორედ ამ კუთხით არის შესწავლილი. დამუშავდა როგორც შედარებით ინფორმატიული წყაროები, ასევე მცირე წარწერები -ჯამში 30 წარწერა. პროექტის ფარგლებში ასევე მომზადდა სტატია უცხოურ მაღალრეიტინგულ ჟურნალში გამოსაქვეყნებლად, კერძოდ, დასავლეთ საქართველოში აღმოჩენილი წარწერები სრულად. გარდა ამისა, მომზადდა სტატია ახლად აღმოჩენილი და ქართული ისტორიოგრაფიისთვის უცნობის წარწერის შესახებ სოხუმიდან. გარდა ამისა, დასავლეთ საქართველოში აღმოჩენილი წარწერების შესახებ წაკითხულ იქნა მოხსენება საქართველოს ეროვნული არქივის მიერ მომზადებულ საერთაშორისო კონფერენციაზე „არქივთმცოდნეობა, წყაროთმცოდნეობა - ტენდენციები და გამოწვევები“.			
გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2020 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)			

2.2.

№	დასრულებული (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	2	3	4
დასრულებული კვლევითი პროექტის 2020 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)			

3. უცხოური გრანტებით დაფინანსებული სამეცნიერო პროექტები

3.1. გარდამავალი პროექტი

№	გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი, დამფინანსებელი ორგანიზაცია/ სამეცნიერო ფონდი, ქვეყანა	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	თანამედროვე ბერძნული ლიტერატურის ბიბლიოთეკა (ნეოელინისტიკა)	2014 წლიდან	სოფიო შამანიდი - მთავარი რედაქტორი; ანი ჩიქოვანი - პროექტის სამეცნიერო ხელმძღვანელი

	დამფინანსებელი ორგანიზაცია: საბერძნეთის მეცნიერებათა აკადემიის კოსტის და ელენი ურანისების ფონდი		მედეა აბულაშვილი - პროექტის კოორდინატორი

იმის გათვალისწინებით, რომ მხატვრული თარგმანი ერთდროულად სხვა კულტურულ სამყაროსთან ზიარებას, საკუთარის გამდიდრებასა და ინტერკულტურულ დიალოგს გულისხმობს, ამასთან, მეცნიერული კვლევების წინაპირობაცაა და თანამედროვე მსოფლიოში უფრო და უფრო მეტ აქტუალობას იძენს, „თანამედროვე ბერძნული ლიტერატურის ბიბლიოთეკა“ ახალი ბერძნული ფილოლოგიის კათედრის უმნიშვნელოვნესი პროექტი გახდა.

2020 წლის განმავლობაში:

- ითარგმნა, დარედაქტირდა და უკვე დაკაბადონების პროცესშია: ნიკოს კაზანძაკისის „ღვთის გლახა“ და რამდენიმე მთარგმნელის „კონსტანტინოს კავაფისი“ (ორეოვანი გამოცემა)
- გაწეული იქნა ხაგრძლივი სამუშაო მორიგი თარგმანების განხორციელებისთვის აუცილებელი საავტორო უფლებების მოსაპოვებლად;
- არჩეულ იქნა უახლოეს მომავალში სათარგმნი წიგნები, მთარგმნელებთან შევჯერდით კონკრეტული ნაწარმოებების თარგმნის მეთოდოლოგიაზე;
- შედგა წინა წელს გამოცემული ორი წიგნის პრეზენტაცია;
- სტუდენტებმა დაიწყეს პოეტ დიონისიოს სოლომოსის ლექსების თარგმნა;
- აღნიშნული პროექტის ფარგლებში შექმნილი წიგნები უკვე მეცნიერულადაც დამუშავდა. საანგარიშო წელს:

  ახალგამოქვეყნებულ თარგმანებს მიუძღვნა სამაგისტრო ნაშრომი თსუ-ს სტუდენტმა თეონა ხვიჩიამ;

ნაშრომისათვის *„ნეოლოგიზმებისა და დიალექტიზმების თარგმნის თავისებურებანი ნიკოს კაზანძაკისის რომანების ქართული თარგმანების მიხედვით“,* თინათინ დარახველიძეს მიენიჭა ფილოლოგიის დოქტორის სამეცნიერო ხარისხი.

2	ბერძნული ენა საქართველოს სკოლებში (ნეოელინისტიკა) დამფინანსებელი ორგანიზაცია: საბერძნეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო	1996 წლიდან	სოფიო შამანიდი - კოორდინატორი მედეა აბულაშვილი - თანაკოორდინატორი ანი ჩიქოვანი - სემინარის ხელმძღვანელი

უკვე რამდენიმე ათეული წელია, რაც საქართველოს 20-მდე სკოლაში, საბერძნეთის მხარდაჭერით და თსუ ახალი ბერძნული ფილოლოგიის კათედრის ხელმძღვანელობით, ახალი ბერძნული ენის სწავლება წარმატებით მიმდინარეობს. არაერთი მოსწავლე, სკოლის დასრულების შემდეგ, თსუ-ს ჰუმანიტარული ფაკულტეტის სტუდენტი ხდება და ნეოელინისტიკას ირჩევს ძირითად ან დამატებით სპეციალობად. ჩვენი კურსდამთავრებულების ნაწილი კი ბერძნული ენის პედაგოგად საქმდება ზემოაღნიშნულ სკოლებში.

2020 წელს, პროექტის ფარგლებში:

- სკოლებს მივაწოდეთ სახელმძღვანელოების დარედაქტირებული და შევსებული გამოცემები;
- წლის დასაწყისში მასწავლებლებისთვის ჩავატარეთ რამდენიმედღიანი სემინარი უცხო ენის სწავლების ახალი მეთოდების გასაცნობად, წარვუდგინეთ ნეოელინისტიკის სფეროში გამოცემული ახალი ქართულენოვანი წიგნები;
- პროექტის პატრონაჟით, თეა გამრეკელის ავტორობით, გამოიცა ბერძნული ენის სახელმძღვანელო;
- სწავლების დისტანციურ რეჟიმზე გადასვლამდე, სკოლის პედაგოგებისთვის ჩავატარეთ ორდღიანი ტრენინგი. წლის ორივე სასწავლო სემესტრის მანძილზე ხორციელდებოდა ბერძნული ენის ონლაინ სწავლების მონიტორინგი;
- დაიწყო პროექტის ოფიციალური ფეისბუქ გვერდის შექმნა, სადაც იტვირთება ბერძნული ენის მასწავლებლებისა და მოსწავლეებისთვის საინტერესო მასალები, განხორციელებული ღონისძიებების ამსახველი ინფორმაცია;
- ჩატარდა უკვე ტრადიციად ქცეული კულტურულ-საგანმანათლებლო ფესტივალი „ოქროს საწმისი“,

	რომელიც მიზნად ისახავს მოსწავლეთა დაინტერესებას ელინისტიკით და ზოგადად, ჰუმანიტარული მეცნიერებებით. ფესტივალის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი აქტივობები: მოსწავლეთა სამეცნიერო კონფერენცია; ესსეების კონკურსი; ვიქტორინა; კალიგრაფიის კონკურსი. შედეგები შეაფასა თსუ-ს პროფესურით დაკომპლექტებულმა ჟიურიმ.		
3	საბერძნეთის რესპუბლიკის დამოუკიდებლობის საიუბილეო წლისადმი მიძღვნილი პროექტი დამფინანსებელი ორგანიზაცია: საბერძნეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო	2020-2021	სოფიო შამანიდი - პროექტის ხელმძღვანელი, საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე; ანი ჩიქოვანი - პროექტის კოორდინატორი მედეა აბულაშვილი - პროექტის სამეცნიერო ხელმძღვანელი
2021 წელს აღინიშნება საბერძნეთის დამოუკიდებლობის 200 წლისთავი. თსუ კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის ინსტიტუტმა დაიწყო მზადება საიუბილეო წლისადმი მიძღვნილი პროექტის განსახორციელებლად, რომელიც გულისხმობს სამეცნიერო-კულტურულ ღონისძიებათა მთელ კასკადს და რამდენიმე წიგნის გამოცემას. როგორც ბერძნული მხარე აღნიშნავს, საბერძნეთის ფარგლებს გარეთ, არცერთი ქვეყანა არ უერთდება საიუბილეო წელს ისე მასშტაბური და მრავალფეროვანი პროექტით, როგორც - საქართველო. 2020 წელს: დაიგეგმა, ბერძნულ მხარესთან შეთანხმდა და დაიწყო მზადება 20-ზე მეტი ღონისძიების განხორციელებისთვის. მათ შორისაა: ორი სამეცნიერო კონფერენცია, საჯარო ლექცია-დისკუსიები, წიგნების პრეზენტაციები, კონკურსები, გამოფენები, ლიტერატურული შეხვედრები, საღამოები თუ პერფომანსები. პროექტი მოიცავს სოციალურ ქსელებსაც. დაგეგმვისა და შეთანხმების პროცესშია რამდენიმე ტელეპროექტიც. პროექტის ფარგლებში გამოიცემა ხუთი წიგნი. მათ შორისაა: ორი სამეცნიერო კონფერენციის მასალები, რამდენიმე ცნობილი პოეტისა და მწერლის თარგმანები, ერთი სამეცნიერო კვლევა. თარგმნისა და სამეცნიერო კვლევის პროცესი საანგარიშო წელს დაიწყო და მომდევნო წლის დასაწყისში დასრულდება.		
4	Erasmus + თსუ - მაკედონიის უნივერსიტეტი (საბერძნეთი)	2021	სოფიო შამანიდი - პროგრამის ხელმძღვანელი, საქართველო ელენი ღრივა - პროგრამის ხელმძღვანელი, საბერძნეთი
თსუ-სა და მაკედონიის უნივერსიტეტებს შორის დაიდო ხელშეკრულება Erasmus+ ის ფარგლებში აკადემიური პერსონალის გაცვლითი პროგრამის შესახებ			

3.2. დასრულებული პროექტი

№	დასრულებული (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი,	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

	დამფინანსებელი ორგანიზაცია/სამეცნიერო ფონდი, ქვეყანა		
1	2	3	4
დასრულებული კვლევითი პროექტის 2020 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)			

4. პატენტები

4.1. საერთაშორისო პატენტები:

№	საპატენტო თემატიკის სათაური	გამომგონებელი/ები და პატენტმფლობელი/ები	პატენტის საიდენტიფიკაციო კოდი

4.2. ეროვნული პატენტები

№	საპატენტო თემატიკის სათაური	გამომგონებელი/ები და პატენტმფლობელი/ები	პატენტის საიდენტიფიკაციო კოდი

5. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში

5.1. მონოგრაფიები/წიგნები

№	ავტორი/ავტორები	მონოგრაფიის/წიგნის სათაური, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	იამზე გაგუა	მარკუს ტულიუს ციცერონი. ტუსკულანური საუბრები	თბილისი, ლოგოსი	272
თარგმანი შესრულებული ლათინურიდან. ციცერონის თხზულება *ტუსკულანური საუბრები* ხუთი წიგნისაგან შედგენილი ფილოსოფიური ნაშრომია, ციცერონი ეყრდნობა ძველ ბერძენ ფილოსოფოსთა ნაშრომებს და თავისებურად განიხილავს ზნეობრივ საკითხებს. წიგნი შედგება შემდეგი თავებისგან - ციცერონის ტრაქტატი „ტუსკულანური საუბრები“; წიგნი I - სიკვდილის დასაძლევად; წიგნი II - ტკივილის დათმენისათვის; წიგნი III - მწუხარების განსაქარვებლად; წიგნი IV - სულიერი ვნებების შესახებ; წიგნი V - თვითკმარი სათნოების შესახებ; შენიშვნები.				
2	რისმაგ გორდეზიანი	ბერძნული ცივილიზაცია, ტ. III „ელინისტური ეპოქიდან გვიანანტიკურობამდე“ ISBN 978-9941-30-309-8	თბილისი, სულაკაურის გამომცემლობა	296
III დამასრულებელი ტომი, რომელიც პირველად გამოიცემა, მოიცავს ელინისტურსა და გვიანანტიკურ პერიოდებს – ალექსანდრე მაკედონელიდან ანტიკურობის დაქვეითებამდე. წიგნში “ბერძნული ცივილიზაცია – ელინისტური ეპოქიდან გვიანანტიკურობამდე “ეპოქის ისტორიასთან ერთად, წარმოჩენილია ამ პერიოდის ბერძნული კულტურის ყველა მნიშვნელოვანი სფერო: არქიტექტურა, პლასტიკა, ფერწერა, მოზაიკა, ისტორიოგრაფია, მჭევრმეტყველება, ფილოსოფია, ფილოლოგია, მეცნიერება და მხატვრული ლიტერატურა. წიგნს ერთვის უმნიშვნელოვანესი ძეგლებისა და ხელოვნების ნაწარმოების 200-მდე ილუსტრაცია.				

„ბერძნული ცივილიზაცია“ განკუთვნილია სკოლის მოსწავლეებისთვის, სტუდენტებისა და ძველი სამყაროს კულტურებით დაინტერესებული ფართო მკითხველისთვის.				
3	ნანა ტონია	ევრიპიდე „ტროელი ქალები“ ISBN 978-9941-468-87-2	თბილისი, ლოგოსი	160
„ტროელი ქალები“ ევრიპიდეს ტრაგედიათაგან გამოირჩევა ადამიანურ განცდათა წარმოჩენის გასაოცარი სიმძაფრით. კომპოზიციურად იგი შედგება რამდენიმე ეპისოდიონისგან, რომლებშიც წარმოდგენილია გამარჯვებულ ბერძენთა მიერ დატყვევებულ, სრულიად უდანაშაულო ქალთა მწუხარება. სიუჟეტი დრამატურგიულად არ არის რთული, მაგრამ ევრიპიდეს გასაოცარმა ხელოვნებამ დრამა, რომელიც აგებულია მხოლოდ და მხოლოდ ტანჯვის პათოსზე, ისეთი მრავალმხრივი და ზოგადსაკაცობრიო გახადა, რომ იგი თავისი სიღრმითა და მაღალმხატვრულობით დღესაც არ კარგავს მნიშვნელობას და ისევე როგორც ოცდახუთი საუკუნის წინ, დღესაც შეახსენებს საზოგადოებას, რომ ომი გამარჯვებულსაც არ აბედნიერებს. ტრაგედიის ფინალური სცენა კი - აალებული ილიონი - ევრიპიდეს პოეტურმა დიდბულებამ სამყაროსეული გენიის ფერწერულ ტილოდ აქცია.				
4	ნანა ტონია	ევრიპიდე „ბაკქი ქალები“ ISBN 978-9941-468-88-9	თბილისი, ლოგოსი	171
ევრიპიდემ სიცოცხლის უკანასკნელი წლები გაატარა მაკედონიაში, მეფე არქელაოსის კარზე. იქ დაწერა მან „ბაკქი ქალები“, რომელიც მისი გარდაცვალების შემდეგ დაიდგა ათენის სცენაზე. ტრაგედიამ პირველი ადგილი დაიმსახურა, რაც იშვიათი მოვლენა იყო დრამატურგის სიცოცხლეში. „ბაკქი ქალები“ უცნაური ტრაგედიაა. იგი ავტორმა თავის რელიგიურ განცდას მიუძღვნა. ეს არის პოეტური დრამა ღვთის საიდუმლოზე, მის არსებობაზე, მის სამართლიანობასა თუ უსამართლობაზე, მის როლზე სამყაროსა თუ ადამიანთა ცხოვრებაში. ჩანს, ღვთის საიდუმლოზე ფიქრი პოეტს მთელი სიცოცხლის განმავლობაში თან სდევდა, რადგან ხან სწამდა ღვთაებრივი ძალმოსილების, ხან მისი დროის ადამიანისათვის ღმერთისადმი მიმართული წარმოუდგენელი შეკითხვები აწუხებდა და დასაფიქრებლად თავის მაყურებელს უხმობდა, მაყურებელს, რომელსაც უნდა ეგრძნო, რომ დრამატურგის ძალისხმევა აღსავსე იყო ღმერთის რწმენის წადილით. მართალია, ზოგჯერ ეს ღმერთი იყო უმოწყალო, მაგრამ ის იყო და იყო ყოვლისშემძლე, ისეთი, როგორიც თავად „სურდა რომ ყოფილიყო“.				
5	სოფიო შამანიდი (იდეის ავტორი, მთარგმნელი, წინასიტყვაობის ავტორი)	სამი მედეა ISBN 978-9941-487-88-0	გამომცემლობა არტანუჯი, 2020	215
მეოცე საუკუნის ერთერთი ყველაზე მწვავე პრობლემა, რომლის წინაშეც ევროპა დადგა, მიგრაცია იყო. ოცდამეერთე საუკუნეში აღმოსავლეთში განვითარებულმა მოვლენებმა ეს პრობლემა კიდევ უფრო გაამწვავა. ბუნებრივია, ქაოტურ მიგრაციას არაერთმნიშვნელოვანი რეაქცია მოყვა ევროპულ ქვეყნებში - იმძლავრა ნაციონალისტურმა ტენდენციებმა, გაღვივდა რასისზმის ახალი ტალღა, რომელსაც პოპულისტი პოლიტიკოსები ხელს უწყობდნენ თავიანთი რასისტული გამოსვლებით. ცხადია, ეს საკითხი ვერ დარჩებოდა ლიტერატურის მიღმა - “უცხო” (the Other) გახდა წამყვანი თემა თანამედროვე ლიტერატურისთვის. საქართველოსთვის ეს საკითხი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან 90იანი წლებიდან მოყოლებული მილიონზე მეტმა ადამიანმა დატოვა ქვეყანა უკეთესი ცხოვრების იმედით. სამწუხაროდ, ჩვენი თანამემამულეების ქვეყნიდან გადინება ჯერაც არ შეწყვეტილა. ჩვენი მცირე პროექტის მიზანია ვნახოთ, როგორ აისახა მიგრაცია და მასთან დაკავშირებული პრობლემა სამი სხვადასხვა ეროვნების მწერლის პიესებში: ლაშა ბუღაძის “ანტიმედეა”, ნინო ხარატიშვილის “შენი და ჩემი გული - მედეა” და ანდრეას ფლურაკისის “მედეა ბურკა” მოგვითხრობს თანამედროვე ემიგრანტ ქალზე, თანამედროვე მედეაზე, რომელიც, მიუხედავად 25 საუკუნოვანი პერიოდისა, ისეთივე დამოკიდებულებას გადააწყდა ევროპაში, როგორსაც მისი პროტოტიპი. კრებულში შევიდა სამი მედეა: ბერძნულიდან და გერმანულიდან ითარგმნა ზემოთ დასახელებული ორი				

პიესა და ქართულ პიესასთან ერთად ერთ წიგნად გამოვეცით. წიგნს აქვს ვრცელი შესავალი, რომელიც გვიამბობს მედეას წარსულსა და აწმყოზე.				
6	ლევან გიგინეიშვილი	იოანე სკოტურ ერიუგენას ფილოსოფიურ-თეოლოგიური ნაშრომის “კომენტარები იოანეს სახარების პროლოგზე”	მზადდება დასაბეჭდად	
ვასრულებ იოანე სკოტურ ერიუგენას ფილოსოფიურ-თეოლოგიური ნაშრომის “კომენტარები იოანეს სახარების პროლოგზე” ლათინურიდან ქართულზე თარგმანს და ვამზადებ ამ ტექსტის ქართულ ანოტირებულ გამოცემას. ეს იქნება იოანე სკოტუს ერიუგენას პირველი ნაშრომი თარგმნილი ქართულად.				

5. 2. სახელმძღვანელოები

№	ავტორი/ავტორები	სახელმძღვანელოს სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	იამზე გაგუა	ლათინური ენა Lingua Latina ISBN 978-9941-468-95-7	თბილისი, ლოგოსი	354
ლათინური ენის წინამდებარე სახელმძღვანელო განკუთვნილია უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტებისათვის. იგი შედგება ქრესტომათიის, გრამატიკისა და ლათინურ-ქართული (ასევე ქართულ-ლათინური) ლექსიკონისაგან. სასწავლო ტექსტები 23 პარაგრაფად არის დაყოფილი, თითოეული პარაგრაფი გარკვეულ გრამატიკულ მასალაზეა აგებული. ტექსტები შეიცავს ინფორმაციას ანტიკურ მითოლოგიაზე, რომის ისტორიასა და ყოფაზე, რომელთაც ერთვის ლათინური სენტენციები, გრამატიკული სავარჯიშოები. მეათე პარაგრაფიდან მარტივ ტექსტებთან ერთად წარმოდგენილია საგანგებოდ შერჩეული (სათანადო გრამატიკულ ნორმებზე აგებული) ამონარიდები რომაელ მწერალთა თხზულებებიდან, რათა შემდგომში სტუდენტს გაუადვილდეს ლათინურ ენაზე არსებული ნებისმიერი ტექსტის გაცნობა. გრამატიკისათვის (ნაწილობრივ ტექსტებისთვისაც) გამოვიყენე 1987 წელს გამოცემული ლათინური ენა (ავტორი იამზე გაგუა), ტექსტების ნაწილი ავიღე Lingua Latina-დან (ავტორები: იამზე გაგუა, ეკატერინე გამყრელიძე, თბ., ლოგოსი, 2002, 2007 წ.წ.). გრამატიკული ნაწილი მოიცავს ფონეტიკის ზოგად კანონებს, მორფოლოგიასა და სინტაქსს.				
2	სოფიო შამანიდი, მაკა ქამუშაძე	ვსწავლობ ბერძნულს (6 ტომი, ხელახალი გამოცემა)	2020, ლოგოსი	
სახელმძღვანელი “ვსწავლობ ბერძნულს” (6 ტომი) შეიქმნა პროექტის “ბერძნული ენა საქართველოს სკოლებში” ფარგლებში და განკუთვნილია საქართველოს სკოლებისთვის				
3	მანანა ფხაკაძე, თამარ ჭეიშვილი მთარგმნელ-რედაქტორები	„ხალხური ლათინური“ 978-9941-468-96-0	თბილისი. ლოგოსი,	358
ირაკლი შენგელიას 1962 წ-ს გამოცემული რარიტეტული წიგნი. „Народно разговорная латынь“ მნიშვნელოვანი იყო მაშინაც და დღესაც; ხალხურ ლათინურ ენაზე შექმნილი თავმოყრილი ტექსტებით(ძველი წარწერები, პეტრონიუსი, იტალა, ვულგატა, პრობუსის ინდექსი/დანართი, ქირონის მულომედიცინა, ეგერიას მოგზაურობა), ყველა ტექსტის სისტემატიზირებული გრამატიკით				

დაშესაბამისად წარმოადგენს ხალხური ლათინური ენის სისტემატიზირებული გრამატიკის სახელმძღვანელოს, სადაც დაწვილებით არის განხილული და ცალკე თავები ეძღვნება ფონეტიკასა და მორფოლოგიას. რაც შეეხება სინტაქსს, მას ცალკე ნაკვეთი არა ეთმობა, თუმცა სინტაქსური საქცევები განხილულია კომნეტარებისა და მორფოლოგიის ნაწილში. 1. ქრესტომათია - წარმოდგენილია ტექსტების ის ნაწილი, რომელიც ხალხური ლათინურის შესწავლისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია; მოხდა ტექსტების შედარება სხვა, ძველ თუ ახალ, გამოცემებთან და ტექსტის დაზუსტება. ამის საჭიროება გამოიკვეთა მას შემდეგ, რაც ზოგჯერ ვრცელი კომენტარების თავში გატანილი და განხილული მაგალითი არ თანხვდებოდა ქრესტომათიის ტექსტს. 2. კომენტარები: ქრესტომათიაში მოცემული ტექსტები თანმიმდევრულად არის განხილული: გამოტანილია ცალკეული მაგალითები, რომლითაც ავტორი გვამცნობს ხალხურ ენაში დამკვიდრებულ ფრაზეოლოგიზმებს, ანდაზებს, გამოთქმებს და ა. შ. რომელთა მიხედვითაც ხსნის ხალხური ენის თავისებურებებს, გრამატიკული ფორმების ისტორიული ფორმირების პროცესს და რომანულ ენებში მათ მრავალგვარ ტრანსფორმაციას. ყველა პარალელური სიტყვა რომანული ენებიდან, კლასიკური პერიოდის ტექსტების ამონარიდებთან ერთად, გადამოწმებულია. 3. ირაკლი შენგელია იმოწმებს, ძირითად, რუს მეცნიერთა თარგმანებს; მოგვიხვდა თარგმანების შედარება სხვა ენებზე გაკეთებულ თარგმანებთან და ამდენად შედარება სისწორისა/სიზუსტისა და შესწორებების შეტანა. ზოგჯერ გამოვიყენეთ ჩვენეული თარგმანიც. განსაკუთრებით, ტრიმალქიოს ნადიმის ნაწილში წარმოდგენილი ხალხური გამოთქმები თუ ანდაზები ორიგინალ თარგმანთან ერთად მოცემულია შესატყვისობით. მიუხედავად პარალელურ ტქსტებზე მუშაობისა და მიუხედავად იმისა, რომ ბევრი სხვა თარგმანის დამოწმება მოგვიხდა, მაქსიმალურად შევეცადეთ, რომ დაგვეცა ავტორის ლაკონიური სტილი. ბიბლიოგრაფია: ბიბლიოგრაფიული ჩამონათვალი ავტორს დაყოფილი ჰქონდა თემატურად, ჩვენ საჭიროდ ჩავთვალეთ, რომ რეორგანიზება გაგვეკეთებინა და ანბანურად დაგველაგებინა. ამასთან, მოვიძიეთ გამოყენებული ლიტერატურის უახლესი გამოცემები, რომლებიც ასევე მითითებულია იმისთვის, რომ განახლებული ბიბლიოგრაფია უფრო გამოსაყენებელი და აქტუალური გამხდარიყო. წიგნში წარმოდგენილ მასალასთან თანხვედრისათვის მოგვიწია ინდექსის შესწორებაც და დამოწმების სტილის მოწესრიგება.

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)				

5.3. კრებულები

№	ავტორი/ავტორები	კრებულის სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	რისმაგ გორდეზიანი	ენციკლოპედია Caucasus Antiquus IV,I ISBN 978-9941-468-86-1	თბილისი, ლოგოსი 2020	
ბერძნულ-რომაული და ძველი აღმოსავლური წყაროები ანტიკური კავკასიის შესახებ თავმოყრილია ენციკლოპედიის პირველ ტომში, რომელიც გამოიცა 2010 წელს. შემდგომ წლებში გამოქვეყნდა ენციკლოპედიის ორი ტომი - II,1 და II,2, რომლებშიც უკვე წარმოდგენილია ანბანურად გაწყობილი სამეცნიერო სტატიები. 2018 წელს გამოიცა მესამე ტომი. მასში წარმოდგენილია საენციკლოპედიო სტატიები კ- ასოზე. 2020 წელს გამოიცა მეოთხე ტომის პირველი ნაკვეთი. სტატიებში დამუშავებულია: 1) ტერმინები (გეოგრაფიული, მითოლოგიური, ისტორიული); 2) რელიგიური, სოციალური, კულტურული და ა. შ. ცხოვრების მონაცემები; 3) ანტიკური ეპოქის ავტორების შრომები, რომლებშიც გვხვდება ინფორმაცია ანტიკური კავკასიის შესახებ.				
2	ქეთევან ნადარეიშვილი	ენციკლოპედია Caucasus	თბილისი, ლოგოსი,	

		Antiquus IV,I, სტატიები: „მედეა“ გვ. 60-100; „მედოსი“ გვ. 102; „მერმეროსი“ გვ. 108-109; „მინია“ გვ. 126; „ნეაირა“ გვ. 168; „ოდიოსი“ გვ. 179; „ორფევსი“ გვ. 189-191; „პანტიკაპეონი“ გვ. 200-201; „პარიარდესი“ გვ. 211-212; „პელევსი“ გვ. 215-217 ISBN 978-9941-468-86-1	2020	
ანტიკური კავკასიის, უფრო ზუსტად კი ბერძნულ-რომაულ წყაროებში კავკასიის თემატიკის კვლევამ საგრძნობი პროგრესი განიცადა მეოცე საუკუნიდან მოყოლებული. კლასიკური ფილოლოგიის ქართველმა სპეციალისტებმა გამოაქვეყნეს არაერთი ნაშრომი საქართველოსა და კავკასიის შესახებ ბერძენ და რომაელ ავტორთა ცნობების თაობაზე. უფრო ადრე, XIX-XX სს-ის მიჯნაზე გამოცემულ იქნა ცნობილი კორპუსი Scythica and Caucasica (ლატიშჩევის რედაქტორობით), რომელიც წარმოადგენდა ანტიკური წყაროების ნაკრებს სკვითიისა და კავკასიის შესახებ. ამის მიუხედავად, არ ყოფილა გამოქვეყნებული ენციკლოპედიური ნაშრომი, რომელიც შეაჯამებდა ამ სფეროში ჩატარებულ კვლევებს. ენციკლოპედია Caucasus Antiquus: 1) თავს უყრის ყველა არსებულ ინფორმაციას ანტიკური კავკასიის შესახებ ბერძნულ-რომაულ და ძველ აღმოსავლურ წყაროებში; 2)შეისწავლის თუ რამდენად მასშტაბური იყო კავკასიის ინტეგრაცია ბერძნულ-რომაულ სივრცესთან; 3) ობიექტურად გვაწვდის ანტიკური კავკასიის შესახებ ისტორიული და კულტურული ხასიათის ცნობებს. ეს უკანასკნელი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია თანამედროვე ეტაპზე კავკასიის ისტორიის შესახებ ცნობების სიმწირის დან გამომდინარე. ბერძნულ-რომაული და ძველი აღმოსავლური წყაროები ანტიკური კავკასიის შესახებ თავმოყრილია ენციკლოპედიის პირველ ტომში, რომელიც გამოიცა 2010 წელს. შემდგომ წლებში გამოქვეყნდა ენციკლოპედიის ორი ტომი - II,1 და II,2, რომლებშიც უკვე წარმოდგენილია ანბანურად გაწყობილი სამეცნიერო სტატიები. 2018 წელს გამოიცა მესამე ტომი. მასში წარმოდგენილია საენციკლოპედიო სტატიები კ- ასოზე. 2020 წელს გამოიცა მეოთხე ტომის პირველი ნაკვეთი. სტატიებში დამუშავებულია: 1) ტერმინები (გეოგრაფიული, მითოლოგიური, ისტორიული); 2) რელიგიური, სოციალური, კულტურული და ა. შ. ცხოვრების მონაცემები; 3) ანტიკური ეპოქის ავტორების შრომები, რომლებშიც გვხვდება ინფორმაცია ანტიკური კავკასიის შესახებ.				
3	ზაზა ხინთიბიძე	ენციკლოპედია Caucasus Antiquus IV,I ISBN 978-9941-468-86-1	თბილისი, ლოგოსი, 2020	
ბერძნულ-რომაული და ძველი აღმოსავლური წყაროები ანტიკური კავკასიის შესახებ თავმოყრილია ენციკლოპედიის პირველ ტომში, რომელიც გამოიცა 2010 წელს. შემდგომ წლებში გამოქვეყნდა ენციკლოპედიის ორი ტომი - II,1 და II,2, რომლებშიც უკვე წარმოდგენილია ანბანურად გაწყობილი სამეცნიერო სტატიები. 2018 წელს გამოიცა მესამე ტომი. მასში წარმოდგენილია საენციკლოპედიო სტატიები კ- ასოზე. 2020 წელს გამოიცა მეოთხე ტომის პირველი ნაკვეთი. სტატიებში დამუშავებულია: 1) ტერმინები (გეოგრაფიული, მითოლოგიური, ისტორიული); 2) რელიგიური, სოციალური, კულტურული და ა. შ. ცხოვრების მონაცემები; 3) ანტიკური ეპოქის ავტორების შრომები, რომლებშიც გვხვდება ინფორმაცია ანტიკური კავკასიის შესახებ.				
4	მანანა ფხაკაძე რაულ ჩაგუნავა	„ბიზანტინოლოგია საქართველოში-4“ 978-9941-468-94-0	თბილისი, ლოგოსი, 2020	467-477 გვ.
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)				

5.4. სტატიები ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდის (DOI) მითითებით

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათა-ური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI	ჟურნალის/ კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1 2 3					
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)					

5.5. სტატიები ISSN-ის მითითებით

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათა-ური, ISSN	ჟურნალის/ კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	მედეა აბულაშვილი	კვიპროსული კინემატოგრაფიის დღეები საქართველოში - თემატური და სტილისტური თავისებურებები	ნეოგრეცისტიკა საქართველოში 3 (საერთაშორისო კონფერენციის მასალები)	თბილისი გამომცემლობა „ლოგოსი“	7-13
სულ რაღაც თხუთმეტიოდე წლის წინ ევროკავშირმა უპრეცენდენტო, ან, იქნებ, პრეცენდენტული გადაწყვეტილება მიიღო: გეოგრაფიულად აზიური და კულტურულ-პოლიტიკურად ევროპული კუნძული, უფრო სწორად კი, კუნძულის ერთი ნაწილი ევროკავშირში გააწევრიანა. დადგა ახალი რეალობა ევროპისათვის, პირველ რიგში კი კვიპროსელი ხალხისთვის. ამ რეალობამ ახალი გამოწვევები გააჩინა. მათგან ერთ-ერთი, ალბათ, საკუთარი იდენტობის ძიება იყო, უფრო სწორად, ახალი იდენტობის სტატუსის მოპოვება სრულიად პარადოქსულ და დრამატულ სიტუაციაში, როდესაც, ერთი მხრივ, იმავე ნაციონალური იდენტობის ხალხს სხვა სახელმწიფო აქვს, რომელიც, ასევე, ევროკავშირის წევრია, და მეორე მხრივ, იმ ძირძველ ტერიტორიაზე, რომელიც შენი იდენტობის ერთ-ერთ მარკერს წარმოადგენს, სხვა იდენტობის ხალხს დამოუკიდებელი ერთეული შეუქმნია. კვიპროსმა მოახერხა და თავისი იდენტობის ერთ-ერთ მარკერად კვიპროსული კინემატოგრაფი აქცია. ევროკავშირში გაწევრიანების შემდეგდროინდელ კვიპროსში სინამდვილე და კინორეალობა, თავისი სამსახიობო თუ სტილიტურ-თემატური თავისებურებებით, ერთმანეთის პარალელურად განაგრძობს განვითარებას და მთლიანად ფლობს საკუთარი, საზოგადოებრივი „მე“-ს განხილვის წინაპირობას, რომელიც შორსაა სწორხაზოვანი და კინოესთეტიკის მხრივ გაუმართლებელი ცრუ ჰეროიზმისა და ყალბი პათეტიკისაგან. ცვლილებები თუ სოციალურ-პოლიტიკური ძვრები კვიპროსში აშკარად ჰპოვებენ ასახვას კინოს თემატიკაში. კვიპროსელ რეჟისორთა მხატვრული ძიებები ფსიქოლოგიზმით, დრამატიზმით, სოციალურ-პოლიტიკური ხედვით და სევდანარევი იუმორით ქმნიან პროცესს, რომელსაც მსოფლიოს კინემატოგრაფიაში საკუთარი ხელწერის და ჟღერადობის დამკვიდრება ჰქვია.					
2	თინა დოლიძე	ორიგენე – ახალი სააზროვნო სისტემის არქიტექტორი რეზიუმე ინგლისურ ენაზე	ბიზანტინისტიკა საქართველოში -4, , რედაქტორები ნ. მახარაძე, თ. დოლიძე	თბილისი, ლოგოსი 2020	133-145

		ISBN 978-9941-468-94-0			
წერილში განხილულია ორიგენეს ღვთისმეტყველება ბერძნულ ფილოსოფიასთან შეპირისპირებით. მიუხედავად ბერძნული ფილოსოფიური ნააზრევის დიდი გავლენისა ორიგენეზე, მისი ღვთისმეტყველების ძირითადი ნიშნები ქრისტიანი ღვთისმეტყველის თეორიული ნააზრევის ძირეულ სიახლეს ცხადყოფს. შეიძლება ითქვას, რომ ორიგენე პრინციპულად გაემიჯნა ფილოსოფიის სააზროვნო მეთოდს და ახალი შემეცნებითი სისტემა შექმნა, რომელიც აზროვნების ორი განსხვავებული ტიპის – რელიგიური მოწმობისა და ლოგიკურ-დისკურსიული მსჯელობის შეთანხმებას ეფუძნება. ორიგენეს მიხედვით, ქრისტიანმა ღვთისმეტყველმა ბიბლიური ნარატივი საკუთარ ნოეტურ სტრუქტურაში უნდა გაიაზროს ანუ მის გასაგებად ბერძენული ფილოსოფიის ინტელექტუალური იარაღი გამოიყენოს, რომლის მეშვეობითაც ის დაამკვიდრებს აზრს, რომ ღვთის წვდომა კაცობრივ გონებას მხოლოდ საეკლესიო რწმენის დებულებებთან შემოქმედებით თანხმობაში შეუძლია. ორიგენეს აზრით, აზროვნების ამ მოდელს უპირატესობა აქვს ფილოსოფიური დისკურსის წინაშე, რადგან ეს უკანასკნელი მსჯელობის წანამძღვრად უტყუარ რწმენით მოწმობას არ იღებს და, ამგვარად, უსასრულო კვლევაში ჩაფლვის საფრთხის წინაშე დგას. ალექსანდრიელი ღვთისმეტყველის ინტენციამ, რწმენის მოწმობა მეცნიერული მოძღვრების შექმნით გაემყარებინა, სათავე დაუდო არა მხოლოდ ბიბლიურ ჰერმენევტიკას, არამედ ქრისტიანული რწმენის სისტემურ გადმოცემას, ე.ი. ქრისტიანობის რეფლექსურ ღვთისმეტყველებას.				
3	თინა დოლიძე, თ. მაგრაქველიძე	წმ. გრიგოლ ნოსელის ჰომილიის „ძისა და სულიწმიდისათვის“ ლექსიკა, რეზიუმე ინგლისურ ენაზე	წელიწდეული „ქრისტიანულ-არქეოლოგიური ძიებანი“, კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ტ. 12, 2020	იბეჭდება	
გრიგოლ ნოსელის დოგმატური ხასიათის ჰომილია „ძისა და სულიწმიდისათვის“ ძველ ქართულ მწერლობაში ცნობილია სახელწოდებით „ წმიდისა სამებისათვის, რომელსა შინა მოიხსენიებს აბრაჰამს“. ჰომილია ორ ხელნაწერშია შემორჩენილი -A 55- სა და A108-ში და გიორგი მთაწმიდელის თარგმანად მიიჩნევა (კ. კეკელიძე). ბერძნული ლექსიკის ქართულად გადმოტანის სტილის მიხედვით, პუბლიკაციის ავტორების აზრით, ჰომილიის თარგმანი არა გიორგი მთაწმიდელს, არამედ ექვთიმე ათონელს ეკუთვნის. პუბლიკაციაში მთელი სისრულითაა წარმოდგენილი ბერძნულ-ძველქართული ლექსიკური შესატყვისობანი. ეს არის ტექსტის მაქსიმალურად სრული ლექსიკონი, რომელიც მოცემულ წელიწდეულში ადრე გამოქვეყნებული ექვთიმესეული ლექსიკონის (ასეთია უკვე ხუთი პუბლიკაცია) რიგს განეკუთვნება.				
4	ეკატერინე კობახიძე, ნათია ფიფია	ახალი ბერძნული წარწერა სოხუმის ციხიდან	საქართველოს ინსტიტუტის ისტორიის	თბილისი, თსუ	14

		ISSN 1987–9970	შრომები, XVI		

სოხუმის ციხის გათხრებისას, რომელიც წარმოებდა ა.ნ. გაბელიას ხელმძღვანელობით, 1998 წელს აღმოჩენილი იქნა კირქვის ფილის ფრაგმენტზე შემონახული ბერძნული წარწერა. შემორჩენილი ფრაგმენტის ზომაა 19X21 სმ, სისქე -10 სმ. ფილის მარცხენა მხარე დაკარგულია, დანარჩენი მხარეებიც ალაგ-ალაგ ჩამომტვრეულია. წარწერა 5 სტრიქონიანია. წარწერა პირველად გამოცემულია ვ. ვ. ვერტოგრადოვას მიერ. უნდა ითქვას, რომ ვეტროგრადოვას მიერ წარწერის წაკითხვა ბევრ კითხვის ნიშანს აჩენს. ვეტროგრადოვას მიერ წარწერის დეკრეტად გამოცხადება, ჩვენი აზრით, არ შეეფერება სინამდვილეს. დეკრეტის გამოცემა თავისთავად გარკვეულ თანამდებობის პირებს შეეძლოთ. არიანე ამ მხრივ, ნაკლებად უფლებამოსილია, დეკრეტის მსგავსი დოკუმენტი გამოსცეს. რაც შეეხება სანიგთა მეფეს, ეს უფრო შესაძლებელია, თუმცა, მაინც საეჭვოა, ამდენად სუვერენულად ეგრძნო თავი სანიგთა მეფეს, რომ საკუთარი დეკრეტი გამოეცა, ეს წარწერა უფრო შეიძლება მადლიერების გამოხატვის ნიშნად იყოს აღმართული.

ჩვენ სტატიაში წარწერის ახალ ტრანსლიტერაციას და თარგმანს წარმოვადგენთ. ვფიქრობთ, ეს შეიძლება იყოს სანიგთა მეფის, რომელიც იხსენიება წარწერაში, სპადაგას მითითებით შესრულებული წარწერა. მეფე, რომელმაც, არიანეს ცნობით, ძალაუფლება ადრიანესგან მიიღო, ბუნებრივია, განსაკუთრებული მადლიერებით იყო გამსჭვალული იმპერატორისა და მისი წარმომადგენლის მიმართ. შესაბამისად, წარწერაში იგი აღტაცებას გამოხატავს არიანეს ვიზიტისა და განსაკუთრებით, ამ უკანასკნელის მიერ სებასტოპოლის ციხის აღჭურვისა და ჯარისკაცებისთვის ხელფასისა და სანოვაგის დარიგების გამო, რაც, ბუნებრივია, მისი ძალაუფლების განმტკიცებას ემსახურებოდა. ლოგიკურია დაისვას შეკითხვა რატომ შეიძლებოდა არიანესთან დაკავშირებული ერთი წარწერა შესრულებულიყო ლათინურად, ხოლო მეორე - ბერძნულად. ჩვენი აზრით, ოფიციალური დეკრეტები ლათინურად იწერებოდა, თუმცა, თუ სამიზნე აუდიტორია ადგილობრივი მოსახლეობა იყო, პრაქტიკული თვალსაზრისით, შესაძლოა ის ბერძნულად შესრულებულიყო, რადგან ბერძნული უფრო ხშირად გამოიყენებოდა რეგიონში. აღსანიშნავია, რომ მცხეთაში აღმოჩენილი ვესპასიანეს ცნობილი წარწერაც ბერძნულად არის შესრულებული. ამ შემთხვევაშიც სავარაუდოდ, ეს ადგილობრივი მოსახლეობის მაქსიმალური ინფორმირებისთვის გაკეთდა. ბერძნული უფრო ნაცნობი იყო ადგილობრივი მოსახლეობისთვის და ენის არჩევანიც, როგორც ჩანს, ამან განაპირობა. ამ წარწერის აღმოჩენა ნამდვილად ადასტურებს რეგიონში ბერძნული ენის ინტენსიურად გამოიყენების ფაქტს. აღმშენებლობითი თუ სხვა სახის საზოგადოებრივი აქტივობა, რომელიც საჯარო ინტერესს იმსახურებს, აშკარად მეტყველებს ამ პერიოდის სებასტოპოლისის, როგორც ქალაქის და ციხე-სიმაგრის მნიშვნელობასა და აქტიურ ცხოვრებაზე. სპადაგას ბრძანებით შესრულებული წარწერა დამატებით ინფორმაციას გვაწვდის II საუკუნეში კოლხეთისა და რომის ურთიერთობებსა და სანიგთა მეფის დიპლომატიურ ნაბიჯზე.

5	**ეკატერინე კობახიძე**	**ანტიკურობის კიდევ ერთი რეცეფცია „ვეფხისტყაოსანში“ ISSN: 1987-8788 ISSN: 2449-3147**	**კადმოსი N 11**	**თბილისი, ილიას უნივერსიტეტი**	17

რუსთაველის თხზულებაში ბერძნულ-რომაული ტრადიციის კვალის აღმოჩენა კვლავაც გრძელდება, რის ნათელ მაგალითსაც, სტატიის ავტორის აზრით, „ვეფხისტყაოსანში“ ბერძნული მითის რეცეფციის ახალი შემთხვევა უნდა წარმოადგენდეს. რეცეფციის ეს ნიმუში უკავშირდება ავთანდილის თავგადასავლის იმ ეპიზოდს, რომელიც გადმოცემულია თავში „წასლვა ავთანდილისაგან ნესტან-დარეჯანის საძებრად და ქარავანთან შეყრა“ (სტროფები 1034-1069), სადაც ვაჭრად გადაცმული მთავარი გმირი, სიკეთეს, ჩაგრულთა ქომაგს რომ განასახიერებს, მარტოდმარტო ისწრაფვის სასტიკ მეკობრეებთან შესაბმელად და ღვთის

შემწეობით ადვილად ამარცხებს მათ. მეკობრეები უძველესი დროიდან ჩანან მხატვრულ ნაწარმოებებშიც, რომლებიც როგორც ისტორიულ მოვლენებს, ისე ლეგენდებსა და მითებს ასახავს. ამ უკანასკნელთა შორის ყველაზე არქაულსა და ამავდროულად, დასავლურ და აღმოსავლურ სამყაროში საკმაოდ პოპულარულ სიუჟეტს წარმოადგენს მითი დიონისესა და ტირსენიელ მეკობრეებზე. საინტერესოა, რომ სხვადასხვა საუკუნის ავტორები მითის განსხვავებულ ინტერპრეტაციას გვთავაზობენ. ჰომეროსის, ევრიპიდეს და ოვიდიუსის შესაბამისი პასაჟებისაგან განსხვავებით, დიონისე ნონოსთან უდანაშაულო მსხვერპლი როდია, რომელიც მეკობრეებს შემთხვევით, ღვინით გაბრუებული გადაეყარა, არამედ ნადავლზე გახელებულ ავაზაკებთან მებრძოლი გმირი, რომელიც თავად უგებს მახეს მეკობრეებს. „ვეფხისტყაოსნის“ ზემომოყვანილ ეპიზოდსა და „დიონისიაკას“ მოცემულ პასაჟს შორის გარკვეული პარალელები შეინიშნება, რაც საკმაოდ სცილდება ტიპოლოგიური მსგავსების დონეს. ორივე თხზულებიდან მოყვანილი ამონარიდების შედარებისას აშკარა ხდება, რომ „ვეფხისტყაოსნის“ ავტორი იცნობდა მითს დიონისესა და ტირსენიელი მეკობრეების შესახებ, მეტიც- მისი ლიტერატურულ დამუშავების იმ ვარიანტს, რომელიც ნონოსის „დიონისიაკაშია“ წარმოდგენილი. დღეს ფსევდო-ნონოსად წოდებული ნონოსის, გრიგოლ ნაზიანზელის კომენტატორისა და „დიონისიაკას“ ავტორის ნონოს პანოპოლისელის ერთმანეთისგან გამიჯვნის საკითხი შუა საუკუნეებში საერთოდ არ განიხილებოდა. მითუმეტეს, რომ ნონოსი, მიუხედავად „დიონისიაკას“ ერთი შეხედვით, არაქრისტიანული შინაარსისა, იყო ავტორი სხვა ნაშრომისა, რომლის სათაურია „იოანეს სახარების პერიფრაზი“. ლექსად შეთხზულ ამ ნაწარმოებში ნონოსი ავლენს ქრისტიანული ეგზეგეტიკის და მათ შორის, გრიგოლ ნაზიანზელის თხზულებების ღრმა ცოდნას, რაც თანამედროვე მეცნიერებაში დაწვრილებითაა შესწავლილი.ნონოსის „დიონისიაკა“ შუა საუკუნეების ქრისტიანი მკითხველისთვის არ აღიქმებოდა წარმართობის ე.წ. „პროპაგანდად“, არამედ ანტიკური ტრადიციის ერთგვარ „გახსენებად“, რაც მისი ავტორის მიმართ არსებული ნდობითა და იმ პერიოდში ნეოპლატონური ფილოსოფიის გავლენის გაძლიერებით შეიძლება აიხსნას. ნეოპლატონური ფილოსოფიის კონტექსტში ნონოსის აღქმა ბუნებრივად ჩაითვლება, თუკი გავიზიარებთ იმ გავრცელებულ მოსაზრებას, რომ ნონოსის „დიონისიაკამ“, ქრისტიანულ პოეზიას ნეოპლატონიკური მოდელების მიღებისკენ გზა გაუკვალა.
ამრიგად, რუსთაველის „ვეფხისტყაოსანში“, რომელშიც ნეოპლატონიზმის კვალზე არაერთი მკვლევარი მიუთითებს, სავსებით ბუნებრივად გამოიყურება შუა საუკუნეებში პოპულარული, ნეოპლატონური სულისკვეთებით გამსჭვალული „დიონისიაკას“ რეცეფციის არსებობა.
ამასთან, ქართულ სინამდვილეში მითს დიონისესა და ტირსენიელი მეკობრეების შესახებ, გარკვეული ტრადიცია ჰქონდა ხელოვნებასა და ზეპირ გადმოცემებში, რამაც „ვეფხისტყაოსნის“ ავტორის მითის ლიტერატურული ინტერპრეტაციით დაინტერესება და რეცეფციისთვის „დიონისიაკადან“ ამ კონკრეტული პასაჟის შერჩევა განაპირობა.

6	**ეკატერინე კობახიძე**	**ანტიკური ჰადესის რეცეფცია ქართულ იტერატურაში** **ISSN: 2667-9051**	**ლოგოსი, წელიწდეული ელინისტიკასა და ლათინისტიკაში, N 6.**	**თბილისი, „პროგრამა ლოგოსი“**	22

ქართული მწერლობის უახლესმა კვლევებმა დასაბუთება შესძინა თვალსაზრისს, რომ ბერძნულ-რომაული ელემენტი ქართული ლიტერატურის ყველა პერიოდშია წარმოდგენილი.
თუკი დასავლურ მეცნიერებაში დადგენილია, რომ ანტიკური კომპონენტი და მისი ინტერპრეტაცია ევროპული ლიტერატურების მხატვრული სახეების სუბსტრატულ პლასტებშია დადასტურებული, ქართული ლიტერატურის შემთხვევაში, საკითხი – რამდენად ორგანულია ანტიკურობის რეცეფცია ქართული მწერლობისათვის – სისტემური სახით, მონოგრაფიულად ჯერჯერობით არ ყოფილა შესწავლილი. ამ მეტად საყურადღებო თემის კვლევა ბევრ საგულისხმო კითხვას გასცემდა პასუხს, რომელთაგან ყველაზე მნიშვნელოვანი არის ქართული ლიტერატურის იდენტობის პრობლემა.გარკვეული დასკვნების მიღება შესაძლებელია ქართულ ლიტერატურაში ანტიკურობის ცალკეული სფეროს, მითოლოგიური სიუჟეტის თუ სიუჟეტთა ჯგუფის რეცეფციაზე დაკვირვებით. ამ მიზნით ჩვენ მიერ შეირჩა ის მითოლოგიური ნარატივი და ტერმინები, რომლებიც უკავშირდება ბერძნულ-რომაული წარმოდგენების ერთ-ერთ ყველაზე უძველეს და კომპლექსურ სფეროს – გარდაცვლილთა სამყაროს – ანტიკურ ჰადესს, რომელიც

ქართულ ლიტერატურაში საკმაოდ მრავალფეროვნადაა წარმოდგენილი. დასკვნებისათვის.მოხსენებაში წარმოდგენილია ანტიკურ საიქიოსთან დაკავშირებული მითოლოგიური ნარატივისა და ტერმინების ასახვის შემაჯამებელი სურათი ქართული ლიტერატურის ყველა პერიოდში. ამ მიზნით გაანალიზებულია ციტირებები ქართული ლიტერატურის სხვადასხვა ეპოქის ავტორთა 40-ზე მეტი თხზულებიდან. ეს ავტორებია: ჩახრუხაძე, არჩილი, იონა ხელაშვილი, სოლომონ რაზმაძე, ტიმოთე გაბაშვილი, ალექსანდრე ჭავჭავაძე, ალექსანდრე ორბელიანი, ავქსენტი ცაგარელი, გალაკტიონ ტაბიძე, ტიციან ტაბიძე, ვალერიან გაფრინდაშვილი, მიხეილ ჯავახიშვილი, გიორგი ლეონიძე, გრიგოლ აბაშიძე, ოტია იოსელიანი, ელგუჯა მაღრაძე, შოთა ნიშნიანიძე, ანა კალანდაძე, მერაბ კოსტავა, ოთარ ჭილაძე, კოტე ჯანდიერი, ტარიელ ჭანტურია, გიორგი კორნაპელი, ნაირა გელაშვილი, ბესიკ ხარანაული, გურამ დოჩანაშვილი ნაირა გელაშვილი, ლია სტურუა და სხვ. მოცემულია თითოეული ტერმინის ქართულ ლიტერატურაში ასახვის სრული სურათი შესაბამისი სამეცნიერო კომენტარებით. ამ გზით საკითხის შესწავლა საშუალებას გვაძლევს თვალი გავადევნოთ ცალკეული ტერმინის მხატვრული ინტერპრეტაციის და ტრან-სფორმაციის საინტერესო სურათს, რომელიც მნიშვნელოვანია განზოგადებული დასკვნებისათვის.მოყვანილი მაგალითები ნათლად წარმოაჩენს, რომ ჰადესთან დაკავშირებული ანტიკური მითოპოეტური სახეები ქართული მხატვრული ლიტერატურის თითქმის ყველა პერი-ოდში დასტურდება. ეს ტენდენცია დასაბამს იღებს XI საუკენეში, როდესაც ქართულ მწერლობაში ჩნდება საერო მიმართულება და ლიტერატურაში შემოდის სხვადასხვა სახის ინფორმაცია, როგორც აღმოსავლური, ისე დასავლური წყაროებიდან. ამ უკანასკნელს ძირითად ბერძნულ-რომაული მემკვიდრეობა წარმოადგენს. მართალია, ჯერ კიდევ ჰიმნოგრაფიაში ჩანს ან-ტიკურობის კვალი, მაგრამ თხზულებათა შინაარსიდან გამომდინარე, მეტწილად ჩნდებიან ისტორიული პირები, რომლებიც ქრისტიანობასთან არიან კავშირში (დიოკლიტიანე, კონსტანტი-ნე დიდი, ელენე დედოფალი, პილატე პონტოელი). საინტერესოა, რომ მითოლოგიური პერსონაჟები ჰიმნოგრაფიაში სწორედ საერო ლიტერატურის გამოჩენის შემდეგ ჩნდებიან (ორფეოსი, აქილევსი, ოლიმპოს მთა). რაც შეეხება საერო ლიტერატურას, ცხადია, მითოლოგიური მასალის გამოყენების დიაპაზონი საგრძნობლად მოცულობითია, მათ შორის, ჰადესთან დაკავშირებული ტერმინებისაც. საყურადღებოა, რომ ქართული მხატვრული ლიტერატურა იყენებს მათ სხვადასხვა კონტექსტში, როგორც ბერძნულ-რომაულ, ისე სრულიად განსხვავებულ, ე.წ. ქართულ ნარატივში. ეს მითოლოგიური ტერმინები, როგორც წესი, მხატვრული განზოგადების თვალსაჩინო მაგალითებსწარმოადგენს. მათ საფუძველზე ყალიბდება არაერთი შედარება, ეპითეტი და მეტაფორა. საბოლოო ჯამში, ხშირია ანტიკურობის რეცეფციის შემთხვევები. ანტიკური წარმოდგენების ეს საკმაოდ მნიშვნელოვანი სფერო ქართულ ლიტერატურაში წარ-მოდგენილია როგორც ანტიკურობაშივე ერთგვარ კლიშეებად ქცეული სიმბოლოები, ისე მხატვრული გადამუშავების სრულიად ახალი, ორიგინალური ვარიანტები. საინტერესოა იმაზე დაკვირვებაც, რომ ანტიკური ქვესკნელის განუყოფელი და მნიშვნელოვანი ელემენტები: მიწისქვეშა მდინარეები, საიქიოს სხვადასხვა სკნელები, მითიური არსებები ძირითადად სრულად აისახა ქართულ ლიტერატურაში, რაც გვაძლევს საფუძველს დავასკვნათ, რომ ამ პერსონაჟების აღქმა ხდებოდა ნარატივთან ერთად და თავად მიწისქვეშა სამყაროზე ანტიკური შეხედულებები არა ფრაგმენტულად, არამედ კომპლექსურად იყო ჩართული ქართული ლიტერატურის მიერ შემუშავებული მხატვრული სახეების ბაზაში. აშკარაა, რომ ეს ტენდენცია XXI საუკუნეში უფრო ინტენსიური ხდება, რაც ცხადყოფს ამ პროცესის პროგრესულ ხასიათს. ნათელია, რომ ევროპული ლიტერატურის მსგავსად, ქართულ მწერლობას შუასაუკუნეებიდან დღემდე საყურადღებო წვლილი შეაქვს ბერძნულ-რომაული მემკვიდრეობის გადააზრებისა და რეცეფციის საქმეში. თავის მხრივ, თავად ანტიკური მემკვიდრეობა, როგორც ეს კონკრეტული მაგალითებიდან გამოიკვეთა, მნიშვნელოვან როლს ასრულებს ქართული ლიტერატურის მხატვრული სახეების ბაზის ჩამოყალიბებასა და განვითარებაში. ნიშანდობლივია, რომ ანტიკური მითოლოგიის ეს პერსონაჟები, რომლებიც საერთოევროპული მხატვრული სიმბოლოების მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენენ, თანდათანობით უფრო გამოკვეთილად ხდებიან ქართული მხატვრული სახეების

ე.წ. ბანკის განუყოფელი ნაწილი, რაც თანამედროვე ქართულ ლიტერატურაში ტრადიციულად ორგანული ე.წ. დასავლური ელემენტის გაძლიერებას წარმოაჩენს.					
7	**ეკატერინე კობახიძე**	ირაკლი შენგელია, მეცნიერი, მკვლევარი **ISSN: 2667-9051**	**ლოგოსი, წელიწდეული ელინისტიკასა და ლათინისტიკაში, N 6.**	**თბილისი, „პროგრამა ლოგოსი“**	9
ერთ-ერთი მთავარი თემა, რომელსაც ბატონმა ირაკლიმ რამდენიმე გამოკვლევა მიუძღვნა, არის ანტიკური მითოლო-გიის მიმართება ქართულ ფოლკლორულ ტრადიციასთან. ამ თვალსაზრისით გამორჩეულია კაბირების მითსა და ეტრუსკულ ხელოვნებაში დადასტურებული რამდენიმე მითოლო-გიური სიუჟეტის მორფოლოგიური პარალელები ამირანის თქმულების სხვადასხვა ვარიანტებთან. მნიშვნელოვანია ირაკლი შენგელიას გამოკვლევები პრომეთესა და ამირანის მითებს შორის არსებულ მსგავსებაზეც.გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ი. შენგელიას სამეცნიერო კვლევები, რომელიც შესრულებულია ქართულ და რუსულ ენებზე, მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი მათგა-ნის გამოქვეყნებიდან ნახევარი საუკუნეა გასული, დღესაც ინარჩუნებენ აქტუალობას და ანტიკური კულტურის თანამედროვე მკვლევართათვის უდავოდ გასათვალისწინებელ სამეცნიერო წყაროდ გვევლინება. ეს სამეცნიერო სტატიები გამოირჩევა საინტერესო მიგნებებითა და ორიგინალური დასკვნებით, რომლებიც საყურადღებოა კლასიკური ფილოლოგიით,კერძოდ ანტიკური მითოლოგიითა და ლიტერატურით, ქართული ფოლკლორისტიკითა და ეტრუსკოლოგიით დაინტე-რესებული ფართო საზოგადოებისათვის. დასასრულს, უნდა აღინიშნოს, რომ სამწუხაროდ ინტერნეტში არ იძებნება ი. შენგელიას არც ბიოგრაფია, არც სამეცნიერო მოღვაწეობის ამსახველი მასალა. ვფიქრობ, კარგი იქნება მისი სამეცნიერო ბეჭდური მასალის გაციფრება, რითაც გარდაცვლილი კოლეგის ხსოვნას ჯეროვანი პატივი მიეგება და, ამასთან, ახალგაზრდა თაობა გაეცნობა ამ ნამდვილად საინტერესო, ერუდირებული და ნიჭიერი მეცნიერის ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად ქცეულ სტატიებს.					
8	ქეთევან ნადარეიშვილი	ქართველური ეთნოსების გეოპოლიტიკური როლის საკითხი ბერძენი მწერლების (მემნონი, აპიანუსი, დიო კასიუსი, პლუტარქოსი) რეპრეზენტაციებში	საერთაშორისო კონფერენციის ,,ჰუმანიტარული მეცნიერებები გლობალიზაციის ეპოქაში - 2019“ მასალები	გადაცემულია დასაბეჭდად	
ქართველური ეთნოსების იდენტობის კვლევისას საკვანძო საკითხად გვევლინება ის, თუ როგორ მოიაზრებდნენ ანტიკური ავტორები ამ ხალხების გეოპოლიტიკური ორიენტაციასა და როლს. განსაკუთრებით საყურადღებო ხდება ანტიკური მოღვაწეებისათვის ქართველური ეთნოსების პოლიტიკური პრეფერენციებისა და მათი კულტურული ორიენტაციის საკითხი რომაული იმპერიის პერიოდში მისი ექსპანსიური საგარეო პოლიტიკიდან გამომდინარე. სტატიის მიზანს წარმოადგენს ზემოაღნიშნული პრობლემის ანალიზი რომაული პერიოდის ბერძენ ავტორთა - მემნონის, აპიანუსის, დიო კასიუსის და პლუტარქოსის რეპრეზენტაციებში. კვლევამ გამოავლინა, რომ ქართველურ ხალხთა გეოპოლიტიკური როლის გასააზრებლად ამ ავტორთათვის, ისევე როგორც მათი თანამედროვე რომაელ მწერალთათვის, უმთავრეს დისკურსად მითრიდატული ომები გვევლინება. ჩატარებულმა ანალიზმა გვიჩვენა, რომ დასახელებული ბერძენი ავტორები დაინტერესებული იყვნენ, წარმოედგინათ ქართველ ეთნოსთა პოლიტიკური პრეფერენციები და მათი საბრძოლო მოტივაციები მაშინაც, როდესაც ისინი რომის წინააღმდეგ მითრიდატესისა და არმენიის მეფის, ტიგრან II-ის, მოკავშირეებად გამოდიოდნენ და იმ შემთხვევაშიც, როცა ისინი დამოუკიდებლად ებრძოდნენ რომს. დასახელებული ისტორიკოსები ამავე კონტექსტში განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდნენ ასევე ქართველ ხალხთა გენეზისისა და ევროპასთან მათი ურთიერთობის					

პრობლემატიკას.					
9	მანანა ფხაკაძე	„და ბრძოდა აშოტ“-			
“და ბრძოდა აშოტ მამის ძმისწულსა მისსა“ ("ქართლის ცხოვრების" აშოტის პიროვნების დადგენის საკითხისათვის) ჩვენი ნაშრომი ეძღვნება „მატიანე ქართლისაჲს“ ერთი წინადადების: “და ბრძოდა აშოტ მამის ძმისწულსა მისსა, ძმასა გუარამისსა“ გასწორების და შესაბამისად ბაგრატიონთა დინასტიის ცნობილი პიროვნების - აშოტის ვინაობის დადგენის მცდელობას. მით უფრო, რომ არცერთ პუბლიკაციაში აშოტის იდენტიფიცირება არ მომხდარა. აშოტი "ქართლის ცხოვრებაში" ხშირად მოიხსენიება როგორც აშოტ დიდი. სხვადასხვა წყაროების, და რაც მთავარია, სუმბატ დავითისძის "ბაგრატიონთა ცხოვრება და ისტორიის" შესწავლით ვასკვნით, რომ აშოტი ნამდვილად იყო ბაგრატ კურაპალატის (გარდაიცვალა 876 წელს) შვილი და აშოტ I დიდის შვილიშვილი, რომელმაც მნიშვნელოვანი როლი ითამაშა. გუარამ მამფალის შვილის, ნასრას წინააღმდეგ ბრძოლაში. წყაროების შესწავლის საფუძველზე, ასეთი შესწორება უნდა გაკეთდეს "ქართლის ცხოვრების" მოხსენიებულ ციტატაში: „ და ბრძოდა აშოტ მამის ძმისწულსა მისსა, ძესა გუარამისსა“, ე.ი. ძმის ნაცვლად უნდა დაიწეროს „ძე“.					
10					
11					
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)					

6. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა უცხოეთში

6.1. მონოგრაფიები/წიგნები

№	ავტორი/ავტორები	მონოგრაფიის/წიგნის სათაური, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1 2				
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)				

6.2. სახელმძღვანელოები

№	ავტორი/ავტორები	სახელმძღვანელოს სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1 2				
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)				

6.3. კრებულები

№	ავტორები	კრებულის სახელ-წოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	Maka Kamushadze: Η κρητική επανάσταση και η απήχησή της στο γεωργιανό κοινό και στον έντυπο τύπο მაკა ქამუშაძე: კრეტის აჯანყება და მისი გამოძახილი ქართულ საზოგადოებასა და პრესაში	კრებულის სახელწოდება: The Greek World in Periods of Crisis and Recovery, 1204-2018 (ბერძნული სამყარო კრიზისებისა და აღმავლობის პერიოდში) ISBN (vol.) 978-91-519-6384-6 ISBN (set) 978-91-519-6357-0	გამომცემლობა: Athens, European Society of Modern Greek Studies. ხელმისაწვდომია ბმულზე: https://www.eens.org/wordpress/wp-content/uploads/2020/11/tomos4.pdf	გვ.59- 66 (8 გვერდი)
2	Ana Chikovani	The Greek World in Periods of Crisis and Recovery, 1204-2018 , (ბერძნული სამყარო კრიზისებისა და აღმავლობის პერიოდში) ISBN (vol.) 978-91-519-6385-3 ISBN (set) 978-91-519-6357-0	Athens, European Society of Modern Greek Studies. ხელმისაწვდომია ბმულზე: https://www.eens.org/wordpress/wp-content/uploads/2020/11/tomos1.pdf	15 (გვ. 29-43)

„ემიგრანტების ასახვა დიმიტრის ნოლასის ლიტერატურულ შემოქმედებაში“ შვედეთში, ლუნდის უნივერსიტეტისა და ევროპის ნეოგრეცისტთა ასოციაციის მიერ ორგანიზებული საერთაშორისო კონგრესის „ბერძნული სამყარო კრიზისებისა და აღმავლობის პერიოდში 1204-2018“ (The Greek World in Periods of Crisis and Recovery, 1204-2018), მასალები.

საბერძნეთისაკენ მიგრაცია პოლიტიკური, სოციოლოგიური და ისტორიული თვალსაზრისით ფართოდ არის განხილული და შესწავლილი. თუმცა ჯერ კიდევ ერთ-ერთი შედარებით ნაკლებად შესწავლილ საკითხს წარმოადგენს თანამედროვე ბერძენ ავტორთა მიერ ემიგრანტების აღქმა და ასახვა. ნაშრომში შესწავლილია არსებული სოციალური სიტუაციისადმი თანამედროვე ბერძნულ კულტურასა და ლიტერატურაში წარმოდგენილი დამოკიდებულება, რასაც დიმიტრის ნოლასის ლიტერატურულ ნაწარმოებების მაგალითზე განვიხილავთ.

ნოლასის ნაწარმოებებში წარმოდგენილნია როგორც საბერძნეთში ემიგრირებული ადამიანების ყოფა და განცდები, ასევე საზღვარგარეთ, გერმანიაში ან შავიზღვისპირეთის რეგიონში ემიგრირებულ ბერძენთა სახეები და საფიქრალი. მიმზიდველია რეპორტაჟის სტილით მოწოდებული თხრობის ნატიფი სტილი. ნაწარმოებში კარგად ჩანს ავტორის მიერ ადამიანთა ფსიქოლოგიის ღრმა ცოდნა, განათლების მაღალი დონე, მწერლის

მახვილი მზერა.

როგორც კვლევამ აჩვენა, საბერძნეთში, მეოცე საუკუნის ბოლოს მიგრანტების აქტიური გადაადგილება მნიშვნელოვან როლს ასრულებდა „სხვა“-ს, „უცხოს“ მიმართ დამოკიდებულების გადააზრების საკითხში. დიმიტრის ნოლასის ნაწარმოებები ცხადყოფს, რომ დამოკიდებულება მიგრანტების მიმართ იცვლება. ლიტერატურაში ემიგრანტების წარმოდგენის ახლებური ხედვა შესაძლოა მჭიდროდ იყოს დაკავშირებული ბერძნულ საზოგადოებაში „სხვის“, „უცხოს“ მიმართ არსებული დამოკიდებულების ცვლილებასთან.

6.4. სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI ან ISSN	ჟურნალის/ კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	Tina Dolidze	The Case for Considering Theological Language as a Special Linguistic System	Studia Patristica, ed. Markus Vinzent,	Peeters/ Brepols იბეჭდება	14 გვერდი

პუბლიკაციაში წარმოდგენილია საღვთისმეტყველო ენის სემანტიკისა და სტრუქტურის პირველადი ექსპოზიციის ცდა. ანალიზს წინ უძღვის ორი თეორიული წანამძღვარი: (1) პატრისტიკის ტექსტებში მოცემული ენობრივი პრაქტიკა ასახავს პატრისტიკის ენის თეორიის დებულებებს (2) საღვთისმეტყველო ენის თეორიაც და პრაქტიკაც ეკლესიის მამათა ნაწერებში ენას ონტოლოგიურ მონაცემად წარმოიდგენს. ორიგენე, ბიბლიის ენის პირველი თეორეტიკოსი, თავის ნაწერებში ორ სპეციალურ ენას განასხვავებს – ბერძნული ინტელექტუალიზმის ენას, რომელიც ლოგიკურ-დისკურსს ემყარება, და ბიბლიურ ნარატივს. არსებითად ამ ორი ენობრივი მოდელის შეკავშირებამ ჩამოაყალიბა პატრისტიკული ღვთისმეტყველების ერთიანი ენობრივი სისტემა, რომელსაც პატრისტიკულ ტექსტებში რეფერენციული ფუნქცია ეკისრება საკუთარი რეფერენტის, თეოლოგიური აზროვნების მიმართ. ნაშრომში წამოყენებულია აზრი, რომ ქრისტიანულ საღვთისმეტყველო ენას საკუთარი სემანტიკური პრინციპები და შემადგენელი ელემენტები აქვს, რომელთა გამოკვეთა და დაზუსტება სიღრმისეულ მეცნიერულ კვლევას მოითხოვს. რაც შეეხება წარმოდგენილ კვლევას, იგი მხოლოდ პატრისტიკის თეოლოგიური ენის უმთავრესი სემანტიკური ასპექტების გამოყოფით შემოიფარგლება, რის შემდეგაც მოცემულია საღვთისმეტყველო ენის სტურუქტურული ელემენტების ზოგადი სქემა.

თეოლოგიური ენის არსებით სემანტიკურ მახასიათებლებად სახელდება: ა) ომონიმურობა; ბ) დენოტაცია; გ) სიჩუმის ანუ გამოუთქმელობის ფენომენი და დ)

თეოლოგიური არტიკულაცია, როგორც მიმეტიკური ნიშანი. საღვთისმეტყველო ენის სტრუქტურის პირველად სქემაში გამოიყოფა თეოლოგიური დისკურსის მიკრო და მაკრო ენობრივი ერთეულები.					
2	ლევან გიგინეიშვილი	Henads as divine images: the epistemological and ontological significance of inner light and creation of a new subjectivity in Ioane Petritsi's metaphysics. (ჰენადები როგორც ღვთის ხატები: შინაგანი ნათლის ეპისტემოლოგიური და ონტოლოგიური მნიშვნელობა და ახალი სუბიექტურობის დაბადება იოანე პეტრიწის მეტაფიზიკაში).	D. Calma (ed.), Reading Proclus and the Book of Causes. Vol. 3. Translations and Acculturations, Studies in Platonism, Neoplatonism, and the Platonic Tradition, in print/forthcoming, 2021.	Leiden / Boston, Brill, coll.	8
სტატიაში განხილულია ჰენადების თეორია პროკლესთან და პეტრიწთან; როგორ მოდიფიკაციას აკეთებს პეტრიწი ჰენადების თეორიაში ქრისტიანული გადასახედიდან, როგორც თავის თარგმანში, ისე ამ თარგმნის განმარტებაშიც. კერძოდ, პეტრიწი ცვლის ჰენადების სტატუსს, რომლებსაც პროკლესთან ღმერთების სტატუსი აქვთ, პეტრიწთან კი "ზიარებით ღმერთების", ანუ დერივატიული ღვთაებრიობა. პეტრიწის ქრისტიანულ მეტაფიზიკაში ჰენადებს ამიტომ განსხვავებული როლი აქვთ: ისინი წარმოდგებიან ადამიანის არსის ცენტრებად, იმ მთავარ ასპექტად ადამიანში, რასაც ბიბლიური ენით "ღვთის ხატება" ჰქვია. ამას გარკვეული შედეგები აქვს ზოგადად პეტრიწის ხედვაზე ადამიანზე.					
3	ლევან გიგინეიშვილი	Uneasy raprochment of etetnity and historicity in Ioane Petritsi's Philosophy. (მარადისობისა და ისტორიულობის რთული დაახლოვება იოანე პეტრიწის ფილოსოფიაში)	Teixeira, Maria Teresa & Reker, Moirika & Berve, Aljoscha (eds.): Mind in Nature. European Studies in Process Thought Vol. 5.	Newcastle upon Tyne: Cambridge Scholars Publishing, in print/forthcoming, 2021.	
ამ სტატიაში განვიხილული მარადისობის ნეოპლატონური იდეის და ქრისტიანული ისტორიციზმის და ესქატოლოგიის მორიგების მცდელობა იოანე პეტრიწთან. პეტრიწის წყაროებად ვიყენებ მის კომენტარებს პროკლეს "ღვთისმეტყველების საფუძვლებზე", მის წინასიტყვაობას "ფსალმუნების" თარგმანზე და ნემესიოს ემესელის "ბუნებისათვის კაცისას" მისეულ თარგმანს. განსაკუთრებით საინტერესოა ეს უკანასკნელი, რადგან მასში პეტრიწი განზრახ ცვლის ნემესიოსის აზრებს და თავისი ხედვები შეაქვს მის ტექტში. სტატიაში გამოთქმულია ვარაუდი, რომ პეტრიწი შესაძლოა იზიარებდეს პლატონურ იდეას მეტემფსიქოზის შესახებ, ოღონდ თავად ამ მეტემფსიქოზს სვამს ისტორიულ, ვექტორულ სტრუქტურაში, რაც მისი ქრისტიანული ხედვითაა გაპირობებული.					
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)					

7. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

7.1. საქართველოში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	თინა დოლიძე	ინდივიდუალური კვლევის მიმართულებები და მეცნიერული პრობლემატიკა	„პატრისტიკის აქტუალური პრობლემები საქართველოში“ (IAPS/AIEP) კონფერენცია ეძღვნება ფილოსოფიის ისტორიის გამოჩენილ მკვლევარს, IAPS/AIEP -ის ქართული სექციის წევრს, აკადემიკოს გურამ თევზაძეს, 26. 12. 2020, Zoom-ის პლატფორმა
მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა)			
2	ეკატერინე კობახიძე	„ვეფხისტყაოსანი“ და „დიონისიაკა“	22.12. 2020- ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართული ლიტერატურის ს/ს ინსტიტუტი, მეოთხე კონფერენცია
მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა)			
3	სოფიო შამანიდი	ქალები სისტემის წინააღმდეგ ანტიკურ საბერძნეთში	ქალთა ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის კვირეული, ლეონიძის სახელობის ლიტერატურის მუზეუმი, დეკემბერი, 2020 ლექცია ხელმისაწვდომია youtube-ზე
4	ნანა ტონია	მხატვრული ლიტერატურა და ანტიკურობის კულტურული მემკვიდრეობა	საერთაშორისო კონფერენცია „ეროვნული ლიტერატურა თარგმანში“. CODFREURCOR-ის VIII საერთაშორისო კონფერნცია. 31 აგვისტო - 2 სექტემბერი, 2020. ბათუმი, შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
ანტიკური ხანის კულტურული მემკვიდრეობა მრავალფეროვანია და ამაღლებული. თანამედროვე ადამიანი ჰომეროსის, პინდაროსის, საპფოს, ესქილეს, ევრიპიდეს პლატონის, პრაქსიტელესისა თუ სკოპასის			

ქმნილებებთან მიახლოებისას განიცდის ეთიკო-ესთეტიკურ კათარსისს. ეს არის ერთგვარი ტკბობა წარსული ხელოვნებით. ამ ტკბობით მონიჭებული სიხარული მით უფრო მძაფრია, რაც უფრო მდიდარია ჩვენი სულიერება, ხოლო ჩვენი სულიერება განპირობებულია იმ მემკვიდრეობის გაცნობიერებით, რომელიც უკვე მრავალი საუკუნეა ასაზრდოებს დასავლურ ცივილიზაციას.			
5	ზაზა ხინთიბიძე	პროტაგონისტის კონცეფციის გადააზრებისათვის არქაული ხანის ბერძნულსა და გვიანი შუასაუკუნეების ქართულ ეპიკურ ტრადიციებში	22.12.2020 მე-4 სამეცნიერო კონფერენცია "ინოვაციები 21-ე საუკუნის ქართულ ლიტერატურათმცოდნეობაში "
ქართულ ლიტერატურათმცოდნეობაში საგანგებო კვლევძიების გარეშე თანდათანობით ჩამოყალიბდა და საბოლოოდ, ტრადიციული თვალსაზრისის სახით დამკვიდრდა მოსაზრება, რომლის თანახმადაც, რუსთველის ვეფხისტყაოსანში არის სამი მთავარი გმირი, ანუ პროტაგონისტი, რომელთაგან სხვებთან (ანუ ავთანდილსა და ფრიდონთან) შედარებით პიროვნულად მაინც ტარიელი გამოირჩევა. ამგვარი მოსაზრება საფიქრებელია ემყარებოდეს ორიოდე გარემოებას. პირველი, პოემის სათაური - ვეფხისტყაოსანი, ფაქტობრივად, სწორედ ტარიელის მხატვრული სახისა და უფრო მეტიც, ტარიელისა და ნესტანის სიყვარულის ამსახველი მეტაფორაა; და მეორე, პროლოგში რუსთველი ახსენებს „სამ გმირ მნათობს“, რომელთაგან საგანგებოდ გამოყოფს, კერძოდ ორჯერ სახელდებით ახსენებს, ტარიელს („მო, დავსხდეთ ტარიელისთვის...“ და „მით შევეწივნეთ ტარიელს“). გასული საუკუნის მიწურულს აღნიშნული საკითხის შესახებ რუსთველოლოგიური კვლევების ფარგლებში გამოითქვა არაერთი არსებითად განსხვავებული თვალსაზრისი, რომელთა თანახმად, პოემის პროტაგონისტთა რაოდენობა ორით (მხოლოდ ტარიელითა და ავთანდილით) განისაზღვრა. ეს, ვფიქრობ, მართებული თვალსაზრისი მისი სათანადოდ დაუსაბუთებლობის გამო არ იქნა, სამწუხაროდ, გაზიარებული ქართული ლიტერატურათმცოდნეობის მიერ. ამასთანავე უნდა აღინიშნოს ის გარემოებაც, რომ ამ ახლებური მოსაზრების დასამტკიცებლად წარმოდგენილი, ფაქტობრივად, ერთადერთი ანგარიშგასაწევი არგუმენტი (მეთოდოლოგიური თვალსაზრისით) არასათანადოდ ითვალისწინებდა ჰომეროსის ილიადის პროტაგონისტის საკითხის, ანუ აქილევსის მხატვრული სახის, შესწავლის უახლეს ჰომეროლოგიურ გამოცდილებას. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ჩემ მიერ წარმოდგენილი მსჯელობის პირველ ნაწილში მოკლედ შევეხები ჰომეროლოგიური კვლევების ფარგლებში პროტაგონისტის პრობლემის შესწავლა-გაანალიზების დღემდე აქტიურად მიმდინარე პროცესს, რომელსაც დავურთავ საკუთარ დაკვირვებებს აღნიშნული მიმართულებით. ამგვარი დისკურსის მიზანია წარმოჩნდეს, რომ ვეფხისტყაოსნის მთავარი გმირი ტარიელთან ერთად არის ავთანდილიც და ამდენად, ავთანდილი ვერ ჩაითვლება ტარიელის ალტერ ეგოდ (ანუ მეორე მედ), ილიადაში პატროკლოსისა და აქილევსის ურთიერთდამოკიდე-ბულებისაგან განსხვავებით. თუმცა, ვეფხისტყაოსანთან მიმართებით ორი პროტაგონისტის კონცეფციის მართებულობის ნათელსაყოფად, ვფიქრობ, კიდევ უფრო მნიშვნელოვანია იმ გარემოების წარმოჩენა, რომ ფრიდონის მხატვრული სახე ვერ პასუხობს ვეფხისტყაოსნის მესამე პროტაგონისტად მისი მიჩნევისათვის აუცილებელ ობიექტურკრიტერიუმებს და ეს გარემოება გაცნობიერებულია თავად რუსთველის მიერაც. სწორედ ამ მოსაზრების დასასაბუთებლად ჩემ მიერ წარმოდგენილი მსჯელობის მეორე ნაწილში ჩამოვაყალიბებ რამდენიმე არგუმენტს, რომლებზეც, რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, რუსთველოლოგიური კვლევების ფარგლებში დღემდე ყურადღება საგანგებოდ არ გამახვილებულა. დაბოლოს, მსჯელობის დასასრულს მოკლედ შევეხები განსახილველი პრობლემის კიდევ ერთ მხარეს; კერძოდ, სხვა (იქნება ეს აღმოსავლური თუ ევროპული და ანტიკური თუ შუასაუკუნეების) ეპიკური ტრადიციებისაგან განსხვავებით რატომ არის აგრერიგად			

გართულებული ვეფხისტყაოსნის პროტაგონისტ(ებ)ის ვინაობისა და რაოდენობის დადგენა.			
მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა)			

7.2. უცხოეთში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	მედეა აბულაშვილი	ნიკოს კაზანძაკისი და პონტოელი ბერძნები	22.11.2020 Zoom პლატფორმის გამოყენებით - საერთაშორისო ურთიერთობებისა და კულტურული გაცვლების ათენი-კალიმნოსის ასოციაციის ორგანიზებით
მოხსენება ეხებოდა ნიკოს კაზანძაკისის პონტოელ ბერძნებთან ურთიერთობას, მწერლის სამსახურეობრივ მისიას საქართველოში და მის ასახვას ბერძენი შემოქმედის ნაწარმოებებსა და პირად წერილებში. ყურადღება გამახვილდა საქართველოს ბერძენთა ლექსიკაში ასახულ მენტალურ მახასიათებლებზე, განსხვავებულ სიტყვებზე, რომელსაც მწერალი მათი დიალოგების გადმოსაცემად იყენებს. ასევე, ქართულ თარგმანებში ამ დიალოგების გადმოტანის ფორმასა და სპეციფიკაზე. განსაკუთრებული ადგილი დაეთმო ნ. კაზანძაკისის ახალაღმოჩენილ წერილს გრ. რობაქიძისადმი.			
2	ქეთევან ნადარეიშვილი	“Olga Taxidou’s Medea – Women and Empire in a World Torn Apart” ოლგა ტაქსიდუს „მედეა“ - ქალი და იმპერია გახლეჩილ სამყაროში	American Comparative Literature Assosiation Annual Meeting 2020, 19-22.03, Chicago
ოლგა ტაქსიდუს „მედეა“ - ქალი და იმპერია გახლეჩილ სამყაროში ძველი ტექსტების ახლებურად გააზრებისთვის ერთ-ერთ ყველაზე საინტერესო მასალას კლასიკური ტრადიცია გვაწვდის, ევრიპიდეს ტრაგედია „მედეა“ კი ფემინიზმის იდეების წარმოჩენისთვის პარადიგატულ პიესადაა მოაზრებული. უკვე XX ს-ის დასაწყისის სუფრაჟისტთა მოძრაობაში მედეას ფიგურა ფენიმიზმის ხატად გვევლინება. რაც შეეხება XXI ს-ის პირველი ათწლეულების „მედეას“ მრავალმხრივ ინტერპრეტაციათ, სწორედ მისი ფემინისტური რეცეპციები იკავებს ამ დისკურსში ერთ-ერთ წარმმართველ ადგილს. ამ კუთხით განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ფემინისტი მწერლის და დრამის სპეციალისტის - ოლგა ტაქსიდუს პიესა „მედეა“. მოხსენება განიხილავს ტაქსიდუს მედეას სახეს, როგორც ე.წ. „სხვის“ სახეს, რომელიც ამასთანავე სასოწარკვეთილ მებრძოლ ფემინისტად გვევლინება, იმპერიისა და „მესამე სამყაროს“ ურთიერთობის ჭრილში, შეისწავლის ქალების ხვედრს, რომლებიც იმპერიალისტური			

პოლიტიკის ყველაზე მოწყვლად ნაწილს წარმოადგენენ. მოხსენება მიზნად ისახავს შემდეგი საკითხების ანალიზს: ა) მედეას თვალით დანახული ამ ორი სამყაროს ფასეულობათა ფუნდამენტალური განსხვავების; ბ) მედეას ტოტალური გაუცხოვების, გაუცხოვების საკუთარი შვილებისგანაც კი, რომლებსაც ის იმპერიის ჯარისკაცებად განიხილავს; გ) „მედეას“ ცნობილი ქორალური ოდის („მედეა“, 410-430), როგორც პირველი ქალი პოეტის ხმის; დ) მედეას ამბივალენტური რეპრეზენტაციისა პიესის ფინალში - როგორც პიროვნებისა, რომელმაც დაკარგა თავისი იდენტობა და როგორც სატელევიზიო შოუს წამყვანისა, რომელიც უბედური ქალების ხვედრის შესახებ წარმართავს გადაცემას.

მოხსენების დასკვნები საყურადღებო იქნება ქალი ავტორების მიერ უკვე არსებული ტექსტების გადააზრების დისკურსისთვის, რაც შეიძლება უფრო ფართო პროცესის - არსებული კულტურული ნორმების ტრანსფორმაციის - ნაწილად მოვიაზროთ.

3	ქეთევან ნადარეიშვილი, თამარ ჭეიშვილი	The Roman Contexts of Perceiving the Other – Receptions of the Geopolitical and Cultural Identity of the Ancient Kartvelian People „სხვის“ აღქმის რომაული კონტექსტი - ქართველური ეთნოსების გეოპოლიტიკური და კულტურული იდენტობის რეცეპციები	BioRom International Conference – Othering and the Other – Performing Identity in the Roman Empire უნდა ჩატარებულიყო 8-11.07.2020, University of Evora (თეზისები მიღებულია)

„სხვის“ აღქმის რომაული კონტექსტი - ქართველური ეთნოსების გეოპოლიტიკური და კულტურული იდენტობის რეცეპციები.

ძვ.წ. I ს-დან მოყოლებული, მას შემდეგ, რაც იზრდება კავკასიის მიმართ რომის ინტერესი, იმპერიისთვის საყურადღებო ხდება ქართველური ეთნოსების გეოპოლიტიკური და კუტურული იდენტობის საკითხები.

ქართველური ხალხების გეოპოლიტიკური ორიენტაციის თემა განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს აღმოსავლეთთან რომის სამი მწვავე დაპირისპირების კონტექსტში, ესენია: 1) მითრიდატული ომები; 2) რომისა და პართიის სამხედრო კონფლიქტი ახ.წ. 35 წ-ს; 3) იბერიის მეფე ფარსმანეს II-ისა და რომის დაძაბული ურთიერთობა ახ.წ. II ს-ში. მოხსენება განიხილავს, თუ რამდენად განაპირობებს ქართველური ხალხების პოლიტიკური ვექტორის ცვლილება (მათი პრო თუ ანტი-რომაული ორიენტაცია) რომაელების მხრიდან მათი გეოპოლიტიკური იდენტობის შეფასებას, ერთი მხრივ, და მათი ქსენოსტერეოტიპების განსაზღვრას, მეორე მხრივ (ასე მაგალითად, პართელების წინააღმდეგ მებრძოლ იბერიელებს ტაციტუსი (ანალები 6,34) ჩრდილო ბარბაროსების სტერეოტიპული შტრიხებით ახასიათებს).

მოხსენებაში ასევე შეისწავლის ქართველური ტომების კულტურული იდენტობის (მატერიალური კულტურა, ეთნიკური მახასიათებლები, ადათ-წესები) საკითხებს. საზოგადოდ, რომაული პერიოდის ავტორთათვის დამახასიათებელია ამ ტომების კულტურული განვითარების გარკვეული იერარქიზაცია - ზოგიერთი მათგანის ველურებად მოაზრება, სხვების მეტ-ნაკლებად განვითარებულ ხალხებად წარმოდგენა. ქართველური ხალხების რეპრეზენტაციისას რომაული ეპოქის მოღვაწენი ხშირად უსვამენ ხაზს სხვადასხვა კულტურულ კავშირს, რომელიც არსებობდა ამ ხალხებსა და თავიანთ საკუთარ (დასავლურ) მითოლოგიურ მახსოვრობას შორის, უპირველეს ყოვლისა, ახსენებენ არგონავტიკის მითოსის ცალკეულ ეპიზოდებს.

მოხსენების დასკვნები საყურადღებოა ქართველური ხალხების გეოპოლიტიკური და კულტურული იდენტობის შესწავლისთვის, ისევე როგორც ე.წ. „სხვის“ დისკურსისთვის, რომელიც მოიცავს, ერთი მხრივ,

ქსენოსტერეოტიპების გაჩენისა და, მეორე მხრივ, მათი მეშვეობით ანუ არაპირდაპირი გზით, თავად რომაული პიროვნულობის ავტოსტერეოტიპების ქმნადობის კვლევას.			
4	სოფიო შამანიდი	ბერძნული ენა საქართველოში (პანდემიის გამოწვევების წინაშე)	19 სექტემბერი, 2020. ამერიკის ნეოელლინისტთა ასოციაცია
ფორუმში მონაწილეობა მიიღო ბერძნული ენის პროფესორ-მასწავლებლებმა ხუთივე კონტინენტიდან . მოხსენება ეხებოდა ბერძნული ენის სწავლების მეთოდოლოგიას კოვიდ19ის პირობებში			
მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა)			

ერთეულს თუ საჭიროდ მიაჩნია, შეუძლია ანგარიშში შეიტანოს სხვა, მისთვის მნიშვნელოვანი აქტივობაც.

დამატებითი ინფორმაცია	
1	**ანა ჩიქოვანი** - <u>სალექციო კურსების შედგენა და ატვირთვა მუდლის პლატფორმაზე e-learning.tsu.ge</u> 2020 წლის განმავლობაში შევქმენი და ავტვირთე შემდეგი სალექციო კურსების მასალები (1 განვაახლე): 1. შესავალი ახალ ბერძნულ ფილოლოგიაში (ბაკალავრიატი) 2. თანამედროვე ბერძნული ლიტერატურა კინემატოგრაფში (ეს სალეციო კურსი შევქმენი 2 წლის წინ და წელს განვაახლე) (ბაკალავრიატი) 3. ახალი ბერძნული ლიტერატურის ისტორია 2 (ბაკალავრიატი) 4. რიტუალები XX საუკუნის ბერძნულ ლიტერატურაში (მაგისტრატურა) 5. XX საუკუნის ბერძნული პროზა (მაგისტრატურა) 6. იდენტობა XX საუკუნის ბერძნულ ლიტერატურაში (მაგისტრატურა) (ეკატერინე ქართველიშვილთან ერთად) 3
2	**მედეა აბულაშვილი** - საანგარიშო წელს, ჩემი ხელმძღვანელობით, განხორციელდა მნიშვნელოვანი პროექტი: **„ლიტერატურული თერაპია“** (რვა ქართველი მწერლის, სტუდენტებისა და მოსწავლეების ჩართულობით). დამფინანსებელი ორგანიზაცია: ღია საზოგადოების ფონდი
3	**ქეთევან ნადარეიშვილი** - სადისერტაციო საბჭოს წევრი, თსუ-ს/ფაკულტეტის ადმინისტრაციის ბრძანებით შექმნილი კომისიის წევრი; სამეცნიერო ჟურნალის „ლოგოსი. წელიწდეული ელინისტიკასა და ლათინისტიკაში“ სარედაქციო კოლეგიის წევრი
4	**ნანა ტონია** - ქართულ პერიოდიკაში გამოქვეყნებული სტატიები: ნანა ტონია „უფლის წალკოტზე გამავალი ბილიკის კვალი“. გაზეთი „ლიტერატურული საქართველო, 7 თებერვალი, 2020 წ. N3; სტუდენტთა წრის ხელმძღვანელი; კონკურსი სახელწოდებით „პიგმალიონი“ არის დაფინანსებული თსუ სტუდენტური პროექტების დაფინანსების განმსაზღვრელი საბჭოს მიერ;

	თეატრალური ფესტივალის „დურუჯის“ გამარჯვებული „საუკთესო სპექტაკლი - ევრიპიდე „ჰეკაბე“ იტარგმა და კომენტარებითურთ გამოიცა ნ. ტონიას მიერ (2019 წელს თარგმანი დაჯილდოვდა ლიტერატურული პრემიით „საბა“). დაჯილდოვების დრო: 24.07.2020; ბათუმის პირველი საერტაშორისო თეატრალური ფესტივალი 2020 წლის 7 დეკემბერს გაიხსნა გერმანული თეატრის „ბერლინური ანსამბლის“ სპექტაკლით: ევრიპიდე „მედეა“. ქართული ტექსტი იკითხებოდა ნანა ტონიას თარგმანით; ევრიპიდე - ტროელი ქალები (თარგმანი ძველი ბერძნულიდან). *ლოგოსი, წელიწდეული ელინოლოგიასა და ლათინისტიკაში.* N6. ISSN 2667-9051, 2020, გვ. 239-267.
5	**ზაზა ხინთიბიძე** - 26.02 – 02.03. 20202 მე-4 საერთაშორისო ქართველოლოგიური სკოლის ფარგლებში ლექცია - ჰომეროსის "ილიადა".
6	პროექტი „ანტიკური კავკასია“ (Caucasus Antiquus) - ენციკლოპედია. რუსთაველის ფონდისა (N A OXX/09) და თსუ კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის ინსტიტუტის განვითარების ფონდის დაფინანსებით; 2010 წ. დან; ვ. ასათიანი, ი. გარაყანიძე, ქ. გარდაფხაძე, ლ. გორდეზიანი, რ. გორდეზიანი (სამეცნიერო ხელმძღვანელი), ი. დარჩია, თ. დულარიძე, მ. ერქომაიშვილი, თ. თარხნიშვილი, ქ. ნადარეიშვილი თ. ჭეიშვილი, ზ.ხინთიბიძე, გ. ხომერიკი, თ. ჯაფარიძე, რ. ცანავა; უკვე გამოქვეყნდა ენციკლოპედია „ანტიკური კავკასიის“ ხუთი ნაწილი, პროექტზე მუშაობა გრძელდება. პროექტით გათვალისწინებულია კავკასიასთან დაკავშირებული ისტორიულ-ლიტერატურული წყაროების თავმოყრა, შეჯამება-ანალიზი.

ანგარიში წარმოდგენილი უნდა იყოს ნაბეჭდი (2 ეგზემპლარად) და ელექტრონული ვერსიის
(CD-დისკი) სახით.

ანგარიში, რომელიც არ არის შედგენილი ამ დანართის მოთხოვნების შესაბამისად, ექსპერტიზას (შეფასებას) არ ექვემდებარება და შეფასების შემაჯამებელ დოკუმენტში აღინიშნება ფორმულით „არ შეფასდა“.

კავკასიოლოგიის
სასწავლო-სამეცნიერო
ინსტიტუტი

ანგარიშის ფორმა №2

2020 წელს გაწეული სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ანგარიში

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის დასახელება

კავკასიოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი

სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა ხელმძღვანელის მითითებით

პროფესორი ცირა ბარამიძე - ინსტიტუტის ხელმძღვანელი
ასოცირებული პროფესორი ჯონი კვიციანი
ასოცირებული პროფესორი რევაზ აბაშია
ასოცირებული პროფესორი როსტომ ფარეულიძე
ასოცირებული პროფესორი მერაბ ჩუხუა
ასოცირებული პროფესორი ნანა მაჭავარიანი

1. სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის პერსონალის მიერ შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

1.1.

№	გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	2	3	4
ჯონი კვიციანი	„კავკასიის ისტორია უძველესი დროიდან დღემდე“	2018-2020	ორტომეულის ავტორი, თანარედაქტორი
გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2020 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)			
ანოტაცია - საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პროექტით 2018 -2020 წელს შექმნილ ნაშრომზე „კავკასიის ისტორიის ნარკვევები ძველესი დროიდან			

დღემდე“

ეროვნული ღირებულებების, იდენტობის და ტრადიციების უდიდესი მნიშვნელობიდან გამომდინარე, ობიექტური, სამართლიანი და უწვეტი ისტორიული პროცესების შესწავლის მიზნით, 2018 – 2020წ.წ. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ვიცე-პრეზიდენტის, აკადემიკოს რ. მეტრეველის ხელმძღვანელობით ჩამოყალიბდა სამეცნიერო ჯგუფი, რომლის ერთ-ერთი მონაწილე მე გახლავართ. პროექტის დასკვნით ეტაპზე, 2020წელს, დასრულდა ნაშრომის გამოსაცემად მოსამზადებელი სარედაქციო სამუშაოები და გამომცემლობა „არტანუჯში“ 2021 წლის პირველ ნახევარში იგეგმება მისი გამოცემა.

შექმნილ ნაშრომში, მსოფლიო ისტორიის კონტექსტში, ცივილიზაციური მეთოდოლოგიის საფუძველზე სისტემურ-სინერგეტიკული მეთოდის გამოყენებით, ახლებურად გაანალიზდება კავკასიის ისტორიის აქტუალური საკითხები. სამეცნიერო ჯგუფი, სამყაროს მთლიანობის იდეის ხედვიდან გამომდინარე, გლობალურ, რეგიონულ და ლოკალურ შემადგენლებს მის რთულ სტრუქტურირებულ სისტემად მიიჩნევს, რომელთანაც კავშირშია ქვესისტემები - რეგიონები (ცივილიზაციები) და მის ელემენტებად კი სოციუმები - ეთნოსები, ერები, სახელმწიფოები გვევლინება. ფორმაციული, მარქსისტული მეთოდოლოგიისაგან განსხვავებით, რომელიც კაცობრიობის ისტორიას ეკონომიკაზე დაფუძნებულ ფორმაციათა ცვლად მიიჩნევს, ცივილიზაციური მეთოდოლოგიის პრიორიტეტია კულტურა, ცივილიზაციების (აგრარული, ინდუსტრიული, პოსტინდუსტრიული) ცვლა. ეს უკანასკნელი, კავკასიის ხალთა ისტორიისა და კულტურის უნიკალურობის ღრმად შესწავლის საშუალებას იძლევა.

ნაშრომის კონცეპტუალური საფუძველი.

3	მ. ჯიბლაძე, **თ. ბოლქვაძე,** ლიოუ ჩაო, ლიანგ ქუნგქუნგი, ნ.ქელბაქიანი, მ. თეთრაძე	ჩინური ენის მარცვალთა სისტემის ქართულ ენაზე ტრანსკრიფცია-ტრანსლიტერაციის სახელმძღვანელო წესები, სახელმწიფო ენის დეპარტამენტი, ბიულეტენი II, 2019-2020, ISBN 978-9941-480-63-8	თბილისი, გამომცემლობა „გრიფონი“	21

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

ჩინური ენის ძირითადი ერთეული არის მარცვალი. ყოველ მარცვალს შეესაბამება თითო იეროგლიფი. მარცვალი შედგება სამი ელემენტისაგან: ინიციალის (თავკიდურის), ფინალისა (ბოლოკიდურისა) და ტონისაგან. ინიციალი მარცვლის საწყისი თანხმოვანია, რომელსაც მოსდევს ფინალი ანუ ხმოვანი (დაწვრილებით იხ. ქვემოთ). მარცვლის მესამე ელემენტია ტონი, რომელსაც ჩინურში ფონოლოგიური ღირებულება აქვს. მას სიტყვის მნიშვნელობის შეცვლა შეუძლია. ჩინურ ენაში ტონი ოთხი სახისაა, მაგრამ მათ განხილვას არ შევუდგებით, რადგან ქართულ ენაში ჩინურისთვის დამახასიათებელი ფონოლოგიური ტონი ვერ აისახება. ჩინური ენის ამ ფონეტიკური წყობის თავისებურება განაპირობებს ჩინური ენის ბგერების ქართული ანბანის ასოებით ტრანსკრიბირების მეთოდებსა და პრინციპებს. სტატიაში ცალ-ცალკეა განხილული თანხმოვნები და ხმოვნები, რომლებიც მარცვლის ინიციალებს (თავკიდურებსა) და ფინალებს (ბოლოკიდურებს) ქმნიან.

სალიტერატურო ჩინურის თანხმოვანთა სისტემა ხასიათდება ოთხი ძირითადი ნიშნით: წარმოთქმის ადგილი, საწარმოთქმო რაგვარობა, მჟღერობა-სიყრუე და სირბილე-სიმაგრე. ეს ოთხივე მახასიათებელი ფონოლოგიური ღირებულებისაა, ანუ სიტყვათგანმასხვავებელი ძალა აქვს. ჩინურ ენაში სულ რამდენიმე მჟღერი თანხმოვანია, მაგრამ მჟღერობა-სიყრუე მოქმედი ფონოლოგიური ოპოზიციაა. ხშულ და ხშულ-ნაპრალოვან (აფრიკატ) ყრუ თანხმოვნებს ერთმანეთისაგან განარჩევს ფშვინვიერების ქონება-უქონლობით დაპირისპირება, რაც ქმნის წყვილეულთა სისტემას. სირბილე ახასიათებს აფრიკატ ც-ს ქ [ʦᵋʰ]. აფრიკატისთვის სირბილე ანუ პალატალიზაცია ფონოლოგიური ღირებულებისაა, რაც კარგად ჩანს დამოწმებული წყვილებიდან:

词典 /ʦsʰɿʦiɜ̯æn/ციდაინ ცტიენი ლექსიკონი 磁山 /ʦsʰɿʂan/ჩისჰან ცშანი (გეოგრ.) სოფელი

起点 /ʦᵋʰiʦiɜ̯æn/ქიდიან ციტიენი დასაწყისი 岐山 /ʦᵋʰiʂan/Ქისჰან ციშანი (გეოგრ.) მაზრა

ასეთ შემთხვევებში ქართული ც სრულად გადმოსცემს ჩინური მაგარი ც(ც) თანხმოვნის ფონეტიკურ მახასიათებლებს ცი=ც, ხოლო ც თანხმოვანზე ი ხმოვნის დამატებით გადმოიცემა პალატალიზებული ც(ქ), ქი=ცი. ომონიმიის თავიდან ასაცილებლად, ქართულში მაგარი ც(ც) თანხმოვნის გადმოსაცემად, ერთმარცვლიან სიტყვებსა ან მრავალმარცვლიანი სიტყვის ბოლო მარცვალში გამოყენებული იქნება ცჰი კომპლექსი, რომელიც დაუპირისპირდება პალატალიზებული ც(ქ)-ს (ცი). მაგალითად,磁山ჩისჰან ცშანი (გეოგრ.) , მაგრამ 慈 ჩი ცჰი (პირი).

სირთულეს ქმნის ფინინი, რომელიც ბოლომდე არ მისდევს ბგერათა ლათინურად ტრანსლიტერაციის წესს, რაც მიუჩვეველ მკითხველს ხელს უშლის ჩანაწერის სწორად აღქმაში. მაგალითად, არაფშვინვიერი ყრუ ხშულები პ [ჰ], ტ [ტ], კ [კ] ლათინურად გადმოიცემა ბ, დ, გ გრაფემებით, რომლებიც ტრადიციულ ტრანსლიტერირებულ სისტემებში აღნიშნავენ მჟღერ ხშულ თანხმოვნებს: ბ [ბ], დ [დ], გ [გ]. კიდევ უფრო რთულად არის საქმე ძ[ჯ], წ[ზ], ჭ[ზჰ], ჟ[რ] და ხ[ჰ] თანხმოვნების გადმოცემისას, როგორც ეს თითოეულისათვის ფრჩხილებში მიწერილი ფინინის გრაფემებიდან ჩანს. გაწაფვის შემდეგ ფინინის ეს თავისებურება დიდ წინააღმდეგობად აღარ ჩანს, თუმცა ზოგჯერ შეცდომის მიზეზიც ხდება, მაგალითად: 北京 Beijing - პეკინი, პეიძინგი (შეცდომაა:Beijing), 深圳 Shenzen - შენჭენი (შეცდომაა:Shenzen), 枣庄 Zaojuang - წაოჭუანგი (შეცდომაა:Zaojuang).

სტატიაში გატარებულია აზრი, რომ ქართულს სრულფასოვნად შეუძლია ასახოს ჩინური ენის თანხმოვანთა სისტემის ყრუ ფშვინვიერი და ყრუ აბრუპტივი კონსონანტები. მჟღერი თანხმოვანები ჩინურში მხოლოდ გამონაკლისია, რომელთა გადმოცემა ასევე სრულფასოვნად შეუძლია ქართულ ენას. ერთადერთ სირთულს ქმნის რბილი თანხმოვნები, რომლებსაც ქართულში ზუსტი შესატყვისი არა აქვთ.

სტატიას ერთვის ჩინური ენის მარცვალთა სისტემის ტრანსკრიფცია-ტრანსლიტერაციის წესები სრულად სალიტერატურო ჩინურ ენაში ამჟამად მოქმედი მარცვლების შესაბამისად.

4.	**თ. ბოლქვაძე,** მ. თეთრაძე, ნ. ქელბაქიანი	ოპერაცია -ი: ქართული ენის სახელობითი ბრუნვის ფორმის გამოყენების პრობლემა ოფიციალურ დოკუმენტებში, სახელმწიფო ენის დეპარტამენტი, ბიულეტენი II, 2019-2020, ISBN 978-9941-480-63-8	თბილისი, გამომცემლობა „გრიფონი“	5

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

2004-2011 წლებში საქართველოში მოქმედი „საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა პირადობის დადასტურებისა და საქართველოს მოქალაქის პასპორტის საქართველოში მუდმივად მცხოვრები მოქალაქეობის არმქონე პირის სამგზავრო პასპორტის გაცემის წესის შესახებ ინსტრუქციის“ მე-10 მუხლი განსაზღვრავდა პირადობის (ბინადრობის) მოწმობის მოქმედების ვადებსა და რეკვიზიტებს. ამ მუხლიდან ჩვენთვის საინტერესოა შემდეგი პუნქტები:

„ა) სახელი – სახელი, რომლის ფუძე მთავრდება ხმოვანზე, იწერება მთლიანად, ხოლო სახელი, რომლის ფუძე მთავრდება თანხმოვანზე, იწერება „ი“ ხმოვნის გარეშე;

ბ) გვარი - თუ პირი ატარებს ორ შერწყმულ გვარს, მოწმობაში ჩაიწერება ორივე გვარი, გამოყოფილი დეფისით მათი თანმიმდევრობა განისაზღვრება ფაქტის დამადასტურებელი შესაბამისი დოკუმენტით;

გ) დაბადების ადგილი – საქართველოში დაბადებული პირის მოწმობაში ჩაიწერება ქალაქის, რაიონის (დაბის) შესაბამისი სახელწოდება, ხოლო საზღვარგარეთ დაბადებული პირის მოწმობაში – ქვეყნის დასახელება.“

2011 წელს ეს ინსტრუქცია ძალადაკარგულად გამოცხადდა, რასაც მოჰყვა შეცდომები პასპორტებში. კერძოდ, თანხმოვანფუძიანი სახელი წარმოდგენილია სახელობითი ბრუნვის ფორმით, რომელიც პიროვნების იდენტიფიკაციის მიზნით უცვლელად გადადის პასპორტზე დაფუძნებულ დოკუმენტებში, რაც შეცდომათა რიცხვს კიდევ უფრო მეტად ზრდის. სახელობითი ბრუნვის ნიშანი გადაჰყვება გვარებს სხვა ენაზე ტრანსლიტერაციის დროსაც.

მეორე მხრივ, სახელობითი ბრუნვის ნიშანი პირადობის მოწმობაში, პასპორტსა და მასზე დაფუძნებულ ოფიციალურ დოკუმენტებში არაქართული წარმოშობის გვარები ხშირად წარმოდგენილია სახელობითი ბრუნვის ნიშნის გარეშე: პეტროსიან, ბალდარ, ჰომლერ და ა.შ.

რაც შეეხება სახელობითი ბრუნვის ნიშნის, -ი სუფიქსის პოლიტიკურ მნიშვნელობას, აქ დგება საქართველოს ტოპონიმების ტრანსლიტერაციის საკითხი. ტრადიციულად, სხვა ენებზე ტრანსლიტერაციისას სახელობითი ბრუნვის ნიშანი შენარჩუნებულია. 2008 წელს, საქართველო-რუსეთის ომის შემდე,გ რუსეთის ფედერაციამ აღიარა საქართველოს ორი რეგიონის, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის, დამოუკიდებლობა. ამის შემდეგ რუსეთში დაიბეჭდა ახალი პოლიტიკური რუკები, რომლებზეც საქართველოს ტოპონიმები გადმოცემულია თვითაღიარებული რესპუბლიკების გადაწყვეტილების შესაბამისად: Сухуми გახდა Сухум, ხოლო Цхинвали – Цхинвал. ქართული ენის სახელობითი ბრუნვის ნიშნები სხვა გეოგრაფიულ ობიექტებსაც ჩამოშორდა. შედეგად, უცხოურენოვან დოკუმენტებში, რუკებსა და საინფორმაციო გამოცემებში -ი სუფიქსის გამოყენების მიხედვით შეიძლება დადგინდეს, თუ კონფლიქტის რომელ მხარეს უჭერენ მხარს.

აღსანიშავია, რომ სხვა ენებში, ძირითადად რუსულში, საქართველოს სსრ-ის გეოგრაფიული სახელწოდებების ბრუნვის ნიშნებიანად გადატანის გადაწყვეტილება 1936 წელს საბჭოთა ხელმძღვანელობამ მიიღო. ასე რომ, Тифлис გახდა Тбилиси. ეს მოჰყვა საქართველოს დედაქალაქის სახელის ცვლილებას თვით ქართულ ენაში: ტფილისი - თბილისი; Кутаис – Кутаиси, Батум – Батуми,

Сухум – Сухуми. მანამდე რუსეთის იმპერიისა და ადრეულ საბჭოთა რუკებსა და დოკუმენტებში -ი ბრუნვის ნიშანი არაერთგვაროვნად გამოიყენებოდა. დიდი ქალაქები უმეტესად -ი ბრუნვის ნიშნის გარეშე იწერებოდა (Тифлис(ъ), Кутаис(ъ), Батум(ъ), Сухум(ъ), Телав(ъ), Душет(ъ)), ზოგი ქალაქი -ი ბრუნვის ნიშნით იწერებოდა (Гори, Поти), ზოგ შემთხვევაში რუსული ы ხმოვანი გამოიყენებოდა и ხმოვნის ნაცვლად (Озургеты, Кобулеты), ზოგი სახელწოდება კი რუსულად თანხმოვანზე მთავრდებოდა, მაშინ როცა ქართული სახელწოდება ხმოვანფუძიანი იყო (Ахалцих(ъ) - ახალციხე, Мцхет(ъ) - მცხეთა).

სტატიაში განხილულია ყველა ის პრობლემა, რომლებიც უკავშირდება თანხმოვანფუძიანი სახელების სახელობითი ბრუნვის ფორმის გამოყენებას ოფიციალურ დოკუმენტებში და დასახულია გზები, რომლითაც შესაძლებელი გახდება დე იურე ნორმის დე ფაქტო ნორმად გადაქცევა ენობრივი პრაქტიკის ყველა სფეროში.

5.4. სტატიები ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდის (DOI) მითითებით

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათა-ური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI	ჟურნალის/ კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1 2					
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)					

5.5. სტატიები ISSN-ის მითითებით

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათა-ური, ISSN	ჟურნალის/ კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	რ. ასათიანი	პოტენციალისი ქართველურ ენობრივ სივრცეში (1512-0473)	ენათმეცნიერების საკითხები, 2019 (დაიბეჭდა 2020 წელს)	თბილისი: თსუ გამომცემლობა	10

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

როგორც გვარის, ისე პოტენციალისის კატეგორიების ფორმირება მიმდინარეობს ხმოვანპრეფიქსების ზოგადი ფუნქციის დაკონკრეტებითა და სპეციფიკაციით: არგუმენტის კლების -ი- პრეფიქსი საერთოა ორივე კატეგორიისათვის და მათი სემანტიკური სპეციფიკაცია თუ გამიჯვნა (კერძოდ, მეგრულში) სუფიქსური მაჩვენებლებით ხორციელდება. ლაზურში, ქართულისა და სვანურისგან განსხვავებით, ამ პროცესს განაპირობებს ამ ენებში ერგატიული კონსტრუქციის თავისებურებები: ლაზური თანმიმდევრულად ერგატიულია და ვნებითის კონსტრუქცია ინფორმაციის სტრუქტურირების თვალსაზრისით მისთვის ჭარბია; ხოლო მეგრული ცდილობს შეინარჩუნოს ლაზურის ვითარება და რადგან აქ კონვერსიული პასივი აწმყოსა (და მასთან დაკავშირებულ დრო-კილოებში) დასაშვებია, ვნებითისა და პოტენციალისის ფორმალურ გამიჯვნას ანიჭებს უპირატესობას. როგორც გვარის, ისე პოტენციალისის დროს ზმნის არგუმენტულ სტრუქტურაში არ ჩანს აგენსი და ეს მსგავსი ვითარება განაპირობებს გვარის პოტენციალისად კოგნიტიური ინტერპრეტაციის შესაძლებლობას. რამდენადაც "ენობრივი ფსიქოლოგია ყველა ქართველურ ენას ერთი და იგივე აქვს" (ჩიქობავა 1937:34,) გვარისა და პოტენციალისის დაახლოება და ერთგვაროვანი ფორმალიზება ყველა ქართველურ ენაში დასტურდება. გვარისა და პოტენციალისის გაერთმნიშვნელიანების პროცესს განაპირობებს ქართველურ ენათა ცვლილებების განმსაზღვრელი ერთი ძირითადი ტენდენცია – სემანტიკური შინაარსების მარკირებიდან ფუნქციური მიმართებების მარკირებაზე "არაკონფლიქტური" გადასვლა.

2	თ. ბოლქვაძე	იაფეტური თეორიის აღზევება და დაცემა ნაწილი პირველი: იაფეტური თეორიის მდგომარეობა სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ინსტიტუტებში, ISSN 1512-0473	ენათმეცნიერების საკითხები, 2019 (დაიბეჭდა 2020 წელს)	თბილისი: თსუ გამომცემლობა	17

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

სსრკ მეცნიერებათა აკდემიის პრეზიდიუმმა 1949 წლის 21 ივლისს მიიღო დადგენილება „საბჭოთა ენათმეცნიერების თანამედროვე მდგომარეობისა და სსრკ მეცნიერებათა აკადემიაში ენათმეცნიერული მუშაობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“. პრეზიდიუმმა დაგეგმა ლინგვისტურ ფრონტზე არასახარბიელო მდგომარეობის აღმოფხვრის ღონისძიებები, კერძოდ, ენისა და ლიტერატურის განყოფილებას დაევალა, რომ მეცნიერთა აკადემიის სწავლულთა სამდივნომ შეისწავლოს ენათმეცნიერული პროფილის ინსტიტუტთა გეგმები და ხელი შეუწყოს მათ საჯარო განხილვას.
ენისა და ლიტერატურის, ისტორიისა და ფილოსოფიის განყოფილებებს დაევალათ შეექმნათ იმ პრობლემათა ნუსხა, რომელთა საკვლევად საჭიროა ენათმეცნიერთა, ლიტერატურათმცოდნეთა, ისტორიკოსთა, არქეოლოგთა და ფილოსოფოსთა ერთობლივი შრომა და ამისთვის მოამზადონ შესაბამისი საორგანიზაციო ბაზა. პრეზიდიუმმა დღის წესრიგში დააყენა სსრკ მეცნიერებათა აკადემიის „მაცნის“ რედაქციის გადახალისება და ახალ შემადგენლობას დაავალა მატერიალისტური ენათმეცნიერების განვითარებაზე განუწყვეტელი ზრუნვა.
1949 წელს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს საბჭოთა ენათმეცნიერებისათვის. ამ დროს ყველაზე მეტი დისკუსია გაიმართა მარქსისტულ ენათმეცნიერებაზე. სსრკ მეცნიერებათა აკადემია ხაზგასმულად ნიკო მარის იაფეტური თეორიის ერთგული რჩებოდა და კრიტიკის ქარცეცხლში ატარებდა ყველას მთელი საბჭოეთის მასშტაბით, თუ ვინმეს კრიტიკული აზრი გამოუთქვამს მარის თეორიაზე მთლიანად ან მის რომელიმე დებულებაზე. მაშინ, როცა მთელი საბჭოეთის მასშტაბით ენათმეცნიერები ნიკო მარის თეორიის გაძლიერებაზე ფიქრობდნენ, წარმოდგენაც არ ჰქონდათ საბჭოთა ენათმეცნიერებაში მოსალოდნელი სერიოზული ცვლილებების თაობაზე, რომელიც იოსებ სტალინმა ძალიან ვიწრო ჯგუფთან ერთად დაგეგმა. სტატიაში განხილულია საარქივო მასალები შსს ყოფილი კომუნისტური პარტიის, საქართველოს ცენტრალური არქივის, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არქივის საარქივო დოკუმენტებიდან, თსუ არქივიდან კი აკად. გიორგი ახვლედიანის პირადი არქივის მონაცემები, რომლებიც აჩვენებს, როგორ შეუწყო ხელი იოსებ სტალინმა იაფეტურ თეორიას და როგორ გამოუტანა მას განაჩენი ოცდაათი წლის აღზევის შემდეგ.

3	მ. ივანიშვილი	აკადემიკოს სერგი ჯიქიას ეტიმოლოგიური ძიებები, ISSN 1512-0473	ენათმეცნიერების საკითხები, 2019 (დაიბეჭდა 2020 წელს)	თბილისი: თსუ გამომცემლობა	6

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

აღმოსავლური წარმოშობის სიტყვათა ისტორიის კვლევით სერგი ჯიქია ახალგაზრდობის წლებიდანვე ყოფილა დაინტერესებული, ამის დასტურია მისი არაერთი ნაშრომი. ს. ჯიქიას ამ სერიის ნაშრომებიდან ჩვენ ყურადღება შევაჩერეთ მის გამოკვლევაზე – „მასალები „გუთან“ სიტყვის ისტორიისთვის“ (ხელეური, ისტ., არქ. და ეთნოგრაფ. ინსტ., ტ. 22, თბილისი 1985). ს. ჯიქია არ განიხილავს გუთან- ფუძის ქართველურ შესატყვისებს. ჩვენ შევეცადეთ შეგვევსო ეს ე.წ. ლაკუნა და გადაგვედგა კიდევ ერთი ნაბიჯი ამ ფუძის ეტიმოლოგიის სრული სურათის შექმნისაკენ.
უფრო სარწმუნოა, რომ ქართველურ ენათა: ქართ. გუთ-ან-ი : ზან. გურთ-ან-ი : სვან. გუთ-Aნ „გუთანი“ შესატყვისობა იძლევა საშუალებას საერთოქართველური *გუთან- ფუძის აღდგენისა, რაც თანხმობაშია

ქართველურ ენათა ფონოტაქტიკის წესებთან (გ. ახვლედიანი 1999: 379). თუმცა გუთ- სავარაუდოდ ზმნური ძირის ეტიმოლოგია კვლავაც გაურკვეველია.

4	მ. ივანიშვილი, ი. ლეჟავა	Distributive and Acoustic Analysis of [q'] and [ʔ] Consonants in Megrelian, ISSN: 2398-8509	Leeds Working Papers in Linguistics and Phonetics, Issue 1, 2020	Leeds	24

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

განსხვავებას ქართულ თანხმოვანთა სისტემისგან მეგრულში ქმნის ც თანხმოვანი. დისტრიბუციული ანალიზის შედეგად ირკვევა, რომ /ყ/ და /ც/ მეგრული ენის თანხმოვანთა სტრუქტურაში ორი დამოუკიდებელი ფონემაა. ც მეორეული ბგერაა ყ-დან მომდინარე, პირველ ეტაპზე გვქონდა ყ || ც ვარიანტების თავისუფალი მონაცვლეობა, ხოლო შემდეგ, აღმოჩნდნენ რა კონტრასტულ პოზიციებში, ჩამოყალიბდნენ დამოუკიდებელ ფონემებად. მეგრული მეტყველების ციფრული აკუსტიკური ანალიზი შესრულებულია კომპიუტერული პროგრამებით. აკუსტიკური სურათის მიხედვით ც მეგრულში თავკიდურ პოზიციაში გლოტალური მსკდომია (მაგარი შემართვა), ხოლო ინტერვოკალურ პოზიციაში გამჟღერებული ფარინგალური აპროქსიმანტი ლარინგალიზაციით. სწორედ ც ბგერის ასეთი რთული ბუნება უნდა იყოს განსხვავებული, ზოგჯერ წინააღმდეგობრივი აღწერის მიზეზი (ცაგარელი 1880, ყიფშიძე 1914). ყ თანხმოვანი მეგრულში ფაკულტატიურად რეალიზდება გლოტალიზებული ხშულის, სპირანტის ან სპირანტოიდის (ინტერვოკალურ პოზიციაში) სახით. აღსანიშნავია, რომ სპირანტული წარმოთქმა უფრო დამახასიათებელია ჰარმონიულ კომპლექსში და ინტერვოკალურ პოზიციაში.

5	ი. ლეჟავა	მკვეთრი (ეიექტიური) თანხმოვნების ტიპოლოგიური თავისებურებები, ISSN 1512-0473	ენათმეცნიერების საკითხები 2019 (დაიბეჭდა 2020 წელს)	თბილისი: თსუ გამომცემლობა	11

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

ლინგვისტურ სტრუქტურათა მსოფლიოს ატლასში (World Atlas of Linguistic Structures. WALS) წარმოდგენილი 567 ენიდან მკვეთრი თანხმოვნები დასტურდება 95 ენაში, რომლებიც ენათა 34 ოჯახს განეკუთვნება. ისინი გვხვდება სხვადასხვა გეოგრაფიულ რეგიონში - კავკასიაში, ჩრდილო და სამხრეთ ამერიკაში, აფრიკაში, ავსტრალიაში.

ქართველური ენების დილექტების მკვეთრი თანხმოვნები პირობითად შეიძლება სამ ჯგუფად დაიყოს: ბალსზემოური - ყველაზე უფრო დაჭიმულები, ხევსურული, ლენტეხური და ზუგდიდურ-სამურზაყანული – შედარებით ზომიერები, და უფრო სუსტები – თანამედროვე ქართული, გურული და ხოფური.

6	ე. სოსელია	გლოტოქრონოლოგია და ლექსიკოსტა-ტისტიკა, ISSN 1512-0473	ენათმეცნიერების საკითხები 2019 (დაიბეჭდა 2020 წელს)	თბილისი, თსუ გამომცემლობა	10

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

სტატიაში განხილულია მ. სვოდეშის გლოტოქრონოლოგიური მოდელი, რომელიც ენათმეცნიერებაში 40-იანი წლების მიწურულსა და 50-იანი წლების დასაწყისში გამოჩნდა, თუმცა მანამდე ცნობილი იყო

სეპირის, ლათმანის, კრობერისა და კრეტიენის ლექსიკოსტატისტიკური მოდელები. სვოდეშის მოდელი გამოიყენება აბსოლუტური ქრონოლოგიისათვის, რაც გულისხმობს მონათესავე ენებისთვის ქრონოლოგიური სიღმის განსაზღვრას, ანუ შესაბაბმისი ფუძეენის დათარიღებას. სვოდეშის მოდელი ემყარება ბაზისური ლექსიკონის 100- ან 200-სიტყვიან სიას, გამოთვლილია ბაზისური ლექსიკის „ცვეთის“ საშუალო სიჩქარე და მოცემულია ფორმულა ფუძეენის დათარიღებისათვის (არქეოლოგიაში დამკვიდრებული რადიაქტიული მეთოდის ანალოგიურად).

სვოდეშის მოდელის მიმართ გამოითქვა გარკვეული შენიშვნები და გლოტოქრონოლოგიური მოდელის ერთგვარი გაუმჯობესება შემოგვთავაზა ს. სტაროსტინმა, თუმცა აქცენტი გააკეთა ძირებზე და შემოგვთავაზა ფორმულა, რომლის მიხედვითაც ენაში ნებისმიერი ტექსტიდან ამოკრეფილი 100 ორიგინალური ძირის საფუძველზე შესაძლებელი ხდება შესაბამისი ფუძეენის დათარიღება.

6. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა უცხოეთში

6.1. მონოგრაფიები/წიგნები

№	ავტორი/ავტორები	მონოგრაფიის/წიგნის სათაური, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1 2				
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)				

6.2. სახელმძღვანელოები

№	ავტორი/ავტორები	სახელმძღვანელოს სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1 2				
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)				

6.3. კრებულები

№	ავტორები	კრებულის სახელ-წოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1 2 3				
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)				

6.4. სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI ან ISSN	ჟურნალის/ კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1 2 3					
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)					

7. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

7.1. საქართველოში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	თ. ბოლქვაძე	ნასესხები სიტყვების ხელახალი სესხების პრობლემა თანამედროვე ქართულ სალიტერატურო ენაში	სალიტერატურო ენის საკითხები, თსუ, არნ. ჩიქობავას ენათმეცნიერების ინსტიტუტი, 21 აპრილი, 2020, ზუმის პლატფორმაზე
მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა) მოხსენებაში განხილულია ის ნასესხები სიტყვები, რომლებიც უკვე არის ქართული სალიტერატურო ენის ლექსიკის შემადგენელი ნაწილი, მაგრამ მათი ხელახალი სესხება იწვევს ამ სიტყვების სემანტიკისა და დისტრიბუციის ცვლილებას. მაგალითად, ოფიცერი, ლოკაცია, რეჟიმი, რომლებიც ჩვეულებრივია სამხედრო ტერმინოლოგიისათვის, იცვლის გამოყენების არეალს, რითაც იზრდება მათი დისტრიბუცია და სიხშირე. ლოკაცია ლამის მთლიანად ენაცვლება ადგილს ყოველდღიურ მეტყველებაშიც კი; ოფიცერი ხდება საბანკო ტერმინთა შემადგენელი ნაწილი როგორც დამოუკიდებლად, ისე სხვადასხვა კომპოზიტსა და სიტყვათშეთანხმებებში: ფრონტოფიცერი, დაზღვევის ან რისკების ოფიცერი და სხვა. ასეთივე შეცვლილი გამოყენების არეალი აქვს სიტყვა ასპირანტს – გამოიყენებოდა უმაღლესი განათლების სისტემაში, ახლა კი კანდიდატის მნიშვნელობით გამოიყენება სამხედრო საქმესა და პოლიტიკურ ტერმინებში: ნატოს ასპირანტი ქვეყანა. ასევე აქვთ რეესტრი შეცვლილი სიტყვებს: ამბიცია, აპლიკაცია, კონტრიბუცია, კომუნიკაცია, სპეკულაცია, სენსიტიური, სენსორული... ამ სახის ხელახალი ნასესხობების მოძიება და მათი სემანტიკის ცვლილებაზე დაკვირვება გრძელდება.			
2	თ. ბოლქვაძე	მეგრული ჟარგონის გენეზისისათვის	გივი დოლიძის 100 წლისთავისადმი მიძღვნილი სხდომა, 25 დეკემბერი, 2020, ზუმის პლატფორმაზე
მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა) მოხსენებაში განხილულია ის ენობრივი წყაროები, რომლებიც კვებავენ მეგრულ ჟარგონს. ქართულ-მეგრული დიგლოსია აისახება მეგრული ჟარგონის გენეზისში. იგი ეფუძნება ქართულ ჟარგონს, რომელიც, თავის მხრივ, დიდად არის დეტერმინირებული საბჭოური რუსული ჟარგონით. ამას გარდა, ქართულ ჟარგონის ლექსიკას ქმნის სემიტური (უფრო მეტად ებრაული; როგორც რუსული ჟარგონიდან, ისე დამოუკიდებელი გზით შემოსული), სპარსული და თურქული ნასესხობები. ამას გარდა, მოხსენებაში			

განხილულია ჟარგონის, როგორც სოციალური დიალექტის, მიმართება ტერიტორიულ დიალექტებთან და სალიტერატურო ენასთან. ჟარგონი ეფუძნება და იმეორებს იმ ფონეტიკურ, მორფოლოგიურ, სინტაქსურ შესაძლებლობებს, რომლებიც ახასიათებს ძირითად ენას. დარღვევები ამ მიმართულებით მიზნად ისახავს ხაზგასმას. ჟარგონის ძირითად სხვაობას ქმნის ლექსიკური ფონდი, რომლებშიც ცალ-ცალკე გამოიყოფა: ბარბარიზმები, კანცელარიზმები, ვულგარიზმები, დისფემიზმები, არგო, ევფემიზმები, უცენზურო სიტყვები და გამოთქმები, ბილწსიტყვაობა. მოხსენებაში არის მცდელობა მეგრული ჟარგონის შემადგენელი ლექსიკის ამგვარი დიფერენცირებისა. ამ მიმართულებით მუშაობა კვლავ გრძელდება.			
3	ე. სოსელია	თანამედროვე გლოტოქრონოლოგია და ქართველური ენები	გივი დოლიძის 100 წლისთავისადმი მიძღვნილი სხდომა, 25 დეკემბერი, 2020, ზუმის პლატფორმაზე
მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა) მოხსენებაში წარმოდგენილია ს. სტაროსტინის ძირის გლოტოქრონოლოგიური მოდელი: შედარებით დაწვრილებით არის განხილული აღნიშნული მოდელის ძირითადი პრინციპები. ძირის გლოტოქრონოლოგიურ მოდელთან მიმართებაში განხილულია ქართველურ ენათა გენეალოგიური ხის პრობლემა. ქართველური ენების მიმართ ძირის გლოტოქრონოლოგიურ მოდელის გამოყენების მიზნით ჩატარებულია წინასწარი გამოთვლები, რომელთა შედეგები აშკარად მეტყველებს გ. დეეტერსის გენეალოგიური ხის სასარგებლოდ.			

7.2. უცხოეთში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	რ. ასათიანი,	Morphological Adaptation of Russian and Turkish Borrowings in Georgian	5-8 ნოემბერი, ვაშინგტონი, აშშ
2	რ. ასათიანი, მ. ივანიშვილი, ე. სოსელია	Cognitive Approach: Typology of a Dative Subject and Georgian Data(https://sites.euser.org/icss18 https://www.centraleurasia.org/	ICSS XXII Amsterdam and ICMS XXIV Brussels, 30-31 October, Amsterdam (გადაიდო)
მოხსენებაში განხილულია დატიური კონსტრუქციები (ზმნური კონსტრუქციები, რომლებშიც ქვემდებარე მიცემითი ბრუნვის ფორმითაა გადმოცემული) ზოგადტიპოლოგიური თვალსაზრისით; მათთან მიმართებაში გაანალიზებულია ქართული ენის დატიური კონსტრუქციები, რომლებიც ძირითადად დასტურდება ე.წ. გრძნობა-აღქმის ზმნებთან და ქართული ზმნის უღვლილების მესამე სერიის ფორმებთან.			
3	რ. ასათიანი	An algorithm defining the verb valence changes in Georgian	13-14 ნოემბერი, ხიემენი,

4	თ. ბოლქვაძე	The discussion of 1950 through the eyes of Georgian linguists	La discussion linguistique de 1950: 70 ans plus tard/ Лингвистическая дискуссия 1950 года: 70 лет спустя ,University of Lausanne, Switzerland, 4 June 2020, ზუმის პლატფორმაზე
5	ნ. ბეპიევი, **თ. ბოლქვაძე**	Importance of the Ossetian Manuscript of 1802	მეექვსე საერთაშორისო კონფერენცია - ქართულ-ოსურ ურთიერთობათაა განვითარების პერსპექტივები 13-15 ოქტომბერი, 2020 ზუმის პლატფორმაზე
მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა)			

დამატებითი ინფორმაცია

1. სახელმწიფო ბიუჯეტით დაფინანსებული ჟურნალის "ენათმეცნიერების საკითხები" – 2019 (გამოვიდა 2020 წელს) აღწერილობა:

ჟურნალი "ენათმეცნიერების საკითხები" (ISSN 1512-0473) ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე გამოდის 1999 წლიდან. სამეცნიერო ჟურნალი წარმოადგენს მნიშვნელოვან რეცენზირებად, ორენოვან, პერიოდულ გამოცემას. ჟურნალის რედკოლეგიის წევრები არიან ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ფილოლოგიური მიმართულების წარმომადგენლები და თეორიული და გამოყენებითი ენათმეცნიერების სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის თანამშრომლები, ხოლო სარედაქციო საბჭოს წევრები – გამოჩენილი ქართველი და უცხოელი ენათმეცნიერები. ჟურნალს 2007 წლიდან გამოსცემს ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა და ჟურნალის ყოველი ნომერი (ISSUES OF LINGUISTICS) განთავსებულია თსუ გამომცემლობის ვებგვერდზე და სოციალურ სამეცნიერო ქსელში - academia.edu. "ენათმეცნიერების საკითხების" 2019 წლის ნომერი გამოირჩევა სტატიათა თემატური მრავალფეროვნებით და ეძღვნება ენათმეცნიერების ისტორიის, ონომასტიკის, ფრაზეოლოგიის, ქართველური ენების, ფონეტიკის, ფონოლოგიის, მორფოლოგიის, სინტაქსის, მოდალური სემანტიკის, ეტიმოლოგიისა და ლექსიკოლოგიის საკითხებს. ასევე წარმოდგენილია ალექსეი ლიავდანსკის ნაშრომის თარგმანი – „დასავლურ-სემიტური ანბანის წარმოშობა და განვითარების ადრეული ეტაპები“,

2. სარედაქციო და მთარგმნელობითი საქმიანობა

- თ. გამყრელიძე, თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ჟურნალის - "ენათმეცნიერების საკითხების" მთავარი რედაქტორი.
- რ. ასათიანი, თ. ბოლქვაძე, მ. ივანიშვილი, ი. ლეჟავა, ე. სოსელია – თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ჟურნალის – "ენათმეცნიერების საკითხების" სარედაქციო კოლეგიის წევრი.

თარგმანისა და ლიტერატურული
ურთიერთობების
სასწავლო-სამეცნიერო
ინსტიტუტი

ანგარიშის ფორმა №2

2020 წელს გაწეული სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ანგარიში

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის დასახელება

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის თარგმანისა და ლიტერატურული ურთიერთობების სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი

სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა ხელმძღვანელის მითითებით

ნანა გაფრინდაშვილი, პროფესორი, **ინსტიტუტის ხელმძღვანელი**
ეკატერინე ნავროზაშვილი, ასოცირებული პროფესორი
ნინო წერეთელი, ასოცირებული პროფესორი

1. სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის პერსონალის მიერ შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

1.1.

№	გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	2	3	4
გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2020 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)			

1.2.

№	დასრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს	**პროექტის დაწყების თარიღი** 25.09.2020	თამარ ლებანიძე ფონდ „დიოგენეს“

	„კულტურის ხელშეწყობის პროგრამის“ (კოდი: 32.09.02) ფარგლებში დაფინანსებული პროექტი „ვახუშტი კოტეტიშვილის სახელობის კონკურსი ახალგაზრდა მთარგმნელთათვის „ვახუშტი კოტეტიშვილი 85“ (ხელშეკრულება #639) **მიმართულება** **თარგმანი**	**პროექტის დასრულების თარიღი** 10.12.2020	დირექტორი, პროექტის ხელმძღვანელი **ნანა გაფრინდაშვილი** **კონკურსის საორგანიზაციო კომიტეტის წევრი** **ეკატერინე ნავროზაშვილი** **კონკურსის საორგანიზაციო კომიტეტის წევრი** თეა შურღაია კონკურსის საორგანიზაციო კომიტეტის წევრი გიორგი ლობჟანიძე კონკურსის საორგანიზაციო კომიტეტის წევრი მარინა ალექსიძე კონკურსის საორგანიზაციო კომიტეტის წევრი მზია ბურჯანაძე კონკურსის საორგანიზაციო კომიტეტის წევრი

დასრულებული კვლევითი პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

ფონდ „დიოგენესა“
და
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ერთობლივი ორგანიზებით ჩატარებული „ვახუშტი კოტეტიშვილის სახელობის კონკურსი ახალგაზრდა მთარგმნელთათვის „ვახუშტი კოტეტიშვილი 85“

პროექტი ითვალისწინებდა ვახუშტი კოტეტიშვილის სახელობის კონკურსის ჩატარებას ახალგაზრდა მთარგმნელთათვის და საუკეთესო საკონკურსო ტექსტების სპეციალური კრებულის

სახით გამოცემას.

კონკურსი მიზნად ისახავდა ახალგაზრდების დაინტერესებას მხატვრული და არამხატვრული ტექსტების თარგმნით უცხოური ენებიდან ქართულ ენაზე, ნიჭიერი ახალგაზრდა მთარგმნელების აღმოჩენას და წარმოჩენას.

კონკურსის მონაწილეთა ასაკი 20-დან 35 წლამდე განისაზღვრა. კონკურსი სამ ნომინაციაში ჩატარდა: პოეზია, მხატვრული პროზა, არამხატვრული ტექსტი (დოკუმენტური პროზა, ესეისტიკა, კრიტიკა, პუბლიცისტიკა).

ეს კონკურსი ერთგვარი გაგრძელებაა საქართველოში 2010, 2011, 2016 და 2017 წლებში წარმატებით ჩატარებული კონკურსებისა, რომელთა მიზანი ვახუშტი კოტეტიშვილის სახელობის პრემიის დაწესება და შესაბამისი კონკურსის ჩატარება იყო. უნდა აღინიშნოს, რომ წელს ქართული ლიტერატურისა და მთარგმნელობითი საქმის გამორჩეულ ფიგურას ვახუშტი კოტეტიშვილს დაბადებიდან 85 წელი შეუსრულდა.

კონკურსის ძირითადი ეტაპი - საკონკურსო მასალების მიღება; მომდევნო სამუშაოები - ჟიურის სხდომები და კრებულის მომზადება.

კრებულის ეგზემპლარები, რომელიც კონკურსის თანაორგანიზატორის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის მიერ მომზადა, დაიბეჭდება, გადაეცემა საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს, აგრეთვე, უფასოდ გავრცელდება ბიბლიოთეკებში და მედიათეკებში. კრებულის ელ.ვერსია ასევე უფასოდ ხელმისაწვდომი იქნება პროექტის ორგანიზატორების ვებგვერდებზე და ელექტრონული წიგნების ონლაინ პლატფორმებზე saba.com.ge და lit.ge.

10 დეკემბერს ზუმის პლატფორმაზე გაიმართა გამარჯვებულების დაჯილდოება.

2. შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტით დაფინანსებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

2.1.

№	გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	2	3	4

გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2020 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

2.2.

№	დასრულებული (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	მობილობისა და საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიების გრანტი (საკონფერენციო გრანტი) ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის მიერ ორგანიზებულ ახალგაზრდა მეცნიერთა III საერთაშორისო სიმპოზიუმის ჩასატარებლად (27-30 ნოემბერი, 2019) ჰუმანიტარულ მეცნიერებებში (ხელშეკრულება MG-ISE-19-675)	პროექტი დაიწყო 2019 წელს და დასრულდა 2020 წლის მაისში **კრებულის გამოცემით**	**ნანა გაფრინდაშვილი** **პროექტის ხელმძღვანელი** ძირითადი პერსონალი: დარეჯან გარდავაძე ნინო კვირიკაშვილი ივანე მჭედელაძე თეა ქამუშაძე გიორგი ჯღარკავა

დასრულებული კვლევითი პროექტის 2020 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე 2019 წლის 27-30 ნოემბერს ფაკულტეტის სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურის ორგანიზებით ჩატარდა ახალგაზრდა მეცნიერთა III საერთაშორისო სიმპოზიუმი, რომელიც უნივერსიტეტის ასწლოვანი იუბილეს ფარგლებში მიზნად ისახავდა თსუ-ში ასწლოვანი სწავლებისა და კვლევის ისტორიის მქონე დარგის - აღმოსავლეთმცოდნეობის პოპულარიზაციას, თუმცა არ შემოფარგლულა მხოლოდ აღმოსავლეთმცოდნეობით და სექციებსა და სამუშაო ჯგუფებში წარმოდგენილი იყო ჰუმანიტარული პროფილის ყველა დარგითა და მიმართულებით. საპატიო უცხოელი სტუმრები, რომელთაც საჯარო ლექციები წაიკითხეს უნივერსიტეტში, მსოფლიოს წამყვანი სამეცნიერო და კვლევითი ცენტრებიდან, უნივერსიტეტებიდან მოწვეული აღმოსავლეთმცოდნეები იყვნენ.

სიმპოზიუმის სამეცნიერო კომიტეტმა იმუშავა კონფერენციის სექციებზე წაკითხული მოხსენებების სტატიებად მისაღებად .
გრანტი დაიხურა 2020 წლის მაისში ახალგაზრდა მეცნიერთა III საერთაშორისო სიმპოზიუმის მასალების კრებულად გამოცემით (თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა).

3. უცხოური გრანტებით დაფინანსებული სამეცნიერო პროექტები

3.1. გარდამავალი პროექტი

№	გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი, დამფინანსებელი ორგანიზაცია/ სამეცნიერო ფონდი, ქვეყანა	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	2	3	4
გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2020 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)			

3.2. დასრულებული პროექტი

№	დასრულებული (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი, დამფინანსებელი ორგანიზაცია/სამეცნიერო ფონდი, ქვეყანა	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	2	3	4
დასრულებული კვლევითი პროექტის 2020 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)			

4. პატენტები

4.1. საერთაშორისო პატენტები:

№	საპატენტო თემატიკის სათაური	გამომგონებელი/ები და პატენტმფლობელი/ები	პატენტის საიდენტიფიკაციო კოდი

4.2. ეროვნული პატენტები

№	საპატენტო თემატიკის სათაური	გამომგონებელი/ები და პატენტმფლობელი/ები	პატენტის საიდენტიფიკაციო კოდი

5. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში

5.1. მონოგრაფიები/წიგნები

№	ავტორი/ავტორები	მონოგრაფიის/წიგნის სათაური, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1 2				
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)				

5. 2. სახელმძღვანელოები

№	ავტორი/ავტორები	სახელმძღვანელოს სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1 2				
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)				

5.3. კრებულები

№	ავტორი/ავტორები	კრებულის სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	ნანა გაფრინდაშვილი	საქართველოს ლიტერატურათმცოდნეობის აკადემია. შრომები, X. კოლონიური და პოსტკოლონიური ეპოქების ლიტერატურულ-კულტურული სივრცე, როგორც შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობის კვლევის ობიექტი. ISBN 978-9941-25-901-2	თბილისი, მერიდიანი 2020	გვ.105-117
2	ნანა გაფრინდაშვილი	აკაკი წერეთლის დაბადებიდან 180 წლისთავისადმი სამეცნიერო შრომების კრებული	თბილისი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2020	გვ,:40-49

		ციტატური რემინისცენცია, როგორც მხატვრული ტექსტის ელემენტი. ISBN 978-9941-13-955-0		
3	ეკატერინე ნავროზაშვილი ნანა გონჯილაშვილი	აკაკი წერეთლის დაბადებიდან 180 წლისთავისადმი სამეცნიერო შრომების კრებული მირზა ფათალი ახუნდზადეს ერთი პიესის თარგმანის ისტორიისათვის ISBN 978-9941-13-955-0	თბილისი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2020	გვ,: 51-61

ვრცელი ანოტაციები (ქართულ ენაზე)

ნანა გაფრინდაშვილი

კოლონიური და პოსტკოლონიური ეპოქების ლიტერატურულ-კულტურული სივრცე, როგორც შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობის კვლევის ობიექტი

კულტურულ-ლიტერატურული სივრცე ის ადგილია, სადაც ხდება კულტურულ-ლიტერატურული ფასეულობების, ესთეტიკური აზროვნების ფორმირება და ტრანსფორმირება. ამ პროცესების გათვალისწინების გარეშე შეუძლებელია მხატვრულ ლიტერატურაში მულტიკულტურალიზმის კვლევა, იმ მწერალთა შემოქმედების შესწავლა, რომლებიც სხვა/არამშობლიურ ლიტერატურულ-კულტურულ სივრცეში აღმოჩნდნენ და იქ გააგრძელეს თავიანთი ცხოვრება- მოღვაწეობა.

სხვა ფაქტორებთან ერთად კულტურულ-ლიტერატურული სივრცის შეცვლამაც გამოიწვია სერიოზული ტრანსფორმაციული პროცესები, ჩამოაყალიბა ახალი ტიპის მწერლები, რომელთა ცნობიერებაში დამკვიდრებული ბინარული ოპოზიცია „ჩემი(შინაური)-სხვა(გარეშე)“ მათ მხატვრულ ტექსტებში სხვადასხვა დონეზე ვლინდება. ამ მწერლებს სხვადასხვა სახელით მოიხსენიებენ: „მულტიკულტურული მიმართულების მწერლები“ (ტოლკაჩოვი), „ახალი

ინტერნაციონალისტები“ (კინგი), მწერალი-„ანდროგინები“ (ებანოიძე). ისინი ცდილობენ, თავიანთ ნაწარმოებებში მოახდინონ ჰიბრიდულ კულტურასთან, ახალ ლიტერატურულ-კულტურულ სივრცესთან თავიანთი ობიექტური მიკუთვნებულობისა და თავიანთი ჰიბრიდული მენტალობის დემონსტრირება. მწერალთა ერთი ნაწილი ცდილობს, გაიზიაროს, გაითავისოს „სხვა“ ეროვნული იდეოლოგია, ხოლო თავისი ჰიბრიდული მენტალობა ქვეტექსტში გაამჟღავნოს, ზოგი კი შეგნებულად წამოსწევს წინა პლანზე თავის ჰიბრიდულ მენტალობას. ასე რომ, ლიტერატურაში ჰიბრიდულობა განსაკუთრებით საინტერესოდ ვლინდება მულტიკულტურალიზმის დონეზე და ეხმიანება მულტიკულტურალიზმის უმთავრეს მოთხოვნას, არსებობდეს პირობები, რათა მოხერხდეს სხვადასხვა კულტურათა და ლიტერატურათა ურთიერთშეღწევა და ურთიერთგამდიდრება. ეს პროცესები მეტ-ნაკლები ინტენსივობით მიმდინარეობს ყველა კულტურის წიაღში. განსაკუთრებით აღსანიშნავია თანამედროვე სამყაროს კულტურული ცხოვრებისათვის მნიშვნელოვანი ასპექტი, კერძოდ, განვითარებული დასავლური ქვეყნების კულტურულ ველში „მესამე სამყაროს“ ქვეყნების ემიგრანტების კულტურის ელემენტების ჩართვა.

კულტურულ-ლიტერატურული სივრცის შეცვლა და ჰიბრიდირება არც საბჭოთა სინამდვილისთვის იყო უცხო, თუმცა, ეს განსხვავებული, სხვა პრინციპებით დეტერმინებული პროცესები იყო. მასთან მულტიკულტურალიზმის კონცეფციის დაკავშირება მხოლოდ პირობითად თუ შეიძლება, რადგან ეს კონცეფცია (მისი თანამედროვე გაგებით) სსრკ-ში ვერ იარსებებდა. მულტიკულტურალიზმის იდეოლოგია, რომელიც ეფუძნება „კულტურული მრავალფეროვნების“ იდეოლოგიას, მიუღებელი იყო საბჭოთა ხელისუფლებისათვის. მულტიკულტურალიზმის თეორია და იდეოლოგია, რომელიც მიისწრაფის დისკრიმინაციის აღმოფხვრისაკენ და ქადაგებს ეროვნული უმცირესობისა და უმრავლესობის თანასწორობას, შეიქმნა ამერიკული კულტურის, როგორც „სადნობი ქოთნის“ (Melting pot), გაგების საპირწონედ. რაც შეეხება საბჭოთა სინამდვილეში დეკლარირებულ ლოზუნგებს ხალხთა ძმობისა და მეგობრობის შესახებ, მათ თავიანთი არსით არაფერი ჰქონდათ საერთო ჭეშმარიტ დასავლურ ფასეულობებთან. სსრკ-ში რუსი „უფროსი ძმა“ იყო, დანარჩენი ეროვნების ხალხები კი უმცროსი და უუფლებო „ძმები“ იყვნენ. ხელისუფლების ძალისხმევა მიმართული იყო იქითკენ, რომ კულტურათა, ლიტერატურათა, ერთა და ა.შ. შერწყმის საშუალებით მიეღოთ ერთი კულტურა - საბჭოთა კულტურა, ერთი ლიტერატურა - საბჭოთა ლიტერატურა, ერთი ხალხი - საბჭოთა ხალხი.

კულტურულ-ლიტერატურული სივრცის შეცვლა და კულტურათა ურთიერთშეღწევადობის მიმართ დამოკიდებულება დროთა განმავლობაში იცვლება როგორც ოფიციოზის, ასევე რიგითი ადამიანების აღქმის დონეზე. მაგალითად, დღეს კანადაში განსხვავებულ კულტურებს აფასებენ და უფრთხილდებიან, როგორც კულტურის მოზაიკის მნიშვნელოვან ნაწილებს; ამერიკაში „სადნობი ქოთნის“ (Melting pot) კონცეფცია, რომელიც ახალი კულტურის წარმოქმნას მოსახლეობის ყველა ეთნიკური ელემენტის ეთნიკური კულტურის ასიმილაციითა და შთანთქმა-შესრუტვით ქადაგებდა, „სასალათის“ კონცეფციით შეცვალეს; საბჭოთა კოლონიური წარსულის ყბადაღებული „ხალხთა შორის მეგობრობა“ პოსტსაბჭოთა სივრცის უმეტეს ქვეყანაში (მათ შორის ჩვენთანაც) ჭეშმარიტ დასავლურ ფასეულობებზე დაფუძნებულმა ერთაშორისმა ურთიერთობებმა შეცვალა და ა. შ.

კულტურულ-ლიტერატურული სივრცის ცვლილებით გამოწვეული კულტურათა ჰიბრიდულობა საბჭოთა პერიოდის ქართულ ლიტერატურაში განსაკუთრებით მძაფრად

გამოვლინდა ბილინგვი (ალექსანდრე ებანოიძე) და რუსულენოვანი ქართველი მწერლების (ბულატ ოკუჯავა), ქართული წარმოშობის უცხოეთში დაბადებული მწერლის (გივი მარგველაშვილი), უცხოეთში მოღვაწე ქართველი ემიგრანტი მწერლების (გრიგოლ რობაქიძე, გიორგი პაპაშვილი) და სხვ. შემოქმედებაში. ასევე უაღრესად საინტერესოა თანამედროვე პოსტკოლონიური ქართული მწერლობის შესწავლა ამ თვალსაზრისით (ნინო ხარატიშვილი, ელენე ბოჭორიშვილი, მაია ციციშვილი, ირმა შიოლაშვილი და სხვ.) და მათი მხატვრულ-ესთეტიკური სამყაროს, ღირებულებების, მენტალობის, ჰიბრიდულობის თავისებურებებისა და მარკერების წარმოჩენა.

ნანა გაფრინდაშვილი
ციტატური რემინისცენცია, როგორც მხატვრული ტექსტის ელემენტი

ლიტერატურათმცოდნეობაში მდიდარი გამოცდილებაა დაგროვებული „თავისისა“ და „სხვისის“ ურთიერთმიმართების კვლევის თვალსაზრისით. ეს პრობლემა ძველია და საკმაოდ ხშირად ექცევა მკვლევართა ყურადღების ცენტრში. ლიტერატურული მიბაძვა, სესხება, პლაგიატი და სხვ., ხშირად გვევლინება კვლევის ობიექტებად. მათ შორის მეტად საინტერესო კატეგორიაა რემინისცენცია, რომლის მრავალი თეორიული თუ პრაქტიკულ-ლიტერატურული ასპექტი ჯერ კიდევ საჭიროებს შემდგომ კვლევასა და ანალიზს.

ტარტუს სკოლის შესანიშნავმა წარმომადგენლებმა და მეოცე საუკუნის სხვა თვალსაჩინო მკვლევრებმა, ზ. მინცმა, რ. ტიმენჩიკმა, პ. ტოროპმა, ი. ლევინმა, ტ. სეგალმა და სხვებმა თავიანთი კვლევებით ნათლად უჩვენეს რემინისცენციებისა და ციტატების, როგორც მხატვრული ტექსტის უმნიშვნელოვანესი ელემენტების, როლი, ფუნქცია და მნიშვნელობა ავტორისეული ჩანაფიქრის აღქმისა და გაგების თვალსაზრისით. ამ მკვლევართა მიგნებები და პოზიცია ლოგიკურ ბმაშია მ. ბახტინის კონცეფციასთან, რომლის მიხედვით კულტურა დიალოგური ფენომენია, ხოლო დიალოგი კულტურის უნივერსალური კატეგორია და ყველა მხატვრული ტექსტი არსებობს იმდენად, რამდენადაც არის ჩართული დიალოგში ან პოლილოგში სხვა ტექსტებთან.

რემინისცენციისა და დიალოგის განსხვავებული ასპექტების კვლევა არც ქართული ლიტერატურათმცოდნეობისათვისაა უცხო. რემინისცენციასა და მასთან დაკავშირებულ სხვადასხვა საკითხს იკვლევენ სხვადასხვა თაობის მკვლევრები. ამ თვალსაზრისით საინტერესოა მ. მირესაშვილის, ნ. გაფრინდაშვილის, თ. სიდამონიძის, მ. კვირკველიასა და სხვათა ნაშრომები.

რემინისცენცია პროდუქტიული მხატვრული ხერხია, რომელიც ორგვარ მეხსიერებასთან არის დაკავშირებული. ადამიანის მიერ ნებისმიერი ინფორმაციის კოდირების, შენახვისა და აღდგენის ფსიქიკური უნართან და მხატვრულ-ესთეტიკურ მეხსიერებასთან, რომლის საშუალებითაც ხდება ავტორის მიერ მხატვრული ნაწარმოების რეციფიენტის გადამისამართება წინამორბედების ან თანამედროვეების კულტურულ-ისტორიულ ფაქტებთან, მოვლენებთან, ნაწარმოებებთან. ამ ლიტერატურულ-კულტურული თუ ისტორიულ-საზოგადოებრივი პარალელების ბუნება, როლი და ფუნქცია მეტად საინტერესოა. ეს არის თავისებური ფორმის დიალოგი, რომელსაც ავტორი მართავს მკითხველთან იმ იმედით, რომ მკითხველიც იცნობს და ცნობს ძველ კულტურას და

ჩასწვდება, გაიაზრებს და გაიგებს მის სათქმელს.

სხვადასხვა ეპოქაში რემინისცენციის განსხვავებული გაგება არსებობდა.თუმცა მწერლები და ხელოვნების სხვა დარგების წარმომადგენლები ხშირად იყენებენ რემინისცენციას, მიზანმიმართულს თუ უნებლიეს, რათა სხვა მწერლის, მუსიკოსის, მხატვრის და ა.შ. ნაწარმოების რომელიმე მხატვრული ელემენტის, პასაჟის, სათაურის, მოტივის და ა. შ. საშუალებით მკითხველამდე, მსმენელამდე, მნახველამდე მიიტანონ თავიანთი სათქმელი, გამოხატონ თავიანთი იდეურ-ესთეტიკური პოზიცია. ამას ისინი ძირითადად ცნობიერების რეფლექსირებული რეტროსპექციით, ალუზიით, ციტირებით, ამავე ან მსგავს თემაზე უკვე არსებული ხელოვნების ნიმუშის, მხატვრული ფრაზის თუ კონსტრუქციის აღდგენა-განმეორებით და ა.შ. ახდენენ.

რემინისცენციას უმნიშვნელოვანესი ადგილი უჭირავს ქართულ ლიტერატურაში, ის მეტად საინტერესო და პროდუქტიული მხატვრული ხერხია. იგი მკითხველს ანიჭებს ერთხელ განცდილთან, წაკითხულთან, ნაცნობთან კვლავ შეხვედრის ესთეტიკურ სიამოვნებას და აქვს შესაძლებლობა, უსაზღვროდ გააფართოვოს არა მარტო ავტორის შემოქმედებითი პალიტრა, არამედ ტექსტის აზრობრივი ჩარჩოები და მკითხველის თვალსაწიერი. იგი მაღალი ინტელექტის, დახვეწილი მხატვრულ-ესთეტიკური გამოცდილებისა და კულტურის მქონე მკითხველის ლიტერატურული მეხსიერებისა და ასოციაციური აღქმის უნარის იმედით იქმნება. ლიტერატურული რემინისცენციით მწერლები ახალ ლიტერატურულ სიცოცხლეს აძლევენ წინამორბედთა თუ თანამედროვეთა მხატვრულ ნაწარმოებებს და დიალოგის საშუალებით ქმნიან ახალ მხატვრულ რეალობას. ლიტერატურულ რემინისცენციას აქვს ფილოსოფიური და ესთეტიკურ-უტილიტალური ფუნქცია. იგი აერთიანებს კულტურათა ისტორიულ გამოცდილებას, სხვადასხვა თუ ერთ პერიოდში შექმნილ მხატვრულ ტექსტებს, რის შედეგადაც იქმნება სიტყვაკაზმული მწერლობის ჰიპერტექსტი.

შეიძლება ითქვას, რომ რემინისცენცია, ერთი მხრივ, მკითხველის „გამოცდაცაა“ მწერლის მხრიდან მოწყობილი, მეორე მხრივ კი, თავისებური ესთეტიკური თამაში, გამოიცნობს თუ არა მკითხველი სხვა ნაწარმოებებიდან აღებულ მხატვრულ სახეებს, პერსონაჟებს, სიუჟეტის პლასტებს, ანუ ამ ნაწარმოებისათვის, ერთი შეხედვით, „უცხო“, მაგრამ მასში ორგანულად ჩასმულ ახალ „სამშენებლო მასალას“, რომელიც ორიგინალის ტექსტისაგან გასხვავებულად, ახლებურად იკითხება და განსხვავებულ ფუნქციას ასრულებს ახალ მხატვრულ რეალობაში. რასაკვირველია, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში რემინისცენციის ხასიათი დამოკიდებულია მხატვრულ ტექსტში მის მხატვრულ-ესთეტიკურ ფუნქციასა და მიზანზე.

სტატიაში რემინისცენციის პრაქტიკული მოდელები ნაჩვენებია იაკობ ხუცესის „შუშანიკის წამებისა“ და ანა კალანდაძის პოეზიის მაგალითზე.

ეკატერინე ნავროზაშვილი, ნანა გონჯილაშვილი

მირზა ფათალი ახუნდზადეს ერთი პიესის თარგმანის ისტორიისათვის

საქართველოსა და აზერბაიჯანის ისტორიული მეგობრობა საუკუნეებს ითვლის.

რუსთველისა და ნიზამის ეპოქის დასახელებაც საკმარისია ამ ორი ერის კულტურულ ურთიერთობათა ნათელსაყოფად. განსაკუთრებული სიახლოვე XIX ს-ში ვლინდება, როდესაც ცარიზმის ბატონობის ეპოქაში ამიერკავკასიის ადმინისტრაციული ცენტრი თბილისში იყო, სადაც თავს იყრიდნენ სხვადასხვა ეროვნების ინტილიგენციის საუკეთესო წარმომადგენლები. მათ რიცხვს განეკუთვნება მირზა ფათალი ახუნდზადე (ახუნდოვი, 1812-1878). იგი გახლდათ კრიტიკული რეალიზმის ფუძემდებელი, დემოკრატი, განმანათლებელი და საზოგადო მოღვაწე; აზერბაიჯანულ ენაზე პირველი დრამატული ნაწარმოების შემქმნელი და აზერბაიჯანული თეატრის მესაძირკვლე, „თათარი მოლიერი“, არაბული ალფაბეტის რეფორმატორი, უუფლებობასა და მონურ პირობებში მყოფი მაჰმადიანი ქალების თავისუფლებისაკენ სწრაფვის პირველი ამსახველი აზერბაიჯანულ ლიტერატურაში.

მირზა ფათალის კომედიები (კრებულად გამოსვლამდე) იბეჭდებოდა თბილისში, ოფიციოზის გაზეთ „კავკაზის“ ფურცლებზე: თარგმანი „მუსიო ჟორდანისა“ (1851 წლის №15, 16, 17), მოლა იბრაჰიმ ხალილი – ალქიმიკოსი“ (1851 წლის №44 და № 45), „დათვი ყაჩაღის დამჭაბნელი“ (1851 წლის №83, 84, 86, 90, 91). ამავე გაზეთში 1853 წელს (№7, 8, 9) რუსულ ენაზე დაიბეჭდა „ლენქორანის ხანის ვეზირის თავგადასავალი“, „ძუნწის თავგადასავალი“ (№28, 29, 30, 31, 32). აქვე გამოქვეყნდა მისი უკანასკნელი პიესა „ადვოკატები“ (1856 წლის №93,94, 95, 96).

ქართველ მწერალთაგან აკაკი წერეთელმა პირველმა მიაქცია ყურადღება აზერბაიჯანულ ლიტერატურას და მან ქართულ ენაზე (რუსულიდან) თარგმნა მირზა ფათალი ახუნდზადეს ცნობილი პიესა – „ლენქორანის ხანის ვეზირის თავგადასავალი“, რომელიც დაიბეჭდა აკაკის ჟურნალში – „კრებული“ (1898 წლის №7, გვ. 13-53), ახლავს მთარგმნელის შენიშვნა, რომელშიც მოწოდებულია ცნობები პიესის ავტორზე (აკაკის „კრებული“ გამოიცა 1897 წელს, მასში ძირითადად აკაკის ნაწერები იბეჭდებოდა).

მირზა ფათალი ახუნდოვის პიესის „*Визирь Ленкоранского Ханства“* აკაკი წერეთლისეული თარგმანი საყურადღებოა მრავალმხრივ. ტექსტის ბევრი ადგილი აკაკის თავისებურად გადმოუტანია. მაგ.: პიესის სათაური „*Визирь Ленкоранского Ханства“* აკაკის უთარგმნია როგორც „ხანის ვეზირი“ (Визирь Хана). პიესის ადგილისა და დროის მარკერი – ლენქორანი – აკაკის ამოუღია როგორც პიესის სახელწოდებიდან, ისე – ძირითადი ტექსტიდან – ორიგინალში პირველი და მესამე მოქმედებების წინ ვკითხულობთ: *„Происходит пятьдесят лет назад, на берегу каспийского моря, в городе Ленкорань... Происходит во дворце Ленкоранского Хана, на берегу моря“.* მართალია, ამ ცვლილებით აკაკიმ თარგმანში შინაარსობრივ-ფაქტობრივი ინფორმაცია დაარღვია, მაგრამ ნაწარმოებში განვითარებული კონკრეტული პრობლემა განაზოგადა და მკითხველს უჩვენა, რომ ვეზირსა და ხანს ყველგან შეიძლება დაეძებნოს პროტოტიპები, ყველა დროსა თუ სივრცეში.

პიესის 21 მოქმედი პირიდან თარგმანში მხოლოდ 13 გვხვდება. აკაკის დაუცავს ანთროპონიმების ფონეტიკური ჟღერადობა. ამასთანავე, შეუნარჩუნებია პიესის ორიგინალისეული მოქმედებებად დაყოფის პრინციპი, თუმცა მოქმედებებში გამოუყვია სცენები და გამოსვლები. მაგ.:პირველ მოქმედებაში ერთი სცენა და ექვსი გამოსვლაა; მეორეში – ერთი სცენა და სამი გამოსვლა; მესამე მოქმედება, ამ მხრივ, გამონაკლისს წარმოადგენს; მეოთხე მოქმედებაში – ერთი სცენა და ორი მოქმედება გვხვდება.

მიუხედავად იმისა, რომ თარგმანში გვხვდება ქართული ენობრივი სინამდვილისთვის

დამახასიათებელი ელემენტები და საგრძნობია ქართული ლიტერატურული ტრადიციისა და კულტურის გავლენა, აკაკის შეუნარჩუნებია ორიგინალის მახვილსიტყვაობა და ირონია.				
1	ნანა გაფრინდაშვილი	მთარგმნელის დღისადმი მიძღვნილი სამეცნიერო შრომების კრებული „შუამავლების” როლი ლიტერატურული ურთიერთობების განვითარებაში ISBN 978-9941-13-965-9	თბილისი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2020	გვ.: 6-14
2	ეკატერინე ნავროზაშვილი ნანა გონჯილაშვილი	მთარგმნელის დღისადმი მიძღვნილი სამეცნიერო შრომების კრებული ნ. გაბრიელიანის „კარუსელი“ – ტექსტი და თარგმანი ISBN 978-9941-13-965-9	თბილისი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2020	გვ.: 85-97

3	ნინო წერეთელი	მთარგმნელის დღისადმი მიძღვნილი სამეცნიერო შრომების კრებული ბორის ეიხენბაუმის ერთი მნიშვნელოვანი ნაშრომის შესახებ ISBN 978-9941-13-965-9	თბილისი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2020	გვ.: 146-152

ვრცელი ანოტაციები
(ქართულ ენაზე)

ნანა გაფრინდაშვილი

„შუამავლების" როლი ლიტერატურული ურთიერთობების განვითარებაში

ლიტერატურული ურთიერთობების კოლექტიურ შუამავლებს შორის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საცნობარო ლიტერატურა. „ლიტერატურული გმირების დიდი ენციკლოპედიის" ოთხტომეულში (მოსკოვი, ტერრა, 2001) ქართული ლიტერატურა ერთადერთი პერსონაჟით, ავთანდილითაა, წარმოდგენილი. გამომცემლები მიუთითებენ, რომ მათი მიზანი მხოლოდ მთავარი პერსონაჟების წარმოჩენა არ არის. მათ სურთ წარმოაჩინონ გმირები, თუნდაც მეორეხარისხოვანი, რომლებიც წიგნის წაკითხვის შემდეგ სამუდამოდ აგრძელებენ ცხოვრებას მკითხველის წარმოსახვაში.

ავთანდილი პოემის მთავარი არა, მაგრამ ერთ-ერთი მთავარი მოქმედი გმირია, რომელიც გემოვნებიანი, ინტელექტუალური მკითხველის წარმოსახვაში წიგნის დახურვის შემდეგაც დარჩება. თუმცა, ვერ ვიტყვით, რომ მკითხველის ცნობიერებაში მას ტარიელზე უფრო მნიშვნელოვანი ადგილს უჭირავს.

აღქმა ინდივიდუალურია, რომელიმე რეციფიენტზე „ვეფხისტყაოსნის" გმირთაგან შეიძლება ყველაზე დიდი შთაბეჭდილება ფატმანმა მოახდინოს, ამ უაღრესად რეალისტურმა და ექსპრესიულმა მხატვრულმა სახემ; მაგრამ ასეთი სოლიდური გამოცემის შემთხვევაში რიგითი მკითხველის სუბიექტურ აღქმას არ უნდა ვეყრდნობოდეთ. საქართველოში დამკვიდრებული ტრადიციით, რომელიც უპირველესად თავად „ვეფხისტყაოსანს" ეყრდნობა, როცა პოემის ერთი და მთავარი პერსონაჟი სახელდება, ეს უპირობოდ ტარიელია.

საენციკლოპედიო სტატიაში რამდენიმე საკამათო მოსაზრებაა გამოთქმული:

- „ ავთანდილი ტარიელისაგან განსხვავდება გამჭრიახი, მახვილი გონებით. სანამ სხვები მამაცად მიიწევენ სამართლიანობისათვის ღია ბრძოლაში... ავთანდილი იმავე შედეგამდე მიდის, ანუ სამართლიანი საქმის ტრიუმფამდე, იყენებს რა დიპლომატიასა და ეშმაკობას".

- „ზეპირმა ტრადიციებმა ... მოგვცა საშუალება გაგვეგო ამ აყვავებული ლიტერატურის შესახებ, რომლისგანაც დარჩა მხოლოდ ერთადერთი პოემა ავთანდილზე“.
- „ავთანდილი განასახიერებს დასავლეთ საქართველოს სრულყოფილ იდეალს ტარიელისაგან განსხვავებით, რომელიც ამ ქვეყნის აღმოსავლეთი ნაწილის სულს წარმოადგენს“.

ლიტერატურული ურთიერთობების განვითარებისა და ტირაჟირების თვალსაზრისით მეტად მნიშვნელოვანია გამორჩეული ნაწარმოებებისა და პერსონაჟების სწორი პოზიციონირება მსოფლიო სალიტერატურო ასპარეზზე.

ეკატერინე ნავროზაშვილი, ნანა გონჯილაშვილი
ნ. გაბრიელიანის „კარუსელი“ – ტექსტი და თარგმანი

2011 წელს გამოცემულ თარგმანთა კრებულში „გაუხუნარი ფერები“ დაიბეჭდა რუსულენოვანი სომეხი პოეტის, ნინა გაბრიელიანის ხუთი ლექსის რუსულიდან ჭანტურიშვილისეული ქართული თარგმანი. მან ნინა გაბრიელიანის ლექსები 1992 წელს გამოცემული წიგნიდან – „ბროწეულის მარცვალი“ – თარგმნა.

კრებულში წარმოდგენილი ლექსებიდან განსახილველად ავიღეთ *კარუსელი, რომელიც* შინაარსობრივად და პოეტური გამომსახველობითი საშუალებების მხრივაც დატვირთული ტექსტია.

ნ. გაბრიელიანის სათაური *კარუსელი* ლექსის პოეტიკის ძირითადი მარკერია და, ერთი მხრივ, სამყაროს მოდელს და, მეორე მხრივ, სამყაროზე პოეტის შეხედულებებს წარმოგვიდგენს. ნ. გაბრიელიანის *კარუსელი* რომ მუსიკალური კომპონენტის შემცველი ტექსტია ამას სათაურის შემდეგ ფრჩხილებში ჩასმული მუსიკალური ტერმინი *ტოკატა* მოწმობს. სათაურის მუსიკასთან მიმართებას კი კომპოზიციურად კრავს და ასრულებს მიძღვნა/ეპიგრაფი – *კ.ს ხაჩატურიანს.* ნინა გაბრიელიანმა ლექსი 80-იან წლებში სწორედ კარენ ხაჩატურიანის სონატის შთაბეჭდილებით დაწერა და თავის ლექსში სწრაფი ტემპით შესრულებული სონატის მეორე ნაწილის - ტოკატის - რიტმიკის გამეორება სცადა. რუსულიდან ჭანტურიშვილი თარგმანში ზუსტად იცავს ავტორისეულ სათაურს, რემარკასა და მიძღვნა/ეპიგრაფს.

ნინა გაბრიელიანის *კარუსელი,* ავტორისავე განმარტებით, კონვენსიური ასტროფული ლექსია და არათანაბარმარცვლიანი 21 სტრიქონისგან შედგება; რუსულიდან ჭანტურიშვილმა ლექსი ასევე არათანაბარმარცვლიანი ასტროფული რითმიანი ლექსით თარგმნა.

ნინა გაბრიელიანის ლექსის სტრუქტურის ერთ-ერთი ყველაზე უფრო მკვეთრად გამოხატული მაორგანიზებელი საშუალება – გამეორებაა, რომელსაც პოეტი მხატვრული ეფექტის გასაძლიერებლად იყენებს, ლექსში მეორდება ერთი და იგივე სიტყვა, ფრაზა, სტრიქონი. ლექსში ასევე მაღალია ალიტერაციისა და ასონანსის კოეფიციენტიც, რაც ფონეტიკურ ხმოვანებასთან ერთად, ლექსის რიტმულ სტრუქტურასაც აწესრიგებს.

ლექსში რიტმიკის ორგანიზებას ემსახურება ანაფორა, იგი აწმყო დროის ზმნებითაა წარმოდგენილი. პოეტი მიმართავს ასევე რეფრენს.

თარგმანში მეტნაკლები სიზუსტით გადმოდის ცალკეული სიტყვების, ფრაზებისა და სტრიქონების გამეორება. ალიტერაციის, ბგერათა ჯგუფების, ტავტოგრამისა და ასონანსის გადმოტანა თარგმანში ხორციელდება „პირობითად იმ კონკრეტული შესაძლებლობების მიხედვით, რომელთაც ენა იძლევა“. იქ, სადაც დედნისეული ელემენტების გამეორება

შეუძლებელია, რ. ჭანტურიშვილი მიმართავს სწორ სტრატეგიას და თარგმანში შემოაქვს ეფექტური, გამომსახველობითი ძალის მქონე სიტყვები. იგივე შეიძლება ითქვას ანაფორისა და რეფრენის შემთხვევებშიც.

რ. ჭანტურიშვილის თარგმანში შენარჩუნებულია დედნისეული აჩქარებული რიტმი, ინტონაცია და ლირიკული გმირის განწყობილება, თუმცა ზოგჯერ მათ დაცვას ორიგინალის აზრობრივი სიზუსტე ეწირება. თარგმანში ჩნდება შეცვლილი ან ახალი ლექსიკური ერთეულები, ტაეპები (ან პირიქით – გამოტოვებული სტრიქონები), „რომლებიც გარკვეულ როლს ასრულებენ ლექსის რიტმულ-ინტონაციურ ორგანიზებასა და ჟღერადობაში“.

სტატიაში განხილულია თარგმანში არსებული სინონიმური გავრცობის, კლების, მატების, ჩანაცვლების მაგალითები და გამოტანილია შესაბამისი დასკვნები.

ნინო წერეთელი

ბორის ეიხენბაუმის ერთი მნიშვნელოვანი ნაშრომის შესახებ

1913 წელს პეტერბურგის უნივერსიტეტის სტუდენტმა ვიქტორ შკლოვსკიმ , ცნობილ და გახმაურებულ ლიტერატურულ-არტისტულ კაფეში „ბროდიაჩაია სობაკა“, წაიკითხა მოხსენება „ენის როლი ფუტურიზმის ისტორიაში“. აღნიშნული მოხსენების საფუძველზე 1914 წელს ვ.შკლოვსკიმ გამოსცა წიგნი „ სიტყვის აღდგენა“ .სწორედ ეს წელი ითვლება ცნობილი და ხმაურიანი მიმართულების-ფორმალიზმის დასაწყისად. „ სიტყვის აღდგენის“ შემდეგ 1916 და 1917 წლებში გამოიცა „ პოეტური ენის ისტორიის კრებულის“ ორი ნომერი ,ხოლო 1919 წელს კრებული-„პოეტიკა“, სწორედ ამ სამმა კრებულმა განსაზღვრა ფორმალიზმის მომავალი ბედი. ეს კრებულები პოეტური ენის შემსწავლელი საზოგადოების-„ოპოიაზის“ მიერ იყო გამოცემული.აღნიშნული საზოგადოება 1916 წელს პეტერბურგში დაარსდა.მის შექმნაში დიდი წვლილი ვ.შკლოვსკის მიუძღვის საზოგადოება თანამშრომლობდა მოსკოვის ლინგვისტურ წრესთან და მათ საერთო წევრებიც ჰყავდათ. ფორმალისტები თავიანთ მოღვაწეობას ისტორიულ მნიშვნელობას ანიჭებდნენ. პოეტური ენის შემსწავლელი საზოგადოების-„ოპოიაზის“ მეცნიერული ღვაწლი მართლაც შეუფასებელია.

ცნობილ მეცნიერს, ფორმალისტური სკოლის გამორჩეულ წარმომადგენელს, ბორის ეიხენბაუმს, ეკუთვნის გამოკვლევა ფორმალური მეთოდის თეორიის შესახებ (1925), საინტერესოა, რომ ამ სტატიაში ბ.ეიხენბაუმი ფორმალისტებს უწოდებს მხოლოდ იმ მეცნიერებს, რომლებიც გაერთიანებულნი იყვნენ „ოპოიაზში“ - პოეტური ენის შემსწავლელ საზოგადოებაში. ეიხენბაუმის სტატიის მიზანი არ არის პოლემიკის გამართვა ფორმალიზმის მოწინააღმდეგეებთან, მისი მიზანია იმის ჩვენება, თუ როგორ ევოლუციას განიცდის ფორმალური მეთოდი, როგორ აფართოვებს საკვლევ სფეროს და სცილდება იმ საზღვრებს, რასაც მეთოდოლოგია გულისხმობს. ფორმალიზმი შეიძლება ჩაითვალოს მეცნიერების განსაკუთრებულ სახედ, რომელიც შეისწავლის ლიტერატურას. ფორმალისტებს სურდათ ტრადიციული თანაფარდობის (იგულისხმება ფორმა და შინაარსი) ფონზე სიახლე დაენერგათ . მათთვის უფრო მნიშვნელოვანი იყო „ხერხის“ ჩვენება, რომელიც პოეტური და პრაქტიკული ენების განსხვავების საფუძველზე გაჩნდა. საჭირო გახდა ლიტერატურული ნაწარმოების

დამუშავება, რათა დამკვიდრებულიყო ის თეორიული პრინციპები, რომლებსაც ფორმალისტები ავითარებდნენ თავიანთ სტატიებსა თუ გამოკვლევებში.

ბორის ეიხენბაუმი აჯამებს მეცნიერთა ნამოღვაწარს ფორმალიზმის არსებობის ათი წლის მანძილზე და აღნიშნავს, რომ მან წარმოაჩინა ფორმალური მეთოდის ევოლუცია,რაც თავისთავად იმას ნიშნავს,რომ ფორმალისტების წინაშე ახალი გამოწვევები დგას.

სულ მალე, 1927 წლიდან, პოეტური ენის შემსწავლელი საზოგადოება ფაქტობრივად დაიშალა,ხოლო რამდენიმე წელიწადში არსებობა შეწყვიტა „ფორმალიზმის ბუდედ“ წოდებულმა ხელოვნების ისტორიის სახელმწიფო ინსტიტუტმა, სადაც „ოპოიაზელები“ 1920 წლიდან მოღვაწეობდნენ.

5.4. სტატიები ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდის (DOI) მითითებით

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI	ჟურნალის/ კრებულის დასახელება და ნომერი/ ტომი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	ნანა გაფრინდაშვილი	https://tsu.ge/assets/media/files/48/nashromebi/Samecniero_Shromebi_2020.pdf კლასიკოსი მწერლის იუბილე, როგორც კულტურათა დიალოგის ფორმა (ბელორუსიაში შოთა რუსთაველის იუბილეების მაგალითზე)." ISSN 1512-1925 (PDF)	სამეცნიერო შრომები ტ. XVII	თბილისი, თსუ გამომცემლობა. 2020	გვ. 53-69
2	ნინო წერეთელი	https://tsu.ge/assets/media/files/48/nashromebi/Samecniero_Shromebi_2020.pdf თანამედროვე ქართული პროზის ზოგიერთი თავისებურების შესახებ ISSN 1512-1925 (PDF)	სამეცნიერო შრომები ტ. XVII	თბილისი, თსუ გამომცემლობა. 2020	გვ.197-202

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

ნანა გაფრინდაშვილი

კლასიკოსი მწერლის იუბილე, როგორც კულტურათა დიალოგის ფორმა (ბელორუსიაში შოთა რუსთაველის იუბილეების მაგალითზე)"

რუსთაველი ქართული კულტურის მატრიცის ის ნაწილია და ისეთი სპეციფიკური

ფუნქციების მატარებელი ფენომენი, რომლის გარეშეც არა მარტო ქართული ლიტერატურის, არამედ ზოგადად ქართული კულტურის გააზრებაა შეუძლებელი. შოთა რუსთაველის იუბილეები ნამდვილად ეპოქალური და მსოფლიო დონის კულტურული ღონისძიებები იყო, რომლებსაც დიდი ეროვნული მნიშვნელობა აქვს, რადგან მათ უდიდესი წვლილი შეიტანეს მსოფლიო სალიტერატურო სამყაროში რუსთაველის შემოქმედების პოპულარიზების საქმეში. რუსთაველის იუბილეების მთავარი მიზანი იყო, ერთი მხრივ, პატივი მიეგოთ პოეტის ხსოვნისათვის, მეორე მხრივ, კი მსოფლიოს გაეცნო და ეღიარებინა დიდი ქართველი ჰუმანისტი და მოაზროვნე. ბელორუსული სალიტერატურო სამყაროს მაგალითზე თუ ვიმსჯე-ლებთ, პოემის იუბილეების ძირითადი მიზნები წარმატებით იქნა მიღწეული. რუსთაველის 750 და 800 წლის იუბილეების ანალიზზე დაყრდნობით შეიძლება დავასკვნათ, რომ მწერლის იუბილე კულტურათა დიალოგის, კერძოდ, ქართულ-ბელორუსული კულტურული დიალოგის საინტერესო ფორმაა და უნდა გავიაზროთ კულტურათა ტრანსფერის კონტექსტში.

65 მწერლის იუბილეს პირობებში იზრდება კლასიკური მხატვრუ-ლი ლიტერატურის ინტეგრაციული ფუნქცია და უფრო ინტენსიურად წარმოჩინდება მისი პოტენციალი, რაც მკაფიოდ დასტურდება „ვეფხისტყაოსნის“ რეცეფციის თავისებურებებით ბელორუსულ ლიტერა-ტურაში. რუსთაველის იუბილეების ქართულ-ბელორუსული ლიტერატურული ურთიერთობების კონტექსტში კვლევამ საშუალება მოგვცა, შეგვეფასებინა კლასიკური ლიტერატურის ნიმუშის, „ვეფხისტყაოსნის“, ფუნქციონირების თავისებურებანი შეცვლილ სოციო-კულტურულ რეალობაში. „ვეფხისტყაოსანი“ არის არა მხოლოდ ზოგადად ლიტერატურის ინსტიტუტის, არამედ ექსტრალიტერატურული სფეროს ფუნდამენტური ნაწილიც როგორც საქართველოში, ასევე მის აღმქმელ სხვა სოციო-კულტურულ გარემოშიც. იუბილეების პრაქტიკამ უჩვენა, რომ კლასიკა არ თმობს პოზიციებს და მისი რეცეფცია იუბილეების პირობებში ყველა დონეზე ხდება მასობრივი მკითხველიდან დაწყებული ელიტარულ მკითხველამდე, სწორედ ამიტომ ბევრი ადამიანის თვალსაწიერში მოხვდა პოემა „ვეფხისტყაოსანი“, რაც ხელს უწყობს მისი პოპულარიზების ზრდას. საიუბილეო ღონისძიებებმა გარკვეულწილად განაპირობა ახალ სოციო-კულტურულ ვითარებაში რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ კოდების ერთგვარი რედუცირება: მსოფლიო გაეცნო რუსთაველს, როგორც დიდ ჰუმანისტს, აღმოსავლური რენესანსის ფუძემდებელს, ქართული მწერლობის დღემდე მიუღწეველ მწვერვალს, ქართული კლასიკური ლიტერატურული პანთეონის ლიდერს. კლასიკოს მწერალთა კერძოდ, რუსთაველის, იუბილეების აღნიშვნა განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ისეთი მცირერიცხოვანი ერებისათვის, როგორიც საქართველოა, რომლის ლიტერატურასა და კულტურას ჯერ კიდევ არ იცნობს მსოფლიო. იუბილეები, როგორც წარმოდგენილმა მასალამ დაადასტურა, შეიძლება იქცეს მძლავრ მექანიზმად, რომ მოხდეს კონკრეტული ერის ლიტერატურულ-ესთეტიკური ფასეულობების მსოფლიო სალიტერატური ასპარეზზე გატანა. ამ ტიპის სამეცნიერო-შემოქმედებითი ხასიათის ღონისძიებების მნიშვნელობა დღესაც დიდია ჩვენი ქვეყნისათვის. მათ სამეცნიეროსთან ერთად დიდი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ღირებულება აქვთ. საქართველომ დიდი ხანი არ არის, რაც პოლიტიკური დამოუკიდებლობა მოიპოვა და ახლა იგი იღვწის იმისათვის, რომ თავისი კუთვნილი ადგილი დაიმკვიდროს მსოფლიო კულტურულ რუკაზეც.

ნინო წერეთელი
თანამედროვე ქართული ლიტერატურის ზოგიერთი ტენდენციის შესახებ

თანამედროვე, პოსტკოლონიურ ქართულ ლიტერატურაში საინტერესო ტენდენციები გაჩნდა. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ბინარული ოპოზიციის, „ჩემი-სხვისი“,

განვითარება, რომელიც, ბუნებრივია, უფრო მკვეთრად გამოიხატება დოკუმენტურ პროზაში, თუმცა ამ თვალსაზრისით მხატვრული ტექსტებიც საინტერესო მასალას წარმოადგენს. საყურადღებოა მალხაზ ხარბედიას მოსაზრება ბლოგში „საჭირბოროტო ძეგლები და პრესტიჟული საფლავები“. მისი აზრით, ბოლო 7-10 წლის განმავლობაში, ძალიან ბევრი ქართველი ავტორის წიგნი გამოვიდა, რომლებშიც მოქმედება უცხოეთში ვითარდება. ხარბედია ყურადღებას ამახვილებს ერთ ძალიან მნიშვნელოვან პრობლემაზეც „ჩვენს რეალობაში უცხოეთში გაქცევა თავის გადარჩენის ერთადერთ საშუალებად იქცევა ხოლმე. ქართულ რომანში კი ავტორები სიუჟეტის, ამბის გადარჩენისთვის მიერეკებიან თავიანთ პერსონაჟებს თბილ ქვეყნებში. რატომ ხდება ეს, რატომ იქცა ეს ტენდენცია რეალობის ლამის ერთადერთ ნიშნად თანამედროვე ქართულ ლიტერატურაში - ეს ცალკე საკითხია“ (ხარბედია, 2013:61).

უცხოელი პერსონაჟები მრავლადაა ახალგაზრდა ქართველი მწერლის, თეონა დოლენჯაშვილის პროზაში. სტატიაში განხილულია მისი გახმაურებული მოთხრობა „ფიდაი, ანუ ამინა სამიდან ხუთამდე“, სადაც ავტორი მსოფლიოსთვის ყველაზე აქტუალურ თემას – ტერორიზმს ეხება. მოთხრობა 2013 წელსაა დაწერილი და ავტორი ტერორისტი ქალის პარიზული ცხოვრების უკანასკნელ საათებს აღწერს. პარიზის 2015 წლის 13 ნოემბრის ტერორისტული აქტის შემდეგ საფრანგეთი, ევროპა და მთელი მსოფლიო კიდევ ერთხელ დადგა უსაფრთხოების უმწვავესი პრობლემის წინაშე.

ქართველი მწერლები გვერდს ვერ უვლიან უცხოეთში სამუშაოდ წასული ქართველების მძიმე, ტკივილიანი ცხოვრების ამსახველ სხვადასხვა ამბავს. თითოეული ამბავი რეალურ ისტორიებს გვახსენებს. ქართულ ნარატივში შემოდიან უცხოელი გმირები, რომლებსაც უკეთესი, სტაბილური მომავლის ძიებაში ქართველი ქალები თავიანთ ბედს უკავშირებენ. ჟურნალ „ქართულ მწერლობაში“ ჩნდება რუბრიკა „ემიგრანტული პროზა“, რომლის მაგალითად წარმოვადგენთ საბერძნეთის ქართული დიასპორის გაზეთის, „ელადის“ რედაქტორის, ა. ყურშავაშვილის და ს.მეშველიანის მოთხრობებს.პოსტკოლონიური ქართულ ლიტერატურაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ემიგრაციის თემას და, შესაბამისად, ოჯახთან დაკავშირებულ პრობლემებს. ერთი მხრივ, ოჯახის წევრები ეხმარებიან სამშობლოში დარჩენილ ოჯახებს, მეორე მხრივ კი, შორდებიან მათ. ცდილობენ შეეგუონ ახალ გარემოს და ეს გარემო სულ არ ჰგავს მათ საოცნებო ადგილს. უცხოეთში „ჩემი“/„სხვისი“ ჭიდილი ძალზე თვალშისაცემია. პოსტკოლონიურ ქართულ ლიტერატურაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია აფხაზეთისა და სამაჩაბლოს თემა – პოსტკოლონიური კონფლიქტი, რომელიც რუსეთის, როგორც კოლონიზატორის და საქართველოს ხანგრძლივი დაპირისპირების შედეგია. უამრავი ქართული ოჯახი ქვეყანაში ლტოლვილად იქცა. ისინი თავიანთ ქვეყანაში ცხოვრობენ, მაგრამ თავიანთ მშობლიურ

ადგილებში ჩასვლა აკრძალული აქვთ. საქართველოს ტერიტორიების ოკუპაციის პრობლემა ისევ სერიოზულ, გადაუჭრელ პრობლემად და გამოწვევად რჩება ქვეყნისთვისაც და საერთაშორისო საზოგადოებისთვის,

5.5. სტატიები ISSN-ის მითითებით

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათა-ური, ISSN	ჟურნალის/ კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა

1 2					
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)					

6. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა უცხოეთში

6.1. მონოგრაფიები/წიგნები

№	ავტორი/ავტორები	მონოგრაფიის/წიგნის სათაური, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1 2				
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)				

6.2. სახელმძღვანელოები

№	ავტორი/ავტორები	სახელმძღვანელოს სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1 2				
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)				

6.3. კრებულები

№	ავტორები	კრებულის სახელ-წოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1 2 3				
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)				

6.4. სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო	ჟურნალის/ კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა

		კოდი DOI ან ISSN			
1 2 3					
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)					

7. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

7.1. საქართველოში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1.	ნანა გაფრინდაშვილი	სოცრეალისტური კანონი: საბჭოთა კულტურის პოლიტიკა ლიტერატურული კომპარატივისტიკის პრაქტიკის თვალსაზრისით.	**3-5/07/2020** ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი მეთოთხმეტე საფაკულტეტო კონფერენცია, მიეძღვნა აკადემიკოს ოთარ ლორთქიფანიძის დაბადებიდან 90 წლისთავს.
2.	ნანა გაფრინდაშვილი	რემინისცენცია, როგორც კულტურის დიალოგის ფორმა	30/11/20 – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი მთარგმნელის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი მე-6 სამეცნიერო კონფერენცია
3.	ნანა გაფრინდაშვილი	პოემა ავთანდილზე („ვეფხისტყაოსნის“ ერთი რეცეფციის გამო)	21/ 12/2020 ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ნიკოლოზ ბარათაშვილის გარდაცვალებიდან 175 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია – ,,XIX საუკუნე – ეპოქათა მიჯნა“ 21/06/20 –

4.	ეკატერინე ნავროზაშვილი/ნანა გონჯილაშვილი	აკაკი წერეთლის ერთი თარგმანის ისტორიისათვის	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი აკაკი წერეთლის დაბადებიდან 180 წლის იუბილესადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია
5.	ეკატერინე ნავროზაშვილი	ხოსე ორტეგა ი გასეტი – თარგმანის შესახებ	**3-5/07/2020** ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი მეთოთხმეტე საფაკულტეტო კონფერენცია, მიეძღვნა აკადემიკოს ოთარ ლორთქიფანიძის დაბადებიდან 90 წლისთავს.
6.	ეკატერინე ნავროზაშვილი	თეოფორული სახელები და მათი გადმოცემის საკითხისათვის ძველი აღთქმის ახალ ქართულ თარგმანებში	30/11/20 – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი მთარგმნელის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი მე-6 სამეცნიერო კონფერენცია
7.	ეკატერინე ნავროზაშვილი	სანდრო შანშიაშვილის ლირიკული პოემა „სულამიტ“	21/ 12/2020 ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ნიკოლოზ ბარათაშვილის გარდაცვალებიდან 175 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია – „XIX საუკუნე – ეპოქათა მიჯნა“.

8.	ეკატერინე ნავროზაშვილი ნანა გონჯილაშვილი	ალ. გრიბოედოვის კომედიის „ვაი ჭკუისგან“ ქართული თარგმანების რეცეფცია	28/12/2020– ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი სამეცნიერო კონფერენცია – „კიტა აბაშიძე –150“
9.	ნინო წერეთელი	ოჯახის რეპრეზენტაცია თანამედროვე ქართულ პროზაში	**3-5/07/2020** ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი მეთოთხმეტე საფაკულტეტო კონფერენცია, მიეძღვნა აკადემიკოს ოთარ ლორთქიფანიძის დაბადებიდან 90 წლისთავს.
10.	ნინო წერეთელი	ბორის ეიხენბაუმის ერთი მნიშვნელოვანი ნაშრომის შესახებ	30/11/20 – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი მთარგმნელის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი მე-6 სამეცნიერო კონფერენცია
11.	ნინო წერეთელი	ლიტერატურულ-არტისტული კაფეების ისტორიიდან (მეოცე საუკუნის 10-იანი წლები)	21/12/2020 ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ნიკოლოზ ბარათაშვილის გარდაცვალებიდან 175 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია – ,,XIX საუკუნე – ეპოქათა მიჯნა“.
მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა)			

ნანა გაფრინდაშვილი

სოცრეალისტური კანონი: საბჭოთა კულტურის პოლიტიკა ლიტერატურული კომპარატივისტიკის პრაქტიკის თვალსაზრისით

ლიტერატურულ-კულტურულ ურთიერთობებს უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ერის მხატვრულ-ესთეტიკური ფასეულობების ფორმირებაში, ახალი ესთეტიკური იდეების გავრცელებაში, კულტურისა და ლიტერატურის გამდიდრებაში. ამ თვალსაზრისით ნებისმიერი ბინარული ლიტერატურული ურთიერთობები პოზიტიური ფაქტორია, იმის მიუხედავად, მონათესავე კულტურებს შორის დამყარდება იგი თუ გეოგრაფიულად და კულტურულად დაშორებულ ერებს შორის. საბჭოთა იდეოლოგებიც აცნობიერებდნენ, რომ ლიტერატურული ურთიერთობები და მთარგმნელობითი საქმიანობა ლიტერატურის განუყოფელი ნაწილია და ამიტომ ცდილობდნენ, სალიტერატურო ცხოვრების ეს აუცილებელი ატრიბუტები თავიანთი მიზნებისათვის გამოეყენებინათ და თავიანთ სამსახურში ჩაეყენებინათ.

საბჭოთა მთარგმნელობითი სკოლის ფორმირების პოლიტიკა დიდად განსაზღვრა მაქსიმ გორკის საქმიანობამ.

პრაქტიკული მთარგმნელობითი საქმიანობა განსაკუთრებით მრავალფეროვანი გახდა "ნეპის" დროს. ამ პერიოდში მრავალი კერძო გამომცემლობა მუშაობდა. ისინი ორიგინალურის გვერდით ნათარგმნ ნაწარმოებებსაც ბეჭდავდნენ. მათი ლიკვიდაციის შემდეგ ნათარგმნი ლიტერატურის გამოქვეყნებაც მთლიანად სახელმწიფოს კონტროლს დაექვემდებარა. რაც შეეხება თარგმანების ხარისხს, საბჭოთა პერიოდში მრავალი ღირსეული და უმაღლესი კვალიფიკაციის მთარგმნელი მოღვაწეობდა. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ის მწერლები და პოეტები, რომელთა ორიგინალურ ნაწარმოებებს არ ბეჭდავდნენ ავტორების პოლიტიკური არაკეთილსაიმედოობის გამო. ამიტომ ეს ავტორები ძირითადად მთარგმნელობით საქმიანობას ეწეოდნენ. ისიც უნდა ითქვას, რომ ამ სფეროში მრავალი შემთხვევითი ადამიანი მუშაობდა, რომლებიც მთარგმნელისადმი წაყენებულ ელემენტარულ მოთხოვნებსაც ვერ აკმაყოფილებდნენ: სიღრმისეულად არ ფლობდნენ ენებს, არ ჰქონდათ საჭირო ფონური ცოდნა და სხვ. თარგმანებში იპარებოდა უამრავი ენობრივი შეცდომა, საბჭოთა ეპოქის ადრეულ პერიოდში არ არსებობდნენ კვალიფიციური რედაქტორები, რომლებიც იზრუნებდნენ ტექსტის რედაქტირებაზე და ა. შ.

საბჭოთა კულტურის პოლიტიკა ლიტერატურულ ურთიერთობათა და მხატვრული თარგმანის თვალსაზრისით ორი უმნიშვნელოვანესი ასპექტისაგან შედგებოდა: ეს იყო, თუ შეიძლება ასე ითქვას, საგარეო კულტურულ-ლიტერატურული პოლიტიკა და საშინაო კულტურულ-ლიტერატურული პოლიტიკა.

საგარეო კულტურულ-ლიტერატურულ პოლიტიკას დიდად განსაზღვრავდა საბჭოთა ხელისუფლებისა და კომუნისტური პარტიის საგარეო პოლიტიკური ვექტორი. რაც უფრო ძლიერდებოდა საბჭოთა ხელისუფლება და "სიმწიფის ხანაში" შედიოდა სოციალიზმი, მით უფრო ვიწროვდებოდა საბჭოთა ხელისუფლებისათვის მისაღები და კეთილსაიმედო უცხოელი მწერლების რაოდენობა. კეთილსაიმედო მწერლებს კომუნისტები "პროგრესულ მწერლებს" უწოდებდნენ, თარგმნიდნენ, დაუბრკოლებლად ბეჭდავდნენ მილიონობით ტირაჟით და ყველანაირად ეწეოდნენ მათს რეკლამირებას. სოცრეალისტური კანონი ცნობდა და აღიარებდა მხოლოდ რეალისტურ ხელოვნებას. ამიტომ არარეალისტური ხელოვნებისა და ლიტერატურის საბჭოთა წარმომადგენლებიც იდევნებოდნენ და არარეალისტური უცხოური ლიტერატურის

ძეგლების თარგმნაც აკრძალული იყო. განსაკუთრებით დაზარალდნენ XX საუკუნის უცხოელი მწერლები. შესაბამისად, დაზარალდა საბჭოთა მკითხველი და ლიტერატურაც, რადგან იდეოლოგიური არაკეთილსაიმედოობის გამო ბევრმა შესანიშნავმა მწერალმა ვერ მოახერხა "რკინის ფარდის გარღვევა". ასე დარჩა დიდი ხნის განმავლობაში საბჭოთა ლიტერატურა ჯოისის, კაფკას, ნაბოკოვის, რობაქიძის, მარგველაშვილისა და სხვათა ნაწარმოებების თარგმანების გარეშე. შედარებით უკეთეს ვითარებაში აღმოჩნდნენ ძველი ეპოქის გენიალური მწერლები: ჰომეროსი, შექსპირი, სერვანტესი, გოეთე და სხვ. მათი ნაწარმოებები არ იყო აკრძალული, თუმცა, ზოგჯერ სოცრეალიზმის ესთეტიკიდან გამომდინარე მათი შემოქმედების დამახინჯებული, დეფორმირებული ინტერპრეტირება ხდებოდა, რაც ხშირად კურიოზულ ვითარებასაც ქმნიდა.

საშინაო კულტურულ-ლიტერატურულ პოლიტიკას მთლიანად განსაზღვრავდა საბჭოთა ხელისუფლებისა და კომუნისტური პარტიის საშინაო პოლიტიკის კურსი. საბჭოთა კავშირი სხვადასხვა ეროვნული სახელმწიფოს მექანიკური, ძალადობრივი გაერთიანების შედეგად მიღებული იმპერია იყო, რომლის იდეოლოგები ცდილობდნენ, ეროვნულ კულტურათა შერწყმის ნიადაგზე მიეღოთ ახალი კულტურული ფენომენი, საბჭოთა კულტურა. აქედან გამომდინარე, ისინი მეტად დაინტერესებულნი იყვნენ, ვიდრე საბოლოო მიზანს (კულტურათა შერწყმას) მიაღწევდნენ, ჯერ გაეცნოთ და დაეახლოვებინათ ცალკეული ეროვნული კულტურები და ლიტერატურები ერთმანეთისათვის. ამიტომ მათ საგანგებოდ უნდა ეზრუნათ, გაეღრმავებინათ საბჭოთა ხალხების ლიტერატურული ურთიერთობები და პრაქტიკული მთარგმნელობითი საქმიანობა; ეჩვენებინათ "ხალხთა მეგობრობის" ლიტერატურულ-კულტურული ასპექტები და ის პოტენციალი, რომელიც ჰქონდა საბჭოთა წყობილებას ეროვნული კულტურების განვითარების თვალსაზრისით.

საბჭოთა რესპუბლიკების კულტურისა და ლიტერატურის გაცნობისა და მათ მიმართ ინტერესის გაღრმავების საკმაოდ ეფექტური საშუალება იყო ეროვნული ლიტერატურის დღეები და დეკადები, მწერალთა იუბილეები, სამეცნიერო კონფერენციები და სხვა სამეცნიერო-შემოქმედებითი ხასიათის ღონისძიებები.

"პერესტროიკის" ეპოქამ ახალი შესაძლებლობები გადაშალა ქართველი მთარგმნელებისა და მკითხველის წინაშე. ქართულ სალიტერატურო სივრცეს ბევრი ჭეშმარიტად მაღალმხატვრული, მანამდე ტაბუდადებული სახელი და ნაწარმოები დაუბრუნდა. ითარგმნა და დაიბეჭდა მრავალი აკრძალული ძეგლი. ამავე დროს სამწუხარო ტენდენციაც გამოვლინდა: გამოჩნდა საეჭვო ღირებულების მქონე ნაწარმოებებიც და მათი უნიჭო თარგმანები. ეს მდარე ლიტერატურული პროდუქცია არავითარ მხატვრულ-ესთეტიკურ ფასეულობას არ წარმოადგენს.

ასე რომ, საბჭოთა პერიოდში საბჭოთა ხალხებს შორის ინტენსიური ლიტერატურულ-კულტურული ურთიერთობები არსებობდა, რომლებიც მკვეთრად იდეოლოგიზებული იყო; ხშირად ხდებოდა საეჭვო მხატვრული ლიტერატურული ღირებულების მქონე ნაწარმოებების პროპაგანდა და ჭეშმარიტი ფასეულობების მიჩქმალვა, მაგრამ არც თუ ისე იშვიათად საბჭოთა მწერლები და მთარგმნელები ახერხებდნენ ცენზურის მარწუხების გარღვევას და ჭეშმარიტი იდეურ-ესთეტიკური ფასეულობების გატანასა და ქადაგებას.

, მწერლებისა და მათი ცალკეული ნაწარმოებების ბედი დიდად იყო დამოკიდებული ოფიციალურ კრიტიკაზე, პარტიული მუშაკების დამოკიდებულებასა და შეხედულებებზე. თუ რომელიმე პარტიული მუშაკი ან კომუნისტების ნდობით აღჭურვილი კრიტიკოსი ან ლიტერატურათმცოდნე ხელოვნების ქმნილებას შეაფასებდა ხალხისათვის გაუგებარ

ნაწარმოებად, ამას შეიძლებოდა, განაჩენის მსგავსი ტრაგიკული როლი შეესრულებინა მწერლისა და მისი თხზულების ბედის განსაზღვრაში. როგორც წესი, ასეთ შეფასებას აძლევდნენ ისეთ ნაწარმოებებს, რომლებიც ეწინააღმდეგებოდნენ ან ვერ თავსდებოდნენ სოციალისტური რეალიზმის იდეურ-ესთეტიკურ კანონში. ასეთი ნაწარმოები აღარ დაიბეჭდებოდა, ხოლო, თუ უკვე დაბეჭდილი იყო, "დააპატიმრებდნენ". ეს იმას ნიშნავდა, რომ მას ბიბლიოთეკებისა და წიგნის მაღაზიების თაროების ნაცვლად ადგილს სპეცსაცავებში მიუჩენდნენ, რომლებიც, საყოველთაოდ გავრცელებული მოსაზრებით, წიგნებისათვის იმავე ფუნქციას ასრულებდა, რასაც გულაგი განსხვავებულად მოაზროვნე ადამიანებისათვის.

პარტიული ხელმძღვანელობის მთავარ მიზანს წარმოადგენდა, ხელოვნება გადაექციათ "პარტიული საქმის" ორგანიზაციულ ნაწილად, მშრომელი მასების იდეოლოგიური და პოლიტიკური განათლებისა და აღზრდის საშუალებად.

ადმინისტრაციული სისტემის მიერ შექმნილი სოციალისტური რეალიზმის სადარაჯოზე ათწლეულების განმავლობაში იდგნენ რეპრესიული ორგანოები, ისინი ზუსტად ისევე იცავდნენ სოციალისტურ რეალიზმს, როგორც ადმინისტრაციულ სისტემას. ეს თავისთავად არაბუნებრივი სიტუაცია საბჭოთა ოფიციოზისათვის სრულიად ბუნებრივი იყო.

1991 წლიდან დასრულდა სოციალისტური რეალიზმის ეპოქა. მწერლობა აღარ არის კომუნისტური პარტიის რუპორი, მას დაუბრუნდა თავისი ესთეტიკური ფუნქცია და მიეცა თავისუფალი შემოქმედებითი განვითარების საშუალება. დადგა ახალი ეპოქა. ყოველი ეპოქის კულტურას აქვს სამყაროსა და პიროვნების თავისი კონცეფცია, პარადიგმა (კაცობრიობის ყოფის ფორმულა: იდეალები, მიზანი, გზა და ა.შ.). ეპოქის ცხოვრება განისაზღვრება ამ პარადიგმით, რომელიც ქმნის ხელისუფლების, საზოგადოებისა და პიროვნების ურთიერთობის ინვარიანტს. დგება მომენტი, როცა გამოიკვეთება, რომ ახალი პარადიგმა უტოპიური და არასრულყოფილი ყოფილა. იწყება ამ პარადიგმისა და, ზოგადად, ეპოქის კრიზისი. კულტურა იწყებს ახალი პარადიგმის ძიებასა და შემუშავებას და მთელი ციკლი თავიდან მეორდება. ეპოქიდან ეპოქამდე იცვლება და იხვეწება სამყაროსა და ადამიანის კონცეფცია. ახალ კონცეფციასა და პარადიგმას ახალი იმედები მოჰყვება. ახალ იმედებს _ ახალი იმედგაცრუება. სავარაუდოდ, უზადო კონცეფცია არც არსებობს, მაგრამ კულტურა მაინც მონდომებით ცდილობს მის მოძებნას. სოცრეალიზმის შემდეგ პოსტსაბჭოური სივრცე ახალი პარადიგმის ძიებაშია.

ნანა გაფრინდაშვილი

რემინისცენცია, როგორც კულტურის დიალოგის ფორმა

რემინისცენცია კულტურის დიალოგის უმნიშვნელოვანესი ფორმა, საინტერესო და პროდუქტიული მხატვრული ხერხია, რომელიც მკითხველს ანიჭებს ერთხელ უკვე წაკითხულსა და განცდილთან ახალ ვითარებაში შეხვედრის საშუალებას და განსხვავებულ მხატვრულ-ესთეტიკურ სიამოვნებას ანიჭებს მას.

ლიტერატურულ რემინისცენციას აქვს ფილოსოფიური და ესთეტიკურ-უტილიტალური ფუნქცია. იგი აერთიანებს კულტურათა ისტორიულ გამოცდილებას, სხვადასხვა თუ ერთ პერიოდში შექმნილ მხატვრულ ტექსტებს, რის შედეგადაც იქმნება სიტყვაკაზმული მწერლობის ჰიპერტექსტი.

ლიტერატურულ რემინისცენციას ქართულ ლიტერატურაშიც ხანგრძლივი და საინტერესო ისტორია აქვს. ქართულ მხატვრულ-კულტურულ სამყაროში იგი უკვე პირველ ლიტერატურულ

ძეგლთან ერთად ჩნდება. ქართული სასულიერო მწერლობა უხვად საზრდოობს და ეყრდნობა ქრისტიანულ კანონიკურ ძეგლებს.

მაგალითად, იაკობ ხუცესის "შუშანიკის წამების" მთავარი მოქმედი გმირი პავლე მოციქულის იმ მოსაზრებას იმოწმებს, რომელიც მან კორინთელთა მიმართ პირველ ეპისტოლეში გამოთქვა: "მასმიეს მე პავლე მოციქულისაგან: "არა დამონებულ არს ძმაი, გინა დაი, არამედ განეყენენ".

შუშანიკი თავისი თავის შესახებ ამბობს: "უკუეთუ ღირს რაიმე ვარ უკუანაისკნელი ესე მეათერთმეტეი მოქმედი ვენახისაი, იყვენით ყოველნი კურთხეულ უკუნისამდე ჟამთა", რაც მათეს სახარების (მათე 20, 1-16) ცნობილი იგავის გამოძახილია.

ბიბლიისა და სხვა ქრისტიანული კანონიკური ტექსტების ციტირება საინტერესო პერსპექტივას შლის ავტორის წინაშე, საშუალებას აძლევს მას, გამოიყენოს ქრისტიანულ ძეგლებში დაუნჯებული სიბრძნე თავისი ფილოსოფიურ-ზნეობრივი თუ მოქალაქეობრივი პოზიციის გამოსახატად. ამავე დროს ქართული სასულიერო მწერლობა თავადაც წარმოადგენს რემინისცენციის ობიექტს. თანამედროვე ქართველი მწერლები თავიანთ შემოქმედებაში ამ ძეგლებს აქტიურად მიმართავენ, იყენებენ კულტურულ-შემოქმედებით დიალოგში და, შეიძლება ითქვას, ამით ახალ სულს შთაბერავენ ამ ნაწარმოებებს და მეორე ლიტერატურულ სიცოცხლეს აძლევენ მათ.

მაგალითად, ანა კალანდაძე ლექსში „...„არ კვნესის, არ მოთქვამს" იყენებს ციტატას იოანე საბანისძის "აბო თბილელის წამებიდან" („ვითარცა ლერწამი ქართაგან ძლიერთა"). ლექსის მხატვრული სამყაროს სიღრმისეული ანალიზი დაგვარწმუნებს, რომ ამ ციტირებით იქმნება ახალი მხატვრული რეალობა, რომელსაც ღრმად ინტელექტუალური და შემოქმედებითი ხასიათი აქვს.

ზოგჯერ მწერალი შემოქმედებითი მიდგომის საფუძველზე ორიგინალს წარმოაჩენს გარკვეული სახეცვლილებით, ინარჩუნებს მის ძირითად იდეურ-აზრობრივ პლასტებს, მაგრამ შეაქვს თავისი ახალი მხატვრული სახეებიც. ნიმუშად გამოგვადგება კვლავ ა. კალანდაძის ლირიკული ლექსი („...მოჰყავთ შუშანიკი ტანჯული, გვემული...), რომელშიც იგი "შუშანიკის წამების" ახლებურ პოეტურ გააზრებას გვთავაზობს. ამ ლექსში ბევრი პასაჟი ცურტაველისეულია, ავტორის მიერ პერიფრაზირებული ("მოჰყავთ შუშანიკი ტანჯული, გვემული"; "ტირიან, მოთქვამენ „დედანი ზეპურნი"; "ვითარცა ცოფი, ბრდღუენდა პიტიახში"; "ილოცვიდეთ ჩემთვის!" და სხვა), ზოგი კი ა. კალანდაძისეული ("ფოთოლნი ტირიან ოქროსფერისანი"; "ნისლებს ეფარება ცაი დიდებული"; "ქარმა შეარხია რტოი ძეწნისაი"; "მთათა მოიხადეს გვირგვინნი მეფურნი"; "თვალთა სხივი მოწყდა ელვარებისაი" და სხვ.).

სხვა ლექსში ციტირებისას ა. კალანდაძე ოდნავ ცვლის „შუშანიკის წამების" ტექსტს და მხატვრულ-ესთეტიკური დიალოგის საფუძველზე, ერთი მხრივ, ახალ სიცოცხლეს აძლევს „შუშანიკის წამებას", მეორე მხრივ კი, ქმნის ახალ მხატვრულ სინამდვილეს:

"როცა სხივნი განსასვენად
ყვავილების თეთრ გვირგვინებს
ეახლება და ყვავილი
საალერსოდ რტოებს გაშლის,
ყრმაი ერთი მიადგება უცხო სენაკს,
„ _ რაი გინებს?"
„ _ ხუცეს, გიწესს, პიტიახში. . ."

გავიხსენოთ შესაბამისი ეპიზოდი „შუშანიკის წამებიდან“:

„ იაკობ მანდა არსა?

და მე ვარქუ, ვითარმედ:

_რაი გინებს?

და მან მრქუა:

_უწესს პიტიახში.”

ციტატურ რემინისცენციას დიდი ადგილი უჭირავს ქართულ ლიტერატურაში. მას აქვს შესაძლებლობა, უსაზღვროდ გააფართოვოს არა მარტო ავტორის შემოქმედებითი პალიტრა, არამედ ტექსტის აზრობრივი ჩარჩოები და მკითხველის თვალსაწიერი. იგი განათლებული, დახვეწილი მხატვრულ-ესთეტიკური გამოცდილებისა და კულტურის მქონე მკითხველის ლიტერატურული მესხიერებისა და ასოციაციური აღქმის უნარის იმედით იქმნება. ლიტერატურული რემინისცენციით მწერლები ახალ ლიტერატურულ სიცოცხლეს აძლევენ წიმაბორბედთა თუ თანამედროვეთა მხატვრულ ნაწარმოებებს და დიალოგის საშუალებით ქმნიან ახალ მხატვრულ რეალობას.

ნანა გაფრინდაშვილი

პოემა ავთანდილზე („ვეფხისტყაოსნის“ ერთი რეცეფციის გამო)

ეროვნული ლიტერატურისათვის მეტად მნიშვნელოვანია, როგორ ხდება გამორჩეული ნაწარმოებებისა და პერსონაჟების პოზიციონირება მსოფლიო სალიტერატურო ასპარეზზე.

„ლიტერატურული გმირების დიდი ენციკლოპედიის“ ოთხტომეულში, რომელიც გამომცემლობა „ტერრამ“ გამოსცა მოსკოვში 2001 წელს ქართული ლიტერატურა ერთადერთი პერსონაჟით, ავთანდილითაა, წარმოდგენილი.

გამომცემლები აღნიშნავდნენ, რომ მათი მიზანია, წარმოაჩინონ ის გმირები, თუნდაც მეორეხარისხოვანი, რომლებიც წიგნის წაკითხვის შემდეგ სამუდამოდ რჩება მკითხველთან და აგრძელებს ცხოვრებას მის წარმოსახვაში.

ავთანდილი პოემის მთავარი არა, მაგრამ ერთ-ერთი მთავარი მოქმედი გმირია, რომელიც ინტელექტუალურ მკითხველს გულგრილს ვერ დატოვებს და წიგნის დახურვის შემდეგაც დარჩება მის წარმოსახვაში. თუმცა, ვერ ვიტყვით, რომ მკითხველის ცნობიერებაში ის ტარიელზე უფრო მნიშვნელოვან ადგილს იკავებს. რუსთველოლოგიასა და ქართულ სინამდვილეში დამკვიდრებული ტრადიციის მიხედვით, თუ „ვეფხისტყაოსნის“ ერთი მთავარი პერსონაჟი სახელდება, ის ტარიელია, თუ ორი - ტარიელი და ავთანდილი, ხოლო, თუ სამი რაინდი - ტარიელი, ავთანდილი და ფრიდონი.

აღქმა ინდივიდუალურია, რომელიმე რეციფიენტზე „ვეფხისტყაოსნის“ გმირთაგან შეიძლება ყველაზე უფრო დიდი შთაბეჭდილება ფატმანმა მოახდინოს, მაგრამ სოლიდური გამოცემის შემთხვევაში უმჯობესია საყოველთაოდ გაზიარებული პოზიცია იყოს წარმოჩენილი.

ამ სტატიაში, ჩვენი აზრით, რამდენიმე საკამათო მოსაზრებაა გამოთქმული:

„მამაცი რაინდი ავთანდილი ტარიელისაგან განსხვავდება გამჭრიახი, მახვილი გონებით. სანამ სხვები მამაცად მიიწევენ სამართლიანობისათვის ღია ბრძოლაში... ავთანდილი იმავე შედეგამდე მიდის, ანუ სამართლიანი საქმის ტრიუმფამდე, იყენებს რა დიპლომატიასა და ეშმაკობას“.

„ზეპირმა ტრადიციებმა და სახალხო სიმღერებმა მოგვცა საშუალება გაგვეგო ამ აყვავებული ლიტერატურის შესახებ, რომლისგანაც დარჩა მხოლოდ ერთადერთი პოემა ავთანდილზე, რომელმაც ჩვენამდე XVIII საუკუნის რედაქციით მოაღწია“.

„ავთანდილი განასახიერებს დასავლეთ საქართველოს სრულყოფილ იდეალს ტარიელისაგან განსხვავებით, რომელიც ამ ქვეყნის აღმოსავლეთი ნაწილის სულს წარმოადგენს“.

ყველა კულტურულ სამყაროს აქვს გამორჩეული ნაწარმოებები, რომლითაც თავიანთ წვლილი შეაქვს მსოფლიო ლიტერატურაში. ქართული ლიტერატურისათვის ასეთი ნაწარმოები „ვეფხისტყაოსანია“ და მისი სწორი ინტერპრეტაცია ყველა ეპოქაში აქტუალურია.

ეკატერინე ნავროზაშვილი

ხოსე ორტეგა ი გასეტი – თარგმანის შესახებ

ესპანელმა გავლენიანმა ფილოსოფოსმა, სოციოლოგმა და პუბლიცისტმა – ხოსე ორტეგა ი გასეტმა 1930 წელს დაწერა ესე „თარგმანის სიღატაკე და ბრწყინვალება“ (“Miseria y esplendor de la traducción").

ხოსე ორტეგა ი გასეტის ესემ იმთავითვე მიიპყრო ლიტერატორებისა და თარგმანმცოდნეთა ყურადღება. მის ანალიზსა და კრიტიკას არაერთი ნაშრომი მიეძღვნა. მოხსენებაში მიმოვიხილავთ ზოგიერთ მათგანს.

ესე „თარგმანის სიღატაკე და ბრწყინვალება“ 5 ნაწილისგან შედგება და საინტერესოა არა მარტო ავტორისეული „კონცეპტუალური განაზრებებით“, არამედ ფორმა-შინაარსით. ხოსე ორტეგა ი გასეტი ფართოდ შლის „კოლეჯ დე ფრანსის“ მასწავლებელთა ინტელექტუალური საუბარის თემას – თარგმანის შეუძლებლობასა თუ შესაძლებლობას.

დასაწყისში ესპანელი ფილოსოფოსი თარგმანს „სასამართლოს“ უწყობს და მბრალმდებლის როლში „სიღატაკეს“ წარმოადგენს. გასეტი ესეში განიხილავს მთარგმნელობითი საქმიანობის არაერთ მხარეს, მსჯელობს მის სირთულეებზე, წინააღმდეგობებზე და მათზე დაყრდნობით თარგმანის შესაძლებელ ბრწყინვალებისაკენ გვიჩვენებს გზას: „თარგმანი მოკვდა! გაუმარჯოს თარგმანს!“ ესეს ბოლო ნაწილში – „ბრწყინვალება“ – გასეტი აღიარებს თარგმანის საჭიროებასა და მნიშვნელობას.

ეკატერინე ნავროზაშვილი

თეოფორული სახელები და მათი გადმოცემის საკითხისათვის *ძველი აღთქმის* ახალ ქართულ თარგმანებში

სპეციალურ ლიტერატურაში მითითებულია, რომ „თეოფოროს“ ბერძნული სიტყვაა და ნიშნავს: „ღმერთს შეიცავს ან თან ატარებს“, „თეოფორული ნომატა – ღმერთისგან ნაწარმოები სახელებია“. ძველი აღთქმის ტექსტებში ღმერთი ორი ძირითადი სახელით – ***ელ/ელოჰიმ*** და ***იაჰ/იაჰვეჰ*** – დასტურდება.

სალექსიკონო განმარტებების მიხედვით, ღვთის ებრაული სახელის – ***יהוה /იაჰვე*** („მე ვარ, მე ვიქნები შენთან“, გამ. 3:14) – ტეტრაგრამა „თანახში“ 6823-ჯერ გვხვდება და პირველად

დაბადების წიგნშია ნახსენები (დაბ.2-3), თუმცა მისი „აღმოცენება მოსესთვის ღვთის გამოცხადების ხანას უკავშირდება“ (ქრისტიანობის ლექსიკონი, 2011), ხოლო მეორე სახელი – ***אֱלֹהִים/ელოჰიმ***-ი (ღმერთები) მრავლობითი რიცხვის ფორმაა ***אל/ელ*** სიტყვისა. ეს უკანასკნელი კი (ელ) ძირითადად ძველი აღთქმის პოეტურ ტექტებშია გამოყენებული.

თეოფორული სახელების შესწავლას არაერთი ნაშრომი მიეძღვნა. ამ საკითხთან დაკავშირებით მოხსენებაში განვიხილავთ რამდენიმეს.

ალ. მენი გამოყოფს თეოფორული სახელების 4 ჯგუფს: 1. სახელებს, რომლებშიც ***იაჰვე*** სახელის თავში ან ბოლოში (იოჰანან, იეჰოშუა – იშაიჰუ) შემოკლებული ფორმით გვხვდება;
2. სახელებს, რომლებიც შეიცავენ ***ელ***-ს ასევე სიტყვის თავსა და ბოლოში (ელიაჰუ – გაბრიელ);
3. ღვთაებრივი წოდების გამომხატველ სახელებს: მაგ.: მელეხ (მეფე), ბაალ (მფლობელი, ბატონი, უფალი, მბრძანებელი...); ადონ/ადონი (უფალი, მბრძანებელი... ჩემი უფალი/ ჩემი მბრძანებელი...). ეს წოდებები მიემართება როგორც ისრაელის, ასევე – წარმართული პანთეონის ღმერთებს;
4. სახელებს, რომლებიც გენეტიკურად დაკავშირებულია ღმერთის სახელებთან, უმეტესწილად ქანაანის.

ე. აბერი თავის ნაშრომში „თეოფორული სახელები“ უფრო სრულად წარმოადგენს ამ ტიპის სახელების კლასიფიკაციას; გვთავაზობს მათი აგების ხერხებსა და ფორმებს. მსჯელობს, კომპოზიტებში ***ელ*** და ***იაჰვეს*** მიმართებებზე სახელის ძირში არსებულ სხვა თანხმოვნებთან, ხსნის სიტყვათა სემანტიკას და გვიჩვენებს, თუ რა განაპირობებდა მშობლის არჩევანს შვილისთვის თეოფორული სახელის დარქმევისას. მისი აზრით, შვილის ბოძებისთვის, დახმარებისთვის, ღვთისადმი მადლიერება გამოიხატება კომპოზიტებში –ნათანიელ (რიცხ.1:8); ელიაზარ (გამ. 6:23), ელეაზარ (დაბ.15:2)... მშობლების იმედი შვილების ბედნიერი მომავლისათვის იკითხება სახელებში: იეჰოაკიმ (II მეფ. 23:34), ელიაკიმ (II მეფ. 18:18)...; ხოლო სამშობლოში დაბრუნების სურვილი: ელიაშივ (ეზრა10:6)... და ღვთის დიდება – სახელში: გედალიაჰ (იერ. 40:5) და ა.შ.

ქართულ სამეცნიერო სივრცეში სხვადასხვა ასპექტით თეოფორული სახელები შესწავლილია აკაკი შანიძის, კ. გამსახურდიას, კ. დანელიას და სხვ. ნაშრომებში. კ. დანელია რელიგიური რწმენისა და წარმოდგენების აღმნიშვნელ სახელთა კვლევისას („ებრაული ლექსიკა ბიბლიურ წიგნთა ქართულ ვერსიებში“), სხვა ებარაული სიტყვების გვერდით, განიხილავს ღმერთის სახელების – ***ელ, იაჰვე, ადონაი, სადაი, საბაოთი*** – სემანტიკასა და ბიბლიის ძველ ქართულ თარგმანებში მათი გადმოცემის ფორმებს.

საანალიზოდ ავიღეთ 1995 წელს ისრაელში გამოცემული „თორა“ („მოსეს ხუთწიგნეული“; მთარგმნელები არიან: თამარ მამისთვალოვი-კეზერაშვილი, აბრაამ მამისთვალოვი და გერშონ ბენ ორენი, საქართველოდან ისრაელში „ასული“ ქართველი ებრაელები) და საპატრიარქოს მიერ გამოცემული „ბიბლია“ (მთარგმნელი ზურაბ კიკნაძე). ორიგინალისა და ქართული თარგმანების ტექსტობრივმა შეჯერებამ გვიჩვენა, რომ თარგმანებში, ებრაული თეოფორული სახელები ძირითადად უთარგმნელად, ტრანსლიტერაცია/ტანსკრიპციის გზითაა გადმოცემული – თარგმანებში შენარჩუნებულია ორიგინალის ჟღერადობა და კოლორიტი, თუმცა გვხვდება ფონეტიკური და სემანტიკური ცვლილებებით წარმოდგენილი სახელები და ასევე – ტრადიციული ეკვივალენტებიც.

ეკატერინე ნავროზაშვილი

სანდრო შანშიაშვილის ლირიკული პოემა „სულამიტ“

ბიბლიური „სოლომონის ქებათა ქება“ საუკუნეების განმავლობაში არაერთი მწერლის ინსპირაციის წყარო გახდა. მისი მოტივების მიხედვით შეიქმნა სხვადასხვა სტილის, ჟანრის (მისტიკური, ფოლოსოფიური, ირონიულ-პაროდიული, ფრივოლური...) არაერთი პოეტური და პროზაული ტექსტი: იეჰუდა ჰალევის „სიმღერა სულამითისა“, ჰ. ჰაინეს „Das Hohelied“, ვოლტერის „Précis du Cantique des cantiques“, ა. პუშკინის «В крови горит огонь желанья…», «Вертоград моей сестры…», ა. ფეტის «Подражания восточному», შოლომ-ალეიხემის «Песнь песней», ა. კუპრინის «Суламифь» და ა.შ. მათ შორის – ს. შანშიაშვილის პოემა „სულამიტ“.

1909 წელს დაიბეჭდა წიგნი „ქება-ქებათა სოლომონისი“, რომელიც მოიცავს კიტა აბაშიძის წინასიტყვაობასა და ორ თხზულებას: 978 წლის ოშკის ბიბლიაში დაცულ „ქება-ქებათას“ ტექსტს (1886 წელს გამოცემულს კიტა აბაშიძის მიერ) და მწერლისა და დრამატურგის ა. შანშიაშვილის ლირიკულ პოემას „სულამიტ“.

კ. აბაშიძემ წინასიტყვაობაში პირველმა დასვა „ქება ქებათას“ უშუალოდ ორიგინალიდან თანამედროვე ქართულ ენაზე ამეტყველების საკითხი და ხაზგასმით აღნიშნა, რომ „ქება ქებათა“ ეროტიკული (სამიჯნურო) წიგნია და ქართველ მწერლებს, ევროპელთა მსგავსად, ყურადღება „სამიჯნურო საგნებზე“ უნდა გაემახვილებინათ.

ა. შანშიაშვილის პოემის სათაური – სულამიტ – „ქება ქებათას“ პერსონაჟის სახელის ალუზიაა, პოემა რითმიანი ლექსითაა დაწერილი და ნინო თ-შვილის ეძღვნება (სავარაუდოდ, ნინო თარიშვილს, იმდროინდელ ქართველ პოეტთა მუზას). პოემას ახლავს ეპიგრაფიც – „ქება ქებათადან“ (ქ.ქ., 8:6,7), 8 თავისგან შედგება, უსიუჟეტოა და სატრფოსადმი მიძღვნილი პოეტის ტრაგიკული სიყვარულის მონოლოგია, რომელშიც სუსტად, მაგრამ ზოგჯერ მაინც ისმის სატრფოს „ხმაც“ – ა. შანშიაშვილის ლირიკული სატრფო ირეალური თუ რეალური სულამიტია.

მოხსენებაში ტიპოლოგიური კვლევის საფუძველზე, გაანალიზებულია კონკრეტული მაგალითები, ნაჩვენებია, თუ როგორ ცნაურდება „ქება ქებათას“ სტრუქტურა, სტილისტური ბუნება – ინტერტექსტუალური რემინისცენციები, ალუზიები, ეპითეტები და მეტაფორები, ეროტიკული სიმბოლიკის შემცველი ლექსიკური ერთეულები – სანდრო შანშიაშვილის ზემოაღნიშნულ პოემაში. კვლევის შედეგობრივი სურათით გამოვლენილია ა. შანშიაშვილის პოემის მხატვრული მახასიათებლები.

ეკატერინე ნავროზაშვილი
ნანა გონჯილაშვილი

ალ. გრიბოედოვის კომედიის „ვაი ჭკუისგან“ ქართული თარგმანების რეცეფცია

ალ. გრიბოედოვი თავის პიესას –„ვაი ჭკუისაგან“ – რამდენიმე წლის განმავლობაში წერდა. კომედიის შექმნაზე ფიქრი მას 1820 წლიდან დაუწყია (ს. ნ. ბეგიჩევის გადმოცემით, 1816 წლიდან), ხოლო თბილისში შესდგომია ჩანაფიქრის განხორციელებას (ამ საკითხთან დაკავშირებით მკვლევრები განსხვავებულ მოსაზრებებს გამოთქვამენ). 1823 წელს ალ. გრიბოედოვს კომედიის პირველი ვარიანტი «Горе уму» დაუსრულებია. ერთი წლის შემდეგ კი, როგორც სათაური («Горе от ума»), ასევე პიესის ზოგიერთი ადგილი საფუძვლიანად გადაუკეთებია. ნაწარმოები მწერლის სიცოცხლეშივე ვრცელდებოდა ხელნაწერის სახით. ასევე იბეჭდებოდა მისი ცალკეული ნაწილებიც. ცენზურის მიერ მნიშვნელოვნად ჩასწორებული პიესა 1833 წელს გამოიცა, კომედიის სრული ტექსტი კი – მხოლოდ 1862 წელს.

კომედია მრავალმხრივაა საინტერესო: აქტუალური თემატიკით, სტრუქტურით, რეალიებითა და ნაციონალური კოლორიტის შემცველი იდიომატური გამონათქვამებით და ა. შ., რომელთა ერთი ენიდან მეორე ენაზე გადატანა მთარგმნელისგან დიდ ნიჭსა და გამოცდილებას მოითხოვს.

უნდა აღინიშნოს, რომ მე-19 საუკუნის 30-იან წლებში უკვე ჩნდება კომედიის უცხო ენაზე ამეტყველების ცდები. პირველი გერმანული და პოლონური თარგმანები 1931 წლით თარიღდება (მთარგმნელები არიან: კარლ ფონ კნორრინგი, ლუის შნაიდერი, აპოლ კოჟენოვსკი). მოგვიანებით ნაწარმოები ითარგმნა ინგლისურ, ფრანგულ, ლატვიურ, თურქულ, სომხურ და ა.შ. ენებზე. მკვლევართა ცნობით, დღეისათვის პიესის 25 ენაზე შესრულებული 90 თარგმანი არსებობს. ალ. გრიბოედოვის პიესის როგორც ტექსტი, ასევე თარგმანები საფუძვლიანადაა შესწავლილი რუსი და უცხოელი მკვლევრების მიერ (ე. ვ. აბლოგინა, ნ.ე. რაზუმოვა, ნ.პ ვორონოვა, მ.ა გამაზოვი, ნ.ა. სოლოვევა, ლ. ვინერი...)

ალ. გრიბოედოვის კომედიის გრიგოლ წინამძღვრიშვილისეული პირველი ქართული თარგმანი 1853 წელს დაიბეჭდა. თარგმანს ერთვის შესავალი და ბოლოსიტყვაობა. წინასიტყვაობაში მთარგმნელი მკითხველს სთავაზობს ალ. გრიბოედოვის ბიოგრაფიას, საკუთარ მოსაზრებებს კომედიის სახელწოდების შესახებ. ბოლოსიტყვაობაში გრ. წინამძღვრიშვილი „მართებულად აფასებს გრიბოედოვის კომედიის მნიშვნელობას“, საუბრობს თავის მთარგმნელობით პრინციპებზე, ამართლებს საკუთარ არჩევანს – თავისუფალი თარგმანის მეთოდს.

არსებობს ცნობა, რომ ალ გრიბოედოვის პიესა (შექსპირის „რომეო და ჯულიეტასთან ერთად) ალექსანდრე ყაზბეგსაც უთარგმნია.

1898-1899 წლებში ქართველი მკითხველი ჟურნალ „კვალში“ ალ. გრიბოედოვის კომედიის დომინიკა ერისთავისეულ (განდეგილი) თარგმანის ცალკეულ ნაწილებს გაეცნო. 1902 წელს დ. ერისთავის ეს თარგმანი ილია ჭავჭავაძის რედაქტორობით ცალკე წიგნადაც გამოიცა.

მოგვიანებით პიესა კიდევ ერთხელ ითარგმნა ქართულ ენაზე. კომედიის სიკო ფაშალიშვილისეული თარგმანი მრავალმხრივ საყურადღებოა და მნიშვნელოვანი.

მოხსენებაში წარმოდგენილია ალ. გრიბოედოვის კომედიის ქართული თარგმანებიდან გრ. წინამძღვრიშვილის, დ. ერისთავისა და ს. ფაშალიშვილის თარგმანების ანალიზი (კვლევისას ვეყრდნობით: ალ. გრიბოედოვის ტექსტის „Горе от ума“-ს ინტერნეტვერსიას (https://ilibrary.ru/text/5/p.1/index.html), ხოლო ქართული თარგმანებისთვის: 1853 წელს

გამოცემულ გრ. წინამძღვრიშვილის, 1902-1903 წწ. ჟურნალ „მოამბის“ ნომრებში დაბეჭდილ დ. ერისთავისა და 1960 წელს გამოცემულ სიკო ფაშალიშვილის ტექსტებს). ნაშრომში განხილულია ალ. გრიბოედოვის ნაციონალური კოლორიტის შემცველი იდიომატური გამონათქვამების («закрутить хохол», «быть в случае»...), რეალიების («грош»...), ფუნქციური სახელების (Фамусов, Репетилов, Чацкий თავდაპირველი ვერსიით Чадский,) თარგმანებში გადმოტანის გზები თუ საშუალებები, ქართულ თარგმანებში არსებულ ბარბარიზმები (გრ. წინამძღვიშვილთან გვხვდება: ვეჩერი, ბალი, ფრანცუზი, სკუჩნობა... ამ მხრივ გამონაკლისს არც დომინიკა ერისთავის თარგმანი წარმოადგენს), შესწავლილია, როგორ იცვლება (დროის გათვალისწინებით) პიესის ქართულ თარგმანებში მთარგმნელობითი პრინციპები, პოეტიკა, ენობრივი მარკერები (თარგმანებისთვის დამახასიათებელია: სუბიექტივიზმი, რუსული ლექსიკური ერთეულების, იდიომების არასწორად აღქმა და, შესაბამისად, გადმოტანა, კლება-მატება, გამოტოვება...).

7.2. უცხოეთში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	ნანა გაფრინდაშვილი, მარიამ მირესაშვილი	Образ врага в контексте грузино-абхазского конфликта (на примере современной грузинской и абхазской литературы	Adam Mickiewicz University in Poznań University of Rzeszów Kavkaz-Przeszłość-Teraźniejszość-Przyszłość 9th INTERNATIONAL SCIENTIFIC CONFERENCE CAUCASUS: HISTORY OF REGION, HISTORY OF RESEARCH POZNAŃ-RZESZÓW 2020 ONLINE 3-4th DECEMBER 2020
2	ნანა გაფრინდაშვილი, ნინო წერეთელი	Translatability and poetic translation (On the material of the Russian translations of Galaktion Tabidze's poetry) / Tulkojamība un poētiskā tulkošana: Galaktiona Tabidzes dzejas krievu tulkojumu materiālu piemērs	**2020, 5-6 მარტი, ლიეპაია, ლატვია.** 26-ე საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია. Current Issues in Research of Literature and Culture .
3	ნინო წერეთელი	The family in Modern Georgian	Adam Mickiewicz University in Poznań University of Rzeszów

		Prose/ოჯახი თანამედროვე ქართულ პროზაში	Kavkaz-Przeszłość-Teraźniejszość-Przyszłość 9th INTERNATIONAL SCIENTIFIC CONFERENCE CAUCASUS: HISTORY OF REGION, HISTORY OF RESEARCH POZNAŃ-RZESZÓW 2020 ONLINE 3-4th DECEMBER 2020

მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა)

მარიამ მირესაშვილი, ნანა გაფრინდაშვილი

მტრის სახე ქართულ-აფხაზური კონფლიქტის კონტექსტში (თანამედროვეც ქართული და აფხაზური ლიტერატურების მაგალითზე)

ლიტერატურა აქტიურად რეაგირებს ქვეყანაში მიმდინარე ტრავმულ ცვლილებებზე. გასული საუკუნის ბოლოდან საქართველოში კულტურული ტრავმების პრობლემა კონცენტრირებულია აფხაზეთისა და სამაჩაბლოს ომებზე. ომში ტრავმული მეხსიერება აქტიურდება ტრაგიკული მოვლენების შემდეგ, თუმცა ქვეყნის მთავრობა და საზოგადოება ცდილობს გაძლიერდეს, შეინარჩუნოს ეროვნული იდენტურობა ოკუპაციის პირობებში, ხელი შეუწყოს ეროვნული ერთიანობის ჩამოყალიბებას. სწორედ ამ პერიოდში განსაკუთრებით მძაფრად დგება "ჩვენ" ჯგუფის ფორმირების საკითხი, რომელშიც საერთო წარსულის მქონე ხალხი და, შესაბამისად, საერთო მომავლისა და ორიენტირების მქონე ადამიანები ერთიანდებიან, რომლებიც პირდაპირ თუ ფარულად უპირისპირდებიან "სხვებს-უცხოებს".

ამ პროცესებში აქტიურად მონაწილეობენ მწერლები პრესასთან, ტელევიზორთან, კინემატოგრაფიასთან და ა.შ. ერთად, რომლებიც ქმნიან "უცხოთა" სხვადასხვა მხატვრულ მოდელებს და, გარკვეულწილად, ხელს უწყობენ მტრის სურათის წარმოსახვითი სტერეოტიპის შექმნას ხალხში. როგორია მტრის წარმოსახვითი ხედვა თანამედროვე ქართველი და აფხაზი მწერლების მიერ მათ მიერ შექმნილ ომის თემაზე შექმნილ მხატვრულ ნაწარმოებებში? მოხსენებაში ამ კითხვაზე პასუხის გაცემის მხდელობაა მოცემული შესაბამის მაგალითების მოხმობით. ამ თვალსაზრისით, საინტერესო მასალას გვაძლევს პოსტკოლონიური ქართული და აფხაზური ლიტერატურები, სადაც 1991-1992 წლებში აფხაზეთში მომხდარი ტრაგიკული მოვლენები მხატვრულადაა ასახული.

უკვე მესამე ათწლეულის განმავლობაში ქართულ-აფხაზური ურთიერთობები აქტიური განხილვის საგანი იყო პოლიტიკოსების, სოციოლოგების, კინემატოგრაფისტების, მწერლების და ა.შ. მიერ. ამ დროის განმავლობაში მიმდინარეობს დრამატული დიალოგი, რომელშიც ემოციებისა და გრძნობების ფართო პალიტრაა წარმოდგენილი: სიყვარულიდან სიძულვილამდე, დაახლოებიდან სრულ გაუცხოებამდე. დისკურსის ხასიათიდან გამომდინარე, უდავოდ, ეროვნული სტერეოტიპი და ეროვნული მითი პოულობენ მხატვრულ ლიტერატურაში ნაყოფიერ ნიადაგს პოულობენ გასავრცელებლად.

ძალზე ძნელია ეთნიკური და კულტურული სტერეოტიპებისა და ფობიების სრულად გადმოცემა იმ დრამატული მოვლენების წარმოჩენით, რომლებიც განვითარდა ქართველებსა და აფხაზებს შორის ურთიერთობებში გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან დღემდე. ჩვენ შესაძლებლად მიგვაჩნია გამოვყოთ მხოლოდ ზოგიერთი ფანტაზია,

რომელიც ფესვგადგმულია პოსტკოლონიურ ქართულ ლიტერატურულ ნაწარმოებში. ქვემოთ შევეცდებით თანამედროვე ქართველი მწერლების თვალით დანახული აფხაზეთის ტრაგედია აჩვენოთ; მათ შორის არიან ისეთებიც, რომლებიც პირადად იყვნენ მოვლენების ეპიცენტრში და გაუძლეს ომის სირთულეებს და ის მწერლები, რომლებიც ომის თემას შეუერთდნენ "შორიდან დანახული ჭეშმარიტებით".

განხილული ნაწარმოებების ერთი ნაწილი ემყარება რეალურ ფაქტებს; შედეგად, მწერლების მიერ წარმოჩენილი პერსონაჟები და აღწერილი მოვლენები დამაჯერებელია. ქართველი მწერლები ერთ საკითხზე ერთსულოვანნი არიან – კონფლიქტში მონაწილე ორივე მხარისთვის ეს ომი სულიერი დაცემა იყო; შესაბამისად, ქართველი მწერლების მთავარი გზავნილი მკითხველისთვის არის აზრი, რომ აფხაზეთის ომს არ აქვს გამართლება; მასში გამარჯვებული არ არის.

ნაშრომში განხილულია ნუგზარ შატაიძის თამაზ ექვთიმიშვილის, სერგო წურწუმიას, ირმა მალაციძის, გურამ ოდიშარიას, ვანდა დბარის, ემა ანქვაბის და სხვათა ნაწარმოებები.

ნანა გაფრინდაშვილი
ნინო წერეთელი
პოეზიის თარგმნის თავისებურებები
(გალაკტიონ ტაბიძის პოეზიის რუსული თარგმანების მიხედვით)

გალაკტიონ ტაბიძის პოეტური წარმოსახვა სამყაროს მუსიკალური აღქმიდან იღებს სათავეს და სწორედ მუსიკა ეხმარება პოეტური სახის შექმნაში . შექმნილი პოეტური სახე , ლექსის ესთეტური მწვერვალი, ყველაზე რთულად ტრანსფორმირდება თარგმანში. , ,რომელიც სათარგმნელი ენის სტრუქტურულ ყალიბში ხშირად ვერ თავსდება და და შესაფერის პოეტურ ქსოვილს ვერ ქმნის.

გალაკტიონთან პოეტური სახის მრავალფეროვნება უკავშირდება ბუნებას,რომელიც პოეტთან სულიერია.გალაკტიონის პოეტური სახეები მკითხველს ახსენებს იმპრესიონისტულ პეიზაჟებს ,იმპრესიონისტული ფერებს. ცალკე აღნიშვნის ღირსია ფერთა პალიტრა გალაკტიონის პოეზიაში ,რომელიც ძალზე მდიდარია.ისევე როგორც იმპრესიონისტებისთვის ,გალაკტიონისთვისაც საკმარისი არ აღმოჩნდა სპექტრის არსებული ფერების გამოყენება და შექმნა ახალი ,ბუნებრივი ფერები სასურველი პოეტური სახის შესაქმნელად.

მე–20 საუკუნის 60–იანი წლების დასაწყისიდან გალაკტიონის პოეზია ინტენსიურად ითარგმნება.გალაკტიონის პოეზია სხვადასხვა დროს რუსულ ენაზე თარგმნეს მ.სინელნიკოვმა, პ.ანტოკოლსკიმ, ე.ნიკოლაევსკაიამ, ბ.ახმადულინამ, ვ.ქვაჩახიამ, ო,ივინსკაიამ, ი.სნეგოვამ, ვ. ლეონოვიჩმა და სხვა მთარგმნელებმა.

გალაკტიონის პოეზიის ყველაზე მეტი თარგმანი რუსულ ენაზეა შესრულებული . გალაკტიონის პოეზიის ნიმუშები არა მხოლოდ მე-20 საუკუნეში ითარგმნებოდა ინტენსიურად ,არამედ დღესაც ითარგმნება .გალაკტიონის პოეზიის თარგმნა ერთგვარი გამოწვევაა, როგორც დამწყები, ახალბედა მთარგმნელებისთვის. არამედ პროფესიონალი მთარგმნელებისთვისაც.გალაკტიონის პოეზიის მთარგმნელების დამახასიათებელი თვისება ის არის,რომ მათთვის რთულია სუბიექტივიზმის დაძლევა .გალაკტიონის შემოქმედების დიდი ნაწილი ისევ თარგმნას ელის, პოეტური სახეებით აღსავსე პოეზია კი ახალ თარგმანებში ხელახალ გააზრებას .

ნინო წერეთელი
ოჯახი თანამედროვე ქართულ პროზაში

1991 წლიდან 70-წლიანი ისტორიის მქონე საბჭოთა ქვეყნისთვის ახალი ,პოსტკოლონიური

ცხოვრება იწყება. პოსტკოლონიური საქართველოს ცხოვრება არ არის მშვიდი და დინამიური.საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ საქართველოს არ დაკლებია არც შიდა დაპირისპირებები და არც ომები.პოსტკოლონიურ ქართულ ლიტერატურაში იცვლება ოჯახის სტერეოტიპი, რომელიც არსებობდა და ამ სტერეოტიპის ცვლილება, ბუნებრივია, წინააღმდეგობებით არის აღსავსე. საბჭოთა ლიტერატურაში და ასევე ქართულ საბჭოთა ლიტერატურაში, დომინანტურია ოჯახის,როგორც საზოგადოების „ჯანსაღი უჯრედის“ ასახვა. სახელმწიფოს დევიზი, „ყველაფერი საუკეთესო ბავშვებს“, წარმმართველია და ერთიანი სსრკ-ს იდეოლოგიის ნაწილია. სახელმწიფო ზრუნავს ახალგაზრდობაზეც და უმუშევრობის პრობლემა თვალშისაცემი არ არის..თუმცა , ეს ყველაფერი ხდებოდა იდენტობის ,იდეალების დაკარგვის ხარჯზე და საბჭოთა ცენზურის პირობებში ოჯახების თემაც,ისევე როგორც საზოგადოების სხვა პრობლემები, იდეალურად, ან ნაკლები სიმწვავით აისახებოდა ლიტერატურაში. ლიტერატურა კი ,ბუნებრივია, მჭიდრო კავშირში იყო პოლიტიკასთან.

ყველა კოლონიურ ქვეყანას,ჩვენს შემთხვევაში, საბჭოთა ქვეყნებს, საერთო, დამახასიათებელი ნიშნები აქვთ.უნდა შევნიშნოთ,რომ ქართულ ლიტერატურაში ყოველთვის მნიშვნელოვანი იყო ტრადიციული ოჯახის თემის წინ წამოწევა. თანამედროვე ქართველი ავტორების შემოქმედებაში აქტუალურია ოჯახიდან დაშორებული გმირების ცხოვრების აღწერა უცხო ქვეყნებში, ემიგრაციის და ემიგრანტების პრობლემების წარმოჩენა. მოხსენებაში განხილულია სალომე ბენიძის ,ტორეზა მოსის, ლაშა მილორავას, გია არგანაშვილის მოთხრობები. თანამედროვე ქართველი მწერლები ცდილობენ გაიაზრონ ოჯახის თემა, როგორც მარადიული ღირებულება, რომელიც დღეს ტრანსფორმაციას განიცდის. ასევე ცდილობენ შექმნან ისეთი ავტორისეული მოდელი, რომელიც ტრადიციული ოჯახური ფასეულობის აღდგენისკენ იქნება მიმართული.

ერთეულს თუ საჭიროდ მიაჩნია, შეუძლია ანგარიშში შეიტანოს სხვა, მისთვის მნიშვნელოვანი აქტივობაც.

ანგარიში წარმოდგენილი უნდა იყოს ნაბეჭდი (2 ეგზემპლარად) და ელექტრონული ვერსიის
(CD-დისკი) სახით.

ანგარიში, რომელიც არ არის შედგენილი ამ დანართის მოთხოვნების შესაბამისად, ექსპერტიზას (შეფასებას) არ ექვემდებარება და შეფასების შემაჯამებელ დოკუმენტში აღინიშნება ფორმულით „არ შეფასდა“.

ვიზუალური ხელოვნების
სასწავლო-სამეცნიერო
ინსტიტუტი

ანგარიშის ფორმა №2

2020 წელს გაწეული სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ანგარიში

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება
ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის დასახელება
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ვიზუალური ხელოვნების სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი

სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა ხელმძღვანელის მითითებით ასოცირებული პროფესორი ლევან სილაგაძე (ხელმძღვანელი),
ასოცირებული პროფესორი მერაბ კოკოჩაშვილი,
ასისტენტ პროფესორი ვლადიმერ ასათიანი,
ასისტენტ პროფესორი ლელა წიფურია.

1.1.

№	გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	2	3	4
გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2020 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)			

1.2.

№	დასრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	2	3	4
დასრულებული კვლევითი პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)			

2. შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტითდაფინანსებულისამეცნიერო-კვლევითიპროექტები

2.1.

№	გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	საგრანტო ხელშეკრულება SPG-19-652	2020 წლის იანვარში და უნდა დასრულებიყო 2020 წლის დეკემბერში.	ღელა წიფურია
შოთა რუსთაველის სახელობის ეროვნული სამეცნიერო ფონდის პროექტი-„გრაკლიან გორის წარწერის საიდუმლო“ - 2019 წლის მეცნიერების პოპულარიზაციისათვის მიზნობრივ საგრანტო კონკურსში გამარჯვებული, - დაიწყო სამწუხაროდ პანდემიამ განაპირობა ის გარემოება, რომ შესრულებულია პროექტის მხოლოდ ნაწილი: გადაღებულია ფილმის მასალა, ველოდებით მყარი დისკების შეძენას, რათა მასალა მივიტანოთ სამონტაჟომდე და შემდგომ მოვახდინოთ ფილმის მონტაჟი, ტონირება, ფერების კორექცია, მუსიკალური გაფორმება			

2.2.

№	დასრულებული (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	2	3	4
დასრულებული კვლევითი პროექტის 2020 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)			

3. უცხოური გრანტებით დაფინანსებული სამეცნიერო პროექტები

3.1. გარდამავალი პროექტი

№	გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი, დამფინანსებელი ორგანიზაცია/ სამეცნიერო ფონდი,	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

	ქვეყანა		
1	2	3	4
გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2020 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)			

3.2. დასრულებული პროექტი

№	დასრულებული (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი, დამფინანსებელი ორგანიზაცია/სამეცნიერო ფონდი, ქვეყანა	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	2	3	4
დასრულებული კვლევითი პროექტის 2020 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)			

4. პატენტები

4.1. საერთაშორისო პატენტები:

№	საპატენტო თემატიკის სათაური	გამომგონებელი/ები და პატენტმფლობელი/ები	პატენტის საიდენტიფიკაციო კოდი

4.2. ეროვნული პატენტები

№	საპატენტო თემატიკის სათაური	გამომგონებელი/ები და პატენტმფლობელი/ები	პატენტის საიდენტიფიკაციო კოდი

5.ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში

5.1. მონოგრაფიები/წიგნები

№	ავტორი/ავტორები	მონოგრაფიის/წიგნის სათაური, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემისადგილი, გამომცემლობა	გვერდებისრაოდენობა
1	ლევან სილაგაძე	ფიოდორ დოსტოევსკი “ყმაწვილი“. სერია „პალიტრა კლასიკა“	თბილისი 2020. გამომცემლობა „პალიტრა L”	შესრულებულია 6 ილუსტრაცია

	წიგნის ილუსტრირება			
2	ლევან სილაგაძე წიგნის ილუსტრირება	შტეფან ცვაიგი „მარია სტიუარტი“. სერია „პალიტრა კლასიკა“	თბილისი 2020. გამომცემლობა „პალიტრა L”	შესრულებულია 6ილუსტრაცია
3	ლევან სილაგაძე წიგნის ილუსტრირება	ვიქტორ ჰიუგო „საბრალონი“. სერია „პალიტრა კლასიკა“	თბილისი 2020. გამომცემლობა „პალიტრა L”	შესრულებულია 7ილუსტრაცია
4	ლევან სილაგაძე წიგნის ილუსტრირება	გუსტავ ფლობერი „მადამ ბოვარი“ სერია „პალიტრა კლასიკა“	თბილისი. გამომცემლობა „პალიტრა L”	შესრულებულია 6 ილუსტრაცია
5	ლევან სილაგაძე წიგნის ილუსტრირება	ჩარლს დიკენსი „ოლივერ ტვისტი“ სერია „პალიტრა კლასიკა“	თბილისი. გამომცემლობა „პალიტრა L”	შესრულებულია 6 ილუსტრაცია
6	ლევან სილაგაძე წიგნის ილუსტრირება	კონსტანტინე გამსახურდია. „დავით აღმაშენებელი“, „მთვარის მოტაცება“ „დიონისოს ღიმილი“ „ვაზის ყვავილობა“ „მოთხრობები, ნოველები“	თბილისი. გამომცემლობა „პალიტრა L”	შესრულებულია 8 ილუსტრაცია ყდებისთვის.
	მერაბ კოკოჩაშვილი	ბათუმის საერთაშორისო კინოფესტივალის BIAFF-ის პრიზი		კინოხელოვნების განვითარებაში შეტანილი წვლილისათვის.
		ფილმი,,კორნელი კეკელიძე“ -		პროექტის სამხატვრო ხელმძღვანელი
		მხატვრული ფილმი,,ტერცო მონდო“		

5. 2. სახელმძღვანელოები

№	ავტორი/ავტორები	სახელმძღვანელოს სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი	გამოცემისადგილი, გამომცემლობა	გვერდებისრაოდენობა

		ISBN		
1 2	ვლადიმერ ასათიანი 1)შემოქმედებითი პროექტი, I ეტაპი (სამაგისტრო).ელექტრონული, ილუსტრირებული ლექციათა კონსპექტი.			55 გვ.
	2)შემოქმედებითი პროექტი, II ეტაპი (სამაგისტრო).ელექტრონული, ილუსტრირებული ლექციათა კონსპექტი.			45 გვ.
	3)შემოქმედებითი პროექტი, II ეტაპი (სამაგისტრო).ელექტრონული, ილუსტრირებული ლექციათა კონსპექტი. 4)ესთეტიკისა და ხელოვნების უახლესმიმდინარეობათა ისტორია, Iეტაპი (სამაგისტრო).ელექტრონული, ილუსტრირებული ლექციათა კონსპექტი. 5)ესთეტიკისა და ხელოვნების უახლეს მიმდინარეობათა ისტორია, II ეტაპი (სამაგისტრო).ელექტრონული, ილუსტრირებული ლექციათა კონსპექტი.			104 გვ. 78 გვ.

ვრცელი ანოტაცია (ქართულენაზე)

1)შემოქმედებითი პროექტი, I,II,III ეტაპები, ელექტრონული, ილუსტრირებული ლექციათა კონსპექტი.

კურსი სტუდენტს უვითარებს - სახვითი ხელოვნების თეორიული მხარის გაცნობიერების უნარს; მოწოდებულია მოამზადოს სტუდენტი თეორიულად და პრაქტიკულად სახვითი ხელოვნების სფროში სინთეზური აზროვნებისთვის და კომპლექსური მუშაობისთვის, შეუქმნას მას ხელოვნების მასალისადმი კრიტიკული მიდგომის საფუძველი; ჩამოუყალიბოს პრაქტიკული–მხატვრული მუშაობის პროცესში ექსპერიმენტირების უნარ–ჩვევები. ეს შემდეგ ეტაპებზე,

ჩანაფიქრისა და სახვითი მასალის ურთიერთმიმართების სისტემატიზაციაში დაეხმარება. წერის კულტურის, თეორიული ანალიზის დონის ამაღლების პარალელურად, მიმდინარეობს სახვითი პლასტიკურ–კოლორისტული და სტილისტური ცოდნის განვითარება.
2)ესთეტიკისა და ხელოვნების უახლესმიმდინარეობათა ისტორია, I, II ეტაპები ელექტრონული, ილუსტრირებული ლექციათა კონსპექტი.
კურსი წარმოადგენს ესთეტიკის, როგორც ფილოსოფიური და აქედან გამომდინარე ბუნებით გონებაჭვრეტითი დისციპლინის გაცნობის საშუალებას, მისი განვითარების ისტორიულ, დინამიკურ კონტექსტში. ესთეტიკა, ფილოსოფიის ის დარგია, რომელიც ყველაზე მჭიდროდ დაკავშირებულია ხელოვნებასთან და სწავლობს ადამიანის სამყაროსთან ემოციური მიმართების სპეციფიკას, მათ შორის, მის პრაქტიკულ - მხატვრულ გამოვლინებებშიც. ამიტომ ესთეტიკური აზრის განვითარების ძირითადი ეტაპებისა და უმნიშვნელოვანესი კატეგორიების გაცნობა აქ მოცემულია ხელოვნების შესაბამის ეპოქათა და სტილთა ისტორიასთან ბმაში. საგნის შესწავლის გაღრმავებისთვის, თეორიული მასალის დაუფლების პარალელურად, სტუდენტები, ყოველ ლექციაში მოცემული ესთეტიკური და ხელოვნებათმცოდნეობითი მასალის შესწავლისას და რეფერატის ფორმით გადმოცემისას, ახდენენ მის არტეფაქტულ, პრაქტიკულ-მხატვრულ რეალიზაციას, შესაბამისი სტილისა და მანერის ფორმით შესრულებულ კომპოზიციებში.

5.3. კრებულები

№	ავტორი/ავტორები	კრებულის სახელ-წოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემისადგილი, გამომცემლობა	გვერდებისრაოდენობა
1 2 3	ლელა წიფურია		ბათუმის ხელოვნების უნივერსიტეტი	6

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)
„ერთხელ ჰოლივუდში“, ანუ კიდევ ერთხელ კინო კინოში

მსოფლიო კინოს კლასიკოსები ხშირად მიმართავენ ფილმში ფილმის გადაღების პროცესის ჩვენებას. ფედერიკო ფელინის “8½“, ფრანსუა ტრიუფოს
„ ამერიკული ღამე“, ელია კაზანის „უკანასკნელი მაგნატი“, ვუდი ალენის არაერთი ფილმი, გლებ პანფილოვის „დასაწყისი“, ილია ავერბახის „ხმა“ და კიდევ მრავალი ნაწარმოები უდაოდ მეტყველებს კინორეჟისორების დიდ ინტერესზე მოახდინონ ფილმის შექმნის შემოქმედებითი პროცესის ასახვა. რაც შეეხება დოკუმენტურ კინოს- აქ მთელი მიმართულებაა, სადაც მოთხრობილია როგორც ფილმების გადაღების შესახებ, ასევე ამა თუ იმ მსახიობის თუ რეჟისორის ბიოგრაფია, სადაც გადასაღები მოედნების ჩვენებას დიდი ადგილი ეთმობა. კვლევის საგანი ამ ჟანრში გადაღებული კვენტინ ტარანტინოს მეცხრე ფილმია.

კვენტინ ტარანტინოს 2019 წელს გადაღებული „ერთხელ ჰოლივუდში“ 2020 წელს, ოსკარების დაჯილდოებაზე 10 ნომინაციაში იყო წარდგენილი და 2 ოსკარი მიიღო. მანამდე ფილმი რამდენიმე პრიზით აღინიშნა ისეთ პრესტიჟულ დაჯიდოებებზე, როგორიცაა ბაფტა, ოქროს

გლობუსი და ა.შ.
კვენტინ ტარანტინოს ფილმს „ერთხელ ჰოლივუდში“ 1969 წლის ლოს ანჯელესში გადავყავართ, სადაც ყველაფერი იცვლება, როდესაც ტელევარსკვლავი რიკ დალტონი (ლეონარდო დი კაპრიო) და მისი დიდი ხნის დუბლიორი კლიფ ბუთი (ბრედ პიტი) გზას იკვალევენ ინდუსტრიაში, რომელიც ისე შეცვლილა, რომ ვეღარც იცნობ. ეს ფილმი მონაწილე მსახიობების დიდ არმიას და სიუჟეტური ხაზების მრავალფეროვნებას გვთვაზობს, რითაც პატივს მიაგებს ჰოლივუდის ოქროს ხანის დასასრულს. მეზობლად რომან პოლანსკი და შერონ ტეიტი ცხოვრობენ. დალტონი პოლანსკისთან გადაღებაზე ოცნებობს, მაგრამ კარიერაში რთული პერიოდის გამო იტალიაში წასვლას და იქ მოღვაწეობას გეგმავს. კვენტინ ტარანტინოს ფილმში დოკუმენტური სიზუსტით არის გაცოცხლებული სამოციანი წლების დასასრულის სტუდიების ატმოსფერო, ჰიპების გარემო, ჩარლზ მენსონის „ოჯახის“ სისასტიკე...
ფილმის ბიუჯეტი: 95 000 000 დოლარი იყო. ფილმში არის დიდი სიყვარული და ნოსტალგიაც მეოცე საუკუნის ვარსკვლავური ჰოლივუდისა.
„72-ე ფესტივალზე ბოლო დღეებში შემოერთებულს, ტარანტინოს კანში განსაკუთრებით ელოდნენ. მის ფილმზე დასწრების მსურველთა რაოდენობამ რეკორდი მოხსნა. *Pulp Fiction*-ის პრემიერიდან 25 წლის თავზე, რეჟისორი იმ ფილმით ჩამოვიდა, რომლის შესახებ მოყოლას ბავშვობიდან ოცნებობდა.
ერთხელ ჰოლივუდში ერთდროულადაა კინოს მიმართ სიყვარულში გამოტყდომაც და ახალი საუკუნის ტრავმიდან თავის დახსნის მცდელობაც.“[1]
ქვენტინ ტარანტინოს პოპულარობა არც საქართველოში არ აკლია. *Pulp Fiction*, საქართველოში „მაკულატურის“ სახელით ცნობილი, მასში მონაწილე ვარსკვლავების უმა თურმანის და ჯონ ტრავოლტას მართლაც საოცარი ტვისტის წყალობით ფილმმა მსოფლიო მნიშვნელობის ჰიტის სახელი დაიმკვიდრა და მეოთხედი საუკუნის შემდეგაც დიდი პოპულარობით სარგებლობს. ცხადია არ არის გასაკვირი დიდი მოლოდინი, რომელსაც კვენტინ ტარანტინოს განაცხადის შემდეგ მისი ახდენილი ოცნების ეკრანული ვერსიის ხილვა უკვე თავისთავად დამაინტრიგებელი გარემოება გახლდათ. კანის ფესტივალზე კვენტინ ტარანტინოს, რომელიც ლეონარდო დი კაბრიოსთან, ბრედ პიტთან და მარგო რობთან ერთად იყო ფესტივალზე, ფილმის პრემიერის შემდეგ ოვაციები მოუწყვეს, რომელიც 6 წუთს გაგრძელდა. და ეს არც არ არის გასაკვირი, რადგანაც ეს ყოველივე სწორედ კანში მოხდა, იქ სადაც ყველაზე მაღალი რანგის ფილმებს ნახულობენ და სადაც ტარანტინოს ასაკის კინოელიტა მასავით კინონოსტალგიით არის შეპყრობილი. პერიოდი, რომელსაც კვენტინ ტარანტინო ასახავს ფილმში, მისი ბავშვობის ემოციებით სავსე აღქმის მოგონებაც შესაძლოა იყოს. 1969 წელს რეჟისორი 6 წლის იყო და მოგეხსენებათ ამ ასაკში კინო და ზღაპრის სამყარო თითქმის იდენტურია. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ „ერთხელ ჰოლოვუდში“ არ არის ისეთი პოპულარული ახალგაზრდებში,როგორც „მაკულატურა“. ცხდია ამას ობოექტური მიზეზი აქვს- ახალგაზრდებისთვის გასული საუკუნის ამბავი, სადაც ჰოლივუდის ორი ყველაზე ლამაზი მამაკაცი არც თუ წარმატებული სერიალების რიგით მსახიობს და მის დუბლიორს განასახიერებენ და საშუალოდ სიმპატიურადღა გამოიყურებიან, თავშივე ანგრევს მათი უზადო გარეგნობის მითს. ასე იქცნენ მეგავარსკვლავები ორ საკმაოდ მოსაწყენ მამაკაცად, რომლებსაც ვერც კარიერა აუწყვიათ და ერთ მათგანზე ფრიად საეჭვო ხმებიც კი დადის საკუთარი ცოლის მკვლელობის შესახებ. ასევე ახალგაზრდებისთვის ბევრს არაფერს ნიშნავს ჰოლივუდის ვარსკვლავების- ბრიუს ლის, შერონ ტაიტის, რომან პოლანსკის „გაცოცხლება“. არც „ჩარლზ მენსონის“ ბანდის შესახებ სმენიათ ბევრი... მოკლედ, ეს მათი ფილმი არ გახდა, ის ზედმეტად ტარანტინოს თაობის ამსახველი აღმოჩნდა. და მაინც, მიუხედავად იმისა, რომ „მაკულატურის“ დონის აღიარება არ ხვდა წილად ახალგაზრდებში, ფილმის შემოსავლებმა $374.3 მილიონს მიაღწია და ამასთანავე ოსკარის 10 ნომინაცია დაიმსახურა, მათ შორის საუკეთესო სცენარისა და კაცის მეორეხარისხოვანი როლის (ბრედ პიტი) კატეგორიაში გამარჯვებულიც გახდა.

ცალკე აღნიშვნის ღირსია ორი ვარსკვლავის თანაშემოქმედების ნიუანსები: ლეონარდო დი კაბრიო აღნიშნავს: "რაც ყველაზე საინტერესო იყო ბრედთან ერთად მუშაობაში, არის შინაგანი სიმშვიდე და ის ფაქტი, რომ პირველივე დღეს ძალიან მარტივად დავსინქრონდით. ბევრი მომზადება არ დაგვჭირვებია. სცენარზე ვილაპარაკეთ და ინსტიქტურად ვიცოდით, როგორი დინამიკა ექნებოდა ჩვენს ურთიერთობას, ვინ იყვნენ ჩვენი გმირები ერთმანეთისათვის. ორივე ვყოფილვართ მსგავს სიტუაციებში. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია ის, რომ ჩვენი პერსონაჟები, რიკი და კლიფი თავ-თავის გზას მიჰყვებიან, საკუთარ ისტორიებს ავითარებენ და რაღაც დროს ისევ იკვეთებიან"[2]

და რაც ძალზე მნიშვნელოვანია ხელოვნებაში: ორი დიდი მსახიობის პარტნიორობამ ამ ფილმში ამ სიტყვის სრული დატვირთვა შეიძინა. ისინი ერთმანეთის კონკურნეტებად არ ქცეულან ფილმის გადაღების პროცესში. მათ მართლაც თანაშემოქმედების იშვიათი მაგალითი უჩვენეს წარმატებისთვის ლამის წესების გარეშე ბრძოლაში ჩაბმულ კინო საზოგადოებას და ნამდვილად დაამტკიცეს, რომ თანაშემოქმედებით ბევრად მეტის მიღწევაა შესაძლებელი. ის გარემოება, რომ ბრედ პიტიც და ლეონარდო დი კაბრიოც მართლა შესანიშნავი მსახიობები არიან, არავისში არ იწვევს ეჭვს. მაგრამ ეს ორი როლი მათი ადრიდენდელი ეკრანული სახეებისგან სრულიად განსხვავებულია. როგორც უკვე აღვნიშნე, კვენტინ ტარანტინო არ ცდილობს მათი გარეგნობით მაყურებლის მოხიბვლას. უფრო პირიქითაა- ცხოვრების სირთულეებთან ჭიდილში ორივე თითქოს გაქუცულების შთაბეჭდილებასაც ახდენენ. ორივე პერსონაჟის ფსიქოლოგიური არამდგრადობა, გაუწონასწორებლობა, მუდმივი ჭიდილი ჰოლივუდში დამკვიდრებისთვის. და მაინც დიდი ერთგულება, რომელიც ორივე გმირის ქმედებაში იკვეთება.

ოსკარების დაჯილდოებისას ბრედ პიტის გამოსვლა მეტად ემოციური იყო: „ტიტანიკში რომ ვყოფილიყავი გადაგარჩენდი„- ასე მიმართა ბრედ პიტმა დი კაბრიოს და იქვე დასძინა: "როდესაც კარიერას ვიწყებდი, თქვენ მიერ დასახელებული ეს ვარსკვლავები, ალ პაჩინო, ჯო პეში, ტომ ჰენკსი, ენტონი ჰოპკინსი, ჩემთვის ღმერთები იყვნენ. ეს ჩემთვის დიდი პატივია. გიზიარებთ ჩემს პატივისცემას"[3]. კვენტინ ტარანტინოს ფილმში ალ პაჩინო მათი პარტნიორია- ბებერი მენეჯერი, რომელიც ცდილობს რიკის გადაბირებას „მაკარონის ვესტერნში“, როგორც არც თუ პრესტიჟულ იტალიურ ვესტერნს უწოდებენ ჰოლივუდში. ბრედ პიტის სიტყვები ალ პაჩინოს შესახებ მხოლოდ აქტიორების მიმართ გამოხატული პატივისცემა არ არის, ეს პატივისცემა თანაბრად შეეხება მეოცე საუკუნის 60-80-იანი წლების ამერიკულ კინოს, რომლის დეკორაციებსაც კვენტინ ტარანტინოს ფილმში უმოწყალოდ შლიან, გორგოლაჭებითაც გაასრიალებენ. სამოციანი წლების დასასრულის ფილმების მუსიკალური თემების ვარიაციები, მოდა, რეკვიზიტი, გარემო. იმდროინდელი „ქუჩები“ , ჰიპების უცნაური დასახლება, საიდანაც რეალურად თავისუფლებას ამოფარებული ბოროტება მოდის. კვენტინ ტარანტინოს, როგორც მართლა ჭეშმარიტ ოსტატს შეეფერება, არ უჩნდება სურვილი აჩვენოს ფილმში ფეხმძიმე შერონ ტაიტის მკვლელობის ამბავი. მენსონის ბანდის თავდასხმას ფილმში რიკი და კლიფი გადაიტანენ. ფილმის ფინალურ ეპიზოდში მისი სახლის გალავანთან მდგარ დი კაბრიოს შერონ ტაიტი სტუმრად ეპატიჟება. ცხადია ყველა კინემტოგრაფისტმა და არა მხოლოდ მათ კარგად იციან ტაიტის მკვლელობის ამბავი. მაგრამ ტარანტინოს ფილმის ფინალი ჰოლივუდურია- ჰეფი ენდი, ის რაზეც დგას ამერიკული ფილმების წარმატების საიდუმლო და კვენტინ ტარანტინოც ამ ტრადიციას მისდევს- ნოსტალგიურ ფილმში სხვაგვარად ვერც იქნებოდა...

5.4. სტატიები ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდის (DOI) მითითებით

№	ავტორი/ ავტორები	სტატიისსათაური, დიგიტალური	ჟურნალის/ კრებულის	გამოცემისადგილი, გამომცემლობა	გვერდებისრაოდენობა

		საიდენტიფიკაციო კოდი DOI ან ISSN	დასახელება და ნომერი/ტომი		
1 2 3					

5.5. სტატიებიISSN-ის მითითებით

№	ავტორი/ ავტორები	სტატიისსათა-ური, ISSN	ჟურნალის/ კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი	გამოცემისადგილი, გამომცემლობა	გვერდებისრაოდენობა
1 2 3	ლელა წიფურია	სტერეოტიპებთან ბრძოლა, ანუ ხელოვნებით განწმენდილი გრძნობები	ჟურნალი „აფსაროსი“,	ბათუმი	7

ვრცელიანოტაცია (ქართულენაზე)

„სტერეოტიპებთან ბრძოლა, ანუ ხელოვნებით განწმენდილი გრძნობები“

მიხეილ თუმანიშვილის სახელობის ხელოვნების საერთაშორისო ფესტივალის, „საჩუქრის“ 2019 წლის პროგრამის გამოცხადებისთანავე ცხადი გახდა, რომ ფესტივალის გუნდს სრულიად ახალი სტრატეგია ქონდა შემუშავებული: პროგრამაში არ იყო არც ერთი რუსული თატრის დადგმა, 2019 წლის „საჩუქარზე“ სცენები სრულად ეთმობოდა ევროპული თეატრების წარმოდგენებს, რომლებსაც უკვე მოპოვებული ქონდათ საერთაშორისო აღიარება. და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია- 2019 წლის „საჩუქრის“ პროგრამის უმნიშველოვანესი დადგმები სტერეოტიპების მსხვრევის, ერთი შეხედვით დამკვიდრებული სტილისტიკის ანტი- ვერსიები იყო. ფესტივალის ბოლოს თბილისელი მაყურებლის დიდი ხნის მოლოდინის შემდეგ ნანახი პრემიერა, „მეფე ლირი. ანდრი ჟოლდაკის წარმოსახვა“ ორმხრივ გახლდათ გაგრძელება საფესტივალო სტრატეგიისა. სრულიად არაორდინარული რეჟისორების მიხეილ მარმარინოსის და გაი მასტერსონის შემდეგ უკრაინელი ანდრი ჟოლდაკი მესამე ევროპელი რეჟისორია, რომელიც „საჩუქრის“ დამაარსებლის ქეთი დოლიძის დიდი ძალისხმევის შედეგად ფესტივალზე საპრემიერო ჩვენებით წარსდგა და „საჩუქრის“ ფარგლებში წარმოებულ მრავალწლიან კულტურათა დიალოგს სრულიად ეპატაჟური წარმოდგენა შემატა. თუმცა მის შესახებ სტატიის ბოლოს, დასაწყისი სხვაგვარი გახლდათ- ქორეოგრაფიული.

მაგი მარენი ევროპული ქორეოგრაფიული ხელოვნების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი წარმომადგენელია. მორის ბეჟარის საყვარელი მოწაფის მიერ დაარსებულმა ქორეოგრაფიულმა ცენტრმა მალევე მოიპოვა აღიარება. რაც უნიკალურს ხდის მაგი მარენის შემოქმედებას- ეს არის პოლიტიკური აქტუალურობა, რომელსაც სრულიად ინოვაციური ქორეოგრაფიული ესთეტიკით გადმოგვცემს სცენაზე. მაგი მარენი მორის ბეჟარის, რუდოლფ ნურიევის და სამუელ ბეკეტის საყვარელი ქორეოგრაფია. „MAY B (შეიძლება)“ მის საკულტო წარმოდგენად ითვლება. ეს წარმოდგენა ქორეოგრაფიულ სახილველში წარმოსახული სამუელ ბეკეტის სამყაროს ფილოსოფიური ხედვაა: სპექტაკლი სწორედ ბეკეტის პიესის

მიხედვით დაიდგა. და თუ არ ჩავთვლით სულ რამდენიმე სიტყვას, რომელიც წარმოდგენაში გაისმის, სწორედ პლასტიკის მეშვეობით ხდება პიესის ამბის და ასევე არსის განსხეულება. მოცეკვავეები, რომლებიც მოთეთრო ფერის თიხისგან შექმნილ ბრბოს გვაგონებენ ერთნაირი სინქრონული მოძრაობებით, დრამატურგის და ქორეოგრაფის კონცეფციის პლასტიკურ ხატს ქმნიდნენ. ადამის თიხისგან შექმნის და მისი მოდგმის გამრავლების შედეგად ამგვარად წარმოსახული მოცეკვავეთა მასა ცარიელ სცენაზე ხანგამოშვებით თითქოს ზომბების ბრბოს ემსგავსებოდა და ათი მსახიობის შექმნილი პლასტიკური სახილველი აპოკალიპტურს ემსგავსებოდა...

ესპანური ფოკუსი 2019 წლის „საჩუქრის“ განცხადი იყო. საფესტივალო საუბრების პარალელურად ფესტივალზე ორი ესპანური წარმოდგენა იყო და ორივე სრულად შეესატყვისებოდა სტერეოტიპის მსხვრევის ესპანურ მიზანმიმართებას. ფედერიკო გარსია ლორკას „ბერნარდა ალბას სახლი“ თბილისში სამგზის დაიდგა: თემურ ჩხეიძის და გოჩა კაპანაძის მიერ რუსთაველის თეატრის მცირე სცენაზე განხორციელებული სპექტაკლები სრული ანშლაგით მიდიოდა. ახალგაზრდა რეჟისორების ირაკლი გოგიას და ლაშა გოგნიაშვილის „ბერნარდა ალბას სახლი“ ამჟამად ახმეტელის თეატრის რეპერტუარშია. ვფიქრობ ეს არ არის შემთხვევითი მოვლენა: სათქმელიც და ვნებათაღელვაც, რომელიც ლორკას პიესაში ტრიალებს, ქართველი მაყურებლისთვის ახლობელია. ცხადია, ეს წინაპირობა სპექტაკლისადმი ინტერესს აღვივებდა. კარლოტა ფერერის ფემინისტური სპექტაკლი სათაურშივე შეიცავს გამოწვევას „ეს არ არის ბერნარდა ალბას სახლი“- რა თქმა უნდა, არც შეიძლება იყოს, რადგანაც ლორკას პიესის გმირები ქალები არიან, მათ კი ლორკას მუზეუმში გათამაშებულ ეპიზოდებში კარლოტა ფერერის ინტერპრეტაციით მამაკაცები თამაშობენ. და რაოდენ უცნაურიც არ უნდა იყოს, კაცი მსახიობების მიერ შესრულებული ქალიშვილები უაღრესად ფაქიზი და სენტიმენტალური ფსიქიკის არსებებად წარმოგვიდგნენ სცენაზე. ამავდროულად, წარმოდგენის არც თუ ბევრი ქორეოგრაფიული თუ ვოკალური ფრაგმენტები ჭეშმარიტად ესპანური ფოლკლორის სტილისტიკის იყო. სპექტაკლის უმთავრესი რეკვიზიტი, ჩაკეტილ სივრცეში განლაგებული წითელი ხის ძაღლები თითქოს ჯოჯოხეთის კარიბჭის მცველებად დააყენეს სცენაზე. ემოციებით სავსე, ფემინისტური და ამავდროულად სტერეოტიპების მსხვრევისკენ მიმართული სიურეალისტური დადგმა ლორკასეული კონცეფციის მატარებელი აღმოჩნდა. რეჟისორმა სპექტაკლი რენე მაგრიტს მიუძღვნა, სიურეალიზმის საპროგრამო ნიმუშების ავტორს, ვფიქრობ, კონცეპტუალური თანხვედრის ნიშნად.

ესპანური ფოკუსის კიდევ ერთი ქორეოგრაფიული წარმოდგენა, „დაცემული ანგელოზი“ ფლამენკოს კლასიკური ქორეოგრაფიული სტილისტიკის სრულიად არატრადიციული ვერსიების შერწყმაა- როკ მუსიკის, ფლამენკოს და აკაპელას სინთეზის ფონზე. ეროვნულ პრემიას, რომელიც როსიო მოლინას მიენიჭა 26 წლის ასაკში, „ფლამენკოს განახლებისთვის“ ეწოდება. თეთრ პორტალზე განლაგებულ სკამებზე მუსიკოსები განთავსდნენ და თეთრ კაბაში გამოწყობილმა როსიო მოლინამ ტრადიციული ფლამენკო შეასრულა- დიდი ოსტატობით, ცხადია, ისე, როგორც მსოფლიოს საუკეთესო ქალ მოცეკვავეს შეშვენის. და ამის მერე დაიწყო ფლამენკოს თემების ქორეოგრაფიული სტერეოტიპების მსხვრევა: ტორეადორის სამოსით როკვა თუ სრულ სიშიშვლემდე მისვლა, მაყურებელთა დარბაზში ყვავილებით ქროლვა თუ თითქოს ცხოვრებისეულ ლაფში ამოსვრილი ქალის ცეკვა. საფესტივალო ბუკლეტში უამრავი პრიზი იყო ჩამოთვლილი, რითაც როსიო მოლინა სხვადასხვა ქვეყნებში დააჯილდოვეს. იმ ოსტატობის ფონზე, რაც „საჩუქრის“ მაყურებელმა იხილა, ალბათ ამდენი პრიზებიც კი არასაკმარისად მოგვეჩვენება.

ოცდამეერთე საუკუნის ქორეოგრაფია ძირეულად განსხვავდება გასული საუკუნეების საცეკვაო წარმოდგენებისგან: ისინი ლამაზ სანახაობებს და პლასტიკის საშუალებით სიუჟეტის თხრობას მოიცავდნენ უპირატესად. თანამედროვე ქორეოგრაფიის საუკეთესო

ნიმუშებში ახალი ტენდენდენცია გაჩნდა- სამყაროს ფილოსოფიური ხედვა, მისი კონცეპტუალური აღქმა. ქეროლინ კარლსონის დადგმა „სინქრონულობის გზაჯვარედინზე“ კარლ გუსტავ იუნგის ფსიქოანალიტიკური ტექსტის ქორეოგრაფიული ტრანსფორმაციაა. ექვსი მსახიობი სცენაზე თითქოს ნისლიდან შემოდის- მხატვრული განათებით მიიღწევა მსგავსი ეფექტი. და შემდეგ სცენაზე უამრავი კომპოზიცია განსხეულდება- სამი ნიმფის ცეკვიდან დაწყებული ვიდრე სამ მამაკაცის ერდროულ, სინქრონულ ცეკვამდე. კეროლინ კარლსონი ფესტივალმა მიხეილ თუმანიშვილის სახელობის პრიზით დააჯილდოვა. და პრიზის მიღებაც ქორეოგრაფიული ნომერი გახდა- კეროლინ კარლსონმა არაჩვეულებრივი ცეკვით გამოხატა მადლიერება სცენაზე.

ჩარლი ჩაპლინის შვილსა და შვილიშვილს თბილისში დიდი ინტერესით ელოდნენ. ანონსიც დამაინტრიგებელი იყო: სამი ევროპული ქვეყნის კოპროდუქცია , ილუზიონისტური ნომრებით გაჯერებული წარმოდგენის ფრაგმენტები, რომლებიც იმავდროულად მისტიურობის ელფერსაც ანიჭებდა სპექტაკლს. და რაც უმთავრესია, მართლაც უდიდესი ინტერესი გენიალური ჩაპლინის შთამომავლობის ხილვისა. „ზანზალაკები და ავგაროზი“ იდეის და დადგმის ავტორი ვიქტორია ტიერი ჩაპლინია. მთავარ როლს კი აურელია ტიერი ჩაპლინი ასრულებდა. პირადად მე მჯერა გენეტიკური ნიჭიერების- ეს უსიტყვო სპექკაკლიც ამის დასტურად შეიძლაბა მივიჩნიოთ: წარმოდგენა მუნჯ ფილმს გვაგონებდა, ოღონდ ჩარლის შავ-თეთრი ფილმებისგან განსხვავებით მოქმედება მრავალი ფერის და ფაქტურის ქსოვილებით დეკორირებულ გარემოში ვითარდებოდა. სპექტაკლში თითქოს ჩაპლინის ფილმების ტემტო-რიტმი იყო გადმოსული. მისი გმირი კი გამოუსწორებელი კლეპტომანი ქალი, რომელიც ჭრელი შარფით დაწყებული ყველაფერს იპარავდა და შემდეგ კი ასევე ოსტატურად აბრუნებდა უკან. ვითარების შესაბამისად ხან ქრებოდა სავარძლებსა თუ ფარდებში, მერე მოულოდნელად მისი თავი ჩნდებოდა, ან სხეულის რომელიმე ნაწილი. უდიდესი ფანტაზიით და გამომგონებლობით სავსე წარმოდგენა, რომელიც წამითაც არ ადუნებდა მაყურებლის ყურადღებას. სპექტაკლის ყველაზე ეფექტური სცენა: საკიდებისგან სახელდახელოდ შექმნილი კონსტრუქცია, რომელიც ურჩხულს წააგავდა და რომელზეც მსახიობი ამხედრდებოდა...დიდი წინაპრის გენეტიკურმა ნიჭიერებამ მართლაც გაიბრწყინა მარჯანიშვილის თეატრის სცენაზე და კიდევ ერთხელ შეგვახსენა, რომ ჩარლის სიკეთით სავსე ხელოვნებას ღირსეული გამგრძელებლები ყავს, თუმცა გენიალური მხოლოდ თავად ჩარლზ სპენსერ ჩაპლინი გახლდათ...

ლაშა თაბუკაშვილის პიესების გმირები თანამედროვე ახალგაზრდები არიან, რომლებიც სხვადასხვა ვითარებაში მოხვედრილები გარემოებათა მსხვერპლის როლშიც შეიძლება აღმოჩნდენ. ქეთი დოლიძის მიერ ბათუმის ილია ჭავჭავაძის სახელობის პროფესიულ სახელმწიფო დრამატულ თეატრში დადგმული „სადღაც ცისარტყელას მიღმა“ ლაშა თაბუკაშვილის სიკეთით სავსე პიესის სცენიური ვერსიაა, სადაც ახალგაზრდა მსახიობები ქეთევან ეგუტიძე, მერი ნაკაშიძე მამუკა მანჯგალაძე, ზაზა ზოიძე ბათუმის თეატრის ცნობილ მსახიობთან, ლია აბულაძესთან ერთად თანამედროვე სამყაროს სიხარბისა და სისასტიკის გარემოში ღირსების ზეობას წარმოგვიდგენენ.

ანდრი ჟოლდაკის ხელოვნებას, რომელსაც სტერეოტიპებთან ბრძოლის მანიფესტიც შეიძლება ეწოდოს 2014 წელს გაეცნო თბილისელი მაყურებელი. პეტერბურგის ანდრეი მირონოვის სახელობის ანტრეპრიზაში- კერძო თეატრში, სრულიად ახლებურად დადგმული „მადამ ბოვარი“ კლასიკური ტექსტის განსხვავებულად წარმოსახვის ძალიან წარმატებული მცდელობა იყო. ფესტივალის დირექტორს ქეთი დოლიძეს მაშინვე დაებადა აზრი, რომ ანდრი ჟოლდაკს კინომსახიობთა თეატრში დაედგა წარმოდგენა. კულუარებს მიღმა მოარული ხმები ვრცელდებოდა-„მეფე ლირს“ დგამს და ლირი ქალიაო...სპექტაკლზე მუშაობა კინომსახიობთა თეატრში დაიწყო, თუმცა მსოფლიო პრემიერა, რომელსაც დიდხანს ელოდა ქართველი მაყურებელი 2019 წლის „საჩუქრის“ ფარგლებში შედგა. „მეფე ლირი.

ანდრი ჟოლდაკის წარმოსახვა“ ორ მოქმედებად იყო წარმოდგენილი: პირველზე აუდიტორია სცენაზევე იყო განთავსებული, მეორე მოქმედების დროს კი პარტერში. რადიკალურად განსხვავებული იყო მოქმედებების ადგილები და პერსონაჟები: პირველი მოქმედება თიანეთის ძნელად აღსაზრდელთა პანსიონატში ვითარდებოდა და კომისის თავმჯდომარე ქეთი დოლიძე იყო. კოსტიუმების მხატვრის სიმონ მაჩაბელის გადაწყვეტით ქეთი დოლიძეს სრულიად ორდინარული სამოსი, მომწვანო ფერის ე.წ. „ბუკლეს დვოიკა“ ეცვა, ფეხებზეც - მწვანე წინდები. პედაგოგი ქალბატონის სტანდარტული სამოსი, მენტორული ტონი და მისი მანერები მართლაც უაღესად დამაჯერებლად ითამაშა ქეთი დოლიძემ. თუმცა მისი ქმედებები ძნელად აღსაზრდელთა თავაშვებული საქციელის გაწონასწორების უშედეგო მცდელობად გადაიქცა. საჩვენებელი გაკვეთილის თემა კი შექსპირის „მეფე ლირის“ ანალიზი... და სწორედ ამ ანალიზის პროცესში შექსპირის ტრაგედიის გმირები ჟოლდაკის ინტერპრეტაციით გროტესკულ, ფსიქოპატურ პერსონაჟებად წარმოისახებიან, სადაც შექსპირული ვნებები მძვინვარებს, ოღონდ ამაღლებული ტრაგედიის ნაცვლად პრიმიტიული, მატერიალისტური ვნებების დემონსტრირების ასპარეზად იქცა სცენა.
სპექტაკლის მეორე მოქმედება კომუნალური ეზოს ნახევრადსარდაფში მიმდინარეობდა, სადაც ხანგამოშვებით მატარებლის ხმა ისმოდა. პანსიონატის აღმზრდელები და აღსაზრდელები მეორე მოქმედებაში კომუნალური ეზოს მაცხოვრებლებად გარდაიქმნენ და დედა-ლირის (ქეთი დოლიძე) თუ ქალიშვილების (ირინა გიუნაშვილი - კორდილია, თამარ ბზიავა - გონერილი და თამარ ბუაჩიძე - რიგანი) და სიძეების ვნებები სცენოგრაფ დანიელ ჟოლდაკის შექმნილ გარემოში გათამაშდა. ლურჯი ფერის შუშაბანდის ჩარჩოს მიღმა უამრავი ყოფითი ნივთი იყო განლაგებული, უფრო ზუსტად კი დახვავებული. ეს ნივთები ქმნიდნენ სწორედ იმ მატერიალურს , რომელიც ანდგურებდა ლირის ქალიშვილების სულიერ სამყაროს. ჟოლდაკის წარმოსახვაში გონერილი და რიგანი განძეულობის დაუფლების მიზნით წირავდნენ დედას. და საბოლოოდ, ჟოლდაკის წარმოსახვის ფორმულაც შექსპირისეულის იდენტური ხდებოდა: მატერიალური სიმდიდრისთვის განწირული მშობელი და და... სპეტაკლის ბოლოს ეს ყოფითი საგნებით გადატენილი სახლი ინგრეოდა და აცეკვებული პერსონაჟები სიკვდილის როკვას აყოლილებს გავდნენ. ანდრი ჟოლდაკის წარმოსახვის ნაყოფი ამ სრულიად არაორდინარული, არასტანდარტული გააზრებით ტრაგედიისა 2019 წლის წარმატებული „საჩუქრის“ ფინალურ აკორდად მოგვევლინა. სპექტაკლიდან გამოსულებს ხელოვნების ზეიმის განცდა გვეუფლებოდა. და კიდევ, „საჩუქარი 2019“-ის წარმატებული დასარული მეოცე საუკუნის ცნობილი მხატვრის, ამერიკული პოპ-არტის წარმომადგენლის როი ლიხტენშტეინის ფესტივალის სლოგანად ქცეული ფრაზის ჭეშმარიტებაში გვარწმუნებდა: „ხელოვნებით განწმენდილი გრძნობები სიცოცხლეს გვიხანგრძლივებს“.

6.ბეჭდური პროდუქციის გამოცემა უცხოეთში

6.1. მონოგრაფიები/წიგნები

№	ავტორი/ავტორები	მონოგრაფიის/წიგნისსათაური, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემისადგილი, გამომცემლობა	გვერდებისრაოდენობა
1 2		1) ვლ. ასათიანის სამი ფერწერული ნამუშევარი, ბიოგრაფია,		

		კრიტიკული წერილი, კვოტაცია - შესულია გამომცემლობა Mondadori - ს და სააგენტო Art Now - ს ერთობლივ პროექტში ARTISTI'20 (Artists-contemporari Art Year Book,) რომლის პრეზენტაცია და ფერწერული ნამუშევრების გამოფენა, 2020 წ- ის აპრილში ქ. მილანში, იტალია, გადაიდო პანდემიის გამო.		

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

სილამაზის ნამდვილი საგალობლები. სილამაზე, რომელიც ვლადიმერ ასათიანის ნამუშევრებში, შიშველი ქალის სხეულით არის წარმოდგენილი. ნამუშევრები, რომლებიც მათი კომპოზიციური ელეგანტურობის წყალობით შეგვიძლია შევადაროთ მატისის ცეკვას. ფერწერული შემოქმედება, რომელიც ხდება ყველაზე ავთენტური მოწმობა იმისა, რომ ფიგურატიული ხელოვნება სულაც არ მომკვდარა.

სალვატორე რუსო

(კვოტაცია)ქვემოთ ნაჩვენები ფასები ემყარება წინა გაყიდვებს, აუქციონის ჯილდოებსა და მხატვრების კურატორების რეკომენდაციებს.

(მოკლე ბიოგრაფია) თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სახვითი ხელოვნების პროფესორი. ფერწერული ტილოებისა და სხვადასხვა სამეცნიერო შრომების ავტორი ესთეტიკაში. მრავალი საერთაშორისო და პერსონალური გამოფენის მონაწილე; ფლობს რამდენიმე საერთაშორისო პრემიას. დაამთავრა თბილისის სამხატვრო აკადემია 1977 წელს. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტში, ასპირანტურის კურსის დამთავრების შემდეგ, 1991 წელს დაიცვა სადოქტორო ნაშრომი "სახვითი ხელოვნების მითოსური ფესვები". 2005 წელს ხელოვნებისა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი; 1993-2006 წლებში ხელმძღვანელობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სახვითი ხელოვნებისა და გამოყენებითი ხელოვნების კათედრას.

6.2. სახელმძღვანელოები

№	ავტორი/ავტორები	სახელმძღვანელოსსახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემისადგილი, გამომცემლობა	გვერდებისრაოდენობა
1				

2				
ვრცელიანოტაცია (ქართულენაზე)				

6.3. კრებულები

№	ავტორები	კრებულის სახელ-წოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემისადგილი, გამომცემლობა	გვერდებისრაოდენობა
1 2 3				
ვრცელიანოტაცია (ქართულენაზე)				

6.4. სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიისსათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI ან ISSN	ჟურნალის/ კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი	გამოცემისადგილი, გამომცემლობა	გვერდებისრაოდენობა
1 2 3					
ვრცელიანოტაცია (ქართულენაზე)					

7. სამეცნიეროფორუმებისმუშაობაშიმონაწილეობა

7.1.საქართველოში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენებისსათაური	ფორუმისჩატარების დროდაადგილი
1 2 3			
მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა)			

7.2.უცხოეთში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი

1	ლევან სილაგაძე შესრულდა 5 ფერწერული ნამუშევარი	თანამედროვე ხელოვნების მუზეუმის გახსნისათვის მიძღვნილი ვორქშოპი	2020 წლის 2-20 მარტი ნიქოზია კვიპროსი

ერთეულს თუ საჭიროდ მიაჩნია, შეუძლია ანგარიშში შეიტანოს სხვა, მისთვის მნიშვნელოვანი აქტივობაც.

ანგარიში წარმოდგენილი უნდა იყოს ნაბეჭდი (2 ეგზემპლარად) და ელექტრონული ვერსიის
(CD-დისკი) სახით.

ანგარიში, რომელიც არ არის შედგენილი ამ დანართის მოთხოვნების შესაბამისად, ექსპერტიზას (შეფასებას) არ ექვემდებარება და შეფასების შემაჯამებელ დოკუმენტში აღინიშნება ფორმულით „არ შეფასდა“.

ეთნოლოგიის
სასწავლო-სამეცნიერო
ინსტიტუტი

ანგარიშის ფორმა №2

2020 წელს გაწეული სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ანგარიში

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის დასახელება
ეთნოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი

სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა ხელმძღვანელის მითითებით
ხუციშვილი ქეთევანი (ხელმძღვანელი)
გუჯეჯიანი როზეტა
გვიმრაძე თეიმურაზი

1. სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის პერსონალის მიერ შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

1.1.

№	გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	საქართველოს საზღვრები	2020-2025	ქ. ხუციშვილი, რ. გუჯეჯიანი
მიმდინარე წელს შესრულდა თემები: “საზღვარი როგორც პროცესი: საზღვრების კვლევის თეორიები” და “ეთნო-კულტურული პარალელები და ურთიერთობები საქართველოს სამხრეთ-დასავლეთ სასაზღვრო ზოლში”. ნაშრომებში საზღვრები გაანალიზებულ იქნა ანთროპოლოგიური პერსპექტივით. ყურადღება გამახვილდა თეორიულ მიდგომებსა და ხედვებზე, ასევე მეთოდოლოგიურ დისკურსებზე. გაანალიზდა საზღვრების მახასიათებლები კროს-სასაზღვრო კოოპერაციის, უსაფრთხოების და კონტროლის, მიგრაციის და მოსახლეობის გადადგილების ჰიბრიდულობის და ტრანსნაციონალიზმის საკითხებთან მიმართებით. რ. გუჯეჯიანის ნაკვეთში ყურადღება გამახვილდა საქართველოს სამხრეთ-დასავლეთ საზღვრისპირა მხარეებში მცხოვრები ქართველებისა და თურქეთის რესპუბლიკის პოლიტიკურ საზღვრებში მოქცეული ისტორიული ქართული ეთნოგრაფიული მხარეების მკვიდრი მოსახლეობის, ქართველების (ფოცხოვის ხეობელები, არტაანელები, შავშები, იმერხეველები, მაჭახლელები, ნიგალის ხეობელები, მურღულელები, პარხლისწყლისხეობელები), ქართველთა უახლესი მოანთესავე ჯგუფის – ლაზების, აგრეთვე, ხემშინების კულტურული ურთიერთობებისა და კულტურული პარალელებზე. კვლევა ეყრდნობა საისტორიო წყაროებსა და საველე-ეთნოგრაფიულ მასალას.			

1.2.

№	დასრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

1	2	3	4
დასრულებული კვლევითი პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)			

2. შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტით დაფინანსებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

2.1.

№	გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	2	3	4
გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2020 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)			

2.2.

№	დასრულებული (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	2	3	4
დასრულებული კვლევითი პროექტის 2020 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)			

3. უცხოური გრანტებით დაფინანსებული სამეცნიერო პროექტები

3.1. გარდამავალი პროექტი

№	გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი, დამფინანსებელი ორგანიზაცია/ სამეცნიერო ფონდი, ქვეყანა	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	პროექტი: NorGePart: Norwegian-Georgian Partnership Program for Research-Based Educational	2018-2021	ქ. ხუციშვილი (პროგრამის კოორდნატორი)

	Collaboration in Anthropology (ნორვეგიულ-ქართული პარტნიორობის პროგრამა ანთროპოლოგიაში კვლევაზე დაფუძნებული განათლების სფეროში თანამშრომლობისათვის), CPEA-LT-2017/10036 განათლების სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის ნორვეგიული ცენტრი, ნორვეგია		
პროექტის მიზანია ბერგენის უნივერსიტეტისა და თსუ-ს შორის სამეცნიერო კავშირების გაღრმავება, სასწავლო გამოცდილებისა და მეთოდოლოგიის, კვლევასთან დაკავშირებული მიდგომების გაზიარება პარტნიორ ინსტიტუტებს შორის, კვლევის გეოგრაფიული და თემატური არეალის გაფართოება და სტუდენტთა შემდგომი სამეცნიერო ზრდის ხელშეწყობა. მიმდინარე წლის შედეგი გახლავთ ახალი სასწავლო კურსის "პოსტ-სოციალისტური საზოგადოებების ანთროპოლოგია" განვითარება და დანერგვა სამაგისტრო სწავლების დონეზე და სალექციო მუშაობაში ორმხრივი ჩართვა.			

2	პროექტი: "Intercultural encounters in academia and working places in South Caucasus and Norway" (ინტერკულტურული ურთიერტობები აკადემიასა და სამუშაო ადგილზე სამხრეთ კავკასიასა და ნორვეგიაში) CPEA-LT-2017/10016 განათლების სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის ნორვეგიული ცენტრი, ნორვეგია	2018-2021	ქ. ხუციშვილი (მონაწილე)
პროექტის მიზანია ინსტიტუციური მხარდაჭერა და კვლევაზე დაფუძნებული მიდგომების გაზიარება, ნორვეგიისა და სამხრეთ კავკასიის ოთხ ინსტიტუციას შორის ხანგრძლივ ვადიანი თანამშრომლობის სტიმულირება, უფრო კონკრეტულად კი ლინგვისტური და კულტურული მრავალფეროვნების კვლევის საფუძველზე ინტერკულტურული კომუნიკაციის ხელშეწყობა აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალისთვის განათლების უკეთესი ხარისხის მიღწევის მიზნით.			

3.2. დასრულებული პროექტი

№	დასრულებული (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

	საიდენტიფიკაციო კოდი, დამფინანსებელი ორგანიზაცია/სამეცნიერო ფონდი, ქვეყანა		
1	2	3	4
დასრულებული კვლევითი პროექტის 2020 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)			

4. პატენტები

4.1. საერთაშორისო პატენტები:

№	საპატენტო თემატიკის სათაური	გამომგონებელი/ები და პატენტმფლობელი/ები	პატენტის საიდენტიფიკაციო კოდი

4.2. ეროვნული პატენტები

№	საპატენტო თემატიკის სათაური	გამომგონებელი/ები და პატენტმფლობელი/ები	პატენტის საიდენტიფიკაციო კოდი

5. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში

5.1. მონოგრაფიები/წიგნები

№	ავტორი/ავტორები	მონოგრაფიის/წიგნის სათაური, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1 2				
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)				

5. 2. სახელმძღვანელოები

№	ავტორი/ავტორები	სახელმძღვანელოს სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1 2				
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)				

5.3. კრებულები

№	ავტორი/ავტორები	კრებულის სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა

1 2 3				
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)				

5.4. სტატიები ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდის (DOI) მითითებით

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათა-ური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI	ჟურნალის/ კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1 2 3					
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)					

5.5. სტატიები ISSN-ის მითითებით

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათა-ური, ISSN	ჟურნალის/ კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	ხუციშვილი ქ.	ტერმინ «ეთნოგრაფიული ჯგუფის» გაგებისათვის	ტერმინოლოგიის საკითხები IV, კრებული ეძღვნება ქართული ტექნიკური ტერმინოლოგიის პირველი ლექსიკონის 100 წლისთავს	თსუ გამომცემლობა, თბილისი	11
ტერმინოლოგიის საკითხი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრობლემაა სამეცნიერო სივრცისათვის. ეთნოლოგიური/ანთროპოლოგიური კვლევების განვითარების, თეორიულ-მეთოდოლოგიური მიდგომების კონცეპტუალიზაციის კვალდაკვალ ხდებოდა ტერმინოლოგიური აპარატის ჩამოყალიბება. ქართული ეთნოლოგიური სკოლის წარმომადგენელთა მიერ, გიორგი ჩიტაიას ხელმძღვანელობით, დადგინდა შესაბამისი ტერმინები და შემუშავდა დეფინიციები. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ საბჭოთა სივრცეში, ეთნიკურ ერთობათა ფორმების განსაზღვრაში მეცნიერებს თავისუფლება არ ჰქონიათ და ეს საკითხი იდეოლოგიური მიდგომით, კონკრეტული თეორიული (ევოლუციონისტური) პარადიგმის ფარგლებში განიხილებოდა. მოხსენება ეხება ტერმინ “ეთნოგრაფიული ჯგუფის” განხილვას.					
2.	ხუციშვილი ქ.	რელიგიურობის ფორმები თანამედროვე საქართველოში ISSN 2667-9582	მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის 1(27)	პრინტჯეო, თბილისი	12
საქართველოში ბოლო ათწლეულებში მომხდარმა პოლიტიკურმა, ეკონომიკურმა და სოციალურმა ცვლილებებმა გავლენა იქონიეს რელიგიურ სიტუაციაზე. რელიგიურობის ფორმების ტრანსფორმაციის ანალიზისას დგინდება, რომ რელიგიურობის ფორმები კონტექსტურია და განპირობებულია კონკრეტული საზოგადოების განვითარების პროცესზე მოქმედი ფაქტორებით. რაც, თავის მხრივ, განსაზღვრავს სეკულარიზმის ხარისხსა და ფორმებს. დამოუკიდებლობის					

გამოცხადების შემდგომ საქართველოში პროცესები ორი მიმართულებით განვითარდა, ერთი მხრივ, სახეზე იყო რელიგიურობის მკვეთრი და პერმანენტული ზრდა, მეორე მხრივ, კი სეკულარიზმის ფორმალური აღიარება-დადასტურება სახელმწიფო სტრუქტურებისა და საზოგადოების ნაწილის მხრიდან. ამ პროცესში ყოველდღიურ პრაქტიკაში გაზიარებულ და დამკვიდრებულ იქნა რელიგიურობის ახალი ფორმები, რაც რიგ შემთხვევებში წინააღმდეგობაში მოდის ნორმატიულ მიდგომებთან ან რელიგიურობის ტრადიციულ ფორმებთან. ეს პროცესებია გაანალიზებული სტატიაში.

3	გუჯეჯიანი რ.	ტერმინ „მახვშის “ სემანტიკური ტრანსფორმაციის სოციო-კულტურული ასპექტები	ტერმინოლოგიის საკითხები IV, კრებული ეძღვნება ქართული ტექნიკური ტერმინოლოგიის პირველი ლექსიკონის 100 წლისთავს	თსუ გამომცემლობა, თბილისი	11

სტატია „ტერმინ „მახვშის“ სემანტიკური ტრანსფორმაციის სოციო-კულტურული ასპექტები“ არის ცდა სოციალური ტერმინის გენეზისის, მისი ისტორიული მნიშვნელობისა და სიტყვის სემანტიკის ეტაპობრივი ტრანსფორმაციის ანალიზისა. ეთნოგრაფიული ტერმინი „მახვში“ ხშირად გამოიყენება სვანეთის ყოფაში და, ამავე დროს, ის ფართოდაა გავრცელებული მთელ საქართველოშიც, პატივსაცემი ადამიანის ეპითეტად. ეთნოგრაფიული მასალის ანალიზით, ტერმინი „მახვში“ პირდაპირი მნიშვნელობით აღნიშნავდა „ოჯახის თავს, პატრონს“. გვაინი შუასაუკუნეებისა და XIX საუკუნის წყაროებით ტერმინი „მახვში“ (სხვა რამდენიმე ტერმინთან ერთად, როგორიცაა „ფუსდ“, „ფუსტ“ და ა. შ.), გვხვდება ბალსქვემო სვანეთის მთავრების – დადეშქელიანების ეპითეტადაც. ანუ, თავდაპირველი შინაარსით „მახვში“ მსგავსია საქართველოს ყველა მხარეში არსებული ოჯახის უფროსი/თავი კაცისა. სვანეთის ტრადიციული ყოფა არ მოითხოვდა „მახვშის“ ხანდაზმულობას ან უხუცესობას ოჯახში. გვაქვს მაგალითები, როდესაც ოჯახს მართავდა საშუალო ასაკის, მაგრამ კარგი სამეურნო უნარ-ჩვევებით გამორჩეული მამაკაცი, ზოგჯერ კი – დედაკაციც. XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან ტერმინს ენიჭება ახალი მნიშვნელობა ასე იხსენიებიან ახალი კანონმდებლობით (რუსული) ჩამოყალიბებული თემის მამასახლისებიც, ანუ, ძველ ტერმინს, ნაწილობრივ, ენიჭება ახალი სოციალური მნიშვნელობა. „მახვში“ ასევე გაიგივდა ტრადიციული ქართული კულტურის ნაწილთან – ოჯახის თავკაც „მახვშისთან“. ჩვენს დროში ტერმინი „მახვში“ კვლავ ცოცხალი სიტყვაა, და როგორც ადრე, ახლაც ნიშნავს ოჯახის უფროსს, მაგრამ, ამასთანავე სიტყვა „მახვში“ ხშირად, ძირითადად ეპითეტად იხმარება, როგორც სვანეთში, ასევე მის ფარგლებს გარეთაც, მასმედიით, პოლიტიკოსთა მიერ, ასევე, პოეზიასა და პროზაში.

4.	გუჯეჯიანი რ.	თანამედროვე რელიგიური პრაქტიკა ქვემო სვანეთში ISSN 2667-9582	მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის 1(27)	პრინტჯეო, თბილისი	24

ნაშრომში აღწერილია ქვემო სვანეთის (ლენტეხის მუნიციპალიტეტის) თანამედროვე რელიგიური ვითარება. მასალა მოძიებულია ბოლო ოცი წლის განმავლობაში. წყაროდ გამოყენებულია „სვანური ენის ქრესტომათია“ და სვანური პროზაული ტექსტები“. აღწერილია ქვემო სვანეთში არსებული მდგომარეობა: ცაგერისა და ლენტეხის ეპარქიის არსებობის შედეგები: კანონიკური წირვა-ლოცვის აღდგენა და მისი გავლენა ადგილობრივთა ყოფა-ცხოვრებაზე. გამოვლენილია ჯერ კიდევ მოქმედ ხალხურ დღეობათა კალენდარი. აღნუსხულია არსებული რიტუალები. დაფიქსირებულია რადმენიმე ახალი დღეობა და გამოვლენილია მათი დაარსების განმაპირობებელი ფაქტორები.

6. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა უცხოეთში

6.1. მონოგრაფიები/წიგნები

№	ავტორი/ავტორები	მონოგრაფიის/წიგნის სათაური, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1 2				
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)				

6.2. სახელმძღვანელოები

№	ავტორი/ავტორები	სახელმძღვანელოს სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1 2				
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)				

6.3. კრებულები

№	ავტორები	კრებულის სახელ-წოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1 2 3				
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)				

6.4. სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI ან ISSN	ჟურნალის/ კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	ხუციშვილი ქ.	Research of Georgian-Turkish Relationships (TSU Institute of Ethnology)	The International Symposium on Anatolian-Georgian Relationships Throughout History	Ankara	6

		(ქართულ-თურქული ურთიერთობების კვლევა (თსუ ეთნოლოგიის ინსტიტუტის მაგალითზე)) ISBN: 978-605-06151-7-3			
ქართულ-თურქული ურთიერთობები ყოველთვის იყო ქართველ მეცნიერთა ინტერესის საგანი. ისტორიკოსები, ეთნოგრაფები, ლინგვისტები და სხვა დისციპლინების წარმომადგენლები ამ საკითხს სხვადასხვა პერსპექტივით იკვლევენ. ქართველ მკვლევართათვის განსაკუთრებით საინტერესოა თურქეთის რესპუბლიკაში მცხოვრებ ეთნიკურ ქართველებთან დაკავშირებული საკითხების კვლევა. სხვადასხვა სამეცნიერო ცენტრებთან ერთად ამ მიმართულებით კვლევა მიმდინარეობს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეთნოლოგიის ინსტიტუტშიც. ეთნოლოგიის ინსტიტუტი 1939 წელს დაარსებული ეთნოგრაფიის კათედრის მემკვიდრეა. ეთნოლოგურ კვლევებს ხანგრძლივი და მრავალფეროვანი ისტორია აქვს. სხვა საკიტხებთან ერთად 2006 წლიდან ინსტიტუტის სამეცნიერო კვლევების ფარგლებში იწყება თურქეთში მცხოვრები ეთნიკური ქართველების ყოფის, ტრადიციული ეთნიკური, რელიგიური და სამეურნეო მახასიათებლების შესწავლა. კომპლექსური კვლევის ძირითადი მიმართულებებია: ყოველდღიური ყოფის ელემენტები, მიგრაციული პროცესები, სულიერი კულტურა, ხალხური დღესასწაულები, ტრადიციული ყოფის ტრანსფორმაცია და სხვ.. ეთნოგრფიულად შესწავლილია ართვინისა და არზრუმის, ასევე თურქეთის ცენტრალური და შავი ზღვის რაიონები. არსებული ინფორმაცია და ახალი ეთნოგრაფიული მასალა გახდა საფუძველი ინსტიტუტის სასწავლო პროგრამის ფარგლებში შექმნილიყო ახალი სასწავლო კურსი - "ქართველები საზღვარგარეთ", რომელშიც დიდი ადგილი სწორედ თურქეთში მცხოვრებ ქართველებს ეთმობა. ამ საკითხებზე ინსტიტუტის ეგიდით ეწყობა კონფერენციები, სემინარები და საჯარო ლექციები. მიმდინარე საკვლევ პროექტთა შორის აქტიურად მუშავდება პროექტი: "თურქეთის რესპუბლიკაში მცხოვრები ეთნიკური ქართვლების თანამედროვე ყოფა და კულტურა". ასეთი კვლევები ახალი ცოდნის დაგროვებას და რეგიონში არსებული სიტუაციის რელისტურ აღქმას უწყობს ხელს. ეს საკითხებია განხილული სტატიაში.					
2	გუჯეჯიანი რ.	Traditional Being and Culture of Ethnic Georgians in Parkhali Valley (Republic of Turkey, yusufeli District). (ეთნიკური ქართველების ტრადიციული ყოფა და კულტურა პარხლის ხეობაში (იუსუფელის რაიონი, თურქეთის რესპუბლიკა)) ISBN: 978-605-06151-7-3	The International Symposium on Anatolian-Georgian Relationships Throughout History	Ankara	19
ნაშრომი ეყრდნობა არსებულ სამეცნიერო წყაროებსა და საკუთარ საველე-ეთნოგრაფიულ კვლევას. მოძიებულია და დაზუსტებულია ტაოელ ქართველთა თანამედროვე განსახლების არეალი, გამოვლენილია დღემდე ქარტული სოფლები, შესწავლილია ამ სოფელთა განვითარების შედეგად					

წარმოქმნილი ახალი დასახლებული პუნქტები. აღწერილია პარხლსიწყლის ხეობის ქართულ სოფელთა ყოფა და კულტურა, ენობრივი ვითარება, თანამედროვე სოციო-კულტურული და ეთნო-კულტურული პროცესები. გამოკვეთილია სემდეგი თემატიკა: სოფელთა დასახლების სტრუქტურა, საცხოვრებელ და სამეურნეო ნაგებობათა ტიპები, მეურნეობის ძირითადი ფორმები (მიწათმოქმედება, მესაქონლეობა, ხელოსნობა), მეურნეობის დამხმარე დარგი - მეფუტკრეობა, აგარების („იაილები“) ფორმები და იქაური ყოფა, შიდა მიგრაციული პროცესი, დღესასწაულთა შემონახული ფორმები (ახალიწელი, შუამთობა, მარიობა, ხარების ჭედობა), ხარების ჭედობის წესი, მისი ტრანსფორმაციული სახეები, გვარსახელთა სისტემა და ა. შ.

7. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

7.1. საქართველოში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	ხუციშვილი ქ.	ტრადიციული მედიცინის კვლევის ისტორია საქართველოში	12 აპრილი თსუ ეთნოლოგიის ინსტიტუტის და საქართველოს ანთროპოლოგთა ასოციაციის მიერ მიერ ორგანიზებული ონლაინ-კონფერენცია ქართული ეთნოლოგია-ანთროპოლოგიის დღე
მოხსენებაში განხილულ იქნა ხალხური სამედიცინო კულტურის კვლევის ისტორია საქართველოში. ძირითადი ყურადღება დაეთმო ეთნოლოგიური კლვევის მიდგომების განვითარებას, ხალხური სამედიცინო კულტურის კვლევის სკოლის დაფუძნებასა და თანამედროვე მიმართულებებს			
2	ხუციშვილი ქ.	საზღვრების და სასაზღვრო ზონების კვლევები: მიდგომები და მეთოდოლოგია	3-5 ივლისი თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის XIV საფაკულტეტო სამეცნიერო კონფერენცია მიძღვნილი აკად. ო. ლორთქიფანიძის დაბადებიდან 90 წლისთავისადმი ონლაინ
მოხსენებაში წარდგენილ იქნა საზღვრების კვლევის თეორიები, ანთროპოლოგიურ-კულტუროლოგიური მიდგომები, მეთოდური პრობლემები და ახალი გამოწვევები.			
3	ხუციშვილი ქ.	ჭერათხევის ეთნოგრაფიული ექსპედიციის ანგარიში	24 სექტემბერი, თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტთა და პროფესორთა 2019 წლის სასწავლო-სამეცნიერო ექსპედიციების ანგარიშები ონლაინ
ჭერათხევში (ხაშურსი მუნიციპალიტეტი) ჩატარებული ეთნოგრაფიული ექსპედიციის შედეგად			

შესწავლილი ალის, წაღვლისა და ფლევის თემების ეტნოგრაფიული მახასიათებლები: სამეურნეო ურთიერთობები, მიგრაციული პროცესები, რელგიური პრაქტიკა, მატერიალური კულტურა და სოციალური ურთიერთობები, დასკვნები წარდგენილ იქნა მოხსენებაში.			
4	ხუციშვილი ქ.	საველე ეთნოგრაფიული კვლევა და თანამედროვე გამოწვევები	10 ნოემბერი, თსუ ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ორგანიზებულ აკადემიკოს გიორგი ჩიტაიას ხსოვნისადმი მიძღვნილი ყოველწლიური დისკუსია "საუბრები ეთნოლოგიაზე - 1. საველე-ეთნოგრაფიული მუშაობის მეთოდიკა დღეს" ონლაინ
საველე ეთნოგრაფიული კვლევის მეთოდიკა და მეთოდოლოგია თანდათანობით ვითარდებოდა. დარგის საგნობრივი არეალის გაფართოებასთან ერთად მეთოდური მიდგომების ცვლილებებიც ბუნებრივი და მუდმივი პროცესია. მოხსენებაში განხილულ იქნა თანამედროვე ტენდენციები, გამოწვევები და მათი გადაჭრისათვის შემოტავაზებული გზები.)			
5	გვიმრაძე თ.	სამხედრო სა სპორტული თამაშები საქართველოში	3 ივნისი თბილისი ონლაინ
მოხსენებაში განხულულ იქნა საქართველოს სხვადსვა რეგიონში გავრცელებული სამხედრო და სპორტული თამაშები და მათი ფუნქცია ყოფით კულტურასა და ქვექნის პოლიტიკური ცხოვრების წრილში იქნა გაანალიზებული			

7.2. უცხოეთში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	ხუციშვილი ქ., გუჯეჯიანი რ.	Bread in Georgian Culture: Meaning, Ambivalence and Symbolism (პური ქართულ კულტურაში: მნიშვნელობა, ამბივალენტურობა და სიმბოლიზმი), საერთაშორისო აკადემიური ინსტიტუტის ვირტუალური აკადემიური კონფერნცია, IAI virtual academic conference	11 ნოემბერი ონლაინ
ფორუმის მასალები გამოქვეყნდა https://ia-institute.com/book-of-abstracts-virtual-academic-conference-11-november-2020/			

2	ხუციშვილი ქ.	The Caucasus in the Researches	3-4 დეკემბერი

		of Georgian Ethnologists (კავკასია ქართველ ეთნოლოგთა კვლევებში), 9th INTERNATIONAL SCIENTIFIC CONFERENCE CAUCASUS: HISTORY OF REGION, HISTORY OF RESEARCH, POZNAŃ-RZESZÓW	ონლაინ
მოხსენებაში განხილულ იქნა კავკასიის ეთნოლოგიური კვლევის ისტორია საქართველოში, სამუზეუმო არტეფაქტების შეგროვება-შესწავლიდან დაწყებული ეთნოგრაფიული მასალის დიაქრონულ და სინქრონულ შედარებით ანალიზამდე გავლილი თეორიული და ემპირიული გზა.			
2	გუჯეჯიანი რ.	Johann Güldenstädt on ethnography of the Caucasians (იოჰან გიულდენშტედტი კავკასიელთა ეთნოგრაფიის შესახებ) 9th INTERNATIONAL SCIENTIFIC CONFERENCE CAUCASUS: HISTORY OF REGION, HISTORY OF RESEARCH, POZNAŃ-RZESZÓW	3-4 დეკემბერი ონლაინ
იოჰან გიულდენშტედტი (1745-1781 წწ.) გერმანელი მეცნიერი და მოგზაური 1768 წლიდან რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის მიწვევით ჩავიდა პეტერბურგში და ამ დროიდან მოყოლებული მისი მოღვაწეობის რამდენიმე წელი ეძღვნება კავკასიის შესწავლას. კავკასიის შესწავლით დაინტერესებული იყო რუსეთის იმპერია. 1768-1774 წლებში იოჰან გიულდენშტედტმა შეისწავლა ჩრდილოეთ კავკასია და სამხრეთ კავკასიის ნაწილი - საქართველო. უშუალოდ საქართველოს მხარეებში მან იმოგზაურა 1771-1772 წლებში. ამ მოგზაურობის დროს მეცნიერი შეხვდა ორ ქართველ მონარქს: აღმოსავლეთ საქართველოს მეფეს ერეკლე მეორეს და იმერეთის მეფეს სოლომონ პირველს. იოჰან გიულდენშტედტი იკვლევდა კავკასიის გეოგრაფიას, მინერალოგიას, ისტორიასა და ეთნოგრაფიას. მიუხედავად იმისა, რომ იოჰან გიულდენშტედტი იკვლევდა რუსეთის იმპერიის დაკვეთით, მისი კვლევის შედეგები, როგორც ფაქტობრივი მასალა, ასევე დართული ანალიზი, არის უაღრესად საყურადღებო და ობიექტური. იოჰან გიულდენშტედტის ნაშრომებს აქვს დიდი მნიშვნელობა, რადგან ის გვევლინება ძვირფას წყაროდ, რომლის საფუძველზეც შეიძლება მსჯელობა ჩრდილო კავკასიის სხვადასხვა მხარეებისა და საქართველოს ისტორიის, კულტურის, ეთნიკური ურთიერთობების, ენობრივი ვითრების შესახებ.			

ერთეულს თუ საჭიროდ მიაჩნია, შეუძლია ანგარიშში შეიტანოს სხვა, მისთვის მნიშვნელოვანი აქტივობაც.

1. თსუ ეთნოლოგიის ინსტიტუტის ორგანიზებით 12 აპრილს ჩატარდა ონლაინ სამეცნიერო კონფერენცია "ეთნოლოგია/ანთროპოლოგიის დღე"
2. თსუ ეთნოლოგიის ინსტიტუტის ორგანიზებით 29 მაისს ჩატარდა საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი საერთაშორისო ონლაინ კონფერენცია "ნაციონალური დღესასწაულების ანთროპოლოგიური ასპექტები" (online international

conference Anthropological Aspects of National Celebrations, dedicated to the Independence Day of Georgia, organized by TSU Institute of Ethnology)

3. ეთნოლოგიის ინსტიტუტის ორგანიზებით 17 დეკემბერს ჩატარდა რ. გუჯეჯაინის საჯარო ონლაინ ლექცია "წმ. ლუჩიას დღე და წმ. ბარბარეს დრობა: კულტურული პარალელები"
4. ეთნოლოგიის ინსტიტუტის ასოც. პროფ. რ. გუჯეჯიანის რედაქტორობითა და პროფ. ქ. ხუციშვილის სარედაქციო კოლეგიაში მუშაობით მომზადდა და გამოცა წიგნი "ჯუნის ონიანი, ქართული ეთნოგრაფიული მემკვიდრეობა IV», საქართელოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, თბ. 2020 ISBN 978-9941-9736-3-5
5. თსუ ეთნოლოგიის ინსტიტუტისა და ბერგენის უნივერსიტეტის სოციალური ანთროპოლოგიის დეპარტამენტის ერთობლივი პროექტის ფარგლებში ბერგენის უნივერსიტეტის სალექციო კურსს: SANT280-14 The Frontier of Anthropological Research: The Anthropology of Post-Socialist Societies and Beyond. უძღვებოდნენ პროფ. თუნე ბრინგა და პროფ. ქ. ხუციშვილი, კურსი მომზადდა თსუ და ბერგენის უნივერსიტეტისთვის და იკითხება ორივე უნივერსიტეტში 2019 წლიდან. 2020 წლის შემოდგომის სემესტრში კურსი ბერგენში წარიმართა ზუმის პლატფორმით ქ. ხუციშვილის მონაწილეობით.
6. პროფ. ქ. ხუციშვილმა 23 აპრილს, თსუ ახალგაზრდული ცენტრის ორგანიზებით წაიკთხა ონლაინ ლექცია თემაზე: "გაიზარებული სალოცავები - მშვიდობიანი თანაცხოვრების ელემენტები", ლექციების ციკლში "ტოლერანტობის, სამოქალაქო ცნობიერებისა და ინტეგრაციის მხარდაჭერის" (PITA) პროგრამის ფარგლებში, საქართველოს გაეროს ასოციაციის (UNAG), აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მხარდაჭერით" https://www.youtube.com/watch…
7. პროფ. ქ. ხუციშვილმა ჩაატარა ტრენინგი 25 დეკემბერს "ტოლერანტობის, სამოქალაქო ცნობეირებისა და ინტეგრაციის მხარდაჭერის" (PITA) პროგრამის ფარგლებში ორგანიზებულ შეხვედრა-ტრენინგზე "მრავალფეროვნების მართვის საკითხები უმაღლესი განათლების ადმინისტრაციის წარმომადგენლებისთვის" საქართველოს გაეროს ასოციაციის (UNAG), აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID)
8. პროფ. ქ. ხუციშვილი მონაწილეობდა ტრენინგში "Digital Eurasia - workshop on digital adjustments under Covid-19" (13 ნომებერი) ნორვეგიის სამეცნიერო კვლევების მხარდაჭერის ცენტრის ორგანიზებით
9. ასოც. პროფ. რ. გუჯეჯიანმა დასაბეჭდად მოამზადა სახელმძღვანელო მაგისტრატურის სტუდენტებისთვის: „ქართული ხალხური დღესასწაულები" - მომზადებულია წიგნის პდფ ფაილი, 160 ნაბეჭდი გვერდი, 40 ფოტოილუსტრაცია. რედაქტორი: ქეთევან ხუციშვილი.
10. ასოც. პროფ. რ. გუჯეჯიანი მონაწილეობდა სატელევიზიო გადაცემებში და პოლულარიზაციას უწევდა ქართულ კულტურას.
11. ასოც. პროფ. რ. გუჯეჯიანმა 24 დეკემბერს დანიის სამეფოსა და ისლანდიაში საქართველოს საელჩოს ორგანიზებით წაიკითხა საჯარო ვიდო-ლექცია "საშობაო ტრადიციები საქართველოში"

ანგარიში წარმოდგენილი უნდა იყოს ნაბეჭდი (2 ეგზემპლარად) და ელექტრონული ვერსიის
(CD-დისკი) სახით.

ანგარიში, რომელიც არ არის შედგენილი ამ დანართის მოთხოვნების შესაბამისად, ექსპერტიზას (შეფასებას) არ ექვემდებარება და შეფასების შემაჯამებელ დოკუმენტში აღინიშნება ფორმულით „არ შეფასდა“.

აღმოსავლეთმცოდნეობის

სასწავლო-სამეცნიერო

ინსტიტუტი

ანგარიშის ფორმა №2

2020 წელს გაწეული სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ანგარიში

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება -
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის დასახელება
აღმოსავლეთმცოდნეობის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი

სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა ხელმძღვანელის მითითებით -

სამეცნიერო ერთეულის ხელმძღვანელის მოადგილე - ნანი გელოვანი

სამეცნიერო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა.

არაბისტიკის კათედრა

1. დარეჯან გარდავაძე – პროფესორი (კათედრის ხელმძღვანელი)
2. მაია ანდრონიკაშვილი – ასოცირებული პროფესორი
3. ნინო ეჯიბაძე – ასოცირებული პროფესორი
4. გიორგი ლობჟანიძე – ასოცირებული პროფესორი
5. მარიამ ნანობაშვილი – ასოცირებული პროფესორი
6. ნინო დოლიძე – ასისტენტ პროფესორი

ირანისტიკის კათედრა

7. თეა შურღაია – ასოცირებული პროფესორი (კათედრის ხელმძღვანელი)
8. მარინე ალექსიძე – ასოცირებული პროფესორი
9. ფატმან ანთაძე-მალაშხია – ასოცირებული პროფესორი
10. მანანა კვაჭაძე – ასოცირებული პროფესორი
11. მზია ბურჯანაძე – ასოცირებული პროფესორი

თურქოლოგიის კათედრა

12. მარიკა ჯიქია – პროფესორი (კათედრის ხელმძღვანელი)
13. ელისაბედ ბჟალავა – ასოცირებული პროფესორი
14.ნანული კაჭარავა – ასოცირებული პროფესორი
15.ქეთევან ლორთქიფანიძე – ასოცირებული პროფესორი
16. მზისა ბუსკივაძე – ასისტენტ პროფესორი

ებრაისტიკა–არამეისტიკის კათედრა

17.მარიამ ჩაჩიბაია – ასოცირებული პროფესორი (კათედრის ხელმძღვანელი)

18.მამუკა ბუცხრიკიძე – ასოცირებული პროფესორი

არმენოლოგიის კათედრა

19.ნათია ჩანტლაძე – ასოცირებული პროფესორი (კათედრის ხელმძღვანელი)
20.დალი ჩიტუნაშვილი – ასოცირებული პროფესორი

ასირიოლოგიის კათედრა

21.ირინე ტატიშვილი – პროფესორი (კათედრის ხელმძღვანელი)
22. ნინო სამსონია – ასოცირებული პროფესორი
23.მაია ღამბაშიძე – ასოცირებული პროფესორი

აღმოსავლეთის ისტორიის კათედრა

24. გიული ალასანია – პროფესორი
25.ნანი გელოვანი – ასოცირებული პროფესორი
26.ნანა გელაშვილი – ასოცირებული პროფესორი
27.მირიან მახარაძე – ასოცირებული პროფესორი

1. სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის პერსონალის მიერ შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

1.1.

№	გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	2	3	4
გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2020 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)			

1.2.

№	დასრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	2	3	4

1	საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს „კულტურის ხელშეწყობის პროგრამის“ (კოდი: 32.09.02) ფარგლებში დაფინანსებული პროექტი „ვახუშტი კოტეტიშვილის სახელობის კონკურსი ახალგაზრდა მთარგმნელთათვის „ვახუშტი კოტეტიშვილი 85“ (ხელშეკრულება #639) **მიმართულება** **თარგმანი**	**პროექტის დაწყების თარიღი** 25.09.2020 **პროექტის დასრულების თარიღი** 10.12.2020	თამარ ლებანიძე ფონდ „დიოგენეს“ დირექტორი, პროექტის ხელმძღვანელი **ნანა გაფრინდაშვილი** **კონკურსის საორგანიზაციო კომიტეტის წევრი** **ეკატერინე ნავროზაშვილი** **კონკურსის საორგანიზაციო კომიტეტის წევრი** თეა შურღაია კონკურსის საორგანიზაციო კომიტეტის წევრი გიორგი ლობჟანიძე კონკურსის საორგანიზაციო კომიტეტის წევრი მარინა ალექსიძე კონკურსის საორგანიზაციო კომიტეტის წევრი მზია ბურჯანაძე კონკურსის საორგანიზაციო კომიტეტის წევრი
2	სსიპ „შემოქმედებითი საქართველოს“ და კონკურსის „კულტურის სექტორში შესაძლებლობების განვითარების და თავისუფალი პროექტების“ გამარჯვებული პროექტი „მთარგმნელთა კლუბი და შემოქმედებითი სახელოსნო“ (ხელშეკრულება თ/16).	24.10.2020 - 26.11.2020 ააიპ ფონდი „დიოგენე“	**თეა შურღაია** **/ირანისტიკა/** **მზია ბურჯანაძე** **/ირანისტიკა/** როლი პროექტში - ერთთვიანი მასტერკლასის გაძღოლა ახალგაზრდა მთარგმნელებთან.

დასრულებული კვლევითი პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

ფონდ „დიოგენესა“
და
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ერთობლივი ორგანიზებით ჩატარებული „ვახუშტი კოტეტიშვილის სახელობის კონკურსი ახალგაზრდა მთარგმნელთათვის „ვახუშტი კოტეტიშვილი 85“

პროექტი ითვალისწინებდა ვახუშტი კოტეტიშვილის სახელობის კონკურსის ჩატარებას ახალგაზრდა მთარგმნელთათვის და საუკეთესო საკონკურსო ტექსტების სპეციალური კრებულის სახით გამოცემას.

კონკურსი მიზნად ისახავდა ახალგაზრდების დაინტერესებას მხატვრული და არამხატვრული ტექსტების თარგმნით უცხოური ენებიდან ქართულ ენაზე, ნიჭიერი ახალგაზრდა მთარგმნელების აღმოჩენას და წარმოჩენას.

კონკურსის მონაწილეთა ასაკი 20-დან 35 წლამდე განისაზღვრა. კონკურსი სამ ნომინაციაში ჩატარდა: პოეზია, მხატვრული პროზა, არამხატვრული ტექსტი (დოკუმენტური პროზა, ესეისტიკა, კრიტიკა, პუბლიცისტიკა).

ეს კონკურსი ერთგვარი გაგრძელებაა საქართველოში 2010, 2011, 2016 და 2017 წლებში წარმატებით ჩატარებული კონკურსებისა, რომელთა მიზანი ვახუშტი კოტეტიშვილის სახელობის პრემიის დაწესება და შესაბამისი კონკურსის ჩატარება იყო. უნდა აღინიშნოს, რომ წელს ქართული ლიტერატურისა და მთარგმნელობითი საქმის გამორჩეულ ფიგურას ვახუშტი კოტეტიშვილს დაბადებიდან 85 წელი შეუსრულდა.

კონკურსის ძირითადი ეტაპი - საკონკურსო მასალების მიღება; მომდევნო სამუშაოები - ჟიურის სხდომები და კრებულის მომზადება.

კრებულის ეგზემპლარები, რომელიც კონკურსის თანაორგანიზატორის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის მიერ მომზადა, დაიბეჭდება, გადაეცემა საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს, აგრეთვე, უფასოდ გავრცელდება ბიბლიოთეკებში და მედიათეკებში. კრებულის ელ.ვერსია ასევე უფასოდ ხელმისაწვდომი იქნება პროექტის ორგანიზატორების ვებგვერდებზე და ელექტრონული წიგნების ონლაინ პლატფორმებზე saba.com.ge და lit.ge.

10 დეკემბერს ზუმის პლატფორმაზე გაიმართა გამარჯვებულების დაჯილდოება.

2. შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტით დაფინანსებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

2.1.

№	გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

	სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი		
1	2	3	4
1.	სომხეთში, მატენადარანში დაცული ქართული ფრაგმენტებისა და ხელნაწერების ორენოვანი (ქართულ-სომხური) აღწერილობა ფილოლოგია	2020-2022	**/არმენოლოგია/** **ზაზა ალექსიძე** - რედაქტორი **დალი ჩიტუნაშვილი** - აღმწერი **ხათუნა გაფრინდაშვილი -** აღმწერი ირმა ხოსიტაშვილი - აღმწერი
მიმდინარე წლის განმავლობაში მომზადდა მატენადარანში დაცული ქართული ხელნაწერების ფრაგმენტების მატენადარანის ქართული ხელნაწერების ფრაგმენტების ფონდი. ფონდი ჯამში 56 ფრაგმენტს მოიცავს, რომელთა ქრონოლოგიური ჩარჩო IX-XIX საუკუნეებით შემოიფარგლება. ტექსტებში გამოყენებულია ქართული დამწერლობის სამივე სახეობა: ასომთავრული, ნუსხური, მხედრული. ქართული ფრაგმენტების ფონდმა შემოინახა ძველი ქართული სასულიერო მწერლობის თითქმის ყველა დარგი - ბიბლიოლოგია (№№8, 32), ლიტურგიკა (№№2, 5, 7), ასკეტიკა (№№8, 32), ჰაგიოგრაფია (№18) და სხვ. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს მეთერთმეტე საუკუნის პირველი ნახევრის დიდი სვინაქსარის ფურცლები, რომლებმაც სამხრეთ საქართველოს ისტორიის შესახებ საინტერესო მინაწერები შემოგვინახა. ფრაგმენტების ფონდში ინახება უძველესი იერუსალიმური ლექციონარისა და ოთხთავის წინარეათონური რედაქციის ხელნაწერების ფრაგმენტებიც. ფრაგმენტებმა შემოგვინახა სილიბისტრო რომაელის ცხოვრების უცნობი ქართული თარგმანის ფრაგმენტიც.			
2	XVI-XVIII საუკუნეების ახალციხე-არტანუჯის რეგიონი ოსმალური დავთრების მიხედვით. FR 17_230	2017-2021	ხელმძღვანელი **მირიან მახარაძე** **/აღმოსავლეთის ისტორია/**
პროექტი, XVI-XVIII საუკუნეების ახალციხე-არტანუჯის რეგიონი ოსმალური დავთრების მიხედვით. დაიწყო 2017 წელს და მავრდება 2021 წლის პირველ კვარტალში. აღნიშნული პროექტის ფარგლებში 2020 წლის თებერვალში გამოვიდა მონოგრაფია, არტანუჯისა და ბათუმის ვრცელი დავთრები. აღნიშნული მონოგრაფია შედგება 816 გვერდისგან. გარდა ამისა პროექტის ფარგლებში დასრულდა და 2021 წლის დასაწყისში დაიბეჭდება ორი მონოგრაფია: 1. 6 ოსმალური დიდი და მოკლე დავტარი ისტორიული საქართველოს შესახებ და 2. ლალა მუსტაფა ფაშას ვაყუფ ნამეები საქართველოს შესახებ. პროექტის ფარგლებში 2020 წელს ოსმალურიდან გაიშიფრა და ქართულად ითარგმნა შემდეგი დავთრები; თორთუმის ვილაიეთის დიდი დავთარი, ფასინის (ბასიანის) მოკე დავთარი; ისპირის (სპერის) მოკლე დავტარი; არტანუჯის მოკლე დავთარი; ზემო და ქვემო აჭარის მოკლე დავთარი, ახალციხის მეციხოვნეთა დავთარი. აღნიშნული მონოგრაფია 800 გვერდზე მეტი მოცულობისაა და მისი პდფ ვერსია იანვარში წარედგინება ფონდს. გარდა ამისა პროექტის ფარგლებში მოხდა ლალა მუსტაფა ფასას ვაყუფ ნამეების გაშიფვრა და თარგმნა. ითარგმნა სამი ვაყუფ ნამე, რომლის 1563 წლის დიდი ვაყუფნამე ითარგმნა თურქულიდან, ხოლო 1463 და 1479 წლის მცირე ვაყუფ ნამეები გადაითარგმნა ოსმალურიდან. აღსანიშნავია, რომ აღნიშნულ ვაყუფ ნამეებს ტან ერთვის წყაროს კვლევა აგრეთვე გამოკვლეულია ისეთი საკითხები, როგორიცაა საქართველო ოსმალეთის ურთიერთობები XV-XVI საუკუნეებში, ლალა მუსტაფა ფაშას საქართველოში ლაშქრობა და მისი მოკლე ბიოგრაფია. აღნიშნული მონოგრაფია 200 გვერდამდეა და მისი პდფ ვერსია იანვარში წარედგინება რუსთაველის ფონდს. პროექტის ფარგლებში მომზადდა სამეცნიერო სტატია მაღალრეიტინგული ჟურნალისთვის და დასაბეჭდად გადაეცა მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალ მოამბის სარედაქციო ჯგუფს . სტატია სესრულებულია ინგლისურ		

ენაზე და ახლავს ქართული რეზიუმე, სტატიაში მოკლედ განხილულია რვა ოსმალური დავთარი საქართველოს შესახებ. განხილულია არტანუჯის ვრცელი და მოკლე დავთრები, ბათუმისა და თორთუმის ვრცელი დავთრები, ფასინის, ისპირის, ახალციხის და ზემო და ქვემო აჭარის მოკლე დავთრები.
აგრეთვე 2020 წელს პროექტის ფარგლებში ანკარაში გამოვიდა საკონფერენციო მოხსენება ქართულ და თურქულ ენაზე, რომელიც პროექტის ხელმძღვანელმა მირიან მახარაზემ წაიკითხა 2019 წელს თურქეთის რესპუბლიკაში, ქალაქ ანკარაში. მოხსენების სათაური იყო „არტანუჯის ვრცელი და მოკლე დავთრები).

3	სტამბულის მინისტრთა საბჭოს არქივში დაცული დოკუმენტები საქართველოს შესახებ (რეზიუმირებული კატალოგი) HE-911	2018-2021	ხელმძღვანელი **მირიან მახარაძე** **/აღმოსავლეთის ისტორია/**

პროექტი „სტამბულის მინისტრთა საბჭოს არქივში დაცული დოკუმენტები საქართველოს შესახებ (რეზიუმირებული კატალოგი) დაიწყო 2018 წლის ივლისში და სრულდება 2021 წლის ივლისში. ყოველივე ამის გათვალისწინებით. 2020 წელს მიმდინარეობდა პროექტის მეორე და მესამე საანგარიშო პერიოდი. 2020 წელს მოძიებული იქნა 30 ათასზე მეტი დ ოკუმენტის გვერდი და მთლიანად გრანტის ფარგლებში სულ მოძიებული იქნა 60 ათასზე მეტი დოკუმენტი. ამ წელს დასრულდა ისეთ ფონდებზე მუშაობა, როგორიცაა 1. ბაბი ასაფი, რომელიც შედგება სამი ქვე ფონდისგან. მათგან მნიშვნელოვანია მუჰიმე დავთრების ფონდი, სადაც რეზიუმირება გაუკეთდა 3000-მდე დოკუმენტს. 2 სადარეთი აღნიშნული ფონდი შედგება 20 ქვეფონდიგან მოიცავს დოკუმენტებს მე-18 საუკუნის ბოლოსა და მე-19 საუკუნეს. რეზიუმირება გაუკეთდა 2500-მდე დოკუმენტს. 3. ალი ემირის ფონდი, რომელიც შედგება 18 ქვეფონდისგან, ყველა დოკუმენტი რეზიუმირებულია. პერიოდი მოიცავს მე-17-19 საუკუნეებს; 4.ბაბი ალი ევრაკ ოდასი, მთლინად გაერთიანებულია ერთ ფონდში და პერიოდი მოიცავს მე-19 საუკუნეს. რეზიუმირებულია 3000 მდე დოკუმენტი. 5. ჯევდეთის ფონდი სადაც გაერთიანებულია 22 ქვეფონდი და 1500 მეტი დოკუმენტი რეზიუმირებულია. გარდა ამისა 2020 წელს მოძიებული იქნა ყველა ის დოკუმენტი, რომელიც შეეხება იუსუფელი სპერის იმ კულტურულ ძეგლებს, რომელიც ჭოროხზე კაშხლის აშენების შემდეგ ან ჩაიძირება ან დაზიანდება. პროექტის ფარგლებში ქაღთულენოვან ჟურნალში აღმოსავლეთმცოდნეოდა დაიბეჭდა სტატია უფლისწული ბაიაზეთის აჟანყება და საქართველოს საკითხი მუჰიმე დავთრების მიხედვით.

4	ორი ოსმალური დავთარი და დოკუმენტები ბათუმის შესახებ FR-19-7386	2020-2023	კოორდინატორი **მირიან მახარაძე** **/აღმოსავლეთის ისტორია/**

პროექტის ორი ოსმალური დავთარი და დოკუმენტები ბათუმის შესახებ დაიწყო 2020 წელს და მთავრდება 20023 წელს. მიზანს წარმოადგენს 1700-იან წლებში შედგენილი ორი უმნიშვნელოვანესი ოსმალური ხელნაწერი დოკუმენტის - ,,ბათუმის სადროშოს ვრცელი და მოკლე დავთრების“ მეცნიერული დამუშავება - გაშიფვრა, თარგმნა, აკადემიური კვლევა და მონოგრაფიად გამოცემა. დოკუმენტები ინახება ანკარის მიწის და კადასტრის მთავარი სამმართველოს არქივში. მათი ასლები დაცულია სტამბოლში, პრეზიდენტის საარქივო სამმართველოს ოსმალურ არქივში. ბათუმი ოსმალეთის იმპერიაში ცალკე სადროშოს სახით იყო გაერთიანებული. იგი სხვადასხვა დროს ვილაიეთის ცენტრიც იყო. დოკუმენტებიდან ჩანს, რომ მოცემულ პერიოდში ბათუმის სადროშო, დღევანდელი ქალაქის და მიმდებარე ტერიტორიების (დღევანდელი აჭარის 20-მდე სოფელი) გარდა შედიოდა ისტორიული ჭანეთიც. დოკუმენტები შეიცავს დიდი რაოდენობით ვრცელ ჩანაწერს, რომელთა წაკითხვა, თარგმნა და სამეცნიერო მიმოქცევაში შემოტანა ნათელს მოჰფენს ბათუმის და მთელი რეგიონის ისტორიის ისეთ საკითხებს, რომელიც დღემდე უცნობია ქართული საზოგადოებისათვის. მათი გამოქვეყნება უთუოდ პირველწყარო იქნება საკითხით დაინტერესებულ პირთათვის. გარდა ამისა, იგეგმება XVIII-ის დასაწყისის არაერთი დოკუმენტის შესწავლა. ისინი ზემოხსენებული დავთრების თანადროულია და დღემდე გამოუქვეყნებელია როგორც საქართველოში, ასევე თურქი მეცნიერების მხრიდან. 2020 წელს დაგეგმილი იყო მივლინება თურქეთის რესპუბლიკაში, რომელიც პანდემიის გამო ვერ განხორციელდა და გადაიდო 2021 წლისათვის.

გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2020 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

2.2.

№	დასრულებული (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის მიერ ორგანიზებულ ახალგაზრდა მეცნიერთა III საერთაშორისო სიმპოზიუმის ჩასატარებლად (27-30 ნოემბერი, 2019) ჰუმანიტარულ მეცნიერებებში (ხელშეკრულება MG-ISE-19-675)	მობილობისა და საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიების გრანტი (საკონფერენციო გრანტი) - 2019-2020 წწ.	**დარეჯან გარდავაძე /არაბისტიკა/** ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურის ორგანიზებით ჩატარებული (27-30 ნოემბერი, 2019) ახალგაზრდა მეცნიერთა III საერთაშორისო სიმპოზიუმის სამეცნიერო კომიტეტის წევრი
დასრულებული კვლევითი პროექტის 2020 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე) ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე 2019 წლის 27-30 ნოემბერს ფაკულტეტის სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურის ორგანიზებით ჩატარდა ახალგაზრდა მეცნიერთა III საერთაშორისო სიმპოზიუმი, რომელიც უნივერსიტეტის ასწლოვანი იუბილეს ფარგლებში მიზნად ისახავდა თსუ-ში ასწლოვანი სწავლებისა და კვლევის ისტორიის მქონე დარგის - აღმოსავლეთმცოდნეობის პოპულარიზაციას, თუმცა არ შემოფარგლულა მხოლოდ აღმოსავლეთმცოდნეობით და სექციებსა და სამუშაო ჯგუფებში წარმოდგენილი იყო ჰუმანიტარული პროფილის ყველა დარგითა და მიმართულებით. საპატიო უცხოელი სტუმრები, რომელთაც საჯარო ლექციები წაიკითხეს უნივერსიტეტში, მსოფლიოს წამყვანი სამეცნიერო და კვლევითი ცენტრებიდან, უნივერსიტეტებიდან მოწვეული აღმოსავლეთმცოდნეები იყვნენ. **2020 წელს** სიმპოზიუმის სამეცნიერო კომიტეტმა იმუშავა კონფერენციის სექციებზე წაკითხული მოხსენებების სტატიებად მისაღებად და გრანტი დაიხურა ახალგაზრდა მეცნიერთა III საერთაშორისო სიმპოზიუმის მასალების კრებულად გამოცემით (თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა).			
2			
დასრულებული კვლევითი პროექტის 2020 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)			
დასრულებული კვლევითი პროექტის 2020 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)			

3. უცხოური გრანტებით დაფინანსებული სამეცნიერო პროექტები

3.1. გარდამავალი პროექტი

№	გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი, დამფინანსებელი ორგანიზაცია/ სამეცნიერო ფონდი, ქვეყანა	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	შარჯას წიგნის საერთაშორისო ბაზრობის მთარგმნელობითი პროგრამა "არაბული ლიტერატურა უცხოურ თარგმანებში"	2019-2020 წწ.	გამომცემლობა „ინტელექტი“, დარეჯან გარდავაძე (მთარგმნელი)
გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2020 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე) პროექტი მიზნად ისახავს თანამედროვე სირიელი მწერალის - ხალიდ ხალიფას რომანის: „სიკვდილი მძიმე შრომაა“ – აკადემიური მხატვრული თარგმანების გამოცემას ქართულ ენაზე. 2021 წლის დასაწყისში გამომცემლობა „ინტელექტის“ მიერ გამოიცემა მწერლის ზემოაღნიშნული რომანი, რომელიც სირიის შეიარაღებული კონფლიქტისა და სამოქალაქო ომის მხატვრული ასახვაა. წიგნს წინ უძღვნის მთარგმნელის აკადემიური წინასიტყვაობა. 2010 წელს ამ რომანმა ამერიკული National Book Award ლიტერატურული ჯილდო მიიღო და ეს პირველი შემთხვევაა, როცა არაბმა ავტორმა ეს ჯილდო დაიმსახურა. 2020 წლის თებერვალში კი ხალიდ ხალიფას ამ რომანისთვის ლონდონში გამომავალი, არაბული ლიტერატურისადმი მიძღვნილი ცნობილი ჟურნალის (Banipal) Saif Ghobash Banipal Prize დაიმსახურა. ეს ყველაფერი მეტყველებს ავტორის მნიშვნელობასა და მისი ლიტერატურული პროდუქციის მაღალ ხარისხზე.			
2	**ნანა კაჭარავა** **/თურქოლოგია/** თურქეთის დუზჯეს უნივერსიტეტში 2019 წელს დაარსდა „მიგრაციის კვლევის ცენტრი“	„მიგრაციის კვლევის ცენტრის“ ხელმძღვანელი საბჭოს წევრი	ცენტრში ჩართულია დუზჯეს უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო და ჰუმანიტარული ფაკულტეტის მეცნიერ-პედაგოგები, სოციოლოგები, ისტორიკოსები. ამ ცენტრის სამუშაო პროგრამის მიხედვით ითარგმნა ქართული წარმოშობის თურქი მწერლის ილჰან აკინის რომანი „უხმო ქვითინი - ქართველთა გადასახლება.“ წიგნი დაიბეჭდა თბილისში „საგა-საქართველოს აკადემიური გამომცემლობის“ მიერ 2020 წელს, ISBN 978-9941-9686-1-7
გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2020 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე): მიგრაციის საკითხებთან დაკავშირებით ვაგრძელებთ ტრადიციას და ქართულ საზოგადოებას ვაცნობთ ეთნიკურად ქართველ მწერალს ილჰან აკინს, რომელიც 20-მდე რომანის ავტორია. მანამდე ჟურნალ „არმაღანის“ ფურცლებზე მკითხველი გაეცნო დუზჯელ პოეტს აბდულაჰ ჩელებიოღლუს (ჩელებაძეს).			

ილჰან აკინი (წინაპართა ქართული გვარი ბერიძე) დაიბადა თურქეთის დუზჯეს პროვინციის სოფელ მუნჯურლუში. მისი ნაწარმოებები თარგმნილია ინგლისურ, არაბულ, ქართულ და ჰინდის ენებზე. მწერლის რომანებს შორის განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია „უხმო ქვითინი – ქართველთა გადასახლება“, „წმინდა ბარბარე & ნიკომედია,“ „ოქროს საწმისი“ და სხვ. ილჰან აკინის რომანი „უხმო ქვითინი - ქართველთა გადასახლება“ ქართველ მუჰაჯირთა მიგრაციის მძიმე წლებზე მოგვითხრობს. მწერალმა ისტორიის მწარე ფურცლებს - ქართველთა მუჰაჯირობას რომანის სახე მისცა და ამ წიგნში აჭარიდან გადასახლებული ერთი ოჯახის ფონზე განზოგადებულად აღწერა მე-19 საუკუნის ბოლოს ოსმალეთში გადასახლებული ქართველების სულიერი და ფიზიკური მდგომარეობა და ის მწარე ხვედრი, რომელიც ისტორიამ მათ არგუნათ. რომანში უამრავი სიტყვა მოცემულია ქართულად და ფრჩხილებში მათ განმარტებები ახლავს. ეს ის სიტყვებია, ხეხილის, ყურძნის თუ სიმინდის ჯიშებია, რომელიც ავტორს ბავშვობიდან მახსოვრობაში ჩარჩენია, რომელთაც უფრთხილდება და ესათუთება. ილჰან აკინის ეს რომანი 2014 წელს გამოიცა „დუზჯეს ქართული კულტურის ასოციაციის“ ფინანსური მხარდაჭერით. მისასალმებელია, რომ წიგნი სწრაფად გაიყიდა და 2015 წელს ხელმეორედ დაიბეჭდა. ქართული საზოგადოება განებივრებული არ არის მუჰაჯირობის, დედასამშობლოს ფესვებს მოწყვეტილი ემიგრანტების თემაზე დაწერილი მხატვრული ნაწარმოებებით. ამიტომ იმედს ვიტოვებთ, რომ ქართველი მკითხველი ინტერესით შეხვდება ამ რომანს.

3.2. დასრულებული პროექტი

№	დასრულებული (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი, დამფინანსებელი ორგანიზაცია/სამეცნიერო ფონდი, ქვეყანა	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	2	3	4
დასრულებული კვლევითი პროექტის 2020 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)			

4. პატენტები

4.1. საერთაშორისო პატენტები:

№	საპატენტო თემატიკის სათაური	გამომგონებელი/ები და პატენტმფლობელი/ები	პატენტის საიდენტიფიკაციო კოდი

4.2. ეროვნული პატენტები

№	საპატენტო თემატიკის სათაური	გამომგონებელი/ები და პატენტმფლობელი/ები	პატენტის საიდენტიფიკაციო კოდი

5. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში

5.1. მონოგრაფიები/წიგნები

№	ავტორი/ავტორები	მონოგრაფიის/წიგნის სათაური, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	მარიამ ჩაჩიბაია	**პეშიტა** ბიბლიის უძველესი სირიული თარგმანი მონოგრაფია	მომზადდა გამოსაცემად თბილისი, „ლოგოსი“	

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

სირიული ლიტერატურის უმნიშვნელოვანესი ძეგლია ბიბლიის უძველესი თარგმანი – პეშიტა (მაპაკტა პეშიტა), „მარტივი“ თარგმანი, სირიული ვულგატა. ეს სახელწოდება გამოიყენება IX-X სს-დან მოყოლებული. რაც შეეხება ძველ აღთქმას, უცნობია მისი თარგმანის განხორციელების თარიღი და ადგილი. როგორც ჩანს, ეს თარგმანი შესრულებულია სხვადასხვა მთარგმნელის მიერ სხვადასხვა დროს. საბოლოოდ ჩამოყალიბებული სახე მიიღო სავარაუდოდ II საუკუნეში ედესელი ქრისტიანების გულმოდგინე შრომის შედეგად. შესაძლოა, თარგმანის განხორციელებაში მონაწილეობდნენ ქრისტიანულ სარწმუნოებაზე ახლადმოქცეული ებრაელები ან საკუთრივ ებრაელები. ამის საფუძველს იძლევა ძველი აღთქმის ზოგიერთი წიგნი (მოსეს ხუთწიგნეული, იობის წიგნი), რომლებიც ზედმიწევნით ზუსტად, სიტყვასიტყვით არის თარგმნილი. ის გარემოება, რომ ებრაელებს ასე თუ ისე უნდა მიეღოთ მონაწილეობა ამ შრომაში, არ უნდა იყოს გასაკვირი, მითუმეტეს, თუ გავიხსენებთ, რომ სირიელი მამები, აფრაატი IV საუკუნის შუახანებში და იაკობ ედესელი VII საუკუნის მეორე ნახევარში იერონიმეს მსგავსად ხშირად მიმართავდნენ სინაგოგის სწავლულებს. ძნელია ითქვას, თუ რა მოცულობით ხდებოდა ტექსტის გადასინჯვა. თუმცა ერთი რამ ცხადია, დროდადრო სირიულ ტექსტში შეჰქონდათ ცვლილებები, რათა შეეჯერებინათ ის LXX თარგმანთან, როგორც ჩანს, ეს უნდა მომხდარიყო IV საუკუნის დასაწყისში ანტიოქიაში ლუკიანისეული ტექსტის LXX მიერ მიღებისას.

ძველი აღთქმის კანონიკური წიგნები პეშიტაში ძირითადად იგივეა, რაც ებრაულ ბიბლიაში.

მონოგრაფიაში საგანგებოდ არის შესწავლილი ძველი აღთქმის ნესტორიანული და იაკობიტური მასორეტული ხელნაწერები. ახალი აღთქმის კანონიკური წიგნები – ოთხი სახარება, საქმე მოციქულთა, რომელსაც დაერთვის სამი ეპისტოლე (მოციქული იაკობის, პირველი პეტრესი და პირველი იოანესი) და თოთხმეტი ეპისტოლე წმ. მოციქულ პავლესი. რაც შეეხება იოანეს მეორე და მესამე ეპისტოლეებს, მეორე პეტრესი, მოციქულ იუდასი და წმ. იოანე ღვთისმეტყველის აპოკალიფსი – არ მიიღო უძველესმა სირიულმა ეკლესიამ.

მონოგრაფიაში საგანგებოდ არის შესწავლილი პეშიტაში სახარების ტექსტების თარგმანი და მასთან დაკავშირებული მთელი რიგი კრიტიკულ-ლიტერატურული საკითხები, კერძოდ, მისი მიმართება ტატიანეს დიატესაროონთან, კიურტონისეულ სახარებასთან და სხვ.

2	ე. ასტახიშვილი, მ. ღამბაშიძე	ხურიტული არაფხა ასირიოლოგთა, ბიბლეისტთა და კავკასილოგთა საზოგადოების შრომები 11, ISSN: 1987-6971, ISBN: 978-9941-9694-0-9	თბილისი, აკადემიური წიგნი	108

კვლევა, რომელიც დაფუძნებულია პირველწყაროების დეტალურ ანალიზზე და ითვალისწინებს ხურიტული საზოგადოების ისტორიისა და სოციალური ცხოვრებისადმი მიძღვნილ სამეცნიერო ლიტერატურას, საშუალებას გვაძლევს გავაკეთოთ გარკვეული დასკვნები, რომლებიც მნიშვნელოვანია

ხურიტული არაფხას არსებობის ბოლო პერიოდის სოციალურ-ეკონომიკური ისტორიის რეკონსტრუქციისათვის.

როგორც მითანის მოკავშირე, არაფხა წარმოადგენდა მის დასაყრდენს აღმოსავლეთში, ისევე როგორც ალალახის სამეფო-დასავლეთში. შესაბამისად, არაფხას დაპყრობა როგორც ასურეთის, ასევე ბაბილონის მხრიდან, წარმოადგენდა მითანის ჰეგემონიის წინააღმდეგ მიმართული ბრძოლის ერთ ერთ ეტაპს. არაფხას ორი მხრიდან ავიწროებდნენ: სამხრეთიდან კასიტური ბაბილონი, ხოლო ჩრდილოეთიდან-ასურეთი. არსებულ ვითარებაში, მტრის შეჩერებისა და დამოუკიდებლობის შენარჩუნების მიზნით, არაფხა იძულებული იყო მაქსიმალურად გააქტიურებინა და მზადყოფნაში მოეყვანა თავისი სამხედრო რესურსი.

არაფხას შეიარაღებული ძალები, რომელიც ძირითადად სახალხო ლაშქრისაგან შედგებოდა, იყოფოდა ქვეით მეომრებად და ეტლოსნებად. ყოველ ეტლს თან ახლდა დაახლოებით ორი ათეული ქვეითი. სამხედრო ძალები ორ ფლანგად იყოფოდნენ: მარცხენა ფლანგი იცავდა საზღვარს ასურელების თავდასხმებისაგან, ხოლო მარჯვენა - კასიტი ბაბილონელებისგან. ყოველ ფლანგზე განლაგებული იყო დაახლოებით 50 ეტლი. პირველწყაროების დეტალურმა ანალიზმა აჩვენა, რომ მარცხენა ფლანგზე უფრო სახელმოხვეჭილი, გამოცდილი ოფიცრები იბრძოდნენ. ეს განპირობებული იყო ასურელების ინტენსიური თავდასხმებით და მათი პოზიციების გაძლიერებით, რამაც განაპირობა არაფხელების განდევნა მდ. ქვემო ზაბის გადაღმა.

3	გიული ალასანია	ფარსადან გორგიჯანიძე. საქართველოს ცხოვრება (რედაქტორი-გონელი არახამია)	საქართველოს უნივერსიტეტის გამომცემლობა	500

XVII საუკუნის ქართეველი მემატიანის ისტორიული ნაშრომი. ფარსადან გორგიჯანიძის “ისტორიის” პირველი სამი ნაწილი, რომელიც მოიცავს პერიოდს ქრისტიანობის გავრცელებიდან XVII საუკუნის 60-იან წლებამდე, კომპილაციური ხასიათისაა. მისი წერისას ავტორს გამოუყენებია ზეპირგადმოცემები, ქართული, სპარსული და სომხური წყაროები. ფარსადან გორგიჯანიძის “ისტორიის” შედარებამ თამარის ისტორიკოსის შრომასთან (“ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი”) და “ასწლოვან მატიანესთან” გამოავლინა მთელი რიგი ისეთი წაკითხვები, რომლებიც “ქართლის ცხოვრების” ბევრად უფრო ძველი და სრული ნუსხიდან მომდინარეობენ, ვიდრე ჩვენთვის ცნობილი ნუსხებია. ამდენად, მის “ისტორიას” რიგ შემთხვევაში პირველწყაროს მნიშვნელობაც კი ენიჭება. გორგიჯანიძის “ისტორია” 1694 წლის პირველ ნახევარზე წყდება. განსაკუთრებით ღირებულია XVII ს-ის ისტორიის მისეული გადმოცემა – 1635-1695 წლების ამბები, თვითმხილველისა და პროირანული ორიენტაციის მქონე ისტორკოსის მიერ ასახული მოვლენები. გორგიჯანიძის თხზულებაში მნიშვნელოვანი ცნობებია წარმოდგენილი ირანის, საქართველოს, სომხეთისა და Aაზერბაიჯანის ისტორიიდან. ავტორი წერდა ხალხური, ბუნებრივი კილოთი, საინტერესოდ, ხშირად საკუთარი ინტერპრეტაციით წარმოადგენდა ისტორიულ ფაქტებს. მკვლევართა აზრით, თავისი პროფესიონალიზმით, პირუთვნელობითა და ობიექტურობით იგი არ ჩამოუვარდებოდა თანადროული სპარსელ ისტორიკოსებ და XVIII საუკუნის ევროპული იდტირიოგრაფიის სიმაღლეზე იდგა.

3	**გიორგი ლობჟანიძე /არაბისტიკა/**	ISBN - 13: 978-9941-30-571-9 ჯალალ ედ-დინ რუმი, ,,არსთა მესნევი“, წიგნი პირველი, სპარსულიდან თარგმნა, შესავალი წერილი და განმარტებანი დაურთო გიორგი ლობჟანიძემ	სულაკაურის გამომცემლობა	490 გვ.

ასნავიე მა’ნავი (როგორც ტრადიციულად ქართულ აღმოსავლეთმცოდნეობაში იყო მიღებული „ზნეობრივი მესნევი“, წინამდებარე თარგმანით კი – ,,არსთა მესნევი“) პირველად გამოიცა ლონდონში.ეს არის მისტიკურ-დიდაქტიკური პოემა 6 დავთრად (რვეულად). რუმი პოემას კარნახობდა ჰოსამ ედ-დინ ჰასან ჩალაბის, რომელიც ტექსტს მრავალი წლის განმავლობაში იწერდა.,,მასნავი“ – ლექსის ფორმით შექმნილი ნამდვილი ენციკლოპედია სუფიზმისა– სპარსული მისტიკური პოეზიის მწვერვალია.თვითონ რუმის მიაჩნდა, რომ ის ყურანის დაფარულ საზრისს გადმოსცემდა.

ნაშრომამდე ქართულად ამ პოემის მხოლოდ ფრაგმენტები არსებობდა. ადრინდელი ნამუშევრები უფრო ტექსტის მხატვრული თარგმანი გახლდათ, "ზნეობრივ მესნევის" ეს ვარიანტი კი მხატვრული ტექსტის ფილოლოგიურ, მეცნიერულ თარგმანს წარმოადგენს. მისი "მიზანი ზუსტი, მაგრამ ამავე დროს მკითხველზე ორიენტირებული სრული თარგმანის შესრულება იყო.
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

5. 2. სახელმძღვანელოები

№	ავტორი/ავტორები	სახელმძღვანელოს სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1 2				
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)				

5.3. კრებულები

№	ავტორი/ავტორები	კრებულის სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1 2 3				
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)				

5.4. სტატიები ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდის (DOI) მითითებით

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათა-ური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI	ჟურნალის/ კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1					
2					
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)					

5.5. სტატიები ISSN-ის მითითებით

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათა-ური, ISSN	ჟურნალის/ კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდები ს რაოდენო ბა
1	**მაია ანდრონიკაშვი ლი /არაბისტიკა/**	არაბული მორფოლოგიის სტრუქტურული ტიპის კვლევასთან დაკავშირებული ზოგიერთი საკითხი	ტიპოლოგიური ძიებანი, VIII (ეძღვნება ვლ. ლეკიაშვილის ხსოვნას)	(იბეჭდება)	
	სტატია მეთოდოლოგიური ხასიათისაა და ეძღვნება არაბული ენის მორფოლოგიური სტრუქტურის კვლევასა და იმ ხუთი სტრუქტურული ტიპის გამოყოფას, რომელთან დაკავშირებული საკითხებიც ანგარიშგასაწევია არაბული ენის მორფოლოგიაში ლინგვისტური კვლევების წარმოებისას.				
2.	**ხათუნა თუმანიშვილი /არაბისტიკა/**	ანდაზური მეტაფორის სპეციფიკისათვის (სირიულდიალექტური არაბული და ქართული მასალის მაგალითზე)	კულტურის ისტორიისა და თეორიის საკითხები XXXIV რეცენზირებული და რეფერირებული (თსუ) სამეცნიერო კრებული ISSN 1512-0694	თსუ გამომცემლობა 2020	გვ.: 102-117 (16 გვ.)

ყოველთვის, როდესაც (სოციოლინგვისტურ, მით უფრო, ექსტრალინგვისტურ პლანში) მსჯელობა მიდის მეტაფორის ფენომენზე, გვერდს ვერ ავუვლით ვერბალური ფოლკლორის იმ მნიშვნელოვან მარაგს, რომელსაც ამა თუ იმ ენობრივი კოლექტივის პარემიული (ანდაზური) ფონდები მოიცავს. მოცემული ეთნოცნობიერება (სამყაროს შემეცნების პროცესში მიღებული გამოცდილების საფუძველზე) მისი გადასახედიდან აფასებს რა სიღრმისეულ სინამდვილეს, სწორედ ანდაზად რეპრეზენტირებს ფიგურალურად გაფორმებულ მრავალმხრივ ნაცად სიბრძნეს.

ამდენად, (ერთი შეხედვით მარტივი და ყველასათვის გასაგები) ანდაზა ბევრად უფრო რთული ფორმაა, ვიდრე მეტყველების უბრალო პოეტური „სამკაული“ (ა. კრიკმანი). ფუნქციურადაც ის კომუნიკაციაში გამოიყენება გარკვეული პრაგმატული მიზნით მრავალფეროვან ცხოვრებისეულ სიტუაციებთან მიმართებით: განსჯის, ამართლებს, მიუთითებს, დასცინის... სხვაგვარი ფუნქციით მისი განხილვა წარმოუდგენელია. სწორედ ამით განსხვავდება (ფორმალურად და აზრობრივად) დახვეწილი ანდაზა სპონტანურად შექმნილი მეტაფორისაგან ან რიგითი გონებამახვილური შენიშვნისაგან. ის გაცილებით მაღალი ღირებულების მქონე მხატვრულ ერთეულებში შედის. ანდაზის სემანტიკაში კოდირებულია სიღრმისეული სინამდვილის სტრუქტურაში „დაფარული“ ურთიერთობების ლოგიკური ბუნება, სამყაროში არსებული (ხშირად არათვალსაჩინო) მრავალმხრივი მიმართებები.

ნაშრომი მიზნად ისახავს (სირიულდიალექტური არაბული და ქართული მაგალითების შეპირისპირებით) ანდაზური მეტაფორის (მით უფრო, ღრმად მეტაფორული ერთეულების) სპეციფიკის თეორიულ პლანში გააზრებას. ერთ სემანტიკურ მოდელში („ღირებულს დამფასებელი სჭირდება“) მოქცეული პარალელების შედარებით-ტიპოლოგიური გაანალიზებით, შევეცადეთ გაგვერკვია, როგორ ხდება თითოეულის გახსნა - ქვეცნობიერი აზროვნების რა ანალოგიებზეა აგებული დეკოდირების პროცესი. ანუ, რა სახის წარმოსახვით-ლოგიკურ მიმართებებს ეყრდნობა განსხვავებულ კულტურათა ანდაზების მეტაფორის კონსტრუქტი.

მასალის ანალიზისას პოსტულატად აღებულ იქნა ტერმინი „იდეათა (წარმოდგენათა) ასოციაცია“ (ჯ. ლოკი). ეს ცნება გულისხმობს პროცესს, რომლის საფუძველზეც ფსიქოლოგიური აღქმები და წარმოდგენები ერთმანეთს უკავშირდება და წარმოქმნის რთულ, ფართე მნიშვნელობის იდეებს.

ანდაზა მოვლენათა სიღრმეებიდან არსებითის ზედაპირზე ამოტანას გარკვეულ ცნებად ჩამოყალიბებული შეფასების საშუალებით ახორციელებს. კონტექსტუალიზებისას ირთვება (ანალოგიურ აზროვნებაზე დაფუძნებული) მეტაფორული „ძრავა“, რომლის სრულყოფილ

ამუშავებას მხოლოდ „ორი საგნის კავშირი“ (ი. რიჩარდსი) ვერ უზრუნველყოფს. ანდაზური მეტაფორის კომბინირებული კონსტრუქტი საგანთა და მოვლენათა („ფართე მნიშვნელობის იდეის“) კავშირს ეფუძნება. უფრო ზუსტად, მისი კონტექსტში „გადააზრება“ (სწორად დეკოდირების „ცოდნა“) კომუნიკატორთაგან არა მხოლოდ საგნობრივი (ხატის) _ „სენსორული აღქმის“ დონეზე აზროვნებას (რაც, საკმარისია, მაგ., გამოცანის შემთხვევაში), არამედ, **ცნებითი აზროვნების** „უნარ-ჩვევებს“ მოითხოვს... ცნებითს იმიტომ, რომ მასში მოცემული მსჯელობა და დასკვნა ცნებით ოპერირებას ეფუძნება.

შესაძლებელია დასკვნის სახით ჩამოყალიბდეს ამგვარი დებულება : ანდაზის დეკოდირება პრაქტიკულად წარმოადგენს **ცნებითი აზროვნების** დონეზე მიმდინარე აზრმდებლობის პროცესს, რომელიც მოცემული ეთნოსის ისტორიული გამოცდილების საფუძველზე მიღებულ განზოგადებულ აპრობირებულ სიბრძნეს ეფუძნება. ამდენად, გადაჭარბებული არ იქნება იმის თქმა, რომ ანდაზა (ანდაზური მეტაფორა) ადამიანის მეტაფორული აზროვნების გამოვლენის უმაღლესი გამოხატულებაა. მეტიც, მასში ჩადებული ცოდნა ამა თუ იმ ეთნოსის რაციონალურის, მისი ეთნოფსიქიკური მოცემულობის ირაციონალური სახით არსებული რესურსია.

ნაშრომში წარმოდგენილი არაბულენოვანი მასალა მოპოვებული და თარგმნილია არაბული პირველწყაროდან, უშუალოდ სირიელი, ლიბანელი ინფორმანტებისაგან.

3	**ნინო ეჯიბაძე /არაბისტიკა/**	Amorphous *al-ḥā'* in Arabic, ISSN E 2667-9531	Journal on Asian Studies, N2	თბილისი, თავისუფალი უნივერსიტეტი	8 გვ.

Amorphous *al-ḥā'* in Arabic

(ამორფული *al-ḥā'* არაბულში)

ცნობილია, რომ არაბულში არის თანხმოვანთა ერთი ჯგუფი, რომელთაც სუსტი თანხმოვნები (*ḥurūf*^{u} *l-'illa*^{ti}) ეწოდებათ. ეს ფონემები, გარდა მათი ფონეტიკური მახასიათებლებისა (ხმოვანთა და თანხმოვანთა ნიშნები ერთდროულად), გამოირჩევიან იმითაც, რომ ადვილად ვარდებიან, ან ჩნდებიან, სიტყვათა შემადგენლობიდან, ჩაენაცვლებიან ზოგიერთ თანხმოვანს. მაგრამ არაბულში არის სხვა თანხმოვანიც, რომელიც ამგვარი თვისებებით ხასიათდება. სტატია ეხება ყრუ ნაპრალოვან *h*-ს. ის შეიძლება ადვილად ჩავარდეს ან გაჩნდეს (სადაც ეს არაა განპირობებული თვალსაჩინო გრამატიკული ან სემანტიკური მიზეზით), ჩაენაცვლოს სხვა თანხმოვანს, ამავდროულად _ შესაძლებელია, თავისი დისტინქტური ფუნქციის უგულებელყოფით, სხვა თანხმოვნებთან სუბსტიტუციის შედეგად შექმნას ლექსიკური წყვილი მინიმალური/წულოვანი განსხვავებით სემანტიკაში. ამასთანავე, ამგვარ _ პირობითად, "ამორფულ" _ თვისებებს ეს თანხმოვანი ავლენს საერთოსემიტური მასშტაბით, როგორც ერთი ენის შიგნით დიგლოსიურ ვერტიკალში, ასევე _ დიგლოსიურ სიბრტყეში.

4	**ნინო ეჯიბაძე /არაბისტიკა/**	გარეგანი ფლექსიის შესახებ არაბულში (იბეჭდება)	ტიპოლოგიური ძიებანი, VIII (ეძღვნება ვლ. ლეკიაშვილის ხსოვნას)	თბილისი, აღმოსავლეთ-მცოდნეობის ინსტ.	15 გვ.

გარეგანი ფლექსიის შესახებ არაბულში

არაბულში გარეგანი ფლექსიის საკითხი არის ყველაზე ხელშესახები საკითხი, რომლის მიხედ-ვითაც შეიძლება დიფერენცირდეს კლასიკური არაბული ენა თანამედროვე სტანდარტ ენისგან. ამ კონტექსტში, სტატიაში მსჯელობა წარმოდგენილია შემდეგი საკითხების გარშემო:

ა) გარეგანი ფლექსიის ნიშანთა რედუქცია არაა მხოლოდ თანამედროვე ფენომენი, რამდენადაც ეს ჯერ კიდევ პრეისლამური ხანის არაბულისთვის იყო დამახასიათებელი (ამ ეპოქის ზოგიერთი დიალექტი იყო ანალიტიკური, ზოგი _ სინთეტური); შესაბამისად, ესაა არაბულისთვის დიაქრონიულიად დამახასიათებელი მოვლენა და მისი კვლევა მხოლოდ სინქრონულ ჭრილში არ იძლევა სრულ სურათს;

ბ) მოვლენის პოსტულირება, როგორც "გარეგანი ფლექსიის გაუქმება", არაა კორექტული, რადგანაც, საქმე გვაქვს მრავალშრიან მოვლენასთან, რომელიც ვარირებს, ერთი მხრივ, მორფოსინტაქსური, მეორე მხრივ _ ექსტრალინგვისტური რეალიების მიხედვით;

გ) არა ყველა ბოლოკიდური ხმოვანი, რომელიც მოიშლება სასაუბრო არაბულში, არის გარეგანი ფლექსიის ნიშანი, რადგანაც ისინი შეიძლება არ მონაწილეობდნენ სიტყვათა სინტაქსური კავშირების გამოვლენასა და დერივაციაში;

დ) არა ყოველი მარკერი, რომელიც მონაწილეობს სიტყვათა სინტაქსური კავშირების გამოვლენასა და სიტყვაწარმოებაში, არის (მხოლოდ) ხმოვანი;

ე) და ყველაზე მთავარი: საკვლევი მოვლენა – არაბულის ბუნებრივი განვითარების მნიშვნელოვანი ნაწილი, ხელოვნურად შეკავებული *al-fuṣḥā*-ში, გამოვლენილი არაბულის სასაუბრო ფორმებში მთელი დადასტურებული დიაქრონიის განმავლობაში _ წარმოადგენს ნაწილს ორი ლოგიკურად ურთიერთდაკავშირებული მოვლენისა: 1) ენის ანალიტიკურობისკენ გადახრის ტენდენციისა და 2) ბოლოკიდური ხმოვნების რედუქციის ტენდენციისა. ამავდროულად, ეს მოვლენა, როგორც ასეთი, არის ხელშესახები ინდიკატორი არაბთა დამოკიდებულებისა ენის მოცემულ ფორმასთან: *al-fuṣḥā*, სადაც იგი გამოვლენილია მინიმალურად და შემოსაზღვრულია სპეციფიკური ექსტრალინგისტური ჩარჩოებით (ყურანი, პოეზია) – ითვლება უმაღლესი პრესტიჟის ენობრივ ფორმად; დიალექტები, სადაც იგი გამოხატულია უმაღლესი ხარისხით, ფასდება, როგორც ყველაზე დაბალი პრესტიჟის ენობრივი ფორმები; ეს მოვლენა არის იმ მნიშვნელობის, რომ არაბები ზოგჯერ მისი განვითარების მაღალ ხარიხს აღიქვამენ, როგორც "გრამატიკის არარსებობას".

5	**ნინო ეჯიბაძე /არაბისტიკა/**	THE ISSUE OF THE FINAL *MĪM* IN THE EGYPTIAN ARABIC DIALECT (იბეჭდება)	AIDA-ს (არაბისტ დიალექტოლოგთა საერთაშორისო ასოციაციის) მე-13 საერთაშორისო კონფერენციის მასალები	ქუთაისი	10 გვ.

THE ISSUE OF THE FINAL *MĪM* IN THE EGYPTIAN ARABIC DIALECT
(ბოლოკიდური *MĪM*-ის პრობლემა ეგვიპტის არაბულ დიალექტში)

სტატია მიზნად ისახავს, გარკვევას ბოლოკიდური *-m*-ის საკითხში, რომელიც დასტურდება ეგვიპტის არაბულ დიალექტში ზმნათა III პ., მამრ. სქ., მრ.რ.-ში.

XX ს.-ის შუა ხანებში შარბატოვმა საკვლევი *-m* მიიჩნია ძველი სემიტური მიმაციის ნაშთად, რამაც გამოიწვია სპეციალისტთა ერთი ჯგუფის კრიტიკა, რადგან მიმაცია, ნუნაციის მსგავსად, სახელთათვისაა დამახასიათებელი; შესამაბისად, მისი კვალის აღმოჩენა ზმნაში საეჭვოდ იქნა მიჩნეული.

სტატიაში წამოყენებულია ვარაუდი, რომ საკვლევი *-m* არის მრავლობითის (resp. ერთზე მეტის) აღმნიშვნელი მორფი. ამ პოსტულატის სათანადო არგუმენტირების შემდეგ, დაყენებულია საკითხი: ხომ არ არის შესაძლებლობა შარბატოვისეული "მიმაციის ნაშთისა" და ამ სტატიაში განხილული "მრავლობითის მარკერის" ერთმანეთთან დაკავშირებისა; და საკითხი დადებითადაა გადაწყვეტილი.

6	**თეა შურღაია /ირანისტიკა/** Tea Shurgaia	General Review of Persian Paremiography (Reprint)	G.Tsereteli Institute of Oriental Studies – 60. Selected Papers 1960-2020 ISBN 978-9941-18-362-1	თბილისი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა	512-521

სტატიაში, რომელიც რეპრინტს წარმოადგენს, გაანალიზებულია სპარსული ანდაზების მნიშვნელოვანი კრებულები, შემოთავაზებულია ამ კრებულების ზოგადი სტრუქტურა - სქემა, რომელსაც უნივერსალური ხასიათი აქვს და შემდგომში გამოცემულ ნებისმიერ პარემიოგრაფიულ კრებულის სტრუქტურის აღსაწერად გამოდგება. სტატიაში მოცემულია ამ კრებულების კლასიფიკაცია და დახასიათება.

7	**მარინა ალექსიძე** **/ირანისტიკა/**	Le Cheikh Sana'an et Tiflis/Tbilissi (შეიხ სანა'ანი და თბილისი) ISBN 978-9941-18-362-1	G. Tsereteli Institute of Oriental Studies – 60, Selected Papers 1960-2020,	Tbilisi, 2020,	196-203.
ლეგენდა შეიხ სანა'ანზე, რომელმაც რუმელი ქრისტიანი ქალის სიყვარულით უარყო ისლამი და გაქრისტიანდა, ფართოდ იყო გავრცელებული აღმოსავლეთში. XVIII-XIX საუკუნეების თბილისში გავრცელებული იყო ამ ამბის საქართველოსთან დაკავშირებული ლოკალური ვერსიაც, რომელშიც შეცვლილია არა მარტო გეოგრაფიული არეალი (მოქმედება რუმიდან საქართველოშია გადმოტანილი), არამედ ამბის ბოლოც: თუ აღმოსავლურ ვერსიებში შეიხი ისლამს დაუბრუნდა, თბილისულ ვერსიაში იგი ქრისტიანად დარჩა, მეტიც, დიდი სასულიერო მოღვაწე მამა დავით გარეჯელი გახდა და იგი მამადავითის ეზოშია დაკრძალული.				
7	**მანანა კვაჭაძე** **/ირანისტიკა/**	ენობრივი განვითარების დინამიკის შესახებ გომბორელ ლაიჯთა მეტყველებაში (ფონეტიკის საკითხები), ISSN 2298-0377	„აღმოსავლეთმცოდნეობა“, №9, 2020	თბილისი, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა	გვ. 101-116
1980-იან წლებში საველე მუშაობის დროს მოპოვებული მასალების მონაცემთა მიხედვით გაირკვა, რომ სოფელ გომბორში აზერბაიჯანელი მოსახლეობის მასიდან გამოიყოფა ირანულენოვანი ეთნოგრაფიული ჯგუფი, რომლის წარმომადგენლებიც საკუთარ თავს *ლაიჯებს* უწოდებენ, ხოლო თავიან სამეტყველო ენას - *ლაიჯურს.* ისინი გასული საუკუნის 10-20-იან წლებში წამოსულან შემახის მაზრის დაბა ლაჰიჯიდან. მეტად საინტერესო ეთნოლინგვისტურ სიტუაციაშია მოქცეული გომბორელ ლაიჯთა ყოფა და მეტყველება. სტატიაში განვიხილავ ფონეტიკის საკითხებს. ორენოვნების პირობებში, იქ, სადაც წამყვან საზოგადოებრივ ფუნქციას აზერბაიჯანული ენა ასრულებს, თათები (მათ შორის ლაიჯებიც) ხშირად თავიანთ ვოკალიზმსა და კონსონანტიზმს აზერბაიჯანულს უქვემდებარებენ, რაც იწვევს ენობრივი ნორმების მერყეობასა და თათური ენისათვის უცხო ფონემების გაჩენას. რაც შეეხება გომბორის ოთხენოვან სიტუაციას, სადაც აზერბაიჯანული ენა უმწერლობო ენის დონეზეა გადანაცვლებული და ამდენად, დაკარგული აქვს ავტორიტეტული ორიენტირის ფუნქცია, გომბორელ ლაიჯთა მეტყველებაში ბგერათა წარმოთქმა ზოგჯერ ექვემდებარება ქართულ ან რუსულ კანონზომიერებებს, რაც ხელს უწყობს საწარმოთქმო ნორმების მერყეობას, ისედაც მრავალრიცხოვანი ფონეტიკური ვარიანტების გამრავლებასა და გავრცელებას. აღნიშნული მოვლენები გამოწვეულია სოციალური და ენობრივი გარემოს სპეციფიკით, შედეგია უშუალო კონტაქტებისა და ხასიათდება არაერთგვაროვნებითა და ვარიანტულობით, ხშირად - სტიქიურობითაც. დიდი მნიშვნელობა აქვს მოლაპარაკე ინდივიდის ასაკს, სქესს, პროფესიას, განათლებას, კულტურულ დონეს, ენობრივ ორიენტაციას და სხვა არაენობრივ ფაქტორებს..				
8	**ფატმან ანთაძე-მალაშხია** **/ირანისტიკა**	სპარსულიდან ქართულში შემოსული ზოგიერთი ციკლური ნასესხობის შესახებ, ISSN 2298-0377	აღმოსავლეთმცოდნეობა, №9, 2020	თსუ გამომცემლობა	67-82
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე) სპარსულ-ქართულ ენობრივ ურთიერთობათა შესწავლისას ერთ-ერთ საგულისხმო ასპექტად ციკლურ ნასესხობათა ანალიზი გვევლინება. ამგვარ ნასესხობებად მოვიაზრებთ იმ ერთეულებს, რომლებიც სპარსული ენის ისტორიის ორ სხვადასხვა ეტაპზე, კერძოდ, ჯერ საშუალო, შემდგომ კი ახალი სპარსულიდანაა ქართულში შემოსული. ამგვარ ნასესხობათა განხილვისას ორიენტირს მათი ურთიერთმიმართება და ეტიმონებთან მიმართება წარმოადგენს. ასევე ყურადსაღებია, რომ რიგ შემთხვევაში ციკლური ნასესხობის მეშვეობით შესაძლებელია საშუალო სპარსულში დაუდასტურებელი ეტიმონის აღდგენა.				

	სტატიაში განხილულია რამდენიმე ციკლური ნასესხობა(**რემაკ**-ი/**რემა**, **ფარდაგ**-ი/**ფარდა**, **ჭაბუკ**-ი/**ჩაუქ**-ი, **ხანაგა/ხანა**, **ზირაკ**-ი/**ზირა/ძირაკ**-ი/**ძირა**, **ჭალაკ**-ი/**ჭალა**, **სადაგ**-ი/**სადა**). ბოლო სამი წყვილის შემთხვევაში პირველ კომპონენტს არ უდასტურდება საშუალო სპარსული ეტიმონი და ის აღდგენილია ახალი სპარსული ფორმისა და ქართულში წარმოდგენილი ნასესხობის მიხედვით(***zir-ak**>**ზირაკ**-ი/**ძირაკ**-ი/ახ. სპარს. **zir-ä>ზირა/ძირა/zir-e**, ***čäläk**>**ჭალაკ**-ი/ახ. სპარს. **čāla>ჭალა/čale**, ***sådäg**>**სადაგ**-ი/ახ. სპარს. **sådä>სადა/såde**).				
	განხილულ წყვილთაგან ორის შემთხვევაში ახალი სპარსულიდან მომდინარე ფორმა არ შეესაბამება ახალ სპარსულ ბგერათა ქართულში შეთვისების კანონზომიერებებს. კერძოდ, **ზირა/ძირა** ფორმების პარალელიზმი ცხადყოფს, რომ ახალი სპარსული **z** ქართულში მხოლოდ **ზ**-ს სახით არ ადაპტირდებოდა და იშვიათად საშუალო სპარსული **z**-ს მსგავსად, გადმოდიოდა **ზ**-დ ან **ძ**-დ(**ძ**-დ გადმოსვლა დასტურდება ახალი სპარსულიდან შემოსულ სხვა არაციკლური ტიპის ნასესხობებშიც). ასევე ჩანს, რომ საშუალო სპარსული **č**-ს ანალოგიურად, ახალი სპარსული **č**-ც ქართულში ზოგჯერ არა მხოლოდ **ჩ**-დ, არამედ **ჭ**-დაც ადაპტირდება. ამას ადასტურებს ახალი სპარსული **čāla**(კლასიკ. სპარს.)/**čale**-დან მომდინარე **ჭალა-ს** მაგალითი.				
	ზემოთ მოტანილი ორი წყვილის შემთხვევაში საშუალო და ახალი სპარსულიდან მომდინარე პარალელები სემანტიკურად (**ზირაკ**-ი/**ძირაკ**-ი/**ზირა/ძირა** და **ჭალაკ**-ი/**ჭალა**) სრულიად იგივეობრივია.				
	დანარჩენ მაგალითებში ციკლურად შემოსულ პარალელთა მნიშვნელობები ერთმანეთს არ ემთხვევა, რისი მიზეზიც არის როგორც ეტიმონის შინაარსის გადააზრება, ასევე ციკლურ ნასესხობათა თანდათანობითი სემანტიკური დიფერენცირება საკუთრივ ქართულ ნიადაგზე.				
	განსხვავებული შინაარსის ციკლურ ნასესხობათა წყვილების კომპონენტთა შორის დასტურდება იმპლიკაციური მიმართება.				
	წარმოდგენილია ეტიმონის როგორც სემანტიკური უცვლელობის, ასე ცვლილების შემთხვევები. საანალიზო პოლისემიური ეტიმონები ქართულში ფაქტობრივად მონოსემიზდება. ქართულ ნიადაგზე ნასესხობათა პოლისემიზაციას ეფემერული ხასიათი აქვს.				
	ორ შემთხვევაში(**რემა**, **ფარდაგი**) ადგილი აქვს ეტიმონის ჰიპონიმიზაციას და შესაბამისად, ეტიმონსა და ნასესხობას შორის ჰიპო-ჰიპერონიმული კავშირია დამოწმებული. დანარჩენ შემთხვევებში ნასესხობა ეტიმონს შინაარსობლივად იმპლიკაციის საფუძველზე უკავშირდება.				
	ექვსი სუბსტანტივური და ორი ზედსართავული ეტიმონიდან სესხებისას არცერთს არ ეცვლება მორფოლოგიურ კატეგორია. გამონაკლისია **čāpuk>ჭაბუკ**-ი, სადაც ზედსართავული ეტიმონი შესიტყვების(**ჭაბუკი ვაჟი**) ელიფსიზაციის შედეგად უნდა იყოს ქართულში გაარსებითებული.				
	განხილული ნასესხობები ერთმანეთისგან განსხვავდებიან ადაპტაციის ხარისხით. ამგვარი ხარისხის მაჩვენებლად მათი გამოყენების სიხშირესა და დერივაციულ აქტივობას მოვიაზრებთ.				
9	**მარიკა ჯიქია /თურქოლოგია/**	რამდენიმე დაკვირვება დანიელ ჭონქაძის ენაზე **ISBN 978-9941-13-9635**	მასალები VI საერთაშორისო კონფერენციისა “ქართულ-ოსურ ურთიერთობათა განვითარების პერსპექტივები” კრებული ეძღვნება დანიელ ჭონქაძესა და ვასილ ცორაევს.	თსუ გამომცემლობა	გვ. 442-447
	სტატიაში სათაურით წარმოჩენილია სიტყვათთხზვას დანიელ ჭონქაძის ერთადერთი მოთხრობის მიხედვით. ეს არის მწერლის ენის ის სიტყვები, რომლებიც არ განეკუთვნება საერთო სალიტერატურო ენას, ხოლო კრიტერიუმი, რომლითაც სიტყვა მიეკუთვნება საერთო სალიტერატურო ენას, მარტივია: იგი უნდა დადასტურდეს ქართული ენის ძირითად, ფუნდამენტურ, აკადემიურ ლექსიკონში. ჩვენს სინამდვილეში ეს ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონია.				
	ნეოლოგიზმები, რომლებიც გვხვდება დანიელ ჭონქაძის შემოქმედებაში, ისეთი სიტყვაწარმოებაა, რომლის დროსაც მწერალი იყენებს თავსართ-ბოლოსართების ჩვეულებრივ ინვენტარს, ლექსიკონებში დადასტურებულ ძირებსა თუ ფუძეებს და მათი შეერთებით იძლევა დერივატს ან კომპოზიტს,				

რომელიც სავსებით სწორია წარმოების თვალსაზრისით და, ამავდროულად, უჩვეულოა შინაგან კავშირთა მოულოდნელობის გამო.					
10	**მარიკა ჯიქია /თურქოლოგია/**	გრამატიკული კონცეპტების გადააზრება თურქული ენის მაგალითზე ISSN 2298-0377	აღმოსავლეთმცოდნეობა №9	თსუ გამომცემლობა	გვ. 156-166
წერილში გრამატიკული აზროვნების წარმოსაჩენად თურქი ენათმეცნიერების ნაშრომთა მიხედვით განვიხილავთ გენიტივის ბრუნვათა რიგიდან იმ მოტივით ამოღების ფაქტს, რომ სახელი ნათესაობით ბრუნვაში არ მიემართება ზმნის პირიელ ფორმას. თურქულში ქონა-ყოლისა და არქონა/არყოლის სემანტიკა ეკისრება var/yok პრედიკატულ სიტყვებს, რომლებიც სუბიექტს ნათესაობით ბრუნვაში შეიწყობენ, ხოლო ობიექტს ერთვის შესაბამისი პირის კუთვნილებითი აფიქსი. ნათესაობითი ბრუნვის ზმნის პირიელ ფორმასთან კავშირის გასამყარებლად მოვიხმობთ მაგალითებს არამონათესავე ენებიდან, რაც ამ ფაქტს ტიპოლოგიურადაც გაამაგრებს .ქონა-ყოლის კონსტრუქციისეული ქვემდებარე რუსულშიც ნათესაობით ბრუნვაშია. ქართულში მცირერიცხოვან ზმნათა პირიელი ფორმები შეიწყობს სახელს ნათესაობითში:. მეშინია (ძაღლის), მშურს (ამხანაგის), მრცხვენია (დედის), მერიდება (მეზობლის), მჯერა (მეგობრის), მწამს (ღვთის) და სხვ.. თავდაპირველად უნდა ყოფილიყო მაქვს შიში, მაქვს სირცხვილი, მაქვს რიდი ... გამოდის, რომ აღნიშნული ზმნები, რომელთაც შესაბამისი სახელი ნათესაობით ბრუნვაში შეეწყობა, კოდირებულია ქონა-ყოლის პროტოტიპული კონსტრუქციით. ამის გათვალისწინებით აღარ უნდა გაჭირდეს ნათესაობითი ბრუნვის მართლზომიერი აღდგენა თურქული ენის ბრუნვათა რიგში.					
11	**მარიკა ჯიქია /თურქოლოგია/**	დაკვირვებანი შოთა ნიშნიანიძის ლექსიკაზე ISSN 1987-6823	ლექსმცოდნეობა XII, ეძღვნება შოთა ნიშნიანიძეს. ლექსმცოდნეობის მეთორმეტე სამეცნიერო სესია(მასალები),	თბილისი, ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა	გვ.246-260
შოთა ნიშნიანიძის სასიტყვეთს წარმოვაჩენთ სიტყვათთხზვის მისეული ტექნიკის კუთხით.არსებითი და ზედსართავი სახელები: ფესვებჯიუტი, ღვთისბეჭება, ფუტკრული, ლერწებკრიმანჭულა, ჯუბაჯვრიანი , ფარშავანგული, ხატპეპელა, მთვარისფერი; წინარე ვითარების სახელებია: ნაფრესკალი, ნაფერთალი, ნასუქალი; პოეტი თხზავს ახალ ნასახელარ ზმნებს: გადალასტა, ჩახარკდება, ფუტკრობ, მემაფშალიები, მელამანჩა, დესპანობდე, გვიანბანე, ვიალქაჯე, ამყვირალდა, იტარასე, ურიკოშეტებ, შემოეგარსა, ატევრილა, მიეკელაპტრა, ისხივ-იბროლოს , მოსხივდა-მოგალობდა, იჯეჯილე...ივენახე, დახოხბდა; მიმღეობიანი კომპოზიტები: შოშიებმიმსხდარი, ლეგენდებგადავლილი და სხვ. შოთა ნიშნიანიძის სამყარო სავსეა სიცოცხლის ფორმებით და მთლიანობაში მისი დანახვა და განცდა ერთი დიდი ბედნიერებაა.					
12	**მარიკა ჯიქია /თურქოლოგია/**	მესხ მოლექსეთა ონომასტიკური სივრცე ISSN 1987-6157	გულანი, საერთშორისო სამეცნიერო რეცენზირებადი ჟურნალი, № 23	ახალციხე, სამცხე-ჯავახეთის უნივერსიტეტის გამომცემლობა	გვ.158-165
კრებულში – ვწერ ვინმე მესხი მელექსე – გამოქვეყნებული ლექსების ონიმური ინვენტარი ორგანულად ერწყმის პოეტთა საჭირბოროტო რეალიებს, უმეტესად რეალური ვითარების ამსახველია და საინტერესო ინფორმაციის შემცველი ჩვენი ქვეყნის ამა თუ იმ დასახლებული პუნქტის შესახებ. მესხი მელექსეების ლექსებში დადასტურებულ ქართულ ტოპონიმთა უმეტესობა ისტორიული გეოგრაფიის თვალსაზრისით ჩვენი ენის გადარჩენილი განძია. ორმოცდახუთი ავტორის შემოქმედება დახუნძლულია ქვეყნების, რეგიონების,საქართველოს კუთხეების, ქალაქებისა თუ სოფლების, მდინარეების, პირთა თუ პერსონაჟთა სახელებით. სახელდებაშიყოველთვის აირეკლება საზოგადოების სოციალური ცხოვრება და კულტურა.					
13	**მარიკა ჯიქია /თურქოლოგია/**	მერაბ ბერიძის ლექსების სასიტყვეთი	გულანი,საერთშორისო სამეცნიერო	ახალციხე, სამცხე-ჯავახეთის	გვ.166-176

		ISSN 1987-6157	რეცენზირებადი ჟურნალი, № 23	უნივერსიტეტის გამომცემლობა	

მერაბ ბერიძის პოეზიის ლექსით სივრცეში დაუწჯებულია სრულიად საქართველოს ნაირგვარი გეოგრაფიული სახელები, გვხვდება გამოჩენილ ისტორიულ პირთა, სასულიერო მოღვაწეთა, მწერალთა, ლიტერატურულ პერსონაჟთა სახელები, რომელთაც უხვად აქვთ როგორც ინდივიდუალური კონოტაციები, ასევე ხატოვანი წარმოდგენები.მერაბ ბერიძე მიმართავს ისეთ სიტყვაწარმოებას, რომლის დროსაც იყენებს თავსართ-ბოლოსართების ჩვეულებრივ ინვენტარს, ლექსიკონებში დადასტურებულ ძირებსა თუ ფუძეებს და მათი შეერთებით იძლევა დერივატს ან კომპოზიტს, რომელიც სავსებით სწორია წარმოების თვალსაზრისით და, ამავდროულად, უჩვეულოა შინაგან კავშირთა მოულოდნელობის გამო. მერაბ ბერიძისეული სიტყვათქმნადობა მრავალფეროვანია ამ ერთი (პირველი) კრებულის მიხედვითაც კი, ხოლო ავტორისეული ოკაზიონალიზმები უცილოდ ამდიდრებენ ქართული ენას.

14	**ნანული კაჭარავა /თურქოლოგია/ ლუიზა რუხაძე**	"რამდენიმე აღმოსავლური ნასესხობა ქართულ ენაში, IშშN 2298-0377	აღმოსავლეთმცოდნეობა № 9	თსუ	**გვ.117-123**

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე):

ნასესხები სიტყვები ამდიდრებს ენის ლექსიკურ ფონდს. მათი გამოვლენა და კვლევა ენის ისტორიის შესწავლის საინტერესო სფეროა. ყველა ენა თავისი არსებობის მანძილზე მეტნაკლებად განიცდის უცხო ენის გავლენას. ცნობილია, რომ "წმინდა ენა" არ არსებობს. ზოგჯერ ნასესხობა იმდენად ესისხლხორცება მსესხებელი ენის სისტემას, რომ მისი ლექსიკური მარაგის განუყოფელი ნაწილი ხდება. შესაბამისად, სიტყვის უცხოური წარმომავლობის დადგენა მხოლოდ მისი ეტიმოლოგიური კვლევის შედეგად არის შესაძლებელი.

1. ქართულ ენაში შესული აღმოსავლური ნასესხობების განხილვისას ხშირად გვხვდება ფონეტიკური ცვლილებები, რაც შემდგომში განსხვავებულ სიტყვას იძლევა; ხდება ასევე ლექსემის მნიშვნელობების დავიწროება-გაფართოება, ზოგჯერ კი რადიკალურად საპირისპირო მნიშვნელობის შეძენაც კი. სტატიაში განხილულია ოდენ თურქულიდან ნასესხები რამდენიმე სიტყვა:
2. ჩიღინი/ჩიგინი < çiğin კერვის ერთ-ერთი სახეობაა.
3. ჭავლი < çevri . ჭავლ-ი (ჭავლისა) წყლის ზედაპირის მცირე რიტმული რხევა, ზედაპირის თრთოლა.
4. ჩომბახი < çomak ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში მითითებულია, რომ ეს სიტყვა თურქული წარმოშობისაა და ნიშნავს კომბალს.

სტატიაში მოტანილია არგუმენტები ამ სიტყვების თურქულიდან შემოსული ნასესხობის შესახებ. გარდა წმინდა თურქული ნასესხობებისა, წარმოვადგენთ რამდენიმე სპარსული წარმომავლობის სიტყვას, რომლებიც ქართულ ენაში თურქულის მეშვეობით არის შესული.

1. სილა < sille ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით სპარსული ნასესხობაა და ნიშნავს გაშლილი ხელის შემოკვრას ყბაში.
2. ჭარბი < çerb ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით: 1. მომეტებული, ზომაზე მეტი.`
3. ხუნდი < künde ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით: 1. ძვ. ფეხის ბორკილი – ფეხების ჩასაყოფი ნახვრეტების მქონე გრძელი, მსხვილი ძელი. „ებრძანებინა: ხუნდები ფეხებში შეუყარეთო“ (აკაკი); 2. დიდი ნადირის დასაჭერი მახე; 3. იგივეა, რაც მორგვი; 4.ტექ. შემოსაჭერი მოწყობილობა, მომჭერი ხუნდი. 5. რთული ფუძის მეორე შემადგენელი ნაწილი – ხელხუნდი.
4. ეს სიტყვა ქართულში გარდა "ხუნდის" მნიშვნელობისა, შემოსულია "კუნძისა" და "გუნდის" მნიშვნელობითაც. გამოდის, რომ ამ სპარსული წარმომავლობის ლექსემის სამი მნიშვნელობა დამკვიდრებულა ქართულ ენაში.

ქართულში ნასესხობების გამოვლენა უაღრესად მნიშვნელოვანი საქმეა, თუნდაც იმიტომ რომ საჭირო და აუცილებელია ქართული ენის ეტიმოლოგიური ლექსიკონის შედგენისათვის. ეს მეტად საპატიო მოვალეობაა ყველა ქართველი აღმოსავლეთმცოდნისათვის.

15	**მზისა ბუსკივაძე /თურქოლოგია/**	„დედე ქორქუთის წიგნის ახლადაღმოჩენილი ხელნაწერის შესახებ“	ჟურნალი აღმოსავლეთმცოდნეობა N 9	თსუ	გვ.83-94, 2020

ამა თუ იმ ერის კულტურული მემკვიდრეობა ნათელ წარმოდგენას გვიქმნის ხალხის, როგორც გარკვეული ერთობის, ცნობიერებასა და შემოქმედებით თავისებურებაზე. ხალხის ცნობიერება კი თავისებურად აღიქვამს ყოფიერების მოვლენებსა და ფაქტებს, გარდაქმნის და ინახავს მათ. თურქული კულტურული მემკვიდრეობის მნიშვნელოვანი ძეგლი „დედე ქორქუთის წიგნი“, ოღუზი თურქების კოსმოგონიის, პოლიტიკური და სოციალური მოწყობის სისტემის, მსოფლმხედველობის, რწმენა-წარმოდგენების შესახებ მნიშვნელოვან ინფორმაციას გვაწვდის. ძნელად თუ მოიპოვება ისეთი ზეპირსიტყვიერი თუ წერილობითი ძეგლები, რომელთაც „დედე ქორქუთის წიგნის“ მსგავსი ყურადღება ხვდა წილად. აგერ უკვე ათეულ წელზე მეტია, არ წყდება ინტერესი აღნიშნული ძეგლის მიმართ. არც ქართველ თურქოლოგებს დაუტოვებიათ იგი უყურადღებოდ. ამის ნათელი დადასტურებაა აკადემიკოს ელიზბარ ჯაველიძისა და პროფესორ გიორგი შაყულაშვილის მიერ თარგმნილი და 1987 წელს გამოცემული „დედე ქორქუთის წიგნი“. მიუხედავად იმისა, რომ სამეცნიერო მასალები „დედე ქორქუთის წიგნის“ შესახებ მწირია, საბაკალავრო ნაშრომების დონეზე აღნიშნული ძეგლის სხვადასხვა საკითხი მაინც არის შესწავლილი.

2019 წელს სამეცნიერო სფეროსათვის ცნობილი გახდა, რომ არსებობდა „დედე ქორქუთის წიგნის“ ახალი, მესამე ნუსხა. ეს აღმოჩენა კი დაკავშირებულია ირანის თურქმენ საჰრად წოდებულ რეგიონში, ქალაქ გუნბეთში მცხოვრებ ველი მუჰამედ ჰოჯას სახელთან. სამეცნიერო საზოგადოებას კი იგი ცნობილმა ფოლკლორისტმა, ეგეოსის უნივერსიტეტის პროფესორმა მეთინ ექიჯიმ გააცნო.

16	**მარიამ ჩაჩიბაია ებრაისტიკა-არამეისტიკა/**	„სირიული კულტურა ისლამის ფორმირების ადრეულ ეტაპზე“	პროფ. ვლადიმირ ლეკიაშვილისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კრებული	თბილისი, აკადემიური წიგნი	

ადრეული ხანის სირიულ ტექსტებში დაცულია მთელი რიგი შესანიშნავი ნაშრომებისა, რომლებიც მიზნად ისახავდნენ ქრისტიანული რწმენის დაცვას მუსლიმთაგან მომდინარე რელიგიური გამოწვევებისაგან და ცდილობდნენ წინააღმდეგობა გაეწიათ ისლამის სარწმუნოებაზე მოქცევის ტალღისათვის.

გარდა იშვიათი, მოკლე ალუზიისა, ცნობა ისლამის აღმავლობისა და რელიგიური გამოწვევების შესახებ უმეტესწილად არ ჩანს ქრისტიანულ ტექსტებში, იქნება ეს მერვე საუკუნის ბევრად უფრო ადრეული ხანის ბერძნული, სირიული თუ არაბული ხელნაწერები. ამ დროისათვის, რა თქმა უნდა, არაბთა დამპყრობლური ომები დიდი ხნის წინ დასრულდა და დაიწყო სწრაფი აღმშენებლობა.

შესაძლოა ადრეული ხანის სირიელი მწერლები, რომლებიც ყურად იღებდნენ რელიგიის ენაში ისლამის ჰეგემონიურ როლს, იყვნენ ისინი, ვინც ცდილობდა აეხსნა არაბთა დაპყრობები და გამარჯვებები დანიელის წინასწარმეტყველების წიგნის მიხედვით. ისინი წერდნენ აპოკალიფსურ სტილში. ამგვარი, საკმაოდ კარგად ცნობილი შრომა არის ფსევდო-მეთოდეს აპოკალიფსი, რომელიც თავდაპირველად შეიქმნა სირიულ ენაზე, ხოლო შემდეგ ითარგმნა ბერძნულად და ლათინურად.ტექსტის გამოწვლილვითი ანალიზის საფუძველზე ჩანს, რომ თხზულება შეიქმნა სირიულ-ორთოდოქსულ გარემოცვაში, ბიზანტიისა და სპარსეთის სასაზღვრო არეალში. როგორც ჩანს, ეს იყო მწვავე რეაქცია პოლიტიკურ და სოციალურ ვითარებაზე იმხანად იმ არეალში.სხვა სირიელი მწერლები ასევე აპოკალიფსით ხსნიდნენ არაბთა ბატონობას ქრისტიანებზე და წინასწარ განჭვრეტდნენ თუ რა იქნებოდა ამის შედეგი.

17	**ნათია ჩანტლაძე /არმენოლოგია/**	ძველი სომხური წერილობითი წყაროები პეტრე იბერის შესახებ	კავკასია აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის II	თბილისი, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი ISBN: 978-9941-9730-7-9	12

მეხუთე საუკუნის ცნობილი ქართველი საეკლესიო მოღვაწის, პეტრე იბერის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ ძირითად წყაროებს წარმოადგენენ თხზულებები, რომლებიც ბერძნულ ენაზე დაწერილა : ანონიმური „პეტრე იბერის ცხოვრება“, ზაქარია რიტორის „საეკლესიო ისტორია“ და იოანე რუფუსის „პლერიფორიები“ და ჩვენამდე მხოლოდ სირიული თარგმანებით და ამათგან მომდინარე ქართული (ქართულ ენაზე არსებობს ანონიმური „ცხოვრების“ ორი რედაქცია - მოკლე და ვრცელი, რომლებიც, სავარაუდოდ , XIII საუკუნეშია შექმნილი) და სომხური ტექსტებით მოაღწიეს.

საყურადღებოა აგრეთვე მიქაელ ასურის „ჟამთააღმწერლობა“- XII საუკუნის სირიელი ავტორის მსოფლიო ისტორიის ტიპის ნაწარმოები, რომელიც შეიცავს მცირე თხრობას პეტრე იბერის ცხოვრების შესახებ და „პლერიფორიების“ შემოკლებულ რედაქციას. მართალია, მიქაელ ასურის ეს მონაცემები მთლიანად დამოკიდებულია ადრეულ სირიულ წყაროებზე, მაგრამ ჩვენთვის მნიშვნელოვანია, რადგანაც სწორედ ამ თხზულების წყალობით შემოვიდა პეტრე იბერი სომხურ სამწერლო ტრადიციაში.

ჩვენს ნაშრომში განვიხილავთ სომხურ წერილობით წყაროებს, სადაც შემონახულია ცნობები პეტრე იბერის შესახებ. სირიულ და ქართულ წყაროებთან მათი შედარება-შეპირისპირებით კი გვინდა გამოვკვეთოთ ის ინფორმაცია, რომელიც დაცულია მხოლოდ სომხურ ტრადიციაში, ვნახოთ რით განსხვავდება ის სირიული პირველწყაროებისგან, შემდეგ კი დავსვათ საკითხი ამ განსხვავებათა გაჩენის მიზეზებზე.

სომხურ ენაზე ჩვენამდე მოაღწია მოკლე ბიოგრაფიულმა ცნობამ პეტრე იბერის და სომეხთა აღმსარებლობის მიმართ მისი დამოკიდებულების შესახებ, აგრეთვე „პლერიფორიების“ მოკლე რედაქციამ. ორივე მათგანი ერთად დასტურდება მიქაელ ასურის „ჟამთააღმწერლობის“ სომხურ თარგმანში, ხოლო „პლერიფორიები“ აგრეთვე გვხვდება ცალკე თხზულებად საღვთისმეტყველო ხასიათის კრებულებში, როგორიცაა მაგ. „ეპისტოლეთა წიგნი“, საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის აღმოსავლური ფონდის სომხურ კოლექციაში დაცული Arm. 130 ხელნაწერი, აგრეთვე ერევნის მატენადარანის კოლექციის Mat. 686, Mat. 1290, Mat.1396, Mat. 1712, Mat. 1770, Mat. 6686, ხელნაწერები.

როგორც არაერთხელ აღნიშნულა სამეცნიერო ლიტერატურაში, მიქაელ ასურის „ჟამთააღმწერლობის“ სომხური თარგმანი არსებითად განსხვავდება თავისი სირიული ორიგინალისგან, ხშირად სომეხი მთარგმნელი ამატებს, ან სულაც ცვლის ტექსტს. სომხურმა თარგმანმა ჩვენამდე ორი რედაქციით მოაღწია. პირველ რედაქციას პირობითად ვუწოდებთ იერუსალიმში 1870 წელს გამოცემულს და მეორეს კი იქვე 1871 წელს გამოცემულს.

ორივე რედაქცია პეტრეს ბერის მოღვაწეობაზე მოკლედ თხრობის დროს თუმცა ერთმანეთისგანაც მცირედ სხვაობს, სირიულ ტექსტთან შედარებით არსებით სიახლეებს გვთავაზობს: 1. პეტრე უშუალოდ ესწრება ქალკედონის კრებას, მეტიც - კრების მთავარ მონაწილეთა ჩამონათვალში მერვე ადგილზეა მოხსენიებული. ამას მეორე რედაქცია ამატებს, რომ პეტრე საჯაროდ უპირისპირდება იმპერატორს და დემონსტრაციულად, წყევით ტოვებს კრებას. 2. პეტრე წერილით მიმართავს სომეხ ერს და მას მართლმადიდებლობის საძირკვლად აცხადებს. 3. პირველი რედაქცია პეტრეს მთელი პალესტინის არქიეპისკოპოსად აცხადებს.

მიქაელის სირიულ დედანში ასეთი ცნობები არ გვაქვს. არც ჩვენთვის ცნობილ სხვა სირიულ წყაროებში დასტურდება მსგავსი მონაცემები. ჩვენს ხელთ არსებულ მასალაში ვერ გამოვავლინეთ ის წყარო, რომლის საფუძველზეც მთარმნელმა პირველი ორი ცნობა ჩაამატა ტექსტში, ჩვენი აზრით, ისინი თავად სომეხი მთარგმნელის შეთხზული უნდა იყოს. რაც შეეხება მესამეს, თანხვედრა გვაქვს მხოლოდ „პეტრეს ცხოვრების“ ვრცელ ქართულ რედაქციაში. სხვა ყველა შემთხვევაში , თვითონ ამავე ტექსტებშიც კი, პეტრე მხოლოდ ეპისკოპოსად სახელდება. ცხადია ეს არაა საკმარისი იმისათვის, რომ ვამტკიცოდ, რომ სომეხი მთარგმნელი იცნობდა ქართულ „ცხოვრებას“, მაგრამ თუ ეს მართლაც ასე იყო, ეს დააზუსტებდა ქართული ცხოვრების შექმნის დროს, რადგან სომხური თარგმანის შესრულების დრო ზუსტადაა ცნობილი -1246წ.

ჩვენი ნაშრომის მეორე ნაწილში განვიხილავთ თუ როგორ იცვლებოდა “პლერიფორიების“ ტექსტი ჯერ სირიულ (იოანე რუფუსის , მიქაელ ასურის დასახელებული თხზულებები) და შემდგომ სომხურ ტრადიციაში (მიქაელ ასურის „ჟამთააღმწერლობის“ სომხური თარგმანის ორივე რედაქცია და

მათგან მომდინარე ვერსიები, რომლებიც სხვადასხვა კრებულებშია გადანუსხული) . აქვე ვიტყვით, რომ ქართულად ეს თხზულება არ უთარგმნიათ.

„პლერიფორიები“ იოანე რუფუსთან წარმოდგენილია 89 თხრობის სახით. თითოეული მათგანი კი პეტრე იბერთან დაკავშირებულ ერთგვარ წინასწარმეტყველებას წარმოადგენს, ქალკედონის კრების საბედისწერო შედეგების თაობაზე. „პლერიფორიების“ მიქაელისეული ვერსია უფრო მოკლეა და რედაქტირებული. ვფიქრობთ, ტექსტის შემოკლება და რედაქტირება თავად მიქაელს უნდა მოეხდინა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად შეტანილი ცვლილებებისა, თხრობათა ძირითადი შინაარსი და სულისკვეთება უცლელადაა ასახული. მაგრამ მიქაელის ვერსიაში ნაკლებად იგრძნობა, რომ ამბავს თვითმხილველი ყვება (რაც კიდევ უფრო შესამჩნევია სომხურ ვერსიებში), ზოგჯერ აღარ ჩანს, რომ რომელიმე ამბავი პეტრე იბერს უშუალოდ უკავშირდება, დაკარგულია მისი ბიოგრაფიის საინტერესო დეტალები.

სომხურ ტრადიციაში „პლერიფორიები“ სწორედ მიქაელ ასურის „ჟამთააღმწერლობის“ სომხური თარგმანის წყალობით მოხვდა (არც ამ თარგმანში, და არც სხვა სომხურ ვერსიებში არ ჩანს, რომ მათი ავტორები იცნობენ იოანე რუფუსის თხზულებას) და უფრო მეტიც, მხოლოდ ამ თხზულების ფარგლებში იცნობს ის პეტრე იბერის პიროვნებასაც. შემდგომში ეს თხზულება გასცდა „ჟამთააღმწერლობის“ ფარგლებს და დამოუკიდებლად დამკვიდრდა სომხურ თეოლოგიურ მწერლობაში.

საგულისხმოა, რომ ამ პროცესში სომხურ ტექსტებში სხვადასხვა სახის ცვლილებები განხორციელდა : იცვლებოდა სათაური, თხრობათა ნუმერაცია, ცალკეულ ისტორიათა მოცულობა და შინაარსი. თხზულების პირველ სომხურ რედაქციად უნდა ჩაითვალოს „ჟამთააღმწერლობის“ სომხური თარგმანი. ამ თარგმანის ორივე რედაქციისა და სხვა სომხური ნუსხების შედარების შედეგად აღმოჩნდა, რომ ზოგი მათგანი მომდინარეობდა ერთი რედაქციიდან, ზოგი კი - მეორედან. მაგალითად, „ეპისტოლეთა წიგნში“ წარმოდგენილი „პლერიფორიების“ ტექსტი ისევე, როგორც მატენადარანის კოლექციის Mat. 686 და Mat. 1196 მიჰყვება პირველ რედაქციას, ხოლო ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის კოლექცის Arm. 130 და მატენადარანის კოლექციის Mat. 1290, Mat. 1518, Mat. 1712 და Mat. 1770 - კი მეორეს. რაიმე განსხვავებული, ახალი ვარიანტი ტექსტისა, ჩვენ ვერ მოვიძიეთ.

სომხურ რედაქციებში აქცენტი პეტრე იბერის პიროვნებაზე კიდევ უფრო შესუსტებულია; თვითმხილველის თხრობა პირველ პირში ჩანაცვლებულია მესამე პირში ფორმალური, პიროვნულ ემოციებსა მოკლებული გადმოცემით. სომეხ მთარგმნელს აგრეთვე ხშირად ეშლება თხრობათა პერსონაჟების სახელები, მოვლენათა გეოგრაფია, ხან კი ისე ამოკლებს ტექსტს, ან პირიქით, ამატების მისი აზრით აუცილებელ დეტალებსა თუ კომენტარებს, რომ თხრობა ბუნდოვანი და ზოგჯერ გაუგებარიც კი ხდება.

მიღებული შედეგების შუქზე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სომეხმა ავტორებმა პეტრე იბერი გაიცნეს მიქაელ ასურის „ჟამთააღმწერლობის“ წყალობით, როგორც პალესტინაში მოღვაწე ქართველი უფლისწული, რომელიც არ უჭერდა მხარს ქალკედონის კრებას. სომხურ თარგმანში მათ კიდევ უფრო გააზვიადეს მისი ანტიქალკედონური პოზიცია, წარმოადგინეს კიდევ უფრო გავლენიან, მონოფიზიტობისათვის უფრო მეტად შეურიგებელ მებრძოლად და მიაწერეს მას სომეხთა, როგორც სამაგალითო მართლმადიდებლების, განსაკუთრებული პატივისცემა.

ჩვენი აზრით, ასეთი ცვლილებების მიზანი შემდეგია: XIII ს-ის ორმოციან წლებში საქართველო ჯერ კიდევ დომინირებს პოლიტიკურ ასპარეზზე, გარკვეულ ზეწოლას ახდენს სომეხთა ეკლესიაზე და ჩვენ ვაკვირდებით ქართულ-სომხური კონფესიური დავის მორიგ ეტაპს, რაზეც არა ერთი თანადროული სომხური თუ ქართული წყარო მოგვითხრობს. როდესაც მიქაელ ასურის „ჟამთააღმწერლობის“ სომეხი მთარგმნელი გებულობს მონოფიზიტთა დამცველ, აღმოსავლეთის ქრისტიანული ეკლესიის მეტად გავლენიან და პატივცემულ პირზე, ეროვნებით ქართველზე, თანაც სამეფო ოჯახის წარმომადგენელზე, ვფიქრობთ, რომ მან სცადა ამ ძლიერი არგუმენტის გამოყენება სომეხთა სარწმუნოების გასამართლებლად ქართველებთან კამათში, მით უფრო, თუ მან ისიც იცოდა, რომ ქართულმა ეკლესიამ სწორედ ამ დროს მოახდინა პეტრე იბერის კანონიზაცია - წმინდანად შერაცხა ის.

18	ზაზა ალექსიძე, **დალი ჩიტუნაშვილი /არმენოლოგია/**	ბიბლიოთეკები და წიგნების რეპერტუარი შაუ საუკუნეების სააქართველოში ISBN: 978-9941-9730-6-2:	ენრიკო გაბიძაშვილის დაბადების 90 წლისადმი მიძღვნილი საიუბილეო სამეცნიერო კრებული	თბილისი, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი	გვ. 21-34

ქართულმა ხელნაწერებმა, ისტორიულმა დოკუმენტებმა და ხელნაწერთა ანდერძ-მინაწერებმა საინტერესო ინფორმაცია შემოგვინახეს შუა საუკუნეების ქართულ სამონასტრო ცენტრებში დაცული წიგნადი ფონდის შესახებ. ყველაზე ადრინდელი ცნობა მეათე საუკუნეს მიეკუთვნება, სინურ ხელნაწერში პალიმფსესტის სახით არის შემორჩენილი და სინას ქართული ბიბლიოთეკის შესახებ გვიამბობს. ამას გარდა შემონახული გვაქვს ცნობები ჯვრის მონასტრის, ზედაზნისა და გარეჯის, კაპათისა და პეტრიწონის მონასტრების წიგნად ფონდებზე.

ქართულ ხელნაწერთა ანდერძ-მინაწერებმა შემოგვინახეს ძალიან საინტერესო ცნობები, რომლებიც ადასტურებენ კერძო ბიბლიოთეკების არსებობასაც, მაგალითად შეგვიძლია მოვიყვანოთ ცნობა სინას მთაზე არსებული „კჯრიკეს ქვაბის“ შესახებ, რომელშიც, სავარაუდოდ, ამ ბერის კუთვნილი წიგნები ინახებოდა და რომელსაც მონასტრის ქართული საძმოს წარმომადგენლებიც აქტიურად იყენებდნენ.

სტატიაში საუბარია ასევე წიგნადი რეპერტუარისა და მისი შევსების თავისებურებების შესახებ შუა საუკუნეების ქართულ სამონასტრო ცენტრებში.

19	***დალი ჩიტუნაშვილი*** ხათუნა გაფრინდაშვილი ირმა ხოსიტაშვილი	„ქართული ხელნაწერების კვალდაკვალ(მატენადარანის ქართული ფრაგმენტების ფონდი)“ ISBN: 978-9941-9730-6-2:	ენრიკო გაბიძაშვილის დაბადების 90 წლისადმი მიძღვნილი საიუბილეო სამეცნიერო კრებული	თბილისი, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი	გვ. 343-351

სომხეთის მესროპ მაშტოცის სახელობის ძველი ხელნაწერთა ინსტიტუტის – მატენადარანის - ქართულ ხელნაწერთა კოლექციამ დიდი ხანია მიიპყრო სამეცნიერო საზოგადოების ყურადღება. ეს კოლექცია განსხვავებულ მასალას შეიცავს: ხელნაწერები, საცავი ფურცლები, ფრაგმენტების ფონდი და ორენოვანი დოკუმენტები. მატენადარანის ქართული ხელნაწერების ფრაგმენტების ფონდი ჯამში 56 ფრაგმენტს მოიცავს, რომელთა ქრონოლოგიური ჩარჩო IX-XIX საუკუნეებით შემოიფარგლება. ტექსტებში გამოყენებულია ქართული დამწერლობის სამივე სახეობა: ასომთავრული, ნუსხური, მხედრული. ქართული ფრაგმენტების ფონდმა შემოინახა ძველი ქართული სასულიერო მწერლობის თითქმის ყველა დარგი - ბიბლიოლოგია (№№8, №28, 32), ლიტურგიკა (№№2, 5, 7), ჰიმნოგრაფია (№№24, 41, 46), ასკეტიკა (№№8, 32), ჰაგიოგრაფია (№18) და სხვ. ქართული ფრაგმენტების კოლექციის მნიშვნელობას წარმოაჩენს ფონდში 5 პალიმფსესტური ხელნაწერის გამოვლენა. აქედან ოთხი ხელნაწერი - №№4, 9, 13 (ქვედა ფენა ნუსხური), 37 (ქვედა ფენა ასომთავრული) - ქართულია, ერთი ფრაგმენტი (№11) კი – ქართულ-სომხური, რაც კულტურათა შეხვედრის კიდევ ერთი საინტერესო მაგალითია. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს მეთერთმეტე საუკუნის პირველი ნახევრის დიდი სვინაქსარის ფურცლები, რომლებმაც სამხრეთ საქართველოს ისტორიის შესახებ საინტერესო მინაწერები შემოგვინახა. ფრაგმენტების ფონდში ინახება უძველესი იერუსალიმური ლექციონარისა და ოთხთავის წინარეათონური რედაქციის ხელნაწერების ფრაგმენტებიც, ასევე, დღეისათვის უკვე დაკარგული კიდევ ერთი მრავალთავის ფურცლები.სრულიად უნიკალურია ევსებიოს პამფილელის თხზულების - „ცხორებაჲ და მოქალაქობაჲ და სასწაულნი წმიდისა და ღმერთშემოსილისა სილიბისტროს ჰრომთა პაპისაჲ“ - უცნობი ქართული თარგმანის შემცველი ხელნაწერი და იოანე სინელის კლემაქსის განსხვავებული თარგმანი.

20	***ხათუნა გაფრინდაშვილი***	იოანე ბოლნელის ჰომილიათა შემცველი უცნობი პალიმფსესტური ხელნაწერი (H-1816a) ISBN: 978-9941-9730-7-9	ზაზა ალექსიძის დაბადების 85 წლისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული - „კავკასია აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის“ 2	თბილისი, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი	

ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცულია ერთი მცირე ზომის ხელნაწერი H-1816a, რომელიც კურთხევანს წარმოადგენს და XV-XVI საუკუნეებით თარიღდება. ხელნაწერი 28 ფურცლისაგან შედგება. ტექსტი ნაწერია ეტრატზე შავი მელნით, ნუსხურად, საზედაო გრაფემები – ასომთავრულით; გადამწერი და გადაწერის ადგილი უცნობია. ხელნაწერი მთლიანად პალიმფსესტია. პალიმფსესტური ხელნაწერის ქვედა ფენაში სამი ხელნაწერი გამოიყოფა, მათგან ორი დაზიანებულია და ტექსტის რაობის დადგენა ვერ ხერხდება, მხოლოდ რამდენიმე ფრაზა განირჩევა.სტატიაში განხილულია მესამე პალიმფსესტური ხელნაწერი, რომელიც 15 ფურცლით არის შემორჩენილი. ტექსტი უწვრილესი ნუსხურით არის ნაწერი, გრაფემები ოდნავ მარჯვნივ არის დახრილი, ბოლო სტრიქონებზე გრაფემათა ბუნები დაგრძელებულია. საზედაო გრაფემები ასომთავრულით არის შესრულებული, გადის სვეტიდან და სამ სტრიქონს შორის მანძილს მოიცავს. გადამწერი ყოველი ახალი მუხლის დასაწყისში ასომთავრულს იყენებს, ამიტომ ასომთავრული გრაფემები გვხვდება როგორც არშიებზე, აბზაცების დასაწყისში, ისე ტექსტის შიგნით. კოდიკოლოგიითა და პალეოგრაფიულად ხელნაწერი შეიძლება მე-10 საუკუნის დასასრულითა და მე-11 საუკუნის დასაწყისით დათარიღდეს.

პალიმფსესტი შეიცავს ცნობილი ქართველი მოღვაწის, იოანე ბოლნელის მეოთხე, მეხუთე და მეექვსე ჰომილიათა ფრაგმენტებს.

იოანე ბოლნელის მეოთხე და მეხუთე ჰომილია, გარდა ჩვენი პალიმფსესტისა, დაცულია O/Sin.geo-44 ხელნაწერში, ათონის (Ivir.geo-11), პარხლისა (A-95) და კლარჯულ (A-144) მრავალთავებში. რაც შეეხება იოანე ბოლნელის მეექვსე ჰომილიას, რომელიც ლუკას სახარების „უძღები შვილის“ იგავის თარგმანებას წარმოადგენს, H-1816a პალიმფსესტის გარდა, მხოლოდ სინას მთაზე დაცულმა O/Sin.geo-44 ხელნაწერმა და ათონის მრავალთავმა (Ivir.geo-11) შემოგვინახეს.

H-1816a პალიმფსესტში დაცული იოანე ბოლნელის ჰომილების აღნიშნულ ხელნაწერებთან ტექსტოლოგიურმა შედარებამ მათ შორის ორთოგრაფიული თავისებურებანი და ტექსტის კლება-მატების შემთხვევები გამოავლინა. შეიძლება ითქვას, რომ H-1816a პალიმფსესტი პირდაპირ დამოკიდებულებას ერთ კონკრეტულ ხელნაწერზე არ ავლენს. თუმცა არსებული განსხვავებანი მხოლოდ ვარიანტულ წაკითხვებად უნდა მივიჩნიოთ და არა რედაქციულ სხვაობად.

H-1816a პალიმფსესტი გამოირჩევა იმით, რომ ის არც მრავალთავის ნაწილია და არც O/Sin.geo-44-ის მსგავსი რომელიმე ჰომილეტიკური კრებულისა. შეიძლება ითქვას, H-1816a პალიმფსესტი სრულიად განსხვავებული შედგენილობის მქონე ლიტურგიკული კრებულია. H-1816a ხელნაწერში იოანე ბოლნელის ჰომილიებთან ერთად იკითხება დიდმარხვის მესამე ორშაბათისა და მესამე სამშაბათის საგალობლები უძველესი იადგარიდან. პალიმფსესტმა შემოგვინახა ასევე დიდმარხვის პირველი სამშაბათისა და მეორე სამშაბათის საგალობელთა ფრაგმენტები. გარდა ამისა, H-1816a ხელნაწერი შეიცავს საკითხავს ძველი აღთქმიდან - Gen.4:15-5:5.

H-1816a პალიმფსესტი წარმოადგენს იერუსალიმურ პრაქტიკაზე აწყობილ უნიკალურ კრებულს, რომელიც საკუთარ თავში მოიცავს ამ პრაქტიკის ამსახველ სრულ მასალას: ლექციონარს (წმინდა წერილის საკითხავები), იადგარს (საგალობლები) და ჰომილეტიკას (ბოლნელის ქადაგებები). დღემდე ამ სახის კრებულების არსებობა უცნობი რჩებოდა სამეცნიერო საზოგადოებისათვის, რაც ერთხელ კიდევ უსვამს ხაზს პალიმფსესტების შესწავლის მნიშვნელობასა და აუცილებლობას. რა მოცულობის შეიძლებოდა ყოფილიყო ეს კრებული?! ვფიქრობთ, ხელნაწერის ფორმატიდან გამომდინარე, ის მხოლოდ დიდმარხვის პერიოდს მოიცავდა და მორგებული იყო იოანე ბოლნელის ქადაგებებზე.

21	***ბათუნა გაფრინდაშვილი*** **დალი ჩიტუნაშვილი /არმენოლოგია/** ირმა ხოსიტაშვილი	ქართული ხელნაწერების კვალდაკვალ (მატენადარანის ქართული ფრაგმენტების ფონდი) ISBN: 978-9941-9730-6-2:	ენრიკო გაბიძაშვილის დაბადების 90 წლისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული	თბილისი, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი	გვ. 343-351.

სომხეთის მესროპ მაშტოცის სახელობის ძველი ხელნაწერთა ინსტიტუტის – მატენადარანის - ქართულ ხელნაწერთა კოლექციამ დიდი ხანია მიიპყრო სამეცნიერო საზოგადოების ყურადღება. ეს კოლექცია განსხვავებულ მასალას შეიცავს: ხელნაწერები, საცავი ფურცლები, ფრაგმენტების ფონდი და ორენოვანი დოკუმენტები. მატენადარანის ქართული ხელნაწერების ფრაგმენტების ფონდი ჯამში 56 ფრაგმენტს მოიცავს, რომელთა ქრონოლოგიური ჩარჩო IX-XIX საუკუნეებით შემოიფარგლება. ტექსტებში გამოყენებულია ქართული დამწერლობის სამივე სახეობა: ასომთავრული, ნუსხური, მხედრული. ქართული ფრაგმენტების ფონდმა შემოინახა ძველი ქართული სასულიერო მწერლობის თითქმის ყველა დარგი - ბიბლიოლოგია (№№8, №28, 32), ლიტურგიკა (№№2, 5, 7), ჰიმნოგრაფია (№№24, 41, 46), ასკეტიკა (№№8, 32), ჰაგიოგრაფია (№18) და სხვ. ქართული ფრაგმენტების კოლექციის მნიშვნელობას წარმოაჩენს ფონდში 5 პალიმფსესტური ხელნაწერის გამოვლენა. აქედან ოთხი ხელნაწერი - №№4, 9, 13 (ქვედა ფენა ნუსხური), 37 (ქვედა ფენა ასომთავრული) - ქართულია, ერთი ფრაგმენტი (№11) კი – ქართულ-სომხური, რაც კულტურათა შეხვედრის კიდევ ერთი საინტერესო მაგალითია. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს მეთერთმეტე საუკუნის პირველი ნახევრის დიდი სვინაქსარის ფურცლები, რომლებმაც სამხრეთ საქართველოს ისტორიის შესახებ საინტერესო მინაწერები შემოგვინახა. ფრაგმენტების ფონდში ინახება უძველესი იერუსალიმური ლექციონარისა და ოთხთავის წინარეათონური რედაქციის ხელნაწერების ფრაგმენტებიც, ასევე, დღეისათვის უკვე დაკარგული კიდევ ერთი მრავალთავის ფურცლები.სრულიად უნიკალურია ევსებიოს პამფილელის თხზულების - „ცხორებაჲ და მოქალაქობაჲ და სასწაულნი წმიდისა და ღმერთშემოსილისა სილიბისტროს ჰრომთა პაპისაჲ“ - უცნობი ქართული თარგმანის შემცველი ხელნაწერი და იოანე სინელის კლემაქსის განსხვავებული თარგმანი.

22	**ნინო სამსონია /ასირიოლოგია/**	შუამდინარული წარღვნის მითი, (რეცენზია ოთარ გაბუნიას წიგნზე)	აღმოსავლეთმცოდნეობა 9, ISSN 2298-0377	თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	10

ოთარ გაბუნიას წიგნი შუამდინარული წარღვნის მითი, წარღვნის მითის ბიბლიური ვერსიის შუამდინარული წყაროების კვლევას ეძღვნება.

ნაშრომის შესავალში გაანალიზებულია შუამდინარული ლიტერატურული ტრადიცია ბიბლიურ პარალელებთან მიმართებაში არსებულ წერილობით წყაროებზე დაყრდნობით. ოთარ გაბუნია საინტერესო დაკვირვებას გვთავაზობს, აღნიშნავს, რომ მსგავსად საბერძნეთის მიერ დაპყრობილი რომაელებისა, რომლებიც კულტურული თვალსაზრისით პოლიტიკურად დამორჩილებული ქვეყნის გავლენის ქვეშ მოექცნენ, ისევე აქადელებიც ინტელექტუალურად უფრო მაღლა მდგომი შუმერული გავლენის ქვეშ მოექცნენ. ძველი ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებმა სწორედ შუმერულიდან გადაიღეს დამწერლობა. შესაბამისად, ლიტერატურული სისხლი ბიბლიაში სავარაუდოდ უშუალოდ პირველწყაროდან არ შეჭრილა, არამედ ძველი აღმოსავლეთის სხვა ხალხების –აქადელების, ხურიტების, ხეთების ლიტერატურიდანაც.

ოთარ გაბუნიას წიგნში შუამდინარული წარღვნის მითი გამოკვეთილია ის შუმერული ტრადიცია, რაც ბაბილონური მწერლობის გავლით აისახა ბიბლიურ წერილობით წყაროებში. განხილულია ბიბლიის ის საკითხები, სადაც შუამდინარული გავლენები იკვეთება: სამყაროს შექმნა, ადამიანის შექმნა და შექმნის მეთოდი (ჯერ ჩანაფიქრი, შემდეგ შექმნა), სამოთხე, წარღვნა და ა.შ. შუამდინარული ტრადიციის უხუცესები, რომლის გამოძახილსაც ავტორი ბიბლიურ პატრიარქებში ხედავს, ერთობ მნიშვნელოვანი ინოვაციაა სამეცნიერო მიმოქცევაში. აღსანიშნავია, რომ ჯერ კიდევ შუმერულ ეპოსებში, რომლებიც ურუქის მეფე გილგამეშის წინაპრებს დაუწერიათ, უხუცესების მეტაფორად სწორედ წარღვნამდელი მამები ფიქსირდება.

ნაშრომის შესავალში ყურადღება გამახვილებულია “ბაბილონის გოდოლზე”, სადაც ო. გაბუნია ეთანხმება კრამერის მოსაზრებას, რომ ეს მოტივი შუმერული წარმოდგენებით უნდა იყოს ნასაზრდოები. სწორედ ძველი შუმერული ეპოსის “ერთ ენაზე საუბრის” იდეა, რაც ენმერქარის ეპოსის ე.წ. ნუდიმუდის ლოცვაში ფიქსირდება და მშვიდობის, კოსმიური წესრიგის მეტაფორად გვევლინება. აღსანიშნავია შუამდინარულ ლიტერატურაში ბიბლიური იობის მოტივის დაფიქსირება, რაზეც ნაშრომის პირველ თავშია გამახვილებული ყურადღება. წიგნში დამოწმებულია 1906 წ. გამოცემული ტექსტი ჟურნალში “A Babylonian parallel to the story of Iob”,

ტექსტი ნაკლებად ცნობილია და 150 სტრიქონს შეიცავს, სადაც მოთხრობილია ყოველგვარი სიკეთით აღვსილი კაცის ულოგიკო დაცემა. აღსანიშნავია, რომ არსებული საკითხის სამეცნიერო კვლევა შესრულებულია ფართო სპექტრით, რასაც მოწმობს სრულიად არსებული სამეცნიერო ლიტერატურის ხელახალი გადამუშავება-გააზრება მე-19 საუკუნის მიწურულიდან დღემდე. ოთარ გაბუნია იმოწმებს 215 სამეცნიერო ნაშრომს სხვადასხვა ევროპულ ენებზე. წიგნში ასევე მკითველი იხილავს წარღვნის მითის ყველა შუამდინარული ტექსტის ოთარ გაბუნიასეულ თარგმანს მისივე კომენტარებით, ტექსტობრივ ანალიზს. წიგნს ერთვის შუმერულ-აქადური და აქადურ-ქართული ლექსიკონები, ძველბერძნულ-ქართული ლექსიკონი. დაბოლოს შუამდინარულ წყაროთა ამსახველი ლურსმული ფირფიტები –ავტოგრაფიები: შუმერის მეფეთა სია, ზიუსუდრას მითის ლურსმული ტესტის დედანი(ავტოგრაფია), ახალი შუმერული ფრაგმენტი №3514 შუამდინარული წარღვნამდელი დინასტიების შესახებ (ტექსტის ავტოგრაფია), ათრახასისის ეპოსის ლურსმული ტექსტის ავტოგრაფია (208 სტრიქონი) და ფრაგმენტული ტექსტი (გვ. 387-396), უთნაფიშთის ტექსტის ლურსმული ტექსტის ავტოგრაფია(‘‘გილგამეშიანი’’,XI დაფა 8-204 სტრიქონი).

ლურსმული ტქსტების თარგმანი ზემოთ ჩამოთვლილი დანართებიდანაა შესრულებული, რაც ოთარ გაბუნიას წიგნის უმთავრესი ღირსებაა და უფლება აძლევს ადგილი იქონოის საერთაშორისო სამეცნიერო მიმოქცევაში. შუამდინარული წარღვნის მითის დასკვნით ნაწილში წარმოდგენილია გამოკვლევები და ტექსტობრივი ანალიზი ძველ აღთქმასთან მიმართებაში. შუმერის მეფეთა სია განხილულია დაბადებასთან მიმართებაში. ოთარ გაბუნია ენობრივი ანალიზის საფუძველზე ახერხებს აღადგინოს არსებული ტექსტის სტრუქტურა. შუმერულ-აქდური ენების ბრწყინვალე ცოდნა, საშუალებას აძლევს გაარჩიოს ტექსტის წარღვნამდელი და წარღვნის შემდგომი ეპიზოდების სხვადასხვა ენა გრამატიკული კატეგორიების მიხედვით და დაადგინოს საბოლოო ვერსიის დუფსარის- გადამწერის არაკომპეტენტურობა გრამატიკულ ფორმებში. შუამდინარული წარღვნის მითი თანამედროვე ქართული მეცნიერების დიდი შენაძენია. სასურველია, რომ იგი ევროპულ ენებზე ახლო მომავალში ითარგმნოს, რათა ოთარ გაბუნიას მიერ ჩატარებულ ურთულესი კვლევა-ძიებათა შედეგები ჩვენი უცხოელი კოლეგებისათვისაც გახდეს ხელმისაწვდომი.

23	**ნანი გელოვანი /აღმოსავლეთის ისტორია/**	თბილისის სპარსული სკოლა „ეთეფაყ-ე ირანიან“ ISSN 2298-0377	აღმოსავლეთმცოდნეობა #9	თსუ	167-181 14 გვ.

1905 წელს თბილისში, რუსეთში ირანის ელჩის მირზა ჰასან-ხან მოშირ ად-დოულესა და თბილისში ირანის გენერალური კონსულის მოფახამ ას-სოლთანის თაოსნობით, დაარსდა ირანის საქველმოქმედო საზოგადოება „ეთეფაყ-ე ირანიან“ („ირანელთა კავშირი“). მოგვიანე
ბით, ირანის გენერალური კონსულის შუამდგომლობით და საქველმოქმედო საზოგადოების დაფინანსებით, თბილისში გაიხსნა სპარსული სკოლა (მედრესე) – „ეთეფაყ-ე ირანიან“ ან „ითთიფაკ“ („კავშირი“). ის მდებარეობდა თბილისის „მუსლიმურ უბანში“ – შეითან-ბაზარი, რის გამოც შეითან-ბაზრის სკოლასაც ეძახდნენ.
ირანელი მოგზაურები დიდ ინტერესს იჩენდნენირანელი მოგზაურები დიდ ინტერესს იჩენდნენ საქართველოში მცხოვრებ მუსლიმთა სწავლა-განათლებისადმი. ყაჯართა პერიოდის სპარსულ სამოგზაურო და მემუარულ ლიტერატურაში დაცულია საყურადღებო ცნობები თბილისის სპარსული სკოლის შესახებაც, რომლებიც თარგმნილია ქართულ ენაზე და შემოტანილია სამეცნიერო მიმოქცევაში. თუმცა, ეს საკითხი სპეციალური შესწავლის საგანი გამხდარა. წინამდებარე ნაშრომში კომპლექსურადაა განხილული და გაანალიზებული თბილისის სპარსული სკოლის ისტორია საარქივო მასალების საფუძველზე.

24	**გიული ალასანია /აღმოსავლეთის ისტორია/**	Tbilisi in the 20th Century. ISSN 1512-3677	Caucasus Journal of social sciences. ტომი 11.	საქართველოს უნივერსიტეტის გამომცემლობა	30
სტატიაში თავმოყრილია უცხოური წყაროების ვრცელი ცნობები XX საუკუნის თბილისის შესახებ.					
25	**მირიან მახარაძე /აღმოსავლეთის ისტორია/**	უფლისწულ ბაიაზეთის აჯანყება და საქართველოს საკითხი მუჰიმე დავთრების მიხედვით	აღმოსავლეთმცოდნეობა 8	თსუ, თბილისი	9
წინამდებარე სტატიაში განხილულია სულეიმან კანუნის შვილის უფლისწულ ბაიაზეთის აჯანყება და საქართველოს საკითხი მუჰიმე დავთრების მიხედვით. Gგანხილულია ექვსი მუჰიმე დავთარი. 1. 1559 წლის 23 ივნისით დათარიღებულ ცნობაში გამოცემულია ბრძანება დიარბაქირის ბეგლარბეგისადმი, რომლის მიხედვითაც, მან ყველანაირად ხელი უნდა შეუშალოს, რომ უფლისწულმა ბაიაზეთმა არ დატოვოს ქვეყანა, და გაფრთხილებული უნდა იყოს ყველა საქართველოდან ჩერქეზეთამდე, რომ არ მოხდეს უფლისწულისათვის თავშესაფრის მიცემა 2. 1559 წლის 31 ოქტომბერით დათარიღებული მუჰიმე დავთარი გვატყობინებს, რომ ერზრუმის ბეგლარბეგს დაევალა დაადგინოს ყიზილბაშებისა და ქართველი მხარის საბრძოლო მზადყოფნა და დაუყოვნებლივ აცნობოს სულთნის კარს. 3. მეორე ცნობა, რომელიც 1559 წლის 24 ივლისითაა დათარიღებულ სულთანი არტაანის გამგებელს, სინან ფაშას, უბრძანებს, რომ გაარკვიოს შეაფარა თუ არა თავი უფლისწულმა ბაიაზეთმა სეფიანთა ირანს თავი და თუ ეს ასეა სინან ფაშამ უზრუნველყოს მშვიდობიანი მოლაპარაკების გზით მისი უკან დაბრუნება. 4. 1559 წლის 3 დეკემბერით დათარიღებულია ორი ცნობა, პირველში ოსმალეთის სამეფო კარი ავალებს ვანისა და ერზრუმის გამგებელს, რომ მათ უნდა შეაყოვნოს სეფიანთა ირანიდან გამოგზავნილი ელჩი, რათა მან არ ჩამოასწროს არტაანის ბეგს სტამბულში, ხოლო მეორეში არტაანის ბეგ სინან ებრძანა, რომ თუ მასთან ერთად იმყოფებოდა ირანის ელჩი, იგი უნდა გამოყოფოდა მას და ჩამოესწრო სტამბულში. 5. 1560 წლის 10 თებერვალი დათარიღებულ მუჰიმე დავთარში, ერზრუმის ბეგლარბეგს ებრძანა, რომ მან სასწრაფოდ გააგზავნოს არტაანის გამგებელი სინან ფაშა სეფიანთა ირანში საქმის მოსაგვარებლად. ყოველივე აქედან ნათელი ხდება ,რომ ოსმალეთის სასულთნო კარი, უფლისწული ბაიაზეთის ერთ-ერთ თავსესაფარად განიხილავდა საქართველოსაც. Uფლისწულის ირანში გადასვლის შემდეგ, ომის საშიშროების გამო, სულთნის კარი დაინტერესდა, არა მარტო ირანის, არამედ მათი მოკავშირე ქართველების ჯარის მზადყოფნითა და ბრძოლისუნარიანობით. Mრავალრაუნდიანი მოლაპარაკება დაევალა არტაანის გამგებელ შინან ფაშას, რომელიც რამოდენიმეჯერ იმყოფებოდა ირანში. შწორედ მისი ბოლო ელჩობის შედეგად უფლისწული ბაიაზეთი გადასცეს ოსმალებს, რომლებმაც იგი და მისი შვილები სიცოცხლეს გამოასალმეს.					
26	**ნანა გელაშვილი /აღმოსავლეთის ისტორია/**	კულტურათაშორისი კომუნიკაციები იაპონია-ჩინეთის ისტორიული ურთიერთობების შუქზე	მე-14 საერთაშორისო სიმპოზიუმის „ლიტერატურათმცოდნეობის თანამედროვე პრობლემები“ თემაზე „აბრეშუმის გზის ქვეყნების ფოლკლორი“ (ეძღვნება გოგლას - გ. ლეონიძის ხსოვნას) მასალები	თბილისი, თსუ გამომცემლობა	218-223

მსოფლიოს ცივილიზაციათა საგანძურში გამორჩეული ადგილი უჭირავს ჩინეთს. მისი ცივილიზაცია ერთ-ერთი უძველესია, იმავდროულად უაღრესად თვითმყოფადი და მდიდარი. სწორედ ამით იყო განპირობებული, რომ ჩინეთი თავისი მრავალმხრივი მიღწევებით უკვე შორეულ წარსულში ერთგვარ ეტალონს წარმოადგენდა მეზობელი ქვეყნებისათვის. რაც შეეხება დასავლურ სამყაროსთან ჩინეთის ურთიერთობებს, ამ კუთხით უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ძვ. წ. მე-2 საუკუნეში გაკვალულ „აბრეშუმის დიდ გზას“, რომელმაც ერთმანეთს შეახვედრა დასავლეთი და აზიის რეგიონი პირველი ტრანსკონტინენტური სავაჭრო მაგისტრალის მეშვეობით. ხაზგასასმელია, რომ აღნიშნულ გზაზე მოძრავ ქარავნებს არა მხოლოდ სავაჭრო საქონელი დაჰქონდათ, არამედ მათი მეშვეობით მიმდინარეობდა კულტურათა გაცვლა, რელიგიური იდეების და სულიერი ფასეულობების გავრცელება, სხვადასხვა ტექნოლოგიების, ფოლკლორის, ტრადიციების გაცნობა.ამჯერად ყურადღება ფოკუსირებულია კულტურათაშორისი კომუნკაციების ცალკეულ სეგმენტებზე ჩინეთსა და იაპონიას შორის. რამდენადაც მსოფლიოს ხალხთაგან ზოგი შედარებით ადრე გამოჩნდა ისტორიის ასპარეზზე, ზოგი - უფრო გვიან, იმთავითვე გამოიკვეთა კულტურათა ზეგავლენის, შეჯახების, ასევე ურთიერთგავლენის პროცესები ცივილიზაციათა დიალოგის ფორმით. ამგვარი კომუნიკაციების საფუძველზე უმეტეს წილად თვისობრვად ახალი, თუმცა ტრადიციულისა და უცხოურის ჰარმონიულად ნაზავი კულტურის ფორმირება ხდებოდა. სწორედ ამგვარი სინთეზის თვალსაჩინო ნიმუშს წარმოადგენს იაპონიაზე ჩინეთის ზეგავლენის შედეგად ჩამოყალიბებული კულტურის გარკვეული სფეროები, რაშიც დამაკავშირებელი ხიდის როლს კორეა ასრულებდა. ჩინური ზეგავლენის პროცესი დაიწყო ძვ. წ. მე-3 საუკუნეში და ახ. წ. მე-8 საუკუნის მიწურულამდე გაგრძელდა. ხაზგასამელია, რომ უცხო ცივილიზაციიდან გადმოღებული ელემენტები იაპონიაში შემოქმედებითად ტრანსფორმირდებოდა, ახალ თვისებებს იძენდა და ჰარმონიულად ერწყმოდა ადგილობრივ ტრადიციებს. აქედან გამომდინარე, მიუხედავად იმისა, რომ იაპონიამ ჩინური ცივილიზაციის ბევრი მონაპოვარი გადაიღო, ის მუდამ ინარჩუნებდა ეროვნულობასა და თვითმყოფადობას. საბოლოო ჯამში, იაპონიამ წარმატებით გაართვა თავი უცხოური კულტურის ელემენტებთან ასიმილაციას, ისტორიული განვითარების გარკვეულ ეტაპზე კი გარეშე ზეგავლენისგან თანდათან განთავისუფლდა და დამოუკიდებელი გეზით, თანაც დიდი აღმასვლით განაგრძო განვითარება.					
27	**ხათუნა თუმანიშვილი /არაბისტიკა/**	**On the Importance of Comparative Study of Bilingual Proverbial Fonds** (Based on Syrian Dialect Arabic and Georgian Material)	**Studies on Arabic Dialectology and Sociolinguastics** Proceedings of the **13th AIDA Conference** Kutaisi, 10th-13th June 2019	Akaki Tsereteli State University Kutaisi, Georgia *კონფერენციის სამეცნიერო კომიტეტის სარეცენზიო საბჭოს შეფასების საფუძველზე მოხსენების სრული ვერსიის დედლაინი 2019 წ. დეკემბერში გადაეცა საკონფერენციო შრომებში გამოსაქვეყნებლად* ***მიმდინარე - 2020 წელს.*** *არსებული (კოვიდ-19) ვითარების გათვალისწინებით*	13 გვერდი

				შეფერხებულია დაბეჭდვის პროცესი	

XX და XXI საუკუნეების მიჯნაზე კულტურათაშორისმა კვლევებმა მსოფლიოში არნახულ მასშტაბებს მიაღწია, რითაც უკვე დასტურდება მოცემული თემის აქტუალობა. ამგვარი კვლევების პოპულარობა შეიძლება აიხსნას როგორც თანამედროვე მსოფლიოში აქტიურად მიმდინარე გლობალური პროცესებით, ისე მკვლევართა დიდი სურვილით შეისწავლონ განსხვავებულ ხალხთა მსოფლაღქმა.

თუმცა, ბოლო დროს ხშირად მიიჩნევენ, რომ კომუნიკაციის გლობალიზებულ სისტემაში განსაკუთრებით გაფართოვდა კულტურათა ურთიერთგავლენის ჩარჩოები. ამდენად, ახალი ეპოქალური გამოწვევების სტრუქტურამ პარემიოლოგიასა და ფრაზეოლოგიის სფეროშიც ლოგიკურად მოიტანა იმის აუცილებლობა, რომ ის უკვე გლობალურ ჭრილში სვამს საკითხს ხატოვანი ენის ფუნქციაზე ტრადიციულ და თანამედროვე კულტურაში. ამიტომ დღეს (ეროვნული პარემიული/ფრაზეოლოგიური ფონდების შემდგომ კვლევასთან ერთად), უმნიშვნელოვანესი გახდა განსხვავებულ კულტურათა მონაცემების შეპირისპირებითი კვლევა, რათა მიღებულ იქნას საერთაშორისო ფონდების ერთობლივი მარაგი მათი მრავალფეროვანი ფუნქციებით სხვადასხვა კულტურაში.

ნაშრომი მიზნად ისახავს ანდაზის – მოცემულ მენტალობაში გარკვეულ ცნებად მოდელირებული „პორტატიული პარადიგმების“ (ე. არდნერი) განსხვავებულ კულტურათა კონტექსტში გააზრებას. კონკრეტულ სემანტიკურ მოდელებში შესული სირიულ დიალექტური არაბული და ქართული პარალელების შეპირისპირებითი კვლევის საფუძველზე გამოვლენილია, როგორ, რა ზოგადი და, ამავდროულად, თითოეულისთვის დამახასიათებელი რა კერძო საშუალებებით იქმნება მოცემული სტერეოტიპული სიბრძნე.

კვლევის შედეგად მიღებული შედეგები აჩვენებს, რომ ამგვარი მიდგომები განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ისტორიულად და ცნობიერებით მკვეთრად განსხვავებული ხალხების ეთნიკური სპეციფიკის, მათი ეთნოცნობიერების, როგორც მსგავსი, ისე განსხვავებული მენტალური ხედვის გამოსავლენად. კერძოდ, შესაძლებელი ხდება, ერთი მხრივ, სხვადასხვა ეთნოკულტურათა იდენტიფიცირება (ამ ფონზე თითოეულის ეთნიკური იდენტურობის გამოყოფა) და, მეორე მხრივ, კულტურათა გლობალიზაციის მახასიათებელთა (მათ შორის, განხილულ კონტექსტში კულტურათაშორისი მსგავსების ნიშნულების) დადგენა.

დასკვნები პრობლემის ზოგადთეორიულ მხარესაც მოიცავს.

ნაშრომში წარმოდგენილი არაბულენოვანი მასალა მოპოვებული და თარგმნილია არაბული პირველწყაროდან, უშუალოდ სირიელი, ლიბანელი ინფორმანტებისაგან.

28	**მირიან მახარაძე,** ზაზა შაშიკაძე, ნოდარ შენგელია	,,მუჰიმე დავთრებში“ დაცული პირველი ცნობები საქართველოს შესახებ ISSN 0132-1447	საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მოამბე, გადაგზავნილია დასაბეჭდად	თბილისი, მეცნიერებათა აკადემია	7

საქართველოს ისტორიის შესწავლის თვალსაზრისით ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანია ,,მუჰიმე დავთრები“ (Mühimme Defteri). მათში დაცული ჩანაწერები მრავალ საინტერესო ცნობას შეიცავს, რაც სიახლეა ქართული საისტორიო ლიტერატურისათვის.

თურქეთის არქივებში დაცულია აღნიშნული დავთრების 260-ზე მეტი ტომი ინახება. მათი ძირითადი ნაწილი სტამბოლში, საპრეზიდენტო საარქივო სამმართველოს ოსმალურ არქივშია. დოკუმენტები ოსმალური ხელითაა დაწერილი. XX საუკუნის 70-იანიწლებიდან დაიწყო მათი გამოცემა ლათინური ტრანსკრიფციის თანხლებით, თუმცა ამ დროისათვის მხოლოდ მცირე ნაწილი, რამდენიმე ტომია გამოცემული

სტამბოლის მინისტრთა საბჭოს არქივში დაცულ ,,მუჰიმე დავთრებში“ ცნობების გადმოცემა იწყება ჰიჯრის 961 (1553/54) წლით. აღნიშნული პერიოდი ემთხვევა ოსმალეთის სულთან სულეიმან I-ის მესამე ლაშქრობას ირანის წინააღმდეგ. პიველ დავთრებში, რომლებიც საქართველოს ეხება უმთავრესად გადმოცემულია სხვადასხვა პირთა დაჯილდოება, იმის გამო რომ მათ მონაწილეობა მიიღეს ნახიჭევანისა და ოლთისის ლაშქრობებში. აგრეთვე ასახულია ქართველი ხალხის ბრძოლა ოსმალთა წინააღმდეგ, ბრძოლა ილგართან და ქიამხისთან, ქართულ ტერიტორიებზე ოსმალთა მმართველობის დამყარებაზე.

29	მირიან მახარაძე, ნოდარ შენგელია	რვა ოსმალური ვრცელი და მოკლე დავთარი საქართველოს შესახებ ISSN 0132-1447	საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მოამბე, გადაგზავნილია დასაბეჭდად	თბილისი, მეცნიერებათა აკადემი	8

ოსმალურ დოკუმენტებს შორის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ქართველი ტერიტორიების დიდი და მცირე დავთრები, რომელთა შესახებაც ქვემოთ გვექნება საუბარი.

პირველი დავთარი არტანუჯის ლივის ვრცელი დავთარია. სარჩევში ჩამოთვლილია ყველა ის სოფელი, რომელიც არტანუჯის ლივის შემადგენლობაშია. აქვეა საუბარი არტანუჯის ლივის რაბათზე. სოფლების საერთო რაოდენობაა 58. წყარო იწყება ტაოსკარის ნაჰიეთი. მასში შესულია 27 სოფელი. შემდეგ საუბარია ფასინის ნაჰიეზე. არტანუჯის ლივის ბოლო ნაჰიეა იშხანის ნაჰიე.

მეორე დავთარია არტანუჯის ლივის აღწერის მოკლე დავთარი. წყაროში საუბარია უმაღლესი სამეუფეო კარის ხასებზე. თავდაპირველად დასახელებულია სოფელი გუმუშ ხანე, რომელიც არტანუჯის დაქვემდებარებაშია. აქვე წარმოდგენილია რიგი გადასახადებისა და ვალდებულებების.

მესამე დავთარია თორთუმის ლივის აღწერის ვრცელი დავთარი. პირველი წარმოდგენილია ლაზქავის ნაჰიე, რომელშიც წარმოდგენილია 15-მდე სოფლის სათესი მიწები. შემდეგ საუბარია აჰჩერექის ნაჰიე, რომელშიც გაერთიანებულია 17 სოფელი თავისი სათესებითა და სავარგულებით. ხახოს ნაჰიეში შედის 24 სოფლი.

მეოთხე დავთარია `ბათუმის აღწერის ვრცელ დავთარი, ათინას ნაჰიეში სოფლთა რაოდენობა 70-ს შეადგენს. ბათუმის ლივის მეორე ადმინისტრაციული ერთეულის სახელია არხოვა. არხოვას ლივის მეორე სახელია ლაზი. ამ სოფლის კომლთა რაოდენობაა 104.

მეხუთე დავთარია ისპირის (სპერის) აღწერის მოკლე იჯმალ დავთარი. დავთარში რეგისტრირებულია 280-მდე თიმარი და რამდენიმე ზიამეთი.

მეექვსე დავთარია ფასინის ლივის აღწერის მოკლე დავთარი. ხსენებულ წყაროში მხოლოდ შვიდი ზიამეთი და 79 თიმარია მოხსენიებული, წარმოდგენილია არაერთი ჩიფთიც.

მეშვიდე დავთარია ზემო და ქვემო აჭარის ნაჰიეს მოკლე დავთარი. ზემო აჭარის ტერიტორიაზე გაერთიანებულია 59 სოფელი. ამ სოფლებიდან არაერთია მოსახლეობისგან დაცლილი, მაგრამ მაინც ექვემდებარება ძველ ტერიტორიებს. ხოლო ქვემო აჭარაში წარმოდგენილია 35 სოფელი.

მერვე დავთარია ახალციხის ლივის აღწერის მუსთაჰფაზების მოკლე დავთარი. დავთრის პირველ გვერდზე მოცემულია ჩილდირის ლივის ციხეების მუსთაჰფაზებისა და აზაბანების სარჩევი, სადაც წარმოდგენილია ახალციხის ლივის ციხე. შემდეგ წარმოდგენილია ალთუნ ყალა ციხე, უდეს ციხე,

ზერეს ციხე, აწყურის ციხეზე, აკშეჰირზე, ხერთვისზე; არც ჯედიდის ციხეა მივიწყებული. ბოლოს საუბარია გალიადის ციხის დიზდართა საერთო რაოდენობაზე და სხვ.					
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)					

თარგმანი წიგნად

№	ავტორი/ავტორები	კრებულის სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	იმან ჰუმაიდან იუნისი „ასო ბ სიტყვებში: „ბინა“, „ბეირუთი“ (რომანი). არაბულიდან თარგმნა და წინასიტყვაობა დაურთო **დარეჯან გარდავაძემ.**	ISBN 978-9941-31-175-8	გამომცემლობა „ინტელექტი“	231 გვ.
2				

თარგმანი პერიოდულ გამოცემებში:

№	ავტორი/ავტორები	კრებულის სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	**იმან ჰუმაიდან იუნისი „ასო ბ სიტყვებში: „ბინა“, „ბეირუთი“ (რომანი).** არაბულიდან თარგმნა და წინასიტყვაობა დაურთო **დარეჯან გარდავაძემ.**	აღმოსავლური ლიტერატურული ჟურნალი „არმაღანი“ №2	გამომცემლობა „ინტელექტი“	30 გვ.
2	**დარეჯან გარდავაძე /არაბისტიკა/** „ალაჰის ბაზარი“ - წინააღმდეგობის ლექსის გაგების ახლებური ფორმულირება (რაშა ჰოსნის რეცენზია ტარიკ ელ-ტაიბის პოეტურ კრებულზე „ალაჰის ბაზარი“),	ლიტერატურული ჟურნალი „ახალი საუნჯე“ №9	გამომცემლობა „საუნჯე“	4 გვ. (30-33)

	ტაიბ სალიჰის წინასიტყვაობა ტარიკ ელ-ტაიბის ნოველათა კრებულზე „აქლემი შუქნიშნის წითელ შუქზე არ ჩერდება“.			
3	**ნინო ეჯიბაძე /არაბისტიკა/** (მთარგმნელი არაბულად) ბალადა ვეფხისა და მოყმისა	კრებული "ბალადა ვეფხისა და მოყმისა" ISBN: 978-9941-26-749-9	თბილისი, გამომც. "უნივერსალი"	3გვ.
4	„ლოცვის სათქმელად ენა აღარ მიბრუნდება“ თანამედროვე სპარსული ნოველა, სპარსულიდან თარგმნა **მზია ბურჯანაძემ.**	კრ. „აღმოსავლეთმცოდნეობა“ (#9, 2020),		217-224
5	**გიორგი ლობჟანიძე /არაბისტიკა/** თანამედროვე არაბი პოეტის აჰმედ ალ-მულასადმი მიძღვნილი ნომრის მომზადება ჟურნალისათვის „ ახალი საუნჯე“, ინტერვიუ პოეტთან და მისი ლექსების თარგმანი	ჟურნალი „ახალი საუნჯე“ #2 2020	თბილისი	ლინკი: https://newsaunje.ge/index.php?do=full&id=394
6	**გიორგი ლობჟანიძე /არაბისტიკა/** თანამედროვე არაბი პოეტის ტარიკ ელ-ტაიბისადმი მიძღვნილი ნომრის მომზადება, ინტერვიუ პოეტთან, მისი ლექსების თარგმანები.	ჟურნალი „ახალი საუნჯე“ #9, 2020	თბილისი	ლინკი: https://newsaunje.ge/index.php?do=full&id=394

6. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა უცხოეთში

6.1. მონოგრაფიები/წიგნები

№	ავტორი/ავტორები	მონოგრაფიის/წიგნის სათაური, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1 2				
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)				

6.2. სახელმძღვანელოები

№	ავტორი/ავტორები	სახელმძღვანელოს სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1 2				
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)				

6.3. კრებულები

№	ავტორები	კრებულის სახელ-წოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1 2 3				
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)				

6.4. სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI ან ISSN	ჟურნალის/ კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	**თეა შურღაია /ირანისტიკა/** Tea Shurgaia	The Proverbial Wisdom of a Georgian Language Island in Iran ISSN 0021-0862 DOI: 10.1080/00210862.2020.1716189 „ირანში ქართული ენობრივი კუნძულის ანდაზური სიბრძნე“	Iranian Studies, vol. 53, Nos 3-4	Routledge Taylor & Francis	**20** გვერდი (551-571)
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)					

სტატიას საფუძვლად დაედო მოხსენება, წაკითხული საერთაშორისო კონფერენციაზე „ენობრივი კუნძულები და ენობრივი კონტაქტები ირანში“ (ბერლინი, 2018). სტატიაში ხაზგასმულია ირანში ქართული ენობრივი კუნძულის მიმართ საერთაშორისო სამეცნიერო წრეების მხრიდან ყურადღების გამოჩენის, აგრეთვე, პარემიოლოგთა მიერ ფერეიდნული ანდაზებით დაინტერესების აუცილებლობა. გაანალიზებულია როგორც ქართველ დიალექტოლოგთა მიერ მოპოვებული და გამოქვეყნებული მასალიდან ამოკრებილი, ასევე, ავტორის მიერ წლების მანძილზე ჩაწერილი ფერეიდნული ანდაზები. ყურადღება გამახვილებულია ამ ანდაზების არა მხოლოდ ლინგვისტურ, არამედ პარემიოლოგიურ და ეთნოლოგიურ ღირებულებებზე.

2	**თეა შურღაია /ირანისტიკა/**	From Two Worlds to Twin Characters – Evolution of Dual Existence in Goli Taraghi's Fiction „ორი სამყაროდან ტყუპ პერსონაჟებამდე - გაორებული არსებობის ევოლუცია გოლი თარაყის ნაწარმოებებში“.	Actas del VII Congreso de la Sociedad Española de Iranología (SEI) ISBN 978-84-18115-40-0.	მადრიდი Mandala Ediciones	259-278

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

გოლი თარაყის პროზის ერთ-ერთი მთავარი თემაა არჩევნის თავისუფლებისა და ამ არჩევანის წინაშე აღმოჩენილი გაორებული ადამიანის პრობლემა. სტატიაში ეს პრობლემა განხილულია მწერლის ოთხი ნაწარმოების: „მეც ჩე გეცარა ვარ (1969), „სადმე სხვაგან“ (2000), „ის მეორე“ (2014) და „შემთხვევა“ (2014) ანალიზის საფუძველზე. გაორების /ორმაგი არსებობის დაძლევისა და პიროვნების გამთლიანების თემა გ. თარაყის თხზულებებში ქრონოლოგიურად ასე ვითარდება: საკუთარი/რეალური „მე“-ს დასაბრუნებლად ამბოხებულ, მაგრამ დამარცხებულ გმირს (ბ-ნი ჰეიდარი) ცვლის ამბოხებული და გამარჯვებული გმირი (ამირალი). ამ უკანასკნელის მეორე „მე“ ხილულ კონტურებს იძენს (ანარეკლი სარკეში) და გმირის ერთგვარ ტყუპისცალად გვევლინება. მოგვიანებით, გოლი თარაყის ბოლო ნაწარმოებებში, ტყუპების, როგორც self-ის ორი ვერსიის იდეა ვითარდება თხრობაში ჯერ ჰომოგენური („ის მეორე“), ხოლო შემდეგ ჰეტეროგენული ტყუპების („შემთხვევა“) შემოყვანის სახით, რომელთაც ერთად ყოფნის ანუ გამთლიანების სურვილი ამოძრავებთ. სტატიაში გამოთქმულია ვარაუდი ამ ოთხ ნაწარმოებს შორის ლოგიკური კავშირის არსებობის თაობაზე, რაც გამოიხატება: 1. პროტაგონისტთა ხასიათების ტიპოლოგიურ მსგავსებაში (ბ-ნი ჰეიდარი - ამირალი) და 2. ტყუპისცალის იდეის ევოლუციაში hamzad/alter ego-დან („სადმე სხვაგან“) სრულფასოვან ჰეტეროგენულ ტყუპამდე („შემთხვევა“). ოთხივე ნაწარმოებში იკითხება არქეტიპული სახეების გამოძახილი.

3	**ელისაბედ მაჩიტიძე - მოწვეული /თურქოლოგია/** Elisabed Machitidze	“Sakartvelos Respublika” and “Sakartvelo” Newspapers on the 1918 Developments in Turkey,	Mütarekeden Milli Mücadeleye Uluslararası Sempozyumu Bildiri Kitabı	Istanbul, 2020	6

გაზეთები „საქართველოს რესპუბლიკა“ და „საქართველო“ 1918 წლის მოვლენების შესახებ თურქეთში

ქართული პრესის მასალები, საკითხების მრავალფეროვნებითა და აქტუალობით, საინტერესო წყაროა ისტორიული, მათ შორის 1914-1918 წლების მოვლენების შესასწავლად. 1918 წელს საქართველოში გამომავალი ბეჭდვითი ორგანოებიდან ჩვენი ყურადღება მიიპყრო

გაზეთებმა „საქართველოს რესპუბლიკა“ და „საქართველო“. ეს უკანასკნელნი გამოირჩევიან რუბრიკათა მრავალფეროვნებით, აშუქებენ რა პირველი მსოფლიო ომის მიმდინარე მოვლენებსა თუ ომის შედეგებს. პირველ მსოფლიო ომში საქართველოს, გერმანიისა და ოსმალეთის ინტერესებიდან და კავშირებიდან გამომდინარე, ჩვენი დაინტერესება გამოიწვია გაზეთის ერთ-ერთმა რუბრიკამ „საუბარი პროფესორ ცუგმაიერთან“. ერნსტ ცუგმაიერი იყო გერმანიის დელეგაციის საინფორმაციო ბიუროს უფროსი, რომელიც ქართულ პრესაში სისტემატიურად აქვეყნებდა ინფორმაციას 1918 წელს მიმდინარე მოვლენებზე საქართველოში, აზერბაიჯანში, ასევე ბრესტ-ლიტოვსკის საზავო ხელშეკრულების, გერმანიის ჯარების მდგომარეობის, იაპონია-ამერიკის ურთიერთობების, სპარსეთში მიმდინარე მოვლენების, პირველი მსოფლიო ომის შესაძლო შედეგების, მათ შორის ოსმალეთის რიგი პრობლემების შესახებ. კერძოდ: სტამბოლის კონფერენციის, სხვადასხვა საომარი ფრონტების, ოსმალეთის ჯარის მიერ დერბენდის დაკავების, გერმანია-ოსმალეთის ურთიერთობების, ოსმალეთის რადიოსადგურებიდან მოწოდებული ინფორმაციების შესახებ. ზემოთხსენებული საკითხები გაზეთებში წარმოდგენილია კონკრეტული ინფორმაციის სახით, არ ვხვდებით რაიმე გამოკვეთილ დისკურსს მათთან მიმართებაში, რის მიზეზადაც შესაძლებელია დავასახელოთ ანალიტიკური სტატიების სიმწირე, თუმცა ჩვენ მიერ მოძიებულ მასალებში იკვეთება დეტალები 1918 წელს ოსმალეთის იმპერიისათვის მნიშვნელოვან ფრონტებზე განვითარებული მოვლენების შესახებ; ასევე ვხვდებით ინფორმაციას იმ ურთიერთობებზე, რომელიც განაპირობებდა არა მარტო ოსმალეთის, არამედ პირველ მსოფლიო ომში ჩართული სხვა სახელმწიფოების არსებულ მდგომარეობას.
ვფიქრობთ, ჩვენ მიერ მოპოვებული ინფორმაცია დააინტერესებს და დაეხმარება პირველი მსოფლიო ომში ჩართული სახელმწიფოების კონკრეტული საკითხებით დაინტერესებულ მკვლევრებს.

4	**ელისაბედ მაჩიტიძე - მოწვეული /თურქოლოგია/** Элисабед Мачитидзе	Политический кризис 1997 года и постмодернистский переворот в Турции	Сборник Статей Посвященный 80-летию Академика Н. Велиханлы	Баку, 2020	8

1997 წლის პოლიტიკური კრიზისი თურქეთში და პოსტმოდერნული გადატრიალება
XX საუკუნის 90-იანი წლების მეორე ნახევრიდან თურქეთში შეინიშნებოდა პროისლამური ძალების გააქტიურება რაც უკავშირდებოდა ისლამისტური, კეთილდღეობის პარტიის (ღეფაჰ Pარტისი) და მისი ლიდერის ნ. ერბაქანის სახელს. 1995 წლის საპარლამენტო არჩევნებზე კეთილდღეობის პარტიამ წარმატებას მიაღწია, ხოლო 1996 წლის ივნისში კი ჭეშმარიტი გზის პარტიასთან ერთად შექმნა კოალიციური მთავრობა და ერბაქანი გახდა ქვეყნის პრემიერ მინისტრი. Eეს იყო პირველი შემთხვევა, როდესაც ისლამისტური პარტიის ლიდერი გახდა მთავრობის მეთაური. ერბაქანის საგარეო პოლიტიკური კურსი ძირითადად ისლამურ ქვეყნებთან ურთიერთობაზე იყო ორიენტირებული,Aარც საშინაო პოლიტიკაში შეიმჩნეოდა სასიკეთო ძვრები. Qქვეყანაში პოლიტიკური ვითარების სტაბილიზაციისთვის კვლავ არმიის ჩარევა გახდა საჭირო. 1997 წ. 27 თებერვალს ეროვნული უშიშროების საბჭომ შეიმუშავა მემორანდუმი, რომელსაც ულტიმატუმის ხასიათი ჰქონდა. 1997წ. ივნისში ნ. ერბაქანის მთავრობა გადადგა. Eეს მოვლენა შეიძლება შეფასდეს როგორც სამხედროთა მორიგი, ამჯერად უხმო გადატრიალება. თურქეთის არმია კვლავ ჩაერია ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში, თუმცა ამჯერად მისი საქმიანობა არ გამოსულა კონსტიტუციის ჩარჩოებიდან, იგი “რეაქციის წინააღმდეგ”, სამოქალაქო ხელისუფლების წარმომადგენლებთან ერთად მოქმედებდა. ეს გადატრიალება, ფორმითაც და შინაარსითაც განსხვავდებოდა წინა გადატრიალებებისაგან (1960, 1971, 1980), ამ ორიგინალურობისა და განსხვავებულობის გამო, მას “პოსტმოდერნული გადატრიალება” უწოდეს.

5	**მარიამ ჩაჩიბაია /ებრაისტიკა-არამეისტიკა/** M. Chachibaia	On the Study of Syriac-Georgian Literary Relations	XIII Symposium Syriacum et au XI Congrès d'études arabes chrétiennes იბეჭდება	PARIS (France)	

სირიულ-ქართული ლიტერატურული ურთიერთობების შესახებ საუბრისას, ძირითადად მხედველობაში გვაქვს ძველი ქართული მწერლობის პირველი პერიოდი, რომელიც მოიცავს ხანას დღიდან

მწერლობის დაწყებისა, ვიდრე X საუკუნის ოთხმოციან წლებამდე. სწორედ ამ პერიოდში სრულიად გამორჩეული ადგილი უჭირავს საბაწმიდის ლავრასა და სინას მთას, რომლებიც გვევლინება აღორძინებულ მძლავრ კულტურულ კერად, სადაც ქართველები სირიულისა და ბერძნულის საშუალებით ეზიარნენ ქრისტიანულ-სასულიერო ლიტერატურას, კერძოდ, კლასიკურ სირიულ ენაზე შექმნილ მდიდარ ლიტერატურულ მემკვიდრეობას.

სირიელებსა და ქართველებს შორის ისტორიულ-ლიტერატურული თუ კულტურულ-საგანმანათლებლო ურთიერთობათა შესწავლის აუცილებლობა ცხადი გახდა მკვლევრებისათვის. სირიულიდან ქართულად ნათარგმნად არის მიჩნეული სვიმეონ მესვეტისა და ეფრემ ასურის ცხოვრების ქართული ტექსტები (G. Garitte) და სხვ.

ძველი ქართული ბიბლიური ტექსტების ფილოლოგიურმა და ლინგვისტურმა შესწავლამ ცხადყო სირიულის კავშირი ამ ტექსტების ზოგიერთ რედაქციასთან. მოხსენებაში წარმოდგენილია სათანადო კვლევის შედეგად დადასტურებული ქართული ბიბლიური ტექსტების ზოგიერთი რედაქციის კავშირი სირიულთან, რაც კარგად ჩანს ფსალმუნის კვლევის მაგალითზე. ქართულ „ოთხთავში“ გამოვლინდა რიგი ლექსიკური ერთეულებისა, რომლებიც გამორიცხავენ სომხურ გზას, ან მათი შესატყვისი სომხურში არ დასტურდება და შესაბამისად უშუალოდ სირიულ ნასესხობას უნდა წარმოადგენდეს, რაც ამ ხალხების უძველეს კონტაქტებზე უნდა მიუთითებდეს.

ძველ ქართულ მწერლობაში უშუალოდ სირიულიდან, ან შუალედური არაბულის თარგმანის გზით მომდინარე თხზულებები არცთუ დიდი ოდენობით არის გამოვლენილი. ეს იმაზე მიუთითებს, რომ ბევრი რამ სირიულ-ქართული ლიტერატურული ურთიერთობების თვალსაზრისით გამოსავლენია, დასაზუსტებელი და შესასწავლია.

6	**მარიამ ჩაჩიბაია /ებრაისტიკა-არამეისტიკა/** M. Chachibaia	Ephraem the Syrian and some issues of Syriac versification	3rd international conference on Future of Social Sciences and Humanities იბეჭდება	BARCELONA (Spain)	

კლასიკური პერიოდის სირიული ტექსტები, ჩვეულებრივ, ორ ძირითად ჯგუფად იყოფა: ჰომილიებად და ჰიმნებად. პირველი მემრე აერთიანებს პოეტურ ქადაგებებს, ნარატიულ და ეპიკურ თხზულებებს. ეფრემ ასურმა თავის ჰომილებში დაამკვიდრა შვიდმარცვლიანი ლექსი, რომელიც უმეტესად იყოფა სამ და ოთხმარცვლიან ორ რითმულ ზომად.

6	ზვიად კვიციანი	სვანეთის მთავრების-დადეშქელიანების ციხე-სიმაგრის კომპლექსი (ბუხრიანი კოშკი)/	თბილისი თსუ 3-5 ივლისი ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის მე-14 კონფერენცია, მიძღვნილი აკად.ო.ლორთქიფანიძის 90-ე წლისთავისადმი
7	ზვიად კვიციანი	არქეოლოგიური გათხრები სვანეთში ჭუბერის ძვ.წ. 8–7 სს რკინის მეტალურგიული საწარმოები	ყვარელი(ლოფოთას კომპლექსი) 4-10 სექტემბერი

მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა)

1. 2019 წელს გრაკლიან გორაზე გაითხარა მესამე და მეოთხე ტერასებზე წინა წლებში მიკვლეული ნაგებობები, რომლებიც ძვ.წ. 5-4 საუკუნეებს განეკუთვნება. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა N 6 შენობას, სადაც ცენტრალური საკურთხველის დასავლეთით დადასტურდა რკინი ნივთების კონცენტრაცია. რკინის ძლიერ კოროზირებული ნივთები აღმონდა აგრეთვე, ღუმელზე, ხოლო შენობის სამხრეთ - აღმოსავლეთ კუთხეში გაგრძელდა რკინის ნივთების განძის შესწავლა. მეოთხე ტერასაზე გაითხარა N 5 სამარხი, რომელშიც მიცვალებულთან ერთად დაკრძალული იყო ცხენი. ინვენტარი შედგებოდა ვერცხლის ნივთებისაგან, რომლებიც ვანის N 22 სამარხის ინვენტარის ანალოგიურია (საშუბლე ფირფიტა, სამაჯურები, კოვზი და სხვა). აქვე აღმოჩნდა ოქროს ორი საკიდი რგოლი.

2. კუნძულ კვიპროსზე გაგრძელდა 2017 წელს გამოვლენილი სამნავიანი ბაზილიკის გათხრები. დადგინდა, რომ აქ ქართველი ბერების მოღვაწეობას შეესაბამება მესამე ეტაპის ნაგებობა, რაც XIV – XVI საუკუნეებით შეიძლება განისაზღვროს. ამ თარიღის საფუძველს იძლევა იმ სამარხეული კომპლექსების ანალიზი, რომლებიც ცენტრალური აბსიდის დასავლეთ ნაწილშია ჩაშვებული. ეს კი ქრონოლოგიურად ემთხვევა 1580 წლის ცნობას ამ ადგილებში ქართველი ბერების მოღვაწეობის შესახებ. ქართველი ბერები რომ ამ ადგილებში XIV საუკუნეში გამოჩნდნენ, დაბეჯითებით შეიძლება ვივარაუდოთ რომის პაპის კლემენტი V -ის 1306 წლის 1 თებერვლის წერილის საფუძველზე, სადაც

	იგი წერდა, რომ ქართველმა ბერებმა დაიკავეს/აღადგინეს სწორედ ამ რეგიონში არსებული ეკლესიები (მაგალითად, ლაკრონა და წმ. საბას მონასტერი).
3.	კობეს უნივერსიტეტის (იაპონია) წარმომადგენლებთან ერთად (ჯგუფს ხელმძღვანელობდა კობეს უნივერსიტეტის ვიცე-პრეზიდენტი, პროფ. მასუმოტო ჰიროკო) განხორციელდა წინასწარული სადაზვერვო გასვლა პალისტომის ტბასა და მდ. ფიჩორში ეკოსისტემის გაცნობის მიზნით. დაგეგმილია ადრეული ფასისის ადგილმდებარეობის ძიება თანამედროვე მეთოდებით (შესაძლოა, LIDAR-ით). მდინარე ფიჩორის კვლევის აუცილებლობა კი გამოიწვია იმან, რომ 2 600 წლის წინ სწორედ ამ მდინარის კალაპოტში მოედინებოდა მდ. ფასისი, რომლის ნაპირზეც დაარსდა კოლონია/ქალაქი ფასისი.
4.	2020 წელს გრაკლიან გორაზე გაითხარა მესამე და მეოთხე ტერასებზე წინა წლებში მიკვლეული ნაგებობები, რომლებიც ძვ.წ. 11-10 საუკუნეებს განეკუთვნება. დადგინდა, რომ ამ ხანაში გრაკლინის მოსახლეობა საკმაოდ მჭიდროდ განლაგებული შენობებს აგებდა. ყველა მათგანი ორიენტირებული იყო სამხრეთის მიმართულებით, რაც იმზე მიუთითებს, რომ მათ გათვალსწინებული ჰქონდათ ადგილობირივი კლიმატური პირობები. გაითახარა, აგრთვე, მეოთხე ტერასაზე მდებარე სამაროვნის ერთი ნაწილი. გამოვლინდა ძვ.წ. 4 საუკუნის რვა სამარხი, რომელთაგან განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ნომერ 2, რომელშიც ბერძნული დანა - მახაირა აღმოჩნდა. ეს იშვიათ აღმოჩნათა რიგს განეკუთვნება, რადგან საქართელოში სულ 3 ცალია აღმოჩენილი. პირვე;ლ ტერარსაზე გამითხარა 9 სამარხი, რომელებიც ძვ.წ. 11-7 საუკუნეებს განეკუთვნებიან.

7.2. უცხოეთში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	ვ. ლიჩელი	Georgia – intellectual Innovations (Late Bronze Age)	ნიქოზია, ამერიკის არქეოლოგიური მისია კვიპროსზე. 2020 22-24 თებერვალი,საჯარო მოხსენება
2	ვ. ლიჩელი	ახალი მასალები ფასისის ლოკალიზაციისათვის	Международный семинар «Боспор и Северная Колхида. Греческие колонии в негреческом окружении: динамика взаимодействия разнотипных обществ» On-line, 5 декабря 2020 г.
3	დ. ნასყიდაშვილი	ბარდის N2 თხრილის არქეოლოგიური ანგარიში	ოქსფორდი. გაერთიანებული სამეფო, 28/2/2020

4	დ. ნასყიდაშვილი	ინტეგრირებული არქეოლოგიური მეთოდოლოგია პოსტ საბჭოთა კავკასიაში	ოქსფორდი. გაერთიანებული სამეფო, 3/3/2020
5	დ. ნასყიდაშვილი	არქეოლოგიური გათხრები მაჩხომერის გორაზე. ხობის მუნიციპალიტეტი	ოქსფორდი. გაერთიანებული სამეფო. Zoom პლატფორმა, 10/10/2020

მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა)

1. ძვ.წ. 2 ათასწლეულის შუახანებიდან საქართველოში დაიწყო დიდი გარდაქმნების ხანა, რის შედეგადაც წარმოიშვა ისეთი მძლავრი ეკონომიკური და კულტუტურულ ცენტრები, როგორც ნაომარი გორის კომპლექსები (კახეთი) და გრაკლიანი გორაა. სრულიად აშკარაა, რომ ადგილობრივი საზოგადოება აღწევს განვითარების ახალ საფეხურს, რაც გარე სამყაროსთან, კერძოდ, მახლობელი აღმოსავლეთის ცივილიზაციებთან მჭიდრო ურთიერთობის შედეგია.
2. მოხსენებაში ხაზგასმით იყო აღნიშნული, რომ ახალი მონაცემები, კერძოდ, ზღვის სანაპირო ზოლის დინამიკა (ნაპირის 10 კმ-ით დასავლეთით გადანაცვლება ზღვის ხარჯზე), პალიასტომის ტბის პერიოდული გაქრობა (ტბა არ არსებობდა ძვ.წ. 6-2 საუკუნეებში და ახ.წ. 2 საუკუნეში) იმაზე იანიშნებს, რომ სტრაბონის ცნობას სამი წერტილი არსებობის შესახებ (ზღვა, მდინარე, ტბა) ადრეული ფასისის ლოკალიზაციისათვის არავითარი მნიშვნელობა არ აქვს.
3. თურქმენეთში ჩატარებული არქეოლოგიური სამუშაოების ანგარიში- ქალაქ დანდანაკანის ციხის ახალ არქეოლოგიურ მონაცემებს და იქ არსებულ მატერიალურ კულტურას. ასევე გეოფიზიკური დაზვერვის პირველად მონაცემებს.
4. ლექცია ინტერგრირებული არქეოლოგიური გათხრების მეთოდოლოგია, ეხებოდა კავკასიაში და საბჭოთა კავშირში არსებულ მიდგომებს, წარსულს, აწყმოსა და მომავალს.
5. მაჩხომერის მეექვსე საუკუნის სამნავიანი ეკლესიის გათხრების ანგარიშს და ბერძნული წარწერების პირველად ინტერპრეტაციას.

სალექციო კურსები უცხოეთში.

№	ავტორი/ავტორები	ქვეყანა და ლექციის ჩატარების ადგილი, დრო	ლექციის სათაური	პროექტის სახელწოდება
1	ვ. ლიჩელი	პორტუგალია. ლისაბონის უნივერსიტეტი. 2020 მარტი	Glips to the Archaeology of Georgia	Erasmus+

ლექციები ეხებოდა საქართველოს უძველესი ისტორიისა და არქეოლოგიის საკითხებს. დეტალურად იყო განხილული ყველა ის საკითხი, რომელიც საქართველოს წარსულის გარკვეულ ეტაპებს გამოარჩევს როგორც ეკონომიკური, ისე პოლიტიკური და კულტურული თვალსაზრისით.

ერთეულს თუ საჭიროდ მიაჩნია, შეუძლია ანგარიშში შეიტანოს სხვა, მისთვის მნიშვნელოვანი აქტივობაც.

ანგარიში წარმოდგენილი უნდა იყოს ნაბეჭდი (2 ეგზემპლარად) და ელექტრონული ვერსიის (CD-დისკი) სახით.

ანგარიში, რომელიც არ არის შედგენილი ამ დანართის მოთხოვნების შესაბამისად, ექსპერტიზას (შეფასებას) არ ექვემდებარება და შეფასების შემაჯამებელ დოკუმენტში აღინიშნება ფორმულით „არ შეფასდა“.

ამერიკისმცოდნეობის
სასწავლო-სამეცნიერო
ინსტიტუტი

ანგარიშის ფორმა №2

2020 წელს გაწეული სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ანგარიში

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის დასახელება

ამერიკისმცოდნეობის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი

სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა ხელმძღვანელის მითითებით

პროფესორი ვასილ კაჭარავა (ხელმძღვანელი),
პროფესორი თემურ კობახიძე,
ასოცირებული პროფესორი ელენე მემმარიაშვილი,
ასისტენტ პროფესორი მიხეილ ბარნოვი (მდივანი)

1. სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის პერსონალის მიერ შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

1.1.

№	გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	2	3	4

1.2.

№	დასრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	„ისტორიის კონკურსი -2 ბელორუსში, მოლდოვაში, საქართველოსა და უკრაინაში“	2019-2020	ელენე მემმარიაშვილი-ექსპერტი-მოდერატორი

2. შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტით დაფინანსებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

2.1.

№	გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	ჰუმანიტარული მეცნიერებები, YS-19-3098, წარმავალი ძველი დასავლეთი და ,,ახალი დასავლეთის“ წარმოშობა: ანგლო-ამერიკული და ინდიელთა პერსპექტივა	11.12.2019-10.12.2021	მიხეილ ბარნოვი-პროექტის ხელმძღვანელი, პროფ. ვასილ კაჭარავა-მენტორი
კვლევის ფარგლებში დაგეგმილია ამერიკის ძველი დასავლეთის სხვადასხვა რეგიონების შესწავლა და კანზასის მაგალითზე, 1870-80-იან წლებში საზღვრისპირა ახალშენების გაჩენისა და გაქრობის თავისებურებების გაანალიზება. კანზასისა მაგალითზე, ანგლო-ამერიკული და ინდიელთა პერსპექტივებიდან შესწავლილ იქნება შორეული დასავლეთის ტრანსფორმაციის, მონაპირე ახალშენების გაქრობისა და ,,ახალი დასავლეთის“ დაბადების პროცესი ამერიკის ცენტრალურ და სამხრეთ დაბლობებზე.			

2.2.

№	დასრულებული (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	2	3	4
დასრულებული კვლევითი პროექტის 2020 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)			

3. უცხოური გრანტებით დაფინანსებული სამეცნიერო პროექტები

3.1. გარდამავალი პროექტი

№	გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი, დამფინანსებელი ორგანიზაცია/ სამეცნიერო ფონდი, ქვეყანა	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	2	3	4
გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2020 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)			

3.2. დასრულებული პროექტი

№	დასრულებული (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი, დამფინანსებელი ორგანიზაცია/სამეცნიერო ფონდი, ქვეყანა	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	2	3	4
დასრულებული კვლევითი პროექტის 2020 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)			

4. პატენტები

4.1. საერთაშორისო პატენტები:

№	საპატენტო თემატიკის სათაური	გამომგონებელი/ები და პატენტმფლობელი/ები	პატენტის საიდენტიფიკაციო კოდი

4.2. ეროვნული პატენტები

№	საპატენტო თემატიკის სათაური	გამომგონებელი/ები და პატენტმფლობელი/ები	პატენტის საიდენტიფიკაციო კოდი

5. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში

5.1. მონოგრაფიები/წიგნები

№	ავტორი/ავტორები	მონოგრაფიის/წიგნის სათაური, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	ვასილ კაჭარავა	ასრულებს მუშაობს მონგრაფიაზე ,,რონალდ რეიგანი და 1980-იანი წლების ამერიკა''	თბილისი	სავარაუდო 350 გვ.
2	მიხეილ ბარნოვი	მუშაობს სამეცნიერო-პოპულარულ ნარკვევზე: ,,ამერიკული კონტრკულტურა-ჰიპები“	თბილისი	სავარაუდო 150 გვ.
3	ელენე მეძმარიაშვილი	გამოსაცემად ამზადებს მონოგრაფიას: ,,ამერიკული და ქართული სიმბოლოები“	თბილისი	.
4	თემურ კობახიძე	გამოსაცამეად ამზადებს მონოგრაფიას: ,,ამერიკული მცირე პროზა: ჟანრის პოეტიკა“	თბილისი	
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)				

5. 2. სახელმძღვანელოები

№	ავტორი/ავტორები	სახელმძღვანელოს სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1 2				
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)				

5.3. კრებულები

№	ავტორი/ავტორები	კრებულის სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	რედკოლეგია: ვასილ კაჭარავა, მთ. რედაქტორი,	ამერიკის შესწავლის საკითხები; ტომი 8.	თბილისი, თსუ გამომცემლობა ჟურნალი გადაცემულია	სავარაუდო 300

2 3	შელი ფიშერ ფიშკინი, მთ. რედაქტორი შეერთებული შტატების მხრიდან; რედკოლეგია: ელენე მეძმარიაშვილი, თემურ კობახიძე, ანასტასია ზაქარიაძე. მიხეილ ბარნოვი.		თსუ საგამომცემლო საბჭოს	
ჟურნალი აერთიანებს ქართველი და უცხოელი ამერიკანისტების სტატიებსა და საკონფერენციო მოხსენებებს. კრებულში წარმოდგენილი სტატიები მოიცავს ამერიკისმცოდნეობის სხვადასხვა სფეროს: ისტორია და პოლიტიკა, კულტურა, სოციალური საკითხები, ქართულ-ამერიკული ურთიერთობები, ფილოსოფია და განათლება, მედიცინა.				

5.4. სტატიები ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდის (DOI) მითითებით

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათა-ური, ISSN	ჟურნალის/ კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1 2 3					
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)					

5.5. სტატიები ISSN-ის მითითებით

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათა-ური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI	ჟურნალის/ კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	ვასილ კაჭარავა	რონალდ და ნენსი რეაიგანები ნარკოტიკების წინააღმდეგ	ჟურნალი: ამერიკის შესწავლის საკითხები; ტომი 8. სტატია გადაცემულია დასაბეჭდად. .	ჟურნალს გამოსცემს თსუ გამომცემლობა.	17 გვ.
2	ვასილ კაჭარავა	ჯონ კენედი	ჟურნალი ,,ჩემი სამყარო'', #28	თბილისი, 2020	11 გვ.
3	ელენე მეძმარიაშვილი	ელეანორ რუზველტი: ფემინისტი თუ	„ამერიკის შესწავლის	თბილისი, 2020	გვ.197-205.

		სოციალურ საკითხებზე მზრუნველი პოლიტიკოსი, კრებულში, 2020, გვ.197-205.	საკითხები“, 7, თსუ გამომცემლობა, თბილისი, ISSN 1512-1585		
4	ელენე მემმარიაშვილი	ტრამპის ადმინისტრაციის პოლიტიკა ქალთა საკითხებში 2017-2019 წლებში.	თსუ ამეირკისმცოდნეობის 21-ე საერთაშორისო კონფერენციის მასალები		
5	მიხეილ ბარნოვი	საზღვრის გაქრობა მონტანაში	ამერიკის შესწავლის საკითხები (მერვე ტომი), რედაქტორები: თედო ჯაფარიძე, თამარ შიოშვილი, შელი ფიშერ ფიშკინი (აშშ). კრებული გადაცემულია თსუ საგამომცემლო საბჭოს და გამოიცემა 2021 წელს.	თბილისი 2021	

ვასილ კაჭარავა, ჯონ ფიცჯერალდ კენედი

სტატია განიხილავს კენედის პრეზიდენტობის განსაკუთრებით მნიშვნელოვან მომენტებს და მისი მოღვაწეობის ტრაგიკულ დასასრულს

ბევრი თვლის, რომ კენედის საკმარიზე მეტი მტერი ყავდა და ეს მკვლელობა არც თუ მოულოდნელი იყო. კერძოდ კი: თავად ფიდელ კასტრო და ასევე მისი მოწინააღმდეგე კუბელი ემიგრანტები, მაფია, ბევრი მემარჯვენე ბიზნესმენი თუ პოლიტიკოსი, რომელთაც არ აპატიეს მას მარცხი ,,ღორების ყურეში’’. დიდ ბიზნესს არც ,,იუნატედ სთილის’’ სამაგალითო დასჯა დავიწყებია. სავარაუდო დამკვეთთა და შემსრულებელთა სიაში ზოგჯერ ცენტრაულური სადაზვერვო სააგენტო და ფედერალური გამოძიების ბიუროც კი მოიხსენება, მაგრამ ყოველივე ეს, მხოლოდ და მხოლოდ ვარაუდებია.

დღესაც, ბევრის თვალში კენედი თანამედროვე ამერიკის სიმბოლოა, რასაც ამ ახალზრდა და უდავოდ ქარიზმატული ადამიანის ტრაგიკულმა სიკვდილმაც შეუწყო ხელი. თუმცა მისი მმართველობა ნამდვილად არ იყო უღრუბლო, და ბრწყინვალე ფურცლებთან ერთად, არც მრავალი შეცდომა და წარუმატებლობა აკლდა. ბევრი მკვლევარის აზრით, იგი კიდევ უფრო მეტსაც დაუშვებდა ცოცხალი რომ დარჩენილიყო. მაგრამ ეს უკვე ჰიპოთეზაა, და ისტორია ადამიანებს მათი ნამოქმედარით აფასებს, ნამოქმედარი კი უდავოდ უაღრესად შთამბეჭდავი იყო.

ვასილ კაჭარავა, რონალდ და ნენსი რეაიგანები ნარკოტიკების წინააღმდეგ

დღეს ნარკოტიკებისა და ნარკომანიის თემა უაღრესად აქტუალურია საქართველოსთვის.

ამერიკაში რეიგანის დროს, ნარკოტიკების წინააღმდეგ ბრძოლამ დიდი მასშტაბი მიიღო და არა მარტო იმიტომ, რომ ეს თემა სულ უფრო აქტუალური ხდებოდა არამედ იმიტომაც, რომ რეიგანების წყვილს თავისი რელიგიური და მორალურ-ეთიკური პოზოიციიდან გამომდინარე ნარკომანია უცილობელ ბოროტებად მიაჩნდა და მთელი თავისი არსით მიუღებლად თვლიდა მას.

ალბათ, უდავოა რეიგანების წყვილის გულწრეფელი ქმედების პოზიტიური მხარე ამერიკული საზოგდოებისთვის, მისი ზნისა და ჯანმრთელობის. შეიძლება შედეგი ისეთი არ იყო როგორც ამ ბრძოლაში ჩადებული ძალისხმევისა და სახსრებისგან ელოდნენ. ალბათ გარკვეული შეცდომებიც იყო ამ ბრძოლის ველზე, მაგრამ ამერიკელებმა კარგად იციან საკუთარ შეცდომებზე სწავლა. როგორც ვხედავთ, ნარკომანიის პრობლემა კვლავაც სახეზეა და ალბათ არც არავინ ელოდა, რომ იგი საერთოდ გაქრებოდა, მაგრამ რეიგანის ადმინისტრაციის ძალისხმევა რომ არ ყოფილიყო, ალაბათ დღევანდელობა ამ სფეროში კიდევ უფრო უარესი იქნებოდა. ჩვენთვის კი ალბათ სასარგებლოა იმის გათვალისწინება, რომ სახელმწო სტრუქტურების უმაღლესი ეშელონები ალბათ ვალდებულნი არიან, თუნდაც რეიგანისეული გამოცდილების საფუძველზე, აქტიურად გამოიყენონ საკუთარი მაღალი ტრიბუნა ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლაში და მთელი საზოგადოების ძალისხმევა გააერთიანონ ამ მიმართულებთ. რეიგანების გამოცდილება ცხადყობს, რომ ეს შესაძლებელია და ეფექტურიცაა.

ელენე მეძმარიაშვილი, ელეანორ რუზველტი: ფემინისტი თუ სოციალურ საკითხებზე მზრუნველი პოლიტიკოსი

სტატიაში განხილულია ელეანორ რუზველტის ღვაწლი, რომელიც მან ქალთა საკითხებში გასწია. გავლებულია პარალელები ე.რუზველტის, როგორც ფემინისტის, ევოლუციასა და მე-20 საუკუნეში ქალთა მოძრაობის განვითარებას შორის. მიუხედავად განსხვავებული შეფასებებისა, ხაზგასმულია, რომ ელეანორ რუზველტი მაინც ფემინისტი იყო, ქალი, რომელმაც მსოფლიოს დაანახა, რომ საქმის კეთება ქალებსაც შეუძლიათ.

ელენე მეძმარიაშვილი, ტრამპის ადმინისტრაციის პოლიტიკა ქალთა საკითხებში 2017-2019 წლებში

სტატიაში განხილულია ტრამპის ადმინისტრაციის მიერ ქალთა საკითხებში 2017-2019 წლებში გატარებული პოლიტიკის რამდენიმე საკითხი. ყურადღება გამახვილებულია ქალების სამუშაო ადგილებსა და არათანაბარი ხელფასის, ასევე მათი პოლიტიკურ

ცხოვრებაში ჩართულობის საკითხებზე ტრამპის პირველი საპრეზიდენტო ვადის შუა ხანისთვის, 2019 წლისთვის, რომელიც ქალების საარჩევნო უფლების მოპოვების 100 წლისთავს დაემთხვა.

მიხეილ ბარნოვი, საზღვრის გაქრობა მონტანაში

ისევე როგორს კანზასში, არიზონაში, ნებრასკასა თუ ტექსასში მონტანას ტერიტორიაზე საზღვრის ეპოქის დასასრული რამდენიმე ფაქტორის ერთობლიობამ განაპირობა: მომთაბარე ინდიელთა რეზერვაციაში დასახლება, აღმოსავლეთ შტატებთან დამაკავშირებელი საკომუნიკაციოსისტემის განვითარება, ბიზონების ჯოგების გაქრობა, სატრანსპორტო ინფრქასტუქტურის განვითარება, მონტანაში რკინიგზის, შემდეგ კი ავტომობილის გამოჩენა, რელიგიური, და საგანმანათებლო ინსტიტუტების ჩამოყალიბება, სოფლის მეურნეობის განვითარება, ტერიტორიის ეკონომიკური განვითარება. თუმცა სპეციფიკური გეოგრაფიული მდებარეობის გათვალისწინებით, მონტანაში საზღვრის გაქრობის პროცესი გარკვეული თავისებურებებით ხასიათდებოდა. 1864-1889 წლებში მონტანაში საზღვრის გაქრობის თანმდევი სოციალური რეალობის ტრანსფორმაციის შესწავლა სხვადასხვა ჭრილშია შესაძლებელი. სტატიაში მონატანაში საზღვრის გაქრობის ისტორია გეოგრაფიული პერსპექტივიდანაა გაანალიზებული. შორეული დასავლეთის გეოგრაფიული გარემო, ბუნებრივი პირობები და მდებარეობა განსაკუთრებულ გავლენას ახდენდა მონტანაში საზღვრის გაქრობის პროცესსა და ადმაიანთა ცოხვრების ყველა სფეროზე. მონტანაში საზღვრის ეპოქის გაქრობის პროცესის შესწავლისას გეოგრაფიული ფაქტორის როლის გააზრება მნიშვნელოვანია. მონტანას ფიზიკურ-გეოგრაფიული და ეკონომიკურ-გეოგრაფიული გარემო განაპირობებდა მონტანაში საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში მიმდინარე ცვლილებებს. ამგვარად, სტატიაში ძირითადი ყურადღება დაეთმობა საზღვრის გაქრობის პროცესზე გეოგრაფიულ ფაქტორის გავლენას.

6. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა უცხოეთში

6.1. მონოგრაფიები/წიგნები

№	ავტორი/ავტორები	მონოგრაფიის/წიგნის სათაური, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1 2				
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)				

6.2. სახელმძღვანელოები

№	ავტორი/ავტორები	სახელმძღვანელოს სახელწოდება, საერთაშორისო	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა

		სტანდარტული კოდი ISBN		
1 2				
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)				

6.3. კრებულები

№	ავტორები	კრებულის სახელ-წოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1 2 3				
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)				

6.4. სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI ან ISSN	ჟურნალის/ კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1 2 3					
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)					

7. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

7.1. საქართველოში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	ვასილ კაჭარავა	რონალდ რეიგანი, რომის პაპი და პოლონეთის საკითხი	28 მაისი, ამერიკისმცოდნეობის მე-21 ყოველწლიური საერთაშორისო კონფერენცია. მიეძღვნა მეიფლაუერის ხელშეკრულების დადების მე-400 წლისთავს, თბილისი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ჩატარდა ონლაინ ფორმატით

2	ვასილ კაჭარავა	ჯანდაცვის საკითხი რონალდ რეიგანის ადმინისტრაციაში	6-14 ივლისი, ქობულეთი 20'', ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ამერიკისმცოდნეობის ინსტიტუტისა და საქართველოს მეცნიერთა და სპეციალისტთა ასოციაციის მე-17 სამეცნიერო კონფერენცია, ქობულეთი
3	ელენე მეძმარიაშვილი	მელანია ტრამპი - შეერთებული შტატების პირველი ქალბატონი	2020, 28 მაისი, ამერიკისმცოდნეობის 21-ე ყოველწლიური საერთაშორისო კონფერენცია,თბილისი, ჩატარდა ონლაინ ფორმატით
4	ელენე მეძმარიაშვილი	2017-2018 და 2019-2020 წლების კონკურსების ანალიზი და სამომავლო გამოწვევები	07.11.2020, „ისტორიის კონკურსი -2 ბელორუსში, მოლდოვაში, საქართველოსა და უკრაინაში“. ტუტორთა შემაჯამებელი შეხვედრა, ჩატარდა ონლაინ
5	ელენე მეძმარიაშვილი	ისტორიის მასწავლებლის როლი მოსწავლეებში კრიტიკული და თავისუფალი აზროვნების განვითარების საქმეში კლასგარეშე მუშაობის საშუალებით. რამდენად აისახა ეს მექანიზმი მოსწავლეთა ნაშრომებში. სიტუაციური ანალიზი და რეკომენდაციები	21.11.2020, „ისტორიის კონკურსი -2 ბელორუსში, მოლდოვაში, საქართველოსა და უკრაინაში“. ტუტორთა შემაჯამებელი შეხვედრა, ჩატარდა ონლაინ
6	ელენე მეძმარიაშვილი	ისტორიის სწავლების პრობლემები და გადაჭრის მექანიზმები	29.11.2020, „ისტორიის კონკურსი -2 ბელორუსში, მოლდოვაში, საქართველოსა

			და უკრაინაში“. ტუტორთა შემაჯამებელი შეხვედრა, ჩატარდა ონლაინ
7	მიხეილ ბარნოვი	საზღვრის გაქრობა მონტანაში	2020 წლის 28 მაისი, ამერიკისმცოდნეობის 21-ე ყოველწლიური საერთაშორისო კონფერენცია, ჩატარდა ონლაინ
8	თემურ კობახიძე	აღსავალისა და კიბის მოტივი ტ.ს.ელიოტის „ნაცრისყრის ოთხშაბათში“	2020 წლის 28 მაისი, ამერიკისმცოდნეობის 21-ე ყოველწლიური საერთაშორისო კონფერენცია, ჩატარდა ონლაინ

7.2. უცხოეთში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	მიხეილ ბარნოვი	The Raids of Dagestani Mountaineers and American Indians: The Life on the borderlands in the Eastern Georgian Kingdom	Western History Association 60th Annual Conference 2020 (აშშ),2020 წლის 17 ოქტობერი,კონფერენცია ჩატარდა ზუმის პლატფორმის გამოყენებით
მოხსენებაში საზღვრისპირა კვლევების ჭრილში შედარებულია ქართლ-კახეთის სამეფოში ლეკიანობა და მისი შედეგები კანზას-ნებრასკაში ამერიკის ინდიელთა რეიდებთან. შედარებითი საზღვრისპირა კვლევები დღეს ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური და პერსპექტიული სფეროა. მოხსენების მიზანია ქართლ-კახეთის სამეფოში ლეკების თარეშის ზონის საზღვრისპირა რეგიონად გაანალიზება და მისი თავისებურებების დადგენა (გეოგრაფია, დემოგრაფიული პროცესები, არქიტექტურა, სოციალური რეალობა). ამერიკელთათვის განსკაუთრებულ ინტერესს იწვევს კავკასიის საზღვრისპირა რეგიონების ისტორიის შედარება ძველი დასავლეთის მონაპირე ახალშენებთან.			

ერთეულს თუ საჭიროდ მიაჩნია, შეუძლია ანგარიშში შეიტანოს სხვა, მისთვის მნიშვნელოვანი აქტივობაც.

2020 წლის 4 ნოემბერი	ამერიკისმცოდნეობის ინსტიტუტმა უმასპინძლა ონლაინ საჯარო დისკუსიას ამერიკის შეერთებული შტატების 2020 წლის საპრეზიდენტო არჩევნების შესახებ. საჯარო დისკუსიას წარუძღვნენ თსუ პროფესორი ვასილ კაჭარავა, თსუ მოწვეული პროფესორი ქეთი როსტიაშვილი და პიტსბურგის უნივერსიტეტის მოწვეული ლექტორი ვასილ რუხაძე.
2020 წლის 25 დეკემბერი	ამერიკისმცოდნეობის ინსტიტუტმა ფილოსოფიის სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტთან ერთად გამართა სთუდენტთა ონლაინ თეორიული სემინარი: ამერიკული პრაგმატიზმი ამერიკულ კულტურაში. თეორიული სემინარი მოამზადა: ამერიკისმცოდნეობის მიმართულების დოქტორანტმა გიორგი თათარაშვილმა ასოც. პროფ. ანასტასია ზაქარიაძისა და ფილოსოფიის დოქტორის მოწვეული პროფესორის ნანა გულიაშვილის ხელმძღვანელობით.

ანგარიში წარმოდგენილი უნდა იყოს ნაბეჭდი (2 ეგზემპლარად) და ელექტრონული ვერსიის
(CD-დისკი) სახით.

ანგარიში, რომელიც არ არის შედგენილი ამ დანართის მოთხოვნების შესაბამისად, ექსპერტიზას (შეფასებას) არ ექვემდებარება და შეფასების შემაჯამებელ დოკუმენტში აღინიშნება ფორმულით „არ შეფასდა“.

ფილოსოფიის
სასწავლო-სამეცნიერო
ინსტიტუტი

ანგარიშის ფორმა №2

2020 წელს გაწეული სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ანგარიში
თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი ფილოსოფიის ს/ს ინსტიტუტი

სამეცნიერო ერთეულის სტრუქტურა და პერსონალური შემადგენლობა:

ფილოსოფიის ს/ს ინსტიტუტის ხელმძღვანელი: დემურ ჯალაღონია პროფესორი

ფილოსოფიის ისტორიის კათედრა

1.ლელა ალექსიძე – პროფესორი (კათედრის ხელმძღვანელი)

2.მამუკა სურმავა – ასოცირებული პროფესორი

თეორიული ფილოსოფიის კათედრა

3. ვალერიან რამიშვილი-პროფესორი (კათედრისხელმძღვანელი)

4.ნაპო კვარაცხელია – ასოცირებული პროფესორი

5. ნინო თომაშვილი – ასოცირებული პროფესორი

პოლიტიკური ფილოსოფიის კათედრა

6. დემური ჯალაღონია-პროფესორი (კათედრის ხელმძღვანელი)

7. მამუკა დოლიძე – ასოცირებული პროფესორი

ესთეტიკის და კულტურის ფილოსოფიის კათედრა

8.აკაკი ყულიჯანიშვილი-პროფესორი (კათედრის ხელმძღვანელი)

9.ნანა გულიაშვილი-ასისტენტ.პროფესორი

ეთიკის და რელიგიის ფილოსოფიის კათედრა

10.ირაკლი ბრაჭული – ასოცირებული პროფესორი (კათედრის ხელმძღვანელი)

11.ანასტასია ზაქარიაძე – ასოცირებული პროფესორი

ანთიმოზ ივერიელის სახელობის ფილოსოფიურ-თეოლოგიური სამეცნიერო კვლევის ცენტრი, ხელმძღ. ასოც. პროფ. ა. ზაქარიაძე

- **შემდგომში, აღნიშნული რიცხვითი ნუმერაციით ნაჩვენები იქნება პროფესორების აქტივობები**

1.დემური ჯალაღონია-პროფესორი (კათედრის ხელმძღვანელი)

2.ლელა ალექსიძე – პროფესორი (კათედრის ხელმძღვანელი)

3.ვალერიან რამიშვილი-პროფესორი (კათედრის ხელმძღვანელი)

4.აკაკი ყულიჯანიშვილი-პროფესორი (კათედრის ხელმძღვანელი)

5.ანასტასია ზაქარიაძე – ასოცირებული პროფესორი

6.ირაკლი ბრაჭული – ასოც. პროფესორი (კათედრის ხელმძღვანელი)

7.ნაპო კვარაცხელია – ასოცირებული პროფესორი

8.ნინო თომაშვილი – ასოცირებული პროფესორი
9.მამუკა დოლიძე – ასოცირებული პროფესორი
10.მამუკა სურმავა – ასოცირებული პროფესორი
11.ნანა გულიაშვილი-ასისტენტ.პროფესორი

1. სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის პერსონალის მიერ შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

1.1.

№	გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	2	3	4
1	დამხმარე სახელმძღვანელო შუა საუკუნეების ფილოსოფიაში (ფილოსოფია, ფილოსოფიის ისტორია)	2020 წლის მარტი - 2021 წლის დეკემბერი	ლელა ალექსიძე
2	დამხმარე სახელმძღვანელო ძველი ქართული ფილოსოფიური აზრის ისტორიაში (ფილოსოფია, ფილოსოფიის ისტორია)	2020 წლის მარტი - 2022 წლის აგვისტო	ლელა ალექსიძე

გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2020 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

2.1. პროექტის მიზანია, შეიქმნას სახელმძღვანელო / დამხმარე სახელმძღვანელო შუა საუკუნეების ფილოსოფიაში, ძირითადად, ფილოსოფიის მიმართულების ბაკალავრიატის სტუდენტებისთვის. წიგნის გამოყენებას შეძლებენ აგრეთვე ფილოსოფიის სპეციალობის მაგისტრატურისა და დოქტორანტურის სტუდენტები, ბერძნულ-რომაული ფილოლოგიის (განსაკუთრებით ბიზანტინისტები) ყველა დონის სტუდენტები და ფართო პროფილის მედიევისტები, აგრეთვე შუა საუკუნეების ფილოსოფიითა და ზოგადად, ინტელექტუალური აზრით დაინტერესებული პირები.

ამ ეტაპზე (2020 წლის დეკემბრისთვის) შექნილია წიგნის სრული მაკეტი, ყველა თავით (სულ 15 თავი), სალექციო საუბრების სტილში, უახლესი სამეცნიერო სპეციალური ლიტერატურისა და პირველწყაროების გამოყენებით. წიგნი მოიცავს ფილოსოფიური აზრის ისტორიას ახ. წ.

მეორე საუკუნიდან (ვრცელი შესავალი ნაწილით ანტიკური და გვიანანტიკური ფილოსოფიიდან, აგრეთვე ძვ.წ. პირველი - ახ. წ. პირველი საუკუნეების მოაზროვნის, ფილონ ალექსანდრიელის შემოქმედების რამდენიმე ასპექტს) რენესანსის ეპოქამდე, ანუ ახ. წ. მე-15 საუკუნემდე (ბიზანტიური, არაბული და ებრაული ფილოსოფიების მიმოხილვის ჩათვლით). წიგნში აქცენტი კეთდება განსაკუთრებით იმ საკითხებზე, რომლებშიც ვლინდება მიმართება ანტიკურ და გვიანანტიკურ პლატონიზმთან. 2021 წლის ივნისამდე დაიხვეწება წიგნის შინაარსობრივი და სტილისტური მხარე, 2021 წლის დეკემბრამდე დაზუსტდება ბიბლიოგრაფია, დამოწმებები, ტექსტები და წიგნი მზად იქნება გამოსაცემად.
2.2. პროექტის მიზანია, შეიქმნას დამხმარე სახელმძღვანელო ძველი ქართული ფილოსოფიური აზრის ისტორიის კურსისთვის. წიგნი ორიენტირებული იქნება ფილოსოფიური შინაარსის გარკვეული ტექსტების ანალიზზე, თეორიული შესავლებით და განმარტებებით ბერძნული (ანტიკური) და პატრისტიკის ფილოსოფიიდან. 2020 წლის დეკემბრისთვის მთლიანად შედგენილია წიგნის მაკეტი, ის შედგება 14 თავისგან. განსაკუთრებული ყურადღება მასში ეთმობა იოანე პეტრიწის პროკლეს “თეოლოგიის საფუძვლებზე” კომენტარების ტექსტის ანალიზსა და ფილოსოფიურ განმარტებას. წიგნის მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს აგრეთვე ნემესიოს ემესელის, გრიგოლ ნოსელის, ამონიოს ერმისის, ფსევდო-დიონისე არეოპაგელის, იოანე დამასკელის და სხვა ავტორების ძველი ქართული თარგმანების ტექსტების ანალიზი. 2021 წლის ბოლომდე წიგნს მიეცემა სრულყოფილი სახე, დაზუსტდება ტექსტები, გაკეთდება დანართები და ბიბლიოგრაფია. 2022 წლის აგვისტომდე წიგნი მომზადდება გამოსაცემად. წიგნი შეასრულებს დამხმარე სახელმძვანელოს როლს (ტექსტებზე ორიენტაციით) ქართული ფილოსოფიური აზრის ისტორიის შემსწავლელი სტუდენტებისთვის. ის გამოდგება ზოგადად ფილოსოფიის დარგის ყველა დონის სტუდენტებისთვის, ბერძნულ-რომაული ფილოლოგიის (განსაკუთრებით ბიზანტინისტებისთვის) და ძველი ქართული ლიტერატურის შემსწავლელი სტუდენტებისთვის, ფართო პროფილის მედიევისტებისთვის, აგრეთვე ძველი ქართული ფილოსოფიური შინაარსის ტექსტებით და ნეოპლატონიზმით დაინტერესებული მკითხველებისთვის.

1.2.

№	დასრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	2	3	4
2.1	პლატონისა და არისტოტელეს ფილოსოფიების	2019-2020	ლელა ალექსიძე

	ურთიერთმიმართების საკითხი პეტრიწთან (ფილოსოფია, ფილოსოფიის ისტორია)		
2.2	პლეთონი არისტოტელეს პლატონისგან განსხვავების შესახებ (ფილოსოფია, ფილოსოფიის ისტორია)	2019-2020	ლელა ალექსიძე
2.3	სოკრატემდელი ფილოსოფია იოანე პეტრიწის კომენტარში პროკლეს “თეოლოგიის საფუძლებზე” (ფილოსოფია, ფილოსოფიის ისტორია)	2020-2020	ლელა ალექსიძე
2.4	განგებისა და ბედისწერის პრობლემა პლეთონთან (ფილოსოფია, ფილოსოფიის ისტორია)	2019-2020	ლელა ალექსიძე
2.5	მიზეზისა და შედეგის ურთიერთმიმართება იოანე პეტრიწის კომენტარში პროკლეს “თეოლოგიის საფუძვლებზე” (ფილოსოფია, ფილოსოფიის ისტორია)	2018-2020	ლელა ალექსიძე
2.6	განგებისა და ბედისწერის მიმართება პეტრიწთან (ფილოსოფია, ფილოსოფიის ისტორია)	2020-2020	ლელა ალექსიძე
2.7	დემიურგის საკითხი პეტრიწთან (ფილოსოფია, ფილოსოფიის ისტორია)	2020-2020	ლელა ალექსიძე
2.8	ონტოლოგიური იერარქია იოანე პეტრიწის კომენტრში პროკლეს “თეოლოგიის საფუძვლებზე” (ფილოსოფია, ფილოსოფიის ისტორია)	2018-2020	ლელა ალექსიძე
დასრულებული კვლევითი პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე) 2.1. პროექტის მიზანი იყო პლატონისა და არისტოტელეს ფილოსოფიებს და, შესაბამისად,			

ზოგადად პლატონურ და არისტოტელურ ტრადიციებს შორის განსხვავების ანალიზი იოანე პეტრიწის კომენტარში ნეოპლატონიკოსი პროკლეს “თეოლოგიის საფუძვლებზე”. პეტრიწის ნაშრომში ამ ორი უდიდესი ფილოსოფოსისა და, შესაბამისად, თითოეული მათგანის მიმდევრების შედარებასა და შეპირისპირებას მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა. არისტოტელესადმი პატივისცემის მიუხედავად, პლატონის უპირატესობა პეტრიწთან აშკარაა. პროექტის მიზანი იყო იმ საკითხების ანალიზი, სადაც პეტრიწი პირდაპირ, ექსპლიციტურად (და არა ანონიმურად) განიხილავს პლატონისა და არისტოტელეს ფილოსოფიების ურთიერთმიმართებას და იმ მიზეზების ცხადყოფა, რომელთა გამოც ის პლატონის ფილოსოფიას ამჯობინებს. კონკრეტულად განხილულია შემდეგი საკითხები: (1) პლატონიკოსების მიერ უსხეულო და სხეულოვან გვართა გარჩევა, ხოლო არისტოტელიკოსების მიერ მათი ერთმანეთში “აღრევა”. შესაბამისად, პლატონიკოსთა მიერ სულის უკვდავად მიჩნევა, და არა სხეულის “ენტელექიად”, განსხვავებით არისტოტელიკოსთა შეხედულებისგან. (2) პლატონიკოსთა მიერ უზენაესი საწყისისთვის შემოქმედებითი ფუნქციის მინიჭება, განსხვავებით არისტოტელესგან, რომელიც, პეტრიწის აზრით, შემოქმედებით მიზეზს უგულებელყოფს. (3) პლატონიკოსთა მიერ დროის როგორც მარადიულობის მოძრავი ხატის გაგება. (4) პლატონური ფილოსოფიის ლიდერობა მეტაფიზიკის/თეოლოგიის სფეროში, მაშინ როდესაც არისტოტელიკოსები და მისი მიმდევრები უფრო მეტად დახელოვნებული იყვნენ ფიზიკასა და ლოგიკაში; მათ ახასიათებთ თეოლოგიური საკითხების შესახებ მსჯელობა იმ ცნებებით, რომლებიც ფიზიკის სფეროს მიესადაგება, რაც, პეტრიწის თანახმად, არასწორია.

პროექტით გათვალისწინებულ ნაშრომში განხილულია აგრეთვე არისტოტელეს ფილოსოფიის ის თემებიც, რომელთა არისტოტელესეულ გააზრებას პეტრიწიც იზიარებდა. ასეთებია: (1) ლოგიკის კანონების მნიშვნელობა როგორც შესავლისა და ‘ინსტრუმენტის’ (‘ორგანონის’) მეტაფიზიკისა და ფიზიკის სფეროებში. (2) არსების, ძალისა და მოქმედების ურთიერთმიმართების თეორია. (3) გონებისა და გონისმიერი მოქმედების ობიექტის იდენტურობა. (4) მატერიის როგორც ფორმის ნაკლებობის გაგება. (5) სამყაროს მარადიულობის შესახებ თეზისი.

ყველა აღნიშნულ შემთხვევაში, სადაც პეტრიწი იზიარებს არისტოტელეს თეორიებს, მისი პოზიცია შეიძლება განპირობებული იყოს არა მხოლოდ უშუალოდ არისტოტელეს შრომებით, არამედ, უპირველეს ყოვლისა, მათი ნეოპლატონური ინტერპრეტაციითაც.

პროექტის თეორიული ღირებულება: პლატონისა და არისტოტელეს ფილოსოფიების ურთიერთმიმართების გაგება შუა საუკუნეების ფილოსოფიაში მდიდრდება პეტრიწის შემოქმედების კონტექსტში. თავად პეტრიწის თეორიის გაგებაც ამით ღრმავდება. კვლევის შედეგები წარმოადგენს მყარ ბაზას ანალოგიური თემების შედარებითი ანალიზისთვის ბიზანტიურ და რენესანსის ეპოქის ფილოსოფიებში.

პროექტის პრაქტიკული ღირებულება: პროექტის ამსახველი მოხსენება-სტატია ინგლისურ ენაზე დასრულებულია. მისი სრული ტექსტი გაგზავნილი, რეცენზირებული და მიღებული იყო მადრიდში, ანტიკური ფილოსოფიის საერთაშორისო კონფერენციაზე 2020 წლის აპრილისთვის (სექცია: “ანტიკური ფილოსოფიის პროექცია, გავლენა და რეცეფცია”). პანდემიის გამო კონფერენცია გადაიდო 2022 წლის ივნისისთვის. გათვალისწინებულია კონფერენციის მასალების სტატიების სახით დაბეჭდვა.

2.2. პროექტის თეორიული შედეგები: პლატონისა და არისტოტელეს ფილოსოფიების ურთიერთმიმართების კვლევა გვიანბიზანტიურ ფილოსოფიაში. თემა თავისთავად ძალიან მნიშვნელოვანია როგორც პლატონური და არისტოტელური ფილოსოფიების შუა საუკუნეებში გაგებისთვის, ასევე ჯერ არასაკმარისად საფუძვლიანად შესწავლილი გვიანდელი ბიზანტიური ფილოსოფიის კვლევისთვის, რაც, თავის მხრივ, იტალურ რენესანსში იმავე პრობლემატიკის კვლევის საფუძველი და აუცილებელი წინაპირობაა.
პროექტი დასრულებული სახით გაფორმებულია სტატიად ინგლისურ ენაზე.
ანოტაციისთის იხ. ქვემოთ, 6. 4 (5)

2.3.პროექტის მიზანი იყო იოანე პეტრიწის კომენტარში სოკრატემდელი ფილოსოფიის გაგებისა და პროკლეს ფილოსოფიასთან მისი შესაბამისობის ანალიზი. პროექტის კონკრეტულ ამოცანას წარმოადგენდა იმის ჩვენება, თუ როგორ იყენებს პეტრიწი სოკრატემდელ თეორიებს პროკლეს ფილოსოფიის განსამარტავად.

ნაშრომში სოკრატემდელი ფილოსოფია, პეტრიწის კომენტარების შესაბამისად, განხილულია შემდეგი თემების მიხედვით: (1) პლატონიზმი პლატონამდე: პეტრიწის შეხედულება იმათ შესახებ, ვინც, მისი აზრით, იყვნენ პლატონიკოსები პლატონამდე (აგლაოფამოსი, ორფევსი, ელეელები, პითაგორელები). ეს მოაზროვნეები, პეტრიწის თანახმად, პლატონიკოსთა მსგავსად და არისტოტელესგან განსხვავებით, მიჯნავდნენ უსხეულოთა გვარს სხეულოვნისგან. ნაშრომში დაწვრილებით განიხილება პეტრიწის ინტერპრეტაცია ხსენებული მოაზროვნეებისა. განსაკუთრებული ადგილი ეთმობა პარმენიდეს, რადგან სახელი "პარმენიდე" პეტრიწთან შეიძლება აღნიშნავდეს თავად ელეელ ფილოსოფოს პარმენიდეს, პლატონის დიალოგ "პარმენიდეს" და პროკლეს კომენტარსაც პლატონის "პარმენიდეზე". ზოგ შემთხვევაში ეს სამი "პარმენიდე" ერთმანეთშია შერწყმული. (2) ნაშრომის ერთი ნაწილი ეძღვნება ემპედოკლეს მნიშვნელობის კვლევას პეტრიწის კომენტარში. ემპედოკლეს პეტრიწი არ მოიხსენიებს პლატონიკოსთა ჯგუფში, თუმცა მის თეორიას იყენებს პროკლეს თვალსაზრისის განმარტებისთვის. (3) ნაშრომის კიდევ ერთი პატარა ნაწილი ეძღვნება ჰიპოკრატეს, რომელსაც პეტრიწი პროკლეს ფილოსოფიის ერთ-ერთი ძირითადი პრინციპის - "ყველაფერია ყველაფერში" საილუსტრაციოდ იმოწმებს. საერთო ჯამში, პეტრიწის ცოდნა სოკრატემდელი ფილოსოფოსების შესახებ დიდწილად ეფუძნება პროკლეს ნაშრომებს.

პროექტის თეორიული მნიშვნელობა: (ნეო)პლატონურად ორიენტირებულ შუა საუკუნეების ფილოსოფიაში სოკრატემდელი მოაზროვნეების ინტერპრეტაციის ანალიზი. პეტრიწის ტექსტის საფუძველზე სოკრატემდელი ფილოსოფოსების კვლევა იძლევა როგორც თავად სოკრატემდელი ფილოსოფოსების შესახებ ჩვენი ცოდნის გაფართოების შესაძლებლობას, ასევე წარმოადგენს ბაზას შედარებითი ანალიზისთვის სოკრატემდელი ფილოსოფიის ინტერპრეტაციისა ბიზანტიურ და რენესანსის ეპოქის ფილოსოფიებში.

პროექტი წარმოდგენილი იყო ინგლისურ ენაზე მოხსენების/სტატიის სახით 2020 წლის მარტში არგენტინაში, ბუენოს აირესში, საერთაშორისო კონფერენციაზე Forum for Advanced Studies Gaetano Massa. Renaissance, Ancient and Medieval Patterns. Barroque, Romantic and Modern Traces, სექციაზე Proclus, his predecessors, his reception, იხ. ქვემოთ, 7. 2 (1).

2.4. პროექტის მიზანი იყო, მე-14-15 საუკუნეების ბიზანტიელი პლატონიკოსის, გეორგიოს

გემისტოს პლეთონის ფილოსოფიაში გვიანანტიკურობის, შუა საუკუნეებისა და რენესანსის ეპოქების ფილოსოფიებისთვის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი თემის - განგებისა და ბედისწერის გაგების კვლევა. პლეთონი ემყარება ნეოპლატონიკოსებს, მაგრამ მათთან შედარებით, მისი შეხედულება განგებასა და ბედისწერაზე გაცილებით უფრო ფატალისტური და დეტერმინისტულია.

განგება და ბედისწერა პლეთონთან, ფაქტობრივად, გაიგივებულია. ეს ერთი ძალაა, რომელიც ყველგან, როგორც გონისეულ, ასევე ფიზიკურ სამყაროში მიზეზ-შედეგობრიობის კანონების თანახმად მოქმედებს. ვინაიდან, პლეთონის რწმენით, პირველსაწყისი კეთილია, ამიტომ ყველაფერი კეთილი განზრახვით და საზრიანი ჩანაფიქრით არის მოწყობილი. ადამიანის მიზანი და მისი თავისუფლების არსი იმაში მდგომარეობს, რომ მან ეს ჩანაფიქრი გონივრულად გაშიფროს და მის შესაბამისად იმოქმედოს, რაც, პლეთონის აზრით, ინდივიდუალური, საზოგადოებრივი, აგრეთვე ნაციონალური ხსნისა და წარმატების საწინდარი უნდა იყოს.

პროექტის თეორიული მნიშვნელობა: (1) ბიზანტიური ფილოსოფიის ჯერ არასაკმარისად ღრმად შესწავლილი წარმომადგენლის თეორიების კვლევა; (2) გვიანანტიკურობის, შუა საუკუნეებისა და რენესანსის ეპოქისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ფილოსოფიური თემის კვლევა და მისი გვიანდელი ინტერპრეტაციის თავისებურებათა გამოვლენა; (3) თემატური პარალელების გავლება პეტრიწის ფილოსოფიასთან.

პროექტის დასრულებული სახე წარმოადგენს პუბლიკაციას ქართულ ენაზე, ინგლისურ ენაზე რეზიუმეთი, იხ. ქვემოთ, 5. 5 (1).

2.5.პროექტის მიზანი იყო მიზეზობრიობის პრობლემისა და პარადოქსების კვლევა პეტრიწის კომენტარში. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო მიზეზებისა და შედეგების ურთიერთმიმართების საკითხებს. კვლევა, ძირითადად, სამი მიმართულებით წარიმართა: (1) მიზეზობრიობის ზოგადი აქსიომატური პრინციპები (მაგ. ყველაფრის პირველსაწყისი არის ტრანსცენდენტური ერთი, რომელიც ერთია და სხვა არაფერი; მიზეზი ყოველთვის აღმატებულია თავის შედეგზე; რაც უფრო უპირატესია მიზეზი, მით უფრო შორს ვრცელდება მისი ძალა; მიზეზობრიობის რიგი ვერ იქნება ვერც წრიული და ვერც უსასრულო და ა.შ.). (2) მატერიის მიზეზობრიობა (მატერია არაა არც ღმერთის შემოქმედებითი ძალის შედეგი, ის არც თანაარსია დემიურგის შემოქმედებითი მოქმედებისა - განსვავებით პლატონის "ტიმაიოსისგან"); მატერია არის უზენაესი ერთიდან არსთა გამოსვლის უკანასკნელი საფეხური, რომელიც სრული უფორმობა და არ-არსია, ისევე, როგორც პროკლესთან. (3) პირველსაწყისის პარადოქსი: ის სრულიად ტრანსცენდენტურია და თან ყველაფრის მიზეზია. რამდენად ურთიერთთავსებადია ეს ორი რამ?

პროექტის თეორიული მნიშვნელობა: იოანე პეტრიწის ფილოსოფიის სიღრმისეული კვლევა მიზეზობრიობის პრობლემის სხვადასხვა ასპექტით. თავისთავად, მიზეზობრიობის პრობლემა ფილოსოფიის ერთ-ერთი საკვანძო საკითხია, თავისი მრავალი განტოტებით. პეტრიწის ფილოსოფიაში ამ საკითხის კვლევა ქმნის ბაზას ამავე პრობლემის შედარებითი ანალიზისთვის გვიანანტიკურ, ბიზანტიურ (პატრისტიკის ჩათვლით), შუა საუკუნეების არაბულ და ლათინურ ფილოსოფიებში.

პროექტი დასრულებული სახით გაფორმებულია სტატიად ინგლისურ ენაზე საერთაშორისო კრებულისთვის, იხ. ქვემოთ, 6. 4 (1).

2.6.პროექტის მიზანი იყო, მეთორმეტე საუკუნის ქართველი (ნეო)პლატონიკოსის, იოანე პეტრიწის ფილოსოფიაში განგებისა და ბედისწერის თემების ურთიერთმიმართების განხილვა. პლოტინისა და პროკლეს მსგავსად, პეტრიწი განასხვავებს განგებასა და ბედისწერას. მის თანახმად, განგება ყველაფერს მართავს, ხოლო ბედისწერის (აუცილებლობის) ძალა შეზღუდულია ფიზიკური სამყაროთი. პროექტი ითვალისწინებდა განგებისა და ბედისწერის პეტრიწისეული თეორიის წარმოჩენას ისეთ ფილოსოფიურ ცნებებთან მიმართებაში, როგორიცაა ნება, თავისუფლება, ხვედრი, ბუნება, მიზეზობრიობა, აუცილებლობა, შემთხვევითობა, არჩევანი და ჩვენი შესაძლებლობები. პეტრიწის შეხედულებები გაანალიზებულია მის ნეოპლატონურ წყაროებთან მიმართებაში.

პროექტის თეორიული მნიშვნელობა: ანტიკური, შუა საუკუნეებისა და რენესანსის ფილოსფიისთვის უმნიშვნელოვანესი საკითხების კვლევა შუა საუკუნეების ქართული ფილოსოფიური აზრის წარმომადგენელთან, ანტიკურ (ნეოპლატონურ) წყაროებთან მისი შეხედულებების მიმართების გათვალისწინებით.

პროექტმა დასრულებული სახე მიიღო ინგლისურ ენაზე დაწერილი სტატიის სახით, რომელიც მიღებულია დასაბეჭდად, იხ. ქვემოთ, 6. 4 (2).

2.7. პროექტის მიზანი იყო პეტრიწის არაერთმნიშვნელოვანი თვალსაზრისის ანალიზი ხილული კოსმოსის შემოქმედის, პლატონის “ტიმაიოსის” დემიურგის შესახებ. პეტრიწის კომენტარში, ერთი მხრივ, უზენაესი ერთის და დემიურგის, როგორც სამყაროს წარმომქნელთა ფუნქციები ზოგ შემთხვევაში ერთმანეთს თითქოს ემთხვევა, თუმცა, მეორე მხრივ, დემიურგი შეესაბამება გონების უფრო დაბალ დონეს, ვიდრე “ნამდვილმყოფიც” კი. მეტიც: ზოგჯერ დემიურგი საერთოდ არ ჩანს პეტრიწთან ისეთ კონტექსტში, სადაც მკითხველი მის ხსენებას ელოდება. პროექტი ითვალისწინებს ამ სირთულეების წარმოჩენას და დასმულ შეკითხვებზე შესაძლო პასუხების გაცემას. ნაშრომი შედგება, შესავალი და დასკვნითი ნაწილების გარდა, შემდეგი თავებისგან: (1) პლატონის “ტიმაიოსის” დემიურგი პეტრიწთან; 2. “ნამდვილმყოფი”; 3. დემიურგთან დაკავშირებული სხვა პრობლემები; (4) “დემიურგიული მიზეზის” მნიშვნელობა.

პროექტის თეორიული შედეგები: ნაშრომი წარმოადგენს საფუძვლიან კვლევას შემოქმედებითი/დემიურგიული მიზეზის გაგებისა პეტრიწთან, რაც იძლევა მიმართებების გამოვლენის შესაძლებლობას როგორც კლასიკური და გვიანანტიკური ხანის პლატონიზმთან, ასევე შუა საუკუნეების იმ ფილოსოფიურ ტექსტებთან, სადაც დგას შემოქმედის, როგორც ფიზიკური სამყაროს შემქმნელის საკითხი და სადაც, პირდაპირ თუ ირიბად, საგრძნობია პლატონის “ტიმაიოსის” გათვალისწინება.

ნაშრომი წარმოდგენილია სტატიის სახით ინგლისურ ენაზე საერთაშორისო ფილოსოფიური ჟურნალისთვის, გავლილი აქვს რეცენზირება, რედაქცია და იბეჭდება, იხ. ქვემოთ, 6. 4 (3)

2.8. პროექტის მიზანი იყო პეტრიწის ფილოსოფიაში ონტოლოგიური იერარქიის კვლევა. ნაშრომი განკუთვნილი იყო უცხოელი სპეციალისტებისთვისაც, საერთაშორისო კრებულისთვის, რომელიც პროკლეს “თეოლოგიის საფუძვლებსა” და მის ტრადიციასა და ინტერპრეტაციებს ეძღვნებოდა. ამიტომ, უშუალოდ პროექტით გათვალისწინებული ფილოსოფიური თემის განხილვამდე, მას უძღვის ვრცელი შესავალი პეტრიწის ცხოვრებისა და შრომების შესახებ, ხელნაწერული ტრადიციის შესახებ (ქართული ვერსიის ნამატი და

ნაკლული თავების პრობლემის განხილვით), “კავშირნის” პეტრიწის შემდგომი ტრადიციის შესახებ (სომხური, ქართული). საკუთრივ ონტოლოგიური იერარქიის შესახებ ნაშრომის ნაწილი შედგება შემდეგი თავებისგან: (1) წინასწარი შენიშვნები: პეტრიწი თარგმანისა და კომენტარების თავისებურებები; (უსხეულო არსთა იერარქია; (3) იერარქიული სტრუქტურის საფუძვლები (არსთა საკუთრივი ‘ერთი’; ძალისა და მოქმედების დიალექტიკა; საყოველთაო განგება; შედეგის მიერ თავისი მიზეზის სიყვარული).

პროექტის თეორიული მნიშვნელობა მდგომარეობს პეტრიწის მეტაფიზიკისა და ონტოლოგიის სიღრმისეულ კვლევას, წარმოაჩენს (განსაკუთრებით ნეოპლატონიზმის უცხოელი სპეციალისტებისთვის) მისი ნაშრომის კვლევის აუცილებლობასა და მნიშვნელობას ანტიკური ნეოპლატონიზმის შუა საუკუნეების ფილოსოფიაში რეცეფციისა და ინტერპრეტაციის საკვლევად.

პროექტი დასრულებული სახით წარმოდგენილია სტატიად ფრანგულ ენაზე საერთაშორისო კრებულისთვის პროკლეს “თეოლოგიის საფუძვლების” შესახებ. სტატია რეცენზირებულია, გავლილი აქვს საბოლოო რედაქცია და იბეჭდება, იხ. ქვემოთ, 6. 4 (4).

2. შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტით დაფინანსებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

2.1.

№	გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	2	3	4
1.1	„ანთიმოზ ივერიელი-ევროპული სააზროვნო სივრცის ნაწილი“ (# FR-19-7625)ფუნდამენტური კვლევები/ ფილოსოფია	2020 მარტი-2022 მარტი	ძირითადი მონაწილე დემურ ჯალაღონია
3.1	„ანთიმოზ ივერიელი-ევროპული სააზროვნო	2020-2022	ძირითადი მონაწილე ვალერიან რამიშვილი

	სივრცის ნაწილი“ (# FR-19-7625)ფუნდამენტური კვლევები/ ფილოსოფია		
5.1	„ანთიმოზ ივერიელი-ევროპული სააზროვნო სივრცის ნაწილი“ (# FR-19-7625)ფუნდამენტური კვლევები/ ფილოსოფია	2020-2022	პროექტის ხელმძღვანელი-ანასტასია ზაქარიაძე
6.1	„ანთიმოზ ივერიელი-ევროპული სააზროვნო სივრცის ნაწილი“ (# FR-19-7625)ფუნდამენტური კვლევები/ ფილოსოფია	2020-2022	ძირითადი მონაწილე ირაკლი ბრაჭული

გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2020 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1.1, 3.1, 5.1, 6.1- ანოტაცია საერთოა პირველ ეტაპზე მოხდა სამეცნიერო ლიტერატურის დამუშავება .,კვლევის მიზნებისთვის ტექსტების შერჩევა, შერჩეული თემატიკის პილოტური კვლევა, ანთიმოზ ივერიელის მოღვაწეობის ისტორიული, კულტურული და თეოლოგიური სიტუაციის ანალიზი. პროექტში ჩართულ უცხოელ ექსპერტთან ბუქარესტის უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, პროფესორ ვიორელ ვიზურეანუსტან მიმდინარეობდა კონსულტაციები უწყვეტ რეჟიმში, ზუმის პლატფორმაზე, სკაიპ ჩართვების სახით და სხვა ელექტრონული კომუნიკაციის ფორმის გამოყენებით, მომზადდა ორი საერთაშორისო კონფერენციისათვის და ერთი საფაკულტეტო კონფერენციისათვის ანალიტიკური მოხსენებები, რომლის მასალები გამოქვეყნდა ელექტრონულად, ასევე ჩატარდა თეორიული სემინარი თეზისები განთავსდა ელექტრონულად, ჩატარდა სტუდენტთა ვორქშოფი ანთიმოზ ივერიელის ქრისტიანული ეთიკა, დაარსდა ანთიმოზ ივერიელის ელექტრონული ბიბლიოთეკა და განთავსდა ელექტრონული წიგნები, მასში ასევე განთავსდა პროექტით გათვალისწინებული ანთიმოზ ივერიელის თხზულებების „ძველი და ახალი აღთქმის სახეები“,“„ყოველთა წმინდათათა სახელობის მონასტრის მშენებლობასთან დაკავშირებით“ , ანთიმოზ ივერიელის პოეზია, თანამედროვეთა წერილები ანთიმოზ ივერიელის შესახებ თარგმნილი და კომენტირებული ტექსტები, ჩატარდა პირველი საანგარიშო წლინახევრის შედეგების შემაჯამებელი პრეზენტაცია.

2.2.

№	დასრულებული (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

	საიდენტიფიკაციო კოდი		
1	2	3	4
დასრულებული კვლევითი პროექტის 2020 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)			

3. უცხოური გრანტებით დაფინანსებული სამეცნიერო პროექტები

3.1. გარდამავალი პროექტი

№	გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი, დამფინანსებელი ორგანიზაცია/ სამეცნიერო ფონდი, ქვეყანა	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	2	3	4
გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2020 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)			

3.2. დასრულებული პროექტი

№	დასრულებული (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი, დამფინანსებელი ორგანიზაცია/სამეცნიერო ფონდი, ქვეყანა	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	2	3	4
დასრულებული კვლევითი პროექტის 2020 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)			

4. პატენტები

4.1. საერთაშორისო პატენტები:

№	საპატენტო თემატიკის სათაური	გამომგონებელი/ები და პატენტმფლობელი/ები	პატენტის საიდენტიფიკაციო კოდი

4.2. ეროვნული პატენტები

№	საპატენტო თემატიკის სათაური	გამომგონებელი/ები და პატენტმფლობელი/ები	პატენტის საიდენტიფიკაციო კოდი

5. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში

5.1. მონოგრაფიები/წიგნები

№	ავტორი/ავტორები	მონოგრაფიის/წიგნის სათაური, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1.1	გამომცემელი დემურ ჯალაღონია	შალვა ნუცუბიძე შუა საუკუნეების ფილოსო-ფიის ისტორია ISBN978-9941-13-944-4	თსუ გამომცემლობა	182
4.1	აკაკი ყულიჯანიშვილი	შემოქმედების ფენომენოლოგია	ელ ვერსიაwww.tsu.ge	300
11.1	ნანა გულიაშვილი აკაკი ყულიჯანიშვილი	რომანტიზმის ესთეტიკა	ელ. ვერსია www.tsu.ge განახლებული 2020	300

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1.1 შალვა ნუცუბიძის უაღრესად ორიგინალური ნაშრომი შუა საუკუნეების ფილოსოფიის ისტორია წარმოადგენს იმ ეპოქის კვლევას, რომელიც მოიცავს პერიოდს პროკლედან ნიკოლოზ კუზანელამდე. ნაშრომს ,,შუა საუკუნეების ფილოსოფიის ისტორია'' საფუძვლად უდევს შალვა ნუცუბიძის მიერ დამუშავებული ორიგინალური კონცეფცია არეოპაგეტიკის შესახებ, როგორც ანტიკურობიდან შუა საუკუნეების აზროვნებაზე გადასვლის, ორი ეპოქის შემაერთებელი მოძღვრების შესახებ.

ნუცუბიძის ნაშრომი წარმოადგენს პირველ ცდას ფილოსოფიის ისტორიის ყველაზე მეტად

რთული პერიოდის სისტემური განხილვისა და ახალი თვალსაზრისით დალაგებისა... ნაშრომში მოცემულია შუა საუკუნეების განვითარების გზისა და ძირითადი კანონზომიერების ახლებური გაგება...

ნაშრომი განკუთვნილია ფილოსოფიის საკითხებით დაინტერესებულ მკითხველთათვის.

4.1. წიგნში განხილულია თუ როგორ იქმნება პრაქტიკული სამყაროს ლოგოსი. განხილულია ქმედების თეორიები. ნაშრომის პოზიტიურ ნაწილში საუბარია შემოქმედების არსისა და პროცესის შესახებ, შემოქმედების ცნება დაკავშირებულია შექმნასთან, გამოგონებასთან. განხილულია შემოქმედების სახეები და გამოკვეთილია ესთეტიკური შემოქმედების სპეციფიკა.

5. 2. სახელმძღვანელოები

№	ავტორი/ავტორები	სახელმძღვანელოს სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
6.1	ირაკლი ბრაჭული	რა არის ფილოსოფია. დამწყებთა წიგნი	Carpe diem	175
8.1	ნინო თომაშვილი	ლოგიკა დამწყებთათვის	გამომცემლობა Carpe diem	150
9.1	მამუკა დოლიძე	ფენომენოლოგია, როგორც შემოქმედების ფილოსოფია ISBN 978-9941-9712-0-4	თბილისი. გამომცემლობა “საჩინო”	183
11.1	ნანა გულიაშვილი	ხელოვნების ფილოსოფია (სალექციო კურსი)	ელ ვერსია www.tsu.ge განახლებული 2020.	420

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

6.1 მსოფლიოს წამყვანი გამომცემლობები გვათავაზობენ მრავალნაირ პუბლიკაციებს ფილოსოფიის დამწყებთათვის, სავარჯიშოებით, სატრენინგო პროგრამებით, კომიქსებთა და ა.შ. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ფილოსოფია როგორც მოძღვრება, როგორც კულტურის წარმონაქმნი, მომავალში რადიკალურად შეიცვალოს და აზროვნების სხვა კრიტერიუმები იქნეს გამოყენებული, თუმცა საწყისების ცოდნა, მაინც აქტუალური იქნება. საერთაშორისო ენებზე ძალიან ბევრი წიგნი იწერება იმისათვის, რომ ფილოსოფიის მკითხველთა წრემ იარსებობს, ქართულად კი - ძალზედ ცოტა. ამ „სიცოტავის“ ნაწილობრივ შესავსებად გამოიცა ეს წიგნი. ის არ არის გათვლილი მხოლოდ ერთი რომელიმე ასაკობრივი ჯგუფისათვის. უბრალოდ დამწყებთათვისაა.

8.1 ლოგიკა დამწყებთათვის წიგნში განხილულია ლოგიკური აზროვნების თავისებურებები. განმარტებულია ლოგიკის ძირითადი ცნებები, დასკვნის სახეები; გაანალიზებულია სწორი და თანმიმდევრული ბჭობის კანონზომიერებანი, დასაბუთებაში შეცდომების ტიპები და ალოგიზმები. ლოგიკის საკითხებით დაინტერესებულ მკითხველს წიგნი გააცნობს ლოგიკის მეცნიერების განვითარების მცირე ისტორიასაც, თანამედროვე ლოგიკის მიმდინარეობებს და პრობლემებს. თეორიული მასალის პარალელურად თითოეულ თემას ახლავს შესაბამისი პრაქტიკული სავარჯიშოები. წიგნი დამხმარე სახელმძღვანელოა ლოგიკის შემსწავლელი სტუდენტებისათვის.
9.1 ფილოსოფიური ესსეების, იმპროვიზაციების და ლექციების კრებული გადმოგვცემს ჩვენს მიერ ჩატარებულ ფენომენოლოგიურ კვლევათა ახალ მასალას, რაც ბოლო წლებში ლოგიკურად ჩამოყალიბდა და შინაარსობრივად გაიშალა ლოკალურ და საერთაშორისო ფილოსოფიურ კონფერენციებზე მონაწილეობის და მსოფლიო სამეცნიერო ჟურნალებში ასახული შრომების საფუძველზე. კვლევა-ძიება წარმოადგენს ედმუნდ ჰუსერლის მოძღვრების ინტერპრეტაციას, ანა-ტერეზა ტიმიენიჩკას სიცოცხლის ფენომენოლოგიის, იურგენ ჰაბერმასის კომუნიკაციური თეორიის, მარტინ ჰაიდეგერის ახალი ონტოლოგიის, ეგზისტენციალიზმის და პოსტმოდერნული სოციოლოგიის ჭრილში. იმპროვიზაცია ფენომენოლოგიური ფილოსოფიის თემაზე შეადგენს ახალ თვალსაზრისს ჰუსერლის იდეათა შემდგომი განვითარების შესახებ თანამედროვე აზროვნების პერსპექტივაში. წიგნი შეიძლება გამოყენებულ იქნას სახელმძღვანელოს სახით ფილოსოფიის ფაკულტეტის სტუდენტების და დოქტორანტებისთვის. კრებული ნაწილობრივ მოიცავს ლექციების კურსს, წაკითხულს იტალიაში, მაჩერატას უნივერსიტეტში (2017 წ.) და გადმოგვცემს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩატარებულ ლექციათა ძირითად შინაარსს. (2012 – 2020 წწ). პირველი ნაწილი ეძღვნება ჩვენს ორიგინალურ კვლევებს ფენომენოლოგიის, როგორც შემოქმედების ფილოსოფიის თემაზე, მეორე ნაწილში კი წარმოდგენილია საქართველოში და საზღვარგარეთ წაკითხული ლექციების კურსი. სამეცნიერო ტექსტს წინ უძღვის ბატონ ანზორ ბრეგაძის რეცენზია, ზოგადად რომ განიხილავს ჩვენს მიერ ჩატარებულ ფენომენოლოგიურ კვლევებს და კერძოდ ამ კრებულსაც შეეხება. მადლობას ვუძღვნით მას და ყველა ჩვენს კოლეგას, როგორც ქართველს, ასევე უცხოელს, ნაყოფიერი შემოქმედებითი ურთიერთობის გამო. ამ ხანგძლივმა ფილოსოფიურმა მეგობრობამ შექმნა ინტელექტუალური განწყობა, შემეცნებითი სიტუაცია; ხელი შეუწყო ახალი იდეების დაბადებას, განამტკიცა ჩვენი მეცნიერული რწმენა. მათთან სულიერმა სიახლოვემ და თანაზიარმა აზროვნებამ მოგვცა ის შედეგები, ესეისტური იმპროვიზაციების სახით რომ შევიდა ამ სამეცნიერო ნაშრომში.
11.1 წიგნი წარმოადგენს სალექციო კურსს. მასში განხილულია ხელოვნების ფილოსოფიის

საკითხები . ანტიკური პერიოდიდან პოსტმოდერნიზმის ჩათვლით ფილოსოფოსების დამოკიდებულება ხელოვნების მიმართ და ხელოვნების განსაკუთრებული ადგილი მათ ფილოსოფიაში. კლასიკური და მოდერნისტული ხელოვნების განსხვავება და მოდერნიზმის დაპირისპირება კლასიკურ ხელოვნებასთან. . მოდერნისტული მწერლობა, დრამატურგია, კინემატოგრაფია, სახვითი ხელოვნება.ასევე განხილულია: კაფკას, კამიუს, ჯოისის და სხვათა შემოქმედების ხილოსოფიური ანალიზი.

5.3. კრებულები

№	ავტორი/ავტორები	კრებულის სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
3.1	რამიშვილი ვალერიანი	საერთაშორისო კონფერენციის მოხსნებათა კრებული „სამართლის და მორალის მიმართება თანამედროვე საზოგადოებაში“ ISBN 978-617-7845-20-0	ხარკოვი, უკრაინა იაროსლავ ბერძენის სახელობის ხარკოვის იურიდიული უნივერსიტეტის გამომცემლობა	4-14

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

3.1ადამიანური ღირსების მეტაფიზიკა

ავტორის მიზანია არ იმის განვსაზღვრო რა არის ადამიანის ღირსება, ან რატომ არის ადამიანისათვის მნიშვნელოვანი ღირსება, არამედ თუ რა სათნოების გამო აქვს ადამიანის ყოფიერებას ღირსება,არამედ ამოვდივარ ადამიანის ღირსების არსებობის ფაქტიდან და მსურს ცხადვყო თუ რაზე შეიძლება დავაფუძნო ადამიანის ღირსების ფაქტი. ჩვენ ამოვდივართ იმ ფაქტიდან, რომ ღირსების გაგება (რაც ყოფიერების გაგების ერთერთი ფორმაა) ყველას აქვს,მაგრამ ღირსეული ყოფიერება ერთეულების ხვედრია. როგორ ხორციელდება ადამიანის მიერ ღირსეული ყოფიერების ფაქტი. ღირსებას ჩვენ უფრო კარგად ვამჩნევთ, როდესაც ღირსება არ არსებობს და ეს განცდა ჩვენთვის მტკივნეულია და მიგვაჩნია, რომ ის ადამიანად ყოფნისათვის აუცილებელია. ადამიანს რადგან აქვს ღირსება მას აქვს უფლება მოითხოვოს პატივისცემა.

მე მაინტერესებს ღირსების მაგალითი, რაც ადამიანურობის ეტალონია. ღირსება, რომელიც გამომდინარეობს საკუთარი ადამიანურობის პატივისცემიდან. რა სახის ცოდნას ეფუძნება ეს ღირსება, რომელიც თავისუფალია აღიარების,შეფსებითი, სოციალური და პოლიტიკური გავლენისაგან. სწორედ ასეთი ღირსების მაგალითი არის ზნეობრივი

რევოლუციის საფუძველი.

ღირსება, როგორც პრეზუმფცია, მნიშვნელობს, მაგრამ პრეზუმფციული ღირსების გვერდით როგორ ავანთოთ ადამიანში ღირსული ყოფიერების აუცილებლობა. ღირსება აღიარებულია, მაგრამ ადამიანის ღირსეული ქცევა იშვიათია, რატომ ხდება ასე? მე სწორედ ეს იშვიათი ღირსეული ყოფიერების საფუძველი მაინტერესებს, რითაც ადამიანი უპირისპირდება გაბატონებულ ღირებულებათა კოდექსს.

ადამიანის ღირსების თეოლოგიური არგუმენტი ეფუძნება ადამიანის როგორც განსაკუთრებულ არსებულის აღიარებას. ადამიანის ღირსება დაფუძნებულია მის განსაკუთრებულობაზე. ადამიანის განსაკურებულობა განსხვავებულად ვლინდება. ეს განსაკუთრებულობა მდგომარეობს იმაში, რომ: ჯერ ერთი, ადამიანი ღმერთის შექმნილია, მეორეც, ადამიანი შექმნილია ღმერთის ხატად და მსაგავსად, მესამეც, მხოლოდ ადამიანმა, როგორც ღმერთის შექმნილმა, სხვა ქმნილებებისაგან განსხვავებით იცის და უყვარს ღმერთი. ადამიანის მიერ საკუთარი ღირსების გაცნობიერების საფუძველია ამ ფაქტის გაცნობიერება. ესაა ღირსების საფუძველი, ადამიანს საკუთარ თავში ამის ცნობიერება არის მისი ღირსების საფუძველი . ღირსების სეკულარული დაფუძნება ღირსების სეკულარული დაფუძნება ღირსების რელატიური გაგებას ემყარება. მაგრამ ღირსება არ არის დამოკიდებული ადამიანის ცხოვრებისეული პირობების ხასიათზე. ასეთი ღირსება არის ადამიანისადმი გარეგანი და შემთხვევითი და არა აუცილებელი და ადამიანურობის არსი. ღირსება აღარ არის ადამიანის უცილობელი მახასიათებელი, არამედ შეფარდებითია და დამოკიდებულია: ადამიანის უნრებზე, ცხოვრების ხარისხზე, ცხოვრებისეულ წარმატებებზე. ადამიანის ღირსება ეფუძნება ამ ადამიანის განსაკუთრებულ ინტელექტუალურ უნარებს, ცხოვრებისეულ წარმატებებს. რასაც აპია მიიჩნევს აღიარებაზე დაფუძნებულ ღირსებად. სეკულარიზმი ადამიანის განსაკუთრებულობას, რასაც ეფუძნება ადამიანის ღირსება ხედავს ადამიანის უნარებში: ადამიანის გონიერებაში, პიროვნულობაში, თავისუფლებაში, ზნეობრიობაში. ღირსება, რომელიც ემყარება ღმერთის რწმენას და ღირსება რომელიც ეფუძნება გონიერების უნარს. ამ დროს ღირსებას მოკლებულია ის, ვინც გონებრივად ჩამორჩენილია. ადამიანის ღირსება უპირატესობასთან აღმოჩნდა დაკავშირებული.

სეკულარული დაფუძნება ადამიანის ღირსება ეფუძნება ადამიანის გონიერებას, ზნეობრიობას, ავტონომიურობას. ადამიანის ღირსება ეფუძნება ამ ადამიანის განსაკუთრებულ ინტელექტუალურ უნარებს, ცხოვრებისეულ წარმატებებს. რასაც აპია მიიჩნევს აღიარებაზე დაფუძნებულ ღირსებად.

5.4. სტატიები ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდის (DOI) მითითებით

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათა-ური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI	ჟურნალის/ კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1 2					

3					
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)					

5.5. სტატიები ISSN-ის მითითებით

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათა-ური, ISSN	ჟურნალის/ კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1.1	დემურ ჯალაღონია	უცნაური თავგადასავალი, შესავლის მაგიერი ISBN 978-9941-13-944-	შალვა ნუცუბიძის შუა საუკუნეების ფილოსოფიის ისტორია	უნივერსიტეტის გამომცემლობა	20
1.2	დემურ ჯალაღონია	კონსტანტინე კაპანელის ფენომენი, ISSN2233-3568	ფილოსოფიურ-თეოლოგიური მიმომხილველი N10,2020	უნივერსიტეტის გამომცემლობა	7
1.3	დემურ ჯალაღონია	ორგანოტროპული თეორია: ქართული სულის მეტაფიზი-კური გააზრება ISSN2233-3568	ფილოსოფიურ-თეოლოგიური მიმომხილველი N10,2020	უნივერსიტეტის გამომცემლობა	13
2.1	ლელა ალექსიძე	“განგება, ბედისწერა, ჩვენ: ნეოპლატონური პარადიგმები პეტრიწსა და პლეთონთან” (978-9941-18-348-5)	“ნეოპლატონიზმი: მოძღვრება და მისი რეცეფცია” (ედიტორი: თამარ ცოფურაშვილი)	თბილისი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა	გვ. 61-86
2.2	ლელა ალექსიძე	“Are we, as actors on the stage, still free? Plotinus’ Ennead on the Providence III 2	ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის კრებული (რედ. დალი	თბილისი, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი (2021)	11 გვ.

		(47)” (ისსნ ნომერი გამოქვეყნებამდე არაა ცნობილი)	ჩიტუნაშვილი, ხათუნა გაფრინდაშვილი)		
3.1	ვალერიანი რამიშვილი	ბედნიერება და ღირსების ფენომენი მ.ჰაიდეგერის ექსისტენციალურ ანალიტიკაში	ფილოსოფიურ-თეოლოგიური მიმომხილველი	თსუ გამომცემლობა	გადაცემულია დასაბეჭდად
4.1	აკაკი ყულიჯანიშვილი	ი. კანტის ანთროპოლოგია	ფილოსოფიური ძიებანი ტომი 24	ქ.თბილისი გამომც უნივერსალი	5
5.1	ანასტასია ზაქარიაძე	ჩ.ს. პირსი რა არის პრაგმატიზმი. ინგ. თარგმანი,	ფილოსოფიურ-თეოლოგიური მიმომხილველი # 10	თსუ გამომცემლობა	20
5.2	ანასტასია ზაქარიაძე	კომენტარები როგორ ესმის ჩარლზ სანდერს პირს პრაგმატიზმი	ფილოსოფიურ-თეოლოგიური მიმომხილველი # 10	თსუ გამომცემლობა	6
5.3	ანასტასია ზაქარიაძე	აზროვნების პრაგმატული დიზაინი წმინდა ანთიმოზ ივერიელი როგორც რელიგიურ და სეკულარულ დისკურსთა თანაარსებობის მოდელი	სამეცნიერო ჟურნალი ლოგოსი# 9	თბ. ქრისტიანული კვლევის საერთაშორისო ცენტრი	გვ. 49-56
6.1	ირაკლი ბრაჭული	ფილოსოფიის სამი კონტური	ფილოსოფიურ-თეოლოგიური მიმომხილველი # 10	თსუ გამომცემლობა	5

7.1	ნ. კვარაცხელია	სუბიექტ - ობიექტის გნოსეოლოგიური ერთიანობის ონტოლოგიური საფუძველი	,,ფილოსოფიური ძიებანი“ კრებული 24, 2020	,,უნივერსალი“, თბილისი	25-34
7.2	ნ. კვარაცხელია	შემეცნების მითოლოგიური გაგება	,,ფილოსოფიუი ძიებანი“ კრებული 24, 2020	,,უნივერსალი“ თბილისი	75- 88
8.1	ნ. თომაშვილი	ი. ვან ბენტემი დინამიური ლოგიკის თავისებურებათა შესახებ	ფილოსოფიურ თეოლოგიური მიმოხილველი #10	თსუ	132-139
8.2	ნ. თომაშვილი	ენის დომინანტი ფუნქციები ფილოსოფიური აზროვნების პროცესში	,,ფილოსოფიური ძიებანი“ კრებული 24,	გამ. ,,უნივერსალი“,	26-36
11.1	ნანა გულიაშვილი	ფრ. შლეგელი ანტიკური და რომანტიზმის ხელოვნების შესახებ	ფილოსოფიური ძიებანი ტომი 24	თბილისი გამომც. უნივერსალი	10

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1.1 შალვა ნუცუბიძის წრმოდგენილი ნაშრომი, შუა საუკუნეების ფილოსოფიის ისტორია ამ რთულ და მრავალფეროვან სააზროვნო თეოლოგიურ საღვთისმეტყველო და ფილოსოფიურ პრობლემატიკას აანალიზებს. მისი ორიგინალობა იმაშია რომ ამ კუთხით შუა საუკუნეების ფილოსოფია მკვლევარებს არ გაუაზრებიათ.

მისი აზროვნების სიდიადის წარმოსაჩენად მოგვყავს მისი შუა საუკუნების

ფილოსოფიის ლექციის ნაწილობრივ აღდგენილი ვარიანტი. რათა კიდევ ერთხელ დავრწმუნდეთ შალვა ნუცუბიძის მიერ გამოსაცემად გამზადებული წიგნის შუა საუკუნეების ფილოსოფიის ისტორიის და მის მიერ წაკითხულ ლექციების ციკლს შორის როგორი განსხვავებაა. (ყოველივე ეს ძალზედ სარწმუნო წყაროა, იმის თვალნათლივ დასანახად რომ შალვა ნუცუბიძის გამოსაცემად გამზადებულ შუა საუკუნეების ფილოსოფიის ისტორიას და ლექციების გაშიფრულ ვარიანტს შორის დიდი სხვაობაა).

შალვა ნუცუბიძემ შეძლო მსოფლიოს ელაპარაკა მის მიერ ორ დიდ უმნიშვნელოვანეს აღმოჩენაზე. მან დაამტკიცა, რომ ცნობილი არეოპაგიტული წიგნების ავტორია მეხუთე საუკუნის ქართველი მოღვაწე პეტრე იბერი. ხოლო აღმოსავლური რენესანსის თეორიის შექმნით კი, მან საკაცობრიო აზროვნებასა და კულტურულ-მეცნიერულ კვლევა-ძიებაში სრულიად ახალი სიტყვა თქვა; აღმოსავლური რენესანსი საუკუნეებით უსწრებს დასავლეთისას.

ვერ გავიხსენებთ ამ მასშტაბის მეორე ქართველ მოღვაწეს, რომელმაც უცხოეთში ეგზომ სიდიადით გაიტანა ქართული სახელი. საუბედუროდ მაინც ახერხებდნენ ადამიანები ამ ბუმბერაზი პიროვნების ნაშრომებისათვის სხვადასხვა დამამცრობელი ეპიტეტების მიკერებას. იმის გაუთვალისწინებლად, რომ ქართულ სინამდვილეს არ ჰყოლია ნუცუბიძის რანგის მოაზროვნე და კლასიკოსი ფილოსოფოსი.

1.2. კონსტანტინე კაპანელის ბიოგრაფია შეუსწავლელია. ძალიან მწირი ცნობები მოგვეპოვება მის შესახებ. ქართულ სააზროვნო სივრცეში იგი წარმოგვიდგება უცნაური ფენომენის მოაზროვნედ. თქვენ წარმოიდგინეთ, რომ მისი ბიოგრაფიული თავგადასავალი სოფელი კაპანადან (აბაშა) იწყება და გაგრძელდა გრენობლის უნივერსიტეტში, ეს ახალგაზრდობის პერიოდია, რომელიც სიღრმისეულად უნდა იქნას გააზრებული. საკვირველია, როგორ შეძლო მანამ ამ ,,გზის“ გავლა.

მისი მოღვაწეობა მრავალმხრივი იყო, რომელიც მოიცავდა სამეცნიერო, ლიტერატურულ, პედაგოგიურ და საგანმანათლებლო საქმიანობას.

ფართო იყო მისი სამეცნიერო-კვლევითი ინტერესები, რომელიც მოიცავდა ფილოსოფიას, სოციოლოგიას, ესთეტიკას, ევროპული და ქართული ხელოვნებისა და ლიტერატურის ისტორიას.

კაპანელის მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაში გადამწყვეტი როლი შეასრულა ნიცშეს, ბერგსონის, შპენგლერის, ბერდიაევის იდეებმა. ეს განსაკუთრებით ითქმის მისი ფილოსოფიური შემოქმედების ადრეულ პერიოდზე, როდესაც იწერება ნაშრომები: ,,ნიცშეანელობის ლაიტმოტივი'', ,,შემოქმედება და ტანჯვა'', ,,სული და იდეა''.

კონსტანტინე კაპანელი მეოცე საუკუნის მეორე ნახევარში ქმნიდა საკუთარ ახალსა და ორიგინალურ ფილოსოფიურ აზრს. მისი აზრები საგულისხმო იყო, როგორც ფილოსოფიაში, ასევე ლიტერატურის კველევაში. მის მიერ შემუშავებული ,,ორგანოტროპიზმი'' ფილოსოფიურ–სოციალური თეორიაა, რომელიც გამოირჩევა თავისი ორიგინალობით.

მან ორგანოტროპიზმის პრინციპებით გამოიკვლია ქართულ ლიტერატურა, ფილოსოფია, ხალხთა ყოფა და შეეცადა ქართული კულტურის ადგილის გაგებას მსოფლიო კულტურაში. ნაშრომის მიზანს წარმოაგენს ორგანოტროპისტული ფილოსოფიის გაშუქება, მის შინაარსზე საუბარი წარმოადგენს, ორგანოტროპიზმის

ჩარჩოებში მოქცეული ცხოვრების ფორმების კაპანელისეული გარკვევა და იმ ისტორიული პერიოდის მიმოხილვა, რომელ პერიოდშიც იქმნებოდა მისი შრომები.

ორგანოტროპიზმის ცნება-ეს არის თავისებური ბიოსოციალური ჰიპოთეზის შედეგი, და ამდენად იგი კაპანელმა ფილოსოფიური კვლევის ობიექტად აქცია.

კაპანელის ტერმინი ,,ორგანოტროპიზმი'' გამოხატავს აუცილებელ, უნივერსალურ, კორელაციურ კავშირს სამყაროს, საზოგადოების მოვლენებს შორის, რომლებიც არსებობს, გარკვეულ თანაფარდობაში იმყოფება, იცვლება და გარდაიქმნება ერთმანეთთან მიმართების საფუძველზე.

უნდა ითქვას, რომ კაპანელი საქართველოში სიცოცხლის ფილოსოფიის ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო წარმომადგენელია. ქართულ კულტურულ ტრადიციასთან სიცოცხლის ფილოსოფიის იდეების მორგებით მან საკუთარი ფილოსოფიური თეორიის შექმნა სცადა. სამწუხაროდ ტოტალიტარულმა რეჟიმმა მას არ მისცა საშუალება უფრო გაეღრმავებინა და განევითარებინა საკუთარი ორიგინალური ფილოსოფიური თეორია.

1.3 XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისში ამ საკითხების თეორიული დამუშავების ცდა იყო მიხაკო წერეთლისა და არჩილ ჯორჯაძის ნააზრევი ერის ყოფიერებისa და დანიშნულების თაობაზე. ქართული სულის მეტაფიზიკური გააზრება მოგვცა სერგი დანელიამ თავის ორიგინალურ ნაშრომში - ,,ვაჟა-ფშაველა და ქართველი ერი“, ხოლო კონსტანტინე კაპანელის სისტემური ნაშრომები - ,,ორგანოტროპიზმი“ და ,,ქართული სული ესთეტიურ სახეებში“ ამ თემის კრიტიკული დაძლევის მცდელობაა.

ეს მოაზროვნეები, ცნობიერად თუ არაცნობიერად, ილია ჭავჭავაძის გზის გამგრძელებლები იყვნენ, რომლებიც მოითხოვდნენ, დავფიქრებულიყავით ჩვენი ერის ყოფიერებაზე. აგვეხსნა, როგორ შევძელით, გაგვეძლო ისტორიის ქარტეხილებისთვის. გაგვეგო დღევანდელი ვითარება, რათა დაგვესახა სამოქმედო გეგმა. როცა დისკუსია მიმდინარეობდა, გამოვიდა კონსტანტინე კაპანელის უაღრესად საინტერესო ნაშრომები.

საკმაოდ დიდი დრო გავიდა და ბევრი რამ დაიწმინდა. კ. კაპანელზე დისერტაციებიც იქნა დაცული, ხოლო მივიწყებული მოაზროვნე გასული საუკუნის 90-იან წლებში ქართულ სააზროვნო სივრცეში პროფ. ედუარდ კოდუამ შემოიყვანა.

კონსტანტინე კაპანელის თხზულებები - ,,სული და იდეა“ და ,,ორგანოტროპიზმი“ 1989 წელს გამოვიდა, ხოლო 1996 წელს გამოვიდა ,,ქართული სული ესთეტიკურ სახეებში“, ,,ქართული ლიტერატურის სოციალური გენეზისი“ და ,,ქართული კულტურის სული“. კ. კაპანელის მოღვაწეობას ჩვენც მივუძღვენით მოკრძალებული სტატიები.

ჩვენს კვლევაში კონსტანტინე კაპანელის ნაშრომის ძირეული ანალიზი განაპირობა შემდეგმა გარემოებამ: XIX საუკუნეში ქართული სული, ხასიათი მთლიანად გამოვლინდა ქართულ ლიტერატურაში. სწორედ კულტურის ამ ფორმაში გამოიკვეთა ერის ფილოსოფიური, მსოფლმხედველობრივი და სოციოლოგიური ორიენტირი.

კონსტანტინე კაპანელი მასშტაბური, მრავალმხრივი ინტერესების მქონე მოაზროვნეა. ის ჩვეულებრივ ლოგიკურ ჩარჩოებში ვერ ეტევა. ამიტომ იგი ,,უცნაური“ პიროვნებაა. ამ უცნაურობით მას აქვს საინტერესო ხედვა და პრობლემებისადმი ახლებური მიდგომები. მისი დამსახურება XX საუკუნის ქართული ფილოსოფიისა და კულტურის წინაშე

უდავოდ დიდია და მომავალშიც მის ნააზრევს სიღრმისეული ანალიზი სჭირდება. 2.1. სტატია წარმოადგენს კვლევას განგებისა და ბედისწერის ურთიერთმიმართების საკითხებისა, ერთი მხრივ, იოანე პეტრიწის ფილოსოფიაში, მეორე მხრივ კი გვიანბიზანტიური ხანის პლატონიკოსის, პლეთონის შემოქმედებაში. ორივე ფილოსოფოსი საერთო წყაროებს ეყრდნობა. სტატიაში წარმოჩენილია მსგავსებები და განსხვავებები მათ შორის. ანოტაციისთის იხ. ზემოთ, 1. 2 (4 და 6).
2.2.სტატია წარმოდგენილია (მიღებულია დასაბეჭდად) ინგლისურ ენაზე, სათაურით: “ვართ თუ არა როგორც მსახიობები სცენაზე, მაინც თავისუფლები? პლოტინის ენეადა III 2 (47)”. სტატია ეძღვნება სამყაროს როგორც თეატრალური სცენის, ხოლო ადამიანებისა თავისი ბედისწერით - როგორც მსახიობების გაგებას პლოტინის რიგით 47-ე ენეადაში, სახელწოდებით “განგების შესახებ, ნაწილი 1”. სტატიაში შეკითხვების დასმისა და მათზე პასუხის გაცემის მცდელობის ფორმით განხილულია შემდეგი თემები: 1) როგორ შეესაბამება ადამიანის თავისუფლება, ღვთაებრივი განგება და ბედისწერა ერთმანეთს და როგორ აისახება მათი ურთიერთმიმართება სცენაზე თამაშში? 2) რა როლს ასრულებს მსახიობი, რომელსაც უკვე აქვს როლი სცენაზე (შესაბამისად, ცხოვრებაში) და იგივე ადამიანი, როგორც თავისუფალი პიროვნება (თუკი საერთოდ ის თავისუფალია), მთლიან კოსმიურ დრამაში, რომელშიც ყველა ვართ ჩართული; რამდენად ვართ თავისუფალი ჩვენს ცხოვრებაში ან ჩვენი როლის შესრულებისას? როგორ უნდა ითამაშოს მსახიობმა: საჭიროა თუ არა იმპროვიზაცია? თუ არა, მაშინ რა რჩება მსახიობის/ადამიანის თავისუფლებისგან? 3) რას წარმოადგენს მატერიალური სამყარო, რომლის სიმბოლოც არის სცენა? არის თუ არა ის გონითი სინამდვილის მხოლოდ ქვენა გამოვლინება და დაღმასვლა მატერიალურ სიმრავლეში თუ პირიქით, პლოტინი დადებითად აფასებს რაციონალური პრინციპის პროექციას კოსმოსში? 4) სად უნდა ვეძებოთ განსხვავება ადამიანებს, მათ ხასიათებსა და მოქმედებებს შორის? არის თუ არა ხასიათთა სხვადასხვაობის საწყისი გონით სივრცეში თუ გრძნობად სამყაროში? 5) შეიძლება თუ არა ითქვას, რომ ზოგი როლი კარგია და ზოგი ცუდი? პირველხარისხოვანი როლები უფრო მნიშვნელოვანია ვიდრე მეორეხარისხოვანი თუ არა? არის თუ არა კარგი ხასიათი (როლის სახით) უფრო მნიშვნელოვანი ვიდრე ცუდი? როგორ ერგებათ მსახიობებს როლები: შეესაბამება თუ არა როლები მათ ადამიანურ ხასიათს? მსახიობი/ადამიანი თუ თავის როლს ცუდად ასრულებს, ის მაინც ღირებულია თუ არა კოსმიური გადმოსახედიდან? 6) როგორია აუდიტორიის როლი - ადამიანებისა, რომლებიც სპექტაკლს უყურებენ? როგორ უნდა გაიგონ მათ და მიუსადაგონ პიესის სცენარი და თამაში თავის ნამდვილ ცხოვრებას? 7) არის თუ არა არსებითი განსხვავება ნამდვილ ცხოვრებასა და სცენაზე როლის შესრულებას შორის იმ პირების თავისუფლების თვალსაზრისით, რომლებიც ცხოვრებასა და სცენაზე მოქმედებენ? - ადამიანის ცხოვრების, როგორც სცენისთვის უკვე დაწერილი როლის გათამაშების გაგების ვითარებაში მისი - ადამიანის როგორ ადამიანის და როგორც მსახიობის თავისუფლების არეალისა და შეზღუდულობის გამოვლენას პლოტინის ამ ენეადაზე დაყრდნობით, აგრეთვე სხვა მომიჯნავე საკითხების კვლევას ეძღვნება ეს სტატია.
4.1. ნაშრომში ნაჩვენებია ი. კანტის კრიტიკამდელი ანთროპოლოგიური ჩანაწერების მნიშვნელობა. მასში განვითარებული იდეების განვითარება პრაქტიკული გონების

იდეების ჩამოყალიბებაში.
5.1. წინამდებარე თარგმანი წარმოადგენს საქართველოში, პრაგმატიზმის ფუძემდებლის ცნობილი ამერიკელი ფილოსოფოსის ჩარლზ სანდერს პირსის ნააზრევის გადმოქართულების პირველი მცდელობას. ჩარლზ სანდერს პირსის (Charles Sanders Pierce 1839-1914) როლი თვითმყოფადი ამერიკული ფილოსოფიის ფორმირებაში განუზომლად დიდია. მას უწოდებენ ამერიკული ოქროს ხანის ფილოსოფიის ბურჯს, ყველაზე ორიგინალურსა და მრავალმხრივს ამერიკელ ფილოსოფოსთა შორის, ამერიკის უდიდეს ლოგიკოს, ამერიკული პრაგმატიზმის ფუძემდებელს. ყველა ეს ეპითეტი დამსახურებულად ეკუთვნის თანამედროვეობის ერთერთ ყველაზე მნიშვნელოვან ფილოსოფოსს. პირსი ასევე გახლდათ სემიოტიკის- ნიშან-მნიშვნელობის ზოგადი თეორიის- როგორც დამოუკიდებელი მეცნიერების დამფუძნებელი და სემიოტიკური ფენომენოლოგიზმის ავტორი. მის თეორიას, მის ცალკეულ ფილოსოფიურ იდეებს დღესაც ხშირად მიმართავენ არა მხოლოდ ფილოსოფოსები, არამედ მეცნიერების მეთოდოლოგიური პრობლემებითა და სემიოლოგიური კვლევებით დაკავებული მეცნიერები. თანამედროვე ფილოსოფია და კონკრეტულად ამერიკული პრაგმატიზმი, წარმოუდგენელია პირსის გათვალისწინების გარეშე-მისი გაზიარებისა, ან კრიტიკული დაძლევის გარეშე.
5.2. პირსის პრაგმატიზმის ანალიზი აჩვენებს, რომ პრაგმატულად განმარტებული გნოსეოლოგიური დუალიზმი ვერ ხსნის სუბიექტ- ობიექტის დუალიზმს, ამიტომ იგი უბრუნდება მეტაფიზიკურ განზომილებას და გვთავაზობს სინექიზმის, კოსმიური გრძლივობისა და უწყვეტობის, ანუ უნივერსალური „ცნობიერების“ მოქმედების რეალიზაციის თეორიას. პრაგმატიზმი, როგორც იგი ესმის ჩარლზ სანდერს პირსს, არ წარმოადგენს არც მეტაფიზიკური დოქტრინას, არც საგნთა შესახებ ჭეშმარიტების დასაბუთების მცდელობას. პრაგმატიზმს იგი მიიჩნევს აბსტრაქტული კატეგორიებისა და რთული ცნებების ცხადყოფის მეთოდად, რომელსაც ევალება ინდუქციის გზით გადაწყვიტოს შემეცნების მართებულობის საკითხი.
5.3. თანამედროვე დასავლელი თეოლოგების წინაშე დგება სულიერი კრიზისის, დასავლური ეკლესიის კრიზისიდან გამოყვანის გადარჩენის ამოცანა. ისმის კითხვა-როგორ მოხდა რომ სულიერებისა და კულტურის გამოვლინებებმა-რაციონალობამ, მოდერნიზაციამ, ლეგიტიმურობამ დასავლეთში მიიღო უნივერსალური მნიშვნელადობა. ვებერი იტყვის, რომ - პროტესტანტიზმის ეთიკის დამსახურებაა ღირებულებათა ახალი სისტემის - სიცოცხლის ახალი სანქციონირებული სტილის, ქცევის ახალი ტიპის დამკვიდრება. კვლევა აჩვენებს, რომ წმინდა ანთიმოზ ივერიელის სოციალური პროექტი ქრისტიანული დისკურსის ველზე სეკულარულის თანაარსებობის წარმატებულ ნიმუშად წარმოდგება.
6.1„იეროფანია“ თანამედროვე მითისა და რელიგიის ფილოსოფიის ფუნდამენტური ცნებაა. ქართულად ითარგმნება როგორც „ხატჩენა“, ან „სასწაულჩენა“. ასე უწოდებენ საკრალურის გამოვლენას კულტურისა და ადამიანური ყოფიერების ძირითად ფორმებში

გაოვლენილ „წმინდას“. რ. ოტომ მის აღსანიშნავად გამოიგონა ტერმინი „ნუმინოზური“. ეს ტერმინები განავრცო და გარდიოზული მასალით შეავსო მირჩა ელიადემ თავისმრავალრიცხოვან შრომებსა და მხატვრულ ნაწარმოებებში. სტატიაში ნაცადია ამ მნიშვნელოვანი ფენომენის, უფრო სწორად ამ ფენომენის შესახებ ცნების არსებითი შინაარსის განსაზღვრა და ინტერპრეტაცია.

7.1 ადამიანის ნამოღვაწარ კულტურაში სუბიექტი და ობიექტი ერთიანობაშია მოცემული. კანტის გნოსეოლოგიის ძირითადი პრინციპის პერიფრაზი რომ გაგვეკეთებინა, შეიძლებოდა გვეთქვა: შემეცნების საგანი იგება სუბიექტის პრაქტიკულ - მწარმოებლური მოღვაწეობის პროცესში. შემეცნების ობიექტი, გარკვეული აზრით, იქმნება თვითონ შემმეცნებელი სუბიექტის აქტივობით, მაგრამ არა საკუთრივ შემეცნების პროცესში, როგორც ეს კანტს მიაჩნდა, არამედ ადამიანის სასიცოცხლო და პრაქტიკულ - გარდამქმნელი მოღვაწეობის შედეგად. ადამიანის, როგორც შემმეცნებელი სუბიექტის მიმართება თავის ობიექტთან უშუალო კი არ არის, არამედ ის მესამე სფეროთი - სოციალურ - ისტორიული ყოფიერებითაა გაშუალებული.

7.2 შემეცნების თავდაპირველი, წინარეფლექსური და წინაფილოსოფიური გაგებიდან ადამიანი გადავიდა მითოლოგიაზე, პირველყოფილი ადამიანის მიერ სამყაროს ათვისების ამ სპეციფიკურ ფორმაზე. გმირისა და ბედისწერის ურთიერთდამოკიდებულების საფუძველზე აიხსნება მითოსური აზროვნების თავისებურება, შემეცნების იმ მსოფლმხედველობრივი მოდელის ხასიათი, რომელსაც ეს აზროვნება ემყარება.

როგორც ცნობილია, ბედისწერის იდეა თუ მითოლოგემა ძველი ბერძნული მსოფლმხედველობის ცენტრალურ იდეას წარმოადგენს. მაგრამ ამთავითვე უნდა შევნიშნოთ: როცა ბედისწერის ფენომენზე, როგორც გარკვეულ მსოფლმხედველობის ელემენტზე ვლაპარაკობთ, სრულიად თავისებურ ვითარებასთან გვაქვს საქმე. იგი არ არის მხოლოდ „მსოფლმხედველობრივი“ წარმონაქმნი და, ამ აზრით, წმინდა „იდეოლოგიური“ მოვლენა. ბედისწერის პრინციპი მთელი ბერძნული ყოფიერების საფუძველში დევს და მეტ-ნაკლებად განსაზღვრავს მასზე აღმოცენებული ელინური კულტურის ყველა ძირითად ასპექტსა და ელემენტს. აქედან გამომდინარე, თუ ახლა ძველ ბერძნულ კულტურას, როგორც გარკვეულ სისტემურ მთლიანობას, ამ თვალსაზრისით შევხედავთ, დავინახავთ, რომ ამ კულტურის ყველა სტრუქტურულ ელემენტს, მის ყველა წარმონაქმნს ბედისწერის იდეის ბეჭედი აზის, ბედისწერის იდეითაა აღბეჭდილი. ამიტომ ბერძნული კულტურის არსებისა და საზრისის იმანენტური გაგების ცდა აუცილებლად ამ ვითარების გათვალისწინებასა და მუდამ მხედველობაში ქონას გულისხმობს.

8.1 ი. ვან ბენტემი დინამიური ლოგიკის თავისებურებათა შესახებ

თანამედროვე ჰოლანდიელი ფილოსოფოსი, მათემატიკოსი და ლოგიკოსი იოჰან ვან ბენტემის კვლევებში ლოგიკის, ფილოსოფიის, თამაშის თეორიისა და კომპიუტერულ მეცნიერებათა სხვადასხვა იდეის შესაბამისობის ახლებური მეთოდია ჩამოყალიბებული. ბენტემის აზრით, ლოგიკური გამოკვლევების განსაკუთრებულ ობიექტად უნდა იქცეს კომუნიკაციისა და ინფორმირებულობის ცნებები, რისთვისაც

საჭიროა ამ მიმართულებით განხორციელდეს ერთგვარი ,,დინამიური შემობრუნება“. იგი მიიჩნევს, რომ დასაბუთება ტრადიციულად ლოგიკაში გაგებულია როგორც მსჯელობათა კავშირი, რომელიც საფუძვლიანადაა გაწმენდილი იმ ფსიქოლოგიური ზეწოლისაგან რაც შესაძლოა შეგვხვდეს დასკვნებში. ბენტემი აქვე სვამს კითხვას: აქვს კი ლოგიკისათვის რაიმე მნიშვნელობა ფაქტებს ადამიანური განსჯის პროცესში, თუ ჩვენ უნდა შევისწავლოთ მხოლოდ სქემები დასაბუთებათა შორის და იმ სიმრავლეთა შორის, რომელთაც ლოგიკოსები ფორმალურ სისტემებს უწოდებენ?“

ბენტემი მიიჩნევს, რომ თუ კლასიკური ლოგიკა სწავლობდა მსჯელობებს და მათ შორის არსებულ უცვლელ გამომდინარეობას, დღეს გამომდინარეობა, როგორც ასეთი, უნდა განვიხილოთ ერთგვარ მოღვაწეობად, სადაც პროპოზიციები მოძრაობაში განიხილება. თანდათანობით განმტკიცდა აზრი, რომ მოღვაწეობის სხვადასხვა ფორმა, როგორიცაა ბჭობა, შეფასება, მტკიცებულებათა რევიზია და კომუნიკაცია, თავად წარმოადგენს ლოგიკის კვლევის ობიექტებს და რომ მათი დინამიური სტრუქტურა შესწავლილი უნდა იქნეს წმინდა ლოგიკური საშუალებებით. მაგალითად, უცნაური იქნება გარკვეული განსჯის დროს ,,ცოდნის“ საკითხი განხილული იქნეს სტატიკური თვალსაზრისით, ვინაიდან ,,ცოდნა“ ჩვეულებრივ წარმოადგენს იმ სხვადასხვა შემეცნებითი პროცესის რეზულტატს, რომელთანაც ადამიანი მუდმივ კავშირშია, თუნდაც იმით, რომ რეგულარულად ვსვამთ კითხვებს და ვიღებთ პასუხებს. ბენტემი ასეთ კითხვა-პასუხს მიიჩნევს მოღვაწეობის ისეთივე ლოგიკურ ფორმებად, როგორიცაა შედეგების გამოყვანა (გამომდინარეობა). სტატიკური ეპისტემიკური ლოგიკის ბუნებრივ დინამიურ დამატებად ბენტემი მიიჩნევს სწავლების ინდივიდუალური და სოციალური მექანიზმების თეორიას.

,,დინამიურ შემობრუნებას“ მოჰყვა ლოგიკის პერეორიენტაცია სტატიკურ მსჯელობათა სისწორის შესახებ. ამ პროცესში წარმოშობილ სირთულეებზე ყურადღება გაამახვილეს ფილოსოფოსებმა. აღინიშნა, რომ ლოგიკა გადაიქცა რთულ ტექნიკურ დისციპლინად, რომელიც ორენტირებულია პოტენციურად უსასრულო ფორმალური სისტემების სიმრავლეთა შიდა ამოცანების კონსტრუირებასა და კატალოგიზაციაზე. მეცნიერები მიიჩნევენ, რომ ასეთი სახის ლოგიკა გარკვეულ კრიზისშია, თუმცა მისი შემობრუნება პრაქტიკისკენ ანუ დეფორმალიზაცია, შესაძლოა გადაიქცეს ლოგიკის კიდევ ერთ, თუმცა განსხვავებულ კრიზისად - ლოგიკის ფსიქოლოგიზაციის დასაწყისად, როცა ლოგიკური შეცდომების ახსნა ხდება არა ლოგიკური, არამედ სოციოლოგიური და ფსიქოლოგიური მიდგომებით. (მაგ. როცა ბჭობა ხანგრძლივია, წანამძღვართა შინაარსი უჩვეულოა, ბჭობაში გამოვლენილია უყურადღებობა, ზედმეტი ემოციურობა და ა.შ.) ასეთ ტიპის კრიზისს ლოგიკამ ტრიუმფით დააღწია თავი მეოცე საუკუნის დასაწყისში და სავარაუდოა, რომ ,,პრაქტიკული შემობრუნება“ ამ საფრთხეს აღარ შეუქმნის.

ასეთი ვარაუდების პასუხად ბენტემი წერს, რომ ფრეგეს მკაცრი ,,ბარიერული თეზისი“ ანტი-ფსიქოლოგიზმის შესახებ, რაღაც დროის მანძილზე აქტუალური იყო, მაგრამ უკვე მოძველებულია. ლოგიკა და ემპირიული კოგნიტური მეცნიერებები დღეს ბევრ საინტერესო მიმართულებაში სასარგებლოდ იკვეთებიან. აბსტრაქტული თეორია, როგორც ახალი ინტელექტუალური პრაქტიკის ამგები, ყოველთვის მოქმედებს

რეალურ ქცევაზე, რადგან ის ყურადღებას აქცევს ადამიანის ქცევის წარმატებულ მოდელებს. მისი აზრით, ლოგიკისა და ადამიანის შემეცნებითი პრაქტიკის ურთიერთქმედება გაცილებით უფრო მრავალფეროვანია, ვიდრე ჩვეულებრივი ნორმატიულ-აღწერითი განსხვავებები. სწორედ ამიტომ, ბენტემის აზრით, ლოგიკა შეიძლება იყოს იმაზე ბევრად მეტი, ვიდრე ის რაც შექმნეს წინამორბედებმა.

ვფიქრობ, ლოგიკაში ,,დინამიური“ და ,,პრაქტიკული“ შემობრუნების ეს პროცესები არა-ურთიერთგამომრიცხავი პარალელიზმია. თანამედროვე ლოგიკამ უკვე შეძლო კაცობრიობისათვის შეეთავაზებინა ლოგიკის ახალი მიმართულებები მათემატიკური, მოდალური, პარათავსებადი და სხვ. ლოგიკების სახით. დინამიური ლოგიკაც ფილოსოფიის ამ დარგის შემდგომი განვითარების საფეხურია.

8.2 ენის დომინანტი ფუნქციები ფილოსოფიური აზროვნების პროცესში

ენა, რომელიც თავისი მნიშვნელობით მრავალფუნქციურია, ფილოსოფოსისათვის, პირველ რიგში, ფილოსოფიური განსჯის სტიმულატორი და სააზროვნო პროცესის შემოქმედია.

თუ ფილოსოფია მეცნიერებაა, მაშინ მეცნიერების ენის დომინანტი ფუნქციები ფილოსოფიისთვისაც არის დამახასიათებელი. მაგრამ თუ ფილოსოფია არის უკვე არსებული და ახლადწარმოშობილი აზრების კვეთა და მათი განსხვავებულ ინტერპრეტაციების, ტექსტების ერთობლიობა (როგორც ამას პოსტმოდერნისტები ამბობდნენ), მაშინ მისი ენის მთავარ ფუნქციებად წარმოგვიდგება კ. ბიულერის მიერ დასახელებული ენის, უფრო ზუსტად, მეტყველების სამი ფუნქცია: კომუნიკაციის, გამოხატვის და მიმართვის ფუნქციები, რომელთაც შეესაბამება გამოთქმათა, წინადადებათა სამი ტიპი: თხრობითი, ძახილის და მასტიმულირებელი. ბიულერის აზრით, კომუნიკაციური ფუნქცია ადამიანის ინტელექტს უკავშირდება, გამოხატვის ფუნქცია - ემოციას, მიმართვის ფუნქცია კი - თხოვნის, სურვილის, დარწმუნების სიტუაციებს. რ. იაკობსონი ფილოსოფიის ენის შემდეგ ფუნქციებს გამოყოფდა: ემოციური, კონოტატიური (მიმართვის ობიექტში გარკვეული განწყობის შექმნის ფუნქცია), პოეტური, მეტაენობრივი, დენოტაციური, კოგნიტური და ფატიკური ფუნქციები. ვფიქრობ, დასახელებულთაგან ყველაზე მნიშვნელოვანი ფილოსოფიურ დისკურსში ევოკაციური ანუ მასტიმულირებელი ფუნქციაა.

ევოკაციური (ევოკაცია - გამოწვევა, სტიმულირება) ფუნქცია მიმართულია მსმენელში გარკვეული აზრების, შეფასებების, გარკვეული ქმედების განხორციელებისათვის განწყობის შესაქმნელად. ენის ამ უნარს შეუძლია ფილოსოფიურ დისკურსში მონაწილე სუბიექტებში აღძრას კითხვებზე პასუხების ძიების სურვილი, როგორც ,,შინაგანი“, ისე ,,გარეგანი“ მეტყველების ფორმით.

11.1 სტატიაში განხილულია ფრიდრიხ შლეგელის შეხედულებები ხელოვნების და მშვენიერების შესახებ. განხილულია და კლასიფიცირებულია პოეზიის ანტიკური სკოლები: დორიული, ათენის, ალექსანდრიული და სხვ. გამოკვლეულია რომანტიკული ხელოვნების თავისებურება ანტიკურ ხელოვნებასთან შედარების ფონზე.

6. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა უცხოეთში

6.1. მონოგრაფიები/წიგნები

№	ავტორი/ავტორები	მონოგრაფიის/წიგნის სათაური, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1 2				
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)				

6.2. სახელმძღვანელოები

№	ავტორი/ავტორები	სახელმძღვანელოს სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)				

6.3. კრებულები

№	ავტორები	კრებულის სახელ-წოდება, საერთაშო-რისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1 2 3				
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)				

6.4. სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI ან ISSN	ჟურნალის/ კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1.1	დემურ ჯალაღონია	ანტიკურობის პოლიტიკური დისკურსის დილემურობა და არისტოტელისეული დეფინიციის - "Zoon politicon"-ის არსი ISBN 978-606-28-1012-2 . Dilemma of Ancient Political Discuss and the Essence of Aristotelian ,,Zoon Politicon"	ARISTOTLE: 2400 YEARS OF PHILOSOPHICAL TRADITION, (EDITORS CRISTIAN IFTODE, SAVU TOTU,	ბუქარესტის უნივერსიტეტის გამ-ბა, რუმინეთი UNIVERSITY OF BUCHAREST PUBLISHING PRESS 2	14
2.1	Lela Alexidze ანოტაციისთვის იხ. ზემოთ, 1. 2 (5).	"Cause and Effect in Ioane Petritsi's Commentary on Proclus' *Elements of Theology"* (ISSN ჯერ უცნობია)	"Reading Proclus and the *Book of Causes*". Volume 3. Ed. Dragos Calma. Series: Studies in Platonism, Neoplatonism, and the Platonic Tradition.	Leiden, Brill (2021)	15 p.
2.2	Lela Alexidze ანოტაციისთვის იხ. ზემოთ, 1. 2 (6).	"Providence and Fate in Ioane Petritsi's Commentary on Proclus' *Elements of Theology"* (ISSN ჯერ უცნობია)	"Neoplatonists and their Heirs: Christian, Jewish and Muslim". Eds. Eva Anagnostou-Laoutides and Ken Parry	Leiden, Brill (2021)	16 p.
2.3	Lela Alexidze ანოტაციისთვის იხ. ზემოთ, 1. 2 (7).	"The Demiurge in Ioane Petritsi's Commentary on Proclus' *Elements of Theology*" (საიდენტიფიკაციო კოდი ჯერ უცნობია)	"Revista Latinoamericana de Filosofía" (2021), Eds. Claudia D'Amico, Silvana Gabriela Di Camillo	Buenos Aires, Universidad de Buenos Aires	17 p.

2.4	Lela Alexidze ანოტაციისთვის იხ. ზემოთ, 1. 2 (8).	"La hiérarchie ontologique dans le commentaire de Ioane Petritsi sur *Les Éléments de théologie* de Proclus" (საიდენტიფიკაციო კოდი ჯერ უცნობია)	"Relire *Les Éléments de théologie* de Proclus. Interprétations, réceptions antiques et modernes". Éd. G. Aubry, L. Brisson, P. Hoffmann, L. Lavaud	Paris, Hermann, 2021	17 p.
2.5	Lela Alexidze	"Petritsi and Plethon on the Differences of Aristotle from Plato" (საიდენტიფიკაციო კოდი ჯერ უცნობია)	"Héritages platoniciens et aristotéliciens dans l'Orient et l'Occident (IIe-XVIe siècles). Actes du colloque de Tbilissi, juin 2019". Éds: Tiziana Suarez-Nani, Tamar Tsopurashvili	Fribourg, Scrinium Friburgense (2021)	19 p.
5.1	Anastasia Zakariadze	Hermeneutic Communication of Essential Cultural and Religious Texts (Anthim the Iberian	Doha International conference Materials-გადაცემულია დასაბეჭდად	Doha University Press.	9
5.2	Anastasia Zakariadze	THE COEXISTENCE MODEL OF RELIGIOUS AND SECULAR DISCOURSES: SAINT ANTHIM THE IBERIAN/	კრ-ში „Religion and Public Life/"რელიგია და საზოგა-დოებრივი ცხოვ-რება".	Book ID: 19146 Nova Science Publishers, Inc. NY	8
6.1	Irakli Brachuli	UNDERSTANDING THE PHENOMENON OF HIEROPHANY	კრ-ში „Religion and Public Life/"რელი-გია და საზოგადო-ებრივი ცხოვრება".	Book ID: 19146 Nova Science Publishers, Inc. N	8
6.2	ირაკლი ბრაჭული	გახანგრძლივებული შუა საუკუნე-ები ახალ ინგლი-სში და ევროპაში	ამერიკისმცოდნეობის 21-ე საერთა-შორისო კონფე-რენცია, მასალები	თსუ	7
9.1	დოლიძე მამუკა	ჩოგბურთი, როგორც	WayScience 2nd international and	Ukraina Dnipro 2020	4

		საშემსრულებლო ხელოვნება (თამაშის ფენომენოლოგია)	practical Internet Conference		

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1.1 კაცობრიობა XX საუკუნის ბოლოს და XXI საუკუნის დასაწყისში უმნიშვნელოვანესი სამეცნიერო-ტექნიკური გადატრიალების მოწმე გახდა. ,,თავბრუდამხვევი ისტორიული განვითარების პირობებში მრავალი ფაქტორი იკვეთება, საიდანაც შეიძლება გამოვყოთ ორი: ... ჯერ ერთი, ჩამოყალიბდა მსოფლიო საზოგადოება, რომელიც ცალკეული პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურალური ძალა მტკიცედ არის ერთმანეთთან დაკავშირებული; სხვადასხვა სასიცოცხლო სივრცე კი ერთმანეთს გამსჭვალავს. მეორე, არნახული განვითარება განიცადა ადამიანურმა შესაძლებლობებმა, კეთებისა და განადგურების ძალაუფლებამ“. მას შემდეგ, რაც ადამიანმა გონივრული თვალით შეხედა ბუნებას, გარეგან სამყაროს, მრავალი საუკუნის განმავლობაში ცვლიდა ცვლის მას, როგორც პირდაპირი, ისე ირიბი ზემოქმედებით, როგორც დადებითად, ისე უარყოფითად. ტექნიკური პროგრესი აჩქარებს წონასწორობის დარღვევას ბუნებასა და ადამიანის ურთიერთობებში. ჰაერი, წყალი, ნიადაგი... იმდენად გაიფლანდა, გამოიფიტა და გაჭუჭყიანდა, რომ ადამიანის ოიკოსი, როგორადაც წარმოგვიდგებოდა ბუნება ოდითგან აღარ შეესაბამება მის დანიშნულებას, ვერ ასრულებს თავის ფუნქციას.

როგორც გენონი რენე მიუთითებს: ცივილიზაცია მუდმივად ვერ განაგრძობს ერთი მიმართულებით სვლას. ერთ მშვენიე დღეს იგი შეიძლება მიადგეს ბოლო წერტილს, ან მთლიანად დაინთქას რაიმე კატაკლიზმში... შესაძლებელია დასასრულამდე კიდევ იყოს დროს.

XXI საუკუნის უმთავრესი პრობლემა არის მსოფლიოს რელიგიურ და მეცნიერულ ხედვას შორის ურთიერთკავშირის აღდგენა. სანამ მათ შორის ასეთი დამოკიდებულება არ დამყარდება, რეალურად ერთიან მდგრად მსოფლიოზე, საზოგადოებაზე, ჭეშმარიტი ჰუმანურ მიღწევებზე ლაპარკი ზედმეტი იქნება.

ქრისტიანობა უნდა იყოს ის საყრდენი, რომელიც არ დაუშვებს იმას, რომ ადამიანი სოციალურსა და ტექნიკურ ძალებს დაემონოს. არ დამონება ეს იქნება ადამიანის, საზოგადოების, კულტურის, ქვეყნების ჰუმანიზაცია. როგორც მაცხოვარი ბრძანებს: - “მე ვარ ნათელი ქვეყნის, ვინც გამომყვება, არ ივლის ბნელში, არამედ ექნება სიცოცხლის

1.2 პოლიტიკის ფილოსოფიის წარმოშობას კაცობრიობის ისტორიაში თავისი კონკრეტული დასაწყისი აქვს. იგი ძველ საბერძნეთში ჩაისახა და ჩამოყალიბდა ჩვენს წელთაღრიცხვამდე V-IV საუკუნეებში. ბერძენთა ამ უნიკალურ მიღწევას თავისი მიზეზები ჰქონდა. დღევანდელი საბერძნეთის ტერიტორიაზე, ბერძნებმა კლასიკური ხანის დასაწყისისთვის (VI-Vს. ქრისტეს წინ) შეიმუშავეს პოლიტიკური და სახელმწიფოებრივი ორგანიზაციის თავისებური ფორმა ქალაქი-სახელმწიფო (ბერძნულად “პოლისი”). ეს პოლისები მრავლად ჩამოყალიბდა და ისინი არაერთგვაროვანი იყო. პოლიტიკური წყობა ამ პოლისებში მოიცავდა ერთმანეთისაგან დიდად განსხვავებულ, მაგრამ მაინც მთელი რიგი არსებითი საერთო ნიშნების მქონე ფორმებს: მონარქიას-მეფობის სახით, არისტოკრატიას, დემოკრატიას, ოლიგარქიას, ტირანიას, რომლებიც ერთმანეთს ენაცვლებოდნენ, ხან მშვიდობიანი და ხანაც სისხლიანი შეტაკებების გზით.

ძველ საბერძნეთში პოლიტიკური ფილოსოფიის წარმოშობის ერთ-ერთი უმთავრესი ფაქტორი იყო ბერძენთა აზრის საერთო მეცნიერული მიმართულება და მეცნიერული აზროვნების კულტურა,

რომელიც კლასიკური ხანისათვის შეიმუშავეს. პოლიტიკის დარგშიც, ისევე როგორც სხვა მეცნიერებებში ბერძნები საგნებს აკვირდებოდნენ და ხსნიდნენ მოვლენებს მითოლოგიური და რელიგიური წარმოდგენების გარეშე, რაც მათ აიძულებდათ მოვლენათა მიზეზი თვით ამ მოვლენებში ეძებნათ.ამდენად პოლიტიკური ფილოსოფიის გაჩენის ერთ-ერთი მიზეზი მეცნიერულად ორგანიზებული მიმართულება იყო. ასევე მნიშვნელოვანია ქალაქ-სახელმწიფოში მოქალაქის თავისუფლება, რომელიც მას საშუალებას აძლევს თვალი გაუსწოროს სახელმწიფოებრივი და სოციალური ცხოვრების ნებისმიერ მოვლენას, მან იცის რომ ის მონაწილეობას იღებს მის მართვაში.
2.5ნაშრომის მიზანია, პლატონისა და არისტოტელეს ფილოსოფიების შეპირისპირების ფილოსოფიური ანალიზი შუა საუკუნეების 'პლატონური რენესანსის' ორ წარმომადგენელთან: იოანე პეტრიწის კომენტარში "თეოლოგიის საფუძვლებზე" (პეტრიწის შესახებ ნაწილის ანოტაციისთვის იხ. ზემოთ, 1. 2 (1) და მე-14-15 საუკუნეების ბიზანტიელი ფილოსოფოსის გეორგიოს გემისტოს პლეთონის ნაშრომში "არისტოტელეს პლატონისგან განსხვავების შესახებ". ორივე ფილოსოფოსი არისტოტელესთან შედარებით უპირატესობას პლატონს ანიჭებს. პლეთონის შემთხვევაში, გაანალიზებულია შემდეგი საკითხები: (1) პლატონისა და არისტოტელეს ზოგადი შეფასებები ისტორიულ კონტექსტში. (2) ღმერთის - პირველსაწყისის გაგება. (3) განსხვავება პლატონსა და არისტოტელეს შორის ფორმების (იდეების) გაგებაში; არსება, ძალა და მოქმედება ინდივიდუალური გონებებისა და სულების შემთხვევაში. (4) მიზეზიდან და დროში წარმოქმნის საკითხების "აღრევა" არისტოტელესთან. (5) შემთხვევითობის არსებობისა და განგების ყოვლისმომცველობის პრობლემა. (6) უნივერსალიების გაგებაში პლატონიკოსთა უპირატესობა. (7) პლეთონის ზოგადი ვერდიქტი არისტოტელეს ფილოსოფიის შესწავლასთან დაკავშირებით. სტატია წარმოადგენს ბაზას გვიანბიზანტიური და იტალიური რენესანსის ფილოსოფიებში პლატონისა და არისტოტელეს ფილოსოფიების დაპირისპირების შემდგომი კვლევისთვის.
5.1 ანთიმოზ ივერიელი როგორც წმინდანი და კულტურტრეგერი თანამედროვე პოსტსეკულარული პარადიგმის ცივილიზებული დიალოგის ფარგლებში ქმნის დისკურსის განსაკუთრებულ მოდუსს. ანთიმის მემკვიდრეობის კვლევის ექსისტენციონალური ვექტორი გვაძლევს მაგალითს თუ როგორ შეიძლება გაგებულ იქნეს ძირითადი რელიგიური და კულტურული ტექსტები და გადალახულ იქნეს სხვადასხვა სახის თანამედროვე კომუნიკაციური სიძნელეები. 5.2 დასავლური განმანათლებლობის ჩამოყალიბების ადრეულ ეტაპზე, მართლმადიდებელი ღვთისმეტყველი და ფილოსოფოსი წმინდა ანთიმოზ ივერიელი რთული ამოცანის წინაშე დადგა-მას უნდა დაეძლია და გადაელახა იმ პერიოდის პრიორიტეტული სააზროვნო ველის-განმანათლებლობის-სიძნელეები. გონების ბატონობის ეპოქა, -რაციონალიზმი რენესანსიდან მოყოლებული ზოგადკულტურულ ფენომენად იქცა. იგი მსჭვალავს მეცნიერებას, ფილოსოფიას, ლიტერატურას, ხელოვნებას, ყოველდღიურ ყოფას, სახელმწიფო მმართველობის ინსტიტუციებს, თეოლოგიას. სპეციალიზაცია და პროფესიონალიზმი ამ პროცესის ნიშნებია. სტატიაში ნაჩვენებია, ანთიმმა საკუთარი შემოქმედებითა და აქტივობებით შესძლო განეხორციელებინა ეპოქის მოთხოვნა შექმნილიყო იმგვარი სოციალური სისტემა, რომელიც ერთის მხრივ დაუშვებდა რაციონალურ გათვლას, ტექნიკური ცოდნისა და მეცნიერების ფართო გამოყენებას და ამავდროულად სამართლიანობის შენარჩუნებას.

6.1. 1620 წელი, როცა ატლანტიკის ოკეანეში ამერიკისკენ მიმავალ გემზე ბრიტანელმა პროტესტანტმა მიგრანტებმა შექმნეს მომავალი აშშ -ის კონსტიტუციის დიზაინი, შეიძლება ჩაითვალოს მსოფლიო ისტორიაში შუა საუკუნეების დასასრულად და ე.წ. ახალი დროის დასაწყისად, რომლის ძირითადი ნიშნებია: რეფორმაცია, საფრანგეთის დიდი რევოლუცია და განმანათლებლობა. ჰეგელი განმანათლებლობას განვითარების უმაღლეს საფეხურად და მსოფლიო ისტორიის დასასრულად მიიჩნევდა, რადგან აღსრულდა ისტორიის მიზანი - თავისუფლება. კონსტიტუციის წინაშე ყველა თავისუფალი და თანასწორია. ამერიკის ისტორია 1620 წლიდან მე-18 საუკუნის მიწურულს კონსტიტუციონალიზმის ტრიუმფალურ გამარჯვებამდე კარგად არის ცნობილი, ჩვენ ამჯერად ყურადღება შევაჩერეთ იმ ეპოქის "ბებერ ევროპაში", უფრო სწორად, ევროპის განაპირას, უკიდურეს საზღვრით ზონაში- ბალკანეთში დასავლური ცივილიზაციის ფორპოსტის, "დუნაის საგუშაგოს" ერთ-ერთი არქიტექტორის, უნგრო-ვლაჰეთის ქართველი მიტროპოლიტის ანთიმოზ ივერიელის მოღვაწეობის რამდენიმე კონცეპტუალურ შტრიხზე შევაჩერეთ ყურადღება. ანთიმოზ ივერიელის მრავალმხრივი და მრავალსახოვანი მოღვაწეობის მთავარი პოსტულატებია განათლება და თავისუფლება. ის არა ერთხელ აღნიშნავს, რომ იმ საფრთხეებიდან, რაც კაცობრიობას ემუქრება, უმთავრესია გაუნათლებლობა და უცოდინარობა. ქრისტეს პრინციპი მისთვის თავისუფლების პრინციპია, რომელმაც უნდა გარდაქმნას კაცობრიობა არამალადობრივი ფორმით-მადლით და განათლებით, ასე განმარტავს ის ფერისცვალების საიდუმლოს. ქრისტეს უნდოდა ყველა ერი მიეყვანა მისი პრინციპის ჭეშმარიტებამდე და მთელ დედამიწაზე გავრცელებულიყო თავისუფლება ანუ გამოხსნილიყო განსაცდელში მყოფი ღვთის ქმნილება

6.2 ანთიმი წერს, მონისათვის გათავისუფლებაზე სასიხარულო რა არის? და რა არის უცხოეთიდან სამშობლოში დაბრუნებაზე უფრო დიდი ბედნიერება?" (დიდაქეები, გვ.18) აქ ერთმანეთში გადაჯაჭვულია ავტობიოგრაფიული და კონცეპტუალური მხარეები.

ანთიმის პოლიტიკური ფილოსოფიის ქვაკუთხედს წარმოგვიდგენს მისი შემდეგი სიტყვები: " მეფის გვირგვინი გაყოფილია მღვდელმთავრის მიტრისაგან, მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ მეფეს არ გააჩნია (ეპისკოპოსის) სასულიერო ხარისხი, ის მაინც იღწვის ერის სიკეთისა და კეთილდღეობისათვის, როგორც ხორციელ და წარმავალ, ასევე სულიერ და მარადიულ საკითხებშიც".(დიდაქეები, 74)

თავისუფლების ტიპების იერარქიაში ანთიმი პრიორიტეტს ანიჭებს პოზიტიურ თავისუფლებას (უსასრულობის შემეცნება და ზიარება) ნეგატიურ თავისუფლებასთან შედარებით (თავისუფლება შიდუხჭირესა და შიშისაგან). თუმცა ამ სფეროში მთავარი მაინც ძალაუფლების შეზღუდვის პრინციპია.

9.1 ჩოგბურთის ფენომენოლოგიური ინტერპრეტაცია არ წარმოადგენს თამაშის მონაწილეთა ფიზიკური განვითარების გზამკვლევს და არც მათი ფსიქოლოგიური მომზადების საფუძველს. განსხვავება თამაშის ფსიქოლოგიასა და ფენომენოლოგიას შორის იმაში მდგომარეობს, რომ ფენომენოლოგიაში ფსიქოემოციური განცდა არ არის დეტერმინირებული გარეფაქტობრივი რეალობით, არამედ განიხილება როგორც თავისუფალი ფენომენი, რომელიც წინ უსწრებს ფაქტობრივ სამყაროს და თავისი შემოქმედებითი ძალისხმევით ქმნის ახალ რეალობას.

ასეთი შემოქმედებითი მიდგომა საშუალებას გვაძლევს შევადაროთ ჩოგბურთის მოედანი

თეატრალურ სცენას, ხოლო ჩოგბურთელი მსახიობს, რომელსაც ამოძრავებს არა ფიზიკური ბრძოლის სიტუაცია, არამედ თამაშის საშემსრულებლო ხელოვნების იდეა.

ჩოგბურთის არცერთი სახელმძღვანელო არ ისახავს ასეთ მიზანს. სახელმძღვანელო იწერება გამარჯვებულისთვის და არ ითვალისწინებს იმ ფაქტს, რომ თამაშს ჰყავს ორი მონაწილე : გამარჯვებული და დამარცხებული.

დამარცხებულის როლი არცთუ უმნიშვნელოა თამაშის დრამატურგიაში. როდესაც მოთამაშე აგებს, მას ეძლევა შესაძლებლობა დაისახოს სულ სხვა ამოცანა - ნაკლები იფიქროს ანგარიშზე. დასძლიოს შიში და სირცხვილი წარუმატებელი მოქმედების გამო, ყურადღება გადაიტანოს თამაშის ეფექტზე და არა ბრძოლის შედეგზე, განთავისუფლდეს მოგებისკენ სწრაფვის დეტერმინიზმისგან და ითამაშოს ლაღად, თავისუფლად, მეტი შემოქმედებითი ძალისხმევით და არტისტული გარდასახვის განცდით.

არსებობს ორი გზა, რათა მოთამაშემ შეასრულოს ეფექტური მოძრაობა და დარტყმა.

ა / ფიზიკური ვარჯიში, რომ ბურთთან მისვლა და ჩოგანის მოქნევა ხდებოდეს ავტომატიურად და იმპულსურად.

ბ/ ძლიერი განწყობა, სურვილი და სწრაფვა ასეთი მოძრაობის შესასრულებლად.

ფენომენოლოგია ირჩევს მეორე გზას.

თამაშის სურვილი შეიძლება არ გაჩნდეს თავისთავად. სურვილის გამოწვევას სჭირდება განსაკუთრებული, სულიერი წვრთნა, რომელსაც არ შველის არც ფსიქოლოგი და არც განწყობის თეორიის ზოგადი პრინციპების ცოდნა. ეს არის სრულიად თავისუფალი, ინდივიდუალური, შემოქმედებითი და განუმეორებელი წიაღსვლა, რომელიც არ ექვემდებარება განზოგადოებას მოთამაშის წარმოსახვა აქ უდიდეს როლს ასრულებს.

7. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

7.1. საქართველოში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1.1	დემურ ჯალაღონია	პოლიტიკურ-თეოლოგიური დისკურსი ანთიმოზ ივერიელის ,,თავდასაცავად დაწერილ უსტრებში” მომზადდა შოთა რუსთაველ-ის სესფ გრანტის „ანთიმოზ ივერიელი-ევროპული სააზროვნო სივრცის ნაწილი“ #FR-19-7625 ფარგლებში.	ივლისი 4-5, 2020 წ. თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, XIV საფაკულტეტო სამეცნიერო კონფერენცია
1.2	დემურ ჯალაღონია	პოლიტიკური თეოლოგიის დაფუძნების კონცეპტუალუ-რი	ამერიკისმცოდნეობის 21-ე ყოველწლიური საერთაშორისო

		გააზრების მცდელობა (ანთიმოზ ივერიელი-მეიფ-ლაუერის ხელშეკრულება), An Attempt of Conceptuali-zation of Political Theology's Foundation (Anthim the Iberian –"Mayflower Bill")	კონფერენცია
1.3	დემურ ჯალაღონია	მამარდაშვილის ფენომენი, Phenomenon of Mamardashvili	საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია: თბილისის სახელმწიფო უნივერსი-ტეტი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, ფილოსოფიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი, იუნესკოს პროგრამის ფარგლებში ფილოსოფიის მსოფლიო დღისადმი მიძღვნილი მერაბ მამარდაშვილი – 90, 2020 წლის 19 ნოემბერი
3.1	ვალერიან რამიშვილი	წარმოუდგენელის აუტანლობა	19-20 ნოემბერი 2020 თბილისი, საქართველო საერთაშორისო კონფერენცია „ფილოსოფია და თანამედროვეობა"
5.1	ანასტასია ზაქარიაძე	განათლების თეოკრატიული მოდელის ფილოსოფიური საფუძვლები (ანთიმოზ ივერიელი- პასტორი ჯონ კოტონი) https://www.tsu.ge/ge/faculties/humanities/news/IUwdNX-dD5mkh_Z0U/?p=1 (მოძიებულია 29. 05.2020)	ამერიკისმცოდნეობის ყოველწლიური მე-21 საერთაშორისო კონფერენცია, თსუ. 23-25 მაისი.
5.2	ანასტასია ზაქარიაძე	მხარტვული დისკურსის ქრისტიანული პარადიგმა https://www.tsu.ge/ka/faculty/ჰუმანიტარულ%20მეცნიერებათა%20ფაკულტეტი/news/საერთაშორისო-სამეცნიერო-	იუნესკოს ეგიდით ფილოსოფიის მსოფლიო დღისადმი მიძღვნილი საერთაშორისო კონფერენცია „მამარდაშვილი 90„ თსუ 11

		კონფერენცია---მერაბ-მამარდაშვილი-90. მოძიებულია 17. 11. 2020	ნოემბერი.
5.3	ანასტასია ზაქარიაძე	„ქრისტიანული ეთიკის პოსტბიზანტიური წაკითხვა“	XIV საფაკულტეტო სამეცნიერო კონფერენცია მიძღვნილი ოთარ ლორთქიფანიძისადმი-4.07.2020
6.1	ირაკლი ბრაჭული	გახანგრძლივებული შუა საუკუნეები ახალ ინგლისში და ევროპაში	ამერიკისმცოდნეობის ყოველწლიური მე-21 საერთაშორისო კონფერენცია, თსუ. 23-25 მაისი.
6.2	ირაკლი ბრაჭული	აბსურდი ჰიეროფანია	იუნესკოს ეგიდით ფილოსოფიის მსოფლიო დღისადმი მიძღვნილი საერთაშორისო კონფერენცია „მამარდაშვილი 90„ თსუ 11 ნოემბერი.
6.3.	ირაკლი ბრაჭული	საზრისთა დისკურსული ველი	XIV საფაკულტეტო სამეცნიერო კონფერენცია მიძღვნილი ოთარ ლორთქიფანიძისადმი-4.07.2020
7.1	ნ. კვარაცხელია	შენიშვნა კ. პოპერს მისი წიგნის ,,ღია საზოგადოება და მისი მტრები“ სათაურთან დაკავშირებით	2020 15 12 სამეცნიერო კონფერენცია, საქართველოს ფილოსოფიურ მეცნიერებათა აკადემია ზუმის პლატფორმა
8.1	ნ. თომაშვილი	ენა და არგუმენტაციის პრობლემები	2020 ნოემბერი თსუ ზუმის პლატფორმა
9.1	დოლიძე მამუკა	ამერიკული დემოკრატია და საბჭოთა იდეოლოგია. კონტრაპუნქტის პრინციპი	ამერიკათმცოდნეობის ოცდამეერთე საერთაშორისო კონფერენცია თსუ, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი. ამერიკათმცოდნეობის

			ინსტიტუტე, ივნისი 2020წ.
9.2	მამუკა დოლიძე	ფენომენოლოგია, როგორც შემოქმედების ფილოსოფია	თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, ფილოსოფიის სასწავლო სამეცნიერო ინსტიტუტი. მერაბ მამარდაშვილის მიმართ მიძღვნილი "იუნესკოს" საერთაშორისო კონფერენცია. 19 ნოემბერი 2020 წ.

მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა)

1.1პოლიტიკურ- თეოლოგიური დისკურსი ანთიმოზ ივერიელის ,,თავდასაცავად დაწერილ უსტრებში"

- *მომზადდა შოთა რუსთაველის სესფ გრანტის „ანთიმოზ ივერიელი-ევროპული სააზროვნო სივრცის ნაწილი" #FR-19-7625 ფარგლებში.*

ახალი დრო განსაკუთრებული ეპოქაა, -ფუძნდება ახალი პოლიტიკური აზროვნება, ახალი ლიბერალური ღირებულებებით, რომელიც ნასაზრდოები იყო ევროპული პოლიტიკური ფილოსოფიური იდეებით და განმანათლებლობით.

საფუძველი ეყრება სახელმწიფოს სრულიად განსხვავებულ მოდელს, რომელიც ატარებდა თეოკრატიის მოდელის საპირისპირო ნიშნებს. ნელ-ნელა ევროპაში არსებობას იწყებს სეკულარული სახელმწიფო.

სეკულარულ სახელმწიფოში მორწმუნეს ყველა საშუალება აქვს, რელიგიური წესით იცხოვროს და ამავე დროს იყოს სამოქალაქო საზოგადოების წევრი.

ახალი პოლიტიკური ორიენტაციების ცვლილებების პერიოდში ვლახეთის მიტროპოლიაში მოღვაწეობას იწყებს ახალი პოლიტიკური თეოლოგიური დისკურსის ,,გამტარებელი'' ანთიოზ ივერიელი. მის მოღვაწეობას შეიძლება ვუწოდოთ ახალი პოლიტიკური თეოლოგიური ხედვის დაფუძნების და პრაქტიკაში განხორციელების ეპოქა.

ამ პრობლემის ანალზისას განსაკუთრებული ყურადღებით უნდა მიექცეს ანთიმოზ ივერიელის ტრაქტატს ,,თავდასაცავად დაწერილი უსტარები'', სადაც ნათლად ჩანს მისი პოლიტიკური თეოლოგიური მრწამსი.

წმინდა წერილი მოუწოდებს ძლიერთა ამა სოფლისათა, რომ სახელმწიფოს ძალა ბოროტების შესაზღუდავად და სიკეთის მხარდასაჭერად გამოიყენონ.

ეკლესია უშუალოდ თვით ღმერთის მიერაა დაფუძნებული. ეკლესიის მიზანს ადამიანების მარადიულად გადარჩენა წარმოადგენს, სახელმწიფოს მიზანს კი წარმოადგენს ადამიანებისათვის მიწიერი კეთილდღეობის შექმნა.

სეკულარულ სახელმწიფოში ეკლესია არ არის გავლენიანი პოლიტიკური და ეკონომიური

ინსტიტუცია. მან უნდა შეასრულოს სასულიერო ცხოვრებისათვის მინდობილი საქმიანობა. სახელმწიფო და ხელისუფლება თავისუფალი უნდა იყოს ინსტიტუციური ეკლესიის ზეგავლენისაგან. სახელმწიფოს არ გააჩნია იურისდიქცია რელიგიურ საქმეებზე ჩარევისა.

უნდა აღინიშნოს, რომ ურთულეს საკითხთა წრესთან გვაქვს საქმე, რადგან ამ პერიოდში წინა პლანზე წამოწეულია დესაკრალიზაცია ანუ განღმერთება. ეკლესია არ განსხვავდება სხვა საერო ინსტუტებისაგან. ქრისტიანული ეკლესია მიაჩნდათ ადამიანთა გონებასა და სულიერ ცხოვრებაზე ბატონობად.

ქრისტეს ცნობილი სენტეციაში, -,,მიეცი კეისარსა კეისრისა''- ვლინდება უმაღლესი და უზენაესი საერო და საეკლესიო ხელისუფლების ურთიერთობის სიმფონიის პრინციპები.

ანთიმოზ ივერიელმა როგორც უმაღლესმა საეკლესიო იერარქმა, უმაღლეს საერო ხელისუფალთან კონსტანტინე ბრინკოვიანუსთან ერთად მოახერხა ამ ,,სიმფონიის პრინციპის'' განხორციელება,.

ბუნებრივია განმანათლებლობის და სეკულარული იდეებით გაჯერებულ დასავლეთში ხდებოდა პოლიტიკურ-რელიგიური ტრანსფორმაციები. ვლახეთის, მაშინდელი რუმინეთის მიტროპოლიტს ანთიმოზ ივერიელს განსაკუთრებული მოქნილი დიპლომატიის წარმოება უხდებოდა ახალი რელიგიური დოქტრინის და პოლიტიკური გზების ძიებაში, რადგან იგი მნიშვნელოვან პერსონას წარმოადგენდა და აქტიურად იყო ჩართული რუმინეთის საეკლესიო და პოლიტიკურ ცხოვრებაში.

მოხსენებაში წარმოდგენილი იქნება აღნიშნული პრობლემატიკის კონცეპტუალური ანალიზი.

1.2.“მეიფლაუერის ხელშეკრულების” არსი აღთქმული ქვეყნის, სრულიად ახალი პოლიტიკურ თეოლოგიური მსოფლმხედველობისა და ღირებულებების მატარებელი სახელმწიფოს შექმნის იდეას ემყარებას. პურიტანიზმის ინტელექტუალური ელიტის მიერ გაცხადებული ,,ახალი მრწამსი'', პოლიტიკური თეოლოგიის საფუძველზე აფუძნებდა ახალ პოლიტიკურ ერთობას.

პარალელურად განმანათლებლობის ეპოქის ევროპაში ახალი პოლიტიკური თეოლოგიური დისკურსის იქმნება ანთიოზ ივერიელის მიერ. მისი თხზულებებში, განსაკუთრებით ტიპიკონში ცენტრალურია იდეა რწმენისა და ცოდნის ერთიანობისა და ღმერთის მიერ შექმნილი ქვეყანის როგორც ყველასთვის თავისუფალის შესახებ. მისი პოლიტიკურ-თეოლოგიური მოწოდება მანიფესტივით ჟღერს ,,ხალხს, რომელსაც ღმერთი არ უყვარს და რომელსაც ჩვენი დამონება უნდა, უნდა ვებრძოლოთ“ მოხსენებაში ვეცდებით გავაანალიზოთ წარმოდგენილი ორი მოდელი, ორ განსხვავებულ სააზროვნო კონცეპტებს შორის დისკურია. რამდენადაა შესაძლებელი თეოლოგიურ საწყისებზე, სიკეთის, ღირსების, თავისუფლების მატარებელი სახელმწიფოს დაფუძნება.

1.3. მერაბ მამარდაშვილის მოღვაწეობა აღსავსე იყო ვარიაციებით, ყოველგვარი სისტემისა და განსაზღვრულობის წინააღმდეგ ილაშქრებდა. მისი ამოსავალი წერტილი ცნობიერებაში მიმდინარე პროცესების შესწავლასა და განმარტებაში მდგომარეობდა. ნუცუბიძის ფილოსოფია სისტემური, მტკიცე და წვრილმანურად განსაზღვრულია გერმანელი ავტორიტეტების წიაღში ჩამოყალიბებული თვალთახედვებით, რასაც ვერ ვიტყვით მამარდაშვილის ფილოსოფიაზე.

ეს უკანასკნელი ცდილობს მაქსიმალურად ამორფული ფილოსოფია შექმნას, თითქოსდა

უბრუნდება ანტიკურ ,,ჩვეულებას“ და ახერხებს ზეპირი ლექციებით გადმოსცეს საკუთარი აზროვნების ორიგინალობა.

მისი სიცოცხლის პერიოდში გამოვიდა რამდენიმე წიგნი, მაგრამ ვერც ერთ მათგანზე ვერ ვიტყვით, რომ სისტემურ ფილოსოფიასთან გვაქვს საქმე. ,,აზროვნების ფორმები და შიგთავსები“ გამოიცა 1968 წელს, რომელშიც, ძირითადად მისი ლექციების კურსია გაერთიანებული, ისევე, როგორც ,,ცნობიერების ტიპოლოგიაში“, რომელიც მისი სიკვდილის შემდეგ გამოიცა. აგრეთვე, ,,სიმბოლო და ეჭვი“ 1982 წელს, ა.მ. პიტიგორსკთან თანაავტორობით. აღნიშნულ წიგნში საუბრობს ფრანგული სტრუქტურალიზმის გავლენით, სადაც ვერბალური ბარიერი დაიძლევა ნიშანთა შინაგანი ფორმებით. მისთვის ეჭვი აზროვნებაა და სიმბოლოები - ფარული ნიშნებია.

ფილოსოფიურ აქტს მამარდაშვილი ისეთ აქტს უწოდებს, სადაც ონტოლოგიურად დაფუძნებულ ცნობიერებასთან ზიარება ხდება და ეს არის აქტი, რომელშიც ადამიანი სამყაროს კრავს.

ნიშანდობლივია ისიც, რომ სწორედ თბილისში დაბრუნებული მამარდაშვილის ნააზრევში ჩნდება სამშობლოს და დაბრუნების თემა, რომელიც თავდაპირველად წმინდად ფილოსოფიური რეფლექსიის საგანი იყო, შეიძლება ითქვას, რომ მამარდაშვილმა „პრუსტზე ლექციებში“ შექმნა ერთგვარი სამშობლოს მეტაფიზიკა, რომელთან დაბრუნებაც არა სივრცეში, არამედ დროში გამგზავრებით უნდა იყოს შესაძლებელი.

3.1 წარმოუდგენელის აუტანლობა

დასავლურმა აზროვნებამ შექმნა სამყაროს მოდელი, რომელშიც აღმოჩენილი იქნა სიცარიელე, თანამედროვე პოსტმოდერნული ეპოქის ადამიანის მდგომარეობა ასე ხასიათდება: “ჩვენ აღმოვჩნდით სიცარიელის წინაშე, რომელიც უნდა შევსებული იქნეს.” არა მარტო სამყაროში გაჩნდა სიცარიელე “ღმერთის სიკვდილის” შემდეგ, არამედ კანტის წმინდა ცნობიერება, როგორც ადამიანის შემეცნების უნარი, მასში მეტაფიზიკურის შემეცნების შესაძლებლობის ძიება, შეცვლილი იქნა ცარიელი ცნობიერებით, რაც პოსტსტრუქტურალიზმის და პოსტმოდერნის ერთერთი ძირითადი თემაა. ცარიელ ცნობიერებაში საერთოდ არ არის მეტაფიზიკის ნაშთი ან ნაკვალევიც კი. დღეს როგორია ყოფიერების ხედვის წესი? იგი აღარ არის არა მარტო მეტაფიზიკური, ტრანსცენდენტური, მოაზრებადი სამყარო, არამედ იგი გახდა უბრალოდ ”წარმოუდგენელი”, “უცხო”, “სხვა”, ყოფიერება წარმოსდგება როგორც ის, რისი წარმოდგენა შეუძლებელია. “სხვა” არის სრულიად ნეიტრალური გამოთქმა და მნიშვნელობა არ აქვს მას დავუძახებთ “დიდ სხვას” თუ ცარიელ ადგილს, რომლის დაკავება არ შეიძლება. აზრი, თავისი არსით, არის აზრი ყოფიერების შესახებ და რაც არ უნდა ეცადო, რომ აზრი დაკავებული იყოს არსებულით, მეტაფიზიკური მაინც შემოიჭრება მის გონებაში, რაც მისთვის “რეპრესიული ინსტანციად” რჩება, “თუმცა მასთან შეჯახებისას ბუნდოვნად გრძნობ, რომ აქ რაღაც ისე არ არის.”(16 მამარდაშვილი)

ვინ არის ის, ვისთვისაც ყოფიერება გახდა უბრალოდ “სხვა”? სტრუქტურალიზმის მიხედვით, სუბიექტი, “ტრანსცენდენტალური ცნობიერება” არ არის გნოსეოლოგიური სუბიექტი, წმინდა ცნობიერება რომლის მიზანია ჭეშმარიტება. ამ სუბიექტს ორი მხარე აქვს “ცარიელი” მე და მისი შინაარსი. ეს არ არის წმინდა ცნობიერება, სუბიექტი, არამედ სწორედ ცარიელი, რადგან მისი შინაარსი იქმნება გარედან ძალაუფლების(სტრუქტურის) მიერ. ეს შინაარსი მიეცემა იმის მიხედვით თუ რა სუბიექტად არის დადგენილი ძალაუფლების მიერ.

ძალაუფლება ქმნის სუბიექტს ანიჭებს რა მას გარკვეულობას. სუბიექტი არის არა აქტიურობა, არამედ ადრესატი, აღმნიშვნელი და შეიძლება გავიგოთ როგორც სურვილის სუბიექტი, ქცევის სუბიექტი, დისკურსის სუბიექტი. სუბიექტის თავისუფლება მდგომარეობს სწორედ ამ განსაზღვრულობისაგან თავის დაღწევაში, თუკი გინდა ძალაუფლებისაგან თავისუფლება. აქედან გამომდინარეობს ძალაუფლებასთან ბრძოლის ფორმა-თავი აარიდო ძალაუფლების მიერ შენი სუბიექტურობის განსაზღვრას. იგი არის ცარიელი სუბიექტი და მისი შინაარსი მისთვის გარეგანია. ეს შესაძლებელს ხდის სუბიექტი მივიჩნიოთ ზედმეტად, რადგან რეალობის აღწერისათვის იგი არ არის აუცილებელი ელემენტი.
5.1. ნაშრომში გაანალიზებულია განათლების ორი თეოკრატული მოდელი-განმანათლებლობის ეპოქის ანგლო-ამერიკული პურიტანული თეოლოგიის ერთი ერთი მნიშვნელოვანი წარმომადგენელის ჯონ კოტონის კონცეფციის ფილოსოფიური საფუძვლები და ამავე ეპოქის მართლმადიდებელი ავტორის წმინდა ანთიმოზ ივერიელის მოდელი. ორივე მოდელისათვის საერთო თეოკრატიულობა. თუმცა ანალიზით მტკიცდება მათი თვისებრივი განსხვავება.დასაბუთებულია, რომ ამერიკულ განმანათლებლობის თეორიასა და პრაქტიკაზე გავლენა იქონია პროტესტანტული რეფორმაციის იდეებმა. კოტონს, მადლის კოვენანტის შემქმნელს-ადამიანის ღმერთთან სოციალური და საეკლესიო ხელშეკრულების ავტორს, ახასიათებს ანტინომიანიზმი, უკიდურესი ფორმალიზმი რწმენაში, ცალმხრივობა. მისი განათლების მოდელი ამ მახასიათებლებზეა დამყარებული. არცერთ ამ ნიშანს არ ვხვდებით ანთიმთან. საპირისპიროდ ამისა ყველა მათგანი პრინციპულად მიუღებელია მისთვის. მისი ხედვა ხასიათდება კლასიკური აბსოლუტიზმით და შორსაა ფორმალიზმისგან. პერსონული ნების პრიორიტეტულობა და განათლების პროცესში მისი გათვალისწინება ანთიმის მოდელის ღირძია.
5.2. განხილულია მხატვრული დისკურსის ქრისტიანული პარადიგმის მახასიათებლები ანთიმოზ ივერიელის სახისმეტყველების მაგალითზე. მისი პოეტური ნიმუშებისა და სხვა თხზუკებების კვლევის შედეგად დადგინდა რომ ანთიმის სტილისტური შედარებები და მეტაფორები, პლასტიკური გამოსახულებები და ეპითეტები მას შუა საუკუნეების ქრისტიანული ტექსტების დიდ შემოქმედთა შორის აყენებს. ანთიმის სახისმეტყველებაში ხასიათდება მუდმივი ზრუნვით სიტყვისადმი, ერთგულებით ენის სიწმინდის დაცვისადმი, ენაში გამოვლენილი სამყაროს მშვენიერებისადმი.
5.4ადრეული განმანათლებლობის ეპოქაში შექმნილ საღვთისამეტყველო დოკუმენტებში--აუგსბურგის აღსარება (Confessio Augustana) პაპის რეფუტაცია-ნათლად ჩანს ქრისტიანული ეთიკის ღირებულებათა ახლებურად გააზრების, რეკონსტრუქცია-რეფორმაციისა და დამკვიდრების ტენდენცია. რუმინეთში მოღვაწე ვლახეთის მიტროპოლიტი, წმ. ანთიმოზ ივერიელი, სრულად ფლობს არსებულ მდგომარეობას. იგი ერთის მხრივ ცდილობს შეინარჩუნოს ქრისტიანული კულტურის ბიზანტიური ტრადიცია; და მეორეს მხრივ იგი მზადაა ეპოქის მიერ შემოთავაზებული დისკურის ფორმატში უპასუხოს ეპოქის გამოწვევებს. ანთიმოზ ივერიელს სიღრმისეულად აქვს გაცნობიერებული მისი თანადროული ეპოქის ადამიანის სულიერი მდგომარეობა. თუმცა იგი ღმერთს აშკარად არ უარყოფს, მაგრამ ამქვეყნიური მიწიერი ცხოვრება მას უმეტესად აკარგვინებს უშუალო კავშირს ტრანსცენდენტურთან. ღმერთთან ცოცხალი კავშირის ეტაპობრივი შეწყვეტით ადამიანი

საკუთარ ცხოვრებას მხოლოდ სარგებლის ეთიკის ფარგლებში მოაქცევს; ამიერიდან იგი მას მხოლოდ მატერიალური კეთილდღეობიდან გამომდინარე იღებს. ნებისმიერი სულიერი ვნება, მაგალითად ცოდვა, რომელიც ქრისტიანულ ეთიკაში წმინდა მამათა ტრადიციული სწავლებით არის ადამიანის სულიერი სიმაღლიდან დაცემა, უმთავრესად განიხილება, როგორც ადამიანის ბუნებითი სისუსტე, რომელიც საუკეთესო სოციალური და ეკონომიკური ორგანიზების შედეგად აღმოიფხვრება. ქრისტიანულ ეთიკაში პოსტ-ელინური მემკვიდრეობის ადაპტაცია განაპირობა არსისა და ჰიპოსტასის განსხვავებამ. ანთიმოზ ივერიელის ფილოსოფიურ-თეოლოგიური მემკვიდრეობის ქრისტიანული ეთიკის ჭრილიდან ანალიზმა წარმოაჩინა კაპადოკიელი მამების-ბასილი დიდის, გრიგოლი ნაზიანზელის, გრიგოლი ნოსელის სწავლებათა ღრმა კვალი. ანთიმის ნააზრევში მათი გავლენა ნათლად ჩანს- ანთროპოლოგიური თემატიკის წინ წამოწევაში, ადამიანის, როგორც სახეობითი არსების გაგების უარყოფაში. ანთიმოზ ივერიელის ქრისტიანულ ეთიკაში ადამიანი შეიცნობა ქცევებში, მის მიერ განხორციელებული აქტებით. ადამიანის, როგორც გონიერი არსების გაგებას ენაცვლება -პიროვნება. ანალიზმა ცხადყო ანთიმის შემოქმედებაში იოანე დამასკელის, დიონისე არეოპაგელის არსობრივი გავლენებიც; კონკრეტულად, ეს არის გამოვლენილი ყოფიერების, როგორც იერარქიული პრინციპის, გაგებაში. ასევე ნათლად ჩანს, რომ ანთიმისათვის მიუღებელია ბიზანტიური ფილოსოფიის (მიქაელ ფსელოსისა და იოანე იტალოსის) რაციონალისტური მიმართულება, ხოლო სიმეონ ახალი ღვთისმეტყველისა და გრიგოლი პალამას მისტიკური ისიხაზმი სრულადაა გაზიარებული. არსისა და ენერგიის განსხვავებით ღმერთში მოაზრებულია ღმერთის ტრანსცენდენტურობა სამყაროს მიმართ, ოღონდაც საკუთარი „ენერგიების“ წყალობით. მაგალითად მადლის წყალობით მას შეუძლია გახდეს იმანენტური. ანთიმოზ ივერიელის პოსტ ბიზანტიურ ქრისტიანულ ეთიკაში გადააზრებულია ადამიანისა და ღმერთის სინერგიული კავშირი.

6.1 მ. მამარდაშვილი იყენებდა აზროვნების პოსტმოდერნულ ტექნიკას , მაგრამ ის მაინც ცნობიერების ფენომენოლოგიურ ტრადიციას მისდევდა. ამ ორმაგობის გასაგებად შეიძლება გამოდგეს ალბერ კამიუს თეზისი იმის შესახებ, რომ შეიძლება იყო აბსურდული და ამავე დროს ქრისტიანიც იყო კამიუს მიხედვით აბსურდის ლოგიკა არასწორად არის გაგებული. თითქოს ის მოითხოვს მეტაფიზიკურ ნახტომს ღმერთის რწმენაში ან გონების ტელეოლოგიაში. ეს შეცდომა დაუშვეს ჰუსერლმა, ჰაიდეგერმა, იასპერსმა, შესტოვმა, კაფკამ და სხ. აბსურდის ბირთვია ამბოხი, რომელიც ექსისტენცის პოზიტიური საზრისით აღვსების წყაროს წარმოადგენს და საშუალებას იძლევა პოზიტიური ქვანტიტეტური ეთიკის დაფუძნებისა ადამიანის სიცოცხლის ფარგლებში და არა მის გარეთ, აბსურდული კედლების მიღმა. ამგვარად ახორციელებს ამბოხი ნიჰილიზმის ეგზორციზმს. ასეთი პოზიტიური ბეგრაუნდი ახლავს კამიუს ძირითად ტექსტებს - "უცხო"-ს ფინალი, "დაცემის" ფინალი და სხვა. დონჟუანის, კირილოვის , სტავროგინის ინტერპრეტაციები , "ქრისტიანული აბსურდის" პოზიციებიდან.მისი კრიტერიუმია სიცხადის (ევიდანსის) მოცემულობა ტრადიციული ვერიტასის ნაცვლად. ამგვარად ჩნდება პოსტმოდერნული რელატივიზმის დაძლევის შესაძლებლობა.

8.1 ენა უპ. ყოვ. უნდა იყოს საგანთა და მოვლენათა არსის მწვდომი აზრების ერთმნიშვნელოვნად და ნათლად გაფორმების საშუალება. ასეთი ენა შესაძლებელს ხდის შექმნილი ვითარების მთლიანობის განცდას, ახდენს აზროვნების პროვოცირებას ისეთ

ვითარებებზე, რომლსაც გვთავაზობს არგუმენტაციის პროცესი და შესაბამისად, ამ ენით მოწოდებული არგუმენტი დამარწმუნებელია. ,,ყალბი“ ენა ბუნდოვანების გამაღრმავებელია, და შესაბამისად, სიცრუის მიღების მაიძულებელიც. ამიტომ უნდა გაივლოს საზღვარი არგუმენტებით დარწმუნებასა და იძულებას შორის. ენისათვის საკუთარი დანიშნულების დაბრუნება, ,,მისი ყოფიერების სახლად“ გადაქცევა ერთ-ერთი წინაპირობაა თანმიმდევრული და არაწინააღმდეგობრივი ბჭობისათვის.
9.1 კვლევა-ძიება წარმოადგენს ედმუნდ ჰუსერლის მოძღვრების ინტერპრეტაციას, ანა-ტერეზა ტიმიენიჩკას სიცოცხლის ფენომენოლოგიის, იურგენ ჰაბერმასის კომუნიკაციური თეორიის, მარტინ ჰაიდეგერის ახალი ონტოლოგიის, ეგზისტენციალიზმის და პოსტმოდერნული სოციოლოგიის ჭრილში. იმპროვიზაცია ფენომენოლოგიური ფილოსოფიის თემაზე შეადგენს ახალ თვალსაზრისს ჰუსერლის იდეათა შემდგომი განვითარების შესახებ თანამედროვე აზროვნების პერსპექტივაში.
9.2 ჩოგბურთის ფენომენოლოგიური ინტერპრეტაცია არ წარმოადგენს თამაშის მონაწილეთა ფიზიკური განვითარების გზამკვლევს და არც მათი ფსიქოლოგიური მომზადების საფუძველს. განსხვავება თამაშის ფსიქოლოგიასა და ფენომენოლოგიას შორის იმაში მდგომარეობს, რომ ფენომენოლოგიაში ფსიქოემოციური განცდა არ არის დეტერმინირებული გარეფაქტობრივი რეალობით, არამედ განიხილება როგორც თავისუფალი ფენომენი, რომელიც წინ უსწრებს ფაქტობრივ სამყაროს და თავისი შემოქმედებითი ძალისხმევით ქმნის ახალ რეალობას. ასეთი შემოქმედებითი მიდგომა საშუალებას გვაძლევს შევადაროთ ჩოგბურთის მოედანი თეატრალურ სცენას, ხოლო ჩოგბურთელი მსახიობს, რომელსაც ამოძრავებს არა ფიზიკური ბრძოლის სიტუაცია, არამედ თამაშის საშემსრულებლო ხელოვნების იდეა.

7.2. უცხოეთში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
2.1	ლელა ალექსიძე	“The Presocratic Philosophy in Petritsi’s Commentary on Proclus’ *Elements of Theology*”	04.03.2020 Buenos Aires. Forum for Advanced Studies Gaetano Massa. Renaissance, Ancient and Medieval Patterns. Barroque, Romantic and Modern Traces. Section: Proclus, his predecessors, his reception.
2.2	ლელა ალექსიძე	“Are we, as actors on the stage, still free? Plotinus’ Ennead on	05.03.2020, Buenos Aires, University of Buenos Aires,

		the Providence III 2 (47)	Programa de Estudios de Recepción del Platonismo. FFyL, UBA, Grupo de lectura "Fortuna" – Instituto de Filosofía UBA
3.1	ვალერიან რამიშვილი	ადამიანის ღირსების მეტაფიზიკა	საერთაშორისო კონფერენცია „სამართლის და მორალის მიმართება თანამედროვე საზოგადოებაში" 2020 წლის 20-22 მაისი, ხარკოვი, უკრაინა
9.1	მამუკა დოლიძე	ჩოგბურთი როგორც საშემსრულებლო ხელოვნება (თამაშის ფენომენოლოგია)	უკრაინა, დნეპრი 2020წ. WayScience 2nd international and practical Internet Conference

მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა)

2.1, 2.2. ნაშრომი წარმოდგენილი იყო ერთსაათიანი მოხსენებისა და დამატებით ნახევარსაათიანი დისკუსიის სახით ბუენოს აირესის უნივერსიტეტის ფილოსოფიის პროფესორებისა და სტუდენტების ჯგუფში, რომელსაც ესწრებოდნენ ამერიკელი, ესპანელი და მექსიკელი კოლეგებიც. თემის ანოტაციისთვის იხ. 5.5 (2).

3.1 ადამიანის ღირსების მეტაფიზიკა

ავტორის მიზანია არ იმის განვსაზღვრო რა არის ადამიანის ღირსება, ან რატომ არის ადამიანისათვის მნიშვნელოვანი ღირსება, არამედ თუ რა სათნოების გამო აქვს ადამიანის ყოფიერებას ღირსება,არამედ ამოვდივარ ადამიანის ღირსების არსებობის ფაქტიდან და მსურს ცხადვყო თუ რაზე შეიძლება დავაფუძნო ადამიანის ღირსების ფაქტი. ჩვენ ამოვდივართ იმ ფაქტიდან, რომ ღირსების გაგება (რაც ყოფიერების გაგების ერთერთი ფორმაა) ყველას აქვს,მაგრამ ღირსეული ყოფიერება ერთეულების ხვედრია. როგორ ხორციელდება ადამიანის მიერ ღირსეული ყოფიერების ფაქტი. ღირსებას ჩვენ უფრო კარგად ვამჩნევთ, როდესაც ღირსება არ არსებობს და ეს განცდა ჩვენთვის მტკივნეულია და მიგვაჩნია, რომ ის ადამიანად ყოფნისათვის აუცილებელია. ადამიანს რადგან აქვს ღირსება მას აქვს უფლება მოითხოვოს პატივისცემა.

მე მაინტერესებს ღირსების მაგალითი, რაც ადამიანურობის ეტალონია. ღირსება, რომელიც გამომდინარეობს საკუთარი ადამიანურობის პატივისცემიდან. რა სახის ცოდნას ეფუძნება ეს ღირსება, რომელიც თავისუფალია აღიარების,შეფსებითი, სოციალური და პოლიტიკური გავლენისაგან. სწორედ ასეთი ღირსების მაგალითი არის ზნეობრივი რევოლუციის საფუძველი.

ღირსება, როგორც პრეზუმფცია, მნიშვნელობს, მაგრამ პრეზუმფციული ღირსების გვერდით

როგორ ავანთოთ ადამიანში ღირსული ყოფიერების აუცილებლობა. ღირსება აღიარებულია, მაგრამ ადამიანის ღირსეული ქცევა იშვიათია, რატომ ხდება ასე? მე სწორედ ეს იშვიათი ღირსეული ყოფიერების საფუძველი მაინტერესებს, რითაც ადამიანი უპირისპირდება გაბატონებულ ღირებულებათა კოდექსს.

ადამიანის ღირსების თეოლოგიური არგუმენტი ეფუძნება ადამიანის როგორც განსაკუთრებულ არსებულის აღიარებას. ადამიანის ღირსება დაფუძნებულია მის განსაკუთრებულობაზე. ადამიანის განსაკურებულობა განსხვავებულად ვლინდება. ეს განსაკუთრებულობა მდგომარეობს იმაში, რომ: ჯერ ერთი, ადამიანი ღმერთის შექმნილია, მეორეც, ადამიანი შექმნილია ღმერთის ხატად და მსაგავსად, მესამეც, მხოლოდ ადამიანმა, როგორც ღმერთის შექმნილმა, სხვა ქმნილებებისაგან განსხვავებით იცის და უყვარს ღმერთი. ადამიანის მიერ საკუთარი ღირსების გაცნობიერების საფუძველია ამ ფაქტის გაცნობიერება. ესაა ღირსების საფუძველი, ადამიანს საკუთარ თავში ამის ცნობიერება არის მისი ღირსების საფუძველი . ღირსების სეკულარული დაფუძნება ღირსების სეკულარული დაფუძნება ღირსების რელატიური გაგებას ემყარება. მაგრამ ღირსება არ არის დამოკიდებული ადამიანის ცხოვრებისეული პირობების ხასიათზე. ასეთი ღირსება არის ადამიანისადმი გარეგანი და შემთხვევითი და არა აუცილებელი და ადამიანურობის არსი. ღირსება აღარ არის ადამიანის უცილობელი მახასიათებელი, არამედ შეფარდებითია და დამოკიდებულია: ადამიანის უნრებზე, ცხოვრების ხარისხზე, ცხოვრებისეულ წარმატებებზე. ადამიანის ღირსება ეფუძნება ამ ადამიანის განსაკუთრებულ ინტელექტუალურ უნარებს, ცხოვრებისეულ წარმატებებს. რასაც აპია მიიჩნევს აღიარებაზე დაფუძნებულ ღირსებად. სეკულარიზმი ადამიანის განსაკუთრებულობას, რასაც ეფუძნება ადამიანის ღირსება ხედავს ადამიანის უნარებში: ადამიანის გონიერებაში, პიროვნულობაში, თავისუფლებაში, ზნეობრიობაში. ღირსება, რომელიც ემყარება ღმერთის რწმენას და ღირსება რომელიც ეფუძნება გონიერების უნარს. ამ დროს ღირსებას მოკლებულია ის, ვინც გონებრივად ჩამორჩენილია. ადამიანის ღირსება უპირატესობასთან აღმოჩნდა დაკავშირებული.

სეკულარული დაფუძნება ადამიანის ღირსება ეფუძნება ადამიანის გონიერებას, ზნეობრიობას, ავტონომიურობას. ადამიანის ღირსება ეფუძნება ამ ადამიანის განსაკუთრებულ ინტელექტუალურ უნარებს, ცხოვრებისეულ წარმატებებს. რასაც აპია მიიჩნევს აღიარებაზე დაფუძნებულ ღირსებად.

9.1 ჩოგბურთის ფენომენოლოგიური ინტერპრეტაცია არ წარმოადგენს თამაშის მონაწილეთა ფიზიკური განვითარების გზამკვლევს და არც მათი ფსიქოლოგიური მომზადების საფუძველს. განსხვავება თამაშის ფსიქოლოგიასა და ფენომენოლოგიას შორის იმაში მდგომარეობს, რომ ფენომენოლოგიაში ფსიქოემოციური განცდა არ არის დეტერმინირებული გარეფაქტობრივი რეალობით, არამედ განიხილება როგორც თავისუფალი ფენომენი, რომელიც წინ უსწრებს ფაქტობრივ სამყაროს და თავისი შემოქმედებითი ძალისხმევით ქმნის ახალ რეალობას.

ასეთი შემოქმედებითი მიდგომა საშუალებას გვაძლევს შევადაროთ ჩოგბურთის მოედანი თეატრალურ სცენას, ხოლო ჩოგბურთელი მსახიობს, რომელსაც ამოძრავებს არა ფიზიკური ბრძოლის სიტუაცია, არამედ თამაშის საშემსრულებლო ხელოვნების იდეა.

ჩოგბურთის არცერთი სახელმძღვანელო არ ისახავს ასეთ მიზანს. სახელმძღვანელო იწერება გამარჯვებულისთვის და არ ითვალისწინებს იმ ფაქტს, რომ თამაშს ჰყავს ორი მონაწილე :

გამარჯვებული და დამარცხებული.

დამარცხებულის როლი არცთუ უმნიშვნელოა თამაშის დრამატურგიაში. როდესაც მოთამაშე აგებს, მას ეძლევა შესაძლებლობა დაისახოს სულ სხვა ამოცანა - ნაკლები იფიქროს ანგარიშზე. დასძლიოს შიში და სირცხვილი წარუმატებელი მოქმედების გამო, ყურადღება გადაიტანოს თამაშის ეფექტზე და არა ბრძოლის შედეგზე, განთავისუფლდეს მოგებისკენ სწრაფვის დეტერმინიზმისგან და ითამაშოს ლაღად, თავისუფლად, მეტი შემოქმედებითი ძალისხმევით და არტისტული გარდასახვის განცდით.

არსებობს ორი გზა, რათა მოთამაშემ შეასრულოს ეფექტური მოძრაობა და დარტყმა.

ა / ფიზიკური ვარჯიში, რომ ბურთთან მისვლა და ჩოგანის მოქნევა ხდებოდეს ავტომატიურად და იმპულსურად.

ბ/ ძლიერი განწყობა, სურვილი და სწრაფვა ასეთი მოძრაობის შესასრულებლად.

ფენომენოლოგია ირჩევს მეორე გზას.

თამაშის სურვილი შეიძლება არ გაჩნდეს თავისთავად. სურვილის გამოწვევას სჭირდება განსაკუთრებული, სულიერი წვრთნა, რომელსაც არ შველის არც ფსიქოლოგი და არც განწყობის თეორიის ზოგადი პრინციპების ცოდნა. ეს არის სრულიად თავისუფალი, ინდივიდუალური, შემოქმედებითი და განუმეორებელი წიაღსვლა, რომელიც არ ექვემდებარება განზოგადოებას მოთამაშის წარმოსახვა აქ უდიდეს როლს ასრულებს.

ერთეულს თუ საჭიროდ მიაჩნია, შეუძლია ანგარიშში შეიტანოს სხვა, მისთვის მნიშვნელოვანი აქტივობაც.

ანგარიში წარმოდგენილი უნდა იყოს ნაბეჭდი (2 ეგზემპლარად) და ელექტრონული ვერსიის (CD-დისკი) სახით.

ანგარიში, რომელიც არ არის შედგენილი ამ დანართის მოთხოვნების შესაბამისად, ექსპერტიზას (შეფასებას) არ ექვემდებარება და შეფასების შემაჯამებელ დოკუმენტში აღინიშნება ფორმულით „არ შეფასდა“.

სლავისტიკის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი

ანგარიშის ფორმა №2

2020 წელს გაწეული სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ანგარიში

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება

ივ.ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის დასახელება

სლავისტიკის ს/ს ინსტიტუტი

სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა ხელმძღვანელის მითითებით

დავით გოცირიძე - პროფესორი, ინსტიტუტის ხელმძღვნელი,

მარიამ ფილინა - პროფესორი,

ნატალია ბასილაია - ასოცირებული პროფესორი,

მარინე ალექსიძე - ასოცირებული პროფესორი,

მაია თუხრელი - ასოცირებული პროფესორი

1. სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის პერსონალის მიერ შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

1.1.

№	გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	2	3	4
	გარდამავალი (მრავალწლია-ნი) პროექტი ივ. ჯავახიშვი-ლის სახელობის თსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტების მოსაზიდად სტუდენტთა სამეცნიერო წრის შეხვედრების ფორმატში სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის ჩასატარებლად ფილოლოგიის დარგში	2009 - 2021 (გაგრძელებული ვადების მიხედვით)	1. პროექტის ავტორი – რუსული ფილოლოგიის სტუდენტთა სამეცნიერო წრის (მიმართულება: რუსისტიკა) ხელმძღვანელი ასოცირებული პროფესორი ნატალია ბასილაია; 2. პროექტში ჩართული პერსონალი – პროფესორები დავით გოცირიძე, მერიამ ფილინა, მარინა ალექსიძე, მაია თუხარელი, ნათელა ჭოხონელიძე, ნოდარ ფორაქიშვილი; დოქტორანტი ვიქტორ გოგაშვილი,
გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2020 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)			

ახორციელებდნენ თსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტთა ენათმეცნიერების ან ლიტერატურამცოდნეობის კვლევების და სტუდენტური კონფერენციისთვის მათი მოხსენებების მომზადების ხელმძღვანელობას

1.2.

№	დასრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	2	3	4
დასრულებული კვლევითი პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)			

2. შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტით დაფინანსებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

2.1.

№	გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	2	3	4
გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2020 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)			

2.2.

№	დასრულებული (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	2	3	4
დასრულებული კვლევითი პროექტის 2020 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)			

3. უცხოური გრანტებით დაფინანსებული სამეცნიერო პროექტები

3.1. გარდამავალი პროექტი

№	გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი, დამფინანსებელი ორგანიზაცია/ სამეცნიერო ფონდი, ქვეყანა	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	2	3	4
	ერევნის ვ. ი. ბრიუსოვის სახელობის ენების და სოციალურ მეცნიერებათა სახელმწიფო უნივერსიტეტის რუსული ენისა და კულტურის ცენტრის ერთობლივი გარდამავალი (მრავალწლიანი) სამეცნიერო პროექტი „რუსი კლასიკოსები: რუსული და ეროვნული ლიტერატურა“: მეცნიერების დარგი - ლინგვისტიკა, ლიტერატურული კრიტიკა; სამეცნიერო მიმართულება - კლასიკოსი მწერლების ენისა და სტილის აღწერა მათი ონტოლოგიური ასპექტებისა და სამყაროსთან ურთიერთკავშირთა, რეალურ ფუნქციონირებასთან, სააზროვნო სტრუქტურებსა და პროცესებთან ერთიანობაში. 2009 - 2020 წწ	2009 - 2021 (გაგრძელებული ვადების მიხედვით)	1. პროექტის ავტორი და კონფერენციების ორგანიზატორი - ფილოლოგიის დოქტორი, პროფესორი მიხეილ დავიდის ძე ამირხანიანი; 2. პროექტის მონაწილეები არიან სარედაქციო საბჭოს წევრები - სამეცნიერო ცენტრების მკვლევარები სომხეთიდან, საქართველოდან, სლოვაკეთიდან, რუსეთიდან, ლიეტუვადან, ჩინეთიდან, იაპონიიდან, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან საერთაშორისო სამეცნიერო და პრაქტიკული კონფერენციების მასალების ყოველწლიური კრებულების შედგენაზე, რედაქტირებასა და გამოქვეყნებაზე საერთო თემაზე: ”რუსული კლასიკა: რუსული და ეროვნული ლიტერატურა”. 3. ნატალია ბასილაია - სარედაქციო საბჭოს წევრი, რუსი კლასიკოსი მწერლების ენისა და სტილის კვლევების რეგულარული ავტორი
გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2020 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე) ნ. ბასილაია - 2009 წლიდან 2020 წლამდე, საერთაშორისო პროექტში მონაწილეობის პარალელურად - (ვ. ი. ბრიუსოვის სახელობის ერევნის ენებისა და სოციალურ მეცნიერებათა სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ ჩატარებული ყოველწლიური კრებულის შედგენა, რედაქტირება და გამოცემა), მონაწილეობას ვიღებდი ყოველწლიურ საერთაშორისო სამეცნიერო და პრაქტიკულ კონფერენციებში თემაზე "რუსული კლასიკა: რუსული და ეროვნული ლიტერატურა", რომლებიც სხვადასხვა ავტორის შემოქმედებასა და საიუბილეო თარიღებს ეძღვნებოდა, ჩავატარე გამოჩენილი რუსი მწერლების ენისა და სტილის თავისებურებების კვლევა, რათა გამომეკვეთა მხატვრული რეალობის შექმნის სიღრმისეული მექანიზმები ნაწარმოებებში ასახული		

უნივერსალური სემანტიკური პროცესების შესწავლის პრიზმაში. კერძოდ, ასე განიხილება წინადადებების განმარტებითი სემანტიკის მნიშვნელობის პრობლემა; ფიგურალური განმარტებების სემანტიკა, როგორც გმირის სახის გადაცემის ფენომენი ა. პ. ჩეხოვის და მ. ა. ბულგაკოვის დრამატურგიაში. რადგანაც "ადამიანის ენის არცერთი მრავალფეროვნების, პოეტური ტექსტის ჩათვლით, გაგება დისკურსის სამყაროსთან მიმართვის გარეშე შეუძლებელია;" (რ. იაკობსონი), ერევნის კონფერენციებზე წავიკითხე მოხსენებები მხატვრული ხერხების შესახებ მ. ი. ლერმონტოვის, ნ. ა. ნეკრასოვის, ნ. მ. კარამზინის პოეტურ დისკურსში; აგრეთვე, ა. ს. პუშკინის პოეტურ ნაწარმოებებში სიტყვებისა და სიტყვათშეთანხმებების სემანტიკის შეცვლის შესახებ მასმედიურ დისკურსში. დისკურსის თანამედროვე თეორია სხვადასხვა ტიპის ჰუმანიტარული ცოდნის „გზაჯვარედინზე“ ყალიბდება: ეს არის ტრადიციული ფილოლოგიის (ენათმეცნიერების და ლიტერატურათმცოდნეობის) ფსიქოლოგიასთან, სოციოლოგიასთან, სემიოტიკასთან, კულტურის კვლევებთან და სხვა დარგებთან ნაყოფიერი ურთიერთქმედების ველი. ზუსტად ამ თვალსაზრისით, რიგ მოხსენებებში ჩავატარე მხატვრული ლიტერატურის დისკურსის ტექსტების სემანტიკის კვლევა და ი. ს. ტურგენევისა და ა. ს. გრიბოედოვის ნაწარმოებების სოციოლინგვისტური ანალიზი. ერევნის კონფერენციების მოხსენებებში ვიკვლევდი დიდი მწერლების მხატვრული ლიტერატურის სხვადასხვა ჟანრის - მოთხრობის, ლექსის, პიესის, რომანის, ზღაპარის - ენას და სტილს. ჩემი ყურადღება ასევე მიიპყრო რუსული მეტყველების კულტურის ეტიკეტის ფორმების გამოყენების თავისებურებებმა ისეთი მწერლების წერილებში, როგორიცაა ნ. ვ. გოგოლი და ლ. ნ. ტოლსტოი. საანგარიშო პერიოდისთვის - 2020 წელი - შევისწავლე ი. ა. ბუნინის პოეტური სამყაროს სურათში ზეციურ სფეროს ამსახველი ლექსემები; განვიხილე ბორის პასტერნაკის პოეზიაში შექსპირის სიუჟეტების ინტერპრეტაცია და მონაწილეობა მივიღე ელექტრონული სახით გამოსული კრებულების „ი. ა. ბუნინი: რუსული და ეროვნული ლიტერატურები“ და „ბ. ლ. პასტერნაკი: რუსული და ეროვნული ლიტერატურები” შედგენაში. ამჟამად, პროექტის ფარგლებში, მიმდინარეობს მუშაობა „თ. მ. დოსტოევსკი: რუსული და ეროვნული ლიტერატურები” კრებულის შესადგენად, რომელიც სავარაუდოდ გამოქვეყნდება 2021 წელს, რაც მიესადაგება დიდი მწერლის 200 წლის იუბილეს. / ამ სამეცნიერო პროექტის განხორციელების შესახებ აგრეთვე იხილეთ ამ ანგარიშის პუნქტი 5.4. - რუსი კლასიკოსების კრებული: რუსული და ეროვნული ლიტერატურები. ერევანი, 2020 წ.

3.2. დასრულებული პროექტი

№	დასრულებული (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი, დამფინანსებელი ორგანიზაცია/სამეცნიერო ფონდი, ქვეყანა	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	2	3	4
	პოლონეთი, დამფინანსებელი ორგანიზაცია - პოლონეთის რესპუბლიკის საელჩო საქართველოში, ხელშეკრულება TBI 42/2020	15.01.2020 – 10.12.2020	პროფ. **მარიამ ფილინა** - პროექტის ხელმძღვანელი და ალბომის მტავარი რედაქტორი ას.პროფესორი **მაია თუხარელი** - სარედაქციო კომისიის წევრი

დასრულებული კვლევითი პროექტის 2020 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)
ჩატარდა საქართველოს პოლონელთა კულტურულ-საგანმანათლებლო კავშირ „პოლონია“-ს 25 წლიანი საქმიანობის შესწავლა. შეგროვილია და გააანალიზებულია მასალა „პოლონია“-სა და ივ.ჯავახიშვილის სახ. თსუ-ს ერთობლივი სამეცნიერო კონფერენციების, სამეცნიერო, ლიტერატურულ და პოპულარულ პუბლიკაციების შესახებ.

შესწავლილია კავშირის საქმიანობის ძირითადი მიმართულებები. შესწავლილი და გაანალიზებულია კავშირის ძირითადი ღონისძიებები - პოლონური და ქართული მუსიკის კონცერტები, პოლონელი და ქართველი მხატვრების გამოფენები, პოლონური ფილმების ფესტივალები, ქართველი ახალგაზრდებისთვის ჩატარებული კონკურსები პოლონურ თემებზე.

შესწავლილია და გაანალიზებულია კავშირის მოღვაწეების საერთაშორისო ურთიერთობები პოლონეთის რესპუბლიკის სენატთან და სეიმთან, სამეცნიერო ცენტრებთან, საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან. განხილულია კავშირის როლი ქართულ-პოლონური მრავალმხვრივი სამეცნიერო და კულტურული კონტაქტების განვითარებაში, ამ როლის შეფასება საქართველოსა და პოლონეთში.
შედგენილ იქნა კავშირის მთავარი მოღვაწეთა ბიოგრაფიები. შეგროვდა მნიშვნელოვანი საილუსტრაციო მასალა. სამენოვანი (პოლონურ, ქართულ და რუსულ ენებზე) ალბომი "ქართული პოლონია. 1995-2020" მომზადდა გამოსაცემად (ბეჭდის პროცესში).

4. პატენტები

4.1. საერთაშორისო პატენტები:

№	საპატენტო თემატიკის სათაური	გამომგონებელი/ები და პატენტმფლობელი/ები	პატენტის საიდენტიფიკაციო კოდი

4.2. ეროვნული პატენტები

№	საპატენტო თემატიკის სათაური	გამომგონებელი/ები და პატენტმფლობელი/ები	პატენტის საიდენტიფიკაციო კოდი

5. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში

5.1. მონოგრაფიები/წიგნები

№	ავტორი/ავტორები	მონოგრაფიის/წიგნის სათაური, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1 2				
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)				

5. 2. სახელმძღვანელოები

№	ავტორი/ავტორები	სახელმძღვანელოს სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა

1	მარიამ ფილინა	ქართულ-პოლონური ლიტერატურული კონტაქტები	დამზადებულია ელექტრონულ ვერსიაში	220
2	ალექსიძე მარინე	Мы изучаем русский язык. Учебное пособие по русскому языку. Издание пятое, исправленное и дополненное (в соавторстве)	Тбилиси, 2020	
3.	ალექსიძე მარინე	Читаем и говорим по-русски. Учебное пособие по русскому языку. Издание пятое, исправленное и дополненное (в соавторстве)	Тбилиси, 2020	

მარიამ ფილინა

ქართულ-პოლონური ლიტერატურული კონტაქტები

მრავალმხრივ მნიშვნელოვანი ქართულ-პოლონური ლიტერატურული ურთიერთობანი დაიწყო XIX საუკუნის I ნახევარში. ქართველი და პოლონელი ხალხის შემოქმედებითი ინტერესების შედუღაბება დრამატიზმით არის აღსავსე. სხვადასხვა ქვეყნის ლიტერატორთა ურთიერთდაინტერესების ყველაზე ნათელი პერიოდი დაკავშირებულია 1830-იან წლებში ახალგაზრდა, განათლებული პოლონელების მასობრივად გადასახლების ტალღასთან. მეფის მთავრობის მიზანი იყო დაესაჯა `პოლიტიკური დამნაშავენი~, შედეგი კი სრულიად საპირისპირო გამოდგა _ სულიერი კავშირი გაიბა გადასახლებულთა და ქართულ ინტე¬ლიგენციას შორის. უაღრესად რთულ სიტუაციაში იქმნებოდა ურთი¬ერთობათა მთელი სისტემა _ ერთი ენიდან მეორეზე თარგმნა, პოლონელი ისტორიკოსებისა და ეთნოგრაფების მიერ კავკასიის, კერძოდ კი, საქა¬რთველოს შესწავლა იმ გაჩაღებული კავკასიური ომის დროს. თბილისში ორი ათეული წლის განმავლობაში ფუნქციონირებდა პოლონელ რომანტიკოსთა ერთგვარი `ფილიალი~ _ პოლონელ `კავკასიელთა~ ჯგუფის პოეტები. გადა¬¬სახლებულმა პოლონელებმა თავიანთ თანამემამულეებს ნათლად დაანახვეს კავკასია. 1830-1840-იან წლებში კავკასია უკვე აღარ იყო მხოლოდ ეგზოტიკური, რომანტიკული აღმაფრენის მომნიჭებელი მხარე. იგი უკვე სერიოზულად აინტერესებდათ მკითხველ პოლონელებს.

ქართული და პოლონური კულტურის მოღვაწეებს შორის კონტაქტები მყარდებოდა როგორც უშუალოდ, ისე, მნიშვნელოვანწილად, რუსეთის საშუალებით. თუმცა თავად რუსეთთან დამოკიდებულება ორივე ერის მოაზროვნეებსა თუ ლიტერატორებს საკმაოდ არაერთმნიშვნელოვანი ჰქონდათ. საყოველთაოდ მიღებული და მუდმივად განმეორებადი აზრი ორი რუსეთის შესახებ - იმპერიული, მეზობელი ხალხების დამპყრობელი რუსეთისა და რუსეთისა, რომელიც ეპოქის ჰუმანიტარულ და თამამ იდეათა სამშობლოა - პრინციპში საფუძველსმოკლებული არ არის, მაგრამ არც ისე მარტივია, როგორც ეს ჩანს მისი ჩვეულებრიობისა და ხანგრძლივი გამოყენების გამო. იმას, თუ რა იყო პროგრესული იდეა, ისტორია წყვეტდა, იდეის ჩასახვისა და განვითარების მომენტში მის ირგვლივ კამათის კი გარდაუვალი იყო, მით უფრო მაშინ, როცა იდეას ან საზოგადოებრივ მოძრაობას სხვადასხვა ერის წარმომადგენლები აფასებდნენ. ეპოქალური მოძრაობების ირგვლივ კამათის დამახასიათებელია ყველა დროისათვის. დეკაბრიზმის ზოგიერთ ასპექტთან დაკავშირებითაც არ იყო, და ვერც იქნებოდა, ერთსულოვნება პოლონელ და ქართველ საზოგადო მოღვაწეებს შორის. თუმცა დეკაბრიზმმა ერთიანობაში პოლონეთსა და საქართველოში მიმდინარე ყველა სოციალურ პროცესზე იქონია გავლენა, იგი იყო მძლავრი სტიმული საზოგადოებრივი ცნობიერების განვითარებისათვის. იდეათა შემოდინებას მრავალრიცხოვანი კავშირები მოჰყვა, რამაც დეკაბრიზმის პერიოდი მოიცვა. ამისდაკვალად, ფართო საზოგადოებრივი წრეები წარმოიშვა. ისინი მჭიდროდ დაუკავშირდა ერთმანეთს.

,,კავკასიელთა“ შემოქმედებას იმდენად თვითშეფასებითი მნიშვნელობა არ აქვს, რამდენადაც - კულტურულ-ისტორიული. თუმცა შესაძლოა ვისაუბროთ მათი ერთობლივი მემკვიდრეობისადმი ცოცხალი ინტერესის შესახებაც. ასე მაგალითად, ჩესლავ ზგოჟელსკი, რომელიც თავის დროს პოლონური კლასიკის

გამოცემის ერთ-ერთი ხელმძღვანელი იყო, პირველი რიგის საგამომცემლო პრობლემების შესახებ სტატიაში წერს მიცკევიჩის, სლოვაცკის და ნორვიდის, ასევე, მალჩევსკის თხზულებათა ახალი კრებულების და ,,ლვოვის ჯგუფის“ ნაწარმოებთა ნაწილის ფოტოტიპური სახით გამოცემის აუცილებლობაზე. ხოლო შემდეგ ვკითხულობთ: ,,მეორე ამოცანა, შესაძლოა, უფრო გადაუდებელიც, კავკასიელი გადასახლებულების პოეტური მემკვიდრეობაა. ეს არ შეეხება მხოლოდ ყველაზე ცნობილ ტადეუშ ლადა-ზაბლოცკის ან ვლადისლავ სტშელნიცკის, თუმცა მათი პოეზიაც, რომელიც XIX საუკუნის შუა ხანებში გამოიცა, დღეისათვის უკვე რთული მოსაპოვებელია და თანაც არ მოიცავს მთელ მათ ლიტერატურულ მემკვიდრეობას. ჩვენს მეხსიერებაში უნდა აღდგნენ, პირველ ყოვლისა ისინი, ვინც დღემდე არ გამოცემულა, მაგალითად სტანისლავ ვინიცკი, ლეონ იანიშევსკი, ჰენრიხ იაბლონსკი ან ვინცენტი დავიდი. სხვადასხვა ჟურნალში (ნაწილობრივ კი ხელნაწერებში, რომლებიც, ვინ იცის, სად ინახება ან შემორჩა თუ არა) გაფანტული მათი სტატიები ეროვნულ ტრადიციაში უკვდავყოფას მოითხოვს არა მხოლოდ როგორც ისტორიულ-ლიტერატურულ ინტერესთა საგანი, არამედ როგორც მოწმობა ,,გადასახლების“ პოეზიის ბედის შესახებ.

5.3. კრებულები

№	ავტორი/ავტორები	კრებულის სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1.				
2.	დ. გოცირიძე	Указание и онтологи-ческая природа заглавия	საქართველოს ლიტერა-ტურათმცოდნეობის აკადემიის შრომები, ტ.11, თსუ გამომცე-მლობა, 2020	
1 2 3				
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)				

5.4. სტატიები ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდის (DOI) მითითებით

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათა-ური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI	ჟურნალის/ კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1 2 3					
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)					

5.5. სტატიები ISSN-ის მითითებით

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათა-ური, ISSN	ჟურნალის/ კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
.	მარიამ ფილინა	პოლონელი „კავკასიელი პოეტები“ - ქართული ფოლკლორის შემკრებნი	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმ. უნივერსიტეტი, შოთა რუსთაველის სახ. ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი, კომპარატივი-სტული ლიტერატურის ქარ-თული ასოციაცია (GCLA) XIV საერთაშორისო სიმპოზიუმის ლიტერატურათმცოდნეობის თანამედროვე პრობლემები „აბრეშუმის გზის ქვეყნების ფოლკლორი“ (ეძღვნება გოგლას – გიორგი ლეონიძის ხსოვნას) შრომები	თბილისი, თსუ. შოთა რუსთავე-ლის სახ. ქართუ-ლი ლიტერატუ-რის ინსტიტუტი.	15 გვ.
2.	დ. გოცირიძე	Указание и онтологическая природа заглавия	საქართველოს ლიტერატუ-რათმცოდნეობის აკადემიის შრომები, ტ.11	თსუ გამომცე-მლობა, 2020	

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1. მ. ფილინა. პოლონელი „კავკასიელი პოეტები“ - ქართული ფოლკლორის შემკრებნი

მრავალგანზომილებიანი ქართულ-პოლონური ლიტერატურული ურთიერთობების აღმოცენება მე -19 საუკუნის პირველ ნახევარს მიეკუთვნება. ქართველ და პოლონელ ხალხთა შემოქმედებითი ინტერესების გადაკვეთის ისტორია დრამატულია. ლიტერატორების ურთიერთ ინტერესთა აღმოცენებისა და განვითარების ყველაზე ნათელი პერიოდი 1830-იან წლებში ახალგაზრდა განათლებული პოლონელების გადასახლებას უკავშირდება. ცარისტული ხელისუფლება „პოლიტიკურ დამნაშავეთა“ დასჯას ისახავდა მიზნად, შედეგად კი სრულიად საწინააღმდეგო მიიღეს - თავი იჩინა სულიერმა კავშირმა გადასახლებულებსა და ქართველი ინტელიგენციის ელიტას შორის. ერთობ რთულ ვითარებაში იქნებოდა კავშირების მთელი სისტემა - ურთიერთ თარგმანები, პოლონელი ისტორიკოსებისა და ეთნოგრაფების მიერ კავკასიის შესწავლა, კერძოდ, საქართველოსი, გაცხარებული კავკასიის ომის დროს. ორი ათეული წლის განმავლობაში თბილისში ფუნქციონირებდა პოლონური რომანტიზმის ერთგვარი „ფილიალი“ - პოლონელ „კავკასიელ“ პოეტთა ჯგუფი.

გადასახლებულმა პოლონელებმა გააფართოვეს თავიანთი თანამემამულეების წარმოდგენები კავკასიის შესახებ, 1830-1840-იან წლებში კავკასია უკვე აღარ არის მხოლოდ რომანტიკული შთაგონების ეგზოტიკური მხარე, არამედ ხდება მკითხველ პოლონელთა ინტერესის საგანი.

თითქმის ყველა წამყვანი პოლონელი ლიტერატორი ინტერესდებოდა კავკასიის ფოლკლორით, იწერდნენ მის ნიმუშებს - ლეგენდებს, თქმულებებს და ქართული ფოლკლორის პოეტურ ნიმუშებს.

ი. ი. კრაშევსკისთან და რედაქტორ რ. პოდბერესკისთან გაგზავნილ წერილებში ტადეშ ლადა-ზაბლოცკი (1843) წერს ქართული ფოლკლორისადმი ინტერესის შესახებ, კერძოდ: „ჰუგო კორსაკი, ახალგაზრდა კაცი, წერს მოთხრობას სათაურით „კიკოლი“, რომელსაც საფუძვლად უდევს ქართული თქმულებები“.

ზოგიერთი ნიმუში პოლონელებმა ქართველ და ჩრდილოეთ კავკასიელ მეცნიერებზე ადრე ჩაიწერეს, დღემდე ვერ მოხერხდა მათი იდენტიფიცირება. ფოლკლორის ყველაზე მეტი ნიმუში მოცემულია მათეუშ გრალოვსკის დაწვრილებით წიგნში „კავკასია. მოგონებები თორმეტწლიანი ტყვეობის შესახებ“ (ლვოვი, 1877). გრალევსკი გადმოსცემს ლეგენდებსა და თქმულებებს, აგრეთვე მოჰყავს მის მიერვე ნათარგმნი პოეტური ნიმუშები. ქართული ხალხური შემოქმედების ნიმუშები სხვადასხვა ფორმით გვხვდება მიხალ ანჯეიკოვიჩთან და ქსავერ პეტრაშკევიჩთან.

კავკასიის ფოლკლორზე პოლონელ ლიტერატორთა მუშაობა ეპიზოდურ ხასიათს ატარებდა, თუმცა სწორედ მათ გაუღვიძეს მისდამი ინტერესი მომავალი თაობების ევროპელ მწერლებსა და მეცნიერებს.

6. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა უცხოეთში

6.1. მონოგრაფიები/წიგნები

№	ავტორი/ავტორები	მონოგრაფიის/წიგნის სათაური, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1				
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე) ანოტაცია				

6.2. სახელმძღვანელოები

№	ავტორი/ავტორები	სახელმძღვანელოს სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1 2				

6.3. კრებულები

№	ავტორები	კრებულის სახელ-წოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1 2 3				
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)				

6.4. სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI ან ISSN	ჟურნალის/ კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	ნ. ბასილაია	Отражение небесной сферы в поэтической картине мира И.А. Бунина	Материалы Международной научно-практической конференции «И.А Бунин: русская и	Ереван, 2020. Издательский дом «Лусабац»	8

			национальные литературы».		
2	ნ. ბასილაია	Интерпретация шекспировских сюжетов в поэзии Б. Пастернака	Материалы Международной научно-практической конференции «Борис Пастернак: русская и национальные литературы»	Ереван, 2020. Издательский дом «Лусабац»	
3	ნ. ბასილაია	Взаимообогащение культур	Русские классики: русская и национальные литературы . Международные конференции. Отзывы: Письма и публикации 2009-2019. Под редакцией проф. Вильнюсского университета Г.П. Михайловой		
4.	დალი კანდელაკი	„Вопросы истории Грузии в творчестве грузинских политических эмигрантов“.	Эмиграция как текст культуры: историческое наследие и современность: сборник научных статей.	Будапешт : Изд-во SelmecziBt.; Киров: ООО «Издательство «Радуга-Пресс», 2020	121-127 (7 გვ.)
5.	დალი კანდელაკი	“Как русские авторы первой половины XIX века писали историю Грузии” –	Материалы международной научной конференции - «Историческое знание и преподавание истории и их влияние на национальное самосознание» (Баку, Азербайджанский гос. педагогический университет)	სტატია იბეჭდება.	

7. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

7.1. საქართველოში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი

1	ნ.ბასილაია	ციური სფეროს ნომინაციები ი. ბუნინის პოეზიაში /Nominations of the Celestial sphere in Bunin's Poetry	3 – 5 ივლისი 2020; ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი; XIV საფაკულტეტო სამეცნიერო კონფერენცია
2.	მ. თუხარელი	კომიკურის საკითხი რუსულ ლიტერა-ტურულ ზღაპარში/ To the question of comic in the Russian literary fairy tale	3 – 5 ივლისი 2020; თბილისი ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი; XIV საფაკულტეტო სამეცნიერო კონფერენცია
3	დ.გოცირიძე	პოსტმოდერნიზმი და აქსიოლოგიური პლურალიზმი მედიაში.	2020 წ. დეკემბერი;თბილისი-თელავი, ერეკლე მეორის დაბადებიდან 300 წლისადმი მიძღვნილი საერთაშორისო კონფერენცია
4.	მ.ფილინა	თადეუშ ლადა-ზაბლოცკი და მიხეილ თუმანიშვილი (პოეტების დიალოგი)	2020 წლის 03-05 ივლისი, თბილისი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის XIV საფაკულტეტო სამეცნიერო კონფერენცია, თსუ,
5.	მ.ფილინა	პოლონელი „კავკასიელი პოეტები“ - ქართული ფოლკლორის შემკრებნი	თბილისი, 23-25.09.2020 ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბი-ლისის სახელმ. უნივერსიტეტი, შოთა რუსთაველის სახ. ქართული ლიტერა-ტურის ინსტიტუტი, კომპარატივისტუ-ლი ლიტერატურის ქართული ასოციაცია (GCLA) XIV საერთაშორისო სიმპოზიუმი ლიტე-რატურათმცოდნეობის თანამედროვე პრობლემები „აბრეშუმის გზის ქვეყნების ფოლკლორი“ (ეძღვნება გოგლას – გიორგი ლეონიძის ხსოვნას),
6.	მ.ფილინა	კიტა აბაშიძე - ნიკოლოზ ბარათაშვი-ლის ,,მერანის“ და ადამ მიცკევიჩის ,,ფარისის“ - მკვლევარე	თბილისი, 2020 წლის 28 დეკემბერი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბი-ლისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტე-ტი სამეცნიერო კონფერენცია **„კიტა აბაშიძე – 150“**
7.	მ.ფილინა	მართლმადიდებელი წმინდანი კათოლიკურ სამყაროში	თბილისი, 2020 წლის 22 დეკემბერი საქართველოს საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის სახელობის უნივერსი-ტეტი მრგვალ მაგიდა: „წმინდა მღვდელმოწამე გრიგოლ ფერაძის ცხოვრება და მოღვაწობა“.

8.	მ. ფილინა	ნიკოლოზ ბარათაშვილის ,,მერანი“ და ადამ მიცკევიჩის ,,ფარისი“ - პარალელები	თსუ, 2020 წლის 21 დეკემბერი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტე-ტის ახალი ქართული ლიტერატურის ისტორიის კათედრა „XIX საუკუნე - ეპოქათა მიჯნა“ ნიკოლოზ ბარათაშვილის გარდაცვალებიდან 175 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია

მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა)

1. ბასილაია ნ. ციური სფეროს ნომინაციები ი. ბუნინის პოეზიაში

ი. ა. ბუნინის წერის მანერის თავისებურებას წარმოადგენს ციურ სფეროსთან დაკავშირებული მისი პეიზაჟუ პოეზიისთვის დამახასიათებელი მთავარი სიტყვების სემანტიკური მოცულობის გაფართოება, იმდენად, რომ სიტყვები ერთდროულად კონოტატიურად განსხვავებულად დატვირთული ხდება, და როგორც პეიორატიუ ასევე უარყოფით მუხტს ატარებს. ზოგჯერ ი. ა. ბუნინის ლექსებში ხდება კონოტაციურად დამუხტული სიტყვ პეიორატიულიდან უარყოფით რეგისტრში გადასვლა. ზოგ შემთხვევაში კი, ორი მუხტი - პეიორატიული უარყოფითი - ერთ სიტყვაშია გაერთიანებულია და იგი მრავალმხრივად ჩანს. "ზეციური" სემანტიკის დადები ან უარყოფითი კონოტაციის მქონე სიტყვებს საკუთარი თავისებურებები გააჩნია, რომელიც ამ სიტყვებ აღწერილი მოვლენების რეალურ ნიშნებს შეესაბამება. ასე, მზის "უარყოფითობა" არის "მწველობის" თვისე მთვარის - გაგიჟების უნარი, ვარსკვლავების - გაუცხოება, მიუწვდომლობა.

2. თუხარელი მაია. კომიკურის საკითხი რუსულ ლიტერა- ტურულ ზღაპარში

ბოლო დრომდე, ლიტერატურული ზღაპარი არ იმსახურებდა მკვლევარების განსაკუთრებულ ყურადღებას. მას მიმართავდნენ რომელიმე ავტორის პერსონალური შემოქმედების შესწავლისას. თუმცა, ლიტერატურული ზღაპრის განვითარება მეოცე საუკუნეში შესანიშნავი მოვლენაა, ბოლო ათწლეულების განმავლობაში კი - მძაფრი და მრავალფეროვანი. ა. ნ. ტოლსტოი, იუ. კ. ოლეშა, ს. ჩორნი, კ.ი. ჩუკოვსკი, ე.ლ. შვარცი, ლ. ლაგინი, ე.ნ. უსპენსკი, ლ. პეტრუშევსკაია - არიან ის ავტორები, რომელთა მნიშვნელობა რუსული ლიტერატურისთვის არათანაბრადაა შეფასებული, მაგრამ თითოეულ შემთხვევაში ეს მნიშვნელობა უდაოა.

კომიკური სტიქია ლიტერატურულ ზღაპარში განისაზღვრება სხვადასხვაგვარი მოტივაციების შემადგენლობით, ხოლო ზოგიერთ შემთხვევაში, მოტივაციების ერთმანეთში ჩანაცვლებით.

კომიკური ასპექტი ლიტერატურულ ზღაპარში ტრადიციულად აჩენს საკუთარ თავს როგორც ესთეტიკური კატეგორია, რომელიც გულისხმობს კონკრეტულ ობიექტზე მიმართულ სიცილს. შემოქმედებითი თვალსაზრისით, ეს არის აქტიური ფორმა. მისი მთავარი თვისება წინააღმდეგობაა, როგორც ცალკე აღებულ პიროვნებასთან დაკავშირებული საზოგადოებრივი ან ინდივიდუალური მოვლენების შეფასების შედეგად. აქ, ანალოგიის მიხედვით, შეგვიძლია ვისაუბროთ მდგომარეობის ზღაპრებისა და ხასიათების ზღაპრების შესახებ.

კომიკური ხერხის სახით ნაჩვენებია პაროდირება, შარჟი, კოლაჟი, მონტაჟი, მეტაფორული დაშლა, სტილიზაცია, გროტესკი, ”კონსტრუირება”, თამაში, სახვითი-სამეტყველო შეუსაბამოებები პარადოქსის ელფერით. ლიტერატურულ ზღაპარს არ ახასიათებს დაცინვისა და სარკაზმის პათოსი. იუმორისთვის ჩვეულია უსრულო, როგორც წესი, აპოლიტიკური ხასიათის პრობლემები.

კომიკური დატვირთვა ვლინდება როგორც სიუჟეტისა და პერსონაჟების ტიპების დონეზე, ასევე კომიკური ეფექტის შექმნის პროცესში ჩართული ტექნიკის დონეზე. არანაკლებ მნიშვნელოვანი ფაქტორებია სიტყვის, მეტყველების თავისებურებების კომიზმი, უფრო ფართოდ - ნაწარმოებების ენა, რომლებიც მჟღავნდება კალამბურში, იდიომის დაშლაში. თამაში ვლინდება სტილში, ნაწარმოებების ენაში, როგორც სიტყვებით თამაში: ხუმრობები, პაროდიები, ფელეტონი, სიტყვათა თამაში.

ლიტერატურული ზღაპრის ყველაზე დამახასიათებელი ნიშანია ორმიმართულიანობა, რომელიც ერთდროულად ეხება ბავშვებსა და ზრდასრულებს. ამასთან ერთად, ზღაპრის "ზრდასრული" შინაარსი ხშირად ქვეტექსტში რჩება. ეს განსაკუთრებით დამახასიათებელია ზღაპარ- მოთხრობისთვის, მისი ზღაპრული და რეალისტური ელემენტების სპეციფიკური შეხამებით. „ტირანებსა და დესპოტებს" ეწინააღმდეგებიან გმირები, რომლებმაც იციან სიყვარული, მეგობრობა, შეუძლიათ სუსტების დაცვა, ანუგეშონ განაწყენებული და სამართლიანობის აღდგენა.
მაშასადამე, ლიტერატურულ ზღაპრებში გარდაიქმნება ხალხური ზღაპრების მარადიული მოტივი - მუდმივი ბრძოლა სიკეთისა და ბოროტებას შორის, ნათელი და ბნელი საწყისების დაპირისპირება.

4. მ. ფილინა. თადეუშ ლადა-ზაბლოცკი და მიხეილ თუმანიშვილი (პოეტების დიალოგი)

პოლონელი „კავკასიელი" ლიტერატორების ჯგუფში შემოქმედებითი პოტენციალის მიხედვით პირველი ადგილი უკავია თადეუშ ლადა-ზაბლოცკის. იგი სულ უფრო მეტ ინტერესს იწვევს მკვლევართა შორის. ზაბლოცკი კავკასიაში გადმოასახლეს 1837 წელს ცარიზმის საწინააღმდეგო ლექსების და მთავრობის საწინააღმდეგო სტუდენტურ წრეში მონაწილეობისთვის. იგი რიგით ჯარისკაცად მსახურობდა კავკასიის ომში. ზაბლოცკის კავკასიური მოგზაურობა საკმაოდ რთული აღმოჩნდა. ჩრდილოეთ კავკასიის გავლის შემდეგ, 1837 წლის შემოდგომიდან დედოფლისწყაროში მსახურობდა – თბილისიდან ას ვერსზე. სამსახურიდან დემობილიზაციის შემდეგ ცხოვრობდა თბილისში და იყო პოლონელი პოეტ-რომანტიკოსების ჯგუფის ერთ-ერთი დამაარსებელი.
ზაბლოცკის სახელთანაა დაკავშირებული მრავალი მოვლენა ქართულ-პოლონური კულტურული ურთიერთობებიდან. მნიშვნელოვანი ფაქტებიდან ერთია – ქართველი და პოლონელი პოეტების პირველი თანამეგობრობა. ზაბლოცკის ნაცნობების ფართო წრე ჰყავდა, იგი ა.ჭავჭავაძის სალონის ხშირი სტუმარი იყო, ხოლო მისი ქალიშვილები ნინო და ეკატერინე – ზაბლოცკის „პოეზიის" ტომის ხელისმომწერთა შორის არიან აღნიშნულნი. მიხეილ თუმანიშვლმა ქართულად თარგმნა ზაბლოცკის ლექსი „ალაზნის ველი", ხოლო ზაბლოცკიმ პოლონურად – მეგობრის ლექსი „თასი". „თასი"-ს ტექსტი შემონახულია ზაბლოცკის თუმანიშვილისადმი მიწერილ წერილში.
კავკასიაში ჩამოსვლის პირველ წლებში თადეუშ ლადა-ზაბლოცკისჰქონდა მიმოწერა მწერალ მიხეილ თუმანიშვილთან, რომელსაც დაუმეგობრდა თბილისში ხანმოკლე ყოფნისას, ხოლო მისგან გაიცნო ნიკოლოზ ბარათაშვილი. ზაბლოცკის თუმანიშვილისადმი წერილებში ჩანს, როგორ უმძიმდა პოეტს სამხედრო სამსახური, „ლაშქრობები ზურგჩანთით". ასეთი პოზიცია აქვს თითქმის ყველა გადმოსახლებულ პოეტს, რომელთაც არ მოსწონდათ მთიელებთან ომი, ჩერქეზების, ჩეჩნების და სხვათა ბრძოლას ცარიზმის წინააღმდეგთვლიდნენ სამართლიანად და განიცდიდნენ, რომ მსახურობდნენ მოწინააღმდეგეების ბანაკში.
იგი, გულწრფელად უზიარებს მას თავის ამბებს, ჩივის კავკასიურ ცხოვრებაზე, რადგან თავს სტუმრად არ თვლის, მაგრამ მეგობრის მხარეში ცხოვრობს, თუმცა,მაინც მისგან მოშორებით რადგან მ.თუმანიშვილი თბილისშია, ხოლო პოლონელი პოეტი – შორს მთებში. ნიშანდობლივია, რომ წერილები ხშირად ლექსებზე უფრო მკაფიოდ გამოხატავს როგორც ცხოვრების რომანტიკულ აღქმას, ყველა ცხოვრებისეული პრობლემების ფილოსოფიურ განზოგადებას, ასევე, რომანტიკის საპირისპირო დამოკიდებულებასაც.წერილებში იგრძნობა ბედისწერის შეგრძნება, ვლინდება რომანტიკული სენტენციებისადმიმიდრეკილება, ცხოვრებისადმიმწარე ირონიული დამოკიდებულება. ეს ყველა შტრიხი ორგანულადაა შერწყმული „კავკასიელების" პოეზიაში და ზოგადად პოლონური რომანტიზმის დამახასიათებელია. წერილები მნიშვნელოვან მასალასწარმოადგენს ქართულ-პოლონური ურთიერთობების შესწავლის საქმეში.

5. მ. ფილინა. პოლონელი „კავკასიელი პოეტები" - ქართული ფოლკლორის შემკრებნი

მრავალგანზომილებიანი ქართულ-პოლონური ლიტერატურული ურთიერთობების აღმოცენება მე -19 საუკუნის პირველ ნახევარს მიეკუთვნება. ქართველ და პოლონელ ხალხთა შემოქმედებითი ინტერესების გადაკვეთის ისტორია დრამატულია. ლიტერატორების ურთიერთ ინტერესთა აღმოცენებისა და განვითარების ყველაზე ნათელი პერიოდი 1830-იან წლებში ახალგაზრდა განათლებული პოლონელების გადასახლებას უკავშირდება. ცარისტული ხელისუფლება „პოლიტიკურ დამნაშავეთა" დასჯას ისახავდა მიზნად, შედეგად კი სრულიად საწინააღმდეგო მიიღეს - თავი იჩინა სულიერმა კავშირმა გადასახლებულებსა

და ქართველი ინტელიგენციის ელიტას შორის. ერთობ რთულ ვითარებაში იქნებოდა კავშირების მთელი სისტემა - ურთიერთ თარგმანები, პოლონელი ისტორიკოსებისა და ეთნოგრაფების მიერ კავკასიის შესწავლა, კერძოდ, საქართველოსი, გაცხარებული კავკასიის ომის დროს. ორი ათეული წლის განმავლობაში თბილისში ფუნქციონირებდა პოლონური რომანტიზმის ერთგვარი „ფილიალი“ - პოლონელ „კავკასიელ“ პოეტთა ჯგუფი.გადასახლებულმა პოლონელებმა გააფართოვეს თავიანთი თანამემამულეების წარმოდგენები კავკასიის შესახებ, 1830-1840-იან წლებში კავკასია უკვე აღარ არის მხოლოდ რომანტიკული შთაგონების ეგზოტიკური მხარე, არამედ ხდება მკითხველ პოლონელთა ინტერესის საგანი.

თითქმის ყველა წამყვანი პოლონელი ლიტერატორი ინტერესდებოდა კავკასიის ფოლკლორით, იწერდნენ მის ნიმუშებს - ლეგენდებს, თქმულებებს და ქართული ფოლკლორის პოეტურ ნიმუშებს.

ი. ი. კრაშევსკისთან და რედაქტორ რ. პოდბერესკისთან გაგზავნილ წერილებში ტადეშ ლადა-ზაბლოცკი (1843) წერს ქართული ფოლკლორისადმი ინტერესის შესახებ, კერძოდ: „ჰუგო კორსაკი, ახალგაზრდა კაცი, წერს მოთხრობას სათაურით „კიკოლი“, რომელსაც საფუძვლად უდევს ქართული თქმულებები“.

ზოგიერთი ნიმუში პოლონელებმა ქართველ და ჩრდილოეთ კავკასიელ მეცნიერებზე ადრე ჩაიწერეს, დღემდე ვერ მოხერხდა მათი იდენტიფიცირება. ფოლკლორის ყველაზე მეტი ნიმუში მოცემულია მათეუშ გრალოვსკის დაწვრილებით წიგნში „კავკასია. მოგონებები თორმეტწლიანი ტყვეობის შესახებ“ (ლვოვი, 1877). გრალევსკი გადმოსცემს ლეგენდებსა და თქმულებებს, აგრეთვე მოჰყავს მის მიერვე ნათარგმნი პოეტური ნიმუშები. ქართული ხალხური შემოქმედების ნიმუშები სხვადასხვა ფორმით გვხვდება მიხალ ანჯეიკოვიჩთან და ქსავერ პეტრაშკევიჩთან. კავკასიის ფოლკლორზე პოლონელ ლიტერატორთა მუშაობა ეპიზოდურ ხასიათს ატარებდა, თუმცა სწორედ მათ გაუღვიძეს მისდამი ინტერესი მომავალი თაობების ევროპელ მწერლებსა და მეცნიერებს.

6. მ. ფილინა. კიტა აბაშიძე - ნიკოლოზ ბარათაშვილის „მერანის“ და ადამ მიცკევიჩის „ფარისის“ - მკვლევარე

ადამ მიცკევიჩი და ნიკოლოზ ბარათაშვილი, როგორც პიროვნებები, ისე პოეტური სამყაროების შემქმნელები, დიდი ხანია, ერთმანეთს უახლოვდებიან. ჯერ კიდევ იონა მეუნარგია, XIX საუკუნის ბოლოს ,,ივერიაში“ გამოქვეყნებულ ბარათაშვილის ბიოგრაფიაში ცალკე ადგილს გამოყოფს ,,ფარისზე“ მსჯელობისთვის. ამ თავისდაუნებურ შეპირისპირებას მიმზიდველი ძალა აქვს ბარათაშვილის ყველა მკვლევარისთვის.

მოსაზრებათა პოლუსები იმასთან დაკავშირებით, იცნობდა თუ არა ბარათაშვილი მიცკევიჩის ლექსს, ასეთია: ფრთხილი ვარაუდებიდან იმის შესახებ, რომ ბარათაშვილს წაკითხული ჰქონდა ,,ფარისი“, უფრო სწორად, შეუძლებელია არ ჰქონოდა წაკითხული, ი. მეუნარგიასა და კიტა აბაშიძის მტკიცებამდე, რომ ,,მერანი“,,ფარისის“ მიბაძვითაა დაწერილი. მომდევნო პერიოდში ბარათაშვილის შემოქმედების ზოგიერთი მკვლევარი სრულიად გამორიცხავს ,,ფარისის“ გავლენას ,,მერანზე“.

ჩვენ ყურადღება გავამახვილეთ რამდენიმე განსხვავებაზე საკვლევ ლექსებში, თუმცა ბევრი სხვა თვალსაზრისით და უპირველეს ყოვლისა პოლონური კულტურაში ქართული რომანტიზმის აღქმის და შესაბამისად, პოლონური ლიტერატურის შესწავლისთვის საქართველოში, აუცილებელია გავითვალისწინოთ პარამეტრებისც, რომლებიც უდავოდ ანათესავებს ამ ნაწარმოებებს.

ორივე ლექსის განსხვავებული ქვეტექსტი ცხადყოფს, რომ ისინი შეიცავენ მსგავს პათოსს, ახლოს არიან მხატვრული მხარის სიძლიერით: აწმყოსგან, ერთფეროვანი, ხშირ შემთხვევაში უგვანი სინამდვილისაგან გაქცევა ნებისმიერი დაბრკოლების გავლით, თავის გადარჩენა საკუთარ იმედზე - ბედაურზე - ამხედრებული, ჭენებით; საკუთარი ოცნებისა და იმედის, ბედაურის, გადარჩენა სრულ მარტოობაში, კონკრეტული თუ შესაძლო მტრებით გარემოცვაში... ადამიანისთვის მიუწვდომელის განჭვრიტა და არდანებება.

ეს ლექსები როგორც პოლონურ, ისე ქართულ, ლიტერატურაში მაშინვე პოეზიის საუკეთესო ნიმუშების სიმაღლეზე ავიდნენ, მათივე ავტორების სხვა ქმნილებებზეც ამაღლდნენ, ჩამოიტოვეს მათი ლექსები, თუმცა ის ლექსები, რომლებიც მერყეობითა და ეჭვებითაა შექმნილი. მსგავსი შედევრების შექმნის ისტორიაში მოქმედებს შემოქმედების კანონი საკმაოდ რთული დიალექტიკით, რომელიც, როგორც ჩანს, დამახასიათებელია არა მხოლოდ რომანტიზმისთვის.

სხვადასხვა ქრისტიანული კონცესიების დიალოგში წამყვანი როლი თეოლოგებსა და ეკლესიის მსახურებს ეკუთვნის. მე-20 საუკუნის ყველაზე სიმბოლური ფიგურა, რომელიც მართმადიდებლური და კათოლიკური სამყაროს გადაკვეთაზე აღმოჩნდა და ერთმანეთს მჭიდროდ დააკავშირა ქართული და პოლონური ისტორია, კულტურა და ლიტერატურა, არქიმანდრიტი გრიგოლ ფერაძე გახლდათ.

საბჭოთა კავშირის დაშლამდე გრიგოლ ფერაძე ფაქტიურად იყო persona non grata საბჭოთა და პოლონურ წყაროებშიც კი. 1990-იან წლებში მისი სახელი თანდათან გახდა მნიშვნელოვანი ქართული,

პოლონური და მართლმადიდებლური თეოლოგიისა და ზოგადად კულტურისთვის, მისი პიროვნებისადმი ინტერესი მუდმივად იზრდება და დღეს წმინდა გრიგოლ ფერაძე სიმბოლური ფენომენი გახდა ქართულ-პოლონურ ურთიერთობებში, იგი აერთიანებს ამ კონტაქტების სხვადასხვა სფეროებს - თეოლოგიურ, პატროლოგიური, კულტურული, ისტორიული და ლიტერატურული.

კათოლიკური ქვეყნის ქართველმა მღვდელმა, რომელმაც მთელი თავისი ცხოვრება მიუძღვნა მართლმადიდებლობის მსახურებას, შეუზღუდავი მსხვერპლი გამოიჩინა ხალხის სიცოცხლისათვის ეროვნული და რელიგიური განსხვავებების მიღმა. მისი ცხოვრება არის მაღალი მისიის და მაღალი ადამიანური დანიშვნის შესრულება უნივერსალური მასშტაბით.

გრიგოლ ფერაძე გულთბილად მიიღო პოლონური საზოგადოების ელიტამ. მალე მას ვარშავის უნივერსიტეტის მართლმადიდებლური ღვთისმეტყველების კათედრის ხელმძღვანელობა შესთავაზეს. უნივერსიტეტში ფერაძესთან გვერდიგვერდ მსახურობდნენ გამოჩენილი რუსი ემიგრანტი არსენიევი, ცნობილი ბერძენი თეოლოგი ვასკედასი, მიტროპოლიტი დიონისი და სხვები.ფერაძე სტუდენტების დიდი პატივისცემით სარგებლობდა, ისინი აღნიშნავდნენ ქრისტიანული ლიტერატურის მის ღრმა ცოდნას. სწავლებისას გრიგოლ ფერაძე ლიტერატურას სხვადასხვა ენაზე ციტირებდა და სინქრონულად პოლონურ ენაზე თარგმნიდა.

მამა გრიგოლის მისია ევროპელებისთვის, კერძოდ პოლონელებისთვის, ქართული კულტურის გაცნობა გახლდათ. დიდი წვლილი მიუძღვის მას ლიტერატურადმცოდნეობაშიც - მამა გრიგოლის მიერ შესრულებული უძველესი ქართული ლიტერატურული ნაწარმოებების ღვთისმეტყველური რაკურსით ნატიფი ანალიზი ფასდაუდებელია.

1937 წელს სტალინური რეპრესიების პიკია. საქართველოში და პარალელურად ქართული ემიგრაციის ცენტრებშიც „ვეფხისტყაოსნის“ 750 წლის იუბილეს აღნიშნავდნენ. ვარშავაში ამ თარიღისთვის გამოიცა კრებული, რომელშიც შევიდა პოემის პოლონურად თარგმნილი ნაწყვეტები, რუსთაველის და თამარ მეფის პორტრეტები და სამი სტატია, რომლის ავტორები 3 პოლონელი ქართველია: გიორგი (იჟი) ნაკაშიძე, ვინმე დ.შ. და ვარშავის უნივერსიტეტის პროფესორი გრიგოლ ფერაძე. ფერაძის სტატია აცნობს მკითხველს პოემას და მთელი რუსთველოლოგიისთვის ორიგინალურ ნაშრომს წარმოადგენს.

კრებულში განთავსებულია წამყვანი პოლონელი პოეტის იულიან ტუვიმის მიერ თარგმნილი რუსთაველის პოემის შესავლის 10 სტროფი. თარგმანი შესრულებულია ტუვიმის ქართველ პოეტებთან გაცნობის და ურთიერთობის შედეგად და არა რუსული (მაგალითად, ნიკოლოზ ზაბოლოცკის) თარგმანების მეშვეობით. ეს ფაქტი მეტყველებს იმაზე, რომ ქართული ლიტერატურისადმი ინტერესი პოლიტიკურად ყველაზე დაძაბულ პერიოდებშიც კი არსებობდა და არ გამქრალა მაშინაც, როცა პირადი კონტაქტების არსებობა თითქმის შეუძლებელი იყო, აგრეთვე იმაზეც, რომ კათოლიკურ გარემოში შორეული მართლმადიდებლური ქვეყნის მიმართ დიდი ინტერესი ვლინდებოდა.

გრიგოლ ფერაძის ცხოვრების თემაზე ქართველმა რეჟისორმა თამარ დულარიძემ და პოლონელმა რეჟისორმა, მორწმუნე კათოლიკემ ეჟი ლუბახმა 1995 წელს ერთობლივად გადაიღეს ფილმი „თეთრი ანგელოზის ძიებაში“. ფილმის გადაღების პერიოდში დიდმოწამე გრიგოლ ფერაძე კანონიზირებული იყო ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის მიერ. მოხდა ისე, რომ ფილმის გადაღება ვიწრო წრეებში ცნობილ გმირ ადამიანზე დაიწყო, შემდეგ კი წმინდანის ცხოვრებას მიეძღვნა.

ქართველმა მღვდელმა, რომელმაც მთელი თავისი ცხოვრება მიუძღვნა მართლმადიდებლობის მსახურებას, შეუზღუდავი მსხვერპლი გამოიჩინა ხალხის სიცოცხლისათვის ეროვნული და რელიგიური განსხვავებების მიღმა. მისი ცხოვრება არის მაღალი მისიის და მაღალი ადამიანური დანიშვნის შესრულება უნივერსალური მასშტაბით.

თავისებური გამოძახილი ადამ მიცკევიჩის ,,ფარისმა“ და ნიკოლოზ ბარათაშვილის ,,მერანმა“ დაიწყო ,,მერანის“ გამოჩენისთანავე, უფრო სწორად, მას შემდეგ, რაც იგი დაიბეჭდა და ლიტერატურულ პროცესში ჩაერთო. ეს ლექსები, როგორც მძლავრი კულტურული ფაქტორები, მთლიანობაში ქართული და პოლონური რომანტიზმის შედარების აუცილებლობისაკენ მოგვიწოდებენ. მიუხედავად პოლონურ-ქართული ლიტერატურული კონტაქტების შესახებ არსებული ვრცელი ლიტერატურისა, ლიტერატურათმცოდნეობით მეცნიერებაში არ ყოფილა სპეციალური შეპირისპირება რომანტიზმის ეროვნული სკოლებისა, მათი ტიპოლოგიური თანხვდომებისა, არც რომანტიკულ ლიტერატურათა როგორც უშუალო, ისე რუსული რომანტიზმის მეშვეობით შესაძლო კავშირებისა.

მოსაზრებათა პოლუსები იმასთან დაკავშირებით, იცნობდა თუ არა ბარათაშვილი მიცკევიჩის ლექსს, ასეთია: ფრთხილი ვარაუდებიდან იმის შესახებ, რომ ბარათაშვილს წაკითხული ჰქონდა ,,ფარისი“, უფრო სწორად, შეუძლებელია არ ჰქონოდა წაკითხული, ი. მეუნარგიასა და კიტა აბაშიძის მტკიცებამდე, რომ

,,მერანი“,,ფარისის“ მიბაძვითაა დაწერილი. მომდევნო პერიოდში ბარათაშვილის შემოქმედების ზოგიერთი მკვლევარი სრულიად გამორიცხავს ,,ფარისის“ გავლენას ,,მერანზე“.

კიტა აბაშიძე ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეზიის ერთ-ერთი ღრმა მკვლევარი იყო და ადასტურებს "მერანის" და "ფარისის" უდაო კავშირს. „ჩვენ კარგად ვიცით, რომ ეს ლექსი დაწერილია მიცკევიჩის ,,ფარისის” მიმსგავსებით. რასაკვირველია, ამით სრულიადაც არა მცირდება ღირსება ამ ლექსისა“.

რაც შეეხება უშუალო გავლენას, ჩვენ სიმონ ჩიქოვანის აზრს ვიზიარებთ: ,,მერანიც“ აშკარად ეხმიანება მიცკევიჩის ,,ფარისს“, რომელიც თავის მხრივ აღმოსავლური ლიტერატურის მოტივებს ასახავს. მაგრამ ყველა ეს დამთხვევა არის მხოლოდ საუკუნის სულიერ მღლვარებათა შეხვედრა და არა - გავლენა...“

ამის მიუხედავად, კიტა აბაშიძის გამოკვლევებს აქვს უდიდესი ისტორიულ- ლიტერატურული მნიშვნელობა.

7. **მ. ფილინა. მართლმადიდებელი წმინდანი კათოლიკურ სამყაროში**

სხვადასხვა ქრისტიანული კონცესიების დიალოგში წამყვანი როლი თეოლოგებსა და ეკლესიის მსახურებს ეკუთვნის. მე-20 საუკუნის ყველაზე სიმბოლური ფიგურა, რომელიც მართმადიდებლური და კათოლიკური სამყაროს გადაკვეთაზე აღმოჩნდა და ერთმანეთს მჭიდროდ დააკავშირა ქართული და პოლონური ისტორია, კულტურა და ლიტერატურა, არქიმანდრიტი გრიგოლ ფერაძე გახლდათ.

საბჭოთა კავშირის დაშლამდე გრიგოლ ფერაძე ფაქტიურად იყო persona non grata საბჭოთა და პოლონურ წყაროებშიც კი. 1990-იან წლებში მისი სახელი თანდათან გახდა მნიშვნელოვანი ქართული, პოლონური და მართლმადიდებლური თეოლოგიისა და ზოგადად კულტურისთვის, მისი პიროვნებისადმი ინტერესი მუდმივად იზრდება და დღეს წმინდა გრიგოლ ფერაძე სიმბოლური ფენომენი გახდა ქართულ-პოლონურ ურთიერთობებში, იგი აერთიანებს ამ კონტაქტების სხვადასხვა სფეროებს - თეოლოგიურ, პატროლოგიური, კულტურული, ისტორიული და ლიტერატურული.

კათოლიკური ქვეყნის ქართველმა მღვდელმა, რომელმაც მთელი თავისი ცხოვრება მიუძღვნა მართლმადიდებლობის მსახურებას, შეუზღუდავი მსხვერპლი გამოიჩინა ხალხის სიცოცხლისათვის ეროვნული და რელიგიური განსხვავებების მიღმა. მისი ცხოვრება არის მაღალი მისიის და მაღალი ადამიანური დანიშვნის შესრულება უნივერსალური მასშტაბით.

გრიგოლ ფერაძე გულთბილად მიიღო პოლონური საზოგადოების ელიტამ. მალე მას ვარშავის უნივერსიტეტის მართლმადიდებლური ღვთისმეტყველების კათედრის ხელმძღვანელობა შესთავაზეს. უნივერსიტეტში ფერაძესთან გვერდიგვერდ მსახურობდნენ გამოჩენილი რუსი ემიგრანტი არსენიევი, ცნობილი ბერძენი თეოლოგი ვასკედასი, მიტროპოლიტი დიონისი და სხვები.ფერაძე სტუდენტების დიდი პატივისცემით სარგებლობდა, ისინი აღნიშნავდნენ ქრისტიანული ლიტერატურის მის ღრმა ცოდნას. სწავლებისას გრიგოლ ფერაძე ლიტერატურას სხვადასხვა ენაზე ციტირებდა და სინქრონულად პოლონურ ენაზე თარგმნიდა.

მამა გრიგოლის მისია ევროპელებისთვის, კერძოდ პოლონელებისთვის, ქართული კულტურის გაცნობა გახლდათ. დიდი წვლილი მიუძღვის მას ლიტერატურადმცოდნეობაშიც - მამა გრიგოლის მიერ შესრულებული უძველესი ქართული ლიტერატურული ნაწარმოებების ღვთისმეტყველური რაკურსით ნატიფი ანალიზი ფასდაუდებელია.

1937 წელს სტალინური რეპრესიების პიკია. საქართველოში და პარალელურად ქართული ემიგრაციის ცენტრებშიც „ვეფხისტყაოსნის“ 750 წლის იუბილეს აღნიშნავდნენ. ვარშავაში ამ თარიღისთვის გამოიცა კრებული, რომელშიც შევიდა პოემის პოლონურად თარგმნილი ნაწყვეტები, რუსთაველის და თამარ მეფის პორტრეტები და სამი სტატია, რომლის ავტორები 3 პოლონელი ქართველია: გიორგი (იჟი) ნაკაშიძე, ვინმე დ.შ. და ვარშავის უნივერსიტეტის პროფესორი გრიგოლ ფერაძე. ფერაძის სტატია აცნობს მკითხველს პოემას და მთელი რუსთველოლოგიისთვის ორიგინალურ ნაშრომს წარმოადგენს.

კრებულში განთავსებულია წამყვანი პოლონელი პოეტის იულიან ტუვიმის მიერ თარგმნილი რუსთაველის პოემის შესავლის 10 სტროფი. თარგმანი შესრულებულია ტუვიმის ქართველ პოეტებთან გაცნობის და ურთიერთობის შედეგად და არა რუსული (მაგალითად, ნიკოლოზ ზაბოლოცკის) თარგმანების მეშვეობით. ეს ფაქტი მეტყველებს იმაზე, რომ ქართული ლიტერატურისადმი ინტერესი პოლიტიკურად ყველაზე დაძაბულ პერიოდებშიც კი არსებობდა და არ გამქრალა მაშინაც, როცა პირადი კონტაქტების არსებობა თითქმის შეუძლებელი იყო, აგრეთვე იმაზეც, რომ კათოლიკურ გარემოში შორეული მართლმადიდებლური ქვეყნის მიმართ დიდი ინტერესი ვლინდებოდა.

გრიგოლ ფერაძის ცხოვრების თემაზე ქართველმა რეჟისორმა თამარ დულარიძემ და პოლონელმა რეჟისორმა, მორწმუნე კათოლიკემ ეჟი ლუბახმა 1995 წელს ერთობლივად გადაიღეს ფილმი „თეთრი ანგელოზის ძიებაში“. ფილმის გადაღების პერიოდში დიდმოწამე გრიგოლ ფერაძე კანონიზირებული იყო ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის მიერ. მოხდა ისე, რომ ფილმის გადაღება ვიწრო წრეებში ცნობილ გმირ ადამიანზე დაიწყო, შემდეგ კი წმინდანის ცხოვრებას მიეძღვნა.

ქართველმა მღვდელმა, რომელმაც მთელი თავისი ცხოვრება მიუძღვნა მართლმადიდებლობის მსახურებას, შეუზღუდავი მსხვერპლი გამოიჩინა ხალხის სიცოცხლისათვის ეროვნული და რელიგიური განსხვავებების მიღმა. მისი ცხოვრება არის მაღალი მისიის და მაღალი ადამიანური დანიშვნის შესრულება უნივერსალური მასშტაბით.

8. მ. ფილინა. მართლმადიდებელი წმინდანი კათოლიკურ სამყაროში

თავისებური გამოძახილი ადამ მიცკევიჩის ,,ფარისმა“ და ნიკოლოზ ბარათაშვილის ,,მერანმა“ დაიწყო ,,მერანის“ გამოჩენისთანავე, უფრო სწორად, მას შემდეგ, რაც იგი დაიბეჭდა და ლიტერატურულ პროცესში ჩაერთო. ეს ლექსები, როგორც მძლავრი კულტურული ფაქტორები, მთლიანობაში ქართული და პოლონური რომანტიზმის შედარების აუცილებლობისაკენ მოგვიწოდებენ. მიუხედავად პოლონურ-ქართული ლიტერატურული კონტაქტების შესახებ არსებული ვრცელი ლიტერატურისა, ლიტერატურათმცოდნეობით მეცნიერებაში არ ყოფილა სპეციალური შეპირისპირება რომანტიზმის ეროვნული სკოლებისა, მათი ტიპოლოგიური თანხვდომებისა, არც რომანტიკულ ლიტერატურათა როგორც უშუალო, ისე რუსული რომანტიზმის მეშვეობით შესაძლო კავშირებისა.

მოსაზრებთა პოლუსები იმასთან დაკავშირებით, იცნობდა თუ არა ბარათაშვილი მიცკევიჩის ლექსს, ასეთია: ფრთხილი ვარაუდებიდან იმის შესახებ, რომ ბარათაშვილს წაკითხული ჰქონდა ,,ფარისი“, უფრო სწორად, შეუძლებელია არ ჰქონოდა წაკითხული, ი. მეუნარგიასა და კიტა აბაშიძის მტკიცებამდე, რომ ,,მერანი“,,ფარისის“ მიბაძვითაა დაწერილი. მომდევნო პერიოდში ბარათაშვილის შემოქმედების ზოგიერთი მკვლევარი სრულიად გამორიცხავს ,,ფარისის“ გავლენას ,,მერანზე“.

კიტა აბაშიძე ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეზიის ერთ-ერთი ღრმა მკვლევარი იყო და ადასტურებს "მერანის" და "ფარისის" უდაო კავშირს. „ჩვენ კარგად ვიცით, რომ ეს ლექსი დაწერილია მიცკევიჩის ,,ფარისის” მიმსგავსებით. რასაკვირველია, ამით სრულიადაც არა მცირდება ღირსება ამ ლექსისა“.

რაც შეეხება უშუალო გავლენას, ჩვენ სიმონ ჩიქოვანის აზრს ვიზიარებთ: ,,მერანიც“ აშკარად ეხმიანება მიცკევიჩის ,,ფარისს“, რომელიც თავის მხრივ აღმოსავლური ლიტერატურის მოტივებს ასახავს. მაგრამ ყველა ეს დამთხვევა არის მხოლოდ საუკუნის სულიერ მღლვარებათა შეხვედრა და არა - გავლენა...“

ამის მიუხედავად, კიტა აბაშიძის გამოკვლევებს აქვს უდიდესი ისტორიულ- ლიტერატურული მნიშვნელობა.

7.2. უცხოეთში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	დ.გოცირიძე	Mythopoetics of Multiculturality and Integral Individuality	İstanbul, Ötüken, 2020 Mifologiya elçisi Kamal Abdulla ərməğanı”
2.	დ.გოცირიძე	Личность и аксиология культуры	October 5–7, 2020 Kazakhstan, Almaty, International Conference MODERN LINGUISTIC HORIZONS:TRENDS AND SCIENTIFIC DIALOGUE, dedicated to the 75th birthday and 50th anniversary of the scientifi c and pedagogical activity of Professor E.D. Suleimenova
3.	დ.გოცირიძე	Адаптация и межкультурная коммуникация.	11- 13 марта 2020 года; Стокгольмский университет, „Современная теория русского языка и пути ее применения в практике преподавания русского языка инофонам и билингвам“
4.	ნ. ბასილაია	Отражение небесной сферы в поэтической картине мира ИА Бунина	26.09.2020 Ереван, Международная научно-практическая конференция (онлайн) «И.А Бунин: русская и национальные литературы https://us02web.zoom.us/j/90830452 4?pwd=ZlR2TmJ0L3lCT3hyWUtN khpVlBEZz09
5.	ნ. ბასილაია	Интерпретация шекспировских сюжетов в поэзии Бориса Пастернака	03.10.2020 Ереван, Международная научно-практическая конференция (онлайн) «Борис Пастернак: русская и национальные литературы“ https://us02web.zoom.us/j/908304
6.	ნ. ბასილაია	Учебный курс «Теория и практика художественного перевода для бакалавров»	29–30 октября 2020 г. Минск VI Международная научно-практическая конференция «Языковая личность и эффектив-ная коммуникация в современном поликультурном мире», посвященная 100-летию БГУ
7.	დ.კანდელაკი	საქართველოს ისტორიის საკითხები ქართველი პოლიტიკური ემიგრანტების შრომებში	27.04 -29.04.2020 ბუდაპეშტი, უნგრეთი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია - „ემიგრაცია, როგორც სოციოკულტურული ფენომენი: კულტურულ-ისტორიული მემკვიდრეობა და თანამედროვეობა“

8.	დ.კანდელაკი	როგორ წერდნენ საქართველოს ისტორიას მე-19 საუკუნის პირველი ნახევრის რუსი ავტორები	12.11 -13.11.2020, ბაქო, აზერბაიჯანი აერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია - „ისტორიული ცოდნა და ისტორიის სწავლება - მათ გავლენა ეროვნულ თვითმყოფადობაზე“
9.	მარიამ ფილინა	1830-50 წლებში კავკასიაში გადასახლებულნი პოლონელები და მათი შემოქმედებითი მემკვიდრეობა	საჯარო ლექცია - ეკონომიკის უნივერსიტეტი (პოლონეთი, ქ. ბიდგოშჩი) - პოლონური კულტურისა და ენის უმაღლესი სკოლა. 23.06.2020 – (ონლაინ)
10.	მარიამ ფილინა	ქართული „პოლონიის“ ისტორია და ადღევანდელი დღე	საერთაშორისო კონფერენცია "პოლონიის ისტორია და მომავალი". ბიდგოშჩი, პოლონეთი, 29-30.09.2020 (ბიდგოშჩის ეკონომიკის უნივერსიტეტი) - პოლონური კულტურისა და ენის უმაღლესი სკოლა – (ონლაინ)
11.	მარიამ ფილინა	მარტოობის ინტელექტუალური თვითმკვლელობა (ალექსანდრე პოტიომკინის რომანი „სიმარტოვის ანარეკლი“)	ალექსანდრე პოტიომკინის რომანის „სიმარტოვის ანარეკლი“ პრეზენტაცია - გამომცემლობა «ПоРог» - მოსკოვი - გერმანია - ესპანეთი, 03.12.2020 (ონლაინ)

მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა)

6. ნ. ბასილაია. სასწავლო კურსი "მხატვრული თარგმანის თეორია და პრაქტიკა" ბაკალავრი სტუდენტებისათვის

მოხსენებაში მოყვანილია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტებისთვის ცნობილი პოეტების მიერ ქართული პოეტური ტექსტების რუსულ ენაზე თარგმანის თავისებურებების გაცნობის მეთოდები; სხვადასხვა პოეტური კულტურის შედარება ბაკალავრებს აჩვენებს ლიტერატურის უზარმაზარ პოტენციალს, როგორც აღმქმელის ცნობიერებასთან უსასრულოდ "ღია, დაუმთავრებელ დიალოგს" (მ. ბახტინი).

9. მ. ფილინა. 1830-50 წლებში კავკასიაში გადასახლებულნი პოლონელები და მათი შემოქმედებითი მემკვიდრეობა

პოლონელთა ყველაზე მნიშვნელოვანი ჯგუფი აქ 1830-1840 წწ-ში იმყოფებოდა. ესენი იყვნენ პოლიტიკური გადმოსახლებულები. ადამიანთა ეს არცთუ მრავალრიცხოვანი ჯგუფი გეოგრაფიულად სულ სხვა სივრცესა და ეთნიკურ სამყაროში აღმოჩნდა. აქ ხალხი სხვა ტრადიციებისა და მსოფლმხედველობის მატარებელი იყო. მიუხედავად ამისა, კავკასიაში, განსაკუთრებით კი საქართველოში პოლონელთა `მარგი ქმედების კოეფიციენტი~ ძალიან დიდია. გადმოსახლებულმა პოლონელებმა დიდი გავლენა მოახდინეს მეცნიერების სხვდასხვა დარგსა და კულტურაზე. ასე რომ, მნიშვნელოვანია გავაცნობიეროთ რას ნიშნავს კავკასია პლონეთის ისტორიაში; როგორ მოქმედებს იგი პოლონელთა ბედ-იღბალზე და რა როლს ასრულებენ პოლონელები კავკასიაში?

რომანტიზმის პერიოდში პოლნელთა მოღვაწეობა კავკასიასა და კერძოდ, საქართველოში, პოლონური ემიგრაციის ისტორიის განსაკუთრებული ეტაპია. მატიანეში იგი ჩაიწერა, როგორც ამ მხარეში პოლონელთა მალისმიერი გადასახლება.

მრავალმხრივ მნიშვნელოვანი ქართულ-პოლონური ლიტერატურული ურთიერთობანი დაიწყო XIX საუკუნის I ნახევარში. ქართველი და პოლონელი ხალხის შემოქმედებითი ინტერესების შედუღაბება დრამატიზმით არის აღსავსე. სხვადასხვა ქვეყნის ლიტერატორთა ურთიერთდაინტერესების ყველაზე ნათელი პერიოდი დაკავშირებულია 1830-იან წლებში ახალგაზრდა, განათლებული პოლონელების მასობრივად გადასახლების ტალღასთან. მეფის მთავრობის მიზანი იყო დაესაჯა `პოლიტიკური დამნაშავენი~, შედეგი კი სრულიად საპირისპირო გამოდგა _ სულიერი კავშირი გაიბა გადასახლებულთა და ქართულ ინტე-ლიგენციას შორის. უაღრესად რთულ სიტუაციაში იქმნებოდა ურთი¬ერთობათა მთელი სისტემა _ ერთი ენიდან მეორეზე თარგმნა, პოლონელი ისტორიკოსებისა და ეთნოგრაფების მიერ კავკასიის, კერძოდ კი, საქა¬რთველოს შესწავლა იმ გაჩაღებული კავკასიური ომის დროს. თბილისში ორი ათეული წლის განმავლობაში ფუნქციონირებდა პოლონელ რომანტიკოსთა ერთგვარი `ფილიალი~ _ პოლონელ `კავკასიელთა~ ჯგუფის პოეტები. გადა¬¬სახლებულმა პოლონელებმა თავიანთ თანამემამულეებს ნათლად დაანახვეს კავკასია. 1830-1840-იან წლებში კავკასია უკვე აღარ იყო მხოლოდ ეგზოტიკური, რომანტიკული აღმაფრენის მომნიჭებელი მხარე. იგი უკვე სერიოზულად აინტერესებდათ მკითხველ პოლონელებს.

10. მ. ფილინა ქართული „პოლონიის“ ისტორია და ადღევანდელი დღე

მსოფლიოში ყოველ პოლონურ ორგანიზაციას გააჩნია განუმეორებელი სტილი, რაც დაკავშირებულია დამფუძვნებელთა პიროვნულ თვისებებზე და იმ პირობებზე, რომლის დროსაც ხდებოდა მათი ჩამოყალიბება. ჩვენი პოლონიის არსს წარმოადგენს მისი ორიგინალურობა, რომელიც შეიძლება განვიხილოთ, როგორც ერთგვარი პოლონური იმპროვიზაცია.

1990-იან წლებში ქართველ პოლონელთა მრავალწლიანმა და მრავალფეროვანმა ისტორიამ დასაბამი მისცა პოლონური ორგანიზაციის დაარსებას, რასაც წინ უძღოდა რამოდენიმე მცდელობა (ალექსანდრე რუსეცკი, ანატოლი კაზბილევსკი და რომუალდ კოზლოვსკი), რომელსაც მნიშვნელოვანი შედეგი არ მოჰყოლია.

განვლილი 25 წლის შემდეგ დღემდე არ შემიძლია ვუპასუხო კითხვას: ავიღებდი კი ჩემს თავზე ამგვარ მძიმე ტვირთს, წინასწარ რომ მცოდნოდა, თუ რაოდენ დიდი სასიცოცხლო ძალა, ენერგია, დრო და ცოდნა დასჭირდებოდა საქმეს, რაოდენ დიდი სიძნელეების გადალახვა მომიწევდა...

1995 წლის 9 თებერვალს პოლიტიკურ გადასახლებულთა და XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე ემიგრირებულთა შთამომავლობამ შესძლო საქართველოს პოლონელთა კულტურულ-საგანმანათლებლო კავშირში „პოლონია“-ში გაერთიანება. ეხლა კავშირ „პოლონია’-ს აქვს 25 წლიანი ისტორია და საკმაოდ ვრხელი საქმიანობა ბევრ დარგში.

კავშირ ,,პოლონიის“ ინიციატივით, თსუ-ში ტრადიციულად ტარდებოდა სამეცნიერო სესიები, მათ შორის 10 საერთაშორისო:

ა. მიცკევიჩისადმი მიძღვნილი საერთაშორისო კონფერენცია (1998), ფ. შოპენს და ი. სლოვაცკის დაბადებიდან 150 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო სესია (კონსერვატორიასთან და მეცნიერებათა აკადემიასთან ერთად) (1999). კავშირ „პოლონიის“ 5 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო კონფერენცია „პოლონელების 200 წელი კავკასიაში: ისტორია და პერსპექტივები“ (ვარშავის უნივერსიტეტთან ერთად, სამეცნიერო ნამუშევრების კრებული გამოქვეყნდა თბილისში და ვარშავაში, 2000), კ.ი. გალჩინსკის ორენოვანი კრებულის პრეზენტაცია და კ.ი.გალჩინსკის ხსოვნისადმი მიძღვნილი სამეცნიერო სესია (2004), ა.მიცკევიჩის გარდაცვლების 150 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო სესია (2005), ჰენრიკ სენკევიჩის ხსოვისადმი მიძღვნილი კონფერენცია (2006), საერთაშორისო კონფერენცია „რომანტიზმი და თანამედროვეობა“ პოლონურ-ქართული ურთიერთობათა სათავები და პერსპექტივები“ მიძღვნილი კავშირ პოლონიას 15 წლისთავისადმი (2010), „პოლონური კავკასია. ქარულ-პოლონურ კონტაქტების ისტორია და პერსპექტივები“ (2015)

ყველა ზემოხსენებული კონფერენცია და საიუბილეო ღონისძიებები ჩატარერბულ იქნა პოლონეთის რესპუბლიკის სენატის და საელჩოს პატრონაჟით კავშირი და მისი პრეზიდენტი და დამაარსებელი, თსუ-ს პროფესორი ქალბატონი მარიამ ფილინა დაჯილდოვებულნი იყვნენ საქართველოს და პოლონეთის სახელმწიფოს უმაღლესი ორდენებით და ჯილდოებით.

11. მ. ფილინა. ქართული „პოლონიის“ ისტორია და ადღევანდელი დღე

ვისაც გასართობი, მსუბუქი და უდარდელი ნაწარმოების წაკითხვა სურს, რომელიც სავსეა ათასგვარი თავგადასავლებითა და თავშესაქცევი ეპიზოდებით, ამ რომანს ნუ წაიკითხავს. ეს ფიქრიანი, ტკივილიანი რომანია, სამყაროს დღევანდელობის მკაცრი ჟამთააღმწერლის მიერ დაწერილი და მსოფლიოს ხვალინდელ დღეზე გულშემატკივარი ადამიანისა. რომანის მთავარი გმირიც, დიმიტრი მიშკინი არ ჰგავს ტრადიციული რომანების ფერადოვან, თვალისმომჭრელ პერსონაჟს. მისი პორტრეტი მუნკის „კივილს“ თუ მოგაგონებთ მხოლოდ. თუმც არვის ესმის მიშკინის სულის კივილი, რადგან თანამედროვე ადამიანები ერთმანეთისგან დაშორიშორებულნი და გულგრილნი გამხდარან და მხოლოდ საკუთარ კარიერასა და ფინანსურ წარმატებებზე ოცნებობენ. ღმერთისგან დავიწყებული, სიმარტოვის სენით შეპყრობილი ახალგაზრდა კაცი ამიტომ ცდილობს შეაღწიოს ამაქვეყნის ძლიერთა გონებაში და წამით მაინც მიიპყროს მათი ყურადღება.

ანდრე მარლო წერდა:„ - მთავარი ის კი არ არის, რომ ყველაფრის პასუხი მოიძებნოს, არამედ ის, რომ შეკითხვები არ გამოილიოს.“ და არც ილევა უპასუხო კითხვები მიშკინის არეულ, მშფოთვარე გონებაში. სწორედ ამ უპასუხოდ დატოვებული კითხვებით ცდილობს მწერალი თანამედროვე რუსეთის პოლიტიკური თუ ბიზნესის ელიტის წარმომადგენელთა პორტრეტების დახატვას. ადამიანების, რომელთაც საზოგადოების გაბრიყვება ადვილად შეუძლიათ ტელეეკრანებისა თუ სხვა პიარტექნოლოგიების საშუალებით.

ობლად გაზრდილ ბიჭს, რომელსაც სიმარტოვე ბედისწერად ქცევია, ბიჭს, რომელმაც არ იცის რა არის მშობლების სითბო და ზრუნვა, სატრფოს სიყვარული და ერთგულება, რომლის ბავშვთა სახლში ყველასგან ათვალწუნებული 500 რუბლად მიჰყიდეს მოხუც ინვალიდს როგორც ზედმეტი, არავისთვის ფასეული ნივთი. როგორ შესძლოს მარტოსულმა ყალბ, მოჩვენებით საზოგადოებაში ინტეგრაცია... ამიტომაა მისი ერთადერთი ნუგეში მსოფლიოს უდიდეს გენიოსებთან, ფილოსოფოსებთან თუ მწერლებთან მეგობრობა და მათ გმირებთან გაბაასება. თუ აპოლინერის სიტყვებსაც მოვიშველიებთ: - „ხელოვნება ძახილებისგან დაგრეხილი თოკიაო“, ჩვენი გმირიც სულის ამომშრალ ჭას ცრემლებით ავსებს და ძახილებისგან დაგრეხილ თოკს სიმწრით ებღაუჭება.

ადამიანი - ეს ნივთია, აი, რა არის მისი არეული სულის ლეიტმოტივი. და თუ ნივთია, რა არის მისი ფასი? და გმირი საშინელ აღმოჩენამდე მიდის. ნაწილ ნაწილ ღვიძლი, თვალები, თირკმელები, გული, ასე გაყიდული ადამიანის ფასი უფრო მეტია, ვიდრე ცოცხალი, მოაზროვნე პიროვნების, ამიტომაც იღებს საბოლოო გადაწყეტილებას - იქცეს მიკრობად, - „სამყაროში მხოლოდ მიკრობი ცხოვრობს სამუდამოდ.“ „ომვრის, აღშფოთებისა და ტანჯვის გარეშე, მაგრამ სულიერი აღფრთოვანებითა და ნათელი გონებით მე ველოდები ახალ სამყაროში გამგზავრებას, მარადისობაში, სადაც არაა რასობრივი დავა, კლასობრივი დაპირისპირება, იდეოლოგიური სიცრუე, სამომხმარებლო მორალი, ცრუ იმედები, ჩაგვრა და დესპოტიზმი, მაგრამ არის უსასრულო ჭვრეტითი სიამოვნება.“

ასე რჩება თითოეული მკითხველის, თითოეული ადამიანის გონებაში დიმიტრი მიშკინი. რჩება, როგორც 21-ე საუკუნის სამართლიანი მსაჯული.

ეს თავად მწერლის, ალექსანდრ პოტიომკინის არჩევანიცაა, რომ დააფიქროს თანამედროვე ადამიანი დღევანდელი სამყაროს მოუშუშებელ იარებზე, გულგრილობასა და სიძულვილზე, ამპარტავნებასა და კარიერიზმზე, ომებსა და ეთნოკონფლიქტებზე, ეკონომიურ კატასტროფებსა და ადამიანის ბიორობოტად ქცევის უღმერთო ნებაზე.

ყველა დიდი მწერალი მხოლოდ თანამედროვეობის სამართლიანად აღმწერი როდია, ის მომავლის წინასწარმეტყველიცაა და კაცობრიობის გასაფრთხილებლად იბადება.

ერთეულს თუ საჭიროდ მიაჩნია, შეუძლია ანგარიშში შეიტანოს სხვა, მისთვის მნიშვნელოვანი აქტივობაც.

ანგარიში წარმოდგენილი უნდა იყოს ნაბეჭდი (2 ეგზემპლარად) და ელექტრონული ვერსიის (CD-დისკი) სახით.

ანგარიში, რომელიც არ არის შედგენილი ამ დანართის მოთხოვნების შესაბამისად, ექსპერტიზას (შეფასებას) არ ექვემდებარება და შეფასების შემაჯამებელ დოკუმენტში აღინიშნება ფორმულით „არ შეფასდა“.

დასავლეთევროპული ენებისა და
ლიტერატურის
სასწავლო-სამეცნიერო
ინსტიტუტი

ანგარიშის ფორმა № 2

2020 წელს გაწეული სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ანგარიში

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის დასახელება

დასავლეთევროპული ენებისა და ლიტერატურის სასწავლო–
სამეცნიერო ინსტიტუტი

სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა ხელმძღვანელის მითითებით

ს/ს ინსტიტუტის ხელმძღვანელი - პროფ. მანანა გელაშვილი
წავლული მდივანი: ასისტ. პროფ. ნინო ჭრიკიშვილი

ინგლისური ფილოლოგიის კათედრა:
მანანა რუსიეშვილი – პროფესორი (კათედრის ხელმძღვანელი)
მანანა გელაშვილი - პროფესორი
რუსუდან დოლიძე – ასოცირებული პროფესორი
გიორგი ყუფარაძე – ასოცირებული პროფესორი
ნათელა ნემსაძე – ასოცირებული პროფესორი
ნინო დარასელია – ასოცირებული პროფესორი
ირინე გველესიანი – ასოცირებული პროფესორი
დავით მაზიაშვილი – ასოცირებული პროფესორი
ირინე დემეტრაძე – ასისტენტ პროფესორი
მაია გურგენიძე – ასისტენტ პროფესორი
თამარ გელაშვილი - ასისტენტ პროფესორი

გერმანული ფილოლოგიის კათედრა
ლალი ქეცბა-ხუნდაძე – პროფესორი (კათედრის ხელმძღვანელი)
ალექსანდრე კარტოზია – პროფესორი
მარინა ანდრაზაშვილი – ასოცირებული პროფესორი
ნუნუ კაპანაძე – ასოცირებული პროფესორი
ნინო ქიმერიძე – ასოცირებული პროფესორი
სოფიო მუჯირი – ასოცირებული პროფესორი
კონსტანტინე ბრეგაძე – ასოცირებული პროფესორი
თამარ ჭუმბურიძე – ასისტენტ პროფესორი

რომანული ფილოლოგიის კათედრა

ქეთევან გაბუნია – პროფესორი (კათედრის ხელმძღვანელი)
ნანა გუნცაძე – ასოცირებული პროფესორი
მარინე კობეშავიძე – ასოცირებული პროფესორი
მაია ჯავახიძე – ასოცირებული პროფესორი
სალომე კენჭოშვილი – ასისტენტ პროფესორი
ნინო ჭრიკიშვილი – ასისტენტ პროფესორი
ბელა ხაბეიშვილი – ასოცირებული პროფესორი
ნინო ქავთარაძე – ასისტენტ პროფესორი

თარგმანმცოდნეობის კათედრა
ინესა მერაბიშვილი – პროფესორი (კათედრის ხელმძღვანელი)
ლელა ებრალიძე – ასისტენტ პროფესორი

1. სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის პერსონალის მიერ შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

1.1.

№	გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	2	3	4
1.	სახელმძღვანელოს თარგმნა: მ. შტედე. კორპუსზე დამყარებული ტექსტის ანალიზი : დონეებზე ორიენტირებული ტექსტის ლინგვისტიკის საფუძველზი. Stede, Manfred 2016: *Korpusgestützte Textanalyse: Grundzüge der Ebenen-orientierten Textlinguistik*· 2., überarbeitete Auflage· *Narr Studienbücher*: Tübingen; დარგი: კორპუსული ლინგვისტიკა/ ტექსტის ლინგვისტიკა; მიმართულება: გერმანული ფილოლოგია	2019- 2020	მთარგმნელები: ნ. კაპანაძე, ნ, ქიმერიძე. რედაქტორი: ო. კაპანაძე
2	„გერმანულ-ქართული კულტურის ტრანსფერი ლიტერატურულ, მედიალურ და დარგობრივ კომუნიკაციაში.“ ფინანსური მხარდაჭერა: გერმანიის აკადემიური	2017-2022	<u>პროექტის ხელმძღვანელები:</u> პროფ. დოქტ. ლ. ქეცბა-ხუნდაძე, პროფ. დოქტ. ა. კარტოზია, პროფ. ვ. ატაიანი. <u>პროექტის მონაწილე:</u> სოფიო მუჯირი

	სამსახური (DAAD) და ჰაიდელბერგის რუპრეხტ კარლის სახ. უნივერ¬სიტეტის თარგმანისა და თარჯიმნობის ინსტიტუტი.		
გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2020 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)			
1. პროექტის პირველ ეტაპზე მომზადდა გერმანული ტექსტის ქართული თარგმანის მთლიანი სამუშაო ვერსია. საქართველოში მწირია კორპუსის ლინგვისტიკის, კომპიუტერული ლინგვისტიკის და ტექსტის ლინგვისტიკის სფეროში შესრულებული სამუშაოების რაოდენობა, ამდენად, სირთულეს ქმნის არა მხოლოდ ახალი დარგების ტერმინოლოგიის დაზუსტება, არამედ ახალი ტექნიკური, გამორჩეულად კი კორპუსული ლინგვისტიკის ტერმინოლოგიის შექმნა და გადამოწმება. პირველი ეტაპის დასასრულს, ა.წ. ნოემბერში წიგნის ავტორს, შტედეს და თარგმანის რედაქტორ ო. კაპანაძეს შორის შედგა დასრულებული სამუშაო ვერსიის განხილვა, ახალ ტერმინთა შექმნის, შინაარსობრივი დაზუსტების, ასევე დეფინიციების შემუშავების მიზნით. 2. მოცემული სამეცნიერო-კვლევითი პროექტი, რომელიც სრულდება ერთობლივად სასწავლო- სამეცნიერო ერთეულის მიერ, ამავდროულად არის უცხოური გრანტით დაფინანსებული გარდამავალი პროექტი. ამიტომ, **იხ.: ქვემოთ, მე-3 პუნქტი: უცხოური გრანტებით დაფინანსებული სამეცნიერო პროექტები**			

1.2.

№	დასრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	2	3	4
დასრულებული კვლევითი პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)			

2. შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტით დაფინანსებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

2.1.

№	გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

1	2	3	4
1.	პერფექტის სემანტიკის განვითარება და მისი გრამატიკული რეალიზაცია ქართულში (#FR17-387)	2017-2021	მ.რუსიეშვილი, რედაქტორი, მონოგრაფიის მთარგმნელი
2.	ქართული ენის ტექსტის მეტყ-ველების ნაწილებად თეგირება და სალექსიკონო ერთეულებად ლემირება 6.2 ენათმეცნიერება და ლიტერატურა სამეცნიერო ქვემიმართულება ენათმეცნიერება FR-18-15744	2019-2020	ოლეგ კაპანაძე - პროექტის ხელმძღვანელი ნინო ქიმერიძე - პროექტის კოორდინატორი ნუნუ კაპანაძე - პროექტის შემსრულებელი ნათია ფუტკარაძე - პროექტის შემსრულებელი ქეთევან შეყილაძე - პროექტის შემსრულებელი

გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2020 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1.

პერფექტის სემანტიკის რეალიზაციის პირობები ქართული ენის მთის დიალექტების მიხედვით. როგორც ცნობილია, მთის დიალექტები (მთიულური, ხევსურული, თუშური) ინახავს უძველეს ენობრივ მონაცემებს, მათ შორის პერფექტული ფორმების ხმარების თვალსაზრისით. ამდენად ამ მონაცემების ჩართვა უფრო გაამყარებს და უფრო მოცულობითს გახდის კვლევის ამ ეტაპზე მიღებულ შედეგებს. შეიძლება ითქვას, რომ ამ მონაცემების ჩართვა მოგვცემს უფრო სრულყოფილ სურათს პერფექტის კატეგორიის სემანტიკური და ფუნქციური მახასიათებლების შესახებ.

2) პერფექტის კატეგორიის ფუნქციურ-სემანტიკური მახასიათებლების ანალიზი კომპიუტერული ლინგვისტიკის მიდგომების მიხედვით. სამეცნიერო ლიტერატურაზე მუშაობის პროცესში გამოიკვეთა, ასევე, ახალი თეორიული მიდგომები, მათ შორის კომპიუტერული ლინგვისტიკის ანალიზის პრინციპები, რომელთა საფუძველზეც დამუშავებულია არაერთი ენის მონაცემები. ამ მხრივ, ჩვენთვის საინტერესო მონაცემების დამუშავება იქნება მნიშვნელოვანი სიახლე დარგში როგორც ქართველი, ისე უცხოელი მკვლევრებისთვის.

ამ მხრივ, ქართული ენის მონაცემების დამუშავება და ანალიზი გაამდიდრებს და უფრო მოცულობითს გახდის პროექტის შედეგებს. გარდა ამისა, ამ მიმართულებით მიღებული კონკრეტული შედეგები საინტერესო იქნება საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოებისთვის, ვინაიდან მონოგრაფია ითარგმნება ინგლისურ ენაზეც. ამდენად, საჭიროდ მიგვაჩნია, ზემოთ აღნიშნული მონაცემები შევიდეს მონოგრაფიაში, რომლის გამოცემაც დაგეგმილია პროექტით გათვალისწინებული ამოცანების ფარგლებში. შედეგად, პროექტით დაგეგმილი ნაშრომი გამდიდრებული იქნება ახალი ფუნდამენტური ცოდნით დარგში და პროექტის მოცემულ პერიოდში (V საანგარიშო პერიოდი) დაგეგმილი მონოგრაფიაც უფრო სრულყოფილი პროდუქტი იქნება.

2.

მეორე წლის განმავლობაში შემუშავდა ზმნურ კონსტრუქციათა ყალიბების სრული სიმრავლისათვის ლემირებისა და თეგირების ქვემოდულის ლინგვისტური და პროგრამული უზრუნველყოფა, რაც საფუძვლად დაედო ზმნურ კონსტრუქციათა ყალიბების პროგრამული კოდის სისწორისა და სისრულის შესამოწმებლად ზმნის პარადიგმების ტესტური ფაილების კომპილაციას.

შემდეგ ეტაპზე განხორციელდა ზმნის კონსტრუქციათა ყალიბების ქვემოდულის პროგრამული კოდის გამოცდა პარადიგმათა ტესტურ ფაილებზე, რის საფუძველზეც წარიმართა შემდეგი საპროექტო აქტივობა. ეს აქტივობა გულისხმობდა ტესტირების პროცესში პროგრამულ კოდში აღმოჩენილი არასწორი ან ჭარბი/არასრული ანალიზის მიზეზების აღმოფხვრას /კორექტირებას, რაც დაგეგმილ

ვადებში წარმართა. შედეგად დაიწყო პროექტის უმინიშვნელოვანესი ნაწილის განხორციელება, კერძოდ, ქართული ენის ტექსტის ლემირებისა და თეგირების 7 ქვემოდულის ერთიან სისტემად კომპილირება XEROX Calculus-ის პროგრამების ბიბლიოთეკის გამოყენებით. პროექტი დასრულდება ერთიან სისტემად კომპილირებული ქართული ენის ტექსტის ლემირებისა და თეგირების მოდულის გამოყენებით 400.000-მდე ტოკენის შემცველი ქართულისაკანონმდებლო ტექსტის დამუშავებით.

2.2.

№	დასრულებული (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	2	3	4
1	**ჯეიმზ ჯოისის კვლევისა და თარგმნის ისტორია საქართველოში** ფუნდამენტური კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტი#FR17_220	20.12.2017 – 20.06.2020	1. მანანა გელაშვილი- სამეცნიერო ხელმძღვანელი 2. თათია სიბაშვილი- პროექტის კოორდინატორი: 3. ირაკლი ცხვედიანი - ძირითადი პერსონალი 4. ელისო ფანცხავა- ძირითადი პერსონალი. 5. თამარ გელაშვილ- ძირითადი პერსონალი. 6. მაია ყიასაშვილი - ძირითადი პერსონალი
2.	**ფუნდამენტური კველვების სახელმწიფო სამეცნიერი გრანტი 2017 წ - 2020 - FR17_85** **საგრანტო პროექტის სახელწოდება:** ესპანური ტოპონიმების, ანთროპონიმების და დარგობრივი ტერმინების (ლინგვისტურ-ლიტერატურულ, სამართლებრივ და საჯარო ადმინისტრაციის სფეროში) დაზუსტება და ქართულ ენაში მათი გამოყენების ნორმების შემუშავება.		მ. კობეშავიძე- სამეცნიერო ხელმძღვანელი ს. ფეიქრიშვილი ლ. ჯანაშვილი ქ. ხუსკივაძე
3	**„შექსპირი საბჭოთა და პოსტ-საბჭოთა საქართველოში“ (ლიტერატურულ, თეატრალურ და სოციო-პოლიტიკურ ჭრილში);** **შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და ოქსფორდის უნივერსიტეტის „საქართველოს**	**21.01.2019 - 21.01.2020**	დავით მაზიაშვილი პროექტის ავტორი, ხელმძღვანელი და შემსრულებელი

	შემსწავლელი მეცნიერებების“ ერთობლივი კვლევითი პროგრამის 2018 წლის გრანტი; ჰუმანტარული მეცნიერებები; OUGSP-2018-052		

დასრულებული კვლევითი პროექტის 2020 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

პროექტის - **,,ჯეიმზ ჯოისის კვლევისა და თარგმნის ისტორია საქართველოში’’**- ფარგლებში პირველად მოხდა საქართველეში ჯოისის კვლევისა და თარგმნის ნახევარსაუკუნოვანი ისტორიის შესწავლა, რომელიც მრავალრიცხოვან და მრავალფეროვან მასალას მოიცავს.

კვლევები რამდენიმე მიმართულებით წარიმართა:

1. გაანალიზებული იქნა ჯოისის შესახებ არსებული კვლევები (ჯოისის შემოქმედების სხვადასხვა ასპექტზე გამოქვეყნებულია მრავალი სტატია ნიკო ყიასაშვილიდან მოყოლებული თანამედროვე მკვლევარებით დამთავრებული; შესრულებული ოთხი სადოქტორო დისერტაცია, დასტამბული ორი მონოგრაფია, ორი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები ,,ჯეიმზ ჯოისი 100’’ (რედ. ნ.ყიასაშვილი, 1982) და ,,ჯეიმზ ჯოისი 130’’(რედ. მ.გელაშვილი და ი.ცხვედიანი. 2012) და სხვ.).

კვლევებმა ნათლად აჩვენა, რომ ქართული ანგლისტიკა პირველი იყო მაშინდელ საბჭოთა კავშირში, რომელმაც დაიწყო ჯოისის კვლევა და თარგმნა. საქართველოში პირველად ჩატარდა ჯოისის შემოქმედების კვლევისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია. ხოლო ის პრობლემატიკა და კვლევის მეთოდები, რომლიც გამოყენებულია ქართველი მეცნიერების მიერ სრულიად განსხვავდება საბჭოთა კავშირში მიღებული კლიშეებისაგან და ნათლად ადასტურებს, რომ დარგი ახერხებდა შეენარჩუნებინა ევროპული ორიენტაცია და შეექმნა სათანადო დონის სამეცნიერო პროდუქცია. კვლევებში აგრეთვე აისახა ქართული ჯოისოლოგიის მიღწევები ბოლო 20 წლის მანძილზე: კერძოს საერთაშორისო კონფერენციია ორგანიზება, მწიდრო კავშირები დუბლინის, ციურიხის, რომისა და ტრიესტეს ჯოისის შემსწავლელ საზოგადოებებთან, რომელთა სამეცნიერო ფორუმებში ქართველი ჯოისოლოგები წარმატებით მონაწილეობენ.

2. შესწავლილია ჯოისის ნაწარმობების ქართული თარგმანები: რომანები, პოეზია, მცირე პროზა, წერილები და სხვ. ნაჩვენებია, რომ ქართულ მთარგმნელობით თეორიაში არსებული ,,მხატვრული ექვივალენტის’’ (გ.გაჩეჩილაძე) ცნება კარგ პრაქტიკულ რეალიზებას ჰპოვებს თარგმანთა დიდ ნაწილში. ნაშრომში განსკუთრებული ყურადღება ექცევა ჯოისის დიდი ნაწარმოებების ,,ულისესა’’ და ,,ღამისთევა ფინეგანისთვის’’ თარგმნის სირთულეებს და ამ სირთულეების გადაჭრის გზებს. ამგვარი კვლევა მრავალმხრივ არის საინტერესო: ჯერ ერთი უკვე არსებული თარგმანის ჯოისის ,,ულისეს’’ (ინგლისურიდან თაარგმნა ნიკო ყიასაშცილმა) მაღალი სტანდარტის გამოვლენა და იმ მეთოდების ჩვენებაა, რომელსაც მთარგმნელი იყენებს, რომელიც დიდ დახმარებას გაუწევა ამ სფეროში მომუშავე ახალ თაობას. ამასთანავე და ამის პარალელურად მუდმივად ხდებოდა ,,ფინეგანისს’’ თარგმანზე მომუშავე ჯგუფის მიერ ცალკეული ეპიზოდების თარგმნის სირთულეების საჯაროდ განხილვა და პრობლემების გადაჭრის გზების ძიება.

თარგმანის ანალიზისას იმ შენთხვევაში, როდესაც ქართულ ენაზე თარგმანის რამდენიმე ვარიანტი არსებობს, როგორც მოთხრობათა კრებულის ,,დუბლინელების’’ შემხვევაშია, გაკეთებულია ორი სხვადასხვა თარგმანის შეპირისპირებითი ანალიზი.

კვლევებმა დამაჯერებლად აჩვენა, რომ ჯოისის თარგმნა და კვლევა მნიშვნელოვანი მოვლენა იყო ქართული ლიტერატურილი სამყაროსთვის. ,,ულისეს’’ თარგმნით, საჯარო ლექციებით ჯოისზე და მოდერნიზმის ესთეტიკაზე ნიკო ყიასაშვილმა ქართულ სივრცეში შემოიყვანა ავტორი, რომლის ნოვატორული ესთეტიკა რადიკალურად განსხვავდებოდა მიღებული და მოძველებული სალიტერატურო

ნორმებისა და წერის მანერისაგან. უფრო მეტიც, ,,ულისეს'' თარგმანმა არა მხოლოდ ახალი და საინტერესო ავტორი გააცნო ქართველ მკითხველს, არამედ თავად ქართული ენის შესაძლებლობები ახალი კუთხით წარმოაჩინა, რადგან ტექსტის თარგმნისას მთარგმნელი ავტორს მიჰყვება და თამამად შემოქვს სიტყვათქმნადობა, სიტყვებით თამაში, სლენგი, ჟარგონი. ,,ულისეს'' თარგმნით ქართულ ენააზე პირველად გამოჩნდა ცნობიერების ნაკადის ტექნიკა, სხვადასხვა სტილთა აღრევა და ირონიულ-პაროდიული კარნავალიზაცია, რამაც ახალი ჰორიზონტი გახსნა ახალგაზრდა მწერლებისათვის.

3. გაანალიზებულია ჯოისის გავლენა ქართულ ლიტერატურასა და კულტურაზე. ნაჩვენებია თუ რამ გამოიწვია ჯოისით დაინტერესება საქართველოში და როგორი გამოძახილი ჰქონდა ჯოისის ნოვატორული ძიებებს ქართველ მწერალთა შემოქმედბაში. კერძოდ ,,დუბლინელებისა'' და ,,პორტრეტის'' მხატვრული თავისებურებების გამოძახილი ოთარ ჩხეიძის მოთხრობების კრებულში ,,ჩემი სოფლის ეტიუდებში'', მითოსისა და ცნობიერების ნაკადის შინაგანი მონოლოგის გამოვლინება ოთარ ჭილაძის რომანებში. ასევე გაანალიზებული ოყო ჯოისის გავლენა პოსტ-საბჭოთა პერიოდის მწერლებზე, კერძოდ ზურაბ ქარუმიძის პოსტმოდერნისტული ვარიაციები ,,ულისეს'' თემაზე რომანში ,,ღვინომუქი ზღვა''.ცალკე კვლევა ეძღვნება ჯოისის ასახვას ქართულ მხატვრობასა და ფოტოხელოვნებაში (გ.წიბახაშვილის ფოტოალბომი ,,ულისე'' და სხვ.).

4. პროექტის ფარგლებშივე განხორციელდა ჯოისის ბოლო და ყველაზე ექსპერიმენტული რომანის ,,ღამისთევა ფინეგანისთვის'' პირველი ნაწილის აკადემიური გამოცემა (თარგმნა, კვლევა, კომენტირება). ეს ნაწარმოები პირველად ითარგმნა ქართულად და მისმა გამოცემამ უდაოდ გაამდიდრა ქართულ ჯოისიანა, მით უფრო, რომ წიგნი აღჭურვილია ვრცელი კომენტარით, რომელიც რამდენიმე ავტორის კომენტარების შეჯეტებით შეიქმნა. ამასთანავე, ყოველ თავს წინ უძღვის მოკლე ანალიზი, რაც ამ რთული ნაწაროების ლაბირინთებში გზას გაუკვალავს მკითხველს. კიდევ უფრო სასიხარულოა, რომ წიგნის თარგმანი, კვლევა, კომენტირება განხორციელდა პროექტში ჩართული ახალგაზრდა მეცნიერების მიერ პროექტის სამეცნიერო ხელმძრვანელისა და უცხოელი კონსულტანტის ხელმძღვანელობით.

გრანტის ფარგლებში განხორციელებული **კვლევის სიახლე** იმაში მდგომარეობს, რომ ჯოისის კვლევისა და თარგმნის ისტორია საქართველოში აქამდე არ ქცეულა მონოგრაფიული შესწავლის საგნად. ასევე პირველად იქცა ჯოისის ბოლო რომანი ,,ღამისთევა ფინეგანისთვის'' კვლევისა და თარგმნის ობიექტი. განხორციელებული კვლევეი სიახლეა არა მხოლოდ ქართული სამეცნიერო სივრცისთვის, არამედ საინტერესო აღმოჩნდა უცხოელი მეცნიერებისთვისაც, რადგან საერთაშორისო ფორუმებზე წარდგენილმა კვლევის შედეგებმა ნათლად წარმოაჩინა ქართული ანგლისტიკის მაღალი სამეცნიერო და მთარგმნელობითი დონე.

კვლევის მეთოდიკა თავად საკვლევი მასალის კომპლექსურობიდან გამომდინარე კომპლექსური იყო და სხვადასხვა მეთოდის თანაარსებობას გულისხმობდა, გამომდინარე დასმული პრობლემიდან. ასე მაგალითად ქართული ჯოისიანას რეტროსპექტული სურათის შესაქმნელად გამოყენებულია აღწერითი მეთოდი, რომელიც საშუალებას იძლევა წარმოვადგინოთ ჯოისის კვლევების ისტორიული ქრონოლოგიური სურათი. სრულიად სხვა მეოთდია გამოყენებული ჯოისის იმ ნაწარმოებების თარგმანების ანალიზისას, რომლებიც რამდენიმე სცვადასხვა მთარგმნელის მიერ არის შესრულებული. ამ შემთხვევაში უპორატესობა შეპირისპირებითი ანალიზის მეთოდს ენიჭება. ჯოისის დიდი წიგნების ,,ულისეს'' და ,,ფინეგანის'' თარგმნის ანალიზისას უპირატესობა მოენიჭა ორიგინალსა და სამიზნე ენებში ტექსტის გამოწვლილვით ანალიზს (ე.წ. close reading) და სხვ.

გრანტის ფარგლებში დაიბეჭდა სამი წიგნი, რომელშიც აისახა კვლევის შედეგები:

1. მონოგრაფია ,,ჯეიმზ ჯოისის თარგმნისა და კვლევის ისტორია საქართველოში;'' (ქართულ ენაზე ვრცელი ინგლისური რეზიუმეთი), თბილისი, 2020. 286 გვ.

2. ..ჯეიმზ ჯოისი და სამყარო'' საერთაშორისო კონფერენციის მასალები, თბილისი, 2020. (ინგლისურ და ქართულ ენებზე),

3. ჯეიმზ ჯოისი, ,,ღამისთევა ფინეგანისთვის'' (წიგნი პირველი) თბილისი, 2020. 445 გვ.

სამივე წიგნი მნიშვნელოვანი შენაძენია არა მხოლოდ ვიწრო დარგის, კერძოდ ინგლისური ლიტერატურის მკვლევარებისა და სტუდენტებისათვის, არამედ ზოგადად ლიტერატურათმცოდნეობისა და თარგმანმცოდნეობის განვითარებისთავის. ისევე, როგორც ეს წიგნები საინტერესო იქნება ლიტერატურით დაინტერესებული მკითხველისათვის.

პროექტის ფარგლებში განხორციელებული თანამშრომლობამ ადგილობრივ (თსუ-სა და აწსუს შორის) და უცხოეთში არსებულ უნივერსიტეტებთან და ჯოისის კვლევის სხვადასხვა ცენტრებთან (ლიდსის უნივერსიტეტი, იტალიის ჯეიმზ ჯოისის ფონდი, ციურიხის ჯეიმს ჯოისის ფონდი, ოქსფორდის უნივერსიტეტი) ხელი შეუწყო უკვე არსებული კონტაქტებისა განმტკიცებას, რაც პერსპექტივას ქმნის შემდგომი თანამშრომლობის.

2.

წინამდებარე კვლევა წარმოადგენს შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფუნდამენტური კვლევების სამეცნიერო გრანტის ფარგლებში განხორციელებეული კვლევის შედეგი თემაზე - **„ესპანური ტოპონიმების, ანთროპონიმებისა და დარგობრივი ტერმინების (ლინგვისტურ-ლიტერატურულ, სამართლებრივ და საჯარო ადმინისტრაციის სფეროში) დაზუსტება** და ქართულ ენაში მათი გამოყენების ნორმების შემუშავება“.

კვლევა განხორციელდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისი სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარული მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებულ პროფესორ მარინე კობეშავიძის (პროექტის ხელმძღვანელი), ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის ახალგაზრდა მეცნიერის ქეთევან ხუსკივაძის, სოფიო ფეიქრიშვილის (პროექტის კოორდინატორი) და იურიდიული ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორის, ლელა ჯანაშვილის (პროექტის ძირითადი პერსონალი) მიერ.

თანამედროვე მდგომარეობით, საქართველო დგას ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური გამოწვევების წინაშე, რომელსაც მას უყენებს ევროპასთან გაფორმებული 2017 წლის უვიზო რეჟიმი და 2016 წლის ასოცირების ხელშეკრულება. შეთანხმების საფუძველზე საქართველო აღრმავებს ურთიერთობას ევროკავშირის ქვეყნებთან და მათ შორის ესპანეთთან ისეთ სფეროებში, როგორებიცაა: ეკონომიკა, განათლება, ტურიზმი, საემიგრაციო პოლიტიკა, კრიმინალი და უსაფრთხოება. საერთაშორისო ურთიერთობების გაღრმავების პირობებში ძნელი წარმოსადგენია, მოიძებნოს ადამიანი, რომელიც უცხოური ენიდან ნასესხებ სახელებსა და ტერმინებს არ იყენებს. ლიტერატურა, საგაზეთო, ტურისტული, პოლიტიკური, იურიდიული და ბიზნეს მასალის თარგმნისას ინტერნეტსივრცეში ვაწყდებით მრავალფეროვან და გადაუმოწმებელ ფორმებს.

ევროკავშირის ენობრივ მრავალფეროვნებაში ესპანურ ენას განსაკუთრებული ადგილი უკავია, მასზე მოსაუბრე და შემსწავლელი სუბიექტების სიმრავლით. ევროკავშირის შიგნით ესპანური მეხუთე ადგილზეა 40 მილიონიანი ესპანურენოვანი მოსახლეობით. მას წინ უსწრებს გერმანული - 60 მლნ., ინგლისური - 60 მლნ. (ეს მონაცემი გადასახედია მას შემდეგ, რაც ინგლისმა დატოვა ევროკავშირი), ფრანგული - 60 მლნ. და იტალიური - 58 მილიონი ადამიანი. სერვანტესის ინსტიტუტის კვლევით დადგინდა ასევე, რომ ევროკავშირის ქვეყნებში შემსწავლელები ინგლისურის შემდეგ, რომელიც ლიდერობს არა მხოლოდ კავშირის, არამედ მთელი მსოფლიოს მასშტაბით, ირჩევენ ფრანგულს და ესპანური ენა მესამე ადგილს იყოფს გერმანულთან ერთად. ასევე უნდა აღვნიშნოთ, რომ ესპანური ენის მიმართ ინტერესი მზარდია ევროკავშირისა და მსოფლიოს ქვეყნებში

დღევანდელ დღეს უცხოური ენების ცოდნა ბევრად უფრო მეტ გამოწვევას პასუხობს, ვიდრე მხოლოდ კულტურული ან პირადი ინტელექტუალური ცოდნის შეძენაა. სწრაფად მზარდი გლობალიზაციის პირობებში ყოველდღიურად იზრდება ქვეყნებს შორის ურთიერთობა და კავშირი შემდეგი მიმართულებებით: ვაჭრობა, კულტურა და პოლიტიკა.

ამ სამ ძირითად ფაქტორს ემატება მსოფლიო მიგრაციის პრობლემებიც, რაც მოითხოვს თანამედროვე ადამიანებისგან ენობრივი კომპეტენციების შესაბამისი დონის ფლობას, რათა უკეთ

ადაპტირდნენ უცხო გარემოში და გახდნენ მეტად კონკურენტუნარიანები.

ვინაიდან საქართველოში ჯერ არ ჩატარებულა ესპანური და ქართული ენების შედარებითი ანალიზი, რომელიც დაეხმარებოდა ენის სპეციალისტებს, მის შედეგებზე შეექმნათ სასწავლო რესურსები, მოცემული კვლევის ლინგვისტური შედეგების ერთ-ერთი უდიდესი მნიშვნელობა მათი ენების სწავლების პროცესში ასახვაა.

პროექტი განსაკუთრებით აქტუალურია სამართლებრივი ტერმინოლოგიის თარგმნის თვალსაზრისითაც, მიუხედავად იმისა, რომ ესპანური და ქართული ეროვნული სამართლებრივი სისტემები კონტინენტური ევროპის სამართლის ოჯახს მიეკუთვნება, მნიშვნელოვანი განსხვავებაა არა მარტო მატერიალურ-სამართლებრივ, არამედ სისხლის, სამოქალაქო, კონსტიტუციური თუ ადმინისტრაციული სამართალწარმოების მხრივ, რაც საჭიროებს გამოყენებული ტერმინოლოგიის ისეთ თარგმანს, რომელიც ზუსტად დაემთხვევა სამართლებრივი ცნებების, კატეგორიებისა და რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, სამართლებრივი ქმედებების შინაარსს.

წინამდებარე კვლევა მიზნად ისახავდა ესპანური ანთროპონიმების, ტოპონიმებისა და იურიდიულ-ადმინისტრაციული ტერმინოლოგიის სწორ ფონეტიკურ და გრაფიკულ გადმოტანას ქართულ ენაში.

აღნიშნული კვლევა წარმოადგენს პირველ კვლევას ესპანური საკუთარი სახელების ქართულად მართლწერის შესწავლის შესახებ, სადაც საკუთარ სახელებს და ტერმინებს განვიხილავთ მათი ეტიმოლოგიის, შინაარსის, ლექსიკური კომპონენტის მიხედვით, ფონეტიკურ და მორფოლოგიურ ჭრილში, ასევე სოციო-პოლიტიკური, სოციო-კულტურული რეალობისა და კონტექსტის გათვალისწინებით. მათი მართებული თარგმნა მთელი რიგი გადაწყვეტილებების მიღებასა და არსებული ფაქტორების გათვალისწინებას მოითხოვს.

კვლევის მიზანი იყო სიტყვებისა და სახელწოდებების ახსნა-განმარტება, ორთოგრაფიულად გამართვა და ესპანურ და ქართულ ენებზე ადაპტირება, რომლებიც გვხვდება ლიტერატურაში, ოფიციალურ დოკუმენტებსა და ზეპირმეტყველებაში. შესაბამისად, ჩვენი ნაშრომის მთავარ მიზანს წარმოადგენდა განხილული თემატიკის ერთიანი სტანდარტიზაციის შესახებ რეკომენდაციების შემუშავება.

კვლევის ნაწილი განხორციელდა ესპანეთში, ალკალა დე ენარესის უნივერსიტეტში თარგმანისა და ინტერპრეტაციის კათედრაზე, ასევე ბარსელონას პომპეუ ფაბრას უნივერსიტეტში თარგმანისა და ენის მეცნიერებათა აკადემიურ საკოორდინაციო განყოფილებაში.

კველვის შედეგად გამოიცა მონოგრაფია. ნაშრომს დანართის სახით დართული აქვს ონომასტიკური და ადმინისტრაციულ-იურიდიულ ტერმინთა ლექსიკონი, სადაც შევეცადეთ შეგვეტანა ესპანეთის და სამხრეთ ამერიკის მაკრო და მიკრო ტოპონიმები, ცნობილი საზოგადო მოღვაწეების საკუთარი სახელები და სხვ. მონოგრაფია საშუალებას იძლევა მასში განხილული თემები სამომავლოდ დეტალურად დამუშავებულ იქნეს როგორც აღნიშნული თემით დაინტერესებული ლინგვისტების, ასევე დოქტორანტების, მაგისტრანტების, ბაკალავრების მიერ.

3

შექსპირი საბჭოთა და პოსტ-საბჭოთა საქართველოში
(ლიტერატურულ, თეატრალურ და სოციო-პოლიტიკურ ჭრილში)

პროექტის შედეგები

1. სამეცნიერო სტატია „შექსპირის *იულიუს კეისარი* ქართულ სცენა“
   (გამოქვეყნდა რეცენზირებად სამეცნიერო ბილინგულ ჟურნალ „სპეკალის“ 14-ე ნომერში);
   სტატია ქართულად: http://www.spekali.tsu.ge/index.php/ge/article/viewArticle/14/240
   სტატია ინგლისურად: http://www.spekali.tsu.ge/index.php/en/article/viewArticle/14/240

2. სამეცნიერო სტატია „შექსპირი ბრექსიტის წინააღმდეგ“ („ანტონიოსი და კლეოპატრა“ და „ტრაგედია მეფე რიჩარდ მეორისა“) (საზოგადოებრივ-ლიტერატურული ჟურნალი „არილი“);
   სტატია იხილეთ ბმულზე:
   http://arilimag.ge/%e1%83%93%e1%83%90%e1%83%95%e1%83%98%e1%83%97-

%e1%83%9b%e1%83%90%e1%83%96%e1%83%98%e1%83%90%e1%83%a8%e1%83%95%e1%83%98%e1%83%9a%e1%83%98-%e1%83%a8%e1%83%94%e1%83%a5%e1%83%a1%e1%83%9e%e1%83%98-2/?fbclid=IwAR1-4S31k7T2oDPLUVvkeBfIiBb2Zlo4VzoKt4LMC-_ICGbeGznYsYsmFY

3. კვლევის შედეგად გამოსაქვეყნებლად ვამზადებ მონოგრაფიულ ნაშრომს „შექსპირის პოსტმოდერნიზმი პროზა, დრამატურგია, თეატრი“; (გამოქვეყნების პერიოდი: 2021 წლის დასაწყისი);
4. ბოდლის ბიბლიოთეკაში, უორდროპების კოლექციაში შექსპირის შესახებ დაცული უნიკალური მასალის შესწავლა-დამუშავება-ფოტოასლების გადაღება და გამოფენა;
5. დამუშავებული და შესწავლილია შექსპირის შესახებ არსებული 100-მდე უახლესი მხატვრული ან/და თეორიული სამეცნიერო ლიტერატურა;
6. ცნობილ ბრიტანელ პროდიუსერთან და ყოფილ მსახიობთან 87 წლის თელმა ჰოლტთან რამდენიმე შეხვედრის შედეგად 1980 წელს რუსთაველი თეატრის ლეგენდარული სპექტაკლის „რიჩარდ მესამე“ ლონდონში ტრიუმფალური გასტროლის და 1992 წელს რობერტ სტურუას მიერ ლონდონში დადგმული „ჰამლეტის“ (ალან რიკმანის მონაწილეობით) შესახებ იშვიათი ვიდეოინტერვიუ ჩავწერა. თელმა ჰოლტის ინტერვიუზე დაყრდნობით რუსთაველის თეატრის სპექტაკლის “რიჩარდ მესამის” ლონდონური გასტროლის შესახებ შევქმენი დოკუმენტური ვიდეო Conversation with Thelma Holt *Georgian Richard III On My Mind* (ავტორი დავით მაზიაშვილი), რომლის პრემიერაც გაიმართა 2020 წლის 21 იანვარს ჩემს მიერ ორგანიზებულ სამეცნიერო ღონისძიებაზე „შექსპირი საქართველოში“ (გამოფენა, სემინარი, ვიდეოჩვენება) ოქსფორდის უნივერსიტეტის ბოდლის ბიბლიოთეკაში.

დოკუმენტური ვიდეოს ტრეილერი იხილეთ ბმულში:
https://www.youtube.com/watch?v=9LOV8WoNjHo

კონფერენცია/სამეცნიერო სემინარები-ღონისძიებები/ გამოფენა/ვიდეოჩვენებები/

- **12 თებერვალი 2019** - ოქსფორდის უნივერსიტეტი; საქართველოს შემსწავლელი მეცნიერებების სამეცნიერო კონფერენცია; დავით მაზიაშვილის მოხსენება „შექსპირი საბჭოთა და პოსტ-საბჭოთა საქართველოში;

ბმულში იხილეთ კონფერენციის პროგრამა ოქსფორდის უნივერსიტეტის ვებ გვერდზე;

https://www.rees.ox.ac.uk/files/georgianstudiesprogramme2019conferencepdf

- **30 მაისი 2019** - დოკუმენტური ფილმის „რობერტ სტურუას იულიუს კეისარი ფრაგმენტები სადადგმო რეპეტიციებიდან“ ჩვენება-განხილვა; (ფილმის ავტორი: დ. მაზიაშვილი); მასპინძელი: პროფ. დან ჰილი (წმ. ენტონის კოლეჯი, ოქსფორდის უნივერსიტეტი);
ბმულში იხილეთ ღონისძიების ანონსი ოქსფორდის უნივერსიტეტის ვებგვერდზე;
https://www.rees.ox.ac.uk/event/documentary-screening-robert-sturuas-julius-caesar

- **24 ოქტომბერი 2019** - სამეცნიერო სემინარი „შექსპირის თარგმნის ისტორია საქართველოში” (მომწვევი, ორგანიზატორი და მოდერატორი: დავით მაზიაშვილი; მომხსენებელი: პროფ. მანანა გელაშვილი, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი);

ბმულში იხილეთ სამეცნიერო სემინარის ანონსი ოქსფორდის უნივერსიტეტის ვებგვერდზე:

https://www.rees.ox.ac.uk/event/michaelmas-term-2019-georgian-studies-fellows-seminar-series

- **5 დეკემბერი 2019** - სამეცნიერო სემინარი „შექსპირის ტირანების და ანტიტირანების ტრანსფორმაცია საბჭოთა და პოსტ-საბჭოთა საქართველოსა და მსოფლიოში“; (მომწვევი და ორგანიზატორი: დავით

მაზიაშვილი; მომხსენებლები: პროფ. მარკ ბარნეტი, ბელფასტის ქუინსის უნივერსიტეტის პროფესორი და პროფ. დავით მაზიაშვილი, საქართველოს შემსწავლელი პროგრამის მკვლევარი, ოქსფორდის უნივერსიტეტი);
მითითებულ ბმულში იხილეთ სამეცნიერო სემინარის ანონსი ოქსფორდის უნივერსიტეტის ვებგვერდზე:
https://www.rees.ox.ac.uk/event/transformation-of-shakespeares-tyrants-and-anti-tyrants-in-soviet-and-post-soviet-georgia-and

- **10 დეკემბერი 2019** - რუსთაველის თეატრის ლეგენდარული სპექტაკლის „რიჩარდ მესამის“ ვიდეოჩვენება ვრცელი შესავალი სიტყვით; მომხსენებელი პროფ. დავით მაზიაშვილი (საქართველოს შემსწავლელი პროგრამის მკვლევარი, ოქსფორდის უნივერსიტეტი); მომწვევი და ორგანიზატორი: რეიჩილ ჰოჯი (წმ. იოანეს კოლეჯი, ოქსფორდის უნივერსიტეტი) და დავით მაზიაშვილი (საქართველოს შემსწავლელი პროგრამის მკვლევარი, ოქსფორდის უნივერსიტეტი);
ბმულში იხილეთ სამეცნიერო სემინარის ანონსი:
https://www.rees.ox.ac.uk/event/screening-with-introduction-shakespeares-richard-iii-at-the-rustaveli-theatre-stage-georgia

- **21 იანვარი 2020 - „**შექსპირი საქართველოში“ (გამოფენა, სემინარი, ვიდეოჩვენება ქორეოგრაფთან ერთად); იდეა და კონცეფცია: დავით მაზიაშვილი (საქართველოს შემსწავლელი პროგრამის მკვლევარი, ოქსფორდის უნივერსიტეტი); ორგანიზატორები: პროფ. დან ჰილი (წმ. ენტონის კოლეჯი, ოქსფორდის უნივერსიტეტი), დოქ. ჯილიან ივისონი (ოქსფორდის უნივერსიტეტის ბოდლის ბიბლიოთეკის აღმოსავლეთის კოლექციის ხელმძღვანელი) და პროფ. დავით მაზიაშვილი. მოწვეული სტუმრები და გამომსვლელები: ოქსფორდის უნივერსიტეტის ბოდლის ბიბლიოთეკის დირექტორის მოადგილე კეთრიონა ქენონი, საქართველოს ელჩი დიდ ბრიტანეთში თამარ ბერუჩაშვილი, გიორგი ალექსიძის სახელობის თბილისის თანამედროვე ბალეტის სამხატვრო ხელმძღვანელი, ქორეოგრაფი მარიამ ალექსიძე, დოქ. ჯილიან ივისონი, პროფ. დან ჰილი, დავით მაზიაშვილი. თანაორგანიზატორები: ოქსფორდის უნივერსიტეტის ბოდლის ბიბლიოთეკა, ოქსფორდის უნივერსიტეტის წმ. ენტონის კოლეჯის რუსეთისა და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების კვლევების ცენტრის ქვეყანათმცოდნეობის ინტერდისციპლინური კვლევების სკოლა, რუსთაველი თეატრის მუზეუმი, შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი;

- ბმულში იხილეთ სამეცნიერო ღონისძიების პროგრამა ოქსფორდის უნივერსიტეტის ვებგვერდზე. https://www.rees.ox.ac.uk/event/shakespeare-in-georgia-exhibition-seminar-screening
- ღონისძიების შესახებ ჩემს მიერ გადაღებული და მომზადებული დოკუმენტური ვიდეო იხილეთ ბმულში.
https://www.youtube.com/watch?v=pWcyX6hjf6E&fbclid=IwAR0EMrtLWLpA8tfL9coIjXapDrjSVR9bqE8rBwYK-_Q_hMNpRnVZSWPyj18

გრანტის ფარგლებში შესრულებული სამეცნიერო ღონისძიებების შესახებ გამოხმაურებები და შეფასებები ოქსფორდის უნივერსიტეტის ვებგვერდსა და ქართულ მედიაში

ოქსფორდის უნივერსიტეტი:

1. https://www.rees.ox.ac.uk/article/shakespeare-in-georgia-event
2. https://www.rees.ox.ac.uk/article/dr.-david-maziashvili-speaking-on-georgian-public-broadcasting?fbclid=IwAR3RndouGdg82lNvBq4r_oinAlkiNVfpljBZn_eW0xGb4ch1fkK-fwkCm9c
3. https://www.rees.ox.ac.uk/article/dr-david-maziashvili-publishes-new-article-shakespeares-julius-caesar-on-the-georgian-stage?fbclid=IwAR047MAK2MbiL2qi0kh5WCqJx66wdz82YEhwVw-hQHqSRAz3zALsYQ0mY2U

ქართული მედია:

4. https://1tv.ge/video/shegspiri-sagartveloshi/
5. https://1tv.ge/audio/pikis-saati-shegspiri-sagartveloshi/?fbclid=IwAR2IREtxlj7xi_Cfv2991CTZ8PCFwEky63yPjZlgohGb0BukDD3iYPsosdc
6. http://sstv.ge/2020/02/04/2020-02-04/ (1;17;20-დან)

3. უცხოური გრანტებით დაფინანსებული სამეცნიერო პროექტები

3.1. გარდამავალი პროექტი

№	**გარდამავალი (მრავალწლიანი)** პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი, დამფინანსებელი ორგანიზაცია/ სამეცნიერო ფონდი, ქვეყანა	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	2	3	4
1.	*Transfer von Nomina Propria aus dem Deutschen ins Georgische* - Tradition und Trends. გერმანულენოვან საკუთარ სახელთა ტრანსფერი ქართულად – ტრადიციები და ტენდენციები. დამფინანსებელი DAAD – გერმანიის აკადემიური გაცვლითი სამსახურის ფონდები; (გაიცემა გრძელვადიანი სტიპენდიების სახით, რომელთაც მოვიპოვებ პერიოდულად საჭიროებისამებრ კონკურსის წესით. აღნიშნული პროექტის მოცულობის გათვალისწინებით მის შესასრულებლად დღემდე მოპოვებული მაქვს სამი გრანტი. ბოლო მათგანი (სამი თვის ხანგრძლივობით) 2019 წელს.	2013 - 2021 იანვარი (გაგრძელებული ვადების მიხედვით)	მ. ანდრაზაშვილი – პროექტის ავტორი და ერთპიროვნული შემსრულებელი
2.	Übersetzung und Auswertung von Tonaufnahmen der Kriegsgefangenen des ersten Weltkriegs პირველი მსოფლიო ომის მონაწილეთა აუდიოარქივის	2014 - 2021 (გაგრძელებული ვადების მიხედვით)	მ. ანდრაზაშვილი – კოოპერატორი დოქტ. ჰაიკე ლიბაუ, ინსტიტუტის უფროსი მეცნიერთანამშრომელი –

	დამუშავება. დამფინანსებელი: ZMO ბერლინის თანამედროვე აღმოსავლეთმცოდნეობის ცენტრი.		პროექტის ავტორი.
3	„გერმანულ-ქართული კულტურის ტრანსფერი ლიტერატურულ, მედიალურ და დარგობრივ კომუნიკაციაში.“ ფინანსური მხარდაჭერა: გერმანიის აკადემიური სამსახური (DAAD) და ჰაიდელბერგის რუპრეხტ კარლის სახ. უნივერსიტეტის თარგმანისა და თარჯიმნობის ინსტიტუტი	2017-2022	<u>პროექტის ხელმძღვანელები:</u> პროფ. დოქტ. ლ. ქეცბა-ხუნდაძე, პროფ. დოქტ. ა. კარტოზია, პროფ. ვ. ატაიანი. <u>პროექტის მონაწილე:</u> სოფიო მუჯირი

გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2020 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

ანოტაცია 1

გერმანულენოვან საკუთარ სახელთა ტრანსფერი ქართულად – ტრადიციები და ტენდენციები (გარდამავალი პროექტი; იხ. გასული წლების ანგარიშები)

წინამდებარე გამოკვლევა ორიენტაციას იღებს უშუალოდ *ანთროპონიმებსა და ტოპონიმებზე,* როგორც საკუთარ სახელთა სუბკლასის ყველაზე *სპეციფიკურ რეპრეზენტანტებზე* თავიანთი პროპრიალური მახსიათებლებისა და რეფერენციალური მიმართებების გამო. იგი მიზნად ისახავს, გერმანული და ქართული ენების საილუსტრაციო მასალის შეპირისპირებითი ანალიზის გზით გამოავლინოს ლინგვისტური კრიტერიუმები, რომლებიც საკუთარ სახელთა ტრანსფერირებას ერთი ენიდან მეორეზე მთარგმნელის გემოვნებასა თუ ენობრივ ალღოზე დამოკიდებულს კი არ გახდის, არამედ დასაბუთებულ გრამატიკულ კანონზომიერებებს დაუქვემდებარებს. ამ მიზნით ნაშრომი განსახილველ სუბკლასში ერთმანეთისგან გამიჯნავს უშუალოდ სახელებსა და სახელის სინტაგმებს, თითოეულ მათგანს აღწერს სემანტიკური იზოლირებულობისა და დესკრიპტიულობის ან მოჩვენებითი დესკრიპტიულობის ფაქტორების გათვალისწინებით, შესაბამისად კი გამოყოფს საკუთარ სახელთა ტრანსფერირების სამ, თვისობრივად ურთიერთგანსხვავებულ, პროცედურულ ხერხს. ანალიზისას, ბუნებრივია, ითვალისწინებს სამიზნე ენის ფონემური და გრაფემული ინვენტარის შეთავსებადობას ერთმანეთთან, ისევე როგორც ამოსავალი ენის ანალოგიურ ინვენტართან სისტემურ დონეზე, სინტაგმატური მიმართებების თვალსაზრისით კი ცდილობს, უპირატესი ანგარიში გაუწიოს სამიზნე ენის გრაფოტაქტიკურ წესებს ფონოტაქტიკურთან შედარებით, ამ უკანასკნელთა აშკარა კომპრომისული განწყობის გამო ადაპტირება-ასიმილირების პროცესებისადმი თანამედროვე მსოფლიოში ნორმადქცეული ინდივიდის მრავალენოვნების ფონზე; ზომიერი ტოლერანტობით უდგება ტრადიციით გადმოცემულ მემკვიდრეობას და უშვებს ინდივიდუალურ მიდგომას ანთროპონიმებისადმი, როგორც პოტენციურად ვარირებადი/არაიზოტოპური სტრუქტურებისადმი თვით ამოსავალ ენაშიც, თუმცა იმავდროულად მკაცრად თანმიმდევრულია ტოპონიმების, როგორც ენის ლექსიკური მარაგის მყარი ნაწილის, სალექსიკონო წესით ნორმირების მიმართ.

პროექტის განხორციელების შედეგებს სისტემატურად წარვადგენ საჯარო გამოსვლებსა და

პუბლიკაციებში უპირველესად ევროპის გერმანულენოვან ქვეყნებში, ასევე საქართველოშიც. ბოლო საჯარო გამოსვლა აღნიშნული პრობლემატიკისადმი დაგეგმილი მქონდა 2020 წლის დეკემბერში ვენის უნივერსიტეტში ავსტრიის ლინგვისტთა ასოციაციის 46-ე ყრილობაზე, რომელიც არ შედგა პანდემიის გამო https://oelt2020.univie.ac.at/

ანოტაცია 2

პირველი მსოფლიო ომის მონაწილეთა აუდიოარქივის დამუშავება.

(გარდამავალი პროექტი; იხ. გასული წლების ანგარიშები)

ვაგრძელებ მუშაობას ბერლინის აუდიოარქივში დაცული პირველი მსოფლიო ომის მონაწილე სამხრეთკავკასიელი ტყვეების რუსულ- და ქართულენოვანი აუდიოჩანაწერებზე. შევასრულე ჩანაწერთა ტრანსკრიპტი, ვთარგმნე გერმანულად და პროექტის ხელმძღვანელ დოქტ. ჰაიკე ლიბაუსთან ერთად აღვწერე ისინი ეპოქის ისტორიულ-კულტურული კონტექსტის ფონზე. მუშაობას აფერხებს დასამუშავებელი მასალის მოცულობა, ტერიტორიული დაშორება და საარქივო მასალის კონფიდენციალურობა, რის გამოც პროექტი ჩაბარების ვადა გადაიწია.

დაგეგმილი გვქონდა შემაჯამებელი სამუშაო შეხვედრა ბერლინში 2020 წლის აპრილში და მიღწეული შედეგების გამოქვეყნება ქართულ ენაზე იუნესკოს დაფინანსებით თსუ-ს ბაზაზე გამომავალ ჟურნალში „ცივილიზაციური ძიებანი“. შეხვედრა, შესაბამისად პროექტის დასრულებაც, გადაიდო განუსაზღვრელი ვადით არსებული პანდემიის ვითარების ფონზე.

(საჭიროების შემთხვევაში შემიძლია წარმოვადგინო მასპინძელი ორგანიზაციის ZMO-ის მიწვევა).

ანოტაცია 3

პროექტი და შესაბამისად პროგრამა ინტერდისციპლინურია და შემდეგ ქვემოდულებს მოიცავს: ლიტერატურულ, მედიალურ და დარგობრივ კომუნიკაციას. თითოეული მოდულის ფარგლებში ეტაპობრივად ხორციელდება (ქართულ-გერმანული და გერმანულ-ქართული) კულტურის ტრანსფერის შესაძლებლობათა შესწავლა, რეალიზაცია და სწავლება.

I. მოცემული ეტაპის თეორიული შედეგები:

ჰაიდელბერგის რუპრეხტ კარლის სახ. უნივერსიტეტის და თარგმანისა და თარჯიმნობის ინსტიტუტის სამეცნიერო ბიბლიოთეკაში დამუშავებულ სამეცნიერო ლიტერატურას, თარგმანის, თარჯიმნობის და დიდქტიკის სფეროში, მოვეცი სისტემური სახე, განვსაზღვრე თანამედროვე გერმანული ენის სპეციფიკისათვის შესატყვისი მიდგომები და მეთოდოლოგია.

II. მოცემული ეტაპის პრაქტიკული შედეგები:

მოცემული პერიოდისათვის შექმნილია:

ა). ელექტრონული ვერსია სახელმძღვანელოსათვის თარჯიმნობასა და დიდაქტიკაში, საჭირო მასალა მხატვრული და დარგობრივი (სამედიცინო და იურიდიული) თარგმანისათვის, ასევე, ტექსტები თანდართული სავარჯიშოებით თარჯიმნის უნარ-ჩვევათა განვითარებისათვის.

ბ). ელექტრონული ვერსიები დამხმარე სახელმძღვანელოსათვის მხატვრული თარგმანის ანალიზისა და კრიტიკის სფეროში - განახლებულია თეორიული მასალა, ასევე თარგმანის ანალიზისა და კრიტიკისათვის საჭირო მხატვრული ლიტერატურა

III. აკადემიური აქტივობა მასპინძელ და სხვა ორგანიზაციაში:

ეპიდემიის გამო 2020 წელს აკადემიური აქტივობა შეიზღუდა. იხ. 2019 წლის ანგარიში

IV. სწავლების პროცესში ასახული აკადემიური აქტივობები:

2018-2019 წლებში პროექტთან დაკავშირებულ საერთაშორისო სამუშაო შეხვედრებზე მოპოვებული ცოდნა და ლიტერატურა აისახა სწავლების პროცესზე:

1). 2020 წელს ჩატარებულ კურსში: „მხატვრული თარგმანის ანალიზი და კრიტიკა MA“ - შექმნილია განახლებული თეორიული მასალის, ასევე თარგმანის ანალიზისა და კრიტიკისათვის საჭირო მხატვრული

ლიტერატურის ელექტრონული ვერსიები.
2. სემინარებზე (იხ. 2018-2019 წ. სამაგისტრო პროგრამები: 1.თარგმანის თეორია და მთარგმნელობითი პრაქტიკა, II მოდული მაგისტრანტებისათვის: „ზეპირი და ეკრანული თარგმანი 1 //გერმანული)“
3. „ტექსტის თარგმნამდელი ანალიზი გერმანული ენის მასალაზე,“ სადაც ვიყენებ თარგმანისა და თარჯიმნობის სწავლების ახალ, ინოვაციურ მეთოდებს;
4). სტუდენტების (საბაკალავრო, სამაგისტრო, სადოქტორო) ნაშრომების ხელმძღვანელობისა და რეცენზირების ხარისხზე. (დეტალურად იხ.: თ. ჩიხლაძის, ლ. შეშაბერიძის მიერ 2020 წელს შესრულებული სამაგისტრო და საბაკალავრო ნაშრომები. იხ. ასევე 2019 და 2018 წლებში შესრულებული სამაგისტრო და საბაკალავრო ნაშრომები.

V. პროექტზე მუშაობის პერსპექტივები:

გერმანისტული ინსტიტუტთაშორისი პარტნიორობის ფარგლებში ჰაიდელბერგის რუპრეხტ კარლის სახ. უნივერსიტეტის თარგმანისა და თარჯიმნობის ინსტიტუტში დეტალურად დაიგეგმა პროექტით გათვალისწინებული ღონისძიებები და შემუშავდა გეგმა ახალი სასწავლო კურსების კურიკულარული განვითარებისათვის. ამჟამად ვმუშაობ ლინგვისტურად ორიენტირებული კულტურის ტრანსფერის სფეროში, კერძოდ, ინტერკულტურული ლიტერატურისა და მისი ტრანსფერის საკითხებზე. ინტერკულტურული ლიტერატურა მჭიდროდ უკავშირდება გლობალიზაციის მოვლენებს და ხასიათდება მრავალენოვნებით და კულტურული და ენობრივი საზღვრების გადალახვით. მისი ავტორებისათვის, რომლებსაც გააჩნიათ მიგრაციისა და მათთვის არამშობლიურ ენაზე წერის გამოცდილება, ტიპურია ერთი ენის ელემენტების მეორე ენაში გადატანა არა მხოლოდ ლექსიკის, არამედ ასევე ფონეტიკის, მორფოლოგიის, სინტაქსისა და ტექსტის დონეზეც. შესაბამისად, ინტერკულტურული ლიტერატურის ტრანსფერი მეტად აქტუალური საკითხია. ის განსაკუთრებულ შესწავლას და მიდგომას საჭიროებს. გერმანელ კოლეგებთან სამუშაო შეხვედრების და კონსულტაციების შედეგად ამ ახალი პრაქტიკული კურსისა და სილაბუსისთვის მოვაგროვე შესაბამისი სამეცნიერო და სასწავლო ლიტერატურა და ტექტები თანმხლები სავარჯიშოებით.

3.2. დასრულებული პროექტი

№	დასრულებული (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი, დამფინანსებელი ორგანიზაცია/სამეცნიერო ფონდი, ქვეყანა	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	2	3	4
დასრულებული კვლევითი პროექტის 2020 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)			

4. პატენტები

4.1. საერთაშორისო პატენტები:

№	საპატენტო თემატიკის სათაური	გამომგონებელი/ები და პატენტმფლობელი/ები	პატენტის საიდენტიფიკაციო კოდი

4.2. ეროვნული პატენტები

№	საპატენტო თემატიკის სათაური	გამომგონებელი/ები და პატენტმფლობელი/ები	პატენტის საიდენტიფიკაციო კოდი

5. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში

5.1. მონოგრაფიები/წიგნები

№	ავტორი/ავტორები	მონოგრაფიის/წიგნის სათაური, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	მ.გელაშვილი, ი.ცხვედიანი,თ. გელაშვილი და სხვ. .მ.გელაშვილის წინასიტყვაობითა და რედაქციით	,,ჯეიმზ ჯოისის თარგმნისა და კვლევის ისტორია საქართველოშ;'' (ქართულ ენაზე ვრცელი ინგლისური რეზიუმეთი), **ISBN 978-9941-8-2087-8**	თბილისი, 2020.	286 გვ.
2.	მ. კობეშავიძე ს. ფეიქრიშვილი ლ. ჯანაშვილი ქ. ხუსკივაძე	ესპანური ტოპონიმების, ანთროპონიმებისა და დარგობრივი ტერმინების (ლინგვისტურ-ლიტერატურულ, სამართლებრივ და საჯარო ადმინისტრაციის სფეროში) დაზუსტება და ქართულ ენაში მათი გამოყენების ნორმების შემუშავება. ISBN 978-9941-26-689-8	თბილისი, 2020.	202 გვ,

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1.

,,ჯეიმზ ჯოისის კვლევისა და თარგმნის ისტორია საქართველოში''

მონოგრაფიის- ,,ჯეიმზ ჯოისის კვლევისა და თარგმნის ისტორია საქართველოში''- ფარგლებში პირველად მოხდა საქართველეში ჯოისის კვლევისა და თარგმნის ნახევარსაუკუნოვანი ისტორიის შესწავლა, რომელიც მრავალრიცხოვან და მრავალფეროვან მასალას მოიცავს.

კვლევები რამდენიმე მიმართულებით წარიმართა:

1. გაანალიზებული იქნა ჯოისის შესახებ არსებული კვლევები (ჯოისის შემოქმედების სხვადასხვა ასპექტზე გამოქვეყნებულია მრავალი სტატია ნიკო ყიასაშვილიდან მოყოლებული თანამედროვე მკვლევარებით დამთავრებული; შესრულებული ოთხი სადოქტორო დისერტაცია, დასტამბული ორი მონოგრაფია, ორი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები ,,ჯეიმზ ჯოისი 100'' (რედ. ნ.ყიასაშვილი, 1982) და ,,ჯეიმზ ჯოისი 130''(რედ. მ.გელაშვილი და ი.ცხვედიანი. 2012) და სხვ.).

კვლევებმა ნათლად აჩვენა, რომ ქართული ანგლისტიკა პირველი იყო მაშინდელ საბჭოთა კავშირში,

რომელმაც დაიწყო ჯოისის კვლევა და თარგმნა. საქართველოში პირველად ჩატარდა ჯოისის შემოქმედების კვლევისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია. ხოლო ის პრობლემატიკა და კვლევის მეთოდები, რომლიც გამოყენებულია ქართველი მეცნიერების მიერ სრულიად განსხვავდება საბჭოთა კავშირში მიღებული კლიშეებისაგან და ნათლად ადასტურებს, რომ დარგი ახერხებდა შეენარჩუნებინა ევროპული ორიენტაცია და შეექმნა სათანადო დონის სამეცნიერო პროდუქცია. კვლევებში აგრეთვე აისახა ქართული ჯოისოლოგიის მიღწევები ბოლო 20 წლის მანძილზე: კერძოს საერთაშორისო კონფერენციია ორგანიზება, მწიდრო კავშირები დუბლინის, ციურიხის, რომისა და ტრიესტეს ჯოისის შემსწავლელ საზოგადოებებთან, რომელთა სამეცნიერო ფორუმებში ქართველი ჯოისოლოგები წარმატებით მონაწილეობენ.

2. შესწავლილია ჯოისის ნაწარმობების ქართული თარგმანები: რომანები, პოეზია, მცირე პროზა, წერილები და სხვ. ნაჩვენებია, რომ ქართულ მთარგმნელობით თეორიაში არსებული ,,მხატვრული ექვივალენტის'' (გ.გაჩეჩილაძე) ცნება კარგ პრაქტიკულ რეალიზებას ჰპოვებს თარგმანთა დიდ ნაწილში. ნაშრომში განსკუთრებული ყურადღება ექცევა ჯოისის დიდი ნაწარმოებების ,,ულისესა'' და ,,ღამისთევა ფინეგანისთვის'' თარგმნის სირთულეებს და ამ სირთულეების გადაჭრის გზებს. ამგვარი კვლევა მრავალმხრივ არის საინტერესო: ჯერ ერთი უკვე არსებული თარგმანის ჯოისის ,,ულისეს'' (ინგლისურიდან თაარგმნა ნიკო ყიასაშვილმა) მაღალი სტანდარტის გამოვლენა და იმ მეთოდების ჩვენებაა, რომელსაც მთარგმნელი იყენებს, რომელიც დიდ დახმარებას გაუწევა ამ სფეროში მომუშავე ახალ თაობას. ამასთანავე და ამის პარალელურად მუდმივად ხდებოდა ,,ფინეგანისს'' თარგმანზე მომუშავე ჯგუფის მიერ ცალკეული ეპიზოდების თარგმნის სირთულეების საჯაროდ განხილვა და პრობლემების გადაჭრის გზების ძიება.

თარგმანის ანალიზისას იმ შენთხვევაში, როდესაც ქართულ ენაზე თარგმანის რამდენიმე ვარიანტი არსებობს, როგორც მოთხრობათა კრებულის ,,დუბლინელების'' შემხვევაშია, გაკეთებულია ორი სხვადასხვა თარგმანის შეპირისპირებითი ანალიზი.

კვლევებმა დამაჯერებლად აჩვენა, რომ ჯოისის თარგმნა და კვლევა მნიშვნელოვანი მოვლენა იყო ქართული ლიტერატურილი სამყაროსთვის. ,,ულისეს'' თარგმნით, საჯარო ლექციებით ჯოისზე და მოდერნიზმის ესთეტიკაზე ნიკო ყიასაშვილმა ქართულ სივრცეში შემოიყვანა ავტორი, რომლის ნოვატორული ესთეტიკა რადიკალურად განსხვავდებოდა მიღებული და მომველებული სალიტერატურო ნორმებისა და წერის მანერისაგან. უფრო მეტიც, ,,ულისეს'' თარგმანმა არა მხოლოდ ახალი და საინტერესო ავტორი გააცნო ქართველ მკითხველს, არამედ თავად ქართული ენის შესაძლებლობები ახალი კუთხით წარმოაჩინა, რადგან ტექსტის თარგმნისას მთარგმნელი ავტორს მიჰყვება და თამამად შემოქვს სიტყვათქმნადობა, სიტყვებით თამაში, სლენგი, ჟარგონი. ,,ულისეს'' თარგმნით ქართულ ენააზე პირველად გამოჩნდა ცნობიერების ნაკადის ტექნიკა, სხვადასხვა სტილთა აღრევა და ირონიულ-პაროდიული კარნავალიზაცია, რამაც ახალი ჰორიზონტი გახსნა ახალგაზრდა მწერლებისათვის.

3. გაანალიზებულია ჯოისის გავლენა ქართულ ლიტერატურასა და კულტურაზე. ნაჩვენებია თუ რამ გამოიწვია ჯოისით დაინტერესება საქართველოში და როგორი გამომახილი ჰქონდა ჯოისის ნოვატორული ძიებებს ქართველ მწერალთა შემოქმედბაში. კერძოდ ,,დუბლინელებისა'' და ,,პორტრეტის'' მხატვრული თავისებურებების გამომახილი ოთარ ჩხეიძის მოთხრობების კრებულში ,,ჩემი სოფლის ეტიუდებში'', მითოსისა და ცნობიერების ნაკადის შინაგანი მონოლოგის გამოვლინება ოთარ ჭილაძის რომანებში. ასევე გაანალიზებული ოყო ჯოისის გავლენა პოსტ-საბჭოთა პერიოდის მწერლებზე, კერძოდ ზურაბ ქარუმიძის პოსტმოდერნისტული ვარიაციები ,,ულისეს'' თემაზე რომანში ,,ღვინომუქი ზღვა''.ცალკე კვლევა ეძღვნება ჯოისის ასახვას ქართულ მხატვრობასა და ფოტოხელოვნებაში (გ.წიბახაშვილის ფოტოალბომი ,,ულისე'' და სხვ.).

2.

არსებობს უცხო ეროვნების პირთა და გეოგრაფიულ ადგილთა დასახელებების გადმოცემის გარკვეული ტრადიცია. მათი მართლწერა ძირითადად უცვლელია, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ აღარაფერია დასაზუსტებელი.

ხშირად ვხვდებით ქართულში ცალკეული სახელების პარალელურ ფორმებსაც, რასაც აქვს ლოგიკური ახსნა: მაგალითად, ერთი და იგივე გეოგრაფიული ადგილის ან პიროვნების სახელის ერთი ფორმა შემოსულია უშუალოდ იმ ენიდან, რომლის კუთვნილებაცაა იგი; მეორე კი სხვა ენის (ყველაზე ხშირად რუსულის) მეშვეობითაა დამკვიდრებული. სიტყვა გადმოტანილია მისი გრაფიკული გამოსახულების, ან ნასესხებია გამოთქმის მიხედვით, მაგალითად: ზარაგოზა - სარაგოსა, ვეიმარი - ვაიმარი, კლიბერნი - კლაიბერნი, ებერდინი - აბერდინი. ზოგჯერ ესა თუ ის სახელი მცდარად იხმარება, მაგალითად: ლა-კორუნა - ლა -კორუნია, ოგაიო - ოჰაიოს, ბურმინჰემი - ბირმინგემის, შტუტჰარტი - შტუტგარტის მაგივრად. საყურადღებოა, რომ გიბრალტარის ნაცვლად ვხვდებით ჰიბრალტარს, მაშინ როცა ქართველი ისპანისტების მოსაზრებით სწორი ფორმა იქნებოდა ხიბრალტარი. ამ შემთხვევის მსგავსად, დასახელებები: მიუნხენი -მიუნჰენი, ციურიხი - ციურიჰი, ბრეხტი - ბრეჰტი, კელნი - კიოლნი ან კოლნი, სხვადასხვა ავტორს ქართულ ენაში განსხვავებულად გადმოაქვს. ეს არც არის გასაკვირი. მთარგმნელები ბევრ სიძნელეს აწყდებიან უცხოური საკუთარი სახელების გადმოტანისას, გვხვდება სიჭრელე მათ ქართულ დაწერილობაშიც. ხშირად მთარგმნელებს სხვადასხვა შეხედულება აქვთ ამა თუ იმ სახელის ქართულში გადმოცემასთან დაკავშირებით. საერთო წესის დადგენის საჭიროებამ ჯერ კიდევ ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის შედგენის დროს იჩინა თავი.

აუცილებელი იყო ენციკლოპედიაში შესული სახელების გადმოცემის მოწესრიგება. შეძლებისდაგვარად ეს გაკეთდა უკვე გამოცემული „თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმების“ 1 კრებულისა (1979-1986) და ვ. თოფურიას და ივ. გიგინეიშვილის მიერ შედგენილი „ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონის“ (1968) მონაცემების მიხედვით, აგრეთვე ცალკეული ენების სპეციალისტთა აზრის გათვალისწინებით. ისეთი ენების შემთხვევაში, როგორიცაა იტალიური, ესპანური და პორტუგალიური, სპეციალისტების არარსებობის გამო, სწორი ფორმის შერჩევისას ეყრდნობოდნენ რუსულ, ინგლისურ და ფრანგულ ვარიანტებს, შესაბამისად ესპანური ტოპონიმები და ანთროპონიმები მკვიდრდებოდა ქართულ ენაში მესამე, შუალედური ენის გავლით, კერძოდ რუსულის და ფრანგულის, რაც ზოგ შემთხვევაში ინტერფერენციას იწვევდა. რუსული ენის გავლენის საინტერესო მაგალითია, მსოფლიოში ყველაზე სახელგანთქმული ესპანური ლიტერატურული ნაწარმოების მთავარი გმირის და მისი ცხენის სახელის ადაპტაცია ქართულ ენაში: *Don Quijote* y *Rocinante* /don kix**ote** da rosinanti/ *ტრანსკიფცია*, დონ კიხოტე და როსინანტე. ქართულში დიდი ხანია დამკვიდრებულია ლიტერატურული მცდარი სახელები „დონ კიხოტი და როსინანტი“. რაც მიუთითებს ამ სახელების რუსული ენიდან თარგმანს, რომლის დროსაც ქართულის ენის გავლენით მოხდა რუსულ ფორმებზე *Дон Кихот* (Don Quijot) у Росинант (Rocinant) სახელობითი ბრუნვის ნიშნის - ი-ს დამატება.

უცხოურ საკუთარ სახელთა უნიფიკაციის მიზნით საქართველოს იმდროინდელი მინისტრთა საბჭოს მიერ 1970 წლის დადგენილების შესაბამისად შედგენილი იყო „საზღვარგარეთის ქვეყნების გეოგრაფიულ სახელთა ორთოგრაფიული ლექსიკონი (1988) და „უცხოურ პირთა სახელების ორთოგრაფიული ლექსიკონი“.

საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ქვეყანამ დიპლომატიურ-ეკონომიკური ურთიერთობა დაამყარა მსოფლიოს მრავალ ქვეყანასთან, მათ შორის: ესპანეთის სამეფოსთან, ცენტრალური, კარიბის ზღვის აუზისა და სამხრეთ ამერიკის ქვეყნებთან. მსოფლიოს სამ კონტინენტზე ვხვდებით ესპანურენოვან 20 ქვეყანას, მათ შორის დიდ ნაწილთან საქართველოს უკვე მრავალწლიანი ურთიერთობის გამოცდილება აქვს, ნაწილთანაც მომავალში იგეგმება ორმხრივი კავშირების დამყარება.

თანამედროვე მდგომარეობით, საქართველო დგას ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური გამოწვევების წინაშე, რომელსაც მას უყენებს ევროპასთან გაფორმებული 2017 წლის უვიზო რეჟიმი და 2016 წლის ასოცირების ხელშეკრულება. შეთანხმების საფუძველზე საქართველო აღრმავებს ურთიერთობას ევროკავშირის ქვეყნებთან და მათ შორის ესპანეთთან ისეთ სფეროებში, როგორებიცაა: ეკონომიკა, განათლება, ტურიზმი, საემიგრაციო პოლიტიკა, კრიმინალი და უსაფრთხოება. საერთაშორისო ურთიერთობების გაღრმავების პირობებში ძნელი წარმოსადგენია მოინახოს ადამიანი, რომელიც უცხოური ენიდან ნასესხებ სახელებსა და ტერმინებს არ იყენებდეს. ლიტერატურა, საგაზეთო, ტურისტული, პოლიტიკური, იურიდიული და ბიზნეს მასალის თარგმნისას ინტერნეტსივრცეში ვაწყდებით მრავალფეროვან და გადაუმოწმებელ ფორმებს.

სერვანტესის ინსტიტუტის 2017 წლის კვლევის მონაცემებით 477 მილიონი ადამიანისთვის ესპანური ენა მშობლიურია, ხოლო სრული ციფრი, რომელიც აერთიანებს როგორც ენის მატარებლებს, ისე შემსწავლელებს 572 მილიონია. ეს მონაცემი შთამბეჭდავია, თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ ყოველწლიურად იზრდება ესპანური ენის შემსწავლელთა რიცხვი და ზოგიერთ ქვეყნებში მათი დიდი რაოდენობა აუდიტორიის გარეთ რჩება, მასწავლებელთა და სასწავლო რესურსების ნაკლებობის გამო.

ევროკავშირის ენობრივ მრავალფეროვნებაში ესპანურ ენას განსაკუთრებული ადგილი უკავია, მასზე მოსაუბრე და შემსწავლელი სუბიექტების სიმრავლით. კავშირის შიგნით ესპანური მეხუთე ადგილზეა 40 მილიონიანი

ესპანურენოვანი მოსახლეობით. მას წინ უსწრებს გერმანული - 60 მლნ., ინგლისური - 60 მლნ.(ეს მონაცემი გადასახედია მას შემდეგ , რაც ინგლისმა დატოვა ევროკავშირი), ფრანგული - 60 მლნ. და იტალიური - 58 მილიონი ადამიანი. სერვანტესის ინსტიტუტის კვლევით დადგინდა ასევე, რომ ევროკავშირის ქვეყნებში შემსწავლელები ინგლისურის შემდეგ, რომელიც ლიდერობს არა მხოლოდ კავშირის, არამედ მთელი მსოფლიოს მასშტაბით, ირჩევენ ფრანგულს და ესპანური ენა მესამე ადგილს იყოფს გერმანულთან ერთად. ასევე უნდა აღვნიშნოთ, რომ ესპანური ენის მიმართ ინტერესი მზარდია ევროკავშირისა და მსოფლიოს ქვეყნებში.

დღევანდელ დღეს უცხოური ენების ცოდნა ბევრად უფრო მეტ გამოწვევას პასუხობს, ვიდრე მხოლოდ კულტურული ან პირადი ინტელექტუალური ცოდნის შეძენაა. სწრაფად მზარდი გლობალიზაციის პირობებში ყოველდღიურად იზრდება ქვეყნებს შორის ურთიერთობა და კავშირი შემდეგი მიმართულებებით:

- ვაჭრობა
- კულტურა
- პოლიტიკა

ამ სამ ძირითად ფაქტორს ემატება მსოფლიო მიგრაციის პრობლემებიც, რაც მოითხოვს თანამედროვე ადამიანებისგან ენობრივი კომპეტენციების შესაბამისი დონის ფლობას, რათა უკეთ ადაპტირდნენ უცხო გარემოში და გახდნენ მეტად კონკურენტუნარიანები.

საქართველოში ესპანური ენის სწავლება საბჭოთა კავშირის ენობრივ პოლიტიკას უკავშირდება. ცნობილია, რომ საბჭოთა კავშირმა 1936 წელს სტალინის გადაწყვეტილებით დამხმარე არმია გაგზავნა ესპანეთი სამოქალაქო ომში რესპუბლიკელთა მხარდასაჭერად. როგორც რუსი ისპანისტი ვინოგრადოვი აღნიშნავს უკვე ოცდაათიანი წლების ბოლოდან ესპანური ენა ისწავლებოდა მოსკოვისა და იმდროინდელი ლენინგრადის სასწავლო დაწესებულებებში. წყაროები აღნიშნავენ ასევე, რომ ყველა მებრძოლი, რომელიც გაიგზავნა საბჭოთა კავშირიდან, ფლობდა ესპანურ ენას. ამის საპირისპიროდ ესპანელი თანამებრძოლების ჩანაწერებში ვაწყდებით ცნობებს იმის შესახებ, რომ საბჭოთა მებრძოლებთან ენობრივი კონტაქტი და კომუნიკაცია ძალიან რთული იყო, გამომდინარე იქიდან, რომ ისინი სათანადოდ ვერ ფლობდნენ ესპანურ ენას.

ესპანეთის სამოქალაქო ომი ფრანკოს გამარჯვებით დასრულდა და საბჭოთა კავშირმა გაწყვიტა ყოველგვარი კონტაქტი ფრანკოს ესპანეთთან. თუმცა ამ პერიოდისთვის საბჭოთა კავშირს უკვე ჰყავდა რამდენიმე ათასი ესპანელი დევნილი ბავშვი (რესპუბლიკელების შვილები) მიღებული თავის ტერიტორიაზე. ამ ბავშვებს „ომის შვილებს“ უწოდებდნენ.

ესპანური ენის მეორე ტალღა 1959 წლით თარიღდება. ამ წელიწადს კუბის რევოლუციამ საბჭოთა კავშირს გაუჩინა ლათინური ამერიკის ქვეყნების გაკომუნისტების პერსპექტივა. აქტიური თანამშრომლება დაიწყო კუბასთან და სხვა ესპანურენოვან ქვეყნებთან. ამ თანამშრომლობის საფუძველზე 60-იანი წლების დასაწყისში მოსკოვის ბრძანებით ესპანური ენა შემოდის მაშინდელ „უცხო ენათა ინსტიტუტში,“ ხოლო მოგვიანებით, 60-იანი წლების ბოლოს ესპანური ენა, როგორც მეორე უცხოური ენა ისწავლება უკვე ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. პირველი პედაგოგი 30-იან წლებში ესპანეთიდან ემიგრირებული ე. წ. „ომის შვილი“ ადელა მარტინესია.

გასული საუკუნის 40-იან და 60-იან წლებში პირველად ჩნდება ენების შესახებ ინფორმაციული მონაცემები, რომელთა საფუძველსაც შესასწავლი და შემსწავლელის მშობლიური ენების შედარებითი ანალიზი წარმოადგენს. იმდროინდელი მეცნიერები მიიჩნევდნენ, რომ თუ დავადგენთ რა განსხვავებები და მსგავსებებია შესასწავლ და შემსწავლელის მშობლიურ ენას შორის, გაგვიადვილდება სწავლა-სწავლების პროცესი. ამ მიდგომით შესაძლებელი ხდება აღმოვაჩინოთ შესასწავლ ენაში სავარაუდო რთული და პრობლემური საკითხები და წინასწარ განვსაზღვროთ, რა დრო და ძალისხმევა დასჭირდება შემსწავლელს მათ უკეთ გაგებაზე. ამ ტიპის ანალიზის შედეგად ენის სახელმძღვანელოებში ჩნდება სწორი აქცენტები და მთელი რიგი ენობრივ ასპექტებს გამორჩეული ყურადღება ეთმობა. ენების ანალიზი უცხოური ენის სწავლების სტრუქტურულ დიდაქტიკაში შედის. მოგვიანებით გაჩენილმა საკომუნიკაციო დიდაქტიკამ ეჭვქვეშ დააყენა მისი ფუნქციური მნიშვნელობა ენების სწავლებაში. თუმცა, ბოლო ხანებში სულ უფრო ხშირად ვაწყდებით მის გამოყენებას სახელმძღვანელოების შექმნასა და სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენლებისთვის სასწავლო კურსების დაგეგმვაში.

ენების შედარებითმა ანალიზმა ენის სწავლებაში მრავალი დადებითი მომენტი შექმნა და მათგან გამოსარჩევია სახელმძღვანელოებისთვის ამ ანალიზის საფუძველზე შექმნილი მასალები. ბოლო პერიოდში სულ უფრო ხშირად ვხვდებით ერთი და იგივე სახელმძღვანელოების განსხვავებული ეროვნების შემსწავლელთათვის განკუთვნილ ვარიანტებს. ასე მაგალითად, ესპანური ენის სახელმძღვანელო ¨Sueña¨ გამოიცემა როგორც ზოგადად

ყველა უცხოელისთვის, ასევე ისეთი კონკრეტული ქვეყნებისთვის, როგორიცაა ჩინეთი, ბრაზილია, რუსეთი...

ვინაიდან საქართველოში ჯერ არ ჩატარებულა ესპანური და ქართული ენების შედარებითი ანალიზი, რომელიც დაეხმარებოდა ენის სპეციალისტებს, მის შედეგებზე შეექმნათ სასწავლო რესურსები, მოცემული კვლევის ლინგვისტური შედეგების ერთ-ერთი უდიდესი მნიშვნელობა მათი ენების სწავლების პროცესში ასახვაა.

მცდარია დამოკიდებულება, რომ საკუთარი სახელების თარგმნის შესწავლა განსაკუთრებულ ყურადღებას არ საჭიროებს, ვინაიდან საკუთარი სახელები ენობრივი ბარიერების გადალახვაში გვეხმარება. საკუთარი სახელების თავისებურებების უგულებელყოფამ, მათი სხვა ლინგვისტურ რეალობაში გადატანისას შესაძლოა, გაართულოს სახელის მატარებლის იდენტიფიკაცია. საზოგადო სახელებისაგან განსხვავებით, საკუთარ სახელებს უნივერსალურობის ტენდენცია აღენიშნება. საკუთარი სახელები ენებს შორის კომუნიკაციისათვის ამოსავალ წერტილს წარმოადგენს და თარგმნისა და უცხოური ენების შესწავლაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. აქედან გამომდინარე, აუცილებელია, სახელმძღვანელოებში, სახელმწიფო დოკუმენტებში, რეესტრებში, ლექსიკონებსა და ლიტერატურულ თარგმანებში შესული ესპანური და ქართულენოვანი საკუთარი სახელებისა და ტერმინების გადმოცემის მოწესრიგება.

ცნობილია, რომ ესპანური და ქართული ენები ორ სრულიად განსხვავებულ ენათა ოჯახს წარმოადგენს. ეტიმოლოგიური ფაქტორის გარდა, მათ ერთმანეთისაგან განასხვავებს როგორც ფონეტიკურ-ფონოლოგიური, ისე გრამატიკული სისტემა. ქართულისთვის არ არის უცხო არც ბინარული და არც პოლიკონსონანტური კომპლექსები სიტყვის თავკიდურ პოზიციაში. ეს ფენომენი იშვიათია ესპანურ ენაში, უფრო მეტიც, ესპანური ენის მატარებელი ცდილობს ხმოვანი დაამატოს ასეთ სიტყვას, ან თანხმოვნებს შორის ჩასვას ის, მაგალითად: Tbilisi-Tiflis (tiflitano(a), tiflitense). ამ ორი ფორმიდან ესპანურენოვანისთვის გამოსათქმელად მარტივი აღმოჩნდა თბილისის ადრინდელი სახელწოდება ტფილისი. ასევე, საყურადღებოა ესპანური მაგარი სასისმიერი ნაზალური „ñ".

ცნობილია, რომ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ არაერთმა ქვეყანამ შეიცვალა სახელდება. მათ ჩამოშორდა „ტრადიციული" მსაზღვრელები (მაგალითად, „საბჭოთა სოციალისტური") და დარჩა მხოლოდ გეოგრაფიული დასახელება. რუსული ენის გავლენით ქართულში პირდაპირ შემოვიდა კალკირებული რუსული ფორმები. სიტყვა ნასესხებია ან მისი ჩანაწერის, ან გამოთქმის მიხედვით, მაგ: კატალონია - კატალუნია; გიბრალტარი - ხიბრალტარი; **ურუგვაი - ურუგუაი; გვატემალა - გუატემალა**. ზოგჯერ ესა თუ ის სახელი გადმოტანილია მცდარი ფორმით, მაგ: გონსალესი - გონზალესი; სარა - ზარა.

ნებისმიერ ენაში ენობრივი მნიშვნელობების სისტემა ასახავს ადამიანის როგორც გარეგან, ისე შინაგან სამყაროს, ანუ მოიცავს ერთ კონკრეტულ ენაზე მოლაპარაკე კოლექტივის პრაქტიკულ გამოცდილებას. თუ სხვადასხვა ენაზე მოლაპარაკე კოლექტივების გამოცდილება ერთნაირია, იდენტურია მნიშვნელობებიც, რომელიც გამოხატულია ამ ენებში. ყველაზე დიდი სირთულე თარგმანში მაშინ წარმოიქმნება, როდესაც სიტუაცია, რომელიც ამოსავალ ტექსტშია აღწერილი, არარსებობს სათარგმნი ენის კოლექტივის გამოცდილებაში, ანუ როდესაც ამოსავალ ტექსტში აღწერილია ე. წ. "რეალიები". ლ. ბარხუდაროვის განმარტებით, რეალიები ფონური ინფორმაციის ნაწილია, რომელიც მოიცავს სპეციფიკურ ისტორიულ ფაქტებს და ინფორმაციას სახელმწიფო მოწყობის, გეოგრაფიული გარემოს თავისებურებების, ეთნოგრაფიული და ფოლკლორული ცნებების შესახებ. თარგმნის თეორიაში რეალიებს უწოდებენ სიტყვებს ან გამოთქმებს, რომლებიც აღნიშნავენ მატერიალური კულტურის საგნებს და მჭიდროდ არიან დაკავშირებული კონკრეტული ერის კულტურასთან. თარგმანში ამ ელემენტების გათვალისწინება აუცილებელია. რეალიების გამოყენება ფართოდ დამახასიათებელია მასობრივი ინფორმაციის საშუალებებისათვის, ამიტომ, ასეთი სახის ტექსტების მთარგმნელებისათვის საზოგადოებრივ-პოლიტიკური რეალიების ცოდნა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია (ეს არის ცნებები, რომლებიც დაკავშირებულია ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ მოწყობასთან).

ასეთი რეალიები ითარგმნება როგორც ტრანსკრიფცია/ტრანსლიტერაციის საშუალებით, ასევე, აღწერილობითი თარგმანისა და ანალოგების შერჩევის გზით: el presidente del gobierno-მთავრობის თავმჯდომარე და არა პრემიერ მინისტრი; el profesor, la profesora მასწავლებელი, ლექტორი და არა პროფესორი. კულტურული განსხვავებები გავლენას ახდენს მთარგმნელის სტრატეგიაზე. იმ რეალიებმა, რომლებიც ქვეყნის პოლიტიკურ ან ეკონომიკურ სტრუქტურებს აღნიშნავენ, შესაძლოა მკითხველი შეცდომაში შეიყვანოს, ვინაიდან პოლიტიკური ინსტიტუტები და პოლიტიკურ-ეკონომიკური ფუნქციები სხვადასხვა ქვეყანაში.

ნაშრომი განსაკუთრებით აქტუალურია სამართლებრივი ტერმინოლოგიის თარგმნის თვალსაზრისითაც, მიუხედავად იმისა, რომ ესპანური და ქართული ეროვნული სამართლებრივი სისტემები კონტინენტური ევროპის სამართლის ოჯახს მიეკუთვნება, მნიშვნელოვანი განსხვავებაა არა მარტო მატერიალურ-სამართლებრივ, არამედ სისხლის, სამოქალაქო, კონსტიტუციური თუ ადმინისტრაციული სამართალწარმოების მხრივ, რაც საჭიროებს გამოყენებული ტერმინოლოგიის ისეთ თარგმანს, რომელიც ზუსტად დაემთხვევა სამართლებრივი ცნებების, კატეგორიებისა და რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, სამართლებრივი ქმედებების შინაარსს. ეს საკითხი

განსაკუთრებით აქტუალურია ჩვენთვის, რადგან სრულყოფილად მოხდეს ჩვენი სამართლებრივი სივრცის ჰარმონიზაცია ევროპულ სამართლებრივ სივრცესთან. ამას ემსახურება ევროპის გაერთიანებისა და ევროპის საბჭოს 20 ოქტომბრის 2010/64 დირექტივა, რომლითაც დადგენილია ევროპის მასშტაბით სისხლის სამართლის პროცესის წარმოებასთან და ევროპის საერთო დაკავების ორდენის თარგმანთან დაკავშირებული სტანდარტები.

წინამდებარე ნაშრომი მიზნად ისახავდა ესპანური ანთროპონიმების, ტოპონიმებისა და იურიდიულ-ადმინისტრაციული ტერმინოლოგიის სწორ ფონეტიკურ და გრაფიკულ გადმოტანას ქართულ ენაში. საკუთარი სახელები, რომლებიც გამოიყენება ადამიანების, გეოგრაფიული ადგილების, ლიტერატურული ნაწარმოებების, ფიქციური პერსონაჟების, ინსტიტუტების, ორგანიზაციების, თუ კომერციული ბრენდების სახელდებისთვის სხვადასხვა ენაზე წარმოადგენს კომუნიკაციის საწყისს და თარგმანის თეორიის შესწავლაში მნიშვნელოვან ადგილს იკავებს. ეს ასპექტები ძალიან საინტერესო და ამავდროულად მნიშვნელოვანია სხვადასხვა დარგის განვითარებისთვის.

აღნიშნული ნაშრომი პირველი კვლევაა ესპანური საკუთარი სახელების ქართულად მართლწერის შესწავლის შესახებ, სადაც საკუთარ სახელებს და ტერმინებს განვიხილავთ წარმომავლობის, მისი შინაარსის, ლექსიკური კომპონენტის მიხედვით, ფონეტიკურ და მორფოლოგიურ ჭრილში, ასევე სოციო-პოლიტიკური, სოციო-კულტურული რეალობისა და კონტექსტის გათვალისწინებით. მათი მართებული თარგმნა მთელი რიგი გადაწყვეტილებების მიღებასა და არსებული ფაქტორების გათვალისწინებას მოითხოვს.

5. 2. სახელმძღვანელოები

№	ავტორი/ავტორები	სახელმძღვანელოს სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	მარინა კობეშავიძე	ესპანური ენა Español ISBN 978-9941-8-1555-3	თბილისი, 2020	540
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე) სახელმძღვანელოს მიზანია, შესძინოს სტუდენტებს ესპანური ენის პრაქტიკული ცოდნა. წიგნი შედგება 34 გაკვეთილისგან, რომლებშიც შეტანილია ყოველდღიურ ლექსიკაზე დაფუძნებული თემები; გაკვეთილები ასევე მოიცავს ფონეტიკურ, გრამატიკულ და ლექსიკურ მასალას, რაც დაეხმარება ესპანური ენით დაინტერესებულ პირებს ენის ათვისებაში. წიგნი განკუთვნილია უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებისა და ესპანური ენის დამოუკიდებლად შესწავლის მსურველთათვის.			

5.3. კრებულები

№	ავტორი/ავტორები	კრებულის სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	მანანა გელაშვილის წინასიტყვაობითა და რედაქციით (ავტორები: ფ.ფორდჰემი, რ.ბრაუნი, ი.ცხვედიანი და სხვ.)	James Joyce ans the World **ISBN 978-9941-8-2030-4**	თბილისი, 2020	170 გვ.
2	მუჯირი სოფიო	„<ch> გრაფემის	თსუ	თბილისი 2020.

		შემცველი გერმანული საკუთარი და გეოგრაფიული სახელების ქართულად გადმოტანის საკითხი.“ მთარგმნელის დღისადმი მიძღვნილი სამეცნიერო შრომების კრებული		

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

კრებულში შევიდა ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და ჯეიმზ ჯოისის სქართველოს ასოციაციის მიერ ორგანიზებული საერთაშორისო კონფერენციის მასალები (კონფერენცია ჩატარდა 2019 წლის 26-27 სექტემბერს). კონფერენცია სათაურით “Joyce and the World” (,,ჯოისი და სამყარო’’) მიეძღვნა ჯოისის ბოლო ნაწარმოების ,,ფინეგანის’’ გამოქვეყნებიდან 80 წლისთავს და შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტის ფარგლებში ჩატარდა.

როგორც ეს სათააურიდანაც ჩანს, კონფერენცია მიზანად ისახავდა შეესწავლა ერთი მხრივ ის ენობრივი და კულტურული მრავალფეროვნება, რომელმაც წარმოქმნა ჯოისის რთული და მრავალნიშნადი მხატვრული სამყარო და მეროე მხრივ ეჩვენებინა ჯოისის გავლენა სხვა ქვეყნების ლიტერატურასა და კულტურაზე.

კრებულში გარდა სახელოვანი უცხოელი ჯოისოლოგების სტატიებისა, (როგორიცაა ფინ ფორდჰემი, რიჩარდ ბრაუნი ენდრიუ გუდსპიდი, მარტინა ნიკოლსი) შევიდა თსუ ინგლისური ფილოლოგიის სადოქტორო პროგრამის დოქტორანტების (თ.სიბაშვილი, ლ.ძაგნიძე, ს. დავითულიანი და სხვ.) სტატიები, რომელიც ჯოისისა და მოდერნიზმის სხვადასხვა საკითხებს იკვლევს.

კრებულში განსაკუთრებით დიდი ადგილი უჭირავს ჯეიმზ ჯოისის თარგმნისა და კვლევის ისტორიას საქართველოში. კრებული ორენოვანია. სტატიების უმეტესობა იბეჭდება ინგლისურად. ქართულ სტატიებს აქვთ ინგლისური აბსტრაქტები.

5.4. სტატიები ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდის (DOI) მითითებით

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათა-ური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI	ჟურნალის/ კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	მანანა რუსიეშვილი და გიული შაბაშვილი.	მადლობის სამეტყველო აქტის სპეციფიკა ქართულ და ინგლისურ ენებში	ენათმეცნიერების საკითხები, 2020	თსუ	10

2	Муджири С.А., Капанадзе И.Б.	„Трилингвизм в контексте подготовки профессиональных кадров (в свете контрастивной фонетики)“ ISBN 978-616-488-091-7	Материалы Международной научно-практической конференции (13-15.03.2020) Русский язык в странах Азиатско-Тихоокеанского региона: традиции, тенденции и перспективы изучения и преподавания	Изд-во Университета Таммасат, Бангкок – 2020	стр. 106-111

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1. სტატიაში განხილულია მადლობის სამეტყველო აქტის თავისებურებები, სხვადასხვა სამეტყველო სიტუაციაში მისი გამოყენების პრაგმატული მოტივაცია და შესაბამისი ენობრივი ფორმულები. ნაშრომში გაანალიზებულია ქართული და ბრიტანული ინგლისური ენებისა და კულტურის მონაცემები. ნაშრომი ეფუძნება ანალიტიკური და კომპარატივისტული კვლვის მეთოდებს. მასში წარმოდგენილია ბრიტანული და ქართული ბეჭდვითი მედიისა და სატელევიზიო შოუების მასალები, აგრეთვე, ბრიტანული ეროვნული კორპუსის მონაცემები. თითო ენაში განხილულია მადლობის სამეტყველო აქტის 130-მდე ნიმუში. კვლევის თეორიული ჩარჩო ეყრდნობა იუნგის კლასიფიკაციას კლასიფიკაციას, რომლის მიხედვითაც გამოიყოფა მადლობის სამეტყველო აქტის რამდენიმე ფუნქცია: 1. გარკვეული (კონტექსტზე ორიენტირებული) ‘სარგებლის’ აღნიშვნა; 2. საუბრის დაწყების, შეწყვეტის, დასრულებისა და თემის შეცვლის ფუნქცია; 3. რაიმე ადგილის დატოვებისა და გამომშვიდობების ფუნქცია; 4. შეთავაზებაზე დადებითი ან უარყოფითი პასუხის ფუნქცია; 5. უარყოფითი ემოციური მდგომარეობის გამოხატვის ფუნქცია.. ნაშრომის სიახლეს წარმოადგენს შემდეგი დამატებითი მახასიათებლების გამოყოფა: 6. მადლობა ფართო კონტექსტით; 7. მადლობა რედუპლიკაცია, ექსპრესიულობის გამოხატვა; 8. მადლობა კომპლიმენტი, ირიბი მადლობა; 9. ენაში დაფიქსირებული შესიტყვებები; 10. შესრულებულ (ან არ შესრულებულ) თხოვნაზე რეაქცია, ექსტრალინგვისტური საშუალებების ჩართვა.

როგორც კვლევამ გვიჩვენა, ფორმალურ გარემოში სამეტყველო ეტიკეტის მიხედვით მადლობის გადახდის ფორმები თითქმის იდენტურია ორივე სამიზნე ენაში. რაც შეეხება რამდენიმე სპეციფიკურ სამეტყველო სიტუაციას, მაგალითად სათქმელის შერბილებას, რედუპლიკაციას, ექსპრესიულობასა და ინტენსივობას, ამგვარი ფორმები ბრიტანული ინგლისურისაგან განსხვავებით უფრო დამახასიათებელია ქართული ენისათვის.

2. სტატიაში განხილულია მულტილინგვალური საწარმოთქმო კომპეტენციის თავისებურებები (სეგმენტურ დონეზე) თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტის ქართულენოვან სტუდენტთა წარმოთქმის შესწავლის ბაზაზე, რომლებმაც მიაღწიეს ენობრივი კომპეტენციის გარკვეულ დონეს გერმანულ და რუსულ ენებში. ამასთან, გერმანული მათთვის წარმოადგენს პირველ უცხო ენას, ხოლო რუსული - მეორე უცხო ენას. მომავალ ჟურნალისტთა საწარმოთქმო შეცდომების პრევენციის მიზნით, ნაშრომში განხილულია ასევე რუსულ - და გერმანულენოვან ჟურნალისტთა (ტელე - და რადიოწამყვანთა) ის ტიპური საწარმოთქმო შეცდომები, რომლებიც განსაკუთრებით ხშირად გვხვდება ჟურნალისტურ პროფესიებში, მოყვანილია

მაგალითები. გარდა საწარმოთქმო შეცდომებისა დადგენილია ჟურნალისტთა მიერ დაშვებული სხვა სახის შეცდომებიც, რომლებიც უმთავრესად გამოწვეულია აზრის დისკორდინაციის, მეტყველების ჩქარი ტემპის, არასწორი ფონაციის, მღელვარების და ა. შ. შედეგად, რაც აბოლოო ჯამში განსაზღვრავს ტელე - და რადიოწამყვანთა ხმის ჟღერადობის ხარისხსა და მოდულაციას ეთერში.

5.5. სტატიები ISSN-ის მითითებით

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათა-ური, ISSN	ჟურნალის/ კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	ნინო დარასელია	შუბლთან დაკავშირებული მეტონიმური და მეტაფორული გამონათქვამები ქართულში ISSN 1987-6653	*საენათმეციერო ძიებანი, # 42*	არნ.ჩიქობავას ენათმეცნიერების ინსტიტუტი, ბ.ჯორბენაძის საზოგადოება თბილისი	იბეჭდება
2.	მანანა გელაშვილი, მაია ყიასაშვილი	,, ჯოისის ,,ულისეს''ქართული თარგმანი, **e-ISSN:** 2346-772X (ERIH PLUS,EBSCO)	,,სჯანი'', #21 (2020).	შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ERIH PLUS, EBSCO) http://sjani.ge/sjani-21/gelash-kvach.pdf	9 გვ.
3	მანანა გელაშვილი თამარ გელაშვილი	2. "Multilingualism of James Joyce's "Finnegans Wake" and problems of its translation and teaching in Georgian" **E ISSN 1512-3146**	(International Journal: Multilingual Education, #15), (2020). pp. 62-72	(Erih plus) http://www.multilingualeducation.org/	10 გვ.
4.	მანანა გელაშვილი	,,მზის ხარები'' და მისი ადექვატური თარგმანის პრობლემა.	საერთაშორისო კონფერენციის მასალები ,,ჯეიმზ ჯოისი და სამყარო. ''	თბილისი, 2020	9 გვ.
5	გ.ყუფარაძე, ც,ახვლედიანი ქ. გაბუნია	**პროტესტის კონცეპტუალურ სფეროში შემავალი ფრაზეოლოგიური გამონათქვამები ფრანგულ და ინგლისურ ენებში, ISSN 1987-7232**	„ენა და კულტურა“ №23	თბილისი, საქართველო. „მერიდიანი“ Meridiani777@gmail.com	გვ. 11-15 (5)

6.	გ.ყუფარაძე, ც,ახვლედიანი	**კონცეპტი “გარდაცვალება” ფრანგულ და ინგლისურ პარემიულ კონსტრუქციებში ISSN 1987-6653**	„საენათმეცნიე-რო ძიებანი“ ტ. 42.	თბილისი, საქართველო, www.ice.ge	გვ. (5) *(იბეჭდება)*
7	გ.ყუფარაძე, ც,ახვლედიანი	**ზოგიერთ ლექსიკურ - სემანტიკურ ცვლილებათა შესახებ თანამედროვე ფრანგულ და ინგლისურ ენებში, ISSN 1512-0694**	კულტურის ისტორიისა და თეორიის საკითხები, ტ.XXXII	თბილისი, საქართველო, www.press.tsu.ge	გვ. (6) *(იბეჭდება)*
8	გ.ყუფარაძე, ც,ახვლედიანი, ქ. გაბუნია	**სიტყვათა სინტაქტიკურ-სემანტიკური ევოლუცია თანამედროვე ფრანგულ და ინგლისურ ენებში ISSN 1987-7232**	„ენა და კულტურა“ №24	თბილისი, საქართველო. „მერიდიანი“ Meridiani777@gmail.com	გვ. 11-20 (10)
9.	ირინე დემეტრაძე	„Phraseological Units with Somatic Components: Threats and Benefits“ (On the Material of English and Georgian Languages) ISSN 1512-1941	ცივილიზაციური ძიებანი, N 17.	თბილისი, თსუ	იბეჭდება
10	ირინე დემეტრაძე	„ინგლისურ და ქართულ ფრაზეოლოგიურ ერთეულებში ასახული ოთხი სტიქია“. ISSN 1987-6653	საენათმეცნიერო ძიებანი N 41	თბილისი, არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი, ბესარიონ ჯორბენაძის საზოგადოება	იბეჭდება
11	ინესა მერაბიშვილი	გალაკტიონის ახალი სიცოცხლე	გაზეთი „ლიტერატურული საქართველო“, N28 (3998), 20 ნოემბერი, 2020.	თბილისი	2
12	დავით	„შექსპირის	რეცენზირება-დი	თბილისი, ივ. ჯავახიშვილის	http://www.s

	მაზიაშვილი	იულიუს კეისარი ქართულ სცენაზე“ ISSN 1987-8583	სამეცნიერო ბილინგული ელექტრონუ-ლი ჟურნალი „სპეკალი“; 14-ე ნომერი	სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი	pekali.tsu.ge/index.php/ge/article/viewArticle/14/240 ელექტრონუ ლი გამოცემა ვორდის A4 ფაილით 15 გვ.
13	დავით მაზიაშვილი	„ჩვენნაირი მანქანები“ ISSN 2298 -0954	საზოგადოებრივ-ლიტერატურული ჟურნალი „არილი“	თბილისი, საზოგოდოებრივ-ლიტერატურული ჟურნალი „არილი“	ელექტრონუ ლი გამოცემა 12 გვერდი http://arilimag.ge/%e1%83%93%e1%83%90%e1%83%95%e1%83%98%e1%83%97-%e1%83%9b%e1%83%90%e1%83%96%e1%83%98%e1%83%90%e1%83%aa%e1%83%95%e1%83%98%e1%83%9a%e1%83%98-%e1%83%a9%e1%83%95%e1%83%94%e1%83%9c%e1%83%9c/?fbclid=IwAR3zOTFYeBYTPVMc2hpvwW-4XMSbAf17Ub0eihwcoT_h-xzpNjpL62Vinzc
14	ლელა ებრალიძე	„მხატვრული თარგმანი და მასთან დაკავშირებული ფილოლოგიური კვლევა (ედგარ პოს ერთი ლექსის ქართული და რუსული თარგმანების მასალაზე)“ ISSN 1987-8583	თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სამეცნიერო ბილინგვური რეცენზირებადი ელექტრონული ჟურნალი „სპეკალი“, ნომერი 15. 2020	თბილისი	12
15	კ, ბრეგაძე	„ფაუსტის მსოფლმხედველობა და პანსოფიზმი („მაგია“)“ **ISSN 1512-2514**	„სჯანი. ჟურნალი ლიტერატურის თეორიასა და ლიტერატურათმცოდნეობაში“, N 21	თბილისი, შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა	28 გვ.
16	კ, ბრეგაძე	„სტალინიზმის დეკონსტრუქცია და ანტირუსულ-ანტიკოლონიური დისკურსი გურამ რჩეულიშვილის ნოველაში *სკოლიდან გამოვარდნილი*	„ლიტერატურული ძიებანი“, XL	თბილისი, შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა	10 გვ.

		გავშვები“ ISSN 0235-3776			
17	მ.ანდრაზაშვილი	რიჰარდ მეკელაინი და პირველი თაობის ქართული ემიგრაცია ბერლინში ISBN 978-9941-13-923-9, ISSN 1512-1941	„ცივილიზაციური ძიებანი” N 16, 2018. ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. კულტურის მეცნ. ინსტიტუტი, ინტერკულტურული დიალოგის იუნესკოს კათედრა.	თბილისი: თსუ გამომცემლობა: 2020.	გვ. 26–35
18	თ.ჭუმბურიძე	გრიგოლ ფერაძე ქართული საერო ლიტერატურის საკითხებზე ISBN 978-9941-26-647-8	წმინდა გრიგოლ ფერაძის I საერთაშორისო კონფერენცია საქართველო და ქრისტიანული ცივილიზაცია მასალები	თბილისი გამომცემლობა *უნივერსალი*	5 გვ.
19	მ.ჯავახაძე	გრამატიკული დროის სწავლებისათვის რომანულ ენებში ISSN 1987-7323	სამეცნიერო ჟურნალი ენა და კულტურა #24	ქუთაისი 2020	გვ. 168-180
20	მ.ჯავახაძე	გრამატიკული დროის, ასპექტისა და მოდალობის მიმართებისათვის რომანულ ენებში ISSN 1987-7390	Scripta manent #3 (47)	თბილისი 2020	გვ.37-46
21	მ.ჯავახაძე	გრამატიკული დროისა და ასპექტის ურთიერთმიმართებისათვის ISSN 1987-7390	Scripta manent #2 (46)	თბილისი 2020	გვ.45-51.
22	ნანა გუნცაძე	„დაკარგული მარადისობის ძიებაში“ ISSN 1987-7390	საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალი Scripta manent N4	თბილისი 2020	5 გვ.
23	ქ.გაბუნია ც. ახვლედიანი	„სიტყვა „Bravo”-ს ევოლუცია იტალიურ ენაში“	საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალი „Scripta manent” N1 (45)	თბილისი	5

24	ქ.გაბუნია ც. ახვლედიანი	„ფერის სემის შემცველ კონვერსივთა სემანტიკური ტრანსპლანტაცია ფრანგულ ენაში“	საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალი „Scripta manent” N2 (46)	თბილისი	5
25	ქ. გაბუნია ც. ახვლედიანი	„ფაუნონიმები ფრაზეოლოგიურ აფრიკანიზმებში“	საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალი „Scripta manent” N3 (47)	თბილისი	5
26	ქ. გაბუნია ც. ახვლედიანი	„ფრანგული ენის ბელგიური ვარიანტის თავისებურებანი“	საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალი „Scripta manent” N4 (48)	თბილისი	5
27	ს. კემჭოშვილი	Luigi Magarotto: La conquista del Caucaso nella letteratura russa dell'Ottocento. Puškin, Lermontov, Tolstoj.“ ISSN 0235-3776	„ლიტერატურული ძიებანი“, N40	თბილისი, თსუ გამომცემლობის სტამბა, 2019-2020	(276-281 გვ.)
28	მუჯირი სოფიო	„<ch> გრაფემის შემცველი გერმანული საკუთარი და გეოგრაფიული სახელების ქართულად გადმოტანის საკითხი.“	მთარგმნელის დღისადმი მიძღვნილი სამეცნიერო შრომების კრებული ♠1.	თსუ	თბილისი 2020. იბეჭდება.
29	მუჯირი სოფიო	„გერმანული საკუთარი და გეოგრაფიული სახელების	ნ. ბარათაშვილის გარდაცვალებიდან 175 წლისთავისადმი მიძღვნილი	თსუ	თბილისი 2020. იბეჭდება.

		ქართულად გადმოტანის საკითხი“	სამეცნიერო კონფერენცია – „XIX საუკუნე – ეპოქათა მიჯნა,“ 21.12.2020, საკონფერენციო მასალები.		

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1.

ნაშრომი განიხილავს ქართულ ლექსიკურ ერთეულთან *შუბლი* დაკავშირებულ მეტონიმიისა და მეტაფორის შემთხვევებს კოგნიტიური ლინგვისტიკისა (კარძოდ, კონცეპტუალური მეტაფორის თეორიის, განსხეულების ჰიპოთეზის - ბარსელონა 2008, გიბსი 2008, იუ 2001, კოვეჩესი 2008, ლეიკოფი 1993, მარმარიდუ 2011,სტინი 2005) და კულტუროლოგიური კვლევების (ვიეჟბიცკა 1992, სუმბაძე 1999, ჯორბენაძე 1997) თვალსაზრისით. საკვლევი მასალა ეფუძნება, ერთი მხრივ, ავტორიტეტული ლექსიკონებიდან და ქართული ენის კორპუსებიდან მოპოვებულ ნიმუშებს, ხოლო, მეორე მხრივ, ავტორის მიერ წერილობითი და ზეპირმეტყველებითი დისკურსის სხვადასხვა ჟანრიდან შეგროვილ მაგალითებს.ქართული ლექსიკური ერთეულის *შუბლი* კოგნიტიური ლინგვისტიკისა და კულტურული კვლევების თვალსაზრისით ანალიზმა აჩვენა, რომ აღნიშნულ ლექსემასთან დაკავშირებული მეტონიმური და მეტაფორული გამონათქვამები 6 სფეროს მოიცავს: 1.გარეგნობის; 2.ემოციების, ხასიათისა და ფიზიკური მდგომარეობის; 3. ინტელექტისა და გონების; 4.ბედისწერის; 5.სინდისისა და პატიოსნების, 6. სოციალური მიმართების. მოცემულ მეტონიმურ და მეტაფორულ გავრცობებს ბიოლოგიური, სოციალური და კულტურული ფაქტორები განაპირობებს. ჩატარებულმა კვლევამ ცხადყო, რომ *შუბლთან* დაკავშირებული მეტონიმური და მეტაფორული გამონათქვამები ეფუძნებიან შემდეგ ხატოვან-სქემებს:*ნაწილი-მთელი, არაფიზიკური-ფიზიკური, კონტეინერი-შიგთავსი, ძალა, სივრცე.* განხილული მეტონიმური და მეტაფორული კონცეპტუალიზაციებიდან ზოგიერთი ვლინდება სხვა ენებში (ინგლისურში, ბერძნულსა და რუსულში).

„ ჯოისის „ულისეს”ქართული თარგმანი

სტატია მიზნად ისახავს იმ ლინგვისტური და სტილისტური სიძნელეების ანალიზს, რომელიც ჯეიმზ ჯოისის „ულისეს” ქართულ ენაზე თარგმნისას წამოიჭრებოდა მთარგმნელის ნიკო ყიასაშვილის წინაშე. ერთ-ერთი უმთავრესი ამათგან იმ ალუზიების გადმოტანაა, რომელიც „ულისეს” ინტერტექსტუალობას წარმოქმნის. ცნობილია, რომ ჰომეროსის „ოდისეას”გარდა, რომელიც ჯოისის ტექსტში სტრუქტურულ, მაორგანიზებელ როლს ასრულებს, უხვად ვხვდებით სხვადასხვა ლიტერატურულ, მითოლოგიურ და ბიბლიურ ალუზიებს. მათ შორის შექსპირული ალუზიები განსაკუთრებით საყურადღებოა. ამიტომ, ისეთი მრავალშრიანი ტექსტის სათარგმნელად, როგორიცაა „ულისე”, საკმარისი არ არის მხოლოდ ორიგინალის ენისა და სამიზნე ენის ზედმიწვნით ცოდნა, არამედ ტექსტის გარშემო არსებული კვლევებისა და ინგლისური და ირლანდიური (და არა მხოლოდ) ლიტერატურის, კულტურისა და ისტორიის ცოდნა.

როდესაც ნიკო ყიასაშვილმა „ულისეს” თარგმანზე მუშაობა დაიწყო, იგი ინგლისური ლიტერატურის, განსაკუთრებით შექსპირის შემოქმედების აღიარებული მკვლევარი იყო, რამაც უთუოდ დადებითი როლი ითამაშა ლიტერატურული, განსაკუთრებით შექსპირული ალუზიების წარმატებულ გადმოტანაში ქართულ ენაზე. სტატიაში განხილულია რამდენიმე მაგალითი იმის გასაანალიზებლად, თუ როგორ ხდება ამ ალუზიების რეალიზე თრგმანში. უმეტეს შემთხვევაში ნიკო ყიასაშვილი მიმართავს ქართულ ენაზე უკვე არსებულ შექსპირის ტექსტს (უპირატესად ივანე მაჩაბლის თარგმანებს), რომლის ამოცნობა ქართველ მკითხველს არ გაუჭრდება, მათი პოპულარობის წყალობით. იმ შემთხვევაში, თუ თარგმანი აზრობრივად შორდება ორგინალს, ნიკო ყიასაშვილი ამ ფრაზას თავად თარგმნის, ხოლო კომენტარებში ხსნის, რამ გამოიწვია ახალი თარგმანის აუცილებლობა.

მეორე, ყველაზე თვალსაჩინო პრობლემა ჯოისის უჩვეულო პუნქტუაციაა, რომ არაფერი ვთქვათ მოლი ბლუმის ფინალურ მონოლოგზე, რომელიც მთლიანად სასვენი ნიშნების გარეშეა დაწერილი. ცნობილია, რომ ჩვეულებრივ, ქართული ენა გაცილებით უფრო უხვად იყენებს სასვენ ნიშნებს, განსაკუთრებით მძიმეს, ვიდრე ინგლისური. ამიტომ სასვენი ნიშნების სიმცირე ქართულ ტექსტში კიდევ უფრო მეტად ,,ყვირის'', ვიდრე ინგლისურში. თარგმანი მკაფიოდ გამოხატავს მთარგმნელის პოზიციას, დაერღვია ნორმები, რათა შეენარჩუნებინა ჯოისის პუნკტუაციის უჩვეულობა.

,,ულისეს'' ტექსტის ერთერთი მხატვრულ თავისებურებასა და სირთულეს ჯოისის სიტყვათქმნდობა წარმოადგენს. ჯოისი ექსპერიმენტირებას ახდენს სიტყვებით, ორი-სამი სიტყვის ან მათი ნაწილების შეერთებით აწარმოებს ახალ სიტყვებს, შედგენილ არსებით სახელებსა და ფრაზებსავ კი ზმნებად იყენებს და სხვ. (მაგ.: დეწსილკყ, სეაწარდპოინტედ ეარს, გუმჰეავყ სერპენტპლანტს, მილკოოზინგ ფრუიტს, სმილედყაწნედნოდდედ). ამ შემთხვევაში მთარგმნელი ქართული ენის სიტყვათქმნადობის დიდ შესაძლებლობებს მიმართა და საინტერესო შედეგს მიაღწია. სტატიაში განხილული მაგალითები ნათლად ადასტურებს, რომ თარგმანმა შეინარჩუნა ის კრეატიულობა და სიახლე, რაც ჯოისის ტექსტს ახასიათებს ამ თვალსაზრისით.

სტატიაში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ,,ულისეს'' ერთერთი ეპიზოდის თარგმანის ანალიზს. მიუხედავად იმისა, რომ ,,ულისეს'' ყველა ეპიზოდს მთარგმნელისა და მკითხველისათვის თავისი უნიკალური სირთულე აქვს, მე-14 ეპიზოდი - ,,მზის ხარები''- საყოველთაოდ აღიარებულია, როგორც ერთერთი ყველაზე რთული. ამEეპიზოდის სირთულე უპირველეს ყოვლისა იმ სტილურ მრავალფეროვნებაშია, რომლიც ეპიზოდს ახასიათებს. ,,მზის ხარებში'' ჯოისი მიზნად ისახავს ინგლისური სალიტერატურო ენისა და სტილის განვითარების წარმოჩენასა და მის პაროდირებას. ეს ევოლუცია ცხრა ნაწილად დაყოფილ ტექსტშია მოქცეული, რომელიც ადამიანის ნაყოფის განვითარების ცხრა თვეს შეესაბამება. სამშობოარო სახლი, გარემო, რომელშიც ეპიზოდი მიმდინარეობს ასევე ხაზს უსვამს ჯოისის მიზანს წარმოადგინოს ინგლისური ლიტერატურის და ენის ისტორია დაბადებიდან ,,ულსემდე''.

,,მზის ხარების'' აღნიშნული მხატვრული თავისებურებიდან გამომდინარე თარგმანის წარმატება არა მხოლოდ მთარგმნელის ოსტატობასა და ალღოზეა დამოკიდებული, არამედ საკითრივ სამიზნე ენის რესურსებსა და განითარების სტანდარტზე, ანუ, იმაზე, თუ რამდენად შეუძლია ამ ენას თავი გაართვას სტილურ მრავალფეროვნებას, ალიტერაციას, ნახევარტონებს, ალუზიებს, სიტყვებით თამაშს და სხვ. სხვაგვარად რომ ვთქვათ, რამდენად აქვს ამა თუ იმ ენას მდიდარი ლიტერატურის ისტორია, რომელიც სხვადასხვა მიმდინეროებასა და ჟანრს მოიცავს.

ბუნებრივია, რომ ნებისმიერ ენაზე მთარგმნელი იმ დილემის წინაშე აღმოჩნდება, თუ როგორ უნდა მოხდეს და რამდენად შესაძლებელია ინგლისური ლიტერატურული სტილისა და სალიტერატურო ენის ისტორიის გადმოტანა და პაროდირება სხვა ენაზე, მაშინაც კი, როდესაც დედნის ენა და სამიზნე ენა ერთ ენობრივ ოჯახს (ან შტოს) მიეკუთვნებიან და მათი კულტურული ფონიც მსგავსია. კიდევ უფრო რთულდება მთარგმნელის ამოცანა, როდესაც ,,ულისეს'' ეს ეპიზოდი კულტურულად და ენობრივად სრულიად სხვა სამყაროში უნდა გაცოცხლდეს, კერძოდ ქართულში, რომელიც არც ენობრივად მიეკუთვნება ინდო-ევროპული ენების ჯგუფს და ლიტერატურული ტენდენციების და მიმდინარეობების ქრონოლოგიაც საგრძნობლად განსხვავდება დასვლეთ ევროპულისგან. Aამიტომ, ანგლო-საქსური ალიტერაციული პროზის ქართულად გადმოსაცემად იგივე პერიოდის ქართული ტექსტი ვერ გამოდგება, ისევე, როგორც ადისონისა და სტილის პაროდირებას, რომლებმაც ჟურნალისტური სტილი შემოიტანეს ინგლისურში, იმავე საუკუნის ქართული ლიტერატურული ენა ვერ მოერგება. Aამიტომ, ქართულ ენაზე თარგმნისას მთარგმნელმა უნდა ინგლისური ლიტერატურის ამა თუ იმ მონაკვეთის მხატვრული თავისებურება გაიაზროს და მისი ექვივალენტური მხატვრული მოვლენა მოძებნოს ქართული ლიტერატურის ისტორიაში.

Nნიკო ყიასაშვილმა სწორედ ამგვარი მხატვრული ექვივალენტის შექმნა შეძლო. მან ,,მზის ხარების''

ეპიზოდში ქართული ლიტერატურისა და ენის ევოლუციის პაროდირებას მიმართა მე-5 საუკუნის ჰაგიოგრაფიული ტექსტებით დაწყებული მე-20 საუკუნის 20-იანი წლებით დამთავრებული. ჯოისის ტექსტის შესაბამისად მთრგმნელი პაროდირებას მიმართავს როგორც ლექსიკურ, ისე სინტაქსურ დონეზე, იყენებს სიტყვათწარმოებას, სიტყვათქმნადობას და ოსტატურად გადმოაქვს ჯოისის ვირტუოზული სიტყვებით თამაში, რითაც ჯოისის ექსპერიმენტული პროზის მხატვრულ თავისებურებებს ქართულ ენობრივ სამყაროში აქცევს.

,,ულისეს'' თარგმნით, ისევე როგორც ჯოისსა და მოდერნიზმზე გამოქვეყნებული მრავალი ნაშრომით, საჯარო ლექციებითა და ,,ულისეს'' ცალკეული ეპიზოდების საჯარო კითხვით, ნიკო ყიასაშვილმა ქართველ მკითხველს გააცნო და ქართულ ლიტერატურულ სამყაროში შემოიყვანა ახალი ავტორი, რომლის ესთეტიკა დიამეტრალურად განსხვავდებოდა საბჭოთა სინამდვილეში მიღებული და მისაღები ნორმებისა და სტანდარტებისაგან, როგორც აზრობრივად, ასევე, რაც არა ნაკლებ მნიშვნელოვანი იყო, ენობრივი და სტილისტური თვალსაზრისით. ,,ულისეს'' თარგმანმა, არა მხოლოდ ახალი ავტორი გააცნო ქართველ მკითხველს, არამედ ქართული ენის შესაძლებლობებიც ახლებურად წარმოაჩინა, რადგან მთარგმნელს ჯოისის კვალზე მოუწია მრავალი სტილი მოსინჯვა. ,,ულისეს'' მხატვრული ექვივალენტის შესაქმნელადNნიკო ყიასაშვილი არ შეუშინდა ენობრივ ექსპერიმენტირებას და სიტყვათქმნადობას, სალიტერატურო ენაში სლენგის შემოტანას. ამასთანავე ,,ულისეს'' თარგმანი ერთერთი პირველი იყო, რომელმაც ქართულ ენაზე გააცოცხლა შინაგანი მონოლოგისა და ცნობიერების ტექნიკით დაწერილი ნაწარმოები

პროტესტის კონცეპტუალურ სფეროში შემავალი

ფრაზეოლოგიური გამონათქვამები ფრანგულ და ინგლისურ ენებში

ფრანგულ და ინგლისურ ენებში, კონცეპტ "პროტესტის" ყველაზე მეტად რეპრეზენტირებული ლექსემებია ის იდიომატური გამონათქვამები, რომლებიც გამოიყენებიან მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა ენაში სხვადასხვა პროტესტის აღსაწერად; ფრანგული და ინგლისური ენები მდიდარია ისეთი ექსპრესიული გამონათქვამებით, რომლებიც ადვილად ხსნიან ფრანგთა და ინგლისელთა მიერ წარმოდგენილ სამყაროს სურათებს. წინამდებარე სტატიაში განიხილება ის იდიომატური გამონათქვამები, რომლებიც წარმოადგენენ პროტესტის კონცეპტის სფეროს ნაწილს ფრანგულ და ინგლისურ ენებში. წარმოვადგენთ ფრაზეოლოგიურ ერთეულთა ანალიზს, მეტწილად, ფრანგული და ინგლისური ენების ფონეტიკის, გრამატიკისა და ლექსიკის თვალსაზრისით.

საკვლევ იდიომატურ გამონათქვამთა ლექსიკურ-სტილისტური შესწავლის შედეგად, მჟღავნდება მოცემულ კონსტრუქციათა პრეფერენციული გამოყენება სამეტყველო-სასაუბრო სტილში, დისკურსის ემოციური შეფერილობის მიზნითა და პროტესტის კონცეპტური სფეროს სიტუაციის შესაბამისად.

პრაქტიკული მასალის მოძიებისათვის გამოვიყენეთ ფრანგული და ინგლისური სასაუბრო ენის ლექსიკონები, ასევე სტატიები ფრანგული, ინგლისური გაზეთებიდან და ჟურნალებიდან, რომლებშიც ნათლად ჩანს პროტესტის კონცეპტური სფეროს მახასიათებლები.

უნდა აღინიშნოს, რომ პროტესტის კონცეპტუალური სფეროს ლინგვოკულტურული სრულყოფილება ძლიერ მდიდარია ფრანგულ და ინგლისურ ენებში არა მხოლოდ ემოციონალურად შეფერილი და ექსპრესიული ფრაზეოლოგიური ერთეულებით, არამედ ასევე სამყაროს ენობრივი და

კონცეპტუალური სურათის გადმომცემი სხვა საშუალებებითაც. პროტესტის კონცეპტუალური სფერო ფრანგულ და ინგლისურ ენებში ნაკლებადაა შესწავლილი, რაც ქმნის განსაზღვრულ სირთულეებს ფრანგული და ინგლისური ლიტერატურის ქართულად თარგნისას და პირიქით. კოგნიტიურ ლინგვისტიკაში, ამ პრობლემის უფრო დეტალური შესწავლისათვის, აუცილებელია აკუმულირებულ იქნეს ემპირიული მასალის დიდი რაოდენობა, კერძოდ, პოლიტიკური და სოციალური სფეროების შინაარსის მქონე ფრანგული და ინგლისური მედია საშუალებების შესწავლისა და ანალიზის პროცესში.

ციური ახვლედიანი, გიორგი ყუფარაძე

კონცეპტი "გარდაცვალება" ფრანგულ და ინგლისურ პარემიულ კონსტრუქციებში

ნაშრომში განხილულია კონცეპტ "გარდაცვალების" რეპრეზენტაციის თავისებურებანი ფრანგულ და ინგლისურ ანდაზებსა და თქმებში. კვლევის შედეგების მიხედვით, "გარდაცვალება" განიხილება როგორც გარდაუვალი მოვლენა, თითოეული ადამიანის ტრაგიკული ხვედრი. პარემიებში (ანდაზებსა და თქმებში) გარდაცვალების შესახებ შენარჩუნებულია ხალხური, რელიგიური და ცრუმორწმუნე წარმოდგენები, რომლებიც მოითხოვენ განსაკუთრებული ეტიკეტის დაცვას.

კონცეპტები ქმნიან სამყაროს ენობრივ სურათს. ისინი წარმოადგენენ მენტალურ ნაციონალურ-სპეციფიკურ წარმონაქმნებს, რომელთა შინაარსის პლანი არის მოცემული ობიექტის შესახებ ცოდნათა ერთობლიობა, გამოხატვის პლანი კი – ენობრივ საშუალებათა (ლექსიკური, ფრაზეოლოგიური, პარემიოლოგიური და სხვ.) ერთობლიობა. კონცეპტთა რეპრეზენტაციის კვლევისათვის განსაკუთრებულ ინტერესს წარმოადგენენ პარემიოლოგიური ერთეულები (ანდაზები და თქმები), რადგან პარემიებში ნათლად ვლინდება ხალხური მსოფლმხედველობის თავისებურებანი, ხალხური კულტურის ნირი და სპეციფიკა. ჩვენი კვლევის ობიექტს წარმოადგენს კონცეპტი « გარდაცვალება », რაც ხალხთა კულტურის ერთ-ერთ უნივერსალიას წარმოადგენს; კვლევის საგანია კონცეპტ « გარდაცვალების » რეპრეზენტაციის თავისებურებანი ფრანგულ და ინგლისურ პარემიოლოგიურ კონსტრუქციებში.

ციური ახვლედიანი, გიორგი ყუფარაძე
ზოგიერთ ლექსიკურ - სემანტიკურ ცვლილებათა შესახებ
თანამედროვე ფრანგულ და ინგლისურ ენებში

ენობრივ ცვლილებათა ბუნების საკითხი ლინგვისტიკაში ძალზე საინტერესოდ მიიჩნევა. ენა უმალ რეაგირებს ყველა იმ ცვლილებაზე, რაც ხდება იმ საზოგადოებაში, რომლის ცხოვრებაც აისახება ენაში. ამ ბოლო ხანს, ლექსიკურ - სემანტიკური ცვლილებები უფრო და უფრო ხშირად შეინიშნება მრავალ დასავლეთევროპულ ენაში. შეინიშნება უწყვეტი პროცესი სიტყვათა ხმარების ნორმებისა და სტანდარტების დარღვევისა, ასევე ახალ სიტყვათა და გამოთქმათა გაჩენა და ასევე მკვეთრი

ცვლილებები უკვე არსებულ სიტყვათა და გამოთქმათა მნიშვნელობებში. ამ სფეროს ცოდნა აუცილებელია იმ სტუდენტთა ლინგვისტური და ზოგადკულტურული კომპეტენციების ფორმირების პროცესში, რომლებიც პროფესიონალურად შეისწავლიან უცხოურ ენებს.

ენობრივი ცვლილებები ორმაგი ბუნებისაა, რადგან ენა ავლენს თავისი ევოლუციის ორმაგ დამოკიდებულებას - ერთი მხრივ, იმ გარემოზე, რომელშიც ის არსებობს, მეორე მხრივ კი - საკუთარ შინაგან მექანიზმსა და წყობაზე.

მეცნიერთა ნაწილი ცდილობს უარყოს გარეგანი, სოციალური ფაქტორების გავლენა და მიიჩნევს, რომ ლინგვისტურ კვლევათა ჩარჩოებში გარეგანი ფაქტორები არ უნდა ფიგურირებდნენ, რადგან ლინგვისტთა ინტერესის საგანი უნდა იყოს ენობრივ ცვლილებათა შინაგანი მიზეზობრიობა. ლინგვისტიკის სოციოლოგიური მიმართულების ერთ-ერთი სახელგანთქმული წარმომადგენლის ა. მეიეს აზრით, ცვლილებები ენაში უკავშირდება იმ სოციალურ პირობებს, რომელშიც ცხოვრობენ მისი (ამ ენის) მატარებლები, რადგან თვით ენა საზოგადოების წყალობით არსებობს (ა. მეიე, გვ. 179). ლინგვისტ-სოციოლოგთა დიდი რაოდენობა მიიჩნევდა, რომ მრავალი ენობრივი ცვლილების საფუძველს წარმოადგენდა ექსტრალინგვისტური ფაქტორების გავლენა და იმავდროულად აღიარებდნენ შიდაენობრივი ცვლილებების არსებობასაც (ფ. ბოასი, ე, სეპირი და სხვ.). ე. პოლივანოვის აზრით, ეკონომიკური ცვლილებებით განისაზღვრება ხოლმე ენობრივი ცვლილების მიზანი. ეკონომიკური და პოლიტიკური მოვლენები ცვლიან მოცემული ენისა ან დიალექტის მატარებელ კონტინგენტს (ანუ ე. წ. სოციალურ სუბსტრატს), რასაც მოჰყვება კონკრეტული ენობრივი ევოლუცია (ე. პოლივანოვი, გვ.212).

სოციალური ფაქტორები სხვადასხვაგვარად აისახება ენის სხვადასხვა სტრუქტურაში, განსაკუთრებით კი - ლექსიკაში. როგორც რ.ბუდაგოვი აღნიშნავს, ახალი ლექსიკური ერთეულების გაჩენის გარდა, დიდი მნიშვნელობა აქვს მრავალ ძველ სიტყვათა ახალი მნიშვნელობების შეძენას, ახალი სიტყვაშეერთებების ფორმირებას, სასაუბრო და წერით მეტყველებას შორის ცვლილებებს, სალიტერატურო ენის სფეროში სასაუბრო მეტყველების შეჭრას და სხვ. (რ. ბუდაგოვი, გვ. 9). ენის ამ დონეზე, საზოგადოებრივი ცხოვრების მოვლენები აისახება ახალ სიტყვათა და გამონათქვამთა წარმოქმნით, ძველ სიტყვათა და გამონათქვამთა გადააზრებით, ნასესხობებით. ეს რაოდენობრივი ცვლილებები თანდათანობით გროვდება და იწვევს ენის ლექსიკურ - სემანტიკური სისტემის ხარისხობრივ ძვრებს. განვიხილოთ ზოგიერთი მათგანი.

ციური ახვლედიანი, გიორგი ყუფარაძე, ქეთევან გაბუნია
სიტყვათა სინტაქტიკურ-სემანტიკური ევოლუცია თანამედროვე ფრანგულ და ინგლისურ ენებში

ენაში გამუდმებით ჩნდება სიტყვათა ახალი მნიშვნელობები. როგორც ცნობილია, ცნება „დერივაცია“, როგორც სიტყვაწარმოების ერთ-ერთი საშუალება, ვრცელდება ისეთ სფეროშიც, როგორიცაა სემანტიკა; კერძოდ, გამოიყენება მრავალმნიშვნელობიანი სიტყვის ახალ მნიშვნელობათა გაჩენის პროცესის დასახასიათებლად (სემანტიკური დერივაცია). სემანტიკური დერივაციის

პროდუქტიულობა თანამედროვე ლინგვისტთა დიდ ინტერესს იწვევს, რომლებიც მას ხშირად მიიჩნევენ პოლისემიის განვითარების მექანიზმად. სემანტიკური დერივაცია წარმოგვიდგება როგორც ლექსიკური დერივაციის კერძო შემთხვევა. იგი განსხვავდება სიტყვაწარმოებისაგან მხოლოდ იმით, რომ არ მოითხოვს ფორმალურ მაჩვენებლებს.

წინამდებარე სტატიაში, სემანტიკურ დერივაციას განვიხილავთ როგორც ნეოლოგიზმთა წარმოების ერთ-ერთ საშუალებას. სემანტიკური დერივაცია წარმოადგენს ახალი სიტყვების შექმნის საშუალებას, უფრო ზუსტად კი, ნაცნობი სიტყვების ახალი მნიშვნელობების შექმნის საშუალებას, არ მიმართავს რა სიტყვათა ახალი ფორმების შექმნას და არც ნასესხობებს. სემანტიკური ნეოლოგიზმები (ასე იწოდებიან სიტყვები, რომელთაც შეიძინეს ახალი მნიშვნელობები) არაერთგვარად გაიგებიან თანამედროვე ლინგვისტიკაში.

ფრანგი მეცნიერის ლ. ჟილბერის მიხედვით, **სემანტიკური ნეოლოგია** არის მნიშვნელობის ნებისმიერი ცვლილება, რომელიც ხდება ლექსემის აღსანიშნ სამ ასპექტთაგან ერთ-ერთში, აღმნიშვნელის ფორმის ცვლილების გარეშე და გამოჰყოფს სემანტიკური ნეოლოგიის სამ ფორმას: 1. სემათა ჯგუფის ცვლილება, 2. კონვერსია, 3. სემანტიკური ნეოლოგიის სოციოლოგიკური ფორმა.

გამოვყოფთ **ნეოლოგიზმთა სინტაქტიკურ - სემანტიკურ ჯგუფებს,** რომლებიც შეიცავენ:

1. ფუნქციის შეცვლა (კონვერსია და სინტაქსიკურ/ლექსიკური შეწყობა/შეხამება);
2. მნიშვნელობის გადააზრება (მეტაფორა, მეტონიმია და სხვა სტილისტიკური საშუალებები).

მნიშვნელობის გადააზრება - არის წმინდად სემანტიკური დერივაცია, რომელიც ძალზე პროდუქტიულია თანამედროვე ენაში.სემანტიკური დერივაციის ძირითადი სახეობებია: მეტაფორა, მეტონიმია, მნიშვნელობის გაფართოება და შევიწროება. სიტყვათა სემანტიკური ევოლუცია საუკუნეების მანძილზე გრძელდება; ზოგი სიტყვა გამოდის ხმარებიდან, ზოგიერთი კი შედის ენაში ახალი მნიშვნელობით.

ფუნქციის შეცვლა, სახელდობრ, კონვერსია და ლექსიკურ-სინტაქსური შეხამება, განიხილება როგორც ენის სინტაქტიკურ- სემანტიკური ევოლუცია, რადგან აუცილებლად გაითვალისწინება არა მხოლოდ გრამატიკული და სინტაქსური ცვლილებები, არამედ სიტყვათა მნიშვნელობის ცვლაც.

აღსანიშნავია, რომ უმეტეს შემთხვევაში, სასაუბრო ენის ნეოლოგიური კონსტრუქციები გადადის საერთო სალიტერატურო ენაში პრესის, ტელევიზიის, რეკლამის გზით: ისინი ასახავენ მოდის მიმართულებას ენაში.

ამგვარად, ჩვენ შევეცადეთ განგვესაზღვრა იმ ნეოლოგიზმთა სინტაქტიკურ-სემანტიკური ევოლუცია, რომლებიც შევიდნენ ფრანგულ და ინგლისურ ენებში ბოლო ათწლეულებში. ახალი სიტყვები, რომლებიც შეიქმნენ სინტაქტიკურ-სემანტიკური ევოლუციის გზით და დამკვიდრდნენ ამ ენათა ლექსიკურ ფონდში, ვერ პოულობენ სრულ ასახვას თანამედროვე ფრანგულ და ინგლისურ ლექსიკოგრაფიაში.

9

სტატიაში განხილულია ინგლისური და ქართული ფრაზეოლოგიური ერთეულები, რომლებიც მოიცავს სომატურ კომპონენტებს. ასეთი ლექსიკური ერთეულები არის იდიომატური გამონათქვამები, რომლებიც ემყარება ადამიანის სხეულის ნაწილებს, სასუნთქ, საჭმლის მომნელებელ, ნერვულ და ა.შ. სისტემებს. ასეთი ერთეულები მრავლად მოიპოვება ყველა ენაში და არაერთხელ ყოფილა ლინგვისტთა შესწავლის საგანი. მოცემული კვლევის სიახლე იმაშია, რომ სომატური ფრაზეოლოგიური ერთეულები განხილულია მათი ფსიქოლოგიური ზემოქმედების, ადამიანის ცნობიერებაზე, ქვეცნობიერზე და ჯანმრთელობაზე მათი ზეგავლენის კუთხით, რასაც ადასტურებს თანამედროვე ფსიქოლოგია და ნეირომეცნიერება. კვლვამ კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ დადებითი კონოტაციის ფრაზეოლოგიური ერთეულები დადებითად მოქმედებს ადამიანის ცნობიერებასა და, შესაბამისად, ჯანმრთელობაზე, ყუარყოფითი კონოტაციისა კი - პირიქით. სტატიაში განხილულია მრავალროცხოვანი ინგლისური და ქართული იდიომი და მყარი გამონათქვამი, რომლებშიც მოხსენიებულია გული, თავი, ყური, თვალი და ადამიანის სხეულის სხვა ნაწილები.ასეთი

გამონათქვემები ორივე საკვლევ ენაში ძალზე ხშირად გამოიყენება ყოველდღიურ მეტყველებაში, მაგრამ, სტატიაში განხილული სამეცნიერო ექსპერიმენტები და თანამედროვე მეცნიერთა კვლევები ცხადყოფს, რომ უარყოფითი კონოტაციის სომატურ ფრაზეოლოგიზმთა გამოუყენებას უმჯობესია თავი ავარიდოთ და ჩავანცვლოთ ისინი დადებითი კონოტაცის ერთეულებით.

10

სტატიაში განხილულია ინგლისური და ქართული ფრაზეოლოგიური ერთეულები, რომლებიც ემყარება ოთხი ელემენტის - ცეცხლის, ჰაერის მიწისა და წყლის ცნებებს. კვლვამ აჩვენა, რომ საკვლევი ფრაზეოლოგიური ერთეულები გარკვეულწილად უნივერსალურია და ემყარება ოთხი ელემენტის თვისებებსა და სიმბოლიკას. შესაბამისი ინგლისური და ქართული იდიომები სტატიაში დაჯგუფებულია დადებითი და უარყოფითი კონოტაციის საფუძველზე. კვლევის პროცესში ასევე გამოიკვეთა თითოეული ელემენტის სემანტიკური მახასიათებლები, როგორიცაა:

- ცეცხლი – სისწრაფე, შემოქმედებითობა, ბრაზი, რისკი, ხიფათი და სხვა.
- მიწა – რეალობა, სტაბილურობა, სიმარტივე და სხვა.
- წყალი – ძალა, დინება, არამდგრადობა, საშიშროება და სხვა.
- ჰაერი – სუნთქვა, სიმსუბუქე, ილუზია, გაფანტულობა და სხვა.

კვლვამ აჩვენა, რომ ოთხი ელემენტის ცნებაზე დამყარებული ფრაზეოლოგიური ერთეულები კონცეპტუალური მეტაფორებია. ასეთი ერთეულების სიუხვე ორივე საკვლევ ენაში გამოწვეულია როგორც ოთხი ელემენტის სასიცოცხლო აუცილებლობით და ფიზიკური თვისებებით, ასევე მათი სიმბოლური, რელიგიური, მითოლოგიური, ისტორიული და კულტურული მახასიათებლებით.

11

სტატია მიზნად ისახავს გალაკტიონის მაქსიმალურად ადეკვატური ინტერპრეტაციისა და უცხოურ ენაზე თარგმნის გზებსა და მეთოდოლოგიას, რამაც უკვე შესძინა პოეტს ახალი სიცოცხლე საერთაშორისო ასპარეზზე.

12. „შექსპირის იულიუს კეისარი ქართულ სცენაზე“

თანამედროვე ქართველი რეჟისორი რობერტ სტურუა მსოფლიოში აღიარებულია, როგორც შექსპირის პიესების ერთ-ერთი უბადლო ინტერპრეტატორი. ამის დასტურად მისი რამდენიმე შექსპირული დადგმის აღნიშვნაც კმარა: „რიჩარდ მესამე“ (1978), „მეფე ლირი“ (1987), „ჰამლეტი“ (ალან რიკმანის მონაწილეობით, ლონდონი,1992), „მაკბეტი“ (1995), „ჰამლეტი“ (კონსტანტინ რაიკინის მონაწილეობით, მოსკოვი, 1998), „კორიოლანუსი“ (ათენი, 1999), „შაილოკი“ (მოსკოვი, 2000), „შობის მეთორმეტე ღამე ანუ როგორც გენებოთ“ (2001), „ჰამლეტი“ (ზაზა პაპუაშვილის მონაწილეობით, თბილისი,2001), „ქარიშხალი“ (მოსკოვი, 2010) და ა.შ. როდესაც სტურუას შემოქმედებაზე, განსაკუთრებით მის შექსპირულ დადგმებზე ვსაუბრობთ, უნდა გავითვალისწინოთ მრავალათწლოვანი სადადგმო ისტორია. სტურუა შექსპირს დგამდა საბჭოთა დროს („რიჩარდ მესამე“, „მეფე ლირი“), პოსტსაბჭოთა პერიოდში („მაკბეტი“, „მეთორმეტე ღამე“, „ჰამლეტის“ რამდენიმე ვერსია მსოფლიოს რამდენიმე თეატრის სცენაზე) და თანამედროვე რეალობაშიც. „იულიუს კეისარი“ (ფრაგმენტებიერთ მოქმედებად) სწორედ იმ პერიოდს მიეკუთვნება, რომელშიც სტურუა თითქოს აჯამებს მისი შექსპირული დადგმების საბჭოურ თუ პოსტსაბჭოურ ინტერპრეტაციებში წამოჭრილ თემებსა და პრობლემებს, თავის დამოკიდებულებას საბჭოური თუ პოსტსაბჭოური რეალობისადმი. კეისრის დადგმაში იგი მხოლოდ ქართულ რეალობას კი არ იაზრებს, არამედ თანადროულ გლობალურ პოლიტიკურ თუ სოციალურ რეალობაზეცრეფლექსირებს. იგი შექსპირის შემოქმედების გავლით სამყაროს ერთდროულად მაკრო და მიკრო სცენაზე წარმოგვიდგენს.

შექსპირის „იულიუს კეისრის“ სტურუასეული ინტერპრეტაცია პოსტმოდერნისტულ მხატვრულ და იდეურ ჭრილშია გააზრებული. ანალიზის შედეგად წარმოდგენილია თემები და პრობლემები, რომლებიც შექსპირის პიესისა და სტურუას სპექტაკლის მთავარი იდეაა. სპექტაკლში შექსპირის მეტაფორა „მთელი მსოფლიო სცენაა“ გამოხატავს არა მხოლოდ თანამედროვე სინამდვილეს, არამედ – ბიბლიურ, ფიქციურ და თეატრალურ რეალობას, რომელიც ინტერტექსტუალობისა და მეტა-თეატრის მხატვრული ტექნიკითაა წარმოდგენილი. ამის გათვალისწინებით სტატიაში განხილულია რამდენიმე საკითხი:

1. პოლიტიკური ძალაუფლება და პოსტმოდერნიზმი;
2. შექსპირის სტურუასეული რეცეფცია „იულიუს კეისარში“;
3. ქრისტეს პოსტმოდერნისტული გააზრება.

რობერტ სტურუა აზოგადებს იმ პრობლემას, რომ ადამიანის და ზოგადად საზოგადოების ბუნება ანტიკური სამყაროდან მოყოლებული, ბიბლიაში, შექსპირთან და თანამედროვეობაშიც არ შეცვლილა და იგი ყოველთვის რიტუალური მსხვერპლშეწირვით, სამშობლოს, ეკლესიის, სახელმწიფოსა თუ თეატრის გადარჩენის ლოზუნგით განტევების ვაცად ერთ ადამიანს აქცევს.

13. „ჩვენნაირი მანქანები“

სტატიაში „ჩვენნაირი მანქანები“ შესწავლილია თანამედროვე ბრიტანელი მწერლის იან მაკიუენის 2019 წელს გამოცემული რომანი „ჩემმნაირი მანქანები“. სტატია პირობითად ორ ნაწილად იყოფა. პირველ ნაწილში გააზრებული და შესწავლილია ერთი მხრივ, ბიბლიის შესაქმეს კონტექსტში ადამიანის შექმნის, მისი განვითარებისა და ცნობიერების ჩამოყალიბების თავისებურებები, ხოლო მეორე მხრივ თანამედროვე სამყაროში ხელოვნური ინტელექტის შექმნის ისტორია, მისი ფილოსოფიური, რელიგიური, ფსიქოლოგიური თუ ეთიკური ასპექტები. სტატიის მეორე ნაწილი კი განიხილავს იან მაკიუენის რომანის „ჩემმნაირი მანქანები“ კონტექსტში ხელოვნური ინტელექტის მნიშვნელობას თანამედროვე მსოფლიოში, მის ადგილს, შიშებს, განვითარების ფაზებს და ადამიანთან ურთიერთობების სამომავლო პერსპექტივებს.

14

სტატიაში მოცემულია ედგარ პოს ლექსის to Helen რუსული და ქართული (მათ შორის საკუთარი) თარგმანების შეპირისპირებითი ანალიზი, რომელიც იმის გამოვლენას ემსახურება, თუ რამდენად ადეკვატურად არის მათში გადმოტანილი დედანში მოცემული ყველა სახის ინფორმაცია, ასევე ლექსის სტილი, ხატოვანება, რითმული წყობა და მუსიკალობა. კერძოდ, განხილულია ხუთი რუსული (კ. ბალმონტის, ვ. ბრიუსოვის, ბ. ტომაშევსკის, რ. დუბროვკინის, ერთი ანონიმური მთარგმნელის) და ორი ქართული (ლ. გამსახურდიას და საკუთარი) თარგმანი.

ჩემთვის განსაკუთრებით საინტერესო იყო იმის დადგენა, თუ რამდენად სწორად იყო მთარგმნელების მიერ გადმოტანილი დედნისეული ალუზიები, რომლებიც მკითხველისათვის უაღრესად ბევრის მთქმელია და დიდ როლს თამაშობს ნაწარმოების შინაარსის კონოტატიური და ქვეტექსტური შრეების ინტერპრეტაციაში.

საანალიზოდ შევარჩიე მცირე ზომის, მაგრამ ალუზიებით და პოეტური ხატებით მდიდარი ნაწარმოები, რომლის თარგმნაც ფილოლოგიურ კვლევასთან უნდა იყოს დაკავშირებული. თარგმანების შესწავლისას გამოვლინდა, რომ მათი უმეტესობა დედნის ერთგულია, თუმცა შეინიშნება უზუსტობებიც. ამასთან დაკავშირებით, ორ საკითხზე შეიძლება ყურადღების გამახვილება: პირველი არის ის, რომ მთარგმნელი ნაწარმოების მიკროკონტექსტით ვერ შემოიფარგლება და მისი სწორი ინტერპრეტაციისათვის მას აუცილებლად სჭირდება მაკროკონტექსტის, ანუ გარე ტექსტის

მოშველიება, რაც გულისხმობს ფილოლოგიურ კვლევას. ასეთი კვლევა გვეხმარება ტექსტის გავრცობისას ან შეკვეცისას (რასაც ზოგჯერ საჭირო მეტრის, რიტმის, ყველაზე ხშირად კი რითმის, ან ჟღერადობის მისაღწევად მივმართავთ) ისეთი ელემენტების მოძიებაში, რომლებიც დედნის შინაარსს არ დააზიანებს, მეორე მხრივ კი გამორიცხავს დედანში მოცემული ინფორმაციის არასწორად გაგებას და ამით გამოწვეულ უხერხულობებს. მეორე, მეტად მნიშვნელოვანი პრობლემა იმაში მდგომარეობს, რომ ხშირად შინაარსი მსხვერპლად ეწირება რითმას, რაც ყოვლად დაუშვებელად მიმაჩნია.

ჩემი აზრით, პოეტური თარგმანი ისეთი კრიტერიუმებით უნდა ფასდებოდეს, როგორიცაა დედანთან მაქსიმალური სიახლოვე როგორც ფორმის, ისე შინაარსის თვალსაზრისით, მისი ჟღერადობის გადმოცემა, რითმისა და ხატოვანების შენარჩუნება, კონოტაციის, ქვეტექსტის სწორად გადმოტანა, რადგან ეს ყველაფერი დედნის ტოლფასი ნაწარმოების შექმნის საწინდარია.

15.

სტატიაში განხილულია გოეთეს ტრაგედია „ფაუსტის“ ერთ-ერთი მთავარი პერსონაჟის _ ფაუსტის _ მსოფლმხედველობა და განსაზღვრულია მისი მსოფლმხედველობის სპეციფიკა: იგი, ერთი მხრივ, ეფუძნება მისტიციზმსა და ირაციონალიზმს, მეორე მხრივ, განმანათლებლური ტიპის რაციონალიზმსა და ემპირიზმს, კერძოდ, ფაუსტის მსოფლმხედველობაში შეინიშნება სხვადასხვა ირაციონალისტურ-მისტიური თეოსოფიური თუ თეოლოგიური მოძღვრებების შენაკადები _ ნეოპლატონისტური ტიპის პანსოფიზმი, ფსევდო-დიონისე არეოპაგელის აპოფატიკა, ლაიბნიცის მეტაფიზიკა (დეიზმი და მონადოლოგია); მეორე მხრივ, ფაუსტი გვევლინება გერმანელი განმანათლებელი ფილოსოფოსის, ქრისტიან ვოლფის ყაიდის რაციონალისტად და ნიუტონ-ლოკის ტიპის ინგლისური ემპირიზმის წარმომადგენლადაც.

პირველი რაც უნდა ითქვას ფაუსტის მსოფლმხედველობაზე, იგი გვევლინება ერთგვარ „აპოფატიკოს თეოლოგად“. ამ თვალსაზრისით საყურადღებოა მისი შემდეგი სიტყვები, რომელთაც გრეთხენს ეუბნება: „ძვირფასო, განა ვის ძალუძს მისი სახელით რქმევა? [...] მე მისთვის არა მაქვს რაიმე სახელი. სახელი კი ყრუ ბგერა და ბურუსია, რომელიც ჯანღით მოსავს ზეცისა ცეცხლსა” (V. 3432, 3455-3458).

აქ აშკარაა, რომ ფაუსტისათვის ყოვლად მიუღებელია ღვთის პოზიტიური სახელდება, ერთგვარი ნომინალისტობა, მისთვის წარმოუდგენელია, რომ შესაძლოა მოკვდავი, არასრულყოფილი ადამიანის არასრულყოფილმა ენამ სრულყოფილად ასახოს და გადმოსცეს უსასრულო ღვთაებრიობის შეუცნობი არსი. ამიტომ, მისთვის საბოლოოდ მისაღებია აპოფატური თეოლოგიის მიდგომა _ ღვთის უკუთქმითი, „უარყოფითი“ სახელდება, რომ ის გამოუთქმელია, შეუცნობია, ბუნდოვანია, უცხოა და მისთ.

ფაუსტის ეს სიტყვები კი საინტერსოა ნეოპლატონური თვალსაზრისით, კერძოდ, ნეოპლატონიზმის ერთ-ერთი ცენტრალური ცნების, ემანაციის თვალსაზრისით: „ყოვლისმომცველი, ყოვლისმპყრობელი განა ერთიან ამ მოგვიცავს შენ და მე და არ მოიცავს თავისივე თავს?“ (V. 3438-3441). აქ ფაუსტი მიანიშნებს, რომ ემანატორული ღვთაებრივი ძალა, გონი და სული სრულიად განფენილია სამყაროში _ როგორც ხილულ, გრძნობადაღქმად, მატერიალურ, ისე უხილავ, ზეგრძნობად, არამატერიალურ ფენომენებში, რომ ყოველი არსი (პლანეტარული სამყარო, მცენარეული სამყარო, ცხოველთა სამყარო, ადამიანი, არაორგანული ბუნება) განმსჭვალულია ამ ღვთაებრივი სულით. ეს განმსჭვალვა და ყოვლისმომცველობა, ყოველში განზავება კი ნეოპლატონური ღმერთის _ ერთის _ ემანატორული თვისებაა: ერთი ცხადდება, ვლინდება, „იღვრება“ სამყაროულ უსასრულობაში, ვითარცა ძალა და ამგვარად განფენილია სამყაროს ყოველ არსში, დიდსა და მცირედში; შესაბამისად, იგი თავისი ღვთაებრივი ნათლით ყოველის მოიცავს და ყოველს შემოიკრებს.

ფაუსტის „ნეოპლატონიკოსობა“ ასევე ვლინდება იმაშიც, რომ იგი სამყაროულ მიწიერ თუ ზემიწიერ ფენომენებთან კავშირს ამყარებს არა „მშრალ“ სქოლასტიკურ ნომინალიზმსა და ლოგიკაზე, არამედ ცდილობს სამყაროული მოვლენები შეიგრძნოს, ცხოველმყოფელ განიცადოს. ეს კი ერთგვარი ნეოპლატონური შემეცნების ხერხია, კერძოდ, საგანთა და მოვლენათა ექსტატიური შემეცნების

„მისტიური“ მეთოდი: „მე შენს თვალთა ვჭვრეტ უხილავ-ხილულ მარად საიდუმლოს აქვე შენს გვერდით. და განა ეს საიდუმლო შენს თავსა და გულში არ შემოჭრილა და არ მიმოქსოვს ასევ იდუმალ? [...] გრნობაა/განცდაა ყველა“ (V. 3446-3450, 3456). აქ შემთხვევითი არაა, რომ ფაუსტის ექსტატიური შემეცნების მეთოდი ჭვრეტას, განცდას/გრძნობას და გულს ეფუძნება: სწორედ ჭვრეტა და განცდაა ის შინაგანი სულიერი მედიტაციის პროცესი, როდესაც ზეგრძნობადი საგნები ინტუიტიურად, შინაგან შეიმეცნება და შეიგრძნობა მიწიერ ემპირიულ საგნებში, ხოლო გული ის ეთიკური და შემეცნებითი ორგანოა, საიდანაც მოდის სამყაროსადმი უნივერსალური სიყვარული და მისტიური ექსტაზი, ღვთაებრივი „შეშლილობა“, რასაც ფაუსტი „ზეციურ ელვარებას“, „ციურ ცეცხლს“ უწოდებს.

გარდა ნეოპლატონისტური და აპოფატიკური ელემენტებისა, ფაუსტის მსოფლმხედველობა დეისტური პოზიციებითაცაა ნაკვები და ეს ვლინდება ამ ფრაზაში: „ზეცა თავს გვადგას თაღად, მიწა კი ქვემოთ მყარად სუფევს. მარადიული ვარსკვლავები კი საამური გამონათებით ზემოთ ადიან“ (V. 3442-3445). აქ მინიშნებულია, რომ ხილული სამყარო პროდუქტია გონივრული, რაციონალური ღვთაებრივი ჩანაფიქრისა, რომ ის ჰარმონიულად „მუშაობს“ იმ სრულყოფილი ფიზიკურ-მექანიკური კანონების მიხედვით, რომელიც უფალმა ჩადო მასში. ამგვარად, აქ ფაუსტი ავითარებს ლაიბნიცისეულ თვალსაზრისს სამყაროს წინასწარი ჰარმონიული და სტაბულური მოწყობის შესასებ (გერმ. „prästabilierte Harmonie“), რომლის მიხედვითაც, სამყაროში ყველაფერი იმთავითვე გაწონასწორებული, მყარი და აუმღვრეველია. ფაუსტის ეს თეზისი ასევე უთუოდ მოგვაგონებს ლაიბნიცისავე ცნობილ დეისტურ დებულებას, რომ ყველა შესაძლებელთაგან ეს სამყარო ყველაზე სრულყოფილია.

ამგვარად, მსოფლმხედველობრივი თვალსაზრისით ფაუსტი “ნეოპლატონიკოსიც” არის, “აპოფატიკოსიც” და “დეისტიც”. შესაბამისად, მისი მსოფლმხედველობა სინკრეტული სიბრძნიდანაა ამოზრდილი, იგი ერთგვარი “გნოსტიკოსი” ფილოსოფოსია, თეოსოფოსია. ამიტომ, ფაუსტისა და მარგარეტეს/გრეთხენის დიალოგიდან (და არა მხოლოდ ამ დიალოგიდან) წარმოჩნდება არა მხოლოდ ფაუსტის მსოფლმხედველობრივი პოზიციები (მისი თავისებური დეისტობა, ნეოპლატონიკოსობა, აპოფატიკოსობა), არამედ ირკვევა ისიც, რომ ფაუსტი გვევლინება ე. წ. პანსოფისტად, ანუ იმ ყაიდის ფილოსოფოსად, რომელიც სრულად ფლობს ყველა ტიპის თეოსოფიურ და “გნოსტიკურ” ცოდნას მთელზე, ანუ მთელს სამყაროზე.

შეიძლება ითქვას, რომ ფაუსტი თავის მსოფლმხედველობაში ამთლიანებს მთელს დასავლურ ფილოსოფიურ და თეოლოგიურ ტრადიციას: იგი ერთდროულად გვევლინება “პლატონისტად”, “ნეოპლატონისტად”, “აპოფატიკოსად”, “ლაიბნიციანელად”, რაციონალისტ მეტაფიზიკოსად და ემპირიკოსად. ამგვარად, სწორედ მისი ეს სინკრეტული ცოდნა, მისი მთლიანობრივი ცოდნა მთლიან სამყაროზე გადააქცევს მას პანსოფისტად: მისი ცოდნა პანსოფისტურია, რაც ნიშნავს იმას, რომ ის სრულად ფლობს აქამდე არსებულ ყველანაირ არარაციონალისტურ და რაციონალისტურ ცოდნას. ეს ცოდნა „ფაუსტის“ ტექსტში აღინიშნება კრებსითი ტერმინით *მაგია* (“Magie”): ტექსტში მაგია რაღაც ზებუნებრივ ჯადოქრობას და ოკულტიზმს კი არ გულისხმობს, არამედ „ტერმინი“ მაგია ნიშნავს სწორედ პანსოფიზმს, ანუ, უნივერსალურ ფილოსოფიას, ყოვლისმომცველ უმაღლეს სიბრძნეს, ეზოთერიკულ-მისტიკურ-გნოსტიკურ-ნეოპლატონური ტიპის ფილოსოფიას, რომლისთვისაც დამახასიათებელია ინტუიტივიზმი, შემეცნების არარაციონალური ფორმები _ გონების „გათიშვა“, მედიტატიური ვარჯიშები, თვითჩაღრმავება, თვითჭვრეტა, ექსტაზი და ა. შ. შემეცნების რაციონალური ფორმებისაგან განსხვავებით, საბოლოოდ, შემეცნების არარაციონალური ფორმა მიაჩნია ფაუსტს სწორედ იმ ფორმად, რომლის საფუძველზეცაა შესაძლებელი სამყაროს მთლიანობრივი და არა ნაწილობრივი შემეცნება, რაც სწორედ ემპირიულ მეცნიერებათა ნაკლია, ვინაიდან ემპირიული მეცნიერებები სამყაროს მხოლოდ ერთ დეტალს, ერთ პოზიტიურ მხარეს შეიმეცნებენ და უძლურნი არიან შეიმეცნონ სამყარო თავის მთლიანობაში _ შეიმეცნონ უნივერსუმის

როგორც პოზიტიური, ანუ ემპირიულ-ხილული, გრძნობადაღქმადი მხარე, ისე არაემპირიული, არამატერიალური, ზეგრძნობადი, დაფრული მხარე: "და ამიტომაც მე მაგიას მივუძღვენ თავი, რათა სულისა ძალით და პირით, მე განმეცხადოს და მეუწყოს საიდუმლობა; [...] რათა შევიცნო, თუ თავის არსში რა არს სამყარო; შევიცნო ის, თუ რაზედ დაამყნობს ეს სამყარო თავის თავს, განვჭვრიტო მისი ყოველი მოქმედი ძალა და მისი თესლის ყოველი ნიშატი, და აღარა ვდევნო სიტყვები და აღარა მოვებღაუჭო მათ" (V. 377-379, 382-385).

ამგვარად, მაგია ეს არის უნივერსალური მეცნიერება, უნივერსალური სიბრძნე, პანსოფიზმი, რომლის მიზანია სამყაროს საიდუმლო არსის, უნივერსუმის წესწყობილებისა და წესრიგის წვდომა, ბუნების ენერგიების იდუმალი კანონების შეცნობა.

მაგრამ ფაუსტის მსოფლმხედველობრივ წარმოდგენათა და პოზიციათა თავისებურება საბოლოოდ ის არის, რომ იგი უარყოფს სამყაროს შემეცნების როგორც ირაციონალისტურ-მისტიურ, ისე რაციონალისტურ-სქოლასტიკურ გზას, ავითარებს რა ღირებულებათა გადაფასებას და რწმუნდება, რომ შემეცნების ვერცერთი ტრადიციული გაზა ვერ შეამეცნებინებს ამ უსასრულო სამყაროს თავის მთლიანობაში. ამიტომაც, მეფისტოფელთან პაქტისა და სანაძლეოს დასადებად გამზადებული ფაუსტი საბოლოოდ ჩამოყალიბდება სკეპტიკოსად და ნიჰილისტად. თუმცა მისი ეს ნიჰილიზმი და სკეპტიციზმი უმალ პროდუქტიული ნიჰილიზმია, ვინაიდან ძველ მსოფლმხედველობრივ და ეთიკურ ღირებულებათა გადაფასების პროცესი სწორედ ამ შემეცნებით ვითარებაში, ანუ სკეპსისისა და ნიჰილიზმის ვითარებაში იბადება, რომლის საფუძველზე იხსნება სწორედ ახალი, თავისუფალი, დაწმენდილი შემეცნებითი პერსპექტივა საკუთარი ავთენტური მსოფლმხედველობისა და პიროვნული ეთიკის ჩამოსაყალიბებლად. ფაუსტის ცნობილი წყევლა (გერმ. "Fluch") სწორედ ამ ძველ, ყალბ ღირებულებათა გადაფასების პირველი აქტია:

ფაუსტი:

წყეულიმც იყოს ყოველივე, რაც სულს აშფოთებს, აცთუნებს და ხიბლში აგდებს, რაც სულს თვალს უბამს და მომხიბლავი ჯადოძალით ამ ჯოჯოხეთურ დარდის მღვიმეში გამოკეტილი ჰყავს! (პლატონის ცნობილ მღვიმის სიმბოლოზე ალუზია _ კ. ბ.). წყეულიმც იყოს დიადი აზრი, რითაც გონს თავისივე თავი სიშლეგით შეუპყრია (კანტიანური მეტაფიზიკისა და ჰეგელიანური ობიექტური გონის კრიტიკა _ კ. ბ.)! წყეულიმც იყოს ეს მომხიბლავი და მოჩვენებითი მოვლენები, რომლებიც ჩვენს შეგრძნებებს ახელებს და მათში შემოჭრილა! (ემპირიზმის/სენსუალიზმის კრიტიკა _ კ. ბ.). წყეულიმც იყოს ის, რამაც ჩვენ საოცნებოდ გაგვიხადა ამქვეყნიური სახელი და დიდება, რაც ჩვენ ასე გვაცდუნებს და გვხიბლავს! წყეულიმც იყოს ყოველივე, რასაც ადამიანთა მოდგმა ფლობს ვით საკუთრებას: ოჯახი, ცოლი, შვილი, ყმა, სახნავ-სათესი! წყეულიმც იყოს მამონა, რომელიც თვის ოქრო-ვერცხლითა და განძეულით მამაც საქმეთათვის განგვაზრახებს! წყეულიმც იყოს ყურძნის ბალზამის წვენი! წყეულიმც იყოს ტრფობის ყოველი მობერვა! წყეულიმც იყოს ყოველი იმედი და სასოება! წყეულიმც იყოს რწმენა და, უპირველეს, წყეულიმც იყოს მოთმინება და დათმენა" (V. 1587-1605).

ტრაგედიის ფინალში კი ისე მოხდება, რომ ფაუსტის სული იხსნა არა ოფიციალურმა ქრისტიანობამ, ეკლესიაში სიარულმა და კატეხიზმოს ტიპის სახელმძღვანელოში გადმოცემულმა ქრისტიანული დოგმატიკის გაზუთხულმა ცოდნამ, არამედ სწორედ პლატონიზმმა (ეროსის კონცეფცია), ნეოპლატონიზმმა (პლოტინი), ადრეულმა მისტიკურმა ქრისტიანულმა თეოლოგიამ (ორიგენე) და თვით ლაიბნიცის მონადოლოგიამ. სწორედ ფაუსტის ეს პანსოფისტური ცოდნა _ რომელი ცოდნაც მას თან მიჰყვება ტრანსცენდენტურ სამყაროში, და რომელი ცოდნითაც გაჯერებულია ფაუსტის ენტელექიური მონადა, _ შველის მის მარადაქტიურ სულს: მისი უკვდავი სული სიკვდილის შემდგომაც „იყენებს" ამ ცოდნას და მისი წყალობით ფაუსტი შეერთვის მარად-ქალურის წიაღს და მარდიულად ნეტარებს ღვთაებრივ ნათელში.

16.

ნოველაში (დაიწერა 1956 წელს, ხოლო პირველად დაიბეჭდა 1989 წელს "ლიტერატურული საქართველოს" 26 მაისის ნომერში) გურამ რჩეულიშვილმა განზრახ შეარჩია ექსპრესიონისტული სტილი და ეს მხოლოდ ასახვის ობიექტით _ 1956 წლის მარტის თბილისური ანტისაბჭოთა დემონსტრაციებითა და მიტინგებით ან იმ მომენტისათვის ჩვენში უკვე მოდური კინოსტილით _ არ იყო შთაგონებული. ნოველის ექსპრესიონისტული სტილი, როგორც ერთ-ერთი მოდერნისტული სტილი, იმპლიციტურად უპირისპირდება სტალინისტური ტოტალიტარული რეჟიმის იდეოლოგიისა და საბჭოთა სოცრეალისტური ესთეტიკის დიქტატს, ვინაიდან სწორედ მოდერნიზმის ესთეტიკა და მსოფლმხედველობა წამოსწევს წინ პიროვნებას, მის ინდივიდუალიზმს, უკუაგდებს მიმეზისის პრინციპებს, ისწრაფვის ფორმალური ექსპერიმენტებისა და მკვეთრად ინდივიდუალური სტილისაკენ, რითაც მოდერნიზმი იმთავითვე უკუაგდებს საბჭოთა კოლექტივიზმსა და ფიურერიზმს. ამიტომაც იყო, რომ მოდერნისტული ესთეტიკა და მსოფლმხედველობა, როგორც ანტისაბჭოთა გამოვლინება, იმთავითვე უარყვეს საბჭოთა კავშირში, სოცრეალიზმის სახით ბრძოლა გამოუცხადეს მას და საბოლოოდ აკრძალეს 1932 წლის სსრკ-ის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ცნობილი დადგენილებით "ლიტერატურულ-მხატვრული ორგანიზაციების გარდაქმნის შესახებ". იმავე წელს მოწვეულმა ქართველ საბჭოთა მწერალთა კავშირმა მხარი დაუჭირა ამ დადგენილებას. საინტერესოა, რომ გერმანიაში 1933 წელს ხელისუფლებაში მოსულმა ნაცისტებმა ბრძოლა გამოუცხადეს მოდერნისტულ და ავანგარდისტულ ხელოვნებასა და მწერლობას და შემდგომ ოფიციალურად აკრძალეს კიდეც.

ექსპრესიონისტული სტილის შერჩევით გ. რჩეულიშვილმა, ერთი მხირვ, განაცხადა, რომ ქართული მოდერნიზმის (დაახლ. 1915-1932), ქართული მოდერნისტული პროზის პოეტიკის შეწყვეტილ ტრადიციას აგრძელებს, მეორე მხრივ, ხაზი გაუსვა ამ ტრადიციის რეაქტუალიზაციის აუცილებლობას, ვინაიდან სწორედ ეს სტილი შეესატყვისებოდა 50-იან წლებში გამოსული ქართველი ახალგაზრდობის სულიერ მოთხოვნილებებს (ამით გ. რჩეულიშვილი ქართულ პროზაში საფუძველს უყრის ე. წ ახალ სუბიექტურობას); და მესამეც: ეს სტილი მისთვის აღმოჩნდა ყველაზე ეფექტური მეთოდი ტოტალიტარული იდეოლოგიის დეკონსტრუქციისა და ნოველის ტექსტში ანტისტალინური, ანტისაბჭოთა დისკურსის ეფექტური განვითარებისათვის.

გ. რჩეულიშვილის შემოქმედებაში თავისი ანტისტალინური, ანტისაბჭოთა და ანტიკოლონიური დისკურსით მკვეთრად გამოირჩევა ნოველა "სკოლიდან გამოვარდნილი ბავშვები", რომელიც 1956 წლის 9 მარტის ცნობილ ამბებს ეძღვნება და ამ ტრაგიკული მოვლენითაა შთაგონებული. მაგრამ ნოველაში მთავარია არა საკუთრივ საბჭოთა ჯარების მიერ ქართველთა საპროტესტო დემონსტრაციის სისხლიანი დარბევის მხატვრული ასახვა (რაც საკმაოდ შთამბეჭდავადაა მოცემული), არამედ ამ მოვლენის ფონზე საქართველოს და ქართველი ერის ზოგადი ტრაგიკული მდგომარეობის წარმოჩენა, რაც გამოწვეულია ქართველი ერის იმ მომენტისათვის 150 წლიანი კოლონიური მდგომარეობით (თუკი გავითვალისწინებთ ნოველის შექმნის თარიღს _ 1956 წელი). აქვე საჭიროა აღინიშნოს, რომ ნოველა არაა შექმნილი უშუალოდ 9 მარტის მოვლენების ცხელ კვალზე, მძაფრ ემოციურ ფონზე (აქვე აღსანიშნავია, რომ თავად გ. რჩეულიშვილი ამ საპროტესტო დემონსტრაციების მონაწილე იყო), არამედ ამ მოვლენებიდან რამდენიმე თვის შემდეგ, 1956 წლის შემოდგომაზე და ამდენად, რჩეულიშვილის ეს ნოველა არის თბილისში 9 მარტს დემონსტრაციის დარბევით ინსპირირებული არა უშუალო აფექტური ტექსტი-რეაქცია თავად ამ საპროტესტო მოვლენებზე, არამედ ქართველთა კოლონიური ყოფის და საბჭოთა ტოტალიტარული სისტემის ანტიადამიანური ბუნების ცნობიერი გააზრების, წარმოჩენისა და მხილების მხატვრულ-ლიტერატურული ცდა. თუმცა ამ კონკრეტულ ისტორიულ ფონზე, ჩემი აზრით, იკვეთება კიდევ უფრო გლობალური პრობლემატიკაც, სადაც უნდა ამოვიკითხოთ გ. რჩეულიშვილისეული "ანტიისტორიზმი" ან "სკეპტიკური ისტორიზმი": კერძოდ, მის მიერ ნოველაში განცდილი მსოფლიო ისტორიული პროცესის ატელეოლოგიური ბუნება

(ანტიჰეგელიანური ნაკადი) და ნოველაშივე წამოჭრილი ქართველი ერის უპერსპექტივობის საკითხი "ობიექტური გონით" არწარმართული ისტორიული პროცესის ფარგლებში. გ. რჩეულიშვილის "ანტიისტორიზმი", ამავდროულად, ანტისაბჭოთა ბუნებისაცაა, ვინაიდან იგი საფუძველს აცლის ე. წ. დიალექტიკურ მატერიალიზმს ისტორიული პროცესის გაგებაში, რითაც უარყოფილია ისტორიის აღმავალი ხაზით საბოლოო მიზნისაკენ _ კომუნიზმისაკენ _ სვლა.

ამიტომ, სრულიად ლოგიკურად მეჩვენება ავტორის ჟანრობრივი, სტილისტური და ნარატიული არჩევანი: ერთი მხრივ, ნოველის ჟანრი და მკვეთრად გამოხატული ექსპრესიონისტული სტილი (პარატაქსულობა, ფრაზის სიმკვეთრე, სინტაქსის ელიფსურობა, ინტენსივობა და კომპაქტურობა), მეორე მხრივ, ასევე ექსპრესიონისტული ლიტერატურისათვის დამახასიათებელი კადრირებისა და მონტაჟის პრინციპით თხრობის აგება (ე. წ. კინოსტილი), რაც, ვფიქრობ, სრულიად ადეკვატურია არჩეული თემატიკისა და პრობლემატიკის გადმოსაცმად.

ნოველაში, ერთი მხრივ, სრულიად აშკარაა ავტორისეული ანტისტალინური, ანტიკოლონიური და ანტირუსული ინტენცია, მაგრამ, მეორე მხრივ, რაც უმთავრესია, სწორედ ნოველის ფინალის გათვალისწინებით ვლინდება გ. რჩეულიშვილის თავისებური "ანტიისტორიზმიც", ანუ, მისი ღრმად სკეპტიკური და ნიჰილისტური დამოკიდებულება თავად ისტორიული პროცესის ტელეოლოგიურობისა და ამ პროცესის ობიექტური გონის საფუძველზე წარმართულობისადმი: რუსის/საბჭოთა ტანკის მიერ ქართველი ბავშვების/სკოლის მოსწავლეების (შდრ., ბავშვი _ პირველსაწყისის, სიცოცხლის, მომავლის, ღვთიური საწყისის, პარადიზული ყოფის სიმბოლო) და, ზოგადად, ხალხის ჟლეტა (ხალხის, რომელმაც წესით უნდა განავითაროს ისტორიული პროცესის ტელეოლოგიურობა და ისტორიის ფინალში ეზიაროს და განიცადოს ეთიკური ნეტარება სამართლებრივი სახელმწიფოს ფარგლებში, შდრ., შილერის პათეტიკური მოწოდება კაცობრიობისადმი _ "გადაეხვიეთ მილიონებო"/"Seid umschlungen Millionen" _ მისი ცნობილი ლექსიდან "ოდა სიხარულისადმი"/"An die Freude"), სწორედ ის იკონური მარკერებია, რომლითაც აღნიშნულია საკაცობრიო ისტორიის მსვლელობაში, უფრო ზუსტად, ისტორიის წრებრუნვაში (ნიცშე) გლობალური პოლიტიკური ძალაუფლების/ძალადობის/ძალმომრეობის ნების აპრიორული და უსასრულო, მარადგანმეორებადი დომინირება, რისი მეტაფორაცაა რუსული/საბჭოთა ტანკი.

17. რიჰარდ მეკელაინი და პირველი თაობის ქართული ემიგრაცია ბერლინში

წინამდებარე პუბლიკაცია ეძღვნება გერმანელ ენათმეცნიერსა და საზოგადო მოღვაწეს, სამხრეთსლავური, ბალკანური და კავკასიური ენების სპეციალისტს, ბერლინის ფრიდრიჰ-ვილჰელმ-უნივერსიტეტისა და ბერლინის ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორს, დოქტ. რიჰარდ მეკელაინს (ღიცჰარდ Mეცკელეინ; *1880 არწშტაინი/ბავარია – †1948 ბერლინი), რომლის სახელიც საქართველოში გერმანისტული წრეებისთვისაც კი უცნობია, ფართო საზოგადოებაზე რომ არაფერი ვთქვა. დაინტერესება ამ პიროვნებით რამდენიმე ფაქტორმა განაპირობა:

- მეკელაინის ლინგვისტურმა ნაშრომებმა: საკვლევი ენებისადმი მიძღვნილმა ანთოლოგიებმა, ლექსიკონებმა და გრამატიკებმა, რომელთაგან ქართულის გადასახედიდან უპირველესად ყურადღებას იმსახურებს: ქართულ-გერმანული სიტყვარი, ისევე როგორც გერმანული ენის სახელმძღვანელო, ქრესტომატიული დანართითა და ლექსიკონითურთ), საგანგებოდ განკუთვნილი ქართველ შემსწავლელთათვის;
- მეკელაინის პირადმა კონტაქტებმა და პროფესიულმა თანამშრომლობამ მეოცე საუკუნის ოციან წლებში პირველი თაობის ქართული ემიგრაციის წარმომადგენლებთან ბერლინში: ორიენტალისტ პროფ. დოქტ. მიხეილ (მიხაკო) წერეთელთან, ისტორიკოს გრიგოლ დიასამიძესთან, ექიმ იაკობ ხოჭოლავასთან, გამომცემლობა „Nაჰერ Oსტენ"-ის დამფუძნებელ ივანე ვარაზაშვილთან; ასევე მისმა ურთიერთობამ პირველი მსოფლიო ომის მონაწილე ქართველ ტყვეებთან, რომელთაც ის თავისი სახელმძღვანელოს უშუალო ადრესატად მოიაზრებდა;
- მეკელაინის მთარგმნელობითმა საქმიანობამ, რამდენადაც მან კეტე როზენბეგთან ერთად ქართულიდან გერმანულად თარგმნა გრიგოლ რობაქიძის „კავკასიური ნოველები" (1943).

გამოკვლევას საფუძვლად დაედო რიჰარდ მეკელაინის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი მასალები, დაცული გერმანიაში, კერძოდ, ბერლინის ჰუმბოლდტის უნივერსიტეტის, ცელენდორფის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის, ფრანკფურტ-ამ-მაინის გოეთე-უნივერსიტეტთან არსებულ ჰაინრიჰ-

რორბახერ-არქივში და ბონის უნივერსიტეტის წიგნსაცავებსა და არქივებში; მაგრამ ასევე ის შედარებით მოკრძალებული ინფორმაცია, რომელიც შემონახულია ქართულ წყაროებში. შევეცადე, ქრონოლოგიური თანამიმდევრობით აღმედგინა რიჰარდ მეკელაინის ცხოვრების ამსახველი ფაქტები და შეძლებისდაგვარად სრულყოფილად წარმომეჩინა ისინი გერმანულ-ქართულ შეპირისპირებით კონტექსტში.

საგულისხმოა, რომ გარემოებათა გამო, რიჰარდ მეკელაინის მემკვიდრეობა თვით გერმანიაშიც ჯერაც არ არის ბოლომდე შესწავლილი და კატალოგიზირებული. ამდენად გამოკვლევა ეყრდნობა მხოლოდ 2017 წლამდე საცავებში წარმოდგენილ დოკუმენტურ მასალებს. არსებულ მოცემულობათა გათვალისწინებით წინამდებარე ნაშრომი სტრუქტურულად ისე ავაგე, რომ კვლევის ცენტრში მოვაქციე მეკელაინის ბიოგრაფია, მაგრამ ასევე მისი ეპოქის ისტორიული ფონი, რომელმაც განაპირობა მეკელაინის დაინტერესება ქართული ენით და მისცა მას იმპულსები, ეღვაწა გერმანულ-ქართულ კულტურულ ურთიერთობათა სასიკეთოდ.

რამდენიმე საინტერესო ისტორიული დეტალი იკვეთება წიგნისადმი წამძღვარებულ გამომცემლობის ანოტაციასა და თვით ავტორის, ანუ მეკელაინის მიერ ქართულსა და გერმანულ ენებზე შედგენილ წინასიტყვაობებში. გამომცემლობის ანოტაციას ხელს აწერენ გრიგოლ დიასამიძე და იაკობ ხოჭოლავა. მასში პატივით არის მოხსენიებული გამომცემლობის ნამდვილი დამაარსებელი და მეცენატი, მრეწველი ივანე ვარაზაშვილი, რომელსაც თურმე საგანგებოდ ხლებია ქართველ ინტელექტუალ-ემიგრანტთა ერთი ჯგუფი მისთვის ქართულ-გერმანული გამომცემლობის დაარსების იდეის გაზიარების მიზნით. ამ ჯგუფის სიხარულს საზღვარი არ ჰქონია, როცა ბატონი ივანე ვარაზაშვილიც ასევე სიხარულით შეხვედრია მათ იდეას, რადგან თავადაც გულით დიდიხანს უტარებია ოცნება ქართულ-გერმანული გამომცემლობის დაარსების თაობაზე. გამომცემლობის დანიშნულებას ორივე მხარე ხედავდა ქართულ და გერმანულ კულტურულ ურთიერთობათა მოვლა-პატრონობასა და ამ ორი ერის უკეთ ურთიერთგაცნობაში. ანოტაციაში ასევე გულთბილი სტრიქონებია მიძღვნილი რიჰარდ მეკელაინისადმი, რომლის გერმანული ენის სახელმძღვანელოც ამ მიმართულებით პირველი ოფიციალური გაცხადება გამოდგა გამომცემლობა „ნაერ ოსტენ“-ისთვის. გამოთქმულია გამომცემლობის იმედი, რომ ეს ახალგაზრდა ავტორი შემდგომშიც კიდევ ბევრ სასარგებლო საქმეს გააკეთებს საქართველოს კულტურისა და ქართული ენის პოპულარიზაციისთვის.

ზემოხსენებული სახელმძღვანელო საინტერესოა უპირველესად იმ კუთხით, რომ ის ჯერ კიდევ გასული საუკუნის ოციან წლებში არის შედგენილი ესთეტიკურ-შემეცნებითი მოსაზრებით, და არა ყოფითი აუცილებლობის კარნახით. მისი დანიშნულებაა, პირველი მსოფლიო ომის მონაწილე ახალგაზრდა ტყვეებს სამშობლოში დაბრუნების შემდეგაც შეუნარჩუნოს კონტაქტი გერმანულ ენასა და გერმანულ კულტურულ რეალიებთან, რომლებსაც ისინი უცხოეთში ყოფნისას ეზიარნენ. წინასიტყვაობაში მეკელაინი მადლობას მოახსენებს გამომცემელს, ბატონ ივანე ვარაზაშვილს, უპირველსად კი აღმოსავლეთმცოდნე-შუმეროლოგ, პროფ. დოქტ. მიხეილ წერეთლს, რომელმაც მისი წიგნის ქართულენოვან მონაკვეთებს გაუკეთა რედაქტირება და ერთობ საჭირო შენიშვნებიც შეიტანა მასში.

სახელმძღვანელო გერმანიაში სამჯერ გამოიცა – 1922 / 1924 / 1931 –, რაც უდავოდ წიგნზე არსებულ მოთხოვნილებას მოწმობს. მით უფრო დასანანია, რომ დასახელებულ წიგნს საქართველოში არ იცნობენ და ის არც საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ელექტრონულ კატალოგშია რეგისტრირებული. დაშვების დონეზე არ გამოვრიცხავ, რომ წიგნი ცნობილი ყოფილიყო ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელწიფო უნივერსიტეტის ყოფილი პროფესორებისთვის, აწ გარდაცვლილი ბატონების პავლე იაშვილისა (*1894 სომიწო/ონის მაზრა – †1989 თბილისი) და ნიკო ქადაგიძისათვის (*1895 ზემო-ალვანი/ახმეტის მაზრა – †1973 თბილისი), რომელთა საუნივერსიტეტო განათლების მიღების წლები გერმანიაში (1922–1926) ქრონოლოგიურად ემთხვევა მეკელაინის სახელმძღვანელოს გამოცემის თარიღებს.

საარქივო მასალების შესწავლა უსასრულო პროცესია, ამდენად არ გამოვრიცხავ, რომ დრომ მეკელანის ცხოვრებიდან სხვა ახალი, ჯერაც უცნობი ფურცლები ამოატივტივოს, თუნდაც პირველი მსოფლიო ომის მონაწილე კავკასიელ ტყვეებთან კავშირში, რომელთა აუდიოჩანაწერებსაც ამჟამად ვიკვლევ ჰუმბოლდტის ბიბლიოთეკის ბაზაზე არსებულ აუდიოარქივში ბერლინის თანამედროვე აღმოსავლეთის ინსტიტუტის მეცნიერ თანამშრომელ დოქტ. ჰაიკე ლიბაუსთან ერთად და ვფიქრობთ, მოპოვებული შედეგები ახლო მომავალში წარვუდგინოთ ქართულ საზოგადოებას. რაც შეეხება მეკელაინის გერმანული ენის სახლემძღვანელოს, განკუთვნილს ქართველებისთვის, ისევე როგორც

მის მიერ შედგენილ ქართულ-გერმანულ სიტყვარს, ორივე მათგანი უდავოდ იმსახურებს, იქცეს საგანგებო ლინგვოდიდაქტიკური კვლევის ობიექტად.

18.

გრიგოლ ფერაძე, როგორც ცნობილია, ძირითადად საქართველოს ეკლესიისა და სასულიერო მწერლობის საკითხებს იკვლევდა, მაგრამ მისი რამდენიმე ნაშრომი საერო ლიტერატურის პრობლემებსაც შეეხება. ერთ-ერთი ასეთი საკითხია მე-18 საუკუნის ქართველი პოეტის ბესიკის უცნობი ლექსის აღმოჩენა ლუკა ისარლოვის კრებულში ბოდლეს წიგნთსაცავში. ამ ლექსთან დაკავშირებით 1931 წელს ჟურნალ „ჯვარი ვაზისას“ ფურცლებზე გამოქვეყნდა გრ. ფერაძის წერილი, რომელსაც დიდხანს არ მოჰყოლია გამოხმაურება, 1962 წელს ბესიკის სრული კრებულის გამოცემისას კი სარედაქციო კოლეგიამ არ გაიზიარა მისი მოსაზრებები ბესიკის ავტორობის სასარგებლოდ. მიუხედავად ამისა, ლექსის დაწვრილებითი განხილვისას სტრუქტურული, ლექსიკური და გრამატიკული ნიშნების მხრივ თვალსაჩინოა მისი მსგავსება ბესიკის საყოველთაოდ ცნობილ ლექსებთან, რის საფუძველზეც სავსებით სარწმუნოდ მიგვაჩნია გრ. ფერაძის მოსაზრება ლექსის ავტორთან დაკავშირებით.

რამდენიმე წერილი მიუძღვნა გრ. ფერაძემ „ვეფხისტყაოსანს“. იგი ყურადღებას ამახვილებს იმაზე, რომ რუსთაველი საკუთარ ფილოსოფიურ-თეოლოგიურ მსოფლმხედველობას ავითარებს პოემაში. რუსთაველს საკუთარ პრიზმაში აქვს გატარებული ზოგადსაკაცობრიო კულტურის ძირითადი ელემენტები: ქრისტიანობა, მაჰმადიანობა, წარმართობა და ზოროარტრიზმი, მათგან მიღებული იმპულსები კი ახლებურადაა ფორმულირებული. მაგალითებად მოყვანილია რუსთაველის აფორიზმები მრავალი პარალელით სახარებიდან, კლემენტი ალექსანდრიელის, გოეთეს, აქსელ მუნტეს და სხვათა ნაწარმოებებიდან.

განსაკუთრებით საყურადღებოა გრ. ფერაძის წერილი „სულიერი ცხოვრება დღევანდელ საბჭოთა საქართველოში მხატვრული ლიტერატურის სარკეში“, რომელშიც ავტორი ჟურნალ „მნათობის“ ფურცლებზე გამოქვეყნებული მხატვრული ნაწარმოებების საფუძველზე იხილავს ქვეყანაში მიმდინარე ლიტერატურულ პროცესებს და ქართველი ერის სულიერ მდგომარეობას. წერილში მოცემულია არაერთი მწერლის შემოქმედების ანალიზი, გამოთქმულია საგულისხმო შენიშვნები ცალკეულ ნაწარმოებებზე ან მწერლებზე, ლიტერატურულ და სოციალურ პრობლემებზე. ქართული პოეზიის ნიმუშები თვითონ გრიგოლ ფერაძის მიერაა თარგმნილი დიდი სიზუსტით და კარგად ჩანს მისი პოეტური ნიჭი. მისი მოსაზრებები უთუოდ საყურადღებოა, ხოლო მისი წერილები საერო ლიტერატურის საკითხებზე კიდევ ერთი შტრიხით ამდიდრებს ამ მრავალმხრივ საინტერესო მეცნიერისა და მოღვაწის პორტრეტს.

19.

იტალიური ენის შედარებით მაღალ საფეხურებზე (B2 და C1) სწავლებისას, ორიგინალურ ტექსტზე მუშაობის დროს, ვაწყდებით გრამატიკული დროის სისტემის გარკვეულ თავისებურებებს. წინამდებარე სტატიაში ამ კომპლექსური საკითხის მხოლოდ ერთი ნაწილის - წარსული უსრული დროის ზოგიერთ თავისებურებებზე შევჩერდებით.

აღწერის (imperfetto descrittivo), განმეორებადი (imperfetto iterativo) და ნარატიული ან ისტორიული უსრული დრო (imperfetto narrativo) – გამოხატავს რეალურად მომხდარ მოქმედებას. მათგან პირველი ორი ქართულში უწყვეტლის მწკრივით გადმოიცემა. ისტორიული უსრული დრო იტალიურში ძალიან სპეციფიკური დროა და ის ქართულში წყვეტილის მწკრივით გადმოიცემა.

რომანულ ენებში დასტურდება იმპერფექტის არადროული (ე.ი. არაწარსულის) - „მოდალური“ მნიშვნელობებიც; მათ გააჩნიათ საერთო მახასიათებელი - რეალური სამყაროდან სხვა, მთქმელის მიერ შექმნილ ირეალურ სამყაროში გადასვლა. ჩვენ წარმოვადგინეთ იმპერფექტული დროის მოდალური ხმარების შემთხვევები ქართულ ენასთან მიმართებაში. ესენია: ჰიპოქორისტული (ალერსობითი), ონირიკული (სიზმრის) იმპერფექტი და ლუდიკური (თამაშის) იმპერფექტი, რომელშიც უსრულით გადმოცემული მოქმედება ქართულში უწყვეტლის მწკრივით ვერ გადმოვა, ვინაიდან სიტუაციის წარსულში დისტანცირება გამოიყენება იმისათვის, რომ მოხდეს რეალური მოვლენის სინამდვილე/რეალობიდან (actuality/reality) ჰიპოთეზურ, ირეალურ სამყაროში გადატანა. ამ შემთხვევებში, როგორც ქართული თარგამანები გვიჩვენებს, რომანული ენებისაგან განსხვავებით,

ქართულში თამაშის დაგეგმვის ან სიზმრის გადმოცემისას რაიმე განსაკუთრებული გრამატიკული დრო არ გამოიყენება. ქართულში შესაძლებელია ლექსიკურ დონეზე ლექსიკური მარკერის - „ვითომ“ - გამოყენება, რომელიც ყოველთვის არ არის წარმოდგენილი და რომელსაც რეალურიდან ირეალურ სამყაროში გადაჰყავს როგორც მოთამაშე ბავშვები ისე სიზმრის მთხრობელიც.

რაც შეეხება „შემარბილებელ“ იმპერფექტს, „შერბილების“ მნიშვნელობით „ნდომა“ ზმნა ქართულშიც შეიძლება უწყვეტლით გადმოვიდეს, მაგრამ სხვა შემთხვევებში ჩვენ თავაზიანობის გამოხატვის სხვა სტრატეგიებს მივმართავთ.

სალაპარაკო ფორმაში გავრცელებულ ჰიპოთეზურ იმპერფექტთან დაკავშირებით კი აღვნიშნავთ, რომ შეუძლებელია მისი უწყვეტლით გადმოცემა, ის უნდა გადმოიცეს მეორე თურმეობითითა და ხოლმეობითით.

20.

წარსული იმპერფექტული დროის (imperfetto) ტემპორალური მახასიათებელია [+წარსული] და ასპექტუალური მახასითებელია [+იმპერფექტი]. მისი ასპექტუალური მნიშვნელობებია: თანმიმდევრობითობა (progressive), ჰაბიტუალობა (habitual) და გრძლიობითობა (continuous).

იმპერფექტს სხვა - არადროული - მნიშვნელობებიც გააჩნია, ე.წ. „მოდალური“ მნიშვნელობები. სტატიაში განხილულია იმპერფექტული დროის მოდალური ხმარების სამი შემთხვევა, რომელიც ქართულ ენასთან მიმართებაში. ესენია: ჰიპოქორისტული (ალერსობითი) იმპერფექტი, ონორიკული (სიზმრის) იმპერფექტი და ლუდიკური (თამაშის) იმპერფექტი.

არსებობს შეხედულება, რომ სიტუაციის წარსულში დისტანცირება ხშირად გამოიყენება იმისათვის, რომ მოხდეს რეალური მოვლენის სინამდვილე/რეალობიდან (actuality/reality) ჰიპოთეზურ სამყაროში გადატანა (ანუ ამგვარად ვლინდება დროისა და მოდალობის მიმართება).

ფლეიშმანის ტემპორალური დისტანციის მეტაფორის არსი იმაშია, რომ რაც მთქმელის „აქ და ახლასთან“ (ანუ სივრცობრივად და ტემპორალურად) ახლოსაა - ის კონცეპტუალურ/კოგნიტიურადაც რეალურია, რაც მის „აქ და ახლას“ შორდება - ის კონცეპტუალურ/კოგნიტიურადაც დისტანცირდება - არა-ნამდვილი, არა-რეალური ხდება, ამიტომ წარსულში (აქ განხილულ შემთხვევებში) გადადის. წარსულში გადასვლა გამოხატავს დისტანცირებას არა მხოლოდ დროის გრამატიკულ ღერძზე (რეფერენციალურ კომპონენტში), არამედ პრაგმატიკის ღერძზეც . ამის მაგალითია ჰიპოქორისტული (ალერსობითი) იმპერფექტი, რომელიც გულისხმობს ტემპორალურ დისტანცირებას, რომელსაც ფლეიშმანი უწოდებს სოციოლინგვისტურსა (sociolinguistic) და მოდალურ/ევიდენციალურს (modal/evidential). (Fleischman 1989:13)

სხვადასხვა არაცნობიერი მდგომარეობის გადმოცემის დროს (სიზმრების, ჰალუცინაციების) ბევრ ენაში (ესპანური, ფრანგული, იტალიური და სხვ.) გამოყენებულია იმპერფექტი როგორც ძირითადი დრო; ფლეიშმანის აზრით, დისტანცირება - სიტუაციის წარსულ დროში გადატანა - გამოყენებულია მეტაფორულად იმ მოვლენების აღსაწერად, რომლებიც არარეალურ (irrealis) სამყაროში ხდება. ამის მაგალითად მიიჩნევს ავტორი ლუდიკურ (თამაშის სცენარის დაგეგმვის) და ონორიკულ (სიზმრის) იმპერფექტს. ქართული თარგამანები გვიჩვენებს, რომ რომანული ენებისაგან განსხვავებით, ქართულში თამაშის დაგეგმვისას ან სიზმრის გადმოცემისას რაიმე განსაკუთრებული გრამატიკული დრო არ გამოიყენება. ქართულში შესაძლებელია ლექსიკურ დონეზე ლექსიკური მარკერის - „ვითომ“ - გამოყენება, რომელსაც რეალურიდან ირეალურ სამყაროში გადაჰყავს როგორც მოთამაშე ბავშვები (თუმცა ყოველთვის არ არის წარმოდგენილი), ისე სიზმრის მთხრობელიც.

21

სტატიაში განხილულია გრამატიკული დროის რაობა, შედარებულია რაიხენბახისა და კომრის თეორიები გრამატიკული დროის შესახებ. განხილულია ასევე გრამატიკული დროისა და ასპექტის ურთიერთმიმართების საკითხი და ასპექტის მიმართება ზმნის ლექსიკურ მნიშვნელობასთან, რომლის საფუძველზეც კომრი გამოყოფს მომენტალური (პუნცტუალიტყ) დურატული (დურატივე), ასევე ერთჯერად (სემელფაცტივე) და მრავალჯერად (იტერატივე), ტელიკურ და ატელიკურ ზმნებს. კომრის თეორია ასპექტის შესახებ ნათელს ჰფენს იმას, თუ რა არის დრო და რა არის ასპექტი; რა განსხვავებაა იპერფექტულ და პერფექტულ ასპექტებს შორის (იმპერფექტი წარმოდგენილია ჰაბიტუალური და გრძლიობითი ოპოზიციით, გრძლიობითი, თავის მხრივ, პროგრესული და არაპროგრესული ოპოზიციით).

ის, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს ზმნის სემანტიკას ასპექტთან მიმართებაში დავინახეთ იმის მაგალითზე, რომ არსებობს მდგომარეობის (სტატივე) ზმნები, როგორიცაა, მაგალითად, ცოდნა, რომელიც შეუთავსებელია პროგრესივთან (*ის კნოწინგ). სემანტიკური თვალსაზრისით განვიხილეთ: მომენტალური (პუნცტუალიტყ) დურატული (დურატივე), ასევე ერთჯერადი (სემელფაცტივე) და მრავალჯერადი (იტერატივე) ზმნებისა და ტელიკური (ტელიც) და ატელიკური (ატელიც) სიტუაციების რაობა.

22

სტატიაში ვეხები ფრანგული რომანტიზმის ძირითად ასპექტებს, სადაც განსაკუთრებული ადგილი უკავია არა ლიტერატურულ დოქტრინებს, არამედ იმდიდ ინტელექტუალურ წარმოსახვით და ემოციურ თემებს, რომლითაც ისსაზრდოობს.. ქართული რომანტიზმის ყველაზე მნიშვნელოვანი წარმომადგენელი, ნიკოლოზ ბარათაშვილი ფრანგული რომანტიზმის ამ ტენდენციის გამგრძელებელია.

ფრანგი რომანტიკოსის ლამარტინის „პოეტურმა მედიტაციებმა", რასაც მოჰყვა ჰიუგოს და ვინის კრებულები, თავდაყირა დააყენა პოეტის იმიჯი, ახლებურად გამოკვეთა მისი როლი საზოგადოების წინაშე: იყოს გიდი თავისუფლების იდეალისაკენ სვლაში. როგორც ფრანგი რომანტიკოსების ლამარტინის, ჰიუგოს, ასევე ნ. ბარათაშვილის პოეზიასაც ახასიათებს პოეტის "მე"-ს ყველგანმყოფობა. „სული ობოლის ავტორი“, ლაპარაკობს პირველ პირში, უზიარებს მკითხველს თავის ინტიმურ გრძნობებს, ჰყვება თავის სუბიექტურ თავგადასავალს. მისთვის პოეზია იქცა მე-ს გამოხატვის ადგილად. ეს ყველგანმყოფობა ხელს უწყობს ბარათაშვილის პოეზიაში ლირიკული რეგისტრის გაძლიერებას. სიყვარულში განცდილი მარცხის შემდეგ, დროის წარმავალობისგან თავის დახსნის, მარადისობასთან ზიარების საშუალებად ბარათაშვილს ბუნებასთან კავშირით მიღწეული შემოქმედებითი ექსტაზის მომენტი ესახება, რასაც ვხდებით მის ლექსში„ცისა ფერს“.

გასაოცარია, რომ ნ. ბარათაშვილის ამ განცდას მივყავართ პოეტთან, რომელიც ლეგენდამ ხან მოწამედ აქცია, ხან დაცემულ ანგელოზად, ხან იარაღით მოვაჭრედ, ხან ნათელმხილველად; ესაა ა. რემბო, მარად ჭაბუკი პოეტი, ნამდვილი გენიოსი, რომელმაც თავისი ლექსები და პოეტური პროზა 16-დან 22 წლამდე შექმნა. პოეტი რემბო ხომ 22 წლის ასაკში გარდაიცვლება, კომერსანტი რემბო - 37 წლის ასაკში. რითა aris გამოწვეული ასეთი თანხვედრა ამ ორ პოეტს შორის, რომლებიც ერთმანეთისაგან დროსა და სივრცეში ასე დაშორებულნი არიან? უთუოდ მათი სულიერი ბიოგრაფიით, მათ მიერ წაკითხული ლიტერატურით, რაც ზოგადად პოეტის შემოქმედებით წარმოსახვას ასაზრდოებს. როგორც ბოდლერი აღნიშნავდა, ასეთი პარალელიზმები ბუნებაში შესაძლებელია.

23

ჩვენი დიაქრონული ანალიზის საგანს წარმოადგენს იტალიური სიტყვა – ბრავო. კვლევისათვის გამოვყენეთ სხვადასხვა იტალიური ლექსიკონების (ეტიმოლოგიური, განმარტებითი, ენციკლოპედიური) მონაცემები და იტალიელი ლინგვისტის – ჯ. პატოტას მეცნიერულ–პოპულარული ნაშრომი „ბრავო!“ (Patota G. Bravo! – Bologna, 2016).

კვლევისას გამოვლინდა,რომ სიტყვა „ბრავო“ ყოველთვის არ უკავშირდება დადებით შეფასებას, ამ სიტყვის შემცველ მრავალ ფრაზეოლოგიურ გამონათქვამში შენარჩუნებულია მისი კავშირი როგორც გულადობასა,გამბედაობასა და გმირობასთან, ასევე ველურობასთან, თავხედობასა და უტიფრობასთან.

24

კოლორიტული ომპონენტის მქონე ნაწარმოებ სიტყვატა ანალიზი და სტატისტიკურ მონაცემტა გამოთვლა გვიჩვენებს, რომ კოსმეტონიმიური ველის კლორომინთა სიტყვაწარმოების ყველაზე გავრცელებული ხერხია კონვერსია, კერძოდ, არსბით სახელთა ადიექტივაცია.

სიტყვაწარმოების ეს ტიპი დიდად გავრცელებულია ფრანგულ ენაში : le rouge à lèvres fraise, abricot, cerise, lilas, chocolat. არსებული მასალის კომპეტენტური ანალიზი ავლენს სემურ მსგავსებას და კოლორნიმთა განსხვავებებს. ინტერნეტ–რესურსთა ელექტრონული დამუშავების მეთოდმა

საშუალება მოგვცა გამოგვეყო კოლორნიმთა შემდეგი ლექსიკო – სემანტიკური კლასები :
1. კონვერსივები დიფერენციალური სემით – „გეოგრაფიული სახელწოდება“, რომელთა ერთ–ერთი კომპონენტია ტოპონიმი;
2. კონვერსივები დიფერენციალური სემით „ფიტონიმი“;
3. კონვერსივები დიფერენციალური სემით „ზოონიმი“, რომელთაც გააჩნიათ დამახასიათებელი შეფერილობა;
4. კონვერსივები დიფერენციალური სემით „მოღვაწე, ისტორიული პერსონაჟი“
5. კონვერსივები დიფერენციალური სემით „სოციალური სტატუსი“;
6. კონვერსივები დიფერენციალური სემით „საკვებ პროდუქტთა და სასმელთა სახელწოდება“;
7. კონვერსივები დიფერენციალური სემით „ქვათა და მინერალთა სახელწოდება“;
8. კონვერსივები დიფერენციალური სემით „ბუნებრივი მოვლენა“;

25.

წინამდებარე სტატია ეძღვნება აფრიკის ფრანგული ენის იმ ფრაზეოლოგიზმთა სპეციფიკის საკითხებს, რომელთა შემადგენლობაში გვხვდება ცხოველთა სახელწოდებები.

ადამიანის ცნობიერებაში ჩნდება ცხოველთა ხატის შემცველი ისეთი ასოციაციები, რომლებიც შემდგომ იღებენ შესაბამის გამოხატულებას. ზოონიმური ანდაზებისა და თქმების შემადგენლობაში ცხოველთა სახელწოდებების ფუნქციონირების ერთ–ერთი მთავარი მიზეზია ცხოველთა სამყაროსა და ადამიანთა სამყაროს პარალელიზმი.

26.

თანამედროვე ლინგვისტიკა ხშირად მიმართავს ენათა ვარირების საკითხს სხვადასხვა ტერიტორიებზე. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ფრანგული ენის სახესხვაობებს საფრანგეთის საზღვრებს გარეთ. ფრანგული ენის ვარიანტები უნიკალურია თითოეულ შესასწავლ ტერიტორიაზე. წინამდებარე სტატიაში, წარმოდგენილია ფრანგული ენის ბელგიური ვარიანტი ვალონია – ბრიუსელის (ბელგია) ფრანგულენოვან არეალში.

27

რეცენზიაში განხილულია ვენეციის უნივერსიტეტის პროფესორის, ლუიჯი მაგაროტოს მონოგრაფიული ნაშრომი კავკასიის დაპყრობა XIX საუკუნის რუსულ ლიტერატურაში: პუშკინი, ლერმონტოვი, ლევ ტოლსტოი. აღნიშნულია, რომ კავკასიური თემის დამუშავებისას სამივე ხსენებული რუსი მწერალი გარკვეულწილად თანაუგრძნობს კავკასიელ ხალხებს, მაგრამ არსებითად არათუ არ ეწინააღმდეგება, არამედ პირიქით _ მხარს უჭერს რუსეთის იმპერიის ექსპანსიონიზმს. რუსი მკვლევარები კავკასიის დაპყრობის საკითხის საფუძვლიან შესწავლას, როგორც წესი, თავს არიდებენ, რაც იმით აიხსნება, რომ ამგვარი პრობლემეატიკის მიმართ რუსეთის ინტელექტუალთა უდიდესი ნაწილი ტრადიციულად “ნაციონალიზმის დემონის ტყვეობაში იმყოფება” (გვ.12) და შესაბამისად, რუსულ ლიტერატურათმცოდნეობაში არსებითად უცვლელი რჩება ის თვალსაზრისი, რომ რუსი მწერლების მიერ ტერიტორიების დაპყრობის ხოტბა-დიდება დღემდე პატრიოტიზმის გამოვლინებად მიიჩნევა და ეს მიდგომა დისკუსიას არ ექვემდებარება. იტალიელი მეცნიერი საგანგებო ყურადღებას უთმობს იმ ფაქტს, რომ რუსი ისტორიკოსები “ისტორიის გაყალბებას” (გვ. 87) მიმართავენ, როდესაც აცხადებენ, რომ საქართველოს ანექსია მშვიდობიანად და თავად მეფე გიორგი XII-ის თხოვნის საფუძველზე მოხდა. ნაშრომის ავტორი აყალიბებს იმ დებულებას, რომ კავკასიის თემისადმი ყურადღება რუსულ ლიტერატურაში აღმოსავლური თემებისა და მოტივების სპეციფიკურად ათვისების, რომანტიკული ორიენტალიზმის ჩასახვის პროცესს უკავშირდება, რაც

განპირობებული იყო იმ დროის ევროპულ და რუსულ კულტურულ ცნობიერებაში გაბატონები თვალსაზრისით, რომლის თანახმად, კავკასია, მათ შორის _ საქართველო აღმოსავლეთის გეოგრაფიულ და კულტურულ სივრცეში მოიაზრებოდა. რუსულ ლიტერატურაში კავკასიის დაპყრობის ასახვისადმი მიძღვნილ ნაშრომთა შორის ლუიჯი მაგარატოს კიდევ ერთი მნიშვნელოვანი სიახლე ის გარემოებაა, რომ დიდი ყურადღება ეთმობა საქართველოსა და ქართული კულტურის როლს რუსულ ლიტერატურაში კავკასიური თემის დამკვიდრების პროცესში. ლუიჯი მაგარტოს გამოკვლევა მნიშვნელოვანწილად აფართოებს ჩვენს წარმოდგენას XIX საუკუნის რუსულ ლიტერატურაში კავკასიის თემის თავისებურებათა შესახებ. ამასთანავე მისი მრავალმხრივი კომპარატივისტული ასპექტი, რომელშიც დიდი ადგილი უკავია რუსეთის მიერ საქართველოს ანექსიისა და ქართულ-რუსული ლიტერატურული ურთიერთმიმართების საკითხებს, ამ ნაშრომს საყურადღებოს ხდის აგრეთვე ქართველოლოგებისა და კავკასიოლოგებისათვის.

28

სტატიაში გამოკვლეულია გერმანული წარმომავლობის საკუთარ და გეოგრაფიულ სახელებში <ch> გრაფემის ქართულში გადმოტანის საკითხი. <ch> გრაფემით აღნიშნული გერმანული ველარული [x] ბგერა ქართულში გადმოიცემა გლოტალური „ხ“ ბგერით, რაც კამათს არ იწვევს. გერმანული პალატალური [X] ბგერის შესატყვისი ქართულს არა აქვს. ის ქართულში გადატანილია ორმაგი: „ხ“ და „ჰ“ ფორმებით. ამ პარალელური ფორმებიდან უპირატესის ასარჩევად, განხილულია ზემოთ მოყვანილ ბგერათა ნორმატიული ფორმები გერმანულ სალიტერატურო ენაში და მათი ფონეტიკური, ფონოლოგიური და გრაფემული თავისებურებები. აღნიშნულია, რომ გერმანულში <ch> გრაფემით გამოსახული, ველარული [x] და პალატარული [X], ერთი /**x**/ ფონემის კომბინატორული ვარიანტებია, რომლებიც ერთმანეთისაგან განსხვავდებიან მხოლოდ არტიკულაციის ადგილით. სიტყვაში ამ ბგერების ურთიერთჩანაცვლებით, სიტყვის მნიშვნელობა არ იცვლება. ამ ბგერებისაგან სრულიად განსხვავდება გლოტალური ფრიკატივი [h], თავისი არტიკულაციის რაგვარობით, ადგილით და პოზიციით სიტყვაში. გერმანულში [h] ბგერით როგორც ველარული [x], ასევე პალატარული [X] ბგერების ჩანაცვლება, სიტყვის მნიშვნელობის შეცვლას იწვევს. ამიტომ, დაუშვებელია მხოლოდ წარმოთქმის მიმსგავსებაზე დაყრდნობით, [X] ბგერის „ჰ“ ფონემით გადატანა ქართულში. გარდა ამისა, ქართული სპირანტი „ჰ“, უცხოური ენებიდან შემოსულ საკუთარ და გეოგრაფიულ სახელებში, ადვილად იკარგება ხმოვნების წინ და სიტყვის ბოლოს. გამოტანილია დასკვნა, რომ გერმანული პალატალური **[X]** ბგერის გადმოცემა ქართული „ჰაეს“ ფორმით არამართებულია. დღევანდელი ქართული სალიტერატურო ენისათვის უფრო ბუნებრივი და მისაღებია გერმანული ch გრაფემით აღნიშნული ორივე: [x] და [X] ბგერის გადმოტანა მხოლოდ და მხოლოდ „ხ“ გრაფემით.

29

სტატიაში მიმოხილულია გერმანული საკუთარი და გეოგრაფიული სახელების რუსული ენის გზით დამკვიდრება ქართულში, უმთავრესად რუსულში გავრცელებული ფორმებით. უკანასკნელ წლებში ქართულ ენაში შემოსული გერმანული საკუთარი და გეოგრაფიული სახელები უშუალოდ დედნიდან ითარგმნება, რაც იწვევს ახალი ფორმების შემოტანას, რომლებიც ძველ, რუსულიდან შემოსულ ფორმებს უპირისპირდებიან. დადგენილია, რომ პარალელური ფორმები ზოგჯერ წინააღმდეგობაში მოდიან ქართულ ორთოგრაფიულ ლექსიკონებში

წარმოდგენილ ფორმებთან, რომელთა საფუძველზეც უნდა ხდებოდეს უცხოურ სახელთა გადმოქართულება. პარალელური ფორმებიდან უპირატესის ასარჩევად, ანგარიში უნდა გაეწიოს გერმანული ენის წარმოთქმას, სახელთა შემოსვლის გზასა და ისტორიას, მაგრამ ამ აუცილებლად გასათვალისწინებელ ფაქტორებთან ერთად, მნიშვნელოვანია ასევე, თანამედროვე გერმანულ სალიტერატურო ენაში დამკვიდრებული გრაფემებისა და ბგერების ნორმატიული ფორმების განხილვა. ეს საკითხი ეფუძნება გერმანული ენის ფონეტიკურ, ფონოლოგიურ და გრაფემულ სისტემებს და გულისხმობს განსახილველი ბგერების ნათესაობის, არტიკულაციის რაგვარობის, არტიკულაციის ადგილის, სიტყვაში პოზიციის, ბგერითი კონტექსტის, ფონოლოგიური მახასიათებლების და ა.შ. დადგენას. აღნიშნულია, რომ გერმანული საკუთარი და გეოგრაფიული სახელების თარგმნისას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს გერმანული ენის იმ ბგერებს, რომელთაც არა აქვთ შესატყვისი ქართულში. უნდა შეირჩეს ისეთი ფორმები, რომლებიც ბუნებრივი და მისაღები იქნება როგორც გერმანული, ისე ქართული სალიტერატურო ენის ნორმისა და ტრადიციებისათვის.

6. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა უცხოეთში

6.1. მონოგრაფიები/წიგნები

№	ავტორი/ავტორები	მონოგრაფიის/წიგნის სათაური, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1 2				
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)				

6.2. სახელმძღვანელოები

№	ავტორი/ავტორები	სახელმძღვანელოს სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)				

6.3. კრებულები

№	ავტორები	კრებულის სახელ-წოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა

1	მ.რუსიეშვილი, რ.დოლიძე	Chapter seventeen . A contrastive study of metaphoric idioms in English, Georgian, Russian and Turkish. In : Contrastive Phraseology: Languages and Cultures in Comparison (Edited by Paola Cotta Ramusino and Fabio Mollica ISBN (10) 1-5275-4218-1; ISBN (13): 978-1-5275-4218-1	Cambridge Scholars Publishing, 2020. Lady Stephenson Library, Newcastle upon Tyne, NE6 2PA, UK British Library Cataloguing in Publication Data A catalogue record for this book is available from the British Library; Copyright © 2020	10 გვ.
2.	თინა მარგალიტაძე	„ოქსფორდის ინგლისური ენის ლექსიკონის დეფინიციები და ი. მელჩუკის განმარტებით - კომბინატორული ლექსიკონი“. ევროპის ლექსიკოგრაფთა ასოციაციის (EURALEX) https://euralex2020.gr/wp-content/uploads/2020/11/EURALEX2020_ProceedingsBook-p255-261.pdf	მე-19 საერთაშორისო კონგრესის კრებული. დემოკრიტეს სახელობის თრაკეის უნივერსიტეტი, საბერძნეთი, 2020.	10 გვ

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

ნაშრომი ეხება შიდაენობრივი მეტაფორული იდიომების სისტემატიზაციისა და ენათაშორისი ეკვივალენტობის პრობლემებს. კვლევის ემპირიულ მასალად აღებულია სომატური ერთეულები, კერძოდ კი, ნაშრომში აღწერილია სიტყვის “heart” (გული) მეტაფორული და იდიომატური ბმების სურათი და დახასიათებულია ამ ლექსემის შესაძლებლობები საკვლევ ენებში. სტატიაში განხილულია რამდენიმე (ქართული, ინგლისური, რუსული და თურქული) ენის მასალა. რელევანტური იდიომები გამოვლენილი და გაანალიზებულია მ. რუსიეშვილის მიერ შემოთავაზებულ მეტაფორის მოდელზე დაყრდნობით. (რუსიეშვილი 2005). ამ მოდელის მიხედვით, იდიომები, რომლებიც მეტაფორის ყველა დონეზე თანხვდება, განიხილება როგორც სრული შიდაენობრივი და ენათაშორისი ეკვივალენტები, ხოლო იდიომები, რომლებიც თანხვდება მხოლოდ მოდელის შუა დონეზე, მიიჩნევა ნაწილობრივ ეკვივალენტებად. ამგვარი მიდგომა ავტორებს საშუალებას აძლევს შემოგვთავაზონ სომატური იდიომების მსგავსი და განსხვავებული სემანტიკური მოდელები როგორც თითოეულ ენაში, ისე ენათაშორის სიბრტყეზე.

ოქსფორდის ინგლისური ენის ლექსიკონი მრავალი თვალსაზრისით არის ინოვაციური ლექსიკონი. მასზე მუშაობა ლექსიკოგრაფთა გუნდმა დაიწყო მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში. სტატიაში განხილულია ოქსფორდის ლექსიკონის ერთი მნიშვნელოვანი ასპექტი, რაც უკავშირდება მის სემანტიკურ თეორიას. რედაქტორებმა მიზნად დაისახეს არა მხოლოდ დეტალურად აღეწერათ ინგლისური სიტყვების პოლისემია, არამედ ეჩვენებინათ, თუ როგორ ვითარდება სიტყვის პოლისემიური მნიშვნელობები ძირითადი მნიშვნელობიდან ან რომელიმე გადატანითი მნიშვნელობიდან. ამ პრინციპმა ოქსფორდის ლექსიკონის დეფინიციები გადააქცია ინგლისური სიტყვების შესწავლის მნიშვნელოვან წყაროდ და დასაბამი მისცა სიტყვის მნიშვნელობის კვლევის მეთოდს, რომელიც ცნობილია როგორც დეფინიციათა ანალიზის მეთოდი და იგი ფართოდ გამოიყენებოდა სემანტიკური კვლევებისათვის საბჭოთა ენათმეცნიერებაში.

სტატიაში სიტყვის მნიშვნელობის აღწერის ეს პრინციპი შედარებულია იგორ მელჩუკის განმარტებით-კომბინატორული ლექსიკონის ზოგიერთ პრინციპთან და გავლებულია პარალელი მათ შორის. ი. მელჩუკი ცნობილი კანადელი ლექსიკოგრაფია, რომელიც ემიგრაციაში წავიდა რუსეთიდან 80-იან წლებში და

მისთვის კარგად იყო ცნობილი ოქსფორდის ლექსიკონის სემანტიკური თეორია. მელჩუკის თეორია დღეს ძალიან პოპულარულია დასავლეთ ევროპაში, ამ თეორიის მიხედვით იქმნება ევროპული ენების ლექსიკონები და მისასალმებელია, რომ მან შეძლო თანამედროვე ლექსიკოგრაფიაში დაებრუნებინა ჯეიმზ მარისა და ოქსფორდის ლექსიკონის სხვა რედაქტორების მიდგომები სიტყვის მნიშვნელობის აღწერისადმი.

6.4. სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI ან ISSN	ჟურნალის/ კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	Ewa Piechurska-Kuciel and Manana Rusieshvili	Us and them: intercultural sensitivity of Polish and Georgian adolescent multilinguals.;)	International Journal of Multilingualism, (Received 12 Dec 2019, Accepted 01 Sep 2020, Published online: 17 Sep 2020 https://www.tandfonline.com/doi/full/10.1080/14790718.2020.1820013	UK, Routledge, H index 31; 2019 Impact Factor (1.981)	
2	დ. თვალთვაძე, **ი. გველესიანი**	ენის, როგორც არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის, დაცვისა და გადაცემის საგანმანათლებლო პოლიტიკა http://dx.doi.org/10.17770/sie2020vol5.4806	„საზოგადოება, ინტეგრაცია, განათლება“, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები.	ლატვია, Rēzeknes Tehnoloģiju akadēmija	9
3	**ი. გველესიანი** ე. მუმლაძე	მიგრაცია და ინგლისური სპეციალური მიზნებისთვის	“ენების სწავლების ინტერკულტურული კომუნიკაციის სტრატეგიები თანამედროვე უნივერსიტეტში”,საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები.	უკრაინა, КНЕУ	4
4	**ი. გველესიანი**	კანადური ორმაგი სამართალი და ლინგვისტური შეუთავსებლობა (პრობლემები და გადაწყვეტები)	კრებული „თანამედროვე მიდგომები იურიდიული ლინგვისტიკისადმი“, გამომცემლობა LIT	ავსტრია	გადაცემულია დასაბეჭდად.
5	**ი. გველესიანი**	საკუთრების მინდობის რომაული წარმოშობა (იურიდიულ– ენობრივი თავისებურებები)	Trust&Trustee		გადაცემულია დასაბეჭდად.
6.	მ. ანდრაზაშვილი	Diminutiva in kontrastiven Sprachvergleich *Deutsch-Georgisch.* დიმინუცია – გერმანულ-ქართული	სტატია კონფერენციის კრებულში: 24.09.–27.09.2018. LingColl 53 – Linguistics Colloquium: Linguistic	გადაცემულია დასაბეჭდად *პეტერ ლანგის* გამომცემლობაში 2019 წ.	18

7	მ. ანდრაზაშვილი	შეპირისპირებითი ანალიზი Namen der Bundesländer: lieber interlinguale Allonyme aus Treue zur Tradition oder Wende zu Endonymen? ბუნდესლანდების სახელები: ენდონიმები თუ ტრადიციული ალონიმები?	Variation and Diversity. content/uploads/lingcoll53_bookofabstracts1609.pdf SDU – University of Southern Denmark. Odense. სტატია კრებულში: Namenforschung im Spannungsfeld von Wissenschaft und Öffentlichkeit. Adalbert-Sifter-Institut des Landes OÖ. Literaturhaus im StifterHaus. Linz, Österreich.	დეკემბერში. პანდემიასთან დაკავშირებულ ლივითარების გამო გადაიდო კრებულის გამოცემა გადაცემულია დასაბეჭდად დე გროიტერის გამომცემლობაში 2019 წელს. პანდემიასთან დაკავშირებულ ლივითარების გამო გადაიდო კრებულის გამოცემა.	21 გვერდი
8.	N.Kapanadze, R.Dolidze	Fachphraseologismen und Kollokationen in den Übereinkommen über Bioethik des Europäischen Rates und der UNO (Am Beispiel des Englischen, Deutschen und Georgischen) ISBN (10): 1-5275-4218-1	Volume Contrastive Phraseology: Languages and Cultures in Comparison. Ed.: Paola Cotta Ramusino / Mollica, Fabio (2020)	Cambridge: Cambridge Scholars.	pp. 565-584
9.	თინა მარგალიტაძე	„ენა და კულტურის ეკოლოგია“. https://www.degruyter.com/view/journals/lexi/36/1/article-p225.xml	*Lexicographica* (International annual for lexicography), № 36.	გამომცემლობა: De Gruyter, 2020.	16 გვერდი
10	Муджири С.А., Капанадзе И.Б.	„Трилингвизм в контексте подготовки профессиональных кадров (в свете контрастивной фонетики)“ ISBN 978-616-488-091-7	Материалы Международной научно-практической конференции (13-15.03.2020) Русский язык в странах Азиатско-Тихоокеанского региона: традиции, тенденции и перспективы изучения и преподавания	Изд-во Университета Таммасат, Бангкок – 2020.	стр. 106-111

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1.

ნაშრომის მიზანია კულტურათშორისი მგრძნობელობის (intercultural sensitivity (IS) დონის შედარება ორი პოსტკომუნისტური ქვეყნის, პოლონეთისა (*N*=293) და საქართველოს (*N*=240) მულტილინგვური მოზარდებთან (17-18 წლის) ჩატარებული კვლევის მაგალითზე. სტატიაში გამოყენებულია როგორც თვისობრივი, ისე რაოდენობრივი ანალიზის კვლევის მეთოდი. მასალა გაანალიზებულია ჩენისა და სტაროსტას შკალაზე დაყრდნობით, ხოლო კვლევის თვისობრივი ნაწილი ეფუძნება ერთი კულტურის წარმომადგენლის სხვა კულტურასთან ურთიერთობის ხარისხის გამოვლენის თავისებურებები

შესწავლას. კვლევამ გვაჩვენა, რომ პოლონელი თინეიჯერები კულტურათასორისი მგრძნობელობის გაცილებით დაბალ დონეს ამჟღავნებენ ქართველ თანატოლებთან შედარებით მიუხედავად იმისა, რომ მათ უცხო ენაზე სხვა კულტურებთან კონტაქტის უფრო დიდი გამოცდილება ჰქონდათ. მეორე მხრივ, როგორც სტატისტიკურად, ასევე თვისობრივი თვალსაზრისით, ქართველმა მულტილინგვალებმა, პოლონელებთან შედარებით, გამოავლინეა კულტურათაშორისი მგრძნობელობის მაღალი დადებითი ხარისხი. ორივე ჯგუფში თვალსაჩინო იყო მეორე ენის - ინგლისურის (L2 (English), როგორც კულტურათშორისი მგრძნობელობის გაზომვის „იარაღის“ როლი. სტატიის შედეგები დაკავშირებულია კვლევის მონაწილე ორივე ქვეყნის (პოლონეთისა და საქართველოს) წარსულ და თანამედროვე პოლიტიკურ და ენობრივ სიტუაციასთან.

ენის, როგორც არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის, დაცვისა და გადაცემის საგანმანათლებლო პოლიტიკა

დღესდღეობით, გლობალური პროცესებით გამოწვეული ინტეგრაციის კვალდაკვალ, უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ეთნიკური უმცირესობების უფლებების, ენებისა და რელიგიური კუთვნილების დაცვას. წინამდებარე ნაშრომში განხილულია მთავრობის პოლიტიკა და ის საგანმანათლებლო პროექტები თუ პროგრამები, რომლებიც ემსახურება ეთნიკური უმცირესობების ინტეგრაციას ქართულ საზოგადოებაში. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ზოგადი და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ გატარებულ რეფორმებს, არაქართულენოვანი მოზარდებისათვის სახელმწიფო ენის სწავლებას, ახალი საბაკალავრო თუ სამაგისტრო პროგრამების შემუშავება-დანერგვასა და სხვა. კვლევის მეთოდოლოგია მოიცავს მიმდინარე პროცესებზე დაკვირვებას, ანალიზსა და შეფასებას.

მიგრაცია და ინგლისური სპეციალური მიზნებისთვის

დღესდღეობით, გლობალური პროცესების კვალდაკვალ, იზრდება მიგრანტთა და ლტოლვილთა რიცხვი. შესაბამისად, განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ინგლისური ენის, როგორც ძირითადი საკომუნიკაციო ენის, სწავლების ახალი მეთოდების შემუშავებას. წინამდებარე ნაშრომში განხილულია ინგლისური სპეციალური მიზნებისთვის და სწავლების ისეთი მეთოდები, როგორიც არის თარგმნა და ენათა მონაცვლეობა (code switching). განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა მრავალეთნიკურ ჯგუფებთან მუშაობის პრინციპებს.

კანადური ორმაგი სამართალი და ლინგვისტური შეუთავსებლობა

(პრობლემები და გადაწყვეტები)

დღესდღეობით, კანადა უნიკალური ქვეყანაა, რომელიც წარმოგვიდგენს ორი განსხვავებული იურიდიული ტრადიციის ერთიანობას. ერთი მხრივ, ასეთი თანაარსებობა ასახავს ქვეყნის ისტორიულ განვითარებას, ხოლო, მეორე მხრივ, კვებეკის სამოქალაქო სამართლის მიღება დღის წესრიგში აყენებს იურიდიული ტერმინოლოგიის მოწესრიგების საკითხს.

წინამდებარე ნაშრომი მიზნად ისახავს კვებეკის იურიდიული რეალობის ანალიზსა და იმ შეუთავსებლობის განხილვას, რომელიც არსებობს იურიდიული ლინგვისტიკის სფეროში. ემპირიული მასალის შესწავლა-მოწესრიგების პროცესში გამოყენებულია ვენის ტერმინოლოგიური სკოლის მიერ შემუშავებული ონომასიოლოგიური მიდგომა. აღნიშნული მიდგომის საფუძველზე შეთავაზებულია ფიდუციურ ურთიერთობებთან დაკავშირებული ზოგიერთი ცნების ხელახალი სახელდება, რაც ხელს შეუწყობს თარგმანის პროცესის სრულფასოვან წარმართვას.

5. საკუთრების მინდობის რომაული წარმოშობა

(იურიდიულ-ენობრივი თავისებურებები)

საკუთრების მინდობა ანგლო-ამერიკული სამართლებრივი სისტემის უნიკალური ინსტიტუტია, რომელიც, მეცნიერთა დიდი ნაწილის აზრით, წარმოიშვა მე–13–14 საუკუნეების საერთო სამართალში. საკუთრების მინდობის წინამორბედად ბრიტანული სამართლის ერთ-ერთი ინსტიტუტი - „use" - არის მიჩვეული. თუმცა, ზუსტი მონაცემები ჯერჯერობით უცნობია. სტატიაში განხილულია საკუთრების მინდობის წარმოშობის საკითხი. კვლევა ეფუძნება ენობრივ და სამართლებრივ თავისებურებათა შედარებით ანალიზს.

6. დიმინუცია – გერმანულ-ქართული შეპირისპირებითი ანალიზი

მოხსენება, წაკითხული დანიაში *ყოველწლიური ლინგვისტური კოლოკვიუმის* რიგით 53-ე შეკრებაზე, შესრულებულია ინტერნაციონალური დისპუტის/დებატის დისკურსის სტილში და ის უპირისპირდებოდა 2015 წელს იენის საერთაშორისო კონფერენციაზე ბერნის უნივერსიტეტის წარმომადგენელთა მიერ დიმინუციის ფენომენთან მიმართებაში კონტრასტული ლინგვისტიკის პოზიციიდან გამოთქმულ მოსაზრებას: http://www.gip.uni-jena.de/wp-content/uploads/2016/10/GIP-Tagung_Programm-07.10.2016.pdf

ა) დიმინუციის იზომორფულობის თაობაზე ქართულსა და გერმანულში; ბ) დიალექტალურად ან სოციოლექტალურად შეფერილი ფორმების გამოცხადების საურთიერთო ქართულისთვის დამახასიათებლად;

გ) სამეტყველო/საურთიერთო ქართულის მზარდ სწრფვას, დიმინუტიური ფორმების დანერგვის თვალსაზრისით.

წამოყენებულ მოსაზრებებს მოხსენებაში ვუპირისპირებ საწინააღმდეგოს ემპირიულ მასალაზე დაყრდნობით. ამ მიზნით დიმინუციის ფენომენს განვიხილავ სამ ჭრილში: ენის სიტემის დონეზე, ორიგინალური ტექსტის დონეზე და მხატვრულ თარგმანთან მიმართებაში. გამოკვლევას სრულყოფს ემპირიული მასალის სოციოლინგვისტური ანალიზი, დაფუძნებული საგანგებოდ შედგენილი კითხვარის მიხედვით ჩატარებული სოციალური გამოკითხვის შედეგების შეჯამებაზე.

7. ბუნდესლანდების სახელები: ენდონიმები თუ ტრადიციული ალონიმები?

მოხსენება, წაკითხული ლინცში გამართულ გერმანია-ავსტრიის ერთობლივ ტოპონომასტიკის საერთაშორისო სიმპოზიუმზე, ეძღვნება გერმანიის ბუნდესლანდების სახელთა ქართული ეკვივალენტების მორგებას ჩემ მიერ რამდენიმე წლის წინ შემუშავებული სახლთტრანსფერის სამსაფეხურიან მოდელზე (იხ. წინა წლების ანგარიშები).

მასში წამოყენებულია არგუმენტები, რომლებიც განმარტავს, თუ რატომ არის სასურველი

ტრადიციული ალონიმები ჩანაცვლდეს ენდონიმებით, რათა ლინგვისტური კორექტულობის შენარჩუნების პარალელურად შესაძლებელი გახდეს საკუთარ სახელთა სწორი იდენტიფიკაცია. ნათქვამი საგანგებოდ ეხება ისეთ სახელებს, რომელთა ფუძეც რამდენიმე ტოპონიმში მეორდება, მაგრამ ურთიერთგანსხვავებულ მორფოსინტაქსურ გარემოცვაში (მაგ.: Sachsen / Niedersachsen / Nordsachsen / Mittelsachen / Sachsen-Anhalt; Franken / Mittelfranken / Unterfranken / Oberfranken).

8.

სტატია ეხება ფრაზეოლოგიზმებისა და კოლოკაციების კვლევის შედეგებს, ჩატარებულს ევროსაბჭოსა და გაეროს ბიოეთიკის დარგის კონვენციების ინგლისური, გერმანული და ქართული პარალელური ტექსტების კორპუსზე დაფუძნებული მეთოდით. კვლევაში გამოყენებულია ბურგერის (Burger, 2007), ლიუგერის (Lüger, 2007) კიუტცის (Kühtz, 2007) და კიერის (Kjaer, 2007) თეორიული მიდგომები ფრაზეოლოგიზმებისადმი.

გაანალიზებული მასალის საფუძველზე დადგინდა თითქმის მსაგვსი ტენდენციები სამივე ენაში, მიუხედვად ქართული ენის ტიპოლოგიური განსხვავებულობისა დანარჩენი ორისგან, თუმცა ბუნებრივია გამოიკვეთა განსხვავებები. ერთმნიშვნელოვნად დომინირებენ ნომინატიური ფრაზეოლოგიზები (ბურგერის ტერმინოლოგიით), მათ მოსდევს ვერბალური და ადვერბიალური ფრაზოლოგიზმები, შეესატყვისებიან რა გერმანულ ადვერბიალურ ფრაზეოლოგიზმებს მსგავსი ფორმების პარალელურად ასევე გერუნდივები და სინტაქსური კონსტრუქციები. მორფო-სტრუქტურული და სინტაქსური განსხვავებებია გამოკვეთილი ქართულ ადვერბიალურ ფრაზეოლოგზმებში. დაბალი აღმოჩნდა ადიექტივური ფრაზეოლოგიზმების რაოდენობა. ამასთან, გერმანული წარმოების ნიმუში Adjektiv+Partizip ინგლისურსა და ქართულში სემანტიკური შესატყვისობებით არის წარმოდგენილი.

ამ ექსპერიმენტის შედეგია სამენოვანი ფრაზიკონო საერთაშორისო სამართლისა და ბიოეთიკის დარგში. სტატიაში ასევე ნაჩვენებია ექსპერიმენტის ფარგლებში დაწყებული ამ ტექსტის სახეობებისთვის დამახასიათებელი ფორმულირების ნიმუშების და ხშირად გამეორებადი დარგობრივი ფრაზეოლოგიზმების მორფოლოგიური და სინტაქსური ანოტირების, შემდგომში კი ხეების ბანკის აგების მნიშვნელობა, რომლებიც სასარგებლო რესურსებს ქმნიან ლინგვისტური კველევიბისთვის. უდავოა მათი მნიშვნელობა თარგმანის სწავლების, სინტაქსური მოვლენების კორპუსლინგვისტური კვლევების, კომპიუტერული ლინგვისტიკის სფეროებში, განსაკუთრებით ბუნებრივი ენის ტექნოლოგიების სისტემებისთვის საევალუაციო კორუსების სახით.

10

სტატიაში განხილულია მულტილინგვალური საწარმოთქმო კომპეტენციის თავისებურებები (სეგმენტურ დონეზე) თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტის ქართულენოვან სტუდენტთა წარმოთქმის შესწავლის ბაზაზე, რომლებმაც მიაღწიეს ენობრივი კომპეტენციის გარკვეულ დონეს გერმანულ და რუსულ ენებში. ამასთან, გერმანული მათთვის წარმოადგენს პირველ უცხო ენას, ხოლო რუსული - მეორე უცხო ენას. მომავალ ჟურნალისტთა საწარმოთქმო შეცდომების პრევენციის მიზნით, ნაშრომში განხილულია ასევე რუსულ - და გერმანულენოვან ჟურნალისტთა (ტელე - და რადიოწამყვანთა) ის ტიპური საწარმოთქმო შეცდომები, რომლებიც განსაკუთრებით ხშირად გვხვდება ჟურნალისტურ პროფესიებში, მოყვანილია მაგალითები. გარდა საწარმოთქმო შეცდომებისა დადგენილია ჟურნალისტთა მიერ დაშვებული სხვა სახის შეცდომებიც, რომლებიც უმთავრესად გამოწვეულია აზრის დისკორდინაციის, მეტყველების

ჩქარი ტემპის, არასწორი ფონაციის, მღელვარების და ა. შ. შედეგად, რაც აბოლოო ჯამში განსაზღვრავს ტელე - და რადიოწამყვანთა ხმის ჟღერადობის ხარისხსა და მოდულაციას ეთერში.

7. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

7.1. საქართველოში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	მ. რისიეშვილი რ.დოლიძე	სემიოტიკა და უცხო ენის სწავლების თეორია.	წმ. ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი სამეცნ. კონფერენცია ინგლისური ფილოლოგიის აქტუალური პრობლემები.
2	მ.რუსიეშვილი, რ.დოლიძე	უცხო ენაზე ზეპირი კომუნიკაციის პრობლემები: ქართული კონტექსტი კომუნიკაციის პრობლემები: ქართული კონტექსტი	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახ. უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის XIV საფაკულტეტო სამეცნიერო კონფერენცია მიძღვნილი აკადემიკოს ოთარ ლორთქიფანიძის დაბადებიდან 90 წლისთავისადმი,
3	მანანა გელაშვილი	,,ჰამლეტი'', როგორც ჯოისის ინტერტექსტი.	ი. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახ. უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის XIV საფაკულტეტო სამეცნიერო კონფერენცია მიძღვნილი აკადემიკოს ოთარ ლორთქიფანიძის დაბადებიდან 90 წლისთავისადმი,თსუ. 2-3 ივლისი,
4	მ. კობეშავიძე ს. ფეიქრიშვილი ლ. ჯანაშვილი ქ. ხუსკივაძე	ესპანური ტოპონიმების, ანთროპონიმებისა და დარგობრივი ტერმინების (ლინგვისტურ-ლიტერატურულ, სამართლებრივ და საჯარო ადმინისტრაციის სფეროში) დაზუსტება და ქართულ ენაში მათი გამოყენების ნორმების შემუშავება.	თბილისი, დასკვნითი კონფერენცია, https://www.tsu.ge/ge/faculties/law/news/ 16.06.2020 - ზუმ პლატფომა 16:00 სთ
5	თამარ გელაშვილი	ჰამლეტის მარადიული კითხვის „ყოფნა-არყოფნა“ტრანსფორმაცია ჯეიმზ ჯოისის რომანში „ღამისთევა ფინეგანისათვის“	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახ. უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის XIV საფაკულტეტო სამეცნიერო კონფერენცია მიძღვნილი აკადემიკოს ოთარ ლორთქიფანიძის დაბადებიდან 90 წლისთავისადმი,

6	თამარ გელაშვილი	ნართების ეპოსის ინგლისურად თარგმნის სირთულეები.	მე-6 საერთაშორისო კონფერენცია ქართულ-ოსური ურთიერთობების განვითარების პერსპექტივები (zoom online) თბილისი, საქართველო,14-15 ოქტომბერი, 2020
7.	გ.ყუფარაძე, ც,ახვლედიანი, ქ. გაბუნია	ფრაზეოლოგიური ერთეულების შემცველი ფრანგული და ინგლისური მასობრივი ინფორმაციული ტექსტების ქართულ ენაზე თარგმნის თავისებურებანი.	(zoom online) Batoumi - ბათუმი - Batumi, Georgia, საქართველო, 31.08.2020 – 02.09. 2020
8	გ.ყუფარაძე, ც,ახვლედიანი, ქ. გაბუნია	ფრანგული ენის ნიშნობრიობა ინგლისურ მას-კულტურაში.	(zoom online) თბილისი, საქართველო,14-15 ოქტომბერი, 2020
9	გ.ყუფარაძე, ც,ახვლედიანი, ქ. გაბუნია	აზარტული თამაშები ფრანგულ და ინგლისურ ფრაზეოლოგიაში.	(zoom online) თბილისი, საქართველო, 3-5 ივლისი, 2020
10	გ.ყუფარაძე, ც,ახვლედიანი, ქ. გაბუნია	ფერთა სემიოტიკური კოდი თანამედროვე კომუნიკაციაში.	თბილისი,საქართველო,4-5 დეკემბერი,(zoom online) 2020
11	ი.დემეტრაძე	წამლების დასახელებები: ეტიმოლოგია, სემანტიკა და სტრუქტურა	საერთაშორისო ონლაინ კონფერენცია ტერმინოლოგია — მემკვიდრეობა და თანამედროვეობა. ვუკოლ ბერიძის საზოგადოება. თბილისი, 14-15 ნოემბერი, 2020 წ.
12	ი.დემეტრაძე	ცხოველთა და ფრინველთა სახელწოდებები საალერსო მიმართვის ფორმებში (ინგლისური, ქართული და რუსული ენების მასალაზე)	XIV საფაკულტეტო სამეცნიერო კონფერენცია, მიძღვნილი აკადემიკოს ოთარ ლორთქიფანიძის დაბადებიდან 90 წლისთავისადმი, თსუ. 2-3 ივლისი, 2020 წ.
13	ი.მერაბიშვილი	როგორ მივუახლოვდეთ ცოდნას რუსთველის ვინაობის შესახებ	ვებინარი (Zoom-ის პლატფორმა) „ინფორმაციული ასახვა და რუსთველის პერსონიფიცირება“, 27 სექტემბერი, 2020. ივ. ჯავახიშვილის სახელობის

14	ი.მერაბიშვილი	მე, რუსთველი ხელობითა...	თბილისის სახ. უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართული ლიტ. ს/ს ინსტიტუტის მეოთხე კონფერენცია: ინოვაციები XXI საუკუნის ქართულ ლიტერატურათმცოდნეობაში (Zoom-ის პლატფორმა),22 დეკემბერი, 2020.
15	დავით მაზიაშვილი	„შექსპირის სიმულაკრი“	3-5 ივლისი, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი https://tsu.ge/assets/media/files/57/Programmma_axali1.pdf
16	ლელა ებრალიძე	მხატვრულ თარგმანთან დაკავშირებული სირთულეები: დიალექტის თარგმანი (ფშავურ დიალექტზე დაწერილი პროზისა და პოეზიის თარგმანის გამოცდილების გაზიარება) (კონფერენციის სრულ მოხსენებათა კრებული ISSN2298-0180)	2020 წლის 2-3- მაისი, თბილისი. შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი, მეათე საერთაშორისო კვლევითი კონფერენცია განათლების, ინგლისური ენის სწავლების, ინგლისური ენისა და ინგლისურენოვანი ლიტერატურის საკითხებზე.
17	ლელა ებრალიძე	ენაში ასახული ეროვნული მსოფლხედვა და მასთან დაკავშირებული პრობლემები მეორე ენის სწავლებისას. (კონფერენციის თეზისების კრებული)	2020 წლის 29 მაისი, თბილისი. საქართველოს საპატრიარქოს წმ. ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი. კონფერენცია „ინგლისური ფილოლოგიის აქტუალური პრობლემები“.
18	კონსტანტინე ბრეგაძე	„სიყვარულის (ეროსის) კონცეფცია გოეთეს „ფაუსტში“	5 დეკემბერი, 2020, თბილისი. ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი (GAU), „სემიოტიკის მე-10 კონფერენცია: სიყვარულის სემიოტიკა“
19	მ. ანდრაზაშვილი	გერმანიის ჰიდრონიმები და მათი მორფოსინტაქსური სტრუქტურის თავისებურებები.	არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი ტერმინოლოგიური საკითხებისადმი მიღვნილი საერტაშორისო კონფერენცია უნდა ჩატარებულიყო 2020 წლის მაისში. პანდემიით შექმნილი ვითარების გამო გადაიდოგანუსაზღვრელი ვადით.

20	მ. ანდრაზაშვილი	ინტენციის მიმართება კონვენციურობასთან: ფენომენის ფსიქოლინგვისტური ასპექტები(ფერდინანდ ფონ შირახის რომანის „Kaffee und Zigaretten“ მიხედვით)	თსუ საფაკულტეტო კონფერენცია შედგა 2020, ივნისი / ზუმის რეჟიმში
21	ო. კაპანაძე, ნ. ფუტკარაძე, ნ. კაპანაძე, ნ. ქიმერიძე, ქ. შეყილაძე	ი-R-ებ-Ø სტრუქტურის ზმნათა უღლების თავისებურებანი კომპიუტერული ლინგვისტიკის თვალსაზრისით.	არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის 79-ე სამეცნიერო სესია. 22-24.12.20
22	ქ.გაბუნია	„ფრანგული ენა- შესაძლებლობების პლატფორმა“	თბილისის 23-ე საჯარო სკოლა 05.12.2020
23	მუჯირი სოფიო	„გერმანული საკუთარი და გეოგრაფიული სახელების ქართულად გადმოტანის საკითხი“ ნ. ბარათაშვილის გარდაცვალებიდან 175 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია – „XIX საუკუნე – ეპოქათა მიჯნა,“	21.12.2020. საკონფერენციო მასალები. თბილისი 2020. იბეჭდება.

მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა)

1-5 ანოტაციები არ არის წარმოდგენილი

6.

ნართების ეპოსის ინგლისურად თარგმნის სირთულეები

ხალხის კოლექტიური მეხსიერება, მხატვრული აზროვნება, ხანგრძლივი ცხოვრებისეული გამოცდილება და კულტურული იდენტობა ყველაზე მკაფიოდ ფოლკლორულ შემოქმედებაში ვლინდება. ოსების შესახებ ამგვარ ინფორმაციას ,,ნართების ეპოსი“ გვაძლევს, რომელიც მასში გამოხატული ზოგადსაკაცობრიო იდეალებითა და მნიშვნელოვანი თემებით დღესაც არ კარგავს აქტუალობას და დიდი პოპულარობით სარგებლობს ყველა ასაკის მკითხველში. სტატიაში განხილულია ,,ნართების ეპოსი ბავშვებისათვის'' ახალი გამოცემადა წიგნის მნიშვნელობის პარალელურად განხილულია ის სირთულეები,რომელთან შეჭიდებაც ნართების ეპოსის ინგლისურ ენაზე მთარგმნელს უწევს.

აღსანიშნავია, რომ ზოგადად თარგმანის მიმართ არაერთგვაროვანი დამოკიდებულება არსებობს; პოლ დე მანმა 1983 წელს კორნელის უნივერსიტეტში უოლტერ ბენჟამნის „მთარგმნელის ამოცანებზე“ წაკითხული

ლექციის დროს განაცხადა ,,თარგმანის დროს ორიგინალი მკვდარია; თარგმანი ორიგინალის შემდგომ სიცოცხლეს შეგვიძლია შევადაროთ და ლოგიკურად დედანის სიკვდილი ვაღიაროთ''. პოლ დე მანის ეს

დამოკიდებულება ერთის მხრივ მართებულია, რადგან თარგმანი უმეტეს შემთხვევაში ვერ ახერხებს იმ სტილისა და სიღრმეების გადმოცემას, რომელიც ორიგინალშია მოცემული, თუმცა აქვე ისიც უნდა

აღინიშნოს, რომ კარგი თარგმანი დედანს ახალ სიცოცხლეს შთაბერავს, და ამდიდრებს იმ ენასა და იმ ქვეყნის კულტურას, რომელზედაც ის იქმნება. სწორედ თარგმანის დამსახურებაა, რომ ნართების ეპოსი თავისი მრავალშრიანი პერსონაჟებითა და მსოფლაღქმით არამხოლოდ ქართული, არამედ ბევრი ევროპული ქვეყნის „საკუთრებაც“ გახდა. ნართების ეპოსი თარგმნილია ინგლისურ, გერმანულ და ფრანგულ ენებზე, რაც იმ დაინტერესებაზე მიგვანიშნებს, რაც ნართების ეპოსის მიმართ დასავლურ ცივილიზაციაში არსებობს. ნართების ეპოსმა ერთგვარად გაარღვია საზღვრები და დღეისათვის ის მხოლოდ კავკასიის საკუთრება კი არაა, არამედ უკვე დასავლური კულტურის ერთგვარ ნაწილს წარმოადგენს, რომელსაც თარგმნიან, იკვლევენ და ინტერესდებიან.

13.როგორ მივუახლოვდეთ ცოდნას რუსთველის ვინაობის შესახებ

მოხსენების მიზანია, ერთი მხრივ, თავი მოვუყაროთ რუსთველოლოგიაში არსებულ ცოდნას „ვეფხისტყაოსნის“ ავტორის ვინაობის შესახებ, ხოლო მეორე მხრივ, შევეცადოთ, ნათელი მოვფინოთ ამ საკითხს ბოლოდროინდელ საისტორიო ცნობათა ფონზე. ამასთანავე, მოხსენება მიზნად ისახავს იმის დადგენას, თუ რა ცნობას გვაწვდის რუსთველი თავის შესახებ პოემაში, რაც ძირითადად მოქცეულია მის პროლოგში.

14. მე, რუსთველი ხელობითა...

„ვეფხისტყაოსნის“ პროლოგის მერვე სტროფით რუსთველი საკუთარ თავს წარმოგვიდგენს.
მოსხენების მიზანია, პროლოგის ერთიანი შინაარსის გათვალისწინებით, შევეცადოთ იმის დადგენა, თუ რა შინაარსის გადმოცემა იგულისხმა ავტორმა ამ კონკრეტულ სტროფში სიტყვებით „ხელობითა“ და „ვხელობ“ და რა კრიპტოგრამაა ამ სტროფში მოქცეული.

15. შექსპირის სიმულაკრი

უილიამ შექსპირის შემოქმედება, მისი ტრაგედიები და კომედიები თითქოს პირდაპირ ეხმაურება დღევანდელ რეალობაში მიმდინარე სოციალურ თუ პოლიტიკურ, ისტორიულ და საზოგადოებრივ პროცესებს. შექსპირის შემოქმედება დღესაც დიდ გავლენას ახდენს და თანამედროვე ლიტერატურის, თეატრის, კინემატოგრაფიისა თუ ზოგადად კულტურის შთაგონების წყაროა. შექსპირის პიესებისა თუ სონეტების გარდა დიდი ინტერესია თავად დრამატურგის მიმართ. დღემდე არ წყდება კამათი იმის შესახებ თუ ვინ დგას მისი შემოქმედების უკან. შექსპირი ჩვენი დროისა და ეპოქის ფანტაზიისა და ინტელექტისაგან წარმოებული პროდუქციის ნაყოფად იქცა, რომელიც თავისი შემოქმედებით, პერსონაჟებით აგრეთვე თავადაც, როგორც პიროვნება, ავტორი და პერსონაჟი „ახალ ამპლუაში“ წარმოგვიდგება. თანამედროვეობაში დაიკარგა ან იკარგება შექსპირის პერსონის ის ავთენტური სახე, რომელიც შესაძლოა საერთოდაც არ არსებობდა და შეიქმნა ახალი, წარმოსახვითი, ფიქციური, რადგან დღევანდელი სამყაროსთვის თავად შექსპირი იქცა სიმულაკრად, ხოლო სიმულაკრი ბოდრიარის განმარტებისა არ იყოს ასლია დედნის გარეშე. სწორედ ამ გადმოსახედიდან საინტერესოა გავიაზროთ რა გზა განვლო დასავლური ლიტერატურის, აზროვნების და კულტურის ერთ-ერთმა ქვაკუთხედმა უილიამ შექსპირმა და როგორი სახე მიიღო მან პოსტმოდერნული ეპოქის ინგლისურ ლიტერატურაში, კრიტიკასა და კინემატოგრაფში.

18.
სიყვარულის კონცეფცია „ფაუსტში“ უპირატესად პლატონის ეროსის კონცეფციას ეყრდნობა, რომელიც პლატონმა გადმოსცა თავის „ნადიმში“, სადაც ეროსი გვევლინება შემეცნებით გონით-სულიერ ძალად, რომლის წყალობითაც შესაძლებელია მარადიული ღვთაებრივი მშვენიერი იდეების უსასრულო ჭვრეტა და მათით ნეტარება. „ფაუსტში“ ამ მარადიული მშვენიერი იდეების სიმბოლური განსახიერებაა ტროელი ელენე (იხ. მეორე ნაწილი, მესამე მოქმედება), ხოლო გოეთესეული მარად-ქალურის („das Ewig-Weibliche“)

კონცეპტი ამ ღვთაებრივი იდეების საუფლოდ უნდა წარმოვიდგინოთ. თავად მარად-ქალურის კონცეპტი გოეთემ გნოსტიკურ-სოფიოლოგიური მოძღვრებებიდან აიღო.

19. გერმანიის ჰიდრონიმები და მათი მორფოსინტაქსური სტრუქტურის თავისებურებები

გერმანია ითვლება დასავლეთ ევროპის სახელმწიფოთა შორის ერთ-ერთ ყველაზე უფრო წყალუხვ ქვეყანად, რომელშიც მრავლად არის დიდი და პატარა, მთისა თუ ბარის მდინარეები, ბუნებრივი ტბები და ხელოვნური წყალსაცავები, საწყალოსნო მიმოსვლის ევროპული მასშტაბის ტრასები/ბუნდესვასერშტრასეები (Bundeswasserstraßen) და წვრილ-წვრილი არხები, გაჭრილი უპირატესად ჭაობიანი დაბლობების გაუწყლოებისა და ნიადაგის კულტივირების მიზნით. ჩრდილოეთით ქვეყანას აქვს გასასვლელი ორ დიდ ზღვაზე, რომლებსაც უკავშირდება უბეებისა და ყურეების მეშვეობით.

წინამდებარე გამოკვლევის მიზანია, ჰიდრონიმთა ზემოჩამოთვლილი კატეგორიები განიხილოს ლინგვისტურ პლანში, კონკრეტულ საილუსტრაციო მასალაზე დაყრდნობით განსაზღვროს თითოეული ქვეჯგუფისთვის წამყვანი მორფოსინტაქსური სტრუქტურული მოდელები, აღწეროს ისინი უშუალო შემადგენელთა აპელატიურობა-პროპრიალურობის მიხედვით, დაადგინოს აპელატიურ კომპონენტთა სემანტიზაციის ხარისხი, ან პირიქით, მათი პროტოტიპულობა; ჩამოყალიბებული სურათის მიხედვით შეარჩიოს გერმანული ჰიდრონიმებისადმი ქართულ ეკვივალენტთა მისადაგების კრიტერიუმები.

გამოკვლევაში განსახილველად წარმოდგენილია ჰიდრონიმთა მხოლოდ ის ტიპები, რომლებიც სპეციფიკურია გერმანიისთვის; კატეგორიათა თანამიმდევრობა ქვემომოტანილ ჩამონათვალში პირობითია:

1. კატეგორია *ზღვა*; გერმანიის ორივე ზღვის სახელწოდება Nordsee / Ostsee შედგენილია კომპოზიციის მოდელზე დაყრდნობით აპელატიური ლექსიკის გამოყენებით. ორივე სახელი დესემანტიზირებულია, ამდენად მოქცეულია პროტოტიპულ სფეროში და ქართულად გადმოდის ენდონიმის ანალოგიურად: *ნორდზეე / ოსტზეე* (და არა, როგორც ტრადიციულად: *ჩრდილოეთის ზღვა / აღმოსავლეთის ზღვა*).
2. კატეგორია *ყურე/უბე*: ნიმუშებია: Deutsche Bucht / Kieler Bucht / Mecklenburger Bucht / Lübecker Bucht / Pommersche Bucht / Wismarbucht / Greifswalder Bodden / Stettiner Haff; სურათი არაჰომოგენურია დენოტატთა სპეციფიკურ მახასიათებელთა სხვადასხვაობის გამო, რაც ენობრივად სამი არაურთიერთჩანაცვლებადი ლექსემით გადმოიცემა – Bucht (бухта) (უბე) / Haff (залив/лагуна) (ყურე/ლაგუნა) / Bodden (бодден) (ყურე) (ბოდენი). სემანტიკური ნიუანსირებულობის შენარჩუნებას ქართულ ეკვივალენტებში ხელს არ უშლის სახელთა ურთიერთგანსხვავებული მორფოსინტაქსური სტრუქტურა, კერძოდ: კომპოზიცია – Wismarbucht-ის შემთხვევაში, ყველა დანარჩენთან კი სახელის სინტაგმა (NP); ორივე გადმოდის ქართულში გენიტიური განსაზღვრებით: *ვისმარის უბე / კილის უბე / შტეტინის ყურე*, მაგრამ ასევე: *ყურე გრაიფსვალდერ ბოდენი*.
3. კატეგორია *ტბა*; ნიმუშებია, ერთი მხრივ, კომპოზიტები: Altmühlsee / Ammersee / Titisee / Bodensee / Drachensee / Chiemsee / Freudensee / Kochelsee / Königssee / Schluchsee და ა.შ., მეორე მხრივ, სახელის სინტაგმები: Starnberger See / Überlinger See / Waginger See და ა.შ. მიუხედავად -see/See-კომპონენტის განსხვავებული ლექსიკური დატვირთულობისა, ის მაინც რჩება პროპრიალურ მსაზღვრელთან დაკავშირებულ აპელატიურ საზღვრულად, რომლის სემანტიკაც ქართულ ეკვივალნტშიც წარმოჩინდება; სხვაგვარად შეუძლებელი გახდებოდა, განგვესხვავებინა -see/See-კომპონენტით ნაწარმოები დესემანტიზირებული ტოპონიმები: Hiddensee *ჰიდენზეე* (კუნძული) / Seebühl *ზეებიული* (ქალაქი) / Seehausen *ზეეჰაუზენი* (ქალაქი) და ა.შ. ანალოგიურადვე ნაწარმოები სემანტიზირებული ჰიდრონიმებისგან: Ammersee *ტბა ამერზეე/ამერზეეს ტბა* (მიუხედავად აპელატიური საზღვრულის ორჯერადად მოხსენიებისა – გერმანულად და ქართულად) / Starnberger See *შტარნბერგის ტბა*.
4. კატეგორია *არხი*; ნიმუშებია: Teltowkanal / Küstenkanal / Mittellandkanal; Dortmund-Ems-Kanal / Main-Donau-Kanal / Elbe-Seitenkanal / Süd-Nord-Kanal. სტრუქტურულად ყველა მათგანი ეფუძნება ერთ მოდელს, კერძოდ – კომპოზიტი ჩაწერილი ერთ სიტყვად ან დეფისებით. ლექსიკურად სურათი ჰეტეროგენულია, ანუ შეიძლება წარმოდგენილი იყოს აპელატიური და პროპრიალური კომპონენტების

ნებისმიერი კომბინაციით. ქართულად ტრანსფერირებისას მოქმედებს შემდეგი კანონზომიერება: პროპრიალური ელემენტების შემცველი სახელები გადმოდის გენიტიური განსაზღვრების ფორმით: *დორტმუნდ-ემზის-არხი / მაინ-დუნაის არხი / ტელტოვის არხი*; აპელატიური ლექსიკა ამ შემთხვევაში განიცდის დესემანტიზაციას, ანუ მთლიანად ექცევა პროტოტიპულ ჩარჩოებში, შესაბამისად: Küstenkanal *არხი ქიუსტენკანალი* / Mittellandkanal *არხი მიტელლანდკანალი* (და არა მათი ტრანსლირებული ვარიანტი).

5. კატეგორია *მდინარე*; გერმანიის მდინარეთა სახელები ორ მორფოსინტაქსურ მოდელს მიჰყვება: ერთი მხრივ, გვაქვს სახელის სტრუქტურის მქონე სქესით მარკირებული ერთ- ან ორლექსემიანი ერთეულები: die Benz / die Biber / die Brigach / der Neckar / der Rehin / der Saalbach / der Zipfelbach / der Mörnbach და ა.შ., მეორე მხრივ, სახელის სინტაგმები, რომლებიც თავის მხრივ კიდევ რამდენიმე ქვეჯგუფად იყოფა:
   - სადაურობის აღმნიშვნელი ტოპონიმი + ჰიდრონიმი: die Fränkische Saale / Friedberger Ach;
   - Aa / Aue / Mulde-თი ნაწარმოები სახელები: die Bocholter Aa / die Burgdorfer Aue / Zwickauer Mulde;
   - ადიექტიური განსაზღვრება + ჰიდრონიმი: Weißer Main / Große Striegis / Wilde Weißeritz / Grüner Bach და ა.შ.

   ნებისმიერი სტრუქტურისა და ლექსიკური შემადგენლობის სახელი ამ ჯგუფიდან ქართულად უნდა გადმოვიდეს ენდონიმის ანალოგიურად; იმავდროულად ვფიქრობ, ქართული ენის ფლექსიური ბუნებიდან გამომდინარე, ადიექტიური განსაზღვრების შემცველი სახელის სინტაგმა უნდა ჩაიწეროს დეფისით, რათა არ დაირღვეს სახელის აღქმა, როგორც ერთი მთელისა. ბმულ ტექსტში სასურველია მათი ხმარება საკვალიფიკაციო სახელთან ერთად: მდინარე *ვაისერ-მაინ* / მდინარე *გროსერ-შტრიგის* / მდინარე *ვილდე-ვაისერიც* / მდინარე *გრიუნერ-ბახ* და ა.შ.

20. ინტენციის მიმართება კონვენციურობასთან : ფენომენის ფსიქოლინგვისტური ასპექტები

(ფერდინანდ ფონ შირახის ავტობიოგრაფიული რომანის „Kaffee und Zigaretten“ მიხედვით)

წინამდებარე გამოკვლევის ძირითადი სამუშაო ტერმინები – ‚ინტენციურობაჲ / ‚ინტენციაჲ და ‚კონვენციურობაჲ – გამოირჩევა ფართო სემანტიკური პოტენციალით, რის გამოც მათ ხშირად ვხვდებით მეცნიერების სრულიად სხვადასხვა დარგში. ბუნებრივია, ამ დროს ხდება ცნებათა ბირთვული სემების შენარჩუნება, მაგრამ პარალელურად ასევე ზოგადი სემანტიკის მოდიფიცირებაც კონკრეტული დარგის სპეციფიკის მიხედვით. წინამდებარე ნაშრომის ფსიქოლინგვისტური პროფილიდან გამომდინარე, ვეყრდნობი ზემოხსენებულ ტერმინთა *ადოლფ რაინახისეულ* (1913) გაგებას, რათა მათი დახმარებით აღვწერო ის მიმართებები, რომლებიც მყარდება ენობრივ დონეზე უცხოურენოვან მხატვრული ნაწარმოების აღქმისას: ა) პროტაგონისტებს შორის, ბ) ავტორსა და პროტაგონისტებს შორის, გ) მკითხველსა და პროტაგონისტებს შორის, დ) მკითხველსა და ავტორს შორის.

ფენომენის აღწერა სცილდება ამ მიმართებათა ტრადიციულ ინტერპრეტაცას ე.წ. *‚ლიტერატურული სამკუთხედისჲ* ან *‚ლიტერატურული ოთხკუთხედისჲ* გაგებით, რამდენადაც ამ კონკრეტულ შემთხვევაში გამოკვლევის მიზანია ორიენტაციის აღება უცხოურენოვანი ტექსტის ადეკვატურად რეცეფციის პრობლემასა და თარგმანში შესაბამის რელაციათა ანალოგიური სიზუსტით მიწოდების აუცილებლობაზე. საილუსტრაციოდ გმაოყენებული მასალა – ერთი თავი (ავტორი მას რიგითი ნომრით *ორმოცდამეერთე-დ* მოიხსენიებს) თანამედროვე გერმანელი ბელეტრისტის, ყოფილი ადვოკატის, *ფერდინანდ ფონ შირახის* რომანიდან *„ყავა და სიგარეტი“* – ერთობ თვალსაჩინო ნიმუშია იმისა, თუ როგორ შეიძლება ავტორმა სადა, თითქმის პრიმიტიული ლექსიკური საშუალებითა და გამჭვირვალე სინტაქსური კონსტრუქციების გამოყენებით მიაღწიოს ზემოხსენებულ მიმართებათა შორის კონფლიქტის კულმინაციას: იგნორირება მოახდინოს მოლოდინის ჰორიზონტისა, დაარღვიოს კონვენციური მოცემულობები, ყველა სემანტიკური ჩარჩო, წინარეცოდნის ყველა მოსალოდნელი ნორმა და თითქოს შემთხვევით, უპრეტენზიოდ, მაგრამ სინამდვილეში შესაძლოა სრულიად გამიზნულად, მეთოდური თანმიმდევრობით მიაღწიოს იმას, რომ სწორედ გაუგებარი, ‚აწეწილიჲ ვითარება გახადოს ერთგვარი ‚გასაღებიჲ რეალური ინტენციის ამოცნობისა, უპირველსად კი თვით ავტორის „ეგოს“ წვდომისა.

21

წინამდებარე კვლევაში **ი-R-ებ-Ø** სტრუქტურის ზმნები განხილულია კომპიუტერული ლინგვისტიკის პერსპექტივით შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტის *„ქართული ენის ტექსტის მეტყველების ნაწილებად თეგირება და სალექსიკონო ერთეულებად ლემირება“* ფარგლებში, რომლის მიზანიცაა ქართული ენის გრამატიკისა და ლექსიკის მარაგის შემცველი ლინგვისტურ-პროგრამული (lingware) ხელსაწყოს შექმნა ტექსტის ლექსიკურ ერთეულთა მეტყველების ნაწილებად დახარისხებისა (tagging) და სალექსიკონო ერთეულებად წარმოდგენის (lemmatizing) მიზნით; შესაბამისად **ი-R-ებ-Ø** (და ყველა სხვა) სტრუქტურის ზმნური ფორმა გაანალიზებულია ფორმალური თვალსაზრისით სინტაქსური კონსტრუქციისა (Nom-Erg-Dat + Dat-Dat-Dat) და სემანტიკური ნიუანსების (ძირითადად, ინხოატივის გამომხატვ.) გათვალისწინებით.

„**ი-R-ებ-Ø** სტრუქტურის ზმნათა ძირეული მორფემა, ძირითადად, ნასახელარია, აწმყოს მოდელი რეფლექსივთა ი-R-ებ-Ø სტრუქტურისა აქვთ, ხოლო მყოფად-წყვეტილის ფორმები ზმნისწინით ეწარმოებათ: ი-ზამთრ-ებ-ს ის — გამო-ი-ზამთრ-ებ-ს ის — გამო-ი-ზამთრ-ა მან; ფორმათა უმრავლესობას მესამე სერიის ფორმებში თემის ნიშანი არ დაერთვის: გამო-უ-ზამთრ-ი-ა, თუმცა თუ აქტივის ფორმებთან დამთხვევა გამორიცხულია, შეიძლება დაერთოს -ებ თემის ნიშანიც“ (მელიქიშვილი, 2001: 114): აიკვირაძლებს — აიკვირაძლა — აუკვირაძლებია. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის ბაზაზე შექმნილი დ. მელიქიშვილის ფუნდამენტური ნაშრომის მიხედვით „ქართული ზმნის უღლების სისტემა“ **ი-R-ებ-Ø** სტრუქტურის ზმნათა პარადიგმაში სულ 34 ზმნური ფორმა ერთიანდება; მთლიანობაში კი, ქართული ზმნისთვის 66 ასეთი პარადიგმაა გამოყოფილი.

აღსანიშნავია, რომ პროექტის ფარგლებში გაანალიზებული თითოეული ზმნური ფორმის საფუძველზე საგრძნობლად გაიზარდა პარადიგმათა საერთო რაოდენობა და უკვე 200-მდე აღწევს. მიზეზი პარადიგმის შიგნით გამოვლენილი უღლების თავისებურებებია ძირეული მორფემის გამარტივება-გართულების, მწკრივთაწარმოებისა და თემატური სუფიქსების დართვის ხარჯზე. მოხსენებაში წარმოდგენიალია აღნიშნული სტრუქტურის ზმნათა ოთხი ქვეტიპი, რომელთა ერთიან ჯგუფში მოქცევაც შეუძლებელი აღმოჩნდა უღლებისას გამოვლენილ თავისებურებათა გამო. მიუხედავად იმისა, რომ მოხსენებაბაში წარმოდგენილ ზმნურ ფორმებს მსგავსი ძირითადი სტრუქტურა აერთიანებთ, პროგრამული მოდულის აგებისას ხსენებული ზოგადი ფორმალური მსგავსების გამო მეორე და მესამე სერიის ფორმაწარმოებისას ხდებოდა თეორიულად დაუშვებელი ფორმების გენერირება ტესტური ფაილების აგებისას. აუცილებელი გახდა პროექტის წევრების მიერ საუღლებელ ფორმათა ქვეპარადიგმებად დამატებითი კლასტერიზაცია და შემდეგომ უკვე გამოსავალი ვარიანტის გადამოწმება თითოეული მაგალითის შემთხვევაში.

7.2. უცხოეთში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	Manana Rusieshvili-Cartledge	Culture and ELT-To Combine or not to Combine?	6th International Virtual Symposium Media and Digital Literacy in Language Education hosted by Alecu Russo Bălți State

			University, Republic of Moldova
2.	ნინო დარასელია	*Some Discoursal and Socio-Semiotic Peculiarities of English and Georgian Fiction Blurbs*	The 56th Linguistics Colloqium (online), Book of Abstracts, pp 50-51 www.lingcoll.de
3	მანანა გელაშვილი	.მანანა გელაშვილი - ,,ულისეს'' პოსტმოდერნისტული ვარიაციები ქართულ ლიტერატურაში: ,,წვინტლისფერი'' ზღვიდან ,,ღვინომუქ'' ზღვამდე.''	საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია (ორგანიზებული იტალიის რომა ტრე უნივერსიტეტის ჯოისის ფონდის მიერ), რომი, 30- 31 იანვარი , 2020
4.	თ. გელაშვილი	ჯეიმზ ჯოისი და ოთარ ჩხეიძე - სამყარო გაბზარულ სარკეში.	საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია (ორგანიზებული იტალიის რომა ტრე უნივერსიტეტის ჯოისის ფონდის მიერ), 30- 31 იანვარი , რომი, 2020
5	**ი. გველესიანი** ე. მუმლაძე	მიგრაცია და ინგლისური სპეციალური მიზნებისთვის	კიევი, უკრაინა 2-10 აპრილი
6	დ. თვალთვაძე, **ი. გველესიანი**	ენის, როგორც არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის, დაცვისა და გადაცემის საგანმანათლებლო პოლიტიკა	რეზეკნე, ლატვია 22-23 მაისი
7	**ი. გველესიანი**	მიგრაცია და ენის სწავლება	ინგლისი-ესპანეთი, 29-30 ოქტომბერი
8	**ი. გველესიანი**	საპენსიო ფონდებთან დაკავშირებული ინგლისური და ქართული ტერმინები: თარგმანი და ინტერპრეტაცია	საბერძნეთი, 26-28 ნოემბერი
9	**ი. გველესიანი**	საპენსიო ფონდებთან დაკავშირებული ინგლისური და რუსული ტერმინების შედარებითი ანალიზი	ვენა, ავსტრია 12-13 დეკემბერი
10	**ი.დემეტრაძე**	Superstitions Reflected in Speech Etiquette (On the Material of English and Georgian Languages)	17 აპრილი, 2020 წ. LILA '20, organized by DAKAM (Eastern Mediterranean Academic Research Center). სტამბული.

			(პანდემიის გამო ჩატარდა ონლაინ ფორმატში). მასალები გამოქვეყნებულია: https://www.dakamconferences.org/lila
11	დ.მაზიაშვილი	„შექსპირის 450 და 400 იუბილე საქართველოში“ Shakespeare's 450th and 400th Anniversaries in Georgia	21 იანვარი ბოდლის ბიბლიოთეკა, ოქსფორდის უნივერსიტეტი. https://www.rees.ox.ac.uk/event/shakespeare-in-georgia-exhibition-seminar-screening
12.	მ. ანდრაზაშვილი	Namentransfer unter dem Blickwinkel der Sprachenpolitik სახლთტრანსფერი სახელმწიფო პოლიტიკის პრიზმაში https://btk.kre.hu/nemettanszek/tagung.html	ბუდაპეშტი / უნგრეთი კონფერენცია დანიშნული იყო 2020 აპრილში. პანდემიის გამო გადაიდო განუსაზღვრელი ვადით (საჭიროების სემთხვევაში შემიძლია წარმოვადგინო მიწვევა)
13	Муджири С.А., Капанадзе И.Б	„Трилингвизм в контексте подготовки профессиональных кадров (в свете контрастивной фонетики)“ стр. 106-111 Материалы Международной научно-практической конференции Русский язык в странах Азиатско-Тихоокеанского региона: традиции, тенденции и перспективы изучения и преподавания ISBN 978-616-488-091-7	13-15.03.2020, Изд-во Университета Таммасат, Бангкок – 2020.

მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა)

11. „შექსპირი 450 და 400 იუბილე საქართველოში“

სამეცნიერო მოხსენებაში „შექსპირის 450 და 400 წლის იუბილე საქართველოში“ გააზრებული იყო შექსპირის შესწავლის ისტორია და შექსპირის თეატრალური დადგმების ტრადიცია საბჭოთა თუ პოსტ-საბჭოთა საქართველოში. შეფასებული და შეჯამებული იყო საბჭოთა და პოსტ-საბჭოური გამოცდილება და 2014 და 2016 წლებში შექსპირის საიუბილეო თარიღების აღნიშვნის მნიშვნელობა დამოუკიდებელ საქართველოს, როგორც აკადემიურ, საგანმანათლებლო, ასევე სახელოვნებო-თეატრალურ სამყაროში. მოხსენების ბოლოს გაიმართა დავით მაზიაშვილის დოკუმენტური ვიდეოს პრემიერა **Conversation with Thelma Holt *Georgian Richard III On My Mind.***

2020 წლის 21 იანვარს გამართული ღონისძიების „შექსპირი საქართველოში“ ფარგლებში რუსთაველის თეატრის მუზეუმთან თანამშრომლობის შედეგად ბოდლის ბიბლიოთეკას საჩუქრად გადავეცი საქართველოდან ოქსფორდში ჩამოტანილი საგამოფენო მასალა: რუსთაველის თეატრში შექსპირის

დადგმების უნიკალური პოსტერები, ციფრული ფოტო და ბეჭდური მასალა, შექსპირის თარგმნის, შესწავლისა და თეატრალური მხატვრობის შესახებ გამოცემული მაღალპოლიგრაფიული წიგნები. ასევე სამეცნიერო ღონისძიებაზე გამოფენილი იყო უორდოპების კოლექციაში დაცული ქართული შექსპირიანას უნიკალური გამოცემები, ხელნაწერები, წერილები, ფოტოები, წიგნები, რომლებიც ასახავდნენ შექსპირის თარგმნისა და შესწავლის ისტორიას 19-ე საუკუნის ბოლოსა და 20-ე საუკუნის დასაწყისის საქართველოში. სამეცნიერო მოხსენების პარალელურად, გამოფენამ წარმოაჩინება შექსპირის თარგმნის, შესწავლისა და სასცენო ინტეპრეტაციის წარსული, აწმყო და სამომავლო პერსპექტივები საქართველოში.

ღონისძიების თანაორგანიზატორები: ოქსფორდის უნივერსიტეტის ბოდლის ბიბლიოთეკა, ოქსფორდის უნივერსიტეტის წმ. ენტონის კოლეჯის რუსეთისა და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების კვლევების ცენტრის ქვეყანათმცოდნეობის ინტერდისციპლინური კვლევების სკოლა, რუსთაველი თეატრის მუზეუმი, შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი;

ღონისძიების შესახებ გადაღებული დოკუმენტური ვიდეო იხილეთ ბმულში.
https://www.youtube.com/watch?v=pWcyX6hjf6E&fbclid=IwAR0EMrtLWLpA8tfL9coIjXapDrjSVR9bqE8rBwYK-_Q_hMNpRnVZSWPyj18

12. **სახლთტრანსფერი სახელმწიფო პოლიტიკის პრიზმაში**

მოხსენებაში წინა პლანზეა წამოწეული სახელთტრანსფერის დიაქრონული და სინქრონული ასპექტები და ამასთან მიმართებაში ისეთი საკითხები, როგორიცაა: თანამედროვე მსოფლიოს ღიაობის ფონზე ენდონიმთა ცვლის პროცესი ეროვნულ ენაში, ინტერლინგვალურ ალონიმთა ზეგავლენის შესუსტება და ეგზონიმთა თანდათანობითი გაუჩინარების პროცესი ეროვნულ ენებში.
ამ კონტექსტში გაანალიზებულია გერმანულიდან შემოსულთან ერთად უნგრულიდან შემოსული ტოპონიმების ქართული ეკვივალენტები, რომელთა გრაფემული შემდაგენლობა ნებით თუ უნებლიედ შეპირობებულია

- ქართულის გრაფო-ფონემური სისტემის ხელთარსებული ინვენტარით. აქ მოიაზრება ამოსავალი ენის გრაფო-ფონემათა (მაგალითად, უმლაუტის, ნახევარხმოვნის, სპირანტის) არარსებობა ქართულში: Lünen [∪λψ⁆ν↔ν] → ლიუნენ-ი [∪λιυνεν], / Löhne [∪λΟ⁆ν↔] → ლიონე [∪λιονε]; Gödöllő [ˈgødøl:ø:] (ung.) → გედელე [∪γεδελε], / Üllő [ˈyulø:] (ung.) → ულო [∪υλο];
- თავისთავად გრაფო-ფონემათა არსებობა, მაგრამ მათი სწორად გადმოტანის ტრადიციის არარსებობა გარემოებთა გამო, რაც შეიძლება შეპირობებული ყოფილიყო გარეშე/არაენობრივი ფაქტორებითაც:
ლუდმილა გრიციკის სამეცნიერო ინტერესების სფეროში შედის XIX საუკუნის დასასრულისა და XX საუკუნის დასასწყისის ქართულ-უკრაინული ლიტერატურული ურთიერთობები და ურთიერთმიმართებები. მეოცე საუკუნის სამოცდაათიან წლებში მან დაიცვა ჯერ საკანდიდატო დისერტაცია *„ქართული მხატვრული პროზა თანამედროვე უკრაინულ თარგმანებში“,* მოგვიანებით სადოქტორო - *აღმოსავლეთის ქვეყნების (შუაზია, ამიერკავკასია) ლიტერატურები XX საუკუნის დასაწყისის უკრაინულ ლიტერატურულ პროცესებში.* თარგმნილი აქვს ქართული პროზა და პოეზია, ქართულ ხალხურ ზღაპრები. ლ. გრიციკის ქართველოლოგიური კვლევების თავისებურებებიდან ყურადღებას იპყრობს ლიტერატურათაშორისი კონტაქტების გაანალიზებაში ინტერდისციპლინური, ინოვაციური თეორიული და მეთოდოლოგიური მიდგომების დანერგვა.

უკრაინელი მკვლევარი თითქმის უკვე ნახევარი საუკუნის განმავლობაში მოპოვებულ მდიდარ და უნიკალურ ემპირიულ მასალას განიხილავს ტრადიციულ (კონტაქტოლოგია) და თანამედროვე *(ტიპოლოგია, იმაგოლოგია, ტრანსლატოლოგია, კულტურული ტრანსფერი, კოლონიური და პოსტკოლონიური კვლევები და სხვ.)* კომპარატივისტულ მეთოდოლოგიათა კონტექსტში.

მოხსენებაში განხილულია ცნობილი უკრაინელი მეცნიერის უნიკალური ქართველოლოგიურ კვლევები: როგორც ცალკეულ სტატიები, ისე 2010 წელს გამოცემულ მის ფუნდამენტურ ნარკვევი ***„უკრაინული კომპარატივისტიკა: კონცეპტუალური პროექციები“***. ამ მონოგრაფიის დიდი ნაწილი ქართული კულტურისა და მწერლობის კვლევას ეთმობა. უკრაინელი მეცნიერის თითქმის უკვე ნახევარსაუკუნოვანი მოღვაწეობა ღირსეულად დაფასდა ქართულ სამეცნიერო და აკადემიურ წრეებში – 2013 წელს მიენიჭა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საპატიო დოქტორის წოდება.

3	ივანე მჭედლაძე	ლიტერატურულ ურთიერთობათა კვლევის პრინციპები და მეთოდოლოგია თანამედროვე ქართულ კომპარატივისტიკაში: ქართულ-სლავური მოდელი	მთარგმნელის დღისადმი მიძღვნილი სამეცნიერო შრომების კრებული ISBN 978-9941-13-965-9	თბილისი, თსუ გამომცემლობა	11 გვერდი

ვრცელი ანოტაცია ქართულ ენაზე

შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობის, როგორც სამეცნიერო დისციპლინის, განვითარებაზე დაკვირვება გვიჩვენებს, რომ იგი საქართველოში განსაკუთრებით ინტენსიური გახდა მეოცე საუკუნის მეორე ნახევრიდან. ლიტერატურული კომპარატივისტიკა, თავისი საწყისი პერიოდიდან იკავებდა შუალედურ პოზიციას ორ მომიჯნავე დისციპლინას - ლიტერატურის ისტორიასა და თეორიას შორის სხვადასხვა ეტაპზე კი იცვლებოდა მისი ვექტორები ხან ისტორიის, ხან თეორიისკენ.

ქართული კომპარატივისტული ნაშრომების გაანალიზებისას იკვეთება ტენდენცია, რომ იგი უკავშირდება ქართულ-საზღვარგარეთული ლიტერატურული ურთიერთობების შესახებ შექმნილ სამეცნიერო ლიტერატურას. ამ პერიოდის სამეცნიერო პროდუქცია სწორედ ლიტერატურის ისტორიის ნაწილია. შესაძლებელია ეს ნაწილი გავიაზროთ, როგორც კომპარატივისტიკის პოზიტივისტური ფაზა, რომელიც საქართველოში გენეტიკურ-კონტაქტოლოგიური კვლევებითაა წარმოდგენილი.

შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობის თეორიისკენ შემობრუნება დაიწყო 80-იანი წლებიდან. ნ. გაფრინდაშვილის, მ. მირესაშვილის და სხვათა ნაშრომებმა გავლენა მოახდინეს როგორც ამ თვალსაზრისით, ასევე თანამედროვე კომპარატივიტიკიაში ლიტერატურულ ურთიერთობათა კვლევის პრინციპებისა და მეთოდოლოგიის დანერგვის კუთხითაც.

პოსტსაბჭოთა პერიოდის ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში აღსანიშნავია ორი მნიშვნელოვანი ვექტორი: ა) ტრადიციული კომპარატივისტიკა-ლიტერატურულ ურთიერთობათა კვლევის ტრადიციული და ინტერდისციპლინური მიდგომები; ბ) ევროპული და ამერიკული სამეცნიერო ლიტერატურის დანერგვა თეორიული ლიტერატურათმცოდნეობის კომპარატივისტულ ასპექტებში. ეს ორი მიმართულება ერთმანეთისგან უფრო განსხვავებული და განცალკევებულია, ვიდრე მიახლოებული.

ურთიერთობათა ამსახველი კვლევები გარკვეული პერიოდის განმავლობაში თითქოს დისკრედიტირებული იყო. თუმცა, როგორც ქართული, ისე უცხოური სამეცნიერო ლიტერატურის ხარისხი და რაოდენობა ადასტურებს, რომ ურთიერთობათა კვლევის პრობლემატიკა უკანასკნელ პერიოდში მეტად აქტუალური გახდა და მიუახლოვდა კულტურის კვლევებს. ლიტერატურული კომუნიკაციების მასალებში ინერგება ისეთი მნიშვნელოვანი მიდგომები, როგორიცაა - *პოსტკოლონიური თეორია, იმაგოლოგია, მეხსიერების კვლევები, ინტერტექსტუალობა და სხვ.* ტრანსლატოლოგია კვლავ ყველაზე მნიშვნელოვან პრობლემად რჩება.

სტატიაში განხილულია ქართულ კულტურულ მენტალობაში ტერმინის – **ლიტერატურული ურთიერთობები** დამკვიდრებისა და ფუნქციონირების, კომპარატივისტიკასთან მისი მისადაგების პრობლემები. გაანალიზდებულია ამ როგორც ქართველ, ისე უცხოელ მეცნიერთა ნაშრომების ერთი მხრივ თეორიულ-მეთოდოლოგიური პრობლემები და კონცეფციები, მეორე მხრივ, ამ ნაშრომების როლი და მნიშვნელობა ოცდამეერთე საუკუნის ქართულ შედარებით ლიტერატურათმცოდნეობაში.

6. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა უცხოეთში

6.1. მონოგრაფიები/წიგნები

№	ავტორი/ავტორები	მონოგრაფიის/წიგნის სათაური, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1 2				
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)				

6.2. სახელმძღვანელოები

№	ავტორი/ავტორები	სახელმძღვანელოს სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1 2				
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)				

6.3. კრებულები

№	ავტორები	კრებულის სახელ-წოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1 2 3				
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)				

6.4. სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI ან ISSN	ჟურნალის/ კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1 2 3					
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)					

7. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

7.1. საქართველოში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	სოფიო ჩხატარაშვილი	„ქართული თემის ფემინიზაცია ლინა კოსტენკოს პოეზიაში“	თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი 2020 წლის 3-5 ივლისი
2	სოფიო ჩხატარაშვილი	„იაკობ გოგებაშვილი უკრაინულ კულტურულ	თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

		კონტექსტში“	2020 წლის 27 ოქტომბერი,
3	სოფიო ჩხატარაშვილი	„ქართველი კაცის სახე ივან დრაჩის ერთი ლექსის მიხედვით“	თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი 2020 წლის 30 ნოემბერი
4	სოფიო ჩხატარაშვილი	„საქართველოს სახე უკრაინულ ლიტერატურაში ანუ მეხსიერება ქვეყნის შესახებ “	თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი 2020 წლის 21 დეკემბერი

მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა)

„ქართული თემის ფემინიზაცია ლინა კოსტენკოს პოეზიაში“

იმ პოეტურ ღირებულებებს რითაც ჩვენთვის საინტერესოა ლინა კოსტენკოს პოეზია, ემატება კიდევ ერთი და ძალიან მნიშვნელოვანი _ უკრაინელი პოეტესას შემოქმედებაში ქართული ჰეტეროსახე.

ჩვენი კვლევის საგანიც ეს არის, რადგან, რა თქმა უნდა, ძალიან სასიამოვნო და მნიშვნელოვანია, როდესაც ქართულ თემას ვხვდებით უცხოელი მწერლის შემოქმედებაში, მაგრამ კიდევ უფრო

მნიშვნელოვანია, თუ რა შესძინა მან აღნიშნული მწერლის მშობლიურ ლიტერატურას. ჩვენი კვლევის საგანია ის პოეტური ნაწარმოებები, რომელთა სიუჟეტში ქართული თემატიკის გაჟღერებამ ალუზიის, სესხებისა თუ მიბაძვის ფორმებით გაამდიდრა, გაამრავალფეროვნა ახალი თუ უახლესი უკრაინული ლიტერატურული მემკვიდრეობა. რუსთაველის რომანტიკული გმირის სახეში, შესაძლოა, იგულისხმება ნონა გაფრინდაშვილი, რომელიც ჭადრაკში მსოფლიო ჩემპიონი არაერთგზის გახდა.

ამ ამბავს საბჭოთა პრესის ფურცლებზე დიდი რეზონანსი მოჰყვა. უკრაინელი პოეტესა კარგად იცნობს ქართულ ლეგენდარულ ნაწარმოებს ,,ვეფხისტყაოსანს“, მის სიუჟეტს, მის მთავარ გმირებს; ნაწარმოების ქარგას, აგებულებას. ქართველი მოჭადრაკე ლექსში შედარებულია თინათინთან. თინათინი ხომ ჭკუა-გონებით გამორჩეული პერსონაჟია, გასაკვირი არ არის მასთან მსგავსება. სამ მხედარში კი ავთანდილი, ტარიელი და ფრიდონი უნდა ვიგულისხმოთ. ,,ხარ საქართველო და სამეფო სამოსი გშვენის“_ ამ სტრიქონში პოეტის დიდი პატივისცემა მჟღავნდება საქართველოს მიმართ, მისი დამოკიდებულება,

გამარჯვებული, დიადი ქვეყნის მიმართ აღტაცებით აღსავსე ადამიანის დამოკიდებულებაა.
საიდან უნდა სცოდნოდა ლინა კოსტენკოს ,,ვეფხისტყაოსნის“ შინაარსი? გავრცელებულია მოსაზრება (და საკმაოდ სამართლიანადაც), რომ ,,ვეფხისტაყოსნის~ თარგმანებს შორის უკრაინული თარგმანი ერთ-ერთი საუკეთესოა. 1937 წლის დეკემბერში კიევში მოეწყო რუსთაველის იუბილე. ამ პერიოდისთვის მიკოლა ბაჟანს უკვე ნათარგმნი ჰქონდა ,,ვეფხისტყაოსანი“ და უკრაინაში მეტისმეტად პოპულარული იყო. გადაჭარბებული არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ ლინა კოსტენკო გასცნობია ამ ნაწარმოებს და დიიდ გავლენაც მოუხდენია მასზე.

„ქართველი კაცის სახე ივან დრაჩის ერთი ლექსის მიხედვით“

უკრაინელი მწერლისა და პუბლიცისტის, ივან დრაჩის ლექსი ,,ლანჩხუთში“ მეტად მძაფრი სიუჟეტის მქონე ნაწარმოებია. იგი ეძღვნება II მსოფლიო ომიდან სამშობლოში ,,შინმოუსვლელთა“ ხსოვნას. დაწერილია ივან დრაჩის ერთ-ერთი სტუმრობის დროს საქართველოში. ივან დრაჩი მოწიწებითა და პატივისცემით არის გამსჭვალული ომში დაღუპული ქართველი ვაჟკაცების თავგანწირვის მიმართ.

ლექსის სიუჟეტი ლანჩხუთში, შინმოუსვლელთა მემორიალთან ვითარდება. მთავარ პერსონაჟს წარმოადგენს მოხუცი მამა, რომლის შვილი შინ არ დაბრუნებულა. ყურადღებას იქცევს როგორც მისი გარეგნული მახასიათებლები: „თმაჭაღარა, ბერი ქართველი, მოხუცი და მწუხარე მამა, მხსნელი, სავაოფი“, ისე მისი თვისებები: სტუმართმოყვარეობა და გულმოწყალება. ავტორი აღნიშნავს, რომ მოხუცი მამა შვილის ხსოვნას ინახავდა იმგვარად, რომ ეზოში ამოსული ბალახიც კი მორიდებულად გამოიყურებოდა. -

ასეთია ივან დრაჩის თვალით დანახული შვილმკვდარი მამა.

აღსანიშნავია, რომ უკრაინელი სტუმრების მოწიწება, დუმილი პატივის მიგებაა არა მხოლოდ კონკრეტული ვაჟკაცისა, არამედ განზოგადებულია და უკავშირდება მსხვერპლს, რომელიც საქართველომ გაიღო და რომელიც უკრაინის ტერიტორიაზე შეიწირა.

ივან დრაჩი ლექსის დასასრულს იტყვის: „გურულ მზეჭაბუკს უჭირავს მხრებით ჩემი კიევის ცა და ნათელი“. ლანჩხუთის „დალოცვილ დაბად“ მოხსენიება მადლიერების ჟესტია, უდავოდ და მწერლის მხრიდან მორალურ-ეთიკური დამოკიდებულების გამოვლენა. არ შეიძლება არ გაგვახსენდეს ვიტალი კოროტიჩის სიტყვები: ,,რა ვქნა, ვალში ვარ, ვერ ამოვალ საქართველოს დიადი ისტორიისა და ამაყი თანამედროვეობის ვალიდან“.

ლექსის მიხედვით გმირობა შინმოუსვლელისა და გმირობა დიდსულოვანი და ღირსეული მოხუცისა აბსოლუტურად თანაბარმნიშვნელოვანია. ავტორი შთაბეჭდილების ქვეშაა და ომში დაღუპული ჭაბუკის გამო მწუხარება და მისი მოხუცი მამის მიმართ მოკრძალება ერთმანეთს ენაცვლება. ამგვარად, „ლანჩხუთში“ ისტორიულ თემატიკაზე შემქნილი ლექსია, რომელშიც უკრაინელი ავტორის რეცეფციით ქართველი კაცი გმირია ბრძოლის ველზეც და საკუთარ კარ-მიდამოშიც.

„საქართველოს სახე უკრაინულ ლიტერატურაში ანუ მეხსიერება ქვეყნის შესახებ “

საქართველოთი, ქართული კულტურით დაინტერესება უკრაინულ კულტურაში მე-16 საუკუნის მიწურულს, მე-17 საუკუნის დასაწყისს უკავშირდება. უშუალო ლიტერატურული რეცეფციები და კონტაქტები კი მეცხრამეტე საუკუნეში ჩნდება.

მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში „ვეფხისტყაოსნის“ შესწავლა და თარგმნა გადაწყვიტეს საქართველოში გადმოსახლებულმა უკრაინელმა მკვლევრებმა, კირილე-მეთოდეს ძმობის წევრებმა მიკოლა გულაკმა (ავტორია სამეცნიერო კვლევებისა და ლექციების ციკლისა „ვეფხისტყაოსნის“ შესახებ) და ოლექსანდრ ნავროცკიმ (ავტორია „ვეფხისტყაოსნის“ პირველი არასრული თარგმანისა) ანტიიმპერიული ორგანიზაციის „კირილე-მეთოდეს ძმობის“ წევრები ქმნიან „ვეფხისტყაოსნის“ აღქმის პირველ ნიმუშებს უკრაინულ ლიტერატურაში. მ. გულაკის კვლევა შესავალია უკრაინულ რუსთველოლოგიაში, ო. ნავროცკის თარგმანი კი „ვეფხისტყაოსნის“ უკრაინულ ენაზე თარგმნის პირველი მცდელობაა.

მეოცე საუკუნის სამოციან წლებში უკრაინული სამწერლო საზოგადოებისათვის საქართველო არ არის უცხო და შორეული ქვეყანა. გასული საუკუნის ოციან-ოცდაათიან წლებში აქტიურად იწყება ქართული ლიტერატურის თარგმნა უკრაინულ ენაზე (შერჩევითი პოლიტიკით, რასაკვირველია). ორმოცდაათიან წლებში ხშირდება უშუალო კონტაქტები ქართველ და უკრაინელ მწერლებს შორის. თარგმნილ ლიტერატურასთან ერთად იბადება მიძღვნითი ხასიათის ლექსები საქართველოზე, ქართულ კულტურაზე და იწყება მიმოწერა მწერლებს შორის.

მეოცე საუკუნის სამოციან წლებში უკრაინელი მწერლები არ წერენ მხოლოდ შოთა რუსთაველზე, ილიასა და აკაკიზე. მათ აინტერესებთ: ნიკოლოზ ბარათაშვილი, ტიციანი, ფიროსმანი და ა.შ. მათთვის მიმზიდველია საქართველო, სინტერესოა, მაგრამ ამავდროულად ახლობელი და ნაცნობია.

როგორია ქართული სახეები (ხატები, იმიჯები) თანამედროვე უკრაინულ ლიტერატურაში? 2017 წელს საქართველოში ვიზიტისას მარიანა კიანოვსკა წერს ლექსს „Третій Тбіліський міжнародний літературний фестиваль“; 2018 წელს ვასილ მახნოს „Шовковиця у дворі“ ეძღვნება თბილისს.

ორივე ნაწარმოები რეალურ სახეთა მხატვრული და მეტაფორული გააზრებაა. დასახელებულ მწერლებზე დაკვირვებით შეიძლება გამოიყოს საქართველოს სახის ორი მოდელი: ქალი ავტორების მიერ აღქმული ქვეყანა არის: ლამაზი, ძვირფასი, ყველაფრით შემკული, დომინანტი, ძლიერი. დანარჩენ შემთხვევებში ესაა რომანტიკული, სენტიმენტალური სურათი სამშობლოს მსგავსი ქვეყნისა. ქვეყნისა, რომლის ბედი და ისტორია ძალიან ჰგავს უკრაინელთა ბედსა და ისტორიას.

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	ნინო ნასყიდაშვილი	„თავფარავნელი ჭაბუკის“ უკრაინული ინტერპრეტაცია	2020 წლის 3-5 ივლისი, თბილისი, თსუ
2	ნინო ნასყიდაშვილი	ვასილ მახნოს ლექსის „თბილისში“ კომპოზიციური ანალიზი	2020 წლის 27 ოქტომბერი, თბილისი, თსუ
3	ნინო ნასყიდაშვილი	ფოლკლორული ტექსტის მთარგმნელობითი ტრანსფორმაციები „ლექსი ვეფხვისა და მოყმისას“ უკრაინულ თარგმანში	2020 წლის 30 ნოემბერი, თბილისი, თსუ
4	ნინო ნასყიდაშვილი	თარგმნილი, თუ ტრანსნაციონალური ლიტერატურა: ქართულ-უკრაინული კონტექსტი	2020 წლის 21 დეკემბერი, თბილისი, თსუ

მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა)

"თავფარავნელი ჭაბუკის" უკრაინული ინტერპრეტაცია

ხალხური პოეზიის თარგმნა პოეტური თარგმანის იმ ურთულს კატეგორიას მიეკუთვნება, რომლისთვისაც დამახასიათებელია მრავალფეროვანი ენობრივი საშუალებების გამოყენება, იდენტური სიმბოლოებისა და სახეების, ახალი ასოციაციური და სემანტიკური კავშირების შექმნა. ორიგინალის პოეტური ფორმის შინაარსობრივი ასპექტების უკეთ წარმოსაჩენად, აუცილებელია ტექსტის სტილისტიკური მახასიათებლების ოპტიმალური გარდაქმნა.

პოეტური თარგმანის პრინციპებისა და ტექსტის იდენტურობის თვალსაჩინოებისთვის, საინტერესოა ქართული ხალხური ბალადის, „თავფარავნელი ჭაბუკის“ უკრაინული თარგმანი. „თავფარავნელი ჭაბუკი“ — ქართული ხალხური ბალადა. პირველად 1882 წელს ჩაიწერა და მოგვითხრობს ქალისა და თავფარავნელი ჭაბუკის სიყვარულის საოცარ ამბავს, ტრაგიკული დასასრულით. ვ. კოტეტიშვილის აზრით, ბალდა აგებულია ჰეროსა და ლეანდრეს შესახებ ბერძნული მითის სიუჟეტზე.

ქართული ბალადის უკრაინულენოვანი თარგმანი ეკუთვნის მეოცე საუკუნის ცნობილ უკრაინელ მწერალს, ლეონიდ პერვომაისკის (ილია გურევიჩს), რომელიც **1960 წელს** დაიბეჭდა კრებულში «З глибини. Балади народів світу», სათაურით: „Тапараванський юнак“, განმეორებით, თარგმანი გამოსცა გამომცემლობა „დნეპრმა“ 1986 წელს.

პოეტური ნაწარმოების თარგმანის ანალიზის დროს, მნიშვნელოვან ელემენტად განიხილება რითმის საკითხი. უკრაინულ თარგმანში ლექსთწყობის პრინციპები აბსოლუტურად სწორადაა დაცული (გამოყენებულია რვამარცვლიანი რითმა), ხოლო ზაბოლოცკის თარგმანში - ათმარცვლიანი.

„თავფარავნელი ჭაბუკის“ უკრაინული თარგმანი ძალიან მნიშვნელოვანი და საინტერესო მოვლენაა ქართულ-უკრაინულ ლიტერატურულ ურთიერთობებში, ხოლო თავად პერვომაისკის ქართული თარგმანების შესწავლა და გაანალიზება ბევრ საინტერესო ფაქტს წარმოაჩენს.

მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა)

ვასილ მახნოს ლექსის „თბილისში“ კომპოზიციური ანალიზი

მეოცე-ოცდამეერთე საუკუნის უკრაინული ემიგრანტული ლიტერატურის წარმოქმნა და განვითარება პირიტადად ისტორიულ-პოლიტიკური პროცესებით იყო განპირობებული, რასაც წინ უძღოდა პოლიტიკური რეპრესიების საკმაოდ განგრძლივი პერიოდი, გამოწვეული საბჭოთა კავშირის მძაფრად რუსული პროპაგანდით, თავისუფალი აზრის, კრიტიკული ახზროვნებისა შეზღუდვით. უკრაინელი მწერლების - ემიგრანტების პირველი ტალღა ევროპასა და ამერიკაში XIX-XX საუკუნეებში განხორციელდა და ძირიტადად, შორმითი ხასიათი ჰქონდა, ამიტომ, ეს პერიოდი წარმოდგენილია შედარებით მწირი ნაწარმოებებით. ჟანრიც შესაბამისი იყო,

განსაკუთრებით მნიშვნელოვანი და განსხვავებული იყო ემიგრაციის მეორე ტალღა 1920-იანი წლებიდან, როდესაც ქვეყნის ფარგლებს გარეთ შეიქმნა უკრაინული დაჯგუფებები და ცნობილი პრაღის სკოლა (იული ლიპა, ოლენა ტელიგა, ევგენი მალანიუკი და სხვები). ცნობილი ფაქტია, რომ ემიგრანტი მწერლების ნაწარმოებები ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში არ იბეჭდებოდა, არ ისწავლებოდა, რაც არსებითად შეიცვალა საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ. სწორედ ამ პერიოდში შეიქმნა ულას სამჩუკის „მარია“, ვასილ ბარკას „ყვითელი თავადი“ და სხვა.

თანამედროვე უკრაინელი პოეტი და პროზაიკოსი, ვასილ მახნო უკრაინელ ემიგრანტ მწერალთა რიცხვს განეკუთვნება, რომლებიც ემიგრაციაში პოლიტიკური და სოციალური პირობების გამო იძულებულნი გახდნენ სამწერლო მოღვაწეობა ქვეყნბის ფარგლებს გარეთ გაეგრძელებინათ. დაახლოებთ ოცი წლია ვასილ მახნო ნიუ-იორკში ცხოვრობს და მოღვაწეობს. ვასილ მახნოს პოეზია ქართულ ენაზე (ლექსი „ძაფი“ და სხვ.) პირველად 2019 წელს თარგმნა პოეტმა და მთარგმნელმა შოთა იათაშვილმა.

ვასილ მახნოს პოეზიისთვის დამახასიათებელია ახალი სახეების ძიება, ტრანსფორმაციები. მის ლექსებში კლასიკურ რითმებს მარტივად ენაცვლება ვერლიბრი და ეს უკანასკნელი სჭარბობს კიდეც. ხშირად ლექსების სტროფების ნაწილი დაწერილია მკაცრად გარითმული ფორმით და შემდეგ იმდენად ბუნებრივად ერწყმის ვერლიბრი, რთულია გარჩევა. მისთვის ჩვეული ხერხია პოეტურ ნაწარმოებებში ტირეს გამოყენება, რითაც თითქოს ცვლის დეკორაციას, სივრცეს. უკრაინული სიტყვები ხშირად ინგლისურს ერითმება, იქმნება საოცარი ბგერითი ეფექტი. ასევე ოსტატურად იყენებს ბგერწერასაც.

კომპოზიციურად, უაღრესად საინტერესოა ვასილ მახნოს ლექსი „თბილისში“, რომელიც დაიწერა 2019 წელს, თბილისში მოგზაურობის შემდეგ და რომელიც წარმოადგენს პოეტის თვალით დანახულ ძველი თბილისის ფერად და ოდნავ სევდიან სურათს. ლექსი ერთი წვიმიანი თბილისური დილის მოკლე პეიზაჟს აღწერს, ქართულ ენას წვიმისა და მტკვრის ენას უწოდებს, თუთის ხეს შორიდან ეფერება, ვიწრო ქუჩებს მოტკბო ღვინოს ადარებს. მიუხედავად იმისა, რომ ლექსის მასში პოეტისთვის ჩვეული ბგერწერა, საოცარი მუსიკალურობა და ფერთა გამაა გაშლილი.

ფოლკლორული ტექსტის მთარგმნელობითი ტრანსფორმაციები „ლექსი ვეფხვისა და მოყმისას“ უკრაინულ თარგმანში

პოეტური ტექსტის თარგმანი ინტერპრეტაციაა, ხოლო ნებისმიერი ინტერპრეტაციის მიზანია გადალახოს განვლილ კულტურულ ეპოქასა და თავად ინტერპრეტატორს შორის არსებული დისტანცია და მანძილი. ხალხური პოეზიის თარგმნა დროსა და მანძილში ასრებული რიგი მხატვრული და

ფსიქოლოგიური ასპექტების შესწავლისა და გაანალიზების გარდა, თარგმანის შემოქმედებითი ბუნების ფილოსოფიურ გააზრებას საჭიროებს.

1986 წელს კიევში გამომცემოლობა „დნიპრომ“ გამოსცა უკრაინელი პოეტის, პუბლიცისტისა და მთარგმნელის, ლეონიდ პერვომაისკის ნაწამოებების შვიდტომეული, როლის მეხუთე ტომში შევიდა მსოფლიოს ხალხთა ბალადების თარგმანებია, მათ შორის: „ლექსი ვეფხისა და მოყმისა“, თავფარავნელი ჭაბუკი“, შემომეყარა ყოვჩაღი“ და სხვა.

ქართული ხალხური ბალადა „ლექსი ვეფხისა და მოყმისა“ სამონადირეო ეპოსის უძველესი ბალადაა, რომლის პირველი მოკლე ვარიანტი გამოაქვეყნა დავით ხიზანიშვილმა 1887 წელს. დღეისათვის ბალადის 24 ჩანაწერია ცნობილი. ბალადის არქაულ ვერსიას რიტუალური ხასიათი უნდ აჰქონოდა, ხოლო ვრცელ ვარიანტში ვეფხისა და მოყმის ორთაბრძოლის თემას უკავია. როგორც შინაარსით, ასევე სტილისტურად, ბალადა ქართული ტრადიციის ნაყოფია, მასში განსაკუთრებით გამოკვეთილია დაღუპილი გმირის დედის სახე.

ლეონიდ პერვომაისკის თარგმანში მაქსიმალურადაა დაცული ქართული ხლხური ბალადის ფორმა, სტრუქტურა, სტრიქონთა რაოდენობა, თუმცა, შესამჩნევია მნიშვნელოვანი მოდიფიკაციები, ხანდახან დარღვეულია სტრიქტონების ზედაპირული სტრუქტურა, ვხვდებით ლექსიკურ უზუსტობებსაც. მიუხედავად ამისა, ლეონიდ პერვომაისკის თარგმანი უაღრესად მნიშვნელოვანია ქართულ-უკრაინული მთარგმნელობითი ურთიერთობების შესწალის თვალსაზრისითა და მეოცე საუკუნის კულტურათშორისი დიალოგის ზოგადი სტრქუტურის უკეთ წარმოსაჩენად.

თარგმნილი, თუ ტრანსნაციონალური ლიტერატურა: ქართულ-უკრაინული კონტექსტი

ქართულ–უკრაინული ლიტერატურულ ურთიერთობებს საფუძველი უძველესი დროიდან ჩაეყარა. ეპოქალური მნიშვნელობის ავტორთა პირადი და შემოქმედებითი კონტაქტები, ქართული ლიტერატურის რეცეფცია უკრაინაში, რომელსაც თანამედროვე ეტაპზე გლობალური მნიშვნელობა აქვს.

განსაკუთრებით აღსანიშნავია მხატვრული თარგმანის როლი და მნიშვნელობა ქართულ-უკრაინული ლიტერატურული კონტექსტის ჭრილში. ცნობლი ფაქტია, რომ უკრაინული ლიტერატურის თარგმნა საქართველოში მე-17 სუკუნიდან დაიწყო, უკრაინაში - ოდნავ მოგვიანებით. სათარგმნი ტექსტები ძირითადად რელიგიური- ფილოსოფიური ხაიათი იყოს და გარკვეულ მიზნებს ემსახურებოდა. ამგვარდ, იტარგმნა პეტრო მოგილას, დმიტრო ტუპტალოს, ფეოფან პროკოპოვიჩის, სტეპან იაროვსკისა და სხვა მწერლების რამდენიმე ნაწარმოები, რომლებსაც, მკვევრების აზრთ, საკმაოდი დიდი გამოხმაურება მოჰყვა.

ქართველი მწერლების ნაწარმოებების უკრაინულ ენაზე თარგმნა განსაკუტრებით გააქტიურად მეოცე საუკუნეში, როდესაც რამდენჯერმე ითარგმნა და გაოიცა ლია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ვაჟა-ფშაველას ლექსები და პოემები, განსაკუტრებით აღსანიშნავია „ვეფხისტყაოსნის“ თარგმნა და გამოცემა.

თარგმნილი ლიტერატურის ადაპტაცია საქართველოსა და უკრაინაში ეროვნულ ლიტერატურებთან საკმაოდ იოლად და ბუნებრივად მოხდა, რაც რამდენიმე მნიშვნელოვანი ფაქტორით იყო განპირობებული და აღნიშნულმა თარგმანებმა საკმაოდ დიდი როლი შეასრულეს.

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	ივანე მჭედელაძე	ქალაქის სემიოტიკა: „თბილისური ტექსტის“ კულტურული მარკერები პოსტსაბჭოთა პერიოდის	თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი 2020 წლის 3-5 ივლისი

		უკრაინულ ტრაველოგში	
2	ივანე მჭედელაძე	ქართული ლიტერატურა თანამედროვე უკრაინულ კომპარატივისტიკაში: ლუდმილა გრიციკის ქართველოლოგიური კვლევების შესახებ“	თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი 2020 წლის 27 ოქტომბერი
3	ივანე მჭედელაძე	ლიტერატურულ ურთიერთობათა კვლევის პრინციპები და მეთოდოლოგია თანამედროვე ქართულ კომპარატივისტიკაში	თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი 2020 წლის 30 ნოემბერი
4	ივანე მჭედელაძე	ძველი და ახალი pro et contra? ანუ როგორ ვიკვლევ თანამედროვე ქართულ-უკრაინულ ლიტერატურულ წყვილს	თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი 2020 წლის 21 დეკემბერი

მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა)

ქალაქის სემიოტიკა: „თბილისური ტექსტის“ კულტურული მარკერები პოსტსაბჭოთა პერიოდის უკრაინულ ტრაველოგში

კულტურათა კონტაქტებისა და ურთიერთქმედების მრავალმხრივ პროცესში ყალიბდება წარმოდგენა ერთმანეთის (უცხო/სხვის) შესახებ, რომელიც გარდაიქმნება კულტურის ტექსტებში ასახულ სტერეოტიპებად თუ მითებად. პოსტსაბჭოთა/პოსტკოლონიური პერიოდის ქართულ-უკრაინული ურთიერთობების ლიტერატურული რეპრეზენტაცია ერთ-ერთი ყველაზე ნაკლებად შესწავლილი საკითხია, რომელშიც საინტერესოდ აირეკლა კულტურული კომუნიკაციების თავისებურებები.

თანამედროვე ლიტერატურულ დისკურსში აქტუალურია სამოგზაურო ჟანრის ლიტერატურის, ე.წ. ტრაველოგის კვლევის ტენდენციები. ტრაველოგი ერთგვარი სინკრეტული ჟანრია. ეს არის სხვადასხვა ჟანრობრივი ტექსტების ერთობლიობა, რომელშიც მოგზაურის შთაბეჭდილებები გადმოცემულია ჩანაწერების, დღიურების, მოგონებების, წერილების, ავტობიოგრაფიული ჩანაწერების, ნარკვევებისა თუ რეპორტაჟების სახით.

მოხსენებაში განვიხილავ საქართველოს შესახებ შექმნილ თანამედროვე უკრაინულ ლიტერატურულ ტექსტებს. ამ საკითხის კვლევაში განსაკუთრებით მიმზიდველი აღმოჩნდა ე.წ. „თბილისური ტექსტის“ კულტურული მარკერები (ქალაქი-რომანი, ქალაქი, რომელსაც უყვარხარ შენ, შავი თუთა თბილისურ ეზოში და ა.შ.).. შესაბამისად, სემიოტიკური ანალიზის საფუძველზე განვიხილავ ქალაქური ტექსტისთვის დამახასიათებელ ზოგად თავისებურებებათა ტიპოლოგიას და თანამედროვე უკრაინულ სამოგზაურო ლიტერატურაში თბილისის სახე-ხატის აღწერასთან მის მიმართებას.

საკვლევ მასალას წარმოადგენს საქართველოში მოგზაურობის შედეგად შექმნილი სხვადასხვა თაობის, სტილისა და გემოვნების ავტორების - პ. კონონენკოს ლექსები, თანამედროვე უკრაინული ემიგრანტული მწერლობის გამორჩეული წარმომადგენლის, ვასილ მახნოს ჩანაწერები „შავი თუთა ეზოში“, მისი თბილისისადმი მიძღვნილი ლექსები, უკრაინული პოსტმოდერნიზმის ერთ-ერთი ლიდერის, სერგეი ჟადანის თბილისური შთაბეჭდილებები და სხვ...

„უცხოს“, როგორც განსაკუთრებულის, საოცარის აღქმა „საკუთარის“ ფონზე მეტად აქტუალურია სამოგზაურო ლიტერატურაში. აქედან გამომდინარე, იმაგოლოგია, როგორც ლიტერატურული კომპარატივისტიკის ერთ-ერთი განშტოება (დ. ნალივაიკო) კვლევის მთავარი მეთოდოლოგიური და თეორიული ბაზაა.

მოხსენებაში განსაკუთრებულ ყურადღებას დავუთმობ ცნობილი უკრაინელი ჟურნალისტის,

მწერლისა და მოგზაურის, ალექსანდრ ბობოროვნიკოვის თბილისური ტექსტის კულტურულ მარკერებს, ნაწარმოებიდან **„საქართველოს მხარეები, მგლების ქვეყნის ძიებაში“**. საინტერესოა, რომ ეს საკითხი და ტექსტები შეუსწავლელია როგორც ქართულ, ისე უკრაინულ ლიტერატურათმცოდნეობაში.

ჩემი მიზანია აღნიშნულ მასალის სემიოტიკური ანალიზის საშუალებით განვიხილო უკრაინულ კულტურულ მენტალობაში თბილისის შესახებ შექმნილი წარმოდგენების ხასიათი და ტიპოლოგია, მათი წარმოშობა და განვითარება, ისტორიული ცვალებადობა - ტრადიციის გაგრძელება თუ ცვალებადობა.

საკვლევ მასალაზე დაკვირვებით შესაძლებელია დასკვნის გაკეთება - პოსტსაბჭოთა/პოსტკოლონიური უკრაინული ლიტერატურა ერთგვარად საზრდოობს როგორც ნაციონალური ლიტერატურული ტრადიციით და ასევე ხდება მისი კორექტირებაც.

ქართული ლიტერატურა თანამედროვე უკრაინულ კომპარატივისტიკაში: ლუდმილა გრიციკის ქართველოლოგიური კვლევების შესახებ“

ქართველოლოგიური კვლევების ისტორიას უკრაინულ მეცნიერებაში მდიდარი და საინტერესო ისტორია აქვს. ქართული მწერლობითა და კულტურით დაინტერესება მე-19 საუკუნიდან იწყება და უკავშირდება უკრაინულ მეცნიერებაში ორიენტალისტური კვლევების ჩამოყალიბებას. ამ პერიოდიდან მოყოლებული განვითარდა ქართულ-უკრაინული ლიტერატურულ-კულტურული ურთიერთობების ისტორია, ისტორიული წინაპირობებისა და კულტურული კონტექსტების გაანალიზებისა და შესწავლის ტრადიცია.

უკრაინაში ქართველოლოგიური კვლევების ყველაზე აქტიური პერიოდი მეოცე საუკუნის მეორე ნახევარია, როდესაც ჩამოყალიბდა საუნივერსიტეტო სამეცნიერო ტრადიციები. აქ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია უკრაინელი ქართველოლოგის, პროფესორ **ლუდმილა გრიციკის**, მდიდარი და მრავალფეროვანი კვლევები. მისი ნაშრომები ერთ-ერთი მნიშვნელოვანია თანამედროვე უცხოურ ქართველოლოგიაში. მეტად შთამბეჭდავია მეცნიერის მიერ მიგნებული მასალები ქართულ, უკრაინულ და ევროპის სხვადასხვა ქვეყნის არქივებში. ამ მასალებში ქართული მწერლობის რეცეფციის უცნობი და მეტად საინტერესო ფაქტებია ასახული.

ლუდმილა გრიციკის სამეცნიერო ინტერესების სფეროში შედის XIX საუკუნის დასასრულისა და XX საუკუნის დასასწყისის ქართულ-უკრაინული ლიტერატურული ურთიერთობები და ურთიერთმიმართებები. მეოცე საუკუნის სამოცდაათიან წლებში მან დაიცვა ჯერ საკანდიდატო დისერტაცია *„ქართული მხატვრული პროზა თანამედროვე უკრაინულ თარგმანებში“,* მოგვიანებით სადოქტორო - *აღმოსავლეთის ქვეყნების (შუააზია, ამიერკავკასია) ლიტერატურები XX საუკუნის დასაწყისის უკრაინულ ლიტერატურულ პროცესებში.* თარგმნილი აქვს ქართული პროზა და პოეზია, ქართულ ხალხურ ზღაპრები. ლ. გრიციკის ქართველოლოგიური კვლევების თავისებურებებიდან ყურადღებას იპყრობს ლიტერატურათაშორისი კონტაქტების გაანალიზებაში ინტერდისციპლინური, ინოვაციური თეორიული და მეთოდოლოგიური მიდგომების დანერგვა.

უკრაინელი მკვლევარი თითქმის უკვე ნახევარი საუკუნის განმავლობაში მოპოვებულ მდიდარ და უნიკალურ ემპირიულ მასალას განიხილავს ტრადიციულ (კონტაქტოლოგია) და თანამედროვე *(ტიპოლოგია, იმაგოლოგია, ტრანსლატოლოგია, კულტურული ტრანსფერი, კოლონიური და პოსტკოლონიური კვლევები და სხვ.)* კომპარატივისტულ მეთოდოლოგიათა კონტექსტში.

მოხსენებაში განხილულია ცნობილი უკრაინელი მეცნიერის უნიკალური ქართველოლოგიურ კვლევები: როგორც ცალკეულ სტატიები, ისე 2010 წელს გამოცემულ მის ფუნდამენტურ ნარკვევი ***„უკრაინული კომპარატივისტიკა: კონცეპტუალური პროექციები“.*** ამ მონოგრაფიის დიდი ნაწილი ქართული კულტურისა და მწერლობის კვლევას ეთმობა. უკრაინელი მეცნიერის თითქმის უკვე ნახევარსაუკუნოვანი მოღვაწეობა ღირსეულად დაფასდა ქართულ სამეცნიერო და აკადემიურ წრეებში – 2013 წელს მიენიჭა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საპატიო დოქტორის წოდება.

ლიტერატურულ ურთიერთობათა კვლევის პრინციპები და მეთოდოლოგია თანამედროვე ქართულ კომპარატივისტიკაში

შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობის, როგორც სამეცნიერო დისციპლინის, განვითარებაზე დაკვირვება გვიჩვენებს, რომ იგი საქართველოში განსაკუთრებით ინტენსიური გახდა მეოცე საუკუნის

მეორე ნახევრიდან. ლიტერატურული კომპარატივისტიკა, თავისი საწყისი პერიოდიდან იკავებდა შუალედურ პოზიციას ორ მომიჯნავე დისციპლინას - ლიტერატურის ისტორიასა და თეორიას შორის სხვადასხვა ეტაპზე კი იცვლებოდა მისი ვექტორები ხან ისტორიის, ხან თეორიისკენ.

ქართული კომპარატივისტული ნაშრომების გაანალიზებისას იკვეთება ტენდენცია, რომ იგი უკავშირდება ქართულ-საზღვარგარეთული ლიტერატურული ურთიერთობების შესახებ შექმნილ სამეცნიერო ლიტერატურას. ამ პერიოდის სამეცნიერო პროდუქცია სწორედ ლიტერატურის ისტორიის ნაწილია. შესაძლებელია ეს ნაწილი გავიაზროთ, როგორც კომპარატივისტიკის პოზიტივისტური ფაზა, რომელიც საქართველოში გენეტიკურ-კონტაქტოლოგიური კვლევებითაა წარმოდგენილი.

შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობის თეორიისკენ შემობრუნება დაიწყო 80-იანი წლებიდან. ნ. გაფრინდაშვილის, მ. მირესაშვილის და სხვათა ნაშრომებმა გავლენა მოახდინეს როგორც ამ თვალსაზრისით, ასევე თანამედროვე კომპარატივიტიკიაში ლიტერატურულ ურთიერთობათა კვლევის პრინციპებისა და მეთოდოლოგიის დანერგვის კუთხითაც.

პოსტსაბჭოთა პერიოდის ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში აღსანიშნავია ორი მნიშვნელოვანი ვექტორი: ა) ტრადიციული კომპარატივისტიკა-ლიტერატურულ ურთიერთობათა კვლევის ტრადიციული და ინტერდისციპლინური მიდგომები; ბ) ევროპული და ამერიკული სამეცნიერო ლიტერატურის დანერგვა თეორიული ლიტერატურათმცოდნეობის კომპარატივისტულ ასპექტებში. ეს ორი მიმართულება ერთმანეთისგან უფრო განსხვავებული და განცალკევებულია, ვიდრე მიახლოებული.

ურთიერთობათა ამსახველი კვლევები გარკვეული პერიოდის განმავლობაში თითქოს დისკრედიტირებული იყო. თუმცა, როგორც ქართული, ისე უცხოური სამეცნიერო ლიტერატურის ხარისხი და რაოდენობა ადასტურებს, რომ ურთიერთობათა კვლევის პრობლემატიკა უკანასკნელ პერიოდში მეტად აქტუალური გახდა და მიუახლოვდა კულტურის კვლევებს. ლიტერატურული კომუნიკაციების მასალებში ინერგება ისეთი მნიშვნელოვანი მიდგომები, როგორიცაა - *პოსტკოლონიური თეორია, იმაგოლოგია, მეხსიერების კვლევები, ინტერტექსტუალობა და სხვ.* ტრანსლატოლოგია კვლავ ყველაზე მნიშვნელოვან პრობლემად რჩება.

სტატიაში განხილულია ქართულ კულტურულ მენტალობაში ტერმინის – **ლიტერატურული ურთიერთობები** დამკვიდრებისა და ფუნქციონირების, კომპარატივისტიკასთან მისი მისადაგების პრობლემები. გაანალიზდებულია ამ როგორც ქართველ, ისე უცხოელ მეცნიერთა ნაშრომების ერთი მხრივ თეორიულ-მეთოდოლოგიური პრობლემები და კონცეფციები, მეორე მხრივ, ამ ნაშრომების როლი და მნიშვნელობა ოცდამეერთე საუკუნის ქართულ შედარებით ლიტერატურათმცოდნეობაში.

ძველი და ახალი pro et contra? ანუ როგორ ვიკვლევ თანამედროვე ქართულ-უკრაინულ ლიტერატურულ წყვილს

ჩემი კვლევის მიმართულება ეფუძნება თანამედროვე ლიტერატურული კომპარატივისტიკის აქტუალურ პრობლემას – კოლონიურ და პოსტკოლონიურ თეორიასა და მის მართებულ ადაპტაციას პოსტსაბჭოთა პერიოდის ლიტერატურული და კულტურული პროცესების კვლევაში. საკვლევ მასალად შერჩეულია უკანასკნელი ათწლეულების, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომი პერიოდის ქართული და უკრაინული ლიტერატურული დისკურსის ამსახველი მასალა, რომლებშიც ვლინდება როგორც მსგავსი, ასევე ორიგინალური, განსხვავებული მოდელები. მთელი მეოცე საუკუნის განმავლობაში საქართველო და უკრაინა ვითარდებოდა მეტწილად იდენტურ ან მსგავს ისტორიულ და პოლიტიკურ კონტექსტში, რაც აისახა ლიტერატურული პროცესის ფორმირებაზე. ასეთ გარემოში ჩამოყალიბებულმა ლიტერატურულმა პროცესებმა სტიმული მისცა შედარებითი კვლევების შემდგომ განვითარებას.

მეოცე საუკუნის მეორე ნახევრიდან ჰუმანიტარულ კვლევებში განვითარდა პოსტკოლონიური თეორია, რომელიც იმპერიებისა და მათი ყოფილი კოლონიების/პერიფერიების ურთიერთობების შესწავლას გულისხმობდა. ედურად საიდის მიერ დასავლეთში შექმნილი ეს თეორია მეტად საინტერესო და ანგარიშგასაწევი, ამავდროულად ერთ-ერთი ყველაზე საკამათო და აქტუალური ნაშრომი გახდა.

თანამედროვე მეცნიერთა უმეტესობის აზრით, იმპერიების დაშლისა და დეკოლონიზაციის ისტორიულ პროცესებში საბჭოთა კავშირის სახელით ცნობილი იმპერიის დაშლის შემდეგ არსებული ვითარება განიხილება სწორედ კოლონიური და პოსტკოლონიური კვლევების კონტექსტში. შესაბამისად,

მკვლევართა უმეტესობის მიერ პოსტსაბჭოთა პერიოდი ფასდება პოსტკოლონიურ ეპოქად, კულტურულ ურთიერთობათა პრაქტიკაში საბჭოთა მოდელი უახლოვდება ედუარდ საიდის მიერ შემოთავაზებულ "კულტურული იმპერიალიზმის" მოდელს და ვლინდება მისთვის დამახასიათებელი თავისებურებები: იმპერიულ/მეტროპოლიურ ცენტრსა და პერიფერიებს შორის არსებული ასიმეტრიული ურთიერთობები, წინააღმდეგობათა მთელი ჯაჭვი, იმპერიული მითების დეკონსტრუქცია, პოსტკოლონიური იდენტობის, ნაციონალიზმის პრობლემები და სხვ. ნაშრომში გაზიარებულია კულტურის კვლევებში დამკვიდრებული მოსაზრება, რომლის მიხედვითაც თანამედროვე პოსტკოლონიური თეორია ემყარება დეკონსტრუქციისა და დისკურსის ანალიზს.

პოსტსაბჭოთა პერიოდის ქართულ და უკრაინულ ლიტერატურულ დისკურსებზე დაკვირვებამ წარმოაჩინა სწორედ აღნიშნული თეორიის კონტექსტში საკვლევი მასალის განხილვის აქტუალურობა და მართლზომიერება. გამოიკვეთა ასეთი ტიპის კვლევებისთვის დამახასიათებელი პრობლემები: იმპერიული მითების დეკონსტრუქცია და პოსტმოდერნულობა, იდენტობის გააზრების მსგავსი სტრატეგიები: პოლიტიკური და კულტურული პოლუსების ცვლილება, ვესტერნიზაციის პროცესები, ნაციონალიზმის ფორმირება და სხვ. კვლევაში მნიშვნელოვან ადგილს იკავებს ასევე უკანასკნელი ათწლეულების ლიტერატურული პროცესების შედარებით-ისტორიულ ჭრილში განხილვა, ქართული და უკრაინული პოსტმოდერნიზმის თავისებურებების კვლევა როგორც პოსტსაბჭოთა ფენომენის, ისე უნივერსალური პოსტმოდერნისტული კულტურის თვალსაზრისით. პოსტმოდერნული ეპოქის თავისებურებებმა განაპირობა ლოკალური, ნაციონალური ინვარიანტების განხილვის აუცილებლობა. ასეთად წარმოდგენილია "ანდერგრაუნდის კულტურის" წიაღში განვითარებული პროცესები, როგორც პოსტმოდერნულობის მარკერი გარდამავალი პერიოდის საქართველოსა და უკრაინის კულტურულ ნარატივში, ასევე მისი მიმართება ეროვნულ "ლიტერატურულ კანონთან". პრობლემის ამ კუთხით წარმოჩენამ განაპირობა ორივე ქვეყნის კულტურული გამოცდილების – მოდერნიზმისა და პოსტმოდერნიზმის – ურთიერთმიმართების ანალიზი ტიპოლოგიური კვლევის საფუძველზე.

კვლევის ერთ-ერთ ცენტრალურ პრობლემად დასახულია კულტურული ტრავმის სიმპტომები, რომელიც განპირობებულია ქართული და უკრაინული ისტორიული პროცესების საერთო და შიდა ფაქტორებით *(ომისა და ჩერნობილის კატასტროფის ასახვა თანამედროვე ქართულსა და უკრაინულ ლიტერატურებში).* ტრავმის კვლევები განხილულია პოსტკოლონიური კრიტიკის ზოგად ტენდენციად.

7.2. უცხოეთში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	სოფიო ჩხატარაშვილი	**„ტარას შევჩენკო ქართველ მწერალთა თვალთახედვით"**	ტარას შევჩენკოს სახელობის კიევის ნაციონალური უნივერსიტეტი 2020 წლის 9-12 მარტი
2	სოფიო ჩხატარაშვილი ივანე მჭედელაძე	„ნარატივების და ღირებულებების გზაჯვარედინზე: ქართულ-უკრაინული ლიტერატურული დიალოგი"	ბორის გრინჩენკოს კიევის უნივერსიტეტი 2020 წლის 8 დეკემბერი

მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა)

„ტარას შევჩენკო ქართველ მწერალთა თვალთახედვით“

მოხსენება ეძღვნება უკრაინელი კლასიკოსის, უკრაინელთათვის უმნიშვნელოვანესი ფიგურის, ტარას შევჩენკოს შემოქმედების განხილვარ ქართული სალიტერატურო სივრცის პრიზმაში.

ტარას შევჩენკოს ნაწარმოებებით დაინტერესებისა და თარგმნისაკენ ქართველ მკითხველს პირველად იაკობ გოგებაშვილმა მოუწოდა. მას შემდეგ არაერთმა ქართველმა მწერალმა თარგმნა ტარას შევჩენკოს ლექსები, ქართულ ჟურნალ-გაზეთებში დაიწერა კრიტიკული წერილები მისი შემოქმედების შესახებ, გამოხმაურებები ტარას შევჩენკოს პოეზიისა თუ იუბილეების შესახებ.

ცალკე თარგმანებად რამდენჯერმე გამოიცა ტარას შევჩენკოს ნაწარმოებები. ქართველ მწერალთა ნამუშევრების გაცნობისას იკვეთება არა მხოლოდ დიდი ინტერესი უკრაინული ლიტერატურის მიმართ, უკრაინელი კობზარის მიმართ, არამედ უცხოეროვნული ლიტერატურის თარგმნის ტენდენციები სხვადასხვა ეპოქაში, სხვადასხვა გარემოში.

ის, თუ როგორ აღიქვამენ ქართველი მწერლები ტაარს შევჩენკოს მნიშვნელობანია არა მხოლოდ ქართული ლიტერატურისათვის, არამედ უკრაინული ლიტერატურით დაინეტერსებული მკითხველისთვისაც.

„ნარატივების და ღირებულებების გზაჯვარედინზე: ქართულ-უკრაინული ლიტერატურული დიალოგი“

როგორც ცნობილია, მეთვრამეტე საუკუნეში მომზადებული ისტორიული გამოცდილების ფონზე ქართული და უკრაინული ლიტერატურული კონტაქტები განსაკუთრებით ინტენსიური ხდება მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრიდან, როდესაც ევროპულ ლიტერატურაში ძლიერდება და რომანტიზმს ანაცვლებს მეორე და უმნიშვნელოვანესი რეალიზმის ლიტერატურული მოდელი. ეს პერიოდი საქართველოსა და უკრაინაში პოლიტიკური თვალსაზრისით განპირობებული მსგავსი კულტურული პროცესებით ხასიათდება. იმპერიული პოლიტიკა ახორციელებს კავკასიისა და უკრაინის, როგორც პერიფერიების მარგინალიზაციას როგორც პოლიტიკურად, ისე კულტურული თვალსაზრისით შესაბამისად ხდება კოლონიის ცნების კლასიკური ინტერპრეტაცია, ყველა დონეზე. სწორედ იმპერიალიზმზე რეაგირების შედეგები, ნაციონალურ-კულტურული იდენტობის დაუღავალი ძიების ტენდენციები და კულტურული იზოლაციიდან გათვისუფლებისკენ სწრაფვა აკავშირებს ამ პერიოდის ქართულ და უკრაინულ ლიტერატურულ დისკურსს.

ლიტერატურულ ასპარეზს იკავებს ახალი თაობა, რომლის უმთავრესი ესთეტიკური და ისტრიული ამოცანა რჩება კოლონიალიზმის დამთრგუნველ პოლიტიკასთან კულტურული მეთოდებით რეაგირების მწევავე მეთოდები. ტენდენციებს ვხვდებით ტარას შევჩენკოსა და მისი თანმოაზრეების, ქართველ სამოციანელთა შემოქმედებაში.

ცნობილმა ტოტალიტარულმა იდეოლოგიამ მოდერნიზაციის უდიდესი ტალღის დეფორმაცია და ლიტერატურის დასახიჩრება გამოიწვია. ქართულ-უკრაინული ურთიერთობები ამ პერიოდში სრულიად დაექვემდებარა იდეოლოგიურ კონტექსტს და კიჩის (მ.კუნდერა) ფენომენის „ხალხთა მეგობრობის“ კონტექსტში ვითარდებოდა. თუმცა, თარგმნელობითი კომუნიკაციები პერიოდში გააქტიურდა და ერთგვარ ჭეშმარიტ შემოქმედებით პროცესად იქცა, რის შედეგადაც არსებობს როგორც ქართული, ისე უკრაინული ლიტერატურის ხარისხიანი თარგმანების მთელი ბიბლიოთეკა.

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	ნინო ნასყიდაშვილი	ტარას შევჩენკოს თარგმანები ქართულ-უკრაინული	2020 წლის 9-12 მარტი, ქ. კიევი, უკრაინა,

		კულტურული დიალოგის ასპექტში	
2	ნინო ნასყიდაშვილი	ლესია უკრაინკას ქართულენოვანი პოეზია: შემოქმედების მთარგმნელობითი ასპექტები	2020 წლის 02-04 ივნისი, ქ. ლუცკი, უკრაინა
3	ნინო ნასყიდაშვილი	უკრაინული ლიტერატურის თარგმანები ქართულ-უკრაინულ ლიტერატურული ურთიერთობების კონტექსტში	2020 წლის 8 დეკემბერი, ქ. კიევი, უკრაინა

ტარას შევჩენკოს თარგმანები ქართულ-უკრაინული კულტურული დიალოგის ასპექტში

ქართულ-უკრაინული ლიტერატურულ-კულტურული დიალოგი წარმოუდგნლია უკრანელი პოეტის, ტარას შევჩენკოს გარეშე.

1939 წელს საქართველოში გამოიცა კობზარის ლექსების თარგმანების პირველი კრებული, სახელწოდებით "კობზარი", რომლის რედაქტორებიც იყვნენ ს. დადიანი და ს. ჩიქოვანი. 1983 წელს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიამ მოამზადა პოეტის ბიბლიოგრაფია, რომელშიც შევიდა საქართველოში გამოქვეყნებული შრომები და ლიტერატურა უკრაინელი პოეტის შესახებ.

ტ. შევჩენკოს ქართველი მკითხველი კარგად იცნობდა ქართულად თარგმნილი მისი პოეზიიდან. თავად შევჩენკორ არასოდეს ყოფილა საქართველოში, მაგრამ მან ბევრი იცოდა ქართველი ხალხის ისტორიული ბედისა და არსებობის შესახებ. ამას მოწმობს აკაკი წერეთლის მოგონებები, რომლებიც პირველად დაიბეჭდა გაზეთ "ამიერკავკასიაში" (ტიფლისი) 1911 წლის 26 თებერვალს (№ 45) ტარას შევჩენკოს გარდაცვალების ორმოცდამეათე წლისთავის აღნიშვნასთან დაკავშირებით.

ცნობილი ქართველი პოეტი ილია ჭავჭავაძე დიდი პატივს სცემდა კობზარის შემოქმედებას, ამიტომ, პეტერბურგიდან საქართველოში დაბრუნებისას, შვჩენკოს პორტრეტი ჩამოიტანა. ტარას შევჩენკოს პირველი ნაშრომები, რომლებიც საქართველოში გამოიცა, სწორედ ილია ჭავჭავაძის გაზეთში დაიბეჭდა პირველად.

თსუ უკრაინისტიკის ინსტიტუტმა რამდენჯერმე გამოსცა ტარას შევჩენკოს ნაწაროებების ორენოვანი კრებული, რომლებშიც შევიდა ახალგაზრდა მთარგმნელების მეირ შესრულებული ახალი თარგმანები და რომლებსაც დდი მნიშვნელობა აქვთ ქართულ-უკრანული ლიტერატურული დიალოგის შესწავლაში.

ლესია უკრაინკას ქართულენოვანი პოეზია: შემოქმედების მთარგმნელობითი ასპექტები

უკრაინელი პოეტი ქალის, ლესია უკრაინკას მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაზე დიდი გავლენა მოახდინა უდიდესი სულიერი კულტურის მქონე უკრაინელი ერის გმირულმა წარსულმა და ტრადიციებმა, რომელიც ჰარმონიულად შეერწყა მსოფლიო ლიტერატურული მემკვიდრეობის შედევრების საკუთარ შემოქმედებაში თავისებურად ასახვას.

ლესია უკრაინკას პოეტური სამყარო მრავალფეროვანი და მდიდარია, ნათლად გამოხატული და ინდივიდუალური, ემოციურად დატვირთული. მისი, როგორც ლირიკოსის ტალანტი ფართოდ იშლება სამოქალაქო პოეზიაში. სამოქალაქო-პოლიტიკური ლირიკის ჯანრების განხილვისას ეპოქის ცნობიერების კონტექსტში, დამაჯერებლობას იძენს ის ფაქტი, რომ პოეტი ქალის წარმოსახვითი ფიქრი ორგაულადაა დაკავშირებული რეალურ ცხოვრებასთან, იმ პერიოდის უმნიშვნელოვანეს მოვლენებთან. რევოლუციური ბრძოლის თემა, სამშობლოს სიყვარული, ხალხის მომავალზე ფიქრი, ხელოვანის დანიშნულებასა და მოვალეობაზე ფიქრი განსაზღვრავს მწერლის შემოქმედების მთავარ პათოსსა მასთან ერთად მხატვრული სახებს.

ლესია ურაინკას პოეტური მემკვიდრეობა გამოცემულია კრებულებში: „სიმღერების ფრთებზე“ (1893), „ფიქრები და ოცნებები“ (1902), „გამომძახილი“ (1913). თავისი სიცოცხლის უკანასკნელ ათ წელიწადში (1903-1913) დაწერა კიდევ დაახლოებით ასი ლექსი, რომელთა ნახევარიც ავტორის სიცოცხლეში არ დაბეჭდილა.

ლექსია უკრაინკას ნაწარმოებები პირველად ითარგმნა და ქართულ ენაზე გამოვიდა 1952 წელს. 1954 წელს ცალკე წიგნად გამოვიდა ლესია უკრაინკას დრამატული პოემა „უღრან ტყეში“, – თარგმნილი ალიო მირცხულავას მიერ. 1963 წელს ჟურნალ ნაკადულში 21-ე გვერდზე დაიბეჭდა ლესია უკრაინკას შროშანი. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ლესია უკრაინკას ნაწარმოებების პირველი ორენოვანი კრებული, სახელწოდებით „სინათლე! სინათლე!“ გამოსცა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა პარალელურად, უკრაინულ და ქართულ ენებზე 1971 წელს.

2007 წელს თსუ უკრაინისტიკის ინსტიტუტმა გამოსცა ლესია უკრაინკას ნაწარმოებების ახალი თარგმანების ორენოვანი კრებული „იმედი“, რომელსაც თან დაერთო ლესია უკრაინკას ეპისტოლარული მეკვიდრეობის გარკვეული ნაწილი, კერძოდ ლესიას პირადი წერილების თარგმანი, რომლებსაც ის აგზავნიდა საქართველოდან (1903-1913) სხვადასხვა ადრესატებთან და რომელთა ნაწილიც პირველად ითარგმნა ქართულ ენაზე.

პარალელურად, უნდა ითქვას, რომ 2008 წელს ხელახლა, უფრო სრული რედაქციითა და დამატებებით გამოვიდა ო. დ. ოგნევას წიგნი – „ლესია უკრაინკას აღმოსავლური ბილიკები“, (სტატიები და მასალები), რომელშიც შესულია ლესია უკრაინკას ნაწარმოებები, შექმნილი აღმოსავლურ სიუჟეტებზე, ძველეგვიპტური ლირიკული სიმღერების გადამღერებები, პოეტი ქალის ლექსების თარგმანები ჩინურ, ტაჯიკურ, თათრულ, ქართულ ენებზე, ასევე ლესიასადმი მიძღვნილი სტატიები.

უკრაინული ლიტერატურის თარგმანები ქართულ-უკრაინულ ლიტერატურული ურთიერთობების კონტექსტში

ლიტერატურული ურთიერთობების შესწავლისა და კვლევაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს მხატვრულ თარგმანს, როგორც ხალთა შორის კომუნიკაციის, უთოერთგაცნობის საშუალებას. არსებობს უამრავი სამეცნიერო სტატია თარგმნის როლზე ეროვნული ლიტერატურის განვითარებაში.

უკრაინული ლიტერატურის თარგმნა მე-17 საუკუნეში დაიწყო და ძირითადად რელიგიური და ფილოსოფიური ხასიათის ნაწარმოებები ითარგმნებოდა. შემდომი პერიოდის თარგმანები ჟანრობრივად გამდიდრდა და ქართველ მკითხვეს საშუალება ჰქონდა უკრანული ლიტერატურის უკვე ქართულ ენაზე გაცნობის შესაძლელობა. ითარგმნა ივან ფრანკოს, ლექსია უკრაინკას, ტარას შევჩენკოს, მიხაილო კოციუბინსკის, პანას მირნის, ოლეს გონჩარის, მიკოლა ბაჟანის, მაქსიმ რილსკის, პავლო ტიჩინას და ბევრი სხვა უკრაინელი მწერლის ნაწარმოებები. თავდაპირველად, თარგმანები სრულდებოდა რუსული თარგმანებიდან, ხოლო მოგვიანებით, მეოცე საუკუნის ორმოცდაათიანი წლებიდან უკვე პირდაპირ დედნიდან ითარგმნებოდა და გაცილებით ზუსტად, როგორც შინაარობრივად, ასევე იდეურად.

უკრაინული ლიტერატურის ქართულ ენაზე თარგმნაში განსაკუთრებული წვლილი მიუძღვის თსუ უკრაინისტიის ინსტიტუტსა და კლუბ „უკრაინას“.

№	მომხსენებელი/	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების

	მომხსენებლები		დრო და ადგილი
1	ივან მჭედელაძე	კლასიკოსების კულტიდან კომემორაციამდე: ტარას შევჩენკოს იუბილეები საქართველოში	ტარას შევჩენკოს სახელობის კიევის ნაციონალური უნივერსიტეტი 2020 წლის 9-12 მარტი
2	ივანე მჭედელაძე სოფიო ჩხატარაშვილი	„ნარატივების და ღირებულებების გზაჯვარედინზე: ქართულ-უკრაინული ლიტერატურული დიალოგი“	ბორის გრინჩენკოს კიევის უნივერსიტეტი 2020 წლის 8 დეკემბერი
3	ივანე მჭედელაძე	თანამედროვე ქართული ლიტერატურის თარგმანები პოსტსაბჭოთა/პოსტკოლონიურ უკრაინულ ლიტერატურულ პროცესში: დეკონსტრუქცია თუ ტრადიციის გაგრძელება?!	პოზნანი-რჟეშუვი, პოლონეთი 2020 წლის 8 დეკემბერი

მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა)

კლასიკოსების კულტიდან კომემორაციამდე: ტარას შევჩენკოს იუბილეები საქართველოში

მოხსენებაში მეხსიერების კვლევათა კონტექსტში განხილულია ტარას შევჩენკოს იუბილეების აღნიშვნის ტრადიცია ქართული კულტურის სემიოტიკურ სივრცეში. ყურადღება გამახვილებულია იმ ასპექტებზე თუ როგორ ხდება კულტურული მეხსირების ნაწილი მწერლის სახედა შემოქმედება. აქედან გამომდინარე, გაანალიზებულია ამ ღონისძიებთან დაკავშირებული უკრაინელი მწერლის შემოქმედების რეცეფციის მრავალფეროვანი ფორმები: დაწყებული პუბლიცისტური სტატიებიდან, ასევე მონოგრაფიული კვლევები, მხატვრული ნაწარმოებები, თარგმანების ისტორია. თავად ეს ფაქტი განხილულია სოვიეტოლოგიურ და პოსტკოლონიურ კვლევებში აღიარებული მიდგმა, კლასიკოსების კულტის კონცეფციის ჭრილში.

„ნარატივების და ღირებულებების გზაჯვარედინზე: ქართულ-უკრაინული ლიტერატურული დიალოგი“

როგორც ცნობილია, მეთვრამეტე საუკუნეში მომზადებული ისტორიული გამოცდილების ფონზე ქართული და უკრაინული ლიტერატურული კონტაქტები განსაკუთრებით ინტენსიური ხდება მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრიდან, როდესაც ევროპულ ლიტერატურაში ძლიერდება და რომანტიზმს ანაცვლებს მეორე და უმნიშვნელოვანესი რეალიზმის ლიტერატურული მოდელი. ეს პერიოდი საქართველოსა და უკრაინაში პოლიტიკური თვალსაზრისით განპირობებული მსგავსი კულტურული პროცესებით ხასიათდება. იმპერიული პოლიტიკა ახორციელებს კავკასიისა და უკრაინის, როგორც პერიფერიების მარგინალიზაციას როგორც პოლიტიკურად, ისე კულტურული თვალსაზრისით შესაბამისად ხდება კოლონიის ცნების კლასიკური ინტერპრეტაცია, ყველა დონეზე. სწორედ იმპერიალიზმზე რეაგირების შედეგები, ნაციონალურ-კულტურული იდენტობის დაუღავალი ძიების ტენდენციები და კულტურული იზოლაციიდან გათვისუფლებისკენ სწრაფვა აკავშირებს ამ პერიოდის ქართულ და უკრაინულ ლიტერატურულ დისკურსს.

ლიტერატურულ ასპარეზს იკავებს ახალი თაობა, რომლის უმთავრესი ესთეტიკური და ისტრიული ამოცანა

რჩება კოლონიალიზმის დამთრგუნველ პოლიტიკასთან კულტურული მეთოდებით რეაგირების მწვავე მეთოდები. ტენდენციებს ვხვდებით ტარას შევჩენკოსა და მისი თანმოაზრეების, ქართველ სამოციანელთა შემოქმედებაში.

ცნობილმა ტოტალიტარულმა იდეოლოგიამ მოდერნიზაციის უდიდესი ტალღის დეფორმაცია და ლიტერატურის დასახიჩრება გამოიწვია. ქართულ-უკრაინული ურთიერთობები ამ პერიოდში სრულიად დაექვემდებარა იდეოლოგიურ კონტექსტს და კიჩის (მ.კუნდერა) ფენომენის „ხალხთა მეგობრობის“ კონტექსტში ვითარდებოდა. თუმცა, თარგმნელობითი კომუნიკაციები პერიოდში გააქტიურდა და ერთგვარ ჭეშმარიტ შემოქმედებით პროცესად იქცა, რის შედეგადაც არსებობს როგორც ქართული, ისე უკრაინული ლიტერატურის ხარისხიანი თარგმანების მთელი ბიბლიოთეკა.

თანამედროვე ქართული ლიტერატურის თარგმანები პოსტსაბჭოთა/პოსტკოლონიურ უკრაინულ ლიტერატურულ პროცესში: დეკონსტრუქცია თუ ტრადიციის გაგრძელება?!

მთარგმნელობითი პროცესი საუკუნეების განმავლობაში შეადგენდა როგორც სულიერ და კულტურულ ღირებულებათა გაცვლის, ისე ლიტერატურული პროცესის განუყოფელ ნაწილს. ისე როგორც ზოგადად, ქართულ-უკრაინულ ლიტერატურულ-კულტურულ დიალოგშიც თარგმანის როლი ყოველთვის განსაკუთრებული და ნაყოფიერი იყო.

ისტორიულ-კულტურული პროცესების ცვლილებები გავლენას ახდენდა კულტურათშორის დიალოგზეც. პოსტსაბჭოთა პერიოდი მეტად საინტერესო, აქტუალური და ერთ-ერთი ყველაზე ნაკლებად შესწავლილია ქართულ-უკრაინულ კონტექსტში. თანამედროვე გლობალიზაციის პირობებში, შეიცვალა კულტურული საზღვრების ცნებაცა და სხვადასხვა ეთნოსებს შორის კულტურული ადაპტაციის დაჩქარებაც განაპირობა. ეს პროცესები თავისთავად ახდენენ გავლენას ღირებულებათა სისტემებში მომხდარ ცვლილებებზეც. საბჭოთა კავშირის დაშლამ, პოლიტიკურმა და ეკონომიკურმა კრიზისებმა, მთარგმნელობით პროცესზე სახელმწიფო მხარდაჭერის გაუქმებამ გარკვეულწილად დააზარალა პროცესი, რადგან ქართული ლიტერატურის თარგმნის ბუმი სწორედ საბჭოთა პერიოდზე მოდის. წარმოიქმნა ერთგვარი დეკონსტრუქციაც.

მოხსენებაში საგანგებო ყურადღებაა გამახვილებული თანამედროვე ქართულ ლიტერატურაზე, მისი თარგმნის ტენდენციებზე უკრაინულ ენაზე. საკითხის ამგვარად დაყენება განაპირობებს ფართო კომპარატივისტულ კვლევას - გაანალიზდეს თანამედროვე/პოსტსაბჭოთა ქართული ლიტერატურული პროცესები და მისი მიმართება უკრაინულ ლიტერატურულ კონტექსტთან; ასევე მთარგმნელობითი ტენდენციების განვითარება თანამედროვე უკრაინაში. ამ ფაქტორების გათვალისწინებით გავაანალიზებ თუ რატომ შეიძლება იყოს ქართული ლიტერატურა აქტუალური უკრაინაში, რა ფაქტორები მოქმედებენ პოსტკოლონიური ეპოქის ქართულ-უკრაინული მთარგმნელობითი პროცესების განვითარებაზე, რომელი ნაწარმოებები ითარგმნება და რითია განპირობებული ეს. კვლევამ პასუხი უნდა გასცეს აგრეთვე კითხვას: რა სპეციფიკურ მარკერებს ირეკლავს პოსტკოლონიური პერიოდის ლიტერატურულ ურთიერთობათა პრაქტიკა - შეიძლება თუ არა ვუწოდოთ მას „თარგმანებისა და მეგობრობის“ დეკონსტრუქცია, თუ საბჭოთა პერიოდის ტრადიციის გაგრძელებასთან გვაქვს საქმე.

დამატებითი ინფორმაცია:

1. მიმდინარე წლის 7-13 მარტს სოფიო ჩხატარაშვილი მივლინებით იმყოფებოდა კიევში. მივლინების მიზანი გახლდათ მონაწილეობა ტარას შევჩენკოსადმი მიძღვნილ კონფერენციაში, რომელიც გამართა ტარას შევჩენკოს სახელობის კიევის ნაციონალურმა უნივერსიტეტმა; აგრეთვე მის მიერ

მომზადებული ორენოვანი კრებულის „სამოციანელები“ პრეზენტაცია კიევის ნაციონალურ უნივერსიტეტში უკრაინული აუდიტორიის წინაშე.

მივლინების ფარგლებში სოფიო ჩხატარაშვილს სამუშაო შეხვედრები ჰქონდა ტარას შევჩენკოს სახელობის უკრაინის მეცნიერებათა აკადემიის ლიტერატურის ინსტიტუტის დირექტორთან, აკად. მ. ჟულინსკისთან, ლიტერატურის ინსტიტუტის „სამოციანელთა კვლევის ცენტრის“ ხელმძღვანელთან პროფ. ლიუდმილა ტარნაშინსკასთან, ენათმეცნიერების ინსტიტუტის დირექტორთან აკად. პავლო ჰრიცენკოსთან; აგრეთვე უკრაინელ მეცნიერებთან: მიხაილო ნაენკოსთან, იური კოვალივთან, იგორ ასტაფიევთან, ანატოლი ტკაჩენკოსა და სხვებთან.

მისთვის, როგორც ახალგაზრდა მეცნიერისთვის, ძალიან მნიშვნელოვანი და შედეგიანი იყო აღნიშნული ვიზიტი უკრაინულ სამეცნიერო სივრცეში.

2. სოფიო ჩხატარაშვილმა უხელმძღვანელა 4 სტუდენტს საბაკალავრო ნაშრომის მომზადებისათვის, კონფერენციისთვის მოამზადა 3 სტუდენტი, იყო 1 დოქტორანტის ოპონენტი სადოქტორო ნაშრომის დაცვაზე, 1 სტატიის რეცენზენტი და მონაწილეობა მიიღო 2 სამეცნიერო (მათ შორის 1 საერთაშორისო) კონფერენციის ორგანიზებაში. გახლდათ მთარგმნელის დღისადმი მიძღვნილი სტუდენტთა კონფერენციის ერთ-ერთი სექციის თავმჯდომარე.

3. ნინო ნასყიდაშვილი მივლინებით იმყოფებოდა კიევში უკრაინულ-ქართული ლექსიკონის მომზადების, კორექტირებისა და რედაქტირების თაობაზე. იყო ორი სტუდენტის საბაკალვრო ნაშრომის რეცენზენტი (ქართული ფილოლოგიის ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად), და ერთი დოქტორანტის რეცენზენტი სემინარზე. ასევე ბაკურ სულაკაური გაომცემლობის მიერ გამოცემული დათო ტურაშვილის წიგნის - „ღვინის სამშობლო-საქართველო“ უკრაინული ტექსტის რედაქტორი.

4. ივანე მჭედელაძე მონაწილეობდა სხვადასხვა კონფერენციის ორგანიზებაში, სამაგისტრო და საბაკალავრო ნაშრომების დაცვის პროცესში. მოამზადა და გამოსცა ახალგაზრდა მეცნიერთა მესამე სართაშორისო სიმპოზიუმის მასალები. მონაწილეობა მიიღო ზამთრის საერთაშორისო ქართველოლოგიურ სკოლაში და წაიკითხა მოხსენება „აგათანგელ კრიმსკი და ქართული ლიტერატურა“.

ერთეულს თუ საჭიროდ მიაჩნია, შეუძლია ანგარიშში შეიტანოს სხვა, მისთვის მნიშვნელოვანი აქტივობაც.

ანგარიში წარმოდგენილი უნდა იყოს ნაბეჭდი (2 ეგზემპლარად) და ელექტრონული ვერსიის

(CD-დისკი) სახით.

ანგარიში, რომელიც არ არის შედგენილი ამ დანართის მოთხოვნების შესაბამისად, ექსპერტიზას (შეფასებას) არ ექვემდებარება და შეფასების შემაჯამებელ დოკუმენტში აღინიშნება ფორმულით „არ შეფასდა“.

სკანდინავისტიკის ცენტრი

ანგარიშის ფორმა №2

2020 წელს გაწეული სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ანგარიში

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება
ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის დასახელება
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სკანდინავისტიკის ცენტრი

სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა ხელმძღვანელის მითითებით

პროფ. კახაბერ ლორია (ცენტრის ხელმძღვანელი) ; თამარ კვიჟინაძე; ჰანნა სანდბორგ (2020 წლის შემოდგომის სემესტრიდან); ნატო კვარაცხელია (2020 წლის გაზაფხულის სემესტრის ჩათვლით) ; ია ბაკურაძე.

1. სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის პერსონალის მიერ შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

1.1.

№	გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	2	3	4
ადამიანის განვითარებაში მწვანე გარემოსთან ერთად ჯანსაღ კვებასაც დიდი მნიშვნელობა აქვს. ამას გარდა 19-ე საუკუნის ღარიბ საქართველოში საკვების მოპოვება და დამზადება ეკონომიკური საკითხიც იყო. ამის გამო მწერალმა ქალმა, ბარბარე ჯორჯაძემ დაწერა წიგნი „ქართული

სამზარეულო და საოჯახო სამეურნეო ნაცადნი ცნობანი“, რომელიც 1874 წელს დაიბეჭდა. 1914 წელს კი იგი , ოდნავ სახეცვლილი, ბარბარეს ქალიშვილმა, მანანა ჯორჯაძე-გეხტმანმა გამოსცა. კვლევის პროცესში კულინარიის სფეროში სხვა ავტორებიც აღმოვაჩინე.

ბუნების შესახებ ცოდნის გავრცელების საქმეში დიდი როლი შეასრულეს ქალების რედაქტორობით და მონაწილეობით გამოცემულმა საყმაწვილო და სამენიერო-ლიტერატურულმა ჟურნალებმა და გაზეთებმა: „ცისკარი“, „ნობათი“, „ჯეჯილი“, „ნაკადული“, „კვალი“ და სხვა.

სრულიად უნიკალურია მოგზაური და საქართველოში მცხოვრები ევროპელი ქალების (ფრედერიკა ფონ ფრაიგანგი, ანა ლისტერი, ბერტა ფინ ზუტნერი, კარლა სერენა, მარჯორი უორდროპი, ოდეტ კენი, ანა დრანსე) მასალები საქართველოში მოგზაურობისა და ცხოვრების შესახებ.

გერმანელ მკვლევართაგან, ვინც ბუნებისმეტყველებას, საქართველოს ბუნების შესწავლას, მწვანე სივრცეების შექმნასა და მოვლა-პატრონობას ემსახურებოდნენ , გამორჩეულინი არიან: გუსტავ ფერდინანდ რიჩარდ რადე, გიორგი გეხტმანი, ოტო ვილჰელმ ჰერმან ფონ აბიხი, ადოლფ ფონ კუპფერი, ნიკოლაია ბუში, პაულ ჰაინრიხ არნოლდ მორიცი, იოჰან მილბერგი, გლებ ფონ ლემლაინი, ანბერტ ჰინცენბერგი, ადოლფ ქრისტიან როლოვი, ჰაინრიხ კარლ ვერნერ შარერი, იოჰან ანტონ გიულდენშტედტი, ევგენი გ. კიონიგი და სხვები.

1918 წელს პირველი ქართული უნივერსიტეტის დაარსებამ და 1918-1921 წლების პირველმა ქართულმა რესპუბლიკამ მნიშვნელოვანი ბიძგი მისცა და საფუძველი ჩაუყარეს საბუნებისმეტყველი მეცნიერებათა განვითარებას, საქართველოს ბუნებისა და კულტურის მეცნიერული შესწავლის საქმეს.

ტყე-პარკების, რეკრეაციული ზონების, დაცული ტერიტორიების, ბოტანიკური ბაღების შექმნის ისტორია საინტერესო მასალას გვაძლევს, როგორც რუსეთის იმპერიის, ისე საბჭოთა პერიოდში. 19-ე საუკუნეში საქართველოს ბუნებას ჰყავდა ქართველი და ევროპელი გულშემატკივრები მეცნიერების, საზოგადო მოღვაწეების, მმართველი წრეების წარმომადგენლების სახით.

პროექტზე მუშაობისას, ჩემთვის მთავარი იყო საქართველოში „მწვანე ისტორიასთან“ დაკავშირებული ძირითადი იდეების და მოღვაწეების წვლილი შეგვესწავლა და ამ საქმეში გერმანელი მკვლევარების და მეცნიერების დამსახურება გვეჩვენებინა . ცხადია, ამ ისტორიის სრულად შესწავლა ბევრად მეტ დროს მოითხოვს, ვიდრე ჩვენ გვქონდა. მაგრამ პროექტის გუნდი მაქსიმალურად შეეცადა, რომ ეს ისტორია საინტერესოდ მოეთხრო მკითხველისათვის.

განსაკუთრებული მადლობა მკვლევარებს: ნინო სატკოევას, ლევან ბრეგაძეს, ნონა კუპრეიშვილს, ცისანა გოდერძიშვილს, ლიანა ოსიშვილს და მელანო გოგოლაძეს. მათ დიდი შრომა გასწიეს საიმისოდ, რომ პროექტი „ქართულ-გერმანული დიალოგის „მწვანე ისტორია“: იდეები და მოღვაწეები“ წარმატებით დასრულებულიყო.

ამ პუბლიკაციის გარდა, საარქივო და წერილობითი დოკუმენტების შესწავლის საფუძველზე, მე მოვამზადე ასზე მეტი ფოტო გამოფენისთვის და სამოცდახუთი საინფორმაციო ბარათი, რამაც საბოლოოდ მიგვაახლოვა მიზანს: გავაცნოთ ეს ისტორია საქართველოს მოქალაქეებს, პუბლიკაციის გავრცელების, გამოფენების ორგანიზების, სკოლებსა და უმაღლესი განათლების სისტემაში ამ მასალის ინტეგრირების გზით.

3. **კრებული: ევროპელი ქალების საქართველო**

მოგზაური ქალების სამყარო ქალთა კულტურის ერთ-ერთი ნაწილია: ყველაზე ვრცელი, მასშტაბური, მრავალფეროვანი და საინტერესო ნაწილი. საუკუნეების განმავლობაში საოჯახო ყოფას მიჯაჭვული ქალებისათვის მოგზაურობა ახალი ცოდნის, გამოცდილების, ინფორმაციის, თავგადასავლის, სიყვარულის პოვნის და შემოქმედებითი განცდის, გადამუშავების ასპარეზად იქცა.

საქართველოსთვის მოგზაური ქალების წვლილი განუზომელია: მათ გაიტანეს ქართული კულტურა თავიანთ ქვეყნებში და ქართველი ქალები შთააგონეს ცოდნისა და შემოქმედების ახალი სივრცეების დასაპყრობად.

19-20-ე საუკუნეებში, იმპერიული რეჟიმის პირობებში, დასავლური ცივილიზაციის წარმომადგენელთა ჩამოსვლას პოლიტიკური მნიშვნელობაც ჰქონდა: უცხოელები ამჩნევდნენ ქართული და დასავლური კულტურების ნათესაობას, რუსული თვითმპყრობელობის უსამართლობას და ეს ინფორმაცია გაჰქონდათ ევროპაში.

მოგზაური ქალების მიერ დანახული საქართველო მნიშვნელოვან მასალას გვაძლებს ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური, სოციალური, პოლიტიკური, ყოფითი , ადათ-წესობრივი, ეკოლოგიური თავისებურებების შესახებ. მათგან პირველი, ფრედერიკა ფრაიგანგი, 1812 წელს ესტუმრა საქართველოს, ხოლო ოდეტ კენი კი - დემოკრატიული რესპუბლიკის აღსასრულის მიჯნაზე, 1920 წელს. ფრედერიკას წიგნი 1823 წელს გამოიცა, ხოლო ოდეტის - 1923 წელს.

ქართული სინამდვილის ამსახველი ეს ტექსტები არაჩვეულებრივად სასარგებლოა ყველასთვის, ვინც ქალების კულტურას იკვლევს. იგი ასევე ძალიან დაეხმარება საქართველოს ისტორიის მკვლევარებს, რომელთაც ინტერდისციპლინური პერსპექტივა აინტერესებთ და არ არიან ჩაკეტილი ვიწრო და მშრალი ისტორიოგრაფიით.

მოგზაური ქალების ტექსტები გამორჩეულად უნიკალური მასალაა გენდერის კვლევის სპეციალისტებისათვის და დიდი შენაძენია ამ დისციპლინის კურიკულუმისათვის, რომელიც ძალიან ღარიბია ქართული ან ქართულად თარგმნილი მნიშვნელოვანი კვლევებით და ტექსტებით.

პროექტის „მოგზაური ქალების საქართველო“ ფარგლებში ითარგმნება 7 ქალის ტექსტი, რომლებიც დალაგებული იქნება საქართველოში მათი მოგზაურობის წლების მიხედვით ქრონოლოგიურად:

1. Frederika von Freygang, Letter from the Caucasus and Georgia, 1812/1823
2. Anne Lister Diaries, 1840
3. Anne Drancey, Les Otages de L'Imam, 1857(წიგნი 1860 წელს გამოვიდა პარიზში)
4. Carla Serena, Excursions in the Caucasus from the Black Sea to the Caspian Sea: 1875-1881
5. Bertha von Suttner, Memoiren, 1876-1885
6. Marjory scott Wardrop, The Life of St. Nino (Oxford, 1900)
7. Odette Keun, Au Pays de la Toison D'or, 1920/ 1923

პროექტის შედეგად გამოცემულ წიგნში შევიდა ამ 7 ავტორის ნაშრომების ის ნაწილები, რომლებიც ყველაზე საინტერესოა ქალების კულტურის და პრობლემატიკის თვალსაზრისით და ასევე აქტუალურია თანამედროვე საქართველოშიც. წიგნი გავრცელდება სამეცნიერო, საგანმანათლებლო, სამოქალაქო ორგანიზაციებში და ბიბლიოთეკებში.

შორენა თურქიაშვილი

5. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში

5.5. სტატიები ISSN-ის მითითებით

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათა-ური, ISSN	ჟურნალის/ კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1 2 3	თურქიაშვილი შორენა	მართლმადიდებლური რელიგიურობა და ოჯახური ცხოვრების ზოგიერთი ასპექტი. ISSN 1512-2530	„ინტელექტუალი“, # 19.2020.	თბილისი საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალი	9
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე) მართლმადიდებლური რელიგიურობა და ოჯახური ცხოვრების ზოგიერთი ასპექტი 1980-იანი წლებიდან საქართველოში მოსახლეობის რელიგიურობა მნიშვნელოვნად გაიზარდა. მოსახლეობის უმრავლესობისათვის რელიგიური ინსტიტუტები წლების განმავლობაში რჩებიან ყველაზე უფრო გავლენიან სოციალურ ორგანიზაციებად. შესაბამისად, საინტერესოა ის გავლენა, რასაც ეს ინსტიტუტი ახდენს ოჯახური ცხოვრების რიგ ასპექტზე. წარმოდგენილი სტატიის ფარგლებში განხილულია მართლმადიდებელ მორწმუნეთა რელიგიურობასა და ოჯახური ცხოვრების ტრადიციულ ფორმებს შორის ასოციაციური კავშირი. თბილისის მართლმადიდებელ მოსახლეობას შორის ჩატარებული რეპრეზენტატული რაოდენობრივი კვლევა ცხადყოფს, რომ რელიგიურობა პოზიტიურად შეჭიდულია ასაკთან, ოჯახურ მდგომარეობასა და ტრადიციულ ღირებულებებთან. თუმცა რელიგიურობასა და ტრადიციულ ღირებულებებს შორის მიზეზ-შედეგობრივ კავშირის დადასტურება რთულია, რადგან უფროსი თაობა ორთოდოქსი რელიგიის მიმდევარი საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ გახდა, ხოლო რესპონდენტები, რომლებიც რელიგიურად მიიჩნევენ თავს, ნაკლებად მისდევენ მართლმადიდებლობისათვის მნიშვნელოვან სულიერ შრომას.				

7. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

7.1. საქართველოში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1 2 3	შორენა თურქიაშვილი	„მართლმადიდებელთა რელიგიურობა და ოჯახური ცხოვრების ზოგიერთი ასპექტი“.	**2020, 24-26 ივლისი,** VIII საერთაშორისო კონფერენცია „სივრცე, საზოგადოება, პოლიტიკა“. ელექტრონული მისამართი: https://www.tsu.ge/data/file_db/faculty_social_political/Program%20and%20Abstracts%20S

			SP%202020.pdf

მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა)

მართლმადიდებლური რელიგიურობა და ოჯახური ცხოვრების
ზოგიერთი ასპექტი

1980-იანი წლებიდან საქართველოში მოსახლეობის რელიგიურობა მნიშვნელოვნად გაიზარდა. მოსახლეობის უმრავლესობისათვის რელიგიური ინსტიტუტები წლების განმავლობაში რჩებიან ყველაზე უფრო გავლენიან სოციალურ ორგანიზაციებად. შესაბამისად, საინტერესოა ის გავლენა, რასაც ეს ინსტიტუტი ახდენს ოჯახური ცხოვრების რიგ ასპექტზე. წარმოდგენილი მოხსენების ფარგლებში განხილულია მართლმადიდებელ მორწმუნეთა რელიგიურობასა და ოჯახური ცხოვრების ტრადიციულ ფორმებს შორის ასოციაციური კავშირი. თბილისის მართლმადიდებელ მოსახლეობას შორის ჩატარებული რეპრეზენტატული რაოდენობრივი კვლევა ცხადყოფს, რომ რელიგიურობა პოზიტიურად შეჭიდულია ასაკთან, ოჯახურ მდგომარეობასა და ტრადიციულ ღირებულებებთან. თუმცა რელიგიურობასა და ტრადიციულ ღირებულებებს შორის მიზეზ-შედეგობრივ კავშირის დადასტურება რთულია, რადგან უფროსი თაობა ორთოდოქსი რელიგიის მიმდევარი საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ გახდა, ხოლო რესპონდენტები, რომლებიც რელიგიურად მიიჩნევენ თავს, ნაკლებად მისდევენ მართლმადიდებლობისათვის მნიშვნელოვან სულიერ შრომას.

ანგარიშის ფორმა №2

2020 წელს გაწეული სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ანგარიში

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება - - - - - - - - - - - - - - - - - -

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის დასახელება -

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საზოგადოებრივი გეოგრაფიის დეპარტამენტი

სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა ხელმძღვანელის მითითებით -

იოსებ სალუქვაძე - პროფესორი, დეპარტამენტის ხელმძღვანელი
ვაჟა ლორთქიფანიძე- პროფესორი
გიორგი გოგსაძე- პროფესორი
რევაზ გაჩეჩილაძე- პროფესორი
თამარ დოლბაია - ასოცირებული პროფესორი
გიორგი კვინიკაძე - ასოცირებული პროფესორი
ანზორ სახვაძე - ასოცირებული პროფესორი
ნინო პავლიაშვილი - ასოცირებული პროფესორი
ვალერიან მელიქიძე - ასოცირებული პროფესორი
ია იაშვილი - ასოცირებული პროფესორი
ვლადიმერ ჩხაიძე - ასისტენტ-პროფესორი

რევაზ გაჩეჩილაძე

5.ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში

5. 2. სახელმძღვანელოები

№	ავტორი/ავტორები	სახელმძღვანელოს სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	რევაზ გაჩეჩილაძე და ავტორთა კოლექტივი, ასოც. პროფ ი. იაშვილის ხელმძღვანელობით	საქართველოს საზოგადოებრივი გეოგრაფია ISBN : 978-9941-13-294-0	თბილისი, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა	334 (საავტორო 16 გვ.)
ვრცელი ანოტაცია (ქართულენაზე)				
დამოუკიდებელი საქართველოს პირობებში პირველად მომზადდა და ელექტრონულად გამოიცა თანამედ-როვე სასწავლო-სამეცნიერო სავალდებულო ლიტერატურა ბაკალავრიატის სტუდენტებისათვის - სახელმ-ძღვანელო საზოგადოებრივ გეოგრაფიაში (https://tsu.ge/ka/publishing-house/single/1187), სადაც მოცემულია სრულყოფილი სასწავლო-სამეცნიერო ინფორმაცია საქართველოს სახელმწიფოს, მისი ბუნებრივი პირო-				

ბებისა და რესურსების, მოსახლეობის, ეკონომიკის დარგებისა და ქვეყნის აქტუალური პრობლემების შესახებ.
სახელმძღვანელოს შესავალი დაწერილია აკად. რევაზ გაჩეჩილაძის მიერ. მასვე ეკუთვნის ერთ-ერთი ქვეთავის - „საქართველო რეგიონულ და გლობალურ კონტექსტში“ - ავტორობა. შესავალში დახასიათებულია საზოგადოებრივი გეოგრაფიის შემადგენელი განშტოებების/მიმართულებების (მოსახლეობის, ეკონომიკური, პოლიტიკური, სოციალური, კულტურის გეოგრაფიის და სხვ.) კვლევის საგანი და მიზნები, განმარტებულია სახელმძღვანელოს სტრუქტურა. ქვეთავში „საქართველო რეგიონულ და გლობალურ კონტექსტში“ განხილულია თანამედროვე გეოპოლიტიკური გამოწვევები საქართველოსათვის, ეთნოკონფლიქტები და ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის პრობლემა. მიმოხილულია საქართველოს ურთიერთობები მის უშუალო მეზობლებთან -- სომხეთთან, აზერბაიჯანთან, თურქეთთან, რუსეთის ფედერაციასთან და, აგრეთვე, ირანთან.

5.5. სტატიებიISSN-ის მითითებით

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ISSN	ჟურნალის/ კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	რევაზ გაჩეჩილაძე	საქართველოს ადგილი მსოფლიოში (გვ. 25-30) [იგივე ინგლისურად: Georgia's Place in the World, (pp. 159-164)] ISBN 978-9941-8-2750-1	„ფიქრები შეცვლილ სამყაროზე“. მოგონებების მაგიერ (ეძღვნება კოტე ზალდასტანიშვილის 60 წლის იუბილეს)	თბილისი, Cezanne	6

ვრცელი ანოტაცია

სტატიაში განხილულია საქართველოს ადგილი მსოფლიოში სხვადასხვა პარამეტრების მიხედვით, რომელთა შორისაა ქვეყნის ზომა, მდებარეობა, დემოგრაფია, ეკონომიკური და სამხედრო პოტენციალი, ქვეყნის ირგვლივ არსებული გეოპოლიტიკური ვითარება. პარამეტრები ხშირად ერთმანეთზეა დამოკიდებული, ისინი დროში ცვალებადია და ყველაზე კარგად შეიძლება შეფასდეს სხვა ქვეყნებთან შედარების საფუძველზე. შეფასებულია დამოუკიდებელი საქართველოს ეკონომიკურ-გეოგრაფიული მდებარეობის პოზიტიური და ნეგატიური მხარეები. გეოპოლიტიკური თვალსაზრისით მნიშვნელოვანია, რომ პატარა ქვეყანამ სწორად აირჩიოს ძლიერი მოკავშირე(ები) და იმისათვის, რომ ინტერესი ორმხრივი გახადოს, კარგად წარმოაჩინოს საკუთარი მნიშვნელობა. აღნიშნულია, რომ საქართველოს მთავარ სტრატეგიულ პარტნიორად აშშ-ის არჩევა სავსებით ლოგიკურია იმ პირობებში, როდესაც ყოფილი მეტროპოლიისგან იგი განუწყვეტლივი წნეხის ქვეშ იმყოფება. ამავე დროს, ევროკავშირში ინტეგრაცია საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობისა და თითქმის ყველა პოლიტიკური ძალის გამოცხადებული მიზანია, ვინაიდან ევროპა არის მსგავსი ფასეულობების, მსგავსი მსოფლმხედველობის მქონე საზოგადოებათა კრებული.

6.ბეჭდური პროდუქციის გამოცემა უცხოეთში

6.4. სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI ან ISSN	ჟურნალის/ კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა	
1	რ. გაჩეჩილაძე	სევრის ხელშეკრულების 100 წლისთავი. (https://www.interpressnews.ge/ka/article/613070-sevris-xelshekrulebis-100-clistavi)	*ინტერპრესნიუსი 10 აგვისტო, 2020*	თბილისი	5	

	ვრცელი ანოტაცია 1920 წლის 10 აგვისტოს ხელმოწერილი „სევრის ხელშეკრულება“ ითვალისწინებდა პირველ მსოფლიო ომში დამარცხებული ოსმალეთის იმპერიის ტერიტორიის დანაწილებას ევროპული სახელმწიფოების -- დიდი ბრიტანეთის, საფრანგეთის, საბერძნეთის, იტალიის -- მიერ და, აგრეთვე, სომხეთის რესპუბიკისათვის დაახლოებით 100 ათასი კვ. კმ ფართობის გადაცემას. „სევრის ხელშეკრულების“ სულისკვეთება და პირობები, საბოლოოდ, კონტრპროდუქტიული აღმოჩნდა. ხელშეკრულების შესრულების ჩაშლა განაპირობა თურქების ეროვნულმა მოძრაობამ, რომელსაც სათავეში ჩაუდგა გენერალი მუსტაფა ქემალი (აქედან „ქემალისტები“). ქემალისტებთან ომში სომხეთის რესპუბლიკის დამარცხებამ ამ უკანასკნელს დააკარგვინა რუსეთის იმპერიისაგან „მემკვიდრეობით მიღებული“ ტერიტორიებიც კი. ქემალისტების შემობრუნებამ კავკასიისაკენ ერთგვარად იმოქმედა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ბედზეც და, გარკვეულად, ხელი შეუწყო სამხრეთ კავკასიაში ბოლშევიკური რუსეთის სამხედრო ინტერვენციას. „სევრის ხელშეკრულება“ არ განხორციელებულა, მაგრამ ერევანსა და სომხურ დიასპორაში მისი 100 წლისთავის აღნიშვნამ გაზარდა გეოპოლიტიკური დაძაბულობა სამხრეთ კავკასიაში.

2	რ. გაჩეჩილაძე	ებრაელები საქართველოში: ისტორიულ-დემოგრაფიული ნარკვევი. [ISSN-0132-6058]	***საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მაცნე,*** *ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოლოგიისა და ხელოვნების ისტორიის სერია.* N 2, 2020 გვ. 118-144	თბილისი	26 გვ
	ვრცელი ანოტაცია სტატიაში განხილულია ებრაელების ანტიკურ ქართლში დამკვიდრების „ფუნქციური ჰიპოთეზა“, კერძოდ მცხეთაში მათი პირველად გამოჩენის შესაძლებლობა, როგორც არამეულისა და ფალაურის მცოდნე ჯგუფისა, ვინც ასრულებდა თარჯიმნის ფუნქციას პართიის სამეფო კარისა და მცხეთის მმართველების კომუნიკაციისათვის ე. წ. „ალოგლოტოგრაფიის“ გამოყენებით. განხილულია ებრაული მოსახლეობის დინამიკა მე-19-მე-20 საუკუნეებში. განსაკუთრებული ყურადღება მიექცა მე-20 საუკუნის პერიოდის საქართველოს ებრაული მოსახლეობის ბუნებრივი და მექანიკური მოძრაობის, მისი სოციალურ-კულტურული განვითარების საკითხებს. განხილულია ებრაული მოსახლეობის საბჭოთა კავშირიდან გასვლის და ისრაელში ემიგრაციის („ალიის“) ეტაპები და ამ პროცესში საქართველოს ებრაელთა მონაწილეობა.			
3	რ. გაჩეჩილაძე	ახლო აღმოსავლეთის ცვალებადი გეოპოლიტიკა. ნაწილი I: ახლო აღმოსავლეთის თანამედროვე პოლიტიკური გეოგრაფიის ჩამოყალიბების საკითხისათვის. (https://www.gfsis.org/files/my-world/28/Geopolitics.pdf)	ჟურნ. *„ჩემი სამყარო“,* N28, 2020, გვ. 4-15	თბილისი	11
	ვრცელი ანოტაცია სტატიაში განხილულია ტერმინების „ახლო აღმოსავლეთი“ და „შუა აღმოსავლეთის“ წარმოშობის დეტალები და მათი ურთიერთმიმართება. მოცემულია რეგიონის გეოპოლიტიკური ისტორიის მოკლე მონახაზი უძველესი დროიდან დღემდე. ნაჩვენებია პირველ მსოფლიო ომამდე ევროპის წაამყვანი სახელმწიფოების (დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი, გერმანია, რუსეთის იმპერია) საგარეო პოლიტიკის როლი ახლო აღმოსავლეთის რეგიონის თანამედროვე პოლიტიკური გეოგრაფიის ჩამოყალიბებაში, კერძოდ, სახელმწიფო საზღვრების ფორმირებაში. დასაბუთებულია, თუ რატომ არის შეუძლებელი „პანარაბიზმის“ პოლიტიკურ ცხოვრებაში რეალიზაცია.			

4.	რ. გაჩეჩილაძე	ახლო აღმოსავლეთის ცვალებადი გეოპოლიტიკა. ნაწილი II: გეოპოლიტიკური მეტოქეობა თანამედროვე ახლო აღმოსავლეთში. (https://www.gfsis.org/files/my-world/29/Geopolitics1.pdf)	ჟურნ. *„ჩემი სამყარო“,* N29, 2020, გვ. 4-15	თბილისი	11

ვრცელი ანოტაცია

სტატიაში მოცემულია თანამედროვე ახლო აღმოსავლეთში გეოპოლიტიკური მეტოქეობის ანალიზი. 1945 წლიდან ამერიკის შეერთებული შტატები იწყებს შეჭრას ადრე დიდი ბრიტანეთის გავლენის სფეროში, რაც კონფრონტაციის გარეშე ხდება. მოგვიანებით, რეგიონში გავლენის მოსაპოვებლად აშშ-ს მკვეთრად დაუპირისპირდა საბჭოთა კავშირი. მაშინ როცა აშშ-ს რეგიონში ჰქონდა ეკონომიკური (ნავთობი) და პოლიტიკური ინტერესები (ისრაელისათვის დახმარების გაწევა), საბჭოთა კავშირის ძირითადი ინტერესი იყო ანტიდასავლური (ფორმალურად „ანტიიმპერიალისტური“) ძალების წახალისება. უკვე 1970-იან წლებში ნათელი გახდა, რომ საბჭოთა კავშირი ამ მეტოქეობაში მარცხდებოდა. „ცივი ომის“დამთავრების შემდეგ, რეგიონში უპირობო ლიდერი გახდა აშშ. მაგრამ 21-ე საუკუნის დასაწყისიდან მისი ლიდერობა სუსტდება. 2003 წელს დასავლეთის ქვეყნების მიერ ერაყში განხორციელებულმა ოპერაციამ დაარღვია რეგიონში არსებული მყიფე გეოპოლიტიკური წონასწორობა, რასაც მოჰყვა რადიკალური ისლამიზმის გააქტიურება და რეგიონში რუსეთის ფედერაციის გამოჩენა (2015 წლიდან).

5.	რ. გაჩეჩილაძე	ყარაბაღის საკითხზე მიღწეული შეთანხმების დეტალები (https://www.interpressnews.ge/ka/article-/629526-qarabagis-sakitxze-migceuli-shetanxmebis-detalebi)	*ინტერპრესნიუსი* 17 ნოემბერი, 2020	თბილისი 6	

ვრცელი ანოტაცია

2020 წლის 9-10 ნოემბერს ხელმოწერილი სამხრივი შეთანხმება მთიან ყარაბაღის ირგვლივ მიმდინარე საბრძოლო მოქმედების შეწყვეტის შესახებ ითვალისწინებს ნახჭევნის ავტონომიიდან აზერბაიჯანის ძირითად ტერიტორიამდე მდინარე არაქსის გასწვრივ, სომხეთის რესპუბლიკის ტერიტორიის გავლით, საბჭოთა პერიოდში არსებული სატრანსპორტო დერეფნის აღდგენას. ამავე დროს, თურქეთის რესპუბლიკა გეგმავს სარკინიგზო ხაზის მიყვანას ქ. ნახჭევნამდე. სტატიაში განხილულია ნახჭევნის ავტონომიის შექმნის პოლიტიკურ-გეოგრაფიული წანამძღვრები (1921 წ.) და გაანალიზებულია 1932 წელს თურქეთ-ირანის სასაზღვრო ტერიტორიების გაცვლის გეოპოლიტიკური მიზნები. მოყვანილია ისტორიული რუკები. გამოტანილია დასკვნა, რომ ახალი სატრანსპორტო დერეფნის შექმნა არც თუ შორეულ მომავალში კონკურენციას გაუწევს საქართველოს ტერიტორიის სატრანზიტო ფუნქციას.

6.	რ. გაჩეჩილაძე	A Historical Geography of Jewish Settlement in Georgia (the Caucasus). [საქართველოში ებრაელთა განსახლების ისტორიული გეოგრაფია] ინგლისურ ენაზე	ჟურნ. *Georgian Geographical Journal* N1. 2020	თბილისი	17

ვრცელი ანოტაცია

1926 წლის მოსახლეობის სრულიად საკავშირო აღწერის მასალების მიხედვით სტატიაში განხილულია ებრაული მოსახლეობის საქართველოში განსახლების ისტორიულ-გეოგრაფიული ასპექტები. 1926 წლის აღწერის მონაცემები გამოირჩევა უფრო მეტი დეტალიზაციით, ვიდრე საბჭოთა კავშირში მომდევნო ათლეულებში ჩატარებული ყველა სხვა აღწერის მასალები და იძლევა საშუალებას განხილული იქნეს მოსახლეობის (მათ შორის ებრაელების) ენობრივი სტრუქტურა ყველა ქალაქის, დაბის და სასოფლო თემის დონეზე. სტატიაში მოყვანილი რუკები იძლევა ნათელ წარმოდგენას ებრაული მოსახლეობის ტრადიციული განსახლების შესახებ და მათი ენობრივი განაწილების შესახებ (ცალცალკეა განხილული ქართულენოვანი ებრაელები და იდიშზე ან რუსულ ენაზე მოლაპარაკე აშკენაზი ებრაელები). ნაჩვენებია, რომ აშკენაზი ებრაელების განსახლების მთავარი არეალი იყო დიდი ქალაქები თბილისი და ბათუმი და, აგრეთვე, ქვემო ქართლი, კერძოდ ქ, ლუქსემბურგი (ამჟამად ბოლნისი). ქართველი ებრაელები უფრო

თანაბრად იყვნენ განაწილებული საქართველოს ტერიტორიაზე: ისინი წარმოადგენდნენ ძირითად ეთნიკურ უმცირესობას ქქ. ქუთაისში, ცხინვალში, ახალციხეში, ონში, აგრეთვე სურამში, კულაშში, ბანძაში, ლაილაშში და ა.შ.

7. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

7.1.საქართველოში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	რ. გაჩეჩილაძე	ცენტრალური ევროპის პოლიტიკური გეოგრაფიისათვის.	VIII საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია *"სივრცე, საზოგადოება, პოლიტიკა"* 26 ივნისი, 2020, თბილისის სახ. უნივერსიტეტი
მოხსენების ანოტაცია (მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა) მოხსენებაში ყურადღება გამახვილებული იყო პირველი მსოფლიო ომის შემდეგ ცენტრალურ ევროპაში ახალი საზღვრების ჩამოყალიბების პრობლემაზე. ომში გამარჯვებულმა „ანტანტამ“ საშუალება მისცა ცენტრალური ევროპის ახალწარმოქმნილ სახელმწიფოებს, უპირველესად ჩეხოსლოვაკიას, რუმინეთს და, ნაკლებად, პოლონეთს გაფართოებულიყვნენ ყოფილი მეტროპოლიების -- ავსტრია-უნგრეთისა და გერმანიის -- ხარჯზე. ახალი საზღვრების ფორმირებისას მოსახლეობის ეთნიკურ შემადგენლობას ნაკლები ყურადღება ექცეოდა. ამიტომაც გერმანული და უნგრული მოსახლეობა მრავლად ცხოვრობდა ჩეხოსლოვაკიის სასაზღვრო რაიონებში. ერთგვარად დაზარალდა პოლონეთიც, რადგან ჩეხოსლოვაკიამ შეიერთა პოლონური მოსახლეობის მქონე ტერიტორიაც (ციეშინი). ეს ვითარება მეორე მსოფლიო ომის დაწყების ერთ-ერთი საბაბი (ან მაპროვოცირებელი ფაქტორი) აღმოჩნდა.		

2020 წელს აკადემიკოსი რევაზ გაჩეჩილაძე გახდა სამეცნიერო ჟურნალის „Georgian Geographical Journal”-ის მთავარი რედაქტორი.

გიორგი გოგსაძე

5.ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში

5. 2. სახელმძღვანელოები

№	ავტორი/ავტორები	სახელმძღვანელოსსახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემისადგილი, გამომცემლობა	გვერდებისრაოდენობა
1	გიორგი გოგსაძე, გიორგი მელაძე.	მიგრაციული პროცესები. თავი სახელმძღვანელოში „საქართველოს	სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი, თსუ, თბილისი	12

2	გიორგი გოგსაძე, დავით სიჭინავა. სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი, თსუ, თბილისი, გვ. 81-85.	საზოგადოებრივი გეოგრაფია“ ISBN 978-9941-13-294-0 (pdf) პოლიტიკური სისტემა და არჩევნები. თავი სახელმძღვანელოში „საქართველოს საზოგადოებრივი გეოგრაფია“ (2020). ISBN 978-9941-13-294-0 (pdf)	https://tsu.ge/assets/media/files/48/nashromebi/Saqartvelos_Sazogadoebrivi_Geografia.pdf https://tsu.ge/assets/media/files/48/nashromebi/Saqartvelos_Sazogadoebrivi_Geografia.pdf	5

1. „მიგრაციული პროცესები“ (ანოტაცია). ეს არის თავი სახელმძღვანელოში „საქართველოს საზოგადოებრივი გეოგრაფია“. მასში განხილულია საქართველოში მიმდინარე თანამედროვე მიგრაციები. თავის დასაწყისში მოცემული მიგრაციის ისტორიული დახასიათება. შემდეგ ნაწილში მოცემული შიდა მიგრაციების ანალიზი. ნაშრომში განსაკუთრებული ადგილი უკავია საერთაშორისო მიგრაციებში ქართველების მონაწილეობას. წარმოჩენილია თუ ზეგავლენას ახდენს შრომითი მიგრაცია ჩვენი ქვეყნის დემოგრაფიული სიტუაციაზე და სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაზე. მეორე მხრივ, ხაზგასმულია მიგრანტების მიერ უცხოეთიდან ფულადი გზავნილების როლი ქართული საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილის ცხოვრებაში.
2. პოლიტიკური სისტემა და არჩევნები. ეს არის თავი სახელმძღვანელოში „საქართველოს საზოგადოებრივი გეოგრაფია“. მასში მოცემულია საქართველოს პოლიტიკური სისტემის ჩამოყალიბების ისტორია, თავისებურებები და გამოწვევები. განსაკუთრებული ადგილი ეთმობა ქვეყანაში დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ ჩატარებული საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნების დახასიათებას და ანალიზს.

ვაჟა ლორთქიფანიძე

5. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში

5.2. სახელმძღვანელოები

№	ავტორი/ავტორები	სახელმძღვანელოს სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	ავტორთა კოლექტივი. სამი პარაგრაფის თანაავტორი	„საქართველოს საზოგადოებრივი გეოგრაფია“	თბილისი, თსუ	სამივე პარაგრაფის გვერდების საერთო რაოდენობა – 32

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

აღნიშნულ თავებში განხილულია:

1. საქართველოს მოსახლეობის განვითარების ისტორიის მოკლე მიმოხილვა, მათზე მოქმედი ბუნებრივი, გეოგრაფიული, სოციალურ-პოლიტიკური და ეკონომიკური ფაქტორები.

2. განხილულია საქართველოს მოსახლეობის სტრუქტურა; სქესობრივ-ასაკობრივი სტრუქტურა. შეფასებულია მათი ცვლილებების დინამიკა, გამომწვევი მიზეზები და შედეგები. ასევე განხილულია მოსახლეობის ეთნიკური და ლინგვისტური სტრუქტურა, მათი განვითარება და მიზეზები, რომლებიც განაპირობებს მათ ცვლილებებს. განხილულია ცვლილებებით გამოწვეული შედეგებიც.

3. განხილულია საქართველოს მოსახლეობის დინამიკა და ბუნებრივი მოძრაობა. ყურადღება გამახვილებულია ბუნებრივი მოძრაობის: შობადობის, მოკვდაობის, ქორწინებათა და განქორწინებათა დინამიკაზე, მათ გამომწვევ მიზეზებსა და შედეგებზე. განხილულია ბუნებრივი მატების პრობლემები თანამედროვე საქართველოში.

5.3. კრებულები

№	ავტორი/ავტორები	კრებულის სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	ვ. ლორთქიფანიძე	დემოგრ. და სოც. პრობლემები №5(9), 2020 წ.	თბილისი	12
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)				
ნაშრომში განხილულია საქართველოში მიმდინარე მიგრაციული პროცესები. განსაკუთრებით მე-20 საუკუნესა და 21-ე საუკუნის დასაწყისის განმავლობაში. განხილულია მათი გამომწვევი მიზეზები, სახეები და გაანალიზებულია შედეგები. აღნიშნულ ფონზე განხილული და გაანალიზებულია საქართველოს მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობა და მასში მიმდინარე ცვლილებები.			

5.5. სტატიები ISSN-ის მითითებით

№	ავტორი/ავტო-რები	სტატიის სათაური, ISSN	ჟურნალის/კრე-ბულის დასახელება და ნომერი/ტომი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	V. Lordkipanidze, B. Khorava, K. Tsimintia	Migration processis in the Principality of Mingrelia...	Bulletin of Georgian National Academy of Sciaences, 2020	Tbilisi	9 გვერდი
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)					
სტატიაში განხილულია ინტენსიური მიგრაციული პროცესები, რომლებიც მიმდინარეობდა სამეგრელოს სამთავროში, განსაკუთრებით მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში. შეფასებულია მათი ინტენსივობა, მიზეზები და შედეგები; როგორ გავლენას ახდენდა ეს პროცესები ქართულ-აფხაზურ ურთიერთობებზე. ცალკეული ფაქტების განხილვის მაგალითზე წარმოჩენილია მათი მნიშვნელობა. ვფიქრობთ, ნაშრომი გარკვეული დასკვნების და ანალიზის საშუალებას იძლევა აფხაზეთში დღეს არსებული კონფლიქტის კონტექსტშიც.					

თამარ დოლბაია

7. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

7.1.საქართველოში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	თამარ დოლბაია	Geographical Features of Transport System Development of Georgia	VIII საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია *"სივრცე, საზოგადოება, პოლიტიკა"* 26 ივნისი, 2020, თბილისის სახ. უნივერსიტეტი

მოხსენების ანოტაცია (მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა)
The transport is a complex system, which ensures sustainable functioning and development of economic and social sectors. After gaining independence its favorable geographic location made Georgia an important part of the European Central Asian transportation corridor and established prerequisites for the country to become the regional transport hub. By economic convergence with the EU Georgia steadily gained the status of transit country that secured its economic advance and stability. The main modes of transport system of Georgia are: rail road, road (automobile) transport, maritime, air and pipeline transport. Almost all types of Georgian transport are involved in transit and import-export operations. Georgia's transport and logistics account for 6.3 percent of the country's gross domestic product (National Statistics Office of Georgia). Within the presentation I will discuss transportation system of Georgia as a tool of country's economic development. For the analysis of the subject I will use the location theory or theories of spatial analysis. The methods of research will be the analysis of secondary data, comparative and statistical analysis. The expansion of Georgia's transport networks is affected by natural-geographical and economic-geographical factors, that namely determine the peculiarities of transport network location and conditions of transport operations. Recently, Georgia's transport infrastructure has been modernized, the road network(automobile) has been rehabilitated, airports have been expanded, railway lines have been renewed, and new port projects have been planned and implemented. Worldwide there is a tendency of increase of intermodal shipments, that means usage of different types of transportation for loads and the development of interconnected infrastructure. In order to improve the transport-logistical efficiency of Georgia, it is necessary to ensure the reliability of the system and intermodal shipments. 40 Georgia has to offer to the rest of the world extended infrastructure, high quality and low-cost service, otherwise it will risk losing its transit cargo, which will flow into competing alternative corridors due to low quality of service and high rates. The prospect of Georgia's transportation system development can be seen within the integrated transport network in the South Caucasus, which is not easy task due to peculiarities of local terrain and conflicts in the region.

გიორგი კვინიკაძე

7. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

7.1. საქართველოში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	ვალერიან მელიქიძე გიორგი კვინიკაძე	უცნაური წყვილები - ეკონომიკური გეოგრაფიისა და გეოეკონომიკის შედარებითი ანალიზი	25-27. 06. / 2020 თბილისი თსუ

Starting approximately from the second half of the 20th century every scientific discipline (being that natural or social science), which is to some extent related to societal development problems, undergoes non-stop transformation. This is not the case of politization or ideologization of these disciplines (whole or their parts). Such happens sooner or later almost automatically. One may cite at least parts 19th century Western European geography or anthropology, which openly served interests of European colonial expansion of that time. The ongoing transformation is of the more fundamental character. As a matter of fact, we deal with formation of a number of disciplines that directly aim at serving interests of government authorities or influential players which (at least formally) are not affiliated with these authorities. These disciplines consult their clients on current and strategic policy making and are directly involved in popularization and implementation of these policies. We feel necessary to mark such research disciplines as a separate class "executive sciences". This group is by no means homogenous. It can be differentiated as follows: • Research

disciplines, which were directly formed based on “top-down” initiatives. Such are, for instance, numerous disciplines associated with sustainable development, green (and by now with blue) economy; • Research disciplines emerging within existing natural science disciplines, which directly serve interests of influential groups within (global?) society. Their retain names of their disciplines, inside which they emerged and develop, although they do not have much to do with the original principles of parent disciplines. Such are for instance concurrent natural and (quasi) social research areas in ecology and climatology; • Research disciplines, which were forming by cloning the preexisting research disciplines within social sciences. These form the strange bedfellows. They do not severe completely all ties with disciplines, through which they emerged, but at the same time attempt to distance themselves as much as possible from the former, in order to emphasize the 48 particular importance, which is ascribed to them in policy development and implementation by international organizations and national governments. Such couples are for example political geography – geopolitics, economic geography-geo-economics. Our presentation aims at analyzing development patterns of strange bedfellows - economic geography and geo-economics, their current state, and to evaluate, how are they related or differentiated depending on concrete goals achieving which they serve.

7.2. უცხოეთში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	გიორგი კვინიკაძე	გეოეკონომიკური სტრატეგია თანამედროვე პანდემიის კონტექსტში / საქართველოს ქეისი /	06.11. / 2020 დნეპრი, უკრაინა
2.	გიორგი კვინიკაძე	საპორტო ქალაქების განვითარება "ლურჯი ეკონომიკის" კონტექსტში / საქართველოს ქეისი /	03-04.12 / 2020 პოზნანი-ჟეშუვი, პოლონეთი

1. წარმოდგენილი ნაშრომი იკვლევს გეოეკონომიკური სტრატეგიის საკითხებს, რისთვისაც გამოყენებულია საქართველოს მაგალითი. ავტორი აანალიზებს გეოეკონომიკური სტრატეგიის საკითხებს მსოფლიოში შექმნილი ახალი რეალობის გათვალისწინებით.

2. აქტუალობა. საპორტო ქალაქი ტრადიციულად განიხილება, როგორც ნავსადგურის ირგვლივ აშენებული ქალაქის ტიპი, რომელიც ქმნის პორტის ფუნქციონირებისთვის საჭირო ინფრასტრუქტურას. ამასთან, სანაპირო ზონის გლობალიზაციის პროცესში ჩართვა ხშირად "აიძულებს" საპორტო ქალაქებს "დაივიწყონ" მათი მთავარი მიზანი და მათი განვითარების ვექტორი სულ სხვა მიმართულებით მიდის. დღეს, ლურჯი ეკონომიკის პოტენციალის გამოყენება ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია ეკონომიკური აქტივობის გასაზრდელად და საპორტო ქალაქებში ცხოვრების დონის გასაუმჯობესებლად.
კვლევის მიზანს წარმოადგენდა საქართველოში საპორტო ქალაქების განვითარების იმ შესაძლებლობების გამოვლენა, რომლებიც ასახულია "ლურჯი ეკონომიკის" კონცეფციაში.
კვლევის საინფორმაციო ბაზა შეადგინა კვლევის პროექტმა "საქართველოს შავი ზღვის სანაპირო პოტენციალის შეფასება (კონტროლირებადი სახელმწიფო) "ლურჯი ეკონომიკის" პრინციპების საფუძველზე, რომელიც ჩატარდა ფოთსა და ბათუმში 2018 წელს. კვლევა. რაოდენობრივი შესწავლისას, ორივე ქალაქში გამოიყენებული იქნა სტრატიფიცირებული კლასტერული ნიმუშის დიზაინი. დისკუსია და დასკვნები. დადგენილია, რომ ბუნებრივის გარდა, ანთროპოგენული ფაქტორები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ქალაქების ტერიტორიული განვითარების შეზღუდვაში. ადგილობრივ მუნიციპალიტეტებს არ აქვთ შესაძლებლობის გაფართოება მიმდინარე პროექტებში, შეზღუდული ფინანსური რესურსის გამო. პორტები უკვე ნაკლებად არიან ჩართულნი ურბანული სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროექტებში.

ია იაშვილი

3. უცხოური გრანტებით დაფინანსებული სამეცნიერო პროექტები

3.2.დასრულებული პროექტი

№	დასრულებული(მრავალწლიანი) პროექტისდასახელებამეცნიერებისდარგისადასამეცნიერომიმართულებისმითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი, დამფინანსებელი ორგანიზაცია/სამეცნიერო ფონდი, ქვეყანა	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	2	3	4
1	Erasmus+ გრანტი სალექციო კურსის წასაკითხად ტურიზმის გეოგრაფიაში ალკალას უნივერსიტეტის (ესპანეთი) ბიზნესის ფაკულტეტზე ტურიზმის სპეციალობის სტუდენტებისათვის	24.02. – 29.02.2020	ია იაშვილი, გრანტიორი
დასრულებულიკვლევითიპროექტის2020 წლის ეტაპისძირითადითეორიულიდაპრაქტიკულიშედეგებისშესახებვრცელიანოტაცია (ქართულენაზე) ერაზმუს+ სტიპენდია მოიცავდა პერიოდს 2020 წლის 24 თებერვლიდან 29 თებერვლის ჩათვლით და ითვალისწინებდა სალექციო კურსის ჩატარებას ალკალას უნივერსიტეტის ბიზნესის ფაკულტეტზე ტურიზმის სპეციალობის ბაკალავრებისათვის (სულ 8 საათი). სალექციო კურსში განხილულ იქნა შემდეგი საკითხები: საქართველოს ბუნებრივი გარემო და ფიზიკურ-გეოგრაფიული პარამეტრები; საქართველოს გეოგრაფიული მდებარეობა, როგორც მისი ეკონომიკური განვითარების სტრატეგიული ფაქტორი; ტურიზმის ინდუსტრია, როგორც საქართველოს ეკონომიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დარგი. რეკრეაციული რესურსები და მათი ათვისების პოტენციალი; ტურიზმის ინდუსტრიის მთავარი მიმართულებები - ღვინის ტურიზმი, ბალნეოლოგიური ტურიზმი; მდგრადი ტურისტული განვითარება და მისი შედეგები საქართველოში. შევხვდი ტურიზმის სპეციალობის აკადემიური გუნდის წევრებს და გავეცანი მათ კურიკულუმს. ასევე გავეცანი სასწავლო ლიტერატურას როგორც ბაკალავრიატის, ასევე მაგისტრატურის პროგრამებისათვის. ხელმისაწვდომი აღმოჩნდა რამდენიმე წყაროს საბიბლიოთეკო ელექტრონული ვერსიაც.		

5.ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში

5. 2. სახელმძღვანელოები

№	ავტორი/ავტორები	სახელმძღვანელოსსახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემისადგილი, გამომცემლობა	გვერდებისრაოდენობა

1	იაშვილი, ი. (რედ) და თსუ საზოგადოებრივი გეოგრაფიის დეპარტამენტის აკადემიური ჯგუფი	საზოგადოებრივი გეოგრაფიის სახელმძღვანელო (ელექტრონული ვერსია) **ISBN 978-9941-13-294-0**	თსუ გამომცემლობა, თბილისი, 2020 https://tsu.ge/ka/publishing-house/single/1187	315 გვ.

ვრცელიანოტაცია (ქართულენაზე)

თსუ-ს სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე, ***საქართველოს საზოგადოებრივი გეოგრაფია*** სავალდებულო კურსია საზოგადოებრივი გეოგრაფიის სპეციალობის ბაკალავრებისათვის და არჩევითია სხვა სპეციალობისა და ფაკულტეტის სტუდენტებისათვის. აღნიშნული სახელწოდებით და შინაარსით სახელმძღვანელო პირველად შეიქმნა.

სახელმძღვანელოში წარმოდგენილია საკითხები, რომლებიც აქტუალურია დღეს, განხილულია ის მიმდინარე დარგობრივი თუ რეგიონული მოვლენები, რომლებიც შეძლებისდაგვარად, წარმოაჩენს ჩვენს ქვეყანას მეზო- ან მაკრო დონეზე (როგორც დადებითი, ასევე ქვეყნისათვის ნაკლებად ხელსაყრელი კუთხით), შეაფასებს საქართველოს ბუნებრივ-გეოგრაფიულ, გეოპოლიტიკურ, დემოგრაფიულ, სატრანსპორტო-ეკონომიკურ, სავაჭრო-საექსპორტო, ჰუმანურ-სოციალურ კაპიტალსა და პოტენციალს და სამეცნიერო კუთხით დაანახვებს სტუდენტებს მათი ქვეყნის ადგილს მსოფლიო პოლიტიკურ თუ სოციალურ-ეკონომიკურ სისტემაში.

თითოეული თავი სრულდება კითხვებითა და დავალებებით განხილული მასალის ირგვლივ.

სახელმძღვანელო შედგება შესავლისა და შვიდი თავისაგან; თემებიდან გამომდინარე, თან ერთვის კარტოგრაფიული მასალა.

შესავალში მოკლედ განხილულია კურსის მიზანი, ამოცანები, დისციპლინის განვითარების/შესწავლის ისტორია საქართველოში.

პირველ თავში მოცემულია საქართველოს ბუნებრივ–გეოგრაფიული პირობებისა და რესურსების ზოგადი დახასიათება და მათი სამეურნეო ათვისების პოტენციალი.

მეორე თავი ეხება საქართველოს ტერიტორიის, მოსახლეობისა და ეკონომიკის ფორმირების პროცესებს ისტორიული გეოგრაფიის კუთხით.

მესამე თავი - პოლიტიკურ–გეოგრაფიული კონტექსტი, ეთმობა თანამედროვე ადმინისტრაციულ–ტერიტორიულ მოწყობასა და საქართველოს საარჩევნო-პოლიტიკური სისტემის გაცნობას.

მეოთხე თავში საუბარია საქართველოს მოსახლეობის დინამიკასა და სტრუქტურაზე, ურბანიზაციასა და განსახლების სისტემებზე.

მეხუთე თავი საქართველოს ეკონომიკურ გეოგრაფიას მოიცავს, სადაც სტუდენტები გაეცნობიან ქვეყნის ეკონომიკის ყველა დარგს. ისინი ამ თავში შეისწავლიან ცალკეული დარგების მნიშვნელობას ქვეყნისათვის და მიიღებენ რეალურ ინფორმაციას საქართველოს ეკონომიკური შესაძლებლობებისა და პოტენციალის შესახებ.

მეექვსე თავი ეძღვნება სოციალური გეოგრაფიის საკითხებს — განათლებას, ვაჭრობას, ჯანდაცვას, სადაზღვევო სისტემებს და ამ სფეროში მიმდინარე რეფორმებსა და თანამედროვე პროცესებს.

მეშვიდე თავში განიხილება ქვეყანაში არსებული პრობლემები და გამოწვევები. თავის ასეთი სტრუქტურა ემსახურება იმას, რომ სტუდენტებმა სწორად აღიქვან საქართველოში მიმდინარე პროცესები, შეძლონ მათი მართებულად შეფასება, გამოიმუშაონ დისკუსიისა და მსჯელობის უნარები და ანალიტიკური მიდგომით გამოიტანონ საკუთარი დასკვნები რეალურად მიმდინარე მოვლენების შესახებ.

5.5. სტატიებიISSN-ის მითითებით

№	ავტორი/ ავტორები	სტატიისსათა-ური, ISSN	ჟურნალის/ კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი	გამოცემისადგილი, გამომცემლობა	გვერდებისრაოდენობა
1	ი. იაშვილი	ტურისტული დანიშნულების მქონე მცირე ლოკაციების განვითარების ტენდენციები აშშ-სა და საქართველოში.	ამერიკისმცოდნეობის მე-10 საერთაშორისო კონფერენციის მასალები	აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი, 2020	10 გვ.

ვრცელიანოტაცია (ქართულენაზე)

დასავლურ ლიტერატურაში განხილულია მოდელები და მეთოდები, რომლითაც მკვლევარები განსაზღვრავენ ადგილობრივ მცხოვრებთა დამოკიდებულებას ტურიზმის ბიზნესის მიმართ. ამ მიდგომით არის შესწავლილი ისეთი მასშტაბური ტურისტული ცენტრები, როგორიცაა ნიუ ორლეანი ლუიზიანაში, ქ. ჩარლსტონი სამხრეთ კაროლინაში და სხვ. უფრო მეტად, მსგავსი კვლევები მიემართება იმ რეგიონებს, რომელთაც ტურისტული ინდუსტრიის განვითარების ხანგრძლივი ისტორია აქვთ (Wang et. al. 2006: 416). მოცემულ სტატიაში, აღნიშნულისგან განსხვავებით, განვიხილავთ მცირე მასშტაბის, ახალი ტურისტული დანიშნულების ადგილის განვითარების ტენდენციებს ჩრდილო კაროლინას შტატში და შევადარებთ მას ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევის შედეგებს საქართველოში, წყალტუბოს მუნიციპალიტეტში, პრომეთეს მღვიმის ტურისტულ კომპლექსზე.

შედარებითი კვლევის ***მიზანია*** იმის დადგენა, თუ როგორია ადგილობრივი მოსახლეობის დამოკიდებულება ტურისტული ბიზნესის მიმართ, რომელიც ახალია მოცემულ არეალში; რა მოლოდინები აქვთ ლოკალური თემის წევრებს და რა სოციალურ–ეკონომიკური სარგებელი შეიძლება მოუტანოს ამ საქმიანობამ, როგორც მცირე დასახლებებს ცხოვრების პირობების გაუმჯობესების კუთხით, ასევე მათ მკვიდრთ.

ნინო პავლიაშვილი

2. შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტით დაფინანსებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

2.1.

№	გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	2	3	4
1.	**პროექტის დასახელება:** „ტურიზმისა და მოსახლეობის მიერ განხორციელებული ეკონომიკური აქტივობების	2018-2020	**ძირითადი ჯგუფი:** იოსებ სალუქვაძე - ხელმძღვანელი;

	ურთიერთკავშირი: მთიანი რეგიონების მდგრადობის ფორმირება“; **სამეცნიერო დარგი და მიმართულება:** სოციალური მეცნიერებები; ინტერდისციპლინური. **საიდენტიფიკაციო კოდი: FR17_485**		თემურ გუგუშვილი - კოორდინატორი, ახალგაზრდა მეცნიერი; გვანცა სალუქვაძე - ახალგაზრდა მეცნიერი; **დამხმარე ჯგუფი:** *ნინო პავლიაშვილი* - კონსულტანტი; იოსებ ხელაშვილი - კონსულტანტი; ნინო დურგლიშვილი - კონსულტანტი; ინგრიდ-უტე ლეონჰოიზერი - კონსულტანტი.
გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2020 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე) კვლევითი პროექტის ჯგუფმა უზრუნველყო გაწერილი სამუშაოების თანმიმდევრულად განხორციელება, რამაც განაპირობა საველე სამუშაოებისათვის საჭირო დოკუმენტებისა და მონაცემთა ბაზების სრულყოფა, მათ შორის მესტიისა და ყაზბეგის მუნიციპალიტეტებში მცხოვრები მოსახლეობის დემოგრაფიული სტრუქტურის ანალიზი. ამასთან, საჯარო უწყებებიდან მოძიებულ იქნა კვლევისათვის აუცილებელი სტატისტიკური ინფორმაცია, რომლის საფუძველზე შეიქმნა ვიზუალური მასალა. პირველი საანგარიშო პერიოდი მოიცავდა მივლინებებსა და ექსპედიციებს ორივე საკვლევ მუნიციპალიტეტში. პროექტის ხელმძღვანელი, კოორდინატორი და ახალგაზრდა მეცნიერი შეხვდნენ ყაზბეგისა და მესტიის მუნიციპალიტეტების წარმომადგენლებს. ორივე მუნიციპალიტეტში განხორციელდა დაინტერესებული მხარეების ინფორმირება კვლევის მიზნის, ამოცანებისა და პროექტის პრაქტიკული ღირებულების შესახებ. აღნიშნული მივლინებების მთავარი შედეგები მათთან ურთიერთობის ჩამოყალიბება და სამომავლოდ დაგეგმილ აქტივობებში მათი მონაწილეობაა. თითოეულ მუნიციპალიტეტში ჩატარდა ექსპედიცია, რის ფარგლებშიც განხორციელდა საპილოტე კვლევა. მესტიასა და ყაზბეგის მუნიციპალიტეტებში ჩატარდა 120 სიღრმისეული და ფოკუსური ინტერვიუ როგორც ადგილობრივ მოსახლეობასთან, ასევე ტურიზმის სფეროს წარმომადგენლებთან.			

3. უცხოური გრანტებით დაფინანსებული სამეცნიერო პროექტები

3.2. დასრულებული პროექტი

№	დასრულებული (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი, დამფინანსებელი ორგანიზაცია/სამეცნიერო ფონდი, ქვეყანა	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	2	3	4
1	"Transdisciplinarity for Sustainable Tourism Development in the Caucasus Region" “ტურიზმის მდგრადი განვითარება კავკასიაში: თანამშრომლობა რეგიონულ ტრანსდისციპლინურ კვლევაში”	1 ივნისი, 2016-1ივნისი, 2020	1. იოსებ სალუქვაძე - მენეჯერი 2. ნოდარ ელიზბარაშვილი - ექსპერტი 3. იოსებ ხელაშვილი - ექსპერტი

	პროექტი: 1176; APPEAR-ავსტრიის განვითარების თანამშრომლობის სამეცნიერო ფონდი (ADA)		4. მერაბ ხოხობაია - აკადემიური ასისტენტი 5. *ნინო პავლიაშვილი - პედაგოგი*

დასრულებული კვლევითი პროექტის 2020 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

პროექტი დაიწყო 2016 წლის 1 ივლისს და დასრულდება 2020 წლის 1 ივლისს. პროექტში ჩართულია 3 ქვეყანა: ავსტრია, საქართველო და სომხეთი. აკადემიური თანამშრომლობა პროექტის პარტნიორებს საშუალებას მისცემს დასახონ მდგრადი განვითარების რეალური პრობლემების გადაჭრის გზები - ფოკუსირდნენ ტურიზმის განვითარებაზე ადგილობრივ პოპულაციასა და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან ერთად. პერსპექტივაში აკადემიური თანამშრომლობა მიზნად ისახავს აქტივობების კოორდინაციის და თანმიმდევრულობის გაუმჯობესებას და კვლევის შედეგების ინტეგრაციას კავკასიის რეგიონში საჯარო პოლიტიკის ფორმირებაში ტურიზმის განვითარების სფეროში.
პროექტის მთავარი მიზანია წვლილი შეიტანოს უნივერსიტეტების შესაძლებლობების განვითარებაში ტრანსდისციპლინურ კვლევებში, კერძოდ:

- ახალი მიდგომების შემოღება:
  - *ქეისებით სწავლების ფორმატი*
  - *ტრანსდიციპლინურობა სწავლებაში და დეპარტამენტებს შორის კოოპერაციაში*

ცოდნისა და გამოცდილების გაცვლა უნივერსიტეტის პოლიტიკასა და საქმიანობაში მრავალფეროვნებისა და თანაბარი შესაძლებლობების მხარდაჭერის მიზნით:

- ახალგაზრდა მკვლევარების მხარდაჭერა.
- უნივერსიტეტისა და ტურიზმის მდგრადი განვითარების სფეროში მომუშავე პრაქტიკოსების კოოპერაციის ხელშეწყობა და ტრანსდიციპლინური მიდგომის გაცნობა, კავკასიის სამეცნიერო ქსელის ტურიზმის შესახებ მასალებით გამდიდრება, მისი სამეცნიერო გეგმებისა და რეგიონული თანამშრომლობის ჩათვლით.

2020 წელს პროექტის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი აქტივობები:

- დამუშავდა ტრანსდისციპლინური კვლევისა და სწავლებისათვის საჭირო მასალები, რომელიც მომზადდა პარტნიორ უნივერსიტეტებთან თანამშრომლობის საფუძველზე. აღნიშნული მასალები იმპლემენტირებულია სწავლების პროცესში მაგისტრატურის საფეხურზე;
- 2018 წელს განხორციელდა ტრანსდისციპლინური მიდგომების საფუძველზე წინასწარ შერჩეულ ლოკაციაზე (სტეფანწმინდა) საველე კვლევითი სამუშაოები, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს მაგისტრატურის საფეხურის (ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი) სტუდენტებმა და აკადემიურმა პერსონალმა.
- სტუდენტების და აკადემიური პერსონალის აქტიური ჩართულობით მომზადდა საველე კვლევის შედეგების შემაჯამებელი ანგარიში, რომელიც წარედგინა შესაბამის დაინტერესებულ ჯგუფებს.

5. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში

5. 2. სახელმძღვანელოები

№	ავტორი/ავტორები	სახელმძღვანელოს სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა

1	პავლიაშვილი ნ. „ტურისტული და რეკრეაციული მეურნეობა“	„საქართველოს საზოგადოებრივი გეოგრაფია“ https://tsu.ge/ka/publishing-house/single/1187 978-9941-13-294-0	თბილისი, თსუ გამომცემლობა, ელექტრონული ვერსია	გვ. 227-240.

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე სალექციო კურსი ***საქართველოს საზოგადოებრივი გეოგრაფია*** სავალდებულოა საზოგადოებრივი გეოგრაფიიის სპეციალობის ბაკალავრებისათვის და არჩევითია სხვა სპეციალობისა და ფაკულტეტის სტუდენტებისათვის. თსუ–ს გარდა, *საქართველოს საზოგადოებრივი გეოგრაფიის* კურსი იკითხება აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ბათუმისა და სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტებში.

აღნიშნული სახელწოდებით და შინაარსით სახელმძღვანელო პირველად შეიქმნა, რომელიც შინაარსითა და სტრუქტურულად ახალი წიგნია.

თითოეული თავი სრულდება კითხვებითა და დავალებებით განხილული მასალის ირგვლივ. სახელმძღვანელო შედგება შესავლისა და შვიდი თავისაგან; თემებიდან გამომდინარე, თან ერთვის კარტოგრაფიული მასალა.

შესავალში მოკლედ განხილულია კურსის მიზანი, ამოცანები, დისციპლინის განვითარების/შესწავლის ისტორია საქართველოში.

პირველ თავში მოცემულია საქართველოს ბუნებრივ–გეოგრაფიული პირობებისა და რესურსების ზოგადი დახასიათება და მათი სამეურნეო ათვისების პოტენციალი.

მეორე თავი ეხება საქართველოს ტერიტორიის, მოსახლეობისა და ეკონომიკის ფორმირების პროცესებს ისტორიული გეოგრაფიის კუთხით.

მესამე თავი, პოლიტიკურ–გეოგრაფიული კონტექსტი, ეთმობა თანამედროვე ადმინისტრაციულ–ტერიტორიულ მოწყობასა და საქართველოს საარჩევნო-პოლიტიკური სისტემის გაცნობას.

მეოთხე თავში საუბარია საქართველოს მოსახლეობის დინამიკასა და სტრუქტურაზე, ურბანიზაციასა და განსახლების სისტემებზე.

მეხუთე თავი საქართველოს ეკონომიკურ გეოგრაფიას მოიცავს, სადაც სტუდენტები გაეცნობიან ქვეყნის ეკონომიკის ყველა დარგს. ისინი ამ თავში შეისწავლიან ცალკეული დარგების მნიშვნელობას ქვეყნისათვის და მიიღებენ რეალურ ინფორმაციას საქართველოს ეკონომიკური შესაძლებლობებისა და პოტენციალის შესახებ.

მეექვსე თავი ეძღვნება სოციალური გეოგრაფიის საკითხებს — განათლებას, ვაჭრობას, ჯანდაცვას, სადაზღვევო სისტემებს და ამ სფეროში მიმდინარე რეფორმებსა და თანამედროვე პროცესებს.

მეშვიდე თავში განიხილება ქვეყანაში არსებული პრობლემები და გამოწვევები. თავის ასეთი სტრუქტურა ემსახურება იმას, რომ სტუდენტებმა სწორად აღიქვან საქართველოში მიმდინარე პროცესები, შეძლონ მათი მართებულად შეფასება, გამოიმუშაონ დისკუსიისა და მსჯელობის უნარები და ანალიტიკური მიდგომით გამოიტანონ საკუთარი დასკვნები რეალურად მიმდინარე მოვლენების შესახებ.

წიგნში წარმოდგენილია მდიდარი კარტოგრაფიული მასალა.

სახელმძღვანელოს თანაავტორთა ჯგუფი მრავალრიცხოვანია. წარმოდგენილი პროექტი გულისხმობს არა მარტო თსუ საზოგადოებრივი გეოგრაფიის მიმართულების მთლიანი აკადემიური გუნდის მონაწილეობას, არამედ საერთაშორისო ურთიერთობათა დეპარტამენტიდან, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის გეოგრაფიის დეპარტამენტიდან და ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტიდან წევრთა ჩართულობას წიგნის შექმნის პროცესში.

პროექტის შედეგია ერთობლივი სახელმძღვანელო, პირველი პრეცენდენტი აღნიშნულ სფეროში, როგორც თანამედროვე, სასწავლო-სამეცნიერო სავალდებულო ლიტერატურა სტუდენტებისათვის.

6. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა უცხოეთში

6.1. მონოგრაფიები/წიგნები

№	ავტორი/ავტორები	მონოგრაფიის/წიგნის სათაური, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	Nino Pavliashvili, Mzia Tutberidze ნ.პავლიაშვილი, მ.თუთბერიძე	Physical Geography of Georgia chapter – “Physical-geographical Features of Tourist Development” საქართველოს ფიზიკური გეოგრაფია (ინგლისურ ენაზე), თავი-ტურისტული მეურნეობის განვითარების ფიზიკურ-გეოგრაფიული წანამძღვრები	Cham (Switzerland), „Springer“ მიღებულია დასაბეჭდად	10

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

საქართველოს განსაკუთრებული ფიზიკურ-გეოგრაფიული პირობები მის ტერიტორიაზე მრავალფეროვანი და გამორჩეული ტურისტულ-რეკრეაციული რესურსების განმსაზღვრელია. ქვეყნის ჯანსაღი კლიმატი, რთული ოროგრაფიული რელიეფი, მრავალფეროვანი ლანდშაფტები, ხშირი ჰიდროგრაფიული ქსელი და შავი ზღვის სანაპირო, სხვადასხვა შემადგენლობის მინერალური წყლები, ტყით დაფარული დიდი ფართობები და დაცული ტერიტორიები, სპელეო-ობიექტები ქმნიან საკურორტო და ტურისტულ-რეკრეაციული რესურსების ერთობლიობას. აღნიშნული მრავალფეროვანი ბუნებრივი რესურსების ბაზაზე საქართველოში პრეზიდენტის ბრძანებულებით და კანონით „ტურიზმის და კურორტების შესახებ“, გამოყოფილია 103 კურორტი და 180-ზე მეტი საკურორტო ადგილი, რომელთაგან ექვსი კურორტი საერთაშორისო მნიშვნელობისაა.

როგორც ყველა ბუნებაზე ორიენტირებული დარგისათვის, ტურიზმის განვითარებისათვის განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ეკოლოგიური ფაქტორი. დიდი მნიშვნელობა აქვს კურორტებზე მინერალური წყაროების გამოსასვლელების, კლიმატური და სხვა რესურსების დაცვას დაბინძურებისაგან. მაღალმთიანი კურორტების ფუნქციონირებას საფრთხეს უქმნის ამ რეგიონებისათვის დამახასიათებელი ბუნებრივი კატასტროფები: ზვავები, მეწყრები, ღვარცოფები.

ფიზგეოგრაფიული პირობები განსაზღვრავენ არა მარტო კურორტის ტიპს და მის სამედიცინო პროფილს, არამედ მისი სივრცითი განვითარების შესაძლებლობებსაც.

საქართველოს ტერიტორიის ფიზიკურ-გეოგრაფიული მახასიათებლები იძლევიან იმის საშუალებას, რომ კურორტების რიცხვი გაიზარდოს, მით უმეტეს, რომ უკვე არსებობს მთელი რიგი ადგილებისა, რომელსაც ოფიციალური წრეები და მოსახლეობა კურორტებს უწოდებს მიუხედავად იმისა, რომ კანონით მიღებულ სიაში ისინი არ ფიგურირებენ.

2016 წლიდან დღემდე – თსუ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საზოგადოებრივი გეოგრაფიის მიმართულების სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი;

2016 წლიდან დღემდე – საქართველოს გეოფრაფიული საზოგადოების ვიცე-პრეზიდენტი.

ვლადიმერ ჩხაიძე

5.ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში

5. 2. სახელმძღვანელოები

№	ავტორი/ავტორები	სახელმძღვანელოს სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	**ივანე ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ავტორთა ჯგუფი, კერძოდ:** **საზოგადოებრივი გეოგრაფიის დეპარტამენტის პროფესურა:** ია იაშვილი (რედაქტორი და თანაავტორი); თანაავტორები: რევაზ გაჩეჩილაძე, იოსებ სალუქვაძე, გიორგი გოგსაძე, ვაჟა ლორთქიფანიძე, ვლადიმერ ჩხაიძე, ანზორ სახვაძე, ნინო პავლიაშვილი, გია კვინიკაძე, ვალერიან მელიქიძე, თამარ დოლბაია **გეოგრაფიის დეპარტამენტის პროფესურა:** ნოდარ ელიზბარაშვილი და გიორგი მელაძე. **საერთაშორისო ურთიერთობათა დეპარტამენტი** ზურაბ დავითაშვილი **ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი:** იოსებ ხელაშვილი	**სახელმძღვანელო „საქართველოს საზოგადოებრივი გეოგრაფია“** ISBN 978-9941-13-294-0 (pdf) ბმული: https://tsu.ge/ka/publishing-house/single/1187	თსუ, საქართველო	300 გვერდი

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზესალექციო კურსი***საქართველოს საზოგადოებრივი გეოგრაფია*** სავალდებულოა საზოგადოებრივი გეოგრაფიიის სპეციალობის ბაკალავრებისათვის და არჩევითია სხვა სპეციალობისა და ფაკულტეტის სტუდენტებისათვის. თსუ–ს გარდა, *საქართველოს საზოგადოებრივი გეოგრაფიის* კურსი იკითხება აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ბათუმისა და სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტებში.

	აღნიშნული სახელწოდებით და შინაარსით სახელმძღვანელო პირველად შეიქმნა, რომელიც შინაარსითა და სტრუქტურულად, ახალი წიგნია. ისტორიულ-გეოგრაფიული დინამიკის გარდა, მთავარი აქცენტი კეთდება არსებულ პრობლემებზე, საუბარია საკითხებზე, რომლებიც აქტუალურია დღეს, განხილულია ის მიმდინარე დარგობრივი თუ რეგიონული მოვლენები, რომლებიც შეძლებისდაგვარად, წარმოაჩენს ჩვენს ქვეყანას მეზო- ან მაკრო დონეზე (როგორც დადებითი, ასევე ქვეყნისათვის ნაკლებად ხელსაყრელი კუთხით), შეაფასებს საქართველოს ბუნებრივ-გეოგრაფიულ, გეოპოლიტიკურ, დემოგრაფიულ, სატრანსპორტო-ეკონომიკურ, სავაჭრო-საექსპორტო, ჰუმანურ-სოციალურ კაპიტალსა და პოტენციალს და სამეცნიერო კუთხით დაანახვებს სტუდენტებს მათი ქვეყნის ადგილს მსოფლიო პოლიტიკურ სისტემაში. თითოეული თავი სრულდება კითხვებითა და დავალებებით განხილული მასალის ირგვლივ. სახელმძღვანელო შედგება შესავლისა და შვიდი თავისაგან; თემებიდან გამომდინარე, თან ერთვის კარტოგრაფიული მასალა. **შესავალში** მოკლედ განხილულია კურსის მიზანი, ამოცანები, დისციპლინის განვითარების/შესწავლის ისტორია საქართველოში. **პირველ თავში** მოცემულია საქართველოს ბუნებრივ–გეოგრაფიული პირობებისა და რესურსების ზოგადი დახასიათება და მათი სამეურნეო ათვისების პოტენციალი. **მეორე თავი** ეხება საქართველოს ტერიტორიის, მოსახლეობისა და ეკონომიკის ფორმირების პროცესებს ისტორიული გეოგრაფიის კუთხით. **მესამე თავი,** პოლიტიკურ–გეოგრაფიული კონტექსტი, ეთმობა თანამედროვე ადმინისტრაციულ–ტერიტორიულ მოწყობასა და საქართველოს საარჩევნო-პოლიტიკური სისტემის გაცნობას. **მეოთხე თავში** საუბარია საქართველოს მოსახლეობის დინამიკასა და სტრუქტურაზე, ურბანიზაციასა და განსახლების სისტემებზე. **მეხუთე თავი** საქართველოს ეკონომიკურ გეოგრაფიას მოიცავს, სადაც სტუდენტები გაეცნობიან ქვეყნის ეკონომიკის ყველა დარგს. ისინი ამ თავში შეისწავლიან ცალკეული დარგების მნიშვნელობას ქვეყნისათვის და მიიღებენ რეალურ ინფორმაციას საქართველოს ეკონომიკური შესაძლებლობებისა და პოტენციალის შესახებ. **მეექვსე თავი** ეძღვნება სოციალური გეოგრაფიის საკითხებს — განათლებას, ვაჭრობას, ჯანდაცვას, სადაზღვევო სისტემებს და ამ სფეროში მიმდინარე რეფორმებსა და თანამედროვე პროცესებს. **მეშვიდე თავში** განიხილება ქვეყანაში არსებული პრობლემები და გამოწვევები. თავის ასეთი სტრუქტურა ემსახურება იმას, რომ სტუდენტებმა სწორად აღიქვან საქართველოში მიმდინარე პროცესები, შეძლონ მათი მართებულად შეფასება, გამოიმუშაონ დისკუსიისა და მსჯელობის უნარები და ანალიტიკური მიდგომით გამოიტანონ საკუთარი დასკვნები რეალურად მიმდინარე მოვლენების შესახებ. წიგნში წარმოდგენილია მდიდარი კარტოგრაფიული მასალა. სახელმძღვანელოს თანაავტორთა ჯგუფი მრავალრიცხოვანია. წარმოდგენილი პროექტი გულისხმობს არა მარტო თსუ საზოგადოებრივი გეოგრაფიის მიმართულების მთლიანი აკადემიური გუნდის მონაწილეობას, არამედ საერთაშორისო ურთიერთობათა დეპარტამენტიდან, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის გეოგრაფიის დეპარტამენტიდან და ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტიდან წევრთა ჩართულობას წიგნის შექმნის პროცესში. პროექტის შედეგია ერთობლივი სახელმძღვანელო, პირველი პრეცენდენტი აღნიშნულ სფეროში, როგორც თანამედროვე, სასწავლო–სამეცნიერო სავალდებულო ლიტერატურა სტუდენტებისათვის.			
2	ვლადიმერ ჩხაიძე, ასისტენტ პროფესორი,	**„გეოგრაფიული ინფორმაციული სისტემები სოციალურ**	თსუ, საქართველო	160 გვერდი

	საზოგადოებრივი გეოგრაფიის მიმართულება, პროექტის ხელმძღვანელი; იოსებ სალუქვაძე, პროფესორი, საზოგადოებრივი გეოგრაფიის მიმართულება; დავით სიჭინავა, ასისტენტ პროფესორი, საზოგადოებრივი გეოგრაფიის მიმართულება; დავით სვანაძე, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებების ფაკულტეტის გის ლაბორატორიის გამგე.	**და პოლიტიკურ კვლევებში”** გადაეცემა თსუ–ს გამომცემლობას 2021 წლის ინავარში		

ვრცელი ანოტაცია

თანამედროვე მეცნიერების სხვადასხვა სფეროებში სივრცითი მონაცემების შერწყმა ინფორმაციულ ტექნოლოგიებთან იძლევა კვლევის, ანალიზისა და ვიზუალიზაციის მძლავრ შესაძლებლობებს, რაც ერთგავარი წინაპირობაა სამეცნიერო დისციპლინების განვითარებისა და ეფექტიანობისათვის. ეს განსაკუთრებით აქტუალურია ცოდნის იმ სფეროებში, სადაც ინფორმაცია დაკავშირებულია გეოგრაფიულ გარემოსთან ანუ გარკვეულ ტერიტორიასთან, სადაც მნიშვნელოვანი ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური პროცესები მიმდინარეობს. შესაბამისად, თანამედროვე სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური კვლევები სულ უფრო ინტენსიურად და ფართოდ იყენებენ ინოვაციურ ტექნოლოგიასა და სისტემას, რაც **გეოგრაფიული ინფორმაციული სისტემების (გის)** სახელითაა ცნობილი. გის ტექნოლოგიის სამეცნიერო კვლევებში ფართოდ დანერგვასთან ერთად მნიშვნელოვანია მისი შესაძლებლობებისა და გამოყენების სწავლება უმაღლეს სასწავლებლებშიც. გის სტუდენტებს აძლევს სივრცითი აზროვნებისა და ანალიზის ხარისხობრივად ახალ უნარებს.

შემოთავაზებული სახელმძღვანელო პირველ რიგში განკუთვნილია სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ბაკალავრიატის სტუდენტებისთვის, განსაკუთრებით საზოგადოებრივი გეოგრაფიის მიმართულების/პროგრამის მონაწილეთათვის, და მოიცავს კურსებს „შესავალი გეოინფორმაციულ სისტემებში“ და „სოციალური კვლევის მეთოდები“.

ასევე, სახელმძღვანელო სასარგებლო იქნება იმ მკვლევართათვის, რომელთაც სურთ თავიანთი საქმიანობის/კვლევების პროცესში დამოუკიდებლად გამოიყენონ გეოგრაფიული

ინფორმაციული სისტემები. სახელმძღვნელოში განხილული საკითხები ფოკუსირებულია უკვე არსებული გეოგრაფიული ინფორმაციის მოძიებასა და მის გამოყენებაზე და ნაკლებად განიხილავს გეოგრაფიული ინფორმაციის შექმნის ტექნიკურ დეტალებს, მაგ. პროგრამირებისა და დიზაინის ასპექტებს, აზომვების ჩატარების ტექნოლოგიებს და სხვა დაკავშირებულ საკითხებს, რაც განსხვავებული დისციპლინების პრეროგატივას წარმოადგენს.

მიუხედავად იმისა, რომ ვლადიმერ ჩხაიძემ და იოსებ სალუქვაძემ წლების წინ დაამუშავეს ე.წ. 'კონსპექტი' გის შემსწავლელი სტუდენტებისათვის, შემოთავაზებულ სახელმძღვანელოს, რომლის მსგავსი ქართულენოვან სამეცნიერო ლიტერატურაში ჯერ არ არის შექმნილი, კონცეპტუალურად და სისრულით განსხვავებულ ნაშრომად მოვიაზრებთ. https://www.tsu.ge/data/file_db/faculty_social_political/chkaidze%20salukvadze%20GIS%20Lectures.pdf

სახელმძღვანელოში განიხილება შემდეგი საკითხები/თემები:

- გის ძირითადი ტერმინების განმარტება (ToR);
- წინასიტყვაობა: ვისთვის არის განკუთვნილი ეს სახელმძღვანელო და რას შესძენს იგი სტუდენტს/მკითხველს (სახელმძღვანელოს მიზანი);
- შესავალი: რა არის გის – გეოგრაფიული ინფორმაციული სისტემების არსი და განვითარების მოკლე მიმოხილვა (მოკლე ისტორიული ექსკურსი);
- (თემა 1) თანამედროვე გეოგრაფია და ინფორმაციული ტექნოლოგიები – რა შესაძლებლობას იძლევა გეოგრაფიის, კატროგრაფიის და ინფორმაციული ტექნოლოგიების შერწყმა;
- (თემა 2) გის საკვანძო ცნებები – რეალურ კოორდინატთა სისტემების ასახვა ვირტუალურ სამყაროში, პროექცია, ძირითადი კომპონენტები (ელემენტარული შემადგენელი ნაწილები: (რასტრული და ვექტორული გამოსახვა, ვერტექსი, წერტილი, ხაზი, პოლიგონი, ლეირი/შრე და ა.შ.);
- (თემა 3) გეოგრაფიული მონაცემები ინფორმაციული ტექნოლოგიების გარემოში: „შეიპ ფაილის" და ატრიბურების ცნებები;
- (თემა 4) გეოგრაფიული ინფორმაციული სისტემა QIS, მოკლე მიმოხილვა, ძირითადი ფუნქციები და გამოყენების სფეროები;
- (თემა 5) გეოგრაფიულ მონაცემთა ბაზის ცნება – უპირატესობები, შესაძლებლობები;
- (თემა 6) არსებული გეოგრაფიული მონაცემების ძიება გის ფორმატში – სად, რა, როგორ (მაგალითები, სავარჯიშო დავალებები);
- (თემა 7) გეოგრაფიული ინფორმაციის ინტეგრირება – სივრცითი ინფორმაციის ინფრასტუქტურა SDI (Spatial Data Infrastructure) - საქართველოს და სხვა ქვეყნების მაგალითები;
- (თემა 8) გის საშუალებით რუკების შექმნა: გის კარტირების პრინციპების აღწერა და განმარტება;
- (თემა 9) მონაცემების სტრუქტურირება, ურთიერთკავშირები და ფუნქციონალობა;
- (თემა 10) სტატიკური და დინამიური რუკები; ინტერაქტიული რუკა ;
- (თემა 11) ანალიტიკური კვლევების მეთოდები და მაგალითები (გეოპროცესინგი, სივრცით მონაცემთა აღწერითი სტატისტიკა (ESDA), სივრცითი ინტერპოლაცია, სივრცითი რეგრესიული მოდელები, ქსელის და ადგილმდებარეობის ანალიზი)
- (თემა 12) გის მოდელირება.

- (თემა 13) მსხვილმასშტაბიანი პრაქტიკული პროექტები გის გამოყენებით (მაგ. საქართველოს კადასტრი, არჩევნების გეოგრაფია, წყალმომარაგების სისტემის ელექტრონული რუკა);
- (თემა 14) გის პროდუქტის შექმნის ხელშემწყობი გარემო/წყაროები (საინტერესო/საჭირო ბმულები: maps.napr.gov.ge;Google Maps, Google Satellite, Google Satellite Hybrid, Google Terrain, Roads, Openstreetmap, NASA Earthdata და სხვ.);
- დასკვნები და სამუშაო რეკომენდაციები;
- გამოყენებული ლიტერატურა.

თემების უმეტესობას თან ერთვის პრაქტიკული მაგალითები და სავარჯიშო დავალებები. სავარჯიშო მაგალითების შესასრულებლად საჭირო ინფორმაცია განთავსებულია ცალკე ფაილად (ბმულის სახით).

ანგარიშის ფორმა №2

2020 წელს გაწეული სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ანგარიში

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება - - - - - - - - - - - - - - - - - - -

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის დასახელება -

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი

სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა ხელმძღვანელის მითითებით -

ზურაბ დავითაშვილი - პროფესორი, დეპარტამენტის ხელმძღვანელი
თორნიკე თურმანიძე - პროფესორი
ნიკოლოზ სამხარაძე - ასოცირებული პროფესორი
დავით მაცაბერიძე - ასოცირებული პროფესორი
ფიქრია ასანიშვილი - ასოცირებული პროფესორი
ეკა აკობია - ასოცირებული პროფესორი

დავით მაცაბერიძე

3. უცხოური გრანტებით დაფინანსებული სამეცნიერო პროექტები

3.2. დასრულებული პროექტი

№	დასრულებული (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი, დამფინანსებელი ორგანიზაცია/სამეცნიერო ფონდი, ქვეყანა	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	2	3	4

საქართველოს პოსტ-საბჭოთა ტრანსფორმაციის გამოწვევები: დემოკრატიზაცია და მისი შიდა და გარე მოწინააღმდეგეები

მოცემულ კვლევაში გაანალიზებულია საქართველოში დემოკრატიზაციის პროცესის გამოწვევები შიდა და გარე საფრთხეების ანალიზის ჭრილში. სამმაგი (Offe, 2004) and ოთმაგი (Kuzio, 2001) ტრანსფორმაციის მოდელები, რომლებიც წარმოაჩენენ დემოკრატიზაციის პროცესს სახელმწიფოს მშენებლობისა და ნაციის მშენებლობის ჭრილში, საქართველოს მაგალითზე გავრცობილია პოლიტიკური საჯარო სივრცის ფრაგმენტაციის მიზეზების ანალიზზე, ვინაიდან სწორედ აქ იკვეთება დემოკრატიზაციის შიდა და გარე გამოწვევები, რომლებიც აბრკოლებენ საქართველოში დემოკრატიზაციის პროცესს და გზას უხსნიან

პოპულიზმს და ილიბერალიზმს. საქართველოს სოციალურ-პოლიტიკურ ლანდშაპტში დემოკრატიზაციისა და მოდერნიზაციის ურთიერთმიმართება წარმოჩენილია პოპულისტური და ილიბერალური ძალების (პოლიტიკური პარტიები, არასამთავრობო ორგანიზაციები) აღმავლობის ჭრილში, რაც საფრთხეს უქმნის პრო-დასავლურ საგარეო პოლიტიკურ კურსს, ეს უკანასკნელი კი დემოკრატიზაციის ნორმატიულ ხელისშემწყობ მექანიზმს წარმოადგენს საქართველოში. დემოკრატიზაციის გამოწვევები წარმოჩენილია სახელმწიფოს მშენებლობისა და ნაციის მშენებლობის პროცესის ჭრილში, არა ამ მიმართულებით სახელმწიფოს პოლიტიკის წარმატება-წარუმატებლობის, არამედ უსაფრთხოების დისკურსის კუთხით. ამ მხრივ შეპირისპირებულია შიდა და გარე უსაფრთხოების საკითხები, რომლებიც გავლენას ახდენენ ლოკალური აქტორების (პოლიტიკური ელიტების) ქცევაზე, შესაბამისად რეჟიმის ბუნებაზე.

პოსტ-საბჭოთა საქართველოს პოლიტიკა წარმოადგენს პოპულიზმის (პოლიტიკის კეთების ინსტრუმენტი) და ნაციონალიზმის (იდეოლოგია) ნაზავს, სადაც პოლიტიკური კონტექსტის, პოლიტიკური პროცესისა და პოლიტიკური სისტემის დისკურს ანალიზი წარმოაჩენს *სიტყვისა* და *ტექსტის* სიმბოლურ პოლიტიკას, სოციალურ კოგნიციას, სიმბოლოებსა და ფორმებს და ლეგიტიმაციის პრაქტიკებს მედიისა და საზოგადოებრივი აზრის მართვის საშუალებით; ეს უკანასკნელი კი პოლიტიკოსებს საჯარო დისკურსზე კონტროლის მოპოვების საშუალებას აძლევს. კვლევა წარმოაჩენს საქართველოში პოსტ-საბჭოთა პოპულისტური დისკურსების აღმოცენების კონტექსტს, რომელიც კომპლექსური ტრანზიციის პერიოდს დაემთხვა. ეს პროცესი ტრანზიტოლოგიაში სამმაგ ტრანზიციად არის მოხსენიებული: თანადროული ცვლილებები პოლიტიკის სფეროში (ტოტალიტარიზმიდან დემოკრატიისკენ), ეკონომიკის სფეროში (საბჭოთა დაგეგმილი ეკონომიკიდან საბაზრო კაპიტალიზმისკენ) და ფართო სოციალურ სფეროში (სახელმწიფო - სახელმწიფოს მშენებლობა, ინსტიტუციური ინჟინერია, იდენტობის პოლიტიკა და სხვა), რაც ზოგადად ახასიათებდა პოსტ-სოციალისტურ ტრანსფორმაციებს, განსაკუთრებით კი ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში (see: Offe, 2004). პოსტ-საბჭოთა სახელმწიფოების ტრანსფორმაცია (მათ შორის საქართველოში) აუცილებელს ხდის ანალიზში მეოთხე ელემენტის შემოტანას, რომელიც ტრანიტოლოგიაში ოთხმაგ ტრანზიციად არის ცნობილი და რომელსაც ანალიზის ფოკუსი გადააქვს ნაციაზე, დემოკრატიის, საბაზრო პრინციპების ცვლილების და სახელმწიფოს გვერდით, და ერთ კატეგორიაში არ აქცევს ნაციასა და სახელმწიფოს (Kuzio, 2001, 174). სწორედ ნაცია იქცა საქართველოში პოპულისტური დისკურსების ცენტრალურ ასპექტად თითოეული პრეზიდენტის საჯარო პოლიტიკურ ნარატივში, რომლის საფუძველზე ხდებოდა ნაციონალური პოლიტიკური დისკურსების მანიპულირება. ექსკლუზიური მეტანარატივები, რომლებიც სამოქალაქო თუ ეთნიკურ ნაციონალიზმებზე იყო ფოკუსირებული, 'იდეების ბაზრის' ფრაგმენტირებას და ქვეყნის სოციალურ-პოლიტიკური გარემოს დესტაბილიზაციას იწვევდა,. განსაკუთრებით ძალაუფლების ერთი ხელისუფლებიდან მეორისათვის გადაცემის დროს.

საქართველოს დემოკრატიზაციის პროცესის შიდა და გარე გამოწვევების გასააზრებლად მნიშვნელოვანია კომპლექსურად იქნეს გაანალიზებული შემდეგი ასპექტები: *მიმდინარე სოციალური ცვლილებები, წინარე ეთნო-სიმბოლური რესურსები და ახალი იდეოლოგიური მოძრაობები* (ნაციონალიზმი და მისი ნაზავი პოპულიზმთან), რომლებიც განსაკუთრებით ტრანზიციის პროცესში აქტუალურდებიან. ეს სამი ასპექტი წარმოადგენს პოლიტიკურად მოტივირებული ნარატივების საფუძველს საქართველოში, როდესაც [პოლიტიკური] საჯარო სივრცე სხვადასხვა ჯგუფებს შორის დაპირისპირებისა და/ან მოლაპარაკებების არენად იქცევა ხოლმე, ამ უკანასკნელს კი თან სდევს დემოკრატიზაციის პროცესისთვის შიდა თუ გარე გამოწვევების წარმოშობა.

6. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა უცხოეთში

6.3. კრებულები

№	ავტორები	კრებულის სახელ-წოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	დავით მაცაბერიძე	კონფლიქტი აფხაზეთის ირგვლივ: ურთიერთგამომრიცხავი ნაციონალური პროექტები და ფრაგმენტირებული სახელმწიფოებრიობა	წიგნში *პოსტ-საბჭოთა კონფლიქტები: 30 წლიანი კრიზისი*, რედაქტორები: ალი ასკეროვი, სტეფან ბრუქსი და ლაშა ჭანტურიძე	ნიუ იორკი: ლექსინგტონ პრესი, 2020 (ინგლისურ ენაზე).

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

აფხაზეთის გარშემო მიმდინარე პოსტ-საბჭოთა კონფლიქტმა აკადემიური და პოლიტიკის ანალიტიკის წრეების დიდი ყურადღება მიიპყრო. კონფლიქტი შესწავლილ იქნა გამოცოცხლებული უძველესი ეთნიკური სიძულვილის, კონფლიქტური იდენტობებისა და წარსულის თხრობის, ელიტების პოლიტიკური და ეკონომიკური ინტერესების დაპირისპირების ჭრილში და ასევე გააზრებულ იქნა პოტს-საბჭოთა საერთაშორისო უსაფრთხოების მიდგომების კუთხით - განსაკუთრებით მოსკოვისა და ვაშინგტონის რუსეთ-დასავლეთის სასაზღვრო ზონაში დაპირისპირების თვალსაზრისიდან. თუმცა, არსებულ სამეცნიერო ლიტერატურაში არ არის შესაბამისად გააზრებული წარსულის პოლიტიკური წარმოჩენის საკითხი, რომელიც ცდილობდა გაემართლებინა და რაციონალური საფუძველი შეექმნა აფხაზი ეთნიკური ჯგუფის პოლიტიკური და ეთნო-კულტურული პრეტენზიებისათვის და კონფლიქტის წამოწყებისთვის საქართველოს ცენტრალურ ხელისუფლებასთან. ნაშრომში გაანალიზებულია 1980-იანი წლების ბოლოსა და 1990-იანი წლების დასაწყისში აღმოცენებული საჯარო პოლიტიკური ნარატივები, რომელთაც საფუძველი შეუქმნეს თბილისისა და სოხუმის ექსკლუზიურ პოლიტიკურ-კულტურულ დისკურსებს, უზრუნველყვეს აფხაზი და ქართველი ეთნიკური ჯგუფების მობილიზაცია და წარმოშვეს კონფლიქტი მათ შორის სტატუსის, იდენტობის შენარჩუნებისა და სუვერენიტეტის საკითხების ირგვლივ. ნაშრომი ეფუძნება იურგენ ჰაბერმასის საჯარო სივრცის ცნებას და აანალიზებს მეორეულ წყაროებს ისტორიული დისკურს ანალიზის მეთოდის გამოყენებით და პოსტ-საბჭოთა პერიოდში ქართველი და აფხაზი ეთნიკური ჯგუფების დაპირისპირებას წარმოაჩენს მათი კონფლიქტური საჯარო პოლიტიკური ნარატივების დეკონსტრუირების გზით.

ანგარიშის ფორმა №2

2020 წელს გაწეული სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ანგარიში

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება - - - - - - - - - - - - - - - - - - -

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის დასახელება -

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის დეპარტამენტი

სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა ხელმძღვანელის მითითებით -

მანანა შამილიშვილი - პროფესორი
ნინო ჭალაგანიძე - ასოცირებული პროფესორი, დეპარტამენტის ხელმძღვანელი
რევაზ ჭიჭინაძე - ასოცირებული პროფესორი
ხათუნა კაჭარავა - ასოცირებული პროფესორი
ხათუნა მაისაშვილი - ასოცირებული პროფესორი
მარი წერეთელი - ასოცირებული პროფესორი
მაია ტორაძე - ასოცირებული პროფესორი
ნანული ტალახაძე - ასოცირებული პროფესორი
ნათია კუპრაშვილი - ასოცირებული პროფესორი
თამაზ ჯოლოგუა - ასოცირებული პროფესორი
თამარ ბელქანია - ასისტენტ-პროფესორი
თეა მჟავანაძე - ასისტენტ-პროფესორი
მარინე ლომიძე - - ასისტენტ-პროფესორი

მანანა შამილიშვილი

4. უცხოური გრანტებით დაფინანსებული სამეცნიერო პროექტები

4.1.

№	გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი, დამფინანსებელი ორგანიზაცია/ სამეცნიერო ფონდი, ქვეყანა	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	2	3	4
1	აშშ - ს საელჩოს დემოკრატიის		ნათია კუპრაშვილი - პროექტის

	განვითარების მცირე გრანტის პროგრამით დაფინანსებული ჟურნალისტიკის რესურსცენტრის (JRC) საგრანტო პროექტი: U.S. Federal Department-funded SGG80020GR0097 project “Teaching Journalism Online - for Tbilisi State University and Regional Media Schools” – “ონლაინჟურნალისტიკის სწავლება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და რეგიონული მედიასკოლებისთვის“. სამეცნიერო მიმართულება: ჟურნალისტიკა და მასობრივი კომუნიკაცია	1.10. 2020 – 1.10. 2021 (12 თვე)	ხელმძღვანელი; ნინო ხელაძე - პროექტის კოორდინატორი; შოთა ჭარხალაშვილი - ფინანსური მენეჯერი; **მანანა შამილიშვილი** - ძირითადი შემსრულებელი, ტრანსმედია სთორითელინგ მოდულის რედაქტორი ნინო ჭალაგანიძე - ძირითადი შემსრულებელი, რადიომედიის რედაქტორი.
2	აშშ - ს საელჩოს დემოკრატიის განვითარების მცირე გრანტის პროგრამით დაფინანსებული თსუ-ს საგრანტო პროექტი: “Improving media education as a facilitator for the democracy development in Georgia” - „მედიაწიგნიერების გაუმჯობესება, როგორც დემოკრატიის განვითარების ხელშემწყობი საქართველოში“. სამეცნიერო მიმართულება: ჟურნალისტიკა და მასობრივი კომუნიკაცია	სექტემბერი 2020 - ივნისი 2021 (10 თვე)	მარინა სალუქვაძე - პროექტის მენეჯერი; **მანანა შამილიშვილი** - ექსპერტი, სატელევიზიო პროგრამების რედაქტორი; ნათია სვანიძე - პროექტის კოორდინატორი; ზაზა ჩხეტიანი - ვიდეოინჟინერი; კახა მაჭავარიანი - ხმის რეჟისორი.

პროექტი 1. პროექტი პასუხობს მთავარ გამოწვევას, რაც სადღეისოდ საქართველოს რეგიონებში მოქმედი მედიასკოლების წინაშე არსებობს. საქმე ეხება ჟურნალისტიკის სწავლებას, განსაკუთრებით კი - ახალი მედიისა და ციფრული მედიის სპეციალისტების სიმცირეს, ადეკვატური სასწავლო რესურსებისა და წყაროების დეფიციტს. შესაბამისად, პროექტი მიზნად ისახავს რეგიონული მედიასკოლების მხარდაჭერას. რელევანტური სასწავლო რესურსის შექმნას, ტრენინგების ჩატარებას; აგრეთვე, ბათუმისა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტების კოლაბორაციის პირობებში ციფრული მედიის ერთობლივი სამაგისტრო პროგრამის განხორციელებას.

პროექტის განხორციელების შედეგად შეიქმნება სამი აქტუალური სასწავლო მოდული, კერძოდ - ახალი მედია / ონლაინმედია, კონვერგირებული მედია - ტრანსმედიური თხრობის ფორმები და აუდიომედია. ამ მოდულებზე ონლაინწვდომა საშუალებას მისცემს რეგიონულ უნივერსიტეტებს, უზრუნველყონ სტუდენტები საჭირო სასწავლო მასალით და მისცენ მათ მულტიმედიური განათლება.

პროექტი 2. პროექტის მიზანია, ხელი შეუწყოს მედიასკოლებში პროფესიული უნარების დაუფლებას

შესაბამისი ინფრასტრუქტურის პირობებში; პრაქტიკული სწავლების თეორიულთან შერწყმის გზით სტუდენტთა სადისკუსიო ფორუმის, ობიექტური თავისუფალი პლატფორმის შექმნას. ამ პროექტით მკაფიოდ წარმოჩნდება ასევე თანამედროვე ეტაპზე მედიაწიგნიერების როლი და მნიშვნელობა, რაც პროექტის ფარგლებში ორგანიზებული არაერთი სატელევიზიო გადაცემის თემა იქნება. სტუდენტების, პროფესორებისა და მოწვეული ექსპერტებისგან შემდგარი აუდიტორია განიხილავს თანამედროვეობის აქტუალურ საკითხებს, არჩევნების გაშუქების პრობლემატიკას, პროფესიული ეთიკისა და დეზინფორმაციასთან ეფექტური ბრძოლის ცალკეულ საკითხებს.

6. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში

6.2. სახელმძღვანელოები

№	ავტორი/ავტორები	სახელმძღვანელოს სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	**მანანა შამილიშვილი** მარი წერეთელი	ელექტრონული სახელმძღვანელო უმაღლესი სასწავლებლებისთვის: „ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის შესავალი“, ISBN : 978-9941-13-908-6, https://www.tsu.ge/en/publishing-house/single/1169	თბილისი, თსუ გამომცემლობა, 2020	394 გვერდი

ანოტაცია

ელექტრონული სახელმძღვანელო: ,,ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის შესავალი“ განკუთვნილია საბაკალავრო საფეხურის სტუდენტებისათვის. მისი მიზანია, სტუდენტი აზიაროს ჟურნალისტიკის თეორიისა და პრაქტიკის საფუძვლებს, განსაზღვროს ამ დისციპლინის მიზანდასახულობა, ფუნქციები და პრინციპები; მისი ადგილი მასობრივი კომუნიკაციის სისტემაში; წარმოაჩინოს თავად მასობრივი კომუნიკაციის არსი და მნიშვნელობა თანამედროვე გლობალიზებულ სამყაროში, მისი განვითარების თავისებურებები და პერსპექტივა; განიხილოს ჟურნალისტიკისა და მასკომუნიკაციის სხვა არხების ურთიერთმიმართების ცალკეული ასპექტები და მათი ფუნქციონირების მედიური გამოვლინების სპეციფიკა.

თემათა იერარქია, რომელიც სახელმძღვანელოს სტრუქტურით იკვეთება, დაეფუძნება კომუნიკაციის განვითარების ეტაპებს, გამდიდრებულს კონტექსტუალური ცოდნით, რაც გულისხმობს ცალკეული ეპოქის ჭრილში დანახულ პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციოკულტურულ პრობლემებსა და მათ კონტექსტში აღქმულ მედიაგარემოს - კონკრეტული პერიოდისთვის დამახასიათებელი ტექნოლოგიური სიახლეებითა და ცვლილებებით. ამასთან, ცალკეული სალექციო თემა განხილულია ქართული და საერთაშორისო მედიის გამოცდილებიდან მოხმობილი ფაქტობრივი მაგალითების (შემთხვევების) ანალიზის საფუძველზე. სახელმძღვანელოში დანართის სახით წარმოდგენილია ასევე მედიატექსტები ცნობილი ქართველი და საზღვარგარეთელი ავტორების შემოქმედებიდან.

6.5. სტატიები ISSN-ის მითითებით

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათა-ური, ISSN	ჟურნალის/ კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	**მანანა შამილიშვილი**	„საგაზეთო „იხვებს“ სილიკონის „ბოტები“ აცვიათ ანუ რატომ არ უნდა დავსაჯოთ მედია“ ISSN 0206-5746	ჟურნალი „კრიტიკა“ # 15	თბილისი, ლიტინსტიტუტის გამომცემლობა	12 გვერდი გვ.: 151 -163
2	**მანანა შამილიშვილი**	„იქ, სადაც მთები ხეობებში წვება ლანდებად (ხალვაშებთან)“ ISSN 0206-5746	ჟურნალი „კრიტიკა“ # 15	თბილისი, ლიტინსტიტუტის გამომცემლობა	10 გვერდი გვ.: 196 - 206

ანოტაციები:

1. ჟურნალ „კრიტიკის“ მე-15-ე ნომერში „ჟურნალისტიკის“ მუდმივი რუბრიკით დაბეჭდილი წერილი - „საგაზეთო „იხვებს“ სილიკონის „ბოტები“ აცვიათ ანუ რატომ არ უნდა დავსაჯოთ მედია“ - წარმოაჩენს თანამედროვე ქართული მედიის წინაშე არსებულ მწვავე პრობლემებს. მასში საუბარია პრესის თავისუფლების თემაზე, მისი სამართლებრივი და თვითრეგულირების ცალკეულ ასპექტებზე, დეზინფორმაციის გაძლიერების ტენდენციასა და მისი გავრცელების ფორმებზე; მედიაწიგნიერების მნიშვნელობასა და პროფესიული ეთიკის საკითხებზე. ეს ყოველივე გააზრებულია გამოხატვის თავისუფლების კლასიკური ნიმუშებისა და ადამიანის უფლებათა დამცველი ფუნდამენტური დოკუმენტების განხილვა-გააზრების საფუძველზე.
2. „კრიტიკის“ ამავე ნომერში დასტამბული წერილი „იქ, სადაც მთები ხეობებში წვება ლანდებად (ხალვაშებთან)“ წარმოადგენს ჟურნალის ტრადიციულ რუბრიკას „ნომრის სტუმარი“. მასში მკითხველი ეცნობა ცნობილი ქართველი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის, ფრიდონ ხალვაშის ცხოვრების მნიშვნელოვან მოვლენებს, მწერლის ოჯახის ხელოვანი წევრების - ზაზა და მზია ხალვაშების შემოქმედებას. ოჯახური პორტრეტის ჟანრის წარმოდგენილი ნიმუში ცხადყოფს ამ საინტერესო შემოქმედთა ღვაწლს ქართული კულტურის განვითარებასა და ქვეყნის ერთიანობის იდეის განმტკიცებაში.

7. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა უცხოეთში

7.2. სახელმძღვანელოები

№	ავტორი/ავტორები	სახელმძღვანელოს სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა

1	ალექსანდრ გოერკე, ხათუნა მაისაშვილი, ნინო ჭალაგანიძე, **მანანა შამილიშვილი**, ნათია სვანიძე, ლიუბოვ ვასილიუკი, სვიტლანა ჰალუსუნსკა, ვოლოდიმირ ბობერი, ვოლოდიმირ სტეფანეცი, ანნა ნოჰოლი, რომან პაზიუკი, ლილია შუტიაკი, სტეფან შოხერი	ელექტრონული დამხმარე სახელმძღვანელო უმაღლესი სასწავლებლებისთვის: „კონფლიქტის კომუნიკაცია: ისტორიული გამოცდილება, პრობლემები, პერსპექტივები“, მომზადებულია გერმანიის საგარეო სამინისტროს აღმოსავლეთ პარტნიორობის პროგრამით დაფინანსებული საერთაშორისო საგრანტო პროექტის - „ჟურნალიზმი ევროპულ საზოგადოებებში“ - ფარგლებში, https://wechange.de/project/joureg-2/?fbclid=IwAR3Ise-RFCpSGAd4fhbxqFP9i_wZ34sAU1gyLD0Gu-7csEoUpHw4FnbbC0I	ბერლინი, გერმანია, „ბერლინის თავისუფალი უნივერსიტეტი“, 2020	სახელმძღვანელოს გვერდების რაოდენობა - 342

ანოტაცია

აღნიშნული კრებული მომზადდა როგორც დამხმარე სახელმძღვანელო უმაღლესი სასწავლებლებისთვის გერმანიის საგარეო სამინისტროს აღმოსავლეთ პარტნიორობის პროგრამით დაფინანსებული საერთაშორისო საგრანტო პროექტის - „ჟურნალიზმი ევროპულ საზოგადოებებში“ - ფარგლებში. მასში შესულია რამდენიმე ქვეყნის: გერმანიის, ავსტრიის, უკრაინის, საქართველოსა და მოლდოვეთის აკადემიური წრეების წარმომადგენელთა შრომები კონფლიქტის კომუნიკაციაში. პროექტის განხორციელება მოხერხდა სამეცნიერო სემინარების პირობებში შემუშავებული კონცეფციის შედეგად. სემინარები სხვადასხვა დროს სამ ეტაპად ჩატარდა „ბერლინის თავისუფალ უნივერსიტეტში“, ქალაქ ბერლინში. მათში მონაწილე მკვლევრებმა და პრაქტიკოსმა ჟურნალისტებმა წარმოადგინეს ორიგინალური თვალთახედვა მედიაში კონფლიქტების გაშუქებასთან დაკავშირებით, საკუთარი ქვეყნის გამოცდილებაზე დაყრდნობით. ქართულმა მხარემ თავისი წვლილი შეიტანა ამ მეტად საინტერესო პროექტში და წარმოადგინა ქართული მედიის მიერ რეგიონული კონფლიქტების გაშუქების თავისებურებები. ჩვენ მიერ შესრულებული ნაშრომი ასახავს საქართველოში რეგიონული კონფლიქტების ისტორიულ გამოცდილებას და წარმოაჩენს კონფლიქტის გენეზისს. ჩვენი ავტორობით სახელმძვანელოში შესული ნაწილი ასეა დასათაურებული: „საქართველოს რეგიონული კონფლიქტების ისტორიული წანამძღვრები“ (ქართული პრესის მასალებზე დაყრდნობით).

მოცემული ინგლისურენოვანი ელექტრონული დამხმარე სახელმძღვანელო მნიშვნელოვნად გაამდიდრებს კონფლიქტის კომუნიკაციაში არსებულ სამეცნიერო ლიტერატურას. წიგნი გადაცემულია დასაბეჭდად და მიმდინარე წლის დეკემბერში იხილავს დღის შუქს.

ნინო ჭალაგანიძე

1. სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის პერსონალის მიერ შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

1.1.

№	გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1.	სოციალური მეცნიერებები, ჟურნალისტიკა: პროექტი: „ჟურნალისტიკა ევროპულ თანამეგობრობაში”, რომლის ფარგლებშიც ჩატარდა სამი სამეცნიერო სემინარი და მომზადდა დამხმარე სახელმძღვანელო კრებული ჟურნალისტებისთვის: “Communicating conflicts: history, status quo and perspectives ii the media of Georgia, Ukraine and Germany”.	2019-2021	VOLODYMYR BOBER; NINO CHALAGANIDZE; ALEXANDER GÖRKE; ANASTASIA MAGAZOVA; KHATUNA MAISASHVILI; EVELINA MENTESHASHVILI; ANNA NOHOL; ROMAN PAZIUK; ROMAN SCHELL; STEFAN SCHOCHER; MANANA SHAMILISHVILI; LILIIA SHUTIAK; VOLODYMYR STEFANETS; NATIA SVANIDZE; LIUBOV VASYLYK
გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2020 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)			
“კონფლიქტის კომუნიკაცია: ისტორია, სტატუს-ქვო, პერსპექტივები (საქართველოს, უკრაინისა და გერმანიის მედიაგამოცდილება)’’ - ასე ჰქვია დამხმარე სახელმძღვანელოს ჟურნალისტებისთვის, რომელიც გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის თავდაცვისა და განათლების სამინისტროების მხარდაჭერით, ბერლინის თავისუფალი უნივერსიტეტის (Freie Universität Berlin), უკრაინის ჩერნოვცის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორთა, ასევე ექსპერტებისა და პრაქტიკოსი ჟურნალისტების მიერ შეიქმნა. სახელმძღვანელო ოცამდე სამეცნიერო კვლევას აერთიანებს და კონფლიქტების გაშუქების სტანდარტისა და სპეციფიკის შემსწავლელთათვის სასარგებლო რესურსს შეიცავს. კრებულის ელექტრონული ვერსიის პრეზენტაცია საქართველოში 2021 წელს იგეგმება. ის ინგლისურ ენაზე გამოიცემა და გერმანიის განათლების სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსდება, რაც მკითხველთა ფართო წრის ხელმისაწვდომობას უზრუნველყოფს. სახელმძღვანელოს ავტორთა შორის ქართულ მხარეს წარმოადგენენ: თსუ-ს ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის მიმართულების ხელმძღვანელი, პროფ. ნ. ჭალაგანიძე, საბაკალავრო პროგრამის კოორდინატორი, პროფ. მ. შამილიშვილი, ბილინგვური პროგრამის ხელმძღვანელი, პროფ. ხ. მაისაშვილი, თსუ-ს მულტიმედია ცენტრის ხელმძღვანელი მ. სალუქვაძე, ჟურნალისტი ნ. სვანიძე, ასევე საქართველოს თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენელი ე. მენთეშაშვილი. პროექტი, რომლის ფარგლებშიც განხორციელდა აღნიშნული სამუშაო, ცნობილია სახელწოდებით: ,,ჟურნალისტიკა ევროპულ საზოგადოებებში”.			
2.	აშშ-ს საელჩოს მიერ ინიცირებული მედიაგანათლების	2019 -2020	ნინო ჭალაგანიძე; ნათია კუპრაშვილი;

	პროექტის ფარგლებში ჩიკაგოს ლოიოლასა და დეპოლის უნივერსიტეტებში ვიზიტორ-პროფესორი		მანანა შამილიშვილი; მარინა სალუქვაძე; ხათუნა კაჭარავა; ზაზა ცოტნიაშვილი; ეკა თხილავა; ნათია კალაძე; სოფიო ვასაძე; მზია ტადუმაძე; მარიკა შერაზადიშვილი; დავით პაიჭაძე; მაგდა მემანიშვილი; დალი ოსაფაშვილი; ნინო ჟიჟილაშვილი; ხათუნა იოსავა
გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2020 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე) პროექტის ბენეფიციარები, თსუ-ს პროფესორებთან ერთად, ქვეყნის კიდევ რამდენიმე მედიასკოლის წარმომადგენლები (პროგრამების ხელმძღვანელები) არიან. "დეპოლის, ლაიოლასა და სხვა მსხვილი უნივერსიტეტების პროფესორების, ასევე პრაქტიკოსი ჟურნალისტებისა და მედიაექსპერტების მიერ შემუშავებული პროგრამა საუკეთესო პრაქტიკის გაზიარებას ისახავს მიზნად. ჩვენი პროგრამა დადასტურებულად ზრდის სტუდენტთა ცოდნას."- აღნიშნა დეპოლის უნივერსიტეტის კომუნიკაციების დეპარტამენტის ხელმძღვანელმა, ასოცირებულმა პროფესორმა ჯეისონ მარტინმა. პროგრამა მეორე წელია, გრძელდება და ინტენსიურ სამუშაო შეხვედრებს ითვალისწინებს. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან მივლენილი დელეგაციის წევრები არიან: ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის მიმართულების ხელმძღვანელი, ასოცირებული პროფესორი ნინო ჭალაგანიძე, ჟურნალისტიკისა და მასკომუნიკაციის საბაკალავრო პროგრამის კოორდინარტორი და თანახელმძღვანელი, ასოცირებული პროფესორი მანანა შამილიშვილი, მასობრივი კომუნიკაციის სადოქტორო პროგრამის ერთ-ერთი ხელმძღვანელი, ასოცირებული პროფესორი ნათია კუპრაშვილი და მულტიმედია ცენტრის ხელმძღვანელი მარინა სალუქვაძე.			
3.	აშშ-ს საელჩოს მიერ მხარდაჭერილი თსუ-სა და ჟურნალისტიკის რესურს-ცენტრის პროექტი „ისწავლე ჟურნალისტიკა ონლაინ“	2019 – 2021	ნათია კუპრაშვილი; ნინო ჭალაგანიძე; მანანა შამილიშვილი; ინგა შამილიშვილი; მზია თადუმაძე; მარიკა შერაზადიშვილი; ნინო ჭანტურაია; ნინო ხელაძე.
გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2020 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე) "ისწავლე ჟურნალისტიკა ონლაინ", - სწორედ ასე ჰქვია პროექტს, რომელსაც ჟურნალისტიკის			

რესურსცენტრი, საქართველოში აშშ-ს საელჩოს მხარდაჭერით, საქართველოს რამდენიმე მედიასკოლასთან თანამშრომლობით ახორციელებს. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახლმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის მიმართულების პროფესორ-მასწავლებლები პროექტში ლიდინგის ფუნქციას ინაწილებენ. ერთ წელწადში კი მედაგანათლების სექტორი სამი სასწავლო კურსის ახალი საკითხვი და ვიდეომასალებით შეივსება. ასევე, გათვალისწინებულია ერთობლივ საგანმანათლებლო პროგრამებზე მუშაობაც.

2. შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტით დაფინანსებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

2.1.

№	გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	-	-	-
გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2020 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)			

2.2.

№	დასრულებული (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	სახელწოდება: „მე-20 საუკუნის ქართული მწერლობა და ნაციონალური იდენტობის იდეა. ნამდვილი ისტორია“. მიმართულება: ჰუმანიტარული მეცნიერებები. პროექტის საიდენტიფიკაციო ნომერი: SPG-19-363	2019-2020	ი. რატიანი - პროერქტის ხელმძღვანელი; ლ. მეტრეველი - პროექტის კოორდინატორი; ნ. ჭალაგანიძე - ძირითადი პერსონალი, პროექტის პროდიუსერი; ს. მელაძე - დამხმარე პერსონალი, რეჟისორი; თ. თიბილაშვილი - დამხმარე პერსონალი - ოპერატორი; ლ. ზამბახიძე - დამხმარე პერსონალი - ჟურნალისტი.
დასრულებული კვლევითი პროექტის 2020 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე) პროექტი კომპარატივისტული ლიტერატურის ქართულმა ასოციაციამ (GCLA), შოთა			

რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტმა და კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტმა (CIU), შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით განახორციელა.

ციკლი ორი ნაწილისგან შედგება და თანმიმდევრულად მოგვითხრობს XX საუკუნის ქართული ლიტერატურის შესახებ.
- მე-20 საუკუნის ქართული მწერლობის ნამდვილი ისტორია;
- ინტელექტუალური და პიროვნული თავისუფლების შეზღუდვისა თუ ხელყოფის აქამდე უცნობი დეტალები;
- ყველაზე რთული და წინააღმდეგობრივი საუკუნის მეცნიერული ანალიზი.

გადაცემათა ციკლში ხუთი ავტორი განიხილავს ქართული ლიტერატურის ისტორიის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პერიოდს.

გადაცემათა ციკლის პრეზენტაცია ონლაინ გაიმართა.
იხ. ბმული: http://multimedia.ciu.edu.ge/news/index/axali-proeqtis-prezentacia-1

5. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში

5. 2. სახელმძღვანელოები

№	ავტორი/ავტორები	სახელმძღვანელოს სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	ნინო ჭალაგანიძე, ნათია კუპრაშვილი	**„კონსტრუქციული აგროჟურნალისტიკა“** ქართულ-აზერბაიჯანული სახელმძღვანელო ჟურნალისტებისთვის, ISBN 978-9941-26-428-3;	თბილისი, გამომცემლობა „უნივერსალი“, 2020;	მოცულობა: 292 გვერდი (დისკზე დართული სავარჯიშოების გარეშე).

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

კონსტრუქციული აგროჟურნალისტიკის სახელმძღვანელო ჟურნალისტებისთვის შექმნიდან მესამე წელს უკვე თერთმეტი უნივერსიტეტის სტუდენტებისა და დაინტერესებული პირებისთვისაა ხელმისაწვდომი. ბაზრის მოთხოვნებიდან გამომდინარე, სახელმძღვანელო ჯერ სამ ენაზე: ქართულად, ინგლისურად და რუსულად გამოიცა, ხოლო შემდეგ, მეზობელი ქვეყნების თხოვნით, ჯერ სომხურ, 2020 წელს კი _ აზერბაიჯანულ ენაზეც. კურსი წარმატებით დაინერგა საქართველოს მედიასკოლებში და უკვე რამდენიმე თაობის მსმენელიც ჰყავს. ერთი წლის წინ კი სომხეთის უნივერსიტეტების კურიკულუმებშიც შეიტანეს და სადღეისოდ რამდენიმე ათეულმა სტუდენტმა სასწავლო კურსი წარმატებით დახურა.

სახელმძღვანელო ,,ჟურნალისტიკის რესურსცენტრის” (JRC) მიერ, შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს მხარდაჭერით, საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაცია MERCY CORPS-ის პროგრამის ,,ალიანსები კავკასიაში” მიერ მხარდაჭერილი პროექტის ფარგლებში მომზადდა და კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტთან პარტნიორობით გამოიცა.

სოფლის მეურნეობის საკითხების გაშუქების ეს გზამკვლევი მომზადებულია იმ ქვეყნების ენებზე, რომლთა ათასწლოვანი ისტორიის განუყოფელი ნაწილია სოფლის მეურნეობის

მრავალფეროვანი პროდუქციის წარმოება. საქართველოში ეკონომიკაში მუდმივად მნიშვნელოვან როლს ასრულებდა აგრარული სექტორი, რაც უშუალოდ უკავშირდება დღემდე აქ არსებულ 3 500-ზე მეტ სოფელს, როგორც ისტორიულად ჩამოყალიბებულ ტერიტორიულ ერთეულს, სადაც ახლაც ქვეყნის მოსახლეობის თითქმის ნახევარი ცხოვრობს და რომელთა მცირე აგრარული წარმოება არსებით გავლენას ახდენს მოსახლეობის დიდი ნაწილის მინიმალური ცხოვრებისეული პირობების შენარჩუნებაზე.

მიუხედავად ჩამოთვლილი ფაქტორებისა, ეს ის ქვეყანაა, სადაც განსახვავებით სხვა განვითარებული თუ განვითარებადი ქვეყნებისა, აგროჟურნალისტიკა, სოფლის მეურნეობის საკითხების მედიაგაშუქება არასისტემური და ფრაგმენტულია, მეტიც ამგვარ საქმიანობას არ გააჩნია ტრადიცია, ძნელია ამ კუთხით ადგილობრივი პრაქტიკული მაგალითების პოვნა.

მედიაკვლევები აჩვენებს, რომ სოფლის მეურნეობის საკითხების გაშუქება, საქართველოში მედიაპროდუქციის მოცულობაში უმნიშნელო ადგილს იკავებს. ასე მაგალითად, 2014 წელს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიისა და სლოვაკური კვლევითი ორგანზიაცია ,,მემო 98" –ის მიერ წარმოებულმა საზოგადოებირვი მაუწყებლის მედიამონიტორინგმა აჩვენა, რომ არხზე, რომლის კანონისმიერი პრიორიტეტი საქართველოს რეგიონების გაშუქება და მათთვის საჭირო ინფორმაციის მიწოდებაა, სოფლის მეურნეობის საკითხებს, საერთო პროდუქტის 1%-იც კი არ უჭირავს. 2015 წელს ,,საქართველოს რეგიონულ მაუწყებელთა ასოციაციის" მიერ ჩატარებულმა რეგიონული მაუწყებლების აუდიტორიის კვლევამ კი აჩვენა, რომ სოფლის მეურნების საკითხების გაშუქებას, გამოკითხული მოსახლეობის 11%, პოლიტიკისა და ეკონომიკაზე, ასევე სხვა თემებზე პრიორიტეტულად თვლის.

პარალელურად საქართველოს მთავრობების მიერ ბოლო წლებში დადებული საერთაშორისო შეთანხმებები, როგორიცაა მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში გაწევრიანება, ევროკავშირთან და შერთებულ შტატებთან თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხებები და სხვა, იძლევა შანსს საქართველოს სოფლის მეურნეობის წარმოების გლობალურ ეკონომიკაში ინტეგრაციისთვის. სოფლის მეურნეობის განვითარება სამთავრობო პრიორიტეტადაა გამოცხადებული და სფეროს დაფინანსება ბიუჯეტიდან ყოველწლიურად იზრდება.

როგორც ვხედავთ, სახეზეა ყველა საფუძველი იმისა, რომ სოფლის მეურნების საკითხების გაშუქებას ქართულ მედიაში მნიშვნელოვანი წილი ჰქონდეს – საზოგადოების ინტერესი, აუდიტორიის მოცულობა, ქვეყნის განვითარებაში დარგის მნიშნელობა და პერსპექტივა, თუმცა მხოლოდ ამ საფუძვლების თავისთავადი არსებობა, სამწუხაროდ , არ არის შედეგის პირდაპირპროპორციული. პროექტის განმხორციელებელი გუნდი ეყრდნობა ჰიპოთეზას, რომ ამის მიზეზი პრაქტიკოს და მომავალ ჟურნალისტებში შესაბამისი ცოდნის არარსებობაცაა. წინამდებარე გზამკვლევის მომზადების მიზანიც, სწორედ ამ პრობლემის დაძლევის ხელშეწყობაა.

აგროჟურნალისტიკა იმ ქვეყნებში, სადაც სოფლის მეურნეობის განვითარება პრიორიტეტადაა მიჩნეული, აგროკომუნიკაციის ერთ-ერთი ძირითადი ნაწილია. დისციპლინა ისწავლება, როგორც პროფესიულ სასწავლებლებში (აგრო და მედიასფერო), ისე უნივერისტეტებში, იმისთვის რომ მიიღონ პროფესიონალი მედიამუშაკები, რომლებიც შეძლებენ სოფლის მეურნების საკითხების სიღრმისეულ გაშუქებას, მოსახლეობის განათლებას, ორგანიზების ხელშეწყობას, უკუკავშირის მიღებას და ასახვას დარგის განვითარებაზე.

სასწავლო კურიკულუმებში ამ დარგობრივი ჟურნალისტიკის მთავარი განმასხვავებელი ნიშანი – პოზიტიული, საჭირო ჟურნალისტიკაა, რაც გულისხმობს მიზნობრივი აუდიტორიისთვის, აუდიტორიასთან ერთად იმგვარი მედიაკონტენტის წარმოებას, რომელიც საჭიროა დარგის შემდგომი განვითარებისთვის და რომელიც ცალკეულ გლეხს-ფერმერს

შრომისკენ და მეტი ეფექტის მიღებისკენ წაახალისებს. ამგვარი ჟურნალისტიკის პრაქტიკული მაგალითები უმეტესად წარმატებული მეურნეობების მაგალითების ჩვენებას ემყარება, შედარებით ნაკლებია, თუმცა არ გამოირიცხება პრობლემების გაშუქების, ე.წ. მედიის ,,ვოჩ დოგური " ფუნქციით მიღებული მედიაპუბლიკაციებიც.

N	სხვა აქტივობები
1.	კსუ მულტიმედია ცენტრის მიერ შექმნილი სასწავლო-შემეცნებითი დოკუმენტური ფილმების ორნაწილიანი ციკლი: „ყვარლიდან მთაწმინდამდე გურამ შარაძის მოტივებზე“, I ნაწილი, თორმეტი სერია, მიმართულების პროდიუსერი. იხ. ბმული: https://www.youtube.com/watch?v=eelPqmB--5E
2.	კსუ-ს ბაკალავრიატის, მაგისტრატურისა და დოქტორანტურის საფეხურის სტუდენტთა რიგით მე-8 საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის ჟურნალისტიკის სექციის ხელმძღვანელი, 12.11.2020, იხ. ბმული: https://ciu.edu.ge/uploads/files/ALL%20FILES/Program%202020.pdf?fbclid=IwAR0Ol3edtt6-sMFxlh47_WiD4OaL8N1YcbyR1jJyyHOFyQLuvpLHjbetoR4
3.	სერგეი მესხის პრემიის ლაურეატი ქართული ჟურნალისტიკის განვითარებაში შეტანილი წვლილისთვის, საქართველოს ჟურნალისტთა შემოქმედებითი კავშირი, 22.03.20

მარი წერეთელი

1. სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის პერსონალის მიერ შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

1.1.

№	გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	2	3	4
	ილია ჭავჭავაძის კვლევის ცენტრის მრავალწლიანი პროექტი - **ილია ჭავჭავაძის პერსონალური ენციკლოპედია** (ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერებები). პროექტის თავდაპირველი	2007-2021	**მარი წერეთელი - მიწვეული მკვლევარი, ძირითადი პერსონალი** 2. ლეილა სულხანიშვილი - ფილოლოგიის დოქტორი. მკვლევარი, ძირითადი პერსონალი.

	ხელმძღვანელი ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი გიორგი (აგი) აბაშიძე.		3. მანანა ბარათაშვილი - ფილოლოგიის დოქტორი. მკვლევარი, ძირითადი პერსონალი. 3. ნინო მამარდაშვილი - ფილოლოგიის დოქტორი. პროექტის ხელმღვანელი. 4. მანანა ყიფიანი - ფილოლოგიის დოქტორი. მკვლევარი, ძირითადი პერსონალი. 5. ნანა ზღულაძე - ი.ჭავჭავაძის კვლევის ცენტრის მეცნიერ თანამშრომელი. მკვლევარი, ძირითადი პერსონალი.

გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2020 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

ილია ჭავჭავაძის პერსონალურ ენციკლოპედია - პროექტი მოიცავს პერიოდს - 2007 წლიდან 2020 წლამდე. მწერლის პერსონალური ენციკლოპედია ქართულ ენაზე პირველად მზადდება. 2010 წელს გამომცემლობა ,,უნივერსალმა~ დაბეჭდა ილია ჭავჭავაძის პერსონალური ენციკლოპედია (1837-1907) –,,სიტყვანი“. დასახელებული პროექტის ფარგლებში 2019 წელს ილია ჭავაჭავაძის კვლევის ცენტრი აგრძელებდა მეორე წიგნზე მუშაობა. [illegible] სახელწოდებაა - ,,მასალები ილია ჭავჭავაძის პერსონალური ენციკლოპედიისათვის”, რომელშიც აისახება შემდგომი კვლევის შედეგები. წიგნს დაემატა მნიშვნელოვანი მასალა, შედეგად, გაფართოებული, შევსებული სახით წარმოდგა ე.წ.,,პერსონალიები~, რომელშიც თავს იყრის პიროვნებათა ბიოგრაფიისა და ღვაწლის ამსახველი მონაცემები. კვლევის პროცესში დამუშავდა პირველწყაროები, დიდძალი საარქივო მასალა (მათ შორის საოჯახო არქივები), პერიოდული გამოცემები, წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების, თეატრალური, ეთნოგრაფიული და სხვა საზოგადოებების, მრავალი ორგანიზაციის შემონახული დოკუმენტაცია. ასევე, ინტერნეტრსივრცეში არსებული უამრავი წყარო. შესწავლილ იქნა თავად ილია ჭავჭავაძის თხზულებათა ტომეულებიც, ილიას ბიბლიოგრაფია, საიუბილეო კრებულები, მემუარული ლიტერატურა, ქართული და უცხოური ენციკლოპედიები, პერიოდული გამოცემები, ბიბლიოგრაფიული ცნობარები, რათა შედარებითი ანალიზით დადგენილიყო ცალკეული დოკუმენტების, მონაცემებისა და ფაქტების უტყუარობა. გასწორდა თავად ბიბლიოგრაფიულ ლიტერატურაში არსებული ცალკეული უზუსტობანი. ეს ყოველივე შრომატევადი და ხანგრძლივი პროცესია. კვლევა-ძიების არეალი მოიცავს არა მხოლოდ საქართველოს, არამედ რუსეთის იმპერიის, ევროპისა და ზოგადად, მსოფლიოს იმჟამინდელ ისტორიულ, პოლიტიკურ, კულტურულ თუ გეოგრაფიულ სივრცეს.
პროექტის მოცემულ ეტაპზე პარალელურად ვმუშაობდით ტექსტის რედაქტირებასა და სრულყოფაზე, მასალის შევსებასა და ფაქტობრივი მონაცემების დაზუსტებასა და დიდძალ წყაროებთან შეჯერებაზე. ასევე დამუშავდა მე-19 საუკუნის პრესა, ანუ მონაცემები იმ ქართულ და უცხოურ პერიოდული გამოცემებიდან, რომლებიც ექცევა ილია ჭავჭავაძის ცხოვრებისა და მოღაწეობის პერიოდის არეალში. ასევე , უშუალოდ პირველწყაროებიდან ზუსტდება წიგნში

შესული, იმ პერიოდში გამოქვეყნებული ცალკეული მწერლის, პუბლიცისტისა თუ მთარგმნელის ცალკეული ნაწარმოების დაბეჭდვის ზუსტი თარიღები და ბიბლიოგრაფიული მონაცემები. ამ სამუშაოების დასრულების შემდეგ წიგნი მზად იქნება გამოსაცემად. იგი დაიბეჭდება გამომცემლობა ,,უნივერსალში“

5. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში

5.1. მონოგრაფიები/წიგნები

№	ავტორი/ავტორები	მონოგრაფიის/წიგნის სათაური, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1 2	**მარი წერეთელი** მანანა შამილიშვილი	**ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის შესავალი** - (ელექტრონული სახელმძღვანელო)	თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა	390 გვერდი

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

სახელმძღვანელო ,,ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის შესავალი“ განკუთვნილია საბაკალავრო საფეხურის სტუდენტებისთვის. მისი მიზანია, სტუდენტი აზიაროს ჟურნალისტიკის თეორიისა და პრაქტიკის საფუძვლებს, განსაზღვროს ამ დისციპლინის მიზანდასახულობა, ფუნქციები და პრინციპები; ჟურნალისტიკის ადგილი მასობრივი კომუნიკაციის სისტემაში; წარმოაჩინოს თავად მასობრივი კომუნიკაციის არსი და მნიშვნელობა თანამედროვე გლობალიზებულ სამყაროში, მისი განვითარების თავისებურებები და პერსპექტივა; განიხილოს ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის სხვა არხების ურთიერთმიმართების ცალკეული ასპექტები და მათი ფუნქციონირების მედიური გამოვლინების სპეციფიკა. თემათა იერარქია, რომელიც სახელმძღვანელოს სტრუქტურით იკვეთება, ეფუძნება კომუნიკაციის განვითარების ეტაპებს, გამდიდრებულს კონტექსტური ცოდნით, რაც გულისხმობს ცალკეული ეპოქასთან მიმართების დანახულ პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციოკულტურულ პრობლემებსა და მათ კონტექსტში აღქმულ მედიაგარემოს - კონკრეტული პერიოდისთვის დამახასიათებელი ტექნოლოგიური სიახლეებითა და ცვლილებებით. ამასთან, კონკრეტული თემები განხილულია ქართული და საერთაშორისო მედიის გამოცდილებიდან მოხმობილი ფაქტობრივი მაგალითების (შემთხვევების) ანალიზის საფუძველზე.

ჟურნალისტიკის, როგორც სამეცნიერო დისციპლინის სინთეზური ბუნებიდან და თემატიკის მრავალაქცენტიანობიდან გამომდინარე, სახელმძღვანელოში თავი მოიყარა მომიჯნავე დისციპლინათა ჭრილში დანახულმა არაერთმა საკითხმა. წიგნში სათანადო ადგილი დაეთმო ინფორმაციის ვიზუალიზების მნიშვნელობისა და თავისებურებების ჩვენებას. განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა პრესის თავისუფლების არსის განსჯასა და საკითხის ისტორიულ გამოცდილებაზე, მეტადრე, მედიის სამართლებრივ და ეთიკურ ასპექტებზე, თანამედროვე საკანონმდებლო რეგულაციებზე. სახელმძღვანელოში აისახა აგრეთვე გლობალიზაციისა და მედიის ურთიერთმიმართების საკითხი. გამოიკვეთა მედიის როლი კულტურული ინტეგრაციის პროცესში, საერთაშორისო მედიის მოდელები და მათი გავლენის მასშტაბები. სათანადო ადგილი

დაეთმო ჟურნალისტიკისა და კომუნიკატივისტიკის მნიშვნელოვან თეორიებს. ყურადღება გამახვილდა ჟურნალისტიკაზე, როგორც შემოქმედებით პროცესზე, პროფესიის ზოგადფსიქოლოგიურ თავისებურებებსა და სპეციფიკაზე და სხვ.

წიგნში დანართის სახით წარმოდგენილია ცნობილი ქართველი და უცხოელი ავტორების მედიატექსტები, რომლებიც ამა თუ იმ საკითხს ერთგვარ „ამხსნელად“ (დამატებით საკითხავად) მიესადაგება. მთლიანობაში, სახელმძღვანელო დაეფუძნა ქართული და საზღვარგარეთული ჟურნალისტიკის სამეცნიერო გამოცდილებას, მედიალოგიისა და კომუნიკატივისტიკის მნიშვნელოვან თეორიებსა და უახლეს მედიაკვლევებს.

თამაზ ჯოლოგუა

2. შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტით დაფინანსებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

2.1.

№	გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	ქართული ევროპეიზმის სათავეებთან [ალექსანდრე ორბელიანის (1802-1869) თხზულებათა აკადემიური ოთხტომეულის გამოცემა]. ფუნდამენტური კვლევები (ჰუმანიტარული მეცნიერებები). საიდენტიფიკაციო კოდი FR – 19 – 7480	09.03.2020-09.03.2023	**როსტომ ჩხეიძე -** ხელმძღვანელი **მაია ცერცვაძე -** კოორდინატორი **ძირითადი შემსრულებლები:** თამაზ ჯოლოგუა ჯულიეტა გაბოძე ნინო ვახანია ელისაბედ ზარდიაშვილი მაია არველაძე
გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2020 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე) პროექტში უშუალოდ ვერთვები მოგვიანებით (2021-2023 წწ.; მე-4 ტომის შედგენა და სამეცნიერო აპარატის თანდართვით გამოსაცემად მომზადება). მიმდინარე წელს ვმუშაობდი ალ. ორბელიანის თხზულებათა მე-4 ტომისთვის განკუთვნილი პირადი მიმოწერის მოძიებასა და კლასიფიკაციაზე (წინასწარი სამუშაო).		

5. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში

5.1. მონოგრაფიები/წიგნები

№	ავტორი/ავტორები	მონოგრაფიის/წიგნის	გამოცემის ადგილი,	გვერდების რაოდენობა

		სათაური, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამომცემლობა	
1	**დიმიტი ყიფიანი**	თხზულებანი (10 ტომად). ტ. V. შეადგინა, რუსული ტექსტები თარგმნა, შენიშვნები, კომენტარები და საძიებლები დაურთო **თამაზ ჯოლოგუამ.** ISBN 978-9941-463-37-2 (დიმიტრი ყიფიანი. თხზულებანი) 978-9941-9640-9-1 (V ტომი)	თბილისი საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა	592 გვ.
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე) დიმ. ყიფიანის აკადემიური ათტომეულის V ტომში შესულია ავტორის ავტობიოგრაფიული ნაწერები, დღიურები და მემუარები. ნაწილი ტომში შესული დიმ. ყიფიანის ტექსტებისა ხელნაწერთა საფუძველზე ქვეყნდება პირველად. წიგნს ახლავს სამეცნიერო აპარატი: შენიშვნები, კომენტარები, პირთა ანოტირებული და გეოგრაფიულ სახელთა საძიებლები. ტომში შესული მასალა გამოადგებათ მე-19 საუკუნის ლიტერატურის, საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროცესებისა და საზოგადოებრივი აზრის მკვლევრებს. მომავალ ტომებში შევა დიმ. ყიფიანის საჯარო სიტყვები, 1832 წლის შეთქმულების საგამომძიებლო კომისიისთვის მიცემული ჩვენებები, სხვადასხვა ტიპის ჩანაწერები, დაუმთავრებელი თხზულებები (ტ. 6), ოფიციალური, საქმიანი და კერძო მიმოწერა (ტ. 7-10). ყველა ტომი აღჭურვილი იქნება სამეცნიერო აპარატით. დამატებით (მე-11) ტომში შევა ათტომეულთან დაკავშირებული ბიბლიოგრაფიული მასალა (ქრონოლოგიური და ანბანური პრინციპით დალაგებული სათაურები, საძიებლები და სხვ.).				

7. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

7.1. საქართველოში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	თამაზ ჯოლოგუა	ჟურნალ „საქართველოს მოამბის“ მთარგმნელობითი პოლიტიკა	ბათუმი 31 სექტემბერი - 2 აგვისტო
მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა) თეზისების სახით გამოქვეყნებულია გამოცემაში: CODFREURCOR-ის საერთაშორისო კონფერენცია „ეროვნული ლიტერატურა თარგმანში“, გვ. 59-61. http://codfreurcor.iliauni.edu.ge			

მიმდინარეობს გადაღება საზოგადოებრივი მაუწყებლის პროექტისა „ერი და პრესა“ (დოკუმენტური სერიალი 10 ნაწილად). სცენარის ავტორი თ. ჯოლოგუა (კ. ჯანდიერის მონაწილეობით). რეჟისორი ა. ჭიაურელი. დასრულებულია 8 ნაწილი.

მაია ტორაძე

5. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში

5. 2. სახელმძღვანელოები

№	ავტორი/ავტორები	სახელმძღვანელოს სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	მ. ტორაძე ხ. მაისაშვილი	მედიისა და კომუნიკაციის კვლევის მეთოდები ISBN 978-9941-13-842-3	თბილისი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	269

წინამდებარე წიგნი წარმოადგენს სახელმძღვანელოს უმაღლესი სასწავლებლების იმ სტუდენტებისთვის, რომლებიც შეისწავლიან მედიასა და კომუნიკაციათმცოდნეობას. ცნება „მედიაში“ ვგულისხმობთ არა მხოლოდ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს, არამედ იმ მედიუმების ერთობლიობასაც, რომლებიც თავიანთი ბუნებით „პოსტმასობრივი“ მედიის პროდუქტები არიან. კომუნიკაციათმცოდნეობას კი განვიხილავთ, როგორც მნიშვნელობის მქონე ინფორმაციის გადაცემის პროცესს, რომლის ძირითად კომპონენტად შეგნებულად გამოვყოფთ შეტყობინებას და მასში ჩადებულ მნიშვნელობებს.

სწავლების რომელი საფეხურისთვის არის განკუთვნილი ეს სახელმძღვანელო?

უპირველეს სამიზნე აუდიტორიად დავსახეთ მაგისტრატურის საფეხურის სტუდენტები, და სახელმძღვანელოს შინაარსიც თავისი კომპლექსურობით – როგორც თეორიული, ისე პრაქტიკულ-მეთოდოლოგიური ნაწილი – სწორედ ერთიან სამაგისტრო სასწავლო კურსს მივუსადაგეთ. თუმცა რამდენიმე ჩვენი კოლეგისგან, რომ- ლებიც სახელმძღვანელოს შინაარსის განვითარებას თვალს ადევნებდნენ, მოვისმინეთ რჩევები, რომ ამ წიგნში შესული ზოგიერთი ნაწილი გამოსადეგი იქნებოდა სწავლების საბაკალავრო საფეხურისთვისაც – შესაბამისი მომიჯნავე სასწავლო კურსების ფარგლებში.

იმ გარემოების გათვალისწინებით კი, რომ მედია და კომუნიკაციათმცოდნეობა თანამედროვე გაგებით ინტერდისციპლინური დარგებია, სახელმძღვანელო კარგი შენაძენი იქნება იმ სტუდენტებისთვისაც, რომლებიც ეუფლებიან პოლიტიკის მეცნიერებას,
სოციოლოგიას, ენათმეცნიერების სოციალურ და კულტურულ ასპექტებს და სხვ.

რა არის ახალი ამ წიგნში?

უპირველესად – მედიისა და კომუნიკაციის კვლევის მეთოდის რეკონცეპტუალიზაცია; ავტორები კვლევის მეთოდს განვიხილავთ, როგორც მსოფლმხედველობრივი მიდგომისა და საკვლევი ოპერა-ციების/პროცედურების ერთობლიობას. სახელმძღვანელოში გაერთიანებულია მედიისა და კომუნიკაციის შესახებ სწავლებების კონცეპტუალური, ოპერაციული და გამოყენებითი ასპექტები, ანუ ერთ სასწავლო კურსში ეფექტურად გამოიცდება მთელი ის პროფესიული ცოდნა, რომელიც სტუდენტმა უმაღლეს სასწავლებელში სწავლისას დააგროვა.

ამ სახელმძღვანელოში შემოგთავაზებთ შემდეგი მიდგომების განხილვას: სემიოლოგიური ანალიზი, რიტორიკული ანალიზი, იდეოლოგიური ანალიზი თავიანთი განშტოებებით და ნიშანდობლივებით; ანუ იმ თეორიულ ჩარჩოებს, რომელთა ფარგლებშიც შესაძლებელია მედიისა და კომუნიკაციის პროდუქტების კრიტიკული განხილვა. საკვლევ ოპერაციულ ტექნიკებს შორის განსაკუთრებული ყურადღება დავუთმეთ კონტენტანალიზს და მის ნაირსახეობებს, ინტერვიუსა და მის ქვესახეობებს, ასევე კონკრეტული შემთხვევის ანალიზს, ე.წ. case study. ამ საკვლევი სისტემატიზებული პროცედურების არჩევანი, უპირველესად, განაპირობა მედიისა და კომუნიკაციათმცოდ- ნეობის ტექსტების ანალიზის პრიორიტეტმა, რაც წარმოადგენს კიდეც ამ სახელმძღვანელოს სპეციფიკას.
ცალკე თავი ეთმობა კვლევის ძირითად ელემენტებს.

კონცეპტუალურად სახელმძღვანელო იყოფა ორ ნაწილად: ა) თეორიულ ნაწილად და ბ) მეთოდურ ნაწილად; ეს უკანასკნელი მოიცავს: დავალებებს, ტექნიკურ ინსტრუქციებს დავალებების შესასრულებლად, ავტორების მიერ შედგენილ სავარჯიშოებს და კვლევების ცალკეული ეტაპების პროცედურების ნიმუშებს.

6. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა უცხოეთში

6.1. მონოგრაფიები/წიგნები

№	ავტორი/ავტორები	მონოგრაფიის/წიგნის სათაური, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	მ. ტორაძე მ. გერსამია ლ. მარქარიანი	Handbook of Research on Discrimination, Gender Disparity, and Safety Risks in Journalism The Voice of Women and Challenges of Gender Equality in Georgian Media ISBN13: 9781799866862 DOI: 10.4018/978-1-7998-6686-2.ch013	IGI Global 2020	400

ქვეთავში მოცემული კვლევის მიზანია საქართველოში მედიალანდშაფტის ანალიზი გენდერული თანასწორობის პერსპექტივიდან და რეკომენდაციების მიწოდება გენდერულად მგრძნობიარე საკითხებზე ცნობიერების ამაღლების მიზნით.
ადგილობრივი და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ ჩატარებული კვლევების წინასწარი ლიტერატურული მიმოხილვის საფუძველზე, კვლევაში ნაჩვენებია, რომ საქართველოს (ქვეყნის) წინაშე დგას გამოწვევები ფემიციდის, ოჯახში ძალადობის, ქალების დასაქმების, ადრეული ან იძულებითი ქორწინების, სექსუალური შევიწროების, ქალი ჟურნალისტების შანტაჟის და ა.შ., კუთხით.ასევე იგრძნობა დაბალი ინფორმირებულობა გენდერული თანასწორობის შესახებ.

იუნესკო ხელს უწყობს სრულფასოვანი გენდერული თანასწორობის მიღწევას მედიაში 2030 წლისთვის. იუნესკოს მსოფლიო ტენდენციების, გამოხატვის თავისუფლებისა და მედიის განვითარების ანგარიშის თანახმად, მიუხედავად პროგრესისა, ჟურნალისტი ქალები კვლავ დგანან ძალადობისა და ფიზიკური, სიტყვიერი ან ციფრული თავდასხმების საფრთხის წინაშე მეტად, ვიდრე მათი მამრობითი სქესის კოლეგები (იუნესკო, 2018). კვლევების თანახმად (ბარტონი და შტორმი, 2014), რეპორტიორი ქალები ხშირად შემოიფარგლებიან "მსუბუქი" ამბების გაშუქებით (soft news) და მხატვრული წერით. დღესაც შეიძლება ცილისწამება მოხდეს იმის გამო, რომ მამაკაცები საუბრობენ მარტო მამაკაცურ წყაროებთან, გვიან საათებში მუშაობენ ან ეწინააღმდეგებიან სტატუს კვოს (გვ. 3). გარდა ამისა, INSI- ს და ქალთა საერთაშორისო ფონდის (IWMF, იუნესკოს მხარდაჭერით) მიერ ჩატარებულმა ანგარიშმა აჩვენა, რომ გამოკითხულთა თითქმის 64.8% -მა (591 921-დან) განიცადა ”დაშინება, მუქარა და შეურაცხყოფა” მათ საქმიანობასთან დაკავშირებით. ავტორებმა დაადგინეს, რომ ჟურნალისტ ქალებს განუცდიათ სექსუალური ძალადობა და შევიწროება სამსახურში (ბარტონი და შტორმი, 2014). როგორც ანრიეტ ჩაკარი ხაზს უსვამს, ქალებმა გამოხატეს შიში სექსუალური ძალადობის შესახებ. ისინი ფიქრობენ, რომ სამსახურეობრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებამ შეიძლება უარყოფითი გავლენა იქონიოს მათ კარიერაზე (Chacar, 2018).

Montiel (2018) აანალიზებს საკითხს ტექნოლოგიური განვითარების პერსპექტივიდან. მის ნაშრომში აღნიშნულია, რომ ქალები განიცდიან კიბერ ძალადობას, როგორიცაა: სატელეფონო ზარები, შეტყობინებები და ა.შ. ქალებმა მიიღეს სიკვდილის მუქარა, სექსუალური და ძალადობრივი შეტყობინებები Facebook- ისა და Twitter- ის მომხმარებლებისგან. სამწუხაროდ, ქალ ჟურნალისტებს შეურაცხყოფენ და თავს ესხმიან კითხვების დასმისა და იმ შეტყობინებების გამო, რომელსაც ისინი იზიარებენ (გვ. 69-70).

ტრადიციულად, ახალი ამბების ინდუსტრიაში დომინირებენ კაცები (როსი და სხვ., 2018) და ”სამაუწყებლო მედია ინდუსტრიის ზოგიერთი სფერო, განსაკუთრებით საინჟინრო და სამაუწყებლო-სადისტრიბუციო როლები, თითქმის მხოლოდ მამაკაცებს უკავიათ...” (EBU, All things თანასწორობა, გენდერული თანასწორობის სახელმძღვანელო პრინციპები საჯარო სამსახურის მედიისთვის, 2019).
მკვლევრები ამტკიცებენ (Melin-Higgins, 2014; Ruoho & Torkkola, 2018), რომ ქალებს ხშირად აქვთ წამყვანი პოზიციები ქალთა ჟურნალებში ან მედიაპროდუქტში სილამაზის შესახებ და ა.შ. თუმცა, საქართველოში ანალიზმა შეიძლება დაადასტუროს ჰიპოთეზა, რომ ქალებში დომინირებენ მედიის სექტორში (და არა მხოლოდ ქალთა ჟურნალებში). რაც შეეხება პოზიციონირებას, GMMP (გლობალური მედია მონიტორინგის პროგრამა, 2010 წ.) ანგარიშის თანახმად, საქართველოში ტელეწამყვანების 70% მამაკაცია და მხოლოდ 30%–ია ქალი წამყვანი არიან.
ნაშრომში, წინასწარი ლიტერატურის მიმოხილვის საფუძველზე, გამოიკვეთა შემდეგი საკვლევი კითხვები:
• RQ 1: არსებობს თუ არა გენდერული უთანასწორობა სამუშაო ადგილსა და თანამდებობებზე ქართულ მედიაში (ტელევიზია, ბეჭდური, რადიო, ინტერნეტი)?
• RQ 2: რა თემებს აშუქებენ ქალი და მამაკაცი ჟურნალისტები?
• RQ 3: რა ტიპის გენდერულ დისკრიმინაციას განიცდიან ქალები მედია ორგანიზაციებში?
კითხვებზე პასუხები რაოდენობრივი კვლევის, რაოდენობრივი და თვისებრივი კონტენტ–ანალიზისა და სიღრმისეული ინტერვიუების საფუძველზე, მოცემულია კვლევაში.

7. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

7.1. საქართველოში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	მ. ტორაძე მ. გერსამია ლ. მარქარიანი	„ქალთა ხმა და გენდერული თანასწორობის გამოწვევები ქართულ მედიაში“ The Voice of Women and Challenges of Gender Equality in Georgian Media	2020 წლის 25-27 ივნისი VIII საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „სივრცე, საზოგადოება, პოლიტიკა“. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი http://ssp.tsu.ge/axali/assets/media/uploads/images/program-and-abstracts-ssp-2020_5ef371a15e6e7.pdf

ხათუნა კაჭარავა

1. საგანმანათლებლო პროექტის „კულტურისა და ხელოვნების საკითხების გაშუქება მედიაში“ფარგლებში ჩატარებული კონკურსის ჟიურის წევრი, 2020
2. სერგეი მესხის პრემიის ლაურეატი, წიგნისათვის „ჟურნალისტიკა“, 2020
3. საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ-ს ინსტიტუციური კვლევითი ფონდის მრჩეველთა საბჭოს წევრი, 2020
4. დიანა ტყებუჩავა-მედიატექსტის ბუნება- ფუნქციურ ტიპოლოგიური ანალიზი, გამომცემლობა მერიდიანი, რედაქტორი, 2020.

რევაზ ჭიჭინაძე

1. სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის პერსონალის მიერ შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

1.2.

№	დასრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	სპორტის სამინისტროს საგრანტო პროექტი - კულტურის ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში. სამეცნიერო შრომების კრებული „კულტურა მედიაში“	2019-2020	1.რევაზ ჭიჭინაძე - ავტორი კვლევისა „კულტურა და ახალი მედია“ 2.გიორგი ჩართოლანი - ავტორი კვლევისა „კულტურა და ტელემედია“ 3.ლაურა კუტუბიძე - ავტორი კვლევისა „კულტურა და აუდიომედია“

სამეცნიერო შრომების კრებული მომზადდა განათლების, მეცნიერები, კულტურის, ახალგაზრდობის და სპორტის სამინისტროს მიერ 2019 წელს გამოცხადებული კონკურსის „ორიენტირი“ (კულტურისა და ხელოვნების სფეროში საგანმანათლებლო და სამეცნიერო- კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობა) გრანტის საფუძველზე და ის აერთიანებს სამ სამეცნიერო-კვლევით ნაშრომს. კრებული მოიცავს როგორც ჰუმანიტარული, ისე სოციალური და პოლიტიკური მეცნიერებების არეალს და ის წამოადგენს მულტიდისციპლინარულ აკადემიურ გამოცემას და იგი საფუძვლად დაედება დისციპლინის („კულტურის და ხელოვნების საკითხების გაშუქება მედიაში“; „ახალი მედია“) სწავლებისთვის აუცილებელი საგანმანათლებლო რესურსის (სახელმძღვანელო/დამხმარე სახელმძღვანელო შექმნას). კრებულში ყურადღება ამ ეტაპზე გამახვილდა მედიის სამ მიმართლებაზე -აუდიო, ტელე და და ახალ მედიაზე. კრებულის თითოეული თავის მომზადებისას ავტორებმა საკვლევ პრობლემად გამოყვეს ის საკითხები, რომლებიც ყველზე მეტად აქტუალურია და, რომელთა კვლევაც მნიშვნელოვანია როგორც ისტორიულ ჭრილში, ისე თამედროვე რეალობის გააზრებით. კრებულის ავტორები ვარაუდობენ, რომ ეს ნაშრომი სხვა მკვლევარებსაც მისცემს ბიძგს კულტურის და მედიის ურთიერთმიმართების საკითხებზე მეცნიერული ნაშრომების მომზადებისთვის. კრებულში განთვსებული ნაშრომები არ შემოიფარგლებმა მხოლოდ ამ ორი დარგით, ისინი მოიცავენ ზოგადად საზოგადოების ისტორიულ, კულტურულოგიურ

და ფსიქო-სოციალური განწყობებს და მათში ნაჩვენებია თუ რა საზოგადოებრივ დაკვეთას ასრულებდა იგი სხვადასხვა ეპოქაში და როგორ იყენებდა კულტურას და ხელოვნებას დაკისრებული მიზნების მისაღწევად. კრებული დაეხმარება მედიამკვლევარებს, მეცნიერებს და მედიის თეორეტიკოსებს ამ სფეროში ცოდნის გაღრმავებაში და მოამზადებს დაინტერესებულ მკვლევარებს საკვლევ თემატიკაში სწორი ორიენტირებისთვის, რამდენადაც იგი მოიცავს მასობრივი კომუნიკაციის სხვადასხვა პლატფორმაზე კულტურის და ხელოვნების საკითხების გაშუქების როგორც ისტორიას და თეორიას, ისე მის ტექნოლოგიურ პროცესს და კვლევის მეთოდოლოგიას. კრებულის მიზნობრივ აუდიტორიას კი წარმოადგენენ უმაღლესი სასწავლებლების პროფილური ფაკულტეტების (სახელოვნებო მეცნიერებები, სოციალური მეცნიერებები, ჰუმანიტარული მეცნიერებები, აუდიო-ვიზუალური ხელოვნების მიმართულებები) პროფესორები, მეცნიერ-თანამშრომლები, მკვლევარები, სტუდენტები, კულტურის ჟურნალისტიკის სფეროში მომუშავე პრაქტიკოსი ჟურნალისტები, მედიის მკვლევარები, მედიის თეორეტიკოსები და მედიაექსპერტები.

5. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში

5.3. კრებულები

№	ავტორი/ავტორები	კრებულის სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	რევაზ ჭიჭინაძე ლაურა კუტუბიძე გიორგი ჩართოლანი	კულტურა მედიაში ISBN 978-9941-9630-6-3	თბილისი, გამომცემლობა „კენტავრი“	207

კრებულის თითოეული თავის მომზადებისას: „კულტურა და ახალი მედია“; „კულტურა აუდიომედიაში“; „კულტურა და ტელემედია“, ავტორებმა საკვლევ პრობლემად გამოყვეს ის საკითხები, რომლებიც ყველზე მეტად აქტუალურია და, რომელთა კვლევაც მნიშვნელოვანია როგორც ისტორიულ ჭრილში, ისე თამედროვე რეალობის გააზრებით. ამწუხაროდ, ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში უკიდურესად მწირია მედიის და კულტურის ურთიერთგავლენის საკითხებზე აკადემიური სამეცნიერო ლიტერატურა. ეს კრებული ერთგვარად შეეცადა ამოევსო ამ სფეროში არსებული თეთრი ლაქები. გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ თანამედროვე მსოფლიოში არსებული ტენდენციების გათვალისწინებით, ტრადიციული მედიიდან მულტიმედიურ პლატფორმებზე გადასვლის პირობებში, კიდევ უფრო მეტად გამოიკვეთა დარგობრივი ჟურნალისტიკის განვითარების საკითხი. კულტურის ჟურნალისტიკა არის ის სფერო, რომელსაც ხელოვნების ყველა დარგის პოპულარიზაციისთვის საზოგადოების გემოვნების ფორმირებისთვის, ხელოვნების და კულტურის სფეროში მიმდინარე მოვლენების შესახებ მომხმარებლის კვალიფიციური ინფორმირებისთვის აქვს

გადამწყვეტი და მეტად საპასუხისმგებლო მნიშვნელობა.
ნაშრომის პირველ თავში (ავტ. ლ. კუტუბიძე) განხილული საკითხებია: რადიომაუწყებლობის ჩამოყალიბება და განვითარება; რადიოს არსებითი მახასიათებელი და სპეციფიკა; ხაზის რადიო; მუსიკა რადიოეთერში; საინფორმაციო-მუსიკალური პროგრამები; „პიკის საათი“; ლიტერატურა ეთერში; რადიოდადგმები; რადიოპორტრეტი მულტიმედიური „თავისუფლება“; BBC Radio - მხატვრული პროგრამები ნებისმიერი მსმენელისთვის; France Culture - საფრანგეთის საზოგადოებრივი რადიოს კულტურის არხი.
მეორე ნაწილში (ავტ. გ. ჩართოლანი) განხილულია საკითხები: ტელევიზია პოსტმოდერნიზმის პირმშო; ტელევიზიის ნათესაობა კულტურასთან; ტელევიზიის საწყისები - მისი კულტურულოგიური დანიშნულება; სატელევიზიო მრავალსერიანი ფილმი; ტელესერიალი; სატელევიზიო თეატრი; სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი; საავტორო კულტურულოგიური პროექტი.
მესამე ნაწილში (ავტ. რ. ჭიჭინაძე) განვიხილულია თანამედროვე მედიაში მიმდინარე პროცესები. კვლევის ეს თავი სამ ძირითად სეგმენტს მოიცავს. პირველი მონაკვეთი ეთმობა ახალ მედიას, კერძოდ - თანამედროვე მედიამატარებლებს და მედია პროდუქტის გავრცელების ფორმებსა თუ ფორმატებს. ნაშრომში გაანალიზებულია თუ რა გარემოებებმა გამოიწვია ჟურნალისტური მასალის მიწოდების პლატფორმების მრავალფეროვნება და ზოგადად ჟურნალისტური პროფესიის სახეცვლილება. აქცენტი კეთდება მედიის ე.წ. ჰიბრიდულობასა და კონვერგირებულ ჟურნალისტიკაზე; განხილულია მულტიმედიური გარდამავალი მედია მოდელებიც. კვლევის ამ მონაკვეთის პირველ ნაწილში დეტალურადაა განხილული ონლაინ ჟურნალისტიკის ახალი ფორმატი - მულტიმედია „ლონგრიდი“. აგრეთვე, სხვადასხვა საერთაშორისო კვლევების საფუძველზე, საუბარია მობილური გაჯეტებისთვის სპეციალური აპლიკაციების შექმნასა და ხელოვნური ინტელექტის მიერ ჟურნალისტური პროდუქტის დამზადებაზე. მეორე მონაკვეთი ძირითადად ეთმობა არტჟურნალისტიკას. საერთაშორისო კვლევების საფუძველზე, ნაშრომში წარმოდგენილია მოსაზრებები თუ რა განაპირობებს დღეს მედია ბაზარზე დარგობრივი ჟურნალისტიკის მოთხოვნის ზრდას. განხილულია არაერთი ასპექტი თუ რას წარმოადგენს, როგორია თანამედროვე არტჟურნალისტიკა და რა გამოწვევებს უნდა პასუხობდეს დარგის სპეციალისტი. წარმოდგენილ ნაშრომში არტჟურნალისტიკა ორ ძირითად მიმართულებადაა გაანალიზებული - არტკრიტიკა და მასობრივი არტჟურნალისტიკა. ყურადღება ეთმობა სეგმენტის ერთ-ერთ მთავარ პრობლემას - კრიტიკის მარკეტინგისგან გათავისუფლება. მესამე მონაკვეთში განხილულია ახალი მედიაარტი. საგულისხმოა, რომ ახალი მედია მნიშვნელოვნად ცვლის არა მხოლოდ ჟურნალისტიკას, არამედ ის გვევლინება ხელოვნების ახალი ჟანრების შემქმნელად. ხელოვნების ეს მიმართულება (რასაც წარმოადგენს ვიდეოარტი, საუნდარტი, მედიაინსტალაცია და ა. შ.), ერთგვარად ჰიბრიდულია, ითვისებს გამოხატვის ახალ ფორმებს და ვითარდება ტექნოლოგიურ ევოლუციასთან ერთად. ახალ არტმედიაში მიმდინარე სახელოვნებო პროცესების ჭრილში გაანალიზებულია ტრანსმედიურობის თეორია, რაც არსებული ახალი მიმდინარეობის თეორიულ განხილვაში გვეხმარება.

7. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

7.1. საქართველოში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი

1	რევაზ ჭიჭინაძე	„ხელოვნება პოსტმედიურ ეპოქაში“	საერთაშორისო კონფერენცია: ხელოვნება და თანამედროვეობა. თბილისი, საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრის და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი. 2020, 2-3 ივლისი http://www.tafu.edu.ge/files/pdf/conf/XIII/Conference%202020%20Program%20GEO.pdf
მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა)			

მარინე ლომიძე

5. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში

5.1. მონოგრაფიები/წიგნები

№	ავტორი/ავტორები	მონოგრაფიის/წიგნის სათაური, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	**ოთარ ჭილაძის ღრუბელი**	**გადაცემულია დასაბეჭდად**	**გამომცემლობა „სეზანი“**	

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე) კვლევის ობიექტი ოთარ ჭილაძის დიალოგების კრებული „ღრუბელია“, სადაც თავმოყრილია 20 ინტერვიუ. მათ შორის 10-10 ქართული და უცხოური მედიასაშუალებებით გამოქვეყნებული დიალოგია გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან მოყოლებული. ბოლო ინტერვიუ 2008 წლით არის დათარიღებული. წიგნში განხილულია მწერალი:

- რამდენად გვაცნობს თავის შემოქმედებით გეგმებს და ამხელს წარსული ამბების დეტალებს;
- როგორ გვიხსნის ნაცნობი მოვლენების/ფაქტების არსს, გვიზიარებს საკუთარ მოსაზრებებს;
- რამდენად აქვს საშუალება სრულყოფილად გამოთქვას აზრი;
- რამდენად იკვეთება ინტერვიუში მისი ინტერესი ჟურნალისტისადმი, როგორც საზოგადოებრივი აზრის შემქმნელისადმი, მოსაუბრისა და პიროვნებისადმი.

ჟურნალისტი:

- როგორ აღწევს მიზანს და რამდენად ინარჩუნებს ინდივუდუალობას;
- როგორ იცავს საზოგადოებრივ ინტერესს და, ამასთან, როგორ ახერხებს თავი დააღწიოს კომუნიკაციის ხელისშემშლელ ფაქტორებს;
- როგორ ავლენს პასუხისმგებლობას რესპონდენტისადმი; რამდენად ემიჯნება იდეოლოგიური სტერეოტიპების გავლენას და იცავს თუ არა მიუკერძოებლობის პროფესიულ სტანდარტს; რამდენად ახორციელებს ინტერვიუს მთავარ დანიშნულებას, რაც გულისხმობს პიროვნებათაშორის ვერბალურ ურთიერთობას ინფორმაციის მისაღებად, ახალი ცოდნის დასაგროვებლად და საზოგადოების ინფორმაციულ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებად. კვლევის ჰიპოთეზა გამართლდა: წარმოდგენილი დიალოგები სანიმუშოა, როგორც საზოგადოებასთან ურთიერთობის პარადიგმა, ასე პრობლემად რომ იქცა თანამედროვე ქართულ ჟურნალისტიკასა და PR-ის პრაქტიკაში.

დადასტურდა, სოციალურად რამდენად სასარგებლო ჟანრია ინტერვიუ-დიალოგი, თუ მისი

მონაწილეები პროფესიონალები არიან. ინტერვიუს ჟანრის ამ თხზულებებში რესპონდენტი თავისი საქმისა და როლის(ინტერვიუირებულის) ჩინებული ოსტატია (ამ ცნების ყველაზე ფართო გაგებით) ჟურნალისტებიც ართმევენ თავს პროფესიულ მოვალეობას (ეს იშვიათი გამონაკლისია დღევანდელ ქართულ მედიაში ზოგადად!).

5.4. სტატიები ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდის (DOI) მითითებით

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათა-ური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI	ჟურნალის/ კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1			ბიზნეს-ინჟინერინგი. ყოველკვარტალური რეფერირებადი და რეცენზირებადი საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალი.#3. 2019.		
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)					

5.5. სტატიები ISSN-ის მითითებით

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათა-ური, ISSN	ჟურნალის/ კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	**მარინე ლომიძე**	**დიალოგური ნარატივის როლი მედიის დემოკრატიზაციის პროცესში. ISSN 1512-0538**	**ბიზნეს-ინჟინერინგი. ყოველკვარტალური რეფერირებადი და რეცენზირებადი საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალი.#3. 2019**	**თბილისი**	**5 გვ.**
2.	**მარინე ლომიძე**	**ინტერვიუ, როგორც ჟურნალისტის პროფესიული იმიჯის ტექნოლოგია**	**სამეცნიერო ჟურნალი „სპექტრი“**	**© საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი. გამომცემლობა**	**6 გვ.**

		(ოთარ ჭილაძის დიალოგების მიხედვით). ISSN 2587-4810		„მერიდიანი“ 2020	
3	მარინე ლომიძე	ოთარ ჭილაძის დიალოგების გააზრების საკითხისათვის (გადაცემულია დასაბეჭდად)	ფილოსოფიური ძიებანი	გამომცემლობა ,,უნივერსალი“.	6 გვ.

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1. დიალოგური ნარატივის როლი მედიის დემოკრატიზაციის პროცესში

ნაშრომში განხილულია ინტერვიუ-დიალოგის, როგორც დიალოგური ნარატივის მნიშვნელობა მედიის დემოკრატიზაციის პროცესის გაღრმავებაში. ყურადღებაა გამახვილებული ასპექტებზე, როცა პროფესიონალების (კორესპონდენტისა და რესპონდენტის) თანამშრომლობით იქმნება სრულფასოვანი პუბლიცისტური ტექსტი, რომელიც კომუნიკაციის მონაწილეთა საიმიჯო მედიაპროდუქტის ფუნქციას იძენს. განხილული საკითხები საშუალებას იძლევა პასუხი გაეცეს კითხვებს, რესპონდენტი:

- რამდენად გვაცნობს თავისი საქმიანობის გეგმებს, წარსული ამბების ნიუანსებს, დეტალებს;
- რამდენად გვიხსნის ნაცნობი მოვლენებისა და ფაქტების არსს, გვიზიარებს საკუთარ მოსაზრებებს;
- რამდენად აქვს საშუალება სრულყოფილად გამოთქვას საკუთარი აზრი;
- რამდენად იკვეთება ინტერვიუში მისი ინტერესი ჟურნალისტისადმი, როგორც მოსაუბრისა და პიროვნებისადმი.

ჟურნალისტი:

- როგორ აღწევს მიზანს და ინარჩუნებს ინდივუდუალიზმს;
- როგორ იცავს საზოგადოებრივ ინტერესს და ამასთან თავიდან იცილებს კომუნიკაციის ხელისშემშლელ ფაქტორებს;
- როგორ ავლენს პასუხისმგებლობას რესპონდენტისადმი; რამდენად ემიჯნება იდეოლოგიური სტერეოტიპების გავლენას და იცავს მიუკერძოებლობის პროფესიულ სტანდარტს;
- რამდენად ახორციელებს ინტერვიუს მთავარ დანიშნულებას (პიროვნებათაშორისი ვერბალური ურთიერთობა ინფორმაციის მისაღებად, ახალი ცოდნის დასაგროვებლად საზოგადოების ინფორმაციულ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება).

2.ინტერვიუ, როგორც ჟურნალისტის პროფესიული იმიჯის ტექნოლოგია (ოთარ

ჭილაძის დიალოგების მიხედვით).ინტერვიუს, როგორც პუბლიცისტიკის ნიმუშის, PR-ის ინსტრუმენტად განხილვა განსაკუთრებით მომხიბვლელია, როცა საუბრის მონაწილენი (ინტერვიუერი ინტერვიუირებული/კორესპონდენტი და რესპონდენტი) თანაბრად წარმართავენ დიალოგს და ერთმანეთს აძლევენ საშუალებას საზოგადოების წინაშე წარსდგნენ სათანადოდ, ღირსეული სახით: ჟურნალისტი პროფესიული სტანდარტის დამცველად - წარუძღვეს საზოგადოებრივი ინტერესის მომცველ საუბარს, ხოლო მოპასუხე - თავისი საქმის მცოდნედ და პიროვნებად. წარმოდგენილი ნაშრომის მიზანია წარმოაჩინოს ინტერვიუ, როგორც ჟურნალისტური პროფესიული იმიჯის ტექნოლოგია. კვლევის ობიექტი ოთარ ჭილაძის დიალოგების კრებული ,,ღრუბელია“, სადაც თავმოყრილია 20 ინტერვიუ. მათ შორის 10-10 ქართული და უცხოური მედიასაშუალებებით გამოქვეყნებული დიალოგია გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან მოყოლებული. ბოლო ინტერვიუ 2008 წლით არის დათარიღებული. საკითხების მრავალმხრივი გაშუქების პრინციპის დაურღვევლობა წარმოდგენილი ინტერვიუების ტენდენციად იკვეთება. ნათქვამის დასადასტურებლად გამოყოფილია ჟურნალისტური საქმიანობის რამდენიმე მახასიათებელი, რომელთა შორის ჟანრის შესაძლებლობების შემოქმედებითად გამოყენება უმთავრესია. ინტერვიუებში ჩანს ჟურნალისტთა მიზნის მიღწევისა და ამ ფონზე საკუთარი ინდივიდუალიზმის შენარჩუნების, საზოგადოებრივი ინტერესის დაცვისა და არასაჭირო პათოსის თავიდან აცილების მცდელობა. დასმული კითხვების ანალიზით იკვეთება მათი პასუხისმგებლობა დიდი მწერლის პერსონისადმი, ერთგვარად იდეოლოგიური სტერეოტიპებისგან გამიჯვნა. უმრავლეს შემთხვევაში კითხვები თავისუფალია მიკერძოებისა და სწორხაზოვნებისგან.

კვლევის ჰიპოთეზა გამართლდა: წარმოდგენილი დიალოგები სანიმუშოა, როგორც საზოგადოებასთან ურთიერთობის პარადიგმა.

დადასტურდა, სოციალურად რამდენად სასარგებლო ჟანრია ინტერვიუ-დიალოგი, თუ მისი მონაწილეები პროფესიონალები არიან. ინტერვიუს ჟანრის ამ თხზულებებში რესპონდენტი თავისი საქმისა და როლის(ინტერვიუირებულის) ჩინებული ოსტატია (ამ ცნების ყველაზე ფართო გაგებით) და ჟურნალისტებიც ართმევენ თავს პროფესიულ მოვალეობას (ეს იშვიათი გამონაკლისია დღევანდელ ქართულ მედიაში ზოგადად!). წარმოდგენილი ნაშრომის მიზანი - წარმოაჩინოს ინტერვიუ, როგორც ჟურნალისტის პროფესიული იმიჯის ტექნოლოგია - მიღწეულია.

3. **ოთარ ჭილაძის დიალოგების გააზრების საკითხისათვის.**

განსახილველი ტექსტები, ისევე როგორც ოთარ ჭილაძის სხვა პუბლიცისტური ჟანრის თხზულებები, მხატვრული აზროვნების პალიტრით იპყრობს ყურადღებას. მისი პუბლიცისტური ნარატივი, რომელსაც გამოარჩევს ენის სიმდიდრე, კულტურა და გამომსახველობა, მკითხველის მხატვრულ-პუბლიცისტური აზროვნების სრულყოფას ემსახურება.

ოთარ ჭილაძის დიალოგებში არსებითია ნააზრევის წარმოჩენის ყველა კომპონენტი: სიტყვა,

სიტყვათშეთანხმებები, მსჯელობის ლოგიკა, კავშირები, გარდასახვის ხერხები. სიტუაცია აისახება ფაქტების შინაგანი (სოციალური) მნიშვნელობით, მოვლენების შინაარსითა და მათი განწესრიგებით. ოთარ ჭილაძის თხრობის ყველა ერთეული მორგებულია პერსონიფიცირებული მსჯელობის ფორმასა და აზრის მსვლელობას. დიალოგებში გამოყენებულია მსჯელობის თითქმის ყველა სახე: ანალიზი, სინთეზი, დედუქცია, ინდუქცია, განზოგადება, რომლებიც დასკვნების გამოტანის წინაპირობა და საფუძველი ხდება. ყურადღებას იპყრობს ოთარ ჭილაძის ნააზრევის წარმოსაჩენად არა იმდენად სიტყვის შინაარსი, რამდენდაც მისი მიზნობრივი დანიშნულება, ასევე განსაკუთრებულია ზმნის გამომსახველობითი როლი.

7. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

7.1. საქართველოში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	**მარინე ლომიძე**	**ინტერვიუ, როგორც ჟურნალისტის პროფესიული იმიჯის ტექნოლოგია.**	**მე-14 საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ხელისუფლება და საზოგადოება", 13 ნოემბერი, 2020 წელი. სტუ.**
მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა) **მოხსენება დაიბეჭდა ჟურნალ „სპექტრში"**			

ანგარიშის ფორმა №2

2020 წელს გაწეული სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ანგარიში

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება - - - - - - - - - - - - - - - - - -

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის დასახელება -

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის პოლიტიკის მეცნიერების დეპარტამენტი

სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა ხელმძღვანელის მითითებით -

მალხაზ მაცაბერიძე - პროფესორი, დეპარტამენტის ხელმძღვანელი
ალექსანდრე კუხიანიძე - პროფესორი
კორნელი კაკაჩია - პროფესორი
ავთანდილ ტუკვაძე - ასოცირებული პროფესორი
სალომე დუნდუა - ასოცირებული პროფესორი
ზვიად აბაშიძე - ასოცირებული პროფესორი
თამარ ქარაია - ასისტენტ- პროფესორი
ვალერიან დოლიძე - ასისტენტ- პროფესორი

მალხაზ მაცაბერიძე

2. შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტით დაფინანსებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

2.1.

№	გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	FR-18-20157- „საქართველოს დამფუძნებელი კრება: ქართული პარლამენტარიზმის გამოცდილება“	2019 თებერვალი -2022 თებერვალი	მალხაზ მაცაბერიძე - პროექტის ხელმძღვანელი თამარ ორჯონიკიძე - პროექტის კოორდინატორი ოთარ ჯანელიძე - მკვლევარი პაატა სურგულაძე - მკვლევარი ირაკლი იაკობაშვილი - მკვლევარი ნათია ზედგინიძე - მკვლევარი
2020 წელი შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული სამწლიანი			

პროექტის მეორე წელი იყო. ჯგუფის მუშაობას გარკვეულწილად აფერხებდა კოვიდის ეპიდემიის გამო დაკეტილი არქივი და ბიბლიოთეკები, მაგრამ გეგმით გათვალისწინებული სამუშაოს შესრულება მაინც მოხერხდა. 2020 წელს დამთავრდა დამფუძნებელი კრების სხდომების სტენოგრაფიული ანგარიშების მომზადება და გამოცემა (გამოსცა საქართველოს პარლამენტის ბიბლიოთეკამ). მთლიანობაში გამოიცა 8 ტომი. განსაკუთრებით რთული აღმოჩნდა მე-8 ტომის მომზადება, რადგანაც აქ თავმოყრილია დამფუძნებელი კრების მუშაობის უკანასკნელი პერიოდის - 1921 წლის იანვარ-მარტის მასალები. ბევრი სტენოგრამა ჩვენამდე არ არის მოღწეული, ან ვიმედოვნოთ, რომ ჯერ არ არის მიკვლეული. ამიტომ დამფუძნებელი კრების რიგი სტენოგრამების აღდგენა მოხდა საგაზეთო მასალების მიხედვით. მაგალითად, დამფუძნებელი კრების ქუთაისში გამართული სხდომა მთლიანად აღდგენილია გაზეთ „ერთობაში“ გამოქვეყნებული ვრცელი ანგარიშის მიხედვით.

2020 წელს გამოვიდა კვლევითი ჯგუფის მიერ დაფუძნებული ჟურნალის „ქართული პარლამენტარიზმის“ (ISSN 2667-9256; E ISSN 2667 – 9264) გეგმით გათვალისწინებული ორი ნომერი, სადაც გამოქვეყნებულია ჯგუფის წევრების მიერ მომზადებული სტატიები და დოკუმენტური მასალა.

კვლევითმა ჯგუფმა დაიწყო ასევე პროექტით გათვალისწინებული მონოგრაფიის ტექსტზე მუშაობა.

5. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში

5.5. სტატიები ISSN-ის მითითებით

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათა-ური, ISSN	ჟურნალის/ კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	მალხაზ მაცაბერიძე	ქართული ინტეგრალური ნაციონალიზმის ისტორიიდან („საქართველოს ფაშისტური დარაზმულობა“)	ჟურნ. „პოლიტიკა“, 2020 N 2, (ISSN 2449 -2825; E ISSN 2449 – 2833)	თბილისი	გვ.50-72 /13
2.	მალხაზ მაცაბერიძე	12 წელი 2008 წლის აგვისტოს ომიდან -	ჟურნ. „პოლიტიკა“, 2020 N 4, (ISSN 2449 -2825; E ISSN 2449 – 2833)	თბილისი	გვ.68-75 /8
3.	მალხაზ მაცაბერიძე	ერნსტ რენანი ერის ცნების შესახებ და იმდროინდელი ქართული პოლიტიკური აზრი	ჟურნ. „პოლიტიკა“, 2020 N 6, (ISSN 2449 -2825; E ISSN 2449 – 2833)	თბილისი	გვ.52-78 / 27
4.	მალხაზ მაცაბერიძე	დისკუსია „რესპუბლიკის უმაღლესი წარმომადგენლის“ შესახებ -	„ქართული პარლამენტარიზმი“, 2020 N 1(3), (ISSN 2667-9256; E ISSN 2667 – 9264)	თბილისი	გვ.13-27 / 15

5.	მალხაზ მაცაბერიძე	სოციალისტური პარტიების წინასაარჩევნო პლატფორმები საქართველოს დამფუძნებელი კრების არჩევნების დროს -	„ქართული პარლამენტარიზმი“, 2020 N 1(3), (ISSN 2667-9256; E ISSN 2667 – 9264)	თბილისი	გვ.39-69 / 31
6.	მალხაზ მაცაბერიძე	მთავრობის თავმჯდომარის უფლებამოსილების განსაზღვრა საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციაში -	„ქართული პარლამენტარიზმი“, 2020 N 2(4), (ISSN 2667-9256; E ISSN 2667 – 9264)	თბილისი	გვ.25-47 / 23

ქართული ინტეგრალური ნაციონალიზმის ისტორიიდან („საქართველოს ფაშისტური დარაზმულობა“)

სტატიაში ჟურნალ „ქართლოსის“ (1937-1939) პუბლიკაციების და პარტიის პროგრამის (1937) საფუძველზე განხილულია ემიგრანტული პოლიტიკური გაერთიანების „ქართული ფაშისტური დარაზმულობის“ იდეოლოგია, რომელიც ქართული ინტეგრალური ნაციონალიზმის სახეობას წარმოადგენდა. ქართველ ემიგრანტთა ჯგუფი (შ. მაღლაკელიძე, ვ. ნოზაძე, კ. სალია, ნ. დადიანი და სხვები) შეეცადა საქართველოს განთავისუფლების კონკრეტული გზა ეპოვნა ფაშიზმის საფუძველზე, რომელიც 1930-იანი წლების მეორე ნახევარში მათ მიერ წარმატებულ იდეოლოგიად და პოლიტიკურ პროგრამად მიიჩნეოდა. მათი აზრით, ფაშიზმის ქართული ვარიანტი გააერთიანებდა ერს, დაუპირისპირდებოდა კომუნისტურ რეჟიმს და ფაშისტური ქვეყნების დახმარებით თავისუფლებას მოუტანდა საქართველოს.

ქართული ფაშისტური დარაზმულობა თავისი არსებობის სამი წლის განმავლობაში მხოლოდ თეორიული მიმდინარეობა იყო, რომელსაც ორგანიზაციის სახით არ უთანამშრომლია არც იტალიელ ფაშისტებთან და არც გერმანელ ნაცისტებთან. 1939 წელს რიბენტროპ-მოლოტოვის პაქტის გაფორმების შემდეგ, ჟურნალ “ქართლოსის” გამოცემა შეწყდა და ქართული ფაშისტური დარაზმულობაც დაიშალა. ფაშისტური რეჟიმების კრახმა და მათი დანაშაულებრივი საქმიანობის მხილებამ ფაშიზმის როგორც იდეოლოგიის დისკრედიტაცია და დაგმობა გამოიწვია. შესაბამისად, ქართული ინტეგრარული ნაციონალიზმის ამ ფორმას შემდგომში განვითარება არ მოჰყოლია. ადამიანები, რომლებიც ქართულ ფაშისტურ დარაზმულობაში შედიოდნენ საქართველოს პატრიოტები და ცნობილი საზოგადო მოღვაწეები იყვნენ.

12 წელი 2008 წლის აგვისტოს ომიდან -

სტატიაში განხილულია 2008 წლის აგვისტოს ომის მე-12 წლისთავთან დაკავშირებით ქართველი და უცხოელი პოლიტიკოსების მიერ გაკეთებული განცხადებები. საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლებმა მოუწოდეს რუსეთს საოკუპაციო ჯარების გაყვანისაკენ, რუსეთის ყოფილი პრეზიდენტი დმიტრი მედვედევი კიდევ ერთხელ შეეცადა რუსეთის აგრესიული პოლიტიკის გამართლებას. დასავლეთიდან კი კვლავ დაფიქსირდა საქართველოს ტერიტორიული

მთლიანობის მხარდაჭერა.

ერნსტ რენანი ერის ცნების შესახებ და იმდროინდელი ქართული პოლიტიკური აზრი

სტატიაში განხილულია ცნობილი ფრანგი მეცნიერის ერნსტ რენანის (1823-1892) ლექცია „რა არის ერი“ (1882) და ის დისკუსია, რაც მას იმ დროინდელ ქართულ საზოგადოებაში მოჰყვა. რენანის ლექცია იმავე წელს ითარგმნა ქართულად და აქტიური განხილვის საგანი გახდა. მან გავლენა მოახდინა მრავალი ქართველი მოღვაწის შეხედულებებზე. 1901 წელს რენანის ნაშრომი ხელახლა თარგმნა ქართულად და გამოქვეყნება უკავშირდებოდა საქართველოში გაშლილ დაპირისპირებას. ეროვნულ პოზიციაზე მდგომი ძალები რენანის თვალსაზრისს იყენებდნენ არგუმენტად ქართველი მარქსისტების წინააღმდეგ, რომლებიც იმ დროს ეროვნული ნიჰილიზმის პოზიციაზე იდგნენ.

დისკუსია „რესპუბლიკის უმაღლესი წარმომადგენლის“ შესახებ -

სტატიაში განხილულია საქართველოს დამფუძნებელ კრებაში 1919 წლის 14 მარტს მთავრობის თავმჯდომარის "რესპუბლიკის უმაღლესი წარმომადგენელის" ფუნქციით აღჭურვის საკითხთან დაკავშირებით გაშლილი დისკუსია. ეს იყო საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში პრეზიდენტის ინსტიტუტის საჭიროებასთან დაკავშირებით პოლიტიკური პარტიების მიერ პოზიციების პირველი დაფიქსირება. ეს პოზიციები, პრინციპში, შემდგომშიც _ კონსტიტუციის შემუშავების დროს _ არ შეცვლილა. სოციალისტ-რევოლუციონერები და სოციალისტ-ფედერალისტები პრეზიდენტის ინსტიტუტის შემოღების წინააღმდეგი იყვნენ, ეროვნულ-დემოკრატები მის შემოღებას მოითხოვდნენ, სოციალ-დემოკრატების პოზიცია კი კვლავ შუალედური დარჩა. მართალია პრეზიდენტის ინსტიტუტის შემოღებისთვის მხარი არ დაუჭერიათ, მაგრამ მიიღეს ნოე ჟორდანიას წინადადება მთავრობის თავმჯდომარისთვის პრეზიდენტის ზოგიერთი ფუნქციის შეთავსების თაობაზე, რაც დაფიქსირდა საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციაში.

სოციალისტური პარტიების წინასაარჩევნო პლატფორმები საქართველოს დამფუძნებელი კრების არჩევნების დროს -

საქართველოს დამფუძნებელი კრების არჩევნებში (1919 წლის 14-17 თებერვალი) 15 პოლიტიკური პარტია და გაერთიანება მონაწილეობდა. თუმცა, იმდროინდელ ქართულ პოლიტიკურ სპექტრში სოციალისტური პარტიები დომინირებდნენ. საკმარისია ითქვას, რომ 1919 წლის 12 მარტს შეკრებილ 130-წევრიან დამფუძნებელ კრებაში 109 ადგილი მოიპოვა საქართველოს სოციალ-დემოკრატიულმა მუშათა პარტიამ (სია N 1), 8 ადგილი სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიამ (სია N 5) და 5 ადგილი საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიამ (სია N 3).

საარჩევნო კამპანიის აუცილებელ ნაწილად სოციალისტური პარტიები თავიანთი წინასაარჩევნო პლატფორმების გამოქვეყნებას მიიჩნევდნენ. სხვებზე ადრე ეს სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ გააკეთა და დამფუძნებელი კრების საარჩევნო პლატფორმა პარტიის ცენტრალურ ორგანოში - გაზეთ “ერთობაში” 1919 წლის 22 იანვარს გამოაქვეყნა. სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის საარჩევნო პლატფორმა ამ პარტიის ცენტრალურმა ორგანომ გაზეთმა “სახალხო საქმემ” 1919 წლის 26 იანვარს გამოაქვეყნა. სოციალისტ-რევოლუციონერთა საარჩევნო პლატფორმა კი უშუალოდ არჩევნების წინ – 12 თებერვალს გამოქვეყნდა გაზეთ “შრომაში”, რომელიც ამ პარტიის ცენტრალური ორგანო იყო.

სოციალისტური პარტიების საარჩევნო პლატფორმები საინტერესო დოკუმენტებია, რომლებიც კარგად წარმოაჩენენ ამ პარტიების მაშინდელ განწყობას და მიმდინარე მოვლენების ხედვას.

საქართველოს წამყვანი სოციალისტური პარტიები მსოფლიო სოციალისტურ რევოლუციას უახლოესი მომავლის საქმედ მიიჩნევდნენ. სოციალ-დემოკრატები ქვეყანაში მათ მიერ

გადადგმულ ნაბიჯებს განიხილავდნენ როგორც მომზადებას “დიდი სოციალისტური გადატრიალების შესახვედრად” და იმედით შეჰყურებდნენ “დასავლეთ ევროპაში აღორძინებულ რევოლუციურ ბრძოლას”. სოციალისტ-ფედერალისტები საარჩევნო პლატფორმაში აღნიშნავდნენ: „უკვე ახლოვდება ჟამი ქვეყნის ძირითადი გარდაქმნისა, ახლოვდება სოციალისტური რევოლუცია, როცა ერთიან უნდა დაინგრეს ბატონობა კაპიტალისა და ბურჟუაზიის“. სოციალისტ-რევოლუციონერები კი ირწმუნებოდნენ, რომ პარტიის ყოველი ნაბიჯი იყო „ბრძნული და გაბედული მზადება გენერალური ბრძოლისათვის“.

სოციალისტური პარტიები ფაქტობრივად ერთიანი იყვნენ თავიანთი მიზნის - სოციალიზმის დახასიათებისას (ამ საკითხს საარჩევნო პლატფორმაში სოციალ-დემოკრატები ფედერალისტებსა და ესერებთან შედარებით გაცილებით მეტ ყურადღებას უთმობდნენ), მაგრამ მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა მათი პოზიციები სოციალიზმისკენ მიმავალი გზების განსაზღვრისას. სოციალ-დემოკრატები მიიჩნევდნენ, რომ საქართველოში უნდა მიეღწიათ „სრული დემოკრატიზმისათვის“, რასაც საუკეთესო საშუალებად მიიჩნევდნენ სოციალიზმის მისაღწევად. „სრულ დემოკრატიზმიდან სოციალიზმისაკენ, ასეთია ჩვენი გზა“, - ნათქვამია სოციალ-დემოკრატების საარჩევნო პლატფორმაში. დაახლოებით ასეთივე იყო სოციალისტ-ფედერალისტთა პოზიციაც. ფედერალისტები ამოცანად სახავდნენ საქართველოში „წმინდა ხალხურ, დემოკრატიული სახელმწიფოს“ მოწყობას, რაც გულისხმობდა „აწინდელ ბურჟუაზიულ სახელმწიფოში“ ისეთი ძალების შექმნას, „რომლებიც გაგვიადვილებენ და დაგვეხმარებიან სოციალისტურ სახელმწიფოში, შრომის სამეფოში გადასასვლელად“.

სოციალ-დემოკრატებისა და ფედერალისტებისაგან განსხვავებით სოციალისტ-რევოლუციონერები ფორმულას „ბურჟუაზიული დემოკრატიიდან - სოციალიზმისაკენ“ მოძველებულად მიიჩნევდნენ და საჭიროდ თვლიდნენ სოციალიზმის მშენებლობის დაუყოვნებლივ დაწყებას. „სოციალისტური ძალაუფლებიდან - სოციალიზმისაკენ... სისტემატიური კოლექტივიზაცია შრომისა და საკუთრებისა, - ასეთია ერთად ერთი გზა“, - აღნიშნავდნენ ესერები თავიანთ პლატფორმაში.

თითოეული სოციალისტური პარტია ირწმუნებოდა, რომ სწორედ ის იყო ჭეშმარიტი სოციალისტური პარტია და მშრომელთა ინტერესების გამომხატველი.

მთავრობის თავმჯდომარის უფლებამოსილების განსაზღვრა საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციაში

მთავრობის თავმჯდომარისთვის „რესპუბლიკის უმაღლესი წარმომადგენელის“ ფუნქციის მინიჭებას დიდი დისკუსია მოჰყვა დამფუძნებელი კრების 14 მარტის სხდომაზე და პარტიულ პრესაში. ამის მიზეზი იყო ის გარემოება, რომ სოციალისტური პარტიების წარმომადგენლები მთავრობის თავმჯდომარისთვის დამატებითი უფლებამოსილების მინიჭებაში ხედავდნენ პრეზიდენტის ინსტიტუტის შემოღების საფრთხეს. პრეზიდენტის ინსტიტუტი კი არადემოკრატიულად მიაჩნდათ. ამიტომ მთავრობის თავმჯდომარის უფლებამოსილების განხილვას დიდი ყურადღება დაეთმო დამფუძნებელი კრების საკონსტიტუციო კომისიაში, სოციალ-დემოკრატიული პარტიის ცენტრალურ კომიტეტში და ამ პარტიის მეორე ყრილობაზე. მთავრობის თავმჯდომარის უფლებამოსილების საკითხს დისკუსია მოჰყვა დამფუძნებელ კრებაში კონსტიტუციის პროექტის განხილვის დროს. ამ საკითხზე თავისი მოსაზრება გამოთქვა საქართველოში ჩამოსულმა კ. კაუცკიმ. საბოლოო ჯამში გაიმარჯვა ნოე ჟორდანიას პოზიციამ, რომელსაც შესაძლებლად მიაჩნდა მთავრობის თავმჯდომარისთვის პრეზიდენტის გარკვეული ფუნქციების შეთავსება. სწორედ ეს თვალსაზრისი აისახა 1921 წლის კონსტიტუციაში.

6. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა უცხოეთში

6.4. სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI ან ISSN	ჟურნალის/ კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	მალხაზ მაცაბერიძე	Обращение к истории в инаугурационных речах президентов Грузии –	«Теоретико-методологические основания новых идентификационных подходов», Алматы, Институт философии, политологии и религиоведения КН МОН РК, 2020,	Алматы	с.96-103 / 8

საქართველო საპრეზიდენტო რესპუბლიკიდან ნახევრადსაპრეზიდენტო, 2013 წლიდან კი საპარლამენტო რესპუბლიკად გადაიქცა. საქართველოს პირველი სამი პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია (1991-1992 წლებში), ედუარდ შევარდნაძე (1995-2003) და მიხეილ სააკაშვილი (2005-2013) ქარიზმატულ ლიდერებს წარმოადგენდნენ და მათ ხელში დიდი ძალაუფლება იყო თავმოყრილი. საპარლამენტო რესპუბლიკის დროს კი პრეზიდენტის პოსტი ჯერ გიორგი მარგველაშვილს (2013-2018), დღეს კი სალომე ზურაბიშვილს უკავია. საქართველოს მეხუთე პრეზიდენტი ყავს, საპრეზიდენტო არჩევნები კი 7-ჯერ ჩატარდა. ეს პოსტი ე. შევარდნაძემ და მ. სააკაშვილმა ორჯერ დაიკავეს.

პრეზიდენტის საინაუგურაციო სიტყვას საეტაპო მნიშვნელობა ენიჭება. მასში ჩამოყალიბებულია სახელმწიფოს არსებული მდგომარეობისა და სამომავლო განვითარების ხედვა. ამავე დროს საქართველოს ყველა პრეზიდენტი თავის საინაუგურაციო სიტყვაში იშველიებდა წარსულს თავის სამომავლო ხედვის დასაბუთებისას.

დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ საქართველოში პრეზიდენტის ინსტიტუტის არსებობის სამი ათეული წელი აჩვენებს, რომ პრეზიდენტები თავიან ინაუგურაციას, როგორც წესი, უკავშირებდნენ ისტორიული მნიშვნელობის ადგილებს, თავიანთ საინაუგურაციო სუტყვებში კი იხსენებდნენ წარსულს და მას საქართველოს განვითარების მიმდინარე ეტაპს უკავშირებდნენ.

პრეზიდენტების მიერ საინაუგურაციო სიტყვებში ისტორიასთან აპელირება ემსახურება: ა/ ინაუგურაციის როგორც ქვეყნის ისტორიაში მნიშვნელოვანი მოვლენის ხაზგასმას; ბ/ ქვეყნის წინაშე არსებული უმთავრესი ამოცანების ისტორიული ხასიათის ჩვენებას (ქვეყნის ერთიანობისა და დამოუკიდებლობის უზრუნველყოფა; ევროპული ორიენტაცია); გ/ ქართული პატრიოტიზმისა და ეროვნული ენერგიის მობილიზებას ქვეყნის წინაშე მდგარი ამოცანების გადასაწყვეტად.

7. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

7.1. საქართველოში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი

1	მალხაზ მაცაბერიძე	იუზეფ პილსუდსკი ქართული ემიგრაციის თვალით	21 თებერვალი, 2020 გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი. მე-7 საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია
2.	მალხაზ მაცაბერიძე	დამოუკიდებლობის აქტით დეკლარირებული პრინციპების დამკვიდრება საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციაში	26 მაისი, 2020 ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი. კონფერენცია: „დამოუკიდებლობის მოპოვება, აღდგენა, შენარჩუნება“
3.	მალხაზ მაცაბერიძე, თამარ ორჯონიკიძე	ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლები საქართველოს დამფუძნებელ კრებაში (1919-1921)	25-27 ივნისი, 2020 ივ.ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. მე-8 საერთაშორისო კონფერენცია „სივრცე, საზოგადოება, პოლიტიკა“
4.	მალხაზ მაცაბერიძე	საქართველოს კონსტიტუციური განვითარების საკვანძო საკითხებისაქართველოს კონსტიტუციური განვითარების საკვანძო საკითხები	11 დეკემბერი, 2020 ივ.ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. კულტურის კვლევათა ინსტიტუტი. კონფერენცია „დამოუკიდებელი სახელმწიფოს მშენებლობის პრობლემები: კულტურა, იდენტობა, პოლიტიკა“

იუზეფ პილსუდსკი ქართული ემიგრაციის თვალით

1920-იანი და 1930-იანი წლების პოლონეთის და მისი ლიდერის იუზეფ პილსუდსკის (1867-1935) საქმიანობა ყოველთვის იყო ქართული ემიგრანტული პრესის ყურადღების საგანი. საქართველოს ბევრი რამ აკავშირებდა პოლონეთთან და პირადად პისუდსკისთან. 1935 წლის 12 მაისს პილსუდსკის გარდაცვალებასთან დაკავშირებით ქართულ ემიგრანტულ გამოცემებში გამოქვეყნდა მისი მოღვაწეობისადმი მიძღვნილი სტატიები. ერთ-ერთი ემიგრანტული ქართული გაზეთი წერდა: „საუბედუროდ, საქართველო მოკლებულია საშუალებას გაგზავნოს მისი წარმომადგენლები მარშალი პილსუდსკის ცხედრის პატივსაცემად და გამოსთქვას თავისუფლად გრძნობა თავის თანაგრძნობისა პოლონელ ერისადმი“.

ოკუპირებულ და გასაბჭოებულ საქართველოში მართლაც შეუძლებელი იყო პრესაში თავისუფალი აზრის გამოთქმა. გაზეთ „კლდის“ თქმით, ის რის გაკეთებაც არ შეეძლოთ საქართველოში, უნდა გაეკეთებინათ ემიგრანტ ქართველებს და „საზღვარგარეთული თავისუფალი პრესის საშუალებით“ და „მთელი ქართველი ერის სახელით“ პოლონეთისთვის გამოეცხადებინათ გულწრფელი თანაგრძნობა. პილსუდსკის გარდაცვალებას გამოეხმაურა მთელი ქართული ემიგრანტული პრესა, ყველა პოლიტიკური მიმართულების გამოცემა:

- სოციალ-დემოკრატების („ბრძოლის ხმა“);

- სოციალისტ-ფედერალისტების („სახალხო საქმე“);
- ეროვნულ-დემოკრატების („სამშობლო“);
- რადიკალ-ნაციონალისტების („ორნატი“, „კლდე“);
- პატრიოტულად განწყობილი სამხედროების („მხედარი“).

პუბლიკაციების ნაწილი ხელმოუწერელია ან ფსევდონიმით არის ავტორი წარმოდგენილი.

წინამდებარე კრებულში თავმოყრილია ქართულ ემიგრანტულ გამოცემებში დაბეჭდილი სტატიები იუზეფ პილსუდსკის გარდაცვალების გამო. ამ პუბლიკაციებში კარგად ჩანს ის დიდი პატივისცემა, რასაც პილსუდსკი ქართულ ემიგრანტულ წრეებში იმსახურებდა.

რა თქმა უნდა, პირველ რიგში საუბარია პილსუდსკის დამსახურებაზე პოლონეთის წინაშე, მაგრამ ამავე დროს იმ მხარდაჭერაზეც, რასაც პილსუდსკი ქართულ ემიგრანტულ წრეებს და, შესაბამისად, საქართველოს განთავისუფლების საქმეს უწევდა.

პუბლიკაციებში კარგად ჩანს ასევე იმ პოლიტიკური მიმდინარეობების სახეც, რომლის წარმომადგენელიც წერდა პილსუდსკის შესახებ. ყველაზე მოზომილად და მშრალად ქართველი სოციალ-დემოკრატები, ყველაზე ვრცლად და თბილად ქართული სამხედრო-პატრიოტული წრეები. ეს გასაგებიცაა - პილსუდსკი ქართველი სოციალ-დემოკრატებისათვის ყოფილი სოციალ-დემოკრატი იყო, ემიგრაციაში მყოფ ქართველ სამხედროებს კი ყველაზე დიდი დახმარება პილსუდსკიმ გაუწია. სოციალ-დემოკრატიული პრესისგან განსხვავებით, ყველა დანარჩენი პუბლიკაცია პილსუდსკის გარდაცვალებასთან დაკავშირებით ერთ ჭრილში შეიძლება განვიხილოთ, რადგანაც ამ პუბლიკაციებში ჩანს პილსუდსკის საქართველოსადმი და ქართული საზოგადოების პილსუდსკისადმი დამოკიდებულება. გავლებულია პარალელები საქართველოსა და პოლონეთის ისტორიას შორის.

დამოუკიდებლობის აქტით დეკლარირებული პრინციპების დამკვიდრება საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციაში

საქართველოს 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტი განიხილებოდა უმთავრეს სამართლებრივ აქტად, რომელსაც უნდა დაყრდნობოდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუცია. ასეც მოიქცა დამფუძნებელი კრების მიერ შექმნილი საკონსტიტუციო კომისია, რომელმაც დამოუკიდებლობის აქტით დეკლარირებული პრინციპები ცალკე მუხლების სახით შეიტანა, ანდა რამდენიმე მუხლად გაშალა კონსტიტუციის პროექტის ტექსტში, თავად დამოუკიდებლობის აქტი კი შესავლის სახით დაურთო პროექტს.

დამფუძნებელმა კრებამ კონსტიტუციის პროექტის განხილვის დროს კონსტიტუციის ტექსტში აღარ შეიტანა დამოუკიდებლობის აქტით დეკლარირებული პრინციპი ნეიტრალობისა, რადგანაც ჩათვალა, რომ ეს ხელს შეუშლიდა საქართველოს გაწევრიანებას ერთა ლიგაში.

ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლები საქართველოს დამფუძნებელ კრებაში (1919-1921)

საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში, რომლის შექმნაც 1918 წლის 26 მაისს გამოცხადდა, მოსახლეობის დაახლოებით 20%-ს ეროვნული უმცირესობები შეადგენდნენ: სომხები, თურქულენოვანი მუსლიმები (იმდროინდელ დოკუმენტებში მათ „თათრებად“ მოიხსენიებენ, შემდეგ კი აზერბაიჯანელები ეწოდათ), რუსები, ბერძნები, აფხაზები, ოსები, გერმანელები. მათი ნაწილი ინტეგრირებული იყო ქართულ საზოგადოებაში, ნაწილი გაუცხოებული აღმოჩნდა ახლად აღდგენილ საქართველოს სახელმწიფოსგან და სეპარატისტულ ტენდენციებს ამჟღავნებდა, ეროვნულ უმცირესობათა ძირითადი ნაწილი კი იწყებდა ახალი სახელმწიფოს ფარგლებში ცხოვრებასთან შეჩვევას.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ყველა წამყვანი პოლიტიკური ძალა (სოციალ-დემოკრატები, სოციალისტ-ფედერალისტები, ეროვნულ-დემოკრატები, სოციალისტ-რევოლუციონერები) თანხმდებოდა იმაზე, რომ ეროვნულ უმცირესობებს ფართო უფლებები უნდა მინიჭებოდათ და დიდ ყურადღებას უთმობდნენ ეროვნულ უმცირესობათა ჩართვას საქართველოს სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში. ეს პირველ რიგში ითქმის სოციალ-დემოკრატიულ პარტიაზე, რომელიც ხელისუფლებაში იმყოფებოდა. „ჩვენი ნაციონალური პოლიტიკა

ნაციონალურ უმცირესობათა მიმართ გამომდინარეობდა ჩვენი პოლიტიკის დოქტრინიდან, მთელი ჩვენი წარსული მოღვაწეობიდან“, - აღნიშნავდა შემდგომ თავის მოგონებებში ნოე ჟორდანია.

ეთნიკური უმცირესობების ინტეგრაციის პოლიტიკის გამოხატულება იყო ტერმინი „საქართველოს ხალხი“, რომელიც აღნიშნავდა საქართველოს ყველა მოქალაქეს, განურჩევლად მათი ეთნიკური და რელიგიური კუთვნილებისა. ამ ტერმინს იყენებდა მმართველი სოციალ-დემოკრატიული პარტია და საქართველოს მთავრობის წარმომადგენლები. დამახასიათებელია საქართველოს დამფუძნებელი კრების 1920 წლის 30 აპრილის სხდომა, როდესაც განიხილებოდა აზერბაიჯანის გასაბჭოების შემდეგ საქართველოზე წითელი არმიის თავდასხმა. ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლები „ქართველ ერს“ მოუწოდებდნენ ეროვნული ენერგიის მობილიზებისკენ, სოციალ-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენელი კი „საქართველოს ხალხს“ მოუწოდებდა სამშობლოს დაცვისკენ.

მოხსენებაში საქართველოს დამფუძნებელი კრების არჩევნების (1919) ამსახველი დოკუმენტების, დამფუძნებელი კრების სხდომების სტენოგრაფიული ანგარიშების (1919-1921), იმდროინდელი ქართული პრესის და საარქივო მასალების ანალიზის საფუძველზე განხილულია ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელთა საქმიანობა საქართველოს დამფუძნებელ კრებაში (1919-1921).

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფლება ფართო უფლებებს ანიჭებდა ეროვნულ უმცირესობებს და ცდილობდა მათ ინტეგრაციას ახლადშექმნილი სახელმწიფოს ცხოვრებაში. ამ მხრივ გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა მმართველი პოლიტიკური ძალის - საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის საქმიანობას, რომელმაც თავისი პარტიული სიით უზრუნველყო დამფუძნებელ კრებაში საქართველოში მცხოვრები თითქმის ყველა ძირითადი ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლის ყოფნა. მოხსენებაში განხილულია ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა საქმიანობა დამფუძნებელ კრებაში. ბიოგრაფიული ანალიზის საფუძველზე კი ნაჩვენებია მათი შემდგომი ბედი ემიგრაციაში ან ბოლშევიკური რეპრესიების პირობებში.

საქართველოს კონსტიტუციური განვითარების საკვანძო საკითხები

მოხსენებაში განხილულია საქართველოს კონსტიტუციური განვითარების ძირითადი საკითხები პოსტსაბჭოთა პერიოდში. საქართველო თავიდან ჩამოყალიბდა როგორც საპრეზიდენტო რესპუბლიკა, თუმცა 2004 წლის საკონსტიტუციო ცვლილებებმა ის ნახევრად-საპრეზიდენტოდ აქცია, 2010 წლის ცვლილებებით კი ქვეყნის კონსტიტუციური მოწყობა საპარლამენტოსკენ გადაიხარა, რაც დამთავრდა კონსტიტუციის 2017 წლის რედაქციით. 2024 წლიდან პრეზიდენტის საყოველთაო-სახალხო არჩევნები უქმდება, თუმცა ქართულ საზოგადოებასა და პოლიტიკურ სპექტრში არ არის ამ საკითხისადმი ერთგვაროვანი დამოკიდებულება. დიდი პოლიტიკური დებატების საგანია პროპორციული და მაჟორიტარული წესით პარლამენტართა არჩევის საკითხი, რაც გადაწყდა მთლიანად პროპორციულ სისტემაზე გადასვლით. კონსტიტუციაში გადაუწყვეტელი რჩება ორპალატიანი პარლამენტის შექმნის, ისევე როგორც ქვეყნის ტერიტორიული მოწყობის საკითხი.

7.2. უცხოეთში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	მალხაზ მაცაბერიძე	Anatomy of Competetive Authoritarianizm (The Case of Georgia)	13 November 2020 ***Politcal and iAdministrative Science: Global Challenges, Local Solutions”**, dedicated to the*

			25th anniversary of the Faculty of International Relations, Political and Administrative Sciences, Chişinău,

კონკურენტული ავტორიტარიზმის ანატომია (საქართველოს მაგალითი)

დემოკრატიის საერთაშორისო რეიტინგებში საქართველო უცვლელად მოქცეულია ჰიბრიდული რეჟიმების კატეგორიასი. ჰიბრიდულ რეჟიმში ერთმანეთშია გადახლართული დემოკრატიისა და ავტორიტარიზმის ნიშნები და ამ ელემენტების თანაფარდობის მიხედვით მნიშვნელოვნად განსხვავდებიან ერთმანეთისგან. ზოგი შეიძლება ახლოს იდგეს დემოკრატიასთან, ზოგი პირიქით, - ავტორიტარიზმთან. უნდა აღინიშნოს, რომ ჰიბრიდული რეჟიმი დემოკრატიზაციის ფაზა არ არის, ის პოლიტიკური რეჟიმის დამოუკიდებელი ტიპია, რომელსაც თავისი სპეციფიკური ნიშნები და ფუნქციონირების განსაკუთრებული ლოგიკა აქვს. თუმცა დემოკრატიასთან მიახლოებული ჰიბრიდული რეჟიმიდან შესაძლებელია დემოკრატიაზე გადასვლა.

სამეცნიერო ლიტერატურაში დამკვიდრებულ ტერმინებს თუ მოვიშველიებთ, დემოკრატიასთან ყველაზე ახლოს დგას კონკურენტული ავტორიტარიზმის რეჟიმი, აქედან გადასვლა კი შეიძლება ელექტორალურ დემოკრატიაზე. რა განსხვავებაა მათ შორის? ელექტორალური დემოკრატიის დროს არჩევნები ტარდება კონკურენტულ საფუძველზე, თავისუფლად და სამართლიანად, შესაძლო დარღვევები არ არის სისტემური ხასიათის. თავის მხრივ, ლიბერალურ დემოკრატიისგან კი პირველ რიგში იმით განსხვავდება, რომ უზრუნველყოფილი არ არის სიტყვის თავისუფლებისა და უმცირესობების უფლებების სრული დაცვა.

კონკურენტული ავტორიტარული რეჟიმები არ იყენებენ არჩევნების დროს მასობრივ ფალსიფიკაციას, რადგან ეს გავლენას ახდენს არჩევნების ლეგიტიმურობაზე. სამაგიეროდ, ფორმალური და არაფორმალური ”თამაშის წესები” იცვლება ხელისუფლებაში მყოფი ძალის სასარგებლოდ და მათი მეშვეობით მკაცრად ექცევიან თავიანთ პოლიტიკურ ოპონენტებს. ოპოზიციის იმ წარმომადგენლების წინააღმდეგ, რომლებიც პოლიტიკურ საფრთხედ მიიჩნევა, გამოიყენება ძალადობრივი მეთოდები.

რაც შეეხება კონკურენტული ავტორიტარიზმის რეჟიმს, ამ დროს არჩევნები კონკურენტულ ხასიათს ატარებს, ოპოზიცია არ არის ბუტაფორიული და სუსტი, მაგრამ არჩევნები არ ტარდება სამართლიანად, ხელისუფლებაში მყოფი პოლიტიკური ძალები თავისთვის მნიშვნელოვან უპირატესობას უზრუნველყოფენ. კონკურენტული ავტორიტარიზმის რეჟიმი მაქსიმალურად ცდილობს დაემსგავსოს დემოკრატიას, ცდილობს დაიცვას დემოკრატიული სტანდარტები, მაგრამ ამაზე უარს ამბობს იქ, სადაც ხედავს ხელისუფლების დაკარგვის საფრთხეს.

კონკურენტული ავტორიტარული რეჟიმები არ იყენებენ არჩევნების დროს მასობრივ ფალსიფიკაციას, რადგან ეს გავლენას ახდენს არჩევნების ლეგიტიმურობაზე. სამაგიეროდ, ფორმალური და არაფორმალური ”თამაშის წესები” იცვლება ხელისუფლებაში მყოფი ძალის სასარგებლოდ და მათი მეშვეობით მკაცრად ექცევიან თავიანთ პოლიტიკურ ოპონენტებს. ოპოზიციის იმ წარმომადგენლების წინააღმდეგ, რომლებიც პოლიტიკურ საფრთხედ მიიჩნევა, გამოიყენება ძალადობრივი მეთოდები.

კონკურენტული ავტორიტარიზმის დროს არჩევნები არის უსამართლო, მაგრამ არჩევნების დროს არსებობს რეალური შეჯიბრი. უსამართლობის მასშტაბის გაზრდის შემთხვევაში, კონკურენტული ავტორიტარული რეჟიმი შეიძლება ტრანსფორმირდეს ელექტორალურ ავტორიტარულ რეჟიმად. შეიძლება საპირისპირო პროცესიც - ოპოზიციის კონსოლიდაციის და მობილიზაციის შედეგად მოხდეს ელექტორალურ დემოკრატიაზე გადასვლა.

ალექსანდრე კუხიანიძე

7. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

7.1. საქართველოში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	ალექსანდრე კუხიანიძე	კორონავირუსის პანდემიის გავლენა ტრანსნაციონალურ ორგანიზებულ დანაშაულზე.	2020 წლის 25-27 ივნისი. ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის მე-8 კონფერენცია.
მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა)			

7.2. უცხოეთში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	ალექსანდრე კუხიანიძე	საუნივერსიტეტო ანტიკორუფციული განათლების გამოცდილება და პრობლემები საქართველოში	2020 წლის 3-4 დეკემბერი. გაეროს ნარკოტიკებისა და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ოფისი (UNODC) და უზბეკეთის გენერალური პროკურატურის აკადემიის საერთაშორისო ონლაინ სამეცნიერო კონფერენცია „ანტიკორუფციული განათლება ცენტრალური აზიისა და აღმოსავლეთი ევროპის უნივერსიტეტებში.
მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა)			

სალომე დუნდუა

2. შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტით დაფინანსებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

2.1.

№	გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

	კოდი		
1	FR-19-124	2020-2022	სალალომე დუნდუა (სამეცნიერო ხელმძღვანელი) თამარ ქარაია (კოორდინატორი) სანდრო ტაბატაძე (მკვლევარი)

გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2020 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

სოციალური მოძრაობები თანამედროვე საქართველოში

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ საქართველოში ერთ-ერთ მთავარ გამოწვევას მოქალაქეთა ჩართულობა და ამ პროცესში თვითორგანიზების მიღწევა წარმოადგენდა. დამოუკიდებლობის თითქმის სამი ათწლეულის მანძილზე შესაძლებელია გამოიყოს რამდენიმე განგრძობადი სამოქალაქო აქტივიზმის შემთხვევა, რომლებმაც საზოგადოების პოლიტიკური კულტურის განვითარებასა და საზოგადოებასა და ხელისუფლების ურთიერთობაზე საგრძნობი ზეგავლენა მოახდინა. განსახილველად წარმოდგენილი პროექტი მიზნად ისახავს, გაანალიზოს დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში სამოქალაქო აქტივიზმის შემთხვევები, როგორც სოციალური მოძრაობის მაგალითები. მოცემული შემთხვევების საკვლევად შერჩევა განაპირობა ერთი მხრივ იმან, რომ მოცემული შემთხვევები (კონკრეტულად კი, „დაიცავი გუდიაშვილი,“ „დაიცავი საყდრისის ოქროს საბადო“, „არა - პანორამა/მირზაშაფის პროექტს“ „დაიცავი ვაკის პარკი“, “დაიცავი ბათუმის ძველი ბულვარი,” „თეთრი ხმაურის მოძრაობა,“ მაღაროელთა საპროტესტო მოძრაობა ტყიბულსა და ჭიათურაში , „აუდიტორია 115” და „ლაბორატორია 1918“) თანამედროვე საქართველოში სამოქალაქო აქტივიზმის ყველაზე რეზონანსული და გავლენიანი მაგალითებია და მეორე მხრივ იმან, რომ საკვლევად შერჩეული ყველა შემთხვევა აკმაყოფილებს სოციალური მოძრაობის კრიტერიუმებს და, შესაბამისად, შეესაბამება მოცემული ცნების მარიო დაიანის მიერ შემოთავაზებულ კატეგორიზაციას, 2 | დანართი №3. რომელსაც ჩვენ კვლევის პროცესში ვეყრდნობით. კვლევის მიზანია, შეისწავლოს როგორც შიდა, ასევე ინტერჯგუფური მოძრაობები, თანაშრომლობები, წარმატების განმაპირობებელი ფაქტორები, არსებობს თუ არა ჯგუფებს შორის კოალიციები და სოლიდარული განწყობები და, შესაბამისად, რამდენად ახდენს გავლენას ერთი მოძრაობის წარმატება/წარუმატებლობა სხვა მოძრაობის მიერ სტრატეგიის დაგეგმვაზე და საბოლოო შედეგის მიღწევაზე; კვლევა დაფუძნებულია როგორც სამაგიდო კვლევაზე, ასევე იყენებს თვისებრივი კვლევის მეთოდოლოგიას. კერძოდ, ჩაღრმავებული ინტერვიუირების მეთოდს როგორც საკვლევად შერჩეულ შემთხვევებში ჩართულ აქტივისტებთან, ასევე ხელისუფლების, სამეცნიერო წრეების, ექსპერტების წარმომადგენლებთან. კვლევა მიღებული შედეგების ახსნას შეეცდება სტრუქტურული ფუნქციონალიზმის ფართო პარადიგმის ჭრილიდან (უფრო კონკრეტულად კი, პოლიტიკური პროცესის და კოლექტიური ქცევის თეორიებზე დაყრდნობით). კვლევის შედეგები აისახება ორ სამეცნიერო სტატიაში და ასევე საერთაშორისო კონფერენციებზე.

ავთანდილ ტუკვაძე

5. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში

5.4. სტატიები ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდის (DOI) მითითებით

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათა-ური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI	ჟურნალის/ კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	ა. ტუკვაძე შ. შეყილაძე	ნელსონ მანდელას პოლიტიკური იმიჯი	saerTaSoriso samecniero-praqtikuli Jurnali “cxovreba da kanoni”	თბილისი წურწუმიას №27	გვ 14–29
მსოფლიო პოლიტიკაში უამრავი დიდი პოლიტიკოსის სახელი და გვარია ცნობილი, მაგრამ ნ. მანდელა გამორჩეული შემთხვევაა, საკუთარი პოლიტიკური მორვაწეობიდან და ცხოვრების გზიდან გამომდინარე. მას ჰქონდა უნიკალური პოლიტიკურ–იკონოგრაფიული იმიჯი, საზოგადოებრივ აზრზე გავლენის მოხდენის კარგი უნარი, საკუთარი ჟესტების ენა და ის რაც ყველაზე მნიშვნელოვანია ურყევი პოლიტიკური დისკურსი. ნ. მანდელას კავშირი ჰქონდა წამყვან მასმედიის საშუალებებთან მსოფლიოში, ახლო ურთიერთობაში იყო გავლენიან ადამიანებთან, რამაც განაპირობა მისი პოპულარობა საერთაშორისო მასშტაბით. ნ. მანდელას სახელს უკავშირდება აპართეიდის წინააღმდეგ ბრძოლა და პირველი მრავალრასობრივი არჩევნები (1994 წელს სამხრეთ აფრიკაში) და ცნობილი სპიჩები, რომლითაც ახდენდა კონკურენტების დისკრედიტაციას. ის იყო ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების, სამართლიანობისათვის მებრძოლი მპოლიტიკოსის სიმბოლო. ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)				

7. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

7.2. უცხოეთში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
	I.Ubilava A. Tukvadze V. Dolidze	Globalization and post-pandemic world order: place of Georgia in transformative international system	Globalization and its socio-economic consequences.2020 21-22 October 2020 Slovak Republic, , University of Zelina.
	A.Tukvadze I.Ubilava	The Sociology and Education of the Political Elite in Post-Soviet Georgia	SCIENTIFIC AND PRACTICAL CONFERENCE «SOLOVYOV HISTORICAL AND PHILOSOPHICAL READINGS «RUSSIAN AND FOREIGN EXPERIENCE IN THE SYSTEM OF HUMANITARIAN EDUCATION: HISTORY, MODERNITY, PROSPECTS» PROGRAM 3 December 2020 Moscow
მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა) მოხსენების შემდეგ სლოვაკეთში გაგზავნილი სტატიამ გაიმარჯვა კონკურსში და დაიბეჭდება კრებულში, რომელიც განთავსდება vebonsait			
მოხსენებაში, პოსტსაბჭოთა საქართველოში პოლიტიკური ელიტის სოციოლოგია და განათლება, გაანალიზებულია გარდამავალი პერიოდის ელიტების იდეოლოგიური ორიენტირები, საგრეო–			

პოლიტიკური პრიორიტეტები, რეკრუტირების თავისებურებები. ავტორები ახდენენ ზ.გამსახურდიას ეტნოპოლიტიკური შეფერილობის ეროვნულ–დისიდენტური, ე. შევარდნაძის ნეონომენკლატორული, მ. სააკაშვილის ავტორიტარული–კოსმოპოლიტური და ბ. ივანიშვილის ელიტის ანალიზს მათი განათლებისა და ფუნქციობის უნარის მიხედვით. ხაზი ესმება ელიტების ცვალებადობისა და განახლების პროცესში განათლებისა და პროფესიული უნარ–ჩვევების დინამიკას. სტატია უახლოეს პერიოში დაიბეჭდება კრებულში, რომელიც საფრანგეთში გამოვა ინგლისურ და რუსულ ენებზე. განტავსდება vebonsait

ზვიად აბაშიძე

1. სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის პერსონალის მიერ შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

1.1.

№	გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	**ერაზმუს+ მობილობის პროგრამა პარტნიორ ქვეყნებთან (PROGRAM ERASMUS+ MOBILNOŚĆ Z KRAJAMI PARTNERSKIMI (KA107)) პოლიტიკური მეცნიერება**	2020-2022	არკადიუშ მოდჟეიევსკი, გდანსკის უნივერსიტეტის (პოლონეთი), პროფესორი **(Arkadiusz Modrzejewski** Professor of Gdansk University). ზვიად აბაშიძე, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ასოცირებული პროფესორი
გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2020 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე) პროექტის მთავარი ორგანიზატორია გდანსკის უნივერსიტეტი, სადაც ჩართული ვარ ერთ-ერთ მთავარ მონაწილე მხარედ. პროექტის მიზანია კვლევითი და აკადემიური გაცვლის ხელშეწყობა გდანსკის უნივერსიტეტსა და ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს შორის. დაგეგმილ ღონისძიებებში შედის, როგორც აკადემიური პერსონალის ურთიერთგაცვლა და შესაბამისად სალექციო კურსების ინტერნაციონალიზაცია, ასევე ერთობლივი სამეცნიერო კონფერენციების/ფორუმების მოწყობა და მკვლევართა დაახლოებისთვის ხელშეწყობა.		

5. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში

5. 2. სახელმძღვანელოები

№	ავტორი/ავტორები	სახელმძღვანელოს სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	გრიერ ბეროუსი, ზვიად აბაშიძე, ქეთევან	„დემოკრატია და მოქალაქეობა“	საარჩევნო სისტემათა საერთაშორისო ფონდი	ჩემი ნაწილი: „მართვა-გამგეობა და

	მუხიგული, სალომე დუნდუა, თამარ ქარაია	ISBN 978-9941-27-610-1	(IFES) 2020 (მე-3 გამოცემა)	საზოგადოება (110 გვერდი)
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე) სახელმძღვანელო განკუთვნილი უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტებისთვის, რომლებიც გადიან სალექციო კურსს, „დემოკრატია და მოქალაქეობა“. სახელმძღვანელოში ჩემს მიერ შესრულებული ნაწილი ეძღვნება მმართველობის სისტემებისა და საზოგადოების ურთიერთქმედების შესწავლას. მასში განხილულია ისეთი საკითხები, როგორებიცაა: მართვა-გამგეობა და სახელმწიფო, კონსტიტუცია და სახელმწიფო, ადგილობრივი მმართველობა და სახელმწიფოს ტერიტორიული მოწყობა, არჩევნები და პოლიტიკური პარტიები				

ვალერიან დოლიძე

5. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში

5.3. კრებულები

№	ავტორი/ავტორები	კრებულის სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	ვ.დოლიძე	საქართველო და საბჭოთა კავშირის ი/ პოლიტიკა კორლის ლამონტის მემარცხენე დიკურსში/ ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ამერიკისმცოდნეობის ინსტიტუტი, ამერიკის შესწავლის საქართველოს ასოციაცია. ამერიკისმცოდნეობის 21-ე საერთაშორისო კონფერენცია. ეძღვნება მეიფლაუერის ხელშეკრულების დადების მე-400 წლისთავს/	თბილისი (ელვერსია)https://www.tsu.ge/data/file_db/faculty_humanities/konf2020sabolloo.pdf	7გვ
კორლის ლამონტმა საბჭოთაკავშირში იმოგზაურა მაშინ, როცა ამერიკის შეერთებულ შტატებში ძალიან მწვავედ იდგა რასობრივი თანასწორობის პრობლემა. ეს გავლენას ახდენდამის მიერ საბოთაკავშირში გატარებული ეროვნული პოლიტიკის შეფასებაზე, რომელსაც ის სანიმუშოდ მიიჩნევსდა. ლამონტი ცდილობს საბჭოთა ეროვნულ პოლიტიკაში დაინახოს ის , რაც აშშ ში გატარებული პოლიტიკის ნაკლად მიიჩნვდა/. თუმცა აღსანიშნავია, რომ მისი მსჯელობა ბოლომდე ობიექტური არ არის. ის ხედავს იმას, რაც აქტუალური იყო მაშინდელი ამერიკისათვის, რის გამოც მისი ანალიზის გარეთ რჩებიან ის პრობლემები, რომლებსაც საბჭოთაკავშირი აწყდებოდა ეროვნული პოლიტიკის გატარების სფეროში და ის ზოგიერთი მეთოდი, რომელიც გამოიყნებოდა მის გადასაჭრელად..				

6. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა უცხოეთში

6.1. მონოგრაფიები/წიგნები

№	ავტორი/ავტორები	მონოგრაფიის/წიგნის სათაური, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1 2	ვალერიან დოლიძე.	Между Востоком и Западом: Кавказ Вчера Сегодня Завтра. (მონოგრაფია)რედაქტორი ს. პროფ. რაშიდოვი სტატია Циклы демократизации и дедемократизации в процессе формирования политического режима в Грузии	პოლონეთი გამოვა 2021 წლის ივნისში	25 გვერდი.
პოლიტიკური რაჟიმის ფორმირება საქართველოში მიმდინარეობს დემოკრატიზაციისა და დედემოკრატიზაციის ციკლების პერიოდული ურთიერთმონაცვლეობის პროცესში. ამასთა ერთად მიმდინარეობს დემოკრატიული პოტენციალის გაძლიერება. მიუხედავად რეჟიმებოს ცვლისა ეს პროცესი უწყვეტ ხასიათს ატარებს და მიმდინარეობდა ავტორიტარული რეჟიმების პირობებშიც. ამიტომ საქართველოში არსებულ ყველა რეჟიმს გამსახურდიას პერიოდის გამოკლებით, შეიძლება ვუწოდოთ დემოკრატიზაციის ევოლუციური ციკლები, რომელიც სრულდება არაკონსოლიდირებულ დემოკტრატიაში გადასვლით, რომელიც დედემოკრატზიაციის საფრთხის ქვეშ ფუნქციონირებს. დემოკრატიზაციის სტადიაზე გადასვლის მაცვენებლად შეიძლება მიჩნეული იყო ს არა ხელისუფლებათა შეცვლის სტატისტიკური მაცვენებლები, არამედ მნიშვნელოვან პოლიტიკურ თანამდებობობების დაკავება დემოკრატიული არცევნების საშუალებით. ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)				

6.4. სტატიები

№	ავტორი/ავტორები	სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI ან ISSN	ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	ვ. დოლიძე	Эволюционные циклы политического развития современной Грузии	KAVKAZ 7/2021	პოლონეთი, გამოვა 2021 წლის ივნისში	20 გვ/
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)					

პოლიტიკური რეჟიმის ფორმირების პროცესმა საქართველოში მიიღო ციკლური ხასიარი, რაც წარმოადგენს დემოკრატიული და არადემოკრატიული განვითარების ვექტორების ურთიერთდაპირისირების შედგს. დემოკრატიის სხვადასხვა ელემენეტების განვითარება არ მიმდინარეობს ერთდროულად., რის გამოც ისინი მომწიფების სხვადასხვა დონეზე იმყოფებიან. სწორედ ას წარმოშობს დემოკრატზაიციისა და ვტორიტარიზმის ციკლების პერიოდულ ცვლას, რომელშიც გზას იკაფაცვს დემოკრატიული განვითარების ვექტორი, რომელიც დომინირებს ავტორიტარულზე და იმორჩიებს მას.

7. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

7.1. საქართველოში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	უბილავა, ტუკვაძე, დოლიძე	Post-Pandemic World Order : Place of Georgia in Transformative International System	The 8th International Scientific Conference ‘’Space, Society, Politicas. Dedicated to the 15th Aniversary of the Faculty of Social and Political Sciaence
2.	ვალერიან დოლიძე	საქართველო და საბჭოთა კავშირის პოლიტიკა კორლის ლამონტის მემარცხენე დიკურსში/	ი/ ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ამერიკისმცოდნეობის ინსტიტუტი, ამერიკის შესწავლის საქართველოს ასოციაცია. ამერიკისმცოდნეობის 21-ე საერთაშორისო კონფერენცია. ეძღვნება მეიფლაუერის ხელშეკრულების დადების მე-400 წლისთავს/ თბილისი 2020 თსუ
1. სიმულაციური ანალიზის საფუძველზე გაკეტებულია დასკვნა, რომ პოსტპანდემიი პიორბებეში საქართველოს მოუწევს უფრო მეტად დაბალანსირებული პოლიტიკა აწარმოოს, რასც ხელს შეუწყობს ორპარტიული სისტემის წარმოშობა.			

7.2. უცხოეთში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	ვ. დოლიძე	Внутренние и внешние факторы демократизаци Грузии	9th International Scientific Conference Caucasus : History of Region, History of Research. Poznan- Rzeszow 2020 online Poland

საქართველოში დემოკრატიზაციის პროცესი მიმდინარეობს შიდა და გარეპ ფაქტორების ურთირთქმედების პირობებში/ს გარეფაქტორები აქტურად ერტვებიან დემოკრატიზაციის პროცესში გამსახურდიას რეჟიმის დამხობის შემდეგ და ხელს უწყობენ საქრთველოს დემოკრატიული პოტენციალის განვითარებას. ამ ორ ფაქტორს შორის წამყვანია შიდა ფაქტორები. გარე ფაქტორები აძლიერებენ და იცავენ შიდა ფაქტორების განვითარებასა და დემოკრატიულ ვექტორს, მაგრამ ძლიერი შიდა ფაქტორების გარეშე გარე ფაქტორების გავლენა იქნებოდა ძალიან სუსტი.

თამარ ქარაია

2. შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტით დაფინანსებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

2.1.

№	გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	**FR-19-124**	2020-2022	სალალომე დუნდუა (სამეცნიერო ხელმძღვანელი) თამარ ქარაია (კოორდინატორი) სანდრო ტაბატაძე (მკვლევარი)

სოციალური მოძრაობები თანამედროვე საქართველოში

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ საქართველოში ერთ-ერთ მთავარ გამოწვევას მოქალაქეთა ჩართულობა და ამ პროცესში თვითორგანიზების მიღწევა წარმოადგენდა. დამოუკიდებლობის თითქმის სამი ათწლეულის მანძილზე შესაძლებელია გამოიყოს რამდენიმე განგრძობადი სამოქალაქო აქტივიზმის შემთხვევა, რომლებმაც საზოგადოების პოლიტიკური კულტურის განვითარებასა და საზოგადოებასა და ხელისუფლების ურთიერთობაზე საგრძნობი ზეგავლენა მოახდინა. განსახილველად წარმოდგენილი პროექტი მიზნად ისახავს, გაანალიზოს დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში სამოქალაქო აქტივიზმის შემთხვევები, როგორც სოციალური მოძრაობის მაგალითები. მოცემული შემთხვევების საკვლევად შერჩევა განაპირობა ერთი მხრივ იმან, რომ მოცემული შემთხვევები (კონკრეტულად კი, „დაიცავი გუდიაშვილი,“ „დაიცავი საყდრისის ოქროს საბადო“, „არა - პანორამა/მირზაშაფის პროექტს“ „დაიცავი ვაკის პარკი“, “დაიცავი ბათუმის ძველი ბულვარი,” „თეთრი ხმაურის მოძრაობა,“ მაღაროელთა საპროტესტო მოძრაობა ტყიბულსა და ჭიათურაში , „აუდიტორია 115” და „ლაბორატორია 1918“) თანამედროვე საქართველოში სამოქალაქო აქტივიზმის ყველაზე რეზონანსული და გავლენიანი მაგალითებია და მეორე მხრივ იმან, რომ საკვლევად შერჩეული ყველა შემთხვევა აკმაყოფილებს სოციალური მოძრაობის კრიტერიუმებს და, შესაბამისად, შეესაბამება მოცემული ცნების მარიო დაიანის მიერ შემოთავაზებულ კატეგორიზაციას, რომელსაც ჩვენ კვლევის პროცესში ვეყრდნობით.

კვლევის მიზანია, შეისწავლოს როგორც შიდა, ასევე ინტერჯგუფური მოძრაობები, თანაშრომლობები, წარმატების განმაპირობებელი ფაქტორები, არსებობს თუ არა ჯგუფებს შორის კოალიციები და სოლიდარული განწყობები და, შესაბამისად, რამდენად ახდენს გავლენას ერთი მოძრაობის წარმატება/წარუმატებლობა სხვა მოძრაობის მიერ სტრატეგიის დაგეგმვაზე და საბოლოო შედეგის მიღწევაზე; კვლევა დაფუძნებულია როგორც სამაგიდო კვლევაზე, ასევე იყენებს თვისებრივი კვლევის მეთოდოლოგიას. კერძოდ, ჩაღრმავებული ინტერვიუირების

მეთოდს როგორც საკვლევად შერჩეულ შემთხვევებში ჩართულ აქტივისტებთან, ასევე ხელისუფლების, სამეცნიერო წრეების, ექსპერტების წარმომადგენლებთან. კვლევა მიღებული შედეგების ახსნას შეეცდება სტრუქტურული ფუნქციონალიზმის ფართო პარადიგმის ჭრილიდან (უფრო კონკრეტულად კი, პოლიტიკური პროცესის და კოლექტიური ქცევის თეორიებზე დაყრდნობით). კვლევის შედეგები აისახება ორ სამეცნიერო სტატიაში და ასევე საერთაშორისო კონფერენციებზე.

7. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

7.1. საქართველოში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	თამარ ქარაია	26 მაისი როგორც მეხსიერების პროექტი	26.05.2020 ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი
მოხსენება მიზნად ისახავს გაანალიზოს საქართველოს პრეზიდენტების ზვიად გამსახურდიას, ედუარ შევარდნაძის, მიხეილ სააკაშვილის, გიორგი მარგველაშვილის და სალომე ზურაბიშვილის საინაუგურაციო მიმართვები და უჩვენოს თუ როგორ არის ასახული მათში 26 მაისის და დამოუკიდებლობის გამოცხადების საკითხი. ნაშრომი დაფუძნებულია დისკურსის ანალიზის მეთოდოლოგიაზე, კერძოდ შერჩეულ იქნა ორი მიდგომა, 1. ლინგვისტურ ანთროპოლოგიური და ტექსტის და ტესტურობის. ეს ტექნიკა საშუალებას გვაძლევს დავინახოთ როგორ არის გამოყენებული ენა და რაც მთავარია რა კონტექსტი უძღოდა ამ ენის გამოყენებას კონკრეტულ შემთხვევაში.			

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელწიფო უნივერსიტეტი

ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი

2020 წელს გაწეული სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ანგარიში

1. კოგნიტური და ნეიროფსიქოლოგიის ინსტიტუტი
2. პიროვნების, შეფასებისა და კონსულტირების ინსტიტუტი
3. სოციალური ფსიქოლოგიის ინსტიტუტი
4. შრომისა და ორგანიზაციული ფსიქოლოგიის ინსტიტუტი
5. განათლების ფსიქოლოგიის ინსტიტუტი
6. პედაგოგიკის ინსტიტუტი

კოგნიტური და ნეიროფსიქოლოგიის ინსტიტუტი

სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა ხელმძღვანელის მითითებით :

1. თამარ გაგოშიძე, პროფესორი, ინსტიტუტის ხელმძღვანელი
2. ლალი სურმანიძე, პროფესორი
3. ვახტანგ ნადარეიშვილი, პროფესორი
4. ირაკლი იმედაძე, ასოცირებული პროფესორი
5. შორენა მამუკაძე, ასოცირებული პროფესორი
6. თამარ აბაშიძე, ასოცირებული პროფესორი
7. ირინე ჟვანია, ასოცირებული პროფესორი
8. ვლადიმერ ლადო) გამსახურდია, ასისტენტ პროფესორი
9. მაია მაჭავარიანი-წერეთელი, ასისტენტ პროფესორი

3. უცხოური გრანტებით დაფინანსებული სამეცნიერო პროექტები

3.2. დასრულებული პროექტი

№	დასრულებული (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი, დამფინანსებელი ორგანიზაცია/სამეცნიერო ფონდი, ქვეყანა	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	MICS(ბავშვთა ადრეული განვითარების მრავლობითი კლასტერული ინდიკატორების კვლევა). მონაცემთა მეორადი ანალიზი. UNICEF	2020 წლის აგვისტო-ნოემბერი	თამარ გაგოშიძე, პროექტის კონსულტანტი
	შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების ფუნქციური შეფასების ინსტრუმენტის სტანდარტიზება UNICEF	2019-2020	თამარ გაგოშიძე, მკვლევარ-კონსულტანტი

დასრულებული კვლევითი პროექტის 2020 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

მრავლობითი კლასტერული ინდიკატორების საერთაშორისო კვლევის ფარგლებში საქართველოში ჩატარდა ადრეული განვითარების მრავალ ასპექტთან დაკავშირებით ოჯახების გამოკითხვა. დამუშავდა 14120 ოჯახის წევრის გამოკითხვის შედეგები. კვლევაში გათვალისწინებული იყო ოჯახის სტრუქტურის და მახასიათებელების, დემოგრაფიული ფაქტორები, ბავშვების ადრეული განვითარების მახასიათებლები -4 განზომილება: ფიზიკური განვითარება, წიგნიერება, რიცხვების შესახებ წარმოდგენა, დასწავლის უნარი და სოციალურ-ემოციური განვითარება. გაანალიზებულ იქნა 2-დან 5 წლამდე ასაკის ბავშვების მიერ ტელევიზორისა და ელექტრონული გაჯეტების გამოყენების წინაპირობებისა და ეფექტების კვლევის შედეგების ანალიზი.

აღმოჩნდა, რომ ტელევიზორისა და გაჯეტების გამოყენების სიხშირე დამოკიდებულია ურბანულ და ბავშვის ასაკის ფაქტორებზე. ბავშვების ოჯახში რაოდენობა უარყოფით კორელაციაშია გამოყენების სიხშირესთან. ის ბავშვები ვინც ოჯახში განიცდის ფსიქოლოგიურ და ფიზიკურ ძალადობას უფრო მეტ დროს ატარებენ ტელევიზორთან და გაჯეტებთან. აღმოჩნდა, რომ უმაღლესი განათლების მქონე დედების შვილები, ასევე ბავშვები, ვისაც ოჯახში მეტი წიგნი და სათამაშო აქვთ, უფრო მეტ დროს ატარებენ ტელევიზორთან და გაჯეტებთან. აღნიშნული კავშირშია ეკონომიკურ კეთილდღეობასთან. ბავშვებს, ვინც უფრო მეტ დროს ატარებენ ტელევიზორთან და გაჯეტებთან მნიშვნელოვნად უფრო ნაკლები მაჩვენებლები აქვთ სოცუალურ-ემოციური განვითარების პარამეტრებში.

მიღებული მონაცემების საფუძველზე შემუშავდა დეტალური რეკომენდაციები მშობლებისთვის და სკოლამდელი საგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის.

5. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში

5.1. მონოგრაფიები/წიგნები

№	ავტორი/ავტორები	მონოგრაფიის/წიგნის სათაური, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	ირაკლი იმედაძე	განწყობის ონტოლოგიური ბუნების პრობლემა ISBN 978-9941-8-2840-9	თბილისი: ნიუტონი	83 გვ.

ანოტაცია

დ. უზნაძის განწყობის ზოგადფსიქოლოგიური თეორიის საკვანძო საკითხს განწყობის ონტოლოგიური ბუნების ნეთელყოფა წარმოადგენს. შემოქმედების სხვადასხვა ეტაპზე ავტორის პოზიცია ამ საკითხთან დაკავშირებით ცვალებადობდა. ამის გამო თეორიის ეს ცენტრალური საკითხი დღესაც განსხვავებული ინტერპრეტაციებისა და თავლსაზრისების ასპარეზად არის ქცეული.

მოცემული ნაშრომის მიზანდასახულება მდგომარეობს იმაში, რომ მაქსიმალურად ზუსტად განისაზღვროს, შეფასდეს და ისტორიული პერსპექტივის გათვალისწინებით დალაგდეს ის თეორიული სვლები, რომელთაც მიმართავდა განწყობის თეორიის ავტორი, გაშუქდეს არსებული ინტერპრეტაციები და შეიქმნას შეძლებისდაგვარად სრული სურათი იმ შეხედულებებისა, რომლებიც სადღეისოდ არსებობს ამ სფეროში. ნაშრომში განხილულია ახალი მასალა უზნაძის "ჩანაწერების რვეულიდან", ასევე გაანალიზებულია განწყობის თეორიის ქმნადობასთან დაკავშირებული ზოგიერთი მომენტი, რომელიც სპეციალისტების ყურადღების მიღმა დარჩა.

5.5. სტატიები ISSN-ის მითითებით

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათა-ური, ISSN	ჟურნალის/ კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	ირაკლი იმედაძე	თბილისის არაცნობიერის სიმპოზიუმი - მცირე რეტროსპექტივა Tbilisi Symposium on the Unconscious – A short retrospective ISSN 2667-9027	საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალი „ქართული ფსიქოლოგიური ჟურნალი“ 2020, # 1	თბილისი, თსუ გამომცემლობა	16გვ. (129 -144)
2	ირაკლი იმედაძე	დიმიტრი უზნაძე და მისი ჩანაწერების რვეული ISBN 978-9941-8-2839-3	დ. უზნაძე: ჩანაწერების რვეული	თბილისი: ნიუტონი	6 გვ.
3	ირაკლი იმედაძე	პოლიმოტივაციური ქცევის დინამიკური მოდელი Dynamic model of polymotivational behavior	საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მოამბე. ტ. 14, №2. Bulletin of the Geogian National Academy of Sciences.	თბილისი: საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიია	7 გვ.
4	ვახტანგ ნადარეიშვილი	ფიქსირებული და სიტუაციური დისპოზიციური ფსიქიკური წარმონაქმნების ურთიერთმიმართება ISSN 2667–9027	საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალი „ქართული ფსიქოლოგიური ჟურნალი“ 2020, # 1	თბილისი, თსუ გამომცემლობა	8 გვ.

5	ირინე დოღაძე, თამარ გაგოშიძე	ნორმალურარ განვითარებული ენობრივი უნარისა და ენის სპეციფიკური დარღვევის მქონე 6-4 წლის ქართულენოვანი ბავშვების ენობრივი პროდუქციის ლინგვისტური და ნეიროფსიქოლოგიური ანალიზი Linguistic and Neuropsychological Analysis of Language Production in 4-6-Year-Old Georgian-Speaking Children with Typical Language Development and Specific Language Disorder.	საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალი „ქართული ფსიქოლოგიური ჟურნალი“ 2020, # 1	თბილისი, თსუ გამომცემლობა	8 გვ.

1. წელს 40 წელი შესრულდა მას მერე, რაც თბილისში გაიმართა მასშტაბური საერთაშორისო სიმპოზიუმი არაცნობიერის პრობლემასთან დაკავშირებით. სიმპოზიუმს დიდი რეზონანსი ჰქონდა სამეცნიერო საზოგადოებაში. მასზე განიხილებოდა ამ პრობლემის თითქმის Yყველა ძირითადი ასპექტი. გაიმართა ნაყოფიერი დიალოგი ფსიქოანალიზისა და დიმიტრი უზნაძის ფსიქოლოგიური სკოლის წარმომადგენლებს შორის. მოცემულ წერილში დახასიათებულია არაცნობიერის პრობლემისადმი ამ ორი მიდგომის განმასხვავებელი მთავარი მომენტები; ასევე განხილულია ამ სამეცნიერო ფორუმის მომზადებისა და ჩატარების ზოგიერთი დეტალი. გამახვილებულია ყურადღება იმაზე, თუ რატომ იქნა არჩეული ამ სიმპოზიუმის ჩატარების ადგილად თბილისი. ამ კონტექსტში ნაჩვენებია, რომ დ. უზნაძის განწყობის თეორია იყო ერთადერთი ზოგადფსიქოლოგიური მასშტაბის კონცეფცია ე.წ. საბჭოთა ფსიქოლოგიაში, რომელშიც მოცემულია შეხედულებათა მწყობრი სისტემა არაცნობიერი ფსიქიკის ბუნებისა და ფუნქციონირების წესის თაობაზე.

2. წერილში ზოგადად დახასიათებულია დიმიტრი უზნაძის წიგნის სახით პირველად გამოცემული ჩანაწერები, რომლებიც მოიცავენ საკითხთა მეტად ფართო წრეს. წერილში მხოლოდ რამდენიმე მათგანზეა გამახვილებული მკითხველის ყურადღება. შესრულებულია მათი პილოტაჟური ანალიზი. ამ ჩანაწერებში განწყობის თეორიის ავტორის მიერ გამოთქმული მოსაზრებები გაცილებით უფრო ჩაღრმავებულ შესწავლას და გააზრებას მოითხოვს.

3. პოლიმოტივაციის მოვლენა აქტივობის ერთზე მეტი მოთხოვნილებით აღძვრაში მდგომარეობს. ეს ფენომენი თავის ახსნას ნახულობს ადამიანის მოთხოვნილებათა სფეროს მრავალფეროვნებაში და მის ბუნებრივ ტენდენციაში მაქსიმალურად გამოიყენოს ქცევითი რესურსები რაც შეიძლება მეტი მოთხოვნილების დაკმაყოფილებისთვის. ამიტომ პოლიმოტივაციის მოვლენა ერთობ გავრცელებულია, თუმცა ძალზე ცუდად გამოკვლეული თეორიულად და ემპირიულად. სტატიაში წარმოდგენილია ორგინალური თეორიული მოდელი, რომელიც მოიცავს პოლიმოტივაციის ტიპოლოგიას და პოლიმოტივაციური სისტემების დინამიკური ტრანსფორმაციის დახასიათებას ქცევის მომდინარეობის პროცესში.

4. დ. უზნაძის „სიტუაციური განწყობა“ დისპოზიციური ფსიქიკური წარმონაქმნია ისევე, როგორც „ათითუდი”, „პიროვნული ნიშანი” და „ფიქსირებული განწყობა”. სიტუაციური განწყობა ფიქსირებული დისპოზიციის ფორმირების საფუძველია და ასევე - პირიქითაც, ფიქსირებული დისპოზიციის არსებობის შემთხვევაში მისი შემდგომი დიფერენციაციის სტადიას და პროდუქტს შეიძლება წარმოადგენდეს.

   სიტუაციური განწყობის მეშვეობით წარმოებს ფიქსირებული დისპოზიციების ქცევაში რეალიზაცია, რისთვისაც ის ორგანიზებას ახდენს და აერთიანებს დისპოზიციის არსებულ სტრუქტურულ კომპონენტებს და კონკრეტული მომენტის აქტუალურ მოცემულობას. იმავდროულად, სიტუაციური განწყობის მეშვეობით ქცევაში რეალიზაციის წარმატებული გამოცდილება აუმჯობესებს დისპოზიციური განწყობის მაჩვენებლებს (ნადირაშვილი, 1985) და ზრდის მისი მონაწილეობით წარმოებული ადაპტაციის ეფექტურობას.

   ფსიქიკური აქტივობის მაღალ დონეებზე, ქცევის რეგულაციაში ცნობიერი რესურსი ერთვება (მოცემულ სტატიაში აქცენტი ცნობიერ რეგულაციაზე დაისმის, რაც, პირობითად, ანალიზისთვის განცალკევებულია მის საფუძვლად მდებარე არაცნობიერი განწყობისეული რეგულაციის ეტაპისგან), რომლის მონაწილეობითაც წარმოებს სოციალური ღირებულებების ინტერნალიზაცია და მათი გამოყენება ინდივიდუალური/პერსონალური განწყობების ფორმირებისთვის.

   შემოთავაზებული მიდგომა საშუალებას იძლევა დადასტურდეს: ა) განწყობისეული წარმონაქმნების სხვადასხვა ფორმებისა და სახეების ორგანული კავშირი; ბ) მათი სინერგიის და ურთიერთტრანსფორმაციის შესაძლებლობა; გ) აქტივობის ენერგეტიკული უზრუნველყოფის, განსხვავებული, მაგრამ ურთიერთშემავსებელი, მათ შორის სოციო-კულტურული წარმომავლობის (ღირებულება), წყაროების არსებობა; დ) დ. უზნაძის „სიტუაციური განწყობის“ ჩართვის შესაძლებლობა და აუცილებლობა „დისპოზიციების“ ეგიდის ქვეშ არსებულ საერთაშორისო თეორიულ და მეთოდოლოგიურ კონტექსტში.

   მოცემული მიდგომა, ასევე, პროდუქტიულად გამოიყურება სამართლებრივი კულტურის მდგენელების - მართლშეგნების/სამართალცნობიერების და ნორმატიული ქცევის მიმართების საკითხის შემდგომი დამუშავებისთვის, როდესაც მათი ერთიანობის საფუძვლად განწყობისეული წარმონაქმნების ორი ურთიერთდაკავშირებული ფორმა - ფიქსირებული და არაფიქსირებული დისპოზიცია, ანუ, სხვა ტერმინებით, „დისპოზიციური“ და სიტუაციური განწყობა იგულისხმება.

5. კვლევის მიზანი იყო ექსპრესიული ენის დარღვევის ნეიროფსიქოლოგიური და ლინგვისტური ანალიზი ქართულენოვანი ბავშვების პოპულაციაში. კვლევაში მონაწილეობდნენ ექსპრე- სიული ენის დარღვევის და ნორმალურად განვითარებული ენობრივი უნარის მქონე 4–6 წლის ბავშვები, სულ - 40 მონაწილე. ბავშვების მეტყველება ფასდებოდა ფორმალური ტესტირებით, და თავისუფალი თამაშის არაფორმალურ სიტუაციაში.

   ორი ჯგუფის მონაცემთა შედარებით გამოვლინდა, რომ ენის ნორმალური განვითარების მქონე ბავშვები მნიშვნელოვნად განსხვავდებიან ენის დარღვევის მქონე ჯგუფისაგან შემდეგი ფაქტორების მიხედვით: არტიკულაციური $t(38) = -4{,}65$, $p<0{,}001$), ფონოლოგიური ($t(38) = -2{,}48$, $p<0{,}05$), სინტაქსური შეცდომები ($t(38) = -3{,}67$), გამონათქვამის სიგრძის

მაჩვენებელი (t(38)= 3,62, p=0,001), შეცდომების საერთო რაოდენობა (t(38)=- 5,36, p<0,001). აღნიშნულ შედეგებზე დაყრდნობით, შესაძლებელია დავასკვნათ: ექსპრესიული ენის დარღვევის მქონე ბავშვებთან ძირითადი შეცდომები დაკავშირებულია ფონოლოგიურ და სინტაქსურ შეცდომებთან, ბგერათა არტიკულაციასთან; აღნიშნული დარღვევის მქონე მოზარდებს უჭირთ რთული წინადადებების წარმოება. მოცემული ჯგუფების შედარებისას არ გამოვლინდა თვისებრივი განსხვავება. ორივე ჯგუფი მსგავსი ტიპის შეცდომებს უშვებდა, განსხვავება დაკავშირებული იყო შეცდომების საერთო რაოდენობასთან. მონაცემთა რეგრესული ანალიზით გამოვლინდა, რომ, გამონათქვამის სიგრძისა და მთლიანი პროდუქციის მიხედვით, შეგვიძლია ვიწინასწარმეტყველოთ შეცდომების ტიპები და, ამასთან - მხოლოდ ნორმის შემთხვევაში.

კვლევის შედეგად მიღებული მონაცემების ინტერპრეტაციის შედეგად შეგვიძლია სამი ზოგადი დასკვნის გამოტანა: 1. ექსპრესიული ენის დარღვევის დროს ენობრივი უნარის ათვისება გახანგრძლივებულია და ეს ენის ატიპური განვითარების დარღვევა არ არის. 2. ექსპრესიული ენის დარღვევის დროს გამოვლენილ დეფიციტთა პროფილი დამოკიდებულია ნორმალურად განვითარებული ენობრივი უნარისა და ენის სპეციფიკური დარღვევის მქონე კონკრეტულ ენასა და ამ ენის მიერ ბავშვისათვის წაყენებულ მოთხოვნებზე. 3. ქართულად მოუბარი ექსპრესიული ენის დარღვევის მქონე ბავშვებისთვის დამახასიათებელია, უპირატესად, ფონოლოგიური, არტიკულაციური, სინტაქსური შეცდომები და მოკლე წინადადებებით საუბარი; 4. Levelt-ის კოგნიტიური მოდელის მიხედვით, ქართულენოვან ბავშვებთან დეფიციტური რგოლია გრამატიკული და ფონოლოგიური კოდირებისა და დამატებით ფონეტიკური გეგმის არტიკულაციის საფეხური.

6. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა უცხოეთში

6.4. სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაცი	ჟურნალის/ კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა

		ო კოდი DOI ან ISSN			
1	Vladimer Lado Gamsakhurdia	The Origins and Perspectives of 'Culture'—Is it Relevant Anymore?. Hu Arenas 3, 475–491 (2020). https://doi.org/10.1007/s42087-020-00107-9	Human Arenas		pp. 475–491
2	Vladimer Lado Gamsakhurdia	"Systematic Semiotic Organisation and Anthropologisation of the Science of Soul – Towards Cultural Psychology". Integr. psych. behav. 54, 625–638 (2020). https://doi.org/10.1007/s12124-020-09541-4	Integrative Psychological and Behavioral Science		pp. 625–638
3	Daniel I. Lee; Gwendolyn Gardiner; Erica Baranski; Members of the David C. Funder, Vladimer Lado Gamsakhurdia et al.	Situational experience around the world: A replication and extension in 62 countries. J Pers. 2020; 88: 1091–1110. https://doi.org/10.1111/jopy.12558	Journal of Personality		pp. 1091-1110
4	Sex Differences in Self-Construal and in Depressive Symptoms: Predictors of Cross-National Variation Show less Peter B. Smith, Matthew J. Easterbrook, Heyla al-Selim, Vivian	Sex Differences in Self-Construal and in Depressive Symptoms: Predictors of Cross-National Variation. Journal of Cross-Cultural Psychology. 2020;51(7-8):616-635.	Journal of Cross-Cultural Psychology		pp. 616-635

	Miu Chi Lun, Yasin Koc, Pelin Gul, Dona Papastylianou, Lusine Grigoryan, Claudio Torres, Maria Efremova, Bushra Hassan, Abd Halim Ahmad, Ahmed al-Bayati, Joel Anderson, Susan E. Cross, Gisela Isabel Delfino, Vladimer GamsakhurdiaEt al.	doi:10.1177/0022022120939655			
5.	Karandashev, V., Evans, N., Zarubko, E., Neto, F., Evans, M., Artemeva, V., . . . **Surmanidze, L.**	Physical Attraction Scale — Short Version: Cross-Cultural Validation. doi:10.1017/jrr.2020.17	Journal of Relationships		Pp 10
	5. ფიზიკური მიზიდულობა რომანტიკული ურთიერთობების მნიშვნელოვანი ასპექტია. სტატიაში წარმოდგენილია კვლევისა და პრაქტიკისთვისაა მისაწვდომი, ფიზიკური მიზიდულობის (PAS-S) სკალის მოკლე ვერსიის ინტერკულტურული ვალიდაცია. სკალის თავდაპირველი დამუშავება დასრულდა მრავალსაიტიან კვლევაში, რომელიც ჩატარდა უნივერსიტეტის სტუდენტთა დიდ შერჩევაზე, ძირითადად აშშ-ს შუა დასავლეთში და სამხრეთ-აღმოსავლეთში. შედეგებმა გამოავლინა ორფაქტორიანი სტრუქტურა, შესანიშნავი სანდოობა, აგრეთვე, შინაარსის, კონვერგენტული და დისკრიმინანტური სანდოობის დამტკიცება. შემდგომმა კროსკულტურულმა კვლევებმა, სადაც გამოყენებული იყო PAS-S, დაამტკიცა მისი სანდო ფაქტორული სტრუქტურა, უტყუარობა და სანდოობა იმ ნიმუშებში, რომლებიც შერჩეულ იქნა 6 ქვეყნის 10 კულტურულ რეგიონში. ამიტომ CCA-C-ს ეს მოკლე ვერსია შეიძლება იქნეს რეკომენდებული ინტერკულტურულ პრაქტიკასა და კვლევებში. სკალის ვარიანტები ინგლისურ, ფრანგულ, პორტუგალიურ, რუსულ და ქართულ ენებზე წარმოდგენილია დამატებებში. კროსკულტურული ვალიდაციის შედეგებზე დაყრდნობით, ავტორები რეკომენდაციას უწევენ PAS-S-ს კვლევითი მიზნებისთვის და კონსულტირებასა და თერაპიაში პრაქტიკული გამოყენებისთვის. სკალა უზრუნველყოფს მოკლე და ინფორმატიულ ზომას იმისა, თუ 1) როგორ გრძნობს ადამიანი მიზიდულობას თავისი პარტნიორისადმი ახლო ურთიერთობებში და 2) მიზიდულობის რომელი ასპექტებია პრობლემური.				

7. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

7.1. საქართველოში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	T. Gagoshidze	DIR/Flrootime neuropsychological aspects and child early development. Oral presentation. Comprehensive methods of working with children with autistic spectrum disorder and their families. A psychologist's view on parent-child relationships during the pandemic	Local and international experience. First Step and OSGF. 30, January. Tbilisi, Oral Presentation
2	T. Gagoshidze	A psychologist's view on parent-child relationships during the pandemic	33rd Annual Georgian Studies Day. The Georgian Experience of Covid-19. University of Westminster and TSU Annual International Conference. 8, October. Online Oral Presentation.
მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა)			

7.2. უცხოეთში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	სუმბაძე, ნ., **ჟვანია, ი., აბაშიძე, თ.**, აბულაძე, დ.	დეპრესია, როგორც აქტიური დაბერების შემაფერხებელი ფაქტორი	28 თებერვალი 2020, მილანი, იტალია
მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა)			

სხვა აქტივობები:

1. სამეცნიერო კვლევის ანგარიში

#	ავტორ(ებ)ი	ანგარიშის სახელწოდება	გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა

1	სუმბაძე, ნ., ქიტიაშვილი, ა., **აბაშიძე, თ., ჟვანია,** ი., მახარაძე, თ.	ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვა ხანდზმულებისთვის საქართველოში - არსებული სერვისები და ძირითადი საჭიროებები	თსუ გამომცემლობა	53 გვ.
ანოტაცია კვლევა განხორციელდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში არსებული შშმ პირთა საკითხების კვლევის ცენტრის მიერ, კონსულტაციისა და ტრენინგის ცენტრის (CTC) ფინანსური მხარდაჭერით 2019 წელს. კვლევის ძირითადი მიზანი იყო ხანდაზმულთა საჭიროებებისა და მათთვის ხელმისაწვდომი სახლმწიფო მომსახურებების ანალიზი. პირისპირ ინტერვიუები ხანდაზმულებთან მათი საჭიროებების შესახებ ჩატარდა საქართველოს რამდენიმე ქალაქში, ელექტრონულად გამოიკითხა ყველა მუნიციპალიტეტის წარმომადგენელი ხანდაზმულებისთვის ადგილობრივი მთავრობების დაფინანსებით ან თანადაფინანსებით არსებული მომსახურებების შესახებ, გაანალიზდა რელევანტური სახელმწიფო დოკუმენტები, ადგილობრივი კვლევები და სახალხო დამცველის ყოველწლიური ანგარიშები. კვლევის შედეგები ასახულია შესაბამის ანგარიშში.			

2. სტატია საკონფერენციო მასალებში

#	ავტორ(ებ)ი	პუბლიკაციის სახელწოდება	გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	სუმბაძე, ნ., **ჟვანია, ი., აბაშიძე, თ.**, აბულაძე, დ.	დეპრესია, როგორც აქტიური დაბერების შემაფერხებელი ფაქტორი	აკადემიური კვლევისა და განვითარების ასოციაციის (ARDA) საკონფერენციო მასალები	4 გვ.
ანოტაცია სტატიაში განხილულია ფაქტორები, რომლებიც საქართველოში მცხოვრებ მოხუცებს ხელს უშლის აქტიურ და ჯანმრთელ დაბერებაში. კვლევამ აჩვენა, რომ ხანდაზმულთა დიდი ნაწილი თავს ბედნიერად არ გრძნობს; პირიქით, ისინი თავს უსუსურად განიცდიან და თვლიან, რომ „ზედმეტ ტვირთად“ აწვებიან ოჯახს. სტატიაში ხანდაზმულების ფსიქოლოგიური პრობლემებისა და სოციალური აპათიის ახსნა ნაცადია ადამიანის განვითარების თეორიებით, რომლებშიც განვითარების ტრაექტორია მოთხოვნილებათა იერარქიასთან არის დაკავშირებული. განვითარების სრული ციკლის გავლის შემდეგ, იერარქიულად ყველაზე მაღალი მოთხოვნილებების დაკმაყოფილების შემდეგ, საწყის ეტაპზე დაბრუნება, დაუკმაყოფილებელი ბაზისური მოთხოვნილებები და წარუმატებლობა ფიზიკური გადარჩენისათვის ბრძოლაში აისახება ხანდაზმულთა დეპრესიის მაღალ დონესა და ჯანმრთელობის გაუარესების რისკში.			

პიროვნების, შეფასებისა და კონსულტირების ინსტიტუტი

სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა

ხელმძღვანელის მითითებით :

1. ლუიზა არუთინოვი, ასოცირებული პროფესორი, ინსტიტუტის ხელმძღვანელი
2. მარინე ჩიტაშვილი, პროფესორი
3. ხათუნა მარწყვიშვილი, ასოცირებული პროფესორი
4. მაია მესტვირიშვილი, ასოცირებული პროფესორი
5. ლილი ხეჩუაშვილი, ასოცირებული პროფესორი
6. თეონა ლოდია, ასისტენტ პროფესორი
7. მარიამ ფანჯიკიძე, ასისტენტ პროფესორი
8. ქეთევან მოსაშვილი, ასისტენტ პროფესორი

2. შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტით დაფინანსებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

2.1.

№	გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	სტრუქტურირებული სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების გრანტი. გრანტის №DP2016_16;	2016-2020	პროექტის ხელმძღვანელი მესტვირიშვილი მაია. ახალგაზრდა მეცნიერები: მარწყვიშვილი ხათუნა ფანჯიკიძე მარიამ

	პროექტის სახელწოდება: ,,კვლევები პოზიტიური ფსიქოლოგიაში“ სოციალური მეცნიერებები ფსიქოლოგია		

გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2020 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

პროექტის სახელწოდება: ,,კვლევები პოზიტიური ფსიქოლოგიაში“
პროექტი მიზნად ისახავს ახალი სადოქტორო პროგრამის „კვლევები პოზიტიურ ფსიქოლოგიაში“ განვითარებასა და განხორციელებას. პროგრამა კვლევის ორი ქვედარგისგან შედგება და სტრუქტურულად ორი ერთეულის/მოდულის სახით არის წარმოდგენილი: (ა) პოზიტიურ ფსიქოლოგია პიროვნების კვლევებში და (ბ) პოზიტიური ფსიქოლოგია კონსულტირებაში. პროგრამა მეთოდოლოგიური პლურალიზმის პრინციპზეა აგებული და მონაცემების შეგროვებისთვის, ანალიზისა და ინტერპრეტაციისთვის თვისებრივ, რაოდენობრივ და შერეულ მეთოდებს იყენებს. პროექტის პირველი წელი სადოქტორო პროგრამის განვითარებასა და აკრედიტაციის მიღებას ეთმობა, დანარჩენი სამი წლის განმავლობაში კი დაგეგმილია დოქტორანტების პირველი თაობის გამოშვება. უცხოელი ექსპერტები ჩართულნი არიან პროექტის განხორციელების ყველა ეტაპზე, იქნება ეს საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება, საკონსულტაციო ვიზიტები საქართველოში ან ექსპერტების უნივერსიტეტებში, მათ მიერ ჩატარებული ლექციები, სემინარები და ინტენსიური სასწავლო კურსები პროგრამაში ჩართული (და სხვა) აკადემიური პერსონალისთვის და დოქტორანტებისთვის.

2.	ახალგაზრდა მეცნიერთა კვლევების გრანტით დაფინანსების კონკურსი, 2018, YS-18-2025 კატეგორიული და შედეგობრივი მორალური მსჯელობა: ემოციების როლი სოციალური მეცნიერებები ფსიქოლოგია	2018-2020	პროექტის მენტორი მაია მესტვირიშვილი ახალგაზრდა მეცნიერი: ნათია მესტვირიშვილი

მორალური მსჯელობა ყოველთვის წარმოადგენდა ერთ-ერთ ყველაზე საინტერესო საკითხს სოციალური მეცნიერებებისთვის. მისი მნიშვნელობა განუსაზღვრელია ადამიანის ცხოვრებისთვის და სოციალური ქმედებებისთვის, გამომდინარე იქიდან, რომ სწორედ ის არის საზოგადოების წესრიგის და სტრუქტურის საფუძველი. ათწლეულების მანძილზე მორალის კვლევის ფარგლებში ბევრი სხვადასხვა კონცეპტი (ცნება) ჩამოყალიბდა, როგორებიცაა მაგალითად: მორალური ინტელექტი, მორალური მსჯელობა, მორალური აგენტობა, მორალურ ქმედებებთან/გადაწყვეტილებებთან დაკავშირებული მორალური სელფი. ამ პროექტის ფარგლებში, ჩვენს მიზანს კატეგორიული და შედეგობრივი მორალურ მსჯელობისას ემოციური ინტელექტის როლის კვლევა და იმის აღმოჩენა წარმოადგენს, თუ როგორ მიდის მორალური მსჯელობა მორალურ ქცევამდე. ემოციების როლი განხილული იქნება მორალური მსჯელობის და მორალური ქცევის კონტექსტში. თავდაპირველად, მიმოვიხილავთ ძირითად ცნებებს: მორალურ ინტელექტს, კატეგორიულ და შედეგობრივ მორალურ განსჯას, კოგნიციის და ემოციების როლს მორალური მსჯელობისას და თვით-სასარგებლო (self-beneficial) და ალტრუისტულ მორალურ ქცევას. თეორიული კონტექსტის მიმოხილვის შემდგომ ვაჩვენებთ წინააღმდეგობას არსებულ სამეცნიერო კვლევებში, რომლებიც მორალური მსჯელობის და ემოციური კომპეტენციის ერთმანეთთან დაკავშირებას ცდილობენ და ბოლოს, ვაჩვენებთ თუ როგორ შეუძლია წინამდებარე კვლევას არსებული პრობლემის გადაჭრა და ემოციური ინტელექტის როლის აღმოჩენა მორალური მსჯელობისას.

3. უცხოური გრანტებით დაფინანსებული სამეცნიერო პროექტები

3.2. დასრულებული პროექტი

№	დასრულებული (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი, დამფინანსებელი ორგანიზაცია/სამეცნიერო ფონდი, ქვეყანა	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	ავსტრიის მეცნიერებათა აკადემიის კვლევითი გრანტი	2020-2020	ხათუნა მარწყვიშვილი

დასრულებული კვლევითი პროექტის 2020 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

Creativity and Intelligence: A Different Road to Growth and Wellness

მიუხედავად იმისა, რომ კრეატულობის შესახებ ჩატარებული ადრეული კვლევები უკვე მჭიდროდ უკავშირდება ინტელექტის შესწავლას, საკითხი იმის შესახებ, თუ რა სპეციფიკური მახასიათებლებით განსხვავდება ინტელექტი და შემოქმედებითობა ერთმანეთისაგან, კვლავაც ღიად რჩება. კვლევითი პროექტის მიზანს წარმოადგენს წვლილის შეტანა სამეცნიერო დებატებში ზოგადი ინტელექტისა და შემოქმედებას შორის გადაფარვებისა და განსხვავების შესახებ. შესამაბისად, კვლევითი პროექტი მიზნად ისახავს შეამოწმოს ჰიპოთეტური მოდელი, რომელიც ემყარება დაშვებას, რომ ინტელექტი და შემოქმედებითობა ასრულებს სხვადასხვა მიზნებს ევოლუციურად, ზოგადად და ინდივიდუალურად, მოტივაციურად და ისინი დაკავშირებულია ცხოვრების სხვადასხვა რეალურ შედეგებთან. კერძოდ, ჩვენ ვამტკიცებთ, რომ თუ ინტელექტი ხელს უწყობს ადამიანის ბაზისური მოთხოვნილებების, ხოლო კრეატიულობა შედარებით უფრო მაღალი დონის მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას და თავისთავად, მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება / ფრუსტრაცია მნიშვნელოვან როლს ასრულებს პიროვნულ ზრდასა

და განვითარებაში, შეიძლება ვივარაუდოდ, რომ კონცეპტუალური განსხვავება შემოქმედებასა და ინტელექტში დაკავშირებული შეიძლება იყოს იმ გზებთან, რომლითაც ინტელექტი და შემოქმედებითობა კარგად ყოფნას, პიროვნულ ზრდასა და პოზიტიურ ცვლილებებს უკავშირდება.

5.5. სტატიები ISSN-ის მითითებით

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათა-ური, ISSN	ჟურნალის/ კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
	თ. ქამუშაძე, ხ. მარწყვიშვილი, მ. კვიციანი	კატეგორიალურ იდან განზომილებით პარადიგმამდე: პიროვნული აშლილობების ალტერნატიულ ი მოდელი	*განათლების მეცნიერებები და ფსიქოლოგია 2020, 1 (55)*		7
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე) პიროვნული აშლილობები და მისი კლასიფიკაცია წარმოდგენს ერთ-ერთ ყველაზე საკამათო საკითხს ფსიქიკური ჯანმრთელობის სფეროში. მიუხედავად იმ დიდი პროგრესისა, რაც კლინიკურ შემთხვევებზე დაკვირვებებისა და ემპირიული კვლევების დახმარებით არსებობს, საბოლოო კონსენსუსი პიროვნული აშლილობების კლასიფიკაციის შესახებ, მიღწეული არ არის. ცენტრალური კითხვა მიემართება იმას, თუ რომელი მოდელია უპირატესი - განზომილებითი თუ კატეგორიალური. კატეგორიალური მოდელის შესახებ არსებულმა კრიტიკამ საფუძველი ჩაუყარა პიროვნული აშლილობების ალტერნატიული მოდელის შემუშავებას, რომელიც განზომილებით პარადიგმას ეყრდნობა და რომელშიც პიროვნული აშლილობები გართულებული პიროვნული ფუნქციონირებით და პათოლოგიური პიროვნული ნიშნებით ხასიათდება. ახალი მოდელის მიმართ ინტერესი მზარდია და არაერთი კვლევა ადასტურებს მის სარგებლიანობას კლინიკურ პრაქტიკაში.				
2	მ. ოდილავაძე, ლ. ხეჩუაშვილი, ხ. მარწყვიშვილი, მ. ფანჯიკიძე	ცხოვრება ორაზროვანი დანაკარგით: თეორიული ჩარჩო და ძირითადი ცნებები.	*განათლების მეცნიერებები და ფსიქოლოგია, 2020, 2(56)*		8
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე) ნაშრომში განხილულია ორაზროვანი დანაკარგის თეორიული მოდელი. კერძოდ, აღწერილია ისეთი ძირითადი ცნებები და კონსტრუქტები, როგორებიცაა ორაზროვანი დანაკარგი და საზღვრების ორაზროვნება. ასევე, საუბარია ორაზროვანი დანაკარგისა და პოსტტრავმული სტრესული აშლილობის ურთიერთმიმართების საკითხზე. გარდა ამისა, ორაზროვანი დანაკარგის მდგომარეობა აღწერილია ინდივიდის, ოჯახისა და თემის დონეზე. ბოლოს, განხილულია მედეგობა, როგორც ორაზროვანი დანაკარგის მდგომარეობასთან გამკლავების და ფსიქიკური ჯანმრთელობის შენარჩუნების უნარი.				
3	ხ. მარწყვიშვილი ნ. სორდია ა. ნოიბაუერი	დიდი ხუთეულის საკვლევი კითხვარების ქართული ვერსიების ფსიქომეტრულ	ქართული ფსიქოლოგიური ჟურნალი 2020 N1		16

		ი მახასიათებლებ ი			
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე) კვლევის მიზანია პიროვნების ხუთფაქტორიანი მოდელის საკვლევი ორი საზომი ინსტრუ- მენტის - დიდი ხუთეულის საკვლევი ინსტრუმენტისა (The Big Five Inventory (BFI); John & Strivastava, 1999) და პიროვნების შესაფასებელი ათდებულებიანი კითხვარის (Ten item of Per- sonality Inventory (TIPI); Gosling, Rentfrow, & Swann, 2003) ქართულ ვერსიათა ფსიქომეტრული მახასიათებლების შესწავლა. დიდი ხუთეულის საკვლევი ინსტრუმენტის ქართული ვარიანტის კვლევაში მონაწილეობას იღებდა 866 ადამიანი, პიროვნების შესაფასებელი ათდებულებიანი კითხვარის ქართული ვერსიის შესაქმნელად განხორციელებულ კვლე- ვაში კი - 377 ადამიანი. კვლევის შედეგების თანახმად, ორივე კითხვარის ფაქტორული სტრუქტურა იმეორებს სხვა კულტურებში არსებული ხუთფაქტორიანი მოდელის სტრუ- ქტურას, სანდოობის მაჩვენებლები აკმაყოფილებს პიროვნული კითხვარებისთვის მინი- მალურ რეკომენდებულ მნიშვნელობას, თუმცა ეს მაჩვენებლები შედარებით დაბალია პიროვნების შესაფასებელი ათდებულებიანი კითხვარის შემთხვევაში. ინსტრუმენტების ვალიდობაზე მეტყველებს ლოგიკური კავშირი თეორიულად ნავარაუდევ, რელევანტურ კონსტრუქტებთან: კერძოდ, პიროვნების ავერსიულ მახასიათებლებთან, ემოციურ ინტე- ლექტსა და ექვსფაქტორიანი მოდელის ნიშნებთან. დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ დიდი ხუთეულის საკვლევი ორივე კითხვარის ქართული ვერსია, ძირითადი ფაქტორული სტრუქტურის, სხვა კონსტრუქტებთან გამოვლენილი ლოგიკური კავშირისა და სანდოობის მაჩვენებლების გამო, შეიძლება გამოვიყენოთ შემდგომი მეცნიერული და კვლევითი საქმიანობისთვის.					

6. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა უცხოეთში

6.4. სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI ან ISSN	ჟურნალის/ კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	Martskvishvili, Kh., Panjikidze, M., Kamushadze, T., Garuchava, N., Dozois, D.	Measuring the thinking styles: Psychometric properties of the Georgian version of the Cognitive Distortion Scale.“	The Journal of Cognitive Psychotherapy (მიღებულია დასაბეჭდად)	*Publisher: Springer Publishing*	
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე) კვლევის მიზანს წარმოადგენს კოგნიტური შეცდომების საკვლევი კითხვარის (CDS; Covin, Dozois, Ogniewicz & Seeds, 2011) ქართული ვერსიის (G-CDS) ფსიქომეტრული მახასიათებლების შემოწმება. კოგნიტური შეცდომების საკვლევი კითხვარის ზომავს 10 სხვადასხვა კოგნიტურ შეცდომას სოციალური ურთიერთობებისა და მიღწევების სფეროში. მთლიანობაში, ინსტრუმენტის სტანდარტიზაციაში მონაწილეობა მიიღო 941 ინდივიდმა შვიდი სხვადასხვა შერჩევიდან (მათ შორის კლინიკური შერჩევის 37 მონაწილე). კონფირმატორულმა დამადასტურებელმა ფაქტორულმა ანალიზმა აჩვენა ათფაქტორიანი გადაწყვეტის მოდელის მორგების საუკეთესო მაჩვენებლები. G-CDS სკალების შინაგანი შეთანხმებულობის მაჩვენებლები მაღალია და კორელირებს თეორიულად ნავარაუდევ რელევანტურ კონსტრუქტებთან.					

მიუხედავად იმისა, რომ ქალებს უფრო მაღალი მაჩვენებლები ჰქონდათ ერთ-ერთი კოგნიტური შეცდომის სკალაზე (უნდა განცხადებები), ვიდრე მამაკაცებს, სხვა გენდერული განსხვავებები არ გამოვლინდა. კლინიკურ და საკონტროლო ჯგუფს შორის ყველა კოგნიტური შეცდომის მიხედვით განსხვავება იყო სტატისტიკურად სანდო. ინსტრუმენტს ფსიქომეტრული მახასიათებლების გათვალისწინებით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ კოგნიტური შეცდომების საკვლევი ინსტრუმენტის ქართულ ვერსიას, როგორც კლინიკური, ასევე, კვლევითი პოტენციალის მაღალი ხარისხი აქვს.

2	Sordia, N., Jauk, E., & Martskvishvili, KH.	Beyond the big personality dimensions: Consistency and specificity of associations between the Dark Triad traits and creativity.	*Psychology of Aesthetics, Creativity, and the Arts.* Advance online publication. https://doi.org/10.1037/aca0000346	*Publisher: American Psychological Association*	14

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

შემოქმედებითობა ხშირად განიხილება, როგორც სოციალურად სასურველი მახასიათებელი. თუმცა, კვლევების ნაწილი შემოქმედებითობის ცალკეულ ასპექტებთან მიმართებაში, სოციალურად ავერსიული პიროვნული მახასიათებლების როლს უსვამს ხაზს. საქართველოსა (N = 130) და ავსტრიაში (N = 234) ჩატარებული კვლევების საფუძველზე, შევისწავლეთ ბნელ ტრიადასა - ნარცისიზმი, მაკიაველიზმი და ფსიქოპათია და შემოქმედებითობის ცალკეულ ასპექტებს შორის კავშირი (შემოქმედებითი პოტენციალი, აქტივობა და მიღწევა). განსაკუთრებით ვამახვილებთ ყურადღებას კონსისტენტურობისა (შერჩევებსა და საზომებს შორის) სპეციფიკურობს (დიდი ექვსეულის პიროვნულ ნიშნებთან მიმართებაში) შესწავლაზე. შედეგებმა აჩვენა, რომ ორივე შერჩევაში, გრანდიოზული ნარცისიზმი დადებითად უკავშირდება სხვადასხვა სფეროში არსებულ შემოქმედებით აქტივობებს. ერთადერთი სფერო, სადაც კავშირი ორივე შერჩევაში გამოვლინდა გრანდიოზულ ნარცისისზმსა და ლიტერატურის სფეროში შემოქმედებით აქტივობებს შორის კავშირია. გრანდიოზული ნარცისიზმი თვითანგარიშის კითხვარით გაზომილ შემოქმედებით მიღწევებს უკავშირდება, თუმცა როცა ეს კავშირი არ ვლინდება მაშინ, როცა შემოქმედებითობას დამოუკიდებელი ექსპერტები აფასებენ. საინტერესოა და უჩვეულო მოწყვლადი ნარცისიზმი (ნევროტიზმისა და ინტროვერსიის კომბინაციით აღწერადი ნარცისიზმი) დადებითად უკავშირდება ექსპერტების მიერ შეფასებულ შემოქმედებით მიღწევებს და შემოქმედებით პოტენციალს (დივერგენტული აზროვნება), რაც მომავალი კვლევებისთვის ბიძგის მიმცემი შედეგია. ფსიქოპათია, კერძოდ ფსიქოპათიური სიმამაცე სპორტში არსებულ შემოქმედებით აქტივობებს უკავშირდება და გარკვეულ კავშირს ავლენს შემოქმედებით მიღწევებთანაც. საერთო ჯამში, მიღებული შედეგები მხარს უჭერს ნარცისიზმისა და გარკვეულწილად ფსიქოპათიის კავშირს შემოქმედებითობასთან. თუმცა მოცემული შედეგების განხილვისას გასათვალისწინებელია შერჩევის სპეციფიკა და ცნებათა ოპერაციონალიზაცია.

3	Kamushadze, T. Martskvishvili, Kh. Mestvirishvili, M. Mestvirishvili, M. Odilavadze (2020).	The Role of Flow and Personality Traits in Perfectionism and Psychological Well-being Relationship.	Europe's Journal of Psychology (მიღებულია დასაბეჭდად)	Publisher: Europe's Journal of Psychology	

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

2. ნაშრომი ეძღვნება პოსტსაბჭოური ქვეყნების თანამედროვე მაკროეკონომიკური ასპექტების შედარებით ანალიზს ბოლო მსოფლიო ეკონომიკურ-ფინანსური კრიზისის შემდგომ პერიოდში. კვლევის შედეგად მიღებული დასკვნის მიხედვით, მსოფლიო ფინანსური კრიზისის შედეგების დაძლევაში, მსოფლიო ეკონომიკისა და მსოფლიოს უმეტესი ქვეყნებისათვის გარდამტეხი იყო 2010 წელი; საკვლევ წლებში: ეკონომიკური ზრდის ყველაზე მაღალი დონე დაფიქსირდა თურქმენეთში (2014 წ. და 2018 წ.), ყირგიზეთში (2018), ესტონეთში (2018), უზბეკეთში (2016), ტაჯიკეთში (2014), საქართველოში (2018); მშპ-ს მოცულობის მიხედვით, გამოკვეთილი ლიდერია რუსეთის ფედერაცია; ყველაზე მეტად შემცირდა უკრაინის (2016) და აზერბაიჯანის (2016), რუსეთის (2016) ეკონომიკური მაჩვენებლები, რაც რუსეთ-უკრაინის ომსა და ენერგორესურსებზე ფასების ცვლილებებთანაა დაკავშირებული; სტაბილური განვითარებით ხასიათდება ბალტიისპირა ქვეყნები (ესტონეთი, ლატვია, ლიეტუვა); 1990 წელს მთლიანი სამამულო პროდუქტის (GDP) მოცულობის მიხედვით, საქართველო, ყოფილ „საბჭოთა რესპუბლიკებს“ შორის (გარდა ბალტიისპირა ქვეყნებისა) მეშვიდე ადგილზე იმყოფებოდა და მცირედით ჩამორჩებოდა აზერბაიჯანს, ბოლო წლებში კი, სამწუხაროდ, „ათეულს“ მიღმა აღმოჩნდა; რიგი პოსტსაბჭოური ქვეყნების (რუსეთი, ყაზახეთი, თურქმენეთი, აზერბაიჯანი) ეკონომიკების მასშტაბებს დიდად განაპირობებდა მდიდარი ენერგორესურსების ექსპორტის მოცულობა და ფასები, ასევე პირდაპირი უცხოური ინვესტიციები (ეს ფაქტორი სხვა ქვეყნებისთვისაც მნიშვნელოვანი იყო); ევროკავშირთან ასოცირებული ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ, მოლდოვასა და საქართველოს ეკონომიკური მაჩვენებლები შედარებით, მაგრამ არასაკმარისად გაუმჯობესდა, უკრაინისა კი მკვეთრად გაუარესდა - განსაკუთრებით რუსეთთან ომის ზეგავლენის გამო; GDP მოსახლეობის ერთ სულზე მაჩვენებლით, ლიდერობენ ბალტიისპირა ქვეყნები, შემდეგ მოდის რუსეთი და ყაზახეთი, სხვა პოსტსაბჭოურ ქვეყნებს, მათ შორის საქართველოს, უფრო მოკრძალებული შედეგები აქვთ; უმუშევრობის დონე (%) მაღალია საქართველოში, სომხეთში, უკრაინასა და ტაჯიკეთში, ბალტიისპირა ქვეყნებმა კი ამ მაჩვენებლის შედარებითი გაუმჯობესება შეძლეს.

6. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა უცხოეთში

6.2. სახელმძღვანელოები

№	ავტორი/ავტორები	სახელმძღვანელოს სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1 2	***.ნაცვალაძე, მ., ათანელიშვილი, თ. (2020).***	**ეკონომიკის პრინციპები: აქტიური სწავლება.** ეკონომიკური პრინციპების კურსში (სავარჯიშოების კრებული).	**„უნივერსალი, თბილისი**	**65 გვ.**
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)				

I. 1. სამეცნიერო ერთეულის (დეპარტამენტი, ინსტიტუტი, განყოფილება, ლაბორატორია) დასახელება - **ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი, ეკონომიკური პოლიტიკის კათედრა**

I. 2. სამეცნიერო ერთეულის ხელმძღვანელი – ***პროფესორი რევაზ გველესიანი***

I. 3. სამეცნიერო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა:

ასოცირებული პროფესორი ირინა გოგორიშვილი
ასოცირებული პროფესორი გულნაზ ერქომაიშვილი
ასოცირებული პროფესორი ეკა ლეკაშვილი
ასისტენტ პროფესორი გიორგი გაფრინდაშვილი
ასისტენტ პროფესორი ლალი ხურცია

პროფესორი რევაზ გველესიანი

3. უცხოური გრანტებით დაფინანსებული სამეცნიერო პროექტები

3.1. **გარდამავალი** პროექტი

№	**გარდამავალი** (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი, დამფინანსებელი	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

	ორგანიზაცია/ სამეცნიერო ფონდი, ქვეყანა		
1	გერმანიის აკადემიური გაცვლის სამსახურის (DAAD) სტიპენდია მეცნიერთათვის, ეკონომიკა, გერმანია (ბერლინის ტექნიკური უნივერსიტეტი)	2020 წლის 01.10-31.12.2020	პროფ. რევაზ გველესიანი - პროექტის ავტორი
გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2020 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)			

4. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში

4.1. მონოგრაფიები/წიგნები

№	ავტორი/ავტორები	მონოგრაფიის/წიგნის სათაური, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	რევაზ გველესიანი	გლობალური მეწარმეობის წარმატების პოლიტიკა და კულტურა ISBN 978-991-26-26-666-9	თბილისი, უნივერსალი	283

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

ნაშრომში თანამედროვე დასავლური თეორიისა და პრაქტიკის შესწავლის საფუძველზე გაანალიზებულია მცირე და საშუალო მეწარმეობის გლობალური წარმატების სტრატეგია, კულტურა და სადაზღვევო პოლიტიკა. სახელდობრ, განსაზღვრულია ამ სფეროს საწარმოების, მსოფლიო ბაზრის ე.წ. „უცნობი ლიდერების“ სპეციფიკური უპირატესობები მსხვილ საწარმოებთან შედარებით და მათი დამოკიდებულება მეწარმეობის კულტურისა და სადაზღვევო რისკების მიმართ. აქედან გამომდინარე, ნაჩვენებია „გზა თავისუფალი, დამოუკიდებელი მეწარმეობისაკენ“, კერძოდ, მისი ფორმირებისადმი ტრადიციული და თანამედროვე მიდგომა, ბიზნესმეწარმეობიდან სოციალური მეწარმეობისაკენ ტენდენციის გაძლიერება და ციფრულ მეწარმეობაზე, როგორც ინტელექტტევადი პროდუქტების წარმოებაზე ორიენტაცია.

ნაშრომი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია გლობალური მეწარმეობის პოლიტიკისა და კულტურის პრობლემებით დაინტერესებული ახალგაზრდა მკვლევარების (მაგისტრანტები, დოქტორანტები) სამეცნიერო-კვლევითი ორიენტაციისათვის. ის ნამდვილად დააინტერესებს როგორც უმაღლესი სასწავლებლების პროფესურას, ასევე სახელმწიფოს ეკონომიკურ სტრუქტურებსა და მეწარმეობის სფეროში მოღვაწე პროფესიონალებს.

ნაშრომი წარმოადგენს ჩვენს მიერ მეწარმეობის პრობლემებზე წლების განმავლობაში გამოქვეყნებული მონოგრაფიებისა და სტატიების გადამუშავებისა და შევსების შედეგს.

მეწარმეობაში სენსაციური წარმატებების, ინოვაციური გადატრიალებებისა და საერთოდ, მეწარმეობის მართვის შემეცნების წყარო მასობრივ საინფორმაციო საშუალებებსაც კი შეუმჩნეველი დარჩა. გლობალური კონკურენტების მთელი ჯგუფი გაუმჭვირვალობის, ჩრდილისა და დუმილის საფარქვეშ აღმოჩნდა. მათ სახელებს, ნაწარმზე, სერვისსა და საერთოდ, საქმიანობაზე რომ არაფერი ვთქვათ, თუ როგორ ეწევიან ისინი მეწარმეობას ყველგან _ მთელ მსოფლიოში, მხოლოდ ცოტა მეცნიერი, პრაქტიკოსი ან ჟურნალისტი თუ იცნობს. მსოფლიო ბაზარზე წამყვანი პოზიციის დაკავება ტოტალურ წინააღმდეგობაშია მათ არამკვეთრ პროფილთან. მრავალმა მათგანმა დაიპყრო ბაზარი სწორედ გლობალურად, დიდი ხნით ადრე, სანამ ცნება „გლობალიზება“ გამოიკვეთებოდა.

მონოგრაფიაში გადმოცემულია მსოფლიოში ცნობილ ფირმებს შორის საუკეთესოების მეწარმეობის საიდუმლოებები. მათი საერთაშორისო სამეწარმეო საქმიანობა მოიცავს წარმატების როგორც შესაძლებლობებს, ასევე რისკებს მისი მიღწევის გზაზე. რისკებისაგან „დაცვა“, თავის მხრივ, მოითხოვს სადაზღვევო პოლიტიკის ახალ ფილოსოფიას, ენასა და პრაქტიკას.

მეწარმეობის თეორია და პრაქტიკა სულ უფრო მეტ ყურადღებას უთმობს განუსაზღვრელობისა და რისკის ფენომენის კვლევას. სადაზღვევო ბაზარი რისკებს მართავს მათი განაწილების მეშვეობით. მისი წარმატებით ფუნქციონირებისათვის აუცილებელია დამოუკიდებელ სადაზღვევო შემთხვევათა საკმაო რაოდენობა, რისკისა და ზარალის მართებულად შეფასების შესაძლებლობა და დაზღვევის განთავისუფლება მორალური რისკისაგან.

სადაზღვევო პოლიტიკის თეორიული ასპექტის შესწავლით, კერძოდ, სადაზღვევო ურთიერთობების უშუალო მიზეზისა და მთავარი მამოძრავებელი ძალის კვლევით, ამ ურთიერთობათა სუბიექტების დახასიათებით და მათი ძირითადი სადაზღვევო ინტერესების განსაზღვრით წინა პლანზე წამოვწიეთ სადაზღვევო საქმიანობის პრაქტიკა, ანუ თუ როგორია საქმიანი ურთიერთობების ფუნქციონირებისა და განვითარების ლოგიკა ამ სფეროში.

აღნიშნულ ნაშრომზე მუშაობისას გაწეული სამეცნიერო კონსულტაციებისათვის დიდ მადლობას ვუხდი ბერლინის თავისუფალი უნივერსიტეტის პროფესორს, ლეგენდარული კომპანიის „თეეკამპაგნე“-ს დამფუძნებელს, მეწარმეობის თეორიასა და პრაქტიკაში სრულიად ახლებური ხედვის ავტორს ბატონ **გიუნტერ ფალტინს** და ბერლინის ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორს, ბატონ **ვოლფგანგ ვენგს**

4.3. კრებულები

№	ავტორი/ავტორები	კრებულის სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა

1	რ. გველესიანი	“თანამედროვე ეკონომიკა, ეკონომიკური მეცნიერება და ეკონომიკის პანდემიური პრობლემები: გამოწვევები, გადაჭრის გზები” ISBN 978-9941-13-391-6	თბილისი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა	გვ. 46-51

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

მაქსიმალური ოპერაციონალიზება მოითხოვს, რომ გაზომვადი და მრავალგანზომილებიანი მიზნების შემთხვევაში, ეკონომიკური პოლიტიკის მიზნის დეფინიციის აგრეგირებადი მახასიათებლები რაც შეიძლება სრულად გამოხატავდეს მიზნის შინაარსს. აქედან გამომდინარე, მინიმუმამდე უნდა იყოს დაყვანილი გაზომვაში სხვაობა ანუ განსხვავება მიზნის შინაარსსა და გაზომვის დადგენილ სტანდარტს შორის.

გაზომვაში სხვაობის მიზეზებია: 1. მიზნის შინაარსის მრავალმნიშვნელოვნება და აქედან გამომდინარე სხვადასხვა სტანდარტის არსებობა; 2. სტანდარტის დადგენასთან დაკავშირებული სიძნელეები, რომლებიც აუცილებლად წარმოიშობა მიზნის შინაარსის მახასიათებლების დადგენისას. 3. არა მარტო დასაშვებია ორივე მიზეზის კომბინაციები, არამედ, როგორც წესი, სწორედ ასეთ კომბინაციებს ვხვდებით ხოლმე. გაზომვაში სხვაობებს ისინიც ითვალისწინებენ, ვინც გარკვეულ მიზნებს ისახავს ან ამ მიზნების შესაბამისად მოქმედებს. ასეთი ვითარებაა, როდესაც: მიზნები ეკონომიკური პოლიტიკის კონცეფციებიდან გამომდინარე საყოველთაო და გრძელვადიან პრინციპებს ემყარება და იმ საზღვრებს ხვდება, რომელებშიც პრაქტიკული პოლიტიკა ხორციელდება.

კომპრომისი კონკურენტულ მიზნებს შორის წინასწარ არის შეზღუდული და შეუძლებელია მიზნის შინაარსთან დაკავშირებით ეკონომიკურ ინტერესთა ჯგუფების სრულყოფილი გაერთიანება.

ეკონომიკური პოლიტიკის მიზნებს შორის ლოგიკური ურთიერთდამოკიდებულება გულისხმობს მათ იდენტურობას, თავსებადობას ან/და არათავსებადობას (ანტინომიას); ტექნოლოგიური ხასიათი აქვთ კომპლემენტარულობას (ჰარმონიას), დამოუკიდებლობას (ნეიტრალურობას) და კონკურენციას (კონფლიქტს).

5. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა უცხოეთში

5.4. სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური,	ჟურნალის/ კრებულის	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდები

		დიგიტალური საიდენტიფიკაციო კოდი DOI ან ISSN	დასახელება და ნომერი/ტომი		რაოდენობა
1	R. Gvelesiani	Formation of the Innovative Entrepreneurship Culture: Capabilities and Problems, ISSN: 2344-2174	Ecoforum, Vol. 9, No 1, 2020	Sttefan cel mare university of Suceava, Romania. http://www.ecoforumjournal.ro/index.php/eco/index	6
2	R. Gvelesiani	CONTRADICTIONS OF PUBLIC VALUES – ORIGIN OF CONFLICT OF INTERESTS ISSN: 2344-2174	Ecoforum, Vol. 9, No 2, 2020	Sttefan cel mare university of Suceava, Romania. file:///C:/Users/user/Downloads/1084-3445-1-PB.pdf	4
	Gvelesiani R., Kvaratskhelia M., Khokhobaia M., Gaprindashvili G.	Entrepreneurial policy of the German mining companies and its impact on the Georgian economy in the late 19th and early 20th centuries, ISSN: 2345-0282	ENTREPRENEURSHIP AND SUSTAINABILITY ISSUES, Vol. 7, No 4, 2020	http://doi.org/10.9770/jesi.2020.7.4	pp. 2914-2923
	R. Gvelesiani	Contradictory interdependence between the goals of economic policy and assessment of its expected results, ISSN: 2344-2174	Ecoforum, Vol. 9, No 3, 2020	Sttefan cel mare university of Suceava, Romania	5
	R. Gvelesiani	The problem of compatibility of economic policy objectives, instruments and order policy principles, ISSN: 2344-2174	Ecoforum, Vol. 9, No 3, 2020	Sttefan cel mare university of Suceava, Romania	4

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1.მეწარმეობის კულტურის სერიოზულად მზარდი „პრობლემათა ველი“ ხშირად არ შეიცნობა ან იგნორირდება კიდეც. ასეთ შემთხვევაში სტრატეგიას აღიარებენ რელევანტურად და რესურსების ფოკუსირებას მასზე ახდენენ. ბარიერები, შინაგანი

კონფლიქტები, წარუმატებელი ან დამარცხებული სტრატეგია და ბაზარზე უარი არის ყოველივე ამის შედეგი. მეწარმეობის კულტურა უკიდურესად მგრძნობიარე პარამეტრია. მისი ფორმირებისა და განვითარებისათვის აუცილებელია რაციონალური გადაწყვეტილებების მიღება და გატარება, რომლებმაც განსაკუთრებით კულტურის არსის ასპექტი უნდა გაითვალისწინონ. ამან კი მხოლოდ კულტურის მიმართ მგრძნობიარე მენეჯმენტში შეიძლება ჰპოვოს ასახვა.

მეწარმეობის დაწყების სრულიად განსხვავებული წესი, კერძოდ, კომპონენტებისაგან კომპანიის დაფუძნება, ინოვაციურ სამეწარმეო კულტურაზე მიუთითებს. სოციალურ ღირებულებებთან ჰარმონიაში ყოფნა მისი წარმატების წინაპირობაა. ციფრულ მეწარმეობაში მენტალიტეტის ცვლილების გარეშე საწარმოებს არ ძალუძთ წარმატების მომტანი ინოვაციების სწრაფად და მასშტაბურად დანერგვა. ვინაიდან ციფრულ ეკონომიკაში აქცენტი ინტელექტტევადი პროდუქტების წარმოებაზე კეთდება, ეს სამეწარმეო კულტურის დიგიტალიზაციის პრობლემების დაძლევას მეტად აქტუალურს ხდის.

2. ძირითადი საზოგადოებრივი ღირებულებები (თავისუფლება, სამართლიანობა, უსაფრთხოება და პროგრესი) ყოველთვის საზოგადოების ეკონომიკურ კეთილდღეობას ეფუძნება. თუმცა, საზოგადოების განვითარებისა და მისი თითოეული წევრის კეთილდღეობისათვის ეკონომიკური განვითარების არსებული დონე აუცილებელ, მაგრამ არასაკმარის პირობას წარმოადგენს. ამასთან, როდესაც საქმე ეხება ეკონომიკურ-პლიტიკური მიზნების დაკონკრეტებას (იდენტურობის, ჰარმონიის, ნეიტრალიტეტის, კონფლიქტის და ურთიერთგამორიცხვის მიმართულებით), სწორედ მაშინ ჩნდება პრობლემები, სიტუაცია უკიდურესად რთულდება და წარმოიქმნება ეკონომიკურ ინტერესთა კონფლიქტები. აღნიშნული კონფლიქტების პრევენცია სამართლებრივ-საკანონმდებლო ველის ინსტრუმენტებით მოკლევადიან პერიოდში დროებითი დადებითი ეფექტებით ხასიათდება, ხოლო გრძელვადიან პერსპექტივაში შესაძლებელია ძალზე გართულდეს და ანტაგონისტური ხასიათი მიიღოს. ეს კი რაციონალური ეკონომიკური პოლიტიკის გატარებასთან დაკავშირებული რისკების პრევენციის აუცილებელ და უმნიშვნელოვანეს წინაპირობას წარმოადგენს. ცხადია, მხოლოდ განვითარებულ საზოგადოებას ძალუძს გაიღოს ძვირადღირებული რესურსები ინტერესთა კონფლიქტების დასაძლევად თანმიმდევრული, გრძელვადიანი და ფრთხილი ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავებისა და მისი ეფექტიანი განხორციელების გზით

3. გერმანული მონოპოლისტური და ფინანსური კაპიტალის წამყვანი წარმომადგენლების ინტერესები როგორც პირველ მსოფლიო ომამდე, ისე მის შემდეგ, დაკავშირებული იყო საქართველოსთან. გერმანელ რკინისა და ფოლადის მრეწველებს, აგრეთვე სხვა სფეროებში დასაქმებული ფირმების მესვეურებსაც, ანდამატივით იზიდავდა ამ მხარის წიაღისეული სიმდიდრე. ამ მხრივ მეტად მნიშვნელოვანია მათი საქმიანობის გაანალიზება, კერძოდ, თუ როგორ იყრიდა თავს კავკასიაში მათი ინტერესები და რა მნიშვნელოვან გავლენას ახდენდნენ ისინი გერმანიის სახელმწიფო პოლიტიკაზე საქართველოს მიმართ.

გერმანიაში მანგანუმის შეტანა ძირითადად კავკასიიდან ხდებოდა „გელზენკირხენის“ სამთამადნო სააქციო საზოგადოებისა, რომელსაც კირხდორფი ხელმძღვანელობდა და საზოგადოება „გერმანიის კაიზერის“ მიერ, რომლის ერთადერთი მფლობელი ტისენი იყო. ორივე ფირმა ერთიანი საზოგადოების მეშვეობით აწარმოებდა ჭიათურის საბადოთა ექსპლოატაციას 1901 წლიდან.

ტისენი და კირხდორფი გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს რჩევით, 1918 წლის 12

ივლისს შეხვდნენ ბერლინში მყოფ საქართველოს დელეგაციას და პირადად დოქტორ ნიკოლაძეს. მათ შორის დაიდო სამი ხელშეკრულება, რომელთა თანახმად დაარსდა სამი გერმანულ-ქართული საზოგადოება. ამ საზოგადოებებს უნდა გაეწია ქართული მანგანუმის საბადოების ექსპლოატაცია. მათ განკარგულებაში გადავიდოდა შორაპან-ჭიათურის რკინიგზის ხაზი და ფოთის ნავსადგური.
ამ ხელშეკრულებით გერმანია ცდილობდა განემტკიცებინა თავისი ეკონომიკური გავლენა საქართველოზე, ანუ მათი მეშვეობით გერმანული ფირმები, კონცერნები, ბანკები და ა.შ. კონტროლს გაუწევდნენ საქართველოს მთელ ეკონომიკურ ცხოვრებას და მოიპოვებდნენ აბსოლუტურ უპირატესობას როგორც უმნიშვნელოვანეს წიაღისეულ სიმდიდრეებსა და სატრანსპორტო საშუალებებზე, ასევე მთელ სახელმწიფო ფინასებზეც. მაგრამ საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებით ტისენისა და მისი კონკურენტების ეკონომიკური მიზნები საქართველოში განუხორციელებელი დარჩა.

4. ეკონომიკური პოლიტიკის პრობლემების იდენტიფიცირება გულისხმობს მიზნების ოპერაციონალიზების შესაძლებლობას. მას შემდეგ, რაც დადგენილია მიზნების ოპერაციონალიზების შესაძლებლობა, ხდება მათი მიღწევის დონეების განსაზღვრაც. სწორედ ასეთი დამოკიდებულება გვაძლევს, როგორც პრობლემათა გადაჭრის კონკრეტული მცდელობის, ასევე მიღწეული შედეგების კონტროლის საშუალებას.
მიზანს მრავალი განზომილება აქვს, ამიტომ შესაძლებელი ხდება ისეთი პრობლემების იდენტიფიცირება, რომლებიც ეკონომიკური ზრდის მიზანს უკავშირდება. შეიძლება კონკრეტული მიზანი თავისი თვისებებით ძირითად საზოგადოებრივ ღირებულებებთან გაზომვას დაქვემდებარებული ურთიერთობების კონტექსტში გვეძლეოდეს, მაგრამ ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავს მისი ოპერაციონალიზების შესაძლებლობას. აუცილებელია, რომ მიზნის მახასიათებლები გაზომვადი და აგრეგირებადი იყოს. მეორე მხრივ, აუცილებელია იმ მნიშვნელობის დადგენა, რომელიც მათ ასეთი აგრეგაციით ენიჭება.

5. ეკონომიკური პოლიტიკის კონცეფცია განსაზღვრავს ეკონომიური პოლიტიკის მოქმედების მიმართულებას, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს, რომ თითქოსდა იგი წინასწარ ჭვრეტდეს მომავალში ეკონომიკური პოლიტიკის რა სახის ცვლილებები მოხდება და როგორ განვითარდება მასთან დაკავშირებული ეკონომიკური პროცესები. ამიტომაც, ოპერაციონალიზების თვალსაზრისით, კონცეფციაში ჩამოყალიბებული მიზნები საეჭვოდ არ მიიჩნევა. ამასთან, არც მართვის შესახებ მოძღვრების მიზანია ეკონომიკური პოლიტიკის კანონზომიერებათა რაოდენობრივად ზუსტად განსაზღვრა. ეკონომიკას არ ახასიათებს ასეთი კანონზომიერებები. სწორედ მუდმივად მიმდინარე საზოგადოებრივი ცვლილებები განაპირობებს იმას, რომ მათი ლეგიტიმურობა დროში შეზღუდულია. რაც შეეხება კონცეფციას, მასში მოცემულია მიზნებსა და საშუალებებს შორის გრძელვადიან ურთიერთობათა სისტემა. ამიტომაც ერთი მხრივ, იგი გვაწვდის ინფორმაციას მოქმედების იმ არეალის თაობაზე, რომელშიც ესა თუ ის ინსტრუმენტი კონცეფციით ჩამოყალიბებული მიზნის მიღწევას ემსახურება, მეორე მხრივ კი, წესრიგის პოლიტიკის პრინციპებთან მის თავსებადობას განსაზღვრავს.

6. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

6.1. საქართველოში

№	მომხსენებელი/	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების

	მომხსენებლები		დრო და ადგილი
1	რ. გველესიანი	ეკონომიკური პოლიტიკის კონცეფცია: მიზნების, საშუალებების და წესრიგის პოლიტიკის პრინციპების თავსებადობის განმსაზღვრელი	11 სექტემბერი, 2020 ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი
2	რ. გველესიანი		17-18 ოქტომბერი, 2020 ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი

მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა)

ეკონომიკური პოლიტიკის თეორიასა და პრაქტიკაში საყოველთაოდ აღიარებულია, რომ მოძღვრება სახელმწიფოს ეკონომიკაში ინტერვენციის შესახებ უნდა პასუხობდეს იმ მოთხოვნებს, რომლითაც იგი უნდა იქცეს მოძღვრებად მართვის ხელოვნების შესახებ. ასეთი მოძღვრება ერთმანეთთან აკავშირებს მიზნებსა და მათი განხორციელების ინსტრუმენტებს, იმისათვის, რომ: **1.** გადაჭრას ეკონომიკური პოლიტიკის არსებული პრობლემები **(ეკონომიკური პოლიტიკის პროგრამა)** და **2.** უზრუნველყოს ის ზოგადი ჩარჩო პირობები, რომლის ფარგლებშიც შესაძლებელი გახდება ეკონომიკური პოლიტიკის მომავალში წარმოშობილი პრობლემების გადაწყვეტა **(ეკონომიკური პოლიტიკის კონცეფცია)**.

როგორც ერთ, ისე მეორე შემთხვევაში საქმე გვაქვს მიზანი - საშუალება - სისტემასთან. მათ შორის კავშირის შესაძლებლობა იმას ემყარება, რომ კონკრეტული პრობლემის გადაჭრის ეკონომიკური პოლიტიკის პროგრამა კონცეფციის საფუძველზე ყალიბდება.

ეკონომიკური პოლიტიკის კონცეფცია შეიძლება განისაზღვროს, როგორც ეკონომიკური პოლიტიკის ფუნქციონირების ზოგადი ჩარჩო პირობები, მისი საფუძველი და ორიენტირი, როდესაც ასეთი კონცეფცია რაციონალურობის პრინციპს ემყარება, იგი წარმოადგენს ზოგად და მასშტაბურ მიზანთა კარგად გააზრებულსა და მყარ სისტემას. ის ასევე მოიცავს ეკონომიკური წესრიგის პოლიტიკის პრინციპებს, მათთან თავსებადსა და მიზნის მიმართ კონფორმულ საშუალებებს.

ეკონომიკური პოლიტიკის კონცეფცია აადვილებს რაციონალური გადაწყვეტილებების მიღებას და მოქმედების შესაძლებლობათა წინასწარი არჩევის საშუალებას გვაძლევს, სწორედ ის განსაზღვრავს ინტერვენციის წესს, როგორც ინსტრუმენტების გამოყენების კრიტერიუმს. კონცეფციის საფუძველზე დგინდება ეკონომიკური გადაწყვეტილებების თავსებადობა საზოგადოების უფრო მასშტაბურ მიზნებთან, რაც ეკონომიკური პოლიტიკის კონკრეტული მიზნების რეალიზებას უწყობს ხელს.

ყოველივე ეს ნათლად ადასტურებს ქვეყნის ეკონომიკური განვითარების გრძელვადიანი ხედვის (სტრატეგიის) ანუ ეკონომიკური პოლიტიკის კონცეფციის ჩამოყალიბების აუცილებლობას, ხოლო ანტიკრიზისული და პოსტკრიზისული გეგმა, ეკონომიკური პოლიტიკის პროგრამის სახით, უნდა წარმოადგენდეს არა ცალკე არსებულ გეგმას, არამედ აღნიშნული კონცეფციის ორგანულ შემადგენელ ნაწილს. ასეთი მიდგომის გარეშე დღეს არსებული პრობლემების „გადაწყვეტამ“ შესაძლებელია მომავალში კიდევ უფრო გაზარდოს მათი წარმოშობის ალბათობა.

***სხვა მნიშვნელოვანი აქტივობები**

I. **ეკონომიკური პოლიტიკის კათედრა** და მასთან არსებული **ეკონომიკური პოლიტიკის ქართულ-გერმანული ინსტიტუტი** პროფ. **რევაზ გველესიანის** ინიციატივითა და უშუალო ხელმძღვანელობით წარმატებით ახორციელებს სამეცნიერო-კვლევით და საგანმანათლებლო საქმიანობას (ამ ეტაპზე დისტანციურ რეჟიმში):

- ბერლინის ტექნიკურ უნივერსიტეტთან (წარმომადგენელი პროფესორი ვოლფგანგ ვენგი);
- ბერლინის თავისუფალ უნივერსიტეტთან (წარმომადგენელი პროფესორი გიუნტერ ფალტინი);
- პოტსდამის უნივერსიტეტთან (წარმომადგენელი პროფესორი ანგელა მიკლეი);
- მეცნიერებისა და პოლიტიკის ფონდის საერთაშორისო პოლიტიკისა და უსაფრთხოების გერმანულ ინსტიტუტთან (წარმომადგენელი პროფესორი უვე ჰალბახი).
- რომის, საპიენცას უნივერსიტეტთან (წარმომადგენელი პროფესორი ფაბიო საბატინი);
- მისკოლცის (უნგრეთი) უნივერსიტეტთან (წარმომადგენელი პროფესორი დანიელ კუტორი);
- საფრანგეთის ლილის კათოლიკური უნივერსიტეტი (წარმომადგენელი ასოცირებული პროფესორი ფელიქს ფონ ნოსტიტზი);
- პოლონეთის რჟეშოვის ტექნოლოგიური უნივერსიტეტი (წარმომადგენელი პროფესორი იაცეკ სტროინი).

აღნიშნული თანამშრომლობის პროგრამა მოიცავს: **ა)**ერთობლივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტების განხორციელებას; **ბ)**საერთაშორისო ეკონომიკურ-პოლიტიკური ფორუმების ორგანიზებას; **გ)**ერთობლივი სამაგისტრო პროგრამების მომზადებას; **დ)**ეკონომიკური პოლიტიკის მოდულის მაგისტრანტებისა და დოქტორანტებისათვის პარტნიორი უნივერსიტეტების პროფესორების მოწვევას და მათ მიერ ლექციების ინტენსიური კურსის წაკითხვას; **ე)**ეკონომიკური პოლიტიკის მოდულის მაგისტრანტების გერმანიაში პროფესიულ პრაქტიკაზე მივლინებას; **ვ)**დოქტორანტების ერთობლივ სამეცნიერო ხელმძღვანელობას და მათი სადისერტაციო ნაშრომების ერთობლივ რეცენზირებას.

ასოცირებული პროფესორი გულნაზ ერქომაიშვილი

5. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში

5.5. სტატიები ISSN-ის მითითებით

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათა-ური, ISSN	ჟურნალის/ კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	**გ. ერქომაიშვილი**	**ტურიზმის განვითარების ეკონომიკური პოლიტიკა საქართველოში პოსტკორონავირუსულ პერიოდში**	ჟ. გლობალიზაცია და ბიზნესი, N10	თბილისი,ევროპის უნივერსიტეტი, 2020	8 გვ.

2.	გ. ერქომაიშვილი	კორონავირუსის ეკონომიკური გამოწვევები და მისი დაძლევის ტენდენციები საქართველოში	სამეცნიერო შრომების კრებული ISBN 978-9941-13-391-6	თბილისი, 2020	10 გვ.
3.	გ. ერქომაიშვილი	აგრარული პოლიტიკის განხორციელების შედეგები და პრობლემები საქართველოში პოსტკრიზისულ პერიოდში	სამეცნიერო შრომების კრებული ISBN 978-9941-13-952-9 (pdf)	თსუ გამომცემლობა, 2020	10 გვ.

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1.ნაშრომში გადმოცემულია ტურიზმის განვითარების ეკონომიკური პოლიტიკა საქართველოში პოსტკრიზისულ პერიოდში. ჩამოთვლილია ის დახმარებები, რომელიც ტურიზმის სექტორს გაეწევა. მნიშვნელოვანია, რომ სახელმწიფო ტურიზმის დარგის განვითარებისათვის ყოველთვის ლიბერალურ პოლიტიკას წარმართავდა, თუმცა ტურიზმის ინდუსტრია ჯერ კიდევ ჩამოყალიბების პროცესშია. აღნიშნულია, რომ პოსტკრიზისულ პერიოდში განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს შიდა ტურიზმის, რეგიონალური ტურიზმის, რიგი ქვეყნებიდან ორგანიზებული ტურიზმის, ასევე სამკურნალო-გამაჯანსაღებელი ტურიზმის წახალისებას.

აუცილებელია გაგრძელდეს მუშაობა ტურიზმის სფეროში ინვესტიციებისთვის მიმზიდველი გარემოს შექმნაზე, ინფრასტრუქტურის შემდგომ განვითარებაზე, შეღავათიანი კრედიტების ხელმისაწვდომობაზე, მძლავრი დაზღვევის სისტემის შექმნაზე, ექსპორტის ზრდის ხელშეწყობაზე (საერთაშორისო ბაზრებზე შეღწევის სტრატეგიის დამუშავება, ფართო მარკეტინგული ქსელის ჩამოყალიბება და ა.შ), პანდემიის პერიოდში ტურისტულმა კომპანიებმა უნდა შეძლონ ონლაინ ტურიზმის ანუ ისეთი ვირტუალური ტურების ორგანიზება, რომლებიც მოახდენს საქართველოს ტურისტული ადგილების პოპულარიზაციას.

2. ნაშრომში გადმოცემულია კორონავირუსის ეკონომიკური გამოწვევები და მისი დაძლევის ტენდენციები საქართველოში. აღნიშნულია, რომ განსაკუთრებით მძიმე დარტყმა მიიღეს იმ ქვეყნებმა, რომლებიც ძირითადად ტურიზმის განვითარებას ეყრდნობოდა. მოცემული და გაანალიზებულია ის დარგები, რომელთა განვითარება ტრადიციულ დარგებთან ერთად ხელს შეუწყობს საქართველოში სიღარიბის დაძლევას და ეკონომიკურ ზრდას.

დღევანდელ ურთულეს პირობებში ადგილობრივი წარმოების განვითარება საქართველოსთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ამოცანაა. ქვეყანა უნდა ეცადოს აწარმოოს ის პროდუქცია და მომსახურება, რისი რესურსიც აქვს ან გარკვეულ შეფარდებით უპირატესობას ფლობს.

საქართველოს ეკონომიკის განვითარების მთავარ სტრატეგიად უნდა იქცეს ქვეყნის დაჩქარებული ინტეგრირება გლობალურ ტექნოლოგიურ ტენდენციებში. ციფრული ტექნოლოგიების დანერგვა უნდა მოხდეს ყველა შესაძლო სექტორში, სხვაგვარად ეკონომიკური ზრდა შეუძლებელი გახდება. უნდა ამაღლდეს ციფრული სამეწარმეო კულტურა და ის სახელმწიფო პოლიტიკის სტრატეგიულ მიმართულებად იქცეს .

საქართველოში ციფრული ეკონომიკის განვითარებისათვის აუცილებელია: ჩამოყალიბდეს და განხორციელდეს ციფრული ეკონომიკური პოლიტიკა, განსაკუთრებით ინფრასტრუქტურისა და ტექნოლოგიების მიმართულებით. დღეისათვის ერთობ დაბალია ტექნოლოგიების ზრდისა და ათვისების პროცესი; სახელმწიფომ, ბიზნესსა და სამეცნიერო სექტორთან თანამშრომლობით უნდა შექმნას ციფრული გარემოს განვითარებისა და რეგულირების საკანონმდებლო ბაზა, ხელი შეუწყოს ინტერნეტკომპანიების წარმოქმნას და ინტერნეტბაზრის სტიმულირებას; უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ამაღლდეს ციფრული ტექნოლოგიების ცოდნა; ყურადღება უნდა გამახვილდეს შემეცნებითი პრობლემების გადაჭრის უნარებზე; უახლესი ტექნოლოგიების შექმნის წახალისებისათვის ამოქმედდეს საგადასახადო შეღავათები; უნდა მოხდეს ერთიან ციფრულ ბაზარში ჩართვა, რაც ხელს შეუწყობს საქონლის, მომსახურებისა და კაპიტალის თავისუფალ გადაადგილებას, გაზრდის ეკონომიკურ აქტივობებს და საფუძველს დაუდებს ახალი სტარტაპებისა და ლაბორატორიების შექმნას, სასტარტო კაპიტალზე წვდომის რეფორმისდახმარებით დამწყები ბიზნესი შეძლებს განვითარდეს, მეტი რესურსი ქონდეს ინოვაციისთვის და გაიტანოს საკუთარი შრომის პროდუქტი საერთაშორისო ბაზარზე. ყოველივე ეს ხელს კი შეუწყობს ქვეყნის სწრაფ ეკონომიკურ ზრდას.

3. ნაშრომში განხილულია აგრარულ სექტორში არსებული მდგომარეობა, აგრარული პოლიტიკის განხორციელების შედეგები და პრობლემები პოსტკრიზისულ პერიოდში საქართველოში. აღნიშნა, რომ საქართველოს აგრარულ სექტორს, სახელმწიფოს სწორი პოლიტიკითა და ხელშეწყობით, შეუძლია ადგილობრივი მოთხოვნილების დაკმაყოფილება და მსოფლიო ბაზარზე კონკურენტუნარიანი სოფლის მეურნეობის პროდუქციით გასვლა. ჩამოთვალა ფაქტორები, რომლებიც ხელს უშლიან სოფლის მეურნეობის წარმატებით განვითარებას. განიხილა სოფლის მეურნეობის განვითარების ანტიკრიზისული გეგმა. აღნიშნა, რომ საქართველოს აგრარული პოლიტიკა პოსტკრიზისულ პერიოდში მიმართული უნდა იყოს შემდეგი მიზნების მიღწევისაკენ: საქართველოს სასოფლო-სამეურნეო პოტენციალის სრულად ათვისება და პროდუქციის კონკურენტუნარიანობის ამაღლება; ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის წარმოება; ადგილობრივი პროდუქციით იმპორტის ჩანაცვლება; საექსპორტო პროდუქციის გაზრდა და ახალი ბაზრების ათვისება; სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის განახლება; აგრარული სექტორის ინფრასტრუქტურის განვითარება.

აგრარული სექტორის განვითარებისათვის მიზანშეწონილად მიმაჩნია: ფერმერებისათვის დაბალპროცენტიან და გრძელვადიან კრედიტებზე ხელმისაწვდომობა; სოფლების მცირე და საშუალო ზომის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკით მომარაგება, მანქანა-ტრაქტორების ცენტრების შექმნა და ლიზინგის განხორციელება; სახელმწიფოს მიერ ფერმერთა პროდუქციის გარანტირებული შესყიდვა; საშუამავლო სტრუქტურების შექმნა, რომელიც ფერმერს რეალიზატორებთან დააკავშირებს;ფერმერების საკონსულტაციო მომსახურების ცენტრების გაფართოება და მომსახურების თანამედროვე ფორმათა დანერგვა, მეცნიერულ კვლევებზე დაფუძნებული წარმოების უზრუნველყოფა; საერთაშორისო ბაზრებზე შეღწევის სტრატეგიების

დამუშავება, ფართო მარკეტინგული ქსელის ჩამოყალიბება; ხარისხიანი სასოფლო-სამეურნეო წარმოების საშუალებების გამოყენება სურსათის წარმოებისთვის; სოფლის მეურნეობის მდგრად განვითარებაზე და ბუნებრივი რესურსების რაციონალურ გამოყენებაზე ყურადღების გამახვილება.

7. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

7.1. საქართველოში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	**გ. ერქომაიშვილი**	**ტურიზმის განვითარების ეკონომიკური პოლიტიკა საქართველოში პოსტკორონავირუსულ პერიოდში**	III ეროვნული სამეცნიერო კონფერენცია ,,კორონომიკა: ეკონომიკური მეცნიერების და ეკონომიკური პოლიტიკის თანამედროვე გამოწვევები“, თბილისი, 2020, 11 სექტემბერი
2.	**გ. ერქომაიშვილი**	**კორონავირუსის ეკონომიკური გამოწვევები და მისი დაძლევის ტენდენციები საქართველოში**	აკადემიკოს პაატა გუგუშვილის დაბადებიდან 115-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალების კრებული „თანამედროვე ეკონომიკა, ეკონომიკური მეცნიერება და ეკონომიკის პანდემიური პრობლემები: გამოწვევები, გადაჭრის გზები“. თბილისი, 17-18 ოქტომბერი, 2020
3.	**გ. ერქომაიშვილი**	**აგრარული პოლიტიკის განხორციელების შედეგები და პრობლემები საქართველოში პოსტკრიზისულ პერიოდში**	მე-V საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია ,,გლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში", 6-7 ნოემბერი, 2020

მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა)			

7.2. უცხოეთში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	Marina Chavleishvili Eter Kharaishvili **Gulnaz Erkomaishvili**	**Farming Development Trends and Supporting Economic Policy in Georgia**	International Conference on Economics and Business Management, Istambul, Turkey, January 30-31, 2020. Conference Code: 20TR01ICEBM
2	**Gulnaz Erkomaishvili**	**Challenges and Prospects of Digital Economy Development in Georgia**	International Conference on Economics, Management of Business, Innovation and Technology, Rome, Italy, October 15-16, 2020 Conference Code: 20IT10ICEMBIT

1.აგრარული სექტორის ეფექტიანი ფუნქციონირებისთვის აუცილებელია ფერმერული მეურნეობების განვითარებისთვის ხელისშეწყობა. ქვეყანამ ამ მიმართულებით უნდა გამოიყენოს მსოფლიო მოწინავე ქვეყნების გამოცდილება, თუმცა, იგი უნდა მოერგოს ადგილობრივ რეალობას. კვლევის მიზანია საქართველოში ფერმერული მეურნეობების განვითარების ტენდენციების შესწავლის საფუძველზე ძირითადი გამოწვევების გამოვლენა და მათი გადაჭრის გზების შესახებ ეკონომიკური პოლიტიკის მხარდამჭერი რეკომენდაციების შემუშავება.

ნაშრომში განხილულია საქართველოში ფერმერული მეურნეობების ფუნქციონირების სპეციფიკა და მათი განვითარების ტენდენციების შესწავლის საფუძველზე გამოვლენილია თანამედროვე გამოწვევები. ჩატარებულია კვლევა მიწის რაციონალურად გამოყენების შესაძლებლობებზე, წარმოდგენილია ცალკეული რეგიონების მიხედვით ფერმერული მეურნეობების განვითარების დიფერენცირებული მიდგომები. გაანალიზებულია თანამედროვე გლობალურ სივრცეში ფერმერული მეურნეობებში არსებული პრობლემები, უცხოეთის ქვეყნების გამოცდილება.

ანალიზმა დაადასტურა, რომ საქართველოში ფერმერული მეურნეობების განვითარება საწყის სტადიაზეა, მისი დიდი უმრავლესობა მცირე მასშტაბიანია, გამომდინარე აქედან, მათი შემდგომი განვითარების პროცესი ორიენტირებული უნდა იყოს ფერმერული მეურნეობების გაერთიანებასა და გამსხვილებაზე, წარმოების ინტენსიფიკაციასა და თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვაზე. კვლევით გამოვლინდა, რომ ფერმერულ მეურნეობათა განვითარებაზე უარყოფითად მოქმედებს მიწების ფრაგმენტაცია. ფრაგმენტაციის მოწესრიგებასა

და ფერმერული მეურნეობების ზრდაში დიდი როლის შეასრულება შეუძლია მიწის ბაზრის ფორმირებას, რომელიც საქართველოში ჯერ კიდევ განვითარების პროცესშია. ფერმერულ მეურნეობებში წარმოების ზრდისათვის აუცილებელია შესაბამისი ხელშემწყობი ეკონომიკური პოლიტიკის გატარება, რომელმაც ხელი უნდა შეუწყობს ბაზარზე ორიენტირებული მეურნეობების განვითარებას, ფერმებისთვის აგროსერვისის, ინფრასტრუქტურის სრულყოფას.
2. თანამედროვე მსოფლიოში უდიდესი ტექნოლოგიური ძვრებია. ციფრული ტექნოლოგიების , საინფორმაციო და საკომუნიკაციო სერვისების დანერგვამ გამოიწვია უპრეცედენტო გლობალური სოციალურ - პოლიტიკური და ეკონომიკური ცვლილებები . ციფრული ტექნოლოგიების როლი იზრდება პროდუქტიულობასა და ეროვნულ კონკურენტუნარიანობაში. დღეს იგი გამოიყენება ეკონომიკის თითქმის ყველა სფეროში. ელექტრონული კომერცია, ორგანიზაციული პროცესი კომპიუტერულ მენეჯმენტში და ციფრული ინფრასტრუქტურის ზრდის ტემპი საოცრად მაღალია და წარმოადგენს ეკონომიკის განვითარების საკვანძო ინსტრუმენტს. ნაშრომში განხილულია ციფრული ეკონომიკის მიმდინარე პროცესები და გამოწვევები. აღწერილია საქართველოში არსებული რესურსების ხელმისაწვდომობა და მიმდინარე პროცესები. აღწერილია საჭირო გარემო პირობების განვითარების ციფრული ტექნოლოგია, თუ როგორ არის ინტერნეტი და კომუნიკაციები ხელმისაწვდომი საქართველოს მოსახლეობისთვის. გაანალიზებულია ციფრული ეკონომიკის განვითარების დადებითი და უარყოფითი მხარეები და მისი გავლენა ქვეყნის ეკონომიკაზე. წარმოდგენილია საქართველოში ციფრული ეკონომიკის განხორციელების ძირითადი სირთულეები, მთავრობის ჩართულობა და სამომავლო სამოქმედო გეგმები.

ასოცირებული პროფესორი ირინა გოგორიშვილი

6.ბეჭდური პროდუქციის გამოცემა უცხოეთში
6.3. კრებულები

№	ავტორები	კრებულის სახელ-წოდება, საერთაშო-რისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემისადგილი, გამომცემლობა	გვერდებისრაოდენობა
1	გოგორიშვილი ირინა	გლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში ISBN 978-9941-13-952-9 (pdf)	თბილისი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა	565 გვერდი
ვრცელიანოტაცია (ქართულენაზე)				

7. სამეცნიეროფორუმებისმუშაობაშიმონაწილეობა

7.1.საქართველოში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენებისსათაური	ფორუმისჩატარების დროდაადგილი

1	გოგორიშვილი ირინა	ეკონომიკური პოლიტიკის ძირითადი გამოწვევები ეკონომიკური კრიზისისა და პოსტკრიზისულ პერიოდებში	I ეროვნული კონფერენცია. ეკონომიკური მეცნიერების კრიზისი და ახალი პარადიგმების ძიება. 14 სექტემბერი, 2020. თბილისი, საქართველო.
2	გოგორიშვილი ირინა	რა განასხვავებს კათოლიციზმსა და პროტესტანტობას მართლმადიდებლობისაგან (ეკონომიკური ასპექტი)	მეხუთე საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია. 6 ნოემბერი, 2020, თბილისი, საქართველო.
სტატია ეძღვნება გლობალური პანდემიით გამოწვეულ ეკონომიკური კრიზისისა და პოსტკრიზისული პერიოდის პრობლემებს. მასში განხილულია საქართველოს ეკონომიკური პოლიტიკის შესაძლებლობები ეკონომიკური ტრანსფორმაციისა და კრიზისის დაძლევისათვის. ეკონომიკური პოლიტიკა და მისი გადაწყვეტილებები უნდა განსაზღვრავდეს ეკონომიკის ამუშავებისა და სტაბილური განვითარების ციფრიზაციის პროცესებს, ხელს უწყობდეს ახალი ტენდენციების განხორციელებას. საქართველოს ეკონომიკის სტრუქტურაში მოსალოდნელ ცვლილებებს თან მოჰყვება ბიზნესის ახალი ტიპის ფრაგმენტაციური, დანაწილებითი მოდელის აღმოცენება. იგი დაკავშირებული იქნება e-მარკეტინგის, საქონლისა და მომსახურების ონლაინ გაყიდვების ორგანიზებისა და რობოტ-ტექნიკის სწრაფი დანერგვის პროცესებთან. ეს ცვლილებები იმოქმედებს ბიზნესის მოედელებზე, რაც გულისხმობს ახალი დიფერენცირებული ბიზნეს ციკლის წარმოქმნას.			

7.2.უცხოეთში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენებისსათაური	ფორუმისჩატარების დროდაადგილი
1	გოგორიშვილი ირინა	The impact of digitalization on the economic policies of small countries	22-24 იანვარი, 2020. ალიკანტეს უნივერსიტეტის პოლიტექნიკური სკოლა, ალიკანტე, ესპანეთი.

მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა)

The impact of digitalization on the economic policies of small countries.

Digitalization of the economy, repeatedly increasing the information space and creating information products, reduces development costs. The priorities of digitalization are determined by economic policy and its effectiveness. The speed of changes taking place in the global economy implies: learning and adopting new technologies, both informational and behavioral.

There are many different new digital technologies that can already be incorporated by companies, government agencies and the public. But unfortunately today this is not always the case. Knowledge quickly becomes obsolete, it is important to use the most adaptive tools. The importance of soft skills is constantly growing - skills and techniques related to communication and improving IQ or the effectiveness of the work of a group (company) compared to the sum of their individual abilities.

&&&&The purpose of this work is to specify the main directions of the public sector digitalization policy in small countries with developing markets.

Among the research tools, a method of logical analysis of formal data for proposed and developed government decisions is used.

&&&&&& The work is based on research by E.C. Karayannis and David F. J. Campbell (Elias J. Karayannis, David F. J. Campbell. 2009) on the formation of the Quadruple Helix "model.

Digitalization of the economy, repeatedly increasing the information space and creatinginformation products, reduces development costs. The priorities of digitalization are determinedby economic policy and its effectiveness. The speed of changes taking place in the globaleconomy implies: learning and adopting new technologies, both informational and behavioral.There are many different new digital technologies that can already be incorporated bycompanies, government agencies and the public. But unfortunately today this is not always thecase. Knowledge quickly becomes obsolete, it is important to use the most adaptive tools. Theimportance of soft skills is constantly growing - skills and techniques related to communicationand improving IQ or the effectiveness of the work of a group (company) compared to the sum oftheir individual abilities.&&&&The purpose of this work is to specify the main directions of the public sector digitalizationpolicy in small countries with developing markets.

Among the research tools, a method of logical analysis of formal data for proposed anddeveloped government decisions is used. The work is based on research by E.C. Karayannis and David F. J. Campbell (Elias J.Karayannis, David F. J. Campbell. 2009) on the formation of the Quadruple Helix "model.

Access to digital technology certainly ensures personal well-being, but quantifying this economic benefit is difficult. Although a fairly small number of jobs are being created directly in the field of digital technologies, nevertheless, new opportunities for entrepreneurial activity and self-employment are rapidly expanding. This process is more effective if the education system is being reformed.

The main engine of the digital economy is the government as the main customer and consumer of its products. It's more profitable for public sector employees to be a highly qualified specialist than ever, since the return on education and cognitive thinking is growing steadily.

In order to maximize the benefits of digitalization, the government needs to maintain a market for relevant high-tech products while maintaining control of the main platforms of the digital economy. The most important area in this area is the training of specialists for the operation of complex digital information systems in public administration.

Digital transformation is both an advantage and a threat to society. This irreversible process throughout the world, in addition to various benefits, also implies:

- vulnerability of information data;
- changes in the labour market and rising unemployment (among low and medium skilled specialists);
- amendments to the administrative and tax laws of states;
- restructuring of business models and interaction schemes of economic agents.

Therefore, the negative consequences of digital information and communication technologies of the economy must be foreseen, they should be prepared for, they should be minimized and avoided if possible.

Overcoming information barriers and risks, changing the nature of products, digital technologies can make economic development inclusive, efficient and innovative.

ასოცირებული პროფესორი ეკა ლეკაშვილი

5.ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში

5.4. სტატიები ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდის (DOI) მითითებით

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათა-ური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI	ჟურნალის/ კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	Lekashvili Eka	Systematization of theoretical-methodological approaches to new industrial policies ***https://doi.org/10.35945/gb.2020.09.003*** *(ქართულად)* https://eugb.ge/?fbclid=IwAR1RnBOYmlw48ZmsuR9FF0BaCYgGDVaEV_Y3tn_NyPJo2nbro9_ko_1K5s	Globalization and Business, №9	Tbilisi	pp. 20-26.

ეკონომიკური პოლიტიკა ეკონომიკურ - თეორიულ თვალსაზრისებსა და პოლიტიკურ მიზანშეწონილობას შორის მუდმივი წინააღმდეგობის ასპარეზია. ინდუსტრიული პოლიტიკა უფრო მეტად ნორმატიული მიდგომის საფუძველზე წარმოიქმნება, რადგან მიმართულია ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისაკენ. ახალი ინდუსტრიული პოლიტიკა ნიშნავს სახელმწიფოს მხრიდან ფირმების ფორმირების, მათი აგლომერაციის, ინოვაციებისა და კონკურენტული უპირატესობის მოპოვების ხელშეწყობას ღია ეკონომიკის პირობებში.

კვლევის მიზანია ახალი ინდუსტრიული პოლიტიკის თეორიულ-მეთოდოლოგიური მიდგომების თანმიმდევრული შესწავლა ინდუსტრიული პოლიტიკის შეფასების თეორიულ ჩარჩოს ფორმირების მიზნით.

ახალი ინდუსტრიული პოლიტიკის კონცეფტუალურ მიმართულებში განიხილება ზრდის ენდოგენურ თეორია, რომელიც ემყარება ცოდნის და კვლევითი საქმიანობის დონეს ქვეყანაში; ეროვნული კონკურენტული უპირატესობის თეორია; ეროვნული საინოვაციო სისტემების კონცეფცია, რომელიც განიხილავს ინოვაციებზე ზეგავლენას საერთო ეროვნული ეკონომიკურ-პოლიტიკური მდგომარეობიდან, სავაჭრო პოლიტიკისა და განათლების სექტორის, ინსტიტუტების ქცევიდან გამომდინარე. ამასთან, გაანალიზებულია ახალი ინდუსტრიული პოლიტიკის საკითხებზე არსებულ მოწინავე კვლევის შედეგები.

6. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა უცხოეთში

6.1. მონოგრაფიები/წიგნები

№	ავტორი/ავტორები	მონოგრაფიის/წიგნის სათაური, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა

1	Lekashvili E.	Shifted Challenges in terms of Digital Economy. **Management: strategic imperatives and trends of transformations:monograph** This monograph was prepared within the project of Management Department, KNEU “Transformation of business organization management” (№ 011CU001664)	Kyiv National Economic University named after Vadym Hetman 2020. —ISBN 978–966–926–342–1;	230, [2] pp.8-22
ნაშრომში წარმოადგენს ციფრული ეკონომიკის პრობლემატიკაზე არსებული თანამედროვე სამეცნიერო ნაშრომების ბიბლიოგრაფიული კვლევას. გაანალიზებული სამეცნიერო ლიტერატურის შედეგების სისტემატიზაცია გვიჩვენებს იმ მოსალოდნელი ნეგატიური შედეგების სიმრავლეს, რომელთა არსებობა და წარმოშობა უფრო მეტ წიგნიერ მზაობას მოითხოვს თანამედროვე მოქალაქისგან და ხელისუფლებისგან. ნეგატიური ეფექტები დაკავშირებულია მთელ რიგ გაურკვევლობებთან, რაც გაართულებს ეკონომიკური პოლიტიკის ინსტრუმენტების შერჩევას და გატარებას. ამასთან, კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ ციფრული ეკონომიკის გამოწვევების ეფექტიანი მართვის ინსტრუმენტების მოსაძიებლად, მნიშვნელოვანია ახალი ეკონომიკური აზროვნების დამკვიდრება. საჭიროა კვლევების დივერსიფიკაცია როგორც ახალი ეკონომიკური მოდელის შესწავლის, ასევე მოდელის შიგნით ცალკეული მიზეზ-შედეგობრივი კავშირების გამოკვლევის კუთხით.			

7. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

7.1. საქართველოში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	ეკა ლეკაშვილი	ჰეტეროდოქსული თეორიული მიდგომები ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავებისთვის (ე. რეინერტის მიხედვით).	კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი 07.02.2020
ერიკ რეინეტრის წიგნი მნიშვნელოვანი დასკვნების გაკეთების საშუალებას იძლევა როგორც ეკონომიკური დისციპლინების სწავლების, ასევე, კვლევის და პრაქტიკული ეკონომიკური პოლიტიკის მიმართულებით. მნიშვნელოვანია ამ წიგნის ქართული თარგმანის შეთავაზება მკითხველისთვის რამდენიე მიზეზის გამო: 1. წიგნი გვაძლევს ალტერნატიული ეკონომიკური ხედვის საფუძველზე თანამედროვე ეკონომიკური პრობლემატიკის გააზრების შესაძლებლობას, რომელიც ემყარება კონკრეტული ისტორიული გარემო-ფაქტორების გათვალისწინებით სირთულეების წარმოშობის მიზეზ-შედეგობრივ ანალიზს. მოცემული წიგნი გვთვაზობს ეკონომიკური აზროვნების განსხვავებული მიდგომების აღწერას იმ აუცილებლობის დასასაბუთებლად, რომ მიზანშეწონილია			

ნეოლიბერალური თეორიის მსოფლიო მონოპოლიური დომინანტობის შეცვლა.

2. ე. რეინერტი მიიჩნევს, რომ განვითრების ისტორიული პროცესების ცოდნას ძალუძს აგვაშოროს ისეთი პოლიტიკა, რომელიც ერთი შეხედვით ლოგიკური, თუმცა რეალურად ზიანის მომტანი იქნებოდა. ავტორი გვთავაზობს რა მსოფლიო ეკონომიკის, ქვეყნების სიმდიდრისა და სიღარიბს მიზეზების ახნის ორ განსხვავებულ მიდგომას, ერთ-ერთ მნიშვნელოვან განმასხვავებელ ამოსავალ საკითხად მიიჩნევს განსხვავებას კვლევის მეთოდებს შორის: თუ სტანდარტული კანონის (ნეოლიბერალური თეორიის) ამოსავალი წერტილია მეტაფორები ფიზიკის სფეროდან, ხოლო გააზრების მეთოდი: მექანისტური, ავტორის მიერ შემოთავაზებული ,,სხვა კანონის“ ამოსავალ წერტილს წარმოადგენს მეტაფორები ბიოლოგიის სფეროდან, ხოლო გააზრების მეთოდია თვისებრივი, ანუ იმგვარი გაგება, რომელიც არ დაიყვანება მხოლოდ ციფრებსა და სიმბოლოებზე (გვ.513). მისი აზრით, ეკონომიკა ,,არ არის და ვერ იქნება ,,ზუსტი მეცნიერება“ (გვ.33).
3. აღსანიშნავია, რომ წიგნის თეორიული საფუძვლები შუმპეტერისეული ეკონომიკაა (1911; 1942), რომელიც შევსებულია ისტორიული და ინსტიტუციური სკოლების მიდგომებით. ჯ. შუმპეტერის თვალსაზრისით, დინამიკური კონკურენციის თეორია ეყრდნობა კონკურენციის პროცესში ბაზრის პირობების მუდმივ ცვლილებას, ამიტომაც უმნიშვნელოვანესია ბაზარზე არსებული პირობების განხილვა დინამიკაში და არა სტატიკურად; წონასწორობის ძიებაში, მისგან გადახრაში და არა წონასწორობის მდგომარეობაში, რადგან ეკონომიკური პრობლემების შესწავლა და გადაწყვეტილებების მიღება არასტაბილურ პოლიტიკურ და ეკონომიკურ ვითარებაში მიიღება და არა სრულყოფილი ინფორმირებულობისა და მოვლენების განჭვრეტის პირობებში.

3	ეკა ლეკაშვილი	**პანდემიით გამოწვეული საქართველოს ეკონომიკის დარგობრივი სისტემის ცვლილებები**	**2020 წლის 9 აპრილი, პირველი რესპუბლიკური კონფერენცია „კორონავირუსის პანდემიით გამოწვეული რეცესია, მისი შემაკავებელი ბარიერები და პოსტკორონავირუსისეული კრიზისის დაძლევა საქართველოში“ - zoom-ის პლატფორმაზე, მიძღვნილი საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის 29-ე წლისთავისადმი**

ბოლო ათწლეულებში გლობალიზაციის პროცესის გაღრმავებამ, ხშირ შემთხვევაში, ცალკეული ქვეყნის დანარჩენ მსოფლიოსთან უფრო მეტი ინტეგრირება გამოიწვია. სოციალური, პოლიტიკური და ეკონომიკური გლობალიზაციის პოზიტიური და ნეგატიური ეფექტები ჩვენს ქვეყანაზეც აისახა. დღეს, საქართველო, სხვა ქვეყნებთან ერთად კორონავირუსის გავრცელების საფრთხის წინაშე დგას. დღევანდელი მდგომარეობა ფასდება როგორც საომარი პირობები, რომელშიც თავდაცვისა და თვითგადარჩენისთვის ბრძოლის განსხვავებული ინსტრუმენტების გამოყენება გვიწევს (მაგალითად, ცხელი ომის დროს თუნდაც ცოცხალი ძალების გადასარჩენად სამედიცინო პერსონლის სულ სხვა მიმართულების სპეციალისტებია საჭირო, ვიდრე ამ შემთხვევაში). დღევანდელ პირობებში ვირუსის წინააღმდეგ მებრძოლი გაერთანებული

მსოფლიო ომის ერთი მხარეა. ქვეყნები ცდილობენ საკუთარი სახელმწიფოს ფარგლებში გაუმკლავდნენ ვირუსის შემოტევას, ამ ეტაპზე ნაკლებია ურთერთდახმარების ფორმები, მაგრამ ეს ეპიდემია, როგორც გლობალური საფრთხე, სახელმწიფოთა უფრო მეტ კოორდინირებულ ქმედებებას მოითხოვს. ნებისმიერი ქვეყნის გამარჯვება ამ ომში ნიშნავს მთელი მსოფლიოს გამარჯვებას.

7.2. უცხოეთში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	Lekashvili Eka (2020)	For the purpose of stimulation policy for social entrepreneurship in Georgia	7th Business Systems Laboratory International Symposium *Socio-Economic Ecosystems. 22-24.01.2020.* http://bslab-symposium.net/Alicante-2020/Program-BSLab%20Symposium%20-Alicante-2020.pdf
2	Eka Lekashvili	For the Elaboration of Industrial Policy Information Database in Georgia,	V International Scientific and Practical Conference -Strategic Imperatives of Modern Management. Proceedings. Kiev.23-24 April, 2020. ISBN 978-966-926-325-1.357. (pp. 237-240).

ერთეულს თუ საჭიროდ მიაჩნია, შეუძლია ანგარიშში შეიტანოს სხვა, მისთვის მნიშვნელოვანი აქტივობაც.

დამატებითი აქტივობა:

1. პროექტის „საქართველოში ეკონომიკური დოგმატიზმთან დაპირისპირება“ (დამფინანსებელი ფრიდრიხ ებერტის ფონდის წარმომადგენლობა საქართველოში) ფარგლებში წიგნის - “ეკონომიკა ცვალებადი სამყაროსთვის“, პირველი 22 (ოცდაორი) თავის რედაქტირება.
2. საგანმანათლებლო -სასწავლო პროექტი - Academic Integrity for Quality Teaching and Learning in Higher Education Institutions in Georgia (INTEGRITY) / აკადემიური პატიოსნება ხარისხიანი სწავლისა და სწავლებისთვის საქართველოს უსდ-ებში - ვიდეო ლექციების მომზადება.
3. ინტერვიუები საინფორმაციო სააგენტო IPN - სთვის.

ასისტენტ-პროფესორი ლალი ხურცია

1. სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის პერსონალის მიერ შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

1.1.

№	გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი, დამფინანსებელი ორგანიზაცია/ სამეცნიერო ფონდი, ქვეყანა	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	2	3	4
	GIPA - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი - სოციალური კაპიტალისა და ნდობის ხარისხის კვლევა	2019-2020	ლალი ხურცია - მკვლევარი-კონსულტანტი. ხელმძღვანელი; გიორგი თურქია სხვა მკვლევარები ჩემთვის ცნობილი არაა
	GIPA - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი პლაგიატის სიტემის ეფექტურობა საქართველოში	2019-2020	ლალი ხურცია - მკვლევარი-კონსულტანტი ხელმძღვანელი; ვანო ცერცვაძე სხვა მკვლევარები ჩემთვის ცნობილი არაა

1. კვლევითი პროექტის მიზანია პანდემიის პირობებში ინსტიტუციებისა და საზოგადოების ნდობის კაპიტალის დადგენა. სოციალური კაპიტალის გაზომვა. დამოკიდებულია თუ არა პოლიტიკის განხორიცელების ეფექტურობა ინსტიტუციების მიმართ ნდობის ხარისხზე.
2. საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი 2017 წელს ჩაერთო ევროკავშირის მიერ დაფინანსებულ პროექტში, რომლის მიზანია აკადემიური პატიოსნების ხარისხის გაზრდა საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო სივრცეში. აღნიშნულ პროექტში მონაწილეობას ღებულობს 13 ქართული უნივერსიტეტი. პროექტი ითვალისწინებს პლაგიატის აღმოჩენისა და პრევენციის პროგრამის ამოქმედებას და მონაწილე უნივერსიტეტებში მიმდინარე კურსების ფარგლებში შექმნილი წერითი ნაშრომების შემოწმებას აკადემიური თაღლითობის ნიშნებზე. ამ პროცესისთვის ყველა უნივერსტიტეტში საპილოტე რეჟიმში მუშაობს ერთი და იგივე პროგრამული უზრუნველყოფა.
   პროექტის მიზანია, პირველი, გამოიკვლიოს მონაწილე უნივერსიტეტებში პლაგიატისადმი დამოკიდებულება დონე პროგრამული უზრუნველყოფის ამოქმედებამდე და მის შემდეგ სტუდენტებსა და აკადემიურ პროცესებში ჩართულ პერსონალს შორის. მეორე, დაადგინოს პლაგიატის გამოვლენის სტატისტიკური მახასიათებლები - მსგავსებების ხარისხობრივი მაჩვენებლების დამოკიდებულება სხვადასხვა ცვლადებზე.
   სამეცნიერო-კვლევითი პროექტის აღწერა
   აღნიშნული პროექტი მიზნად ისახავს არა მხოლოდ პლაგიატის გამოყენებისა და პლაგიატისადმი დამოკიდებულების შესწავლას, არამედ ქართული უნივერსიტეტების მიერ განხორციელებული ანტიპლაგიატის პოლიტიკის შეფასებასაც.

გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2020 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

5. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში

5.4. სტატიები ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდის (DOI) მითითებით

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათა-ური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI	ჟურნალის/ კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	Vano Tsertsvadze, Lali Khurtsia სტატია რეცენზირებად საერთაშორისო ჟურნალში . Vano Tsertsvadze, Lali Khurtsia. Will be published in	Education policy and effectiveness of the plagiarism detection system https://doi.org/10.35945/gb.2020.09.018	journal Globalization and Business July 2020 #9	Online publication	5

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

	ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე) სტატიაში შესწავლილია ბიოპროდუქტების ბაზარი მსოფლიოსა და საქართველოში, გამოვლენილია ბიოპროდუქტებით მოსახლეობის დაინტერესების დონე და შეფასებულია მასზე მოთხოვნის ზრდის ტენდენცია. საქართველოსთვის ბიოწარმოება სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების ტრადიციული სისტემის ალტერნატიურ				

	შესაძლებლობად და „მწვანე ეკონომიკის“ პოლიტიკის ერთ-ერთი შემადგენელ ნაწილად არის შეფასებული. ნაშრომში შესწავლილია ევროპის ქვეყნების გამოცდილება, მაგალითების განხილვისა და შედარებითი ანალიზის გზით გამოვლენილია საქართველოში ბიოპროდუქტების წარმოების და ბაზრის განვითარების გზები, დასაბუთებულია ბიოწარმოების განვითარებით მოსახლეობის დასაქმებისა და შემოსავლების ზრდის, კვების ხარისხისა და გარემოს დაცვის გაუმჯობესების შესაძლებლობები. ძირითადი აქცენტი გაკეთებულია ამ სფეროს განვითარების პოზიტიურ შედეგებზე. ავტორთა მიერ შესწავლილია სხვადასხვა ქვეყნის ბიო პროდუქტების წარმოების, ასევე, გასაღების ხელშემწყობი სახელმწიფო პროგრამები, მათი ანალიზის საფუძველზე გაკეთებულია დასკვნები საქართველოსთვის ადაპტირებული პროგრამების დანერგვის მიზანშეწონილობის შესახებ. ბიოწარმოებისა და ბიო ბაზრის განვითარების სფეროში არსებული პრობლემების გამოვლენისა და განვითარების მიმართულებების შესამუშავებლად ჩატარებულია თვისებრივი კვლევა, ,,გადაუდებლობა-ზეგავლენის“ მატრიცით დადგენილია ბიოწარმოების შემაფერხებელი ფაქტორები, გამოვლენილ პრობლემებზე გაკეთებულია დასკვნები და შემოთავაზებულია შესაბამისი რეკომენდაციები.				
2	**Natsvlishvili I.,** Kharaishvili E., Lazariashvili T.	Impact of agro tourism on economic development of related sectors in the context of sustainable well-being (case of Georgia)	*Int. J. Markets and Business Systems, Vol. X, No. Y, xxxx*	იბეჭდება	20 გვ.
	ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე) ნაშრომში გაანალიზებულია სოფლის მეურნეობისა და მასთან დაკავშირებული დარგების (მათ შორის აგროტურიზმის) მნიშვნელობა ეკონომიკურ ზრდასა და განვითარებაში. საანალიზო პრობლემები შესწავლილია ეკონომიკური, სოციალური, კულტურული და პოლიტიკური ფაქტორების გათვალისწინებით. სტატიაში შეფასებულია სოფლის მეურნეობისა და მასთან დაკავშირებული დარგების (მათ შორის აგროტურიზმის) პოზიტიური და ნეგატიური მხარეები. ჩატარებულია ექსპერტთა გამოკითხვა სოფლის მეურნეობისა და მასთან დაკავშირებული დარგების მიმდინარე მდგომარეობისა და განვითარების პერსპექტივების გასაანალიზებლად. სტატიაში ხაზგასმულია აღნიშნული დარგის განვითარების შესაძლებლობები სამართლებრივი რეგულაციებისა და სტატისტიკული მონაცემების გენერაციის გაუმჯობესების გზით, ასევე, რეკლამირების მეშვეობით. აგროტურისტული დანიშნულების ადგილების ღირებულება შეფასებულია ლანეს კრიტერიუმის მეშვეობით. საქართველოსი აგროტურიზმის განვითარებისთვის მიმზიდველი რეგიონების გამოსავლენად გამოყენებულია რეგიონის მიმზიდველობის საშუალო ინდიკატორი.				
3	***Natsvlishvili I.***	SUSTAINABLE BUSINESS MODELS TO CONNECT TOURISM	STRATEGIC IMPERATIVES OF MODERN MANAGEMENT.	Стратегічні імперативи сучасного менеджменту: Зб. Матеріалів V, Міжнародної науково-практичної конференції, КНЕУ, 2020. STRATEGIC IMPERATIVES OF	3 გვ. pp. 265-268

		AND AGRICULTURE (GEORGIAN PERSPECTIVE). ISBN 978-966-926-325-1	Proceedings. V International Scientific and Practical Conference.	MODERN MANAGEMENT. Proceedings. V International Scientific and Practical Conference. Kyiv National Economic University named after Vadym Hetman. Kyiv April 23-24, 2020	

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

სტატიის მიზანია ზოგადად ბიზნეს მოდელების თეორიული ასპექტების ანალიზი და ,კერზოდ, იმის გაანალიზება, თუ როგორ შეიძლება ბიზნეს მოდელების გამოყენება ისეთი მომიჯნავე სექტორების დასაკვსირებლად, როგორიცაა ტურიზმი და სოფლის მეურნეობა. სტატიის მიზანია საკვლევ თემასთან დაკავშირებულ კითხვებზე პასუხების დადგენა არსებული ლიტერატურის ანალიზის საფუძველზე, კვლევის ძირითადი მიგნებების ჩამოყალიბება და განხილვა, საქართველოს ბიზნესის პრაქტიკიდან შესაბამისი მაგალითებისა და შემთხვევების გაანალიზება. კვლევისას გამოყენებულია სამაგიდო კვლევის მეთოდი საკვლევი პრობლემის შესასწავლად.

7. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

7.1. საქართველოში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	ხარაიშვილი ე., **ნაცვლიშვილი ი.**	სასურსათო უსაფრთხოების გამოწვევები საქართველოში და სოფლის მეურნეობის განვითარების პრიორიტეტები პოსტკორონავირუსულ პერიოდში	საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია ,,თანამედროვე ეკონომიკა, ეკონომიკური მეცნიერება და ეკონომიკის პანდემიური პრობლემები: გამოწვევები, გადაჭრის გზები,“ 17-18 ოქტომბერი, 2020.
	ანოტაცია (დაბედილია) სტატიაში გაანალიზებულია სასურსათო უსართხოების მაჩვენებლები, შეფასებულია საქართველოში ძირითადი აგროსასურსათო პროდუქტების სასურსათო ბალანსები, გაკეთებულია დასკვნა, რომ სასურსათო უსაფრთხოების პრობლემა საქართველოსთვის ერთ-ერთი მთავარი გამოწვევაა და პრობლემა კიდევ უფრო აქტუალური გახდება პოსტპანდემიურ პერიოდში. ადგილობრივი აგროსასურსათო პროდუქტების წარმოების მაჩვენებლების დინამიკური ანალიზის საფუძველზე განსაზღვრულია წარმოების ზრდის ტენდენციები. მიმდინარე ეტაპზე მიღწეული დონისა და სამომავლო ტენდენციების გათვალისწინებით დადგენილია, რომ აგროსასურსათო პროდუქტების წარმოების არსებული პარამეტრებით მოკლევადიან პერიოდში ვერ მიიღწევა ადგილობრივი წარმოების პროდუქტებით თვითუზრუნველყოფის მაჩვენებლების უსაფრთხო დონე, ვერ გადაწყდება სასურსათო ბალანსების ოპტიმალური სტრუქტურის ფორმირების		

	პრობლემა. ნაშრომში შეფასებულია პანდემიით გამოწვეული მოვლენების შედეგად განვითარებული სცენარები სოფლის მეურნეობის დარგში, შემოთავაზებულია პოსტპანდემიური პერიოდში დარგის განვითარების პრიორიტეტული მიმართულებები.		
2	**ნაცვლიშვილი ი.**	მდგრადი განვითარების და მდგრადი ბიზნეს მოდელის პერსპექტივები პოსტკოვიდურ ეპოქაში	III ეროვნული სამეცნიერო კონფერენციაზე „კორონომიკა: ეკონომიკური მეცნიერების და ეკონომიკური პოლიტიკის თანამედროვე გამოწვევები“ 11 სექტემბერი, 2020.
	ანოტაცია მდგრადი ბიზნეს მოდელების დანერგვის პერსპექტივები პოსტკოვიდურ ეპოქაში, გაანალიზებულია ახალი კორონა ვირუსის (კოვიდ19) პანდემიით შექმნილი გამოწვევები მდგრადი განვითარების კონტექსტში. სამაგიდო კვლევისა და კონტენტ-ანალიზის მეთოდის გამოყენებით დასაბუთებულია, რომ კოვიდპანდემიით შექმნილი კრიზისი თანდათან ფორმირდება „სამმაგი ტალღის“ ბუნების მქონე კრიზისად, სადაც პანდემიურ შოკსა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის კრიზისს (პირველ ტალღა) მოსდევს ეკონომიკური მეგარეცესიის უფრო ძლიერი შოკი (მეორე ტალღა), რომელსაც მომავალში, შესაძლოა, მოჰყვეს კლიმატის ცვლილებითა და ბიომრავალფეროვნების შემცირებით გამოწვეული კიდევ უფრო მძლავრი ეკოლოგიური კრიზისი.		

7.2. უცხოეთში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	**Natsvlishvili I.,** Seturidze R.	Rethinking the System of Research Assessment in Higher Education in the Digital Era	7th Business Systems Laboratory International Symposium SOCIO-ECONOMIC ECOSYSTEMS: CHALLENGES FOR SUSTAINABLE DEVELOPMENT IN THE DIGITAL ERA. University of Alicante (Spain). January 22-24, 2020
	ანოტაცია თანამედროვე ეპოქაში სამეცნიერო კვლევების შეფასებისას უდიდეს გამოწვევას წარმოადგენს ის გარემოება, რომ შეფასების სისტემამ უნდა ასახოს კვლევის ის თვისებები, რომელსაც ღია საზოგადოება თანამედროვე კვლევებისგან მოითხოვს. კვლევების შეფასების არსებული სისტემები არ ქმნიან სტიმულებს მკვლევარებისათვის, რომ ღიად ხელმისაწვდომი გახადონ საკუტარი კვლევის შედეგები. ეს ვითარება ძირითადად გაპირობებულია იმით, რომ შეფასების პროცედურები ძლიერი კონკურენციული მეტოქეობის პირობებში მიმდინარეობს, რაც ქმნის უარყოფით ზეწოლას მკვლევარებზე. ამასთან, აღნიშნული გარემოება დიდწილად იწვევს ისეთი სახის ზიანს მკვლევარებისა და მეცნიერების განვითარებისთვის, როგორიცაა ჭარბი რაოდენობის		

(ზედმეტად ბევრი) სამეცნიერო პუბლიკაციები, კვლევების ფრაგმენტაცია და, ზოგჯერ, სიყალბეც კი. ციფრულმა ეპოქამ, ერთი მხრივ, ხელი შეუწყო კვლევის შედეგების გავრცელებისტვის შესაფერისი შესაძლებლობების გაჩენას, მეორე მხრივ, დიჯიტალიზაციამ გააძლიერა „რიცხვების ობიექტურობისადმი რწმენა“: დაიყვანა კვლევის ხარისხი რამდენიმე რაოდენობრივ ინდიკატორზე, რომელიც ბუნებრივად მიდის მცდარ ვარაუდებამდე. როგორც ევროკომისიის სამუშაო ჯგუფის კვლევით ანგარიშია აღნიშნული, ბევრი ჟიური და კომისია დღემდე იყენებს მსგავს გამარტივებულ და შეცდომაში შემყვან მიდგომას-აფასებს მკვლევარებს იმ „ჟურნალის იმფაქტ-ფაქტორის“ რაოდენობების მიხედვით, სადაც მათ მიერ გამოქვეყნებული პუბლიკაციებია დაბეჭდილი.			
2	***Natsvlishvili I.***	**SUSTAINABLE BUSINESS MODELS TO CONNECT TOURISM AND AGRICULTURE (GEORGIAN PERSPECTIVE)**	Стратегічні імперативи сучасного менеджменту: Зб. Матеріалів V, Міжнародної науково-практичної конференції, КНЕУ, 2020. STRATEGIC IMPERATIVES OF MODERN MANAGEMENT. Proceedings. V International Scientific and Practical Conference. Kyiv National Economic University named after Vadym Hetman. Kyiv April 23-24, 2020 pp. 265-268
	ანოტაცია (დაბეჭდილია) სტატიის მიზანია ზოგადად ბიზნეს მოდელების თეორიული ასპექტების ანალიზი და ,კერზოდ, იმის გაანალიზება, თუ როგორ შეიძლება ბიზნეს მოდელების გამოყენება ისეთი მომიჯნავე სექტორების დასაკვსირებლად, როგორიცაა ტურიზმი და სოფლის მეურნეობა. სტატიის მიზანია საკვლევ თემასთან დაკავშირებულ კითხვებზე პასუხების დადგენა არსებული ლიტერატურის ანალიზის საფუძველზე, კვლევის ძირითადი მიგნებების ჩამოყალიბება და განხილვა, საქართველოს ბიზნესის პრაქტიკიდან შესაბამისი მაგალითებისა და შემთხვევების გაანალიზება. კვლევისას გამოყენებულია სამაგიდო კვლევის მეთოდი საკვლევი პრობლემის შესასწავლად.		

ასოცირებული პროფესორი მარინა ჩავლეიშვილი

5. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში
5. 2. სახელმძღვანელოები

№	ავტორი/ავტორები	სახელმძღვანელოს სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	ხარაიშვილი ე., გაგნიძე ი., **ჩავლეიშვილი მ.,** ნაცვლიშვილი ი., ნაცვალაძე მ.	მიკროეკონომიკა (თეორიული კურსი) მეოთხე შევსებული და გადამუშავებული გამოცემა	თსუ გამომცემლობა	გადაცემულია გამოსაცემად
2.	ხარაიშვილი ე., გაგნიძე ი., **ჩავლეიშვილი მ.,** ნაცვლიშვილი ი., ნაცვალაძე მ.	მიკროეკონომიკა (ტესტები, სავარჯიშოები, ამოცანები) მეშვიდე შევსებული და გადამუშავებული გამოცემა	თსუ გამომცემლობა	გადაცემულია გამოსაცემად

1. ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

ეკონომიკისა და ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულებით სპეციალისტების მომზადებისა და პროფესიული განვითარების თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად, აქცენტი წვრთნის ტიპის მეცადინეობებსა და უნარ-ჩვევების განვითარებაზე დაისმის. ეკონომიკური უნარები ისევე, როგორც ეკონომიკური ცოდნა, საზოგადოებრივი აზროვნების მნიშვნელოვანი ნაწილია. ამ შედეგის მიიღებაში განსაკუთრებულ როლს ასრულებს ძირითად ცოდნაზე ორიენტირებული კურსების შესწავლა, რომელთაგან ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიკროეკონომიკაა.

მიკროეკონომიკის კურსის შესწავლით სტუდენტი დაეუფლება მიკროეკონომიკურ თეორიებსა და კონცეფციებს, ანალიზისა და გადაწყვეტილებების მიღების ინსტრუმენტებს. კურსით მიღებულ ცოდნას იგი წარმატებით გამოიყენებს მაკროეკონომიკის, ეკონომეტრიკის, საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკის, ფინანსური ბლოკისა და სხვა დისციპლინების შესასწავლად.

სწავლების პროცესში გამოყენებულია სწავლების აქტიური მეთოდები და ფორმები: პირდაპირი გადაცემა, დებატები, სიტუაციების შეფასება, მოდელირება, სიმულაცია, სავარჯიშოები, ჯგუფური მუშაობა, კვლევა, ორმხრივი ჩანაწერების დღიურების წარმოება, მოზაიკა, აბლაბუდა, რადარი, ასევე ძირითადი, სწრაფი და გამოყენებითი კითხვის რეჟიმები. ჩატარდება ტესტ-კონკურსები და პროექტების პრეზენტაციები.

კურსი უზრუნველყოფილია პრაქტიკული სავარჯიშოებით, სხვადასხვა სირთულის ამოცანებით, ტესტებით, საქმიანი სიტუაციებით.

სწავლების დროს ყურადღება გამახვილდება მიკროეკონომიკის გამოყენებით ხასიათზე. განსაკუთრებული მნიშვნელობა მიენიჭება წინასწარ დაგეგმილ და ორგანიზებულ სალექციო, სემინარულ და პრაქტიკულ მეცადინეობებს. პრობლემებზე დაფუძნებული სწავლება განხორციელდება ქეისების, ჯგუფური მუშაობის, ონლაინკომუნიკაციებისა და სხვა თანამედროვე მეთოდების გამოყენებით.

მიკროეკონომიკის შესწავლისადმი ამგვარი მიდგომა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ბიზნესის მიმართულების სტუდენტებისათვის. მათ ვთავაზობთ შეთანხმებულ პროგრამას სალექციო მასალების, სემინარული მეცადინეობების, სტუდენტთა ცოდნის შემოწმების მეთოდებისა და დამხმარე ლიტერატურის ფართო არჩევანის სახით. ყურადღება გამახვილდება რელევანტური სასწავლო მასალის სიღრმისეულ დამუშავებაზე.

ლექციების მოსმენისა და მასალების უკეთ ათვისებისათვის სტუდენტებს შევთავაზებთ

სალექციო და სასემინარო პრეზენტაციებს Microsoft Power Point-ის ფორმატში. ლექციებზე წამოდგენილია ტექსტში მოცემული ყველა ძირითადი კონცეფცია, გრაფიკი, დიაგრამა, სქემა. მიკროეკონომიკის კურსში შესაძლებლად მიგვაჩნია, სტუდენტის მათემატიკური მომზადების დონისა და მათი შემდგომი სპეციალიზაციიდან გამომდინარე, დიფერენცირებული მიდგომების შეთავაზებაც. თუ მიკროეკონომიკის კურსი წაეკითხებათ იმ სტუდენტებს, რომელნიც მათემატიკურად მომზადების საუკეთესო ხარისხს ვერ ავლენენ, შესაძლებელია, სემინარულ მეცადინეობებზე მასალები განვიხილოთ გრაფიკულ ანალიზზე აქცენტირებით; თუ ლექტორსა და სემინარის მასწავლებელს ექნებათ საკმარისი დრო და სტუდენტის მათემატიკური მომზადება მასალების უფრო ღრმა ანალიტიკური შესწავლის შესაძლებლობას მოგვცემს, მაშინ უპირატესობას დიფერენცირებულ მიდგომას მივანიჭებთ.

კურსის მსვლელობისას ლექტორსა და სტუდენტებს შორის სწავლების პროცესის გააქტიურების მიზნით გამოვიყენებთ დისტანციურ კონსულტაციებს ინტერნეტის საშუალებით. პროცესი ადაპტირებულია 2006-2011 სასწავლო წლებში. ამავე მეთოდით განხორციელდება საშინაო დავალებების, ამოცანებისა და პროექტების მონიტორინგი.

2. ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

კრებულის მიზანია დაეხმაროს სტუდენტებს, განიმტკიცონ თეორიულ კურსში მიღებული ფუნდამენტური ცოდნა. ამოცანების, ტესტებისა და სავარჯიშოების ამოხსნის, სალექციო მასალების სიტუაციური ანალიზის, ჯგუფური მუშაობისა და ონლაინდისკუსიების, ყოველკვირეული საშინაო დავალებების შესრულების გზით სტუდენტები შეძლებენ გამოიმუშავონ მიკროეკონომიკური კონცეფციების ანალიზის უნარ-ჩვევები მათემატიკური აპარატის გამოყენებით.

პრაქტიკულ მეცადინეობებზე განიხილება თეორიული კურსის მნიშვნელოვანი დებულებები, გრაფიკები, ცხრილები, ცნებები, ასევე, საჭიროების შემთხვევაში - გასამეორებელი მასალა.

სწავლების პროცესის გააქტიურების მიზნით ვსარგებლობთ დისტანციური კონსულტაციებით. ამავე მეთოდით განხორციელდება ზოგიერთი საშინაო დავალების, ამოცანისა და პროექტის მონიტორინგი.

ტესტების, სავარჯიშოებისა და ამოცანების კურსი მომზადდა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის მიკროეკონომიკის კათედრაზე ავტორთა ჯგუფის მიერ:

7. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

7.2. უცხოეთში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	**Chavleishvili M**. E. Kharaishvili, G. Erkomaishvili	Farming Development Trends and Supporting Economic Policy in Georgia	International Conference on Economics, Management of Business, Innovation and Technology, Istanbul, Turkey, 30-31 January, 2020.

მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა)

აგრარული სექტორის ეფექტიანი ფუნქციონირებისთვის აუცილებელია ფერმერული

მეურნეობების განვითარებისთვის ხელისშეწყობა. ქვეყანამ ამ მიმართულებით უნდა გამოიყენოს მსოფლიო მოწინავე ქვეყნების გამოცდილება, თუმცა, იგი უნდა მოერგოს ადგილობრივ რეალობას. კვლევის მიზანია საქართველოში ფერმერული მეურნეობების განვითარების ტენდენციების შესწავლის საფუძველზე ძირითადი გამოწვევების გამოვლენა და მათი გადაჭრის გზების შესახებ ეკონომიკური პოლიტიკის მხარდამჭერი რეკომენდაციების შემუშავება.
ნაშრომში განხილულია საქართველოში ფერმერული მეურნეობების ფუნქციონირების სპეციფიკა და მათი განვითარების ტენდენციების შესწავლის საფუძველზე გამოვლენილია თანამედროვე გამოწვევები. ჩატარებულია კვლევა მიწის რაციონალურად გამოყენების შესაძლებლობებზე, წარმოდგენილია ცალკეული რეგიონების მიხედვით ფერმერული მეურნეობების განვითარების დიფერენცირებული მიდგომები. გაანალიზებულია თანამედროვე გლობალურ სივრცეში ფერმერული მეურნეობებში არსებული პრობლემები, უცხოეთის ქვეყნების გამოცდილება.
ანალიზმა დაადასტურა, რომ საქართველოში ფერმერული მეურნეობების განვითარება საწყის სტადიაზეა, მისი დიდი უმრავლესობა მცირე მასშტაბიანია, გამომდინარე აქედან, მათი შემდგომი განვითარების პროცესი ორიენტირებული უნდა იყოს ფერმერული მეურნეობების გაერთიანებასა და გამსხვილებაზე, წარმოების ინტენსიფიკაციასა და თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვაზე. კვლევით გამოვლინდა, რომ ფერმერულ მეურნეობათა განვითარებაზე უარყოფითად მოქმედებს მიწების ფრაგმენტაცია. ფრაგმენტაციის მოწესრიგებასა და ფერმერული მეურნეობების ზრდაში დიდი როლის შეასრულება შეუძლია მიწის ბაზრის ფორმირებას, რომელიც საქართველოში ჯერ კიდევ განვითარების პროცესშია. ფერმერულ მეურნეობებში წარმოების ზრდისათვის აუცილებელია შესაბამისი ხელშემწყობი ეკონომიკური პოლიტიკის გატარება, რომელმაც ხელი უნდა შეუწყობს ბაზარზე ორიენტირებული მეურნეობების განვითარებას, ფერმებისთვის აგროსერვისის, ინფრასტრუქტურის სრულყოფას.

ასისტენტ პროფესორი თამარ ლაზარიაშვილი

6. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა უცხოეთში
6.4. სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI ან ISSN	ჟურნალის/ კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	Natsvlishvili I., **Kharaishvili E.,** Lazariashvili T.	Bio-products market in Georgia: current challenges and development perspectives **DOI**: 10.1504/I	International Journal of Markets and Business Systems. Volume 4, Issue 1, 2020. pp, 81-	https://www.inderscienceonline.com/toc/ijmabs/4/1	18 გვ.

		JMABS.2020.107305	98			
	ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე) სტატიაში შესწავლილია ბიოპროდუქტების ბაზარი მსოფლიოსა და საქართველოში, გამოვლენილია ბიოპროდუქტებით მოსახლეობის დაინტერესების დონე და შეფასებულია მასზე მოთხოვნის ზრდის ტენდენცია. საქართველოსთვის ბიოწარმოება სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების ტრადიციული სისტემის ალტერნატიურ შესაძლებლობად და „მწვანე ეკონომიკის“ პოლიტიკის ერთ-ერთი შემადგენელ ნაწილად არის შეფასებული. ნაშრომში შესწავლილია ევროპის ქვეყნების გამოცდილება, მაგალითების განხილვისა და შედარებითი ანალიზის გზით გამოვლენილია საქართველოში ბიოპროდუქტების წარმოების და ბაზრის განვითარების გზები, დასაბუთებულია ბიოწარმოების განვითარებით მოსახლეობის დასაქმებისა და შემოსავლების ზრდის, კვების ხარისხისა და გარემოს დაცვის გაუმჯობესების შესაძლებლობები. ძირითადი აქცენტი გაკეთებულია ამ სფეროს განვითარების პოზიტიურ შედეგებზე. ავტორთა მიერ შესწავლილია სხვადასხვა ქვეყნის ბიო პროდუქტების წარმოების, ასევე, გასაღების ხელშემწყობი სახელმწიფო პროგრამები, მათი ანალიზის საფუძველზე გაკეთებულია დასკვნები საქართველოსთვის ადაპტირებული პროგრამების დანერგვის მიზანშეწონილობის შესახებ. ბიოწარმოებისა და ბიო ბაზრის განვითარების სფეროში არსებული პრობლემების გამოვლენისა და განვითარების მიმართულებების შესამუშავებლად ჩატარებულია თვისებრივი კვლევა, ,,გადაუდებლობა-ზეგავლენის“ მატრიცით დადგენილია ბიოწარმოების შემაფერხებელი ფაქტორები, გამოვლენილ პრობლემებზე გაკეთებულია დასკვნები და შემოთავაზებულია შესაბამისი რეკომენდაციები.				
2	Natsvlishvili I., **Kharaishvili E.,** Lazariashvili T.	Impact of agro tourism on economic development of related sectors in the context of sustainable well-being (case of Georgia)	*Int. J. Markets and Business Systems, Vol. X, No. Y, xxxx*	იბეჭდება		20 გვ.
	ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე) ნაშრომში გაანალიზებულია სოფლის მეურნეობისა და მასთან დაკავშირებული დარგების (მათ შორის აგროტურიზმის) მნიშვნელობა ეკონომიკურ ზრდასა და განვითარებაში. საანალიზო პრობლემები შესწავლილია ეკონომიკური, სოციალური, კულტურული და პოლიტიკური ფაქტორების გათვალისწინებით. სტატიაში შეფასებულია სოფლის მეურნეობისა და მასთან დაკავშირებული დარგების (მათ შორის აგროტურიზმის) პოზიტიური და ნეგატიური მხარეები. ჩატარებულია ექსპერტთა გამოკითხვა სოფლის მეურნეობისა და მასთან დაკავშირებული დარგების მიმდინარე მდგომარეობისა და განვითარების პერსპექტივების გასაანალიზებლად. სტატიაში ხაზგასმულია აღნიშნული დარგის განვითარების შესაძლებლობები სამართლებრივი რეგულაციებისა და სტატისტიკული მონაცემების გენერაციის გაუმჯობესების გზით, ასევე, რეკლამირების მეშვეობით. აგროტურისტული დანიშნულების ადგილების ღირებულება შეფასებულია ლანეს კრიტერიუმის მეშვეობით. საქართველოსი აგროტურიზმის განვითარებისთვის				

მიმზიდველი რეგიონების გამოსავლენად გამოყენებულია რეგიონის მიმზიდველობის საშუალო ინდიკატორი.

I. 1. სამეცნიერო ერთეულის (დეპარტამენტი, ინსტიტუტი, განყოფილება, ლაბორატორია) დასახელება –

მაკროეკონომიკის კათედრა, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი

I. 2. სამეცნიერო ერთეულის ხელმძღვანელი –

კათედრის ხელმძღვანელი - *პროფესორი მირიან ტუხაშვილი*

I. 3. სამეცნიერო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა –

პროფესორი მირიან ტუხაშვილი
ასოცირებული პროფესორი ნაზირა კაკულია
ასოცირებული პროფესორი მალხაზ ჩიქობავა
ასოცირებული პროფესორი მურმან ცარციძე
ასისტენტ პროფესორი მანანა ლობჟანიძე
ასისტენტ პროფესორი მარინა ტაბატაძე

პროფესორი მირიან ტუხაშვილი

6. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა უცხოეთში

6.4. სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI ან ISSN	ჟურნალის/ კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	*Mzia Shelia Mirian Tukhashvili*	EXPECTED EMIGRATION OF STUDENTS FROM GEORGIA ISSN 2344 – 2174	**Ecoforum Journal, Vol 9, No 2 (2020** ინდექსირებულია Index -Erich Plus	Romania	12
ანოტაცია საქართველოს დემოგრაფიულ განვითარებას მნიშვნელოვანად განსაზღვრავს ემიგრაციული პროცესები. 1989-2014 წწ აღწერათაშორის პერიოდში საქართველოს მოსახლეობა მესამედით შემცირდა. დეპოპულაციის პროცესის შეჩერება დამოკიდებულია ქვეყნის ეკონომიკური განვითარების დაჩქარებაზე, მიგრაციული პროცესების მართვის რაციონალიზაციაზე, მიგრაციული პროცესების შესწავლასა და სწორი მიგრაციული პოლიტიკის შემუშავებაზე..					

ამიტომ სტუდენტი ახალგაზრდობის ემიგრაციული განწრახვების კვლევის მნიშვნელობა მეტად დიდია.

ნაშრომი ეყრდნობა თსუ მიგრაციის კვლევის ცენტრისა და დემოგრაფიისა და სოციოლოგიის ინსტიტუტის მიერ ჩატარებულ კვლევებს(2014,2018წ). დადგინდა, რომ ემიგრაციული განწყობა სტუდენტ ახალგაზრდობაში კვლავაც აქტიურია. სწავლის გარდა მატულობს დასაქმების სურვილი, მცირდება საქართველოში უპირობოდ დამბრუნებელთა წილი. კერძოდ, დადგინდა, რომ ემიგრაციული განწრახვის რეალიზაციის შემთხვევაში, მხოლოდ რესპონდენტთა ნახევარი შეიძლება დაბრუნდეს სამშობლოში, რაც პერსპექტივაში კიდევ უფრო გაამწვავებს დეპოპულაციურ პროცესებს და გამოიწვევს საქართველოს შრომის ბაზარზე მაღალკვალიფიციური სამუშაო ძალის მწვავე ნაკლებობას. შედეგად შესაძლებელია ადგილობრივი შრომის ბაზარი გაჯერდეს დემოგრაფიულად მზარდი ქვეყნებიდან შემოსული დაბალკვალიფიციური მუშახელით, რამაც შესაძლოა საგრძნობლად შეასუსტოს ქვეყნის ეკონომიკური განვითარება, დაარღვიოს ქვეყნის ეთნოდემოგრაფიული ბალანსი და გააძლიეროს ისედაც მწვავე ეთნოკონფლიქტები.

ამიტომ საქართველოში ახალგაზრდობის მაღალი ემიგრაციული პოტენციალის შემცირების უმთავრეს გზად უნდა იქნეს მიჩნეული შრომისა და საგანმანათლებლო ბაზარს შორის წონასწორობის აღდგენა, ახალგაზრდა სპეციალისტთა მხარდაჭერის პროგრამების შემუშავება, მათი შემოქმედებითი აქტიურობის შესაფერისი პირობების შექმნა. ამასთან ერთად, მნიშვნელოვანია ახალგაზრდობის ქმედითი ინფორმირებულობა ემიგრაციასთან დაკავშირებულ რეალურ პირობებზე, რაშიც გადამწყვეტი როლი მასმედიამ უნდა შეასრულოს.

7.2. უცხოეთში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	Шелия М.Г., Тухашвили М.В.	Formation and Employment of the Retirement Age Workforce in Post-Soviet Georgia	Международного научно-практического форума по **22-23 октября 2020 г.** **Алтайский государственный университет г. Барнаул, Россия** ინდექსირებულია **index - Web of Science**
მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა)			

ასოცირებული პროფესორი ნაზირა კაკულია

6. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა უცხოეთში
6.4. სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI ან ISSN	ჟურნალის/ კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	ნაზირა კაკულია	**ეკონომიკური თავისუფლების ინდექსის ინსტიტუციური საფუძველი არსებული დონე და გამოწვევები**	ჟურნალი “ეკონომისტი”		
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)					

7. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

7.1. საქართველოში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	ნაზირა კაკულია	**„მდგრადი განვითარების შეფასების თავისებურებები კოვიდ 19 და ახალი რეალობა“**	„კორონომიკა: ეკონომიკური მეცნიერების და ეკონომიკური პოლიტიკის თანამედროვე გამოწვევები“ მიეძღვნა პროფესორ ნოდარ ხადურის ხსოვნას. III ეროვნული სამეცნიერო კონფერენცია, თბილისი, უნივერსიტეტის ქ. #2 2020, 11 სექტემბერი
2	ნაზირა კაკულია	**„საქართველოს მიწის რეფორმის გამოწვევები საკუთრების უფლების ინსტიტუციური თეორიის ჭრილში“**	საერთაშორისო სამეცნიერო ინტერნეტ-კონფერენცია თემაზე:“ თანამედროვე მსოფლიოს ეკონომიკური პრობლემები“-ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ არჩილ თეთრაულის დაბადებიდან 85-ე წლისთავისადმი მიძღვნილი დეკემბერი
მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა)			

2020 წ. 26 დეკემბერს, ასოც. პროფესორი ნ. კაკულია აკადემიკოს პ. გუგუშვილის 115-ე წლისთავთან დაკავშირებით ინსტიტუტის მიერ დაარსებული მედლით დაჯილდოვდა.

ასოცირებული პროფესორი მალხაზ ჩიქობავა

7. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

7.1. საქართველოში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	მალხაზ ჩიქობავა	კორონავირუსი - ბუნებრივი პანდემია თუ გლობალური სპეცოპერაცია ISSN 1987-6890 ISSN 2346-8432	2020 წ. 3-4 ივლისი (კონფერენცია ჩატარდა ონლაინ-რეჟიმში)

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

რეზიუმე: სტატიაში გაანალიზებულია კორონავირუსის პანდემიის წარმოშობის შესაძლო მიზეზები და მისი გავლენა გლობალურ ეკონომიკაზე. ძირითადად, ყურადღება გამახვილებულია ცნობილი ანტიგლობალისტის, ამერიკელი ეკონომისტისა და პოლიტოლოგის, პრინსტონის უნივერსიტეტის პოლიტიკურ მეცნიერებათა დოქტორის უილიამ ენგდალის სტატიაზე, რომელიც გამოქვეყნდა მიმდინარე წლის 10 მარტს სათაურით: Lock Step, This Is No Futuristic Scenario: Panic and the Post-Pandemic Future? (ნაბიჯის ბლოკირება - ეს არ არის ფუტურისტული სცენარი: პანიკა და პოსტპანდემიური მომავალი?).

ამ სტატიით ირკვევა, რომ ჯერ კიდევ ათი წლის წინათ, 2010 წელს, მომზადებულ იქნა სცენარი „პანდემიური პანიკა“, რომელიც დღეს ჩვენს თვალწინ თამაშდება. დოკუმენტი გამოვიდა ორი ორგანიზაციის - როკფელერების ფონდისა და ბიზნესის გლობალური ქსელის წიაღიდან. ამ უკანასკნელი ორგანიზაციის დაარსება უკავშირდება პიტერ შვარცს (Peter Schwartz), რომელიც ითვლება ერთ-ერთ ავტორიტეტულ ამერიკელ ფუტუროლოგად. სწორედ შვარცმა ჩამოაყალიბა 2010 წლის მოხსენებაში მსოფლიოს განვითარების ოთხი სცენარი 2007-2009 წლების გლობალური ფინანსური და ეკონომიკური კრიზისის შემდეგ. ერთ-ერთი სცენარით, რომელმაც მოხსენებაში მიიღო სახელწოდება Lock Step, მთლიანობაში ემთხვევა იმ მოვლენებს, რასაც ამჟამად ადგილი აქვს მსოფლიოში.

აღსანიშნავია, რომ Lock Step გამოჩნდა მაშინ, როცა ჯერ კიდევ არ იყო ჩამცხრალი 2007-2009 წლების ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისის ხანძარი. როგორც ჩანს, გლობალური ფინანსური ელიტის გათვლებით მსოფლიო კაპიტალიზმი 2007-2009 წლების ანალოგიურ კრიზისებს ვერ გადაიტანს და შესაბამისად, საჭიროა მსოფლიოს ფორსირებული გარდაქმნის დაწყება პოსტკაპიტალისტური მოდელის საფუძველზე. სწორედ ეს გახდა ამგვარი ტრანსფორმაციისათვის მზადების საფუძველი.

მართლაც, გასული წლის ბოლოსათვის გამოჩნდა 2007-2009 წლების გლობალურ ფინანსურ-ეკონომიკურ კრიზისზე ბევრად უფრო დრამატული კრიზისის დაწყების აშკარა ნიშნები. ამიტომ, ამ გარდაუვალი კრიზისისათვის სასურველი მიმართულების მისაცემად გლობალურმა ფინანსურმა ელიტამ 2020 წლის პირველი დღეებიდან დაიწყო სპეცოპერაცია სახელწოდებით Lock Step, იგივე COVID-19, რომელიც ახალი მსოფლიო წესრიგის დამყარების გზაზე ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ეტაპია.

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
2	მალხაზ ჩიქობავა	COVID-19, როგორც ჰიბრიდული ომის ერთ-ერთი ფორმა	2020 წ. 11 სექტემბერი (კონფერენცია ჩატარდა თსუ მაღლივ კორპუსში)

რეზიუმე: ნაშრომში წარმოდგენილია გასული საუკუნის 30-იანი წლების ე.წ. დიდი დეპრესიისა და თანამედროვე გლობალური ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისის შედარებითი ანალიზი. ხაზგასმულია, რომ პირველი დიდი დეპრესიის დაძლევა და ეკონომიკაში არსებული დისპროპორციების აღმოფხვრა მოხერხდა მხოლოდ და მხოლოდ II მსოფლიო ომით, ხოლო თანამედროვე კრიზისს, რომელიც მე-11 წელია მძვინვარებს, ჯერჯერობით არ უჩანს დასასრული. ამ კრიზისს არ მოჰყოლია ეკონომიკაში დაგროვებული ყველა დისპროპორციის ლიკვიდაცია. 2009 წელს მწვავე ფაზის (რეცესიის) დასრულების შემდეგ დადგა სტაგნაცია (დეპრესია), რომელსაც უნდა მოჰყოლოდა გამოცოცხლება. გამოცოცხლებას მერამდენე წელია ველოდებით, ამჟამად 2020 წელია, მაგრამ ის არა და არ ჩანს.

გასული საუკუნის 30-იანი წლებისა და თანამედროვე გლობალური ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისების შედარებისას აშკარად იკვეთება შემდეგი განსხვავებები: 1930-იან წლებში სტაგნაცია 1933 წლიდან 1939 წლამდე, ანუ ექვსი წელი გაგრძელდა, რომელიც საბოლოოდ II მსოფლიო ომით დასრულდა. 2007-2009 წლების კრიზისის შემდეგ სტაგნაცია უკვე 11 წელია გრძელდება, ანუ დეპრესია თითქმის ორჯერ და უფრო მეტადაა გაჭიანურებული. გარკვეული აზრით, დასავლეთის ქვეყნების მდგომარეობა XXI საუკუნეში უკეთესია, ვიდრე 1930-იან წლებში, რამდენადაც უკვე არ არსებობს საბჭოთა კავშირი თავისი დინამიკურად განვითარებადი ეკონომიკით. დასავლეთის საბჭოთა კონკურენტი გაქრა, მაგრამ არსებობს ჩინეთი თავისი უპრეცედენტო მაღალი ეკონომიკური ზრდის ტემპებით. ჩინეთის ბოლო ოცდაათწლიან ეკონომიკურ დინამიკას შეიძლება ცალსახად აღმავლობის ფაზა ვუწოდოთ. ასეთი ხანგრძლივი აღმავლობა დასავლეთის არცერთ ქვეყანას არ განუცდია კაპიტალიზმის მთელი ისტორიის მანძილზე. ცხადია, ასეთ ვითარებაში დასავლეთმაც რაღაც უნდა მოიმოქმედოს.

რა თქმა უნდა, დასავლეთის მმართველი წრეების წარმომადგენლებს არაერთხელ მოსვლიათ აზრად დიდი ომის გაჩაღებისა და მისი დახმარებით წარმოების კაპიტალისტური წესის წყეული წინააღმდეგობის კიდევ ერთხელ დაძლევის იდეა. აზრი ძალიან მაცდურია, მაგრამ ერთდროულად მომაკვდინებელიც. აკი პირველი-ორი მსოფლიო ომი ბირთვული და მასობრივი განადგურების რაიმე სხვა სახის იარაღის გამოყენების გარეშე მოხდა. მესამე მსოფლიო ომს კი, ცხადია, მასობრივი განადგურების იარაღის გარდაუვალი გამოყენება მოჰყვება. საჭირო და აუცილებელია მსოფლიო ომში რაღაცის შეცვლა, რომელიც ჯადოსნურ დახმარებას გაუწევს კაპიტალისტური ეკონომიკის დისბალანსის გამოსწორებას, მის გამოცოცხლებას, მმართველი ელიტის სტატუს-კვოს შენარჩუნებას.

ცხელი ომის ალტერნატივად შეიძლება იქცეს ცივი ომი, რომელსაც დღეს ამჯობინებენ უწოდონ ჰიბრიდული. ის გულისხმობს მოწინააღმდეგის მიმართ ფინანსური, სავაჭრო-ეკონომიკური, ფსიქოლოგიური, ინფორმაციული საშუალებების, ასევე კიბერიარაღისა და სპეცსამსახურების განსაკუთრებული მეთოდების გამოყენებას. თუმცა, ყოველივე ეს არასაკმარისია ხელისუფლებებისათვის უფლებამოსილებების მისანიჭებლად, რაც მათ საბაზრო მეთოდებიდან ეკონომიკის ადმინისტრაციულ-მბრძანებლური მართვის მეთოდებზე გადასვლის საშუალებას მისცემდა. სწორედ ამ უკანასკნელის დახმარებითაა შესაძლებელი ეკონომიკაში დაგროვებული დისბალანსის დაძლევა.

სწორედ ამ ვითარებაში „ჩნდება“ კორონავირუსი, როგორც გლობალური ომის ალტერნატიული საშუალება მსოფლიოს წამყვან ეკონომიკებში დაგროვებული დისპროპორციების

აღმფხვრისა.

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
3	მალხაზ ჩიქობავა	მონეტარული სისტემის მეტამორფოზა თანამედროვე პანდემიის ფონზე	კონფერენცია ჩატარდა 6 ნოემბერს ინლაინ-რეჟიმში

ანოტაცია: სტატიაში გაანალიზებულია მონეტარული სისტემის მეტამორფოზა გლობალური ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისის და განსაკუთრებით, ბოლოდროინდელი პანდემიის ფონზე.

ბოლო წლებში განსაკუთრებულ ნოვაციად იქცა ცენტრალური ბანკების პოლიტიკა სახელწოდებით „რაოდენობრივი შერბილება“. აშშ-ის ფედერალურმა სარეზერვო სისტემამ, ევროპის ცენტრალურმა ბანკმა, იაპონიის ბანკმა და სხვა ცენტრალურმა ბანკებმა მოიპოვეს შეუზღუდავი შესაძლებლობები სახელმწიფო სავალო ფასიანი ქაღალდების შესაძენად და ფულადი სფეროს ტრილიონობით დოლარით, ევროთი და იენებით გასაჯერებლად, რომლებიც უკვე არ იფარგლებიან სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების შესყიდვით და აქტივებს კორპორაციული ფასიანი ქაღალდების, მათ შორის, აქციების შესყიდვით აფართოებენ. აღნიშნული ნოვაციები გამიზნულია დეგრადირებადი ეკონომიკების გადასარჩენად, თუმცა ჯერჯერობით სასურველი შედეგები არ ჩანს. აქედან გამომდინარე ისმის კითხვა: სანამდე გასტანს ვირუსულ-ეკონომიკური კრიზისი და რამდენად შეძლებს ახალი ყაიდის რაოდენობრივი შერბილების პოლიტიკა ამ კრიზისის დაძლევას? საბაზისო საპროცენტო განაკვეთების პერმანენტული შემცირება ხომ არ უქმნის საფრთხეს თანამედროვე საბანკო სისტემის არსებობას?

აღსანიშნავია, რომ ბოლო ათწლეულში განვითარებული ქვეყნების საბანკო სისტემა გადააწყდა უსერიოზულეს პრობლემებს: საპროცენტო განაკვეთები აქტიური და პასიური ოპერაციების მიხედვით უკიდურესად დაბალი გახდა. გართულდა მოგების მიღება საპროცენტო ოპერაციების ხარჯზე, სულ უფრო მეტ როლს იძენს შემოსავლები საკომისიოს სახით. ზოგიერთ ქვეყნებში ბანკებმა დაიწყეს უარყოფითი საპროცენტო განაკვეთების დაწესება დეპოზიტებზე. ამან საერთოდ შექმნა საბანკო სისტემის რღვევის რისკი, ვინაიდან დეპოზიტები ფუნდამენტია, რომელზეც იგება უნაღდო ფულის წარმოების მექანიზმი კომერციული ბანკების მიერ. დღეს ძალზე ბევრი ნიშანია იმისა, რომ კაპიტალიზმი თავის ბოლო დღეებს ითვლის. ბოლო ათწლეულის პერმანენტული საბანკო კრიზისიც სწორედ ამას მოწმობს. მსოფლიო შედის პოსტკაპიტალიზმის ეპოქაში. სა

ასოცირებული პროფესორი მურმან ცარციძე

5. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში
5.5. სტატიები ISSN-ის მითითებით

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ISSN	ჟურნალის/ კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა

1	მურმან ცარციძე	დისტანციური დასაქმების განვითარების პერსპექტივები საქართველოში კორონომიკის პირობებში ISSN 2449-2396 (ბეჭდური) | E ISSN 2449-2612 (ონლაინ)	მთავარი - რეფერირებადი და რეცენზირებადი საერთაშორისო სამეცნიერო - პრაქტიკული ჟურნალი “გლობალიზაცია და ბიზნესი” (eugb.ge). N10, 2020წ.	ევროპის უნივერსიტეტი, გლობალიზაციის ეკონომიკური და სოციალური პრობლემების კვლევითი ინსტიტუტი	15

ანოტაცია

თანამედროვე გლობალიზაციისა და ინტეგრაციის ეპოქაში, როცა მთელი მსოფლიო დგას თვისობრივად ახალი გლობალური ეკონომიკური კრიზისის წინაშე, ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისა და მოსახლეობის კეთილდღეობის, ცხოვრების დონის ამაღლების მიზნით უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება მათი ეფექტიანი დასაქმების უზრუნველყოფას. ეს უკანასკნელი ძალზე მნიშვნელოვან სოციალურ-ეკონომიკურ პრობლემათა რიცხვს განეკუთვნება და ქვეყნისათვის საკმაოდ სერიოზული გამოწვევას წარმოადგენს. აღნიშნული განპირობებულია იმითაც, რომ შრომის ბაზრის ფორმირე-ბისა და ფუნქციონირების მიმდინარე ეტაპზე, უმუშევრობა საქართველოში აღიარებუ-ლია როგორც სიღარიბის გამოწვევი უმთავრესი ფაქტორი, რომელიც სერიოზულად აფერხებს ქვეყნის განვითარებას, სოციალურ-ეკონომიკურ პროგრესს. პრობლემას კიდევ უფრო ამწვავებს თანამედროვე კორონომიკის პირობებში ქვეყნის მასშტაბით Covid19-ის გავრცელების გამო ათასობით და ათიათასობით „დაპაუზებული“ და დროებით დაკარგული სამუშაო ადგილები, გაჩერებელი საწარმოები. ასეთ სიტუაციაში უმუშევ-რობის დაძლევა და ეფექტიანი დასაქმების მიღწევა შეუძლებელი იქნება სოციალურ-შრომითი ურთიერთობების განვითარებისა და მისი თვისობრივად ახალი ფორმების გამოყენების გარეშე. ამ მიმართულებით საყურადღებოა, რომ თანამედროვე მსოფლიო-ში ციფრული და ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარებამ ხელი შეუწყო არასტანდარტული და მათ შორის დისტანციური დასაქმების ფორმების განვითარებას, რამაც თავის მხრივ ძირეულად შეცვალა შრომის ბაზარის განვითარების ტენდენციები. შესაბამისად, მიმდინარე პირობებში, არსებული ვითარებიდან გამომდინარე, მიზანშე-წონილია საერთაშორისო პრაქტიკაში ფართოდ გავრცელებული არასტანდარტული დასაქმების ფორმების თავისებურებების სიღრმისეულად შესწავლა და ქვეყანაში მისი გამოყენების შესაძლებლობებისა და პერსპექტივების შესახებ გარკვეული რეკომენდა-ციების, მიმართულებების ჩამოყალიბება.

საკითხის აქტუალობიდან გამომდინარე, სამეცნიერო ნაშრომში, დასაქმების სფეროში არსებული მდგომარეობის, მიმდინარე დარგობრივი და სტრუქტურული ცვლილებების დეტალური ანალიზის ფონზე, წარმოდგენილია არასტანდარტული, განსაკუთრებით კი დისტანციური დასაქმების თავისებურებებთან დაკავშირებული საკითხების კვლევა. კერძოდ, განხილულია დისტანციური დასაქმების არსი, შეფასებულია მისი როლი მოსახლეობის დასაქმების დონის ამაღლებაში თანამედროვე ქრონიკული უმუშევრობისა და კორონომიკის პირობებში. გამოკვეთილია მისი ფორმები, სახეები, მასზე მოქმედი ფაქტორები და ძირითადი გამომწვევი მიზეზები. დისტანციური დასაქმების, უფრო ზუსტი იდენტიფიცირების, სისტემატიზაციის მეთოდოლოგიურ საფუძველების ფორმირების მიზნით, დაზუსტებულია მათი ფუნქციონირების კრიტერიუმები და მახასიათებლები, რაც შრომის ბაზარზე მიმდინარე ტენდენციების სრულყოფილად ასახავის მიზნით, მათი სრული კლასიფიკააციის ფორმირების საშუალებას იძლევა. განსაკუთრებული ყუდადღება ეთმობა მსოფლიოს განვითარებულ ქვეყნებში

დისტანციური დასაქმების თავისებურებების გამოვლენასა და მისი მასშტაბების შეფასების პრობლემებთან დაკავშირებული საკითხების კვლევას. მას საფუძვლად დაედო დისტანციური დასაქმების განვითარების დონის შეფასების შედარებითი ანალიზის მეთოდი.

კვლევის შედეგებზე დაყრდნობით ნაშრომში ჩამოყალიბებულია ძირითადი დასკვნები და რეკომენდაციები, რომელთა რეალიზაციაც უახლოეს პერიოდში უზრუნ-ველყოფს სოციალურ-შრომითი ურთიერთობების თვისობრივად ახალი ფორმების, განსაკუთრებით კი დისტანციური დასაქმების ფორმირებას განვითარებას, მისი ნეგატიური შედეგების მინიმიზაციას, მომუშავეთა სოციალური და სამართლებრივი დაცვის ჩარჩოებში მის გამოყენებას, შრომის ბაზრის განვითარებას, შესაბამისად ქვეყნის მოსახლეობის დასაქმების დონისა და მასშტაბების ზრდას, მის ეფექტიან რეგულირებას, შრომითი ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებასა და საბოლოო ჯამში მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლებას.

6. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა უცხოეთში

6.4. სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI ან ISSN	ჟურნალის/ კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1 2	მურმან ცარციძე ნათელა ლაცაბიძე	Структурные и отраслевые особенности рынка труда и занятости населения в Грузии Structural and sectoral features of the labor market and employment in the Georgia. Social and labor research. 2020;38(1):153-163. DOI: 10.34022/2658-3712-2020-38-1-153-163.	“Социально-трудовые исследования”. Научно-практический журнал. 2020;38(1) https://www.vcot.info/magazine	Москва, Россия «Издания органов научно-технической информации» – 66271.	страница 153-163.

შრომის ბაზრის ფორმირებისა და ფუნქციონირების მიმდინარე ეტაპზე, ეკონომიკური განვითარებისა და მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლების მიზნით უდიდესი მნიშვნელობა აქვს მათი ეფექტიანი დასაქმების უზრუნველყოფას. ეს უკანასკნელი გლობალური ხასიათის სოციალურ-ეკონომიკურ პრობლემათა რიცხვს განეკუთვნება და ქვეყნისათვის ძალზე სერიოზული გამოწვევას წარმოადგენს. აღნიშნული განპირობებულია იმითაც, რომ უმუშევრობა საქართველოში აღიარე-ბულია როგორც სიღარიბის გამოწვევი უმთავრესი ფაქტორი, რომელიც სერიოზულად აფერხებს ქვეყნის შრომითი პოტენციალის განვითარებას, ეკონომიკურ პროგრესს. ამიტომ, შრომის ბაზარზე არსებული რეალური ვითარებიდან გამომდინარე ყველაზე არსებითი მნიშვნელობა ღირსეულ, მაღალმწარმოებლურ, ეფექტიან შრომას, დასაქმებას უნდა მიენიჭოს. ამ უკანასკნელმა შრომის საზოგადოებრივი მწარმოებლურობის ზრდის საფუძველზე უნდა უზრუნველყოს თითოეული მოქალაქის ღირსეული შემოსავალი, მათი პიროვნული განვითარება, საგანმანათლებლო, კულტუ-რული და პროფესიულ-კვალიფიციური დონის ამაღლება. აღნიშნული ამოცანების წარმატებით რეალიზაცია შეუძლებელი იქნება ეროვნული შრომის ბაზრის განვითარებისა და დასაქმების ოპტიმალური სტრუქტურის ფორმირების გარეშე.

ზემოაღნშნულიდან გამომდინარე, ნაშრომში წარმოდგენილია დასაქმების სფეროში არსებული

მდგომარეობის, მიმდინარე დარგობრივი და სტრუქტურული ცვლილებების დეტალური ანალიზი. კერძოდ, შესწავლილია დასაქმების სტრუქტურა ეკონომიკური საქმიანობის სახეებისა და რეგიონე-ბის მიხედვით, სამუშაოზე დაკავებული პოზიციების მიხედვით. კვლევის შედეგად გამოკვეთილია ის ძირითადი სექტორები, რომლებშიც განსაკუთრებით მაღალი ეკონომიკური აქტივობაა მოსალო-დნელი მომდევნო წლების განმავლობაში, რაც თავის მხრივ წარმოადგენს ამ სექტორებში დასაქმების ზრდის ერთ-ერთ აუცილებელ წინაპირობას. კვლევის შედეგებზე დაყრდნობით ნაშრომში ჩამოყალიბებულია ძირითადი დასკვნები და რეკომენდაციები, რომლებმაც უახლოეს პერიოდში უნდა უზრუნველყონ შრომის ბაზრის განვითარება და ეფექტიანი დასაქმება, შრომითი ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესება და საბოლოო ჯამში მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლება.

საკვანძო სიტყვები: ეფექტიანი დასაქმება, უმუშევრობა, შრომის ბაზარი, დასაქმების სტრუქტურა, კეთილდღეობა, ეკონომიკური განვითარება. საქართველო.
DOI:
УДК 331.526

Структура и эффективность занятости на текущем этапе формирования и функционирования национального рынка труда в Грузии

Аннотация

На текущем этапе формирования и функционирования национального рынка труда с целью ускорения темпов роста экономического развития и повышения уровня благосостояния населения важнейшее значение приобретает обеспечение эффективной занятости экономически активного населения. Эффективная занятость – социально-экономическая проблема глобального характера и логично, что для Грузии она представляет серьезную проблему. Это обусловлено тем, что безработица в Грузии признана основным фактором, серьезно тормозящим развитие трудового потенциала страны и экономический прогресс в целом. Поэтому, исходя из существующего реального положения на рынке труда, необходимо придавать особое значение достойному высокопроизводительному труду и эффективной занятости, что на основе роста общественной производи-тельности труда должно обеспечить достойный доход, личностное развитие, повышение образовательного, культурного профессионально-квалификационного уровня каждого гражданина. Успешное осуществле-ние поставленных задач невозможно без развития национального рынка труда и формирования оптимальной структуры занятости.

Исходя из вышеизложенного, в работе представлен детальный анализ современной ситуации в сфере занятости, текущих структурных и отраслевых изменений. В частности, структура занятости изучена с точки зрения видов экономической деятельности, особенностей регионов и количества рабочих мест. На основе исследования выявлены секторы экономики, где в течение ближайших лет ожидается высокая экономи-ческая активность, что, в свою очередь, является одним из обязательных предварительных условий роста занятости в этих секторах. Опираясь на результаты исследования, в работе сформулированы выводы и рекоменда-ции, использование которых на практике определенно приведет к более налаженному функционированию рынка труда и эффективной занятости, к улучшению качества трудовой деятельности, и в итоге – к повышению уровня жизни населения.

Ключевые слова: эффективная занятость, безработица, рынок труда, структура занятости, благосостояние, экономическое развитие, Грузия.

The structure and efficiency of employment at the current stage of forming and functioning the national labor market in Georgia

Annotation

For the purpose of rate acceleration in economic development and the enhancement of living standards of population, the provision of effective employment of economically active population assumes the greatest significance at the current stage of forming and functioning the labor market.

The efficient employment represents the social-economic problem of global nature and, logically, it poses the most serious challenge to Georgia. This is conditioned by the fact, that unemployment is recognized to be the key factor seriously hindering the development of labor potential of the country and the economic progress, as a whole. That is why, depending on the actual situation existing at the labor market it is deemed necessary to attach the most considerable importance to the worthy, highly efficient labour and effective employment, which should ensure the deserved income, personal advancement and the rise of educational, cultural, professional and qualification level of each of the citizens on the basis of the increase in public labour productivity. The successful realization of the objectives set is impossible without the enhancement of national labor market and the formation of optimal structure of employment.

Considering the above-mentioned, the paper presents the detailed analysis of the current situation existing in the sphere of employment as well as the ongoing structural and field changes. In particular, the structure of employment has been studied in view of the forms of economic activities, the peculiarities of regions and the quantity of workplaces. On the basis of the research there were revealed the economic sectors which are expected to attain the high level of economic activities over the next years, which, in its turn, is regarded as one of the essential prerequisites for the increase in employment in these sectors. Relying on the findings, the paper formulates the conclusions and recommendations whose application in practice will definitely lead to more proper functioning of labor market and efficient employment, the improvement of quality of working life and ultimately, the rise of living standards of population.
Key Words: Effective employment, Unemployment, Labor market, Structure of employment, Living standards, Economic development, Georgia

7. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

7.1. საქართველოში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	მურმან ცარციძე	დისტანციური დასაქმების განვითარების პერსპექტივები საქართველოში კორონომიკის პირობებში	III ეროვნული სამეცნიერო კონფერენცია „კორონომიკა: ეკონომიკური მეცნიერების და ეკონომიკური პოლიტიკის თანამედროვე გამოწვევები“. თბილისი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 11 სექტემბერი 2020 წელი.

ანოტაცია

თანამედროვე გლობალიზაციისა და ინტეგრაციის ეპოქაში, როცა მთელი მსოფლიო დგას თვისობრივად ახალი გლობალური ეკონომიკური კრიზისის წინაშე, ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისა და მოსახლეობის კეთილდღეობის, ცხოვრების დონის ამაღლების მიზნით

უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება მათი ეფექტიანი დასაქმების უზრუნველყოფას. ეს უკანასკნელი ძალზე მნიშვნელოვან სოციალურ-ეკონომიკურ პრობლემათა რიცხვს განეკუთვნება და ქვეყნისათვის საკმაოდ სერიოზული გამოწვევას წარმოადგენს. აღნიშნული განპირობებულია იმითაც, რომ შრომის ბაზრის ფორმირე-ბისა და ფუნქციონირების მიმდინარე ეტაპზე, უმუშევრობა საქართველოში აღიარებუ-ლია როგორც სიღარიბის გამოწვევი უმთავრესი ფაქტორი, რომელიც სერიოზულად აფერხებს ქვეყნის განვითარებას, სოციალურ-ეკონომიკურ პროგრესს. პრობლემას კიდევ უფრო ამწვავებს თანამედროვე კორონომიკის პირობებში ქვეყნის მასშტაბით Covid19-ის გავრცელების გამო ათასობით და ათიათასობით „დაპაუზებული“ და დროებით დაკარგული სამუშაო ადგილები, გაჩერებელი საწარმოები. ასეთ სიტუაციაში უმუშევ-რობის დაძლევა და ეფექტიანი დასაქმების მიღწევა შეუძლებელი იქნება სოციალურ-შრომითი ურთიერთობების განვითარებისა და მისი თვისობრივად ახალი ფორმების გამოყენების გარეშე. ამ მიმართულებით საყურადღებოა, რომ თანამედროვე მსოფლიო-ში ციფრული და ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარებამ ხელი შეუწყო არასტანდარტული და მათ შორის დისტანციური დასაქმების ფორმების განვითარებას, რამაც თავის მხრივ ძირეულად შეცვალა შრომის ბაზარის განვითარების ტენდენციები. შესაბამისად, მიმდინარე პირობებში, არსებული ვითარებიდან გამომდინარე, მიზანშე-წონილია საერთაშორისო პრაქტიკაში ფართოდ გავრცელებული არასტანდარტული დასაქმების ფორმების თავისებურებების სიღრმისეულად შესწავლა და ქვეყანაში მისი გამოყენების შესაძლებლობებისა და პერსპექტივების შესახებ გარკვეული რეკომენდა-ციების, მიმართულებების ჩამოყალიბება.

საკითხის აქტუალობიდან გამომდინარე, სამეცნიერო ნაშრომში, დასაქმების სფეროში არსებული მდგომარეობის, მიმდინარე დარგობრივი და სტრუქტურული ცვლილებების დეტალური ანალიზის ფონზე, წარმოდგენილია არასტანდარტული, განსაკუთრებით კი დისტანციური დასაქმების თავისებურებებთან დაკავშირებული საკითხების კვლევა. კერძოდ, განხილულია დისტანციური დასაქმების არსი, შეფასებულია მისი როლი მოსახლეობის დასაქმების დონის ამაღლებაში თანამედროვე ქრონიკული უმუშევრობისა და კორონომიკის პირობებში. გამოკვეთილია მისი ფორმები, სახეები, მასზე მოქმედი ფაქტორები და ძირითადი გამომწვევი მიზეზები. დისტანციური დასაქმების, უფრო ზუსტი იდენტიფიცირების, სისტემატიზაციის მეთოდოლოგიურ საფუძველების ფორმირების მიზნით, დაზუსტებულია მათი ფუნქციონირების კრიტერიუმები და მახასიათებლები, რაც შრომის ბაზარზე მიმდინარე ტენდენციების სრულყოფილად ასახავის მიზნით, მათი სრული კლასიფიკააციის ფორმირების საშუალებას იძლევა. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა მსოფლიოს განვითარებულ ქვეყნებში დისტანციური დასაქმების თავისებურებების გამოვლენასა და მისი მასშტაბების შეფასების პრობლემებთან დაკავშირებული საკითხების კვლევას. მას საფუძვლად დაედო დისტანციური დასაქმების განვითარების დონის შეფასების შედარებითი ანალიზის მეთოდი.

კვლევის შედეგებზე დაყრდნობით ნაშრომში ჩამოყალიბებულია ძირითადი დასკვნები და რეკომენდაციები, რომელთა რეალიზაციაც უახლოეს პერიოდში უზრუნ-ველყოფს სოციალურ-შრომითი ურთიერთობების თვისობრივად ახალი ფორმების, განსაკუთრებით კი დისტანციური დასაქმების ფორმირებას განვითარებას, მისი ნეგატიური შედეგების მინიმიზაციას, მომუშავეთა სოციალური და სამართლებრივი დაცვის ჩარჩოებში მის გამოყენებას, შრომის ბაზრის განვითარებას, შესაბამისად ქვეყნის მოსახლეობის დასაქმების დონისა და მასშტაბების ზრდას, მის ეფექტიან რეგულირებას, შრომითი ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებასა და საბოლოო ჯამში მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლებას.

ასოცირებული პროფესორი მანანა ლობჟანიძე

6. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა უცხოეთში

6.4. სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI ან ISSN	ჟურნალის/ კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	M. Lobzhanidze	**Circular Labour Migration and its Consequances in Georgia** ,	International Journal of Markets and Business Systems. Volume 4, Issue 1, 2020. pp, 81-98		
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)					

ერთეულს თუ საჭიროდ მიაჩნია, შეუძლია ანგარიშში შეიტანოს სხვა, მისთვის მნიშვნელოვანი აქტივობაც.

საერთაშორისო მიგრაციისა და განვითარების ცენტრის (CIM/GIZ) გლობალური პროგრამა ,,მიგრაცია და დიასპორა" (PMD) ვორქშოპი, 2020 წლის 8 სექტემბერი (**მონაწილე)**
საერთაშორისო მიგრაციისა და განვითარების ცენტრის (CIM/GIZ) გლობალური პროგრამის „მიგრაცია განვითარებისათვის“ ბენეფიციარების, ალუმნების და პარტნიორი ორგანიზაციების შეხვედრა, 2020 წლის 6 ივნისი (**მონაწილე)**
საერთაშორისო მიგრაციისა და განვითარების ცენტრის (CIM/GIZ) გლობალური პროგრამის „მიგრაცია განვითარებისათვის“ დიასპორული ორგანიზაციებისა და ადგილობრივი პარტნიორი ორგანიზაციების შეხვედრა, 2020 წლის 4 ივლისი (**მონაწილე)**

I. 1. სამეცნიერო ერთეულის (დეპარტამენტი, ინხტიტუტი, განყოფილება, ლაბორატორია) დასახელება: ***ეკონომეტრიკის კათედრა***

I. 2. სამეცნიერო ერთეულის ხელმძღვანელი: პროფესორი ***იური ანანიაშვილი***

I. 3. სამეცნიერო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა:

ასოცირებული პროფესორი აკაკი არსენაშვილი
ასოცირებული პროფესორი მერაბ ჯულაყიძე
ასოცირებული პროფესორი ნინო მიქიაშვილი
ასისტენტ-პროფესორი ლია თოთლაძე

პროფესორი იური ანანიაშვილი

5. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში

5.5. სტატიები ISSN-ის მითითებით

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათა-ური, ISSN	ჟურნალის/ კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1 2	იური ანანიაშვილი, ლევან გაფრინდაშვილი	**საქართველოში კორონავირუსის გავრცელების მასშტაბები და მთავრობის პრევენციული ღონისძიებების ეფექტიანობა - რას ამბობენ მოდელები**	გლობალიზაცია და ბიზნესი, #10, 2020	თბილისი, ევროპის უნივერსიტეტი	16 გვ.

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

სტატიაში წარმოდგენილია საქართველოში კორონავირუსის გავრცელების პროგნოზები, რომლებიც მიღებულია ეკონომეტრიკული და მანქანური სწავლების მეთოდებით. პარალელურად, განხილულია მოდელირების მეთოდის საშუალებით შეფასებული სახელმწიფოს მიერ გატარებული პრევენციული ღონისძიებების ეფექტიანობა. სტატიაში განხილული თითოეული მოდელი ეპიდემიის ტრაექტორიის პროგნოზირების სხვადასხვა მახასიათებლის (პიკისა და დასრულების თარიღი, დღიური ინფიცირება სხვადასხვა საპროგნოზო ჰორიზონტზე, ჯამური ინფიცირება) მოდელირებას ახდენს, რაც ერთიანობაში საკმაოდ ნათელ სურათს უქმნის დაინტერესებულ მკითხველს ვირუსთან დაკავშირებული მომავალი საფრთხის შესახებ.

არსებული მოდელებისა და მონაცემების პირობებში, კვლევამ აჩვენა, რომ ფენომენოლოგიური მოდელები კარგად პროგნოზირებენ ეპიდემიის ტრენდს, ხანგრძლივობასა და ინფიცირებულთა ჯამურ რაოდენობას, თუმცა დღიური შემთხვევების პროგნოზირებისას დიდ შეცდომას უშვებენ. საპირისპიროდ, მანქანური სწავლების მოდელები მოკლევადიან პერიოდში დღიური ინფიცირების შედარებით ზუსტ პროგნოზს აკეთებენ, მაგრამ მონაცემების შეზღუდულობის გამო, გრძელვადიანი პროგნოზირება უჭირთ. სახელმწიფოს მიერ გატარებული პრევენციული ღონისძიებების მოდელირებისათვის და ოპტიმალური შეზღუდვის დონის განსაზღვრისათვის კი საუკეთესო არჩევანს განყოფილებიანი მოდელები წარმოადგენენ. ამ მოდელებმა აჩვენეს, რომ ჯოგური იმუნიტეტის გამომუშავებამდე (ანუ ყოველგვარი ეპიდემიოლოგიური თუ სამთავრობო ღონისძიების გარეშე) დაავადებულთა რაოდენობა 3 მილიონს მიუახლოვდებოდა, მაგრამ პრევენციული ღონისძიებების შედეგად ჯამური ინფიცირების მოსალოდნელი მნიშვნელობა რამდენიმე ათასამდე შემცირდა (1555 – 3189 ადამიანი), რაც ცალსახად მეტყველებს მათ ეფექტიანობაზე.

7. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

7.1. საქართველოში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი

1	იური ანანიაშვილი, ლევან გაფრინდაშვილი	საქართველოში კორონავირუსის გავრცელების მასშტაბები და მთავრობის პრევენციული ღონისძიებების ეფექტიანობა - რას ამბობენ მოდელები	III ეროვნული სამეცნიერო კონფერენციაზე „კორონომიკა: ეკონომიკური მეცნიერების და ეკონომიკური პოლიტიკის თანამედროვე გამოწვევები“. 11 სექტემბერი, 2020 წელი, თსუ
მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა)			

ასოცირებული პროფესორი ნინო მიქიაშვილი

ასისტენტ-პროფესორი ლია თოთლაძე

1. სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის პერსონალის მიერ შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

1.1.

№	გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	2	3	4
	ევროინტეგრაცია და ინოვაციური ეკონომიკის ფორმირების პრობლემები საქართველოში **მეცნიერების დარგი:** ეკონომიკა **სამეცნიერო მიმართულები** - ეკონომიკური თეორია, საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები, მაკროეკონომიკა, მიკროეკონომიკა, ეკონომიკური განვითარება, სექტორული ეკონომიკა	**პროექტის ხანგრძლივობა:** 2015-2021 წწ.	
პირდაპირდაპირი უცხოური ინვესტიციების როლი ინოვაციების გავრცელებაში საქართველოში **ლია თოთლაძე, თამარ თაფლაძე** ***ანოტაცია*** *ნაშრომი მიზნად ისახავს პირდაპირდაპირი უცხოური ინვესტიციების როლის შესწავლას ინოვაციების გავრცელებაში საქართველოში.*			

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები გლობალიზაციის, ეკონომიკური ზრდის და ინდუსტრიალიზაციის მთავარი მასტიმულირებელი ძალაა. პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს (FDI) განსაკუთრებული გავლენა აქვს ტექნოლოგიურ განვითარებას, პროდუქტიულობის ზრდასა და ახალი ცოდნის თუ უნარების შეძენა-გაუმჯობესებაში.
კვლევის მიზნიდან გამომდინარე ნაშრომში გაანალიზებულია პირდაპირი უცხოური ინვეტიციების პოზიტიური და ნეგატიური გავლენა ქვეყნის განვითარებაზე, განსაკუთრებული ყურადღება აქვს დათმობილი პირდაპირი უცხოური ინვეტიციების როლს ინოვაციებისა და მაღალი ტექნოლოგიების ტრანსფერზე. აღნიშნულიდან გამომდინარე, მიმოხილულია ემპირიული კვლევები, რომლებიც ასახავს პირდაპირი უცხოური ინვეტიციების გავლენას ინოვაციებისა და ტექნოლოგიების ტრანფერზე გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში.
ნაშრომში შეასწავლილია საქართველოში პირდაპირი უცხოური ინვეტიციების დინამიკა, მოცემულია ამ მაკროეკონომიკური მაჩვენებლის არსებული დინამიკის კრიტიკული ანალიზი. გადმოცემულია საქართველოს მთავრობის საინვეტიციო პოლიტიკა, რომელიც უკავშირდება ეკონომიკის რეალურ სექტორში ხარისხობრივი ინვესტიციების მოზიდვას, ინვესტიციების მაღალტექნოლოგიურ დარგებში განხორციელებასა და ცოდნისა და ტექნოლოგიების ტრანსფერს. ასევე მოცემულია საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოს (GITA) მიერ ამ მიმართულებით განხორციელებული საქმიანობის შედეგები. საქართველოში ინოვაციების გავრცელების ტენდენციის შეფასებისათვის გამოყენებულია აგრეთვე გლობალური ინოვაციების ინდექსის (GII) დინამიკა.
ზემოთაღნიშნული მიმართულებით განხორციელებული კვლევისა და ანალიზის საფუძველზე კი გაკეთებულია შესაბამისი დასკვნები.

5.4. სტატიები ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდის (DOI) მითითებით

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI	ჟურნალის/ კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	ლ. თოთლაძე	**The Impact of Government Expenditure on Education and R&D as Factor of Homan Capital on Economic Growth** https://doi.org/10.36172/EKONOMISTI.2020.XVI.02.TOTLADZE	საერთაშორისო რეცენზირებადი სამეცნიერო ანალიტიკური ჟურნალი „ეკონომისტი“, #2 2020 p ISSN 1987-6890 e ISSN 2346-8432	თბილისი, თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა	9გვერდი

განათლებასა და R&D-ზე სახელმწიფო დანახარჯების, როგორც ადამიანისეული კაპიტალის ფაქტორების ეკონომიკურ ზრდაზე გავლენის შეფასება

მსოფლიოს მრავალი ქვეყნის სტრატეგია ორიენტირებულია ეკონომიკური ზრდის მნიშვნელოვან ასპექტებზე, როგორიცაა მდგრადი და ინკლუზიური ზრდა. ამ მიზნების მიღწევა შეიძლება განხორციელდეს განათლებისა და ტრენინგის გამართული სისტემის, კვლევებსა და დამუშავებებზე (R&D) ორიენტირებული ინდუსტრიებისა და მეცნიერებატევადი ეკონომიკის შექმნით. ეს კი შეუძლებელია ადამიანისეული კაპიტალის მნიშვნელოვანი წვლილის გარეშე.

ნაშრომი მიზნად ისახავს ადამიანისეული კაპიტალის ეკონომიკურ ზრდაზე ზეგავლენის ემპირიული ასპექტების გამოკვლევას, რისთვისაც უპირველეს ყოვლისა მნივნელოვანია ადამიანისეული კაპიტალის გაზომვა. აღნიშნულიდან გამომდინარე შემოთავაზებულია ადამიანისეული კაპიტალის გაზომვის შემდეგი მიდგომები: დანახარჯების მიხედვით, რომელიც ემყარება ადამიანისეული კაპიტალის შეფასებას იმ დანახარჯების მიხედვით, რომელსაც სახელმწიფო/კერძო სტრუქტურები ახორციელებენ მისი განვითარებისათვის; შემოსავლების მიხედვით, რომელიც ემყარება მინსერის მიდგომას - ადამიანისეული კაპიტალი შეფასდეს იმ შემოსავლების მიხედვით, რასაც იღებს ადამიანი მისი სამუშაო გამოცდილების შესაბამისად; ინდექსების მიხედვით, რომელიც ემყარება ფართოდ გავრცელებულ ისეთ ინდექსებს, როგორიცაა: გაეროს ადამიანის განვითარების ინდექსი (HDI), მსოფლიო ბანკის ადამიანისეული კაპიტალის ინდექსი (HCI), PISA ტესტი და სხვა.

ნაშრომში განსაკუთრებული ყურადღება აქვს დათმობილი იმ არხების ანალიზს, რომელთა მეშვეობითაც ადამიანისეული კაპიტალი გავლენას ახდენს ეკონომიკურ ზრდაზე. დადგენილია ადამიანისეულ კაპიტალში განხორციელებული ინვესტიციების ქვეყნის მდგრად განვითარებაზე ემპირიული ზეგავლენის ხარისხი. ნაშრომში გამოვლენილია განათლებასა და R&D–ში სახელმწიფო ხარჯების ადამიანისეული კაპიტალსა და ეკონომიკურ ზრდაზე გავლენის წვლილი საქართველოში. ზემოთ მოტანილი მიზნის მისაღწევად აგებულია როგორც წრფივი, ისე ლოგარითმული მოდელები, რომლებშიც ამხსნელ ცვლადებად განხილულია სახელმწიფო დანახარჯები განათლებაზე, კვლევებსა და დამუშავებებზე (R&D), ასევე რეგისტრირებული პატენტების რაოდენობა. საქართველოს ემპირიული მონაცემების მოდელირების შედეგები განათლებაზე გაწეული დანახარჯების შემთხვევაში თანხვედრაში აღმოჩნდა თეორიულ ეკონომიკურ დებულებებთან. რაც შეეხება დანარჩენ ეკონომიკურ ცვლადებს - დანახარჯებს კვლევებსა და დამუშავებებზე (R&D) და რეგისტრირებული პატენტების რაოდენობას, მიუხედავად მათი სტატისტიკურად მნიშვნელოვნებისა, ისინი უარყოფით კორელაციაში აღმოჩნდა შედეგობრივ ცვლადთან. ამ შედეგის ინტერპრეტაცია მხოლოდ შემდეგი შეიძლება იყოს: აღნიშნული ცვლადების ზემოქმედების შეფასებისათვის გასათვალისწინებელია დროითი ლაგი და აუცილებელია უფრო გრძელვადიანი პერიოდის მოდელირება.

საკვანძო სიტყვები: *ადამიანისეული კაპიტალი; ეკონომიკური ზრდა; R&D სახელმწიფო დანახარჯები; სახელმწიფო დანახარჯები განათლებაში; ეკონომეტრიკული მოდელი.*

7. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

7.1. საქართველოში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	ლ.თოთლაძე მ. ხუსკივაძე	**Covid-19 გავლენა პირდაპირდაპირი უცხოური ინვესტიციების დინამიკაზე**	საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია: „თანამედროვე ეკონომიკა, ეკონომიკური მეცნიერება და ეკონომიკის პანდემიური პრობლემები: გამოწვევები, გადაჭრის გზები“. თბილისი 2020
1	ლ. თოთლაძე, მ. ხუსკივაძე.	**The Effect of Foreign Direct Investments on Innovation and Technology Transfer.**	საერთაშორისო სამეცნიერო ინტერნეტკონფერენციის მასალათა კრებული. პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინტიტუტი, თბილისი, 2020.
მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა)			

ერთეულს თუ საჭიროდ მიაჩნია, შეუძლია ანგარიშში შეიტანოს სხვა, მისთვის მნიშვნელოვანი აქტივობაც.

1. მსოფლიო ეკონომიკის კვლევის ექსპერტთა ჯგუფის წევრობა*მიუნხენის უნივერსიტეტის ეკონომიკური კვლევების ლაიბნიცის ინსტიტუტი (გერმანია) Ifo Institute – Leibniz Institute for Economic Research at the University of Munich* - ***მსოფლიო ეკონომიკის კვლევის ექსპერტთა ჯგუფის წევრი;***
2. ***ERASMUS +*** (პროგრამა უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალისთვის) 2020 წლის კონკურსში გამარჯვებული (გადაიდო პანდემიის გამო) მობილობა ***ვალენსიის ტექნოლოგიური უნივერსიტეტი UPV*** (ესპანეთი).

1. სამეცნიერო ერთეულის (დეპარტამენტი, ინსტიტუტი, განყოფილება, ლაბორატორია) დასახელება: ***ეკონომიკური და სოციალური სტატისტიკის კათედრა***
2. სამეცნიერო ერთეულის ხელმძღვანელი: ***პროფესორი სიმონ გელაშვილი***
3. სამეცნიერო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა:

ასოცირებული პროფესორი ნინო აბესაძე
ასოცირებული პროფესორი მაია მინდორაშვილი
ასოცირებული პროფესორი მარინა მუჩიაშვილი
ასოცირებული პროფესორი მაია გიორგობიანი

5.ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში

5.1. მონოგრაფიები/წიგნები

№	ავტორი/ავტორები	მონოგრაფიის/წიგნისსათაური, საერთაშორისო	გამოცემისადგილი, გამომცემლობა	გვერდებისრაოდენობა

		სტანდარტული კოდი ISBN		
1 2	**ს. გელაშვილი, მ. ხმალაძე, ნ. აბესაძე, მ. მინდიერაშვილი, მ. მუჩიაშვილი, მ. გიორგობიანი, ზ. შონია**	საქართველოს სტუდენტი ახალგაზრდობის დემოგრაფიულიგანწყობა ISBN978-9941-13-937-6	2020 თსუ გამომცემლობა	1-170

ახალგაზრდობას და, მათ შორის, სტუდენტობას თავისიადგილიუკავიასაზოგადოების როგორც ასაკობრივ, ისეზოგადადსოციალურსტრუქტურაში. ამასთან, ახალგაზრდობის გავლენა საზოგადოებაზეარაადეკვატურადაღემატებამისწილსმთელმოსახლეობაში. ესგანსაკუთრებით ითქმისსტუდენტობაზე. სტუდენტობისწლებითავისთავად ყველაზესაუკეთესო წლებია ადამიანისთვის, რომლისდროსაცხდებაადამიანისიდენტიფიკაცია, ცხოვრებისეული ფასეულობებისიერარქიისფორმირება, ცხოვრებისმიზნებისდასახვა, იწყებადამოუკიდებელი პიროვნებისჩამოყალიბებისპროცესი. შესაბამისად, პიროვნებისსოციალიზაციისპროცესში სტუდენტურიწლებიშეუდარებლადმნიშვნელოვანია.

დღეისათვისჩვენცხოვრობთსაზოგადოებისგანვითარებისიმპერიოდში, როდესაც ყალიბდება სრულიადახალიმაღალგანვითარებულიადამიანისტიპი; სახეზეაპოსტინდუსტრიული საზოგადოების თანდათანდამკვიდრებისპროცესი; ძლიერდებასაყოველთაო გლობალიზაციისტენდენციები. მაგრამყველაზეშთამბეჭდავიანანოტექნოლოგიებისშემოჭრა. ფართოგაქანებამიეცაახალგაზრდობისინდივიდუალიზმსდაგანსაკუთრებითდამოუკიდებლობას. ესუკანასკნელივლინდებაროგორცსოციალურ, ისეეკონომიკურდამოუკიდებლობაში. არავისთვის საიდუმლოარარის, რომრიგიახალუმაღლესდამთავრებული ახალგაზრდებისაუფრო მაღალ ანაზღაურებასიღებენ, ვიდრექართველიპროფესორები. ამასშეიძლებასაბაზროეკონომიკის პირობებში გარკვეულიობიექტურისაფუძველიგააჩნია. ესიმასარნიშნავს, რომ ახალგაზრდებისდამოუკიდებლობასმხარსარვუჭერთ, პირიქით, როგორშეიძლებაშვილიბავშვი იყოსმანამდე, ვიდრემშობელიცოცხალია. ყველგან, ცხოვრებისყველასფეროში საჭიროაოპტიმუმისმონახვა.

ზემოთ აღვნიშნეთ, რომახალგაზრდობისგავლენასაზოგადოებაზე, მისყველამხარეზე, არაადეკვატურადაღემატებამისწილსმთელმოსახლეობაში, ნათქვამიყველაზემეტადეხებოდა სტუდენტახალგაზრდობას, კონკრეტულადკიმისგავლენასმოსახლეობის დემოგრაფიულ განწყობაზე. ფაქტია, რომსტუდენტობისასაკში, განსაკუთრებითკიმისიდასრულებისას, სტუდენტთადემოგრაფიულიგანწყობადადემოგრაფიულიორიენტაციებიუკვეჩამოყალიბებულია, რომელიცმცირედითშეიძლებაშეიცვალოსმომავალში.

რამდენადაცსტუდენტობასგავლენააქვსდანარჩენახალგაზრდობაზე, შესაბამისად, მათი დემოგრაფიულიგანწყობადაქცევაარშეიძლებაარგავრცელდესდანარჩენიახალგაზრდობისდემოგრაფიულგანწყობასადაქცევაზე.

ამიტომსაქართველოსსტუდენტიახალგაზრდობისდემოგრაფიულიგანწყობისშესწავლამეტადაქტუალურსაკითხადმიგვაჩნია.

5. 2. სახელმძღვანელოები

№	ავტორი/ავტორები	სახელმძღვანელოსსახელწოდება, საერთაშორისო	გამოცემისადგილი, გამომცემლობა	გვერდებისრაოდენობა

		სტანდარტული კოდი ISBN		
1	**სიმონ გელაშვილი, ზამირა შონია,** რუსუდან ქინქლაძე	სოციალური სტატისტიკა 978-9941-26-775-8	თბილისი, ,,უნივერსალი“	195
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე) დამხმარე სახელმძღვანელოში ,,სოციალური სტატისტიკა” განხილულია სოციალური სტატისტიკის როგორც ზოგადი, ისე სპეციფიკური საკითხები, კერძოდ: სოციალური სტატისტიკის კვლევის საგანი და ობიექტი, ძირითადი ამოცანები, სოციალური სტატისტიკისა და ეკონომიკური თეორიის ურთიერთკავშირი, სოციალური სტატისტიკის მაჩვენებელთა სისტემის ფორმირება, სოციალური სტატისტიკის განვითარების ისტორია, სოციალურ მოვლენათა სტატისტიკური გამოკვლევის მეთოდოლოგია, სოციალურ-სტატისტიკურ მონაცემთა უტყუარობა და სხვ. დამხმარე სახელმძღვანელოში გაშუქებულია ასევე სოციალური სტატისტიკის სპეციფიკური საკითხები – მოსახლეობის შემადგენლობის სტატისტიკა, შრომითი საქმიანობის სტატისტიკა, მორალურ-სამართლებრივი სტატისტიკა, მოსახლეობის დროის ბიუჯეტის სტატისტიკა, მოსახლეობის ცხოვრების დონის სტატისტიკა და სხვ.			

5.5. სტატიებიISSN-ის მითითებით

№	ავტორი/ ავტორები	სტატიისსათა-ური, ISSN	ჟურნალის/ კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი	გამოცემისა დგილი, გამომცემლო ბა	გვერდების რაოდენობა
1	**სიმონ გელაშვილი,** გოგიტა თოდრაძე	დასაქმებისა და შრომის ანაზღაურების გენდერული დისბალანსი ეკონომიკური საქმიანობების მიხედვით 978-9941-13-952-9	V საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის შრომების კრებული „გლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში“.	თბილისი, თსუ-ს გამომცემლ ობა	8
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე) სტატიაში განხილულია მსოფლიოში და საქართველოში დასაქმებისა და შრომის ანაზღაურების დისბალანსი გენდერულ ჭრილში, ნაჩვენებია აუნაზღაურებელი შრომის უთანაბრობა და მისი გამომწვევი ძირითადი მიზეზები, გამოვლენილია დაბალი, საშუალო და მაღალი შემოსავლების მქონე 64 ქვეყნის ყოველი ჯგუფიდან მინიმალური და მაქსიმალური შრომის ანაზღაურების ქვეყნები.				

განსაკუთრებული ყურადღება დათმობილი აქვს შრომის ანაზღაურების სტატისტიკურ ანალიზს ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით გენდერულ ჭრილში. სათანადო მაჩვენებლების (შეფარდებითი, საშუალო და ვარიაციის) გაანგარიშების შედეგად დადგინდა მაღალი დისპროპორცია შრომის ანაზღაურებაში ეკონომიკური საქმიანობის ცალკეული სახეების მიხედვით. გამოვლენილია ის სექტორები, რომლებშიც შრომის ანაზღაურების მაჩვენებლები გენდერულ ჭრილში მაქსიმალური და მინიმალურია, ასევე მათ შორის არსებული ვარიაციის დიაპაზონი.

2	**სიმონ გელაშვილი,** მარიამ ოქრუაშვილი	შრომის ანაზღაურების გენდერული დისპროპორცია საქართველოს ადმინისტრაციული რეგიონების მიხედვით 978-9941-13-952-9	Vსაერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის შრომების კრებული „გლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში“.	თბილისი, თსუ-ს გამომცემლობა	8

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

სტატიაში განხილულია საქართველოში შრომის ანაზღაურების დისბალანსი გენდერულ ჭრილში, ნაჩვენებია აუნაზღაურებელი შრომის უთანაბრობა და მისი გამომწვევი ძირითადი მიზეზები.

განსაკუთრებული ყურადღება დათმობილი აქვს შრომის ანაზღაურების დისპროპორციის ანალიზს საქართველოს ადმინისტრაციული რეგიონების მიხედვით, რომლის დროსაც გაანგარიშებული იქნა სხვადასხვა სტატისტიკური მაჩვენებელი, როგორიცაა: შეფარდებითი, საშუალო და ვარიაციის. ანალიზის შედეგად გამოვლინდა შრომის ანაზღაურების ძლიერ განსხვავებული რეგიონული ტენდენციები გენდერულ ჭრილში.

ჩატარებული გამოთვლების საფუძველზე განხორციელდა რეგიონების დაჯგუფება საშუალო თვიური ნომინალური ხელფასის მიხედვით, გენდერულ ჭრილში და გამოვლინდა 3 განსხვავებული ჯგუფი.

3	**ნინო აბესაძე**	ტურიზმის მოლოდინების სტატისტიკა პოსტმანდემიის პერიოდში საქართველოში ISBN 978-9941-13-952-9	ივანეჯავახიშვილისსახელობისთსუ-ს V საერთაშორისოსამეცნიეროკონფერენციის„გლობალიზაციისგამოწვევებიეკონომიკასადაბიზნესში“ შრომების კრებული	თბილისი, თსუ	8

Covid-19-ით გამოწვეულმა პანდემიამ მსოფლიო ახალი გამოწვევების წინაშე დააყენა. რთულია იმის განსაზღვრა, პოსტპანდემიის პირობებში რამდენად დარჩება საქართველო კვლავ მიმზიდველ ქვეყნად საერთაშორისო ვიზიტორებისათვის. საერთაშორისო ტურიზმი ეკონომიკურად განუსაზღვრელობის სტადიაზეა, შიდა ტურიზმმა კი დაიწყო გამოცოცხლება. ფაქტია, რომ მეტ-ნაკლებად ყველა ტურისტულ ქვეყანაში მნიშვნელოვნად შეიცვალა ტურიზმის ტენდენციები და ძირითადი სტატისტიკური მახასიათებლები. საერთაშორისო ტურიზმის აღმავლობა მუდვივად მზარდი ტენდენციების ფონზე ბუნებრივია რთული პროცესი იქნება,

რადგან პოსტპანდემიის პროცესი გარკვეული რეგულაციების მკაცრად დაცვას მოითხოვს, ეს კი ტურიზმს აუცილებლად მოაქცევს გაუთვალისწინებელ ჩარჩოებში. ამავე დროს გასათვალისწინებელია, რომ როგორც საერთაშორისო ისე შიდა ტურისტული ბაზრისათვის მნიშვნელოვანია მაღალხარისხიანი ტურისტული პროდუქტების შექმნა და მსოფლიო ტურისტული ბაზრებიდან მოსახერხებელი, უსაფრთხო დერეფნისა და ხელმისაწვდომი საჰაერო და სახმელეთო მიმოსვლის უზრუნველყოფა.

ტურისტული ნაკადების მოლოდინების განსაზღვრის მიზნით, სოციალური ქსელების პლატფორმის საფუძველზე ჩვენს მიერ ჩატარებულ იქნა კვლევა, რომლის შედეგებიც ანალიზდებოდა პროგრამების – „MS excel“-ისა და „SPSS 20“-ის – საშუალებით.

შედეგები: პადემიის გამოცხადებამდე, სახეზე იყო საერთაშორისო და შიდა ტურიზმის მაჩვენებლების ზრდის ტენდენცია; პანდემიის პერიოდში გამოცოცხლებულია შიდა ტურიზმი; ტურისტებს შორის ჭარბობს ახალგაზრდა ასაკის მოსახლეობა; რესპონდენტთა 67,5% ჰქონდა საზღვარგარეთ მოგზაურობის ისტორია და ყველაზე მაღალი ხვედრითი წილი (58%) პირველად ქვეყნის დატოვების პირობებში მოგზაურობდა მეგობრებსა და ნათესავებთან ერთად, შიდა ტურიზმის დროს კი ოჯახის წევრებთან ერთად; საქართველოს რეზიდენტები მოგზაურობისას განთავსების საშუალებებიდან უპირატესობას ანიჭებენ სასტუმროებსა და სასტუმრო სახლებს, შიდა ტურიზმის დროს მაღალია ახლობლების ბინით სარგებლობის მაჩვენებელი; რესპონდენტთა დიდი ნაწილისათვის გამგზავრების მიზანი დასვენება, გართობა და რეკრეაციაა და ა.შ. მოგზაურობისათვის სასურველ ქვეყნებს შორის დასახელდა: იტალია, გერმანია, ესპანეთი, საფრანგეთი, შვეიცარია. შიდა ტურიზმის დროს სასურველ ლოკაციებად დასახელდა: უშგული, მარტვილისა და ოკაცეს კანიონი, აბუდელაურის ფერადი ტბები, ბახმარო, გომის მთა, დაშბაშის კანიონი, ყაზბეგი და ა. შ.

4	**ნინო აბესაძე** რუსუდან ქინქლაძე ოთარ აბესაძე	ევროკავშირიდან საქართველოში ტურისტული ნაკადების სტატისტიკური კვლევა ISBN 978-9941-28-952-0	მეოთხე საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის: ,,გლობალიზაციადაბიზნესისთანამედროვეგამოწვევები“ შრომების კრებული	საქართვთელოს ტექნიკური უნივერსიტეტი. საგამომცემლო სახლი ,,ტექნიკური უნივერსიტეტი“	8

დღევანდელი სიტუაცია ისეთია, რომ პანდემიამ შეცვალა სამყაროს ცხოვრების რიტმი. გააქტიურდა ონლაინ კონტაქტები, საზოგადოება მოექცა მობილობის იძულებით ჩარჩოებში. რის გამოც გაცნდა ახალი გამოწვევები, შეიცვალა ცხოვრების ღირებულებები და ადამიანთა ფსიქოლოგიური განწყობები ცხოვრებისადმი შეცვლილი დამოკიდებულების ფორმებით წარმოჩინდა. შეიცვალა, როგორც შიდა ისე საერთაშორისო ტურიზმის ძირითადი სტატისტიკური მახასიათებლები. ტრანსფორმირდა და ტურიზმიც გარკვეულწილად ეკონომიკური განუსაზღვრელობის ფაზაში გადავიდა. ამიტომ, მნიშვნელოვანია ტურიზმის სფეროში მიმდინარე მოვლენების რაოდენობრივი ანალიზი, აგრეთვე იმ მოლოდინების შეფასება, რომლებიც გამოიკვეთება პანდემიის დასრულების შემდეგ. ფაქტია, საქართველოში ტურიზმის განვითარების ჩამოყალიბებული ტენდენციები შეიცვლება, თუმცა ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევის შედეგებით განწყობის მოლოდინები პოზიტიურია.

6.ბეჭდური პროდუქციის გამოცემა უცხოეთში
6.4. სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიისსათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI ან ISSN	ჟურნალის/ კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი	გამოცემისადგილი, გამომცემლობა	გვერდები სრაოდენობა
1	**Simon Gelashvili,** Gogita Todradze, Giorgi Mikeladze	Statistical Analysis and Forecasting of Trade Relations between Italy and Georgia	https://www.dpublication.com/wp-content/uploads/2019/09/4-20013.pdf	Milan, Italy	10

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

სტატიაში განხილულია საქართველოსა და იტალიას შორის სავაჭრო ურთიერთობის სტატისტიკური ასპექტები და შესაბამისი დროითი მწკრივების საფუძველზე აგებული იქნა საქონლის ექსპორტ-იმპორტის გრძელვადიანი ცვლილების ემპირიული მოდელი. მასში დეტერმინანტების სახით წარმოდგენილია ნომინალური და რეალური გაცვლითი კურსები, ფასების აგრეგირებული ინდექსები და ეროვნული შემოსავალი.

იტალიიდან საქართველოში საქონლის იმპორტის ემპირიული მოდელის მიხედვით, იმპორტის ამჟამინდელი ღირებულება დადებით კორელაციურ კავშირშია რეალური გაცვლითი კურსისა და საქართველოს მშპ-ს მოცულობასთან. გარდა ამისა, ემპირიული მოდელის განხორციელება ცხადყოფს შემდეგი ფაქტორების გავლენას (COVID 19, ბრიტანეთის რეფერენდუმის გავლენა ევროზონაზე, იტალიის რეფერენდუმი და ა.შ.), რაც გავლენას ახდენს ქვეყნების ეკონომიკასა და სავაჭრო ურთიერთობებზე.

ნაშრომში წარმოდგენილი საქონლის ექსპორტის ემპირიული მოდელი არ არის სტატისტიკურად მართებული და ფუნქციონალური სპეციფიკაციის ადიტიურიდან მულტიპლიკაციურით შეცვლა არ აუმჯობესებს მოდელის სტატისტიკურ მახასიათებლებს.

სტატიაში პროგნოზირებულია ორ ქვეყანას შორის სავაჭრო ურთიერთობები მარტივი ექსპონენციალური მეთოდის გამოყენებით. პროგნოზირების მოდელები მიუთითებს ქვეყნებს შორის საქონლის ექსპორტისა და იმპორტის მზარდ ტენდენციაზე.

2	**Nino Abesadze** Rusudan Kinkladze Nino Paresashvili Ketevn Chitaladze Sopiko Meishvili	Trends of Increases of Georgia's Attractiveness for EU Countries.	Collection Of Scientific Articles Of **3rd International Conference on Research in Management and Economics** **11 September**	*Brussels, Belgium*	11

საქართველოში ტურიზმი განვითარების აქტიურ ფაზაშია, ვითარდება და მისი რაოდენობრივი მახასიათებლებიც ზრდის ტენდენციით ხასიათდება.ფაქტია, რომვიზა ლიბერალიზაციამ მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა ტურისტული ნაკადების ზრდაზე ევროკავშირის ქვეყნებიდან. ბოლო წლების განმავლობაში საგრძნობლად გაზარდა ევროპის ქვეყნებიდან ტურისტული ნაკადების რაოდენობა საქართველოში.

კვლევის მეთოდოლოგია: კვლევის პროცესში გამოყენებულ იქნა სტატისტიკური დაკვირვების,

დაჯგუფების და ანალიზის მეთოდები.
შედეგები:ოფოციალური სტატისტიკის მონაცემებით ვიზიტორთა საერთო რაოდენობაში სისტემატურად იზრდება ევროკავშირის ქვეყნებიდან შემოსულთა წილის მაჩვენებელი, 2019 წელს მისი სიდიდე 9,6%-ს გაუტოლდა. უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში ყოველწლიურად ფიქსირდება ქვეყანაში ევროკავშირის ქვეყნებიდან შემოსული ვიზიტორების 15%-იანი მატება. უკანასკნელი მონაცემებით საერთაშორისო ვიზიტორების 72,9%-თვის საქართველოში ვიზიტი განმეორებითს წარმოადგენდა. ვიზიტორთა 27,1% კი საქართველოში პირველად იმყოფებოდა. ევროკავშირიდან ვიზიტები ყველაზე ინტენსიური წლის III კვარტალში იყო, ანუ ზაფხულში. ყველაზე მეტი ვიზიტორი შემოვიდა პოლონეთიდან, გერმანიიდან, დიდი ბრიტანეთიდან, საფრანგეთიდან, ლიტვიდან და სხვა ქვეყნებიდან არიან. ვიზიტირების ყველაზე მაღალი მატების რიცხვი დაფიქსირდა გერმანიიდან. მარტო 2019 წელს წინა წელთან შედარებით 45%-ით გაიზარდა გერმანიიდან შემოსული ვიზიტორების რიცხვი. ვიზიტორთა უმეტესობა 26-35 წლის ასაკობრივ ჯგუფს მიეკუთვნება. ყველაზე მეტი ვიზიტორი ესტუმრა თბილისსა და ბათუმს.
დასკვნები. მართალია, ტურისტების რაოდენობა სისტემატიურად იზრდება, თუმცა, საერთაშორისო ვიზიტორების რაოდენობამ ისტორიულ მაქსიმუმს 2019 წელს მიაღწია. ზოგადად, ტურისტები საქართველოში ძირითადად მეზობელი ქვეყნებიდან , ესეიგი სახმელეთო გზით ჩამოდიან, მაგრამ ბოლო წლებში საგრძნობლად გაიზარდა საჯაერო გზით ჩამოსული ვიზიტორების რაოდენობა. საერთაშორისო ვიზიტორთა შორის ტრადიციულად მაღალია მამაკაცი ვიზიტორების წილი. რაც შეეხება ასაკობრივ კატეგორიებს, საერთაშორისო ვიზიტორებში ზოგადად მაღალია 31-50 წლის ასაკის მოსახლობის წილის მაჩვენებლი, მაგრამ ევროკავშირის ქვეყნებიდან შემოსულთა შორის უფრო ახალგაზრდა ასაკის მოსახლეობა სჭარბობს. გეოგრაფიული სტრუქტურის ანალიზით დადგინდა, რომ ქვეყნების ტოპ-ათეულს ლიდერობენ: პოლონეთი, გერმანია, დიდი ბრიტანეთი. საქართველოთი კმაყოფილების ხარისხი მაღალია. ევროკავშირიდან შემოსული საერთაშორისო ვიზიტორების მხოლოდ 1.7% უკმაყოფილოა.

3	**Nino Abesadze** Otar Abesadze Lala Amanova	Trends In The Growth Of Tourist Flows From Azerbaijan To Georgia	The Journal Of Economic Sciences: Theory And Practice, Volume 77 Issue#1/2020,	Baku, Azerbaijan	11

საქართველოში, ისევე როგორც აზერბაიჯანში ტურიზმი განვითარების აქტიურ ფაზაში იმყოფება. ორივე ქვეყანაში იზრდება როგორც საერთაშორისო, ისე შიდა ტურიზმის ინდიკატორების რაოდენობრივი მაჩვენებლები. როგორც საქართველოში, ისე აზერბაიჯანში სისტემატურად იზრდება ურთიერთშორის ტურისტული ნაკადების გადაადგილების ინტენსივობა, რაც მყარ საფუძველს ქმნის ამ მიმართულებით ქვეყნებს შორის შემდგომი თანამშრომლობისთვისაც. საქართველოში ტურიზმის გეოგრაფიული სტრუქტურა ადასტურებს რომ ის ყველაზე მეტად მიმზიდველია მეზობელი ქვეყნებისათვის. განსაკუთრებით მაღალია ყოველწლიურად აზერბაიჯანიდან ჩამოსული ვიზიტორების ზრდის ტემპები. ამ მხრივ საინტერესოა აზერბაიჯანიდან ტურისტული ნაკადების ზრდის ტენდენციების განხილვა დინამიკაში მთელი მისთვის მახასიათებელი აქტივობების ჩვენებით. ეს მნიშვნელოვანია, რადგან ტურიზმს ამ ქვეყნებს შორის განსაკუთრებული წვლილის შეტანა შეუძლია საქართველო აზერბაიჯანს შორის ეკონომიკური ურთიერთობების შემდგომ განვითარებაში. ამიტომ ამ ქვეყნებიდან ტურისტული ნაკადების რაოდენობრივი ანალიზი აქტუალური და აუცილებელია, ვინაიდან ეკონომიკის განვითარების თანამედროვე ეტაპზე ტურიზმი საქართველოსთვის განვითარებისა და

ეკონომიკური დოვლათის ზრდის მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს.
კვლევის მეთოდები. კვლევის პროცესში გამოყენებულ იქნა სტატისტიკური დაკვირვების, დაჯგუფებისა და ანალიზის მეთოდები. კვლევის შედეგების დასამუშავებლად დაგასაანალიზებლად გამოყენებულ იქნა კომპიუტერული პროგრამა SPSS.
დასკვნა.

- სახეზეა აზერბაიჯანიდან საქართველოში ტურისტული ნაკადების ზრდის ტენდენცია;
- ვიზიტორთა დიდი ნაწილი საქართველოში ჩამოდის ნათესავებისა და ახლობლების მონახულების მიზნით, შემდეგ კი დასვენების მიზნით;
- ვიზიტორთა დიდი ნაწილი აგემოვნებს ქართულ სამზარეულოსა და ღვინოს;
- აზერბაიჯანელი ვიზიტორების დიდი ნაწილი ქვეყანაში ათენებს 1-2 ღამეს ან არცერთ ღამეს.
- ძირითად მონახულებად ადგილებს მიეკუთვნება თბილისი ბათუმი, მარნეული სიღნაღი, ბორჯომი, ბაკურიანი და ა. შ

4	**Nino Abesadze** Otar Abesadze Lala Amanova	Trends Of The Attractiveness of Azerbaijan Tourists In Georgia.	Collection Of Scientific Articles Of International Scientific Conference Economic and Social Development.	Baku, Azerbaijan	8

ფაქტია, რომ საქართველოში ტურიზმის გეოგრაფიული სტრუქტურა იმდაგვარია, რომ ტოპ-ათეულში მეზობელი ქვეყნები იკავებენ მოწინავე პოზიციებს. განსაკუთრებით საინტერესოა აზერბაიჯანიდან ტურისტული ნაკადების ზრდის ტენდენცია, რასაც მნიშვნელოვანი წვლილის შეტანა შეუძლია საქართველო აზერბაიჯანს შორის ეკონომიკური ურთიერთობების შემდგომ განვითარებაში. ამიტომ ამ ქვეყნებიდან ტურისტული ნაკადების რაოდენობრივი ანალიზი აქტუალური და აუცილებელია, ვინაიდან ეკონომიკის განვითარების თანამედროვე ეტაპზე ტურიზმი საქართველოსთვის განვითარებისა და ეკონომიკური დოვლათის ზრდის მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს.
კვლევის მეთოდები. კვლევის პროცესში გამოყენებულ იქნა სტატისტიკური დაკვირვების, დაჯგუფებისა და ანალიზის მეთოდები. კვლევის შედეგების დასამუშავებლად დაგასაანალიზებლად გამოყენებულ იქნა კომპიუტერული პროგრამა SPSS.
დასკვნა.

- სახეზეა აზერბაიჯანიდან საქართველოში ტურისტული ნაკადების ზრდის ტენდენცია;
- ვიზიტორთა დიდი ნაწილი საქართველოში ჩამოდის დასვენების, გართობის და ნათესავების მონახულების მიზნით;
- აზერბაიჯანიდან ჩამოსული ვიზიტორებისათვის ყველაზე მეტად მიმზიდველი ტურისტული ლოკაციებია:თბილის, მარნეული, ბათუმი, ყაზბეგი და ა. შ

5	**მარინა მუჩიაშვილი,** ნინო ხატისაშვილი	საქართველოსსახელმწიფობიუჯეტისხარჯებისსტრუქტურისსტატისტიკურიანალიზი ISBN 978-9941-13-391-6	სასერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალების კრებული : თანამედროვე ეკონომიკა, ეკონომიკური მეცნიერება და ეკონომიკის პანდემიური პრობლემები“ გამოწვევები, გადაჭრის გზები. (17-18 ოქტომბერი, 2020)	თბილისი	გვ. 434-440

ნაშრომშიწარმოდგენილიასაქართველოსსახელმწიფობიუჯეტისხარჯებისსტრუქტურისსტატისტიკურიანალიზი, ასევე,მოცემულიაბიუჯეტისხარჯებისეფექტიანობისშეფასება. განხილულიასაბიუჯეტოსფეროშისახელმწიფოფინანსებისგადანაწილებაპრიორიტეტულიმიმართულებებისმიხედვით.
ნაშრომშიგაანალიზებულიასახელმწიფობიუჯეტისხარჯებისსტრუქტურადადინამიკა. ასევე, წარმოდგენილიასახელმწიფობიუჯეტისხარჯებშიანტიკრიზისულიბიუჯეტითგათვალისწინებული ცვლილებები.ნაშრომშისტატისტიკურიმეთოდებისგამოყენებითშესწავლილი, გაანალიზებულიდაშეფასებულიამიმდინარეხარჯებისადაარაფინანსურიაქტივებისზრდისგავლენამთლიანშიგაპროდუქტზე.
დეტალურადააშესწავლილიმიმდინარეხარჯებისდაკაპიტალურიხარჯებისდინამიკადასტრუქტურა.
შემოთავაზებულიარეკომენდაციებიქვეყნისმზარდიეკონომიკურიზრდისხელშეწყობისმიზნითფისკალურპოლიტიკაშიგანსახორციელებელიცვლილებებისშესახებ. ასევე, ნაშრომშიგანხილულიაბიუჯეტისდეფიციტი, ბიუჯეტისდეფიციტი/მშპ-თანდადეფიციტისდაფინანსებისწყაროებისაქართველოში.შესწავლილიაფისკალურიმდგრადობის შეფასებისსაკითხი.

№	ავტორი/ ავტორები	სტატიისსათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI ან ISSN	ჟურნალის/ კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი	გამოცემისადგილი, გამომცემლობა	გვერდებისრაოდენობა
6	**მარინა მუჩიაშვილი,**ქეთევან ლიპარტელიანი	სოციალურისფეროსპროგრამებისადაპროექტებისდაფინანსებისსტატი	სასერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალების	თბილისი	533-541

		სტიკურიანალიზისაქართველოში ISBN 978-9941-13-391-6	კრებული: თანამედროვე ეკონომიკა, ეკონომიკური მეცნიერება და ეკონომიკის პანდემიური პრობლემები“ გამოწვევები, გადაჭრის გზები. (17-18 ოქტტომბერი, 2020)			

ნაშრომში წარმოდგენილია ბოლო წლებში საქართველოში სოციალურ სფერში რეალიზებული და ასევე, საშუალოვადიან პერიოდში განსახორციელებელი ძირითადი პროგრამები და ქვეპროგრამები. გაანალიზებულია სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების სფერში 2012 წლის შემდგომპერიოდში მომხდარი არსებითი ხასიათის სტრუქტურული ცვლილებები. დეტალურადაა განხილული ყველა სოციალური პროექტი და მოცემულია წინა წლებთან შედარებით განხორციელებული ახალი პროგრამებისა და პროექტების ანალიზი. წარმოდგენილია 2020 წლის ბიუჯეტის ხარჯების სტრუქტურაში ანტიკრიზისული გეგმით გათვალისწინებული ცვლილებები. შეფასებულია მისი ზეგავლენა ქვეყნის ეკონომიკის მდგრადობასა და ეკონომიკურ ზრდაზე.

7. სამეცნიეროფორუმებისმუშაობაშიმონაწილეობა

7.1. საქართველოში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენებისსათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	**სიმონ გელაშვილი**	კორონასტატისტიკის მაჩვენებელთა სისტემის ფორმირების შესახებ	11 სექტემბერი, 2020. ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. III ეროვნული სამეცნიერო კონფერენცია ,,კორონომიკა: ეკონომიკური მეცნიერების და ეკონომიკური პოლიტიკის თანამედროვე გამოწვევები“
2	**სიმონ გელაშვილი,** გოგიტა თოდრაძე	დასაქმებისა და შრომის ანაზღაურების გენდერული დისბალანსი ეკონომიკური საქმიანობების მიხედვით	6 ნოემბერი, 2020. ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
3	**სიმონ გელაშვილი,**	შრომის ანაზღაურების	6 ნოემბერი, 2020.

	მარიამ ოქრუაშვილი	გენდერული დისპროპორცია საქართველოს ადმინისტრაციული რეგიონების მიხედვით	ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
4	**ნინო აბესაძე** რუსუდან ქინქლაძე ოთარ აბესაძე	ევროკავშირიდან საქართველოში ტურისტული ნაკადების სტატისტიკური კვლევა	მეოთხე საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის: გლობალიზაციადაბიზნესისთანამედროვეგამოწვევები. საქართვთელოს ტექნიკური უნივერსიტეტი 26 ივნისი
მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა)			
5	**ნინო აბესაძე**	საქართველოდან გამყვანი ტურიზმის მოლოდინების სტატისტიკა კორონომიკის პირობებში.	III ეროვნული სამეცნიეროკონფერენცია ,,კორონომიკა: ეკონომიკური მეცნიერებისდაეკონომიკური პოლიტიკის თანამედროვე გამოწვევები“ თბილისი, ივანე კავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. 11 სექტემბერი
მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა)			
6	**ნინო აბესაძე**	ტურიზმის მოლოდინების სტატისტიკა პოსტმანდემიის პერიოდშისაქართველოში	ივანეჯავახიშვილისსახელობა სთსუ-ს V საერთაშორისოსამეცნიეროკონფერენცია „გლობალიზაციისგამოწვევებიეკონომიკასადაბიზნესში“თბილისი, ივანე კავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. 6 ნოემბერი
მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა)			
7	**მ. მუჩიაშვილი**	საქართველოს სახელმწიფო ვალის მდგრადობის შეფასება, ფისკალური რისკების გამოვლენა და	მოხენება მუდმივმოქმედ სემინარზე: პოლიტიკური საუბრები ლადო პაპავასთან. 2020 25 ebervali

		მათი მართვა.	

7.2.უცხოეთში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენებისსათაური	ფორუმისჩატარების დროდაადგილი
1	**Simon Gelashvili,** Gogita Todradze, Giorgi Mikeladze	Statistical Analysis and Forecasting of Trade Relations between Italy and Georgia	18-20 September, Milan, Italy
მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა)			
1	**Nino Abesadze (მონაწილე)**	Webinar on producing the CPI under lockdown	Economic Statistics Section United Nations Economic Commission for Europe Geneva. 4, 11 November
მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა)			
2	**Nino abesadze** Nino Paresashvili Rusudan Kinkladze Kethevan Chitaladze Sofiko Meishvili	Trends of Increases of Georgia's Attractiveness for EU Countries	**3rd International Conference on Research in Management and Economics** **11 September.** *Brussels, Belgium*
3	**Nino Abesadze** Otar Abesadze Lala Amanova	Trends Of The Attractiveness Of Azerbaijan Tourists In Georgia.	International Scientific Conference Economic and Social Development. 18-19 June Baku. Azerbaijan
მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა)			

I. 1. სამეცნიერო ერთეულის (დეპარტამენტი, ინხტიტუტი, განყოფილება, ლაბორატორია) დასახელება - **ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი,**

საერთაშორისო ეკონომიკისა და ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორიის კათედრა

I. 2. სამეცნიერო ერთეულის ხელმძღვანელი – ***პროფესორი ავთანდილ სილაგაძე***

I. 3. სამეცნიერო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა:

ასოცირებული პროფესორი ლელა ბახტაძე

ასოცირებული პროფესორი თამაზ ზუბიაშვილი

ასოცირებული პროფესორი მიხეილ თოქმაზიშვილი
ასოცირებული პროფესორი ეკა სეფაშვილი
ასოცირებული პროფესორი რამაზ ფუტკარაძე
ასოცირებული პროფესორი შოთა ვეშაპიძე
ასოცირებული პროფესორი ჯემალ ხარიტონაშვილი
ასოცირებული პროფესორი ლელა ჯამაგიძე
ასოცირებული პროფესორი ემზარ ჯგერენაია

პროფესორი ავთანდილ სილაგაძე

5. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში

5.5. სტატიები ISSN-ის მითითებით

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათა-ური, ISSN	ჟურნალის/ კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	*Tvalchrelidze, A., Silagadze, A.*	COVID-19 Coronavirus Pandemic Influence on Crude Oil Prices. A Preliminary Statisticai Analysis (COVID-19 კორონავირუსის პანდემიის გავლენა ნედლი ნავთობის ფასზე წინასწარი სტატისტიკური ანალიზი) ISSN 1987-5789	*ჟურნ. ეკონომიკა და ბიზნესი.* №2,	თბილისი	გვ.82-88.

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

ნაშრომში გაკეთებული დასკვნის მიხედვით: ბოლო თვეებში განვითარებულმა პანდემიურმა მოვლენებმა, მოკლე დროში ეკონომიკა პრაქტიკულად „გაყინა“; არსებული მდგომარეობა გვაგონებს „დიდი დეპრესიის“ პერიოდს, როდესაც ლიბერალურმა ეკონომიკურმა დოქტრინებმა კრახი განიცადეს და საჭირო გახდა სახელმწიფოს აქტიური ჩარევა. ცხადია, პანდემიის დამარცხების შემდეგ, მსოფლიოში ბევრი რამ შეიცვლება, მათ შორის ქვეყნების სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკები და სავარაუდოდ, აქცენტი გაკეთდება ეროვნული რესურსების მაქსიმალურად გამოყენებაზე; ნედლი ნავთობის ფასის დრამატული კლება 2020 წლის იანვარ-აპრილში არ არის განპირობებული ნავთობზე შემცირებული მოთხოვნით; კორონავირუსით ინფიცირების სიხშირე ინვესტორთათვის ხელშესახები მაჩვენებელია ფიუჩერსული ბაზრის მდგრადობის შეფასებისთვის და შესაბამისი საინვესტიციო სტრატეგიის შესამუშავებლად.

6. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა უცხოეთში

6.4. სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI ან ISSN	ჟურნალის/ კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	Tvalchrelidze, A., Silagadze, A.	Influence of COVID-19 coronavirus pandemic on international oil markets. (COVID-19 პანდემიის გავლენა ნავთობის საერთაშორისო ბაზრებზე).	Scientific Journals Zeszyty Naukowe of the Maritime University of Szczecin. 2020, 63 (135). (*Web of Science* -ს იმპაქტ-ფაქტორიანი ჟურნალი)	file:///C:/Users/user/Downloads/www-zn-am-63-135-tvalchrelidze silagadze%20(3).pdf	pp.149-154.
2	*Silagadze,A.(2020).*	Some Economic Problems of the Post-Soviet States after the Global Financial Crisis (პოსტსაბჭოური ეკონომიკის ზოგიერთი საკითხი მსოფლიო ფინანსური კრიზისის შემდგომ პერიოდში).	*Bull. Georg. Natl. Acad. Sci.*, 14 (**3**). 2020. (თანაავტ.: 2). *(Scopus).*		
	Silagadze,A.	Some Tendencies of Post-Soviet Migration and Unemployment (პოსტსაბჭოური მიგრაციისა და უმუშევრობის ზოგიერთი	*Bull. Georg. Natl. Acad. Sci.*, 14 (1). (თანაავტ.: 2).		

3		ტენდენცია).	*(Scopus). (2020)*		pp.172-176

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1.ნაშრომში განხილულია COVID-19 გლობალური პანდემიის ფონზე ნავთობის საერთაშორისო ბაზრების პრობლემები. კვლევის შედეგად მიღებული დასკვნის მიხედვით, პანდემიის გაღრმავება და ნავთობის საერთაშორისო ფასები მჭიდრო ურთიერთკავშირშია - დაინფიცირებულთა და სიკვდილიანობის შემთხვევათა ზრდა, პირდაპირ აისახა, როგორც ნავთობის ფასების დაცემაზე, ასევე, ფიუჩერსული კონტრაქტების შემცირებაზე.

2. ნაშრომი ეძღვნება პოსტსაბჭოური ქვეყნების თანამედროვე მაკროეკონომიკური ასპექტების შედარებით ანალიზს ბოლო მსოფლიო ეკონომიკურ-ფინანსური კრიზისის შემდგომ პერიოდში. კვლევის შედეგად მიღებული დასკვნის მიხედვით, მსოფლიო ფინანსური კრიზისის შედეგების დაძლევაში, მსოფლიო ეკონომიკისა და მსოფლიოს უმეტესი ქვეყნებისათვის გარდამტეხი იყო 2010 წელი; საკვლევ წლებში: ეკონომიკური ზრდის ყველაზე მაღალი დონე დაფიქსირდა თურქმენეთში (2014 წ. და 2018 წ.), ყირგიზეთში (2018), ესტონეთში (2018), უზბეკეთში (2016), ტაჯიკეთში (2014), საქართველოში (2018); მშპ-ს მოცულობის მიხედვით, გამოკვეთილი ლიდერია რუსეთის ფედერაცია; ყველაზე მეტად შემცირდა უკრაინის (2016) და აზერბაიჯანის (2016), რუსეთის (2016) ეკონომიკური მაჩვენებლები, რაც რუსეთ-უკრაინის ომსა და ენერგორესურსებზე ფასების ცვლილებებთანაა დაკავშირებული; სტაბილური განვითარებით ხასიათდება ბალტიისპირა ქვეყნები (ესტონეთი, ლატვია, ლიეტუვა); 1990 წელს მთლიანი სამამულო პროდუქტის (GDP) მოცულობის მიხედვით, საქართველო, ყოფილ „საბჭოთა რესპუბლიკებს“ შორის (გარდა ბალტიისპირა ქვეყნებისა) მეშვიდე ადგილზე იმყოფებოდა და მცირედით ჩამორჩებოდა აზერბაიჯანს, ბოლო წლებში კი, სამწუხაროდ, „ათეულს“ მიღმა აღმოჩნდა; რიგი პოსტსაბჭოური ქვეყნების (რუსეთი, ყაზახეთი, თურქმენეთი, აზერბაიჯანი) ეკონომიკების მასშტაბებს დიდად განაპირობებდა მდიდარი ენერგორესურსების ექსპორტის მოცულობა და ფასები, ასევე პირდაპირი უცხოური ინვესტიციები (ეს ფაქტორი სხვა ქვეყნებისთვისაც მნიშვნელოვანი იყო); ევროკავშირთან ასოცირებული ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ, მოლდოვასა და საქართველოს ეკონომიკური მაჩვენებლები შედარებით, მაგრამ არასაკმარისად გაუმჯობესდა, უკრაინისა კი მკვეთრად გაუარესდა - განსაკუთრებით რუსეთთან ომის ზეგავლენის გამო; GDP მოსახლეობის ერთ სულზე მაჩვენებლით, ლიდერობენ ბალტიისპირა ქვეყნები, შემდეგ მოდის რუსეთი და ყაზახეთი, სხვა პოსტსაბჭოურ ქვეყნებს, მათ შორის საქართველოს, უფრო მოკრძალებული შედეგები აქვთ; უმუშევრობის დონე (%) მაღალია საქართველოში, სომხეთში, უკრაინასა და ტაჯიკეთში, ბალტიისპირა ქვეყნებმა კი ამ მაჩვენებლის შედარებითი გაუმჯობესება შეძლეს.

3. ნაშრომის მიზანია პოსტსაბჭოურ ქვეყნებში ორი უმნიშვნელოვანესი ისეთი პრობლემის ურთიერთკავშირის გამოკვლევა, როგორებიცაა: მიგრაცია და უმუშევრობა. კვლევის შედეგად მიღებული დასკვნის მიხედვით: სამუშაო ადგილების დეფიციტი და დაბალი ანაზღაურება გახდა მიგრაციული პროცესების გასაძლიერებელი ნოყიერი ნიადაგი; რიგ ქვეყნებში რომ არა ემიგრაციის დიდი ტალღა, უმუშევრობის მასშტაბები კიდევ მეტი იქნებოდა; საანალიზო პერიოდში, რვა პოსტსაბჭოურ ქვეყანაში, მნიშვნელოვნად შემცირდა მოსახლეობის რიცხოვნობა, მათ შორის სამწუხაროდ, ყველაზე მეტად – საქართველოში. აღნიშნული განაპირობა, როგორც ეკონომიკურმა (სამუშაო ადგილების დეფიციტი, დაბალი ანაზღაურება), ასევე პოლიტიკურმა ფაქტორებმა – ტერიტორიული მთლიანობის დარღვევამ, გლობალიზაციის ტენდენციებმა, მაღალი ანაზღაურების მიღების სურვილმა-შესაძლებლობებმა (ბალტიისპირა ქვეყნები) და სხვ.; განსხვავებული გზით განვითარდა რუსეთის ფედერაციის ეკონომიკა, სადაც ასევე შემცირდა მოსახლეობის რიცხოვნობა, თუმცა მდიდარი ენერგორესურსების ფლობით, ის მაინც ახერხებს სხვა ქვეყნებიდან სამუშაოს მაძიებელთა დასაქმებას; ძირითადად ენერგორესურსებით მდიდარ ექვს ქვეყანაში მოსახლეობის რიცხოვნობა მკვეთრად გაიზარდა. ისინი ჯერ-ჯერობით განვითარების დასავლური ვექტორისაკენ სწრაფვას ღიად არ ამჟღავნებენ; ცალკეულ ქვეყნებში (მაგ.,

საქართველოში) სულ უფრო მცირდება მოსახლეობის მიგრაციული სალდო სხვა ქვეყნებიდან იმიგრირებული მოსახლეობის ხარჯზე (მიუხედავად სამუშაო ადგილების დეფიციტისა); უცხოეთიდან პირადი გზავნილები სამამულო ქვეყნისათვის მნიშვნელოვანია, მაგრამ სამამულო მუშახელის ემიგრაციით განპირობებული დანაკარგების კომპენსირება ამის ხარჯზე ვერ მოხდება.

ერთეულს თუ საჭიროდ მიაჩნია, შეუძლია ანგარიშში შეიტანოს სხვა, მისთვის მნიშვნელოვანი აქტივობაც.

I. მონაწილეობა მივიღე ორ (თსუ; სტუ) საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაში. თანამედროვე ეკონომიკის პრობლემებზე ჩემი მოსაზრებები გამოქვეყნდა პრესაში 50-ზე მეტ პუბლიკაციაში.
მიმდინარე წელს ორმა დისერტანტმა, ჩემი ხელმძღვანელობით, წარმატებით დაიცვა სადისერტაციო ნაშრომი ეკონომიკის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად.

II. ვარ „მსოფლიო ეკონომიკის მოკლე ისტორია“, ინგლისურიდან ქართულ ენაზე თარგმნის მთავარი და სამეცნიერო რედაქტორი. (ბეჭდვაში).

ასოცირებული პროფესორი ლელა ბახტაძე

№	**გარდამავალი (მრავალწლიანი)** პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი,	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	2	3	4
	საქართველოს ეკონომიკის კვარტალური მიმოხილვა. სოციალური მეცნიერებები - ეკონომიკა. პროექტი ხორციელდება შვედეთის საერთაშორისო განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს (SIDA) ფინანსური მხარდაჭერით ლელა ბახტაძე. ნაერთი ბიუჯეტი და სახელმწიფო ვალი.საქართველოს ეკონომიკის კვარტალური მიმოხილვა 2019 წლის III კვარტალი. საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო	2017-2020	ავტორთა ჯგუფი: მერაბ კაკულია, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი (ჯგუფის ხელმძღვანელი) ლელა ბახტაძე, ეკონომიკის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი, ნოდარ კაპანაძე, ექსპერტი
2	საქართველოს ეკონომიკის კვარტალური მიმოხილვა. სოციალური მეცნიერებები - ეკონომიკა. პროექტი ხორციელდება შვედეთის საერთაშორისო განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს (SIDA) ფინანსური მხარდაჭერით ლელა ბახტაძე. საბანკო სექტორი.საქართველოს ეკონომიკის კვარტალური მიმოხილვა 2019 წლის III კვარტალი. საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის	2017-2020	ავტორთა ჯგუფი: მერაბ კაკულია, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი (ჯგუფის ხელმძღვანელი) ლელა ბახტაძე, ეკონომიკის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი, ნოდარ კაპანაძე, ექსპერტი

3	1. Lela Bakhtadze. Consolidated Budget and State Debt. Quarterly Review of the Georgian Economy III Quarter of 2019. Yanuary 2020. e Georgian Foundation for Strategic and International Studies (Rondeli Foundation)	2017-2020	ავტორთა ჯგუფი: მერაბ კაკულია, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი (ჯგუფის ხელმძღვანელი) ლელა ბახტაძე, ეკონომიკის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი, ნოდარ კაპანაძე, ექსპერტი
4	1. Lela Bakhtadze. Banking Sector. Quarterly Review of the Georgian Economy III Quarter of 2019. Yanuary 2020. e Georgian Foundation for Strategic and International Studies (Rondeli Foundation) https://www.gfsis.org/files/library/pdf/English-2757.pdf	2017-2020	ავტორთა ჯგუფი: მერაბ კაკულია, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი (ჯგუფის ხელმძღვანელი) ლელა ბახტაძე, ეკონომიკის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი, ნოდარ კაპანაძე, ექსპერტი

გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2020 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია

საქართველოს ეკონომიკის კვარტალური მიმოხილვა წარმოადგენს საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდის (რონდელის ფონდის) ყოველკვარტალურ ელექტრონულ გამოცემას, რომელიც მიზნად ისახავს გააცნოს მკითხველს ქვეყნის ეკონომიკაში მიმდინარე პროცესები. მიმოხილვა ეყრდნობა როგორც ოფიციალური სტატისტიკის მონაცემებს, ისე ექსპერტულ შეფასებებს.

კვლევაში **„ნაერთი ბიუჯეტი და სახელმწიფო ვალი“** საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის და ავტორის გაანგარიშებების საფუძველზე გაანალიზებულია (ცალ-ცალკე) 2019 წლის III კვარტლის, საქართველოს ნაერთი ბიუჯეტის მთლიანი შემოსავლების დინამიკა და სტრუქტურა, როგორც ფინანსური და არაფინანსური აქტივებიდან, ისე საგადასახადო შემოსავლების ცალკეული სახეებიდან მობილიზებული სახსრების მიხედვით. გამოვლენილია მათი ზრდისა და კლების მიზეზები. გამოკვლეულია საქართველოს ნაერთი ბიუჯეტის ხარჯები ეკონომიკური და ფუნქციონალური კლაციფიკაციის მიხედვით. გაანალიზებულია 2006-2019 წლის III კვარტლის, საბიუჯეტო ხარჯების კვარტალური სტრუქტურა და დინამიკა. ახსნილია ხარჯების ზრდისა და შეცირების მიზეზები. დასაბუთებულია მათი ნეგატიური და პოზიტიური გავლენა ქვეყნის მაკროეკონომიკურ პოლიტიკაზე. გამოვლენილია ნაერთი ბიუჯეტის დადებითი და უარყოფითი სალდოს განმაპირობებელი ფაქტორები. გამოკვლეულია სახელმწიფო საშინაო და საგარეო ვალის სტრუქტურა და დინამიკა. ჩამოყალიბებულია დასკვნები საშინაო და საგარეო ვალდებულებიების ზრდის/შემცირების გამომწვევ ფაქტორებთან დაკავშირებით. ახსნილია სახელმწიფო ვალის ზრდისა და კლების განმაპირობებელი

გამოვლენილია კომერციული ბანკების არასაბანკო დეპოზიტების წლიური ზრდაზე/შემცირებაზე ეროვნულ ვალუტაში დენომინირებული დეპოზიტების ცვლილების მიზეზები. გაანალიზებულია კომერციული ბანკების არასაბანკო დეპოზიტების სტრუქტურა. ეროვნულ ვალუტაში განთავსებული დეპოზიტების დინამიკა და დეპოზიტების დოლარიზაციის მაჩვენებელის ცვლილების გამომწვევი ფაქტორები.

დადგენილია როგორ ზემოქმედებს ეროვნულ ვალუტაში არასაბანკო და საბანკო დეპოზიტების მთლიანი მოცულობის აღმავალ/დაღმავალ დინამიკაზე ვადიანი დეპოზიტების, მიმდინარე ანგარიშებსა და მოთხოვნამდე დეპოზიტებზე რიცხული თანხების ცვლილება. გაანალიზებულია კომერციულ ბანკებში ეროვნულ ვალუტაში განთავსებულ დეპოზიტებზე საშუალო წლიური საპროცენტო განაკვეთის ცვლილებები. შეფასებულია რა გავლენას ახდენს ეროვნულ ვალუტაში გაცემული სესხების წინმსწრები ზრდა, უცხოური ვალუტით გაცემულ სესხებთან შედარებით სესხების დოლარიზაციის მაჩვენებლზე. გაანალიზებულია დაკრედიტების მაჩვენებლები დარგობრივ ჭრილში ეკონომიკის სექტორების, იურიდიული და ფიზიკური პირების დაკრედიტების წილის მიხედვით. განსაზღვრულია საქართველოს ეროვნული ბანკის კრიტერიუმებით, უმოქმედო სესხები წილი მთლიან სესხებში; გაანალიზებულია კომერციული ბანკების მიერ ეროვნული და უცხოური ვალუტით გაცემული სესხების საშუალო წლიური საპროცენტო განაკვეთები ცვლილების მიზეზები.

5. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა უცხოეთში

№	ავტორი/ავტორები	კრებულის სახელ-წოდება, საერთაშორისო სტანდარტული	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1				

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ძირითადი ამოცანა პოსტინდუსტრიული ინფორმაციული ეპოქისთვის დამახასიათებელი ეკონომიკური ზრდის პრინციპულად ახალი ფაქტორების მაქსიმალურად გამოყენებაა. ეკონომიკის განვითარების ინოვაციურ გზაზე გადასვლის აუცილებლობა მოითხოვს სამეურნეო სუბიექტების ინოვაციური საქმიანობის გააქტიურებას, საწარმოს დონეზე შესაბამისი სამეცნიერო-ტექნიკური დამუშავების საინვესტიციო და სხვა პირობებს, რაც აუცილებლად განაპირობებს ეროვნული მეურნეობის რეორგანიზაციის შესაძლებლობას და მეცნიერებატევადი წარმოების განვითარების საფუძველზე მზარდი ჩამორჩენილობის დაძლევის შესაძლებლობას.სტატიიდან KE (ცოდნის ინდექსი) მიხედვით საქართველოს მაჩვენებლების ზრდა შესამჩნევია და ნათლად იკვეთება ბევრ კომპონენტში საქართველოს უპირატესობა. 2018 წელს ზრდადი მაჩვენებელი ინსტიტუციურ ნაწილში, ხოლო მცირე ქულა ,,ინოვაციური სისტემის'' კომპონენტზე გამოვლინდა, რომელიც მოიცავს საშუალო განათლების დონეს, არაფორმალურ სწავლებას და კვლევა და განვითარებაზე გაწეულ დანახარჯებს. რაც შეეხება 2011 წლიდან 2018 წლამდე არსებულ განსხვავებას, როგორც სტატიაშია ნაჩვენები, ყველაზე მნიშვნელოვანი მაჩვენებლით ცვლილება დადებითი მიმართულებით გამოიკვეთა მხოლოდ ICT (საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგია) ინფრასტრუქტურაში. საქართველო აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებს შორის ასევე მოწინავეა პირველ კომპონენტში ინსტიტუციების ნაწილში, მეორე კომპონენტში ,,ინოვაციის შესაძლებლობები'' წარმოდგენილ ქვეყნებს უსწრებს ბელორუსია, მესამე კომპონენტში ,,ინოვაციური სისტემის ფორმირება'' - აზერბაიჯანი, მეოთხე კომპონენტში ICT ინფრასტრუქტურის ფორმირება კვლავ ბელორუსია გვევლინება. ICT ინფრასტრუქტურის ფორმირებაში დიდი წვლილი მიუძღვის, რომელიც ხორციელდება ევროკავშირის მხარდაჭერის ფარგლებში და რომლის მიზანია ევროკავშირის ერთიანი ციფრული ბაზრის გაფართოება აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში, ციფრული ეკონომიკის და საზოგადოების პოტენციალის განვითარება ეკონომიკური ზრდის, მეტი სამუშაო ადგილის შექმნის, ადამიანთა ცხოვრების გაუმჯობესების და ბიზნესის დახმარების მიზნით. ამ ინიციატივის საშუალებით ევროკავშირი ხელს უწყობს მაღალსიჩქარიანი ფართოზოლოვანი სტრატეგიების გავრცელებას ეკონომიკის განვითარებისთვის და ელექტრონული სერვისების ფართოდ დასანერგად, კიბერ-უსაფრთხოების კოორდინირებას და ციფრული ჩარჩოს ჰარმონიზაციას საზოგადოებრივი ცხოვრების მრავალ სფეროში.

5.4. სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, დიგიტალური საიდენტიფიკაციო	ჟურნალის/კრებულის და სახელება და ნომერი/ტომი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	Lela Bakhtadze & Salome Danelia,	. "The Major Determinants of Innovative Environment Formation in	Economic Alternatives, University of National and World	Sofia, Bulgaria, issue 2, June. 2020	pages 243-249,

ასოცირებული პროფესორი თამაზ ზუბიაშვილი

6. **ბეჭდური პროდუქციის გამოცემა უცხოეთში**
6.4. სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI ან ISSN	ჟურნალის/ კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	თამაზ ზუბიაშვილი, მიხეილ ჩიკვილაძე	Some Issues of Tax Income in Georgia ISSN: 2344-2174	ECOFORUM, Volume 9, Issue 2, 2020	რუმინეთი	5
2	შოთა ვეშაპიძე, თამაზ ზუბიაშვილი	საქართველოს თანამედროვე გეოეკონომიკური საფუძვლების საწყისების შესახებ	ECOFORUM, Volume 9, Issue 2, 2020	რუმინეთი	5

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1. პოსტსაბჭოურ ეპოქაში საქართველოში მიმდინარე ეკონომიკური რეფორმის მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილი იყო საგადასახადო რეფორმა. დღემდე ის მრავალჯერ შეიცვალა. ეს პროცესი გრძელდება ამჟამადაც.

პოსტსაბჭოურ საქართველოში საგადასახადო პოლიტიკის ოპტიმალური ვარიანტის

ძიების მუდმივი პროცესი მიმდინარეობს. იცვლება, როგორც საგადასახადო მენეჯმენტი, ასევე გადასახადის სახეობები და განაკვეთები; სხვადასხვა დროს ამოქმედდა როგორც ფიქსირებული, ასევე დიფერენცირებული საგადასახადო განაკეთები; გადასახადების რიცხოვნობა 3-ჯერ და მეტად შემცირდა. ბიუჯეტის შემოსავლებში წამყვან პოზიციებზეა საშემოსავლო და დამატებული ღირებულების (დღგ) გადასახადები, მოგების გადასახადის მოცულობა კი შედარებით მოკრძალებულია.

ზოგადად, ბიზნესის განვითარება დამატებით სამუშაო ადგილებსა და მეტი გადასახადის მიღებას უზრუნველყოფს. თავის მხრივ, განვითარებული ბიზნესიც მეტ მოგებას იღებს. საქართველო ბიზნესის რეგისტრაციის რეიტინგში ერთ-ერთი ლიდერი ქვეყანაა მსოფლიოში, მაგრამ ბიზნესის წარმატებული საქმიანობა გადასახადების სიმარტივესთანაა დაკავშირებული.

ბოლო წლებში, საქართველოში გამოყენებული იქნა ესტონური გამოცდილება: რეინვესტირებული მოგება გადასახადისაგან განთავისუფლდა. ამან ბიზნესს დამატებითი სახსრები მისცა და განამტკიცა მისი მატერიალური ბაზა. შესაბამისად შემცირდა ბიუჯეტის შემოსავლები - მოგების გადასახადის მოცულობა. მოგვიანებით ეს „შეღავათები“ გავრცელდება მსხვილ ფინანსურ ინსტიტუტებზე, რომლებიც მოგების გადასახადის მთავარი გადამხდელები არიან.

საქართველოში, „ესტონური მოდელის“ მსგავსი საგადასახადო ცვლილებების სრულად ამოქმედების შემდეგ შესაძლებელი გახდება მიღებული შედეგების სრულყოფილად შეფასება. ამჟამად კი მოცემული ნაშრომის ფარგლებში, არსებულ ოფიციალურ სტატისტიკურ მასალებზე დაყრდნობით, შევეცდებით მიღებული შედეგების წინასწარ ანალიზს.

2. საქართველო არის ქვეყანა, რომელსაც ბოძებული აქვს ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობა, ნიადაგი, კლიმატური პირობები, ბუნებრივი და ცივილიზაციური რესურსები, კულტურა, ადამიანური კაპიტალი. საქართველო იმ უძველეს სატრანსპორტო გზაჯვარედინზე მდებარეობს, რომელიც აკავშირებდა და აკავშირებს ჩრდილოეთისა და სამხრეთის, დასავლეთისა და აღმოსავლეთის ქვეყნებს. მასზე გადიოდა ევროპა -აზიის დამაკავშირებელი სატრანსპორტო მაგისტრალი - ძველი აბრეშუმის გზა. საქართველო შავი ზღვის მოსაზღვრე ქვეყანაა. აღმოსავლეთით, აზერბაჯანის გავლით ქვეყანა ისტორიულად უკავშირდება კასპიის ზღვას და შემდეგ ცენტრალური და აღმოსავლეთ აზიის გვეყნებს. ასეთი მდებარეობა ქვეყანას ხელსაყრელ პირობებს უქმნის როქორც საერთაშორისო ეკონომიკის, ასევე მთლიანად ეკონომიკის განვითარებას. მიუხედავად ამისა, საქართველო ამ ხელსაყრელ პირობებს ხშირად ვერ იყენებდა. მრავალი საუკუნის მანძილზე ქვეყანა ფიზიკური და სულიერი გადარჩენისთვის იბრძოდა. არსებობისთვიც საჭირო ისტორიული ფუნქცია ქვეყანას ხშირად არ გააჩნდა, რაც მთლიანად განსაზღვრულია ქვეყნის ისტორიული ფუნქციით საერთაშორისო პოლიტიკურ, ეკონომიკურ, კულტურულ და რელიგიურ სისტემაში.

ვითარება შეიცვალა მას შემდეგ, რაც საქართველო შეუქცევადად დაადგა ევროატლანტიკურ ღირებულებებზე ორიენტირების გზას. ახლა საქართველოსთვის მნიშვნელოვანია სატრანსპორტო დერეფნის, მათ შორის არა მარტო ენერგომატარებლების გადაადგილების თვალსაზრისით, ფუნქციის შესრულება. ინტეგრაციული პროცესების გაძლიერების შედეგად ქვეყნის მთავარი სტრატეგიული პარტნიორები გახდნენ აშშ, ნატო, ევროკავშირი. საქართველო ხდება სხვადასხვა მსოფიო ძალების ეკონომიკური და პოლიტიკური ინტერესების ცენტრი. საქართველოს სახელმწიფოს, მისი სტრატეგიული პარტნიორების, საერთაშორისო ინვესტორების მიერ შემუშავებულია ანაკლიის

ღრმაწყლიანი პორტის, ასევე ბათუმის ტერმინალის საერთაშორისო სატრანზიტო პოტენციალის გაზრდის, და სხვა დიდი პროექტები, რაც დაინტერესებული მხარეების ინტერესების განხორციელების გრძელვადიან გარანტს წარმოადგენს.

საქართველო ევროპული კავშირის ასოცირებული წევრი გახდა. ქვეყნის მოქალაქეები უკვე სარგებლობენ ევროპასთან თავისუფალი ვაჭრობის და უვიზო მიმოსვლის რეჟიმით. საგრძნობლად განმტკიცდა და გაღრმავდა ურთიერთობა ჩვენს სტრატეგიულ მოკავშირესთან, ამერიკის შეერთებულ შტატებთან. ევროპის ქვეყნებში საქართველოს მოქალაქეებმა თავიანთი პროფესიული კვალიფიკაციის შესაბამის სამუშაო ადგილებზე ლეგალური დასაქმების უფლებას მიიღეს. სწორედ ასეთ გეოეკონომიკურ კონტექსტში შეიძლება გავიაზროთ საქართველოს წინსვლის გზები. ასეთი მიდგომით სახელმწიფო მნიშვნელოვან როლს შეასრულებს კავკასიის სუბრეგიონში ევროატლანტიკური პოლიტიკის, აგრეთვე ტრადიციული პარტნიორების და რეგიონის სხვა ქვეყნების ინტერესების განხორციელების მიზნით.

ასოცირებული პროფესორი შოთა ვეშაპიძე

6. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა უცხოეთში

6.4. სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI ან ISSN	ჟურნალის/ კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	შოთა ვეშაპიძე, ზურაბ მჭედლიშვილი	FROM ILIA CHAVCHAVADZE'S ECONOMIC VIEWS: COMPETITION, PRIVATE PROPERTY AND INTERNATIONAL TRADE ISSN: 2344-2174	ECOFORUM, [Volume 9, Issue 2(22), 2020]	რუმინეთი	5
2	შოთა ვეშაპიძე, თამაზ ზუბიაშვილი	საქართველოს თანამედროვე გეოეკონომიკური საფუძვლების საწყისების შესახებ	ECOFORUM, Volume 9, Issue 2, 2020	რუმინეთი	5
3	შოთა ვეშაპიძე	რელიგიისა და ეროვნული	**WORLD ECONOMY and INTERNATIONAL ECONOMIC**	უკრაინა	4

		ფასეულობების შესახებ საქართველოში	**RELATIONS. -International Scientific Collection -Vol. 3 /Scientific editors: Y. Kozak , T. Shengelia , A. Gribincea .- Kyiv – CUL, 2020. ISBN 978-611-01-1615-2.**		

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1. ილია ჭავჭავაძე დაიბადა საქართველოში, როდესაც ქვეყანა რუსეთის იმპერიაში შედიოდა. მან საფუძვლიანი იურიდიული და ეკონომიკური განათლება მიიღო. ილიამ შეიმუშავა ეროვნული ეკონომიკური დოქტრინა, რომელშიც დაასაბუთა თავისი ქვეყნის დამოუკიდებელი არსებობის, შრომის საერთაშორისო დანაწილებაში მონაწილეობის, სხვა ქვეყნებთან კარგი ურთიერთობების, ადამიანის უფლებების დაცვის აუცილებლობა და მათი მიღწევის გზები. ილიას მიერ შემუშავებულმა თეორიულმა დებულებებმა და პრინციპებმა, ახლა ქვეყნისთვის პრაგმატული მნიშვნელობა შეიძინა.

ილია ჭავჭავაძის მიერ შემუშავებული ქართული ეროვნული ეკონომიკური დოქტრინის მნიშვნელოვანი შემადგენლები, კონკურენცია, კერძო საკუთრება, ფრიტრედერიზმი, განხილულია როგორც ეკონომიკური განვითარების მასტიმულირებელი. არგუმენტირებული მსჯელობით ილია ჭავჭავაძე მხარს უჭერს სახელმწიფოს მხრიდან ეკონომიკაში ჩარევას იმ ზომით, რაც დაიცავს კონკურენტულ გარემოს და მისი მონაწილეების საქმიანობაზე დადებითად იმოქმედებს. ეს გზა ილიას მიაჩნდა უმთავრესად ქვეყნის მოქალაქეების კეთილდღეობის გაუმჯობესების, მათი უფლებების დაცის მიზნით. იგი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა მეწარმეობისთვის თავისუფალი ეკონომიკური გარემოს შექნას, საკუთრების უფლების დაცვას.

ილიამ დაასაბუთა, რომ „სხვა ქვეყნებთან კარგი ურთიერთობების გარეშე საქართველოს ხსნის გზა არ არსებობს.“ ამიტომ, მას, ქვეყნის ეკონომიკური განვითარების აუცილებელ პირობად მიაჩნდა მსოფლიო პროცესებში მონაწილეობა და ცივილიზებულ სამყაროსთან ინტეგრაციული კავშირების განმტკიცება.

2. საქართველო არის ქვეყანა, რომელსაც ბოძებული აქვს ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობა, ნიადგი, კლიმატური პირობები, ბუნებრივი და ცივილიზაციური რესურსები, კულტურა, ადამიანური კაპიტალი. საქართველო იმ უძველეს სატრანსპორტო გზაჯვარედინზე მდებარეობს, რომელიც აკავშირებდა და აკავშირებს ჩრდილოეთისა და სამხრეთის, დასავლეთისა და აღმოსავლეთის ქვეყნებს. მასზე გადიოდა ევროპა -აზიის დამაკავშირებელი სატრანსპორტო მაგისტრალი - ძველი აბრეშუმის გზა. საქართველო შავი ზღვის მოსაზღვრე ქვეყანაა. აღმოსავლეთით, აზერბაჯანის გავლით ქვეყანა ისტორიულად უკავშირდება კასპიის ზღვას და შემდეგ ცენტრალური და აღმოსავლეთ აზიის გვეყნებს. ასეთი მდებარეობა ქვეყანას ხელსაყრელ პირობებს უქმნის როქორც საერთაშორისო ეკონომიკის, ასევე მთლიანად ეკონომიკის განვითარებას. მიუხედავად ამისა, საქართველო ამ ხელსაყრელ პირობებს ხშირად ვერ იყენებდა. მრავალი საუკუნის მანძილზე ქვეყანა ფიზიკური და სულიერი გადარჩენისთვის იბრძოდა. არსებობისთვიც საჭირო ისტორიული ფუნქცია ქვეყანას ხშირად არ გააჩნდა, რაც მთლიანად განსაზღვრულია ქვეყნის ისტორიული ფუნქციით საერთაშორისო პოლიტიკურ, ეკონომიკურ, კულტურულ და

რელიგიურ სისტემაში.

ვითარება შეიცვალა მას შემდეგ, რაც საქართველო შეუქცევადად დაადგა ევროატლანტიკურ ღირებულებებზე ორიენტირების გზას. ახლა საქართველოსთვის მნიშვნელოვანია სატრანსპორტო დერეფნის, მათ შორის არა მარტო ენერგომატარებლების გადაადგილების თვალსაზრისით, ფუნქციის შესრულება. ინტეგრაციული პროცესების გაძლიერების შედეგად ქვეყნის მთავარი სტრატეგიული პარტნიორები გახდნენ აშშ, ნატო, ევროკავშირი. საქართველო ხდება სხვადასხვა მსოფიო ძალების ეკონომიკური და პოლიტიკური ინტერესების ცენტრი. საქართველოს სახელმწიფოს, მისი სტრატეგიული პარტნიორების, საერთაშორისო ინვესტორების მიერ შემუშავებულია ანაკლიის ღრმაწყლიანი პორტის, ასევე ბათუმის ტერმინალის საერთაშორისო სატრანზიტო პოტენციალის გაზრდის, და სხვა დიდი პროექტები, რაც დაინტერესებული მხარეების ინტერესების განხორციელების გრძელვადიან გარანტს წარმოადგენს.

საქართველო ევროპული კავშირის ასოცირებული წევრი გახდა. ქვეყნის მოქალაქეები უკვე სარგებლობენ ევროპასთან თავისუფალი ვაჭრობის და უვიზო მიმოსვლის რეჟიმით. საგრძნობლად განმტკიცდა და გაღრმავდა ურთიერთობა ჩვენს სტრატეგიულ მოკავშირესთან, ამერიკის შეერთებულ შტატებთან. ევროპის ქვეყნებში საქართველოს მოქალაქეებმა თავიანთი პროფესიული კვალიფიკაციის შესაბამის სამუშაო ადგილებზე ლეგალური დასაქმების უფლებას მიიღეს. სწორედ ასეთ გეოეკონომიკურ კონტექსტში შეიძლება გავიაზროთ საქართველოს წინსვლის გზები. ასეთი მიდგომით სახელმწიფო მნიშვნელოვან როლს შეასრულებს კავკასიის სუბრეგიონში ევროატლანტიკური პოლიტიკის, აგრეთვე ტრადიციული პარტნიორების და რეგიონის სხვა ქვეყნების ინტერესების განხორციელების მიზნით.

3. დიდი და მცირე ერების სულიერი და ეროვნული ფასეულობების, მათი მრავალფეროვნების და კულტურის დაცვაში გადამწყვეტ როლს ასრულებს რელიგია. იმის გამორკვევას, როგორ მიმართებაშია რელიგიასთან ქართული კულტურა და ეროვნული ფასეულობები ეძღვნება უწმიდესი და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის შრომები, რომელმაც ჩამოაყალიბა ქართველი ერის ეროვნული თვითმყოფადობის დაცვის დოქტრინა თანამედროვე გლობალიზაციის პირობებში.

აღნიშნული დოქტრინის მიხედვით, მსოფლიოს გადასარჩენად მნიშვნელოვანია ჩამოყალიბდეს ღირებულებათა საერთო სისტემა, რომელიც მისი ზნეობრივი ღერძის ფუნქციას შეასრულებს. ამასთან, უნდა მივაღწიოთ კულტურათა და რელიგიათა შორის დიალოგს ისე, რომ ყველა ერმა თავისი რელიგია შეინარჩუნოს. სწორედ ასეთ პირობებშია შესაძლებელი ჩამოვაყალიბოთ, მივიღოთ და განვახორციელოთ ყველასათვის ერთიანი ღირებულებები.

ასევე მნიშვნელოვანია სახელმწიფოებრივი აზროვნების ჩამოყალიბება, საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების გონივრულ გადაწყვეტა, თანამედროვე ტექნოლოგიებსა და მიღწევებზე დაფუძნე¬ბული ქართული სახელმწიფოს შექმნა, განათლების, ინდუსტრიის, სოფლის მეურნეობის, მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარება, ქვეყნის სამეცნიერო და ეკონომიკური მიღწევების გონივრულად გამოყენება. ეროვ¬ნულ ინტერესებს უნდა ეფუძნეობდეს ეროვნული ეკონომიკური ფასეულობები.

სტატიაში ასევე განხილულია, ილია II-ის შეხედულებანი, ადამიანის როგორც ყველაზე უმთავრესი ღირებულების შესახებ, ქვეყნების მშვიდობიან თანაარსებობაზე, კატეგორიულ აზროვნებასა და ძალის პოზიციით მოქმედებაზე უარის თქმაზე, გლობალიზაციის პროცესში შესაძლო გონივრული კორექტივების შეტანაზე. და ეს ყველაფერი უნდა ეფუძნებოდე სადეკვატურ განათლებას, ძნეობრივ ღირებულებებს, ეროვნულ ფასეულობებს.

ასოცირებული პროფესორი ლელა ჯამაგიძე

6. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა უცხოეთში

6.4. სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI ან ISSN	ჟურნალის/ კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	ლელა ჯამაგიძე	Policy responses to trade shocks in the time of pandemic ISBN 978-9984-774-27-5 ISBN 978-9984-774-28-2 (PDF)	Collective monograph "STRATEGIES, MODELS AND TECHNOLOGIES OF ECONOMIC SYSTEMS MANAGEMENT IN THE CONTEXT OF INTERNATIONAL ECONOMIC INTEGRATION"	ლატვიის მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტი, რიგა, ლატვია	10
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე) სტატიაში განხილულია პანდემიით განპირობებული მიწოდებისმხრივი და მოთხოვნისმხრივი შოკები მსოფლიო ბაზარზე; შესწავლილია სავაჭრო პოლიტიკის საპასუხო ცვლილებები და ჩამოყალიბებულია რამდენიმე რეკომენდაცია კრიზისის დაძლევისთვის სავაჭრო პოლიტიკის ღონისძიებების გამოყენების შესახებ.					

7. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

7.1. საქართველოში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	ლელა ჯამაგიძე	გლობალური სავაჭრო ნაკადები პანდემიის პირობებში	მე- 3 ეროვნული სამეცნიერო კონ ფერენცია „კორონომიკა: ეკონომიკური მეცნიერების და ეკონომიკური პოლიტიკის თანამედროვე გამოწვევები“, 11.09.2020, თბილისი საქართველო

მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა)

ნაშრომში ყურადღება ეთმობა პანდემიის ვაჭრობაზე გავლენის შემდეგ უმნიშვნელოვანეს ფაქტორებს: 1) სავაჭრო დანახარჯების ზრდა, რაშიც სატრანსპორტო, ტრანზაქციური და სავაჭრო ბარიერებთან დაკავშირებული დანახარჯები იგულისხმება. მათი ზრდა პრობლემებს გლობალურ ღირებულებათა ჯაჭვში ქმნის და მიწოდებას ზღუდავს; 2) ჩინეთის ფაქტორი; ის ფაქტი, რომ პანდემიასთან დაკავშირებული მოვლენების ცენტრში ჩინეთია, რომელიც სამრეწველო საქონლის მსოფლიო ბაზრების უდიდეს მიმწოდებელ ქვეყანას წარმოადგენს, საერთაშორისო ვაჭრობის შემცირების დამატებითი განმაპირობებელია; 3) მოთხოვნის დაცემა საყოველთაო სოციალური დისტანცირების კიდევ ერთი უარყოფითი ფაქტორია საერთაშორისო ვაჭრობისთვის.

წარმოდგენილ ნაშრომში შესწავლილია სამრეწველო, სასოფლოსამეურნეო და მომსახურების შერჩეულ სექტორებში მსოფლიო ექსპორტ-იმპორტის ნაკადები და მათზე პანდემიის გავლენის შედეგები. კვლევა ეყრდნობა ავტორიტეტული საერთაშორისო ორგანიზაციების ოფიციალურ ანგარიშებში მოცემული ინფორმაციას და საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ სტატისტიკური მონაცემების ანალიზს. გლობალური სავაჭრო ნაკადების კონტექსტში შესწავლილია, ასევე, საქართველოს ექსპორტ-იმპორტის ნაკადები პანდემიის პირობებში.

ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულება აერთიანებს რვა კათედრას:

1. ***ფინანსებისა და საბანკო საქმე;***
2. ***ბუღალტრული აღრიცხვა და აუდიტი;***
3. ***საერთაშორისო ბიზნესი;***
4. ***მენეჯმენტი და ადმინისტრირება;***
5. ***გლობალურ გარემოში მენეჯმენტის;***
6. ***მარკეტინგი;***
7. ***ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტი;***
8. ***ინფორმაციული ტექნოლოგიები ეკონომიკასა და ბიზნესში.***

I. 1. სამეცნიერო ერთეულის (დეპარტამენტი, ინხტიტუტი, განყოფილება, ლაბორატორია) დასახელება*:* ***ფინანსები და საბანკო საქმის კათედრა***

2. სამეცნიერო ერთეულის ხელმძღვანელი: ***პროფესორი ირაკლი კოვზანაძე***

3. სამეცნიერო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა:

ასოცირებული პროფესორი ხათუნა ბარბაქაძე
ასოცირებული პროფესორი მაია გოგოხია
ასოცირებული პროფესორი მიხეილ ჩიკვილაძე
ასოცირებული პროფესორი ლეილა ღუდუშაური
ასისტენტ პროფესორი ნატო კაკაშვილი
ასისტენტ პროფესორი თამარ კბილაძე

პროფესორი ირაკლი კოვზანაძე

5. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში

5.5. სტატიები ISSN-ის მითითებით

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათა-ური, ISSN	ჟურნალის/ კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	ირაკლი კოვზანაძე	„ეკონომიკის გამოწვევები და პერსპექტივები COVID-19 ინფექციის ფონზე“ ISSN 1987-5789	„ეკონომიკა და ბიზნესი“, ტომი XII	თბილისი	6
2	Irakli Kovzanadze	„Economic Challenges During COVID-19 and Post-Pandemic Era“	“Economy and Business”	თბილისი გადაცემულია დასაბეჭდად	

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1. **ეკონომიკის გამოწვევები და პერსპექტივები COVID-19 ინფექციის ფონზე**

პანდემიამ მსოფლიო ეკონომიკა რეცესიის ფაზაში შეიყვანა. მისი გავლენა უფრო ძლიერი და მტიკვნეული არის და იქნება, ვიდრე 2008 წელს დაწყებული ფინანსური კრიზისი, ან თუნდაც 2014 წლის ეკონომიკური მოვლენები. კორონავირუსი მნიშვნელოვან ზემოქმედებას ახ დენს ტრადიციულ მსოფლიო ეკონომიკურ წესრიგზე, პროცესებზე, ცვლის და მომავალში კიდე ვ უფრო შეცვლის მას.ჩვენ საქმე გვაქვს, ეკონომიკური თვალსაზრისით, უპრეცენდენტო მოვლე ნასთან, როდესაც დარტყმა ეკონომიკაზე ხორციელდება ორი მხრიდან - მოთხოვნის შოკისა და მიწოდების შოკის სახით. ამასთანავე, არაორდინალურია მიზეზიც, რაც არის არა მაკროეკონომიკური, ფისკალური, მონეტარული, ან თუნდაც დარგობრვი, არამედ მიზეზი დევს საზოგადოებრივ ჯანდაცვაში.

შეიძლება ითქვას–მყიფე გაურკვეველი, არაპროგნოზირებადი ეკონომიკური ვითარებით და აბსოლუტურად მოუმზადებელი დახვდა მსოფლიო კოვიდინფექციის გამოჩენას. პანდემიამ შეაჯანჯღარა მსოფლიო, პარალიზება გაუკეთა და ძირს დაანარცხა ეკონომიკები.

შეფასების გაკეთება ჯერ კიდევ ნადრევია, პროგნოზის გაკეთება კი ძალზედ სარისკო, თუმცა სა ერთაშორისო სავალუტო ფონდის, მსოფლიო ბანკის, ევროპის რეკონსტრუქციის და განვითარების ბანკის, აშშ–ს ვაჭრობის დეპარტამენტის, აშშ-ს შრომის დეპარტამენტის, ასევე ავტორიტეტული კვლევითი ორგანიზაციების მონაცემებით გარკვეული სურათი უკვე გამოიკვეთა.ამ რეალობების და გამოწვევების წინაშე დგას დღეს მსოფლიო და მათ შორის საქართველო.

სტატიაში განხილული და გაანალიზებულია მსოფლიო ეკონომიკების (მათ შორის საქართველოს) პანდემიის წინა მდგომარეობა და კორონავირუსის გავრცელებით გამოწვეული

ეკონომიკური პრობლემები, რეალობები და პერსპექტივები. **2. Economic Challenges During COVID-19 and Post-Pandemic Era** Condition of world economies in the pre-pandemic state is discussed and analysed in the present article on the grounds of statistical data released by various countries, along with the economic challenges caused by the spread of COVID-19, with realities and prospects for future. Article also conveys information on the anti-crisis measures in monetary, fiscal and social dimensions designed by governments of various countries, including Georgia. What is most important, it elaborates on the efforts intended to overcome the negative consequences of the crisis.

ასოცირებული პროფესორი ხათუნა ბარბაქაძე

6. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა უცხოეთში

6.4. სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI ან ISSN	ჟურნალის/ კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	ნატო კაკაშვილი ხათუნა ბარბაქაძე	**სადაზღვევო კომპანიების ფინანსური ნაკადების შესახებ** **ISSN – 2587 - 5000**	სამეცნიერო ჟურნალი „ეკონომიკა და ფინანსები“	თბილისი გამომცემლობა: „დანი“	10 გვ
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)					

7. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

7.1. საქართველოში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	ნატო კაკაშვილი ხათუნა ბარბაქაძე	**სამეწარმეო რისკების დაზღვევის თავისებურებები საქართველოში**	6 ნოემბერი 2020 წელი. თბილისი. თსუ.
მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა)			

7.2. უცხოეთში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	ნატო კაკაშვილი ხათუნა ბარბაქაძე	**სადაზღვევო კომპანიების ფინანსური ნაკადების შესახებ**	21-23 თებერვალი 2020 წელი. ბაქო.

მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა)

ასოცირებული პროფესორი მაია გოგოხია

5. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში
5.5. სტატიები ISSN-ის მითითებით

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათა-ური, ISSN	ჟურნალის/ კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	მ .გოგოხია მ.გოგოხია	კომერციული ბანკების მართვის ზოგიერთი თანამედროვე ტენდენცია ISSN 1987-5789 ESSN 2587-5426	„ეკონომიკა და ბიზნესი“, ტომი 12, N1, 2020	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობის სტამბა	გვ.116-122
2		საბანკო საქმიანობის სრულყოფის მიმართულებები თანამედროვე ეტაპზე ISSN 1987-5789 ESSN 2587-5426	“ეკონომიკა და ბიზნესი“, ტომი12, N3, 2020	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობის სტამბა	

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

კომერციული ბანკების მართვის ზოგიერთი თანამედროვე ტენდენცია

ბანკების საქმიანობაში თანამედროვე ეტაპისათვის ნიშანდობლივი ტენდენციები განპირობებულია მსოფლიო ეკონომიკაში მიმდინარე ისეთი პროცესებით, როგორიცაა გლობალიზაცია, ასევე ბოლო პერიოდში განვითარებული მსოფლიო ფინანსური კრიზისი. ამასთან დაკავშირებით, სტატიაში განხილულია საბანკო კაპიტალის კონსოლიდაციის ფაქტორები, ბაზელი 4 – 2008-2009 წწ. კრიზისის საპასუხოდ, რისკმენეჯმენტი, რომლის როლი სულ უფრო და უფრო იზრდება, აგრეთვე ყურადღება გამახვილებულია დეპოზიტების დაზღვევის სისტემის მნიშვნელობაზე.

საბანკო საქმიანობის სრულყოფის მიმართულებები თანამედროვე ეტაპზე

საბანკო სექტორი საფინანსო-საკრედიტო სისტემის ორგანულ ნაწილს წარმოადგენს. შესაბამისად, ქვეყანაში ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობისათვის აუცილებელია ეკონომიკის რეალური და საფინანსო სექტორების ურთიერთქმედების ახალ ეტაპზე გადაყვანა, რაც გამოიხატება ინვესტირების გაზრდით წარმოების რესტრუქტურიზაციისა და მრეწველობის ძირითადი ფონდების განახლებისათვის.

იმის გამო, რომ საქართველოში ფასიანი ქაღალდების ბაზარი თითქმის განუვითარებელია, ანაბრები ბანკებში ფინანსური რესურსების მობილიზაციის უპირატესი ფორმაა. ამიტომ ბანკების ამოცანაა სახსრების მოზიდვის ისეთი ფორმების შექმნა, რაც რეალურად დააინტერესებს კლიენტებს და ჩამოუყალიბებს მათ დაზოგვის ჩვევას, რომელიც ეკონომიკის ინვესტიციურ შესაძლებლობებს განსაზღვრავს. ეკონომიკის სამრეწველო სექტორთან ბანკების ურთიერთქმედების საფუძველს სწორედ მათი საკრედიტო-საინვესტიციო და სადეპოზიტო-აკუმულაციური სტრატეგია წარმოადგენს.

ფულის ბაზრის განსხვავება ყველა სხვა ბაზრისაგან, მისი მონოპოლიური ხასიათია, მონოპოლისტი ჩვეულებრივ ეროვნული ბანკია. ქართულ სინამდვილეში, ინფლაცია უკვე დიდი ხანია მხოლოდ იცვლის თავის სიდიდესა და ფორმას. ინფლაციური მოლოდინი ძალზედ მაღალია, რაც თავისთავად ძლიერი ინფლაციური ფაქტორია. სუსტი ეკონომიკისათვის ინფლაცია საშიშია, მაგრამ, მეორე მხრივ, რთულ პრობლემებს ქმნის ინფლაციის შეზღუდვაც.

ამგვარად, ქვეყნის ეკონომიკური განვითარება დიდად არის დამოკიდებული საბანკო სექტორის ეფექტიან საქმიანობაზე. შესაბამისად, სტატიაში განხილულია საბანკო საქმიანობის სრულყოფის მიმართულებები და პერსპექტივები, საკრედიტო–საინვესტიციო პოტენციალის ამაღლების გზები და სხვ.

7. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

7.1. საქართველოში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	მ. გოგოხია	ფინანსური ბაზრის რეგულირების ზოგიერთი საკითხი	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი, თბილისი, 2020, 17-18 ოქტომბერი
მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა)			

ასოცირებული პროფესორი მიხეილ ჩიკვილაძე

4.ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში

4.5. სტატიები ISSN-ის მითითებით

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათა-ური, ISSN	ჟურნალის/ კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	მიხეილ ჩიკვილაძე	საგადასახადო შემოსავლების ზოგიერთი საკითხები	ჟურნალი ეკოფორუმი 2020	თბილისი	

5.ბეჭდური პროდუქციის გამოცემა უცხოეთში

6. სამეცნიეროფორუმებისმუშაობაშიმონაწილეობა

6.1.საქართველოში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენებისსათაური	ფორუმისჩატარების დროდაადგილი
1	მიხეილ ჩიკვილაძე	2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების მიმდინარეობა და 2021 წლის პროგნოზი	თბილისი, თსუ, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი გლობალიზაციის გამოწვევებიეკონომიკასა და ბიზნესში. V საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია. 6 ნოემბერი,2020
2	მიხეილ ჩიკვილაძე	ახალი კორონა ვირუსის (კოვიდ-19) თანამედროვე გამოწვევები,ეკონომიკის პრობლემები	თბილისი თსუ მესამე ეროვნული სამეცნიერო კონფერენცია(ეკონომიკა 2,ეკონომიკური მეცნიერების,ეკონომიკური პოლიტიკის თანამედროვე გამოწვევები. მიძღვნილი ნოდარ ხადურის ხსოვნისადმი)
მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა)			

ასისტენტ პროფესორი ნატო კაკაშვილი

5.ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში

5.5. სტატიებიISSN-ის მითითებით

№	ავტორი/ ავტორები	სტატიისსათა-ური, ISSN	ჟურნალის/ კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი	გამოცემისადგილი, გამომცემლობა	გვერდებისრაოდენობა
1	ნატო კაკაშვილი	**სადაზღვევო კომპანიების ფულადი ნაკადების შესახებ**	განვითარების ინსტიტუტი „ეკონომიკა და ფინანსები“ საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „მეცნიერება პრაქტიკისა და განვითარებისთვის“	UDC (უაკ)050:[33+336] ISSN-2587-5000. **21-23 თებერვალი,2020;** გვ. 24-32; ბაქო, აზერბაიჯანი	
ვრცელიანოტაცია (ქართულენაზე)					

7. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

7.1.საქართველოში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	**ნატო კაკაშვილი** ხათუნა ბარბაქაძე	**სამეწარმეო რისკების დაზღვევის თავისებურებები საქართველოში**	თსუ.მე-5 საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია: “გლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში”.**6 ნოემბერი,2020;** https://www.facebook.com/TbilisiStateUniversity
			ეკონომიკის კვლევის და
მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა)			

7.2.უცხოეთში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენებისსათაური	ფორუმისჩატარების დროდაადგილი
1	**ნატო კაკაშვილი**	**სადაზღვევო კომპანიების ფულადი ნაკადების შესახებ**	განვითარების ინსტიტუტი „ეკონომიკა და ფინანსები“ საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „მეცნიერება პრაქტიკისა და განვითარებისთვის“ UDC (უაკ)050:[33+336] ISSN-2587-5000. **21-23 თებერვალი,2020;** გვ. 24-32; ბაქო, აზერბაიჯანი
მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ			

გამოქვეყნებულა)

ასისტენტ პროფესორი თამარ კბილაძე

3. უცხოური გრანტებით დაფინანსებული სამეცნიერო პროექტები

3.1. გარდამავალი პროექტი

№	გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი, დამფინანსებელი ორგანიზაცია/ სამეცნიერო ფონდი, ქვეყანა	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	ევროკომისიის გრანტი, ERASMUS + KA 107, კობლენცის უნივერსიტეტი, გერმანია, ბიზნესისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი	2020 წელი	თამარ კბილაძე - გრანტის მფლობელი
2	ERASMUS + KA 107 რჟეშოვის ტექნოლოგიების უნივერსიტეტი, პოლონეთი, მენეჯმენტის ფაკულტეტი	2020 წელი	თამარ კბილაძე - გრანტის მფლობელი
გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2020 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)			

3.2. დასრულებული პროექტი

№	დასრულებული (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი, დამფინანსებელი ორგანიზაცია/სამეცნიერო ფონდი, ქვეყანა	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

1	კავკასიის ონლაინ საზაფხულო სკოლა- 2020, Global Job Skills – Leadership and Employability, კობლენცის უნივერსიტეტი, ბიზნესისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი, გერმანია, ფედერალური საგარეო ოფისის გრანტი.	2020	თამარ კბილაძე, მონაწილე
დასრულებული კვლევითი პროექტის 2020 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)			

7. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

7.2. უცხოეთში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1 2 3	თამარ კბილაძე	National and International Employment Challenges Related to Pandemic	4-12 სექტემბერი, 2020 კობლენცის უნივერსიტეტი, გერმანია
მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა)			

I. 1. სამეცნიერო ერთეულის (დეპარტამენტი, ინსტიტუტი, განყოფილება, ლაბორატორია) დასახელება ***ბუღალტრული აღრიცხვის და აუდიტის კათედრა***

I. 2. სამეცნიერო ერთეულის ხელმძღვანელი ***პროფესორი ლევან საბაური***

I. 3. სამეცნიერო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა:

ნადეჟდა კვატაშიძე ასოცირებული პროფესორი
ნანა სრესელი ასოცირებული პროფესორი
იზოლდა ჭილაძე ასოცირებული პროფესორი
მარინა მაისურაძე ასოცირებული პროფესორი
მერაბ ჯიქია ასოცირებული პროფესორი
მარიამ ვარდიაშვილი ასოცირებული პროფესორი
ლია კოზმანაშვილი ასისტენტ-პროფესორი

პროფესორი ლევან საბაური

5. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში

5.5. სტატიები ISSN-ის მითითებით

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათა-ური, ISSN	ჟურნალის/ კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	**ლ.საბაური** ნ.კვატაშიძე	Some aspects of loan and equity financial instruments (სასესხო და წილობრივი ფინანსური ინსტრუმენტების ზოგიერთი ასპექტის შესახებ) ISSN 1987-5789 ESSN 2587-5426	ჟურნალი ბიზნესი და ეკონომიკა. 2020 # 1	თბილისი, თსუ	7
ფინანსური ინსტრუმენტები არის ნებისმიერი ხელშეკრულება, რომელიც წარმოშობს როგორც ერთი საწარმოს ფინანსურ აქტივს, ასევე მეორე საწარმოს ფინანსურ ვალდებულებას ან წილობრივ ინსტრუმენტს. ხშირ შემთხვევაში ხელშეკრულებაში ნათლად არ ჩანს რასთან აქვს საწარმოს საქმე - ფინანსურ ვალდებულებასთან, თუ წილობრივ ინსტრუმენტთან. სასესხო და წილობრივი ინსტრუმენტების ემისია ხდება სხვადასხვა პირობებით, რაც განსაზღვრავს ინსტრუმენტის რეალურ ეკონომიკურ შინაარს. მათი აღიარების, შეფასების და აღრიცხვის წესი მნიშვნელოვნად განსხვავდება, ხოლო მათი სწორი კლასიფიკაცია გავლენას ახდენს ფინანსურ კოეფიციენტებზე და ფინანსური ინფორმაციის მომხმარებლების მიერ გაკეთებულ დასკვნებზე და მიღებულ გადაწყვეტილებებზე. ამდენად, მნიშვნელოვანია ყველა ფინანსური ინსტრუმენტების სწორად იდენტიფიცირება, შეფასება და ასახვა ფინანსურ ანგარიშგებაში.				

7. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

7.1. საქართველოში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	**ლ.საბაური** ნ.კვატაშიძე	ბილოგიური აქტივების აღიარებისა და შეფასების საკითხები	თბილისი. თსუ 2020
ნაშრომში განხილულია ბიოლოგიური აქტივების კატეგორიის შინაარსი, შეფასების და ფინანსური შედეგების ანგარიშგებაში ასახვისა და კლასიფიკაციის საკითხები ბასს 41 - სოფლის მეურნეობის, შესაბამისად. კვლევის მიზანია: სააღრიცხვო-საინფორმაციო სისტემის სრულყოფის მიზნებისათვის ბიოლოგიური აქტივების კატეგორიების შესწავლა და დაზუსტება-გაფართოება; რეალური ღირებულების ცვლილებებით მიღებული ფინანსური შედეგების მიმდინარე პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში ასახვის შერჩეული მეთოდის დასაბუთება და ფინანსური ანგარიშგების			

განმარტებით შენიშვნებში გამჟღავნება; ბიოლოგიური აქტივების წარდგენის კლასიფიკაციის იერარქიის დახვეწა და შესაბამისი ინფორმაციის ასახვა. კვლევის დროს გამოყენებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს სახელმძღვანელო-სარეკომენდაციაო მასალები, სამეცნიერო სტატიები, მონოგრაფიები, სისტემატიზაციის და შედარების მეთოდები. კვლევის შედეგები: განზოგადოებულია ბიოლოგიური აქტივების ბუნება და მისი საკლასიფიკაციო ჯგუფები; დასაბუთებულია რეალური ღირებულების ცვლილებების ასახვის შესაძლებლობა სხვა სრულ შემოსავლებში; შემოთავაზებულია მმართველობითი აღრიცხვისათვის ბიოლოგიური აქტივების იერარქია.

ასოცირებული პროფესორი მარინა მაისურაძე

5. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში
5.4. სტატიები ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდის (DOI) მითითებით

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათა-ური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI	ჟურნალის/ კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1 2 3	მარინა მაისურაძე, მარიამ ვარდიაშვილი	კონტროლის კონცეფციის ძირითადი საკითხები საწარმოთა გაერთიანებისას ფასს 10-ის მიხედვით	V საერთაშორისო კონფერენცია, გლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში, შრომების კრებული	საქართველო, თბილისი, 6 ნოემბერი, 2020	5
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე) ფასს 10 - „კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება“ განსაზღვრავს ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პრინციპებს ისეთი შემთხვევებისთვის, როდესაც საწარმო აკონტროლებს ერთ ან რამდენიმე სხვა საწარმოს. შესაბამისად, ნაშრომში განხილულია თანამედროვე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადების ძირითადი პრინციპი რომლის მიხედვითაც განისაზღვრება, აქვს თუ არა ინვესტორს (მშობელი კომპანია) კონტროლი ინვესტიციაზე (შვილობილი კომპანიები). ინვესტორს გააჩნია კონტროლი ინვესტირებულ საწარმოზე, თუ ინვესტორი ექვემდებარება რისკებს, რომლებიც დაკავშირებულია ინვესტირებულ საწარმოში მისი მონაწილეობიდან ცვალებადი შემოსავლების მიღებასთან, ან გააჩნია ინვესტირებული საწარმოდან ცვალებადი შემოსავლების მიღების უფლება და ასევე ამ შემოსავლების სიდიდეზე გავლენის მოხდენის შესაძლებლობა, ინვესტირებულ საწარმოსთან მიმართებით თავისი უფლებამოსილების				

მეშვეობით.
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მიზნად ისახავს მომხმარებლებისთვის ინფორმაციის წარდგენას კომპანიების ჯგუფის შესახებ ისე, რომ ინფორმაცია რამდენიმე კომპანიის შესახებ აღიქმებოდეს, როგორც ერთიანი მოქმედი სუბიექტი. ნაშრომის მიზანია კონტროლის კონცეფციის გამოყენების ხასიათის შესწავლა, რომელიც საფუძვლად უდევს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებას.
საწარმოთა გაერთიანების დროს კონტროლის განხორციელების შესაფასებლად გამოყენებული კრიტერიუმები განხილულია ფასს 10-ის „კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება“ მიხედვით

ასოცირებული პროფესორი ნადეჟდა კვატაშიძე

5. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში

5.5. სტატიები ISSN-ის მითითებით

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათა-ური, ISSN	ჟურნალის/ კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	ლ.საბაური ნ.კვატაშიძე	Some aspects of loan and equity financial instruments (სასესხო და წილობრივი ფინანსური ინსტრუმენტების ზოგიერთი ასპექტის შესახებ) ISSN 1987-5789 ESSN 2587-5426	ჟურნალი ბიზნესი და ეკონომიკა. 2020 # 1	თბილისი, თსუ	7

ფინანსური ინსტრუმენტები არის ნებისმიერი ხელშეკრულება, რომელიც წარმოშობს როგორც ერთი საწარმოს ფინანსურ აქტივს, ასევე მეორე საწარმოს ფინანსურ ვალდებულებას ან წილობრივ ინსტრუმენტს. ხშირ შემთხვევაში ხელშეკრულებაში ნათლად არ ჩანს რასთან აქვს საწარმოს საქმე - ფინანსურ ვალდებულებასთან, თუ წილობრივ ინსტრუმენტთან. სასესხო და წილობრივი ინსტრუმენტების ემისია ხდება სხვადასხვა პირობებით, რაც განსაზღვრავს ინსტრუმენტის რეალურ ეკონომიკურ შინაარს. მათი აღიარების, შეფასების და აღრიცხვის წესი მნიშვნელოვნად განსხვავდება, ხოლო მათი სწორი კლასიფიკაცია გავლენას ახდენს ფინანსურ კოეფიციენტებზე და ფინანსური ინფორმაციის მომხმარებლების მიერ გაკეთებულ დასკვნებზე და მიღებულ გადაწყვეტილებებზე. ამდენად, მნიშვნელოვანია ყველა ფინანსური ინსტრუმენტების სწორად იდენტიფიცირება, შეფასება და ასახვა ფინანსურ ანგარიშგებაში.

7. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

7.1. საქართველოში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1 2	ლ.საბაური ნ.კვატაშიძე	ბიოლოგიური აქტივების აღიარებისა და შეფასების საკითხები	თბილისი. თსუ 2020
ნაშრომში განხილულია ბიოლოგიური აქტივების კატეგორიის შინაარსი, შეფასების და ფინანსური შედეგების ანგარიშგებაში ასახვისა და კლასიფიკაციის საკითხები ბასს 41 - სოფლის მეურნეობის, შესაბამისად. კვლევის მიზანია: სააღრიცხვო-საინფორმაციო სისტემის სრულყოფის მიზნებისათვის ბიოლოგიური აქტივების კატეგორიების შესწავლა და დაზუსტება-გაფართოება; რეალური ღირებულების ცვლილებებით მიღებული ფინანსური შედეგების მიმდინარე პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში ასახვის შერჩეული მეთოდის დასაბუთება და ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში გამჟღავნება; ბიოლოგიური აქტივების წარდგენის კლასიფიკაციის იერარქიის დახვეწა და შესაბამისი ინფორმაციის ასახვა. კვლევის დროს გამოყენებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს სახელმძღვანელო-სარეკომენდაციაო მასალები, სამეცნიერო სტატიები, მონოგრაფიები, სისტემატიზაციის და შედარების მეთოდები. კვლევის შედეგები: განზოგადოებულია ბიოლოგიური აქტივების ბუნება და მისი საკლასიფიკაციო ჯგუფები; დასაბუთებულია რეალური ღირებულების ცვლილებების ასახვის შესაძლებლობა სხვა სრულ შემოსავლებში; შემოთავაზებულია მმართველობითი აღრიცხვისათვის ბიოლოგიური აქტივების იერარქია.			

ასოცირებული პროფესორი ნანა სრესელი
ასოცირებული პროფესორი მერაბ ჯიქია

ასოცირებული პროფესორიიზოლდა ჭილაძე
5. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში

5.5. სტატიები ISSN-ის მითითებით

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათა-ური, ISSN	ჟურნალის/ კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	ი. ჭილაძე	სტატია: „ბიზნესის ფინანსური სტაბილურობის თანამედროვეგამოწვევები საქართველოს საწარმოებში“ დაბეჭდილია ჟურნალში:	ჟურნალი „გლობალიზაცია და ეკონომიკა“ N9. გვ:135-147.	თბილისი, https://eugb.ge/view_archive. php?cat=9	12

		„გლობალიზაცია და ეკონომიკა“. TO IMPROVE THE ANALYSIS OF THE FINANCIAL SECURITY OF THE BUSINESS IN GEORGIAN ENTERPRISES ISSN 2449-2396 და ISSN 2612			

ნაშრომის მიზანია საწარმოთა ფინანსური სტაბილურობის განმტკიცების იმ ძირითადი ფაქტორების ანალიზის სრულყოფა, რომლებიც გავლენას ახდენს საქართველოში საწარმოების (გარდა ფინანსური სექტორისა) მდგრადი ზრდის ტენდენციის დამკვიდრებაზე. პასუხი გაეცეს კითხვას, რა ფინანსური გამოწვევების წინაშე დგას დღეს საწარმოები საქართველოში და შესაბამისად შემუშავებულ იქნეს ბიზნესის ფინანსური სტაბილურობის ამაღლების, გადახდისუნარიანობის ზრდისა და გაკოტრების რისკების შერბილების პრაქტიკული ხასიათის რეკომენდაციები.

კვლევის საგანია საანალიზო საწარმოთა ფინანსური პოზიციები და ფინანსური შედეგები.

კვლევის ობიექტებად შერჩეულ იქნა საქართველოს პირველი და მეორე კატეგორიის სააქციო საზოგადოებები და შეზღუდული პასუხისმგებლობის საწარმოები. სულ ათი საწარმო.

კვლევის მეთოდოლოგია მოიცავს ეკონომიკური და სტატისტიკური ანალიზის, ფაქტორული ანალიზის, ფინანსური ანგარიშგების ვერტიკალური, ჰორიზონტალური, პროპორციული და კოეფიციენტების ანალიზის მეთოდებს.

ფინანსური სტაბილურობის შესანარჩუნებლად, ორგანიზაციას უნდა ჰქონდეს თვითკონტროლის ეფექტური სისტემა, დაფუძნებული გამაფრთხილებელი სისტემის საფუძველზე, რომელიც საკმაოდ ადრეულ ეტაპზე გამოავლენს მიღებულ სტანდარტებიდან გადახრების სიგნალებს. მხოლოდ ამის შემდეგ იქნება შესაძლებელი საწარმოს საქმიანობის მდგრადი ზრდის უზრუნველყოფს მდგრადი ზრდის უზრუნველყოფა.

კვლევის შედეგები შემდეგია:

- საანალიზო საწარმოთა უმრავლესობაში გადახდისუნარიანობისა და ინვესტირების კოეფიციენტები ნორმაზე დაბალია;
- კაპიტალის შენარჩუნების კოეფიციენტის ანალიზმა აჩვენა, რომ არცერთ საკვლევ საწარმოში არ არსებობს მდგრადი ზრდის ტენდენცია.
- დაბალია საწარმოთა მომგებიანობა. „საქართველოს რკინიგზა “ და „საფონდო ბირჟა“, ბოლო სამი წელი ზარალიანია. მენეჯმენტის რეაგირება არ ჩანს. იქმნება შთაბეჭდილება, რომ საწარმოებს არც მენჯმენტი ჰყავს და არც მესაკუთრეები. ეს წარმოშობს ეჭვს, რომ შესაძლოა ადგილი ჰქონდეს საწარმოებზე გარედან ფარული ძალების უკანონო ზეწოლას.
- საწარმოთა გაკოტრების პროგნოზირების ალთმანისა და სპრინგეითის მოდელებ ანალიზმა აჩვენა, რომ ყველა საანალიზო საწარმოში მაღალია ფინანსური რისკები. საწარმო უმრავლესობაში გაკოტრების სფრთხეები უკვე დამდგარია.

მაშასადამე, შეიძლება დავასკვნათ, რომ დღევანდელ საქართველოში არცთუ ისე მცი რაოდენობის საწარმოების წინაშე მდგარი მთავარი გამოწვევებია ფინანსური სტაბილურობ დაკარგვისა და გაკოტრების საფრთხეები.

ჩატარებული კვლევის საფუძველზე შემუშავებულია შესაბამისი რეკომენდაციები.

7. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

7.1. საქართველოში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1 --- 2	ი.ჭილაძე --- ი.ჭილაძე	საწარმოთა ფინანსური სტაბილურობის ანალიზის სრულყოფის საკითხები --- 2. ინივიდის არჩევანი სულიერსა და მატერიალურს შორის მზადყოფნის ეკონომიკის პრიზმაში	თბილისი, ეკონომიკის ინსტიტუტი და თსუ 2020 http://ekonomisti.tsu.ge/doc/2020konf.saboloo.pdf) --- თბილისი. თსუ 2020 https://tsu.ge/assets/media/files/7/konf%20V2020.pdf

1. ნაშრომში განხილულია ფინანსური სტაბილურობის განმტკიცების იმ ძირითადი ფაქტორების ანალიზის სრულყოფა, რომლებიც გავლენას ახდენს საქართველოში საწარმოების (გარდა ფინანსური სექტორისა) მდგრადი ზრდის ტენდენციის დამკვიდრებაზე წინა წლების პერიოდში. პასუხი გაეცეს კითხვას, რა ფინანსური გამოწვევების წინაშე დგას დღეს საწარმოები საქართველოში და შესაბამისად შემუშავებულ იქნეს ბიზნესის ფინანსური სტაბილურობის განმტკიცების, გადახდისუნარიანობის ზრდისა და გაკოტრების რისკების შერბილების პრაქტიკული ხასიათის რეკომენდაციები.

საწარმოთა ფინანსური სტაბილურობის აუცილებლობა სულ უფრო მნიშვნელოვანი ხდება როგორც საკუთრივ საწარმოთა მდგრადი ზრდის, ასევე საერთაშორისო ფინანსური ბაზრის სტაბილურობის მიზნებისათვის. **საწარმოს ფინანსური** სტაბილურობა უპირველესად გულისხმობს საწარმოს ისეთ მდგომაროებას, როცა მას არ გააჩნია საპროცენტო ვალების ტვირთი. არის მისი ფინანსური რესურსების ისეთი მდგომარეობა, გამოყენება და განაწილება, რომელიც უზრუნველყოფს საწარმოს განვითარებას მოგებისა და საკუთარი კაპიტალის ზრდის საფუძველზე, გადახდისუნარიანობის და კრედიტუნარიანობის შენარჩუნების პირობებში.

ფინანსური სტაბილურობის შესაფასებლად მრავალი მაჩვენებელი გამოიყენება. შრომაში განვიხილავთ მხოლოდ მთავარ მაჩვენებლებს საქართველოს საწამოების მაგალითზე. შრომაში გამოყენებულია ანალიზის ფაქტორული და მათემატიკური მეთოდები და გამოყეენებულია რსებული სამეცნიერო ლიტერატურა და საქართველოს რამდენიმე საწარმოს ფინანსური ანგარიშგების ინფორმაცია

ნაშრომის მიზანია:საწარმოთა ფინანსური სტაბილურობის განმტკიცების იმ ძირითადი ფაქტორების ანალიზის სრულყოფა, რომლებიც გავლენას ახდენს საქართველოში საწარმოების (გარდა ფინანსური სექტორისა) მდგრადი ზრდის ტენდენციის დამკვიდრებაზე წინა წლების პერიოდში. პასუხი გაეცეს კითხვას, რა ფინანსური გამოწვევების წინაშე დგას დღეს საწარმოები საქართველოში და შესაბამისად შემუშავებულ იქნეს ბიზნესის ფინანსური სტაბილურობის განმტკიცების, გადახდისუნარიანობის ზრდისა და გაკოტრების რისკების შერბილების პრაქტიკული ხასიათის რეკომენდაციები.

კვლევის შედეგები: შემუშავებულია მომგებიანობის ანალიზის მრვალფაქტორული მოდელები, რაც დაეხამრება საწარმოთა მენეჯმენტს გამოავლინოს მომგებიანობის შემდგომი ამაღლების კონკრეტული ღონისძიებები.

2. **კვლევის მიზანია** დაასაბუთოს დედამიწაზე მოსალოდნელი გლობალური საფრთხეების შერბილებისა და კაცობრიობის გადარჩენის ეკონომიკური მზადყოფნის აუცილებლობა.

კვლევის საგანია დედამიწაზე მომხდარი ბუნებრივი კატასტროფებითა და გლობალური დაავადებებით (პანდემიით) გამოწვეული ეკონომიკური და მორალური ხასიათის პრობლემები.

კვლევაში გამოყენებულია ლოგიკური ანალიზი

1800-იან წლებამდე რელიგიის საკითხებს ყველა დარგში იკვლევდნენ გარდა ეკონომიკისა. ადამ სმითმა რეალურად საფუძველი ჩაუყარა ეკონომიკის რელიგიურობას ორასზე მეტი წლის წინ. მან წამოაყენა „უხილავი ხელის“ თეორია ეკონომიკაში. დღეს ეკონომისტები მიდიან რელიგიის შესწავლის ახალი პარადიგმისკენ, რომელიც მნიშვნელოვნად ემყარება რაციონალური არჩევანისა და რელიგიური ეკონომიკური ბაზრის წონასწორობის დაშვებებს.

შრომაში გაკეთებულია დასკვნა, რომ კაცობრიობის წარსული და დღევანდელი სინამდვილე ცხადი მტკიცებულებაა იმისა, რომ სხვადასხვა ბუნებრივი კატასტროფები არის ღმერთის გაფრთხილება და საზღაური, რომელიც გამოწვეულია კაცობრიობის ზნეობრივი და მატერიალური ცხოვრების უწესრიგობით. ავტორის აზრით, 21-ე საუკუნეში დედამიწაზე მომხდარი კატასტროფები და ბოლოს, კორონავირუსის პანდემია ამის კიდევ ერთი დადასტურებაა.

სამყაროს შემქმნელი კოსმიური გონი უდაოდ მოითხოვს კაცობრიობის ცხოვრების საყოველთაო წესრიგს, რათა შევცვალოთ თავგასული ქმედებები ჩვენს ცხოვრებასა და საქმიანობაში. აუცილებელია ეკონომიკური ურთიერთობები და საქმიანობის წესები იყოს იმგვარი, რომელიც უზრუნველყოფს ადამიანების მშვიდ ცხოვრებას ამქვეყნად და მათ მოხვედრას ცათა სასუფეველში.

ასოცირებული პროფესორი მარიამ ვარდიაშვილი

5. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში

5.4. სტატიები ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდის (DOI) მითითებით

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათა-ური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI	ჟურნალის/ კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	მარინა მაისურაძე, **მარიამ ვარდიაშვილი**	კონტროლის კონცეფციის ძირითადი საკითხები საწარმოთა გაერთიანებისას ფასს 10-ის	V საერთაშორისო კონფერენცია, გლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში, შრომების	საქართველო, თბილისი, 6 ნოემბერი, 2020	5

		მიხედვით	კრებული		

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

ფასს 10 - „კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება“ განსაზღვრავს ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პრინციპებს ისეთი შემთხვევებისთვის, როდესაც საწარმო აკონტროლებს ერთ ან რამდენიმე სხვა საწარმოს. შესაბამისად, ნაშრომში განხილულია თანამედროვე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადების ძირითადი პრინციპი რომლის მიხედვითაც განისაზღვრება, აქვს თუ არა ინვესტორს (მშობელი კომპანია) კონტროლი ინვესტიციაზე (შვილობილი კომპანიები).

ინვესტორს გააჩნია კონტროლი ინვესტირებულ საწარმოზე, თუ ინვესტორი ექვემდებარება რისკებს, რომლებიც დაკავშირებულია ინვესტირებულ საწარმოში მისი მონაწილეობიდან ცვალებადი შემოსავლების მიღებასთან, ან გააჩნია ინვესტირებული საწარმოდან ცვალებადი შემოსავლების მიღების უფლება და ასევე ამ შემოსავლების სიდიდეზე გავლენის მოხდენის შესაძლებლობა, ინვესტირებულ საწარმოსთან მიმართებით თავისი უფლებამოსილების მეშვეობით.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მიზნად ისახავს მომხმარებლებისთვის ინფორმაციის წარდგენას კომპანიების ჯგუფის შესახებ ისე, რომ ინფორმაცია რამდენიმე კომპანიის შესახებ აღიქმებოდეს, როგორც ერთიანი მოქმედი სუბიექტი. ნაშრომის მიზანია კონტროლის კონცეფციის გამოყენების ხასიათის შესწავლა, რომელიც საფუძვლად უდევს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებას.

საწარმოთა გაერთიანების დროს კონტროლის განხორციელების შესაფასებლად გამოყენებული კრიტერიუმები განხილულია ფასს 10-ის ,,კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება‘‘ მიხედვით.

I. 1. სამეცნიერო ერთეულის (დეპარტამენტი, ინხტიტუტი, განყოფილება, ლაბორატორია) დასახელება: ***საერთაშორისო ბიზნესის კათედრა***

I. 2. სამეცნიერო ერთეულის ხელმძღვანელი: ***პროფესორი თეიმურაზ შენგელია***

I. 3. სამეცნიერო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა:

ასოცირებული პროფესორი უშანგი სამადაშვილი
ასოცირებული პროფესორი დავით სიხარულიძე
ასოცირებული პროფესორი შოთა შაბურიშვილი
ასოცირებული პროფესორი ხათუნა ბერიშვილი
ასოცირებული პროფესორი ლალი ხიხაძე
ასისტენტ პროფესორი ლეილა ქადაგიშვილი

პროფესორი თეიმურაზ შენგელია
ასოცირებული პროფესორი დავით სიხარულიძე

1. სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის პერსონალის მიერ შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

1.1.

№	გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	მცირე ბიზნესის ფაქტორული მწარმოებლურობა და საექსპორტო შესაძლებლობები საქართველოში	01.03.2020-31.12.2020	დავით სიხარულიძე შოთა შაბურიშვილი ლეილა ქადაგიშილი თეა მუნჯიშვილი რუსუდან მაისურაძე ხატია უდესიანი

გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2020 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

ტრანსფორმაციის პერიოდში საქართველოს ეკონომიკის ზრდის ძირითადი მამოძრავებელი იყო შიდა მოთხოვნა მხარდაჭერილი ფულადი გზავნილების, კაპიტალის მოდინების და პირველი თაობის რეფორმებით, რამაც განაპირობა მწარმოებლურობის ზრდა სექტორული გადანაწილების საშუალებით. ამჟამად, შეიძლება ითქვას, რომ მომზადებულია ნიადაგი საქართველომ დაიწყოს მნიშვნელოვან წილად საგარეო ბაზრების ათვისება საექსპორტო პროდუქტების წარმოების ხელშეწყობით და ფირმების დონეზე უზრუნველყოს მწარმოებლურობის მუდმივი ზრდის გაუმჯობესება ეფექტიანობის ამაღლების საშუალებით. მსოფლიო ბანკის 2018 წლის ანგარიშის მიხედვით ქვეყნისათვის მთავარ გამოწვევას წარმოადგენს მდგრადი ეკონომიკური ზრდის მაღალი ტემპი[1]. ამავე ანგარიშის მიხედვით მდგრადი ეკონომიკური ზრდის და 2030 წლისათვის მშპ-ის გაორმაგების მიზნით მთავრობამ ეკონომიკის რეორიენტაცია უნდა მოახდინოს ინვესტიციებზე ორიენტირებული ზრდიდან მწარმოებლურობაზე ორიენტირებულ ზრდაზე. არსებული დემოგრაფიული დინამიკის გათვალისწინებით სამუშაო ძალის ზრდა ვერ გახდება ეკონომიკური ზრდის მამოძრავებელი, სამუშაო ძალის მაღალი ჩართულობის შემთხვევაშიც კი. მაშასადამე, ეკონომიკური ზრდის მამოძრავებელია კაპიტალის აკუმულაცია და მწარმოებლურობა. შესაბამისად, მცირე ბიზნესის მწარმოებლურობისა და მისი საექსპორტო შესაძლებლობების ზრდა არის მნიშვნელოვანი ვინაიდან, მცირე ბიზნესი თამაშობს საკვანძო როლს ქვეყნის ეკონომიკაში.

მაღალი ევრისტიკული ღირებულების გამო მცირე ბიზნესი თანამედროვე პირობებში სცდება ვიწრო საწარმოო ან ეკონომიკური ეფექტიანობის ჩარჩოებს და უმნიშვნელოვანეს სოციალურ, ეკონომიკურ, პოლიტიკურ დატვირთვას იძენს. ამიტომ მისი ფუნქციონირების სპეციფიკა და განვითარების პრობლემები მრავალი ქვეყნისა თუ საერთაშორისო ორგანიზაციის მუდმივი ზრუნვის საგანს წარმოადგენს. მცირე ბიზნესის ფენომენის შესწავლას თანამედროვე ეტაპზე დიდი სამეცნიერო, შემეცნებითი და პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს. მცირე ბიზნესის მწარმოებლურობის ზრდა ესაა ახალი პროდუქტები, სამუშაო ადგილები, კონკურენტული გარემო, რეალიზებული პიროვნული პოტენციალი, თავისუფალი და ღირსეული საშუალო ფენა, საექსპორტო შესაძლებლობები, დამატებითი შემოსავალი სახელმწიფო ხაზინაში, ინკლუზიური და მდგრადი ეკონომიკური განვითარება.

[1] World Bank Group. Georgia from reformer to performer. A Systematic country diagnostic. 2018.

განხორციელებული კვლევა შესაძლებლობას მოგვცემს, ჩამოვაყალიბოთ მეცნიერულად დასაბუთებული მოსაზრებები საქართველოში მცირე ბიზნესის მწარმოებლურობასა და საექსპორტო შესაძლებლობებზე, რომელიც გავლენას ახდენს მცირე საწარმოების ფუნქციონირების ეფექტიანობაზე. კვლევის შედეგად განისაზღვრება მცირე ბიზნესის მწარმოებლურობასა და ექსპორტის შესაძლებლობაზე მოქმედი ფაქტორები (ფირმის ზომა, ასაკი, ინოვაციური პროცესები, ფინანსებისადმი ხელმისაწვდომობა, სამთავრობო მხარდაჭერა). გამოვლინდება მცირე ბიზნესის ინოვაციური პოტენციალის ამაღლების და ინტერნაციონალიზაციის პერსპექტიული მიმართულებები. ჩამოყალიბდება რეკომენდაციები მცირე ბიზნესის სახელმწიფო მხარდაჭერის ინსტიტუციურ-ეკონომიკური მექანიზმების სრულყოფისათვის. კვლევის შედეგები, ერთი მხრივ, შეავსებს და გააღრმავებს ქართულ ეკონომიკურ მეცნიერებაში არსებულ თეორიულ ცოდნას მცირე ბიზნესის ფენომენის შესახებ, მეორე მხრივ, ინფორმაცია საყურადღებო იქნება სამთავრობო დაწესებულებებისათვის მცირე ბიზნესის მხარდამჭერი პროგრამების შემუშავებისას. ჩატარებული კვლევების საფუძველზე გამოიცემა 3 სამეცნიერო სტატია, რაც ხელს შეუწყობს კვლევითი სამუშაოების შემდგომ გაღრმავებას.

3.2. დასრულებული პროექტი

№	დასრულებული (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი, დამფინანსებელი ორგანიზაცია/სამეცნიერო ფონდი, ქვეყანა	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	ევროკავშირსა და საქართველოს შორის ასოცირების შეთანხმებით ქართული მხრის მიერ საბანკო სფეროში აღებული ვალდებულებების შესრულების ანალიზი. საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი	01.05.2020-31.10.2020	დავით სიხარულიძე ალეკო რაიბული
ნაშრომი ეხება საქართველოს მიერ ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებით გათვალისწინებული ფინანსური მომსახურების, კერძოდ კი საბანკო სფეროში დაწესებულ რეგულაციებთან დაკავშირებული ვალდებულებების შესრულებას. სახელმწიფოს აღებული აქვს ვალდებულება განსაზღვრულ ვადაში, ეტაპობრივად უზრუნველყოს საქართველოს კანონმდებლობის დაახლოება ევროკავშირის კანონმდებლობასთან და საერთაშორისო		

სამართლებრივ ინსტრუმენტებთან საბანკო სფეროში.
ჯანსაღი საბანკო და საფინანსო სექტორის როლი ქვეყნის ეკონომიკის, მდგრადი განვითარებისა და მოსახლეობის სოციალური კეთილდღეობისათვის უაღრესად მნიშვნელოვანია. ეკონომიკის მთლიან სისტემაში ბანკებს ცენტრალური ადგილი უჭირავთ და ნებსით თუ უნებლიედ ქვეყანაში მიმდინარე ნებისმიერი პროცესის, დადებითის თუ უარყოფითის, თანამონაწილენი არიან.
საბანკო სისტემის მნიშვნელოვნებიდან გამომდინარე აუცილებელია მისი ეფექტიანი ფუნქციონირება, რათა უზრუნველყოფილ იქნას მისი მდგრადობა კრიზისის მიმართ და სისტემური რისკების შემცირება. აუცილებელია, ასევე ფინანსური სექტორის ყოვლისმომცველი სტრატეგიის განსაზღვრა და შესაბამისი ქმედითი ნაბიჯების გადადგმა, დეპოზიტარებისა თუ მსესხებლების ნდობის მოპოვება და ამაღლება.
გატარებული ღონისძიებები უზრუნველყოფს საქართველოს კანონმდებლობის დაახლოებას ევროკავშირის საბანკო სფერო კანონმდებლობასთან, ხელს შეუწყობს ფინანსური ბაზრების უსაფრთხო და ეფექტიან ფუნქციონირებას, კონკურენტუნარიანობის ამაღლებასა და მოდერნიზაციას, რაც არის კიდეც ასოცირების ხელშეკრულების საბოლოო მიზანი.

5.5. სტატიები ISSN-ის მითითებით

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათა-ური, ISSN	ჟურნალის/ კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	დავით სიხარულიძე შოთა შაბურიშვილი ლეილა ქადაგიშილი თეა მუნჯიშვილი რუსუდან მაისურაძე ხატია უდესიანი	მთლიანი ფაქტორული მწარმოებლურობის ანალიზი ეკონომიკური საქმიანობის ზომისა და სექტორების მიხედვით საქართველოში ISSN 1987-5789 ESSN 2587-5426	ეკონომიკა და ბიზნესი, ნომერი 3	თბილისი	ამ ეტაპზე ვებ გვერდზეა განთავსებული

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

სტატიაში განხილულია კავშირი საწარმოს ზომასა და მწარმოებლურობას შორის სექტორების მიხედვით. მაკმილანისა და როდრიკის მეთოდების საშუალებით დავადგინეთ ცალკეულ ზომით კატეგორიაში შრომის მწარმოებლურობის ტენდენცია. მთლიანი ფაქტორული მწარმოებლურობის შესაფასებლად გამოვიყენეთ Olley და Pakes -ის მიდგომა.
კვლევის შედეგებმა გვიჩვენა, რომ მსხვილი საწარმოები, მცირე და საშუალო საწარმოებთან შედარებით, უფრო მწარმოებლურია. თუმცა განსხვავება შეიმჩნევა ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით. 2008-2018 წლებში საწარმოს ზომის კატეგორიის მიხედვით შრომის მწარმოებლურობა იზრდებოდა შემდეგ სექტორებში: "კომუნალური, სოციალური და პერსონალური მომსახურების გაწევა, დამამუშავებელი მრეწველობა, ელექტროენერგიის,

აირის, წყლის წარმოება-განაწილება, სასტუმროები, რესტორნები, ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა, ოპერაციები უძრავი ქონებით, იჯარა, მომხმარებლისათვის მომსახურების გაწევა, ჯანდაცვა, სოციალური დახმარება", ხოლო დანარჩენ სექტორებში შემცირების ტენდენციით ხასიათდება. რაც შეეხება მთლიანი მწარმოებლურობის მაჩვენებელს, ჯანმრთელობის დაცვასა და სოციალური დახმარების სექტორის გარდა, აღნიშნულ პერიოდში ყველა სექტორში მცირდებოდა. სტატიაში ასევე გამოკვლეულია მცირე, საშუალო და მსხვილი საწარმოებისთვის ეკონომიკური საქმიანობის მიხედვით მთლიანი ფაქტორული მწარმოებლურობა.

6.3. კრებულები

№	ავტორები	კრებულის სახელ-წოდება, საერთაშო-რისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	**დავით სიხარულიძე** შოთა შაბურიშვილი ლეილა ქადაგიშილი თეა მუნჯიშვილი რუსუდან მაისურაძე ხატია უდესიანი	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თსუ V საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია გლობალიზაციის გამომწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში ISBN 978-9941-13-952-9	თბილისი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თსუ-ს გამომცემლობა	362-375

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

students – young generation, whether they wish to become lecturers, scientists, what challenges they see along this path and in general how they appreciate their professional choices. We were interested in the attitude of the students toward the current situation in management. Do they feel bureaucratic barriers and gaps in the university governance? We were also interested in how the students value their life at the university, whether they like the university infrastructure. The study shows a very positive attitude of private university students toward their university. Quantitative and qualitative research has enabled us to identify existing challenges and develop relevant recommendations.

1	Zurab Mushkudiani, Badri Gechbaia, Iza Gigauri, Ekaterine Gulua,	GLOBAL, ECONOMIC AND TECHNOLOGICAL TRENDS IN HUMAN RESOURCE MANAGEMENT DEVELOPMENT ACCESS https://doi.org/10.46656/access.2020.1.1(4)	Journal: Access to Science, Business, Innovation in Digital Economy ISSN 2683-1007, 26 May 2020	(Online)	53-60

Annotation:

Background: A manager is the one who is responsible for accomplishing the tasks of the organization and who directs the efforts of the organization's employees for this purpose. In this paper, we will focus on one of the functions of management - the function of personnel management and on some trends that the 21st century has brought. Objectives: of this paper is to explore and identify innovative ways and trends, global, economic and technological shifts in human resource management. Methods/approach.: We have studied the experience that exists for effective and innovative use of freelancers, social networks and internet applications. We brought them in contact with a number of macroeconomic agents and set out directions and outlines for further research. Results: In close collaboration with line managers, HR managers have been helping employers to find, hire, dismiss, administer and evaluate employees. However, there are trends in personnel management that substantially change perceptions of how well employers are coping with their HR tasks. Conclusion: HR department's style and methods are constantly changing. Because of this, many employers are re-examining the organization of their HR functions. These types of HR centres carry out their activities through intranets (centralized networks) or centralized call centres; Feedback, jokes, and game-specific targeting coincide with many new training apps, and websites such as Knack, Gild, and True Office allow an employer to

incorporate game features in training, performance evaluation and recruitment.).

5.5. სტატიები ISSN-ის მითითებით

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათა-ური, ISSN	ჟურნალის/ კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	Gigauri Iza, Gulua Ekaterine, Mushkudiani Zurab	Current Advances In Digital Recruitment Of Human Resources And Its Potential For Companies ISNN 1987-8591 https://ssrn.com/abstract=3700584	SEU & SCIENCE 2020 (September 28, 2020).	Tbilisi 2020	30-49
Annotation: Unprecedented changing and inconsistent global environment offers both new opportunities and many challenges to modern business. In order to adapt and survive, companies need to make decisions quickly. Team working is still important even with physical distancing caused by COVID-19 around the world. Competitive advantage of companies correlates with its human resources, and hence, HR management faces novel difficulties to provide the company with needed human resources under this vague, unfamiliar environment of crisis. The obvious solution to these challenges can be new tools for process digitalization of HR management as well as using of AIenabled technologies. Therefore, this exploratory research aims to describe the advancements in digitalization of recruitment as a main role of human resource management, and its implication on potential job candidates. Companies should consider digital transformation of their HR recruiting processes to survive and grow.				

6. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა უცხოეთში
7. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

7.1. საქართველოში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	Iza Gigauri, Ekaterine Gulua, Zurab Mushkudiani.	CURRENT ADVANCES IN DIGITAL RECRUITMENT OF HUMAN RESOURCES AND ITS POTENTIAL FOR COMPANIES	16 May 2020 Tbilisi (online)
1st International Online Academic Conference: “Contemporary Challenges to Economics and Business https://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract_id=3700584			

7.2. უცხოეთში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	**Ekaterine Gulua, Tea Kasradze, Nino Zarnadze**	**Research of Students’ Attitudes toward the Management**	3-4 April 2020 Amsterdam

		Challenges at Private and State Universities	
მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა) 21st International Conference on Social Sciences, ICSS, Proceedings Book, EUROPEAN CENTER FOR SCIENCE EDUCATION AND RESEARCH, ISBN 9781648714498 pg. 166-183. https://euser.org/icss21en/icss21_conf_prog_p1.pdf			

სხვა აქტივობები:

1. Challenges and Opportunities for Teaching Practical Skills at Higher Education Institutions under the conditions of COVID-19 Pandemic; Tea Kasradze, Ekaterine Gulua 2020 (გამოქვეყნების პროცესში)

I. 1. სამეცნიერო ერთეულის (დეპარტამენტი, ინსტიტუტი, განყოფილება, ლაბორატორია) დასახელება - ***გლობალურ გარემოში მენეჯმენტის კათედრა***
I. 2. სამეცნიერო ერთეულის ხელმძღვანელი:***პროფესორი გიორგი ღაღანიძე***

I.3. სამეცნიერო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა –

ასოცირებული პროფესორი მირონ ტუღუში
ასოცირებული პროფესორი ბადრი რამიშვილი
ასოცირებული პროფესორი ნინო ფარესაშვილი
ასოცირებული პროფესორი ნუგზარ პაიჭაძე
ასოცირებული პროფესორი ნატალია ხარაძე

პროფესორი გიორგი ღაღანიძე

3. უცხოური გრანტებით დაფინანსებული სამეცნიერო პროექტები

3.1. გარდამავალი პროექტი

№	გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი, დამფინანსებელი ორგანიზაცია/ სამეცნიერო ფონდი, ქვეყანა	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	საქართველოში აშშ-ის საელჩოს მიერ გამოცხადებული ,,წიგნის	2020-2022	შალვა მაჭავარიანი – პროექტის ხელმძღვანელი, სამეცნიერო რედაქტორი,

	თარგმნის პროგრამა ''ორგანიზაციული ქცევა'' ISBN 978-1544317540		მიხეილ თოქმაზიშვილი – მკვლევარი/მთარგმნელი, ნათია ჭიღვარია – მკვლევარი/მთარგმნელი, ***გიორგი ღაღანიძე – მკვლევარი/მთარგმნელი,*** გელა გრიგოლაშვილი – მკვლევარი/მთარგმნელი, ჟანა ანთია – მკვლევარი/მთარგმნელი, თათია ღერკენაშვილი – ტექნიკური რედაქტორი.

გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2020 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

სახელმძღვანელო ''Organizational Behavior: A Skill-Building Approach'' განკუთვნილია იმ სტუდენტებისთვის, რომლებსაც სურთ ინდივიდუალური და გუნდური ქცევის, ორგანიზაციული სტრუქტურისა და ორგანიზაციაში მიმდინარე პროცესების სიღრმისეული შესწავლა. იგი შესაძლებლობას აძლევს სტუდენტებს განივითარონ მოტივაციური, ლიდერული და გუნდური უნარები, რაც მათ დაეხმარებათ ქცევის მოდელების გაანალიზებასა და მათი პოზიტიური გზით ფორმირებაში.

სახელმძღვანელოში მოცემული პრაქტიკული მაგალითები, თვითშეფასებები და დამატებითი პედაგოგიური მახასიათებლები ორგანიზაციულ ქცევას ხდის სიცოცხლისუნარიანს და ხელს უწყობს სტუდენტებს გაერკვნენ საორგანიზაციო ქცევათა კონცეფციებში.

კრიტიკული აზროვნება აუცილებელი უნარია, რომელსაც იყენებენ მენეჯერები სამუშაო გარემოზე გავლენის მოსახდენად. კრიტიკულად მოაზროვნე ადამიანი იყენებს ინტელექტს, ცოდნასა და უნარებს სიტუაციის სწორად შესაფასებლად და შესაბამისი დასკვნების გასაკეთებლად. სახელმძღვანელოში ავტორები იყენებენ კრიტიკული აზროვნების ძირითად უნარებსა და კომპონენტებს სტუდენტებისთვის ორგანიზაციული ქცევის მრავალი ასპექტის გასაცნობად და შესასწავლად.

სახელმძღვანელოს ქართულ ენაზე თარგმნა და გამოცემა განპირობებულია ხარისხიანი სახელმძღვანელოს საჭიროებით როგორც სტუდენტების ასევე ლექტორების მხრიდან და მეორე მხრივ დარგის სპეციალისტების მხრიდან შესაბამისი საორგანიზაციო გარემოს საჯარო და კერძო ორგანიზაციებში შესაქმნელად.

5. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში

5.5. სტატიები ISSN-ის მითითებით

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათა-ური, ISSN	ჟურნალის/ კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა

1	გიორგი ღაღანიძე	**მსოფლიო ეკონომიკა პანდემიამდე, პანდემიის დროს და პანდემიის შემდეგ** ISSN 1987-5789	ჟურნალი “ეკონომიკა და ბიზნესი”, #4	თბილისი	
სტატიაში აღნიშნულია, რომ პანდემიამდე მსოფლიო ეკონომიკის განვითარების წამყვან ტენდენციებს წარმოადგენდა მისი კლასტერიზაცია, ინფორმატიზაცია, კერძოდ კი 4,0 ინდუსტრიის გაჩენა, გლობალიზაცია და ეკონომიკის ფინანსიზაცია. 2008 წლის გლობალური კრიზისი აშშ-ს ფინანსურ სფეროში წარმოიშვა და აქვე მოხდა მისი ლოკალიზაცია. 2020 წლის კრიზისს სრულიად განსხვავებული ხასიათი აქვს. მას პირდაპირ შეიძლება ეწოდოს „ხელთქმნილი“, ვინაიდან ეკონომიკური აქტიურობა მთელ მსოფლიოში შეჩერებულია და ეკონომიკური მსხვერპლი გაღებული, რათა გადარჩენილ იქნას ადამიანთა სიცოცხლე, როგორც უპირველესი და ყველაზე მაღალი ფასულობა. პანდემიით გამოწვეულმა ეკონომიკურმა კრიზისმა აჩვენა, რომ ჩვენთვის უაღრესად მნიშვნელოვანია ეროვნული წარმოების განვითარება, რომელიც, პირველ რიგში, ადგილობრივი რესურსების გამოყენებასთან იქნება დაკავშირებული. ულტრათანამედროვე ტექნოლოგიების საფუძველზე უნდა მოხდეს ადგილობრივი რესურსების გამოყენებით გლობალურად კონკურენტუნარიანი პროდუქციის შექმნა. ამ კონტექსტში სტატიაში გაანალიზებულია საქართველოს საგარეო ვაჭრობის მაჩვენებლები და გაკეთებულია დასკვნა, რომ პანდემიის შემდგომ პერიოდში საქართველოს ეკონომიკის აღმავლობა კვლავ დაუკავშირდება საგარეო ბაზრებზე ხელმისაწვდომობას, რისთვისაც აუცილებელია მაღალი დამატებული ღირებულების მქონე სამრეწველო პროდუქციის ხვედრითი წილის გაზრდა ექსპორტის საერთო მოცულობაში. ასევე მეტად მნიშვნელოვანია სამეწარმეო აქტიურობისათვის მაქსიმალური ხელშეწყობა და ახალი კომპანიების შექმნა დასაქმების გაზრდის მიზნით. გადასახედია დაბეგვრის სისტემა და ამ თვალსაზრისით აქტუალურია საფოსტო ან ვებგვერდის მისამართებით კომპანიების დაბეგვრის შესაძლებლობების გამოყენება.					

ასოცირებული პროფესორი ბადრი რამიშვილი

5.4. სტატიებიციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდის (DOI) მითითებით

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI	ჟურნალის/ კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი	გამოცემისადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	პ. კოღუაშვილი, **ბ. რამიშვილი**	საქართველოში ხორცის მოხმარების ოპტიმალური მოცულობისა და სტრუქტურის შეფასება 10.36172/EKONOMISTI.2	“ეკონომისტი” N 2, 2020	თსუ - პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტი, თბილისი	9

		020.XVI.02. KOGUASHVILI.RAMISHVILI			

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

სტატია ეძღვნება ხორცის მოხმარების ანალიზს მსოფლიოსა და საქართველოში. ეს პროდუქტი ერთ-ერთ ყველაზე ძვირფას სურსათეულად ითვლება მსოფლიოში. ერთი მხრივ ის ცილების მნიშვნელოვანი წყაროა ადამიანის ორგანიზმისთვის და ამასთან მისი წარმოება საკმაოდ დიდ ხარჯებთანაა დაკავშირებული, ამიტომ ხორცის მოხმარების მაჩვენებლების მიხედვით მსჯელობენ არამარტო სასურსათო უსაფრთხოების დონეზე, არამედ ის ზოგადად სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობასაც შეიძლება ასახავდეს. სწორედ ამიტომ, სტატიაში წარმოდგენილია ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის წევრ ქვეყანათა უმეტესობისა და საქართველოს მშპ-ისა და ხორცის მოხმარების მაჩვენებლების ურთიერთანალიზი. სადღეისოდ, ანალოგიური პრაქტიკა ფართოდაა გავრცელებული, რისი მიზეზიც ეკონომიკური ზრდისა და ხორცის მოხმარების კორელაციაა, რაც ცხრილის მაჩვენებლებითაც დგინდება. კერძოდ, თუ არ გვაქვს ისეთ შემთხვევასთან საქმე, როდესაც ხორცისა და მისი პროდუქტების მოხმარებაზე გავლენას ახდენს კვების დამკვიდრებული ტრადიციები (მაგალითად იაპონია), ეკონომიკური ზრდა იწვევს ხორცის მოხმარების საშუალო აჩვენებლების მატებასაც.
ავტორების აზრით მნიშვნელოვანია არამარტო ზოგადად ხორცის მოხმარების მაჩვენებლები, არამედ მოხმარების სტრუქტურაც. რაც სტატიაში მიმდინარე მსჯელობას წითელ ზოლად გასდევს. ბოლოს კი, მოტანილია დასკვნა რის მიხედვითაც საქართველოში ხორცის მოხმარება მოსახლეობის ერთ სულზე 27 კილოგრამით უნდა გაიზარდოს. მოხმარების მთლიან სტრუქტრურაში დაახლოებით ნახევარი ფრინველის ხორცმა უნდა დაიკავოს. ამიტომ აუცილებლად უნდა მოხდეს მეფრინველეობის დარგის დივერსიფიცირება და განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს ინდაურის ხორცის ადგილობრივი წარმოებისა და მოხმარების ზრდას. გარდა ამისა, არსებითად უნდა გაიზარდოს ცხვრისა და თხის ხორცის მოხმარება. ხორცის წარმოებაში, პერსპექტივაში აუცილებლად უნდა მოხდეს კოოპერაციული ურთიერთობების დანერგვა, რის გარეშეც რთული იქნება საქართველოს მოსახლეობის თვითუზრუნველყოფა ამ პროდუქტის მიხედვით. გასათვალისწინებელია, რომ, ხორცი ფასეულობატევად პროდუქტს წარმოადგენს და მისი ადგილობრივი წარმოების განვითარება გაზრდის ქართული მიწის პროდუქტიულობას, რენტას და შესაბამისად ფასს და მას, როგორც სასოფლო-სამეურნეო წარმოების მნიშვნელოვან აქტივს ეკონომიკურ ბრუნვაში სრულფასოვანი ჩართვის შესაძლებლობას მისცემს.

5.5. სტატიებიISSN-ის მითითებით

№	ავტორი/ ავტორები	სტატიისსათა-ური, ISSN	ჟურნალის/ კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი	გამოცემისადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	პ. კოღუაშვილი,	Optimization of Meat	მოამზე	საქართველოს	5

	ბ. რამიშვილი	Consumption in Georgia in the Context of Worldwide Trends ISSN - 0132 - 1447	ტ. 14 N3	მეცნიერებათა ეროვნული აკადემია	

ვრცელი ანოტაცია (ქართულენაზე)

სტატია ეძღვნება სურსათით კაცობრიობის უზრუნველყოფის ერთ-ერთი მნიშვნელოვან მიმართულებას. სახელმწიფოთა უმრავლესობისთვის ფრიად საჭირბოროტოა ხორცეულით თვითუზრუნველყოფის მიღწევა. ანალოგიური პრობლემის წინაშე დგას საქართველოც. ვითარება უფრო გამწვავდა 2020 წელს, რადგან მსოფლიო ეკონომიკას სრულიად ახალი გამოწვევა წარმოექმნა კორონა ვირუსის გავრცელების გამო. შექმნილი ვითარება მრავალი მიმართულებით მოახდენს გავლენას კაცობრიობაზე, თუმცა, ყველაზე მნიშვნელოვანი უახლოეს პერიოდში ადამიანის ჯანმრთელობა და ფიზიოლოგიური მდგრადობა იქნება, ეს კი, დიდწილადაა დამოკიდებული ჯანსაღ, დაბალანსებულ კვებაზე.

ხორცის და მისი პროდუქტების მოხმარება უმრავლეს შემთხვევაში კარგად მეტყველებს კონკრეტული ქვეყნის ეკონომიკური განვითარების დონეზე. ცნობილია, რომ საერთაშორისო პრაქტიკიდან გამომდინარე, ხორცის მოხმარება კეთილდღეობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მაჩვენებლად ითვლება. შესაბამისად არ არის გასაკვირი, რომ, საქართველოში ეს მაჩვენებელი უკანასკნელი მონაცემების თანახმად, მოსახლეობის ერთ სულზე 38 კილოგრამს შეადგენს წელიწადში, რაც ნორმის მხოლოდ 58.5%-ია. შესაბამისად, საქართველოს სოფლის მეურნეობისა და მთლიანად ეკონომიკის უმნიშვნელოვანესი პრობლემაა ამ მაჩვენებლის კვების ფიზიოლოგიურ ნორმამდე გაზრდა, რაც ავტორთა აზრით საქართველოსთვის 65 კგ-ს შეადგენს. მოფლიოს განვითარებული ქვეყნების მაგალითს თუ დავეყრდნობით ვნახავთ, რომ, მათ უმრავლესობაში დიდი ხანია მიღწეულია კვების ფიზიოლოგიური ნორმებით გათვალისწინებული დონე, ზოგან კი ჭარბი მოხმარების პრობლემაც კი დგას.

ავტორთა აზრით პრობლემის დასაძლევად ხორცის მოხმარების მექანიკური ზრდა არ კმარა, უფრო მეტიც, ეს ვერ მოხერხდება თუ მოხმარება არ დაეყრდნობა ისეთ მნიშვნელოვან ასპექტებს როგორიცაა: ხორცის ადგილობრივი წარმოების შესაძლებლობები, კვების დამკვიდრებული კულტურა და ჯანსაღი კვების სტანდარტები. ყოველივე ეს კი, ხორცის მოხმარების ოპტიმალური სტრუქტურის დადგენით უნდა გადაწყდეს. სტატიაში ამ პრობლემის გადასაწყვეტად გაანალიზებულია მსოფლიოს მოწინავე ქვეყნების გამოცდილება, რის საფუძველზეც ავტორები საქართველოს საშუალო მოქალაქისთვის ხორცის მოხმარების ოპტიმალურ სტრუქტურას იძლევიან, რაც პროცენტულად შემდეგნაირად გამოისახება: მოხმარების 50% უნდა მოდიოდეს ფრინველის ხორცზე, 24% ღორის ხორცზე, 20% მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ხორცზე, ხოლო დანარჩენი 6% კი ცხვრის, თხისა და ბოცვრის ხორცზე.

ასოცირებული პროფესორი ნინო ფარესაშვილი

5. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში
5.5. სტატიები ISSN-ის მითითებით

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ISSN	ჟურნალის/ კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1.	ნინო ფარესაშვილი	კონფლიქტების მართვის ზეგაგვლევა პერსონალის ქცევა. ISSN 1987-6890 ISSN 2346-8432	ეკონომისტი	4 ტომი, volume XV, 2019	გვ. 162-172

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

ცვლილებები თითოეული ადამიანის ცხოვრების განუყოფელი ნაწილია. ცვლილებები მიმდინარეობს ყველგან, როგორც პოლიტიკურ, ასევე ეკონომიკურ და ტექნოლოგიურ გარემოში. იმდენად, რამდენადაც აღნიშნული გარემო ფაქტორები გავლენას ახდენს ორგანიზაციებზე, შესაბამისად, მათში მიმდინარე ცვლილებებიც შეაღწევს სხვადასხვა ტიპისა და მასშტაბის ორგანიზაციებში. მეორე მხრივ, ორგანიზაციის შიგნით მიმდინარე დინამიკურ პროცესებს მუდმივად თან სდევს ადეკვატური ცვლილებები. კონფლიქტი კი ცვლილებების თანმდევია. როგორც მრავალი კვლევითაა დადასტურებული, ის გავლენას ახდენს პერსონალის ქცევაზე. სწორედ ამიტომ, კონფლიქტების მართვის პროცესი მენეჯერებისთვის საკმაოდ აქტუალურ საკითხს წარმოადგენს და სერიოზული გამოწვევაა მათთვის. ორგანიზაციებში განასხვავებენ სხვადასხვა ტიპის კონფლიქტს. პერსონალის ქცევაზე გავლენით, კონფლიქტი ზემოქმედებს ორგანიზაციაში არსებულ ურთიერთობებზე, რაც საბოლოო შედეგებზე აისახება. სწორედ ამიტომ, მნიშვნელოვანია მოხდეს კონფლიქტების ისეთი მეთოდით მართვა, რაც მოახდენს პერსონალის ქცევის ფორმირებას ორგანიზაციის მიზნების შესაბამისად. კონფლიქტის ოპტიმალური მართვისათვის საჭიროა გაანალიზდეს მისი გამომწვევი მიზეზები, რასაც ეძღვნება წინამდებარე სტატია. საკვანძო სიტყვები: კონფლიქტის მიზეზები, კონფლიქტის მართვა, პერსონალის ქცევა, ემოციური მდგრადობა, შრომითი კმაყოფილება.

6. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა უცხოეთში

6.4. სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI ან ISSN	ჟურნალის/ კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	N. Paresashvili, R. Kinkladze, K. Chitaladze, Z. Nadjafova, T.	„Labor Market Management Mechanisms in Georgia According to Current Trends“ ISSN 1849-7535	55th International Scientific Conference on Economic and Social Development , proceeding	Book of Proceedings Vol. 1/4 Editors: Altay Ismayilov, Khatai Aliyev, Manuel Benazic	pp. 361-370

	Edzgveradze.				
2	N. Paresashvili, N. Gurbanov, B. Gechbaia, K. Goletiani, T. Edzgveradze	"Significant Issues Of Organizational Conflict Management" ISSN 1849-7535	55th International Scientific Conference on Economic and Social Development , proceeding	Book of Proceedings Vol. 1/4 Editors: Altay Ismayilov, Khatai Aliyev, Manuel Benazic	pp. 457-464
3	N. Abesadze, R. Kinkladze, N. Paresashvili, K. Chitaladze, S. Meishvili	Trends of Increases of Georgia's Attractiveness for EU Countries	3 International saentific Conference in Research in Management and Economics	Publication date: 2020/9/11,Volume 1, Issue 1, Brussels, Belgium	pp. 1-11
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)					

7. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

7.2. უცხოეთში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1.	ნანული ოქრუაშვილი ნინო ფარესაშვილი	ორგანული სოფლის მეურნეობის განვითარების თანამედროვე მსოფლიო ტენდენციები და საქართველო: პრობლემები და პერსპექტივები	2020 წლის 22-24 იანვარი 7th Business Systems Laboratory International Symposium „Socio-Economic Ecosystems: Challenges for Sustainable Development in the Digital Era" (University of Alicante, Spain
ნაშრომში გაანალიზებულია საქართველოში ორგანული აგრობიზნესის განვითარების მაჩვენებლები, შეფასებულია ამ სფეროში არსებული ზრდის ტენდენციები, განხილულია ორგანული აგრობიზნესის როლი ქვეყნის ეკონომიკური ზრდასა და სოციალური სტაბილურობის მიღწევაში, ასევე, ორგანული აგრობიზნესის რესურსული და ტექნოლოგიური პოტენციალი საქართველოში. ავტორების მიერ დასაბუთებულია, რომ უპირატესად ორგანული აგროპროდუქტების მიმართულებით ქვეყნის აგრარული სექტორის გარდაქმნა და მისი უზრუნველყოფის სახელმწიფოებრივი პოლიტიკის გატარება წარმოადგენს სოფლის მეურნეობის მდგრადი და შეუქცევადი ზრდის უმთავრეს პირობას. გაკეთებულია დასკვნა, რომ საქართველოში ორგანული აგრობიზნესის მდგომარეობა ვერ პასუხობს თანამედროვე მსოფლიო ტენდენციებსა და გამოწვევებს, მისი ზრდის ტემპი კი საკმარისი არ არის ერთის მხრივ, ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოების, მეორეს მხრივ კი, გრძელვადიან პერიოდში ქვეყნის აგრარული სექტორის მდგრადი და შეუქცევადი ზრდის უზრუნველსაყოფად.ნაშრომში განსაზღვრულია საქართველოში ორგანული აგრობიზნესის სრულყოფის საშუალებები და შემუშავებულია კონკრეტული რეკომენდაციები, რომელიც უზრუნველყოფს საქართველოში აგრარული სექტორის უპირატესად ორგანულ წარმოებაზე გადასვლას, ორგანული წარმოების სფეროს		

განვითარების ეფექტიან რეგულირებასა და სტიმულირებას.

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1.	ნინო ფარესაშვილი ნანული ოქრუაშვილი	საქართველოში არსებული უმუშევრობის სოციალურ-ეკონომიკური შედეგების კვლევა	2020 წლის 22-24 იანვარი 7th Business Systems Laboratory International Symposium „Socio-Economic Ecosystems: Challenges for Sustainable Development in the Digital Era“ (University of Alicante, Spain

წარმოდგენილი ნაშრომის მიზანია საქართველოს შრომის ბაზარზე არსებული რეალური ვითარების შესწავლა, უმუშევრობის დონის, სტრუქტურისა და დინამიკის ანალიზი და მისი თანმდევი სოციალურ-ეკონომიკური შედეგების კვლევა, უმუშევრობის პრევენციის გზებისა და მეთოდების დადგენა და დასაქმების სფეროში ანტიკრიზისული ზომების შემუშავება. კვლევის საგანს წარმოადგენს უმუშევართა რაოდენობრივი და თვისობრივი მახასიათებლები, აგრეთვე საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკურ სფეროებში განხორციელებული ცვლილებები და ნეგატიური შედეგები, რომლებიც თან ახლავს უმუშევრობას: კრიმინალური მდგომარეობის გამწვავება, სოციალური დაძაბულობის გაძლიერება, ფიზიკურ და ფსიქიურ დაავადებათა რაოდენობისა და სოციალური დიფერენციაციის ზრდა, შრომითი საქმიანობისადმი მოტივაცის დაქვეითება,იმ პირთა დისკვალიფიკაცია და თვითშეფასების დაკარგვა, რომლებმაც დაკარგეს სამუშაო, საზოგადოებაში ზნეობრივი პრინციპების დაცემა, ადამიანის უმოქმედობა და დეგრადაცია. ნაშრომში შესწავლილია უმუშევრობის დონესა და განქორწინებათა, თვითმკვლელობების, დაავადებებისა და კრიმინოლოგიურ მაჩვენებლებს შორის კორელაციური კავშირი. დადგენილია ის გარემოება, რომ რაც უფრო მაღალია უმუშევრობის დონე, მით უფრო მაღალია განქორწინების, თვითმკვლელობის, დაავადებებისა და კრიმინოლოგიურ ქმედებებათა მაჩვენებელი. სტატიაში ხაზგასმულია უმუშევრობის მნიშვნელოვან და რეალურ საფრთხეზე - საზოგადოებრივ და პოლიტიკური არეულობაზე. მასობრივმა უმუშევრობამ შეიძლება გამოიწვიოს სწრაფი, ზოგჯერ ძალადობრივი სოციალური და პოლიტიკური ცვლილებები, სოციალური აფეთქება. განხილულია ის ღონისძიებები და რომელიც უნდა გატარდეს ქვეყანაში უმუშევრობის ნეგატიური სოციალურ-ეკონომიკური შედეგებისა და პრობლემების გადასაჭრელად.

I. განყოფილება, ლაბორატორია) დასახელება - ***მარკეტინგის კათედრა***

I. 2. სამეცნიერო ერთეულის ხელმძღვანელი: ***პროფესორი ნუგზარ თოდუა***

I. 3. სამეცნიერო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა:

ასოცირებული პროფესორი ბაბულია მღებრიშვილი
ასოცირებული პროფესორი ჩარიტა ჯაში
ასოცირებული პროფესორი ნანა ოქრუაშვილი
ასოცირებული პროფესორი მაკა კობალავა
ასოცირებული პროფესორი ეკატერინე უროტაძე
ასისტენტ-პროფესორი მაია ვეშაგური

ასისტენტ-პროფესორი მაია სეთური

პროფესორი ნუგზარ თოდუა

5.4. სტატიები ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდის (DOI) მითითებით

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათა-ური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI	ჟურნალის/ კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	თოდუა ნუგზარ, ვაშაკიძე ბექა	სოციალური მედია მარკეტინგის გამოყენება პერსონალურ გაყიდვებში	ჟურნალი „გლობალიზაცია და ბიზნესი“	თბილისი ISSN 2449-2396	15 გვ.
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე) ნაშრომში გაანალიზებულია სოციალური მედია მარკეტინგის მნიშვნელობა პერსონალურ გაყიდვებში და გამოვლენილია მასთან დაკავშირებული ძირითადი პრობლემები. ჩატარებული მარკეტინგული კვლევის საფუძველზე დადგენილია პერსონალურ გაყიდვებთან დაკავშირებული სოციალური მედია მარკეტინგის მიმართ მომხმარებელთა დაინტერესების, სანდოობისა და კმაყოფილების დონეები. გამოვლენილია აგრეთვე სოციალურ მედიაში პერსონალური გამყიდველების აქტივობისა და მომხმარებლებზე მისი გავლენის დონეები. დისპერსიული ანალიზის საფუძველზე მიღებულია სტატისტიკურად მნიშვნელოვანი სიდიდეები, რომლებიც ასახავს მომხმარებლების მიერ მყიდველობითი გადაწყვეტილების მიღებაზე პერსონალურ გაყიდვებთან ასოცირებული სოციალური მედიის მიმართ დაინტერესების, გათვითცნობიერების, სანდოობისა და კმაყოფილების გავლენას.				

7. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

7.1. საქართველოში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	ნუგზარ თოდუა	საქართველოს ტურისტული დესტინაციების მიერ შემოთავაზებული მომსახურების ხარისხის შეფასება	2020 წლის 6 ნოემბერი, თსუ საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „გლობალიზაცია და ბიზნესი“
მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ			

გამოქვეყნებულა)

ნაშრომში ნაჩვენებია დესტინაციების მიერ შემოთავაზებული მომსახურების ხარისხის როლი ტურისტულ ბიზნესში. მარკეტინგული კვლევის საფუძველზე შესწავლილია დესტინაციების მიერ შემოთავაზებული მომსახურების ხარისხის ცალკეული მაჩვენებლებისადმი მომხმარებელთა დამოკიდებულება. შემუშავებულია ტურისტული მომსახურების ხარისხის შეფასების ახალი მეთოდი. ამ მეთოდის გამოყენებით დადგენილია საქართველოს ტურისტული დესტინაციების მიერ შემოთავაზებული მომსახურების ხარისხის კომპლექსური მჩვენებელი. დისპერსიული ანალიზის დახმარებით მიღებულია სტატისტიკურად მნიშვნელოვანი სიდიდეები, რომლებიც ასახავს ტურისტული დესტინაციების მიერ შემოთავაზებული მომსახურების ხარისხზე მისი ცალკეული მაჩვენებლების (საიმედოობის, რეაგირების სისწრაფის, დამაჯერებლობის, ემპათიის და მატერიალურობის) გავლენას.

ასოცირებული პროფესორი ბაბულია მღებრიშვილი

7. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

7.1.საქართველოში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	ბაბულია მღებრიშვილი	მომგებიანად მუშაობისა და სიმდიდრის მართლმადიდებლური ფილოსოფია	2020 წლის ნოემბერი თბილისი, საქართველო

სტატიაში განხილულია ქრისტიანული მართმადიდებლური შეხედულებები შრომის, მოგებისა და სიმდიდრის შესახებ. სტატიის ავტორი სთვლის, რომ ამ შეხედულებებში გარკვევა ადამიანებისთვის საჭიროა, რადგან, ერთი მხრივ, მოგება და სიმდიდრე გარკვეულ საფრთხეს უქმნის ადამიანების სწორად, ქრისტიანული მოთხოვნების შესაბამისად, მოქცევას, მეორე მხრივ კი, სწორედ მოგების მიღება და სიმდიდრის დაგროვება უზრუნველყოფს საზოგადოების კეთილდღეობას. სტატიაში, სახარებაზე დაყრდნობით და იგავის გამოყენებით, ხაზგასმულია, რომ მართმადიდებლური ქრისტიანობა მომგებიან და პატიოსან შრომას, რასაც სიმდიდრის დაგროვება მოყვება, სავალდებულოდ სთვლის. ამასთან, სტატიაში ნაჩვენებია, რომ სახარება, მიუხედავად სიმდიდრის ფლობისგან მომდინარე დიდი საფრთხეებისა, ადამიანების მიერ ამ საფრთხეების თავიდან აცილებას შესაძლებლად მიიჩნევს. ამისთვის კი, მართმადიდებლური სწავლების მიხედვით, საჭიროა, რომ მდიდარმა სიმდიდრის სწორად განკარგვა ისწავლოს, ღარიბი კი ბოღმითა და შურით არ აივსოს სხვისი სიმდიდრის გამო.

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1 2	ბაბულია მღებრიშვილი მირანდა ბიჭიკაშვილი (სტუდენტი)	ქართველი მომხმარებლის დამოკიდებულება სოციალურ ქსელებზე (Facebook-ის მაგალითზე)	2020 წლის ოქტომბერი თბილისი, საქართველო

თანამედროვე ადამიანების ცხოვრებაში ვირტუალურმა ურთიერთობებმა დიდი ადგილი დაიკავა, რაშიც მნიშვნელოვან როლს სოციალური ქსელები, მათ შორის Facebook, ასრულებს. აღნიშნული სოციალური ქსელი ადამიანთა უმრავლესობისთვის, მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში და მათ შორის საქართველოშიც, ცხოვრების განუყოფელი ნაწილი გახდა. ადამიანები ისე გახდნენ

Facebook - ზე დამოკიდებულები, რომ ეს ვერც კი გაიაზრეს. სტატიის ავტორების აზრით, „Facebook - ზე მიჯაჭვულობა“ დიდი პრობლემაა, რაც ადამიანებს რამდენიმე მიმართულებით აზარალებს. მაგრამ, მათი აზრით, მთავარი ადამიანთა ჯანმრთელობისთვის მიყენებული ზიანია. სტატიის ავტორები, საკუთარი დაკვირვებისა და ონლაინგამოკითხვის შედეგებზე დაყრდნობით, სტატიაში ყურადღებას ამახვილებენ ადამიანების მიერ, Facebook - ის გამოყენებით, მიღებულ სარგებელზეც, რაც კორონავირუსული პანდემიის პირობებში ობიექტური რეალობა გახდა. Facebook - მა საქართველოში გარკვეული როლი შეასრულა ადამიანების მიერ „სახლში დარჩი“ მოწოდების შესრულებაში. სტატიის ავტორების მოსაზრებით, Facebook - ის მიერ საზოგადოებისთვის მოტანილი დადებითი შედეგების მიუხედავად, დროულად უნდა გატარდეს ღონისძიებები, რომ Facebook-ზე ადამიანების დამოკიდებულების პრობლემა გადაიჭრას.

7. 2.უცხოეთში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	ბაბულია მღებრიშვილი	Some Legal Aspects of Achievement of Sustainable Consumption and Production in Georgia მდგრადი მოხმარებისა და წარმოების მიღწევის ზოგიერთი სამართლებრივი ასპრქტი საქართველოში	2020 წლის იანვარი ალიკანტე, ესპანეთი

მდგრადი განვითარება თანამედროვე მსოფლიო საზოგადოების ძირითადი მიზანია. მისი მიღწევის გარეშე შესაძლებელია საფრთხე შეექმნას მომავალი თაობების მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას. ამის თავიდან ასაცილებლად შემუშავდა მდგრადი განვითარების 17 მიზანი, რომლებიც ათასწლეულის მიზნებისგან განსხვავებით, როგორც განვითარებულ, ისე განვითარებად ქვეყნებს, მათ შორის საქართველოსაც, მოიცავს.

საქართველოს მთავრობამ მდგრადი განვითარების 17-ვე მიზანი ეროვნულ პრიორიტეტად აღიარა და დაადგინა მათი განხორციელებისთვის საჭირო ამოცანების ინდიკატორები 2020, 2025 და 2030 წლებისთვის. ქვეყნის მდგრადი განვითარების უზრუნველსაყოფად საქართველოში მუშაობა რამდენიმე წელია მიმდინარეობს დასახული მიზნების ჭრილში და გარკვეული შედეგებიც მიღწეულია.

მდგრადი განვითარების მიზნების ერთიან სისტემაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია მდგრად მოხმარებასა და წარმოებას. ამ მიზნის რეალობად გადაქცევა უშუალო გავლენას ახდენს ისეთ მიზნების მიღწევაზე, როგორიცაა: სიღარიბის დაძლევა, შიმშილის დაძლევა, ჯანმრთელობა და კეთილდღეობა, დასაქმება და ეკონომიკური ზრდა. ეს ის მიზნებია, რომელთა შესრულებაც პირდაპირ ზეგავლენას ახდენს საქართველოს ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების იმ მუხლის განხორციელებაზე, რომელიც ითვალისწინებს მხარეთა შორის თანამშრომლობას „. . . რათა უზრუნველყონ მომხმარებელთა დაცვის მაღალი დონე“. მდგრადი მოხმარებისა და წარმოების მიზნის შესრულება დამოკიდებულია როგორც სახელმწიფო ორგანოებზე, ისე კერძო სტრუქტურებსა და ცალკეულ ადამიანებზე.

მდგრადი მოხმარებისა და წარმოების მისაღწევად, პირველ რიგში, საკანონმდებლო ბაზის მოწესრიგებაა საჭირო, რაც სახელმწიფო სტრუქტურების ფუნქციაა. ამ მიმართულებით

ღონისძიებების გატარებას მოითხოვს საქართველოს ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმებაც, რომელშიც დაფიქსირებულია მდგრადი განვითარების პრინციპებისადმი ერთგულების საჭიროება. ამის მიღწევა კი შესაძლებელია მხოლოდ შესაბამისი საკანონმდებლო აქტების არსებობის შემთხვევაში.

მდგრადი მოხმარებისა და წარმოების მიღწევას ბევრი ნორმატიული აქტის მოთხოვნების შესრულება უწყობს ხელს. მათ შორის, ჩვენი აზრით, ძალიან მნიშვნელოვანია საქართველოს კანონი ნარჩენების მართვის კოდექსი. მდგრადი მოხმარება და წარმოება პირდაპირ კავშირშია ნარჩენების პრობლემის მოგვარებასთან. ამისთვის კანონი გარკვეულ გზებს გვთავაზობს, კერძოდ, კანონის მიხედვით, საჭიროა: ნარჩენების წარმოქმნისა და მისი უარყოფითი გავლენის პრევენცია ან შემცირება; ნარჩენების მართვის ეფექტიანი მექანიზმის შექმნა; რესურსების მოხმარებით გამოწვეული ზიანის შემცირება და მათი უფრო ეფექტიანი გამოყენება.

მდგრადი მოხმარებისა და წარმოების მიღწევაში, სამართლებრივი ბაზის მოწესრიგებასთან ერთად, ყურადღება უნდა გამახვილდეს ნორმატიული დოკუმენტების საზოგადოებისთვის გაცნობის მიმართულებითაც. ძალიან მნიშვნელოვანია საზოგადოების ინფორმირება მდგრადი მოხმარებისა და წარმოების კუთხით განვითარებულ ქვეყნებში დაგროვებულ გამოცდილებასთან დაკავშირებით. მდგრადი მოხმარებისა და წარმოების საკითხებში გაცნობიერებული ადამიანები, იქნებიან ისინი ამა თუ იმ საწარმოს წარმომადგენლები თუ საზოგადოების რიგითი წევრები, უფრო გააქტიურდებიან რესურსების ეფექტიანად მოხმარების კუთხით. ამას კი შეუძლია არსებითი როლის შესრულება საზოგადოების ბუნებასთან ჰარმონიულად ცხოვრების მიღწევაში. შედეგად გარემოც დაცული იქნება ადამიანების არასწორი ზემოქმედებისგან და პირობებიც შეიქმნება ადამიანთა მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად გრძელვადიან პერიოდში.

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	**ბაბულია მღებრიშვილი** ანა მღებრიშვილი თამარ ათოშვილი	Care about Environment Protection in the Conditions of Effectiveness of Sustainable Development Conception (Example of Georgia) გარემოს დაცვის მდგომარეობა მდგრადი განვითარების კონცეფციის მოქმედების პირობებში (საქართველოს მაგალითზე)	2020 წლის აპრილი კიევი, უკრაინა

სტატიის ავტორები გარემოს დაცვას განიხილავენ მომავალი თაობების მოთხოვნილებების დაკმაყოფილების აუცილებელ პირობად. ისინი სთვლიან, რომ, ბუნებრივი გარემოს გაფრთხილების გარეშე, ვერ მოხერხდება წარმოების რესურსებით უზრუნველყოფა და საერთოდ ქვეყნების ეკონომიკური განვითარება სათანადო დონეზე. გარემოს დაცვა, სტატიის ავტორების აზრით, არა მარტო საქართველოში, არამედ მთელ მსოფლიოში დღეს კვლავ პრობლემას წარმოადგენს. მიუხედავად იმისა, რომ განხორციელდა ათასწლეულის განვითარების მიზნები, დღეს კი ქვეყნების აბსოლუტური უმეტესობა ჩართულია მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევაში, გარემოს დაცვის საკითხი კვლავ პრობლემას წარმოადგენს. სტატიის ავტორების აზრით, ეს დასტურდება იმ კატაკლიზმებით, რომლებიც მთელ მსოფლიოში პერიოდულად ხდება. გარემოს დაცვის პრობლემის მოგვარების ძირითად ფაქტორად ავტორები სთვლიან გარემოსდაცვითი განათლების მიღწევას საზოგადოებაში. მათ მიაჩნიათ, რომ გარემოსდაცვითი განათლების ფორმირება ბავშვობის ასაკიდანვე უნდა მოხდეს. ისინი სთვლიან, რომ სკოლამდელ,

სასკოლო, კოლეჯების და უმაღლესი სასწავლებლების პროგრამებში შეტანილი უნდა იქნას საგნები გარემოს დაცვის შესახებ.

ასოცირებული პროფესორი ნანა ოქრუაშვილი

7. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა
7.2. უცხოეთში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1.	**ნანული ოქრუაშვილი** ნინო ფარესაშვილი	ორგანული სოფლის მეურნეობის განვითარების თანამედროვე მსოფლიო ტენდენციები და საქართველო: პრობლემები და პერსპექტივები	2020 წლის 22-24 იანვარი 7th Business Systems Laboratory International Symposium „Socio-Economic Ecosystems: Challenges for Sustainable Development in the Digital Era“ (University of Alicante, Spain
ნაშრომში გაანალიზებულია საქართველოში ორგანული აგრობიზნესის განვითარების მაჩვენებლები, შეფასებულია ამ სფეროში არსებული ზრდის ტენდენციები, განხილულია ორგანული აგრობიზნესის როლი ქვეყნის ეკონომიკური ზრდასა და სოციალური სტაბილურობის მიღწევაში, ასევე, ორგანული აგრობიზნესის რესურსული და ტექნოლოგიური პოტენციალი საქართველოში. ავტორების მიერ დასაბუთებულია, რომ უპირატესად ორგანული აგროპროდუქტების მიმართულებით ქვეყნის აგრარული სექტორის გარდაქმნა და მისი უზრუნველყოფის სახელმწიფოებრივი პოლიტიკის გატარება წარმოადგენს სოფლის მეურნეობის მდგრადი და შეუქცევადი ზრდის უმთავრეს პირობას. გაკეთებულია დასკვნა, რომ საქართველოში ორგანული აგრობიზნესის მდგომარეობა ვერ პასუხობს თანამედროვე მსოფლიო ტენდენციებსა და გამოწვევებს, მისი ზრდის ტემპი კი საკმარისი არ არის ერთის მხრივ, ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოების, მეორეს მხრივ კი, გრძელვადიან პერიოდში ქვეყნის აგრარული სექტორის მდგრადი და შეუქცევადი ზრდის უზრუნველსაყოფად.ნაშრომში განსაზღვრულია საქართველოში ორგანული აგრობიზნესის სრულყოფის საშუალებები და შემუშავებულია კონკრეტული რეკომენდაციები, რომელიც უზრუნველყოფს საქართველოში აგრარული სექტორის უპირატესად ორგანულ წარმოებაზე გადასვლას, ორგანული წარმოების სფეროს განვითარების ეფექტიან რეგულირებასა და სტიმულირებას.			
№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1.	ნინო ფარესაშვილი **ნანული ოქრუაშვილი**	საქართველოში არსებული უმუშევრობის სოციალურ-ეკონომიკური შედეგების კვლევა	2020 წლის 22-24 იანვარი 7th Business Systems Laboratory International Symposium „Socio-Economic Ecosystems: Challenges for Sustainable Development in the Digital Era“ (University of Alicante, Spain

წარმოდგენილი ნაშრომის მიზანია საქართველოს შრომის ბაზარზე არსებული რეალური ვითარების შესწავლა, უმუშევრობის დონის, სტრუქტურისა და დინამიკის ანალიზი და მისი თანმდევი სოციალურ-ეკონომიკური შედეგების კვლევა, უმუშევრობის პრევენციის გზებისა და მეთოდების დადგენა და დასაქმების სფეროში ანტიკრიზისული ზომების შემუშავება. კვლევის საგანს წარმოადგენს უმუშევართა რაოდენობრივი და თვისობრივი მახასიათებლები, აგრეთვე საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკურ სფეროებში განხორციელებული ცვლილებები და ნეგატიური შედეგები, რომლებიც თან ახლავს უმუშევრობას: კრიმინალური მდგომარეობის გამწვავება, სოციალური დაძაბულობის გაძლიერება, ფიზიკურ და ფსიქიურ დაავადებათა რაოდენობისა და სოციალური დიფერენციაციის ზრდა, შრომითი საქმიანობისადმი მოტივაცის დაქვეითება,იმ პირთა დისკვალიფიკაცია და თვითშეფასების დაკარგვა, რომლებმაც დაკარგეს სამუშაო, საზოგადოებაში ზნეობრივი პრინციპების დაცემა, ადამიანის უმოქმედობა და დეგრადაცია. ნაშრომში შესწავლილია უმუშევრობის დონესა და განქორწინებათა, თვითმკვლელობების, დაავადებებისა და კრიმინოლოგიურ მაჩვენებლებს შორის კორელაციური კავშირი. დადგენილია ის გარემოება, რომ რაც უფრო მაღალია უმუშევრობის დონე, მით უფრო მაღალია განქორწინების, თვითმკვლელობის, დაავადებებისა და კრიმინოლოგიურ ქმედებებათა მაჩვენებელი. სტატიაში ხაზგასმულია უმუშევრობის მნიშვნელოვან და რეალურ საფრთხეზე - საზოგადოებრივ და პოლიტიკური არეულობაზე. მასობრივმა უმუშევრობამ შეიძლება გამოიწვიოს სწრაფი, ზოგჯერ ძალადობრივი სოციალური და პოლიტიკური ცვლილებები, სოციალური აფეთქება. განხილულია ის ღონისძიებები და რომელიც უნდა გატარდეს ქვეყანაში უმუშევრობის ნეგატიური სოციალურ-ეკონომიკური შედეგებისა და პრობლემების გადასაჭრელად.

ასოცირებული პროფესორი მაკა კობალავა

5. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში

5.5. სტატიები ISSN-ის მითითებით

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათა-ური, ISSN	ჟურნალის/ კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	**კობალავა, მ,** ვასაძე მ.	სტრატეგიული დაგეგმარება საგანმანათლებლო სივრცეში ISSN 1987-6858	ჟურნალი „ივერონი“	ქ. თბილისი, გამომცემლობა უნივერსალი	3 გვ.
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)					
სტრატეგიული დაგეგმვა ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს კომპონენტს წარმოადგენს საგანმანათლებლო სივრცეში. ინსტიტუციის მართვის კონცეფციების შემუშავება საკმაოდ მნიშვნელოვანი და შემდგომი წარმატების საწინდარია. სტატიაში ასახულია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სტრატეგიული დაგეგმვის ძირითადი მიზნები. იგი შეიცავს მიმდინარე პროცესების ანალიზს, შესაბამისი რესურსების ადეკვატურ განაწილებასა და სამომავლო პერსპექტივების ეფექტურ ჩამოყალიბებას. უმაღლეს საგანმანათელბლო დაწესებულებებში სტრატეგიული დაგეგმვის ფუნდამენტური მიზანი ინსტიტუციის ძლიერი და სუსტი მხარეების გამოკვლევა და შესწავლა, მიმდინარე პროცესების გამოკვლევა,					

რესურსების ადეკვატური განაწილება და სამომავლო პერსპექტივების ეფექტური ჩამოყალიბებაა. სტრატეგიული გეგმა მიზნად ისახავს დაწესებულების შიგნით შრომისუნარიანობისა და შრომითი რესურსების გაძლიერებას, რაც გენერირდება ავტორიზაცია, აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობაზე და პოზიტიურად მოქმედებს საგანმანათლებლო დაწესებულების ხარისხზე. სტრატეგიული გეგმის მიზანია ისეთი საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვა და უზრუნველყოფა, რომელიც ფოკუსირებულია ეროვნულ კონტექსტისა და გლობალური გარემოს გათვალისწინებით განათლების მაღალი ხარისხის მიღწევასა და სტუდენტების კმაყოფილების გაზრდაზე.

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათა-ური, ISSN	ჟურნალის/ კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
2	კობალავა, მ.	ფემინიზმი ISSN 2667-923X	ჟურნალი „მომავლის ლიდერი“	ქ. თბილისი, თბილისის თავისუფალი აკადემიის გამომცემლობა	10 გვ.

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

თანამედროვე სამყაროში ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს თემას წარმოადგენს ფემინიზმი, მისი აქტუალური პრობლემები და თანამედროვე დინამიკა, როგორც სამყაროში ასევე საქართველოში. აქტუალური და პრობლემურია ტაბუდადებული საკითხის აქტუალიზაცია განსაკუთრებით ქართულ რელობაში მისი სუბკულტურის გათვალისწინებით. თანამედროვე თემის განსაკუთრებულობა აისახება პოლიტიკურ სეგმენტზეც, სადაც უფრო ღრმა მნიშვნელობას იძენს ქალთა ჩართულობა პოლიტიკურ პროცესებში და მნიშვნელოვანია საკითხის მიდგომა, რომ თუ ქალები არ იქნებიან უფრო ფართოდ წარმოდგენილნი პოლიტიკაში, ვერ მოხერხდება ბევრი სხვა სერიოზული პრობლემის გადაჭრა: იქნება ეს ქალთა თანასწორი ხელმისაწვდომობა განათლებაზე, ეკონომიკურ რესურსებზე თუ მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღებაზე. მნიშვნელოვანია კონსენსუსის, მიღწევა, რომ უთანასწორობის საკითხი პოლიტიკური საკითხიც არის და შესაბამისად, ეფექტიან მოქმედებას საჭიროებს როგორც სახელმწიფოს მხრიდან საკანონმდებლო დონეზე, ასევე მენტალური პრობლემების განხილვის საკითხებთან დაკავშირებით.

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათა-ური, ISSN	ჟურნალის/ კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
3	კობალავა, მ.	საზოგადოებასთან ურთიერთობა PR ISSN 2667-923X	ჟურნალი „მომავლის ლიდერი“	ქ. თბილისი, თბილისის თავისუფალი აკადემიის გამომცემლობა	20 გვ.

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

სტატიაში განსაზღვრულია საზოგადოებასთან ურთიერთობისა და პიარის კონსოლიდირებული შესაბამისობა, საზოგადოებრივი აზრის ფორმირებისა და მიზნობრივი აუდიტორიის ქმედებების გაზომვის რელევანტურობის პროცესი, რათა საზოგადოებასთან

ურთიერთობა მუდმივად ორიენტირებულია არსებული ტენდენცები ეფექტურად შეუსაბამოს მოსალოდნელ ცვლილებებს მისი მულტიკულტურული ბუნების შესაბამისად.

6. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა უცხოეთში
6.4. სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI ან ISSN	ჟურნალის/ კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	კობალავა მარინე	შავი PR მიზანი და საშუალება ISSN: 2344-2174	ჟურნალი „ეკოფორუმი“		11გვ.
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე) ნაშრომი ეძღვნება PR-თან აფილირებულ პროცესს - შავ პიარს, რომელიც წარმოადგენს ერთგვარ ტექნოლოგიას დამარწმუნებელი ინფორმაციის, პროპაგანდისა და სხვა მანიპულაციის საშუალებების გამოყენებით საზოგადოებასთან ურთიერთობისა, რაც თანამედროვე სივრცეში ნეგატიურ მოვლენად დამკვიდრდა. მნიშვნელოვანია, რომ მსოფლიოში ტრენდად იქცა საზოგადოებასთან ურთიერთობის ერთ-ერთი კომპონენტის, შავი პიარის მართვის ელემენტების გამოყენება შესაბამის სფეროებში და იგი წარმატებულად გამოიყენება როგორც, საკომუნიკაციო საშუალებებში, ასევე უახლესი კონსტრუქტირებული ტექოლოგიებით აღჭურვილ სფეროებში. თანამედროვე ეპოქაში შავი პიარის გამოყენება ყოველდღიური ცხოვრების წესად ჩამოყალიბდა. შავი პიარის გამოყენების შესაძლებლობა განუსაზღვრელია და ამ ეტაპისათვის გაუზომელი. ყოველივე ზემოთთქმულიდან გამომდინარე, მზარდია ინტერესი საზოგადოებასთან ურთიერთობის კონკრეტული სფეროს მიმართ, რომელიც ზეგავლენას ახდენს სრულიად საზოგადოების ქცევაზე და რეაგირებს მათ ფასეულობათა სისტემის ჩამოყალიბებაზე.				

ასოცირებული პროფესორი ჩარიტა ჯაში

7. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

7.1.საქართველოში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	ეკა უროტაძე ჩარიტა ჯაში	COVID 19-ის პანდემიის ეპოქის მარკეტინგული ასპექტები	საერთაშორისო კონფერენცია 2020 წლის ნოემბერი თბილისი, საქართველო
სტატია ეხება ორ მთავარ საკითხს, რომლებიც განსაკუთრებით აქტუალურია გლობალური ეპიდემიის დროს: 1) პანდემიის მიერ გამოწვეულმა ფაქტორებმა რადიკალურად შეცვალა მომხმარებლის ქცევა, მოხდა ფასეულობათა გადაფასება და სრულად განსხვავებული საქონლისა და მომსახურების წინწამოწევა. 2) მიმდინარე კრიზისის პერიოდში სოციალურ			

მედიამარკეტინგი გახდა ძლიერი მარკეტინგული ინსტრუმენტი. სტატია დამყარებულია სხვადასხვა წყაროებზე, განხილულია ის ლიტერატურა, ელექტრონული ვებგვერდი და სამეცნიერო ნაშრომები, რომლებშიც COVID 19-ის პანდემიის კონტქსტში მოცემულია მარკეტინგის ახალი მიდგომები და ხედვები. ნაშრომში გაანალიზებულია Nielsen-ისა და Mckeinsey-ის კვლევები, რაც ასახავს მომხმარებელთა ქცევის ცვლილებების სხვადასხვა ეტაპს, მომხმარებელზე მორგებულ და მოკლევადიან სარგებელზე გადასვლის თავისებურებებს. აქვე მოცემულია კორონავირუსის პერიოდის დამახასიათებელი ტენდენციები, როგორიცაა: სპეციფიკურ პროდუქტებზე ფასების ზრდა, ტრადიციული გლობალური ბრენდების მიმართ მომხმარებელთა ლოიალურობის შემცირება და ეროვნული ბრენდებისადმი უპირატესობის მინიჭება. სოციალური მედიამარკეტინგი განსაკუთრებულად აქტუალურია დღეს, ინტერნეტი და სოციალური ქსელები კომპანიასა და პროდუქტთან მარტივად წვდომის, ძლიერ მარკეტინგულ პლატფორმად ჩამოყალიბდა და მილიარდობით ადამიანის ყოველდღიური ცხოვრების ნაწილი გახდა. COVID 19-ის დროს მნიშვნელოვნად შეიცვალა გლობალური და ადგილობრივი კომპანიების მარკეტინგული სტრატეგია სოციალურ ქსელებში. ამ პერიოდისათვის დამახასიათებელია განსაკუთრებულად დიდი რაოდენობის ინფორმაციის თავმოყრა სოციალურ ქსელებში. ზემოთ აღნიშნულს როგორც პოზიტიური, ასევე უარყოფითი ეფექტი გააჩნია. სოციალური მედიამარკეტინგის საშუალებით მომხმარებლები პანდემიის მიმდინარეობის შესახებ მეტად საჭირო და მნიშვნელოვან ინფორმაციას იღებენ, ისინი განსაკუთრებით ენდობიან მსოფლიო ჯანდაცვისა და ადგილობრივი ჯანდაცვის წარმომადგენელთა მიერ გაცემულ რეკომენდაციებს. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ სოციალურ ქსელებში ვრცელდება ნაკლებად სანდო, არადამაჯერებელი ე. წ. ფეიკ ინფორმაციები, რაც ხშირად უარყოფითად აისახება მომხმარებლის განწყობასა და ქცევაზე. სამწუხაროდ, ამ ეტაპზე არ არსებობს ქმედითი ინსტრუმენტი ფეიკ ნიუსების დაბლოკვისა, რის შედეგად მომხმარებელს უჩნდება გაურკვეველობისა და უიმედობის განცდა. გლობალური პანდემიის პირობებში მარკეტინგული სტრატეგიისა და მომხმარებელთა ქცევის რადიკალური ცვლილებები სერიოზულ გავლენას ახდენს საერთაშორისო და ადგილობრივი ბიზნესის განვითარებაზე. განსაკუთრებით აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ საქართველოს მთავრობისა და ჯანდაცვის სისტემის კონსოლიდირებული ქმედებები წარმატებულად არის აღიარებული. ჯანდაცვის წარმომადგენელთა მაღალი პროფესიონალიზმი და სწრაფი რეაგირება პოზიტიურად არის შეფასებული, როგორც ადგილობრივი მოსახლეობის, ასევე საერთაშორისო პარტნიორების მიერ.

პუბლიკაცია

№	ავტორი	მოხსენების სათაური	ჟურნალი
1	ჩარიტა ჯაში	სოციალური მედიის ახალი მარკეტინგული კონტექსტი-	ეკონომიკა და ბიზნესი ჟურნალი #1 2020 წლის მარტი თბილისი, საქართველო
სოციალური მედია თავისი ქსელებით სერიოზულ ბერკეტს ფლობს მიზნობრივ ბაზარზე მომხმარებელთა ზემოქმედებისათვის. მრავალი წლის განმავლობაში გავლენის მარკეტინგი გამოიყენებოდა პროდუქტისა და მომსახურების სტიმულირებისათვის ბაზარზე, თუმცა მას სხვა მნიშვნელობა ქონდა. დღეს იგი გვევლინება, როგორც ახალი შინაარსის მატარებელი, რომელსაც შეუძლია ზემოქმედება მოახდინოს სხვადასხვა ინტერესების მქონე მომხმარებელზე, ურთიერთობის პროცესში გარკვეული ემოცია ჩამოუყალიბოს მათ და პოზიტიურად იმოქმედოს მომხმარებელზე. როგორც აღნიშნული იქნა გავლენის მარკეტინგის მიერ შემუშავებული			

რეკომენდაციები უდიდეს გავლენას ახდენს მომხმარებელზე, განსაკუთრებით მილენიუმების სეგმენტზე მათი ზემოქმედების არეალი ბევრად უფრო მეტია, ვიდრე ძვირადღირებული რეკლამები და ბლოგები. გავლენიანი პირები უფრო რელევანტური და ავთენტური არიან, მათთან კომუნიკაცია კომპანიისათვისა და მომხმარებლისათვის დიდად სარგებლიანია. გავლენის მარკეტინგის შესახებ მრავალფეროვანი პუბლიკაციების, ვებგვერდებისა და ბლოგების ანალიზი კიდევ ერთხელ ადასტურებს მის მნიშვნელობას კომპანიის მარკეტინგული სტრატეგიის ეფექტიან განხორციელებაში. გავლენის მარკეტინგი ხელს უწყობს სოციალური უპირატესობისა და ნდობის ფორმირების მნიშვნელობას მომხმარებელთა აღქმაში. ბევრი მკვლევარი მიიჩნევს, რომ გავლენის მარკეტინგს გააჩნია ძალიან დიდი პოტენციალი შემდგომი განვითარებისათვის, შესაძლებელია მომავალში მნიშვნელოვნად გაიზარდოს გავლენის პირთა მიმდევართა რიცხვი, რომელიც საშუალებას მისცემს მათ ფინანსური გაძლიერების შანს, ასევე არსებობს მოსაზრებაც რომ შესაძლებელია გამოყენებული იქნეს სხვა ინსტრუმენტებიც, მაგალითად ხელოვნური ინტელექტის ალგორითმები და სხვა. რაც შეეხება კომპანიის მიერ წინასწარ მომზადებული ტექსტები და მესიჯები ნაკლებად ეფექტიანი გახდა. სოციალური ქსელები მარკეტინგის და კომუნიკაციის მნიშვნელოვანი არხია ბიზნესისათვის. იგი მუდმივად ცვლად რეჟიმშია, უწყვეტი ინოვაციებით, ამიტომ რთულია პროგნოზირება თუ როგორ განვითარდება აღნიშნული პროცესები მომავალში. წარმოდგენილი სტატია არის პირველი ცდა გავლენის მარკეტინგის კონცეპტუალური ანალიზისა საქართველოში. საქართველოში დარეგისტრირებული გავლენის ანუ როგორც ხშირად უწოდებენ ინფლუენსერების კომპანიები ძირითადად შემოიფარგლებიან ტრეინინგების, მასტერკლასის ჩატარებით ,ასევე აქვთ ბლოგები ძალზე შეზღუდული ინფორმაციით. საქართველოში არის გავლენის მომხდენი პირიბი, რომელიც ქმნის ბრენდის მიმდევართა არმიას, თუმცა ამ გზით ძალიან ცოტა თანხას გამოიმუშავებენ. როგორ აღიქვამენ მომხმარებლები გავლენის მარკეტინგს და რამდენად მიზანმიმართულად და სწორად ახდენს გავლენის მარკეტინგი ფასეული ინფორმაციის გადაცემას კომუნიკაციის გზით შემდგომი კვლევის მიზანი უნდა გახდეს.

ასოცირებული პროფესორი ეკატერინე უროტაძე

7. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

7.1. საქართველოში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	უროტაძე ეკატერინე ჯაში ჩარიტა	COVID 19-ის პანდემიის ეპოქის მარკეტინგული ასპექტები.	2020 წლის 6 ნოემბერი მე-5 საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „გლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში“ (თსუ)
მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ			

გამოქვეყნებულა)

7.2. უცხოეთში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	უროტაძე ეკატერინე	The role of social media marketing in attitude towards Georgian consumers to travel agencies.	2020 წლის 24 იანვარი 7th Business Systems Laboratory International Symposium „Socio-Economic Ecosystems: Challenges for Sustainable Development in the Digital Era“ (University of Alicante, Spain)
2	მაია სეთური, ეკატერინე უროტაძე	Some opinions about sustainable development and tourism (case of Georgia).	2020 წლის 23აპრილი 5th International Scientific and Practical Conference „Strategic imperatives of modern management“ (Kyiv National Economic University named after Vadym Hetman
მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა)			

ასისტენტ-პროფესორი მაია ვეშაგური

5. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში

5.5. სტატიები ISSN-ის მითითებით

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათა-ური, ISSN	ჟურნალის/ კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	ქობლიანიძე თამარ ქარდავა ჭაბუკა ვეშაგური მაია	მარკეტინგის თავისებურებები ჯანდაცვაში	სოციალური ეკონომიკა 2020 წელი # 04	თბილისი	7
სტატიაში გაანალიზებულია ჯანდაცვის სერვისების სპეციფიკური ბუნება, მისთვის დამახასიათებელი რისკები, კონკრეტულ სამედიცინო მომსახურებაზე მოთხოვნის პროგნოზირების სირთულე. ყურადღება გამახვილებულია მარკეტინგული ბერკეტების მნიშვნელობაზე, რომლებსაც შეუძლიათ დარგის ორგანიზაციულ-ეკონომიკური სისტემის განვითარების ხელშეწყობა, სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობის გაზრდა და ჯანდაცვის					

სისტემების ეფექტიანი მართვის უზრუნველყოფა.

აღწერილია მარკეტინგული ინსტრუმენტების და სტრატეგიების გამოყენების სარგებელი: სამიზნე აუდიტორიის და მასზე მიმართული მომსახურების პროდუქტის განსაზღვრა, სამედიცინო სერვისებზე პაციენტების მოლოდინების სიღრმისეული კვლევა, ლატენტური მოთხოვნილებების იდენტიფიცირება და დაუკმაყოფილებელი მოთხოვნილებების გამოვლენა, პაციენტის/ექიმის მოტივაციის და ქცევის ცვლილების ანალიზი, სამედიცინო სერვისების მიმართ მომხმარებელთა მაქსიმალური ინფორმირებულობის უზრუნველყოფა, საბაზრო გარემოში არსებული შესაძლებლობებისა და საფრთხეების დადგენა.

ჯანდაცვის დაწესებულებებში მარკეტინგული ინსტრუმენტების გამოყენება უზრუნველყოფს მომსახურების ხარისხის ამაღლებას, ჯანდაცვის რეფორმების ხელშეწყობას და სისტემის ოპტიმიზაციას როგორც ცალკეული ინდივიდის, ისე მთელი საზოგადოების ინტერესების გათვალისწინებით. მარკეტინგული ღონისძიებები ხელს უწყობენ ჯანდაცვის სერვისებზე მოთხოვნის აქტიურ ფორმირებას როგორც სახელმწიფო, ასევე კომერციულ სექტორში და სამედიცინო მომსახურების ფასეულობის განუხრელ ზრდას.

ასისტენტ-პროფესორი მაია სეთური

6. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა უცხოეთში
6.4. სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI ან ISSN	ჟურნალის/ კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
№	დასრულებული (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი, დამფინანსებელი ორგანიზაცია/სამეცნიერო	პროექტის დაწყების და დამთავრების	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

1	2	3	4
დასრულებული კვლევითი პროექტის 2020 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)			

4. პატენტები

4.1. საერთაშორისო პატენტები:

№	საპატენტო თემატიკის	გამომგონებელი/ები და	პატენტის საიდენტიფიკაც

4.2. ეროვნული პატენტები

№	საპატენტო თემატიკის	გამომგონებელი/ები და	პატენტის საიდენტიფიკაც

5. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში

5.1. მონოგრაფიები/წიგნები

№	ავტორი/ავტორები	მონოგრაფიის/წიგნის სათაური, საერთაშორისო	გამოცემის ადგილი,	გვერდების
1				
ვრცელი ანოტაცია (ქართულ				

5. 2. სახელმძღვანელოები

№	ავტორი/ავტორები	სახელმძღვანელოს სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული	გამოცემის ადგილი,	გვერდების
1				
ვრცელი ანოტაცია (ქართულ				

5.3. კრებულები

№	ავტორი/ავტორები	კრებულის სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული	გამოცემის ადგილი,	გვერდების

1 2				
ვრცელი ანოტაცია (ქართულ				

5.4. სტატიები ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდის (DOI) მითითებით

№	ავტორი/ ავტორებ	სტატიის სათა- ური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაცი	ჟურნალის/ კრებულის დასახელება	გამოცემის ადგილი, გამომცემლო	გვერდები ს
1	m.tevzadze,b.jeremich, s.kakhadze, m.baramia,t.alekishvili	Diagnostic methods of bone metastasis in patients with breast cancer	Translational and clinical medicine Vol5 No1 2020	????????	4

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

ძუძუს კიბო ქალებში გავრცელების მიხედვით პირველ ადგილზეა ონკოლოგიურ დაავადებებს შორის. ძუძუს კიბოს შემთხვევათა თითქმის 70%-ში ვითარდება ძვლების მეტასტაზური დაავადება. დაავადების დიაგნოსტირება ადრეულ ეტაპზე, გავრცელების სწორი შეფასება პირდაპირ კავშირშია დაავადების მიმდინარეობასა და გამოსავალთან. მნიშვნელოვანია ჩონჩხის მეტასტაზური დაზიანების გამოვლენა ადრეულ ეტაპზე. სტატიაში კლინიკურ მასალაზე დაყრდნობით დაწვრილებითაა აღწერილი რადიოლოგიის თითოეული კვლევის მეთოდის რენტგენოლოგიური კვლევის, რადიონუკლიდური კვლევის, კომპიუტერული და მაგნიტურ-რეზონანსული ტომოგრაფიის, პოზიტრონულ ემისიური კომპიუტერული ტომოგრაფიის შესაძლებლობები ჩონჩხის კიბოს მეტასტაზური დაავადების დიაგნოსტიკაში, შემუშავებულია პაციენტთა კვლევის ალგორითმი.

5.5. სტატიები ISSN-ის მითითებით

№	ავტორი/ ავტორებ	სტატიის სათა- ური,	ჟურნალის/ კრებულის დასახელება	გამოცემის ადგილი,	გვერდები ს
1 2					
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)					

6. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა უცხოეთში

6.1. მონოგრაფიები/წიგნები

№	ავტორი/ავტორები	მონოგრაფიის/წიგნის სათაური, საერთაშორისო სტანდარტული კოდი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1				
ვრცელი ანოტაცია (ქართულ				

6.2. სახელმძღვანელოები

№	ავტორი/ავტორები	სახელმძღვანელოს სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული	გამოცემის ადგილი,	გვერდების
		ISBN		
1				
ვრცელი ანოტაცია (ქართულ				

6.3. კრებულები

№	ავტორები	კრებულის სახელ-წოდება, საერთაშორისო	გამოცემის ადგილი,	გვერდების
1 2				
ვრცელი ანოტაცია (ქართულ				

6.4. სტატიები

№	ავტორი/ ავტორებ	სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაცი	ჟურნალის/ კრებულის დასახელება და	გამოცემის ადგილი, გამომცემლობ	გვერდები ს
1 2					
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)					

7. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

7.1. საქართველოში

№	მომხსენებელ ი/	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო
1 2			
მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ			

7.2. უცხოეთში

№	მომხსენებელ ი/	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო
1 2			
მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ			

ერთეულს თუ საჭიროდ მიაჩნია, შეუძლია ანგარიშში შეიტანოს სხვა, მისთვის მნიშვნელოვანი აქტივობაც.

ანგარიში წარმოდგენილი უნდა იყოს ნაბეჭდი (2 ეგზემპლარად) და ელექტრონული ვერსიის (CD-დისკი) სახით.

ანგარიში, რომელიც არ არის შედგენილი ამ დანართის მოთხოვნების შესაბამისად, ექსპერტიზას (შეფასებას) არ ექვემდებარება და შეფასების შემაჯამებელ დოკუმენტში აღინიშნება ფორმულით `არ შეფასდა~.

სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი

2020 წლის სამეცნიერო ანგარიში

ანგარიშის ფორმა №2

2020 წელს გაწეული სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ანგარიში

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება

სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის დასახელება

იურიდიული ფაკულტეტი

სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა ხელმძღვანელის მითითებით

ასოცირებული პროფესორი თამარ ზარანდია (დეკანი)

პროფესორები:

- დავითაშვილი გიორგი
- სურგულაძე ნუგზარ
- კვერენჩხილაძე გიორგი
- ჭიღლაძე ნანა
- კობახიძე ირაკლი
- კოპალეიშვილი მაია
- ხარშილაძე ირმა
- ტურავა პაატა
- კორკელია კონსტანტინე
- ქურდაძე ირინე
- ხუციშვილი ქეთევან
- ზოიძე ბესარიონ
- ნინიძე თევდორე
- ჭანტურია ლადო
- ბურდული ირაკლი
- ძლიერიშვილი ზურაბ
- ხუბუა გიორგი
- ბრეგვაძე ლაშა
- ივანიძე მაია
- ფაფიაშვილი ლალი
- ტურავა მერაბ
- თოდუა ნონა

ასოცირებული პროფესორები:

- ბოსტოღანაშვილი დავით
- გარიშვილი მარინა
- ფერაძე გოჩა
- კახიანი გიორგი
- თევდორაშვილი გიორგი
- გონაშვილი ვასილ
- კახიძე ირაკლი
- ლორია ხათუნა
- ქარდავა ეკატერინე
- გვარამაძე თამარ
- ყალიჩავა კობა
- სირაძე ეკა
- პატარაია დავით
- ბითაძე მაია
- ზამბახიძე თამარ
- ჩაჩავა სოფიო
- ცერცვაძე გიორგი
- ზარანდია თამარ
- შენგელია ეკატერინე
- ჩიტაშვილი ნათია
- მახარობლიშვილი გიორგი
- ზოიძე თამარ
- მოწონელიძე ნატალია
- რუსიაშვილი გიორგი
- ჯანაშვილი ლელა
- აქუბარდია ირინა
- თუმანიშვილი გიორგი
- შალიკაშვილი მორის
- დვალიძე ირაკლი
- მაღლაკელიძე ლავრენტი

ასისტენტ-პროფესორები:

- ონიანი სულხან
- ჩაჩანიძე ელზა
- ხოფერია მარიამ
- მაჭარაძე ზურაბ
- ღვამიჩავა თამარ
- კევლიშვილი მარიამ
- რუხაძე ნინო
- ჯორბენაძე სერგი

- ნუცუბიძე მაკა
- გოგნიაშვილი ნინო
- ცქიტიშვილი თემური
- ხარანაული ლევანი
- მეურმიშვილი ბესიკ
- დგებუაძე გიორგი
- ხოდელი მაკა

ასისტენტები:

- წიგნაძე ანა
- ჯავახიშვილი პაატა
- ალექსიძე თამარ
- მჭედლიძე ნანა
- ბერეკაშვილი დიანა
- გაწერელია აკაკი
- ეგნატაშვილი დემეტრე
- საძაგლიშვილი დიმიტრი
- თოხაძე ანა
- ბერიშვილი თამარ
- ოხანაშვილი ანრი
- ტატიშვილი მაგდა
- ჩაკვეტაძე გიორგი

1. სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის პერსონალის მიერ შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

1.1.

№	გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	თსუ იურიდიული ფაკულტეტის გრანტი იუსტინიანეს დიგესტების ქართული თარგმანი	მიმდინარე	ნ. სურგულაძე, მ. შუხოშვილი, გ. რუსიაშვილი, მ. ხოფერია
	თსუ იურიდიული ფაკულტეტის გრანტი ძველი ქართული იურიდიული ტერმინოლოგია	მიმდინარე	ნ. სურგულაძე, გ. დავითაშვილი, მ. გარიშვილი, მ. ხოფერია, ა. წიგნაძე
	თსუ იურიდიული ფაკულტეტის გრანტი ქართული სამართლის ძეგლების თარგმანი ინგლისურ	მიმდინარე	ნ. სურგულაძე, გ. დავითაშვილი, მ. რუსეიშვილი, მ. გარიშვილი

	და რუსულ ენებზე თსუ იურიდიული ფაკულტეტის გრანტი ქართული ჩვეულებითი (ხალხური) სამართლის ტერმინოლოგიური ლექსიკონი სამართლიანობის თანამედროვე თეორიები	მიმდინარე 2020 –	გ. დავითაშვილი, დ. ბოსტოღანაშვილი, ს. ონიანი ლ. ბრეგვაძე

გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2020 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

ძველი ქართული სამართლის, რომანისტიკის და სამართლის ისტორიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ფარგლებში, მრავალწლიანი სამეცნიერო-კვლევითი პროექტის „ძველი ქართული იურიდიული ტერმინოლოგია“ ფარგლებში, მ. გარიშვილის მიერ ხორციელდება „დიდი სჯულის კანონის“ ტექსტის ელექტრონულ მატარებლებზე გადატანა და იურიდიული ტერმინოლოგიის დადგენა.

ძველი ქართული სამართლის, რომანისტიკის და სამართლის ისტორიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ფარგლებში, მრავალწლიანი სამეცნიერო-კვლევითი პროექტის „ქართული სამართლის ძეგლების თარგმანი ინგლისურ და რუსულ ენებზე“ ფარგლებში, მ. გარიშვილი არის რუსულენოვანი თარგმანის ავტორი; დაასრულა „რუის-ურბნისის საეკლესიო კრების ძეგლისწერის“ კანონთა ტექსტის თარგმნა რუსულ ენაზე.

პროექტის „სამართლიანობის თანამედროვე თეორიები“ მიზანია 12 ნაშრომის მომზადება სამართლიანობის აქტუალური თეორიების შესახებ. დამოუკიდებელი ნაშრომები გაერთიანდება კრებულში და მიიღებს სახელმძღვანელოს ფორმას. პროექტის საბოლოო მიზანია ტექსტების კორპუსის მომზადება და იმავე სახელწოდების სასწავლო კურსის სახით შეთავაზება მაგისტრატურის საფეხურის სტუდენტებისთვის. თითოეული ლექცია მიეძღვნება სამართლიანობის კონკრეტულ თანამედროვე პერსპექტივას, მომზადებული ნაშრომები კი გამოყენებული იქნება საკითხავ მასალად. 2020 წლის მანძილზე დამუშავდა სამი კონკრეტული თეორია: სამართლიანობის ლიბერალური, ლიბერტარიანული და კომუნიტარისტული თეორიები. თითოეული ტექსტი, მომზადებული ამ გარდამავალი კვლევითი პროექტის ფარგლებში, გამოქვეყნდება ცალკე ნაშრომად.

1.2.

№	დასრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	საქართველოში ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულებაზე საპარლამენტო ზედამხედველობის საჭიროებათა შეფასება	თებერვალი-მარტი, 2020	კ. კორკელია (ექსპერტი)

	ვალდებულებითი სამართლის ზოგადი ნაწილი	2018-2020	ბ. ზოიძე (თანამონაწილე, თანაავტორი)
	სისხლის სამართლის აქტუალური საკითხები	2019–2020	მ. ივანიძე, ნ. თოდუა, ი. აქუბარდია, ი. ხერხეულიძე
	პროექტის დასახელება: საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის ზოგადი ნაწილის კომენტარი. მეცნიერების დარგი: იურიდიული. სამეცნიერო მიმართულება: სისხლის სამართალი. დონორი ორგანიზაცია: თსუ	პროექტის დაწყების დრო - 2020 წლის იანვარი; დასრულების დრო - 2020 წლის დეკემბრის ბოლო	მ. ტურავა, ნ. თოდუა, მ. ივანიძე, ლ. ფაფიაშვილი, ი. აქუბარდია, ი. დვალიძე, მ. შალიკაშვილი, თ. ცქიტიშვილი, ი. ხერხეულიძე, ლ. ხარანაული, გ. ჩაკვეტაძე
	დამფინანსებელი ორგანიზაცია: GIZ, პროექტის დასახელება: „ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა თანამონაწილეობის კუთხით საქართველოში არსებული მდგომარეობის შესახებ კვლევის განხორციელება, შესაბამისი რეკომენდაციებისა და სამოქმედო გეგმის შემუშავება“. მეცნიერების დარგი: სამართალმცოდნეობა (მიმართულება: მუნიციპალური სამართალი) და საჯარო მართვა	08/2020-12/2020	ი. კახიძე (პასუხისმგებელი სამაგიდე კვლევაზე)

დასრულებული კვლევითი პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

კვლევითი პროექტი „სისხლის სამართლის აქტუალური საკითხები“ შეეხება რწმენის თავისუფლებასა და მისი სისხლისსამართლებრივი დაცვის გარანტიებს. რწმენის თავისუფლების საკითხი ერთ–ერთი რთული სამართლებრივი პრობლემაა, რომელიც მულტიდისციპლინურ მიდგომას მოითხოვს, თუმცა განსაკუთრებულ აქტუალობას დღემდე ინარჩუნებს მისი სისხლისსამართლებრივი ასპექტი. პროექტის ფარგლებში შესწავლილი იქნა რელიგიური დანაშაული ისტორიული კუთხით, გამოიკვეთა მისი მნიშვნელობა, როგორც ძველი ქართული სისხლის სამართლის ძეგლების მიხედვით, ასევე მსოფლიოს ცივილიზებული ქვეყნების სამართლის ძეგლების მიხედვით. საკვლევ საკითხად წარმოჩინდა საქართველოს კონსტიტუციის მნიშვნელობა რწმენის თავისუფლების სრულყოფისათვის (1921 წლის, 1995

წლის კონსტიტუცია).
ასევე საკონსტიტუციო შეთანხმების როლი რწმენის თავისუფლების დაცვაში. პროექტის ფარგლებში დამუშავებული იქნა სისხლის სამართლის კოდექსის ის მუხლები, რომლებიც იცავს პირის რწმენის თავისუფლებას (რელიგიური წესის აღსრულებისათვის უკანონოდ ხელის შეშლა, დევნა, მიცვალებულის უპატივცემულობა და ა.შ). ამ მიმართებით შესწავლილი და გაანიზებული იქნა, როგორც ქართული ისე უცხო ქვეყნების სასამართლო პრაქტიკა, ასევე ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სასამართლოს პრაქტიკა. ნაშრომში შემოთავაზებული იქნა საკანონმდებლო წინადადებები მოქმედი კანონმდებლობის შემდგომის სრულყოფის მიზნით.

უკვე დასრულდა მუშაობა თსუ 2020 წლის საგრანტო პროექტზე - სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილის კომენტარი (დანაშაული). კომენტარი კეთდება როგორც სტუდენტებისათვის, ისე პრაქტიკოსი იურისტებისთვის. მიმდინარეობს რედაქციული შესწორება და იგი გამოსაქვეყნებლად გადაეცემა 2021 წლის იანვარს. სს კოდექსის მუხლების კომენტარი გულისხმობს მის სრულყოფილ განმარტებას და სასამართლო პრაქტიკის ანალიზს. კომენტარი გაუკეთდა სსკ 1-38 მუხლებს. თითოეულს განაწილებული აქვს სსკ ზოგადი ნაწილის შესაბამისი მუხლები განმარტებისათვის. ნ. თოდუამ შეასრულა სსკ 22-27-ე მუხლების კომენტარი, ასევე მის მიერ შესრულდა კიდევ ორი საკითხი: 1. განზრახვისა და ბრალის მიმართების საკითხი სისხლის სამართალში და 2. მართლწინააღმდეგობისა და ბრალის მიმართების საკითხი სისხლის სამართალში. ნ. თოდუა და მ. ივანიძე კოორდინაციას უწევენ პროექტის შესრულებას.

პროექტის „ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა თანამონაწილეობის კუთხით საქართველოში არსებული მდგომარეობის შესახებ კვლევის განხორციელება, შესაბამისი რეკომენდაციებისა და სამოქმედო გეგმის შემუშავება“ ფარგლებში, 2 მკვლევარი მუშაობდა: ნახევრად სტრუქტურირებული ინტერვიუების მომზადებაზე მუნიციპალიტეტის თანამდებობის პირებთან, საზოგადოებრივი ორგანიზაციების წამომადგენლებისა და მოსახლეობის წარმომადგენელ ფოკუს ჯგუფებთან. წარმოდგენილი კვლევა მიუთითებს, რომ საქართველოს მუნიციპალიტეტებში ფიქსირდება მოქალაქეთა მონაწილეობის ფორმების წარმატებული მაგალითები, რამაც შემდეგი პოზიტიური ცვლილების სტიმული შეიძლება შექმნას. გასათვალისწინებელია, რომ აღნიშნული წარმატებული მაგალითები ძირითადად ინოვაციურ მიდგომებსა და ელექტრონული ტექნოლოგიების აქტიურ გამოყენებას ეფუძნება. თუმცა აღნიშნული პოზიტიური ცვლილებები ახალი და „მოწყვლადია“, რაზეც ის ფაქტიც მიანიშნებს, რომ ისინი ხშირად ფორმალიზებულ პროცედურებს არ ემყარება ან მათი სამართლებრივი ფორმალიზების ხარისხი დაბალია. შესაბამისად, მუნიციპალური ხელისუფლების პერსონალური შემადგენლობის ცვლილებისას კარგი პრაქტიკის შენარჩუნება საეჭვო ხდება. ამასთან, კვლევის ფარგლებში იდენტიფიცირებული მოქალაქეთა მონაწილეობის მექანიზმების უმრავლესობა საკონსულტაციო ფორმებია, რომელსაც საბოლოო გადაწყვეტილების მიღების პროცესზე სუსტი ზეგავლენა გააჩნია, რაც მოქალაქეთა მონაწილეობის შემდგომი განვითარებისთვის ხელსაყრელ გარემოს არ ქმნის.

ვინაიდან პროექტის „სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილის კომენტარი (დანაშაული)“ დასრულდება 2020 თვის ბოლოს, კომენტარის გამოცემა იგეგმება 2021 წელს.
საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი მნიშვნელოვან ცვლილებებს განიცდის, რის გამოც აუცილებელი ხდება ახალი რედაქციით ჩამოყალიბებული ნორმის კომენტირება. ამას ისიც ემატება, რომ შესაძლებელია, სისხლისსამართლებრივი ნორმა არ შეიცვალოს, მაგრამ სამეცნიერო აზრის განვითარება, ახალი შეხედულებების ჩამოყალიბება და ახალი სასამართლო პრაქტიკის არსებობა, მუდმივად განაპირობებს ახალი სახელმძღვანელოებისა და კომენტარების შექმნის საჭიროებას.
სახელმძღვანელოს სამეცნიერო-პრაქტიკულ ღირებულებას ისიც ამაღლებს, რომ პროექტის წევრები წლების განმავლობაში სამეცნიერო-პედაგოგიურ საქმიანობას ეწევიან ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის

სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე და სხვა უნივერსიტეტებში ასევე აქვთ უცხოურ ორგანიზაციებთან თანამშრომლობის მრავალწლიანი გამოცდილება. ისინი კარგად იცნობენ ერთმანეთს და აქვთ ურთიერთთანამშრომლობის, პროექტებში მონაწილეობის, ქართული და უცხოური უნივერსიტეტების აკადემიურ პერსონალთან ურთიერთობის მრავალწლიანი და კარგი გამოცდილება. ამას ისიც ემატება, რომ სახელმძღვანელოს ევროპული სტანდარტების შესაბამისად შექმნისთვის გერმანული გამოცდილება შეხვედრების შედეგად გაზიარებული იქნა პროფ. დოქ. ბ. ჰაინრიხის მიერ (ტუბინგენი).

უმაღლესი სასწავლო დაწესებულების ფარგლებში დაგროვილი ცოდნის, ხოლო შემდგომ პრაქტიკული გამოცდილების კვალობაზე პრაქტიკოს იურისტს საშუალება უნდა მიეცეს სწორად განმარტოს გამოსაყენებელი ნორმა. თანამედროვე სამართლებრივ სახელმწიფოში აღნიშნული საქმიანობა სამეცნიერო დონეზე გაკეთებული კომენტარების გარეშე წარმოუდგენელია.

პროექტის ერთ-ერთი მიზანია საქართველოში აკრედიტირებული უმაღლესი სასწავლო დაწესებულებების იურიდიული ფაკულტეტის პროფესორებისა და სტუდენტებსთვის, მოსამართლეების, პროკურორებისა და ადვოკატებისთვის სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილის (სსკ-ის 1-38 მუხლები) ალტერნატიული კომენტარის შეთავაზება.

დაბოლოს, სახელმძღვანელოს სამეცნიერო-პრაქტიკულ ღირებულებაზე მიუთითებს ისიც, რომ გაანალიზებულია საერთო სასამართლოების (უზენაესი სასამართლო და თბილისის საქალაქო სასამართლო) და საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკა.

ქვემოაღნიშნული პირების მიერ გაკეთებულია სსკ-ის შესაბამის მუხლების კომენტარები: ლ. ფაფიაშვილი - საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობა და მისი მიზანი (სსკ-ის 1-ლი მუხლი); სისხლის სამართლის კანონის მოქმედება დროში (სსკ-ის მე-2 მუხლი); სისხლის სამართლის კანონის უკუძალა (სსკ-ის მე-3 მუხლი). ლ. ხარანაული - სისხლის სამართლის კანონის მოქმედება საქართველოს ტერიტორიაზე ჩადენილი დანაშაულის მიმართ (სსკ-ის მე-4 მუხლი); სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა საზღვარგარეთ ჩადენილი დანაშულისათვის (სსკ-ის მე-5 მუხლი); დამნაშავის გადაცემა და ექსტრადიცია (სსკ-ის მე-6 მუხლი). თ. ცქიტიშვილი - სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველი (სსკ-ის მე-7 მუხლი); მიზეზობრივი კავშირი (სსკ-ის მე-8 მუხლი); აუცილებელი მოგერიება (სსკ-ის 28-ე); მ. შალიკაშვილი - შეურაცხაობა ასაკის გამო (სსკ-ის 33-ე მუხლი); შეურაცხაობა ფსიქიკური დაავადების გამო (სსკ-ის 34-ე მუხლი); შეზღუდული შერაცხადობა (სსკ-ის 35-ე მუხლი). მ. ტურავა - შეცდომა (სსკ-ის 36-ე მუხლი); ბრძანების ან განკარგულების შესრულება (სსკ-ის 37-ე მუხლი); სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლება სხვა არაბრალეული ქმედების დროს (სსკ-ის 38-ე მუხლი). გ. ჩაკვეტაძე - განზრახვა (სსკ-ის მე-9 მუხლი); გაუფრთხილებლობა (სსკ-ის მე-10 მუხლი); პასუხისმგებლობა თანამდევი შედეგით კვალიფიცირებული განზრახი დანაშულისათვის (სსკ-ის მე-11 მუხლი). ი. ხერხეულიძე - პასუხისმგებლობა ოჯახური დანაშაულისათვის (სსკ-ის მე-111 მუხლი); - უკიდურესი აუცილებლობა (სსკ-ის 30-ე მუხლი); მართლზომიერი რისკი (სსკ-ის 31-ე მუხლი); სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლება სხვა მართლზომიერი ქმედების დროს (სსკ-ის 32 მუხლი). ი. დვალიძე - დანაშაულის კატეგორიები (სსკ-ის მე-12 მუხლი); დენადი დანაშაული (სსკ-ის მე-13 მუხლი); განგრძობადი დანაშაული (სსკ-ის მე-14 მუხლი); არაერთგზისი დანაშაული (სსკ-ის მე-15 მუხლი); დანაშაულთა ერთობლიობა (სსკ-ის მე-16 მუხლი); დანაშაულის რეციდივი (სსკ-ის მე-17 მუხლი). მ. ივანიძე - დანაშაულის მომზადება (სსკ-ის მე-18 მუხლი); დანაშაულის მცდელობა (სსკ-ის მე-19 მუხლი); პასუხისმგებლობისგან გათავისუფლება დაუმთავრებელი დანაშაულისათვის (სსკ-ის მე-20 მუხლი); დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება (სსკ-ის 21-ე მუხლი). ნ. თოდუა - დანაშაულის ამსრულებლობა (სსკ-ის 22–ე მუხლი); დანაშაულში თანამონაწილეობა (სსკ-ის 23–ე მუხლი); თანამონაწილის სახეები (სსკ-ის 24–ე მუხლი); ამსრულებლისა და თანამონაწილის პასუხისმგებლობა (სსკ-ის 25–ე მუხლი); ამსრულებლის ექსცესი (სსკ-ის 26–ე მუხლი); ჯგუფური დანაშაული (სსკ-ის 27–ე მუხლი). ი. აქუბარდია - რეკეტი, რეკეტული დაჯგუფება, რეკეტირი (სსკ-ის მე-171 მუხლი); დამნაშვის შეპყრობა (სსკ-ის 29–ე მუხლი).

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ 2020 წელს დაფინანსებული

ერთწლიანი საგრანტო პროექტის ფარგლებში, რომელიც ითვალისწინებს თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის სისხლის სამართლის მიმართულების აკადემიური პერსონალის მიერ სისხლის სამართლის კოდექსის ზოგადი ნაწილის კომენტარის დაწერას (სსკ-ის 1-38-ე მუხლები), ლ. ხარანაულის მიერ შესრულებულ იქნა სსკ-ის მე-4, მე-5 და მე-6 მუხლების კომენტარი.

მის მიერ შესრულებული სისხლის სამართლის კოდექსის მე-4, მე-5 და მე-6 მუხლების კომენტარი მოიცავს 70 გვერდს.

სსკ-ის მე-4 მუხლის კომენტარი შედგება 16 გვერდისგან და ეხება საქართველოს ტერიტორიაზე ჩადენილ დანაშაულებზე საქართველოს იურისდიქციის გავრცელების საკითხებს, რა დროსაც ყურადღება გამახვილებულია საერთაშორისო სისხლის სამართლის პრინციპებზე, კერძოდ, ,,ტერიტორიულობის“ და ,,ალმის“ პრინციპებზე. კომენტარში განსაზღვრულია საკითხი იმის შესახებ, თუ რა მიეკუთვნება საქართველოს ტერიტორიას და როგორ არის ეს საკითხი გაგებული. განმარტებულია ასევე, თუ რა მოიაზარება ტერმინში დანაშაულის ჩადენა გამოხატული ქმედების დაწყებაში, გაგრძელებაში, შეწყვეტასა და დამთავრებაში. მნიშვნელოვანია ის მომენტიც, რომ მე-4 მუხლი გაანალიზებულია სხვადასხვა სახისა და ტიპის დანაშაულის მხედველობაში მიღებით.

სსკ-ის მე-5 მუხლის კომენტარი მოიცავს 26 გვერდს და ეთმობა საზღვარგარეთ ჩადენილ დანაშაულებს, რომელიც განხილულია ,,მოქალაქეობისა“ და ,,დაცვის“ საერთაშორისო სისხლის სამართლის პრინციპების საფუძველზე. ასევე, დასმულია პრობლემატური საკითხი, რომელიც სსკ-ის მე-5 მუხლის მე-3 ნაწილის შინაარსის ნაკლულობას უსვამს ხაზს. ამ ხარვეზის შესავსებად კი შემოთავაზებულია საკანონმდებლო წინადადება.

სსკ-ის მე-6 მუხლის კომენტარი 30 გვერდისგან შედგება და დაკავშირებულია პირის გადაცემა-ექსტრადიციის საკითხებთან, რა დროსაც დეტალურად არის გაანალიზებული როგორც ნაციონალური კანონმდებლობა, ასევე საერთაშორისო სამართლებრივი აქტები. ამ თვალსაზრისით წარმოდგენილია ექსტრადიციის მოდელები - ექსტრადიციის ევროპული და ქვაზი-ევროპული მოდელების სახით, საიდანაც საქართველო იყენებს ექსტრადიციის ევროპულ მოდელს ექსტრადიციის ევროპული კონვენციის და ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის გათვალისწინებით. დაყენებულია საკანონმდებლო წინადადებები სსკ-ის მე-6 მუხლის საერთაშორისო სტანდარტებთან სრული ჰარმონიზაციის თვალსაზრისით. ნაშრომში გამოყენებულია როგორც ქართული, ისე უცხოური ლიტერატურა და ასევე გაანალიზებულია სასამართლო პრაქტიკა.

2. შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტით დაფინანსებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

2.1.

№	გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	2	3	4

გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2020 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

2.2.

№	დასრულებული (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	2	3	4
დასრულებული კვლევითი პროექტის 2020 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)			

3. უცხოური გრანტებით დაფინანსებული სამეცნიერო პროექტები

3.1. გარდამავალი პროექტი

№	გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი, დამფინანსებელი ორგანიზაცია/ სამეცნიერო ფონდი, ქვეყანა	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	საერთაშორისო გრანტი ,,უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ანტიდისკრიმინაციული პოლიტიკისა და მარეგულირებელი ჩარჩოს სრულყოფის, გენდერისა და სამართლის სასწავლო კურსის განახლებისა და მედიაციის პროცესში სტუდენტთა პრაქტიკული უნარ-ჩვევების გაძლიერების პროექტი“ Improvement of Antidiscrimination policy and regulations at Higher Education Institutions, Update of Gender and Law Course and Enhancement of Practical Student skills in Mediation Process გენდერისა და სამართლის კვლევითი და სასწავლო მიმართულება	2020-2021	პროფ. ქ. ხუციშვილი, პროფესორი, სამართლის დოქტორი, გენდერისა და სამართლის კვლევითი და სასწავლო მიმართულების ხელმძღვანელი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

	დამფინანსებელი ორგანიზაცია: USAID/EWMI-PROLoG Activity აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს დაფინანსებული პროექტი განხორციელებული აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის პროგრამის PROLoG ფარგლებში		
	„საერთაშორისო სისხლის სამართლის როლი საქართველოში - თანამედროვე სამართლებრივი გამოწვევები და სამართლებრივი ასპექტები“ (გერმანულ-ქართული სისხლის სამართლის პროექტის მე-3 ნაწილი). სისხლის სამართლის მიმართულება. პროექტის ორგანიზატორი და დამფინანსებელი: ფოლკსვაგენის სამეცნიერო ფონდი, გერმანია. პროექტის განხორციელების ადგილი: თბილისი, საქართველო / ჰააგა, ნიდერლანდები / ბილეფელდი, იენა, ბერლინი, კიოლნი, გერმანია	2020-2023	პროექტის ხელმძღვანელი: გ. დგებუაძე. პროექტის სამეცნიერო კოორდინატორები: მ. ტურავა, ე. შრამი (იენის უნივერსიტეტის პროფესორი) და კ. კრესი (კიოლნის უნივერსიტეტის პროფესორი) პროექტის პარტნიორები: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი / სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლო (ICC) / ბილეფელდის უნივერსიტეტი / იენის ფრიდრიხ შილერის უნივერსიტეტი / ბერლინის ჰუმბოლდტის უნივერსიტეტი / კიოლნის უნივერსიტეტი
	დასახელება: „გერმანულ-ქართული სისხლის სამართლის ჟურნალი“ - ელექტრონული. Deutsch-Georgische Strafrechtszeitchrift (DGStZ). დარგი/მიმართულება: სისხლის სამართალი. ჟურნალის საიდენტიფიკაციო კოდი: ISSN 2566-5758. დამფინანსებელი ორგანიზაცია: საერთაშორისო სამართლებრივი თანამშრომლობის გერმანული ფონდი (IRZ), გერმანია	2015 - დღემდე	ანრი ოხანაშვილი, ჟურნალის მთავარი რედაქტორი - Schriftleiter. პროექტს გერმანული მხრიდან კოორდინირებას უწევენ ასევე: ბერლინის ჰუმბოლდტის უნივერსიტეტის პროფ. მ. ჰეგერი, ებერჰარდ კარლის თიუბინგენის უნივერსიტეტის პროფ. ბ. ჰაინრიხი
გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2020 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)			
სამართლისა და გენდერის ინგლისურენოვანი მასალების ქართულ ენაზე გადამუშავება და განვრცობა თემებზე: Teaching Gender and the Law and its significance (გენდერისა და სამართლის სწავლება და მისი მნიშვნელობა); Gender Equality and the Right to Education (გენდერული თანასწორობა და განათლების უფლება); Gender and the Budget (გენდერი და ბიუჯეტი); Positive obligations in respect of the violence against women and gender based domestic violence (ქალთა მიმართ და ოჯახში გენდერული ნიშნით ძალადობის პრევენციის პოზიტიური ვალდებულება);		

Gender based cyber violence and hate speech against women in internet (ქალთა მიმართ გენდერული ნიშნით კიბერ ძალადობა და სიძულვილის ენა ინტერნეტ სივრცეში).

საქართველოში საერთაშორისო სისხლის სამართლის როლი განსაკუთრებით გაიზარდა, მას შემდეგ, რაც სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლომ დაიწყო გამოძიება საქართველოს ტერიტორიაზე 2008 წლის საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტის ფარგლებში ჩადენილ დანაშაულებზე. ჰააგის სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს „საქართველოს სიტუაცია“ გამოსაყოფია, ვინაიდან, ეს არის სასამართლოს პირველი პრეცედენტი: (1) აფრიკის კონტინენტის გარეთ; (2) საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტის ფარგლებში; (3) გაეროს უშიშროების საბჭოს წევრის ქვეყნის ,,სავარაუდო მონაწილეობით“. მხოლოდ კანონიერი, სისხლის სამართლის პრინციპებზე დამყარებული მართლმსაჯულება უზრუნველყოფს როგორც საქართველოში, ისე მთელ მსოფლიოში მშვიდობას, უშიშროებასა და კეთილდღეობას.

საქართველომ რომის სტატუტის რატიფიცირება 2003 წელს მოახდინა, რითიც სასამართლოს 2003 წლის 1 დეკემბრიდან ქვეყნის ტერიტორიაზე ან მისი მოქალაქეების მიერ ჩადენილ გენოციდის, ომისა და ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებზე იურისდიქცია მიანიჭა. შესაბამისად, იგი სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს წესდების მონაწილე სახელმწიფოა. საერთაშორისო სისხლის სამართლის სახით სისხლის სამართლის საერთაშორისო მართლმსაჯულების პრევენციული საერთაშორისო ,,მექანიზმი“ ამართლებს მისი შექმნის უმთავრეს იდეას - აღსრულების პირდაპირი და არაპირდაპირი მექანიზმებით პოლიტიკური და სამხედრო ლიდერების სისხლისსამართლებრივ დევნას. სისხლის სამართლის საერთაშორისო მართლმსაჯულების სწორ პოლიტიკაზე საერთაშორისო სისხლის სამართალია პასუხისმგებელი. ასეთი სისტემის გამოყენება საქართველოს სიტუაციისათვის ფუნდამენტალურად მნიშვნელოვანია, ვინაიდან ინდივიდუალური პასუხისმგებლობა საერთაშორისო დანაშაულების ჩადენისათვის გულისხმობს კონკრეტულ პირთა სისხლისსამართლებრივ დევნას ,,კოლექტიური ძალისხმევით“ ჩადენილი დანაშაულებისათვის. ამ დროს, ინდივიდუალური პასუხისმგებლობის ცნება უნდა განიმარტოს ფართოდ, როდესაც ბრალდებულს, თავისი მდგომარეობიდან გამომდინარე, თავისუფლად შეეძლო გავლენა მოეხდინა დანაშაულებრივ შედეგზე. ორგანიზებული ძალაუფლების სტრუქტურის მიერ ჩადენილი დანაშაულები ერთიანად, ფართო მნიშვნელობით უნდა იყოს განხილული, როგორც ინდივიდუალური აქტი - სისხლის სამართლის უმთავრესი პრინციპების ,,ფრთხილი“ გამოყენებით.

სამეცნიერო პროექტის „საერთაშორისო სისხლის სამართლის როლი საქართველოში - თანამედროვე სამართლებრივი გამოწვევები და სამართლებრივი ასპექტები“ მიზანია სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს დოქტრინისა და პრაქტიკის ანალიზი, განსაკუთრებით, რუსეთ-საქართველოს 2008 წლის ომთან დაკავშირებით მიმდინარე გამოძიების ისეთ მნიშვნელოვან ენდემურ საკითხებზე, როგორებიცაა: ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული (მატერიალური და მენტალური ელემენტები); ომის დანაშაული (მატერიალური და მენტალური ელემენტები, განსაკუთრებით, ის სტანდარტები, რომლებიც ჩამოყალიბდა ამ დანაშაულებზე ყოფილი იუგოსლავიისა და რუანდის სისხლის სამართლის საერთაშორისო ტრიბუნალების მიერ); კომპლემენტარულობის პრინციპი; კონკრეტული დანაშაულის ინდივიდუალური შერაცვა; იმუნიტეტი, ოფიციალური თანამდებობრივი მდგომარეობის საკითხი.

საერთაშორისო სამეცნიერო პროექტის ფარგლებში დაგეგმილია ხუთთვიანი სამუშაო-კვლევითი ვიზიტი ჰააგის სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოში, ოთხთვიანი სამეცნიერო-კვლევითი მივლინება იენის უნივერსიტეტში, კიოლნის უნივერსიტეტსა და მაქს-პლანკის საზღვარგარეთისა და საერთაშორისო სისხლის სამართლის ინსტიტუტში, აგრეთვე, ქართველი და გერმანელი პროფესორებისა და პრაქტიკოსი იურისტების მონაწილეობით საზაფხულო-საზამთრო სკოლები თსუ-ის სტუდენტებისათვის, ორი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია და სამუშაო შეხვედრა საქართველოსა და გერმანიაში.

მრავალწლიანმა პროექტმა „გერმანულ-ქართული სისხლის სამართლის ჟურნალი“ ფუნქციონირება დაიწყო 2015 წლის 8 ოქტომბრიდან, როდესაც საქართველოს უზენაეს სასამართლოში ოფიციალურად დაარსდა გერმანულ-ქართული სისხლის სამართლის ელექტრონული ჟურნალი. 2016 წელს, პროექტის ფარგლებში შეიქმნა გერმანულ-ქართული სისხლის სამართლის ჟურნალის ორენოვანი (გერმანულ-ქართული) ელექტრონული გვერდი. ჟურნალი ინტერნეტში განთავსებულია შემდეგ მისამართზე - www.dgstz.de და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისათვის უფასოდ. ჟურნალის საიტიდან გამოქვეყნებული პუბლიკაციების ჩამოტვირთვაც უფასოა.

ასეთი სახის ელექტრონული ჟურნალი საქართველოს ისტორიაში პირველია, რომელმაც ძირითადად ხელი უნდა შეუწყოს ქართული სისხლის სამართლის ევროპეიზაციას. ჟურნალის მიზანია ქართული და გერმანული სისხლის სამართლის დოგმატიკის დაახლოება და შედარებით ანალიზის წარმოება, რომელიც ხორციელდება გერმანელი და ქართველი სისხლის სამართლის პროფესორების სამეცნიერო ნაშრომების ამ ჟურნალში გერმანულ და ქართულ ენებზე გამოქვეყნებით. ჟურნალის მიზანია ასევე, სამეცნიერო წერის კულტურის ამაღლება სისხლის სამართლის მიმართულებით. ჟურნალი ორიენტირებულია არა მხოლოდ პროფესორებზე, არამედ, ასევე დოქტორანტებსა და სტუდენტებზე და სისხლის სამართლის სპეციალისტებზე, რომლებსაც სტატიების გამოქვეყნების შესაძლებლობა ექნებათ.
2020 წელს, გერმანულ-ქართული სისხლის სამართლის ჟურნალის ფარგლებში, უკვე მომზადდა და გამოიცა ჟურნალის ორი ელექტრონული გამოცემა. პირველი გამოცემა გამოქვეყნდა 2020 წლის აპრილში, ხოლო მეორე კი, 2020 წლის ოქტომბერში. ორივე გამოცემაში, ქართველი და გერმანელი პროფესორებისა და სისხლის სამართლის სპეციალისტების ავტორობით გამოქვეყნებული სამეცნიერო სტატიები ეძღვნებოდა ერთი მხრივ, ქართული და გერმანული სისხლის სამართლის დოგმატიკურ და აქტუალურ საკითხებს.
ამ ეტაპზე დასრულებულია მუშაობა ჟურნალის მე-3 გამოცემაზე, რომელიც გამოქვეყნდება 2020 წლის დეკემბრის ბოლოს.

3.2. დასრულებული პროექტი

№	დასრულებული (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი, დამფინანსებელი ორგანიზაცია/სამეცნიერო ფონდი, ქვეყანა	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	კვლევა „საქართველოს პასუხი კოვიდ-19-ის პანდემიას ადამიანის უფლებათა კონტექსტში: მიღებული გამოცდილება და სამომავლო რეკომენდაციები“, კვლევა მომზადდა საქართველოს მთავრობისათვის, OHCHR-ის მხარდაჭერით	ივლისი-ნოემბერი 2020	კ. კორკელია გ. ცერცვაძე
	ჯორჯ ფორსტერის მკვლევართა საზოგადოების პროგრამა; ალექსანდრე ფონ ჰუმბოლტის ფონდის (გერმანია) გრანტი გამოცდილი, მაღალი კვალიფიკაციის მქონე უცხოელი მეცნიერებისთვის	2017-2020	
	პროექტის დასახელება: „ქართული სისხლის სამართლის	2016-2020	გ. თუმანიშვილი, ი. დვალიძე, ლ. ხარანაული, ლ. მაღლაკელიძე, მ.

	პროცესის ინტერნაციონალიზაცია და ევროპეიზაცია, როგორც გამოწვევა და ამოცანა“. მეცნიერების დარგი: იურიდიული. სამეცნიერო მიმართულება: სისხლის სამართალი. ქვეყანა: გერმანია. ფონდი: ფოლკსვაგენი		შალიკაშვილი, მ. ტურავა (და სხვ.)

დასრულებული კვლევითი პროექტის 2020 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

პროგრამის ფარგლებში, გ. ცერცვაძემ გერმანიასა და დიდ ბრიტანეთში იმუშავა სახელმძღვანელოზე, რომელიც 2020 წელს დასრულდა. წიგნი სულ რამდენიმე დღის წინ დაიბეჭდა. სახელმძღვანელოს სახელწოდება - კონკურენციის სამართალი - „ევროპული მოდელი საქართველოსთვის“, ტომი I.

მრავალწლიანი კვლევით პროექტის „ქართული სისხლის სამართლის პროცესის ინტერნაციონალიზაცია და ევროპეიზაცია, როგორც გამოწვევა და ამოცანა“ ფარგლებში მოეწყო ერთობლივი სამეცნიერო ფორუმი გერმანიის პარტნიორ უნივერსიტეტებში. ფორუმის მონაწილეებმა იმსჯელეს და გამართეს დისკუსია ქართული სისხლის სამართლის პროცესის ცალკეული ინსტიტუტების ინტერნაციონალიზაციისა და ევროპეიზაციის პრობლემებზე. შესრულდა პროექტის მონაწილეების მიერ არაერთი კვლევა, რომელიც გამოქვეყნდა გერმანულ-ქართულ სამეცნიერო კრებულში.
პროექტის ფარგლებში გაიმართა საზაფხულო სკოლა, რომელშიც მიიღეს მონაწილეობა საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო საფეხურის სტუდენტებმა. სკოლის ფარგლებში მონაწილეებს ჩაუტარდათ ლექცია-სემინარი ქართველი და გერმანელი ექსპერტების მიერ. სტუდენტებმა მიიღეს ცოდნა სისხლის სამართლისა და სისხლის სამართლის პროცესის აქტუალური პრობლემებისა და სისხლის სამართლის მეცნიერებაში არსებული თანამედროვე გამოწვევების შესახებ.
პროექტის ფარგლებში გაიცა 3 წლიანი სამეცნიერო გრანტი დოქტორანტებზე. თითოული დოქტორანტის დაფინანსება შეადგენს თვიურად 450 ევროს.
პროექტის ფარგლებში დასრულდა მუშაობა და 2020 წელს გამოქვეყნდა კრებული (სახელმძღვანელო) ,,ევროპული და საერთაშორისო სამართლის ზეგავლენა ქართულ სისხლის საპროცესო სამართალზე“. სახელმძღვანელოს მოცულობა: 849 გვერდი.
ი. დვალიძის მიერ დამუშავდა (დასახელებული სახელმძღვანელოს მე-6 ნაწილის მე-4 თავი) საერთაშორისო ორგანიზებულ დანაშაულებთან ბრძოლა. კერძოდ, მის მიერ დამუშავებული საკითხები მოიცავს შემდეგ თემატიკას: I. ქონების ჩამორთმევა (კონფისკაცია), როგორც ორგანიზებულ დანაშაულთან; II. უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია; III. ტერორიზმი; IV. ფულის გაყალბება; VI. უკანონო მიგრაცია. აღნიშნული დანაშაულების შეწავლისას გაანალიზებულია როგორც საქართველოს მატერიალური სისხლის სამართლის ნორმები, ისე საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული ნორმები. ასევე განხილულია ჩვენი ქვეყნის კანონმდებლობის საერთშორისოსამართლებრივ აქტებთან შესაბამისობა და ჰარმოზაციის შედეგები.

4. პატენტები

4.1. საერთაშორისო პატენტები:

№	საპატენტო თემატიკის სათაური	გამომგონებელი/ები და პატენტმფლობელი/ები	პატენტის საიდენტიფიკაციო კოდი

4.2. ეროვნული პატენტები

№	საპატენტო თემატიკის სათაური	გამომგონებელი/ები და პატენტმფლობელი/ები	პატენტის საიდენტიფიკაციო კოდი

5. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში

5.1. მონოგრაფიები/წიგნები

№	ავტორი/ავტორები	მონოგრაფიის/წიგნის სათაური, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1 2	ლ. ბრეგვაძე	თარგმანი გერმანულიდან: ოიგენ ერლიხისა და ჰანს კელზენის დისკუსიის მასალები. თარგმანი გერმანულიდან, შესავალი წერილითა და კომენტარებით	ტექსტი რედაქტირების პროცესშია	120
	გ. რუსიაშვილი	უსაფუძვლო გამდიდრების სამართლის სარეფორმო წინადადება	GIZ	
	ლ. ჯანაშვილი (თანაავტ.)	ესპანური ტოპობინების, ანთროპონიმებისა და დარგობრივი ტერმინების (ლინგვისტურ-ლიტერატურულ, სამართლებრივ და საჯარო ადმინისტრაციის სფეროში) დაზუსტება და ქართულ ენაში მათი გამოყენების ნორმების შემუშავება		
	ნ. თოდუა, მ. ივანიძე, ი. აქუბარდია, ი. ხერხეულიძე	სისხლის სამართლის აქტუალური საკითხები	თბილისი, „მერიდიანი“	
	მ. კევლიშვილი	მიგრანტთა სამართლებრივი რეგულაცია რასიზმისა და შეუწყნარებლობის წინააღმდეგ ევროპული კომისიის ჭრილში	თბილისი, 2020	
	გ. დგებუაძე	დანაშაულის ინდივიდუალური შერაცხვის დოქტრინა და პრეცედენტული სამართალი	თბილისი, „მერიდიანი“	370

		საერთაშორისო სისხლის სამართალში		

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

გ. დგებუაძის ნაშრომი ეხება სისხლის სამართლის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საკითხს - დანაშაულის ინდივიდუალური შერაცხვის პრობლებას, რომელიც საერთაშორისო სისხლის სამართალში განვითარდა ანგლოამერიკული და გერმანული სისხლის სამართლის სისტემების ზეგავლენით. ეს საკითხი სისხლის სამართლის დოგმატიკისა და სასამართლო პრაქტიკისათვის განსაკუთრებით პრობლემატურია ფართომასშტაბიანი და სისტემური დანაშაულების ჩადენისას, რომლებიც იწვევს მაღალი რანგის სამხედრო და პოლიტიკური ლიდერების ინდივიდუალურ სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას.
ისტორიული, შედარებით-სამართლებრივი და კვლევის სხვა მეთოდების გამოყენებით ნაშრომში საფუძვლიანად გაანალიზებულია საერთაშორისო სისხლის სამართალში ეროვნული სისხლის სამართლის სისტემების ზეგავლენით განვითარებული ინდივიდის პასუხისმგებლობის სისტემა, რაც წარმოადგენს ინდივიდუალური პასუხისმგებლობის სამართლის ,,კოდიფიკაციას“. ინდივიდუალური შერაცხვის მოდელის წარმოსაჩენად განხილულია ინდივიდუალური სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისა და დანაშაულის ცნებები, გაანალიზებულია საერთაშორისო სისხლის სამართლში ინდივიდუალური პასუხისმგებლობის მოდელის დაფუძნების ისტორია, გამოკვლეულია ინდივიდუალური პასუხისმგებლობის სტატუტისეული და დოქტრინალური ცნებები, პრეცენდენტულ სამართალთან პარალელების გავლებით განხილულია ამსრულებლობა-თანამონაწილეობის ფორმები, თუ რამდენად მნიშვნელოვანია დანაშაულში მონაწილეობის ფორმების კატეგორიზაცია სასჯელის შეფარდებისას, რა დროსაც გაკეთებულია შედარება დანაშაულში მონაწილეობის ანგლოამერიკულ და გერმანულ მოდელებთან. დაბოლოს, ,,კოდიფიცირებულია“ ინდივიდუალური სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის სამართალი.
ინდივიდუალური სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის კონცეფციის მთავარი ამოცანაა, უმეტესწილად, სახელმწიფოს მაღალი თანამდებობის პირებისა და სხვა, არაფორმალური ლიდერების სისხლისსამართლებრივი დევნა, პირველ რიგში, დანაშაულის ამსრულებლობის ფორმებით, ხოლო, მეორე რიგში, თუ ეს ამსრულებლობით ვერ ხერხდება, თანამონაწილეობის ფორმებით. ინდივიდუალური პასუხისმგებლობის კონცეფციის რეალიზაცია სისხლის სამართლის ეფექტურ გამოყენებაზეა დამოკიდებული. ინდივიდუალური სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის კოდიფიკაცია მნიშვნელოვანია იმ მხრივ, რომ მისი მეშვეობით საერთაშორისო სისხლის სამართალი ქმნის დოგმატიკას, რომელსაც ეყრდნობა სისხლის სამართლის საერთაშორისო მართლმსაჯულება.

5. 2. სახელმძღვანელოები

№	ავტორი/ავტორები	სახელმძღვანელოს სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1 2	ვ. გონაშვილი, გ. თევდორაშვილი, გ. კახიანი, ი. კახიძე, გ. კვერენჩხილაძე, ნ. ჭიღლაძე	საქართველოს საკონსტიტუციო სამართალი. ISBN 978-9941-25-987-6	თბილისი, 2020. გამომცემლობა: „მერიდიანი“	444
	ლ. ბრეგვაძე	სამართლის სოციოლოგია	დასრულდა ხელნაწერზე ძირითადი მუშაობა, მიმდინარეობს რედაქტირება	230
	ნ. თოდუა (რედ., თანაავტ.)	მ. ლეკვეიშვილი, გ. მამულაშვილი, ნ.	თბილისი, გამომცემლობა	687

		თოდუა, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი მეორე, მეექვსე გამოცემა. ISBN 978-9941-10-087-1 (ორტომეული) 978-9941-25-988-3 (მე-2 ტომი გადამუშავებული გამოცემა)	„მერიდიანი“	
	პ. ტურავა, ა. ფირცხალაშვილი, ე. ქარდავა	ადმინისტრაციული წარმოება საჯარო სამსახურში, ISBN - 978-9941-8-2185-1	საქართველო, ქ. თბილისი, გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ)	224
	ე. ქარდავა (რედ.)	მართვა და ლიდერობა საჯარო სამსახურში, ISBN 978-9941-8-2564-4	საქართველო, ქ. თბილისი, მომზადებული და გამოცემულია საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP), შვედეთის მთავრობისა და დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს მთავრობის UK aid-ის ხელშეწყობით	108
	ე. სირაძე (თანაავტ.)	„კრიზისის მართვა დიპლომატიური წარმომადგენლობის მიერ (კრიზისის დროს საქართველოს მოქალაქეებისთვის დახმარების გაწევა)“, ტრენერის სახელმძღვანელო		
	გ. ცერცვაძე	კონკურენციის სამართალი „ევროპული მოდელი საქართველოსთვის“, ტომი I	საქართველო, თბილისი, გამომცემლობა „იურისტების სამყარო“	199
	გ. რუსიაშვილი, მ. შალიკაშვილი	აკადემიური წერა იურისტებისათვის	„ალეფი“	

	გ. რუსიაშვილი	ვალდებულებითი სამართლის ზოგადი ნაწილი, კაზუსების კრებული	„იურისტების სამყარო“	
	გ. თუმანიშვილი	სისხლის სამართლის პროცესი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, მე-2 გადამუშავებული გამოცემა	მომზადდა გამოსაცემად	400
	პ. ჯავახიშვილი და ავტორთა ჯგუფი, დ. გეგენავას, გ. გორაძისა და მ. ჯიქიას რედაქტორობით	კონსტიტუციონალიზმი, ზოგადი შესავალი, წიგნი II, ISBN: 978-9941-8-2593-4	სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის გამომცემლობა	245

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

საქართველოს საკონსტიტუციო სამართლის სახელმძღვანელო მეორე გადამუშავებული გამოცემაა, რომლის აუცილებლობა 2017-2018 წლების საკონსტიტუციო რეფორმამ განაპირობა. ავტორთა კოლექტივმა, ქვეყნის ძირითადი კანონის ახალი ვერსიის ამოქმედების შემდეგ, საჭიროდ ჩათვალა ტექსტის გადამუშავება და რეალობასთან შესაბამისობის უზრუნველყოფა. სახელმძღვანელოს სტრუქტურა და მასალა ორიენტირებულია თანამედროვე ეროვნული კონსტიტუციონალიზმის შინაარსზე, ისტორიასა და თავისებურებებზე. მისი მიზანია სამართალმცოდნეობის საბაკალავრო საფეხურის სტუდენტებს მისცეს სიღრმისეული ცოდნა ქართული კონსტიტუციური ინსტიტუტების შესახებ.

სისხლის სამართლის კერძო ნაწილის სახელმძღვანელოში განხილულია სსკ 33-ე თავიდან (ნარკოტიკული დანაშაული) 47-ე თავის ჩათვლით (კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩათვლით) არსებული ყველა მუხლის ანალიზი.

უკანასკნელ წლებში საქართველომ ევროპასთან ინტეგრაციის გზაზე არაერთი დემოკრატიული რეფორმა განახორციელა, მათ შორის სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სფეროში. „ევროპის სამეზობლო პოლიტიკაში“ საქართველოს ჩართვის შემდეგ, იგი გამუდმებით ცდილობს დაუახლოვოს საკუთარი კანონმდებლობა ევროკავშირის ნორმებს და სტანდარტებს. ამ მხრივ მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენს ადამიანის უფლებების და ფუნდამენტური უფლებების დამცველი დემოკრატიული ინსტიტუტების გაძლიერება საქართველოს მიერ აღებული საერთაშორისო ვალდებულებების შესაბამისად, რაშიც სასამართლო სისტემის რეფორმირებასთან ერთად სისხლის სამართლის საპროცესო ინსტიტუტების ახლებურად განსაზღვრაც მოიაზრება. რამდენადაც სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა წარმოადგენს ქვეყნის დემოკრატიულობის მნიშვნელოვან საზომ ინსტრუმენტს, დღის წესრიგში დადგა ძველი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის თანამედროვე, ადამიანის უფლებებზე ორიენტირებული საპროცესო კანონმდებლობით ჩანაცვლება. ამ მიზნით შემუშავებულ იქნა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის რამდენიმე პროექტი. თავდაპირველად შემუშავებულ იქნა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის პროექტი, რომელიც ახლოს იდგა კონტინენტური ევროპის ქვეყნებში მოქმედ სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობასთან და კარგად პასუხობდა ევროპულ სტანდარტებს. მიუხედავად ამისა, განმეორებით მოხდა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის პროექტის შემუშავება, რომელიც განსხვავებით წინა პროექტისგან, ორიენტირებულია ანგლოსაქსონური სამართლებრივი სისტემის მქონე ქვეყნებში მოქმედ სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაზე და ამდენად იზიარებს ე.წ. „ადვერსატორული“, „მხარეთა“ პროცესის ტრადიციებს. კანონმდებელმა 2009 წლის 9 ოქტომბერს მიიღო ეს უკანასკნელი პროექტი, რომელიც ამოქმედდა 2010 წლის 1 ოქტომბერს.
ახალ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსს საფუძვლად უდევს ისეთი პრინციპები, როგორებიცაა სამართლიანი პროცესი და სწრაფი მართლმსაჯულება, მხარეთა თანასწორობა და შეჯიბრებითობა, მტკიცებულებათა უშუალოდ და ზეპირად გამოკვლევა, სისხლისსამართლებრივი დევნის

დისკრეციულობა და სხვ. კოდექსის სიახლეს წარმოადგენს „ბრალდებულის“ ერთიანი დეფინიციის ჩამოყალიბება და ბრალდებულის სამართლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესება, დისკრეციული სისხლისსამართლებრივი დევნის დანერგვა და მისი ალტერნატიული ფორმების განვითარება (განრიდება, მედიაცია), ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ინსტიტუტის შემოღება, გამოძიების ეტაპზე გამომძიებლისთვის ან პროკურორისთვის მოწმის მიერ ჩვენების მიცემის სავალდებულობის გაუქმება, დაზარალებულის სამართლებრივი მდგომარეობის ახლებურად განსაზღვრა. კოდექსის მნიშვნელოვან სიახლეს წარმოადგენს აგრეთვე მტკიცებითი სტანდარტების დანერგვა და მტკიცებულებების დასაშვებობის ახლებური კრიტერიუმების დადგენა.

სახელმძღვანელოს პირველი გამოცემა წარმოადგენდა იმ სასწავლო/სალექციო მასალის გადამუშავებულ და განვრცობილ ვარიანტს, რომელსაც 2010 წლიდან მოყოლებული წიგნის გამოცემამდე ამონარიდების სახით ვაწვდიდი ჩემს სტუდენტებს, რაც მათ ნაწილობრივად უწევდა დახმარებას სისხლის სამართლის პროცესის სასწავლო კურსის გავლაში და ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ცალკეული ინსტიტუტების შესწავლაში. სასწავლო მასალა ვრცელდებოდა ელექტრონულად სხვადასხვა ვებგვერდების მეშვეობით და ამდენად, იგი ხელმისაწვდომი იყო სტუდენტების ფართო წრისთვის. სახელმძღვანელო სთავაზობს მკითხველს სისხლის სამართლის პროცესის ზოგადი ნაწილის მიმოხილვას. მასში მიმოხილულია ის ძირითადი პრინციპები, რომლებზეც თანამედროვე ქართული სისხლის სამართლის პროცესი ბაზირებს. სახელმძღვანელოში მნიშვნელოვანი ადგილი აქვს დათმობილი სისხლის სამართლის პროცესის მონაწილეებს. მიუხედავად იმისა, რომ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის თანახმად, პოლიცია არ წარმოადგენს სისხლის სამართლის პროცესის მონაწილეს, სახელმძღვანელოში გარკვეული ადგილი მაინც აქვს დათმობილი პოლიციის როლს სისხლის სამართლის პროცესის ფარგლებში. მნიშვნელოვანია, რომ სტუდენტებს, რომლებიც გადიან სისხლის სამართლის პროცესის სალექციო კურსს, გააჩნდეთ მინიმალური ინფორმაცია პოლიციის ამოცანებისა და ფუნქციის შესახებ. სახელმძღვანელოში განსაკუთრებული ყურადღება გამახვილებულია მტკიცებითი სამართლის ძირითად ასპექტებზე. მასში გადმოცემულია თანამედროვე სისხლის საპროცესო სამართალში განვითარებული ის ძირითადი თეორიები, რომლებიც გამოიყენება მტკიცებულებათა დასაშვებობის საკითხის გადაჭრისას. მიმოხილულია აგრეთვე ის ცალკეული შემთხვევები, სადაც სადავო და პრობლემატურია მოპოვებული მტკიცებულებათა ბედის გადაწყვეტა. რამდენადაც მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა მტკიცებულებათა დასაშვებობის ნაწილში იყენებს აშშ-ს სისხლის საპროცესო სამართალში განვითარებულ წესებს, საკითხზე მსჯელობისას გამოყენებულია აშშ-ს სასამართლო პრაქტიკა. სახელმძღვანელოში სხვადასხვა საკითხებთან მიმართებით გაანალიზებულია აგრეთვე ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები. გადამუშავებული სახელმძღვანელოს სიახლეს წარმოადგენს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ძირითადი საკითხების განხილვა. გარდა ამისა, სიახლის სახით წარმოდგენილია ანგლოამერიკული და კონტინენტურევროპული საპროცესო სისტემების მიმოხილვა და მათი შედარებითი ანალიზი.

5.3. კრებულები

№	ავტორი/ავტორები	კრებულის სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1 2 3	კ. კორკელია (რედ.)	ადამიანის უფლებათა დაცვა და სახელმწიფოს დემოკრატიული ტრანსფორმაცია. 978-9941-9710-4-4	პეტიტი, თბილისი	400
	ქ. ხუციშვილი (და სხვ.)	ლევან ალექსიძის საერთაშორისო სამართლის ჟურნალი. ISSN: 2667-940X (Online)	თბილისი, აკადემიკოს ლევან ალექსიძის სახელობის ფონდი	343 გვ.

		| 2667-9248 (Print)	გამოცემა 1, ნომერი 1	
	ქ. ხუციშვილი (და სხვ.)	ლევან ალექსიძის საერთაშორისო სამართლის ჟურნალი. ISSN: 2667-940X (Online) | 2667-9248 (Print)	თბილისი, აკადემიკოს ლევან ალექსიძის სახელობის ფონდი გამოცემა 1, ნომერი 2	361 გვ.
	ბ. ზოიძე	ძირითადი უფლებების გავლენა კერძო ავტონომიაზე, ქართულ-გერმანული კონფერენციის მასალები	იბეჭდება	
	მ. ივანიძე (რედ.)	საიუბილეო კრებული – ირინა აქუბარდია 978-9941-25-781-0	თბილისი, გამომცემლობა „მერიდიანი“	318
	მ. ივანიძე (რედ.)	საიუბილეო კრებული – ნონა თოდუა (გადაცემულია დასაბეჭდად)	თბილისი, გამომცემლობა „მერიდიანი“	
	მ. ივანიძე (რედ.)	საიუბილეო კრებული – ქეთევან მჭედლიშვილი (გადაცემულია დასაბეჭდად)	თბილისი, გამომცემლობა „მერიდიანი“	
	ე. სირაძე (თანაავტ.)	საზღვაო შესაძლებლობების კვლევა, ანალიტიკური ანგარიში	სავაჭრო სამრეწველო პალატის ბიზნესის კვლევის სახლი	
	ი. აქუბარდია	საბანკო ანგარიშების მონიტორინგის ადგილი საგამოძიებო მოქმედებათა სისტემაში, ნონა თოდუა - 60, საიუბილეო კრებული	თბილისი, „მერიდიანი“, გადაცემულია დასაბეჭდად	
	ი. აქუბარდია	პოლიციის პრევენციული და რეპრესიული ღონისძიებების გამიჯვნის პრობლემები, ქეთევან მჭედლიშვილი-ჰედრიხი - 60, საიუბილეო კრებული	თბილისი, „მერიდიანი“, გადაცემულია დასაბეჭდად	
	თ. ცქიტიშვილი	ავადმყოფის განსაცდელში	Duncker & Humblot, Berlin	

	პ. ჯავახიშვილი	მიტოვების სისხლისსამართლებრივი დასჯადობა. ქვეყნდება მედიცინის სამართლისადმი მიძღვნილ ქართულ-გერმანული კონფერენციის მოხსენებების მასალების კრებულში	„უნივერსალი“, თბილისი	217
	ნ. მჭედლიძე (თანაავტ.)	საერთაშორისო ხელშეკრულებების საკონსტიტუციო კონტროლი საქართველოში ნაშრომთა კრებული: გამომცემლობა, კრებული: თანამედროვე საერთაშორისო სამართლის აქტუალური საკითხები, ISBN: 978-9941-26		
		ანგარიში ელექტრონული მართლმსაჯულების ეფექტიანობაზე პანდემიის განმავლობაში	უფლებები საქართველო / USAID / PROLoG, 2020	

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

ლევან ალექსიძის საერთაშორისო სამართლის ჟურნალი სამეცნიერო ხასიათის ორენოვანი პერიოდული გამოცემაა. ჟურნალი 6 თვეში ერთხელ გამოიცემა და ლევან ალექსიძის საერთაშორისო სამართლის პუბლიკაციათა სერიის ნაწილია, რომელიც აკადემიკოს ლევან ალექსიძის სახელობის ფონდის მხარდაჭერით გამოიცემა.

საერთაშორისო სამართლის სპეციალისტი იურისტებისა და მკითხველთა ფართო წრისთვის გამიზნულ ლევან ალექსიძის საერთაშორისო სამართლის ჟურნალში წარმოდგენილია საერთაშორისო სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების საკითხებს დათმობილი ნაშრომები. სტატიებში გამოთქმული მოსაზრებები გამოხატავს მხოლოდ ავტორთა პოზიციას.

ლევან ალექსიძის საერთაშორისო სამართლის ჟურნალი, რომელიც პროფესორ ლევან ალექსიძის ხელმძღვანელობით 1996-2018 წწ. გამოცემული „საერთაშორისო სამართლის ჟურნალის“ სულისკვეთებას გამოხატავს და განაგრძობს, გამოიცემა აკადემიკოს ალექსიძის საქმისადმი თავდადებული ადამიანების ერთობლივი ძალისხმევით. განსაკუთრებულ მადლობას ვუძღვნით ჰელგა კლაინს, აკადემიკოს ლევან ალექსიძის დიდი ხნის ერთგულ მეგობარსა და კოლეგას, 1970-იან წლებში ჟენევაში, გაეროს შტაბ-ბინაში, მათი მუშაობის დროიდან. გულითადად ვაფასებთ ჟურნალის სტატიების ინგლისურ ვერსიაზე ჰელგა კლაინის მოწოდებულ კომენტარებს.

პროფესორმა ლევან ალექსიძემ საქართველოში საერთაშორისო სამართლის სკოლას საბჭოთა კავშირის დაშლისთანავე ჩაუყარა საფუძველი. საერთაშორისო სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩამოყალიბების შემდეგ მან საერთაშორისო სამართლის ჟურნალი დააარსა შემდეგი სარედაქციო კოლეგიით: ლევან ალექსიძე, ბაისა ვაკ-ვოია,ირაკლი შაფაქიძე, მარინე კვაჭაძე, გიორგი ინწკირველი, ალექსანდრე რონდელი, ავთანდილ დემეტრაშვილი,

ზურაბ დავითაშვილი, დავით უსუფაშვილი, იური კოლოსოვი, მახკამ მახმუდოვი, ნორიარ აივაზიანი, ალექსანდრე ზადაროჟნი. საქართველოში საერთაშორისო სამართლის სკოლის დამფუძნებლის დღის წესრიგში მრავალ სხვა გამოწვევასთან ერთად საერთაშორისო სამართლის ქართული პროფესიული ლექსიკის დამკვიდრებაც იდგა. ამასთან, მსოფლიოში ცნობილი მეცნიერის საზრუნავი დამოუკიდებლობა აღდგენილ საქართველოში საერთაშორისო სამართლის სპეციალისტების მომზადებასთან ერთად მათი საქართველოს მიღმა ცნობადობის უზრუნველყოფა და მათი სამეცნიერო თეზების უცხოელ მკითხველამდე მიტანაც გახლდათ. სწორედ ამიტომ 1996 წელს საერთაშორისო სამართლის ჟურნალის პირველი ნომერი სამ ენაზე გამოვიდა. პროფესორმა ლევან ალექსიძემ საერთაშორისო სამართლის ჟურნალის ყველა ნომერი 1996-2018 წლებში ქართულთან ერთად თავდაპირველად რუსულ და ინგლისურ, მოგვიანებით კი – ინგლისურ ენაზე გამოსცა. სამწუხაროდ, 2019 წელს მისი ხელმძღვანელობით საერთაშორისო სამართლის ჟურნალი ვეღარ გამოვიდა. ბატონი ლევანი მომავალზე საუბრებში მისთვის ჩვეული დელიკატურობით მიზიარებდა საერთაშორისო სამართლის სკოლის საქართველოში გაგრძელების ხედვას. რამდენიმე დისკუსიაში მონაწილეობდა ასევე ქ. ხუციშვილის მასწავლებელი და ქ. ხუციშვილისა და აკადემიკოს ლევან ალექსიძის მეგობარი, პროფესორი გერი სიმფსონი ლონდონის პოლიტიკური და ეკონომიკური მეცნიერებების სკოლიდან. მისი რჩევა იყო, პროფესორ ალექსიძის მიერ დაფუძნებული ჟურნალის დასახელება, რომელიც ქართველ იურისტებს უცხოენოვანი მკითხველისთვისაც ხელმისაწვდომს ხდიდა, ყოფილიყო უფრო მეტად დაკავშირებული საქართველოსთან. პროფესიულ გზაზე ბატონი ლევანისგან სამომავლო დანაბარებისა და პროფესორ გერი სიმფსონის რჩევების გათვალისწინებით დაიბადა ლევან ალექსიძის საერთაშორისო სამართლის ჟურნალი.

საიუბილეო კრებული მიეძღვნა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებულ პროფესორს, ირინა აქუბარდიას. კრებულში წარმოდგენილია ქართული იურიდიული მეცნიერების სხვადასხვა თაობის წარმომადგენელთა მიერ შესრულებული სამეცნიერო ნაშრომები. აღნიშნული სტატიები ეძღვნება სამართლის აქტუალურ საკითხებს და მნიშვნელოვანია, როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული თვალსაზრისით. კრებული დახმარებას გაუწევს სტუდენტებს, პრაქტიკოსებსა და სხვა დაინტერესებულ პირებს.

5.4. სტატიები ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდის (DOI) მითითებით

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათა-ური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI	ჟურნალის/ კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1 2 3					
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)					

5.5. სტატიები ISSN-ის მითითებით

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათა-ური, ISSN	ჟურნალის/ კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1 2 3	ქ. ხუციშვილი	What is International Law? ქართულად თარგმანი: რა არის საერთაშორისო სამართალი? ISSN: 2667-940X (Online) |	ლევან ალექსიძის საერთაშორისო სამართლის ჟურნალი გამოცემა 1, ნომერი 1, იანვარი, 2020	თბილისი, აკადემიკოს ლევან ალექსიძის სახელობის ფონდი	ქართული: გვ. 13-26.

		2667-9248 (Print)			
	ბ. ზოიძე	,,ნორმატიული შინაარსის“ კონცეფცია საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკაში (უპირატესად საკუთრების კეთილსინდისიერ შეძენასთან დაკავშირებით)	ჟურნალი კერძო სამართლის მიმოხილვა	გადაცემულია დასაბეჭდად	
	ბ. ზოიძე	,,ცხოველი, როგორც სამართლის სუბიექტი“	ჟურნალი კერძო სამართლის მიმოხილვა	გადაცემულია დასაბეჭდად	
	ლ. ჭანტურია	მოსამართლის დამოუკიდებლობა და სასამართლოს ავტორიტეტი. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს სამოსამართლო სამართლის მიხედვით	პროფესორ ნონა თოდუას საიუბილეო კრებული	იბეჭდება	
	ლ. ჭანტურია	ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის გამოყენება და სამოსამართლო დიალოგი	„სამართლის ჟურნალი“, № 2, 2019		გვ. 5-11
	ლ. ჭანტურია	The Application of the European Convention on Human Rights and Judicial Dialogue	"Journal of Law", № 2, 2019		გვ. 5-11
	ლ. ჭანტურია	საყურადღებო კვლევა სამოქალაქო სამართალში რეცენზია გიორგი ამირანაშვილის წიგნზე / Important	„თანამედროვე შრომის სამართლის მიმოხილვა“, სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი, №1, 2020	თბილისი, გამომცემლობა „მერიდიანი“	გვ. 19-20

		Research in Civil Law Review on the Book by Giorgi Amiranashvili			
	ლ. ჭანტურია	წინასიტყვა, გიორგი ცერცვაძე, კონკურენციის სამართალი – ევროპული მოდელი საქართველოსთვის, ტომი I		თბილისი, გამომცემლობა „იურისტების სამყარო“	
	ლ. ბრეგვაძე	სამართლიანობის ლიბერალური თეორია: ჯონ როულზი და თანამედროვე კონტრაქტუა-ლიზმი	ნაშრომი მეტწილად დასრულებულია, მიმდინარეობს ტექსტის რედაქტირება		
	ლ. ბრეგვაძე	რობერტ ნოზიკი და ლიბერტარიანული მოძღვრება სამართლიანობის შესახებ: მინიმალისტური სახელმწიფოს დილემები	ნაშრომი მეტწილად დასრულებულია, მიმდინარეობს ტექსტის რედაქტირება		
	ლ. ბრეგვაძე	მაიკლ უალზერი და სამართლიანობის კომუნიტარი-სტული იდეა: ტრადიციული ღირებულებანი ცვალებად საზოგადოებაში	ნაშრომი მეტწილად დასრულებულია, მიმდინარეობს ტექსტის რედაქტირება		
	ლ. ბრეგვაძე	სამართლის სოციოლოგიის ინსტიტუციო-ნალიზება კელზენისა და ერლიხის პოლემიკის შედეგად	შესავალი წერილი ჰანს კელზენისა და ოიგენ ერლიხის პოლემიკის მასალების შესახებ, გამოქვეყნების პროცესშია		
	ლ. ბრეგვაძე,	ნიკლას ლუმანი:	დასრულდა		

	თარგმანი ინგლისურიდან	„სოციალურ სისტემატა აუტოპოიეზისი“	თარგმანი და დარედაქტირდა ინგლისურენოვანი ნაშრომი, მზადდება გამოსაქვეყნებლად		
	ნ. თოდუა	უმოქმედობის მიზეზობრიობის ზოგიერთი სადავო საკითხი სატრანსპორტო დანაშაულში	გერმანულ-ქართული სამართლის დიალოგი, სისხლის სამართალი კონფერენციის მასალები	თბილისი, 2020, გამომცემლობა „იურისტების სამყარო“	
	ნ. თოდუა	ქმედების ჯგუფურ დანაშაულად კვალიფიკაციის ერთი სადავო საკითხი ISSN 978-9941-25-781-0	ირინა აქუბარდია, საიუბილეო კრებული - 60	თბილისი, 2020, გამომცემლობა „მერიდიანი“	გვ. 24-53 (სულ - 19 გვერდი)
	ე. სირაძე	საზღვაო სამართლის კოდიფიკაცია და პროგრესული განვითარება	ლევან ალექსიძის საერთაშორისო სამართლის ჟურნალი	თბილისი, 2020	
	თ. ზოიძე	უძრავ ნივთებზე საკუთრების კეთილსინდისიერი შეძენა ქართული და გერმანული სამართლის მიხედვით	მომზადებულია კონფერენციისთვის და შემდგომ გამოსაქვეყნებლად		
	თ. ზოიძე	ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულება და მომხმარებელთა უფლებების დაცვა	მომზადებულია კონფერენციი-სთვის, რომელიც შემდგომ დაიბეჭდება		
	გ. რუსიაშვილი	ალიმენტის გადახდა სკ-ის 1212-ე და მომდევნო მუხლების მიხედვით	ქართულ-გერმანული შედარებითი სამართლის ჟურნალი 11/2020	IRZ, თინათინ წერეთლის ინსტიტუტი	
	გ. რუსიაშვილი	კაზუსი: ნიშნობის	ქართულ-	IRZ, თინათინ	

		ჩაშლის შემდეგ გადაცემული საჩუქრის უკუმოთხოვნა სკ-ის 1109 III მუხლის მიხედვით	გერმანული შედარებითი სამართლის ჟურნალი 11/2020	წერეთლის ინსტიტუტი	
	გ. რუსიაშვილი (თანაავტ.)	სარჩოს გადახდა მატერიალური საჭიროების მქონე მეუღლისათვის	ქართულ-გერმანული შედარებითი სამართლის ჟურნალი 10/2020	IRZ, თინათინ წერეთლის ინსტიტუტი	43-53
	გ. რუსიაშვილი	მეუღლეთა ქონებრივი ურთიერთობები	ქართულ-გერმანული შედარებითი სამართლის ჟურნალი 10/2020	IRZ, თინათინ წერეთლის ინსტიტუტი	10-21
	გ. რუსიაშვილი (თანაავტ.)	იჯარის ხელშეკრულების ზოგადი დახასიათება	ქართულ-გერმანული შედარებითი სამართლის ჟურნალი 9/2020	IRZ, თინათინ წერეთლის ინსტიტუტი	73-78
	გ. რუსიაშვილი	ერთმანეთთან დაუქორწინებელი მშობლებისგან შვილის წარმოშობის დადგენა	ქართულ-გერმანული შედარებითი სამართლის ჟურნალი 9/2020	IRZ, თინათინ წერეთლის ინსტიტუტი	45-52
	გ. რუსიაშვილი (თანაავტ.)	საცხოვრებელი სადგომის ქირავნობის თავისებურებები	ქართულ-გერმანული შედარებითი სამართლის ჟურნალი 8/2020	IRZ, თინათინ წერეთლის ინსტიტუტი	32-41
	გ. რუსიაშვილი (თანაავტ.)	დამქირავებლის უფლება-მოვალეობათა პროგრამა	ქართულ-გერმანული შედარებითი სამართლის ჟურნალი 7/2020	IRZ, თინათინ წერეთლის ინსტიტუტი	1-20
	გ. რუსიაშვილი (თანაავტ.)	გამქირავებლის ვალდებულებები ქირავნობის ხელშეკრულების ფარგლებში	ქართულ-გერმანული შედარებითი სამართლის ჟურნალი 6/2020	IRZ, თინათინ წერეთლის ინსტიტუტი	1-21
	გ. რუსიაშვილი	უსაფუძვლო გამდიდრების	ქართულ-გერმანული	IRZ, თინათინ წერეთლის	1-22

		სამართალი ინგლისში	შედარებითი სამართლის ჟურნალი 5/2020	ინსტიტუტი	
	გ. რუსიაშვილი (თანაავტ.)	რესტიტუციის ფარგლები ანგლო-ამერიკულ უსაფუძვლო გამდიდრების სამართალში	ქართულ-გერმანული შედარებითი სამართლის ჟურნალი 4/2020	IRZ, თინათინ წერეთლის ინსტიტუტი	34-48
	გ. რუსიაშვილი	ქირავნობის ხელშეკრულების გამიჯვნა მსგავსი ტიპის ურთიერთობე-ბისაგან	ქართულ-გერმანული შედარებითი სამართლის ჟურნალი 3/2020	IRZ, თინათინ წერეთლის ინსტიტუტი	71-76
	გ. რუსიაშვილი (თანაავტ.)	თავდების დაცვის მექანიზმები თავდებობის ურთიერობის ფარგლებში	ქართულ-გერმანული შედარებითი სამართლის ჟურნალი 3/2020	IRZ, თინათინ წერეთლის ინსტიტუტი	32-44
	გ. რუსიაშვილი	სუს: კეთილსინდისიერი შემძენის გამოკვლევის ვალდებულება	ქართულ-გერმანული შედარებითი სამართლის ჟურნალი 2/2020	IRZ, თინათინ წერეთლის ინსტიტუტი	88-89
	გ. რუსიაშვილი	სუს: თავდებობის ამორალურობა თავდების გამოუცდელობის საბაბით	ქართულ-გერმანული შედარებითი სამართლის ჟურნალი 2/2020	IRZ, თინათინ წერეთლის ინსტიტუტი	გვ. 87
	გ. რუსიაშვილი	სუს: მოთხოვნის არსებობის „სხვაგვარად“ აღიარება როგორც ხანდაზმულობის ვადის დენის შეწყვეტის საფუძველი	ქართულ-გერმანული შედარებითი სამართლის ჟურნალი 2/2020	IRZ, თინათინ წერეთლის ინსტიტუტი	86-87
	გ. რუსიაშვილი	„შაქროს მიხო“ (შესრულების კონდიქციით პასუხისგების ფარგლები; ნივთის განკარგვით მიღებული მოგების	ქართულ-გერმანული შედარებითი სამართლის ჟურნალი 2/2020	IRZ, თინათინ წერეთლის ინსტიტუტი	74-77

		დაბრუნება ხელყოფის კონდიქციით)			
	გ. რუსიაშვილი (თანაავტ.)	„ალავერდა მკისრებელი“ (გამიჯვნა ვალის გადაკისრებასა და თანაკისრებას შორის, სკ-ის 206-ე მუხლის ანალოგიით გამოყენება)	ქართულ-გერმანული შედარებითი სამართლის ჟურნალი 2/2020	IRZ, თინათინ წერეთლის ინსტიტუტი	67-73
	გ. რუსიაშვილი	თავდებობის ხელშეკრულების დადება და მისი შინაარსი	ქართულ-გერმანული შედარებითი სამართლის ჟურნალი 2/2020	IRZ, თინათინ წერეთლის ინსტიტუტი	25-34
	გ. რუსიაშვილი	დავალების გარეშე „ასევე“ სხვისი საქმის შესრულება და მეპატრონის ნების საწინააღმდეგოდ შესრულება	ქართულ-გერმანული შედარებითი სამართლის ჟურნალი 1/2020	IRZ, თინათინ წერეთლის ინსტიტუტი	49-58
	გ. რუსიაშვილი	თავდებობის ხელშეკრულება, მისი გამიჯვნა მსგავსი ტიპის შეთანხმებებისაგან და სპეციალური ფორმები	ქართულ-გერმანული შედარებითი სამართლის ჟურნალი 1/2020	IRZ, თინათინ წერეთლის ინსტიტუტი	20-28
	ი. აქუბარდია	ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის სამართლებრივი საფუძვლები და ევროპული სტანდარტები	სამართლის ჟურნალი, N 1, 2020	თბილისი	
	თ. ცქიტიშვილი	სასჯელის ცნების საკითხისათვის	ირინა აქუბარდია 60, საიუბილეო კრებული	გამომცემლობა „მერიდიანი“	გვ. 70-111
	თ. ცქიტიშვილი	შენიშვნები უშანგი ბახტაძის დისერტაციაზე: „კრიმინალიზაციის	შედარებითი სამართლის ქართულ-გერმანული	თსუ თინათინ წერეთლის სახელობის სახელმწიფოსა და	გვ. 58-69

		პროცესის კრიმინოლოგიური ანალიზი“	ჟურნალი	სამართლის ინსტიტუტის გამომცემლობა, 2020, №8	
	თ. ცქიტიშვილი	წინარე ქმედება, როგორც გარანტის მოვალეობის და უმოქმედობის მიზეზობრიობის დამაფუძნებელი გარემოება	გადაცემულია პროფ. ნონა თოდუას 60 წლის იუბილისადმი მიძღვნილ კრებულში გამოსაქვეყნებლად	გამოიცემა გამომცემლობა „მერიდიანში“	
	თ. ცქიტიშვილი	სამართლებრივი სიკეთე ნარკოტიკული დანაშაულისას	გადაცემულია პროფ. ქეთევან მჭედლიშვილი-ჰედრიხის 60 წლის იუბილისადმი მიძღვნილ კრებულში გამოსაქვეყნებლად	გამოიცემა გამომცემლობა „მერიდიანში“	
	თ. ცქიტიშვილი	მერაბ ტურავა, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, დანაშაულის მოძღვრება, თბ., 2011, გვ. 690	ქვეყნდება თსუ იურიდიული ფაკულტეტის „სამართლის ჟურნალში“, 2020, №2	თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა	
	გ. დგებუაძე	სისხლის სამართლის საერთაშორისო მართლმსაჯულე-ბის მოდელები – სამართლიანობის აღდგენის მექანიზმები	ფოლკსვაგენის ფონდის სამეცნიერო კრებული: „ევროპული და საერთაშორისო სამართლის ზეგავლენა ქართულ სისხლის საპროცესო სამართალზე“	თბილისი, „მერიდიანი“	გვ. 737–750
	გ. დგებუაძე	სისხლის სამართლის საერთაშორისო მართლმსაჯულე-ბის ზეგავლენა ეროვნულ სისხლის სამართლის მართლმსაჯულე-ბის სისტემაზე: კომპლემენტა-	ფოლკსვაგენის ფონდის სამეცნიერო კრებული: „ევროპული და საერთაშორისო სამართლის ზეგავლენა ქართულ სისხლის საპროცესო	თბილისი, „მერიდიანი“	გვ. 714–736

		რულობის პრინციპი – ეროვნული მართლმსაჯუ-ლების მხარდაჭერა თუ „დისკრეციული ინტერვენცია“?	სამართალზე“		
	გ. დგებუაძე	კონსტიტუციით გარანტირებული უფლებების დაცვა ეროვნული და საერთაშორისო სისხლის-სამართლებრივი მექანიზმების გამოყენებით	შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის სამეცნიერო კრებული: „კონსტიტუციური სახელმწიფოს პასუხები გლობალურ საფრთხეებს“	თბილისი (გადაცემულია გამოსაქვეყნე-ბლად)	გვ. 75-82
	ა. ოხანაშვილი, ბ. სურმავა	COVID-19 და ქართული სისხლის სამართლის გამოწვევები. ISSN 2566-5758	გერმანულ-ქართული სისხლის სამართლის ჟურნალის მეორე გამოცემა - ოქტომბერი, 2020 წელი	ელექტრონული ჟურნალი	7 გვერდი

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

საქართველოში ხშირად შეხვდებით შიდასახელმწიფოებრივი სამართლის სხვადასხვა დარგის სპეციალისტებს, რომლებიც აცხადებენ, რომ საერთაშორისო სამართალი არ არსებობს. ზოგიერთი კი მას შიდასახელმწიფოებრივი საჯარო სამართლის ნაწილად მიიჩნევს. საერთაშორისო სამართლის სკოლის დამაარსებელმა საქართველოში - აკადემიკოსმა ლევან ალექსიძემ მტკიცე საფუძველი ჩაუყარა ქართველი იურისტების მიერ იმ თავისებურებების ათვისებას, რომლებიც ახასიათებს საერთაშორისო სამართალს, როგორც სამართლის დამოუკიდებელ სისტემას. ქ. ხუციშვილის სტატიაში მოკლედ შეჯამებულია საერთაშორისო სამართლის მნიშვნელობა საერთაშორისო თანამეგობრობისთვის და შიდასახელმწიფოებრივი სამართლის სისტემების ფორმირებისთვის.

სტატიაში „უმოქმედობის მიზეზობრიობის ზოგიერთი სადავო საკითხი სატრანსპორტო დანაშაულში“ მოცემულია ახალი ხედვა უმოქმედობის მიზეზობრიობის საკითხზე. სტატიაში გაკეთებულია დასკვნა, რომ რადგან უმოქმედობა არასოდეს არაა მიზეზობრიობის წარმმართველი ძალა, სსკ მე-8 მუხლის მე-3 ნაწილი (უმოქმედობის მიზეზობრიობა) უნდა განიმარტოს შეზღუდულად. კერძოდ, თუკი სახეზეა ერთი პირის მიერ ჩადენილი ორი ქმედება, საიდანაც ერთმა დააფუძნა საფრთხე, ხოლო მეორე ქმედება გამოიხატა უმოქმედობაში, რომელსაც არ დაუფუძნებია საფრთხე, მიზეზობრივი კავშირის საკითხი არ უნდა დადგეს ამ მეორე ქმედებასთან (ანუ უმოქმედობასთან) კავშირში. მიზეზობრივი კავშირის საკითხი უნდა დამტკიცდეს პირველ ქმედებასთან მიმართებაში, რომელმაც დააფუძნა საფრთხე და შესაბამისად, იგი იყო მიზეზობრიობის წარმმართველი ძალა.

სტატია „ქმედების ჯგუფურ დანაშაულად კვალიფიკაციის ერთი სადავო საკითხი“ ეხება სისხლის სამართალში დაუმუშავებელ საკითხს იმაზე, თუ როგორ უნდა დაკვალიფიცირდეს ქმედება, როცა დანაშაულის შემადგენლობას უშუალოდ ასრულებს ორი პირი, მაგრამ აქედან მხოლოდ ერთია

ბრალუნარიანი (შერაცხადი). სტატიაში საკითხი განხილულია მრავალი ასპექტით და გაკეთებულია დასკვნა, რომ შეუძლებელია ამ დროს ბრალუნარიანი (ანუ შერაცხადი) პირის ქმედება დაკვალიფიცირდეს, როგორც ჩადენილი ჯგუფურად.

საერთაშორისო თანამეგობრობის მიზანია სისხლის სამართლის ერთიანი კანონმდებლობის შექმნა, საერთაშორისო მშვიდობისა და უშიშროების წინააღმდეგ მიმართული საფრთხეების აღსაკვეთად, ადამიანის ფუნდამენტური უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად. ერთიანი სისხლის სამართლის სისტემა ეფექტიანი მართლმსაჯულების განხორციელების აუცილებელი პირობაა. ეროვნულ დონეზე დაშვებული შეცდომა შეიძლება ფართომასშტაბიანი ან/და სისტემური ხასიათის აღმოჩნდეს და საერთაშორისო ხასიათი მიიღოს. ასეთი შემთხვევის აღმოფხვრის სისხლის სამართლის მართლმსაჯულების მექანიზმს საერთაშორისო (სუპრანაციონალური) სისხლის სამართალი წარმოადგენს, რომელიც უზრუნველყოფს საერთაშორისო სამართლისა და სისხლის სამართლის კომბინირებულ გამოყენებას.

ეროვნული სისხლის სამართლის კანონმდებლობის ჰარმონიზაცია საერთაშორისო თანამეგობრობის სისხლის სამართლის (საერთაშორისო სისხლის სამართლის) კანონმდებლობასთან ხანგრძლივი და კომპლექსური პროცესია. საერთაშორისო სისხლის სამართალში სხვადასხვა ეროვნული სისხლის სამართლის ინტერნაციონალიზაციის პროცესი მატერიალური და ფორმალური (პროცესუალური) გაგებით მიმდინარეობს, ანგლოამერიკულ და კონტინენტურევროპულ სისხლის სამართლის სისტემების სამართლებრივ გამოცდილებაზე დაყრდნობით. ამ მხრივ, საერთაშორისო თანამეგობრობა ქმნის ახალ, საერთაშორისო სისხლის სამართლის მატერიალური და ფორმალური (პროცესუალური) ნაწილების ერთიან დოგმატიკას, რომელიც ეყრდნობა ეროვნული სისხლის სამართლის ძირითად პრინციპებსა და გამოცდილებას, რითაც ამარტივებს იმპლემენტაციის პროცესს.

სისხლის სამართლის ინტერნაციონალიზაციას „ტექნიკურად“ უზრუნველყოფს სისხლის სამართლის საერთაშორისო მართლმსაჯულების სისტემა, რომელიც ანგლოამერიკული და კონტინენტურევროპული სისტემების „ჰარმონიული კონვერგენციის“ შედეგია. სისხლის სამართლის საერთაშორისო მართლმსაჯულების ძირითად წყაროს სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს წესდება - რომის სტატუტი წარმოადგენს. სწორედ აქ ხდება სისხლის სამართლის მატერიალური და ფორმალური ნაწილების ინტერნაციონალიზაცია და სისტემატიზაცია, ვინაიდან სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლო პერმანენტულ სისხლის სამართლის ინსტიტუციას წარმოადგენს. იგი აერთიანებს მოკვლევის, გამოძიების, სისხლისსამართლებრივი დევნის, სასამართლო განხილვისა და სხვა მნიშვნელოვანი საკითხების ფორმალურ დებულებებს. სისხლის სამართლის პერმანენტული საერთაშორისო სასამართლოს მართლმსაჯულების სისტემა, მათ შორის, მისი ნაკლოვანებების გათვალისწინებით, საერთაშორისო სისხლის სამართლის „შთამბეჭდავი საუკუნოვანი ისტორიის“ ფონზე, სხვა სისხლის სამართლის საერთაშორისო ტრიბუნალებთან შედარებით, საერთაშორისო თანამეგობრობის საუკეთესო პროდუქტია.

სისხლის სამართლის საერთაშორისო მართლმსაჯულების სფერო განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ქართული სისხლის სამართლის სისტემისთვის, რომელიც, ერთი მხრივ, მატერიალური გაგებით, განიცდის გერმანული სამართლის ზეგავლენას და, მეორე მხრივ, ფორმალური გაგებით, უმეტესწილად, ანგლოამერიკული ხასიათისაა. საერთაშორისო სამართალში სასამართლოს დაფუძნება საერთაშორისო თანამეგობრობის პოლიტიკური გადაწყვეტილებაა, მით უფრო, სისხლისსამართლებრივი ხასიათის. მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში არსებულმა მძიმე პოლიტიკურმა, ეკონომიკურმა და სოციალურმა მდგომარეობამ, საყოველთაოდ აღიარებული საერთაშორისო სამართლის ნორმების სისტემატურმა დარღვევამ სისხლის სამართლის საერთაშორისო მართლმსაჯულების განხორციელების თავისებური სისტემის ჩამოყალიბება გამოიწვია. ნაშრომში „სისხლის სამართლის საერთაშორისო მართლმსაჯულების მოდელები – სამართლიანობის აღდგენის მექანიზმები“ განხილულია სისხლის სამართლის საერთაშორისო მართლმსაჯულების სხვადასხვა მოდელი, „ძალის გამოყენების“ სამართლებრივი მექანიზმები. საერთაშორისო სისხლის სამართალში საერთაშორისო მშვიდობისა და უშიშროების წინააღმდეგ მიმართული საფრთხეების აღსაკვეთად, ადამიანის ფუნდამენტური უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად, სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს პერმანენტული (კომპლემენტარულობის) მოდელის გარდა, განხილულია „ომში გამარჯვებულ სახელმწიფოთა“, დროებითი (ad hoc), რეტროაქტიური, დროებითი ტრიბუნალების მსგავსი, მოსამზადებელი,

სუბსიდიური და სპეციალური მართლმსაჯულების მოდელები.

საერთაშორისო სისხლის სამართლის პერმანენტულ მართლმსაჯულების სისტემას სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლო წარმოადგენს, რომელიც საერთაშორისო თანამეგობრობამ საერთაშორისო (სუპრანაციონალური) სისხლის სამართლის ერთიანი მართლმსაჯულების, „საერთო პოლიტიკის“ შემუშავების, პრეცედენტული სამართლის მოდერნიზაციის მიზნით დააფუძნა. ერთი მხრივ, იგი ეყრდნობა სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოების მიერ ჩამოყალიბებულ ძირითად პრინციპებს და, მეორე მხრივ, გერმანული და ანგლოამერიკული სისხლის სამართლის მატერიალურ და ფორმალურ დოქტრინებზე დაყრდნობით, საერთაშორისო სისხლის სამართლის უახლეს – ერთიან ინფრასტრუქტურას ქმნის. საერთაშორისო თანამეგობრობამ სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს, 2002 წლის 1 ივლისიდან ინდივიდების მიერ ჩადენილი გენოციდის, ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართულ, ომისა და აგრესიის დანაშაულებზე იურისდიქციის გავრცელების უფლება მიანიჭა. აგრესიის დანაშაულზე 2018 წლის 17 ივლისიდან იურისდიქციის ამოქმედების შესახებ გადაწყვეტილება რომის სტატუტის მონაწილე სახელმწიფოთა ასამბლეამ 2017 წლის 15 დეკემბერს, ნიუ-იორკში მიიღო. სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლო კონკრეტულ საქმეს („სიტუაციას“) დამოუკიდებლად აანალიზებს და თავად წყვეტს, თუ რომელი გამოწვევით უნდა დაკავდეს – ეს მისი დისკრეციული უფლებამოსილებაა. ასეთ გადაწყვეტილებას იგი კომპლემენტარულობის პრინციპზე დაყრდნობით იღებს. შესაბამისად, სისხლის სამართლის საერთაშორისო პერმანენტული მართლმსაჯულების ამოქმედება კომპლემენტარულობის პრინციპზეა დამოკიდებული. იგი ეროვნული სისხლის სამართლის სუვერენიტეტის მთავარი გარანტორია. პრინციპი ადგენს საერთაშორისო დანაშაულებთან მიმართებით ეროვნული სისხლის სამართლისა და საერთაშორისო სისხლის სამართლის მოქმედების ფარგლებს, ასეთი დანაშაულების გამოძიებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების საერთო პასუხისმგებლობას - განსაზღვრავს საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ ამ ორ სისტემას შორის გავლებული საზღვრის გადაკვეთის წესებს. კომპლემენტარულობის პრინციპზე დაყრდნობით, ეროვნულ საფეხურზე კონკრეტული საქმის გამოკვლევის შემდეგ, სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს მთავარი ამოცანაა, საერთაშორისო თანამეგობრობის (საერთაშორისო სისხლის სამართლის) მანდატით მიიღოს გადაწყვეტილება, თუ რომელ (ეროვნულ თუ საერთაშორისო) დონეზეა მიზანშეწონილი საქმის სამომავლო წარმართვა მართლმსაჯულების საუკეთესო განხორციელების მიზნით. უპირველეს ყოვლისა, თვითონ სახელმწიფოს სუვერენული უფლებაა, გამოიძიოს მის ტერიტორიაზე ჩადენილი დანაშაულები, სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს ინტერვენციის გარეშე. თუ საკითხი არ ან ვერ წყდება ეროვნულ დონეზე, იგი საერთაშორისო სისხლის სამართლის - სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს - განხილვის საგანია. სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს მართლმსაჯულების სისტემის, სისხლის სამართლის საერთაშორისო (მატერიალური და ფორმალური ნაწილების) დოქტრინის, ამოქმედების კრიტერიუმებს კომპლემენტარულობის პრინციპი განსაზღვრავს. საერთაშორისო სისხლის სამართალში ასეთი „მექანიზმის“ არსებობა აუცილებელია ჰორიზონტალურ (სახელმწიფოთაშორის) და ვერტიკალურ (ეროვნულ და საერთაშორისო) დონეზე იურისდიქციის საკითხის გადასაწყვეტად. ასეთი დათქმის გარეშე სასამართლო ვერ დაფუძნდებოდა. ეროვნულ სისხლის სამართალში საერთაშორისო მექანიზმის ასამოქმედებლად საჭიროა რომის სტატუტის მე-17 მუხლით განსაზღვრული საქმის წარმოებაში მიღების კრიტერიუმების დადგენა. ნაშრომში „სისხლის სამართლის საერთაშორისო მართლმსაჯულების ზეგავლენა ეროვნულ სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემაზე: კომპლემენტარულობის პრინციპი – ეროვნული მართლმსაჯულების მხარდაჭერა თუ „დისკრეციული ინტერვენცია“?“ გაანალიზებულია კომპლემენტარულობის პრინციპი (საერთაშორისო თანამეგობრობის სისხლის სამართლის საერთაშორისო პერმანენტული მართლმსაჯულების ამოქმედების წინაპირობები), იგი არის ეროვნული მართლმსაჯულების მხარდამჭერი მექანიზმი თუ დისკრეციული ინტერვენციის საშუალება?! განხილულია კომპლემენტარულობის პრინციპის შინაარსი – რომის სტატუტით გათვალისწინებული საქმის წარმოებაში მიღების საფუძვლები, ე.წ. „კომპლემენტარულობისა“ და „სიმძიმის“ ტესტები, იურისდიქციის მქონე სახელმწიფოს გამოძიების და სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების „სურვილის არქონისა“ და „უუნარობის“ ელემენტები, მთლიანობაში შეფასებულია საერთაშორისო სისხლის სამართლის პერმანენტული მართლმსაჯულების სისტემის „გავლენა“ ეროვნულ სისხლის სამართლის მართლმსაჯულებაზე.

ადამიანის უფლებათა იმპლემენტაცია საერთაშორისო სისხლის სამართლის ფარგლებში სხვადასხვა საშუალებით ხდება. ადამიანის უფლებათა სამართალი ეხება ადამიანის უფლებათა დარღვევებს, რომლებსაც ადგილი ჰქონდა, როგორც წესი, სახელმწიფოს მხრიდან მისი მოქალაქეების მიმართ, საერთაშორისო სისხლის სამართლში ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის შემადგენლობა კი მიზნად ისახავს, სისხლისსამართლებრივი დევნა განახორციელოს ინდივიდებზე, რომლებმაც ჩაიდინეს ასეთი ქმედება.

კონსტიტუციით გარანტირებული უფლებების დაცვა სისხლის სამართალში ეროვნული და საერთაშორისო სისხლისსამართლებრივი მექანიზმების გამოყენებით ხდება. ამ მხრივ, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის დეფინიცია. გენოციდისა და ომის დანაშაულებისაგან განსხვავებით, რომელთა კოდიფიკაცია მოხდა კონვენციებში დამტკიცებული ცნებებით, ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული ჩამოყალიბდა არათანმიმდევრული დეფინიციების საფუძველზე. დანაშაულის შემადგენლობა შეიქმნა იმ მიზნით, რომ შეავსოს ის სივრცე, რომელსაც ომის დანაშაულის შემადგენლობა ღიად ტოვებს.

ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული წარმოადგენს ერთ-ერთ უძველეს და უმძიმეს დანაშაულს საერთაშორისო სისხლის სამართლის ისტორიაში, რომელიც საფრთხეს უქმნის მსოფლიოს მშვიდობას, უშიშროებას და კეთილდღეობას. დანაშაულის შემადგენლობის გაფართოების მცდელობა მუდმივად მიმდინარეობდა.

მოხსენება „კონსტიტუციით გარანტირებული უფლებების დაცვა ეროვნული და საერთაშორისო სისხლისსამართლებრივი მექანიზმების გამოყენებით“ ეხებოდა ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის შემადგენლობას, კვალიფიკაციისათვის აუცილებელ ნიშნებს, სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოების პრეცედენტულ სამართალზე დაყრდნობით. გაანალიზდა დანაშაულის ჩამოყალიბების ისტორია, თუ რა გზა განვლო მან ჰააგამდე, ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ცნება რომის სტატუტის მე-7 მუხლის მიხედვით, დანაშაულის მატერიალური ელემენტები (სამოქალაქო მოსახლეობის წინააღმდეგ მიმართული ფართომასშტაბიანი ან სისტემატური თავდასხმა; სახელმწიფო ან ორგანიზაციული პოლიტიკა) დანაშაულის მენტალური ელემენტები (სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან განმათავისუფლებელი გარემოებები) და სხვა დანაშაულის შემადგენლობისგან განმასხვავებელ ნიშნები.

6. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა უცხოეთში

6.1. მონოგრაფიები/წიგნები

№	ავტორი/ავტორები	მონოგრაფიის/წიგნის სათაური, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1 2	ე. ქარდავა (თანაავტ.)	„საჯარო სამსახურის რეფორმა პოსტ-საბჭოთა ქვეყნებში: გამოწვევები და მიღებული გამოცდილება“ (თავი ეხება საქართველოს საჯარო სამსახურის რეფორმის დაწყებას, მიმდინარეობასა და სამომავლო გეგმების განხორციელებას)	წიგნი გამოცემის პროცესშია	
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)				

6.2. სახელმძღვანელოები

№	ავტორი/ავტორები	სახელმძღვანელოს სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1 2				
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)				

6.3. კრებულები

№	ავტორები	კრებულის სახელ-წოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1 2 3				
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)				

6.4. სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI ან ISSN	ჟურნალის/ კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1 2 3	ნ. სურგულაძე, მ. ხოფერია, ქ. სურგულაძე	The Catholicos Law	Journal of Polish-Georgian Law	პოლონეთი	გადაცემული დასაბეჭდად
	ნ. სურგულაძე, მ. რუსეიშვილი, ტ. კარტლეჯი	The Law of Prince Vakhtang	Journal of Polish-Georgian Law	პოლონეთი	გადაცემული დასაბეჭდად
	ლ. ჭანტურია	Reasoning of judicial decisions and “the balancing of rights” in civil matters according to the case law of the European Court of Human Rights		იბეჭდება	
	ლ. ჭანტურია	Participatory rights in the case-law of		იბეჭდება	

		the European Court of Human Rights			
	მ. გარიშვილი	Основные этапы эволюции грузинской правовой мысли, правосознания и правовой системы	პოლონეთის რესპუბლიკის ქ. სუპსკის სამართლისა და ადმინისტარციის აკადემიისა და ივ. ჯავახიშვილის სახელობის თსუ იურიდიული ფაკულტეტის ერთობლივი კრებული: INSTYTUT PRAWA I ADMINISTRACJI CZASOPISMA, JOURNAL OF POLISH-GEORGIAN LAW	გამოსაცემად გამზადებული და გადაცემულია	11 გვერდი
	ე. სირაძე	Georgia goes all out in fight against Covid19	www.orfonline.org		
	თ. ზარანდია, თ. ტატანაშვილი	Apartment ownership in a Condominium under Georgian Law	TalTech Journal of European Studies (ISSN 2674-4619), Vol. 10, No. 2 (31)	Tallinn University of Technology	გვ. 28-41
	ა. თოხაძე	Transforming Georgia's Regulations on Shareholders' Right to Interim Dividend Confronting the European Company Law, Online ISSN: 2674-4619	TalTech Journal of European Studies Vol. 10, Issue 2	TalTech University, Sciendo	17 გვ. (57-74 გვ.)

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

“TalTech Journal of European Studies” ჟურნალი ინდექსირებულია Scopus-ისა და Web of Science-ის მიერ. ა. თოხაძის ნაშრომი შესრულდა „ევროპის რეგიონალური განვითარების ფონდისა“ და ესტონეთის რესპუბლიკის სასტიპენდიო პროგრამის “Dora Plus Scholarship”-ის ფარგლებში, ტალინის ტექნოლოგიურ უნივერსიტეტში, პროფ. დოქტ. ტანელ კირიკმეეს სამეცნიერო ხელმძღვანელობით.
ნაშრომი შეეხება აქციონერთა ქონებრივი უფლების, კერძოდ, შუალედური დივიდენდის მიღების უფლების მომწესრიგებელი ნორმების სამართლებრივ ანალიზსა და შესაბამისობის საკითხს ევროპის კავშირის საკორპორაციო სამართლის მომწესრიგებელ დირექტივებთან. სტატია წარმოაჩენს შუალედური დივიდენდის მომწესრიგებელი ნაციონალური რეგულაციების სამართლებრივ ნაკლოვანებებს და განმარტავს მათი აღმოფხვრის საჭიროებას კორპორაციის კაპიტალის დაცვის/შენარჩუნების დოქტრინასთან მიმართებით. ნაშრომში კრიტიკულად არის გაანაზილებული

შუალედური დივიდენდის განაწილების წინაპირობები ნაციონალური და ევროპის კავშირის რეგულაციების მიხედვით.

7. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

7.1. საქართველოში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1 2 3	კ. კორკელია (ევროპის საბჭოს HELP-ის ტრენერი)	ტრენინგი ადამიანის უფლებაა ევროპულ კონვენციაზე და ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოზე	2020 წლის ივნისი-ნოემბერი, ონლაინ
	კ. კორკელია	ტრენინგი სიცოცხლის უფლებასთან დაკავშირებული საგამოძიებო სტანდარტების შესახებ სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის თანამშრომლებისათვის	14-15 მაისის, 2020, ონლაინ
	ქ. ხუციშვილი	COVID-19 and emergency powers of international organisations	14 მაისი, 2020 თბილისი, ვენა, ნაირნი (დიდი ბრიტანეთი) http://laf.ge/events/migracia-da-covidi/?occurrence=2020-06-01
	ქ. ხუციშვილი	საერთაშორისო სისხლის სამართლის მართლმსაჯულების გამოწვევები და საქართველო	17 ივლისი, 2020 http://laf.ge/events/17_july/?occurrence=2020-07-17
	ნ. თოდუა	მომხსენებელთან და სხვა მონაწილეებთან დისკუსიის ფორმატი	2020 წლის 4 დეკემბერს, 16:00 ზე, ზუმის პლატფორმა
	ე. ქარდავა	HR ფორუმი რეორგანიზაციის საკითხებთან დაკავშირებით	21/01/20, ქ.თბილისი
	ე. ქარდავა (თანამომხს.)	მოხელეთა ფორუმი - „კომუნიკაცია საჯარო სამსახურში“	14/02/20, ქ.თბილისი
	ე. ქარდავა	HR ფორუმი პროფესიული განვითარების	25/02/2020, ქ.თბილისი

		აკრედიტირებული საბაზისო პროგრამების შესახებ	
	ე. ქარდავა (თანამომხს.)	მოხელეთა ფორუმი - „ინოვაციები საჯარო მმართველობის სფეროში“	24/04/20 (დისტანციური)
	ე. ქარდავა (თანამომხს.)	მოხელეთა ფორუმი - „პირადი და პროფესიული ცხოვრების ბალანსი“	11/05/20 (დისტანციური)
	ე. ქარდავა (თანამომხს.)	მოხელეთა ფორუმი - „თვითრეალიზაცია“	18/05/20 (დისტანციური)
	ე. ქარდავა (თანამომხს.)	მოხელეთა ფორუმი - „ორგანიზაციული კულტურა“	25/05/20 (დისტანციური)
	ე. ქარდავა (თანამომხს.)	მოხელეთა ფორუმი - „მოტივაცია“	15/06/20 (დისტანციური)
	ე. ქარდავა (თანამომხს.)	მოხელეთა ფორუმი - „შესრულებული სამუშაოს შეფასება“	22/06/20 (დისტანციური)
	ე. ქარდავა (თანამომხს.)	მოხელეთა ფორუმი - „კლიმატის კრიზისი და მწვანე საჯარო სამსახური“	29/06/20 (დისტანციური)
	ე. ქარდავა (თანამომხს.)	მოხელეთა ფორუმი - „მოხელის უფლებები და გარანტიები“	24/07/20 (დისტანციური)
	ე. ქარდავა (თანამომხს.)	მოხელეთა ფორუმი - „დროის მართვა“	27/07/20 (დისტანციური)
	ე. ქარდავა (თანამომხს.)	მოხელეთა ფორუმი - „გენდერი საჯარო სამსახურში“	30/07/20 (დისტანციური)
	ე. ქარდავა (თანამომხს.)	მოხელეთა ფორუმი - „სამუშაო და ბედნიერება“	07/08/20 (დისტანციური)
	ე. ქარდავა (თანამომხს.)	მოხელეთა ფორუმი - „ცვლილებების მართვა“	14/09/20 (დისტანციური)
	ე. ქარდავა (თანამომხს.)	მოხელეთა ფორუმი - „პოზიტიური უარის ძალა“	18/09/20 (დისტანციური)

	ე. ქარდავა (თანამომხს.)	მოხელეთა ფორუმი - „ლიდერის როლი კრიზისების მართვაში“	21/09/20 (დისტანციური)
	ე. ქარდავა (თანამომხს.)	მოხელეთა ფორუმი - „ემოციური ინტელექტი“	28/09/20 (დისტანციური)
	ე. ქარდავა (თანამომხს.)	მოხელეთა ფორუმი - „პროექტების მართვა“	09/10/20 (დისტანციური)
	ე. ქარდავა (თანამომხს.)	მოხელეთა ფორუმი - „სტრესი და სტრესის მართვა“	12/10/20 (დისტანციური)
	ე. ქარდავა (თანამომხს.)	მოხელეთა ფორუმი - „ადამიანი ბრენდი“	19/10/20 (დისტანციური)
	ე. ქარდავა (თანამომხს.)	მოხელეთა ფორუმი - „თავისუფლებიდან გაქცევის მექანიზმები“	23/10/20 (დისტანციური)
	ე. ქარდავა (თანამომხს.)	„თანასწორობა ქალებისთვის საჯარო სამსახურში“	04/11/20 (დისტანციური)
	ი. დვალიძე	მომხსენებელთან და სხვა მონაწილეებთან დისკუსიის ფორმატი	2020 წლის 4 დეკემბერი, ზუმის პლატფორმა
	გ. დგებუაძე	„ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო მექანიზმები“	2020 წელი, თბილისი, ომისა და მშვიდობის გაშუქების ინსტიტუტი (IWPR) (საერთაშორისო პანელური დისკუსია თემაზე „ზემოდან დანახული დაუსრულებელი ომი“)
	გ. დგებუაძე	„ელექტრონული სწავლების შედეგები“	2020 წელი, თბილისი (საერთაშორისო პანელური დისკუსია თემაზე „ელექტრონული სწავლება“)
	გ. დგებუაძე	„ელექტრონული სწავლების შინაარსის ჩამოყალიბების აუცილებლობა“	2020 წელი, თბილისი (პანელური დისკუსია თემაზე „ელექტრონული სწავლების შინაარსის ჩამოყალიბება და პედაგოგიკა“)

მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა)

აკადემიკოს ლევან ალექსიძის სახელობის ფონდმა მიგრაციის პოლიტიკის განვითარების საერთაშორისო ცენტრთან ერთად საერთაშორისო ვებინარს უმასპინძლა თემაზე „მიგრაცია და კოვიდ-19“. საერთაშორისო ვებინარმა აკადემიური სექტორისა და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები, საერთაშორისო მკვლევარები და ახალგაზრდა სპეციალისტები გააერთიანა. სასექსისა და მაასტრიხტის უნივერსიტეტების, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის, კავკასიის უნივერსიტეტისა და ჯეოქეისის, ასევე მიგრაციის პოლიტიკის განვითარების საერთაშორისო ცენტრის წარმომადგენლები აკადემიკოს ლევან ალექსიძის ფონდის ინიციატივას გამოეხმაურნენ, 2014 წელს აკადემიკოს ლევან ალექსიძისა და პროფესორ ქ. ხუციშვილის მიერ წამოწყებული მიგრაციის ყოველწლიური ეროვნული კონფერენციის ელექტრონულ სივრცეში გასაგრძელებლად.
საერთაშორისო თანამეგობრობისთვის განსაკუთრებულად აქტუალური საკითხის გარშემო აკადემიური დისკუსიის წასახალისებლად მომხსენებლებმა იმსჯელეს ისეთ თემებზე, როგორიცაა მიგრაციაზე კოვიდ-19-ის გავლენა, შექმნილი კრიზისის ეკონომიკური შედეგები შრომითი მიგრანტებისთვის, ასევე პანდემიის მიგრაციულ პროცესებზე გავლენის სამომავლო კვლევის აუცილებლობა, აკადემიური კვლევისთვის სანდო სტატისტიკური მონაცემების დროთა განმავლობაში ხელმისაწვდომობის გაზრდის კვალდაკვალ.
ვებინარის მეორე სექციის ფარგლებში აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის რეგიონში მიგრაციის კუთხით შექმნილი ვითარება განიხილეს. ყურადღება გამახვილდა სახელმწიფოთა მიერ მიღებულ ზომებს შორის განსხვავებებზე, ასევე იმსჯელეს მიგრაციის შემზღუდველი ღონისძიებების სამართლებრივ ფარგლებზე სახელმწიფოს სუვერენიტეტისა და ადამიანის უფლებების ურთიერთმიმართების ჭრილში. დისკუსია წარიმართა გაეროს სისტემაში გლობალური ჯანდაცვის საკითხების მართვასა და კოორდინაციაში ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის როლზე, ასევე კრიზისების მონიტორინგისა და მონაცემთა მოგროვების თვალსაზრისით წევრ სახელმწიფოებზე მისი დამოკიდებულების ხარისხის გარშემო.
საერთაშორისო ვებინარის ფინალური სექციის ფარგლებში ახალგაზრდა მკვლევარებს მიეცათ აკადემიური კვლევის შედეგების წარმოდგენის ასპარეზი. დისკუსია სხვა მიმართულებებთან ერთად წარიმართა ისეთი საკითხების გარშემო, როგორიცაა კოვიდ-19-ის გავლენა თავშესაფრის მაძიებელ პირებსა და შრომითი, მათ შორის – უდოკუმენტო, მიგრანტების უფლებრივ მდგომარეობაზე პანდემიის დროს. ახალგაზრდა მკვლევარებმა კვლევაზე დაფუძნებული მიგნებები წარმოადგინეს ასევე პანდემიის განვითარებაზე მიგრაციული პროცესების შესაძლო ზეგავლენაზე, მიგრანტთა მიმართ დისკრიმინაციულ პერსეფციებზე გლობალური პანდემიის ფონზე და სხვა.
კონფერენციის დასასრულს აკადემიკოს ლევან ალექსიძის სახელობის ფონდის დამფუძნებელმა პროფესორმა მარინა მესხმა აღნიშნა, რომ აკადემიკოს ლევან ალექსიძისადმი მიძღვნილი საჯარო ლექციების ციკლი და სამეცნიერო კონფერენციები პანდემიის მიერ ნაკარნახევი ახალი რეალობის გათვალისწინებით, დისტანციურად, გაგრძელდება მსოფლიოს სხვადასხვა კვლევით ცენტრსა და საერთაშორისო ორგანიზაციასთან თანამშრომლობით. აკადემიკოს ლევან ალექსიძის პროფესიული მემკვიდრეობისა და მისი დაფუძნებული ქართული საერთაშორისო სამართლის სკოლის გასაგრძელებლად, აკადემიკოს ლევან ალექსიძის სახელობის ფონდი პროფესორ ქ. ხუციშვილის ინიციატივით 2019 წელს დაფუძნდა.

17 ივლისს საერთაშორისო სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დღისადმი მიძღვნილი ყოველწლიური კონფერენცია „საერთაშორისო სისხლის სამართლის მართლმსაჯულების გამოწვევები: 70 წელი ნიურნბერგის პრინციპების მიღებიდან“ აკადემიკოს ლევან ალექსიძეს მიეძღვნა. ვებინარის ფორმით ჩატარებულ კონფერენციაში საქართველოსა და საერთაშორისო ასპარეზზე მომუშავე სფეროს პრაქტიკოსებმა და აკადემიური სექტორის წარმომადგენლებმა მიიღეს მონაწილეობა.

სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს საქართველოს ოფისის ხელმძღვანელმა, საქართველოს სახელისუფლებო სტრუქტურებისა და აკადემიური სფეროს წარმომადგენლებმა, სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოსა და ყოფილი იუგოსლავიისთვის შექმნილი სისხლის სამართლის საერთაშორისო ტრიბუნალებში გამოცდილების მქონე პრაქტიკოსებმა იმსჯელეს საქართველოს სიტუაციის სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოში განხილვის გარშემო; თანამედროვე გამოწვევების ჭრილში დისკუსია შეეხო დაზარალებულთა რეპარაციის საკითხს საერთაშორისო სისხლის სამართლის მართლმსაჯულებაში, ისე როგორც სისხლის სამართლის ad hoc საერთაშორისო ტრიბუნალების შემდეგ შექმნილი მექანიზმების ეფექტიანობასა და მათ წინაშე მდგარი გამოწვევების ანალიზს; აკადემიური და პრაქტიკული დისკუსია წარიმართა ისეთი მნიშვნელოვანი საკითხების გარშემოც, როგორიცაა რომის სტატუტით გათვალისწინებული „მართლმსაჯულების ინტერესის“ ინტერპრეტაციისას წარმოშობილი სირთულეები, არასახელმწიფოებრივი წარმონაქმნების პასუხისმგებლობის პრობლემები სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს წინაშე, ასევე ადამიანის უფლებების ევროპული სასამართლოსა და სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს ურთიერთმიმართება.
17 ივლისს სისხლის სამართლის საერთაშორისო მართლმსაჯულების მსოფლიო დღე საქართველოში 2012 წლიდან აკადემიკოს ლევან ალექსიძისა და პროფესორ ქ. ხუციშვილის მიერ დადგენილი ყოველწლიური კონფერენციით აღინიშნება.

2020 წლის 4 დეკემბერს, 16:00 ზე, ნ. თოდუამ მონაწილოება მიიღო საქართველოს სამართლის მეცნიერებათა კავშირის ინიციატივით, ზუმის პლატფორმით გამართულ ღონისძიებაში - „თანამონაწილეობის საკვანძო ასპექტები საქართველოსა და ლათინური ამერიკის ქვეყნების სისხლის სამართალში“ (ჩილეს მაგალითზე). მომხსენებელი - გუსტავო ბალმასედა ჰოიოს - სალამანკას უნივერსიტეტის დოქტორი (ესპანეთი), სისხლის სამართალში, ჩილეს სამართლის შემსწავლელთა ცენტრის აკადემიური დირექტორი, ადვოკატი, 40-მდე სამეცნიერო პუბლიკაციის ავტორი. შეხვედრაში მონაწილეობა მიიღეს სამეცნიერო წრეების და უნივერსიტეტების წარმომადგენლებმა, ასევე პრაქტიკოსმა ადვოკატებმა, როგორც საქართველოდან ასევე ჩილედან. დისკუსიის სრული ვიდეო ჩანაწერი ხელმისაწვდომია სამართლის მეცნიერთა კავშირის და ჟურნალ „სამართლის მაცნეს“ ვებ-გვერდებზე.
მომხსენებელმა სამეცნიერო დისკუსიის წევრებს გააცნო ჩილეს სისხლის სამართლის კოდექსის ჩამოყალიბების ისტორია. ასევე აღინიშნა, რომ ესპანურენოვანი ქვეყნების სისხლის სამართლის კანონმდებლობები განიცდიან გერმანული სისიხლის სამართლის გავლენას, თუმცა ჩილეს სისხლის სამართლის კოდექსს ეს ჯერ არ შეხებია. ჩილეს სისხლის სამართლის კოდექსი მე-19 საუკუნიდან იღებს სათავეს, რის გამოც საჭიროებს რეფორმას.
მომხსენებელმა დეტალურად ისაუბრა ჩილეს სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით თანამონაწილეობის ძირითად ასპექტებზე. შეხვედრის ბოლოს დისკუსია წარიმართა კითხვა-პასუხის რეჟიმში.

7.2. უცხოეთში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1 2 3	ლ. ჭანტურია	The European Convention on Human Rights: living instrument at 70	The Seminar at the European Court of Human Rights, 31 January 2020, moderator of the panel

	ლ. ჭანტურია	27 years of the German-Georgian Legal Cooperation	Presentation at the online conference dedicated to 27 years of the German-Georgian legal cooperation, 12 July 2020
	ლ. ჭანტურია	Participatory rights in the case-law of the European Court of Human Rights (A Presentation)	High-level International Conference "Human Rights for the Planet", Strasbourg, 5 October 2020
	ლ. ჭანტურია	Reasoning of judicial decisions and "the balancing of rights" in civil matters according to the Jurisprudence of the European Court of Human Rights (A Presentation)	Online Seminar with the Supreme Court of Ukraine, 11 December 2020
	დ. პატარაია	The Self-Determination Principle in the XXI Century and the Challenge of Separatism in the Post-Soviet Space	ონლაინ საერთაშორისო კონფერენცია: International Law in the Post-Soviet Region – Approaches and Perspectives (9-10 ნოემბერი 2020)
მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა)			

ერთეულს თუ საჭიროდ მიაჩნია, შეუძლია ანგარიშში შეიტანოს სხვა, მისთვის მნიშვნელოვანი აქტივობაც.

ანგარიში წარმოდგენილი უნდა იყოს ნაბეჭდი (2 ეგზემპლარად) და ელექტრონული ვერსიის (CD-დისკი) სახით.

ანგარიში, რომელიც არ არის შედგენილი ამ დანართის მოთხოვნების შესაბამისად, ექსპერტიზას (შეფასებას) არ ექვემდებარება და შეფასების შემაჯამებელ დოკუმენტში აღინიშნება ფორმულით „არ შეფასდა".

2020 წლის იანვარში საფუძველი ჩაეყარა საერთაშორისო სამართლის ინსტიტუტისა და Observer Research Foundation (ORF), ინდოეთი, თანამშრომლობას. პირველ ეტაპზე, ORF და ინდოეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ ორგანიზებულ „რაიზინა დიალოგის" კონფერენციაში (14.01.2020-17.01.2020), ნიუ-დელი, ინდოეთი (ორგანიზატორი: ინდოეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო და ინდოეთის კვლევის ფონდი) მონაწილეობა მიიღეს პროფ. ი. ქურდაძემ და ასოცირებულმა პროფ. ე. სირაძემ. შედგა სამუშაო შეხვედრა ფონდის დირექტორთან ბატონ სამირ სარანთან, რომელზეც დაიგეგმა თანამშრომლობის შემდგომი ნაბიჯები.

2020 წელს საერთაშორისო სამართლის ინსტიტუტთან დაარსდა ჟან მონეს კათეთრა (Jean Monnet Chair), რომელიც Erasmus+ კონკურსის შედეგედ მოიპოვა პროფესორმა ი. ქურდაძემ, შესაბამისი ხელშეკრულება გაფორმდა თსუ-სა და ევროკავშირს შორის.

მ. ივანიძის ხელმძღვანელობით და თინათინ წერეთლის სტუდენტთა სამეცნიერო საზოგადოების სახელით მზადდება სტუდენტთა სტატიათა კრებული.

მ. ივანიძის ხელმძღვანელობით, 2020 წლის 27 დეკემბერს შედგა თინათინ წერეთლის სტუდენტთა სამეცნიერო საზოგადოების სხდომა, სადაც გაწევრიანება მოხდა საზოგადოების ახალი წევრებისა.

საგრანტო პროექტის ფარგლებში (სისხლის სამართლის კოდექსის ზოგადი ნაწილის კომენტარები) მ. ივანიძის რამდენიმე საკონსულტაციო შეხვედრა შედგა გერმანელ კოლეგებთან.

მ. ივანიძის მიერ სრულდება მუშაობა სისხლის სამართლის მიმართულების წევრებთან ერთად განხორციელებულ (2020 წლის) საგრანტო პროექტზე „სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილის კომენტარები“.

ლ. ჯანაშვილი ახორციელებს საერთაშორისო მობილობას - ერაზმუსის პროფესორთა მობილობა გრანადისა და სანრიაგო დე კომპოსტელას უნივერსიტეტებში (მიმდინარე).

თ. ცქიტიშვილმა 2020 წელს ასევე იმუშავა ფაკულტეტის მიერ დაფინანსებულ საგრანტო პროექტზე სისხლის სამართლის კოდექსის ზოგადი ნაწილის ცალკეული მუხლის კომენტირებაზე.

ნ. მჭედლიძე 2020 წლიდან არის უფლებები საქართველოს გამგეობის წევრი, USAID/PROLoG პროექტის – „იუსტიციის უმაღლესი საბჭოს და დამოუკიდებელი ინსპექტორის საქმიანობის მონიტორინგი“ სტრატეგიული სამართალწარმოების ექსპერტი.

ნ მჭედლიძეს 2020 წელს ჰქონდა ქვემოთჩამოთვლილ ორგანიზაციებთან მოკლევადიანი კონტრაქტები სხვადასხვა პროფესიის პირთა ჯგუფებისთვის ადამიანის უფლებათა სტანდარტებზე ტრენინგების ჩატარების და სხვა ფუნქციების შესრულების თაობაზე:

სახალხო დამცველის ექსპერტი: ტრენინგი აპარატის უფროსი მენეჯმენტის რგოლისთვის წამების აკრძალვასა და პატიმრების უფლებებთან დაკავშირებით საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით: ECtHR, CoE, CPT, CAT, SPT, SRT;

ევროპის საბჭოს ექსპერტი ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციაზე სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურისთვის, ტრენინგი პერსონალური მონაცემების დაცვის ევროპულ სტანდარტებზე;

უფლებები საქართველოს ექსპერტი: მოსახლეობის ცნობიერების ასამაღლებლად, სამოქალაქო საზოგადოების მიერ ორგანიზებულ შეხვედრებში პრეზენტაციები პანდემიის დროს სამართლიანი სასამართლოს სტანდარტებზე;

USAID/PROLoG/უფლებები საქართველოს სამართლებრივი ექსპერტი: პრეზენტაცია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს და გაეროს სახელშეკრულებო ორგანოების მიერ საქართველოსთან მიმართებაში გამოტანილი აქტების აღსრულებაზე USAID/PROLoG მიერ ორგანიზებულ უწყებათაშორის კონფერენციაზე; პრეზენტაცია საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის სხდომაზე საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ აღსრულების საკითხებთან დაკავშირებით;

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ექსპერტი ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციაზე ადაპტაციის პროგრამისთვის: 90 ადვოკატის გადამზადება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის სტანდარტებში;

2018-2020: ევროკავშირის ექსპერტი ადამიანის უფლებებში: გადამზადების სასწავლო პროგრამის შემუშავება, სახელმძღვანელოს მომზადება და სრული გადამზადება პატიმრობის სფეროში ადამიანის უფლებების სტანდარტებში; ჩატარდა სამი მოდული (პატიმრების უფლებები, კრიზისების მენეჯმენტი და სტრატეგიული დაგეგმვა) და ტრენინგები ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს უახლოეს გადაწყვეტილებებსა და წამების პრევენციის კომიტეტის განახლებულ სტანდარტებზე პენიტენციური სისტემის უფროსი მენეჯერებისთვის (პენიტენციური დაწესებულებების დირექტორები, დირექტორების მოადგილეები, უსაფრთხოების და რეჟიმის განყოფილების უფროსები).

ა. თოხაძემ მიიღო დაფინანსება „ერასმუს+“-ის ფარგლებში აკადემიური პერსონალის მოკლევადიანი სასწავლო ვიზიტისთვის. მასპინძელი უნივერსიტეტი: სამართლის სკოლა, ლიმერიკის უნივერსიტეტი, ირლანდია. (შექმნილი ეპიდემიოლოგიური ვითარების გამო, ვიზიტი განხორციელდება 2021 წელს).

ა. თოხაძე არის მედიაციის (80-საათიანი) სასერტიფიკატო ტრენინგის კურსდამთავრებული. ტრენინგი ჩატარდა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ეროვნული ცენტრისა და საქართველოს ადოკატთა ასოციაციის მიერ.

ა. თოხაძე არის თანარედაქტორი (რედ.: თ. ზარანდია; ა. თოხაძე) საკონფერენციო მასალების კრებულისა: „ევროპის უსაფრთხოება და თანამედროვე კონსტიტუციური სახელმწიფო (საქართველოს მაგალითი)“ (ნაშრომი გამოქვეყნების პროცესშია). კრებული გამოიცემა სსიპ — შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით 2019 წელს განხორციელებული ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტის ერთობლივი, კომბინირებული პროექტის: „ევროპის უსაფრთხოება და თანამედროვე კონსტიტუციური სახელმწიფო (საქართველოს მაგალითი)“, ფარგლებში.

თამარ ზარანდია

დეკანი, ასოცირებული პროფესორი

N 22807/28 29/12/2020

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტის
ხელმძღვანელს გიორგი ღვედაშვილს

ბატონო გიორგი,

წარმოგიდგენთ საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში წარსადგენ ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის მიერ 2020 წელს გაწეულ სამეცნიერო მუშაობის ანგარიშს.

პატივისცემით

რამაზ ხომერიკი

ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი
ადმინისტრაცია

ანგარიშის ფორმა №2

2020 წელს გაწეული სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ანგარიში

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება
ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის დასახელება
ლანდშაფტური დაგეგმარებისა და რეგიონული გეოგრაფიის კათედრა.

სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა ხელმძღვანელის მითითებით
ნოდარ ელიზბარაშვილი (პროფესორი, კათედრის გამგე)
მარიამ ელიზბარაშვილი (ასოცირებული პროფესორი)
გიორგი მელაძე (ასოცირებული პროფესორი)
რობერტ მაღლაკელიძე (ასოცირებული პროფესორი)

1. სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის პერსონალის მიერ შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

1.1.

№	გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	2	3	4
I	ხვანჭკარის მევენახეობის ზონაში (რაჭა) ბიომრავალფეროვნების აღდგენა. გაეროს გლობალური გარემოსდაცვითი ფონდის მცირე გრანტების პროგრამა (The GEF, Small Grant Programee)	2019-2021	გორდეზიანი თ. (ხელმძღვანელი) ელიზბარაშვილი ნ. (კონსულტანტი, ლანდშაფტურ დაგეგმარებაში)

გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2020 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)
I ქვემო რაჭის (ამბროლაურის მუნიციპალიტეტი) მოსახლეობის წინაშე რამდენიმე პრობლემის გადაჭრის აუცილებლობა დგას. მათ შორისაა: მოსახლეობის დემოგრაფიული ქცევის (შემცირების) და მიწის რესურსების დეგრადაციის პრევენცია, სოციალურ-ეკონომიკური ვითარების გაჯანსაღება მუდმივი დასაქმების გზით, სასოფლო-სამეურნეო წარმოების ეფექტიანობის და მრავალფეროვნების გაუმჯობესება, მოსახლეობის ცხოვრების დონის და საცხოვრებელი გარემოს ეკოლოგიური მდგომარეობის გაჯანსაღება. ხვანჭკარის მევენახეობის ზონა ძირითადად მოიცავს მდინარეების - ასკისწყლისა და რიცეულას წყალშემკრებ აუზებს და მდ. რიონის მარცხენა სანაპიროების მიმდებარე არეალებს. აქ ყურძნის ადგილწარმოების მაჩვენებლები ერთგვარად დამაკმაყოფილებელ სურათს იძლევა, თუმცა იგივეს ვერ ვიტყვით მოსახლეობის შემცირების და გაუარესებული ასაკობრივი სტრუქტურის მაჩვენებლებზე. აქ, უკანასკნელი 2 აღწერის (2002 და 2014 წლების) მიხედვით მოსახლეობის რაოდენობა თითქმის 2-ჯერ შემცირდა, ხოლო მოსახლეობის საშუალო ასაკმა 45 წელს მიაღწია (რაც თვალსაჩინოს ხდის დაბერების შეუქცევად პროცესს). ხვანჭკარის მევენახეობის ზონაში სოციალურ-ეკონომიკური და ეკოლოგიური ვითარების გამოსწორება რამდენიმე ურთიერთდაკავშირებული საკითხის გადაჭრას მოითხოვს. მათ შორისაა: მიწათსარგებლობის ოპტიმიზაცია, მოსახლეობის მუდმივი (მთელი წლის მანძილზე) დასაქმების ხელშეწყობა, დეგრადირებული ტერიტორიების აღდგენა, ტურიზმის განვითარებისთვის ხელშემწყობი პირობების შექმნა და სხვ. 2020 წელს განხორციელდა ხვანჭკარის მევენახეობის ზონაში შემავალი საკრებულოების ტერიტორიის ლანდშაფტური დაგეგმარება და მდგრადი განვითარების ხელშეწყობა. აღნიშნული მიზნის მისაღწევად გრძელდება პრაქტიკული სამუშაოების ჩატარება: წინასწარ შერჩეულ ტერიტორიაზე, რაჭაში პირველი სანერგე მეურნეობის მოწყობა წაბლის, კაკლის და სოჭის ნერგების გამოყვანის და მათი პროდუქციის შემდგომი გამოყენების (დეგრადირებული წაბლნარების და ეროზირებული ტერიტორიების აღდგენის, მოსახლეობის შემოსავლების გაზრდა კაკლის და წაბლის ნაყოფის, სოჭის ნერგების რეალიზაციის გზით) მიზნით.

1.2.

№	დასრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	2	3	4
დასრულებული კვლევითი პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)			

2. შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტით დაფინანსებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

2.1.

№	გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

	დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი		
1	2	3	4
I	კლიმატის ცვლილების პროგნოზირებული ზემოქმედების შეფასება საქართველოში ძალიან მაღალი გარჩევადობის კლიმატური მოდელის გამოყენებით საგრანტო ხელშეკრულება № FR-19-8110	09.03.2020-09.03.2023	მარიამ ელიზბარაშვილი - სამეცნიერო ხელმძღვანელი მაგდა ცინცაძე - კოორდინატორი ცეზარი მშვენიერაძე - ახალგაზრდა მეცნიერი
II	ქვემო ქართლის მხარეში სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობის შეფასების გეოგრაფიული საინფორმაციო სისტემის შექმნა საგრანტო ხელშეკრულება № FR-19-14993	09.03.2020-09.03.2023	ბელა კვირკველია - სამეცნიერო ხელმძრვანელი, მარიამ ელიზბარაშვილი - კოორდინატორი, შალვა ელიზბარაშვილი - მკვლევარი - გის სპეციალისტი, თამარ ხუნწელია - ახალგაზრდა მეცნიერი, გის სპეციალისტი; მარინა ტატანაშვილი - გის სპეციალისტი.

გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2020 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1. პროექტი მიზნად ისახავს უზრუნველყოს ძალიან მაღალი გარჩევადობის (12 კმ) რეგიონალური კლიმატური მოდელის კლიმატის ცვლილების პროგნოზირების საიმედო კომლექტი საქართველოსთვის 2081-2100 და 1986-2005 წლების პერიოდისათვის, პარიზის COP21 ატმოსფეროს სათბური აირების (GHG) შემარბილებელი და ბიზნეს-ჩვეულებრივი სცენარების ფარგლებში.

IPCC-ის უახლესი ატმოსფერო-ოკეანის გლობალური კლიმატური მოდელების AOGCMs შედეგების დინამიკური დაუნსქეილინგისათვის მოხდა აბდუს სალამის თეორიული ფიზიკის საერთაშორისო ცენტრის (ICTP, ტრიესტი, იტალია) რეგიონალური კლიმატური მოდელის RegCM4 უახლესი ვერსიის დაყენება და კონფიგურაცია, შემავალი მონაცემების მომზადება, მოდელის კონფიგურაციების შერჩევა, დომენის შერჩევა. დომენი შეირჩა ისე, რომ საკმარისი

ყოფილიყო შესაბამისი ფართომასშტაბიანი პროცესების გათვალისწინებისათვის, (მაგალითად, ფართომასშტაბიანი ნაკადის მოდულაცია გამოწვეული ოროგრაფიული მახასიათებლებისა და წყლის ობიექტების გამო).

ჩატარდა მოდელის სხვადასხვა კონფიგურაციის პირობებში სენსიტიურობის ექსპერიმენტები. საუკეთესო ფიზიკური პარამეტრიზაციისათვის RegCM4 -ის სიმულაცია მოხდა 1986-2005 წლებისათვის the European Centre for Medium-Range Weather Forecasts, ECMWF-ის მონაცემებით, რომელიც მიიჩნევა საუკეთესო, ხელმისაწვდომ ფართომასშტაბიანი დაკვირვებათა მონაცემებზე დაფუძნებულ მონაცემთა ბაზად. მიმდინარეობს საანგარიშო პერიოდისათვის (1986-2005) სიმულაციებისას RegCM4-ის შედეგების ანალიზი და შედარება (წლიური და სეზონური ტემპერატურა, ნალექი) კლიმატის კვლევის ცენტრის (CRU) და დელავერის უნივერსიტეტის (UDEL), ასევე საქართველოს მეტეოროლოგიური სადგურების ყველა ხელმისაწვდომ მონაცემთა ბაზებთან.

II. პროექტის საბოლოო პროდუქტის - ქვემო ქართლის მხარის სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობის გეოგრაფიული საინფორმაციო სისტემის შექმნა მიმდინარეობს პროექტის ფარგლებში გათვალისწინებული თეორიული და საველე კვლევების საფუძველზე. ამ ეტაპზე მიმდინარეობს ქვემო ქართლის მხარის საგზაო ქსელის, ხიდების, საზოგადოებრივი ტრანსპორტის შესახებ სტატისტიკური, თეორიული და კარტოგრაფიული მასალის შეგროვება, მათი ანალიზი და კატალოგიზაცია. შექმნილია კატალოგის ნაწილი.

ასევე დაწყებულია ქვემო ქართლის მხარის ჯანდაცვის ინფრასტრუქტურის (პირველადი, მეორეული და მესამეული ჯანდაცვის ობიექტები, სასწრაფო დახმარება, აფთიაქები) შესახებ სტატისტიკური, თეორიული და კარტოგრაფიული მასალის შეგროვება, მისი ანალიზი და კატალოგიზაცია. შექმნილია კატალოგის ნაწილი.

შეიქმნა ქვემო ქართლის მხარის გზებზე საგანგებო სიტუაციების წარმომქმნელი საშიში ჰიდრომეტეოროლოგიური მოვლენების მონაცემთა ბაზა, მიმდინარეობს მონაცენების სტატისტიკური ანალიზი, მათი სხვადასხვა კომპლექსის განხორციელების პროცესის და მახასიათებლების გამოკვლევა. მიმდინარეობს ქვემო ქართლის მხარის საგზაო ქსელში მეწყერის, ღვარცოფების თვალსაზრისით ყველაზე დაუცველი და რისკიანი სეგმენტების შესწავლა/იდენტიფიცირება ლიტერატურული, კარტოგრაფიული და სტატისტიკური მასალის თუ საველე გასვლების საფუძველზე. მოეწყო ორი საველე გასვლა ქვემო ქართლის მხარის საგზაო ქსელის, ხიდების, ჯანდაცვის ინფრასტრუქტურის და სხვა მონაცემების შეგროვებისა და განახლება/გადამოწმებისთვის.

2.2.

№	დასრულებული (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	2	3	4
დასრულებული კვლევითი პროექტის 2020 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)			

3. უცხოური გრანტებით დაფინანსებული სამეცნიერო პროექტები

3.1. გარდამავალი პროექტი

№	გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი, დამფინანსებელი ორგანიზაცია/ სამეცნიერო ფონდი, ქვეყანა	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	2	3	4
I	Impact of climate change on glaciers and associated risks in the Georgian Caucasus, IMPCLIM, the Agence Universitaire de la Francophonie Research and Innovation of Romania, Institute of Atomic Physics (IFA), რუმინეთი	01.03.2019-31.12.2021	იულიან ჰოლობაცა - სამეცნიერო ხელმძღვანელი, მარიამ ელიზბარაშვილი - თანახელმძღვანელი, ლევან ტიელიძე - მკვლევარი, გიორგი გაფრინდაშვილი - მკვლევარი, თამარ ხუნწელია -მკვლევარი, ზურაბ რიკაძე - მკვლევარი, დანიელ გერმანი - მკვლევარი. ოლიმპიო ტრაინერ - მკვლევარი, მირცა ალექსე - მკვლევარი, კინგა ივანა - მკვლევარი, იონელა ჯეორჯიანა გავრილა - მკვლევარი
უშბის, შხარას და ჭალაადის მყივარებზე საველე ექსპედიციების დროს დენდრო კვლევებისათვის შეირჩა ადგილები და შეგროვდა ნიმუშები, საველე კვლევების შედეგად მიღებული 300 მდე ხის ნიმუშის ლაბორატორიული დამუშავების, ასევე არსებული მეტეოროლოგიურ დაკვირვებათა მონაცემებისა და თანამგზავრული მონაცემების ანალიზის შედეგად შესწავლილ იქნა ღვარცოფული ნაკადები და მათი ქრონოლოგია.			

3.2. დასრულებული პროექტი

№	დასრულებული (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

	დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი, დამფინანსებელი ორგანიზაცია/სამეცნიერო ფონდი, ქვეყანა		
1	2	3	4
1	Urban Heat Island in Bulgaria - Causes and Tendencies, დედამიწის შემსწავლელი მეცნიერება, Sofia University Scientific Fund, ბულგარეთი	06.05.2019 - 06.05.2020	ნინა ნიკოლოვა - ხელმძღვანელი, მარიამ ელიზბარაშვილი - მკვლევარი.
2	ტრანსდისციპლინური კვლევის იმპლემენტაცია ტურიზმის მდგრადი განვითარებისათვის კავკასიის რეგიონში. სოციალური გეოგრაფია. ავსტრიის პარტნიორობის პროგრამა - უმაღლესი განათლების განვითარების სფეროში	VII.2016– XII.2020	ი.სალუქვაძე (ხელმძღვანელი). სტუდენტური ჯგუფების - საკვლევ რეგიონში ტურიზმის მდგომარეობისა და განვითარების პერსპექტივების გამოკვლევის - ხელმძღვანელები ნ.ელიზბარაშვილი, ი.ხელაშვილი, მ.ხოხობაია, ნ.პავლიაშვილი, გ.მელაძე

3	კულტურული ტურიზმის მდგრადი განვითარება შავი ზღვის აუზში. სოციალურ-ეკონომიკური გეოგრაფია, ტურიზმი. ევროკავშირი. სოზოპოლის მუნიციპალიტეტი, ბულგარეთი	VIII.2018 – XII.2020	გ.გავარდაშვილი (ხელმძღვანელი). თ.სუპატაშვილი (პროექტის მენეჯერი) გ.მელაძე (ტურიზმის ექსპერტი). ნ.გავარდაშვილი (ტურიზმის ეასპერტი).

დასრულებული კვლევითი პროექტის 2020 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1. ქალაქ სოფიაში "სითბოს კუნძულის" შესწავლისათვის შეირჩა ქალაქში მეტეოროლოგიური დაკვირვებისათვის ოპტიმალური ადგილები, შეძენილ და დამონტაჟებული იქნა მეტეოროლოგიური ხელსაწყოები. მიმდინარეობს დაკვირვებები ტემპერატურასა და ნალექებზე და იქმნება მონაცემთა ბაზა, რომელიც მრავალწლიურ რეჟიმში დაგვეხმარება ქალაქ სოფიაში არსებული სხვა მეტეოროლოგიური სადგურის მონაცემებთან ერთად ანალიზის გზით გამოვავლინოთ ქალაქის განაშენიანების გავლენა „სითბოს კუნძულების" ჩამოყალიბებაში, შევისწავლოთ „სითბოს კუნძულის" სეზონური ცვალებადობა.

2.პროექტის ფარგლებში, მიმდინარე წლის 1-10 აგვისტოს მოეწყო საველე კვლევა ამბროლაურში (რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონი), მკვლევართა ჯგუფი განთავსებული იყო ამბროლაურის მიმდებარე სოფელ სადმელში .
კვლევაში მონაწილეობას იღებდნენ ი.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნირებათა, ეკონომიკისა და ბიზნესის და ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტების მაგისტრანტები. შექმნილი საყოველთაო პანდემიური ვითარების გამო, გამოკვლევაში მონაწილეობა ვერ მიიღეს ბოკუს (ავსტრია) უნივერსიტეტის მაგისტრანტებმა და პროფესურამ.
გამოკვლევის მიზანს წარმოადგენდა - საკვლევი ჯგუფების მიერ, აღნიშნულ რეგიონში ტურიზმის მდგომარეობისა და არსებული პრობლემების გამოკვლევა. მაგისტრანტები (დაყოფილნი იყვნენ რამდენიმე ჯგუფად) ყოველდღიურად გადიოდნენ საკვლევ არეალზე, ატარებდნენ სოციოლოგიურ გამოკითხვას წინასწარ დამუშავებული კითხვარით, ამუშავებდნენ მოპოვებულ მასალებს და ყოველდღიურად წარმოადგენდნენ პრეზენტაციების სახით.
საკვლევ არეალში გამოკითხული იქნა 130-მდე რესპონდენტი. მოეწყო შეხვედრა აღნიშნულ სფეროს რეგიონის ხელმძღვანელობასთან, ადგილობრივი კერძო სასტუმროების მფლობელებთან.

3. პროექტის დასკვნით ეტაპზე დამუშავებული და შედგენილ იქნა 5 ტურისტული მარშრუტი:

I.ღვინის ტური.
საქართველოს წარმოადგენს, როგორც მსოფლიოში უძველეს ღვინის მწარმოებელ ქვეყანას. ტურის განმავლობაში სტუმრები გაეცნობიან: ღვინის მწარმოებელი დიდი ქარხნებისა და ოჯახური ღვინის მარნების პროდუქციას, ქვევრში ღვინის დამზადებისა და შენახვის ტექნოლოგიას (რაც იუნესკოს მიერ მსოფლიო მემკვიდრეობის სიაშია შეტანილი),
ტური განკუთვნილია:
● დამწყებთათვის, ტური გაუხსნის ღვინის სრულიად ახალი სამყაროს კარს.
● ღვინის დეგუსტატორებს, სომელიეებსა და პროფესიონალ მეღვინეებს, ტური საშუალებას მისცემს მიიღონ ტრადიციული ქართული ღვინის დაყენების გამოცდილება.
● მათთვის, ვისაც სურს თავისი საინვესტიციო პორტფელის გაფართოება ან კომერციულად დაინტერესებულია მეღვინეობით-ტური იძლევა ინვესტიციური კონტაქტების შესაძლებლობებს ადგილობრივ მეღვინეებთან საქმიანი თანამშრომლობის მიზნით. ტური მოიცავს 5 რეგიონს, სტუმრები მონაწილეობას მიიღებენ ადგილობრივი ღვინოების დეგუსტაციაში, დააგემოვნებენ ადგილობრივი სამზარეულოს უგემრიელეს კერძებს, დაათვალიერებენ ისტორიულ ძეგლებს, გაეცნობიან საქართველოს მდიდარ კულტურულ მემკვიდრეობას დაა დგილობრივი მოსახლეობის ყოველდღიურ ყოფას.

II. გასტრონომიული ტური
საქართველოში გასტრონომიული ტურის დროს ვიზიტორი გაეცნობა:
● საქართველოს რეგიონების მიხედვით სამზარეულოების მრავალფეროვნებას;
● ქართული ტრადიციული კერძების დამზადების თავისებურებებს, გაივლის კერძების მომზადების
მასტერკლასს;
● გასინჯავს კერძებს როგორც თვით ბუნებრივ გარემოში ასევე ოჯახებში მომზადებულს;
● დააგემოვნებს მსოფლიოში ცნობილი ქართული ღვინის მრავალეროვან არჩევანს მასთან შესაბამის კერძთან ერთად;
● დაათვალიერებენ საქართველოს ისტორიულ ძეგლებს, გაეცნობიან საქართველოს კულტურულ
მემკვიდრეობას და დღევანდელ დღეს…
● სტუმართმოყვარეობის მრავალსაუკუნოვან ტრადიციას.
მარშრუტი განკუთვნილია გასტრონომიული კულტურით დაინტერესებული გურმანებისთვის; ტურისტებისთვის, რომლებსაც აინტერესებთ მსოფლიოში განთქმული განსაკუთრებული საკვების
დაგემოვნება, ადგილობრივი ბაზრობებისა და საკვების ბაზრების მონახულება, სოფლის სამეურნეო
კულტურის გაცნობა;
ტური მოიცავს საქართველოს 7 რეგიონს, თითოეული მათგანი განსაკუთრებული ინდივიდუალიზმით, ულამაზესი ბუნებით, ისტორიით.

III.ბათუმი - მთიანი აჭარის ტური
ტურისტები გაეცნობიან ბათუმისა და მთიანი აჭარის ისტორიას, ადგილობრივი მოასხლეობის ყოფა-ცხოვრებას. დაათვალიერებენ აჭარის ღირსშესანიშნაობებს და მის განუმეორებელ ბუნებასა და ისტორიულ ძეგლებს, დააგემოვნებენ აჭარულ კერძებს.

IV. რელიგიური ტური
მარშრუტი ტურისტებს სთავაზობს შესაძლებლობას, გაეცნობიან საქართველოს
სხვადასხვა რეგიონში მდებარე სხვადასხვა სარწმუნოების ტაძრებსა და საკულტო ნაგებობებს.

ტური იყოფა 6 ნაწილად:
1. თბილისი
2. მცხეთა - სტეფანწმინდა (ჩრდილოეთ საქართველო)
3. კახეთი (აღმოსავლეთ საქართველო)
4. სამცხე (სამხრეთ საქართველო)
5. ქუთაისი (დასავლეთ საქართველო)
6. აჭარა (შავიზღვისპირეთი)

V. საქართველოს ისტორიული ნაგებობების ტური
ძირითადი მიზნები:
- ქვეყნის უძველესი კულტურული მემკვიდრეობის გაცნობა
- ქვეყნის ისტორიისა და სოციალური მდგომარეობის გაცნობა
- ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა ქვეყანაში.

ტური იყოფა 4 ნაწილად:
1. აღმოსავლეთ საქართველოს ისტორიული თავდაცვითი ნაგებობები;
2. რუსეთ-საქართველოს სამხედრო გზა და თავდაცვითი ნაგებობები;
3. ხევსურეთი. მთიანი რეგიონის თავდაცვითი ნაგებობები;
4. მტკვრის ხეობის თავდაცვითი ნაგებობები;

მომზადდა ვებ-პლატფორმა.

4. პატენტები

4.1. საერთაშორისო პატენტები:

№	საპატენტო თემატიკის სათაური	გამომგონებელი/ები და პატენტმფლობელი/ები	პატენტის საიდენტიფიკაციო კოდი

4.2. ეროვნული პატენტები

№	საპატენტო თემატიკის სათაური	გამომგონებელი/ები და პატენტმფლობელი/ები	პატენტის საიდენტიფიკაციო კოდი

5. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში

5.1. მონოგრაფიები/წიგნები

№	ავტორი/ავტორები	მონოგრაფიის/წიგნის სათაური, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1 2				
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)				

5. 2. სახელმძღვანელოები

№	ავტორი/ავტორები	სახელმძღვანელოს სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
I	იაშვილი ი., გაჩეჩილაძე რ., **ელიზბარაშვილი ნ.,** დავითაშვილი ზ., სალუქვაძე ი., ხელაშვილი ი., დოლბაია თ., გოგსაძე გ., მელაძე გ. , მელიქიძე ვ., კვინიკაძე გ., ლორთქიფანიძე ვ., სახვაძე ა., რატიანი მ სიჭინავა დ., ჩხაიძე ვ.	საქართველოს საზოგადოებრივი გეოგრაფია ISBN 978-9941-13-294-0 (pdf)	თსუ	334
II.	იაშვილი ი., გაჩეჩილაძე რ., ელიზბარაშვილი ნ., დავითაშვილი ზ., სალუქვაძე ი., ხელაშვილი ი., დოლბაია თ., გოგსაძე გ., **მელაძე გ. ,** მელიქიძე ვ., კვინიკაძე გ., ლორთქიფანიძე ვ., სახვაძე ა., რატიანი მ სიჭინავა დ., ჩხაიძე ვ.	საქართველოს საზოგადოებრივი გეოგრაფია ISBN 978-9941-13-294-0 (pdf)	თსუ	334

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1.საქართველო კლიმატური მახასიათებლების მიხედვით, ძირითადად მიეკუთვნება **სუბტროპიკულ სარტყელს,** რომელიც ითვლება ადამიანის საცხოვრებლად ყველაზე ხელსაყრელად და კომფორტულად. ამავე განედებში მდებარეობს ამერიკის შეერთებული შტატების მაღალგანვითარებული ჩრდილო-აღმოსავლეთის სამრეწველო-ეკონომიკური რაიონები და ქალაქები: ნიუ-იორკი, ბოსტონი, ჩიკაგო, დეტროიტი. ევროპის ქვეყნებიდან ამავე განედებშია ესპანეთის ჩრდილო-აღმოსავლეთი ნაწილი, საფრანგეთის სამხრეთი, იტალიის ცენტრალური ნაწილი (რომსა და ნეაპოლს შორის) და სხვ. ევრაზიის კონტინენტის აღმოსავლეთში ჩვენი ქვეყნის განედურ მდებარეობას შეესაბამება ჩრდილო-აღმოსავლეთ

ჩინეთის სამრეწველო რაიონები და ჩრდილოეთი იაპონია.

საქართველოს **გეოგრაფიული მდებარეობა** რამდენიმე თავისებურებას უკავშირდება. ზოგიერთი მათგანი დადებითად, ზოგი კი უარყოფითად მოქმედებს ქვეყნის მდგრადი განვითარებაზე.

უარყოფითად შეიძლება ჩაითვალოს ფიზიკურ-გეოგრაფიული მდებარეობის ის ასპექტი, რომელიც უკავშირდება საქართველოს მდებარეობას **აქტიურ სეისმურ რეგიონში,** ალპურ-ჰიმალაური მთიანი სარტყელის ქვეყანათა ცენტრში. ეს სარტყელი იწყება ატლანტის ოკეანის სანაპიროზე, მოიცავს ხმელთაშუა ზღვისა და შავი ზღვის მიმდებარე მთიან ნაწილს, წინა აზიასა და ჰიმალაებს. იგი, ევროპასა და წინა აზიაში, იყოფა შიდა და გარე ზონებად. გარე ზონას მიეკუთვნება: ალპები, კარპატები, ბალკანეთის ნახევარკუნძულის მთები, მთიანი ყირიმი, კავკასიონი და ირანის მთიანეთის ჩრდილოეთი ნაწილი. შიდა ზონაში გაერთიანებულია ატლასისა (აფრიკა) და პონტოს (თურქეთი) მთები, მცირე კავკასიონი და ირანის მთიანეთის სამხრეთი ნაწილი. ამრიგად, საქართველოს ტერიტორიაზე დიდი და მცირე კავკასიონის სახით წარმოდგენილია ალპურ-ჰიმალაური დანაოჭების ორივე (შიდა და გარე) ზონა. საქართველოდან ჩრდილოეთით ალპურ-ჰიმალაური სარტყელი რუსეთის ბაქანს ებჯინება, სამხრეთით კი –აფრიკა-არაბეთის ბაქანს. საქართველო მდებარეობს მაქსიმალურად ახლოს ზემოთ აღნიშნულ ორ უზარმაზარ ბაქანთან, რომლებიც ერთმანეთის მიმართულებით მოძრაობენ. ამგვარი ვითარება აქტიურ მთათაწარმოშობის პროცესს და ქვეყნის სეისმურ ზონაში მდებარეობას განაპირობებს, რაც **აისახება და** ბუნებრივი გარემოს, მეურნეობის არაერთი დარგის და საზოგადოებრივი აქტივობის სხვადასხვა სფეროზე. სეისმური აქტივობა გარკვეულწილად მოქმედებს ეროზიულ და დენუდაციურ, ღვარცოფულ და მეწყრულ პროცესებზე, გეოეკოლოგიურ ვითარებაზე, მშენებლობისა და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განვითარებაზე, მოსახლეობის ეკოლოგიურ ცნობიერებასა და მატერიალურ მდგომარეობაზე.

საინტერესოა საქართველოს **კლიმატური** მდებარეობის თავისებურებანი, რაც ასევე გავლენას ახდენს მეურნეობის და საზოგადოებრივი საქმიანობის არაერთ მიმართულებაზე. ჩვენი ქვეყნის უდიდესი ნაწილი, განსაკუთრებით მთათაშორისი ბარი, მდებარეობს სუბროპიკულ კლიმატურ სარტყელში. საქართველოში გამოიყოფა ამგვარი კლიმატის 2 ძირითადი ტიპი:

1. **ნოტიო სუბტროპიკული** – გამოირჩევა უხვი ნალექებით, დადებითი წლიური და სეზონური ტემპერატურებით მთელი წლის განმავლობაში. ასეთი კლიმატია დასავლეთ საქართველოს დაბლობ და გორაკ-ბორცვიან ნაწილში.
2. **ნახევრად მშრალი და მშრალი სუბტროპიკული** - წარმოდგენილია აღმოსავლეთ საქართველოში. აქ შედარებით მაღალია ტემპერატურის წლიური ამპლიტუდა და აორთქლედობადობა, რაც მთელ რიგ რეგიონებში ზრდის სიმშრალის მაჩვენებლებს. ამგვარი კლიმატი დამახასიათებელია აღმოსავლეთ საქართველოს ბარისა და გორაკ-ბორცვიან ნაწილში.

2.სახელმძღვანელო შექმნილია საქართველოს საზოგადოებრივი გეოგრაფიის საუნივერსიტეტო კურსის ფარგლებში და გათვლილია სტუდენტებისათვის, როგორც ძირითადი სასწავლო-სალექციო ლიტერატურა. წიგნის მიზანია, საზოგადოებრივი გეოგრაფიისა და სხვა მომიჯნავე სპეციალობის დაინტერესებულ ბაკალავრებს მიაწოდოს სრულყოფილი სასწავლო-სამეცნიერო ინფორმაცია საქართველოს სახელმწიფოს, მისი ბუნებრივი პირობებისა და რესურსების, მოსახლეობის, ეკონომიკის დარგებისა და ქვეყნის აქტუალური პრობლემების შესახებ, რათა სტუდენტებმა შეძლონ სასწავლო მასალის ინტერესითა და სრულფასოვნად ათვისება.

5.3. კრებულები

№	ავტორი/ავტორები	კრებულის სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1 2 3				
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)				

5.4. სტატიები ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდის (DOI) მითითებით

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათა-ური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI	ჟურნალის/ კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1					
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)					

5.5. სტატიები ISSN-ის მითითებით

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათა-ური, ISSN	ჟურნალის/ კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	ელიზბარაშვილი ნ.	გეოგრაფიის საუნივერსიტეტო სწავლების ტენდენციები, შედეგები და გამოწვევები. ISSN 1512-1267	„საქართველოს გეოგრაფია“, #10,	თსუ	6

2	Maglakelidze E., Badurashvili I., **Meladze G.,** Nadiradze R, Kobakhidze N.	Patterns of Religiosity and modernization in Georgia – rural urban dimensions ISSN 1512 - 1887	Annals of Agrarian Science Vol. 18 N1	Tbilisi	8

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1. საქართველოში გეოგრაფიის საუნივერსიტეტო განათლება **ახალი გამოწვევების წინაშე** დგას. მათი გარკვეული ნაწილი უკავშირდება როგორც არსებულ ვითარებას, ისე წარსულის გადმონაშთებსა და ტრადიციებს. თუ არ იქნება გათვალისწინებული საერთაშორისო გამოცდილება და ქვეყნის მდგრადი განვითარების ინტერესები, გეოგრაფიული მეცნიერება შესაძლებელია „თამაშგარე“ მდგომარეობაში აღმოჩნდეს და მისი გამოყენების სფერო სასკოლო განათლებით შემოიფარგლოს.

ვითარების გამოსწორება, უპირველეს ყოვლისა, საუნივერსიტეტო გეოგრაფიული განათლების მოდერნიზაციით უნდა განხორციელდეს, რაც თავის მხრივ, **სტიმულს მისცემს** სამეცნიერო და პრაქტიკული ინტერესების გაღვივებას. ამისათვის აუცილებელია გათვალისწინებულ იქნას გეოგრაფიის საუნივერსიტეტო სწავლების საერთაშორისო გამოცდილება და ტენდენციები. ეს ეხება სწავლების სამივე საფეხურს: ბალალავრიატს, მაგისტრატურას და დოქტურანტურას.

სტატიაში განხილულია მსოფლიოს არაერთ განვითარებულ ქვეყანაში (აშშ, დიდი ბრიტანეთი, გერმანია, საფრანგეთი, ბელგია, შვედეთი, იაპონია, ნიდერლანდები და სხვ.) გეოგრაფიის საუნივერსიტეტო სწავლების თავისებურებანი, მისი განვითარების **მიმართულებები და ტენდენციები.** კვლევის შედეგები 2018 წელს მოხსენებულ იქნა თსუ საფაკულტეტო კონფერენციაზე, თუმცა მას შემდეგ დღემდე გეოგრაფიის საუნივერსიტეტო სწავლებაში პრაქტიკულად არაფერი შეცვლილა.

2.სტატიაში განხილული კვლევის მიზანს წარმოადგენდა სეკულარიზმის ტენდენციების განსაზღვრა საქართველოში, განსახლების ფორმების - ქალაქ-სოფლის მიხედვით.

ათწლეულების განმავლობაში სოციოლოგებს შორის არსებობდა მოსაზრება, რომ ქალაქის რაციონალური, ლიბერალური ხასიათის გამო რელიგიურობის ხარისხი და შესაბამისად სეკულარიზმის მაჩვენებელი შემცირდებოდა.

მიუხედავად არსებული აზრისა, საქართველოში ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ მოსახლეობის რელიგიურობის ხარისხი საქალაქო დასახლებებში, მნიშვნელოვნად აღემატებოდა სოფლად მცხოვრებთა რელიგიურობის ხარისხს.

სოციოლოგიური გამოკვლევა ეყრდნობა საქართველოს მასშტაბით ჩატარებულ რეპრეზენტატულ გამოკვლევას, რომელიც ჩატარდა 2017 წლის შემოდგომაზე - ”რელიგიურობისა და მოდერნიზაციის ნიმუშები საქართველოში” პროექტის ფარგლებში. გამოკვლევა მოიცავდა ქვეყნის ყველა რეგიონს - აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის, აგრეთვე მათი მიმდებარე ტერიტორიების გამოკლებით, რომელთაც დროებით ვერ აკონტროლებს საქართველოს ხელისუფლება. შერჩევის ჩარჩოებიდან ასევე გამოირიცხა მთიან რეგიონში მყოფი ზოგიერთი შორეული სოფელი, სადაც 10 კაცზე ნაკლები ცხოვრობდა.

კვლევის დემოგრაფიულ-სტატისტიკურ ბაზას წარმოადგენდა საქართველოს 2014 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერის მონაცემები. სოციოლოგიური გამოკვლევისას, გამოყენებული იქნა მრავალსაფეხურიანი სტრატიფიცირებული შემთხვევითი შერჩევის პროცედურა. შემთხვევითი შერჩევის პრინციპით, არჩეული იქნა 2000 კომლი. რელიგიურ თემებთან დაკავშირებით, სტანდარტიზებული კითხვარის გამოყენებით, თითოეულ ოჯახში - პირისპირ გამოიკითხვის მეთოდით, გამოიკითხა ერთი რესპონდენტი.

6. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა უცხოეთში

6.1. მონოგრაფიები/წიგნები

№	ავტორი/ავტორები	მონოგრაფიის/წიგნის სათაური, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1 2				
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)				

6.2. სახელმძღვანელოები

№	ავტორი/ავტორები	სახელმძღვანელოს სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1 2				
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)				

6.3. კრებულები

№	ავტორები	კრებულის სახელ-წოდება, საერთაშო-რისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1 2 3				

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

6.4. სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI ან ISSN	ჟურნალის/ კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	. Johanna Buchner, He Yin, David Frantz, Tobias Kuemmerle, Elshad Askerov, Tamar Bakuradze, Benjamin Bleyhl, **Nodar Elizbarashvili,** Anna Komarova, Katarzyna E Lewińska, Afag Rizayeva, Hovik Sayadyan, Bin Tan, Garegin Tepanosyan, Nugzar Zazanashvili, Volker C Radeloff	Land-cover change in the Caucasus Mountains since 1987 based on the topographic correction of multi-temporal Landsat composites https://doi.org/10.1016/j.rse.2020.111967	Remote Sensing of Environment (USA), Vol. 248 .(**WEB of Sciense**).	USA	34
2	**Elizbarashvili N.,** Sulkhanishvili N., Kalandadze B., Meladze G., Gordeziani T., Gorgodze T., Donadze T., Meladze G., Meladze M., Elizbarashvili R., Sidamonidze D.	Main Problems of the Sustainable Development of the South Caucasus and Processes of Transformation of Landscapes (Ecosystems) Biodiversity ISSN: 0254-8702 (Print) ISSN 2394-0379 (Online) http://www.jeb.co.in/journal_issues/202003_ma paper_16.pdf, (**Web of Science)**	Journal of Environmental Biology. Vol. 41, Number 2	Lucknow (India). Triveni enterprises	9
3.	Elizbarashvili N., Niemets L., **Meladze G.,** Sehida K., Lohvynova M., Meladze M., Sidamonidze D	Forced Migrations of Georgia and Ukraine: Reasons for the Emergence, Process Features, Implications for Countries. ISSN 2410-7360 (Print) ISSN 2411-3913 (Online)	ВІСНИК ХАРКІВСЬКОГО НАЦІОНАЛЬНОГО УНІВЕРСИТЕТУ	ХАРКІВ	17

			імені В. Н. КАРАЗІНА СЕРІЯ “ГЕОЛОГІЯ. ГЕОГРАФІЯ. ЕКОЛОГІЯ” N52		
4.	Elizbarashvili N., Gogoladze S., , Elizbarashvili R., , Grigolia L., Sandodze G.	Some Geographical Dimensions of Georgia’s Sustainable Development. https://doi.org/10.35595/2414-9179-2020-4-26	Proceeding of the international conference “intercarto&inteGIS”, Volume 26	USA	7
5.	E.Sh. Elizbarashvili, M.E. Elizbarashvili, Sh.E. Elizbarashvili, M.G.Pipia, L.G. Kartvelishvili	Blizzards in Mountain Regions of Georgia DOI: 10.3103/S1068373920010082	Russian Meteorology and Hydrology, 2020, Vol. 45, No.1 , pp. 110–114		5
	E.Sh. Elizbarashvili, M.E. Elizbarashvili, Sh.E. Elizbarashvili	Investigation of the Frequency of Occurrence of the Most Dangerous Weather Events for Georgia DOI: 10.3103/S1068373920100076	Russian Meteorology and Hydrology, 2020, Vol. 45, No.10, pp. 727–732		6
6.	E.Sh. Elizbarashvili, M.E. Elizbarashvili, Sh.E. Elizbarashvili, N.B.Kutaladze	Waves of heat and cold over the territory of Georgia in conditions of global warming	European Geographical Studies, 7(1), pp. pp. 50–60	Slovakia	20
7.	Daniel Germain, Ionela-Georgiana Gavrilă, Mariam	Multidisciplinary approach to sediment connectivity between debris-flow channel network and the Dolra River, Mazeri Valley, Southern Caucasus, Georgia	Geomorphology, Volume 371, 15 December 2020, 107455		14

	Elizbarashvili, Olimpiu Traian Pop	https://doi.org/10.1016/j.geomorph.2020.107455			
8.	Elizbarashvili N., Niemets L., **Meladze G.,** Sehida K., Lohvynova M., Meladze M., Sidamonidze D	Forced Migrations of Georgia and Ukraine: Reasons for the Emergence, Process Features, Implications for Countries. ISSN 2410-7360 (Print) ISSN 2411-3913 (Online)	ВІСНИК ХАРКІВСЬКОГО НАЦІОНАЛЬНОГО УНІВЕРСИТЕТУ імені В. Н. КАРАЗІНА СЕРІЯ “ГЕОЛОГІЯ. ГЕОГРАФІЯ. ЕКОЛОГІЯ” N52	ХАРКІВ	17
9.	Elizbarashvili N., Sulkhanishvili N., Kalandadze B., **Meladze G.,** Gordeziani T., Gorgodze T., Donadze T., Meladze M, Elizbarashvili R.	Main Problems of the Sustainable Development of the South Caucasus and Processes of Transformation of Landscapes (Ecosystems) Biodiversity ISSN: 0254-8702 (Print) ISSN 2394-0379 (Online)	Journal of Environmental Biology. Vol. 41, Number 2	Lucknow (India). Triveni enterprises	9
10					

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1. კავკასია მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ბუნებრივი, ეკოლოგიური, გეოპოლიტიკური, რელიგიური, ეთნიკური, სატრანსპორტო და ა.შ. ის მდებარეობს აღმოსავლეთ ევროპას, ახლო აღმოსავლეთს, შუა აზიასა და ჩრდილოეთ აფრიკას შორის. ტრადიციულად, ისინი კავკასიის ჩრდილოეთ საზღვარს კუმა – მანიშის დეპრესიის გასწვრივ, მის დასავლეთ საზღვართან - შავი და აზოვის ზღვებზე, მის სამხრეთ საზღვართან - ადმინისტრაციული საზღვრის გასწვრივ თურქეთსა და ირანს შორის და მის აღმოსავლეთ საზღვარზე - კასპიის ზღვაზე. ამ თვალსაზრისით, კავკასია მოიცავს ოთხ სახელმწიფოს. რეგიონის ფართობია 440 ათასი კმ 2, მისი მოსახლეობა 35 მილიონია, მოსახლეობის სიმჭიდროვე თითქმის 80 კმ2-ზე. დღეს საერთაშორისო გარემოსდაცვითი ორგანიზაციები მიიჩნევენ კავკასიას, როგორც მსოფლიოს ერთ-ერთ მნიშვნელოვან ეკო-რეგიონს და გეოგრაფიულ წარმონაქმნს, რომელიც მოიცავს 6 სახელმწიფოს ტერიტორიებს: რუსეთის სამხრეთ-დასავლეთი ნაწილი (ჩრდილოეთ კავკასია), ქვეყნების ქვეყნები. სამხრეთ კავკასია: საქართველო, აზერბაიჯანი და სომხეთი და აგრეთვე ჩრდილო – აღმოსავლეთ თურქეთის და ჩრდილო – დასავლეთ ირანის ნაწილები. ამ თვალსაზრისით, კავკასიის ფართობია 580 ათასი კმ 2.

კავკასია ერთ – ერთ მნიშვნელოვან გეოპოლიტიკურ როლს ასრულებს თანამედროვე სამყაროში, განსაკუთრებით ახლო აღმოსავლეთში და დასავლეთ აზიაში. მისი როლი ასევე მნიშვნელოვანია ეკონომიკურ ურთიერთობებში; ამასთან, ამ როლს ამცირებს რეგიონის ქვეყნების განვითარების სხვადასხვა ტენდენციები. ბუნებრივი რესურსების გამოყენების მასშტაბები კვლავ დიდია, ხოლო საგანგაშოა გარემოს დაბინძურება და ლანდშაფტის გარდაქმნა, აგრეთვე ანთროპოგენული ზემოქმედების უარყოფითი შედეგები მიწის რესურსებზე და ტყეებზე. კავკასიის მდგრადი განვითარების პრობლემების მოგვარება შესაძლებელია მხოლოდ რეგიონის ქვეყნებს შორის თანამშრომლობის ხარჯზე.

ზოგიერთი ეს ტენდენცია განსაკუთრებით აქტუალურია კავკასიისთვის. ითვლება, რომ ამ ეტაპზე ეფექტური იქნება თანამშრომლობა გარემოს დაცვისა და წყლის რესურსების, რეკრეაციული ეკონომიკისა და ტრანსპორტის განვითარებისთვის. კავკასიაში, ერთიანი კულტურული და ბუნებრივი ტერიტორიის დაშლის პროცესების თავიდან ასაცილებლად, მნიშვნელოვანია თანამშრომლობა კლიმატის ცვლილების შემცირებისა და ბიომრავალფეროვნების დეგრადაციის შემსუბუქების ღონისძიებებზე და ტრანსსასაზღვრო დაცული ტერიტორიების და ეკოლოგიური და სატრანსპორტო დერეფნების დასადგენად.

კავკასიის, როგორც მთიანი რეგიონის, ბუნებრივი გარემოს და ბუნებრივი რესურსების მართვა და რეგულირება ასოცირდება საერთაშორისო და ადგილობრივ (ეროვნულ) ბაზართან და ტრადიციულ იურიდიულ მექანიზმებთან. გამოცდილება ადასტურებს, რომ მხოლოდ მათი ჰარმონიზაცია და ოპტიმიზაცია იძლევა მდგრად და სასურველ შედეგს. კავკასიის ისტორიულ-გეოგრაფიული თავისებურებების გათვალისწინებით, ალპური და კარპატების ქვეყნების გამოცდილება არ გამოდგება, თუ პირდაპირ გადაწერა. ქვეყნებს შორის შესაძლო სამართლებრივი შეთანხმებების გარდა, რეგიონული მენეჯმენტისა და გარემოსა და რესურსების რეგულირებისთვის, სივრცული (რუსეთის გამოცდილება), ლანდშაფტი (გერმანიის გამოცდილება, როგორც აუცილებელი ინსტრუმენტი) და რეგიონალური (არაერთი ევროპელის გამოცდილება). ქვეყნები) ეფექტურად შეიძლება გამოყენებულ იქნას დაგეგმვის მეთოდოლოგია, მიწის რესურსების გამოყენების ერთობლივი მონიტორინგი და ა.შ.

2. ბიომრავალფეროვნების ინდექსის მიხედვით სამხრეთ კავკასია (აზერბაიჯანი, სომხეთი, საქართველო) ერთ-ერთი პირველია ჩრდილოეთ ნახევარსფეროში, 6 ათასზე მეტი მცენარის ჯიშით, რაც თუ მოცემულია ერთეული ფართობის მიხედვით, რეგიონს მნიშვნელოვან სტატუსს ანიჭებს გლობალური ბიომრავალფეროვნების ცენტრი (ბიოლოგიური და.. 2000). სამხრეთ კავკასია ასევე გამოირჩევა მაღალი ენდემიზმით: რეგიონში მცენარეებისა და ცხოველების 1/4 ენდემურია. მაგალითად, მხოლოდ ძუძუმწოვრები წარმოდგენილია 152 სახეობით, რომელთაგან 30 ენდემურია. რეგიონში ასევე მრავალი რელიქტური სახეობაა. სამხრეთ კავკასია გამოირჩევა ეკოსისტემების მრავალფეროვნებით: მიუხედავად იმისა, რომ მას უკავია მსოფლიო მიწის 0,5%, მას აქვს მსოფლიო ეკოსისტემების (ლანდშაფტების) ტიპების 40%. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სამხრეთ კავკასიაში ლანდშაფტების 1/10 შედის უცვლელი ან უმნიშვნელოდ გარდაქმნილი ეკოსისტემების კატეგორიას. ასევე საინტერესოა, რომ ჰომოგენური ან ტრანსსასაზღვრო ლანდშაფტები, მიუხედავად მათი პოლიტიკური მითვისებისა, ხასიათდება ეკონომიკის მსგავსი ფორმებით და გარემოსდაცვითი პრობლემებით.

სამხრეთ კავკასიის მდგრადი განვითარების პრობლემები დაკავშირებულია უამრავ მიზეზთან, რომელთაგან მნიშვნელოვანია შემდეგი: სოციალურ-ეკონომიკური განვითარების

ისტორიული თავისებურებები, ეკონომიკის განვითარების თანამედროვე ტენდენციები, ბუნებრივი რესურსების გამოყენების ტენდენციები, ტრანსპორტის ტენდენციები. განვითარება, მოსახლეობის დინამიკის ტენდენციები, გეოპოლიტიკური მდგომარეობა და სამხედრო კონფლიქტები, ბუნებრივი რისკები და კატასტროფები.

ლანდშაფტების პირობების შეფასება ლანდშაფტის დაგეგმვისა და მდგრადი განვითარების მნიშვნელოვანი რგოლია. მასში მთავარ როლს ასრულებს ბუნებრივი, ასევე სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორები. ადამიანის საქმიანობა განსაზღვრავს სამხრეთ კავკასიის ლანდშაფტების 20% -ს. მოცემულ ეტაპზე მნიშვნელოვანი ამოცანაა შეცვლილი ლანდშაფტების ამჟამინდელი მდგომარეობის განსაზღვრა, რომელთა ძირითადი ნაწილი სოფლის მეურნეობის მოდიფიკაციებს უკავია.

3. თანამედროვე საქართველოს მრავალი გამოწვევა აქვს. მათი მნიშვნელოვანი ნაწილია გეოპოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური და ეკოლოგიური პრობლემები. ამის გამო, საქართველოს გეოგრაფიულმა სკოლამ კიდევ უფრო უნდა გააძლიეროს ქმედებები მისი ცალკეული სფეროების (მიმართულებების) ინტეგრირების, გეოგრაფიული კვლევების რეგიონალიზაციისა და მდგრადი განვითარების საკითხებზე ერთიანი კვლევისკენ. გარემოს ფაქტორების სწრაფი დინამიკა და ქვეყნის ინტერესები წარმოშობს ახალ გამოწვევებს, რომლებიც საქართველოს გეოგრაფიული სკოლის მთავარი გამოწვევაა. ასეთ ამოცანებში შედის გეოგრაფიული (სივრცე-დრო) კვლევის გამოყენება და მისი მეთოდოლოგია მდგრადი განვითარების პრობლემების გადასაჭრელად.

საქართველო უნიკალური ქვეყანაა. მას მსოფლიოში მრავალი თვისება აქვს. ეს მოიცავს ბუნებრივ და ლანდშაფტურ მრავალფეროვნებას, უნიკალურ ნიადაგსა და კლიმატურ რესურსებს, ხელსაყრელ გეოგრაფიულ (და არა გეოპოლიტიკურ) მდებარეობას, სოფლის მეურნეობისა და კვების მრეწველობის ტრადიციებს, ჯანსაღ ეკოლოგიურ პირობებს, ბუნებრივი გარემოს შედარებით მაღალ წილს, მტკნარ და მინერალურ – თერმულ წყლიან რესურსებს, ტურიზმს - რეკრეაციული პოტენციალი და სხვ. ამ გარემოებების მიუხედავად, მდგრადი განვითარების მრავალი აღიარებული მიმართულება პრაქტიკულად ვერ შესრულდა. ეს სიტუაცია ხელს უწყობს მოსახლეობის ნიჰილიზმს. შედეგად, განსაკუთრებით რთულია ეკონომიკური, სოციალური, ეკოლოგიური და დემოგრაფიული მდგომარეობა საქართველოს რეგიონებში. ამის გამოსწორება შესაძლებელია სპეციალური სახელმწიფო პოლიტიკის, ევროპული სამართლებრივი რეგულაციების და რეგიონული სამეცნიერო და გეოგრაფიული კვლევების შემოღებით.

სტატიაში განხილულია საქართველოს მდგრადი განვითარების საკითხები, როგორიცაა: დეცენტრალიზაციის ხელშეწყობა, უარყოფითი დემოგრაფიული ტენდენციების თავიდან აცილება (მიზიდულობის ცენტრების შექმნა), ბუნების გამოყენების ოპტიმიზაცია (მწვანე ეკონომიკის პერსპექტივები) და სოფლის მეურნეობაში რეგიონალური სპეციალიზაციის საჭიროება.

4. თანამედროვე საქართველოს მრავალი გამოწვევა აქვს. მათი მნიშვნელოვანი ნაწილია გეოპოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური და ეკოლოგიური პრობლემები. ამის გამო, საქართველოს გეოგრაფიულმა სკოლამ კიდევ უფრო უნდა გააძლიეროს ქმედებები მისი ცალკეული სფეროების (მიმართულებების) ინტეგრირების, გეოგრაფიული კვლევების რეგიონალიზაციისა და მდგრადი განვითარების საკითხებზე ერთიანი კვლევისკენ. გარემოს ფაქტორების სწრაფი დინამიკა და ქვეყნის ინტერესები წარმოშობს ახალ გამოწვევებს, რომლებიც

საქართველოს გეოგრაფიული სკოლის მთავარი გამოწვევაა. ასეთ ამოცანებში შედის გეოგრაფიული (სივრცე-დრო) კვლევის გამოყენება და მისი მეთოდოლოგია მდგრადი განვითარების პრობლემების გადასაჭრელად.

საქართველო უნიკალური ქვეყანაა. მას მსოფლიოში მრავალი თვისება აქვს. ეს მოიცავს ბუნებრივ და ლანდშაფტურ მრავალფეროვნებას, უნიკალურ ნიადაგსა და კლიმატურ რესურსებს, ხელსაყრელ გეოგრაფიულ (და არა გეოპოლიტიკურ) მდებარეობას, სოფლის მეურნეობისა და კვების მრეწველობის ტრადიციებს, ჯანსაღ ეკოლოგიურ პირობებს, ბუნებრივი გარემოს შედარებით მაღალ წილს, მტკნარ და მინერალურ – თერმულ წყლიან რესურსებს, ტურიზმს - რეკრეაციული პოტენციალი და სხვ. ამ გარემოებების მიუხედავად, მდგრადი განვითარების მრავალი აღიარებული მიმართულება პრაქტიკულად ვერ შესრულდა. ეს სიტუაცია ხელს უწყობს მოსახლეობის ნიჰილიზმს. შედეგად, განსაკუთრებით რთულია ეკონომიკური, სოციალური, ეკოლოგიური და დემოგრაფიული მდგომარეობა საქართველოს რეგიონებში. ამის გამოსწორება შესაძლებელია სპეციალური სახელმწიფო პოლიტიკის, ევროპული სამართლებრივი რეგულაციების და რეგიონული სამეცნიერო და გეოგრაფიული კვლევების შემოღებით.

სტატიაში განხილულია საქართველოს მდგრადი განვითარების საკითხები, როგორიცაა: დეცენტრალიზაციის ხელშეწყობა, უარყოფითი დემოგრაფიული ტენდენციების თავიდან აცილება (მიზიდულობის ცენტრების შექმნა), ბუნების გამოყენების ოპტიმიზაცია (მწვანე ეკონომიკის პერსპექტივები) და სოფლის მეურნეობაში რეგიონალური სპეციალიზაციის საჭიროება.

5. საქართველოს 20 მეტეოროლოგიური სადგურის დაკვირვების საფუძველზე გამოკვლეულია მაღალმთიან რაიონებში ქარბუქის დღეების რაოდენობა, ინტენსივობა, ხანგრძლივობა, მათი დადგომის პერიოდები და დინამიკა. დადგენილია ქარბუქის დროს ქარის და თერმული რეჟიმების თავისებურებები. ქარბუქიანი დღეების უდიდესი რაოდენობა აღინიშნება დიდი კავკასიონის მწვერვალზე (მამისონის უღელტეხილი, კაებეგი) -235-246 დღე. აქ ქარბუქი გვხვდება მთელი წლის განმავლობაში. ის ყველაზე აქტიურია დეკემბრიდან აპრილამდე. ქარბუქის მაქსიმალური ინტენსივობა 4-5 ბალს აღწევს, ხოლო ხანგრძლივობა 1000 საათს აღემატება. სამხრეთ საქართველოს მაღალმთიანეთის მაღალმთიან ზონაში, სადაც ძლიერი ქარის ალბათობა მაღალია (რადიონოვკა, ცხრაწყარო), ქარბუქიანი დღეების უდიდესი რაოდენობა 117-163-მდეა. აქ ქარბუქი გვხვდება ოქტომბრიდან მაის-ივნისამდე და მათი უდიდესი აქტივობა დეკემბრიდან მარტამდე (6-14 დღე) აღინიშნება. შუა მთის ზონაში მნიშვნელოვნად იკლებს ქარბუქიანი დღეები, მცირდება ინტენსივობა (მაქსიმალური ინტენსივობა 2 ბალი) და იკლებს წარმოქმნის პერიოდის ხანგრძლივობა (წალკა, ბაკურიანი, ახალქალაქი).

6. საქართველოს 20–ზე მეტი მეტეოროლოგიური სადგურის დაკვირვების საფუძველზე გამოკვლეულია საქართველოსთვის ყველაზე საშიში მეტეოროლოგიური მოვლენების - კატასტროფული ნალექების, სეტყვის, ქარიშხლების, ქარბუქი, საშიში ნისლების ერთდროული განხორციელების ალბათობა და სიხშირე. სტოქასტიკის კანონების საფუძველზე დგინდება კომპლექსის ერთ-ერთი მოვლენის დადგომის ალბათობა, როგორც კომპლექსის მოვლენათა ერთობლივი წარმოშობის ალბათობა და რისკების განმეორების პერიოდები. განიხილება ბუნებაში დაფიქსირებული ფენომენების ყველაზე საშიში და შედარებით რეალური კომბინაციები. განხილულია დამოუკიდებელი და თავსებადი ორგანზომილებიანი კომპლექსებია: •კატასტროფული ნალექები - ქარიშხალი ქარი **(R50-Hu);** •კატასტროფული

ნალექები - საშიში ნისლი **(R50-Fd);** •სეტყვა - ქარიშხალი ქარი **(Ha- – Hu);** •სეტყვის საშიში ნისლი **(Ha-Fd);** •ქარიშხალი ქარი - საშიში ნისლი **(Hu-Fd);** •ქარიშხალი - საშიში ნისლი **(B-Fd).**

7. საქართველოს 12 მეტეოროლოგიური სადგურის დაკვირვების საფუძველზე, გამოკვლეულია თბილი და ცივი ტალღების სტატისტიკური სტრუქტურა. განისაზღვრულია მათი საშუალო უწყვეტი, ჯამური და გრძელი ტალღის ხანგრძლივობა, მათი რეალიზაციის ალბათობა, გავრცელების არეალები და განმეორებადობა. შეფასებულია მათი ცვლილების სიჩქარე, ცვლილებების სტატისტიკური მნიშვნელობის კრიტერიუმი. საქართველოში სითბოს ტალღების საშუალო საერთო ხანგრძლივობა წელიწადში 13-20 დღემდეა, მაქსიმალური შავი ზღვის სანაპიროზე და მთაში. ცივი ტალღების საერთო ხანგრძლივობაა 10-14 დღე, მაქსიმალურია შავი ზღვის სანაპიროზე, კოლხეთის დაბლობში და აღმოსავლეთ საქართველოს ვაკეზე. სითბოს ტალღების ყველაზე დიდი საერთო ხანგრძლივობაა 40-90 დღე, ხოლო ცივი ტალღების ყველაზე დიდი საერთო ხანგრძლივობაა 20-50 დღე. სითბოს ტალღების უწყვეტი ხანგრძლივობაა 6-11 დღე და მისი საშუალო ხანგრძლივობაა დაახლოებით 8 დღე, ხოლო ცივი ტალღების ხანგრძლივობაა 6-8 დღე და საშუალოდ 7 დღე, რაც კარგად ეთანხმება ჰაერის მასების.ტრანსფორმაციის პროცესს.

8. დენდროლოგიური კვლევების შედეგად მაზერის ხეობაში შესწავლილია ღვარცოფული პროცესები და მათი ქრონოლოგია. შერჩეულმა 161 ხემ აჩვენა ბოლო 65 წლის განმავლობაში 12 მნიშვნელოვანი მოვლენა, რაც დაკავშირებული იყო მდინარე დოლრას სისტემაში შესაძლო შესვლასთან. ამ თანმიმდევრულმა მოვლენებმა 5,4 წლის გამეორების შუალედით ნაწილობრივ დესტაბილიზაცია მოახდინა მდინარის სისტემაში. რეკონსტრუირებული მოვლენების უმეტეს პერიოდს ახასიათებს მინიმუმ ერთი თვის ნალექების საშუალო მნიშვნელობის გადაჭარბება.

9.სტატია წარმოადგენს უკრაინელი და ქართველი სპეციალისტების ერთობლივ ნამუშევარს. ქართული მხარის მიერ წარმოდგენილ ნაწილში განხილულია ცხინვალის რეგიონში (1989-1992 წწ.), აფხაზეთში (1992-1993 წწ.) და 2008 წლის რუსეთ-საქართველოს აგვისტოს ომით გამოწვეული შიდა მიგრაციული პროცესები, რომელთა შედეგად ქვეყანაში ასობით ათასი ადამიანი დევნილად იქცა.

შესაბამისი მასალების ანალიზმა გვიჩვენა, რომ შეიარაღებულ კონფლიქტებამდე, 1989 წლის მოსახლეობის საკავშირო აღწერის მონაცემების თანახმად, აფხაზეთში 239,9 ათასი ქართველი ცხოვრობდა, ხოლო ცხინვალის რეგიონში 28,5 ათასი. შეიარაღებული კონფლიქტის შემდგომ განხორციელებული ეთნიკური წმენდის შედეგად, 2015 წლის მონაცემებით, აფხაზეთში და ცხინვალის რეგიონში შესაბამისად 43,5 და 4,0 ათსი ქართველი ცხოვრობდა.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მონაცემებით, დღესდღეობით ყველაზე მეტი დევნილი განთავსებულია თბილისში (110,5 ათასი), რაც დევნილების საერთო რაოდენობის თითქმის 39%-ს შეადგენს. დედაქალაქის სემდგომ ყველაზე მეტი დევნილი ცხოვრობს აფხაზეთის მოსაზღვრე - სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში (89,5 ათასი). მიუხედავად იმისა, რომ თბილისსი ყველაზე მეტი დევნილია განთავსებული, ყოველ ათას მცხოვრებზე დევნილებით დატვირთვის მაჩვენებელის მიხედვით, დედაქალაქი მნიშვნელოვნად ჩამორჩება სამეგრელო-ზემო სვანეთისსა და მცხეთა-მთიანეთის რეგიონებს.

დევნილების პრობლემების გადაწყვეტისას მნიშვნელოვანია მათი ადრინდელ საცხოვრებელ

ადგილებზე დაბრუნება და ინტეგრაცია. სახელმწიფოს მხრიდან დროულად და ეფექტურად უნდა მოხდეს კონკრეტულ სიტუაციაზე რეაგირება. საერთაშორისო დახმარება უმნიშვნელოვანესია, მაგრამ აუცილებელია, რომ ეროვნული ძალისხმევა იყოს სისტემური და დინამიური. სახელმწიფომ უნდა გაატაროს ისეთი ღონისძიებები, რომლებიც ხელს შეუწყობენ თითოეული დევნილის მატერიალურ დამოუკიდებლობას.

10. ბიომრავალფეროვნების ინდექსის მიხედვით სამხრეთ კავკასია (აზერბაიჯანი, სომხეთი, საქართველო) ერთ-ერთი პირველია ჩრდილოეთ ნახევარსფეროში, 6 ათასზე მეტი მცენარის ჯიშით, რაც თუ მოცემულია ერთეული ფართობის მიხედვით, რეგიონს მნიშვნელოვან სტატუსს ანიჭებს გლობალური ბიომრავალფეროვნების ცენტრი (ბიოლოგიური და.. 2000). სამხრეთ კავკასია ასევე გამოირჩევა მაღალი ენდემიზმით: რეგიონში მცენარეებისა და ცხოველების 1/4 ენდემურია. მაგალითად, მხოლოდ ძუძუმწოვრები წარმოდგენილია 152 სახეობით, რომელთაგან 30 ენდემურია. რეგიონში ასევე მრავალი რელიქტური სახეობაა. სამხრეთ კავკასია გამოირჩევა ეკოსისტემების მრავალფეროვნებით: მიუხედავად იმისა, რომ მას უკავია მსოფლიო მიწის 0,5%, მას აქვს მსოფლიო ეკოსისტემების (ლანდშაფტების) ტიპების 40%. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სამხრეთ კავკასიაში ლანდშაფტების 1/10 შედის უცვლელი ან უმნიშვნელოდ გარდაქმნილი ეკოსისტემების კატეგორიას. ასევე საინტერესოა, რომ ჰომოგენური ან ტრანსსასაზღვრო ლანდშაფტები, მიუხედავად მათი პოლიტიკური მითვისებისა, ხასიათდება ეკონომიკის მსგავსი ფორმებით და გარემოსდაცვითი პრობლემებით.

სამხრეთ კავკასიის მდგრადი განვითარების პრობლემები დაკავშირებულია უამრავ მიზეზთან, რომელთაგან მნიშვნელოვანია შემდეგი: სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ისტორიული თავისებურებები, ეკონომიკის განვითარების თანამედროვე ტენდენციები, ბუნებრივი რესურსების გამოყენების ტენდენციები, ტრანსპორტის ტენდენციები. განვითარება, მოსახლეობის დინამიკის ტენდენციები, გეოპოლიტიკური მდგომარეობა და სამხედრო კონფლიქტები, ბუნებრივი რისკები და კატასტროფები.

ლანდშაფტების პირობების შეფასება ლანდშაფტის დაგეგმვისა და მდგრადი განვი მნიშვნელოვანი რგოლია. მასში მთავარ როლს ასრულებს ბუნებრივი, ასევე სოციალურ-ეკონო ფაქტორები. ადამიანის საქმიანობა განსაზღვრავს სამხრეთ კავკასიის ლანდშაფტების 20% -ს. მ ეტაპზე მნიშვნელოვანი ამოცანაა შეცვლილი ლანდშაფტების ამჟამინდელი მდგომარეობის განს რომელთა ძირითადი ნაწილი სოფლის მეურნეობის მოდიფიკაციებს უკავია.

7. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

7.1. საქართველოში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1.	ელიზბარაშვილი ნ.	რეგიონული პოლიტიკის (დეცენტრალიზაციის) გეოგრაფიული ასპექტები	3-7 თებერვალი, 2020 თსუ

2.	მელაძე გ.	მოკვდაობის და სიცოცხლის საშუალო მოსალოდნელი ხანგრძლივობის ტენდენციები საქართველოში.	3-7 თებერვალი, 2020 თსუ http://conference.ens-2020.tsu.ge/lecture/view/1554
3.	მელლაკელიძე რ., მაღლაკელიძე გ.	ლანდშაფტების ესთეტიკა, დიზაინი და პროექტირება როგორც ლანდშაფტების არქიტექტურის შემადგენელი და მათი სწავლების ზოგიერთი საკითხი	3-7 თებერვალი, 2020 თსუ
მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა)			

7.2. უცხოეთში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	Olimpiu Traian Pop, Ionela Georgiana Răchită, Daniel Germain, Zurab Rikadze, Iulian Horia Holobâcă, Tamar Khuntselia, Mircea Alexe, **Mariam Elizbarashvili**, George Gaprindashvili, Kinga Ivan, and Levan Tielidze	Tree-ring dating of colonized moraine surfaces in deglacierized areas of Greater Caucasus Mountains	Online | 4–8 May 2020 https://meetingorganizer.copernicus.org/EGU2020/EGU2020-6711.html
მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა)			

ანგარიშის ფორმა №2

2020 წელს გაწეული სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ანგარიში

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის დასახელება ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის გეოგრაფიის დეპარტამენტის ჰიდროლოგიის, ოკეანოლოგიის და მეტეოროლოგიის კათედრა

სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა ხელმძღვანელის მითითებით პროფ. დავით კერესელიძე- კათედრის გამგე
ასოც.პროფ. კახაბერ ბილაშვილი
ასოც.პროფ. ვაჟა ტრაპაიძე
ასისტ.პროფ. გიორგი ბრეგვაძე

1. სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის პერსონალის მიერშესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

1.1.

№	გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	2	3	4
გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2020 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)			

1.2.

№	დასრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	2	3	4
დასრულებული კვლევითი პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)			

2. შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტით დაფინანსებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

2.1.

№	გარდამავალი (მრავალწლიანი)პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	სამხრეთ-დასავლეთ საქართვ-ელოს ქართული კულტურული მემკვიდრეობის გეოინფორ-მაციული კარტოგრაფირება-ანალიზი ძველი თურქული დავთრების მიხედვით #HE-18-448	2018-2021	-დალი ნიკოლაიშვილი -სამეცნიერო ხელმძღვანელი, გეოგრაფი -დავით სართანია - პროექტის კოორდინატორი, ისტორიკოსი -დარეჯან კირთაძე - ტოპონიმიკის სპეციალისტი, ფილოლოგი; -მანანა კვეტენაძე - კარტოგრაფი, გის-სპეციალისტი - თედო გორგოძე - კარტოგრაფი, გის-სპეციალისტი - ავთანდილ უჯმაჯურიძე-ისტორიკოსი - ვაჟა ტრაპაიძე-გეოგრაფი

საკვლევი ობიექტი მოიცავს სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს, რომლის სამხრეთი ნაწილი შედიოდა
ოსმალეთის შემადგენლობაში ცალკეული ვილაიეთების (პროვინციების) სახელით. ამ ტერიტორიის
ნაწილი დღეს შემოდის საქართველოში (აჭარა, სამცხე-ჯავახეთი), მეორე ნაწილი კი - თურქეთშია(ტაო-
კლარჯეთი, კოლა-არტაანი, ლაზეთი). ძველ ოსმალურ დავთრებში მოცემულია მდიდარი მასალა, რომელიც პირველწყაროა სხვადასხვა დარგის სპეციალისტისათვის (სოციალურ-ეკონომიკური, დემოგრაფიული, გეოგრაფიული, ადმინისტრაციული, სასოფლო-სამეურნეო, პალეოგრაფიული, ლინგვისტური,ტოპონიმიკური და საგვარეულო-სამემკვიდრეო ხასიათის მდიდარი მასალა. რადგან ეს მასალებიოსმალეთის სახელმწიფოს მიერ დასახლებული პუნქტების მოსახლეობის აღწერაა, ისინი რეალურისურათის გადმომცემია და ფაქტობროვად ზუსტად ასახავენ აღწერისდროინდელ ვითარებას). მეურნეობის ცალკეული დარგები და აგროკულტურები, რომლებიც წარსულში იყო აქ გავრცელე-ბული, დღეს აქ აღარ არსებობს. პროექტის ფარგლებში მოხდა ამ საკიტხები კვლევა, რამაც შესაძლებლობა მოგცვა გამოგვევლინა ტრადიციული ბუნებათსარგებლობის ფორმები..პროექტის განხორციელება დაიწყო 2018 წლის 26 ივლისიდან. ამჟამად მიმდინარეობს პროექტით გათვალისწინებულ 3 ამოცანზე მუშაობა:

- თემატური კარტოგრაფირება ძველი დავთრების მიხედვით და კომპლექსურ-

გეოგრაფიული და კარტომეტრიული ანალიზი; - სათანადო მონაცემების მოძიება-გაცნობა; - მიღებული შედეგების ფართო საზოგადოებისათვის მისაწვდომი გარემოს შექმნა;

2.2.

№	დასრულებული (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	2	3	4
დასრულებული კვლევითი პროექტის 2020 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)			

3. უცხოური გრანტებით დაფინანსებული სამეცნიერო პროექტები

3.1. გარდამავალი პროექტი

№	გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით,პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი, დამფინანსებელი ორგანიზაცია/სამეცნიერო ფონდი, ქვეყანა	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	,,შავი ზღვის სანაპირო ზოლში საზღვაო ნარჩენების შემცირების ინოვაციური მეთოდები და ტექნოლოგიები" RedMarLitter, BSB-552, (JOP BSB 2014-2020)	2018-2021	ხელმძღვანელი-კახაბერ ბილაშვილი, შემსრულებელი ინესა კუზანოვა
2	Black Sea CONNECT „საზღვაო კვლევების და ინოვაციების კოორდინირება შავ ზღვაზე", გრანტი 860055 - ევროგაერთიანება "HORIZON 2020"	2019-2022	ხელმძღვანელი-კახაბერ ბილაშვილი, შემსრულებლები: ვალერიან მელიქიძე, ვაჟა ტრაპაიძე, სალომე კობაიძე, მამუკა გვილავა, თორნიკე რაზმაძე, ზურაბ სავანელი
	EMODNEet 4_Chemistry,	2019-2021	ხელმძღვანელი-კახაბერ

3	ემოდნეტ 4 ქიმია, EASME/EMFF/2018/1.3.1.8/lot 4/SI2.810314		ბილაშვილი, შემსრულებლები: ნინო მაჩიტაძე,ვაჟა ტრაპაიძე, თორნიკე რაზმაძე
4	ემოდნეტ ინჯეშჩენ-2, EMODnet Ingestion and safe-keeping of marine data-2 EASME/EMFF/2018/1.3.1.8/SI 2.810021	2020-21	ხელმძღვანელი-კახაბერ ბილაშვილი, შემსრულებლები: ზურაბ სავანელი, თორნიკე რაზმაძე, ვაჟა ტრაპაიძე, ირაკლი პაპაშვილი, გრიგოლ რუხაძე

1. შავი ზღვის ერთობლივი საოპერაციო პროგრამის "შავი ზღვის აუზი 2014-2020"-ის საგრანტო პროექტი „შავი ზღვის სანაპირო ზოლში საზღვაო ნარჩენების შემცირების ინოვაციური მეთოდები და ტექნოლოგიები" ფარგლებში გათვალისწინებულია /შემდეგი სამუშაოების შესრულება: მყარ ნარჩენებზე და ჩამდინარე წყლებზე არსებული ინფორმაციის შეგროვება შავი ზღვის რეგიონებში; შავი ზღვის არსებული მდგომარეობის შესწავლა სამიზნე ტერიტორიაზე და მყარი ნარჩენებით მის დაბინძურებაზე; სამიზნე ტერიტორიების ნარჩენების მონიტორინგი; საინფორმაციო სისტემის (მონაცემთა ბაზის) გამოყენება ტრანსსასაზღვრო დაბინძურების შესაფასებლად; ასევე წყლის ნაკადის და ნარჩენების გავრცელების მოდელის შემუშავება და საერთაშორისო სამეცნიერო კონსორციუმის ფარგლებში ნარჩენების (მარინლიტერის) შემცირების ღონისძიებების შემუშავება.

2. პროექტი დაიწყო 2019 წლის 1 ოქტომბრიდან და გრძელდება 3 წლის განმავლობაში, პროექტის ძირითადი მიზანია ბურგასის ხედვის დოკუმენტზე დაფუძნებული SRIA-ს ოპერატიული სამოქმედო გეგმების განვითარების ხელშეწყობა. შავ ზღვას აქვს სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი რესურსი და ფართო პოტენციალი ლურჯი ეკონომიკის განვითარებისათვის შავი ზღვის მიმდებარე ქვეყნებში. აღნიშნული რესურსების გამოყენებას ევროკავშირი ხელს უწყობს ერთობლივი კვლევების განვითარებით, ინოვაციური საგზაო რუკისა და ეროვნული პოლიტიკის შემუშავებით. ამ კონტექსტში იქნა შემუშავებული ე.წ. „ბურგასის ხედვის დოკუმენტი", რომელიც ამოქმედდა 2018 წელს და მასში წარმოდგენილია საერთო მიდგომები 2030 წლისათვის პროდუქტიული, ჯანმრთელი, რეზისტენტული, მდგრადი და ღირებული შავი ზღვისათვის. დოკუმენტი მხარდაჭერილია შავი ზღვის ქვეყნების მინისტერიალის დეკლარაციით. ასევე, შავი ზღვის ლურჯი ზრდის ინიციატივის ფარგლებში შემუშავებულია სტრატეგიული კვლევებისა და ინოვაციების დღის წესრიგი (SRIA), რომელიც გამოყოფს შავი ზღვის ოთხ ძირითად გამოწვევას, ესენია: ცოდნა შავი ზღვის შესახებ, შავი ზღვის ლურჯი ეკონომიკა-ლურჯი ზრდა, ერთობლივი საკვანძო ინფრასტრუქტურა და პოლიტიკა, მოსახლეობის კეთილდღეობა და საწარმოო ძალების გაძლიერება.

   მიმდინარე წლის 28 ოქტომბერს საზღვაო საკითხებთან დაკავშირებული სამთავრობო სტრუქტურების, სამეცნიერო კვლევითი სექტორის, არასმთავრობო ორგანიზაციების და სხვა დაინტერესებული მხარეების მონაწილეობით ჩატარდა შეხვედრა შეხვედრის მიზანი იყო ინოვაციების შესაბამისის ტრატეგიული დოკუმენტის განხილვა, მის გარშემო დისკუსიის გამართვა და შავი ზღვის ლურჯი ეკონომიკის განვითარებაზე საქართველოს ერთიანი ხედვის ჩამოყალიბება.

3. საზღვაო დაკვირვებათა და მონაცემთა ევროპული ქსელი (EMODnet) შეიქმნა

ევროგაერთიანების ინტეგრირებული საზღვაო პოლიტიკის მხარდასაჭერად. იგი, პერიოდულად, მონაწილეობს ევროგართიანების მიერ გამოცხადებული კონკურსებში, რომელიც ეხება ზღვის გარემოსადმი მიძღვნილ საკითხებს. კერძოდ, ზემოთ მითითებული პროექტი წარმოადგენს საერთაშორისო სამეცნიერო კონსორციუმის მიერ მოგებულ ლოტს, რომელიც ზღვის ქიმიას ეხება. პროქტში განხორციელდება შემდგი აქტივობები:საქართველოში არსებული საზღვაო ქიმიური მონაცების მოძიება, მიღებული სტანდარტების შესაბამისად ფორმატიზება და ევროპულ ბაზებში განთავსება. საქართველოდან, კონსორციუმში მონაწილეობას იღებს, ასევე, გარემოს ეროვნული სააგენტო.

4. პროექტის ძირითადი მიზანია - ახალი საზღვაო მონაცემების მიღებისა და ასიმილაციისათვის სამუშაოების ჩატარება, ინფორმაციის ხელმისაწვდომობის ხელშეწყობა, მოძიებელი ახალი და არსებული მონაცემების დამუშავება და შეტანა პროექტის ფარგლებში საზღვაო მონაცემთა ევროპულ ბაზებში, ახალი სისტემის ტესტირება და გავრცელება მონაცემების პოტენციურ მფლობელთა შორის. საზღვაო მონაცემთა ფორმატიზება, ინვენტარიზაცია და გის-ში დამუშავება.

3.2.დასრულებული პროექტი

№	დასრულებული (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი, დამფინანსებელი ორგანიზაცია/სამეცნიერო ფონდი, ქვეყანა	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	„SeaDataCloud“ – პან ევროპული ინფრასტრუქტურის სამომავლო განვითარება ოკეანოგრაფიულ მონაცემთა მართვისათვის“ გრანტი # 730960	2016-2020	ხელმძღვანელი-კახაბერ ბილაშვილი, შემსრულებლები: თორნიკე რაზმაძე, ზურაბ სავანელი, ვაჟა ტრაპაიძე
2	„შავ ზღვაზე გარემოს დაცვის მონიტორინგის გაუმჯობესება - შერჩეული ღონისძიებები, ემბლას პლიუსი“ (Improving Environmental Monitoring in the Black Sea – Selected Measures, EMBLAS-Plus) – ევროგაერთიანება/გაეროს განვითარების პროგრამა	2019-2020	ხელმძღვანელი-კახაბერ ბილაშვილი, შემსრულებლები: ვახტანგ გვახარია, ნინო მაჩიტაძე, ნინო გელაშვილი, ინესა კუზანოვა, ვაჟა ტრაპაიძე

1. SeaDataCloud” დაიწყო 2016 წლის 1 ნოემბრიდან, იგი წარმოადგენს თსუ-ში 2006-2015 წწ-ში წარმატებით დასრულებული საერთაშორისო პროექტების SeaDataNet 1 -ს და SeaDataNet 2-ის მესამე ფაზას. „SeaDataCloud”-ში მონაწილეობს 55 პარტნიორი. კონსორციუმის ხელმძღვანელია საფრანგეთის ზღვების ექსპლოატაციის ინსტიტუტი (IFREMER). პროექტი დაფინანსებულია ევროკომისიის “HORIZON 2020” პროგრამის ფარგლებში, როგორც ინტეგრირებული კვლევის ინფრასტრუქტურულ ინიციატივა, რომელიც უზრუნველყოფს ოკეანოგრაფიულ მონაცემთა მენეჯმენტის სისტემის კიდევ უფრო განვითარებას, ადაპტირებულს, როგორც ფრაგმენტარული დაკვირვებების ბაზების გამოყენებაზე, ასევე მომხმარებლის იმ მოთხოვნების დაკმაყოფილებაზე, რომელიც ეხება მონაცემთა შესახებ ინფორმაციას (მეტადატა), საბოლოო პროდუქტს და ინტეგრირებულ მომსახურეობას. უკანასკნელ დრომდე, საზღვაო მონაცემები, რომელთაც ასეულობით ორგანიზაცია მოიპოვებს, ძნელად მისაღწევი რჩება. შექმნილი მდგომარეობა მოითხოვს ოკეანოგრაფიული ინფორმაციის დამუშავების სტანდარტების გაუმჯობესებას, კომუნიკაციის ერთიანი სისტემის შექმნას და დახვეწას. ევროგართიანების მიერ მიღებული საზღვაო სტრატეგიის ჩარჩო დირექტივაში მოცემული ეკოსისტემური მიდგომის საფუძველი სწორედ ოკეანოგრაფიული მონაცემებია. აღნიშნული დირექტივა, ასევე, წარმოადგენს საქართველოს, როგორც ევროგაერთიანების ასოცირებული წევრის საზღვაო პოლიტიკის, სახელმძღვანელო დოკუმენტს. პროექტი მოწოდებულია განახორციელოს ინფორმაციული ტექნოლოგიების ვირტუალური და ფიზიკური ინფრასტრუქტურული რესურსების კონსოლიდაცია ოკეანოგრაფიული მონაცემების მართვის საქმეში (მაგ. დაცულობა, ხელმისაწვდომობა და ა.შ.).

2. პროექტის განხორციელების პერიოდია 2019-2020 წწ და იგი წარმოადგენს ჰარმონიულ გაგრძელებას იმ კვლევების რაც მიმდინარეობდა თსუ-ში პროექტების EMBLAS-1 და EMBLAS-2 სახით. EMBLAS-Plus მთავარი მიზანია EMBLAS-1/2 პროექტების ფარგლებში შემუშავებული ახალი მეთოდოლოგიის დანერგვა, რაც ითვალისწინებს პროეტის ყველა მონაწილისათვის საზღვაო სტრატეგიის ჩარჩო დირექტივის (MSFD) პრინციპებისა და მეთოდოლოგიების საფუძველზე ზღვის ღრმა ნაწილის ეკოსისტემის მდგომარეობის შეფასებას. კერძოდ გაგრძელდება საზღვაო მყარი ნარჩენების მონიტორინგი ბათუმის, ქობულეთის, ურეკის, ფოთისა და ყულევის აკვატორიებზე (სანაპირო ზოლიდან 400 მეტრში); ასევე ოთხი ძირითადი მდინარის რიონის, სუფსას, ნატანების და ჭოროხის შესართავების მონიტორინგი. მიმდინარე წელს ჩატარდა სამი საზღვაო ექსპედიცია, ამჟამად მიმდინარეობს მასალების დამუშავება, მიღებული შედეგები განთავსდა პროქტის ვებ გვერდზე და აისახა სამეცნიერო ანგარიშებში.
პროექტის ფარგლებში მომზადდა ორი სამცენიერო სტატია, სამუშაო ჯგუფის მიერ ითარგმნა, გადამუშავდა და ქართულ ენაზე გამოიცა ევროპის ზღვებში მყარი ნარჩენების მონიტორინგის სახელმძღვანელო.

4. პატენტები

4.1. საერთაშორისო პატენტები:

№	საპატენტო თემატიკის სათაური	გამომგონებელი/ები და პატენტმფლობელი/ები	პატენტის საიდენტიფიკაციო კოდი

4.2. ეროვნული პატენტები

№	საპატენტო თემატიკის სათაური	გამომგონებელი/ები და პატენტმფლობელი/ები	პატენტის საიდენტიფიკაციო კოდი

5.ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში

5.1. მონოგრაფიები/წიგნები

№	ავტორი/ავტორები	მონოგრაფიის/წიგნის სათაური, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების ფვრაოდენობა
1 2				
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)				

5. 2. სახელმძღვანელოები

№	ავტორი/ავტორები	სახელმძღვანელოს სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	კ. ბილაშვილი ნ. მაჩიტაძე ნ. გელაშვილი ი. კუზანოვა ვ. ტრაპაიძე	ევროპის ზღვებში მყარი ნარჩენების მონიტორინგის სახელმძღვანელო (ქართული გამოცემა) ISBN 978-9941-26-763-5	უნივერსალი, თბილისი	88
ევროკომისიის გენერალური დირექციის საზღვაო საქმეთა და მეთევზეობის დეპარტამენტის (DG MARE), წევრი ქვეყნების, კანდიდატი ქვეყნების და ევროპის თავისუფალი ვაჭრობის ასოციაციის (EFTA) ქვეყნების მიერ ერთობლივად შემუშავებულია ზოგადი სტრატეგია „2008/56/EC საზღვაო სტრატეგიის ჩარჩო დირექტივის (MSFD)“ შესრულების ხელშეწყობის მიზნით. სტრატეგიის მთავარი მიზანია დირექტივის თანმიმდევრული და შეთანხმებული განხორციელება. ძირითადი ყურადღება გამახვილებულია საზღვაო სტრატეგიის ჩარჩო დირექტივის ტექნიკურ და სამეცნიერო მდგენელების ზოგად კვლევებთან დაკავშირებულ მეთოდოლოგიურ საკითხებზე. კერძოდ, სტრატეგიის ერთერთი მთავარი მიზანია არასაკანონმდებლო და პრაქტიკული დოკუმენტების შემუშავება, როგორიცაა რეკომენდაცია დირექტივის სხვადასხვა ტექნიკურ საკითხებზე. ეს დოკუმენტები გამიზნულია იმ ექსპერტებისათვის, რომლებიც პირდაპირ ან ირიბად არიან დაკავშირებული დირექტივის (MSFD) რეალიზაციასთან საზღვაო რეგიონებში. სახელმძღვანელო დოკუმენტი უნდა დაეხმაროს ევროკავშირის წევრ ქვეყნებს საზღვაო			

ნარჩენების შეთანხმებული მონიტორინგის პროგრამის შექმნაში. ვინაიდან აღნიშნული თემატიკა და მიმართულება მიმდინარე სამეცნიერო კვლევების საფუძველზე ჯერ კიდევ ჩამოყალიბების პროცესშია და სწრაფად იძენს ახალ გამოცდილებას, წინამდებარე სახელმძღვანელო უნდა განვიხილოთ როგორც ცოცხალი და რეგულარულად განახლებადი დოკუმენტი. საზღვაო სტრატეგიის საკოორდინაციო ჯგუფმა შეათანხმა ამ დოკუმენტის, როგორც MSFD-ს იმპლიმენტაციის ზოგადი სტრატეგიის შესახებ შექმნილი ტექნიკური სახელმძღვანელოს გამოცემა.

სახელმძღვანელოში მოცემულია საზღვაო ნარჩენების მონიტორინგის ძირითადი მიდგომები და სტრატეგიები, მონიტორინგის ინსტრუმენტების/მეთოდოლოგიების შეფასება, პლაჟებზე, ზღვის ზედაპირზე და ფსკერზე ნარჩენების მონიტორინგის თავისებურებანი და სხვა

სახელმძღვანელოში მოყვანილი მეთოდოლოგია გამოყენებული იქნა თსუ-ს მიერ განხორციელებულ ევროგაერთიანების (EU), გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) და შავი ზღვის პროგრამის (ENPI CBC BSB 2014 – 2020) მიერ დაფინანსებულ შემდეგ პროექტებში: „ემბლას პლუს - EMBLAS Plus“ და „რედმარლიტერ - RedMarLitter”, ხოლო, საველე სამუშაოების შედეგად მიღებული მონაცემები, ასევე, ევროგაერთიანების შავი ზღვის სინერგიის ინიციატივის ფარგლებში (EU Black Sea Synergy Initiative), მიეწოდა, საერთაშორისო პროექტებს - სიდატანეტ-ს (SeaDataNet/SeaDataCloud) და ემოდნეტ-ს (EMODnet).

5.3. კრებულები

№	ავტორი/ავტორები	კრებულის სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1				
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)				

5.4. სტატიები ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდის (DOI) მითითებით

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI	ჟურნალის/ კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1					
ვრცელიანოტაცია (ქართულენაზე)					

5.5. სტატიები ISSN-ის მითითებით

№	ავტორი/	სტატიის სათა-	ჟურნალის/	გამოცემის	გვერდების

	ავტორები	ური, ISSN	კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი	ადგილი, გამომცემლობა	რაოდენობა
1					
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)					

6. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა უცხოეთში

6.1. მონოგრაფიები/წიგნები

№	ავტორი/ავტორები	მონოგრაფიის/წიგნის სათაური, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1				
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)				

6.2. სახელმძღვანელოები

№	ავტორი/ავტორები	სახელმძღვანელოს სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა

6.3. კრებულები

№	ავტორები	კრებულის სახელ-წოდება, საერთაშო-რისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1				
ვრცელი ანოტაცია (ქართულენაზე)				

6.4. სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI ან ISSN	ჟურნალის/ კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი	გამოცემი სადგილი, გამომცემლო ბა	გვერდების რაოდენობა

1	D.Kereselidze L.Matchavariani V.Trapaidze G. Bregvadze G.Gaprindashvili I.Megrelidze	Control of soil erosion measures on mountain slopes DOI:http://doi.org/10.22438/jeb41/2(SI)JEB-19	Journal of Environmental Biology (JEB), 2020. vol. 41. #2	India, Triveni Enterprises Impact Factor: 0.781	7, pp.405-412
2	Nino Machitadze , Kakhaber Bilashvili, Vakhtang Gvakharia, Nino Gelashvili, Inesa Kuzanova, Vazha Trapaidze	Analysis of the monitoring of the beach marine litter in the coastal area of the Black sea, Georgia. ISBN: 978-975-8825-48-6	MARINE LITTER IN THE BLACK SEA, #56	Turkish Marine Research Foundation, Turkey	12, pp. 37-48
3	Maria Pogojeva, Daniel González-Fernández, George Hanke, Nino Machitadze, Yuliia Kotelnikova, Iryna Tretiak, Oksana Savenko, Nino Gelashvili, Kakhaber Bilashvili, Dmitry Kulagin, Aleksey Fedorov	Composition of floating macro litter across the Black Sea ISBN: 978-975-8825-48-6	MARINE LITTER IN THE BLACK SEA, #56	Turkish Marine Research Foundation, Turkey	10, pp,161-170
4	Nino Machitadze , Kakhaber Bilashvili, Daniel González-Fernández, Vakhtang Gvakharia, Nino Gelashvili, Inesa Kuzanova, Vazha Trapaidze	Results of the monitoring of the marine and riverine floating macro litter in the coastal area of the Black sea, Georgia ISBN: 978-975-8825-48-6	MARINE LITTER IN THE BLACK SEA, #56	Turkish Marine Research Foundation, Turkey	12, pp. 171-182

1. სტატიაში განხილულია წვიმის შედეგად გამოწვეული ეროზიული პროცესების თავისებურებანი საქართველოს ტერიტორისათვის. კვლევის მეთოდოლოგია ემყარება ფერდობზე ნაკადის მოძრაობის პროცესებს. ამ პროცესის წარმოსადგენად გამოიყენება წყლის ნაკადის უწყვეტობის განტოლება, სადაც მნიშვნელოვანი პარამეტრია ნიადაგში წყლის ფილტრაციის სიჩქარე, რომელიც დამოკიდებულია წვიმის ინტენსივობაზე და ფერდობის დახრილობაზე. კვლევისათვის შერჩეულ იქნა ოთხი რეგიონი დასავლეთ საქართველოდან, ხოლო ოთხი აღმოსავლეთ საქართველოდან. ყველა რეგიონიდან აღებულ იქნა მსგავსი დახრილობის და ექსპოზიციის ფერდობები. შედეგების მიხედვით საქრთველოს მასშტაბით ვიღებთ დაახლოებით მსგავს სურთას, დახრილობის მატებასთან და წვიმის ხანგრძლივობის და ინტენსივობის გაზრდასთან ერთად იკლებს ფილტრაციის კოეფიციენტი და იზრდება ეროზიის ინტენსივობა. წვიმის ინტენსივობა შედარებით ნაკლებია შიდა ქართლისა და სამცხე ჯავახეთის რეგიონებში, ამიტომ აქ წვიმის ხანგრძლივობის მიუხედავად ეროზიის ინტენსივობა შედარებით მცირეა. ეროზიის ინტენსივობის

მაღალი მაჩვენებლებით გამოირჩევა ზემო იმერეთის, რაჭის და ზემო აჭარის მაღალმთიანი რაიონები. სტატიაში ასევე შემოთავაზებულია ეროზიის შემცირების საინჟინრო-ეკოლოგიური ღონისძიება, რაც გამოიხატება ფერდობებზე ზვინულების მოწყობაში ჩვენს შემთხვევაში გადაწყვეტის ინოვაციურ მიმართულებად შეიძლება ჩაითვალოს მთის ფერდობზე ნიადაგ გრუნტის ზვინულებში ფილტრაციული ნაკადების შემცირება ზვინულის ტანში, ადგილობრივი თიხა-თიხნარი გრუნტის მასალისაგან მაღალი ხარისხის ტკეპნით ყრილის მოწყობაში, რაც მინიმუმამდე დაიყვანს ზედაპირული წყლის ნაკადების ფილტრაციას და აქედან გამომდინარე შეამცირებს ზვინულების მწყობრიდან გამოსვლის რისკს, რაც საერთო ჯამში ზრდის მთის ფერდობების უსაფრთხოებას და ამცირებს წყლისმიერ ეროზიული პროცესების ნეგატიურ ეფექტს.

2. მყარი ნარჩენები ევოპულ საზღვაო სტრატეგიის ჩარჩო დირექტივაში (დირექტივა 2008/56EC MSFD) წარმოდგენილია, როგორც ზღვის გარემოს ეკოლოგიური სტატუსის შესაფების ერთერთი დესკრიპტორი - დესკრიპტორი 10. შავი ზღვის აუზში მყარი ნარჩენები სერიოზულ ეკოლოგიურ პრობლემად განიხილება. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის და სამეცნიერო კვლევითი ფირმა „გამა“-ს სამეცნიერო ჯგუფის მიერ საქართველოს შავი ზღვის სანაპირო ზონაში 2015 წლიდან ტარდება მყარი ნერჩენების მოიტორინგი EC-UNDP-ის საერთაშორისო პროექტების “EMBLAS I and II” და“EMLAS Plus” სამეცნიერო კვლევითი პროგრამების ფარგლებში. ამ მიზნის განსახორციელებლად მოხდა მონიტორინგის მეთოდოლოგიის ჰარმონიზება ევროპულ მეთოდოლოგიასთან და მისი ადაპტირება ჩვენი რეგიონისათვის. მონიტორინგისათვის საქართველოს სანაპირო ზონაში შეირჩა 5 საიტი. პლაჟების შესწავლილი მონაკვეთები განსხვავდება ერთმანეთისაგან ზაფხულის სეზონზე ვიზიტორთა რიცხვით, და ასევე ინფრასტრუქტურული განვითარების დონით. კვლევის პროგრამა მოიცავდა მაკრო ნარჩენების (> 2,5 სმ ფრაგმენტები) იდენტიფიცირებას და კატეგორიზებას. მიღებული შედეგების მიხედვით ნარჩენების რაოდენობა მერყეობდა 0.07 -დან 1.12 ერთეულამდე 1 კვ.მ. პლაჟებზე ძირითადად წარმოდგენილია პლასტიკის ნარჩენები, დანარჩენი კატეგორიის ნარჩენების (რეზინი, ლითონი, მინა, ტექსტილი და სხვა) წილი ჯამურად არ აღემატება 5%-ს. მიღებული შედეგების ანალიზი გვიჩვენებს, რომ ადგილი აქვს ნაჩენების აკუმულაციას მდინარეების შესართავების ზონებში, სავარაუდოდ როგორც ხმელეთზე, ასევე ზღვაში მდებარე წყაროებიდან.

3. ნაშრომში წარმოდგენილია მოტივტივე მყარი ნარჩენებით შავი ზღვის დაბინძურების პირველი საერთაშორისო კომპლექსური კვლევების მინაცემები. პროექტ EMBLAS-ის ფარგლებში, 2016 – 2019 წწ, ზღვის ზედაპირზე მოტივტივე ნარჩენების კვლევა ჩატარებულია ღია ზღვის ერთიანი კვლევის პროგრამის, ასევე სპეციალური ეროვნული პროგრამების ფარგლებში, საგანგებოდ აღჭურვილი გემების ბორტიდან, და ასევე შემთხვევითი საზღვაო ტრანსპორტის გამოყენებით. კვლევაში მონაწილეობდნენ მკვლევარები საქართველოდან, უკრაინიდან და რუსეთიდან. სემინარებსა და ტრენინგებში მონაწილეობდნენ მკვლევარები რუმინეთიდან, ბულგარეთიდან და თურქეთიდან. აღნიშნული საპილოტე კვლევები ადასტურებს სხვადასხვა რეგიონებს მონაცემების ჰარმონიზების მნიშვნელობას. დაკვირვებები ტარდებოდა დატრენინგებული დამკვირვებლების მიერ, რომლებიც აგროვებდნენ გეოგრაფიულ კოორდინატებთან ბმულ მონაცემებს პლანშეტული კომპიუტერის გამოყენებით, რომლისთვისაც შესაბამისი აპლიკაცია შემუშავებულია გაერთიანებული კვლევითი ცენტრის ISPRA (JRC) -ის მიერ, სადაც პირველად იყო

გათვალისწინებული ევროპულ საზღვაო ჩარჩო დირექტივის (MSFD) მიდგომები. დაკვირვებები ადასტურებს, რომ მყარი ნარჩენები ფიქსირდება ზღვის ყველა რეგიონში და ძირითადად შედგება პლატიკისაგან. აღნიშნული კვლევის მიზანია ზღვის სხვადასხვა რეგიონში აღმოჩენილი მოტივტივე მყარი ნარჩენების ძირითადი კატეგორიების სიის შედგენა და მათი რაოდენობის, შემადგენლობის და ზომითი კატეგორიების შედარება.

4. ნაშრომში მიმოხილულია შავი ზღვის საქართველოს სექტორში 2016-2019 წწ ზღვის ზედაპირზე მოტივტივე ნარჩენების რაოდენობისა და წყაროების შეფასების მიზნით ჩატარებული კვლევები. კვლევები წარმოადგენდა საერთაშორისო პროექტების “EMBLAS II” და “EMBLAS Plus” ნაწილს. მოტივტივე ნარჩენებზე დაკვირვება განისაზღვრება ევროპის საზღვაო ჩარჩო დირექტივის მე-10 დესკრიპტორით და გამოიყენება ზღვის გარემოს ეკოლოგიური სტატუსის შესაფასებლად. მონიტორინგი ჩატარებულია 4 ძირითად მდინარეზე: ჭოროხი, სუფსა, ნატანები და რიონი. მონაცემები გროვდებოდა მდინარეებზე არსებული ხიდებიდან, ერთ საათიანი დაკვირვების განმავლობაში. ზღვის ზედაპირზე დაკვირვება ტარდებოდა გემების ბორტიდან. მდინარეებზე დაკვირვების შედეგების მიხედვით, ბუნებრივი ნარჩენების რაოდენობა მერყეობს 300-დან 700 ერთეულამდე საათში. პლასტიკის ნარჩენების რაოდენობა მერყეობს 50-დან 130 ერთეულამდე საათში, რომელშიც ჭარბობს შესაფუთი მასალა, ბოთლები და საკვების კონტეინერები. საქართველოს სანაპიროების გასწვრივ, 2016 წლის მონაცემების მიხედვით, ზღვის ზედაპირზე ნარჩენების საშუალო სიმჭიდროვე შეადგენდა 76,3 ერთ/კვ.კმ. ზღვის გარემოში ნარჩენები ძირითადად ხმელეთზე მდებარე წყაროებიდან ხვდება. აღსანიშნავია, რომ ზღვაზე მდებარე შესაძლო წყაროები შეიძლება იყოს პორტების გარე რეიდებზე მდგარი საკონტეინერო გემები (ფოთის პორტის ჩრდილოეთით).

7. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

7.1.საქართველოში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	დ.კერესელიძე, ვ.ტრაპაიძე, გ. ბრეგვაძე, დ.სვანაძე	მდინარე ვარაზისხევის ჰიდროსტიქიური მოვლენების ჰიდროლოგიური და ჰიდრავლიკური ანალიზი	მე-8 საფაკულტეტო კონფერენცია ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში, თბილისი 2020, 3-7 თებერვალი, http://conference.ens-2020.tsu.ge
2	*კ. ბილაშვილი, ვ. გვახარია, ნ. მაჩიტაძე, ვ. ტრაპაიძე* ნ. გელაშვილი, ი. კუზანოვა	შავ ზღვაზე გარემოს დაცვის მონიტორინგის გაუმჯობესება (EMBLAS-Plus)	მე-8 საფაკულტეტო კონფერენცია ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში, თბილისი 2020, 3-7 თებერვალი, http://conference.ens-

			2020.tsu.ge
3	*კ. ბილაშვილი,* თ. რაზმაძე, *ვ. ტრაპაიძე,* *ზ. სავანელი*	საზღვაო მონაცემთა მენეჯმენტი “SeaDataCloud“	მე-8 საფაკულტეტო კონფერენცია ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში, თბილისი 2020, 3-7 თებერვალი, http://conference.ens-2020.tsu.ge
4	ვ.ტრაპაიძე, დ. კერესელიძე, კ.ბილაშვილი, გ. ბრეგვაძე, ი. მეგრელიძე	საქართველოს ზოგიერთ რეგიონში ჩამოყალიბებული ღვარცოფული პროცესების შეფასება	მე-8 საფაკულტეტო კონფერენცია ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში, თბილისი 2020, 3-7 თებერვალი, http://conference.ens-2020.tsu.ge
5	გ.ბრეგვაძე, ვ.ტრაპაიძე	მდინარის ჩამონადენის კოეფიციენტის გაანგარიშების ზოგიერთი თავისებურებანი	მე-8 საფაკულტეტო კონფერენცია ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში, თბილისი 2020, 3-7 თებერვალი, http://conference.ens-2020.tsu.ge

1. მდინარე მტკვრის აუზში ქალაქ თბილისის ქვაბულში მრავალი მცირე მდინარეა, რომლებიც გარკვეულწილად საფრთხეს უქმნიან ქალაქის ინფრასტრუქტურას. ისტორიულ წარსულში მდინარე ვერემ და კრწანისისხევმა დიდი ზარალი მიაყენა ქალაქს, იყო მსხვერპლიც. ერთ-ერთ ასეთ საშიშ მდინარეს წარმოადგენს მდინარე ვარაზისხევი, რომლის წყალშემკრებ აუზში მოხდა ქალაქის განაშენიანება და მაქსიმალური წყალმოვარდნის შემთხვევაში იგი წარმოადგენს რისკ-ფაქტორს ქალაქის მოსახლეობისა და ინფრასტრუქტურისათვის. მდინარე ვარაზისხევის ზემო წელში მიმდინარე ჰიდროლოგიური და ჰიდრავლიკური პროცესების დეტალური ანალიზის შედეგად გამოიკვეთა ის ძირითადი ტენდენციები, რასაც განაპირობებს აუზში ჩამოყალიბებული ჰიდროსტიქიური პროცესები.

2. ევროკომისიის და გაეროს განვითარების პროგრამის (EC/UNDP) ერთობლივი პროექტის EMBLAS-Plus - ის მთავარი მიზანია EMBLAS-1/2 პროექტების ფარგლებში შემუშავებული ახალი მეთოდოლოგიის დანერგვა, რაც ითვალისწინებს პროექტის ყველა მონაწილისათვის საზღვაო სტრატეგიის ჩარჩო დირექტივის (MSFD) პრინციპებისა და მეთოდოლოგიების საფუძველზე ზღვის ეკოსისტემის მდგომარეობის შეფასებას. პირველი და მეორე ფაზის დროს ჩატარდა მნიშვნელოვანი სამუშაოები მონიტორინგის ახალი მეთოდების შესამოწმებლად და ეროვნული მონიტორინგის პროგრამების ანალოგიურ ევროპულ მეთოდოლოგიებთან შესაბამისობის შესაფასებლად. დღის

წესრიგში დადგა ზუსტი და საიმედო საზღვაო მონაცემების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება, რაც ითვალისიწინებს მონიტორინგის გლობალური პროგრამების ანალოგიურად, შავი ზღვის გარემოს მონიტორინგის პერმანენტულ გაგრძელებას. შესაბამისად, 2019 წელს ჩატარდა ორი ექსპედიცია საზღვაო მყარი ნარჩენების (დისკრიპტორი 10 - მარინლიტერი) შესაფასებლად ბათუმის, ქობულეთის, ურეკის, ფოთისა და ყულევის აკვატორიებში (სანაპირო ზოლიდან 400 მეტრში); ასევე, ოთხი ძირითადი მდინარის - რიონის, სუფსას, ნატანების და ჭოროხის შესართავების მონიტორინგი. მასალების წინასწარი დამუშავების შედეგად მოხდა ნარჩენების კატეგორიზაცია და „ცხელი წერტილების“ გამოვლენა. ასევე, ქალაქ ფოთში ჩატარდა უორქშოფი დაინტერესებულ მხარეების მონაწილეობით, რომელთაც მიეწოდა დეტალური ინფორმაცია მიმდინარე საზღვაო კვლევების შესახებ.

3.ოკეანოლოგიურ მონაცემთა მართვის (მენეჯმენტის) არსებული ფილოსოფია სტრუქტურა და მიდგომა მსოფლიო ოკეანის დაკვირვების სისიტემის პარარელურად ჩამოყალიბდა. ოკეანოგრაფიულ მონაცემთა მენეჯმენტის სისტემის განვითარებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს ევროკომისიის “HORIZON 2020” პროგრამის ფარგლებში მიმდინარე პროექტს „SeaDataCloud”-ს რომელიც წარმოადგენს დასრულებული საერთაშორისო პროექტების SeaDataNet 1 -ს და SeaDataNet 2-ის მესამე ფაზას. პროექტი, როგორც ინტეგრირებული კვლევის ინფრასტრუქტურული ინიციატივა, უზრუნველყოფს ოკეანოგრაფიულ მონაცემთა მენეჯმენტის სისტემის კიდევ უფრო განვითარებას, ადაპტირებულს, როგორც ფრაგმენტარული დაკვირვებების ბაზების გამოყენებაზე, ასევე მომხმარებლის იმ მოთხოვნების დაკმაყოფილებაზე, რომელიც ეხება მონაცემთა შესახებ ინფორმაციას (მეტადატა), საბოლოო პროდუქტს და ინტეგრირებულ მომსახურეობას. უკანასკნელ დრომდე, საზღვაო მონაცემები, რომელთაც ასეულობით ორგანიზაცია მოიპოვებს, ძნელად მისაღწევი რჩება. შექმნილი მდგომარეობა მოითხოვს ოკეანოგრაფიული ინფორმაციის დამუშავების სტანდარტების გაუმჯობესებას, კომუნიკაციის ერთიანი სისტემის შექმნას და დახვეწას. ევროგართიანების მიერ მიღებული საზღვაო სტრატეგიის ჩარჩო დირექტივაში მოცემული ეკოსისტემური მიდგომის საფუძველი სწორედ ოკეანოგრაფიული მონაცემებია. აღნიშნული დირექტივა, ასევე, წარმოადგენს საქართველოს, როგორც ევროგაერთიანების ასოცირებული წევრის საზღვაო პოლიტიკის, სახელმძღვანელო დოკუმენტს. პროექტი მოწოდებულია განახორციელოს ინფორმაციული ტექნოლოგიების ვირტუალური და ფიზიკური ინფრასტრუქტურული რესურსების კონსოლიდაცია ოკეანოგრაფიული მონაცემების მართვის საქმეში.

4.საქართველოს მთიანი რელიეფი და კლიმატის ცვლილების მიმდინარე ტენდენციები ზრდის კატასტროფული მოვლენების სიხშირეს. ეს პროცესები ბოლო წლებში განსაკუთრებით გააქტიურდა საქართველოს თითქმის ყველა მთიან რეგიონში. ეს რეგიონები ეროზიულ-ღვარცოფული მოვლენების საშიროების რისკით ექცევა მაღალ კატეგორიაში, რაც იმის მაჩვენებლია რომ ინსტენსიური თავსხმა წვიმების დროს ადგილი აქვს ტურბულენტური, ხოლო ზოგიერთ შემთხვევაში სტრუქტურული ღვარცოფული ნაკადების გავლას და კალაპოტის მნიშვნელოვან დეფორმაციებს. განსაკუთრებით რთული შემთხვევებია როდესაც ადგილი აქვს რამოდენიმე ბუნებრივი პროცესის და ანთროპოგენური ფაქტორების ზედდებას. აქედან გამომდინარე მდინარეთა აუზებში მიმდინარე პროცესები, მათი საანგარიშო

მახასიათებლების რაოდენობრივი პროგნოზირება, ტრანზიტისა და აკუმულაციის უბნებზე მოძრაობის თავისებურებების გათვალისწინება წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს ამოცანას. უკანასკნელ წლებში მნიშვნელოვნად გაიზარდა სხვადასხვა სახის ჰიდროტექნიკური ნაგებობების, მათ შორის მთიან რეგიონებში ჰიდროელექტრო სადგურების მშენებლობა, რომელთა აუზებში ჩამოყალიბებულმა ღვარცოფულმა პროცესებმა მნიშვნელოვნად შეაფერხა მათი ფუნქციონირება. ნაშრომში განხილულია საქართველოს ზოგიერთ რეგიონში ჩამოყალიბებული ღვარცოფული პროცესები და შეფასებულია მათი საანგარიშო პარამეტრები. მდინარის ჩამონადენის კოეფიციენტის გაანგარიშების ზოგიერთი თავისებურებანი.

5. ჩამონადენის კოეფიციენტის გაანგარიშება მდინარის წყლიანობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია. იგი წარმოადგენს განსაზღვრულ პერიოდისათვის აუზში ჩამონადენის ფენის სიმაღლისა და მოსულ ატმოსფერულ ნალექების ჯამის ფარდობას. ჩამონადენის კოეფიციენტის გაანგარიშება იძლევა საშუალებას, რომ გავიგოთ მდინარის აუზში მოსული ატმოსფერული ნალექების რა რაოდენობა ჩაედინება მდინარეში, იხარჯება აორთქლებასა და ფილტრაციაზე. ამასთანავე მიზანშეწონილია ჩამონადენის კოეფიციენტის გაანგარიშება მრავალწლიური პერიოდისათვის, ხოლო მცირე პერიოდისათვის (წლისათვის, სეზონისათვის და თვისათვის) იგი პირობით დახასიათებას იძლევა, რადგანაც აუზში მოსული ატმოსფერული ნალექები, განსაკუთრებით ზამთრში მოსული მყარი სახით, მდინარეს წყალს მხოლოდ გაზაფხულის სეზონზე აწვდის. ჩამონადენის კოეფიციენტის თანამედროვე სურათის დადგენისათვის, განხილულია ზოგიერთი მდინარის აუზში არსებული ჰიდროლოგიური და მეტეოროლოგიური სადგურების მონაცემები.

7.2.უცხოეთში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1			
მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა)			

დამატებითი ინფორმაცია:

1. 2020 წლის 28 სექტემბერს თსუ-ში პროგრამა „Horizon 2020"–ს მიერ დაფინანსებული პროექტის „საზღვაო კვლევებისა და ინოვაციების კოორდინირება შავ ზღვაზე - Black Sea Connect" - ის ფარგლებში (http://connect2blacksea.org/). ჩატარდა ევროკავშირის მიერ ინიცირებული „შავი ზღვის სტრატეგიული კვლევებისა და ინოვაციების დღის წესრიგის" განხილვა, შეხვედრის დროს წარმოდგენილი იქნა მოხსენებები, რომელიც შეეხება ინოვაციების დღის წესრიგის ოთხ ძირითად საფუძველს:

- შავი ზღვის ფუნდამენტური კვლევის გამოწვევებზე რეაგირება –„შავი ზღვის ცოდნის ხიდი“;
- შავი ზღვის ლურჯი ზრდისთვის პროდუქტებისა და გადაწყვეტილებების შემუშავება და კლასტერების ჩამოყალიბება – შავი ზღვის ლურჯი ეკონომიკა;
- კრიტიკული მხარდაჭერის სისტემებისა და ინოვაციური ინფრასტრუქტურების შექმნა – ძირითადი ერთობლივი ინფრასტუქტურა და პოლიტიკის ინსტრუმენტები;
- განათლება და შესაძლებლობების შექმნა – გაძლიერებული მოქალაქეები და გაძლიერებული სამუშაო ძალა.

შეხვედრის ბოლოს ინოვაციების შესაბამისის სტრატეგიული დოკუმენტის და შავი ზღვის ლურჯი ეკონომიკის განვითარებასთან დაკავშირებით საქართველოს ერთიანი ხედვის ჩამოყალიბებისათვის გაიმართა დისკუსია. აღნიშნული შეხვედრა მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს შავი ზღვის სტრატეგიული კვლევების და ინოვაციების დღის წესრიგის წარმატებული განხორციელებას.

2. 2020 წლის 28 ოქტომბერს ჩატარდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ევროგაერთიანების (EU), გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) და შავი ზღვის აუზის პროგრამის (BSB 2014 – 2020) ეგიდით მიმდინარე შავი ზღვის პრობლემატიკისადმი მიძღვნილი პროექტების ერთიანი საინფორმაციო დღე, სადაც წარმოდგენილი იქნა შემდეგი პროექტების ფარგლებში გაწეული ძირითადი საქმიანობები და მიღებული შედეგები: „შავი ზღვის სანაპირო ზოლში საზღვაო ნარჩენების შემცირების ინოვაციური მეთოდები და ტექნოლოგიები, RedMarLitter)“; „შავ ზღვაზე გარემოს დაცვის მონიტორინგის გაუმჯობესება - შერჩეული ღონისძიებები, EMBLAS-Plus“; ევროპული ზღვების ოკეანოგრაფიული მონაცემების საკვლევი პროექტები - „SeaDataCloud, Horizon 2020”, “EMODnet”, “Emodnet Ingestion” და „საზღვაო კვლევების და ინოვაციების კოორდინირება შავ ზღვაზე, Black Sea Connect, Horizon 2020”. შეხვედრას ესწრებოდა როგორ სახელმწიფო სტრუქტურების, ისე სამეცნიერო-კვლევითი და არასამთავრობო ორგანიზაციების 60-მდე წარმომადგენელი. შეხევდრაზე ასევე განხილულ იყო საზღვაო კვლევებთან და ზოგადად ზღვასთან დაკავშირებული პრობლემური საკითხები და ერთბლივი თანამშომლობის საკითხები.

ანგარიშის ფორმა №2

2020 წელს გაწეული სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ანგარიში

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის დასახელება
ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათ ფაკულტეტი,
გეოგრაფიის დეპარტამენტი, ნიადაგების გეოგრაფიის კათედრა

სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა ხელმძღვანელის მითითებით
პროფესორი ლია მაჭავარიანი (კათედრის გამგე), ასოცირებული პროფესორი ბესიკ კალანდაძე; კათედრასთან არსებული ნიადაგმცოდნეობისა და ნიადაგების გეოგრაფიის სასწავლო ლაბორატორიის თანამშრომლები: გულნარა აფციაური (უფროსი ლაბორანტი), ელენე ნიკოლაიშვილი (ლაბორანტი), იამზე შელია (ლაბორანტი).

1. სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის პერსონალის მიერ შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

1.1.

№	გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	2	3	4
გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2020 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)			

1.2.

№	დასრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	2	3	4
დასრულებული კვლევითი პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)			

2. შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტით დაფინანსებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

2.1.

№	**გარდამავალი** (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	"გარემოსა და მოსახლეობის უსაფრთხოებაზე წყალსაცავის ნეგატიური ზემოქმედების შეფასების მეთოდიკა" (FR-18-009) მეცნიერების <u>დარგი</u> და სამეცნიერო <u>მიმართულება</u>: 1. საბუნებისმეტყველო მეცნიერებანი 1.5 დედამიწის და მათთან დაკავშირებული გარემოს შემსწავლელი მეცნიერებანი 1.5.11 ოკეანოგრაფია, ჰიდროლოგია, წყლის რესურსები	2019-2022	**ლია მაჭავარიანი** (ხელმძღვანელი); ზაზა გულაშვილი (კოორდინატორი); გიორგი მეტრეველი (მკვლევარი)

გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2020 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

კვლევის მეორე ეტაპზე განხორციელდა შემდეგი აქტივობები:

- შესწავლილია გრუნტის წყლების რეჟიმზე წყალსაცავის ზემოქმედების მექანიზმი, განისაზღვრა მისი ინდიკატორები და პარამეტრები; საველე და წყალ-საბალანსო მეთოდებით გამოკვლეულ იქნა საქართველოს უმნიშვნელოვანესი წყალსაცავების (თბილისის, სიონის, წალკის, ჯვრის და ჟინვალის) ფილტრაციული ველი; შეიქმნა მონაცემებთა ბაზა ელექტრონული რუკისათვის, რომელიც ასახავს გრუნტის წყლებზე საქართველოს წყალსაცავების ზემოქმედებას; GIS-ტექნოლოგიის გამოყენებით, შეიქმნა კლიმატსა და გრუნტის წყლებზე წყალსაცავის ზემოქმედების ამსახველი რუკები; ჩამოყალიბდა გრუნტის წყლების რეჟიმზე წყალსაცავის ზემოქმედების შეფასების მეთოდიკა.

- შემუშავდა ზღვის სანაპიროს სენსიტიური მონაკვეთების შერჩევის კრიტერიუმები; ჩამოყალიბდა და შეიქმნა ზღვისპირის სენსიტიურ უბნებში მდინარის ნატანის გადაადგილების ზოგადი დინამიკური სქემები და სანაპიროს განივი და გასწვრივი კვეთების სქემა; დამუშავდა ზღვისპირის მდგრადობაზე წყალსაცავის გავლენის შეფასების მეთოდი; მომზადდა პუბლიკაცია საერთაშორისო გამოცემისათვის "გრუნტის წყლებზე წყალსაცავის ზემოქმედების მექანიზმის გამოკვლევა – ზემოქმედების ინდიკატორები და პარამეტრების შეფასების მეთოდები";

- პროექტის გეგმა-გრაფიკის შესაბამისად, მიმდინარე პერიოდის განმავლობაში მიღებული შედეგები, დისტანციურ რეჟიმში, წარდგენილ იქნა ორ საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაზე:

  - AMS (American Meteorological Society) – 19th Conference on Mountain Meteorology (virtual meeting), USA;
  - SGEM 2020 – 20th International Multidisciplinary Scientific GeoConference, Albena, Bulgaria.

- მიმდინარე პერიოდის ბოლოს (თებერვალი, 2021), იგეგმება პროექტის შედეგების ამსახველი სემინარის ჩატარება.

2.2.

№	**დასრულებული** (მრავალწლიანი)	პროექტის დაწყების	პროექტში ჩართული

	პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი	და დამთავრების წლები	პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	2	3	4
დასრულებული კვლევითი პროექტის 2020 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)			

3. უცხოური გრანტებით დაფინანსებული სამეცნიერო პროექტები

3.1. გარდამავალი პროექტი

№	გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი, დამფინანსებელი ორგანიზაცია / სამეცნიერო ფონდი, ქვეყანა	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	„ეკონომიკური და გარემოსდაცვითი სარგებელი მიწის მდგრადი მართვის გზით მოწყვლადი თემებისათვის საქართველოში“. მიმართულება – გარემოს დაცვა; დონორები და შემსრულებლები – GEF, UN, REC CAUCASUS, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო	2019-23	**ბ. კალანდაძე** (ექსპერტი)
2	ტრანსსასაზღვრო გეოტურიზმი, როგორც ინოვაციისა და თანამშრომლობის მამოძრავებელი ძალა აღმოსავლეთ ევროპის პერიფერიულ რეგიონებში. მიმართულება – გარემოს დაცვა; დონორები და შემსრულებლები – BMBF გერმანიის განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, გისენის უნივერსიტეტი; გეოგრაფიის ინსტიტუტი, თსუ	2021-2024	პროფ. ა. დიტმანი (ხელმძღვანელი); ნ. ბოლაშვილი (კოორდინატორი); **ბ. კალანდაძე** (ექსპერტი).
გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2020 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)			
1. სახნავი მიწის პროდუქტიულობის უზრუნველყოფა და ნიადაგის ნაყოფიერების დეგრადაციის შეჩერება ადგილობრივი და ეროვნული მნიშვნელობის საკითხია. თესლბრუნვებისა და კულტურათა მონაცვლეობის როტაციული წესის დანერგვა, ალტერნატიული კულტურების (პარკოსნები) ჩართვა, წინაპირობაა იმისა, რომ მოხდეს ნიადაგის სხვადასხვა მინერალებით გამდიდრება და გაიზარდოს ნიადაგების ნაყოფიერება მათი შემდგომი მდგრადი ეკოლოგიური მართვისათვის. პარკოსან კულტურებს შეუძლიათ ფესვზე არსებული კოჟრის ბაქტერიების წყალობით ჰაერში არსებული თავისუფალი აზოტი გარდაქმნას მცენარისათვის შესათვისებელ ფორმად და დააგროვოს ნიადაგში. ასევე პარკოსანი კულტურების მძლავრ ფუნჯთა ფესვთა სისტემას შეუძლია გააფხვიეროს ნიადაგების სტრუქტურა, გაამდიდროს ნიადაგის ფორები ჰაერითა და წყლით, შეამციროს მცენარეთა დამახასიათებელი მავნებელ-დაავადებათა რიცხოვნობა და შესაბამისად ხელი შეუწყოს მოსავლიანობის სტაბილურ და მდგრად მატებას. გარდაბნის მუნიციპალიტეტში გარდა მემცენარეობისა მნიშვნელოვანია აგრეთვე მეცხოველეობის საკვები			

ბაზის-ათვის მყარი საფუძვლის შექმნა. ამასთან საკვებწარმოების თესლბრუნვების სქემების დანერგვა ასევე ხელს შეუწყობს საძოვრების შემდგომ მდგრად მართვას.
კულტურათა მორიგეობა ხელს უწყობს სტრუქტურული ნიადაგის ჩამოყალიბებას, ნიადაგში ჰაერის კარგად შეღწევას და ტენის ადვილად გამოყენებას. აღნიშნულის მიღწევა მნიშვნელოვნად განპირობებულია მრავალწლოვანი მარცვლოვნებისა და პარკოსნების ნარევების თესვით. ბალახების ხანგრძლივობა თესლბრუნვაში დამოკიდებულია თესლბრუნვის ხასიათზე და ბუნებრივ პირობებზე. ასეთი ღონისძიებების დანერგვის შედეგად ფერმერი გარდა იმისა, რომ ნიადაგების ნაყოფიერებას გაცილებით აუმჯობესებს, ასევე იგი ნაკლებად იყენებს პესტიციდებსა და ჰერბიციდებს. შედეგად იღებს ეკონომიკურ სარგებელს და აუმჯობესებს გარემოს ეკოლოგიურ მდგომარეობას. პროექტმა გარდაბნის მუნიციპალიტეტში უნდა მოახდინოს სხვადასხვა თემის ადგილობრივი ფერმერების წახალისება იმისათვის, რომ მოახდინონ ნიადაგების ნაყოფიერების ამაღლება და შექმნან მემცენარეობისა და საკვების წარმოების მდგრადი ბაზა. პროექტის მიზანია თესლბრუნვებისა და კულტურთა მონაცვლეობის როტაციულმა სისტემამ მოიცვას გარდაბნის მუნიციპალიტეტის სხვადასხვა თემის მოსახლეობის 50 ჰა ფართობი ტერიტორია.

2. საქართველოს კლიმატური პირობები და ნიადაგის მრავალფეროვნება ხელსაყრელია და ხელშემწყობია სხვადასხვა სასოფლო-სამეურნეო საქმიანობისთვის. სასოფლო-სამეურნეო წარმოების შემცირება, რომელიც დაიწყო 1990-იან წლებიდან, ნიადაგის ხარისხისა და პროდუქტიულობის ვარდნის მიზეზია, რაც, თავის მხრივ, გამოწვეულია მიწის რესურსები არამდგრადი გამოყენებით. განსაკუთრებით, ქვეყნის აღმოსავლეთი ნაწილი განიცდის მიწის დეგრადაციას, როგორიცაა – მონო კულტურის გავრცელება, დამლაშება და ქარისმიერი ეროზია. ისინი ძირითადად გამოწვეულია არაადექვატური კულტივაციით (მაგ: ჭარბი ძოვება, მონო კულტურის გავრცელება, ლანდშაფტური სტრუქტურის და მუდმივი ნიადაგის საფარის ნაკლებობა, არასათანადო ირიგაცია), რაც მწვავდება კლიმატური შედეგებით, როგორიცაა შემცირებული ნალექიანობა, გაზრდილია ქარიანი დღეების რაოდენობა და სიჩქარე – შედეგად, ამ მიწების უმეტესობა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოებისთვის გამოუსადეგარია. მიწის მდგრადი მართვის პილოტური ღონისძიებების განხორციელების მიზანია ნიადაგის დეგრადაციის ფართომასშტაბიანი პრობლემების წინააღმდეგ ბრძოლა, რომელიც არის მიწის დეგრადაციის ძირითადი ფაქტორი და ზიანს აყენებს სასოფლო სამეურნეო წარმოებას. 90-იანი წლების შემდეგ სოფლის მეურნეობაში გაბატონებული იყო მონოკულტურების მოყვანა, როგორც მარცვლოვნებში ისე ბოსტნეულ კულტურებში და რომელიც დღესაც გრძელდება. მოსახლეობა ფაქტიურად აღარ ფლობს შესაბამის უნარ-ჩვევებს და აღარც იყენებს ნიადაგის ნაყოფიერების სხვადასხვა აპრობირებულ მეთოდებს, როგორიცაა მრავალწლიანი თესლბრუნვები, კულტურათა მონაცვლეობა, ნაკვეთების როტაცია, შეთესვითი კულტურები და სხვა. მოსახლეობამ იპოვა მარტივი გამოსავალი და მასიურად დაიწყეს სახნავ-სათესი ფართობების სათიბებად და საძოვრებად გადაქცევა. გარდა ამისა პრაქტიკაში გავრცელებულია მონოკულტურის მოვლა-მოყვანა, რაც აღრმავებს ნიადაგების დეგრადაციის უარყოფით პროცესებს (ნიადაგების დატკეპვნა, გადაძოვება, გაუდაბნოება, დამლაშება, ეროზია). ამიტომ, იმისათვის, რომ შევინარჩუნოთ ნიადაგების ბუნებრივი ნაყოფიერება და გავზარდოთ მისი მდგრადობა აუცილებელია ფერმერებმა პრაქტიკაში დანერგონ მრავალწლიანი თესლბრუნვები და კულტურათა მონაცვლეობის როტაციული სისტემა. ეს მეთოდი ადგილობრივ ფერმერებს დაეხმარება ნიადაგების ნაყოფიერების შემდგომ მდგრად მართვაში. პროექტი ფერმერებს დაეხმარება რათა მათ შეიძინონ საჭირო უნარ-ჩვევები და დანერგონ თავიანთ მეურნეობებში. ამისათვის პროექტი საქართველოს ოთხ მუნიციპალიტეტში განახორციელებს თესლბრუნვათა სისტემების დანერგვას (რეგიონისთვის დამახასიათებელი კულტურათა მონაწილეობით თესლბრუნვების სქემების შერჩევა, მრავალწლიანი და ერთწლიანი პარკოსანი კულტურების

ჩართვა, კონდიციური სათესლე მასალის შეძენა-დარიგება, ნიადაგების ნაოფიერების პირველადი ამაღლება) და მათ სწორ მართვას. ასეთი ღონისძიებების დანერგვის შედეგად ფერმერი ხელს უწყობს ნიადაგების ქარისმიერი ეროზიის შემცირებას, რაც ასე აქტუალურია აღმოსავლეთ საქართველოსთვის. გარდა ამისა, აღნიშნული ღონისძიებები გაცილებით აუმჯობესებს ნიადაგების ნაყოფიერებას, ასევე იგი ნაკლებად იყენებს პესტიციდებსა და ჰერბიციდებს. შედეგად იღებს ეკონომიკურ სარგებელს და აუმჯობესებს გარემოს ეკოლოგიურ მდგომარეობას.

3.2. დასრულებული პროექტი

№	დასრულებული (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი, დამფინანსებელი ორგანიზაცია / სამეცნიერო ფონდი, ქვეყანა	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	„გარდაბნის მუნიციპალიტეტში ნიადაგების ნაყოფიერების გაუმჯობესება თესლბრუნვისა და კულტურათა მონაცვლეობის დანერგვის გზით“. მიმართულება – გარემოს დაცვა; დონორები და შემსრულებლები – GEF, UN, REC CAUCASUS, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო	2018-20	**ბ. კალანდაძე** (ექსპერტი)
2	„გეოპარკების მენეჯმენტის გამოწვევები სამხრეთ კავკასიისა და ახლო აღმოსავლეთ-ჩრდილო აფრიკის რეგიონში“; მიმართულება – გარემოს დაცვა; დონორები და შემსრულებლები – DAAD, გერმანიის აკადემიური გაცვლის სამსახური, გისენის უნივერსიტეტი, გეოგრაფიის ინსტიტუტი, თსუ	2019-2020	პროფ. ა. დიტმანი (ხელმძღვანელი); ნ. ბოლაშვილი (კოორდინატორი); **ბ. კალანდაძე** (ექსპერტი).

დასრულებული კვლევითი პროექტის 2020 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)
1. სახნავი მიწის პროდუქტიულობის უზრუნველყოფა და ნიადაგის ნაყოფიერების დეგრადაციის შეჩერება ადგილობრივი და ეროვნული მნიშვნელობის საკითხია. თესლბრუნვებისა და კულტურათა მონაცვლეობის როტაციული წესის დანერგვა, ალტერნატიული კულტურების (პარკოსნები) ჩართვა, წინაპირობაა იმისა, რომ მოხდეს ნიადაგის სხვადასხვა მინერალებით გამდიდრება და გაიზარდოს ნიადაგების ნაყოფიერება მათი შემდგომი მდგრადი ეკოლოგიური მართვისათვის. პარკოსან კულტურებს შეუძლიათ ფესვზე არსებული კოჟრის ბაქტერიების წყალობით ჰაერში არსებული თავისუფალი აზოტი გარდაქმნას მცენარისათვის შესათვისებელ ფორმად და დააგროვოს ნიადაგში. ასევე პარკოსანი კულტურების მძლავრ ფუნჯთა ფესვთა სისტემას შეუძლია გააფხვიეროს ნიადაგების სტრუქტურა, გაამდიდროს ნიადაგის ფორები ჰაერითა და წყლით, შეამციროს მცენარეთა დამახასიათებელი მავნებელ-დაავადებათა რიცხოვნობა და შესაბამისად ხელი შეუწყოს მოსავლიანობის სტაბილურ და მდგრად მატებას. გარდაბნის მუნიციპალიტეტში გარდა მემცენარეობისა მნიშვნელოვანია აგრეთვე მეცხოველეობის საკვები ბაზისათვის მყარი საფუძვლის შექმნა. ამასთან საკვებწარმოების თესლბრუნვების სქემების დანერგვა ასევე ხელს

შეუწყობს საძოვრების შემდგომ მდგრად მართვას. კულტურათა მორიგეობა ხელს უწყობს სტრუქტურული ნიადაგის ჩამოყალიბებას, ნიადაგში ჰაერის კარგად შეღწევას და ტენის ადვილად გამოყენებას. აღნიშნულის მიღწევა მნიშვნელოვნად განპირობებულია მრავალწლოვანი მარცვლოვნებისა და პარკოსნების ნარევების თესვით. ბალახების ხანგრძლივობა თესლბრუნვაში დამოკიდებულია თესლბრუნვის ხასიათზე და ბუნებრივ პირობებზე. ასეთი ღონისძიებების დანერგვის შედეგად ფერმერი გარდა იმისა, რომ ნიადაგების ნაყოფიერებას გაცილებით აუმჯობესებს, ასევე იგი ნაკლებად იყენებს პესტიციდებსა და ჰერბიციდებს. შედეგად იღებს ეკონომიკურ სარგებელს და აუმჯობესებს გარემოს ეკოლოგიურ მდგომარეობას. პროექტმა გარდაბნის მუნიციპალიტეტში უნდა მოახდინოს სხვადასხვა თემის ადგილობრივი ფერმერების წახალისება იმისათვის, რომ მოახდინონ ნიადაგების ნაყოფიერების ამაღლება და შექმნან მემცენარეობისა და საკვების წარმოების მდგრადი ბაზა. პროექტის მიზანია თესლბრუნვებისა და კულტურთა მონაცვლეობის როტაციულმა სისტემამ მოიცვას გარდაბნის მუნიციპალიტეტის სხვადასხვა თემის მოსახლეობის 50 ჰა ფართობი ტერიტორია.

2. პროექტის ფარგლებში მომზადდა და გამოიცა საქართველოს გეოგრაფიული ატლასი ინგლისურ ენაზე. 2018 წლის ფრაკფურტის წიგნის ბაზრობაზე მოხდა ახალი ატლასის პრეზენტაცია, რამაც დიდი ინტერესი და მოწონება დაიმსახურა. პროექტის ფარგლებში მიმდინარეობს ასევე სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში და მათ შორის საქართველოში გეოპარკების შექმნისათვის ტერიტორიების შერჩევა. ამისათვის საერთაშორისო გამოცდილების საფუძველზე წინასწარ მომზადდა გეოპარკების შერჩევის კრიტერიუმები, რომლის მიხედვითაც მოხდება მათი ადგილმდებარეობის შერჩევა. აღნიშნულ პროცესში რეგიონიდან ჩართულნი არიან აზერბაიჯანის გეოგრაფიის ინსტიტუტი, ხოლო სომხეთის მხრიდან გეოგრაფიისა და გეოლოგიის ინსტიტუტები. საქართველოში აღნიშნული პროცესი მიმდინარეობს დაცული ტერიტორიების სააგენტოსთან მჭიდრო ურთიერთთანამშრომლობის ბაზაზე.

4. პატენტები

4.1. საერთაშორისო პატენტები:

№	საპატენტო თემატიკის სათაური	გამომგონებელი/ები და პატენტმფლობელი/ები	პატენტის საიდენტიფიკაციო კოდი

4.2. ეროვნული პატენტები

№	საპატენტო თემატიკის სათაური	გამომგონებელი/ები და პატენტმფლობელი/ები	პატენტის საიდენტიფიკაციო კოდი

5. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში

5.1. მონოგრაფიები/წიგნები

№	ავტორი/ავტორები	მონოგრაფიის/წიგნის სათაური, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1				
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)				

5. 2. სახელმძღვანელოები

№	ავტორი/ავტორები	სახელმძღვანელოს სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1				
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)				

5.3. კრებულები

№	ავტორი/ავტორები	კრებულის სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1				
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)				

5.4. სტატიები ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდის (DOI) მითითებით

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათა-ური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI	ჟურნალის/ კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1					
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)					

5.5. სტატიები ISSN-ის მითითებით

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათა-ური, ISSN	ჟურნალის/ კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1					
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)					

6. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა უცხოეთში

6.1. მონოგრაფიები/წიგნები

№	ავტორი / ავტორები	მონოგრაფიის/წიგნის სათაური, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1				
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)				

6.2. სახელმძღვანელოები

№	ავტორი /	სახელმძღვანელოს სახელწოდება,	გამოცემის	გვერდების

	ავტორები	საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	ადგილი, გამომცემლობა	რა ოდენობა
1				
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)				

6.3. კრებულები

№	ავტორები	კრებულის სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	**Matchavariani L.**, Metreveli G., Gulashvili G,	Proceedings of the 20th International Multidisciplinary Scientific GeoConference SGEM2020. "Water Resources, Forest, Marine & Ocean Ecosystems – Section-19: Air Pollution and Climate Change"	ბულგარეთი, SGEM	8 გვ.
2	Tsitsagi M., **Matchavariani L.**, Ghambashidze G., Nikolaishvili D., Nikolaishvili E.	Proceedings of the 20th International Multidisciplinary Scientific GeoConference SGEM2020.	ბულგარეთი, SGEM	8 გვ.
3	Kalandadze I., Kikava A., Dvalashvili G., Tchitanava Zh., **Kalandadze B.**	Proceedings of the 20th International Multidisciplinary Scientific GeoConference SGEM2020. Section-21: "Ecology and Environmental Protection"	ბულგარეთი, SGEM	8 გვ.

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1. კლიმატის მიმდინარე გლობალური ცვალებადობა მეტეო- და ოკეანოგრაფიული ელემენტების მნიშვნელოვან ვარიაციებს იწვევს. ყალიბდება კლიმატური ფონი, რომლის უშუალო გავლენის პირობებში მიმდინარეობს წყალსაცავის ზემოქმედება კლიმატზე. კვლევის მიზანია ისეთი მეთოდის შექმნა, რომლითაც შესაძლებელი იქნება კლიმატის ძირითადი ელემენტების ჯამური ეფექტის შეფასება კონკრეტული რაიონისათვის.

კვლევა ეყდნობა სტატისტიკური მეთოდების გამოყენებით კლიმატური ფონის მთავარი მეტეოელემენტების ვარიაციული პარამეტრების განსაზღვრას, რაც შესაძლებელია თეორიული და ემპირიული გზებით. თუმცა, მონიტორინგის შედეგები მეტეო- და ოკეანოგრაფიული ელემენტების დაკვირვებათა „გრძელი რიგების" შექმნის რეალურ შესაძლებლობას იძლევა.

ფონის მახასიათებლებად შერჩეულია ჰიდრო- და მეტეოელემენტების შემდეგი პარამეტრები: საშუალო არითმეტიკული, ექსტრემალური მნიშვნელობები და ჯამური ნაზრდი, შესაბამისი ტრენდებით, რომლის ნიშანი უჩვენებს ელემენტის განვითარების ტენდენციას და წლიური ნაზრდის სიდიდეს. ფონის უმნიშვნელოვანეს მახასიათებლად მიღებულია კლიმატური ელემენტების ვარიაციის პოლინომური განტოლება.

მეთოდის სადემონსტრაციოდ გამოყენებულია ბათუმის მონიტორინგის რაიონში რეგისტრირებული კლიმატური მოვლენები. 1985-2019 წლების კლიმატურ ფონზე, წინა ინტერვალის ფონთან შედარებით, ნათლად ჩანს ჰაერის და ზღვის წყლის დათბობა, ზღვის დონის ინტენსიური აწევა და ატმოსფერული ნალექების შემცირება ბრიზული ცირკულაციის ზღვარზე.

კლიმატური ფონი არის ჰიდრო- და მეტეოელემენტების სივრცე-დროითი დინამიკის ერთობლივი ეფექტი, განზოგადებული A ალბათობით, დროის კონკრეტული ინტერვალისა და

ტერიტორიისათვის. მოსალოდნელია, რომ ამ ცნების და მეთოდის გამოყენება მნიშვნელოვნად გაამარტივებს წყალსაცავის როლის შეფასებას, მიმდინარე კლიმატური ვარიაციის პირობებში.

2. ადამიანის ზემოქმედება გარემოზე, მნიშვნელოვნად აისახება მდინარის აუზების პროცესებზე, ისევე, როგორც გარემოს სხვა ელემენტებზე. მდინარის მეანდრირების დინამიკა და მობილობა გარემოს ცვალებადობის მნიშვნელოვან ინდიკატორს წარმოადგენს, რაც კლიმატის ცვლილებასა და ანთროპოგენურ საქმიანობას უკავშირდება ადგილობრივ დონეზე და მდინარეული აუზების მასშტაბებში. ნაშრომში წარმოდგენილია მდ. ალაზნის კლაკნილობის სივრცითი და დროითი ცვალებადობის კვლევა, მდინარის შუა და ქვემო წელში. ალაზანი ქვეყნის საზღვარს წარმოადგენს და სანაპირო ზოლის ეროზიას აქვს როგორც ეკოლოგიური, ისე პოლიტიკური მნიშვნელობა. კვლევის მიზანი იყო მდინარე ალაზნის კალაპოტის სიგრძის, მეანდრირებისა და ცენტრალური ხაის მიგრაციის სივრცობრივ-დროითი ვარიაციების გამოვლენა. ანალიზი ტარდებოდა მულტიტემპორალური და მრავალსპექტული სერიული მონაცემების დისტანციური ზონდირების საფუძველზე, რომლებიც სხვადასხვა კოსმიური მისიებისგან იყო მიღებული 1986-დან 2019 წლამდე პერიოდში. განხილული იყო Sentinel-2-ის მონაცემები და მსხვილმასშტაბიანი რუკები (1 : 25 000). Landsat-გამოსახულების ანალიზის მისაღებად (1986, 1995, 2006, 2013, 2019) გამოიყენებოდა გამოსახულებების კონტროლირებული კლასიფიკაცია NDVI-თან (ნორმალიზებული სხვაობის მცენარეულობის ინდექსი) და MNDWI-თან (მოდიფიცირებული ნორმალიზებული სხვაობის წყლის ინდექსი) კომბინაციაში. მიღებული მონაცემები და ტოპოგრაფიული რუკები გამოიყენებოდა მდინარეთა მორფოლოგიური თავისებურებების საცნობარო ინფორმაციია დასადგენად შედეგების შეჯერების მიზნით. მიღებული შედეგები აჩვენებენ, რომ მორფოლოგიური ცვლილებები ძირითადად უკავშირდება ფსკერული ნალექების მარაგებს და მათ რეჟიმს. მიგრაციის ნაკადების მიმართულება ვარირებს დასავლეთისა და აღმოსავლეთისკენ, დასავლეთის მიმართულების უპირატესობით. მიგრაციის შედეგად შენარჩუნდა რამდენიმე მეანდრი და ტბა.

3. ნიადაგების დეგრადაცია გლობალური პროცესია და ეს პრობლემა მეტ-ნაკლებად ყველა ქვეყანას აწუხებს. მიწის დეგრადაცია საქართველოში განპირობებულია კლიმატურ-რელიეფური თავისებურებებით, გეოდინამიკური პროცესების აქტივობით, ტყეების უკონტროლო ჭრითა და არასწორი სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკით (არასწორი მორწყვითი მელიორაცია, პესტიციდებისა და მინერალური სასუქების არანორმირებული გამოყენება, მონოკულტურის თესვის პრაქტიკა, უკონტროლო ძოვება, დამრეც ფერდობებზე ხვნა და ა.შ.) დეგრადაციის ერთ-ერთი გამოხატულებაა დამლაშებული ნიადაგები. საქართველოს ნახევრად გაუდაბნოებულ ტერიტორიებზე გავრცელებული დამლაშებული და ბიცობი ნიადაგების საერთო ფართობი 205 ათას ჰექტარზე მეტია. ქვეყნის მთელი სასოფლო-სამეურნეო სავარგულის 65 %-მდე ღარიბია საკვები ელემენტებით; განსაკუთრებით დამაფიქრებელია, რომ ქვეყნის ყველა რეგიონში შეინიშნება ნიადაგის ნაყოფიერების უმთავრესი მაჩვენებლის - ჰუმუსის მწვავე დეფიციტი და მისი ბალანსი უარყოფითია. ნიადაგზე არასწორი ანთროპოგენური ზემოქმედების შედეგად დაირღვა მისი სტრუქტურა, დაქვეითდა ჰუმუსისა და საკვებ-ნივთიერებათა შემცველობა, წარმოიქმნა სახნავი ზოლის ქვედა გამკვრივებული ფენა, გაუარესდა ნიადაგის ფიზიკური თვისებები - წყალგამტარობა, ტენტევადობა, აერაცია და სხვ. დადგენილია, რომ ასეთი სახის დეგრადირებულ - "გადაღლილ" ნიადაგებზე მოსავლიანობა დაქვეითებულია საშუალოდ 55-65%-ით.

6.4. სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ციფრული	ჟურნალის/ კრებულის	გამოცემის ადგილი,	გვერდების რაოდენობა

		(დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI ან ISSN	დასახელება და ნომერი/ტომი	გამომცემლობა	
1	Kereselidze D., **Matchavariani L.**, Trapaidze V., Bregvadze G., Gaprindashvili G., Megrelidze I.	Control of soil erosion measures on mountain slopes. p-ISSN: 0254-8704; e-ISSN: 2394-0379	Journal of Environmental Biology, Special Issue "Environment, Biodiversity, Geography", Vol. 41(2)	Triveni Enterprises, Lucknow, India	405-412
2	Lagidze L., **Matchavariani L.**, Svanadze D., Khomasuridze G.	Influence of meteorological factors on ecological conditions of the atmosphere in Tbilisi, Georgia. p-ISSN: 0254-8704; e-ISSN: 2394-0379.	Journal of Environmental Biology, Special Issue "Environment, Biodiversity, Geography", Vol. 41(2)	Triveni Enterprises, Lucknow, India	391-395
3	Avkopashvili M., Gongadze A., Avkopashvili G., **Matchavariani L.**, Lagidze L., Asanidze L.	Metals distribution in soil contaminated by gold and copper mining in Georgia. p-ISSN: 0254-8704; e-ISSN: 2394-0379.	Journal of Environmental Biology, Special Issue "Environment, Biodiversity, Geography", Vol. 41(2)	Triveni Enterprises, Lucknow, India	310-317
4	Elizbarashvili N., Sulkhanishvili N., Meladze G., **Kalandadze B.**, Gordeziani T., Gorgodze T., Donadze Ts., Meladze M., Elizbarashvili R., Sidamonidze D.	Main Problems of the Sustainable Development of the South Caucasus and Processes of Transformation of Landscapes (Ecosystems) Biodiversity.	Journal of Environmental Biology, Special Issue "Environment, Biodiversity, Geography", Vol. 41(2)	Triveni Enterprises, Lucknow, India	382-290

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1. ნაშრომის მიზანია წყლისმიერი ეროზიული პროცესების შესწავლა, მეთოდების შემუშავება, ტერიტორიული ზონირება და მოწყვლადი რაიონების რუკების შექმნა გის-ტექნოლოგიების გამოყენებით, ასევე საქართველოში გამავალი ნავთობისა და გაზსადენების კორიდორების მდგომარეობის რაოდენობრივი შეფასება, და სტიქიური პროცესების წარმოქმნის რისკის შეფასება. კვლევის მეთოდოლოგია ეფუძნება ფერდობზე ნაკადების გადაადგილების შესწავლას. ამ პროცესის გამოსავლენად გამოყენებულია წყლის ნაკადის უწყვეტობის განტოლება, სადაც მნიშვნელოვან პარამეტრს ნიადაგში წყლის ფილტრაციის სიჩქარე წარმოადგენს. ფილტრაციის სიჩქარე დამოკიდებულია ატმოსფერული ნალექის (წვიმების) ინტენსივობასა და ფერდობის დახრილობაზე. გარდა ამისა, ჩეზი-მენინგის ფორმულით იქნა გაანგარიშებული ფერდობული ნაკადის სიმძლავრე და ეროზირებული ნიადაგის მოცულობა.
კვლევები მოიცავს მთის ფერდობებზე წყლისმიერი ეროზიის კვლევას და მასთან ბრძოლის საინჟინრო-ეკოლოგიურ ღონისძიებებს, ასევე მოსალოდნელი რისკების შერბილების ზომებს. კვლევის შედეგებს დიდი მნიშვნელობა აქვს როგორც სამეცნიერო, ისე საინჟინრო და ეკოლოგიური თვალსაზრისით.

შედეგად, შეუშავდა ეროზიის ინტენსიურობის გაანგარიშების მეთოდიკა, რაც აგროტექნიკური, ჰიდროტექნიკური და ფიტომელიორაციული ღონისძიებების გატარების შესაძლობლობას იძლევა. გამოთვლილ იქნა საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში ეროზირებული ნიადაგების რაოდენობა. შესწავლილია ფილტრირებული დინებების შემცირების გზები, რაც მთის ფერდობების შენარჩუნებისა და წყლიამიერი ეროზიული პროცესების ნეგატიური გავლენის შემცირების შესაძლებლობას იძლევა.

2. ატმოსფეროში ანთროპოგენური აეროზოლების ცვალებადობის დინამიკის, მათი განაწილებისა და რთულ ოროგრაფიულ და კლიმატურ პირობებში კონცენტრაციის დადგენა ქ. თბილისში. თბილისში კლიმატის ცვლილების შესაფასებლად გამოყენებულია გარემოს ეროვნული სააგენტოს მასალები ჰაერის დაბინძურების მონიტორინგის შესახებ. სააგენტოს მიერ მიმდინარეობს დაკვირვება ჰაერის ფონურ დაბინძურებაზე, და ავტომატურ რეჟიმში იზომება აეროზოლებისა და მავნე ნივთიერებების კონცენტრაციები. წარმოდგენილია ინდიკატორული გაზომვების ოთხი ეტაპის შედეგები. კვლევისათვის გამოყენებულია სტატისტიკური, კლიმატური და გრაფიკული ანალიზი.
დადგინდა, რომ ძირითადი დამაბინძურებლები – ნახშირორჟანგი, გოგირდის დიოქსიდი, ოზონი, აზოტის ოქსიდები, PM2.5 და PM10 (თვიური და წლიური კონცენტრაციები) – ხშირ შემთხვევაში აღემატება ზღვრულად დასაშვებ ნორმას (ზდნ). აზოტის ოქსიდები და მიწისპირა ოზონი განსაკუთრებით მგრძნობიარეა, რომელთა საშუალო წლიური კონცენტრაციები 1.4-1.8-ჯერ აღემატება ზდნ-ს, რაც ადამიანის ჯანმრთელობაზე აისახება. აღსანიშნავია, რომ ბოლო 5 წელი შეინიშნება ტყვიის საშუალო წლიური კონცენტრაციის შემცირების ტენდენცია. კლიმატის მიმდინარე ცვლილებას ხშირად რთული ხასიათი აქვს, რაც განსაკუთრებით ართულებს მათ შორის მიზეზ-შედეგობრივ კავშირებს და საჭიროებს სწორ მიდგომას და ადაპტაციის ზომების სწორ განსაზღვრას.
მეტეოროლოგიური ელემენტები მნიშვნელოვან როლს თამაშობენ ატმოსფეროში აეროზოლების დაგრო—ვების პროცესში. გამოიკვეთა კორელაციური კავშირი მეტეოროლოგიურ ელემენტებსა და ატმოსფეროს დამაბინძყრებლებს შორის. ქალაქის ტერიტორიაზე ატმოსფეროს დაბინძურების ძირიადი ნაწილი ავტოტრანსპორტზე მოდის. დამაბინძურებელი ნივთიერებების კონცენტრაცია მიწისპირა ფენაში, ხშირად აღემატება ზდნ-ს, რასაც ფიზიკურ-გეოგრაფიული მდგომარეობა და მეტეო-კლიმტური პირობები განაპირობებენ, რაც, თავის მხრივ, ქალაქის მიკროკლიმატის ცვლილებასთან შესაძლო კავშირში უნდა იყოს.

3. კვლევის ძირითადი მიზანია მცირე კავკასიონის (ქვემო ქართლის რეგიონი) მეტალოგენური პროვინციის ნიადაგებში მძიმე ლითონების განაწილების ანალიზი და მათი დაბინძურების ხარისხი ოქროსა და სპილენძის მომპოვებელი საბადოდან. ნიადაგური ნიმუშების ანალიზები ჩატარდა ICP-MC და AAS–ის გამოყენებით. ნიადაგის პროფილში ელემენტების ფარდობითი განაწილების ასახვის მიზნით შემუშავდა სპეციალური ფორმულა.
ლითონების ინტენსიური მოპოვება განაპირობებს დაბინძურების მასშტაბისა და მაჩვენებლის ზრდას. დიდი ხნის განმავლობაში ამინდის (ქარი, წვიმა, თოვლი) მეშვეობით, დაბინძურება შორ მანძილებზე ვრცელდებოდ. მოლეკულური კომპლექსების შექმნამ ნიადაგში შესაძლოა გარკვეული ლითონების შემცირებაზე იქონიოს გავლენა.
კვლევებმა აჩვენა, რომ ელემენტების ატომურმა მასამ შეიძლება გავლენა მოახდინოს ჰაერში მათ მოძრაობაზე. რაც უფრო მსუბუქია ელემენტის ატომური მასა, მით უფრო შორს გადაადგილდება და პირიქით – უფრო მძიმე ატომური მასის მქონე ელემენტები ნაკლებად შორ მანძილებზე აღწევს. კვლევის პროცესში შემუშავებულია ელემენტების ფარდობითი განაწილების ფორმულა, რომლის საფუძველზეც განხორციელდა მათი რაოდენობრივი მაჩვენებლების შედარებითი ანალიზი. მიღებულმა შედეგებმა საშუალება მოგვცა შესწავლილი

ნიადაგების დაბინძურების ხარისხი შეგვეფასებინა.

4. კვლევა ეძღვნება სამხრეთ კავკასიის მდგრადი განვითარების პრობლემებსა და ინდიკატორებს, ამავე რეგიონის ლანდშაფტის (ეკოსისტემების) თანამედროვე და პერსპექტიული მდგომარეობის შეფასების მიზნით. მდგრადი განვითარების მაჩვენებლები არის ინდექსები, რომლებიც გამოიყენება ეროვნული, რეგიონული და გლობალური განვითარების დონისა და ტენდენციების შესაფასებლად. ამგვარი მაჩვენე-ბლების ანალიზს იყენებენ გეოგრაფიული გარემოს პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და ეკოლოგიური განვითარების თავისებურებების პროგნოზირებისთვის. გარემოზე ზემოქმედების შეფასების ძირითადი მიზნებია: 1. ადამიანის ჯანმრთელობის დაცვა, ბუნებრივი გარემო, აგრეთვე კულტურული და მატერიალური ფასეულობები; 2. სახელმწიფოსა და საზოგადოების ეკოლოგიური, სოციალური და ეკონომიკური ინტერესების გათვალისწინება.
კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ სამხრეთ კავკასიაში მდგრადი განვითარების და ბიომრავალფეროვნების შენარჩუნების პრობლემები აქვთ შემდეგ ლანდშაფტებს: მაღალი – ჰიდრომორფული და ქვეჰიდრომორფული, შუა მთიანი ცივი ზომიერი და მაღალმთიანი ალპური; შუა-ბარისა და მთისწინეთის ქვე-ხმელთაშუაზღვის ნახევრად ნოტიო, ვაკე და მთისწინეთის სუბტროპიკული მშრალი, ჩვეულებრივი თერმო-ზომიერი ნახევრად ნოტიო, დაბალი მთიანი, სუბტროპიკული მშრალი, დაბალი მთის თერმო-ზომიერი ტენიანი, შუა მთიანი თერმო-ზომიერი ნახევრად ნოტიო; დაბალი-ვაკე და მთისწინეთში ბორცვიანი სუბტროპიკული ნოტიო, ვაკე და ბორცვიანი სუბტროპიკული სემიარიდი, დაბალი მთიანი სუბტროპიკული სემიარიდი, შუა მთიანი თერმო-ზომიერი ნახევრადარიდი.

7. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

7.1. საქართველოში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	**ლ. მაჭავარიანი**, გ. მეტრეველი, ზ. გულაშვილი, ლ. ლაღიძე	კლიმატის ლოკალურ პარამეტრებზე წყალსაცავის ზემოქმედების შეფასება	3-7 თებერვალი, თბილისი, თსუ მე-8 ყოველწლიური საფაკულ-ტეტო კონფერენცია ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში.
2	ლ. ლაღიძე, **ლ. მაჭავარიანი**, ნ. წივწივაძე, ნ. პაიჭაძე, ნ. მოწონელიძე	მეტეოროლოგიური ფაქტორების გავლენა ატმოსფეროს ეკოლოგიურ მდგომარეობაზე (საქართველო, თბილისი)	3-7 თებერვალი, თბილისი, თსუ მე-8 ყოველწლიური საფაკულ-ტეტო კონფერენცია ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში.
3	ი. კალანდაძე, ე. მღებრიშვილი **ბ. კალანდაძე**	დამლაშება - ნიადაგების დეგრადაციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი (ქვ. ქართლის მაგალითზე)	3-7 თებერვალი, თბილისი, თსუ მე-8 ყოველწლიური საფაკულ-ტეტო კონფერენცია ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში.
მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა)			

1. აბსტრაქტები ქართულ და ინგლისურ ენებზე განთავსებულია თსუ საიტზე:
http://conference.ens-2020.tsu.ge/lecture/view/1460
http://conference.ens-2020.tsu.ge/uploads/5e2ee32cc6484Lia-Matchavariani_geo.pdf
http://conference.ens-2020.tsu.ge/uploads/5e2ee3446822aLia-Matchavariani_eng.pdf

წყალსაცავის გარემოზე ზემოქმედის პროცესი კლიმატის მიმდინარე გლობალური ვარიაციების ფონზე ვითარდება. ლოკალური მახასიათებლების შეფასების სირთულის გამო, ამ ვარიაციების ეფექტის განცალკევება კლიმატზე ზემოქმედებისაგან შესაძლებელია, თუ წინასწარ გამოკვლეული იქნება ამ ფონის კლიმატური პარამეტრები. წინააღმდეგ შემთხვევაში წყალსაცავის გარემოზე ზემოქმედების შეფასება მცდარი იქნება. ასეთი ფონი გამოკვლეული და გათვალიწინებული უნდა იყოს კონკრეტული წყალსაცავის მშენებლობის დაწყებამდე საკმარისი წინსწრებით.

ტრაფარეტის სახით განისაზღვრა კლიმატზე წყალსაცავის ზემოქმედების ინდიკატორები – მეტეოელემენტები: ჰაერისა და წყლის ტემპერატურა (^{0}C), ატმოსფერული ნალექები (მმ), ქარის სიჩქარე და მიმართულება (მ/წმ და გრად.), ტენიანობა (მბ). წყალსაცავის პარამეტრებიდან განსაზღვრულია: მოცულობა, სარკის ფართობი, დონეები, მაქსიმალური და საშუალო სიღრმეები, მაქსიმალური და საშუალო სიგრძე-სიგანეები.

შეიქმნა კლიმატზე წყალსაცავის ზემოქმედების შეფასების მეთოდიკა, რომელიც ორი მეთოდის ერთობლიობას წარმოადგენს: მიმდინარე კლიმატის მიერ შექმნილი ფონის ლოკალური პარამეტრების გამოკვლევა; ლოკალური შედეგების განცალკევება ფონის ლოკალური პარამეტრებისაგან.

კლიმატზე წყალსაცავის ზემოქმედების ყველაზე საიმედო მეთოდია მის აკვატორიაში მოქმედი ჰიდრომეტეო-სადგურების მონაცემებით შექმნილი გრძელი რიგების მათ-სტატისტიკური ანალიზი. შედეგები კორექტირებული უნდა იყოს კლიმატის მიმდინარე გლობალური ცვალებადობის ფონური მახასიათებლების გათვალისწინებით. თუ ასეთი რიგი არ არსებობს, ან "სტატისტიკურად მოკლეა", გამოიყენება "ანალოგის" მეთოდი. ანალოგი-წყალსაცავი შეირჩევა გარემო პირობების მსგავსების მიხედვით. როდესაც ანალოგი წყალსაცავიც არ არსებობს, პროექტირებადი წყალსაცავის კლიმატზე ზემოქმედების შეფასება შესაძლებელია სამი ზოგადი დებულების გამოყენებით: თუ წყალსაცავი არასაკმარისი ატმოსფერული ნალექებისა და თბილი კლიმატის არეშია, იგი აგრილებს და ატენიანებს კლიმატს, და პირიქით, მაღალი ტენიანობისა და ტემპერატურისას, კლიმატის კომფორტული პარამეტრები უარესდება მისი სარკის ფართობის სიდიდის პროპორციულად; ცვლილებები მაქსიმალურია სანაპიროს 200-300 მ სიგანის ზოლში 400-500 მ-მდე, უფრო მოშორებით მისი გავლენა პრაქტიკულად არ შეიმჩნევა; სიმაღლის მიხედვით წყალსაცავის გავლენა დამოკიდებულია შემომსაზღვრელ რელიეფზე და სარკის პარამეტრებზე. არსებული გაზომვების თანახმად მთის წყალსაცავებზე, რომლებიც მაღალი და დიდი დახრილობის მთის კალთებითაა შემოსაზღვრული, წყალსაცავის გავლენა და ტენის კონდენსაციის დონე საშუალოდ 500-700 მ სიმაღლემდე აღწევს.

2. აბსტრაქტები ქართულ და ინგლისურ ენებზე განთავსებულია თსუ საიტზე:
http://conference.ens-2020.tsu.ge/lecture/view/1671
http://conference.ens-2020.tsu.ge/uploads/5e32f90ead2eclamzira-laghidze-GEO.pdf
http://conference.ens-2020.tsu.ge/uploads/5e32f94d00842lamzira-laghidze-ENG.pdf

მე-20 საუკუნის მეორე ნახევრიდან, ატმოსფერომ, როგორც გარემოს ერთ-ერთმა ძირითადმა კომპონენტმა, მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა ანთროპოგენური ფაქტორის ზემოქმედების შედეგად, რამაც, თავის მხრივ, განაპირობა კლიმატის ცვლილება და მისი ზემოქმედება ადამიანსა და ეკოსისტემაზე. კლიმატის ცვლილებასთან ერთად გახშირდა და გაძლირდა ამინდის ექსტრემალური მოვლენები. ზოგიერთი ამ მოვლენის ინტენსიფიკაცია დაკავშირებულია გლობალური კლიმატური სისტემის ცვლილებებთან. აღნიშნული პრობლემა

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია რთული მიკროკლიმატური თავისებურების მქონე ქ. თბილისისათვის, არასწორი ურბანული დაგეგმარების პირობებში, რომელმაც შესაძლებელია კლიმატური პარამეტრების ცვლილება გამოიწვიოს. ქალაქ თბილისისათვის, შეფასებულია და გაანალიზებულია, აეროზოლებისა და მავნე ნივთიერებების გამონაბოლქვის დინამიკა და ქალაქის ეკოლოგიური მდგომარეობა, რომელიც ძირითადად განპირობებულია, გეოგრაფიული მდებარეობის ადგილობრივი სპეციფიკითა და მეტეოროლოგიური ფაქტორებით (სინოპტიკური პროცესები, ინვერსია, იზოთერმია), რომლებიც განაპირობებენ ატმოსფეროში აეროზოლების დაგროვებას და შესაბამისად ქალაქის მიკროკლიმატის ცვლილებას. კლიმატის ცვლილების შესაფასებლად, თბილისისათვის გამოყენებულია გარემოს ეროვნული სააგენტოს, ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების მონიტორინგის მასალები, სადაც დაკვირვება წარმოებს ჰაერის ფონურ დაბინძურებაზე და ასევე ავტომატურ რეჟიმში იზომება აეროზოლების და მავნე ნივთიერებების კონცენტრაციები. ასევე წარმოდგენილია ინდიკატორული გაზომვების ოთხი ეტაპის შედეგები ქალაქ თბილისისათვის. კვლევისათვის გამოყენებულია სტატისტიკური, კლიმატოლოგიური და გრაფიკული ანალიზი. კვლევებმა აჩვენა, რომ თბილისის მასშტაბით, ძირითადი დამაბინძურებლები: ნახშირჟანგი, გოგირდის დიოქსიდი, აზოტის ოქსიდები, ოზონი, PM2.5 და PM10 (ყოველთვიური და წლიური) კონცენტრაციები, უმეტეს შემთხვაში აჭარბებენ ზდკ-ს. განსაკუთრებით მნივნელოვანია აზოტის ოქსიდები და მიწისპირა ოზონი, რომელთა საშუალო წლიური კონცენტრაციები 1.4-1.8-ჯერ აჭარბებს ზდკ-ს, რაც აისახება ადამიანის ჯანმრთელობაზე. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ თბილისში ბოლო 5 წლის (2013-2017) განმავლობაში ტყვიის საშუალო წლიური კონცენტრაციების შემცირების ტენდენცია აღინიშნება. დადგენილია, სხვადასხვა დამაბინძურებლების კავშირი მეტეოროლოგიურ პირობებთან და გამოვლენილია ატმოსფეროს დაბინძურებისათვის ხელშემწყობი სონოპტიკური პროცესები. კლიმატის ცვლილების გამოვლინებებს ხშირად ახასიათებს კომმპ-ლექსური ხასიათი, რაც განსაკუთრებით ართულებს მათ შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირების დადგენას და მოითხოვს პოლიტიკურ ხედვას და ადაპტაციის ღონისძიებების სწორად განსაზღვრას.

3. ქვეყნის წინსვლის ერთ-ერთი ძირითადი პირობაა სასოფლო სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის გადიდება, ეს კი შესაძლებელია დღემდე აუთვისებული დაბალნაყოფიერი ნიადაგების გაკულტურებითა და ინტენსიური მელიორაციულ-ბიოლოგიური მეთოდებით. ქვემო ქართლის ნიადაგებისთვის ყოველთვის პრობლემური იყო დამლაშება, რადგანაც აქ გავრცელებული ნიადაგები და დედა ქანი ბუნებრივად შეიცავს სხვადასხვა ადვილადხსნად მარილებს, მაგრამ ინტენსიურ დამლაშებას ხელი გარკვეულწილად შეუწყო არასწორმა ანთროპოგენურმა საქმიანობამ. კერძოდ, მოსახლეობის მიერ ნიადაგების არასწორმა მორწყ-ვითმა მელიორაციამ. ნიადაგების არასწორმა ექსპლოატაციამ, არანორმირებულმა მორწყვამ კი გამოიწვია ნიადაგების მეორადი დამლაშების პრობლემა.
აღსანიშნავია ის გარემოება, რომ საკვლევ რეგიონში არსებული ნიადაგების ფართობის აბსოლუტური უმეტესობა სახნავია. დღესაც კი ეს ფართობები არ მუშავდება, მოსახლეობა არ ხნავს უკვე რამოდენიმე წელია და ძირითადად ამ ფართობებს სათიბ-საძოვრებად იყენებენ. აღნიშნული კი ხელს უწყობს ნიადაგების გაყამირებას, ხდება ნიადაგების დაჯდომა, მცირდება ფორიანობა, ნიადაგის ტენიანობა და ა. შ. ასევე ხშირად ხდება ამ ტერიტორიების არასწორი მორწყვა, რაც საბოლოოდ იწვევს ნიადაგების მეორად დამლაშებას. ნიადაგების ტენტევადობის ნაკლებობა კი თავის მხრივ იწვევს ნიადაგების სხვადასხვა პარამეტრების ბუნებრივად შეცვლას. საკვლევი ნიადაგები წარმოადგენენ მდელოს რუხ-ყავისფერ სუსტად და საშუალოდ ბიცობიან ნიადაგებს, ადვილად ხსნადი მარილების შემცველობის მიხედვით ეს ნიადაგები მლაშობიანია. დამლაშების ტიპი ბაზილევიჩის კლასიფიკაციის მიხედვით ქლორიდულ-სულფატურია, ხოლო დამლაშების ხარისხი კოვდას კლასიფიკაციით სუსტად დამლაშებულია ნიადაგის 25-90 სმ ფენა.

7.2. უცხოეთში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	**L. Matchavariani**, G. Metreveli, Z. Gulashvili	Estimation of regional parameters of the current climate change background	20th International Multidisciplinary Scientific GeoConference SGEM-2020, Section: Hydrology and Water Resources, 16-25 August, 2020, Albena, Bulgaria (Online Conference)
2	G. Metreveli, **L. Matchavariani** Z. Gulashvili	Main Parameters of the Global Climate Change Background in the Eastern Part of the Black Sea Region	AMS – American Meteorological Society, 19th Conference on Mountain Meteorology (virtual meeting), 13-17 July, 2020, USA
3	M. Tsitsagi, **L. Matchavariani,** G. Ghambashidze, D. Nikolaishvili, E. Nikolaishvili	Multi-Temporal Image Analysis for Alazani River (Georgia) Meandering Change Detection.	20th International Multidisciplinary Scientific GeoConference SGEM-2020, Section: Soils, 16-25 Aug., Albena, Bulgaria (Online Conference)
4	**B. Kalandadze**	Degraded soils-challenges for Georgian landscapes	Transboundary Geopark Management in Iran and the Caucasus. Justus Liebig University Giessen, 25-27 Nov., Giessen, Germany (Digital Conference)

მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა)

1. კლიმატის მიმდინარე გლობალური ცვალებადობა მეტეო- და ოკეანოგრაფიული ელემენტების მნიშვნელოვან ვარიაციებს იწვევს. ყალიბდება კლიმატური ფონი, რომლის უშუალო გავლენის პირობებში მიმდინარეობს წყალსაცავის ზემოქმედება კლიმატზე. კვლევის მიზანია ისეთი მეთოდის შექმნა, რომლითაც შესაძლებელი იქნება კლიმატის ძირითადი ელემენტების ჯამური ეფექტის შეფასება კონკრეტული რაიონისათვის.

კვლევა ეყდნობა სტატისტიკური მეთოდების გამოყენებით კლიმატური ფონის მთავარი მეტეოელემენტების ვარიაციული პარამეტრების განსაზღვრას, რაც შესაძლებელია თეორიული და ემპირიული გზებით. თუმცა, მონიტორინგის შედეგები მეტეო- და ოკეანოგრაფიული ელემენტების დაკვირვებათა „გრძელი რიგების“ შექმნის რეალურ შესაძლებლობას იძლევა.

ფონის მახასიათებლებად შერჩეულია ჰიდრო- და მეტეოელემენტების შემდეგი პარამეტრები: საშუალო არითმეტიკული, ექსტრემალური მნიშვნელობები და ჯამური ნაზრდი, შესაბამისი ტრენდებით, რომლის ნიშანი უჩვენებს ელემენტის განვითარების ტენდენციას და წლიური ნაზრდის სიდიდეს. ფონის უმნიშვნელოვანეს მახასიათებლად მიღებულია კლიმატური ელემენტების ვარიაციის პოლინომური განტოლება.

მეთოდის სადემონსტრაციოდ გამოყენებულია ბათუმის მონიტორინგის რაიონში რეგისტრირებული კლიმატური მოვლენები. 1985-2019 წლების კლიმატურ ფონზე, წინა ინტერვალის ფონთან შედარებით, ნათლად ჩანს ჰაერის და ზღვის წყლის დათბობა, ზღვის დონის ინტენსიური აწევა და ატმოსფერული ნალექების შემცირება ბრიზული ცირკულაციის ზღვარზე.

კლიმატური ფონი არის ჰიდრო- და მეტეოელემენტების სივრცე-დროითი დინამიკის ერთობლივი ეფექტი, განზოგადებული A ალბათობით, დროის კონკრეტული ინტერვალისა და

ტერიტორიისათვის. მოსალოდნელია, რომ ამ ცნების და მეთოდის გამოყენება მნიშვნელოვნად გაამარტივებს წყალსაცავის როლის შეფასებას, მიმდინარე კლიმატური ვარიაციის პირობებში.

2. აბსტრაქტი განთავსებულია ამერიკის მეტეოროლოგიური კავშირის (AMS) საკონფერენციის საიტზე:
https://ams.confex.com/ams/19Mountain/19mountain/papers/viewonly.cgi?password=917616&username=376183

წყალსაცავის კლიმატზე ზემოქმედების შეფასების შედეგები სერიოზულ შეცდომებს შეიცავს. ამის მიზეზია ის, რომ არ არსებობს მეთოდი ან კვლევის სხვა საშუალება, რომლითაც შესაძლებელი იქნება წყალსაცავის კლიმატზე ზემოქმედების რეგიონული და ლოკალური პარამეტრების გამოყოფა კლიმატის გლობალური ვარიაციის მიერ შექმნილი ფონის შესაბამისი პარამეტრებისაგან.

ამ პრობლემის რეალიზაცია მოითხოვს ორი ამოცანის გადაჭრას: ა) შეირჩეს მეთოდი, რომლითაც შესაძლებელია კლიმატური ფონის რეგიონული და ლოკალური მახასიათებლების რიცხვითი მახასიათებლების გაანგარიშება; ბ) წყალსაცავის და კლიმატური ვარიაციის ერთობლივი ზემოქმედების შედეგებიდან გამოიყოს ამ უკანასკნელის ფონური პარამეტრების რიცხვითი მნიშვნელობები.

პრობლემის რეალიზაციის სადემონსტრაციოდ შეირჩა შავი ზღვის აღმოსავლეთი რეგიონი, რადგან აქ არსებობს საკმარისი ტერიტორია, რომელიც თავისუფალია წყალსაცავის ზემოქ-მედებისაგან და მათ ესაზღვრება ისეთი რაიონიები, სადაც წყალსაცავის ზემოქმედება გარემოზე კლიმატური ვარიაციის ფონზე მიმდინარეობს. ამასთან ორივე სივრცეზე მეტეო და ოკეანოგრაფიული პუნქტების რაოდენობა და დაკვირვების ხანგრძლივობა (1874-2019) საკმარისია სტატისტიკურად სიზუსტით გაანგარიშებისათვის.

მონიტორინგის შედეგების ანალიზისთვის შესრულდა შემდეგი ოპერაციები:

ა) შეიქმნა მეტეო და ოკეანოგრაფიული ელემენტების საშუალო წლიური მონაცემების შემდეგი სახის დროისმიერი სტატისტიკური რიგები:

$X_1, X_2, X_3,...X_{n-1},X_n$ n=1, 2, 3,...

სადაც, X_I არის ნებისმიერ ჰიდრომეტეოროლოგიურ ელემენტზე (t, p, h, w და ა.შ.) დაკვირვების გასაშუალოებული მონაცემები.

ბ) შავი ზღვის დონის აწევის (თანამედროვე ევსტაზიის) სასტარტო დროის (1923-1925) მიხედვით განისაზღვრა კლიმატის გლობალური ვარიაციის დაწყების ვადა, რომელიც აღნიშნულ რეგიონში 1900-1905 წლებია;

გ) ამ ვადის მიხედვით რიგები გაიყო ორ ფრაგმენტად. პირველი ფრაგმენტში გაერთიანდა მონაცემები აღნიშნულ ვადამდე (1905 წ.), მეორეში ამ ვადის შემდეგ, ანუ 1906-2019:

$\{X_i\}_{i=1}^{k}$, $\{X_i\}_{i=k+1}^{n}$, i=1,2,3,..,k,k+1,..,n. k=1905, n=2019

ამ ფრაგმენტების ანალიზი შესრულდა უმცირეს კვადრატთა მეთოდიT და გრძელი რიგების მეთოდით. მეტეო და ოკეანოგრაფიული ელემენტების ვარიაციები ყველაზე ზუსტად გამოისახება შემდეგი სახის მესამე რიგის პოლინომური განტოლებით:

$Y = Ax^3 + Bx^2 + Cx + D$

ანალიზის შედეგებმა აჩვენა, რომ მიმდინარე კლიმატურ ვარიაციას 1900-2019 წლბში ახასიათებს აღმავალი განვითარება. მისი პირველი პერიოდის გრაფიკული გამოსახულებაა სინუსოიდა, რომელიც 1900 წლიდან -1990 წლამდე გრძელდება და მაქსიმალური მნიშვნელობა 1940-იან წლებში ჰქონდა. მეორე, ანუ მიმდინარე პერიოდი 1985-1990 წლებში დაიწყო. ამასთან, ანალიზის შედეგების მიხედვით, კლიმატური ვარიაცია 1980-იანი წლებიდან იმდენად გაძლიერდა, რომ მიმდინარე დრომდე (2015-2019) ჰაერის და ზღვის წყლის ტემპერატურამ 1.1-1.2 გრადუსით აიწია, ზღვის დონე, კლიმატის დათბობის გამო 10-12 სმ გაიზარდა, ნალექების

წლიური ჯამი კი პირიქით, 15-17% შემცირდა.

3. ნიადაგები, როგორც ლანდშაფტის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტი მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში კლიმატის ცვლილების ფონზე განიცდის ძლიერ დეგრადაციას. მათ შორის გამონაკლისი არ არის საქართველოს ნიადაგებიც. ამ ცვლილებების ფონზე ჩვენს ქვეყანაში ინტენსიურ დეგრადაციას განიცდის სასოფლო სამეურნეო სავარგულების 35%. მიწის დეგრადაცია საქართველოში განპირობებულია კლიმატურ-რელიეფური თავისებურებებით, გეოდინამიკური პროცესების აქტივობით, ტყეების უკონტროლო ჭრითა და არასწორი სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკით (უკონტროლო ძოვება, დამრეც ფერდობებზე ხვნა, ღია კარიერული წესით სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება და ა.შ.) და, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, საქართველოში დათბობისა და კლიმატის არიდიზაციის პროცესები დროში დაემთხვა ნიადაგების გაძლიერებულ დეგრადაციას, რაც კიდევ უფრო აძლიერებს სოფლის მეურნეობის წარმოების პროდუქტიულობის დაცემას. მიწის დეგრადაციის ერთ-ერთი გავრცელებული ფორმა ჩვენს ქვეყანაში ეროზიაა. ეროზირებულ ნიადაგებს საქართველოში მთელი სასოფლო-სამეურნეო სავარგულების 33% უკავია. ეროზირებული მილიონი ჰექტრიდან 330 ათასი სახნავ-სათესი ფართობია, რომელთაგან 221 ათასი წყლისმიერ ეროზიას განიცდის, 109 ათასი ჰექტარი კი _ ქარისმიერ ეროზიას. ნიადაგების დეგრადაციაში მნიშვნელოვანია ქარისმიერი ეროზიის (დეფლაცია) როლი. აღმოსავლეთ საქართველოში - სამგორისა და ალაზნის ველზე, შირაქის, ტარიბანასა და ელდარის ფართობებზე, ქართლში ხშირად ძლიერი ქარები რამდენიმე დღეში აცლის ნიადაგს 5-6 სმ სისქის ზედა ფენას. ნიადაგის დანაკარგთან ერთად იკარგება საკვები ელემენტებისა და ჰუმუსის დიდი ნაწილი. ეს კი ამ ფართობების გაუდაბნოების რეალურ საშიშროებას ქმნის მთელი თავისი უარყოფითი სოციალურ-ეკონომიკური და ეკოლოგიური შედეგებით.

დეგრადაციის ერთ-ერთი გამოხატულებაა დამლაშებული ნიადაგები. საქართველოს ნახევრად გაუდაბნოებულ ტერიტორიებზე გავრცელებული დამლაშებული და ბიცობი ნიადაგების ფართობი 205 ათას ჰა-ზე მეტია. ქვეყნის მთელი სასოფლო-სამეურნეო სავარგულის 80 პროცენტამდე ღარიბია საკვები ელემენტებით; განსაკუთრებით დამაფიქრებელია, რომ ქვეყნის ყველა რეგიონში შეინიშნება ნიადაგის ნაყოფიერების უმთავრესი მაჩვენებლის – ჰუმუსის მწვავე დეფიციტი და მისი ბალანსი უარყოფითია.

ანგარიშის ფორმა №2

2020 წელს გაწეული სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ანგარიში

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება

თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის დასახელება

გეოგრაფიის დეპარტამენტი , ბუნებათსარგებლობის გეოგრაფიის კათედრა

სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა ხელმძღვანელის მითითებით

1. ხელმძღვანელი ზურაბ სეფერთელაძე /კათედრის გამგე/;
2. ასოც.პროფ. ლამზირა ლაღიძე
3. ასისტ. პროფ.ეთერ დავითაია
4. ასისტ. პროფ. თამარ ალექსიძე

1. სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის პერსონალის მიერ შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

1.1.

№	გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	2	3	4
გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2020 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)			

1.2.

№	დასრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	2	3	4
დასრულებული კვლევითი პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)			

2. შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტით დაფინანსებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

2.1.

№	გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	2	3	4
გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2020 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)			

2.2.

№	დასრულებული (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	2	3	4
დასრულებული კვლევითი პროექტის 2020 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)			

3. უცხოური გრანტებით დაფინანსებული სამეცნიერო პროექტები

3.1. გარდამავალი პროექტი

№	გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი, დამფინანსებელი ორგანიზაცია/ სამეცნიერო ფონდი, ქვეყანა	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	2	3	4
გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2020 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)			

3.2. დასრულებული პროექტი

№	დასრულებული (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი, დამფინანსებელი ორგანიზაცია/სამეცნიერო ფონდი, ქვეყანა	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	2	3	4
დასრულებული კვლევითი პროექტის 2020 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)			

4. პატენტები

4.1. საერთაშორისო პატენტები:

№	საპატენტო თემატიკის სათაური	გამომგონებელი/ები და პატენტმფლობელი/ები	პატენტის საიდენტიფიკაციო კოდი

4.2. ეროვნული პატენტები

№	საპატენტო თემატიკის სათაური	გამომგონებელი/ები და პატენტმფლობელი/ები	პატენტის საიდენტიფიკაციო კოდი

5. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში

5.1. მონოგრაფიები/წიგნები

№	ავტორი/ავტორები	მონოგრაფიის/წიგნის სათაური, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1				
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)				

5. 2. **სახელმძღვანელოები**

№	ავტორი/ავტორები	სახელმძღვანელოს სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
	ზურაბ სეფერთელაძე ეთერ დავითაია თამარ ალექსიძე ნინო რუხაძე	გეოგრაფია ეკოლოგებისათვის	ელექტრონული ვერსია (მეორე გადამუშ. გამოცემის ელ-ვერსია)	151
	ზურაბ სეფერთელაძე	ლანდშაფტური მრავალფეროვნება და დაცული ტერიტორიები (სახელმძღვ. უმაღლესი სასწ. მაგისტრანტ.)	ელექტრონული ვერსია	110
	ეთერ დავითაია	გარემოს	ელექტრონული	143

		მდგომარეობის ფიზიკურ-გეოგრაფიული შეფასება (სახელმძღვ. უმაღლესი სასწ. მაგისტრანტ.)	ვერსია	
	ეთერ დავითაია	ბუნებრივი პროცესები და რისკ-ფაქტორები (სახელმძღვ. უმაღლესი სასწ. მაგისტრანტ.)	ელექტრონული ვერსია	47
	ეთერ დავითაია	გარემოს მონიტორინგი (სახელმძღვ. უმაღლესი სასწ. მაგისტრანტ.)	ელექტრონული ვერსია	156

1. ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

ეკოლოგია შედარებით ახალი სამეცნიერო დარგია. ტერმინი ეკოლოგია პირველად გამოიყენა გერმანელმა ზოოლოგმა ე. ჰეკელმა, 1868 წელს. ეკოლოგიასთან დაკავშირებულია მეცნიერების სხვადასხვა დარგი (ბიოლოგია, ფიზიკა, ქიმია და სხვ.), მათ შორის გეოგრაფია, რომელიც თავისი შინაარსით კონსტრუქციულია. იგი ბუნებრივი გარემოსადმი მიდგომით და კვლევის თავისებურებებით არსებითად განსხვავდება სხვა დარგებისაგან. გეოგრაფია შეისწავლის ბუნებრივი და სოციალურ-ეკონომიკური მოვლენებისა და პროცესების ურთიერთგანლაგების სივრცე-დროით თავისებურებებსა და კანონზომიერებებს. იგი ეკოლოგიური პრობლემების კვლევებისადმი კომპლექსური მიდგომით ხასიათდება. ბუნება თვით არის კომპლექსი, რომელიც შემადგენელი კომპონენტების (ლითოგენური საფუძველი, რელიეფი, ჰავა, წყლები, ნიადაგები და ა. შ.) და მათი შეზავება-შეჯერებით შექმნილი ბუნებრივი კომპლექსებისაგან (ლანდშაფტებისაგან) შედგება. ბუნებრივ გარემოში შექმნილი ეკოლოგიური სიტუაციის სრულფასოვანი შეფასება, ანალიზი და პროგნოზი, კომპლექსური მიდგომით არის შესაძლებელი. არ არის პრობლემა (გლობალური, რეგიონული, ლოკალური), რომელთა გადაწყვეტაში, გეოგრაფიის როლი განსაკუთრებული არ იყოს. ასე მაგალითად, დედამიწის ენერგეტიკული დონის მომატება და კლიმატის ცვლილება, გაუდაბნოება და ნიადაგების დეგრადაცია, ბიოლოგიური და ლანდშაფტური მრავალფეროვნების დაქვეითება და სხვ.

XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისში ეკოლოგია ჩამოყალიბდა, როგორც ბიოლოგიური მეცნიერება, რომელიც სწავლობს, როგორც ორგანიზმების ერთმანეთთან ურთიერთმოქმედებას, ისე ორგანიზმებისა და გარემოს

ურთიერთზემოქმედებას. შემდგომ ეტაპზე საზოგადოების განვითარებასთან ერთად, მოსახლეობის სწრაფი ტემპით ზრდამ, გარემოს ინტენსიურმა ათვისებამ და სხვ. გამოიწვია ბუნებაში წონასწორობის დარღვევა და ეკოლოგიური პრობლემები, კერძოდ; ტყეების განადგურება, ბუნების ცალკეული კომპონენტების (წყალი, ნიადაგი და ა. შ.) დაბინძურება სხვადასხვა ინგრედიენტებით, ბიომრავალფეროვნების დაქვეითება და ა.შ. ყოველივე ამან დღის წესრიგში დააყენა საკითხი, ბუნებრივი გარემოს კომპლექსური კვლევის აუცილებლობისა, რამაც განაპირობა გეოგრაფიის ახალი მიმართულების – გეოეკოლოგიის აღმოცენება.

განვითარების შემდგომ ეტაპზე ვიწრო სპეციალობის ბიოლოგიური ციკლის მეცნიერება განიცდის ევოლუციას, რომელიც შეისწავლის ადამიანის არსებობის პირობებს ეკოლოგიურ გარემოში – კაცობრიობის გონივრულ სფეროში ანუ ნოოსფეროში. იგი სისტემის – ადამიანი-ბუნება-წარმოება კვლევის წამყვან დარგად გადაიქცა. მე-20 საუკუნის 60-იან წლებში განვითარდა სოციალური ეკოლოგია, რომელიც სწავლობს საზოგადოებისა და გარემოს ურთიერთქმედებას. ადამიანის მდგომარეობის შესწავლა ბიოსფეროში ანუ ადამიანის ეკოლოგია სოციალური ეკოლოგიის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიმართულებაა.

სოციალურ ეკოლოგიასთან ერთად ვითარდება ქალაქის ეკოლოგია, ქალაქთმშენებლობის ეკოლოგია, მრეწველობის, ტრანსპორტის, სოფლის მეურნეობის ეკოლოგია, საინჟინრო ეკოლოგია და სხვ. ამრიგად, ეკოლოგიამ შეიძინა მკვეთრად კონსტრუქციული ხასიათი. თანამედროვე ეპოქაში უმთავრესი ბუნებათსარგებლობის გეოგრაფიული ასპექტების კვლევაა, რომელიც გულისხმობს ადამიანთა საზოგადოების დამოკიდებულებას ბუნებრივი გარემოსადმი, განსაკუთრებით კი მისი რესურსული პოტენციალისადმი.

თანამედროვე ეკოლოგიური ამოცანების გადასაწყვეტად, ეკოლოგიასა და გეოგრაფიას შორის ჩამოყალიბდა ახალი სამეცნიერო მიმართულებები – გეოეკოლოგია და ლანდშაფტების ეკოლოგია. გეოეკოლოგია ძირითადად ბუნებაზე ადამიანის უარყოფით ზემოქმედებაზე ამახვილებს ყურადღებას და ამუშავებს რეკომენდაციებს რაციონალური ბუნებათსარგებლობისა და გარემოს დაცვის მიზნით.

ლანდშაფტების ეკოლოგიას, გარემოში მიმდინარე ნეგატიური მოვლენების კვლევაში, დარგობრივ გეოგრაფიულ მეცნიერებებთან (გეომორფოლოგია, კლიმატოლოგია, ჰიდროლოგია და ა. შ.) შედარებით, გარკვეული უპირატესობა აქვს. ლანდშაფტების ეკოლოგია არ შემოიფარგლება ბუნების რომელიმე ერთი კომპონენტის შესწავლით, არამედ ის დეტალურად, მრავალმხრივად და ყოვლისმომცველად იკვლევს ბუნებაში მიმდინარე პროცესებსა და მოვლენებს. მეცნიერების ეს დარგი ჩამოყალიბდა, როგორც ლანდშაფტმცოდნეობის ერთ-ერთი ახალი კონსტრუქციული მიმართულება. მას სახელწოდება – „ლანდშაფტების ეკოლოგია“ უწოდა გერმანელმა მეცნიერმა ტროლმა. იგი შეისწავლის ბტკ-ში მიმდინარე მოვლენებსა და პროცესებს, მასზე ბუნებრივი და ანთროპოგენური ფაქტორების ერთობლივი ზემოქმედების პირობებში.

გეოეკოლოგია ანუ გეოგრაფიული ეკოლოგია საბუნებისმეტყველო და საზოგადოებრივი გეოგრაფიის შედარებით ახალი მიმართულებაა, რომელიც სივრცესა და დროში შეისწავლის გეოგრაფიული გარსის ეკოლოგიური ხასიათის პრობლემებს, ლანდშაფტურ-ეკოლოგიურ ვითარებას, გარემოს ეკოლოგიურ მდგომარეობას (სადაც ადამიანისა და ბუნების ურთიერთობის ყველა ასპექტი და ეკოლოგიური ვითარება განიხილება). გეოეკოლოგიისათვის უმთავრესი ეკოლოგიური ვითარების განსაზღვრა, ტერიტორიის ათვისებისა და მისი შემდგომი განვითარების ანალიზი და პროგნოზირებაა. გეოეკოლოგიური პრობლემების კვლევისას მთავარი ბუნებისა და ადამიანის

ურთიერთდამოკიდებულებათა კომპლექსური შესწავლაა. ბუნება ადამიანის ცხოვრებისა და მოღვაწეობის გარემო, მისი არსებობის წყარო, შრომის საგანი და გარდაქმნის ობიექტია. კაცობრიობის განვითარების მთელი ისტორიის მანძილზე ურთიერთდამოკიდებულება ადამიანსა და ბუნებას შორის იყო ცალმხრივი იმ გაგებით, რომ ადამიანი ბუნებისაგან იღებდა მისთვის საჭირო რესურსებს და უბრუნებდა მას მხოლოდ საწარმო ნარჩენებს. პირველყოფილი თემური წყობილების, მონათმფლობელობის და ფეოდალიზმის დროს საზოგადოების ზემოქმედებით ბუნებაში არსებული წონასწორობის პროცესი ნაკლებად ირღვეოდა. გეოგრაფიულ გარემოზე ანთროპოგენური დატვირთვა ლოკალურ ხასიათს ატარებდა. კაპიტალიზმის განვითარებასთან ერთად ხდება რესურსების ინტენსიური ათვისება, ბუნება კარგავს თვითაღმდგენის უნარს. ლანდშაფტებზე ძლიერდება ანთროპოგენური ზემოქმედება (ხვნა, მორწყვა, ჭაობების დაშრობა, წიაღისეულის დამუშავება, რეკრეაციული და ანთროპოგენური ლანდშაფტების შექმნა და სხვ.).

2. ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

სალექციო კურსი „ლანდშაფტური მრავალფეროვნება და დაცული ტერიტორიები“ განკუთვნილია სამაგისტრო პროგრამაზე „ფიზიკური გეოგრაფია და გარემოს მდგრადი განვითარება“ თსუ პირველი კურსის მაგისტრანტთათვის. მასში განხილულია: ლანდშაფტური და ბიოლოგიური მრავალფეროვნების მნიშვნელობა, საქართველოსა და მსოფლიოს ლანდშაფტური და ბიოლოგიური მრავალფეროვნება, მრავალფეროვნების რეგიონული თავისებურებანი და დაცული ტერიტორიების როლი მრავალფეროვნების შენარჩუნების საქმეში.

მსოფლიოს ლანდშაფტური მრავალფეროვნება შედარებით სუსტადაა შესწავლილი. ამ მხრივ შედარებით უკეთესი მდგომარეობა აქვთ ბიოლოგებს, რომელთაც ცალკეული ქვეყნების ბიომრავალფეროვნების შესწავლის საქმეში საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ წარმოდგენილი სპეციალური მეთოდიკა გააჩნიათ (მაგ. მსოფლიო ბანკის).

უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ ბევრ ქვეყანაში არ არსებობს არა მხოლოდ ლანდშაფტური, არამედ ბიომების რუკებიც. ამ თვალსაზრისით აღსანიშნავია (А. Г. Исаченко и А. А. Шляпникова) ნაშრომი „Ландшафты“ (1989). მასში განხილულია დედამიწის ლანდშაფტები ცალკეული კონტინენტების მიხედვით. ასევე უნდა აღინიშნოს ორი რუკა, რომელიც მომზადდა МГУ -ში პირველი ეხება „მსოფლიო ლანდშაფტების გეოგრაფიულ სარტყლებს და ზონალურ ტიპებს“ და მეორე „მსოფლიოს თანამედროვე ლანდშაფტებს“. მასშტაბი 1:15000000. მოგვიანებით გამოიცა კაპიტალური ატლასი „დედამიწის ბუნება და რესურსები“ (1998), მასში მოცემულია რუკა ლანდშაფტების ზონალური ტიპების შესახებ. უნივერსიტეტებსშორისი ჯგუფის „Интерстекс“ და საფრანგეთის გეოგრაფ– ლანდშაფტმცოდნეების მიერ შედგენილ იქნა დედამიწის ლანდშაფტური რუკა. მასზე ფერებითა და ნიშნებით ნაჩვენებია ლანდშაფტების დროითი სტრუქტურა, რისთვისაც გამოყენებულია ლანდშაფტურ-ეკოლოგიური ფორმულა. ასევე აღსანიშნავია კაპიტალური ნაშრომი „ლანდშაფტური და ბიოლოგიური მრავალფეროვნება“ (ნ. ბერუჩაშვილი, რ. გაგნიძე, ა. გეგეჭკორი და სხვ. 2006). ნაშრომში დეტალურადაა განხილული საქართველოსა და მსოფლიოს ლანდშაფტური და ბიოლოგიური მრავალფეროვნების საკიტხები, გაანალიზებულია ბიომრავალფეროვნების როლი და მნიშვნელობა ბიოსფეროსა და გეოგრაფიული გარემოს მდგრადი განვითარების საქმეში. მოცემულია საქართველოს ადგილი მსოფლიოს ბიომრავალფეროვნებებში.

მნიშვნელოვანია საკითხი ცალკეული ქვეყნების ლანდშაფტური მრავალფეროვნების შესახებ, სადაც პირველი სამეული (მსოფლიოს ლანდშაფტური რუკის საფუძველზე გამოთვლით) ასე გამოიყურება; ჩინეთი, აშშ, რუსეთი. აღნიშნულ ქვეყნებს გააჩნიათ ლანდშაფტური ჯგუფების თითქმის ერთნაირი რაოდენობა. მომდევნო ადგილებს იკავებენ: ავსტრალია, მექსიკა, ინდოეთი, კანადა, ბრაზილია, არგენტინა. ქვეყნების შემდეგ სამეულში ლანდშაფტური მრავალფეროვნების მიხედვით ხვდებიან თურქეთი, ჩილე და საქართველო (ნ. ბერუჩაშვილი, 2000).

ლანდშაფტური მრავალფეროვნებით ყოველ 10000 კმ^2 -ზე გამოთვლით საქართველო-ევროპაში პირველ ადგილზეა და უსწრებს ისეთ სახელმწიფოებს, როგორებიცაა იტალია, საფრანგეთი, ესპანეთი, საბერძნეთი. ბიომრავალ-ფეროვნებისაგან განსხვავებით, როცა დიდ ქვეყანას შეიძლება გააჩნდეს მცირე ბიომრავალფეროვნება, ლანდშაფტური თვალსაზრისით სურათი განსხვავებულია, კერძოდ, დიდი ქვეყნები დიდი ლანდშაფტური მრავალფეროვნებით გამოირჩევიან. რაც განპირობებულია არა მხოლოდ ჰიდროთერმული პირობებითა და ფლორისა და ფაუნის ფორმირების ისტორიით, არამედ გეოლოგიურ-გეომორფოლოგიური თავისებურებებით. სახელდობრ, მხედველობაშია რელიეფის დანაწევრება და მასთან დაკავშირებული ლანდშაფტების დიფერენციაცია. ზომიერ გეოგრაფიულ სარტყელში განლაგებული ქვეყნები ლანდშაფტებთან მიმართებაში არა მხოლოდ ჩამორჩებიან ტროპიკულ ქვეყნებს, არამედ ცალკეულ ნაწილში აღემატებიან კიდეც. ამაზონის დაბლობის ჰილეები მაღალი ბიომრავალფეროვნებით გამოირჩევიან, სადაც, არცთუ ისე დიდ ფართობზე, რამოდენიმე კმ^2-ზე, შეიძლება შეგვხვდეს 1000 სახე უმაღლესი მცენარეებისა, მაშინ, როცა იგივე ჰილეების 1000-ობით კმ^2-ზე გადაჭიმულ ტერიტორიებზე ერთი და იგივე ლანდშაფტებია.

ლანდშაფტური მრავალფეროვნებით ჩრდილოეთი და სამხრეთი ამერიკის ქვეყნები უსწრებს მსოფლიოს სხვა ქვეყნებს. აქ ქვეყნების ხუთეული ასე გამოიყურება; აშშ, კანადა, მექსიკა, ბრაზილია, არგენტინა. ევრაზიის კონტინენტზე კი ხუთეული შემდეგნაირად განლაგდნენ; ჩინეთი, რუსეთი, ინდოეთი, თურქეთი და საქართველო. შედარებით დაბალი ლანდშაფტური მრავალფეროვნებით გამოირჩევა აფრიკა, რაც დაკავშირებულია უმეტესი ქვეყნების რელიეფის დაბალ დანაწევრების ხასიათთან, რელიეფის ერთგვაროვნებასთან, მთები ხომ კონტინენტის აღმოსავლეთ ნაწილშია განლაგებული. დასავლეთ და ცენტრალურ ევროპას ლანდშაფტური მრავალფეროვნებით შუალედური მდგომარეობა უჭირავს. მაღალი ლანდშაფტური მრავალფეროვნება აქვს; საფრანგეთს, იტალიას, ესპანეთს, საბერძნეთს და ნორვეგიას. ავსტრალიის კონტინენტზე ლანდშაფტური მრავალფეროვნებით აღმოსავლეთი მთიანი ნაწილი გამოირჩევა. და, ბოლოს ყველაზე დაბალი ლანდშაფტური მრავალფეროვნება გასაგები მიზეზების გამო ანტარქტიდის კონტინენტზეა.

ბიოლოგიური მრავალფეროვნების გამოსათვლელად ხშირ შემთხვევაში გამოიყენებენ სხვადასხვა კოეფიციენტებსა და ფორმულებს. ასევე მხედველობაში იღებენ სახეობათა რაოდენობას ფართობის (ჩვეულებრივ 10 000 კმ^2) ერთეულზე. როგორც უკვე აღინიშნა ლანდშაფტური მრავალფეროვნება უფრო მჭიდროდაა დაკავშირებული ფართობთან, ვიდრე ბიოლოგიური მრავალფეროვნება. უბრალო გამოთვლითაც კი ნათელი ხდება, რომ თუ ლანდშაფტების რაოდენობას გავიანგარიშებთ 10 000 კმ^2 ფართობის ერთეულზე მაშინ შესაძლებელია პირველ ხუთეულში აღმოჩდნენ ისე პატარა ქვეყნები, როგორიცაა ლიბანი, კატარი. ამ შემთხვევაში სომხეთი, რომელიც ფართობით ჩვენს ქვეყანაზე პატარაა გაუსწრებს საქართველოს. ნათელია, რომ დაახლოებით თანაბარი ფართობის მქონე ქვეყნებში ლანდშაფტური მრავალფეროვნების გამოსათვლელად საჭიროა სპეციალური კოეფიციენტის შემოტანა, ანალოგიურად ბიოლოგიური მრავალფეროვნების ინდექსისა (ნ. ბერუჩაშილი 2000).

3. ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

თუ გეოგრაფიის ორი დარგი - ფიზიკური გეოგრაფია და ეკონომიკური გეოგრაფია დამოუკიდებელი მეცნიერებებია, იარსებონ დამოუკიდებლად, პირველმა როგორც საბუნებისმეტყველომ, მეორემ, როგორც საზოგადოებრივმა. ეს ძალზე არასწორი მსჯელობაა იმიტომ, რომ ეკონომიკური გეოგრაფია არ შეიძლება განვითარდეს ფიზიკური გეოგრაფიის გარეშე, რადგანაც საზოგადოება ცხოვრობს და ვითარდება ბუნების წიაღში, იყენებს მის ბუნებრივ რესურსებს. ეკონომიკური გეოგრაფიის გარეშე ფიზიკური გეოგრაფიაც კარგავს პრაქტიკულ-გამოყენებით მნიშვნელობას.
ამჟამად მთავარ პრობლემას წარმოადგენს გეოგრაფიული მეცნიერების შემდგომი განვითარების საკითხი და ანთროპოგენური ფაქტორის განსაზღვრა. სწორედ აქ იკვეთება გეოგრაფიის კონსტრუქციულ-გამოყენებითი მნიშვნელობა, რაც გამოიხატება გეოგრაფიული გარემოს დაცვის და ადამიანთა შემდგომი თაობის კომფორტულობის თვალსაზრისით, მის რაციონალურად გარდაქმნა-გამოყენებაში.

თანამედროვე გეოგრაფია უკვე აღარ არის მხოლოდ აღწერილობით-შემეცნებითი მეცნიერება, მან ეს ეტაპი უკვე გაიარა და ამჟამად ის ვითარდება როგორც ექსპერიმენტულ-გამოყენებითი მიმართულება; მისი კვლევის ობიექტი ბუნებრივია კვლავ გეოგრაფიული გარსია, ნაგრამ უკვე გარდაქმნილი, სახეშეცვლილი და ათვისებული ადამიანთა მრავალი თაობის მიერ. ამიტომაც ამჟამად გეოგრაფიის ამოცანა ამ გარსის დაცვისა და რაციონალური გამოყენების მიზნით სწორი მეცნიერული თეორიული საფუძვლების შემუშავებაა.

თანამედროვე ადამიანი ამ გარდაქმნილ გარემოში აწყდება მისი სოციალური და ბიოლოგიური განვითარებისათვის ძალზე უარყოფით პროცესებსა და მოვლენებს, რამაც წარმოშვა ახალი დაავადებები – ნერვოზი, სტრესი; გახშირდა გულ-სისხლძარღვთა და ონკოდაავადებები. ისმის კითხვა: თანამედროვე გარემოს შემსწავლელი მეცნიერებებიდან რომელს უფრო ხელეწიფება და რომელს ძალუძს ამ პრობლემის (გარემოს მდგრადი განვითარება) მეტნაკლებად მოგვარება, ყველა იმ პრაქტიკული საკითხების დამუშავება, რომელიც შეამსუბუქებს ზემოაღნიშნულ პრობლემებს და უზრუნველყოფილი იქნება ადამიანთა საზოგადოების შემდგომი ჰარმონიული და უსაფრთხო განვითარება? პასუხი ცალსახაა ეს უნდა იყოს გარემოს კომპლექსურად შემსწავლელი მიმართულება და ეს თანამედროვე ფიზიკური გეოგრაფიაა.

თანამედროვე გეოგრაფიის კონსტრუქციული მიმართულების თეორიული საფუძველი უნდა იყოს რეგიონალიზმისა და ეკოლოგიზმის პრინციპი (გერასიმოვი, 1984). ამჟამად ერთხმად აღიარებულია, რომ ბუნების ერთ რომელიმე კომპონენტზე ზემოქმედებით მიღებული სახეცვლილება მყისიერად იწვევს ჯაჭვურ რეაქციას სხვა კომპონენტებზე და საბოლოოდ კი მთელ კომპლექსზე, რაც ბუნებრივია ზემოქმედებს მათ სამეურნეო გამოყენების პირობებზე.

ამგვარად, თანამედროვე გეოგრაფია არის ბუნებრივი გარემოს მმართველი მეცნიერება. ის უკვე ხარისხობრივი და აღწერილობითიგეოგრაფიული დახასიათებებიდან, რომელიც ასე ტრადიციული იყო წარსულში, გადადის რაოდენობრივ, გაცილებით ზუსტ შეფასებებში, რომელთაც აქვთ კონკრეტული ტექნიკური და ეკონომიკური შინაარსი. ყოველივე ამის განსახორციელებლად საჭიროა ძველთან ერთად, კვლევის ახალი და უახლესი მეთოდების გამოყენება, რითაც ჩვენი ” უხუცესი” და უძველესი მეცნიერება

ახალ სიცოცხლეს შეიძენს.

და ბოლოს, ჩამოვაყალიბოთ ფიზიკური გეოგრაფიის ძირითადი პრობლემები, გეოსისტემური კვლევის თვალსაზრისით:

1. გეოსისტემების მოდელირება მათი სპონტანური ანთროპოგენური დინამიკის საფუძველზე
2. გეოსისტემების და ლანდშაფტშემქმნელი ფაქტორების რაოდენობრივი შეფასების რაციონალური ხერხების ძიება, მათემატიკური აპარატის მოშველიებით
3. გეოგრაფიული გარსის სივრცითი კავშირების სისტემური ანალიზი, როგორც პლანეტარულ, ისე რეგიონულ და ტიპოლოგიურ დონეზე
4. ანთროპოგენური ფაქტორების გარემოზე ზემოქმედების კვლევა და გეოსისტემების ფუნქციონირების ტრაექტორიის პროგნოზირება.

დედამიწის გეოგრაფიული გარსი, რომელიც მიჩნეულია ფიზიკური გეოგრაფიის კვლევის ძირითად ობიექტად, წარმოადგენს შედგენილობისა და აგებულების მიხედვით, ურთულეს დედამიწის ზედაპირის გარე ფენას, რომლის ფარგლებშიც ერთმანეთს ეხებიან და ურთიერთიჭრებიან ლითოსფერო, ჰიდროსფერო, ატმოსფერო და ბიოსფერო. მისი სისქე დაახლ. 40 კმ–ია (ზედაპირიდან ქვემოთ – 10–11 კმ, ზედაპირიდან ზემოთ – 25–30 კმ).

ამ სისტემისათვის დამახასიათებელია თავისუფალი ენერგიის სიუხვე და მრავალფეროვნება, ნივთიერებების სხვადასხვა აგრეგატული მდგომარეობა, ორგანული სამყაროს და ადამიანთა საზოგადოების არსებობა და სხვ.

გეოგრაფიული გარსის სხვადასხვა ნაწილებს მრავალი მეცნიერება შეისწავლის, როგორც საბუნებისმეტყველო, ისე არასაბუნებისმეტყველო, მაგრამ მას, როგორც ერთიანს და მთლიანს მხოლოდ ფიზიკური გეოგრაფია განიხილავს, რის დამოც მას ეწოდა დედამიწის გეოგრაფიული გარსი. ზოგჯერ ის მოიხსენიება ლანდშაფტური გარსის სინონომად, რაც ჩვენი და რიგი სხვა მეცნიერის (რიაბჩიკოვი, მილკოვი) აზრით, სწორი არ არის, ვინაიდან ლანდშაფტური გარსი მხოლოდ ნაწილია გეოგრაფიული გარსისა, რომლის სიმძლავრე (სიმაღლე) 5–150 მ არ აღემატება.

ლანდშაფტების დიფერენციაცია და ფიზიკურ–გეოგრაფიული დარაიონება წარმოადგენს კომპლექსური ფიზიკური გეოგრაფიის ერთ–ერთ უმთავრეს პრობლემას, რომელსაც, გარდა თეორიულისა, დიდი პრაქტიკულ–გამოყენებითი მნიშვნელობა აქვს. აღნიშნული პრობლემის თეორიული მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ გამოვლენილ იქნეს განსხვავებული ბუნებრივი პირობებისა და მასში მიმდინარე გეოგრაფიული პროცესების მქონე რეგიონები, რაც პრაქტიკულად ხელს შეუწყობს მეურნეობის დარგების რაციონალურად განვითარება–განლაგებას.

ბუნებრივ–ანთროპოგენული ლანდშაფტების დაჯგუფება–შეთანაწყობისაგან შექმნილი რეგიონების გამოყოფას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენების, ბუნებათსარგებლობისა და გარემოს დაცვის ღონისძიებათა დაგეგმვის საქმეში.

ბუნების გარდაქმნა, მისი დაცვა და ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენება მოითხოვს ჩვენი ქვეყნის ცალკეული რეგიონების დეტალურ დარაიონებას სამეურნეო–გამოყენებითი მიზნებისათვის. ბუნებისა და მისი პროცესების ცონას დიდი მნივნელობა აქვს ქალაქების, სამრეწველო ცენტრების, რკინიგზებისა და ავტომაგისტრალების მშენებლობისა და მისი ექსპლუა–ტაციისათვის.

ლანდშაფტი, იგივე ბუნებრივ-ტერიტორიული კომპლექსი (ბტკ) დინამიური, დროსა და სივრცეში განმეორებადი სისტემაა, რომელიც შედგება დამოუკიდებელი, მაგრამ ამავდროულად, ერთმანეთთან მჭიდროდ ურთიერთდაკავშირებული კომპონენტებისაგან (ნაწილებისაგან). რა არის გეოგრაფიული კომპონენტები. ისინი არიან დედამიწის გეოგრაფიული გარსის შემადგენელი ნაწილები, გარკვეული ნივთიერი აგრეგატული შემადგენლობით, მასითა და ფუნქციონალური თვისებებით.

ანთროპოგენური ლანდშაფტების კვლევა – თანამედროვე ფიზიკური გეოგრაფიის ძირითადი პრობლემაა. ბუნებისა და საზოგადოების ურთიერთმოქმედების თანამედროვე ეტაპზე საზოგადოების ბუნებაზე ურთიერთმოქმედებამ არნახულ მასშტაბებს მიაღწია და თავისი შედეგებით გაუტოლდა თვით გეოლოგიურ ფაქტორსაც. თითქმის არ დარჩა, ადამიანის უშუალო თუ ირიბი ზემოქმედებით, ბუნებრივი ლანდშაფტები პირვანდელი სახით. ანთროპოგენური კომპლექსების კვლევა, კერძოდ კი მათი კლასიფიკაციის, კარტოგრაფირების და რაციონალური ბუნებათსარგებლობის საკითხები ერთობ აქტუალურია.

როგორც აღინიშნა, ადამიანთა საზოგადოების ბუნებაზე ზემოქმედებით ხდება სხვადასხვა გენეტიკური წარმოშობის კომპლექსების – ანთროპოგენური ლანდშაფტების ფორმირება. არ შეიძლება არ დავეთანხმოთ მოსაზრებას იმის შესახებ, რომ (მილკოვი, 1977) ანთროპოგენური ლანდშაფტების როლი დედამიწის ლანდშაფტური გარსის სტრუქტურაში ისეთი ტემპით იზრდება, რომ ამ შემთხვევაში ანთროპოგენური ფაქტორის როლი თანამედროვე ლანდშაფტების დიფერენციაციაში ლანდშაფტმცოდნეობის ერთ-ერთ ძირითად პრობლემას წარმოადგენს.

4. ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

გეოგრაფია ზოგადად, არის მეცნიერება, რომელიც საზოგადოებაში აღიქმება როგორც მეცნიერება ბუნებრივი და სოციოსისტემების სივრცითი განაწილების კომპლექსური მონაცემების შესახებ.. გეოგრაფია უძველესი დროიდან ამ ამოცანას ემსახურება, საინჟინრო-დაგეგმარებითი მიმართულება კი გეოგრაფიაში დიდი ხნის განმავლობაში არ მოიაზრებოდა, მაგრამ დროთა ვითარებაში დღის წესრიგში დადგა გეოგრაფიული სივრცის ორგანიზაციის, მოწესრიგების საკითხი, როცა სოციო-ეკონომიკურთან ერთად, პირველ რიგში გათვალისწინებულ უნდა იქნას ლანდშაფტის პოტენციალი. ეს პრობლემა განსაკუთრებით აქტუალურია მთიან მხარეებში, როცა ლანდშაფტის პოტენციალის ამა თუ იმ სახით გამოყენება ქმნის მთელ რიგ პრობლემებს. სწორედ ამ საკითხებით უნდა იყოს დაკავებული თანამედროვე გეოგრაფია.

ლანდშაფტების ათვისებისას ყალიბდება სხვადასხვა კონფლიქტური სიტუაცია, კერძოდ სამეურნეო დარგების და დასახლებების არარაციონალური განლაგება და სხვ. რაც ლანდშაფტური დაგეგმარების სახელწოდებითაა ცნობილი. ტერმინი „ ლანდშაფტური გეგმა“ შემოღებულ იქნა გერმანელი და ინგლისელი ლანდშაფტური არქიტექტორების ლექსიკონიდან. გერმანულენოვან ქვეყნებში ამ ტერმინში იგულისხმება „ ლანდშაფტზე ზრუნვის გეგმის“ შემოკლებული ვარიანტი. ბოლო წლებში ამ ტერმინმა თანდათან შეითავსა სამეცნიერო მონაცემები, უპირველეს ყოვლისა, სამეცნიერო-მებაღეობის და ვიწრო ეკოლოგიური. ლანდშაფტური არქიტექტორები თანდათან მივიდნენ იმ დაკვნამდე, რომ გეოგრაფიული მონაცემები წარმოადგენენ ეფექტური „ლანდშაფტური გეგმის“ შედგენის ძირითად საფუძველს.

„ლანდშაფტური გეგმა“ სხვანაირად იგივეა, რაც ლანდშაფტის რაციონალური გამოყენებისა და დაცვის სწორი სივრცითი ორგანიზაცია, როცა ეკოლოგიური პრობლემები მინიმუმამდეა დაყვანილი. იმისათვის, რომ გეგმა ემყარებოდეს გეოგრაფიულ კრიტერიუმებს, ის უნდა იყოს ინტეგრალური (მოიცავდეს როგორც ბუნებრივ, ისე

სოციალ-ეკონომიკურ ნიშნებს), რაც განპირობებულია გეოგრაფიის მიერ ბუნებრივ-სოციო-ეკონომიკური სისტემების კომპლექსური შესწავლით.

„ლანდშაფტური გეგმა“ შედგება ორი ძირითადი ნაწილისაგან – ლანდშაფტური დიაგნოზი და ლანდშაფტური პროგნოზი.

ლანდშაფტური დიაგნოზი. დიაგნოზის დასმის პირველი ნაბიჯია ლანდშაფტის სტრუქტურის განსაზღვრა, იმ სტრუქტურისა, რომელიც ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში იქმნებოდა ბუნების მიერ და ახლა უნდა მოხდეს მისი რეკონსტრუირება. სტრუქტურის შესწავლა აუცილებელია იმითაც, რომ მის დინამიკასა და ფუნქციონირებას განსაზღვრავენ ბუნებრივი კანონები, რომელთა მოქმედებაც ფართოდ აღინიშნება ანთროპოგენიზირებულ ლანდშაფტებზე, როგორც დადებით, ისე უარყოფითი სახით. შემდგომში ხდება უკვე ჩამოყალიბებულ ანთროპოგენურ სტრუქტურაზე თვალყურის დევნება

ადამიანისა და ბუნების ურთიერთზემოქმედების პროცესში, ერთ-ერთი საინტერესოა რისკის ფაქტორის გათვალისწინება.

– საზოგადოდ მიღებულია, რომ რისკი ყველა ცოცხალი ორგანიზმის განუ-ყოფელი ნაწილია. ადამიანის ამა თუ იმ არასასურველ ზემოქმედებას კი ყოველთვის თან ახლავს რისკი. როგორია გამოსავალი? არავითარი ზემოქმედება ბუნებაზე! ეს შეუძლებელია, ამიტომ რჩება ერთი გამოსავალი – შესაძლებელი ზემოქმედების „რისკის“ შეფასება, რითაც მიიღწევა არასასურველი ფაქტორის გავლენის მინიმიზაცია.

ეკოლოგიური რისკი დაკავშირებულია გარემოს დაბინძურებას, ბუნებრივი რესურსების ამოწურვასა და სხვა ბუნებრივ კატაკლიზმებთან. აქედან გამომდინარე,

არსებობს „რისკის “ ცნების სამი განმარტება (Мягков, 1995):

1. რისკი – ალბათობა იმ მოვლენებისა, რომელსაც მოაქვს სოციალური და მატერია-

ლური ზარალი. ამ დროს რისკისთვის ხშირად დამახასიათებელია საშიში სიტუაციის მოულოდნელობა.

2. რისკი – ზარალი (დანაკარგი) მიღებული რომელიმე კონკრეტული მოვლენის

არაუშუალო ზემოქმედებით.

3. რისკი – რომელიმე მოვლენის უშუალო ზეგავლენით მიღებული ზარალი.


რისკის ცნებასთან ასევე დაკავშირებულია საშიშროებისა და უსაფრთხოების ცნებები. ეკოლოგიური საშიშროება ეს არის გარემოში არასასურველი პროცესების და მოვლენების რეალიზაციის შესაძლებლობა, რომელიც აუარესებს გარემოს ეკოლოგიურ მდგომარეობას. ჩვენთვის პირველ რიგში, მნიშვნელოვანია ადამიანის და ბუნებრივი გარემოს უსაფრთხოება. მისი რაოდენობრივი შეფასებისას გამოიყენება „სკალა“, რომელიც დაყოფილია რისკის ერთეულებად (Вашалова и др. 2002). აღნიშნული სკალის მიხედვით, ეკოლოგიური უსაფრთხოების გასაშუალებულ ერთეულად მიღებულია ადამიანის სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის მაჩვენებელი.

უნდა ავღნიშნოთ, რომ გარემოს მონიტორინგის ერთ-ერთი ძირითადი საკითხია ბტკ-ს მოდელირება. ბუნებრივი სისტემების მოდელირებისას კი, უპირველეს ყოვლისა, უნდა მივაღწიოთ ბუნებრივი პროცესების მდგრად განვითარებას. აქვე, საინტერესოა როგორ განვითარებას ვუწოდებთ „მდგრადს“. ერთი და იგივე სისტემა შეიძლება იყოს მდგრადი ერთი მოსაზრებით (მკვლევარის), ხოლო მეორე მოსაზრებით – არამდგრადი. მდგრადობა კი ბტკ-ბის ერთ-ერთი ფუნდამენტური ცნებაა. როცა ლაპარაკია ეკოსისტემის მდგრადობაზე, აშკარად თუ შენიღბულად, გულისხმობენ შემდეგს: არსებობს ეკოსისტემა, რომელიც განიცდის ანთროპოგენურ ან ბუნებრივ ზემოქმედებას, რის შედეგაც მისი კომპონენტები, ან პარამეტრები ღებულობენ გარკვეულ მნიშვნელობას (დადებითს, ან უარყოფითს). ეს იმას ნიშნავს, რომ ეკოსისტემის მდგრადობის რაოდენობრივი

მახასიათებლების დადგენისას, განსაზღვრულ უნდა იქნას, როგორც ზემოქმედების ხარისხი, ისე ეკოსისტემის პარამეტრების ან კომპონენტების კრიტიკული მნიშვნელობები. ამგვარად, ეკოსისტემის მდგრადობა ზემოქმედების მიმართ, არის მისი უნარი შეინარჩუნოს შინაგანი სტრუქტურული კავშირები და მდგომარეობა, ან გადავიდეს მეორე სახის მდგრად მდგომარეობაში, სხვა სტრუქტურული კავშირებით და მდგომარეობით (Пригожин И., Стенгерс И. и др. 2006), როცა სისტემაში იქმნება ისეთი სიტუაცია, რომელმაც შესაძლებელია ის მიიყვანოს არამდგრად მდგომარეობამდე. პირველ რიგში აუცილებელია იმ რისკის ოდენობის შეფასება, რომელმაც სისტემა, დროის გარკვეულ პერიოდში, მიიყვანა არამდგრად მდგომარეობამდე. ეს შესაძლებელია მოხდეს ძლიერი ანთროპოგენური ზემოქმედებით, ან მცირე, მაგრამ ხშირი აფეთქებებით; მოდელში ამ შემთხვევაში გათამაშდება რამდენიმე სცენარი

(სქ. №1) და მოხდება სისტემის არამდგრად მდგომარეობაში გადასვლის სავარაუდო შეფასება. ამ ვარაუდის რიცხვითი მნიშვნელობები ახასიათებენ არამდგრადი სისტემის „რისკს". რისკის მართვის ბოლო ეტაპია ეკონომიკური ზარალის შეფასებას.

სქ. №1



ამგვარად, გარემოზე ანთროპოგენური ზემოქმედებისა და, თვით ანთროპოგენური ლანდშაფტების კომპლექსური კვლევა მოითხოვს ამ სისტემის კლასიფიკაციას და კარტოგრაფირებას, რომელთაც საფუძვლად უნდა დაედოს, სხვადასხვა ბუნებრივ პირობებში, სამეურნეო გამოყენების ფორმების ანალიზი, ანთროპოგენური ლანდშაფტების განვითარების და ცვლილების დონის საკითხები, ასევე, ბუნებრივ ლანდშაფტებსა და მათ ანთროპოგენურ მოდიფიკაციებს შორის კავშირების დადგენა და სხვ.

5. ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

თავდაპირველად ადამიანი ბიოცენოზის ერთ-ერთ კომპონენტს წარმოადგენდა. იგი, ფაქტობრივად, სხვა ცოცხალი არსებებისაგან არც კი განსხვავდებოდა. ამ დროს, ბუნებრივ პროცესებზე ადამიანის გავლენა საკმაოდ უსუსური და აშკარად დაბალია. მაშინდელ ადამიანს მხოლოდ მცენარეული ნაყოფის საკვებად შემგროვება თუ შეეძლო მხოლოდ და გარემოზე ზემოქმედების თავლსაზრისით, ცხოველებისაგან

ბევრად არ განსხვავდებოდა.

ადამიანთა საზოგადოების დამოუკიდებელი და თავისთავადი ასპექტების ჩამოყალიბების თვალსაზრისით მის მიერ ცეცხლის დაუფლებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ამით, მკვეთრად ამაღლდა ბუნებაზე ადამიანის ზემოქმედების მასშტაბები.

თანამედროვე ადამიანთან მორფოლოგიურად ახლობელი ადამიანები – კრომანიონები ამ 30-40 ათასი წლის წინათ წარმოიშვნენ. ჩამოყალიბდა პირველადი საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაცია, პირველყოფილ-თემური წყობა. აქედან დაწყებული, ადამიანისა და ბუნებას შორის ურთიერთობანი და გარემოს წესების დაცვის ასპექტებში წამყვან როლი სოციალურმა კანონებმა დაიკავეს. ამ წესებმა თანდათანობითი გართულებები განიცადეს: მცენარეთა ნაყოფის შეგროვებასა და ნადირობას დაემატა ადამიანის მიერ საცხოვრისების აგება, ძაღლის მოშენება და საშინაო საქმიანობაში (ნადირობა, გადაადგილების საშუალება) გამოყენება, ტანისამოსის დამზადება, თევზჭერა და სხვ.

ამჟამად, კაცობრიობა ცხოვრობს არ პირველად, არამედ შეცვლილ ბუნებრივ გარემოცვაში, რომელსაც ადამიანთა მრავალი თაობების შრომის დადი და იარა აზის. თუმცა, ჯერ კიდევ შენარჩუნებულია ხელშეუხებელი ბუნებრივი ელემენტების ცალკეული ფრაგმენტები, ხოლო მათ გვერდით მრავლადაა ყამირი ბუნების ტიპოლოგიური ანალოგები: წყალსაცავი – ტბა; არხი – მდინარე; ვარდი – ასკილი; ძაღლი – მგელი და სხვ.

გარემოს მრავალფეროვნების გამო, გეოგრაფიულ განმარტებასთან ერთად, არსებობს მისი რამდენიმე დეფინიცია: ფიზიკური, ეკოლოგიური, ბუნებრივი, ბუნებრივ-ანთროპოგენური, სოციალური და ა.შ.

ფიზიკური გარემო – რაიმე ობიექტის გარემომცველი სივრცე ან საგნები და მოვლენებია; ეკოლოგიური გარემო – ბუნებრივი საგნებისა და მოვლენების ერთობლიობაა, რომლებთანაც ორგანიზმები უშუალოდ ურთიერთმოქმედებაში იმყოფება;

აბიოტური გარემო – ბუნების ძალები და მოვლენებია, რომელთა წარმოშობა უშუალოდ არ არის დაკავშირებული ამჟამად არსებული ორგანიზმების (მათ შორის ადამიანის) ცხოველმოქმედებასთან;

ბიოტური გარემო – ბუნების ძალები და მოვლენებია, რომელთა წარმოშობა დაკავშირებულია ამჟამად არსებულ ორგანიზმებთან;

ბიოლოგიური გარემო – ორგანიზმების სისტემაა, რომელშიც იმყოფება განსახილველი ინდივიდი;

ბიოგენური გარემო – ბიოტური და აბიოტური გარემოთა ერთობლიობაა;

გარემომცველი გარემო – ბუნების ძალები და მოვლენებია, აგრეთვე ნივთიერებები და სივრცეა, ადამიანის ნებისმიერი საქმიანობაა, რომლებიც განსახილველი ობიექტის (სუბიექტის) გარეშე იმყოფება, მაგრამ უშუალო კონტაქტს ამყარებს მათთან;

სოციალურ-ეკონომიკური გარემო – მოიცავს ადამიანის ცხოვრების სოციალურ და ბუნებრივ ფაქტორებს, ადამიანთა შორის ურთიერთობებსა და მათ მიერ წარმოებულ მატერიალურ-კულტურულ ღირებულებებს, მორალურ, ზნეობრივ, ფსიქოლოგიურ და ეთნიკურ კატეგორიებს, საწარმოო-ეკონომიკურ ელემენტებს;

სემიბუნებრივი გარემო – ადამიანის მიერ გარდაქმნილი და ხელოვნურად შექმნილი აგროცენოზებია, რომლებსაც თვითშენარჩუნების უუნარობა ახასიათებს;

არტებუნებრივი გარემო – ადამიანთა ხელოვნური გარემოცვაა, რომელიც ტექნიკური (ნაგებობა, შენობა, გზები, ხელოვნური განათება თუ გათბობა და სხვ.) ელემენტებისაგან შედგება;

ადამიანთა გარემომცველი გარემო – ბუნების ძალებისა და მოვლენების გავრცელების სივრცეში არსებული საცხოვრისი გარემოა (ჰაბიტატია), რომლის შემადგენლობა განისაზღვრება როგორც არაცოცხალი და ცოცხალი ბუნების, ისე სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორებით. იგი, გეოგრაფიული გარემოს ნაწილია.

ამგვარად, ბუნებრივი გარემო – საკმაოდ დიდი და მრავალფეროვანი სფეროა,

რომელიც საზოგადოების განვითარებასთან ერთად სულ უფრო მეტ და ახალ „სივრცეებს“ იკავებს. ამიტომ, იზრდება გარემოს ელემენტების ნუსხა და მოცულობა, რთულდება ბუნებრივი გარსის (სისტემის) სტრუქტურა და დღითი დღე კიდევ უფრო მრავალფეროვანი ხდება. მოსალოდნელია, რომ არცთუ ისე შორეულ პერსპექტივაში გარემო და ბუნებრივი სისტემა ერთიან და მთლიან თანხვედრაში მოექცევიან. ამჟამად კი, მათ შორის პრინციპული განსხვავება იმაში მდგომარეობს, რომ ბუნებრივი გარსისაგან განსხვავებით, ადამიანის გარემომცველი სივრცე საზოგადოების განვითარებასთან ერთად „გაფართოებას“ განიცდის.

გარემოს მონიტორინგი მეტად რთული საქმიანობაა. იგი მოითხოვს სისტემურ მიდგომას, უახლესი ტექნოლოგიებისა და მეცნიერული მიღწევების გამოყენებას.

ი. გერასიმოვის მიხედვით მონიტორინგის სამი დონე (საფეხური) გამოიყოფა.

1. სანიტარულ-ჰიგიენური, ანუ ბიოეკოლოგიური. ამ საფეხურზე ყურადღება ეთმობა გარემოს მდგომარეობას, ადამიანის ჯანმრთელობაზე მისი გავლენის გამორკვევის მიზნით. ამ საფეხურზე მიმდინარეობს გარემოს იმ სიდიდეების აღრიცხვა, რომლებიც იწვევენ ადამიანის რეაქციას. მათ შორისაა: დაავადება, სიკვდილიანობა, შობადობა, სიცოცხლის ხანგრძლივობა, შრომისუნარიანობის შენარჩუნება და ა.შ. ამ მიმართულებით მიმდინარეობს სამედიცინო გეოგრაფიული ხასიათის მონიტორინგი;
2. გეოსისტემური საფეხურის დაკვირვების ობიექტია ბუნებრივი და ბუნებრივ-ტექნიკური სისტემები, რომელთა მონიტორინგში მთავარია მასისა და ენერგიის მიმოცვლების, ბიოლოგიური პროდუქტიულობის, ზდკ-ის სიდიდეების აღრიცხვა და გეოსისტემების თვითგაწმენდის უნარიანობის თვისობრივი მახასიათებლების დადგენა. დაკვირვების ჩატარება შესაძლებელია განუწყვეტელი გეოგრაფიული სტაციონარების საფუძველზე. სტაციონარების შექმნის საფუძველია გეოგრაფიული პროცესების მდგომარეობისა და ცვლილების აღრიცხვა საკმაოდ ხანგრძლივი დროის განმავლობაში. სტაციონარული გამოკვლევები მოიცავს მსხვილი სისტემის (ლანდშაფტები, ცოცხალი ორგანიზმები, რელიეფი) ფუნქციონირებისა და დინამიკის ანალიზს, შეუქცევადი ცვლილებებისა და რიტმული პროცესების გამოკვლევებს;
3. ბიოსფერულ საფეხურზე გარემოს გლობალური პარამეტრების (ატმოსფეროს გამჭვირვალობა და მისი ანთროპოგენური ცვლილებები, ტენის ბალანსი, ოკეანეების გაბინძურება, ენერგიის მიმოცვლა გეოგრაფიულ გარსსა და კოსმოსს შორის) აღრიცხვა – უმთავრეს ამოცანას წარმოადგენს. დაკვირვებისა და კონტროლის ობიექტს გეოგრაფიული გარსი და მისი მსხვილი სტრუქტურული ელემენტები წარმოადგენენ, რომლის საბოლოო მიზანია ადამიანის სამეურნეო საქმიანობის ნეგატიური გამოვლინებების – ეკოლოგიური კრიზისების არიდება. ბიოსფერული მონიტორინგის სისტემა ეყრდნობა დისტანციური (დედამიწის ხელოვნური თანამგზავრებით) დაკვირვების მონაცემებს.

მონიტორინგის სისტემის შემუშავება და რეალიზაცია მჭიდრო კავშირშია გეოგრაფიული მეცნიერების უმთავრეს პრობლემების გადაწყვეტასთან, რადგანაც იგი მოიცავს გეოგრაფიული გარსის ძირითადი პარამეტრებისა და მათი სივრცე-დროითი ცვლილებების მიმდინარეობათა შესახებ განუწყვეტელი დაკვირვების ჩატარებას, რომლის საბოლოო მიზანი გეოგრაფიული კანონების დახვეწასა და მწყობრი-სისტემური იერარქიის ჩამოყალიბებას გულისხმობს. ამ სახეებს დაემატა შემდგომ:

ეკოლოგიური მონიტორინგი, რომელიც გულისხმობს გარემოს მდგომარეობაზე კომპლექსურ დაკვირვებას, მათ შორის დაკვირვებას გარემოს ცალკეულ კომპონენტებზე, ბუნებრივ ეკოლოგიურ სისტემებზე, მათში მიმდინარე პროცესებზე და მოვლენებზე. ვინაიდან ამ ტიპის ღონისძიებების გატარება ევალება სხვადასხვა უწყებებს, გარემოს მონიტორინგის ორგანიზაციის მთავარ პრობლემას წარმოადგენს ტერიტორიის ეკოლოგიურ-სამეურნეო ზონირება და „ინფორმაციული მონაცემების“ სწორი და დროული ეკოლოგიური მონიტორინგის ქვესისტემებს გამოყოფენ დაკვირვების ობიექტების მიხედვით. გამომდინარე იქიდან, რომ გარემოს შემადგენელ კომპონენტებს წარმოადგენს ჰაერი, წყალი, მინერალური და ენერგეტიკული

რესურსები, ბიორესურსები, ნიადაგი და სხვ. ამის შესაბამისად გამოყოფენ მონიტორინგის ქვესისტემებს. ასე, რომ იქმნება მონიტორინგის კომპონენტური და კომპლექსური სისტემები.

სახელმძღვანელოში ასევე განხილულია გარემოს ლანდშაფტურ-ეკოლოგიური ექსპერტიზისა და ბუნებათსარგებლობის ოპტიმიზაციის (ლანდშაფტური პოტენციალი, მდგრადობა, ჰომეოსტაზი, ლანდშაფტური დიაგნოზი და პროგნოზი) თეორიული საკითხები.

5.3. კრებულები

№	ავტორი/ავტორები	კრებულის სახელწოდება, საერთაშორისო ტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1				
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)				

5.4. სტატიები ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდის (DOI) მითითებით

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათა-ური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI	ჟურნალის/ კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1					
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)					

5.5. სტატიები ISSN-ის მითითებით

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათა-ური, ISSN	ჟურნალის/ კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1					
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)					

6. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა უცხოეთში

6.1. მონოგრაფიები/წიგნები

№	ავტორი/ავტორები	მონოგრაფიის/წიგნის სათაური, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1 2				
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)				

6.2. სახელმძღვანელოები

№	ავტორი/ავტორები	სახელმძღვანელოს სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1 2				
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)				

6.3. კრებულები

№	ავტორები	კრებულის სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1				
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)				

6.4. სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI ან ISSN	ჟურნალის/ კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1 2 3 4 5 6 7 8 9 10	Z. Seperteladze E. Davitaia M. Alpenidze G.Gaprindashvili R. Maisuradze G. Memarne, N. Khalvashi, N. Kedelidze T. Aleksidze N.Rukhadze T. Khardziani	Ranking of Feijoa (FEIGOA Sellowiana) in subtropical humidified zone of Adjara and forest ecosystem by multiple-factor approach **ISSN : 2163-0437** **DOI: 10.4236**	Open Journal of Forestry, 2020 https://www.scirp.org/journal/ojf	Scientific Researc Publishing (OJF)	14

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)


შემუშავდა დასავლეთ საქართველოს სუბტროპიკულ-ჰუმიდური ზონის აგროეკოსისტემური რანჟირების მეთოდიკა. ჩატარდა ფეიხოას (ეიხოა სელიოწიანა) რაციონალური განლაგებისა და ტერიტორიის სამეურნეო ათვისების ოპტიმალური ბუნებრივი გარემოს შეფასება მრავალფაქტორული მეთოდით. აქცენტი ძირითადად გაკეთდა გეომორფოლოგიურ (რელიეფის დანაწევრება, დახრილობა, ექსპოზიცია)და აგროკლიმატურ (აქტიურ ტემპერატურათა ჯამი, ჰიდროთერმული კოეფიციენტი, ტემპერატურული რეჟიმი, ნიადაგის ფიზიკურ-ქიმიური თვისებები და სხვ.) ფაქტორებზე. ასევე ჩატარდა ფეიხოას (FEIGOA Sellowiana) კულტურის ბიოქიმიური და ექსპერიმენტულ–მორფოლოგიური ანალიზი (მშრალი ნივთიერებების შემცველობა, ხსნადი ნივთიერებების, შაქრების ჯამისა და ტიტრული მჟავიანობის განსაზღვრა,

ჰექტინოვანი ნივთიერებებისა და ასკორბინის მჟავას შემცველობა,ბიოქიმიური მაჩვენებლების ცვალებადობა ფეიხოას ნაყოფის შენახვის პროცესში, ყინვაგამძლეობა და სხვ.). ექსპერიმენტის საფუძველზე გამოიკვეთა ფეიხოას რეპროდუქციული აქტივობის დამოკიდებულება ფიზიკურ-გეოგრაფიული, კერძოდ კლიმატური პირობებისადმი. გამოვლენილ იქნა ოპტიმალური აგრორესურსული პოტენციალის მქონე ჰიფსომეტრული საფეხურები, აგროეკოსისტემები, ადმინისტრაციული მხარეები. განხორციელდა მათი კარტოგრაფირება GIS-ს ტექნოლოგიების მეშვეობით.

ბუნებაში ნებისმიერი მოვლენისა და პროცესის ფიზიკურ-გეოგრაფიული შეფასება საკმაოდ რთული ამოცანაა, ვინაიდან, ის მოითხოვს ერთდროულად, მრავალი ფაქტორის გათვალისწინებას. ამ ფაქტორთა მახასიათებლები კი სხვადასხვა განზომილებებისა და საკმაოდ დიდი დიაპაზონისანი არიან. აღნიშნულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია ისეთი მრავალფაქტორული მეთოდის გამოყენება, რომელიც მოგვცემს მკვეთრად განსხვავებული დიდი რაოდენობისა და დიაპაზონის მონაცემების დამუშავების შესაძლებლობას.

მულტიფაქტორული მიდგომა ბუნებრივია, არ შემოიფარგლება რომელიმე ერთი მეთოდით, რადგან ბუნებრივი გარემო ერთი მთლიანი ორგანიზმია შემადგენელი კომპონენტების, მოვლენებისა და პროცესების მჭიდრო ურთიერთკავშირებით.

აღნიშნული მიდგომით,მსგავსი გეოგრაფიული იბიექტების ძირითადი მახასიათებლებლების შეფასება მოვახდინეთ შედარებითი ანალიზის მეთოდის გამოყენებით, რითაც შესაძლებელი გახდა რეგიონის ცალკეული მონაკვეთების კლასიფიკაცია (ტიპიზაცია) და ექსპერიმენტული ნაკვეთების გამოყოფა. ანალიზური მეთოდის მეშვეობით მოხერხდა ძირითადი აგროკლიმატური და გეოგრაფიული მახასიათებლების რანჟირება-შეფასება, ხოლო სინთეზური მეთოდით – მიღებული შედეგების შეჯერება და კომპლექსური რუკის (რუკა № 1) შედგენა. მოდელირების მეთოდის გამოყენებამ საშუალება მოგვცა შეგვემოწმებინა ფეიხოას ცალკეული ჯიშების ყინვაგამძლეობის უნარი (კლიმატის ხელოვნური მოდელირების ლაბორატორიაში ტემპერატურის თანდათანობითი დაწევის პირობებში). კომპიუტერული პროგრამებით განხორციელდა გეოინფორმაციული ბაზის შექმნა და გეოაგროსისტემების კარტოგრაფირება.



ფეიხოას ბიოქიმიური და ექსპერიმენტულ–მორფოლოგიური კვლევებისა და ფიზიკუ ოგრაფიული ზონირების მიხედვით მიღებულ იქნა გარკვეული შედეგები:

1. ფენოლოგიურ დაკვირვებათა შედეგად მიღებული მონაცემებიდან ჩანს, რომ დასავლეთსაქართველოშიკულტივირებული ფეიჰოას სავეგეტაციო პერიოდში ძირითადად აღინიშნება ზრდის ორი ტალღა. ჩვენ მიერ გამორჩეული ფორმები, ვეგეტაციის დაწყებისა და დამთავრების ვადების მიხედვით, საკმაოდ ძლიერ განსხვავდებიან საკონტროლო ჯიშისაგან. მათი უმრავლესობა გაცილებით გვიან იწყებს ვეგეტაციას.
2. ლტიფაქტორული მიდგომით განხორციელდა დასავლეთ საქართველოს სუბტროპიკუ ჰუმიდური ზონის აგროეკოსისტემური რანჟირება
3. მეცნიერულად დასაბუთებული რეკომენდაციით, ფეიხოას კულტურის გავრცელების დღემდე მიღებულ ორ აგროკლიმატურ ზონას (30-200 მ; 200-400 მ), დაემატა მესამე ზონა - 400-700 მ დიაპაზონში, რითაც გაიზრდება ფეიხოას გავრცელების არეალი და რაც მნიშვნელოვანია, ეს ხელს შეუწყობს ამ კულტურის მაღალმოსავლიანობას.ა

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, დიგიტალური საიდენტიფიკაციო კოდი DOI ან ISSN	ჟურნალის/ კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა

1	**L. Lagidze,** L. Matchavariani, D. Svanadze, G. Khomasuridze	"Influence of mete-eorological factors on ecological conditions of the atmosphere in Tbilisi, Georgia"	Journal of Enviromen-tal Biology. Special Issue "Environment and Ecology." Volume 41 (2020)	India, Triveni Enterprises Thomson Reuters Impact Factor: **0.697**	391-397
2	Avkopashvili M., Gongadze A., Avkopashvili G., Matchavariani L., **Lagidze L.,** Asanidze L.	„Metals distribution in soil contaminated by gold and copper mining in Georgia".	J. Environ. Biol., Special Issue "Environment, Biodiversity, Geography", Vol. 41(2), (2020)	India, Triveni Enterprises Thomson Reuters Impact Factor: **0.697**	310-317

1. მე-20 საუკუნის მეორე ნახევრიდან, ატმოსფერომ, როგორც გარემოს ერთ–ერთმა ძირითადმა კომპონენტმა, მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა ანთროპოგენური ფაქტორის ზემოქმედების შედეგად, რამაც, თავის მხრივ, განაპირობა კლიმატის ცვლილება და მისი ზემოქმედება ადამიანსა და ეკოსისტემაზე. კლიმატის ცვლილებასთან ერთად გახშირდა და გაძლირდა ამინდის ექსტრემალური მოვლენები. ზოგიერთი ამ მოვლენის ინტენსიფიკაცია დაკავშირებულია გლობალური კლიმატური სისტემის ცვლილებებთან. სტატიაში ქალაქ თბილისისათვის, შეფასებულია და გაანალიზებულია, აეროზოლებისა და მავნე ნივთიერებების გამონაბოლქვის დინამიკა და ქალაქის ეკოლოგიური მდგომარეობა, რომელიც ძირითადათ გაპირობებულია,გეოგრაფიული მდებარეობის ადგილობრივი სპეციფიკითა და მეტეოროლოგიური ფაქტორებით (სინოპტიკური პროცესები, ინვერსია, იზოთერმია), რომ-ლებიც განაპირობებენ ატმოსფეროში აეროზოლების დაგროვებას და შესაბამისად ქალაქის მიკროკლიმატის ცვლილებას. კლიმატის ცვლილების შესაფასებლად, ქალაქ თბილისისათვის გამოყენებულია გარემოს ეროვნული სააგენტოს, ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების მონიტორინგის მასალები, სადაც დაკვირვება წარმოებს ჰაერის ფონურ დაბინძურებაზე და ასევე ავტომატურ რეჟიმში იზომება აეროზოლების და მავნე ნივთიერებების კონცენტრაციები. წარმოდგენილია ინდიკატორული გაზომვების ოთხი ეტაპის შედეგები ქალაქ თბილისისათვის.

კვლევისათვის გამოყენებულია სტატისტიკური, კლიმატოლოგიური და გრაფიკული ანალიზი.

კვლევებმა აჩვენა, რომ თბილისის მასშტაბით, ძირითადი დამაბინძურებლები: ნახშირჟანგი, გოგირდის დიოქსიდი, აზოტის ოქსიდები, ოზონი, PM2,5 და PM10 (ყოველთვიური და წლიური) კონცენტრაციები, უმეტეს შემთხვაში აჭარბებენ ზდკ-ს. განსაკუთრებით მნივნელოვანია აზოტის ოქსიდები და მიწისპირა ოზონი, რომელთა საშუალო წლიური კონცენტრაციები 1.4-1.8 ჯერ აჭარბებს ზდკ-ს, რაც აისახება ადამიანის ჯანმრთელობაზე.

დადგენილია, სხვადასხვა დამაბინძურებლების კავშირი მეტეოროლოგიურ პირობებთან და გამოვლენილია ატმოსფეროს დაბინძურებისათვის ხელშემწყობი სონოპტიკური პროცესები. აღსაღნიშნავია ის გარემოება, რომ თბილისში ბოლო 5 წლის (2013-2017) განმავლობაში ტყვიის საშუალო წლიური კონცენტრაციების შემცირების ტენდენცია აღინიშნება. კლიმატის ცვლილების გამოვლინებებს ხშირად ახასიათებს კომმპლექსური ხასიათი აქვთ, რაც განსაკუთრებით ართულებს მათ შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირების დადგენას და მოითხოვს პოლიტიკურ ხედვას და ადაპტაციის ღონისძიებების სწორად განსაზღვრას.

2. ნაშრომი მიზნად ისახავს სამხრეთ კავკასიის (ქვემო ქართლის) რეგიონში, კერძოდ კაზრეთის ტერიტორიაზე, სპილენძისა და ოქროს მოპოვებით გამოწვეული ნიადაგის დაბინძურების ანალიზს მათი განაწილების თვალსაზრისით.
ნაშრომში, ნიადაგიდან აღებული სინჯები შესწავლილი იქნა TCP-MC და AAC მეშვეობით. ნიადაგის პროფილში, დამაბინძურებელი ელემენტების ფარდობითი განაწილების შეფასებისათვის შემუშავებული იქნა სპეციალური ფორმულა.
კვლევის შედეგად გამოვლინდა, მადნის მოპოვების ინტენსიობასა და დაბინძურების მასშტაბებს და ინტენსიობას შორის პირდაპირი კავშირი.
კვლევამ აჩვენა, რომ დროის ხანგძლივი პერიოდისათვის, ატმოსფერული პროცესების (ქარი, ნალექები) გავლენით აეროზოლები გავრცელდა დაბინძურების წყაროდან შორ მანძილზე, ხოლო ნიადაგში აეროზოლების ზემოქმედების შედეგად აღინიშნა ნიადაგის ზოგიერთი ელემენტების შემცველობის შემცირება.
კვლევის შედეგად დადგენილია, რომ მადნის მოპოვების ადგილიდან შორ მანძილებზეც და ატმოსფეროში სიმაღლეზე ადგილი აქვს დაბინძურების გაზრდას, რაც გამოწვეულია ქარის მეშვეობით აეროზოლების გადატანით და შემდგომ ნიადაგში მათი დალექვით ნალექების მეშვეობით .

7. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

7.1. საქართველოში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	ზურაბ სეფერთელაძე, ნინო რუხაძე	მთიანი რეგიონების ბუნებრივ-რესურსული პოტენციალი და გარემოს დაცვის ღონისძიებები	თებერვალი, 2020 თბილისი, თსუ http://conference.ens2020.tsu.ge/
2	დავითაია ეთერი	ფიზიკურ-გეოგრაფიული გარემო და ადამიანის ჯანმრთელობა	თებერვალი, 2020 თბილისი, თსუ http://conference.ens2020.tsu.ge/
3	თამარ ალექსიძე	საქართველოს მთიანი რეგიონების გრემოს დაცვა და ბუნებათსარგებლობა	თებერვალი, 2020 თბილისი, თსუ http://conference.ens2020.tsu.ge/

მოხსენების ანოტაცია - 1

მთიანი რეგიონების ბუნებათსარგებლობის სიმაღლებრივი ზონალურობის რთული სპექტრი და მისი თავისებურებანი განსაკუთრებით ნათლად არის გამოხატული აგროკლიმატური და ტურისტულ-რეკრეაციული რესურსებით სარგებლობაში. კერძოდ:
– დაბალმთიან სარტყელში ხელსაყრელი ბუნებრივ-სარესურსო პოტენციალია ნოტიო, ზომიერად ნოტიო და მშრალი სუბტროპიკებისათვის დამახასიათებელი სოფლის

მეურნეობის დარგების განვითარებისა და ტურიზმის უწყვეტი ფუნქციონირებისათვის. გარემოს დაცვის პროფილაქტიკა ეროზია – მეწყერსაწინააღმდეგო ღონისძიებების გატარებას საჭიროებს.

- დაბალმთიანეთის ზედა და საშუალო მთიანეთის ქვედა სარტყელში (ზ.დ. 700-800 მ-დან 1500 მ-მდე) ბუნებრივ-რესურსული პოტენციალი ვარგისია სოფლის მეურნეობის დარგების – მემინდვრეობის, მეხილეობის და მეცხოველეობის განვითარებისათვის, აგრეთვე ტურისტულ-რეკრეაციული ინდუსტრიის ფუნქციონირებისათვის. გარემოს დაცვის ღონისძიებაში მოითხოვს ეროზია-მეწყერ და ზვავსაწინააღმდეგო ღონისძიებების გატარებას.
- საშუალო მთიანეთის ზედა სარტყელის (ზ.დ. 1500-2000 მ.) ლანდშაფტურ-სარესურსო პოტენციალი უზრუნველყოფს მემინდვრეობის, მეხილეობის, მეცხოველეობის, ტურისტულ-რეკრეაციული ინდუსტრიის და სამთო-სათხილამურო სპორტის განვითარებისათვის საჭირო პირობებს. გარემოს დაცვის ღონისძიებანი ეროზია, მეწყერ და ზვავსაწინააღმდეგო ბუნებრივ-სტიქიური მოვლენების წინააღმდეგ უნდა იყოს მიმართული.
- მაღალმთიანეთის ქვედა სარტყელში (2200-3000 მ-მდე) ხელსაყრელი ბუნებრივ-რესურსული პოტენციალია მეცხოველეობის, ტურიზმის, სამთო-სათხილამურო სპორტის და ალპინიზმის განვითარებისათვის. გარემოს დაცვის უზრუნველსაყოფად ზვავსაწინააღმდეგო ღონისძიებების ჩატარებაა საჭირო.
- მაღალმთიანეთის ზედა (3000 მ ზევით ზ.დ. -დან) სარტყელი პერსპექტიულია მხოლოდ ალპინიზმისათვის.

ყველა სიმაღლებრივ სარტყელში ჰიდროენერგორესურსების და საშენ მასალების მძლავრი პოტენციალია. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ტყეების დაცვა-გაშენებას.

მთიანი ტერიტორიების მდგრადი განვითარების უზრუნველსაყოფად მიღებულია სპეციალური კანონები, ე.წ. „მთის კანონი“, რომელიც არეგულირებს მთებთან დაკავშირებულ პრობლემებს; კერძოდ; მდგრად სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას, მოსახლეობის ყოფა-ცხოვრებისა და ტრადიციების კვლევას, ბუნებრივ-რესურსული პოტენციალის განსაზღვრას, ტერიტორიულ დაგეგმარებას და სივრცით მოწყობას, ინფრასტუქტურის განვითარებას, ბუნებრივი და კულტურული ფასეულობების შენარჩუნებას, ეკოლოგიური სოფლის მეურნეობის და ენერგიის ალტერნატიული წყაროების განვითარებას, რეგიონული ლოკალური პრობლემატიკის ტენდენციების წარმოჩენას და მათი გადაწყვეტის გზების დასახვა.

მთიანი მასივები წარმოდგენილია ყველა კონტინენტზე, გამონაკლისი ამ მხრივ არის სამხრეთ-აღმოსავლეთი ევროპა – კავკასია და საქართველო. მთები განსხვავებულია წარმოშობით, ჰიფსომეტრიული მდებარეობით, ოროგრაფიული დანაწევრებით, რესურსული პოტენციალით, ლანდშაფტების სივრცობრივი განფენილობით, ათვისების ხასიათითა და ხარისხით, ლანდშაფტური და ბიოლოგიური მრავალფეროვნებით და სხვა. მთიანი რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური განვითარება განსაკუთრებით ფაქიზ-სათუთ დამოკიდებულებას საჭიროებს, რადგან ერთი და იგივე ანთროპოგენური დატვირთვის პირობებში რისკ-ფაქტორები მთებში უფრო ირჩენს თავს, ვიდრე ბარში. რაც შეეხება ბარისა და მთის ეკოსისტემებსა და ლანდშაფტებს, მათ შორის ხომ მჭიდრო გენეტიკური კავშირებია. მთიანი სისტემების ოროგრაფიული თავისებურებები, დანაწევრების მაღალი ხარისხისა და გეოდინამიკურ პროცესების ინტენსივობა არსებით გავლენას ახდენს ადამიანის სასიცოცხლო სივრცესა და სამეურნეო საქმიანობაზე. მნიშვნელოვანია ნეოტექტონიკური მოძრაობის (აზევების) ინტენსივობაც, რომელიც ამჟამად კავკასიონზე წელიწადში 15მმ-მდე ფიქსირდება. მთების კვლევის აუცილებლობას ისიც განაპირობებს, რომ მთები უძველესი დროიდან ითვლებოდა ცივილიზაციის, კულტურის, ტრადიციების

ხალხთა თვითმყოფადობის (ინკები, აცტეკები, მაიას ტომები და სხვ.) გავრცელების უმნიშვნელოვანეს ტერიტორიებად. ამჟამად მთებში საშუალოდ 800 მლნ-მდე ადამიანი ცხოვრობს, რაც მისი განვითრებისადმი ინტერესს უფრო და უფრო მეტად ზრდის. მსოფლიოს თანამეგობრობისა და გაეროს მოწოდებები ძირითადად მიმართულია მთების მდგრადი ეკოლოგიური განვითარების უზრუნველსაყოფად. მიუხედავად ამისა, ჯერ კიდევ კლიმატის ცვლილებებით გამოწვეული კატასტროფული ხასიათის ბუნებრივი პროცესებისა და მოვლენების ზრდასთან დაკავშირებული ნეგატიური შედეგები სახეზეა. მთებთან დაკავშირებული პრობლემების გადაწყვეტა კომპლექსური, მულტიფაქტორული მიდგომებით არის შესაძლებელი.

დასკვნა

მთების მდგრადი ეკოლოგიური განვითრება და ბუნებრივ-რესურსული პოტენციალის რაციონალური ათვისება საჭიროებს:

– კლიმატის ცვლილებით გამოწვეულ კატასტროფული მოვლენებისა და პროცესების სისტემური შესწავლის კვლევას;

– წყლის რესურსების ოპტიმალურ განაწილებას და მართვას;

– ზომიერების დაცვა ტურიზმის სფეროში;

– ეკოლოგიური დაბინძურების ხარისხის (ნიადაგი, წყალი, ატმოსფერო) შემცირებას;

– სამთო მრეწველობის განვითარებასთან დაკავშირებულ ეკოლოგიური პრობლემატიკის ზრდის ტენდენციების შემცირებას;

– დაცული ტერიტორიების ერთიანი ქსელის შექმნას;

– დასაქმების სტიმულირებას (ტრადიციული დარგების აღდგენა)

– სათანადო ინფრასტრუქტურის განვითარებას და ტექნოლოგიური ინოვაციების დანერგვის ხელშეწყობას;


–ეკოლოგიური კულტურის ამაღლებას (ეკოლოგიური აღზრდა, ეკოლოგიური განათლება).

– ლანდშაფტის, როგორც რესურსშემცველი და რესურსმწარმოებელი სისტემის სარგებლობის, მომსახურების და მართვის მექანიზმების სრულყოფა;

– სტიქიურ მოვლენებთან ბრძოლას, გამოვლენას და მართვის ენერგოდამზოგავი ტექნოლოგიების დანერგვა;

– მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობა.

ილუსტრაცია 1. მაღალმთიანი დასახლებები სიმაღლეების მიხედვით, მეტრი



მოხსენების ანოტაცია - 2

ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაციის განსაზღვრებით, ჯანმრთელობაში იგულისხმება არა მხოლოდ დაავადებათა და ფიზიკური დეფექტების არარსებობა, არამედ სულიერი და სოციალური კეთილდღეობა. ამავე შეფასებით, მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობა 50%-ით დამოკიდებულია ცხოვრების წესზე, 20%-ით –

გენეტიკურ ფაქტორებზე, 10%-ით – ჯანდაცვის სამსახურის მუშაობაზე და 20%-ით – გარემოს (ლანდშაფტების) მდგომარეობაზე.

ავადმყოფობასა და ლანდშაფტურ პირობებს შორის კავშირების არსებობის შედეგად მეცნიერების ახალი დარგიც კი წარმოიშვა – სამედიცინო გეოგრაფია. იგი შეისწავლის ადამიანის დაავადებათა და პათოლოგიურ მდგომარეობათა გეოგრაფიული გავრცელების მიზეზებს, გარემოს გავლენას ჯანმრთელობაზე, ამუშავებს სამედიცინო-გეოგრაფიული რუკების შედგენის მეთოდებსა და სხვ. სამედიცინო გეოგრაფია წარმოიშვა გეოგრაფიულ და სამედიცინო-ბიოლოგიურ მეცნიერებათა მიჯნაზე და მჭიდრო კავშირშია ეკოლოგიასთან, ჰიგიენასა და გეოგრაფიულ დარგებთან.

დადგენილია, რომ დაავადებათა მთელი რიგი კატეგორიებისა, კერძოდ - ავთვისებიანი სიმსივნეების (ფილტვის და საჭმლის მომნელებელი ორგანოების, ლეიკოზები), გულ-სისხლძარღვთა დაავადებების (მიოკარდის ინფარქტი, ჰიპერტონია), ბიოგეოქიმიური ენდემების (ჩიყვი, კარიესი, კენჭოვანი დაავადებები), პარაზიტული და ტროპიკული დაავადებების (ჰელმინთოზები, მალარია) წარმოშობა და გავრცელება პირდაპირ კავშირშია და დამოკიდებულია გეოგრაფიულ (ლანდშაფტურ) ფაქტორებზე.

ჩამოთვლილ დაავადებათაგან, ავთვისებიანი სიმსივნეების წარმოშობა და გავრცელება დღემდე ბუნდოვანია და, რომ ის არა ერთ რომელიმე ფაქტორზე, არამედ ფაქტორთა მთელ კომპლექსზეა დამოკიდებული, ამიტომაც უწოდა ამ დაავადებას, მისმა ერთ-ერთმა თვალსაჩინო მკვლევარმა, ფრენსის როემ - "პრობლემების გალაქტიკა". მიუხედავად დიდი ბუნდოვნებისა, ჯერ კიდევ გასული საუკუნის 60–იან წლებში (Филипс А. ДЖ., 1965, Даниленко А.И., 1967) გამოითქვა საკმაოდ დამაჯერებელი მოსაზრება იმის შესახებ, რომ გარკვეული კავშირი არსებობს კიბოს გავრცელებასა და ბუნებრივ-სოციალურ ფაქტორებს შორის. უდავოა კავშირი მზის რადიაციასა და კანის კიბოს, მ. შ. ლეიკემიას შორის. ასე მაგალითად, შუა აზიის სამხრეთ რაიონებში, კანის კიბოს მიზეზად ხანგრძლივ ინსოლაციას მიიჩნევენ. ლეიკოზის შემთხვევაში კი ის დაავადების მხოლოდ ერთ-ერთ ფაქტორად (მაისში- უხვი მზის რადიაციის პერიოდი) გვევლინება.

გარდა აღნიშნული ფაქტორებისა, ავთვისებიან სიმსივნეთა სხვადასხვა სახის წარმოშობას უკავშირებენ ზოგიერთი მაკრო- და მიკროელემენტების სიმცირეს ან სიჭარბეს საკვებ პროდუქტებსა და სასმელ წყალში. ისლანდიაში მაგალითად, კუჭის კიბოთი სიკვდილიანობის მაღალი პროცენტი კორელირებს საკვებ პროდუქტებში სპილენძის, რკინის, ალუმინის, ბორის, ნატრიუმის მცირე შემცველობასთან და მაგნიუმის ნაკლებობასთან სასმელ წყლებში. საყლაპავი კიბოს გავრცელება სავარაუდოდ კავშირშია მინერალური ნივთიერებების, კერძოდ, მოლიბდენის, რკინის, თუთიის და სპილენძის ნაკლებობასთან ბაღჩეულ საკვებ პროდუქტებში, სხვადასხვა დაკვირვებით (Барел Р.Д., 1997), იქ, სადაც დაავადება არ არის დაფიქსირებული, არც ამ ელემენტების ნაკლებობა აღინიშნება.

საინტერესოა კავშირი პარაზიტული და ტროპიკული დაავადებებისა და საჭმლის მომნელებელი ორგანოების ავთვისებიან სიმსივნეთა შორის. ძირითადად, ეს კორელაცია დადგენილია ოპისტარხოზთან, მალარიასთან და დიზენტერიასთან. ნოტიო სუბტროპიკულ ლანდშაფტებში კი, კუჭქვეშა ჯირკვლის კიბო და ღვიძლის პირველადი კიბო ჩვეულებრივ, მალარიასა და ჰელმინთოზთან მჟღავნდება.

მსოფლიო მასშტაბით უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ჰაერის დაჭუჭყიანების პრობლემას ავთვისებიან სიმსივნეებთან დაკავშირებით. მკვლევართა დიდი ნაწილის აზრით, ცხადია ძნელია მისი როლის დადგენა რომელიმე დაავადების საერთოდ, და კერძოდ, კიბოს გავრცელებაში, რადგან არ არის იოლი მისი გამოყოფა სხვა მავნე ფაქტორების კომპლექსიდან. თუმცა, ლიტერატურაში მონაცემების ანალიზის

მიხედვით, იმდენად აშკარაა ეს გავლენა, რომ არამცთუ შეუძლებელია მისი გვერდის ავლა, არამედ ხშირ შემთხვევაში წინა პლანზე წამოწევაც კია საჭირო. ეს იქიდანაც ჩანს, რომ მკვლევრები იმდენად დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ ამ ფაქტორს, რომ მის წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით ქალაქმშენებლობის ახალ პრინციპებსაც კი გვთავაზობენ.

ავთვისებიან სიმსივნების წარმოშობა-გავრცელებაზე ზემოქმედ ცალკეულ ფიზიკურ-გეოგრაფიულ ფაქტორთა ანალიზთან ერთად, ძალზე საინტერესოა კორელაცია კიბოს ცალკეულ სახესა და ლანდშაფტურ ერთეულებს შორის.

სამედიცინო-გეოგრაფიული კვლევა, ბუნებრივია გვერდს ვერ აუვლის გულ-სისხლძარღვთა დაავადებისა და გარემოს ურთიერთკავშირს, მითუმეტეს, რომ ამ დაავადებაზე მოდის მსოფლიო მასშტაბით, სიკვდილიანობის 72% და ეს კავშირი სწორედ რომ თვალსაჩინოა. დადგენილია, რომ მეტეოროლოგიური ფაქტორების (Рывкин Б. А., Рывкина Н.В. 1996; Алиев М.А., 1998*)* მკვეთრი რყევისას მწვავდება ორგანიზმის ე.წ. მეტეოტროფული რეაქციები და ამ მხრივ, ამინდის გარკვეული ტიპებიც კია დადგენილი. კერძოდ, საინტერესოა კავშირი გულ-სისხლ-ძარღვთა დაავადებებსა და ადგილის სიმაღლეს შორის (Алиев М.А., 1998). დადგენილია, რომ ორგანიზმში ნივთიერებათა ცვლის პროცესის და ფიზიოლოგიური ფუნქციის გარდაქმნა მაღალმთიან პირობებში (1800-2700 მ), აკლიმატიზაციისას აფერხებს ჰიპერტონიის მსუბუქი ფორმის განვითარებას, მძიმე ფორმის შემთხვევაში პირიქით, ამავე სიმაღლეებზე ჰიპერტონია მწვავედ მიმდინარეობს.

ასევე დადგენილია, რომ გულ-სისხლ-ძარღვთა დაავადებები, როგორც ავთვისებიანი სიმსივნეები დაკავშირებულია სამრეწველო ობიექტების გამონაბოლქვის კონცენტრაციასთან, ამიტომაც გულის დაავადებებით სიკვდილიანობა უფრო მაღალია სამრეწველო რაიონებში, ვიდრე სხვაგან. ასე მაგ., დაფიქსირებულია კავშირი ქიმიურ მრეწველობასა და ჰიპერტონიას შორის. ასევე მნიშვნელოვანია გულ-სისხლ-ძარღვთა დაავადებების წარმოშობასა და მიმდინარეობაზე მაკრო და მიკრო ელემენტების ზემოქმედება, რომელიც რამდენიმე გზით ხორციელდება და ძირითადად ბუნებრივი ფაქტორების (ჰაერის, სასმელი წყლის და ნიადაგის) ზემოქმედებით, რაც სწორედ გეოგრაფებისათვისაა ძალიან საინტერესო.

ამგვარად, სამედიცინო გეოგრაფია ფიზიკური გეოგრაფიის უაღრესად აქტუალური, საინტერესო და კონსტრუქციული მიმართულებაა, რომლის განვითარება ძალზე აუცილებელია და ასევე იმ საკითხების ჩამოყალიბება (რეკომენდაციები), რომელსაც უსათუოდ უნდა მიექცეს ყურადღება გულ-სისხლ-ძარღვთა დაავადებებთან მიმართებაში:

- დადგინდეს მეტეოროლოგიური ფაქტორების კორელაცია გულ-სისხლ-ძარღვთა დაავადებებთან ლანდშაფტური ზონების მიხედვით, განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს ისეთ კლიმატურ მაჩვენებლებს, როგორიცაა ჰაერის ტემპერატურა, ქარები, ღრუბლიანობა;
- გულ-სისხლ-ძარღვთა დაავადებისათვის ამინდის ტიპის განსაზღვრა ლანდშაფტურ ჭრილში;
- განისაზღვროს კავშირი მზის აქტივობის მოკლევადიან (5-6 წელი) და გრძელვადიან (10-11 წელი) ციკლებსა და გულ-სისხლ-ძარღვთა დაავადებებს შორის სიმაღლითი ლანდშაფტური ზონების მიხედვით;
- დადგინდეს კავშირი ზღვის დონიდან ადგილის სიმაღლესა და გულ-სისხლ-ძარღვთა დაავადებებს შორის (განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კორელაცია ატმოსფერული, ბარიული წნევის საფეხურებთან);
- განისაზღვროს გულ-სისხლ-ძარღვთა დაავადებებზე ატმოსფერული ჰაერის დაჭუჭყიანების მავნე ზემოქმედების დამამძიმებელი ან შემამსუბუქებელი კლიმატური

სიტუაციები (ბუნებრივია, ლანდშაფტური გარემოთი განპირობებული);
– დადგინდეს კორელაცია გულ-სისხლ-ძარღვთა დაავადებებსა და მაკრო და მიკრო ელემენტების შემცველობას შორის ნიადაგში და სასმელ წყალში;
– შესწავლილ იქნას კორელაცია გულ-სისლ-ძარღვთა დაავადებასა და საცხოვრებელი გარემოს ამგები ქანების ასაკსა და შემადგენლობას შორის.

ავთვისებიან სიმსივნურ დაავადებების წარმოშობისა და მათი გავრცელების ლანდშაფტური გარემოს შესწავლის მიზნით, საჭიროა:

– დადგინდეს "ეჭვმიტანილი" მიკრო და მაკროელემენტების გავრცელება და კონცენტრაცია ნიადაგებში, მიწისქვეშა და ზედაპირულ წყლებსა და ატმოსფერულ ჰაერში და მოხდეს მათი კორელაცია ლანდშაფტურ-ზონალურ ჭრილში ამ დაავადების გავრცელებასთან;
– გაირკვეს კავშირი მოსახლეობის სიმჭიდროვესა და ავადობის გავრცელებას შორის;
– დადგინდეს პარაზიტული დაავადებების ფონის მნიშვნელობა და როლი ავთვისებიანი სიმსივნეებისათვის;
– ატმოსფერული ჰაერის დაჭუჭყიანებასა და ავთვისებიან სიმსივნურ დაავადებებს შორის კორელაციის დადგენა და ამ მიზნით, გარკვევა საკითხებისა : თუ მრეწველობის რომელ დარგს უკავშირდება ავადობის მაქსიმალური და მინიმალური მაჩვენებლები, რა გავლენას ახდენს ჰაერის დაჭუჭყიანების ინტენსივობაზე ბუნებრივ-ტერიტორიული კომპლექსები (ლანდშაფტები) ან მისი ცალკეული კომპონენტები და თავის მხრივ, ეს უკანასკნელი რა ხარისხით იწვევს დაავადების ინტენსივობას;
– ბოლოს, უნდა განისაზღვროს კორელაცია ავთვისებიან სიმსივნეთა ცალკეულ სახესა და ლანდშაფტურ ზონებს შორის, კერძოდ: ამ შემთხვევაში ყურადღება უნდა მიექცეს ტიპოლოგიური ერთეულების სითბო-სინოტივის შეფარდებასა და ავადობის ინტენსივობის მაჩვენებელს, ნალექების რაოდენობასა და სეზონურ რიტმულობას (ატმოსფეროს გლობალურ და ადგილობრივ დაჭუჭყიანებაზე ამ კლიმატური ელემენტის გავლენის დადგენის მიზნით), ქარების სიჩქარესა და მიმართულებას (ადგილობრივი დაჭუჭყიანების გავრცელების რადიუსისა და მისი გადატანის ძირითადი მიმართულებების განსაზღვრისათვის - ე. წ. განიავების კოეფიციენტი), ზონალური გამწვანების ხარისხსა და რაოდენობრივ მაჩვენებლებს (როგორც ზემოაღნიშნული კლიმატური ერთეულების ეფექტურობის განმსაზღვრელ) შორის და ა.შ.

მოხსენების ანოტაცია - 3

საქართველოს მთიანი რეგიონების რაციონალური ბუნებათსარგებლობისა და გარემოს დაცვის ღონისძიებებიდან საჭიროდ მიგვაჩნია:

- გარემოს ხარისხობრივი მდგომარეობის გაუმჯობესება, ბუნებრივი რესურსების ოპტიმალური გამოყენება, აღწარმოება და გარემოს პოტენციურ შესაძლებლობათა გამოვლენა.
- ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისას ბუნებაზე და მის კომპონენტებზე ზღვრულად დასაშვები დატვირთვის ნორმების დადგენა. მთიან რეგიონების ფარგლებში არსებული დიდ დებიტიანი მინერალური წყაროების ეკოლოგიზაცია მათი ტურისტული რეკრეაციული თვალსაზრისით გამოყენების მიზნით.

– მდგრადობის პრინციპის გათვალისწინება – გარემო და მისი რესურსები გამოყენებულ უნდა იქნას ისე, რომ საშიშროება არ შეექმნას საზოგადოების განვითარებას.
– გარემოზე ზემოქმედების შეფასება სამეურნეო საქმიანობის (პროექტირების და დაგეგმარების) დროს.
– გარემოს დაცვითი და ეკოლოგიური (ეკოაუდიტის) აუდიტის ჩატარება მოხმარებული

ბუნებრივი რესურსების დანაკარგებისა და გარემოზე მავნე ზემოქმედების მინიმუმამდე დაყვანის მიზნით.

– ეკოლოგიური პასპორტიზაციისა და სერთიფიკაციის ჩატარება ლიცენზირება გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისას. მონაცემთა ბანკი – დაჭუჭყიანების სახის, ხარისხის, მასშტაბის, გავრცელების არეალის და სხვ. შესახებ.

– ბუნებრივ კატასტფროფული მოვლენებისა და პროცესების შედეგად მკვეთრად გაუარესებულ გარემოს მდგომარეობის საგანგებო ეკოლოგიურ ზონად გამოცხადება.

_ ადამიანის სამეურნეო საქმიანობის გეგმაზომიერი შეზღუდვა, ზომიერების დაცვა ტურიზმის სფეროში, სათანადო ინფრასტრუქტურის შექმნა, რაიონებს შორის დამაკავშირებელი გზებისა და ხიდების მშენებლობათა მოწესრიგება, მთის პატარ-პატარა სოფლებში ტრადიციული დარგების აღდგენა და სოც-ეკონომიკური პირობების გაუმჯობესება გახდება მთიანი რეგიონების ბუნებისა და მეურნეობის მდგრადი განვითარების გარანტი.

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	ლ. ლაღიძე, ლ. მაჭავარიანი, ნ. წივწივაძე, ნ. მოწონელიძე ნ.პაიჭაძე	„მეტეოროლოგიური ფაქტორების გავლენა ატმოსფეროს ეკოლოგიურ მდგომარეობაზე ((თბილისი)“. მე-8 სამეცნიერო კონფერენცია ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში.	3-7.02.2020, თბილისი. http://conference.ens-2020.tsu.ge/
2.	ნ. წივწივაძე, ლ. ლაღიძე, ნ. მოწონელიძე, გ. ივანოვი, ნ. პაიჭაძე	„ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტის მშენებლობის პროექტების (SWOT) ანალიზი“. მე-8 სამეცნიერო კონფერენცია ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში.	3-7.02.2020, თბილისი. http://conference.ens-2020.tsu.ge/

1. მე-20 საუკუნის მეორე ნახევრიდან, ატმოსფერომ, როგორც გარემოს ერთ-ერთმა ძირითადმა კომპონენტმა, მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა ანთროპოგენური ფაქტორის ზემოქმედების შედეგად, რამაც, თავის მხრივ, განაპირობა კლიმატის ცვლილება და მისი ზემოქმედება ადამიანსა და ეკოსისტემაზე. კლიმატის ცვლილებასთან ერთად გახშირდა და გაძლირდა ამინდის ექსტრემალური მოვლენები. ზოგიერთი ამ მოვლენის ინტენსიფიკაცია დაკავშირებულია გლობალური კლიმატური სისტემის ცვლილებებთან. აღნიშნული პრობლემა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია რთული მიკროკლიმატური თავისებურების მქონე ქალაქ თბილისისათვის, არასწორი ურბანული დაგეგმარების პირობებში, რომელმაც შესაძლებელია კლიმატური პარამეტრების ცვლილება გამოიწვიოს. ქალაქ თბილისისათვის, შეფასებულია და გაანალიზებულია, აეროზოლებისა და მავნე ნივთიერებების გამონაბოლქვის დინამიკა და ქალაქის ეკოლოგიური მდგომარეობა, რომელიც ძირითადად განპირობებულია, გეოგრაფიული მდებარეობის ადგილობრივი სპეციფიკითა და მეტეოროლოგიური

ფაქტორებით (სინოპტიკური პროცესები, ინვერსია, იზოთერმია), რომლებიც განაპირობებენ ატმოსფეროში აეროზოლების დაგროვებას და შესაბამისად ქალაქის მიკროკლიმატის ცვლილებას. კლიმატის ცვლილების შესაფასებლად, ქალაქ თბილისისათვის გამოყენებულია გარემოს ეროვნული სააგენტოს, ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების მონიტორინგის მასალები, სადაც დაკვირვება წარმოებს ჰაერის ფონურ დაბინძურებაზე და ასევე ავტომატურ რეჟიმში იზომება აეროზოლების და მავნე ნივთიერებების კონცენტრაციები. ასევე წარმოდგენილია ინდიკატორული გაზომვების ოთხი ეტაპის შედეგები ქალაქ თბილისისათვის. კვლევისათვის გამოყენებულია სტატისტიკური, კლიმატოლოგიური და გრაფიკული ანალიზი. კვლევებმა აჩვენა, რომ თბილისის მასშტაბით, ძირითადი დამაბინძურებლები: ნახშირჟანგი, გოგირდის დიოქსიდი, აზოტის ოქსიდები, ოზონი, PM2.5 და PM10 (ყოველთვიური და წლიური) კონცენტრაციები, უმეტეს შემთხვაში აჭარბებენ ზდკ-ს. განსაკუთრებით მნივნელოვანია აზოტის ოქსიდები და მიწისპირა ოზონი, რომელთა საშუალო წლიური კონცენტრაციები 1.4-1.8-ჯერ აჭარბებს ზდკ-ს, რაც აისახება ადამიანის ჯანმრთელობაზე. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ თბილისში ბოლო 5 წლის (2013-2017) განმავლობაში ტყვიის საშუალო წლიური კონცენტრაციების შემცირების ტენდენცია აღინიშნება. დადგენილია, სხვადასხვა დამაბინძურებლების კავშირი მეტეოროლოგიურ პირობებთან და გამოვლენილია ატმოსფეროს დაბინძურებისათვის ხელშემწყობი სონოპტიკური პროცესები. კლიმატის ცვლილების გამოვლინებებს ხშირად ახასიათებს კომმპლექსური ხასიათი, რაც განსაკუთრებით ართულებს მათ შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირების დადგენას და მოითხოვს პოლიტიკურ ხედვას და ადაპტაციის ღონისძიებების სწორად განსაზღვრას.

2. ნავსადგურები განსაკუთრებულად დიდ როლს ასრულებენ ქვეყნის სატრანსპორტო დამოუკიდებლობისა და თავდაცვისუნარიანობის გაძლიერების საკითხებში, ასევე ქვეყნის სატრანზიტო პოტენციალის ამაღლებაში, მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური პირობების გაუმჯობესებაში და ა.შ. ანაკლიის პორტის მშენებლობით მოხდება ქვეყნისთვის შესაძლო რისკებისა და ტვირთების გადანაწილების დივერსიფიკაცია, დასაქმების ხელშეწყობა, ბიუჯეტის შევსება და ქალაქწარმომქნელი ფუნქციის განხორციელება. მისი სახით დამატებითი სატრანსპორტო ლოგისტიკური ცენტრების მშენებლობა აუცილებელ ღონისძიებად უნდა ჩაითვალოს მომავალი მზარდი ტვირთნაკადების ფონზე, რომელიც შეიძლება უახლოეს მომავალში ჩინეთიდან და ინდოეთიდან წამოვიდეს ევროპისკენ და პირიქით. ეს მნიშვნელოვანი იქნება ჩვენი მეზობელი “ჩაკეტილი” ქვეყნებისთვისაც. 2010 წელს ექსპერტიზისათვის ჩვენთვის გადმოცემული შპს „ინჟინერმშენის“ - თ. ქარჩავა - ს. ერაგიას, საპროექტო წინადადებების სრული პაკეტი, ხმელეთშიდა, უაზის ტიპის, 18 მ. სიღრმის მულტიფუნქციონალური საზღვაო ნავსადგურის მშენებლობის შესახებ, მდ. ენგურის შესართავის სამხრეთ ნაწილში სოფლებს ანაკლიასა და ხორგას შორის. პროექტი წარმოადგენს ქვეყნის მდგრადი სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისა და პოლიტიკური სტაბილურობის შენარჩუნების უმნიშვნელოვანეს პროექტს, რომლის მშენებლობის ხანგრძლივობა 15 წელს არ აღემატებოდა. „ანაკლიის განვითარების კონსორციუმის“ (ხაზარაძე-კონტის ჯგუფი) მიერ პორტის მშენებლობის (მშენებლობის ხანგრძლივობით 50 წ.) დაგეგმილი ადგილმდებარეობა (უკეთესი ზემოხსენებულის არსებობის შემთხვევაში) სრულად სპობს ანაკლიაში რეკრეაციული პოტენციალის განვითარების პერსპექტივას და ქმნის როგორც სოციალურ, ასევე ეკონომიკურ და ეკოლოგიურ პრობლემებს (ექსპროპრიაციით დაშინებული 100 მეტი ოჯახის აყრა მამაპაპისეული კარმიდამოდან და ბიუჯეტიდან კომპენსაციების გაცემა; უფულობის პირობებში, უნიკალური სანაპიროს თითქმის 4 კმ მონაკვეთის გაუაზრებლად და დაუგეგმავად

აოხრება; გარემოს დაბინძურება სხვადასხვა წყაროთი (მოსახლეობის ჯანმრთელობის შერყევა) და სხვა.

7.2. უცხოეთში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1			
მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა)			

ანგარიშის ფორმა №2

2020 წელს გაწეული სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ანგარიში

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება - - - - - - - - - - - - - - - - - -

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის დასახელება -

ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი, გეოგრაფიის დეპარტამენტი, გეომორფოლოგია-კარტოგრაფიის კათედრა

სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა ხელმძღვანელის მითითებით

დალი ნიკოლაიშვილი – კათედრის გამგე, პროფესორი
თენგიზ გორდეზიანი – ასოცირებული პროფესორი
ცეცილი დონაძე – ასისტენტ პროფესორი
გიორგი დვალაშვილი – ასისტენტ პროფესორი

1. სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის პერსონალის მიერ შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

1.1.

№	გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	2	3	4
გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2020 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)			

1.2.

№	დასრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	2	3	4
დასრულებული კვლევითი პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)			

2. შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტით დაფინანსებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

2.1.

№	გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	2	3	4
გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2020 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)			
1	სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ქართული კულტურული მემკვიდრეობის გეოინფორმაციული კარტოგრაფირება-ანალიზი ძველი თურქული დავთრების მიხედვით#NHE-18-448 (26.07.2018)	26.07.2018-26.07.2021	**დალი ნიკოლაიშვილი** - სამეცნიერო ხელმძღვანელი, გეოგრაფი, გის-სპეციალისტი; დავით სართანია - პროექტის კოორდინატორი, ისტორიკოს-ეთნოლოგი, ისტორიის დოქტორი; დარეჯან კირთაძე - ტოპონიმიკის სპეციალისტი, ფილოლოგიის დოქტორი; მანანა კვეტენაძე - კარტოგრაფი, გის-სპეციალისტი (თსუ დოქტორანტი კარტოგრაფიის განხრით); თედო გორგოძე - კარტოგრაფი, გის-სპეციალისტი (თსუ დოქტორანტი კარტოგრაფიის განხრით); ზაზა შაშიკაძე - თურქოლოგი (ბათუმის სახ. უნივერსიტეტის ასოც. პროფ.)
საკვლევი ობიექტი მოიცავს სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს, რომლის სამხრეთი ნაწილი შედიოდა ოსმალეთის შემადგენლობაში ცალკეული ვილაიეთების (პროვინციების) სახელით. ამ ტერიტორიის ნაწილი დღეს შემოდის საქართველოში (აჭარა, სამცხე-ჯავახეთი), მეორე ნაწილი კი -თურქეთშია (ტაო-კლარჯეთი, კოლა-არტაანი, ლაზეთი). ძველ ოსმალურ დავთრებში მოცემულია მდიდარი მასალა, რომელიც პირველწყაროა სხვადასხვა დარგის სპეციალისტისათვის (სოციალურ-ეკონომიკური, დემოგრაფიული, გეოგრაფიული, ადმინისტრაციული, სასოფლო-სამეურნეო, პალეოგრაფიული, ლინგვისტური, ტოპონიმიკური და საგვარეულო-სამემკვიდრეო ხასიათის მდიდარი მასალა. რადგან ეს მასალები ოსმალეთის სახელმწიფოს მიერ დასახლებული პუნქტების მოსახლეობის აღწერაა, ისინი რეალური სურათის გადმომცემია და			

ფაქტობრივად ზუსტად ასახავენ აღწერისდროინდელ ვითარებას).

მეურნეობის ცალკეული დარგები და აგროკულტურები, რომლებიც წარსულში იყო აქ გავრცელებული, დღეს აქ აღარ არსებობს. პროექტის ფარგლებში მოხდა ამ საკიტხები კვლევა, რამაც შესაძლებლობა მოგცვა გამოგვევლინა ტრადიციული ბუნებათსარგებლობის ფორმები. პროექტის განხორციელება დაიწყო 2018 წლის 26 ივლისიდან. ამჟამად მიმდინარეობს პროექტით გათვალისწინებულ 3 ამოცანზე მუშაობა:

1) თემატური კარტოგრაფირება ძველი დავთრების მიხედვით და კომპლექსურ-გეოგრაფიული და კარტომეტრიული ანალიზი
2) სათანადო მონაცემების მოძიება-გაცნობა
3) მიღებული შედეგების ფართო საზოგადოებისათვის მისაწვდომი გარემოს შექმნა

2.2.

№	დასრულებული (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	2	3	4
დასრულებული კვლევითი პროექტის 2020 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)			

3. უცხოური გრანტებით დაფინანსებული სამეცნიერო პროექტები

3.1. გარდამავალი პროექტი

№	გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი, დამფინანსებელი ორგანიზაცია/ სამეცნიერო ფონდი, ქვეყანა	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	2	3	4
გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2020 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)			

3.2. დასრულებული პროექტი

№	დასრულებული (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი, დამფინანსებელი ორგანიზაცია/სამეცნიერო ფონდი, ქვეყანა	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	2	3	4
დასრულებული კვლევითი პროექტის 2020 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)			

4. პატენტები

4.1. საერთაშორისო პატენტები:

№	საპატენტო თემატიკის სათაური	გამომგონებელი/ები და პატენტმფლობელი/ები	პატენტის საიდენტიფიკაციო კოდი

4.2. ეროვნული პატენტები

№	საპატენტო თემატიკის სათაური	გამომგონებელი/ები და პატენტმფლობელი/ები	პატენტის საიდენტიფიკაციო კოდი

5. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში

5.1. მონოგრაფიები/წიგნები

№	ავტორი/ავტორები	მონოგრაფიის/წიგნის სათაური, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1 2 3 4 5	**გიორგი დვალაშვილი,** მარიამ ჯაფოშვილი დემეტრე მოდებაძე, მერი ჩიტიშვილი სალომე თაბაგარი	გურჯაანიის მუნიციპალიტეტი (ტურისტული ობიექტების გეოგრაფიული კვლევა ISBN 978-9941-13-911-6	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2020	106
წიგნში განხილულია გურჯაანის მუნიციპალიტეტის დასახლებული პუნქტები, დახასიათებულია 1 ქალაქი და მუნიციპალიტეტში არსებული ტერიტორიულ მართვის ორგანოში გაერთიანებული, საინტერესო გეოგრაფიული პირობებით და კულტურული მემკვიდრებით გამორჩეული 30 სოფელი. ყველა ამ დასახლებულ პუნქტში საინტერესო და				

მნიშვნელოვანი ბუნებრივი და ისტორიულ-არქიტექტურული ძეგლები მდებარეობს. ყოველივე ეს კი, მთლიანობაში, წარმოადგენს მდიდარ ტურისტულ-რეკრეაციულ რესურსს. წიგნი ილუსტრირებულია მუნიციპალიტეტის დასახლებული პუნქტის შესაბამისი ფოტოსურათებით. განხილულია - სოფლების სახელწოდების წარმოშობის სხვადასხვა ვერსია, ტრადიცია, თქმულება, ლეგენდა, სოფელში გავრცელებული გვარები, გეოგრაფიული ადგილების (მდინარეები, ტბები, მინდვრები, მთები, ხეობები,) დახასიათება, ეკლესია-მონასტრების, ციხე-სიმაგრეებისა და სახლ-მუზეუმების, როგორც ისტორიული წარსული, აგრეთვე-თანამედროვე მდგომარეობა. დასახლებულ პუნქტებში შესაძლებელია რამდენიმე საინტერესო ტურისტული მარშრუტის მოწყობა, როგორც ადგილობრივი, ისე უცხოელი ვიზიტორებისათვის, ბუნებრივი ღირსშესანიშნაობებისა და ისტორიულ-არქტიტექტურული ძეგლების გეოგრაფიული შეფასების საფუძველზე. გურჯაანის მუნიციპალიტეტისათვის დამახასიათებელი სტუმარმასპინძლობის განსაკუთრებული ტრადიციები, რეალური პირობაა, ამ რეგიონში, ტურიზმის განვითარებისათვის. წიგნი დააინტერესებს, როგორც გურჯაანის მუნიციპალიტეტის მოსახლეობას, აგრეთვე საჯარო სკოლის მოსწავლეებს, პედაგოგებს, სტუდენტებსა და მოგზაურებს.

5. 2. სახელმძღვანელოები

№	ავტორი/ავტორები	სახელმძღვანელოს სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1 2				
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)				

5.3. კრებულები

№	ავტორი/ავტორები	კრებულის სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1 2 3				
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)				

5.4. სტატიები ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდის (DOI) მითითებით

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათა-ური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო	ჟურნალის/ კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა

		კოდი DOI			
1					
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)					

5.5. სტატიები ISSN-ის მითითებით

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათა-ური, ISSN	ჟურნალის/ კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	დავით სართა-ნია, დალი ნიკოლაიშვილი, მანანა კვეტენაძე, ნონა ნიქაბაძე	მეცხოველეობისა და დამხმარე სამეურნეო დარგების თავისებურებანი „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთრის“ მიხედვით	საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოების შორმები, # 2 (იბეჭდება)	თბილისი	14 გვ.
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე) სტატიაში წარმოჩენილია ოსმალეთის მიერ XVI საუკუნეში დაპყრობილი სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს იმ მხარის მეურნეობის ცალკეული დარგების ანალიზი, რომელიც ოსმალებმა იმთავითვე გურჯისტანის ვილაიეთად მონათლეს. მეცხოველეობა და სხვა დამხმარე დარგები განხილულია 1595 წლის ოსმალური დოკუმენტის „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთრის“ მიხედვით. გურჯისტანის ვილაიეთი სამხრეთ-დასავლეთი საქართველოს დიდ ნაწილს მოიცავდა, რომლის მხოლოდ მცირე ნაწილია თანამედროვე საქართველოს ფარგლებში, დანარჩენი კი ოსმალეთის იმპერიის სამართალმემკვიდრის – თურქეთის რესპუბლიკაშია. კვლევის შედეგად შეიქმნა გის-ის მონაცემთა ბაზა, რომლის საფუძველზეც შედგა სხვადასხვა სახის თემატური რუკა და სხვა საილუსტრაციო მასალა. დავთარში მოცემული მონაცემების მიხედვით დადგინდა გურჯისტანის ვილაიეთის მეცხოველეობის ტერიტორიული განაწილების თავისებურებანი და მისი ცალკეული დარგების სამეურნეო მნიშვნელობის თანაფარდობა. ნათელი გახდა, რომ XVI საუკუნის ბოლოსათვის აღნიშნულ შენარჩუნებული ჰქონდა ქართული ტრადიციული სამეურნეო ყოფა.					
2	დავით სართანია, დალი ნიკოლაიშვილი, ავთანდილ უჯმაჯურიძე	ოსმალების მიერ დაპყრობილი საქართველოს ტერიტორიებისათვის შედგენილი დავთრების კლასიფიკაციის საკითხისათვის (იბეჭდება)	საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მაცნე, # 2, 2020		
ოსმალეთის იმპერია თავის დაპყრობილ ტერიტორიაზე თავისი ბატონობის განსამტკიცებლად ცდილობდა წაეშალა ადგილობრივი წეს-წყობილება და ოსმალური დაემკვიდრებინა. ამ მიზნით საგანგებოდ არსებული ოსმალო მოხელეები დაპყრობილ ტერიტორიას დეტალურად (დასახლებული პუნქტები, მოსახლეობა, გადასახადები და მათი ოდენობა, მიწისა თუ სხვა უძრავი ქონების მფლობელობა და სხვა) აღწერდნენ, რის შედეგად ქმნიდნენ მართვის ახალ ადმინისტრაციულ სისტემას და მოსახლეობას კი სხვადასხვა ოსმალური გადასახადებით ბეგრავდნენ. ყველა ეს გადასახადი აღრიცხული					

იყო საგანგებო წიგნებში ანუ დავთრებში (defteri). დავთრები ორ ეგზემპლარად დგებოდა, მას სულთანი საკუთარი თუღრით (ბეჭდი და ხელმოწერა) ამტკიცებდა. ერთი კვლავ ადგილზე იგზავნებოდა და მეორე კი სულთნის კარის კანცელარიაში ინახებოდა. აღწერის დავთრები კი მრავალგვარი იყო, მაგრამ დავთრები, რომლებიც საქართველოსათვისაა შედგენილი, მხოლოდ სამი სახისა გვხვდება. ესენია: დიდი დავთარი (defter mufassal), მოკლე დავთარი (defteri icmal ან defteri mucmel) და ცვლილებათა (იოკლამა) დავთარი. ვრცელი დავთარი გარკვეული ტერიტორიისა და მასზე მცხოვრებთა დეტალური აღწერას შეცავდა. აქ მოცემული იყო დასახლების მცხოვრებთა ზუსტი რაოდენობა, მათზე გაწერილი გადასახადები და მათი ოდენობა, მოსახლეობის რელიგიური სტრუქტურა და ა.შ. მოკლე დავთარი კი იგივე ტერიტორიის ცალკეული დასახლებების კონკრეტულ ოსმალო მოხელეთა მიერ ფლობას ასახავდა. სხვადასხვა რანგის ოსმალო მოხელეებს გასამრჯელოს სახით გარკვეული დასახლებები ეძლეოდა, რომელთაგან აღებული გადასახადის ნაწილი მათ მფლობელობაში რჩებოდა და დანარჩენი ცენტრალურ ხაზინაში იგზავნებოდა. დროთა განმავლობაში ცალკეულ დასახლებებს სხვადასხვა მიზეზით მფლობელი ეცვლებოდა და ეს პროცესი მესამე სახის ე.წ. ცვლილებათა დავთარში აღინუსხებოდა.

6. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა უცხოეთში

6.1. მონოგრაფიები/წიგნები

№	ავტორი/ავტორები	მონოგრაფიის/წიგნის სათაური, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	Dali Nikolaishvili, Davit Sartania	3 თავი წიგნში (# 10): 1) Agrodiversity and Sustainable Development. 2) Plant Diversity and General Vegetation of Georgia, and 3) Faunal Diversity in Georgia: General Perspective. (იბეჭდება)	ინდოეთი	≈ 20 p.
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე) ნაშრომში წარმოჩენილია საქართველოს ბუნებრივი მცენარეული საფარის, ძირიტადი აგროკულტურების და ფაუნის მრავალფეროვნება და განხილულია ამ მრავალფეროვნების გამაპირობებელი ძირითადი ფაქტორები. განხილულია საქართველოს ფლორისტულ/ფაუნისტური დარაიონება და ვერტიკალური სარტყლურობა. ძირითადი ბიომების გავრცელება გაანალიზებულია, როგორც ბუნებრივ საზღვრებში, ისე ანთროპოგენური ზემოქმედების შედეგად გამოწვეული ტრანსფორმაციების ფონზე. განსაკუთრებული ადგილი აქვს დათმობლი ტყეებს და ფიტომასების ტერიტორიული განაწილების თავისებურებებს. წარმოჩენილია ის მცენარეული ფორმაციები, რომლებიც ფიტორეურსების მაღალი მაჩვენებლებით ხასიათდებიან და ახსნილია ამის გამაპრობებელი			

ფაქტორები.

6.2. სახელმძღვანელოები

№	ავტორი/ავტორები	სახელმძღვანელოს სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1				
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)				

6.3. კრებულები

№	ავტორები	კრებულის სახელ-წოდება, საერთაშო-რისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1				
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)				

6.4. სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI ან ISSN	ჟურნალის/ კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	**Nikolaishvili D.,** Tsitsagi M., Nikolaishvili E., Chichinadze T., Gorgodze T.	Dependence of phytomass on environmental factors (Case study of Georgia's landscapes).	Journal of Environmental Biology (JEB), 2020. vol. 41. Number 2 (Special issue), March	თურქეთი, ინდოეთი	pp. 358-364 (7 pages)
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)					
სტატიაში განხილულია ფიტომასების სივრცითი განაწილების თავისებურებანი საქართველოს ტერიტორიაზე. იგი საკმაოდ კარგად ასახავს ცვლილებებს ფიზიკურ-გეოგრაფიული ფაქტორების მიხედვით. საქართველოს ლანდშაფტები ერთმანეთისაგან					

განსხვავდება ფიტომასების რაოდენობით, რაც შეადგენს 230 ტ/ჰა-ს. ფიტომასების მაქსიმალური რაოდენობა (500 ტ/ჰა-ზე მეტი) დამახასიათებელია საშუალო მთის წიფლნარ-მუქწიწვიანი, ხოლო მინიმალური - ნახევრად უდაბნოსა და მაღალი მთის სუბნივალური ლანდშაფტებისათვის. კიდევ უფრო მნიშვნელოვანია განსხვავება ფიტომასების რაოდენობის დიაპაზონის მიხედვით. ფიზიკურ-გეოგრაფიული ფაქტორები - რელიფი, კლიმატი, ნიადაგები, დიდ გავ-ლენას ახდენენ ფიტომასების დაგროვებასა და მათ პროდუქტიულობაზე.					
2	Sartania D., **Nikolaishvili D.,** Ujmajuridze A., Kvetenadze M.	Agricultural Crops Common in the Chorokhi and Mtkvari Upstream According to the old Turkish Census Books.	Journal of Environmental Biology (JEB), 2020. vol. 41. Number 2 (Special issue), March	თურქეთი, ინდოეთი	pp. 421-425 (5 pages)
კვლევა დაფუძნებულია სხვადასხვა თემატური შინაარსის რუკების შედგენაზე. ამ მიზნით განხორციელდა „გურჯისტანის ვილაიეთის დიდ დავთარში“ არსებული მონაცემების დახარისხება-კლასიფიკაცია, შეიქმნა გის-ის მონაცემთა ბაზა და თემატურ რუკათა სერია. რუკაზე მოცემული ობიექტების იდენტიფიკაცია განხორციელდა სხვა წყაროებთან ურთიერთშეჯერების საფუძველზე, რისთვისაც გამოყენებულია კვლევის შედარებითი გეოგრაფიული, ისტორიულ-შედარებითი, რექტროსპექტიული და რაოდენობრივი ანალიზისა და სხვა მეთოდები. კერძოდ, განხორციელდა სხვადასხვა რუკაზე მოცემული ობიექტების, აგრეთვე განსხვავებულ დროსა და სივრცეში მომხდარი მოვლენების ერთმანეთთან შეპირაპირება და მათ შორის მსგავსება-განსხვავებების დადგენა, გამოვლინდა ობიექტების ტერიტორიული განაწილების რიგი თა-ვისებურებანი. კვლევის შედეგად დადგინდა, რომ მეურნეობის ძირითადი დარგები იყო: მემარცვლეობა, პარკოსნების წარმოება, მევენახეობა-მეღვინეობა, მეცხოველეობა. თანამედროვე სიტუაციას თუ შევადარებთ, მეურნეობის სტრუქტურა ძალზე შეცვლილია. ეს განსაკუთრებით ითქმის მემარცვლეობასა და მევენახეობა-მეღვინეობაზე. მემარცვლეობა ცალკეულ რაიონებში შენარჩუნებულია, თუმცა მეცხოველეობა მაინც უფრო წამყვანია, ან ის ზოგან ჩანაცვლებულია სხვა აგროკულტურით. ყველაზე დიდი გადასახადი აგროკულტურებზე მოდიოდა ახალციხის ლივაში, რაც მჭიდრო დასახლებებითა და მოსახლეობის მაღალი სიმჭიდროვით აიხსნება.					
3	Elizbarasvili N., Sulkhanisvili N., Kalandadze B., Meladze G., **Gordeziani T**., Gorgodze T., **Donadze Ts**., Meladze G., Meladze M., Elizbarashvili	Main Problems of the Sustainable Development of the South Caucasus and Processes of Transformation of Landscapes	Journal of Environmental Biology (JEB), 2020. vol. 41. Number 2 (Special issue), March	თურქეთი, ინდოეთი	Vol.41. p.382 - 290.

	R. Sidamonidze	(Ecosystems) Biodiversity			

ბიომრავალფეროვნების ინდექსის მიხედვით, სამხრეთ კავკასია (აზერბაიჯანი, სომხეთი და საქართველო) ერთ – ერთი პირველია ჩრდილოეთ ნახევარსფეროში 6 ათასზე მეტი მცენარის ჯიშით, რაც, თუ მოცემულია ერთეული ფართობის მიხედვით, რეგიონს მნიშვნელოვან სტატუსს ანიჭებს გლობალური ბიომრავალფეროვნების ცენტრი (ბიოლოგიური და.. 2000). სამხრეთ კავკასია ასევე გამოირჩევა მაღალი ენდემიზმით: რეგიონში მცენარეებისა და ცხოველების 1/4 ენდემურია. მაგალითად, მხოლოდ ძუძუმწოვრები წარმოდგენილია 152 სახეობით, რომელთაგან 30 ენდემურია. რეგიონში ასევე მრავალი რელიქტური სახეობაა. სამხრეთ კავკასია გამოირჩევა ეკოსისტემების მრავალფეროვნებით: მიუხედავად იმისა, რომ მას უკავია მსოფლიო მიწის 0,5%, მას აქვს მსოფლიო ეკოსისტემების (ლანდშაფტების) ტიპების 40%. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სამხრეთ კავკასიაში ლანდშაფტების 1/10 შედის უცვლელი ან უმნიშვნელოდ გარდაქმნილი ეკოსისტემების კატეგორიას. ასევე საინტერესოა, რომ ჰომოგენური ან ტრანსსასაზღვრო ლანდშაფტები, მიუხედავად მათი პოლიტიკური მითვისებისა, ხასიათდება ეკონომიკის მსგავსი ფორმებით და გარემოსდაცვითი პრობლემებით.

სამხრეთ კავკასიის მდგრადი განვითარების პრობლემები დაკავშირებულია უამრავ მიზეზთან, რომელთაგან მნიშვნელოვანია შემდეგი: სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ისტორიული თავისებურებები, ეკონომიკის განვითარების თანამედროვე ტენდენციები, ბუნებრივი რესურსების გამოყენების ტენდენციები, ტრანსპორტის ტენდენციები. განვითარება, მოსახლეობის დინამიკის ტენდენციები, გეოპოლიტიკური მდგომარეობა და სამხედრო კონფლიქტები, ბუნებრივი რისკები და კატასტროფები.

ლანდშაფტების პირობების შეფასება ლანდშაფტის დაგეგმვისა და მდგრადი განვითარების მნიშვნელოვანი რგოლია. მასში მთავარ როლს ასრულებს ბუნებრივი, ასევე სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორები. ადამიანის საქმიანობა განსაზღვრავს სამხრეთ კავკასიის ლანდშაფტების 20% -ს. მოცემულ ეტაპზე მნიშვნელოვანი ამოცანაა შეცვლილი ლანდშაფტების ამჟამინდელი მდგომარეობის განსაზღვრა, რომელთა ძირითადი ნაწილი სოფლის მეურნეობის მოდიფიკაციებს უკავია.

4	**Gordeziani T.,** Gorgodze T., Kvijinadze S.	Cartography and Geoinformatics in Georgia: Past, Present and Future	CODATA-Germany Lecture Notes in information Sciences. Vol. 9. Geoinformation and Sustainable Development Selected Papers. "InterCarto-InterGIS 24. ISBN 978-3-00-062981-5	ბონი (გერმანია)	P. 27-35.

კარტოგრაფია საქართველოში ძირითადად სამი მიმართულებით ვითარდება: 1) კარტოგრაფია, როგორც აკადემიური მეცნიერება; 2) კარტოგრაფია, როგორც წარმოება და ტექნოლოგიურ საშუალებათა სისტემა; 3) კარტოგრაფია, როგორც სასწავლო

დისციპლინა სწავლების სამ დონეზე: საჯარო სკოლებში, კოლეჯებში და უმაღლეს სასწავლებლებში.

საქართველოში კარტოგრაფიის, როგორც მეცნიერების განვითარებაში რამდენიმე ეტაპი შეიძლება გამოიყოს: ა) კარტოგრაფია მე-18 საუკუნეში. ეს სტადია დაკავშირებულია გამოჩენილი ქართველი კარტოგრაფის, გეოგრაფისა და ისტორიკოსის, ვახუშტი ბაგრატიონის სახელთან. პირველი სრულფასოვანი ქართულენოვანი რუკები სწორედ ამ პერიოდთან არის დაკავშირებული. ვახუსტი ბაგრატიონმა თავისი პირველი ატლასი შექმნა 1735 წელს; მეორე ატლასი 1745 წელს; მესამე ატლასი კი 1752 წელს. ბ) კარტოგრაფია მე-19 საუკუნეში. ეს სტადია დაკავშირებულია საქართველოს სამხრეთი საზღვრების მსხვილმასშტაბიან ტოპოგრაფიულ კარტოგრაფირებასთან. ეს რუკები ფარავდა საქართველოს ტერიტორიის ძირითად ნაწილს. გ) კარტოგრაფია მე-20 საუკუნეში. ამ პერიოდში ქართული კარტოგრაფიული სკოლის მიერ, ალექსანდრე ასლანიკაშვილის ხელმძღვანელობით შეიქმნა ორიგინალური კარტოგრაფიული კონცეფცია - მეტაკარტოგრაფია (კარტოგრაფიის ზოგადი თეორია - მოძღვრება საგანზე, მეთოდსა და ენაზე). ამ კონცეფციის მიხედვით, მსოფლიო კარტოგრაფიაში პირველად იქნა გამოკვლეული რუკის ენის სემიოტიკური ასპექტები. ამავე პერიოდს ეკუთვნის საქართველოს პირველი კომპლექსური ატლასი. მე-20-21-ე საუკუნეების მიჯნაზე საქართველოში წარმატებულად ვითარდება ახალი მიმართულება კარტოგრაფიაში - გეოინფორმაციული კარტოგრაფია, რომლის სათავეებთან დგას ცნობილი გეოგრაფი და კარტოგრაფი ნიკო ბერუჩაშვილი. ამ პერიოდში შეიქმნა არაერთი კარტოგრაფიულ-გეოინფორმაციული პროდუქტი.

წარმოების სფეროში კარტოგრაფია წარმოდგენილია კარტოგრაფიული ფაბრიკების სახით, რომლებიც ფუნქციონირებენ თბილისში, სააქციონერო საზოგადოება „კარტოგრაფიისა“ და თავდაცვის სამინისტროს სტრუქტურაში არსებული სამხედრო კარტოგრაფიული ფაბრიკის სახით, სადაც იბეჭდება, როგორც სამოქალაქო, ისე სამხედრო დანიშნულების კარტოგრაფიული პროდუქცია.

კარტოგრაფია განათლების სისტემაში წარმოდგენილია სამ საფეხურზე. სასკოლო გეოგრაფიის სასწავლო პროგრამა შეიცავს ისეთ საკითხებს, რომლებსაც ეფუძნება მთელი სასკოლო გეოგრაფია. ტოპოგრაფია-კარტოგრაფიის სპეციალობა წარმოდგენილია კოლეჯებში, სადაც მაღალ დონეზე ისწავლება, როგორც პრაქტიკული კარტოგრაფიის, ისე ტოპოგრაფიის საკითხები. საუნივერსიტეტო დონეზე კარტოგრაფია არსებობს საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების სახით. ამ პროგრამების კურსდამთავრებულები წარმატებით მოღვაწეობენ ჩვენი ქვეყნის როგორს სახელმწიფო, ისე კერძო სტრუქტურებში.

5	**Гордезиани Т.**	Некоторые вопросы теоретической картографии	Материалы Международной конференции «ИнтерКарто/ИнтерГИС-26	პიატიგორსკი (რუსეთი)	Материалы ISSN 2414-http://intercarto.msu.ru

სტატიაში განხილულია თეორიული კარტოგრაფიის ისეთი საკითხები, როგორებიცაა: 1) დროის მასშტაბი და მისი კავშირი სივრცისა და შინაარსის მასშტაბებთან; 2) სივრცე-დროითი სინთეზის კარტოგრაფიული ფორმა; 3) დინამიკური გენერალიზაცია და მისი თვისებები.

	სტატია ეძღვნება თანამედროვე კარტოგრაფიის აქტუალურ თეორიულ საკითხებს. ნაშრომში წინა პლანზეა წამოწეული მეტაკარტოგრაფიის კონცეფცია, რომელმაც საფუძველი დაუდო კარტოგრაფიის თეორიას, როგორც მოძღვრებას საგანზე, მეთოდსა და ენაზე. ამ კონცეფციის ავტორად ითვლება გამოჩენილი ქართველი კარტოგრაფი, ალექსანდრე ასლანიკაშვილი, რომელიც ითვლება სწორედ მსოფლიო მასშტაბით კარტოგრაფიის თეორიის ფუზემდებლად. აღნიშნული კონცეფცია ახლებურად განსაზღვრავს კარტოგრაფიის ძირითად კატეგორიებს: მეცნიერების კვლევის საგანს, რეალობის განსაზღვრული მხარის კვლევის მეთოდს და ენას, რომლის საშუალებითაც კარტოგრაფია იკვლევს თავის შემეცნების საგანს. ამ კონცეფციის არსმა საშუალება მოგვცა გამოგვეკვლია თეორიული კარტოგრაფიის ისეთი აქტუალური საკიტხები, როგორებიცაა: 1) სივრცე-დროითი სინთეზის კარტოგრაფიული ფორმა; 2) დროის მასშტაბი; 3) დინამიკური გენერალიზაცია. სივრცე-დროიტი სინთეზის კარტოგრაფიული ფორმა სტატიაში განიხილება ალ. ასლანიკაშვილის მიერ ანალიზისა და სინთეზის კარტოგრაფიული ფორმების გამოკვლევის შედეგებზე დაყრდნობიტ. სივრცე-დროითი სინთეზის კვლევა შესრულებულია ბუნებრივ-ტერიტორიული კომპლექსების დრე-ღამურ მდგომარეობათა (სტექსების) რუკების საფუძველზე. ე.წ. „წარმოებული რუკების“ სივრცე-დროითი სინთეზის პროცესი ხორციელდება სამ საფეხურად: ა) დინამიკურ რუკათა სინთეზი ერთი თვისათვის; ბ) დინამიკურ რუკათა სინთეზი ერთი სეზონისათვის; გ) დინამიკურ რუკათა სინთეზი ერთი წლისათვის; სივრცე-დროითი სინთეზის პირველ საფეხურზე შედგენილია სტექსების ერთი სინთეზური რუკა, სივრცე-დროითი ინფორმაციის დანაკარგის გარეშე. რუკების შედგენის პროცესში გამოიყენება ე.წ. "სივრცე-დროითი დიაგრამები". დაინერგა ახალი ტერმინი „კარტოგრაფირებადი დრო“. კარტოგრაფიაში დღემდე გამოკვლეულია მასშტაბის ორი ტიპი: ა) სივრცის მასშტაბი (აბსტრაჰირების ხარისხი) და ბ) შინაარსის მასშტაბი (განზოგადების ხარისხი). სტატიაში შესწავლილია სტექსების რუკების დროის მასშტაბი. ნაშრომში დროის მასშტაბი განმარტებულია, როგორც განვითარების არსების განზოგადების ხარისხი. სტატიაში კიდევ ერთი საკითხია შესწავლილი - დინამიკური გენერალიზაცია. კვლევა ტარდება სტექსების რუკათა საფუძველზე ერთი წლის განმავლობაში. დადგენილია, რომ დინამიკური გენერალიზაცია დამოკიდებულია სტექსების რუკათა "სინთეზურობის ხარისხზე". დინამიკური გენერალიზაცია პირდაპირ კავშირშია სივრცე-დროითი მოდელის დინამიკურ რუკათა რაოდენობასთან. სივრცე-დროითი სინთეზის, დროის მასშტაბისა და დინამიკური გენერალიზაციის საკითხები მჭიდრო კავშირშია ერთმანეთთან. მაგალითად, დინამიკური გენერალიზაცია, სივრცე-დროითი სინთეზის შედეგია და ეს პროცესები ხორციელდება დროის მასშტაბის ფუნქციონირების თანხლებით.				
6	Маглакелидзе Р., **Гордезиани Т.**, Джамаспашвили Н., Шарашенидзе М.	Геоинформационная система Марткопского стационара: связи и перспективы	Материалы Международной конференции «ИнтерКарто/ИнтерГИС-26».	Пиатигорск (რუსეთი)	Материалы Международной конференции «ИнтерКарто/ИнтерГИС-26». Пятигорск. 2020. ISSN 2414-9179. http://intercarto.msu.ru
	მარტყოფის ფიზიკურ-გეოგრაფიული სტაციონარი ნახევარ საუკუნეზე მეტია ასაკისაა. სტაციონარი დაარსდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკური გეოგრაფიის კათედრის გამგის მ. სანებლიძის თაოსნობით. 1962 წელს შეირჩა				

ადგილმდებარეობა (თბილისიდან ჩრდილო – აღმოსავლეთით 30 კმ). 1963 წელს აშენდა 3 შენობა (მეოთხე აშენდა 1967 წელს), ხოლო 1965 წლის 20 მაისს დაიწყო მუდმივი მეტეოროლოგიური დაკვირვებები. კვლევის პირველ ეტაპზე, გარდა მეტეოროლოგიური დაკვირვებებისა, ჩატარდა მარტყოფის სტაციონარის მიდამოებისა და მიმდებარე ტერიტორიის (იალნოს ქედი და მიმდებარე ტერიტორიები) ფიზიკურ-გეოგრაფიული კვლევები, შედგენილ იქნა ამ ტერიტორიის დეტალური ლანდშაფტური რუკა (მასშტაბით 1:25 000). 1969 წელს სტაციონარის მიმდებარე ტერიტორიაზე ლანდშაფტების სტრუქტურისა და ფუნქციონირების შესახებ დაიწყო კვლევები. ამასთან, ძირითადად, ეს კვლევები ჩატარდა ბიოგეოცენოლოგიური და ეკოლოგიური სადგურების მეთოდოლოგიის შესაბამისად.

სტაციონარში კვლევის "ოქროს პერიოდის" დასაწყისად ითვლება 1971 წლის 20 მაისი, როდესაც მიიღეს ახალი კვლევითი პროგრამა. ამ პროგრამით შესაძლებელი გახდა 5000-6000 ანათვლის წარმოება მთელი წლის განმავლობაში, დღის განმავლობაში, რომლის საფუძველზეც შესაძლებელი იყო 100-ზე მეტი პარამეტრის წარმოდგენა ბუნებრივ-ტერიტორიული კომპლექსების სტრუქტურისა და ფუნქციონირების ყოველდღიური მდგომარეობის შესახებ. ამ კვლევების შედეგები გამოქვეყნდა ბიულეტენებში "დაკვირვება და კვლევა მარტყოფის სტაციონარში" (1973-1975). ამ პერიოდიდან დაიწყო მრავალკომპონენტიანი კვლევები, ბტკ-ების სტრუქტურისა და ფუნქციონირების შესწავლის მიზნით.

მარტყოფის ფიზიკურ-გეოგრაფიული სტაციონარის ბაზაზე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 1979 წელს დაარსდა აეროკოსმოსური მეთოდებით ბუნებრივი გარემოს მდგომარეობათა შემსწავლელი სამეცნირო-კვლევითი ლაბორატორია, რომელიც გახდა კავკასიის მაგალითზე მთიან რეგიონებში გეოსისტემების შესწავლის ცენტრი. ამ კვლევების სათავეებთან დგას გამოჩენილი ქართველი გეოგრაფი და კარტოგრაფი პროფ. ნიკო ბერუჩაშვილი. ამ პერიოდში ნ. ბერუჩაშვილის ხელმძღვანელობით შეიქმნა კომპიუტერზე დაფუძნებული პირველი ექსპერტული გეოინფორმაციული სისტემა და ამით საფუძველი.

7	I. Kalandadze, A. Kikava, **G. Dvalashvili**, Zh. Tchitanava, B. Kalandadze	„დეგრადირებული ნიადაგების მდგრადი მართვა (ქვემო ქართლის რეგიონის მაგალითზე - საქართველო)“	20th International Scientific Geo-Conference SGEM 2020	Albena, Bulgaria SGEM	20. Ecology and Environmental Protection ISBN 978-619-7408-47-8

ნიადაგების დეგრადაცია გლობალური პროცესია და ეს პრობლემა მეტ-ნაკლებად ყველა ქვეყანას აწუხებს. მიწის დეგრადაცია საქართველოში განპირობებულია კლიმატურ-რელიეფური თავისებურებებით, გეოდინამიკური პროცესების აქტივობით, ტყეების უკონტროლო ჭრითა და არასწორი სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკით (არასწორი მორწყვითი მელიორაცია, პესტიციდებისა და მინერალური სასუქების არანორმირებული გამოყენება, მონოკულტურის თესვის პრაქტიკა, უკონტროლო ძოვება, დამრეც

ფერდობებზე ხვნა და ა.შ.) დეგრადაციის ერთ-ერთი გამოხატულებაა დამლაშებული ნიადაგები. საქართველოს ნახევრად გაუდაბნოებულ ტერიტორიებზე გავრცელებული **დამლაშებული** და **ბიცობი ნიადაგების** საერთო ფართობი 205 ათას ჰექტარზე მეტია. ქვეყნის მთელი სასოფლო-სამეურნეო სავარგულის 65 %-მდე ღარიბია საკვები ელემენტებით; განსაკუთრებით დამაფიქრებელია, რომ ქვეყნის ყველა რეგიონში შეინიშნება ნიადაგის ნაყოფიერების უმთავრესი მაჩვენებლის - **ჰუმუსის მწვავე დეფიციტი და მისი ბალანსი უარყოფითია.** ნიადაგზე არასწორი ანთროპოგენური ზემოქმედების შედეგად დაირღვა მისი სტრუქტურა, დაქვეითდა ჰუმუსისა და საკვებ-ნივთიერებათა შემცველობა, წარმოიქმნა სახნავი ზოლის ქვედა გამკვრივებული ფენა, გაუარესდა ნიადაგის ფიზიკური თვისებები - წყალგამტაროება, ტენტევადობა, აერაცია და სხვა. დადგენილია, რომ ასეთი სახის დეგრადირებულ - "გადაღლილ" ნიადაგებზე მოსავლიანობა დაქვეითებულია საშუალოდ 55-65%-ით.

8	Elizbarashvili N., Laoshvili Z., **Dvalashvili G.**, Elizbarashvili R.	Geographical Diversity of Georgia and Perspectives of Planning of Geoparks (Geo Heritages)	In: Singh R., Wei D., Anand S. (eds) Global Geographical Heritage, Geoparks and Geotourism. Advances in Geographical and Environmental Sciences.	Springer, Singapore. 2020	https://doi.org/10.1007/978-981-15-4956-4 . **ISBN** 978-981-15-4955-7

საქართველოში გეოპარკის პირველი ნომინაციისთვის წარმოდგენილი ტერიტორია შედგება სამი ძირითადი ნაწილისგან. პირველი ანუ ჯავახეთის ვულკანური პლატო მოიცავს აბულ-სამსარის ქედის რამდენიმე ვულკანის კონუსს (დიდი და პატარა აბული, ჭიქიანი, თავკვეთილა, სამსარი, შავნაბადა და სხვ.) და იმ ლავურ ნაკადს, რომელიც ქმნის რეგიონის ვულკანურ კარკასს. დიდი აბულის სიმაღლე ზღვის დონიდან 3303 მეტრია. იგი ამჟამად წარმოადგენს ჩამქრალ ვულკანს, რომელიც აქტიურად მოქმედებდა 10-12 ათასი წლის წინ. მისგან სამხრეთით მდებარეობს მთა პატარა აბული (2800 მ), რომლის ფერდობები და ძირი მოფენილია საინტერესო დენუდაციური ფორმებით, ე. წ. „ქვის ნაკადებით". მეორე ანუ მდინარე მტკვრის კანიონი ჯავახეთის ვულკანური პლატოდან რამდენიმე კილომეტრში მდებარეობს. მისი სიღრმე ზოგან 500 მეტრსაც კი აღემატება. კანიონის ფერდობების ძირითადი ნაწილი ციცაბოა, რაც განუმეორებელ სანახაობას ქმნის. იგი უდიდესი კანიონია საქართველოში. მას უდიდესი ისტორიული დანიშნულება ჰქონდა, რადგან მის სიახლოვეს გადიოდა ახლო აღმოსავლეთისა და კავკასიის დამაკავშირებელი გზები.

მესამე ობიექტი უშუალოდ უკავშირდება მდინარე მტკვრის კანიონს. აქ შემორჩენილა ხელოვნური გამოქვაბულების არაერთი კომპლექსი (ვარძია, ვანის ქვაბები) და ციხე-სიმაგრე (თმოგვი, ხერთვისი). ისინი მე-11-12 საუკუნის ძეგლებია. ვარძია კლდეში ნაკვეთი სამონასტრო ანსამბლია, მდებარეობს ზღვის დონიდან 1300 - 1460 მეტრზე. იგი 13 სართულისგან შედგება და მჭიდროდ დასახლებულ ქალაქს წარმოადგენდა. მასში შემორჩენილია შუა საუკუნეების საყოფაცხოვრებო და სოციალური ინფრასტრუქტურა,

რაც ათასობით დამთვალიერებელს იზიდავს.

7. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

7.1. საქართველოში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	დალი ნიკოლაიშვილი	დავითგარეჯა ძველი კარტოგრაფიული წყაროების მიხედვით	თბილისი, თსუ, 7.02.2020

მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა)

სხვადასხვა ისტორიული წყაროების საფუძველზე შედგენილი საქართველოს ისტორიული ატლასის რუკების მიხედვით, დავითგარეჯა ძვ.წ. VI-I საუკუნეებში კავკასიის ალბანეთის შემადგელობაში იყო. ვითარება ნაწილობრივ იცვლება შემდგომ, თუმცა მტკვარსა და იორს შორის მოქცეული ტერიტორია (კერძოდ, ყარაიის ველი, დავითგარეჯის მთელი კომპლექსი) მთლიანად საქართველოს ფარგლებში იყო საუკუნების მანძილზე. ცხადია, ამ პეროდის რუკები არ მოგვეპოვება. ერთადერთია ვახუშტი ბაგრატიონის ატლასი, რომლის მიხედვითაც შესაძლებელია დავითგარეჯის საქართველოსადმი მიკუთვნებულობის განსაზღვრა.

საქართველოს საზღვრის ტრანსფორმაციების შესწავლის მიზნით განხორციელდა რუსეთის იმპერიის პერიოდში გამოცემული სხვადასხვა მასშტაბის, მათ შორის ზოგადგეოგრაფიული საშუალო- და მსხვილმასშტაბიანი რუკების ურთიერთშედარება და ანალიზი. მათზე გატარებული საზღვრის კონტურები (პოლიტიკური, ადმინისტრაციული) იმ პერიოდში არსებული საზღვრების რეტროსპექტივის შესაძლებლობას იძლევა.

საქართველოს კონსტიტუციით ჩვენი ქვეყნის საზღვარი შედგება ყოფილი სსრკ-ის საკანონმდებლო აქტებით დადგენილი საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ადმინისტრაციული საზღვრისაგან. ეს იმას ნიშნავს, რომ იურიდიული ძალა აქვს 1921 წლის 5 ივლისს საქართველოს სსრ და აზერბაიჯანის სსრ შორის საზღვრების მოწესრიგების თაობაზე დადებულ ხელშეკრულებას. მასში აღნიშნულია, რომ პოლიტიკური საზღვრები დარჩა უცვლელი, ანუ ისე როგორც ეს განსაზღვრული იყო 1920 წლის 12 ივნისის აღსთაფის ხელშეკრულებით. ეს კი იმას ნიშნავს, რომ დავითგარეჯა და მიმდებარე ტერიტორიები საქართველოს შემადგენლობაში დარჩა. ხელშეკრულების მიხედვით სადემარკაციო ხაზის შეთანხმება მოხდა 5-ვერსიანი (თანამედროვე მასშტაბით 1:210,000) რუკის მიხედვით. საქართველოსა და აზერბაიჯანს შორის საზღვრად დაიდო ბორჩალოსა და ყაზახის მაზრებს შორის გავლებული საადმინისტრაციო ხაზი. 1921 წლის 25 თებერვალს რუსეთმა მოახდინა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ანექსია და ტერიტორიული დანაკარგი შეეხო საქართველო-აზერბაიჯანის საზღვარსაც.

2	თენგიზ გორდეზიანი	სივრცე-დროითი სინთეზის კარტოგრაფიული ფორმა და მისი თვისებები	თბილისი, თსუ, 7.02.2020

კარტოგრაფირებადი მოვლენის დროში ცვალებადობის ასახვა კარტოგრაფიის კვლევის საგნის პირდაპირ და უმნიშვნელოვანეს საკითხს წარმოადგენს. ეს მას შემდეგაა განსაკუთრებით აქტუალური, რაც კარტოგრაფირების პროცესში ჩაერთო მეოთხე განზომილება - დრო. კონკრეტული სივრცისა და მასში კოდირებული განსაზღვრული შინაარსის სინთეზი

ხორციელდება ერთი და იგივე მასშტაბის ე.წ. კომპონენტური რუკების მონაწილეობით, რის შედეგადაც ვღებულობთ ერთ, რთული შინაარსის მქონე რუკას. ეს კარტოგრაფიული სინთეზის პირველი საფეხურია, რომელიც დროში სტატიკური რუკების საფუძველზე ხორციელდება და მიღებული შედეგიც რთული შინაარსის, მაგრამ ასევე, დროში სტატიკური რუკაა. ეს პროცესი უფრო რთულად მიმდინარეობს და ლოგიკურად გრძელდება სხვადასხვა დროის, მაგრამ ერთი და იმავე შინაარსისა და მასშტაბის რუკების სინთეზირების შედეგად. ამ შემთხვევაში უკვე საქმე გვაქვს ე.წ. ოთხგანზომილებიან (დროში) სინთეზთან. ეს პროცესი უფრო შედეგიანად „მუშაობს“ მაშინ, როდესაც დროში სინთეზირებად რუკებზე ასახულია სივრცობრივად კონტინუალური მოვლენა. სივრცე-დროითი სინთეზის პროცესში სხვადასხვა დროის რუკების მონაწილეობისას შეიძლება განვიხილოთ ორი მომენტი: ა) როდესაც უცვლელია სივრცე-დროითი სინთეზის პროცესში მონაწილე რუკების სივრცის მასშტაბი. ასეთ შემთხვევაში სინთეზის პროცესის განხორციელების შედეგად მიღებული კარტოგრაფიული მოდელის ინფორმაციატევადობა. უცვლელია. ბ) მეორე მიდგომა უკავშირდება სივრცის მასშტაბის გაზრდას დროის იგივე მომენტისათვის, ხოლო კარტოგრაფირებადი დრო იგივე რჩება. სივრცე-დროითი სინთეზის ფუნქციონირების ასეთ შემთხვევას კი მივყავართ სინთეზის შედეგის ინფორმაციატევადობის ინფორმაციატევადობის შეცვლამდე. მოვლენის დინამიზმის ჩვენებისას, იგი ეფუძნება ე.წ. ფონურ კომპონენტურ მონაცემებს, რომელთა მიხედვითაც შესაძლებლობა გვეძლევა დავახასიათოთ ლანდშაფტთა ფუნქციონირების სხვადასხვა ასპექტები წლიურ ციკლში. ბუნებრივ-ტერიტორიული კომპლექსების (ბტკ) მდგომარეობათა კარტოგრაფირების პროცესში ფონურ მახასიათებლად გვევლინება ე.წ. დომინანტური სტექსები (ბტკ-ის დღე-ღამური მდგომარეობები). საბოლოოდ შეიძლება ჩამოვაყალიბოთ სივრცე-დროითი სინთეზის კარტოგრაფიული ფორმის დეფინიცია - სივრცე-დროითი სინთეზის კარტოგრაფიული ფორმა, სინთეზის ასეთი ფორმაა, რომლის დროსაც ხორციელდება გადასვლა რუკათა დიდი სიმრავლიდან მათ მცირე რაოდენობაზე, კარტოგრაფირებადი სივრცე-დროისა და იმ რუკათა სივრცისა და შინაარსის მასშტაბთა შეცვლის გარეშე, რომლების მონაწილეობენ სინთეზის პროცესში, სივრცე-დროითი მოდელის პირველადი ინფორმაციის დანაკარგის გარეშე.

3	ცეცილია დონაძე	ანთროპოგენური რელიეფის უძველესი ფორმები: საზღვაო და სამდინარო პოლიფუნქციური არხები და ფერდობების დატერასება	თბილისი, თსუ, 7.02.2020

გეომორფოლოგია აღმოჩნდა გეოგრაფიულ მეცნიერებათა იმ ჯგუფში, რომელიც მხოლოდ ბოლო 40-50 წლის წინ ჩაერთო საფუძვლიანად ადამიანისა და გარემოს ურთიერთკავშირის შედეგად წარმოქმნილი პრობლემების შესწავლაში. დაახლოებით 200 წლის წინ, ჩ. ლაიელის დროს, კაცობრიობის შესაძლებლობა გარდაექმნა ბუნება, მეტოქეობა გაეწია მის ძალებთან, მინიმალური იყო. გარემოზე ადამიანის ზემოქმედება გაიზარდა მსოფლიოს მოსახლეობის ზრდის პროპორციულად. რელიეფის მდგომარეობა პირდაპირ კავშირშია ადამიანის სამეურნეო საქმიანობასთან, ანუ ანთროპოგენურ ფაქტორთან, რომელშიც გაერთიანებულია ადამიანის ბუნებაზე ზემოქმედების ყველა ფორმა. იქიდან გამომდინარე, რომ გეოეკოსის ფართობი შედარებით მუდმივი სიდიდეა, ხოლო დედამიწის მოსახლეობის რაოდენობა მუდამ მეტობისკენ ცვლადი, ცხადია, რომ იზრდება ადამიანის გავლენის რაოდენობრივი მაჩვენებელი გეოეკოსზე. შეიძლება ითქვას, რომ ადამიანი ერთადერთი არსებაა დედამიწაზე, რომელსაც

თვითონ შეუძლია სასურველი გარემოს შერჩევა. უძველესი დროიდან ადამიანის ზემოქმედებით შექმნილ,ანუ ანთროპოგენური რელიეფის ფორმებს წარმოადგენს საზღვაო თუ სამდინარო პოლიფუნქციური არხები და ფერდობების დატერასება. დიდი სამუშაოები ტარდება ანთროპოგენური მდინარეების, ანუ არხების მშენებლობისას. არხი სხვადასხვა ფუნქციას ასრულებს, მათ ასეულობთ კილომეტრებზე გადააქვთ სასოფლო–სამეურნეო, სამელიორაციო და სხვა დანიშნულების წყლის ვეება მასა. მთიანი და მცირემიწიანი ქვეყნებისთვის სასოფლო-სამეურნეო სავარგულების მიწის ფონდის გასაზრდელად ერთ-ერთ ოდითგანვე ცნობილ მეთოდს ფერდობების ხელოვნურად დატერასება წარმოადგენს. მორწყული მიწების სავარგულებად გადაქცევამ მოსახლეობის პროდუქტებით მომარაგების პრობლემების მოგვარებას შეუწყო ხელი. სხვა მსგავსი რამ კაცობრიობას ჯერაც არ მოუგონია, მაგრამ, სამწუხაროდ, მასაც გარკვეული უარყოფითი მხარეები გააჩნია, პირველ რიგში, ასეთად ითვლება მაღალმინერალიზებული ანთროპოგენური ტბები, რომლებიც ირიგაციის კანონზომიერი შედეგია, სავარგულების მორწყვის შემდეგ ძლიერ მინერალიზებული წყლის მოცილება მხოლოდ იმ ჩაკეტილ დეპრესიებში შეიძლება, რომლებიც აღნიშნულ მიწებთან ახლოს მდებარეობს; ოდითგანვე საქართველოს მოსახლეობის მაპროფილებელ დარგს სოფლის მეურნეობა წარმოადგენდა, ამიტომ ნაშრომში მსოფლიოს სხვა ქვეყნების კვალდაკვალ, ჩვენს ქვეყანაშიც არსებულ უძველეს, უდიდეს, ფუნქციური დატვირთვით იშვიათ და უნიკალურ არხებს და ტერასებსაც ვეცნობით. ასევე, მათ გავლენას გარემო პირობებზე, კერძოდ თანამედროვე გეომორფოლოგიურ პროცესებზე.			
4	გიორგი დვალაშვილი	საქართველოს თანამედროვე გეოდინამიკური პროცესები (მუნიციპალიტეტების მიხედვით)	თბილისი, თსუ, 7.02.2020

საქართველოს ტერიტორია ბუნების სტიქიური პროცესების მრავალსახეობრივი სპექტრით, განვითარების მასშტაბებით, დროში განმეორებადობით, მოსახლეობის, სასოფლო-სამეურნე სავარგულებისა და სამეურნეო-საინჟინრო ობიექტებისადმი მიყენებული ნეგატიური შედეგებით, მთიან მხარეთა ერთ-ერთ ურთულეს რეგიონს განეკუთვნება. აქ განვითარებული მეწყრები, კლდეზვავები, ღვარცოფები, ზღვისა და წყალსაცავების ნაპირების წარეცხვა, ეროზიის სხვადასხვა სახეები, წყალმოვარდნები, კარსტულ-სუფოზიური ჩაქცევები და მათგან გამოწვეული სოციალურ-ეკონომიკური შედეგები მეურნეობის ყველა სფეროს მოიცავს. გრავიტაციული მოვლენების ფართომასშტაბიანი განვითარების საშიშროებას წარმოუდგენლად ზრდის ის გარემოებაც, რომ ქვეყნის ტერიტორია 7-9 ბალიანი მიწისძვრების რისკის ზონაშია მოქცეული. საქართველოს ცალკეულ მუნიციპალიტეტებში ბუნების სტიქიური პროცესების ძლიერ ზეგავლენას (ხშირად კატასტროფული შედეგებით) პერიოდულად განიცდის ჩვენი ქვეყნის ათასობით დასახლებული პუნქტი, სასოფლო-სამეურნეო სავარგულები, გზები, ნავთობ და გაზსადენი ტრასები, ჰიდროტექტნიკურ-სამელიორაციო ობიექტები, მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზები, სამთო-ტურისტული კომპლექსები და სხვ. პროცესების ექსტრემალური გამოვლენისას, არც თუ იშვიათად, საჭირო ხდება მოსახლეობის ისტორიულად დამკვიდრებული საცხოვრებლიდან აყრა და მათი გადაყვანა უხიფათო ადგილებზე, ზოგჯერ სხვა რეგიონებშიც კი, დროთა განმავლობაში ამას მოჰყვება ათეულობით მთის სოფლის დაცარიელება და მიწების დაზიანება. საქართველოში, ბოლო პერიოდში ჩატარებული კვლევებით, სტიქიური პროცესების მაღალი რისკის საშიშროების

ზონაში აღმოჩნდა 3000-მდე დასახლებული პუნქტი 400 ათასზე მეტი ოჯახით, მათგან 50 000 ოჯახი სხვადასხვა დროს გადაყვანილ იქნა უსაფრთხო ადგილებზე. აღნიშნული პროცესებით სხვადასხვა ინტენსივობით დაზიანებული ან სარისკო ტერიტორიის ფართობებმა დაახლოებით 4 მლნ ჰა-ს მიაღწია. მოსახლეობისა და საინჟინრო-სამეურნეო ობიექტების დაცვა კატასტროფული მოვლენებისაგან წარმოადგენს ტერიტორიის მდგრადი განვითარების ყველაზე აქტუალურ პრობლემას. აღნიშნული პრობლემის მნიშვნელობა განსაკუთრებით მწვავეა მთიან და მთისწინა რაიონებში.

7.2. უცხოეთში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	ნიკოლაიშვილი დ., შარაშენიძე მ., თოლორდავა რ., მაღლაკელიძე რ., კვეტენაძე მ., ხარებავა ნ.	საქართველოს ალნდშაფტების ანტროპოგენური ტრანსფორმაციები XIX-XX საუკუნეებში file:///C:/Users/D%20A%20L%20I/Downloads/09.23.20-%D0%9F%D1%80%D0%BE%D0%B3%D1%80%D0%B0%D0%BC%D0%BC%D0%B0%20%D0%BE%D0%BD%D0%BB%D0%B0%D0%B9%D0%BD%202.0.pdf	საერთაშორისო კონეფრენცია „ინტერკარტო, ინტერგის 26“: მდგრრადი განვითარების გეოინფორმაციული უზრუნველყოფა, 24-25.09.2020 (ინტერნეტკონფერენცია)
2	Davit Sartania, Revaz Tolordava, Dali Nikolaishvili, Robert Maghlakelidze	Planning-Mapping the Khertvisi Historical-Cultural Landscapes	CODATA-Germany Lecture Notes in Information Sciences, Vol. 9, 2020
3	Gordeziani T., Gorgodze T., Kvijinadze S.	Cartography and Geoinformatics in Georgia: Past, Present and Future	CODATA-Germany Lecture Notes in information Sciences. Vol. 9. Geoinformation and Sustainable Development Selected Papers. “InterCarto-InterGIS 24. Bonn. Germany. P. 27-35. 2020, ISBN 978-3-00-062981-5
4	Гордезиани Т.	Некоторые вопросы теоретической картографии	Материалы Международной конференции «ИнтерКарто/ИнтерГИС-26». Пятигорск. 2020. ISSN 2414-9179. http://intercarto.msu.ru
5	Маглакелидзе Р., Гордезиани Т., Джамаспашвили Н., Шарашенидзе М.	Геоинформационная система Марткопского стационара: связи и перспективы	Материалы Международной конференции «ИнтерКарто/ИнтерГИС-26». Пятигорск. 2020. ISSN 2414-

			9179. http://intercarto.msu.ru
6	Гордезиани Т., Горгодзе Т., Гудзуадзе Г.	Грузинская научно-картографическая школа: история и перспективы	Материалы Международной конференции «ИнтерКарто/ИнтерГИС-26». Тбилиси. 2020.
7	I. Kalandadze, A. Kikava, **G. Dvalashvili**, Zh. Tchitanava, B. Kalandadze	„დეგრადირებული ნიადაგების მდგრადი მართვა (ქვემო ქართლის რეგიონის მაგალითზე - საქართველო)“	20th International Scientific Geo Conference SGEM 2020. ISBN 978-619-7408-47-8 Albena, Bulgaria SGEM
მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა)			

ანგარიშის ფორმა №2

2020 წელს გაწეული სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ანგარიში

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი, გეოგრაფიის დეპარტამენტი

სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის დასახელება
გეოგრაფიული სასწავლო-სამეცნიერო ლაბორატორია

სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა ხელმძღვანელის მითითებით

ჯამასპაშვილი ნელი, გეოგრაფიის დოქტორი, ინჟინერი
მანანა შარაშენიძე, გეოგრაფიის დოქტორი, ლაბორანტი
ნინო რუხაძე, უფრ. ლაბორანტი
ნინო პაიჭაძე , ლაბორანტი

1. სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის პერსონალის მიერ შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

1.1.

№	გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	2	3	4
1	“ელექტრონული სასწავლო-სამეცნიერო ბიბლიოთკის განახლება – კატალოგიზაცია”. საბუნებისმეტყველო; გეოგრაფიის მიმართულება. დამხმარე სასწავლო-სამეცნიერო ერთეული - გეოგრაფიული ლაბორატორია	2018-დღემდე	**ნელი ჯამასპაშვილი** ელექტრონული სასწავლო-სამეცნიერო ბიბლიოთკის განახლება, ამ ინფორმაციის სტუდენტებისათვის მიწოდება.
2	„საქართველოს ახალი	2020 წელი	**ნელი ჯამასპაშვილი**

	ლანდშაფტური რუკა და გეოინფორმაციული სისტემა“ საბუნებისმეტყველო; გეოგრაფიის მიმართულება. დამხმარე სასწავლო-სამეცნიერო ერთეული - გეოგრაფიული ლაბორატორია		სამეცნიერო კვლევების, მონაცემთა ბაზების სისტემაში მოყვანა, ამ ინფორმაციის მოთხოვნისას მიწოდება.
გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2020 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)			
1. “ელექტრონული სასწავლო-სამეცნიერო ბიბლიოთკის განახლება – კატალოგიზაცია”. საჭიროა, როგორც გეოგრაფის და გარემოს მდგრადი განვითარების დარგში, ასევე თსუ-ს სხვა გეოგრაფიის მიმართულების სტუდენტებისთვის, არსებული თანამედროვე მიღწევებისა და კვლევების გაცნობა, ცოდნის წყაროების, მონაცემთა ბაზების სისტემაში მოყვანა და შემდგომი სრულყოფა. ამ ინფორმაციის სტუდენტებისათვის მიწოდება. 2. „საქართველოს ახალი ლანდშაფტური რუკა და გეოინფორმაციული სისტემა“. საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული, ნელი ჯამასპაშვილის სამეცნიერო ხელმძღვანელობით შესრულებული იყო, პროექტი: 2009 – 2012 წ.წ., № GNSF/ST08/5-431. „საქართველოს ახალი ლანდშაფტური რუკა და გეოინფორმაციული სისტემა“ შედგენილ იქნა როგორც სამეცნიერო, ისე პრაქტიკული და გამოყენებითი მიზნებისათვის. აღნიშნული მასშტაბის, სიზუსტის და დეტალურობის მქონე რუკა, შედგენილი გის ტექნოლოგიების საფუძველზე საქართველოს რეგიონებისათვის აქამდე შექმნილი არ ყოფილა. რუკის თავისებურებაა მაღალი დეტალურობა (გამოიყოფა ლანდშაფტის 1052 სახე), ასევე სიახლეა მონაცემთა ბანკი, სადაც შესულია მრავალი სახის ინფორმაცია. მონაცემთა ბაზა დაკავშირებულია გის-ის ვექტორულ გამოსახულებასთან, რის საფუძველზე იგება თემატური რუკები. 2020 წელს, „საქართველოს ახალი ლანდშაფტური რუკა და გეოინფორმაციული სისტემა“, ხელახლა მოიპოვა აღიარება. დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი ამ პროექტით დაინტერესდა. მოლაპარაკების, ჩვენი თანხმობის და სამუშაობის შემდეგ, პროექტი უსასკიდლოდ გადაეცა ცენტრს.			

1.2.

№	დასრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	2	3	4
დასრულებული კვლევითი პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების			

შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

2. შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტით დაფინანსებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

2.1.

№	გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	2	3	4
გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2020 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)			

2.2.

№	დასრულებული (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	2	3	4
დასრულებული კვლევითი პროექტის 2020 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)			

3. უცხოური გრანტებით დაფინანსებული სამეცნიერო პროექტები

3.1. გარდამავალი პროექტი

№	გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი, დამფინანსებელი ორგანიზაცია/ სამეცნიერო ფონდი, ქვეყანა	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	2	3	4
	„Atlas du Caucase“. Collection Atlas/Monde. Les Editions Autrement.	2017-დღემდე	**ნელი ჯამასპაშვილი** ხელშეკრულება - ავტორის მოვალეობის

	Monsieur Henri Dougier. Contrat d' AUTEUR , Contrat de contributeur Cartographe, Contrat de cession des Droits d'Adaptation Audiovisuelle „კავკასიის ატლასი". ატლასი / მსოფლიო კოლექცია. გამოცემა Autrement. ავტორის კონტრაქტი (კარტოგრაფიული და აუდიოვიზუალური მასალები)		შემსრულებელი, ატლასის მონაცემთა ბაზის განახლება

გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2020 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

კავკასიის გეოინფორმაციული ატლასის რუკების, მონაცემთა ბაზის განახლებას დიდი მნიშვნელობა აქვს, რათა განხორციელდეს კავკასიის ეკორეგიონის ცალკეული კომპონენტების და ლანდშაფტების თანამედროვე მდგომარეობის, და ბუნებრივ-რესურსული პოტენციალის კომპლექსური ანალიზი და შეფასება ბუნებრივი მრავალფეროვნების შენარჩუნების და რეგიონის მდგრადი განვითარების მიზნით.

კომპლექსური მიდგომის მიხედვით ბუნებრივი და სოციალურ-ეკონომიკური გარემო, მისი შემადგენელი კომპონენტები (რელიეფი, ჰავა, წყლები, მცენარეთა და ცხოველთა სამყარო, ნიადაგები, სოციალურ -ეკონომიკური პროცესები) ერთიანობაში განიხილება. ასეთი მიდგომა არა რომელიმე კომპონენტის უპირატეს განხილვას გულისხმობს, არამედ მათ თანაბარმნიშვნელოვანი სტრუქტურული, ფუნქციური და დინამიკური ურთიერთდამოკიდებულების შესწავლას.

მდგრადი განვითარება - განვითარების ისეთი სისტემა, რომელიც შეესაბამება საზოგადოების თანამედროვე მოთხოვნებს და საფრთხეს არ უქმნის მომავალ თაობებს. ამგვარი განვითარების საფუძველია ბუნებრივი რესურსების და გარემოს მდგრადი გამოყენება. მოიცავს საზოგადოების მდგრად ეკონომიკურ, სოციალურ
და ეკოლოგიურ საქმიანობას.

კომპონენტების შეფასების ისეთ კატეგორიებში, როგორიცაა "მნიშვნელობა" და "მგრძნობელობა" -

კატეგორიაში "მნიშვნელობა" იგულისხმება ბუნებრივი გარემოს კომპონენტის შესატყვისობა საწყის ანუ ეტალონურ მდგომარეობასთან. მგრძნობელობა უკავშირდება ბუნებრივი კომპონენტის ან ლანდშაფტის თვისებას, შეიცვალოს მისი სტრუქტურა და ფუნქციონირების ხასიათი ადამიანის ზემოქმედების შედეგად.

გრძნობელობის კრიტერიუმების შერჩევა ხორციელდება ტერიტორიის გამოყენების მიზნობრივი ფუნქციის გათვალისწინებით.

კავკასიის ძირითადი (საბაზო) გის-ის ფართობი მოიცავს 1760 კვადრატულ კმ. ამგვარად, განსახილველი გის-ი მოიცავს არა მხოლოდ თავად კავკასიის ტერიტორიას, არამედ მიმდებარე ტერიტორიების ნაწილს (შეგახსენებთ, რომ კავკასიის ფართობი ტრადიციული გაგებით 440 ათასი კვადრატული კმ.).

კავკასიის ზოგადი გის-ი შეიცავს ძირითადი გის-ის ტრადიციულ ფენებს - ჰიდროგრაფიული ფენები (ხაზოვანი და პოლიგონალური ობიექტები ცალკე-ცალკე), ოროგრაფია (ქედები და ძირითადი მწვერვალები), სატრანსპორტო ქსელი, დასახლებების

ქსელი, ტყით დაფარული ტერიტორიები და ა.შ.

ობიექტების საერთო რაოდენობა თითქმის 100,000 ერთეულია (მონაცემთა ბანკი - 258 რუქა). ყველა მონაცემები კავკასიის ზოგად გის-ში მოცემულია საძიებო სისტემაში, რომელიც საშუალებას გვაძლევს, ინგლისურ, რუსულ და ქართულ ენებზე ობიექტის სახელის საფუძველზე, ვიპოვოთ, კავკასიასა და მის მიმდებარე ტერიტორიებზე, დაახლოებით 20 000 დასახელებული ობიექტი.

განაახლდა მონაცემთა ბაზები და შესაბამისი ელექტრონული რუკები. განხორციელდება გეოეკოლოგიური და სოციალურ-ეკონომიკური მახასიათებლების ანალიზი და ფუნქციური ზონირება, შეიქმნება შესაბამისი ელექტრონული რუკები.

3.2. დასრულებული პროექტი

№	დასრულებული (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი, დამფინანსებელი ორგანიზაცია/სამეცნიერო ფონდი, ქვეყანა	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	2	3	4
დასრულებული კვლევითი პროექტის 2020 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)			

4. პატენტები

4.1. საერთაშორისო პატენტები:

№	საპატენტო თემატიკის სათაური	გამომგონებელი/ები და პატენტმფლობელი/ები	პატენტის საიდენტიფიკაციო კოდი

4.2. ეროვნული პატენტები

№	საპატენტო თემატიკის სათაური	გამომგონებელი/ები და პატენტმფლობელი/ები	პატენტის საიდენტიფიკაციო კოდი

5. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში

5.1. მონოგრაფიები/წიგნები

№	ავტორი/ავტორები	მონოგრაფიის/წიგნის სათაური, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1				
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)				

5. 2. სახელმძღვანელოები

№	ავტორი/ავტორები	სახელმძღვანელოს სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1				
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)				

5.3. კრებულები

№	ავტორი/ავტორები	კრებულის სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1				
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)				

5.4. სტატიები ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდის (DOI) მითითებით

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათა-ური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI	ჟურნალის/ კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1					
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)					

5.5. სტატიები ISSN-ის მითითებით

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ISSN	ჟურნალის/ კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1					
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)					

6. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა უცხოეთში

6.1. მონოგრაფიები/წიგნები

№	ავტორი/ავტორები	მონოგრაფიის/წიგნის სათაური, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1				

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

6.2. სახელმძღვანელოები

№	ავტორი/ავტორები	სახელმძღვანელოს სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1				
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)				

6.3. კრებულები

№	ავტორები	კრებულის სახელ-წოდება, საერთაშო-რისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1				
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)				

6.4. სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI ან ISSN	ჟურნალის/ კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	**Jamaspashvili N.Sh.**, Maghlakelidze R.V., Gordeziani T.P., Sharashenidze M.D.	Geoinformation system of the Martkopi station: communications and prospects ГЕОИНФОРМАЦИОННАЯ СИСТЕМА МАРТКОПСКОГО СТАЦИОНАРА: СВЯЗИ И ПЕРСПЕКТИВЫ ISSN 2414-9179 (Print) ISSN 2414-9209 (Online) DOI: 10.35595/2414-9179-2020-4-26-358-370 http://intercarto.msu.ru/jour/issues/issue17.pdf http://intercarto.msu.ru/jour/archive.php?lang=en	InterCarto. InterGIS GI SUPPORT OF SUSTAINABLE DEVELOPMENT OF TERRITORIES Proceedings of the International conference Volume 26 (2020), part 4	Moscow, Moscow University Press, 2020	13 გვ. 358–370
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)					
მარტყოფის ფიზიკურ-გეოგრაფიული სტაციონარი ნახევარ საუკუნეზე მეტი ხნის					

წინ შეიქმნა. სტაციონარი დაარსდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკური გეოგრაფიის კათედრის გამგის მ. სანებლიძეს ინიციატივით. 1962 წელს სტაციონარის ადგილმდებარეობა შეირჩა (თბილისიდან ჩრდილო – აღმოსავლეთით 30 კმ). 1963 წელს აშენდა 3 კორპუსი (მე -4 აშენდა 1967 წელს), ხოლო 1965 წლის 20 მაისს დაიწყო მუდმივი მეტეოროლოგიური დაკვირვებები. კვლევის პირველ ეტაპზე, მეტეოროლოგიური დაკვირვების გარდა, მარტყოფის სტაციონარის მიდამოებში (იალნოს ქედი და მიმდებარე ტერიტორიები) განახორციელდა კომპლექსური ფიზიკურ - გეოგრაფიული კვლევა, შედგენილი იყო ამ ტერიტორიისათვის დეტალური ლანდშაფტური რუკა (მასშტაბით 1: 25,000). 1969 წელს დაიწყო მარტყოფის სტაციონარის და მისი მიდამოების ლანდშაფტების სტრუქტურის და ფუნქციონირების შესწავლა. თუმცა, ძირითადად ეს კვლევები ხორციელდებოდა ბიოგეოცენოლოგიური და ეკოლოგიური სტაციონარების მეთოდოლოგიის შესაბამისად.

სტაციონარზე, კვლევის "ოქროს პერიოდის" დასაწყისი ითვლება 1971 წლის 20 მაისს, როდესაც მიღებული იქნა ახალი კვლევითი პროგრამა. ეს პროგრამა შესაძლებელი გახადა, მთელი წლის დღე-ღამის (24 საათის) განმავლობაში 5000-6000 ანათვლების წარმოება, რის საფუძველზე შესაძლებელი გახადა გვქონდეს წარმოდგენა 100-ზე მეტი პარამეტრზე , რომელიც ახასიათებენ ბუნებრივი ტერიტორიული კომპლექსების (ბტკ) სტრუქტურისა და ფუნქციონირების დღე-ღამურ ყოველდღიურ მდგომარეობას. ამ კვლევების შედეგები გამოქვეყნდა ბიულეტენებში ”დაკვირვებები და კვლევები მარტყოფის სტაციონარზე” (1973–1975). ამ პერიოდიდან იწყება მრავალკომპონენტიანი კვლევები, როგორც სტრუქტურისა და ფუნქციონირების, ასევე ბუნებრივი ტერიტორიული კომპლექსების (ბტკ) მდგომარეობის შესახებ.

1979 წელს მარტყოფის ფიზიკურ-გეოგრაფიული სტაციონარი და დაარსებული მის ბაზაზე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში „ბუნებრივი გარემოს მდგომარეობის აეროკოსმოსური მეთოდებით შესწავლის სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორია“ გახდნენ მსოფლიოში ცნობილი მთიანი რეგიონების გეოსისტემების მდგომარეობების, კავკასიის მაგალითზე, შესწავლის ცენტრი.

ამ პერიოდში ნ.ლ. ბერუჭაშვილი-ს ხელმძღვანელობით შეიქმნა პირველი ელექტრონული ექსპერტული გეოინფორმაციული სისტემა და ამგვარად საფუძველი ჩაეყარა მარტყოფის ფიზიკურ-გეოგრაფიული სტაციონარის გეოინფორმაციული სისტემის შექმნას.

7. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

7.1. საქართველოში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	**ჯამასპაშვილი ნ.შ.**	**მოდერატორი** 28 სექტემბერი, 14:00 – 18:00 სექცია №2 „გეოინფორმაციული და კარტოგრაფიული უზრუნველყოფა ეკოლოგიური ასპექტებისა და ბუნებრივი და კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნება“ **Модератор**	**2020 წლის, 28-29 სექტემბერი,** თბილისი, თსუ (საქართველო) - ონლაინ რეჟიმში საერთაშორისო კონფერენცია „ინტერკარტო. ინტერგის 26" "პროფ. ა. ასლანიკაშვილის და პროფ. ნ. ბერუჭაშვილის წვლილი გეოგრაფიისა და კარტოგრაფიის განვითარებაში"

		28 сентября, 14:00 – 18:00 СЕКЦИЯ №2. Геоинформационное и картографическое обеспечение экологических аспектов и сохранения природного и культурного наследия	September 28-29, 2020, Tbilisi. TSU (Georgia) — online only International Conference “InterCarto. InterGIS 26" GEOGRAPHICAL SCIENCE IN GEORGIA. THE CONTRIBUTION OF A.F. ASLANIKASHVILI AND N.L. BERUCHASHVILI TO THE DEVELOPMENT OF GEOGRAPHY AND CARTOGRAPHY
2	**ჯამასპაშვილი ნ.შ.**	**„პროფ. ნ.ლ. ბურუჩაშვილის იდეების გავლენა გეოინფორმატიკის ფორმირებაზე: წარსული და აწმყო“** 29 სექტემბერი, 15:10 სექცია №4 – „გეოგრაფიული მეცნიერება საქართველოში“ “Влияние идей Н.Л. Буручашвили на становление геоинформатики: прошлое и настоящее” 29 сентября, 15:10 СЕКЦИЯ №4. «Географическая наука в Грузии»	**2020 წლის, 28–29 სექტემბერი,** თბილისი, თსუ (საქართველო) - ონლაინ საერთაშორისო კონფერენცია „ინტერკარტო. ინტერგის 26" პროფ. ა. ასლანიკაშვილის და პროფ. ნ. ბერუჩაშვილის წვლილი გეოგრაფიისა და კარტოგრაფიის განვითარებაში. http://intercarto.msu.ru/jour/index.php?lang=en September 28-29, 2020, Tbilisi. TSU (Georgia) — online only International Conference “InterCarto. InterGIS 26" GEOGRAPHICAL SCIENCE IN GEORGIA. THE CONTRIBUTION OF A.F. ASLANIKASHVILI AND N.L. BERUCHASHVILI TO THE DEVELOPMENT OF GEOGRAPHY AND CARTOGRAPHY
3	**ჯამასპაშვილი ნ.**	**“ტურიზმის და რეკრეაციული მეურნეობის ზეგავლენა გარემოზე, ტერიტორიის კომპლექსური შეფასება”**	**2020 წლის, 3-7 თებერვალი** მე-8 ყოველწლიური საფაკულტეტო სამეცნიერო კონფერენცია ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში, თსუ http://conference.ens-2020.tsu.ge/page/program/20

მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა)			
1. მოდერატორი ორგანიზებას უწევს პროფესიულ კომუნიკაციას. წარუდგენს სესიის თემას, როგორ ჯდება ეს სესია მთლიანი ფორუმის კონტექსტში, რა ამოცანები აქვს მას.აკონტროლებს სხდომის განრიგს, პრეზენტაციების დროის განრიგს, რამდენად კარგად ესმის აუდიტორიას თემა. მოკლედ გააცნობს თითოეული მომხსენებლის რეზიუმე, პროგრამის შესაბამისად. მომხსენებლის გამოსვლის დასრულების შემდეგ, მოკლედ გამოკვეთს პრეზენტაციის ძირითადი დებულებები. აკეთებს კონსტრუქციული კომენტარებს, რაც ხელს შეუწყობს თემის შემდგომ განხილვას. 2. საქართველოში გეოინფორმატიკის განვითარება იყოფა 3 ეტაპად და აქვს 25 წლიანი ისტორია. ბევრი პროექტი შესრულებულია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კარტოგრაფია გეოინფორმატიკის კათედრაზე, ნ.ბერუჩაშვილის ხელმძღვანელობით. პროფ. ნ.ბერუჩაშვილი 1982 წლიდან ხელმძღვანელობს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კარტოგრაფია-გეოდეზიის და გეოინფორმატიკის კათედრას, 1979 წლიდან კი - აეროკოსმოსური მეთოდებით ბუნებრივი გარემოს შემსწავლელ სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორიას. 1973 წელს მარტყოფის ფიზიკურ-გეოგრაფიული სტაციონარი გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტთან ერთად ამუშავებს თემას ბუნებრივი ტერიტორიული კომპლექსების (ბტკ) დინამიკის მათემატიკური მოდელირება ელექტროგამომთვლელი მანქანების გამოყენებით. შედეგად შესაძლებელი გახდა ბტკ-ბის ემპირული დამოკიდებულების მოდელების შექმნა. დამუშავდა მეთოდიკა სტექსების მათემატიკური მოდელების. კერძოდ, ამიდის ბიუროს მონაცემების საფუძველზე დამუშავდა ბტკ მდგომარეობათა მოკლედროითი პროგნოზების (რამდენიმე დღე) მეთოდიკა. მუშავდება საშუალოდროითი პროგნოზის (1 თვე) მეთოდიკა. 1980-ნ წლეებში პროფ. ნ.ბერუჩაშვილი აქტიურად მუშაობს საქართველოს და კავკასიის გეოინფორმაციული სისტემების შექმნის საკითხებში. 1995 წ. მსოფლიო ბანკის და გრიდარენდალის დახმარებით გამოვიდა მონოგრაფია კავკასია: ლანდშაფტები, მოდელები, ექსპერიმენტები, სადაც დეტალურად არის აღწერილი კავკასიის ლანდშაფტებზე შექმნილი მონაცემათა ბანკი და გეოინფორმაციული სისტემა. 1996 წელს საქართველოს პრეზიდენტის აპარატის დავალებით შეიქმნა საქართველოს გეოინფორმაციული სისტემა, რომლის პრეზენტაცია-ჩაბარება მოხდა საქართველოს მთავრობაში 1997 წ. 5 აპრილს. შეიქმნა აჭარის მონაცემთა ბანკი და გეოინფორმაციული სისტემა. ამ სისტემის საფუძველზე მომზადდა აჭარის გეოინფორმაციული ატლასი. ინფორმაცია ამ ატლასის შესახებ მოთავსებულია ერთობლივ ფრანგულ-ქართულ "ჰოუმ-პაჯზე", რომლის ორგანიზატორია პროფესორები ჟ.-ფ. რიშარი და ჟ. ფილერონი (საფრანგეთი) და პროფ. ნ.ბერუჩასვილი (საქართველო).1997 წელს ნ.ბერუჩაშვილმა მიიღო "ღია საზოგადოება - საქართველო"-ს ფონდის გრანტი „რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთის რეგიონალური მონაცემთა ბანკის და გეოინფორმაციული სისტემის შექმნა“. ამ გრანტის საფუძველზე შეიქმნა კომპიუტერული ატლასი, რომელიც დიდი ინტერესი გამოიწვია ფართო საზოგადოებაში. აგრეთვე შეიქმნა ბევრი სხვა გეოინფორმაციული სისტემა. 1999 - 2006 წლებში პროფ. ნ.			

ბერუჩაშვილის აქტიური მუშაობის შედეგად შეიქმნა ლანდშაფტურ-ეკოლოგიური კარკასის კონცეფცია -- Landscape-Ecological Carcass Concept, და სხ.

3. ლანდშაფტურ-ეკოლოგიური კვლევა, განსაკუთრებით ბიოლოგიური, ლანდშაფტური მრავალფეროვნების შესწავლა და დაცვა პრიორიტეტული მიმართულებაა საქართველოს ბუნების რაციონალური ათვისების და დაცვის საქმეში. ამ კვლევების გარეშე წარმოუდგენელია ტერიტორიის მდგრადი განვითარება. საქართველო ფლობს უნიკალურ ბუნებრივ გარემოს. საქართველო არის ტურიზმის და რეკრეაციული მეურნეობის განვითარებისათვის საჭირო რესურსებით მდიდარი ქვეყანა, რაც თავის მხრივ, დაფუძნებულია საქართველოს უნიკალური ეკოსისტემებისა და სახეობების სიმდიდრეზე.

საქართველოსათვის რეკრეაციული რესურსების განვითარებას აქვს არამარტო, ეკონომიკური, არამედ სოციალური მნიშვნელობაც. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია შავი ზღვის სანაპირო ზოლის რეკრეაციული დანიშნულება, რადგან იგი წარმოადგენს პოსტ-საბჭოთა სივრცის და სხვა ქვეყნების მცხოვრებთათვის მიმზიდველ რეკრეაციულ არეალს. ტურისტთა დიდი რაოდენობა რა თქმა უნდა ახდენს მკვეთრ ზემოქმედებას ბუნებრივ გარემოზე, კერძოდ საქართველოს სანაპირო ზოლის ლანდშაფტურ მრავალფეროვნებაზე, რომელიც დიდი წნეხის ქვეშ ექცევა. ზოგადად, ტურიზმი გარემოზე დამატებითი ზეგავლენის გამომწვევი ფაქტორია. დღემდე არ არის შესწავლილი გარემოზე ტურიზმის განვითარების შესაძლო ზეგავლენა.

7.2. უცხოეთში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	**ჯამასპაშვილი ნ.შ.**	„მარტყოფის სტაციონარის გეოინფორმაციული სისტემა: კავშირები და პერსპექტივები“ 25 სექტემბრი, 14:40 ГЕОИНФОРМАЦИОННАЯ СИСТЕМА МАРТКОПСКОГО СТАЦИОНАРА: СВЯЗИ И ПЕРСПЕКТИВЫ 25 сентября, 14:40	**2020 წლის 24–26 სექტემბერი,** პიატიგორსკი (სტავროპოლის რეგიონი, რუსეთი) - ონლაინ საერთაშორისო კონფერენცია „ინტერკარტო. ინტერგის 26" http://intercarto.msu.ru/jour/index.php?lang=en September 24–26, 2020, Pyatigorsk (Stavropol region, Russia) — online only International Conference “InterCarto. InterGIS 26"
მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა)			
ერთობლივი საერთაშორისო დისციპლინათაშორისი სამეცნიერო კონფერენცია InterCarto/InterGIS 26, რომელიც ყოველწლიურად ტარდება საერთაშორისო კარტოგრაფიული ასოციაციის (ICA)			

ეგიდით სხვადასხვა ქვეყანაში, 2020 წელს 28–29 სექტემბერს პირველად ჩატარდა საქართველოში. კონფერენცია InterCarto/InterGIS-26 ჩატარდა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაზაზე. აღნიშნული სამეცნიერო ფორუმი ტარდებოდა კონფერენციებთან ერთად: „SilkGIS 4 (GIS აბრეშუმის გზისათვის)" და „GISCA 2020 (GIS ცენტრალურ აზიაში). კონფერენციის მსვლელობისას მუშაობა გაიმართა, როგორც ძირითად სექციებში ისე სპეციალურ სექციაში: „ალექსანდრე ასლანიკაშვილისა და ნიკო ბერუჩაშვილის როლი კარტოგრაფიისა და გეოინფორმატიკის განვითარებაში".
მოხსენება სტატიის სახით გამოქვეყნდა ფორუმის მასალებში
http://intercarto.msu.ru/jour/issues/issue17.pdf

ერთეულს თუ საჭიროდ მიაჩნია, შეუძლია ანგარიშში შეიტანოს სხვა, მისთვის მნიშვნელოვანი აქტივობაც.

გეოგრაფიის დოქ., ინჟინერი **ნელი ჯამასპაშვილი**: რეცენზენტი (Reviewer) მაღალი იმპაქტ ფაქტორის მქონე ჟურნალის AMBIO, Royal Swedish Academy of Sciences;
ალ. ჯავახიშვილის სახელობის საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოების სამეცნიერო საბჭოს წევრი.

ანგარიშის ფორმა №2

2020 წელს გაწეული სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ანგარიში

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის დასახელება ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ოკეანოგრაფიისა და ჰიდროლოგიის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი (ოკეანეჰიდრო)

სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა ხელმძღვანელის მითითებით:

კახაბერ ბილაშვილი-დირექტორი
ვაჟა ტრაპაიძე - მოადგილე
ზურაბ სავანელი- მეცნიერ- მკვლევარი
თორნიკე რაზმაძე- მეცნიერ- მკვლევარი
დავით სვანაძე - მეცნიერ- მკვლევარი
დავით კერესელძე - მთავრი მეცნიერ მკვლევარი
ნინო მაჩიტაძე - უფროსი მეცნიერ მკვლევარი
ინესა კუზანოვა - უფროსი მეცნიერ-მკვლევარი
გიორგი ბრეგვაძე - მეცნიერ მკვლევარი

1. სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის პერსონალის მიერშესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

1.1.

№	გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	2	3	4
გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2020 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)			

1.2.

№	დასრულებული პროექტის	პროექტის დაწყების და	პროექტში ჩართული

	დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	დამთავრების წლები	პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	2	3	4
დასრულებული კვლევითი პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)			

2. შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტით დაფინანსებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

2.1.

№	გარდამავალი (მრავალწლიანი)პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1			

2.2.

№	დასრულებული (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	2	3	4
დასრულებული კვლევითი პროექტის 2020 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)			

3. უცხოური გრანტებით დაფინანსებული სამეცნიერო პროექტები

3.1. გარდამავალი პროექტი

№	გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

	მიმართულების მითითებით,პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი, დამფინანსებელი ორგანიზაცია/სამეცნიერო ფონდი, ქვეყანა		
1	,,შავი ზღვის სანაპირო ზოლში საზღვაო ნარჩენების შემცირების ინოვაციური მეთოდები და ტექნოლოგიები" RedMarLitter, BSB-552, (JOP BSB 2014-2020)	2018-2021	ხელმძღვანელი-კახაბერ ბილაშვილი, შემსრულებელი ინესა კუზანოვა
2	Black Sea CONNECT „საზღვაო კვლევების და ინოვაციების კოორდინირება შავ ზღვაზე", გრანტი 860055 - ევროგაერთიანება "HORIZON 2020"	2019-2022	ხელმძღვანელი-კახაბერ ბილაშვილი, შემსრულებლები: ვალერიან მელიქიძე, სალომე კობაიძე, მამუკა გვილავა, ვაჟა ტრაპაიძე, თორნიკე რაზმაძე, ზურაბ სავანელი
3	EMODNEet 4_Chemistry, ემოდნეტ 4 ქიმია, EASME/EMFF/2018/1.3.1.8/lot 4/SI2.810314	2019-2021	ხელმძღვანელი-კახაბერ ბილაშვილი, შემსრულებლები: ნინო მაჩიტაძე, ვაჟა ტრაპაიძე, თორნიკე რაზმაძე
4	ემოდნეტ ინჯეშჩენ-2, EMODnet Ingestion and safe-keeping of marine data-2 EASME/EMFF/2018/1.3.1.8/SI 2.810021	2020-21	ხელმძღვანელი-კახაბერ ბილაშვილი, შემსრულებლები: ზურაბ სავანელი, თორნიკე რაზმაძე, ვაჟა ტრაპაიძე, ირაკლი პაპაშვილი, გრიგოლ რუხაძე

1. შავი ზღვის ერთობლივი საოპერაციო პროგრამის "შავი ზღვის აუზი 2014-2020"-ის საგრანტო პროექტი „შავი ზღვის სანაპირო ზოლში საზღვაო ნარჩენების შემცირების ინოვაციური მეთოდები და ტექნოლოგიები" ფარგლებში გათვალისწინებულია /შემდეგი სამუშაოების შესრულება: მყარ ნარჩენებზე და ჩამდინარე წყლებზე არსებული ინფორმაციის შეგროვება შავი ზღვის რეგიონებში; შავი ზღვის არსებული მდგომარეობის შესწავლა სამიზნე ტერიტორიაზე და მყარი ნარჩენებით მის დაბინძურებაზე; სამიზნე ტერიტორიების ნარჩენების მონიტორინგი; საინფორმაციო სისტემის (მონაცემთა ბაზის) გამოყენება ტრანსსასაზღვრო დაბინძურების შესაფასებლად; ასევე წყლის ნაკადის და ნარჩენების გავრცელების მოდელის შემუშავება და საერთაშორისო სამეცნიერო კონსორციუმის ფარგლებში ნარჩენების (მარინლიტერის) შემცირების ღონისძიებების შემუშავება.

2. პროექტი დაიწყო 2019 წლის 1 ოქტომბრიდან და გრძელდება 3 წლის განმავლობაში, პროექტის ძირითადი მიზანია ბურგასის ხედვის დოკუმენტზე დაფუძნებული SRIA-ს ოპერატიული სამოქმედო გეგმების განვითარების ხელშეწყობა. შავ ზღვას აქვს სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი რესურსი და ფართო პოტენციალი ლურჯი ეკონომიკის

განვითარებისათვის შავი ზღვის მიმდებარე ქვეყნებში. აღნიშნული რესურსების გამოყენებას ევროკავშირი ხელს უწყობს ერთობლივი კვლევების განვითარებით, ინოვაციური საგზაო რუკისა და ეროვნული პოლიტიკის შემუშავებით. ამ კონტექსტში იქნა შემუშავებული ე.წ. „ბურგასის ხედვის დოკუმენტი“, რომელიც ამოქმედდა 2018 წელს და მასში წარმოდგენილია საერთო მიდგომები 2030 წლისათვის პროდუქტიული, ჯანმრთელი, რეზისტენტული, მდგრადი და ღირებული შავი ზღვისათვის. დოკუმენტი მხარდაჭრილია შავი ზღვის ქვეყნების მინისტერიალის დეკლარაციით. ასევე, შავი ზღვის ლურჯი ზრდის ინიციატივის ფარგლებში შემუშავებულია სტრატეგიული კვლევებისა და ინოვაციების დღის წესრიგი (SRIA), რომელიც გამოყოფს შავი ზღვის ოთხ ძირითად გამოწვევას, ესენია: ცოდნა შავი ზღვის შესახებ, შავი ზღვის ლურჯი ეკონომიკა-ლურჯი ზრდა, ერთობლივი საკვანძო ინფრასტრუქტურა და პოლიტიკა, მოსახლეობის კეთილდღეობა და საწარმოო ძალების გაძლიერება.

მიმდინარე წლის 28 ოქტომბერს საზღვაო საკითხებთან დაკავშირებული სამთავრობო სტრუქტურების, სამეცნიერო კვლევითი სექტორის, არასმთავრობო ორგანიზაციების და სხვა დაინტერესებული მხარეების მონაწილეობით ჩატარდა შეხვედრა შეხვედრის მიზანი იყო ინოვაციების შესაბამისის ტრატეგიული დოკუმენტის განხილვა, მის გარშემო დისკუსიის გამართვა და შავი ზღვის ლურჯი ეკონომიკის განვითარებაზე საქართველოს ერთიანი ხედვის ჩამოყალიბება.

3. საზღვაო დაკვირვებათა და მონაცემთა ევროპული ქსელი (EMODnet) შეიქმნა ევროგაერთიანების ინტეგრირებული საზღვაო პოლიტიკის მხარდასაჭერად. იგი, პერიოდულად, მონაწილეობს ევროგართიანების მიერ გამოცხადებული კონკურსებში, რომელიც ეხება ზღვის გარემოსადმი მიძღვნილ საკითხებს. კერძოდ, ზემოთ მითითებული პროექტი წარმოადგენს საერთაშორისო სამეცნიერო კონსორციუმის მიერ მოგებულ ლოტს, რომელიც ზღვის ქიმიას ეხება. პროქტში განხორციელდება შემდგი აქტივობები:საქართველოში არსებული საზღვაო ქიმიური მონაცების მოძიება, მიღებული სტანდარტების შესაბამისად ფორმატიზება და ევროპულ ბაზებში განთავსება. საქართველოდან, კონსორციუმში მონაწილეობას იღებს, ასევე, გარემოს ეროვნული სააგენტო.

4. პროექტის ძირითადი მიზანია - ახალი საზღვაო მონაცემების მიღებისა და ასიმილაციისათვის სამუშაოების ჩატარება, ინფორმაციის ხელმისაწვდომობის ხელშეწყობა, მოძიებელი ახალი და არსებული მონაცემების დამუშავება და შეტანა პროექტის ფარგლებში საზღვაო მონაცემთა ევროპულ ბაზებში, ახალი სისტემის ტესტირება და გავრცელება მონაცემების პოტენციურ მფლობელთა შორის. საზღვაო მონაცემთა ფორმატიზება, ინვენტარიზაცია და გის-ში დამუშავება.

3.2.დასრულებულიპროექტი

№	დასრულებული (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით,	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

	პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი, დამფინანსებელი ორგანიზაცია/სამეცნიერო ფონდი, ქვეყანა		
1	„SeaDataCloud“ – პან ევროპული ინფრასტრუქტურის სამომავლო განვითარება ოკეანოგრაფიულ მონაცემთა მართვისათვის“ გრანტი # 730960	2016-2020	ხელმძღვანელი-კახაბერ ბილაშვილი, შემსრულებლები: თორნიკე რაზმაძე, ზურაბ სავანელი, ვაჟა ტრაპაიძე
2	„შავ ზღვაზე გარემოს დაცვის მონიტორინგის გაუმჯობესება - შერჩეული ღონისძიებები, ემბლას პლიუსი“ (Improving Environmental Monitoring in the Black Sea – Selected Measures, EMBLAS-Plus) – ევროგაერთიანება/გაეროს განვითარების პროგრამა	2019-2020	ხელმძღვანელი-კახაბერ ბილაშვილი, შემსრულებლები: ვახტანგ გვახარია, ნინო მაჩიტაძე, ნინო გელაშვილი, ინესა კუზანოვა, ვაჟა ტრაპაიძე

1. SeaDataCloud” დაიწყო 2016 წლის 1 ნოემბრიდან, იგი წარმოადგენს თსუ-ში 2006-2015 წწ-ში წარმატებით დასრულებული საერთაშორისო პროექტების SeaDataNet 1 -ს და SeaDataNet 2-ის მესამე ფაზას. „SeaDataCloud”-ში მონაწილეობს 55 პარტნიორი. კონსორციუმის ხელმძღვანელია საფრანგეთის ზღვების ექსპლოატაციის ინსტიტუტი (IFREMER). პროექტი დაფინანსებულია ევროკომისიის “HORIZON 2020” პროგრამის ფარგლებში, როგორც ინტეგრირებული კვლევის ინფრასტრუქტურულ ინიციატივა, რომელიც უზრუნველყოფს ოკეანოგრაფიულ მონაცემთა მენეჯმენტის სისტემის კიდევ უფრო განვითარებას, ადაპტირებულს, როგორც ფრაგმენტარული დაკვირვებების ბაზების გამოყენებაზე, ასევე მომხმარებლის იმ მოთხოვნების დაკმაყოფილებაზე, რომელიც ეხება მონაცემთა შესახებ ინფორმაციას (მეტადატა), საბოლოო პროდუქტს და ინტეგრირებულ მომსახურეობას. უკანასკნელ დრომდე, საზღვაო მონაცემები, რომელთაც ასეულობით ორგანიზაცია მოიპოვებს, ძნელად მისაღწევი რჩება. შექმნილი მდგომარეობა მოითხოვს ოკეანოგრაფიული ინფორმაციის დამუშავების სტანდარტების გაუმჯობესებას, კომუნიკაციის ერთიანი სისტემის შექმნას და დახვეწას. ევროგართიანების მიერ მიღებული საზღვაო სტრატეგიის ჩარჩო დირექტივაში მოცემული ეკოსისტემური მიდგომის საფუძველი სწორედ ოკეანოგრაფიული მონაცემებია. აღნიშნული დირექტივა, ასევე, წარმოადგენს საქართველოს, როგორც ევროგაერთიანების ასოცირებული წევრის საზღვაო პოლიტიკის, სახელმძღვანელო დოკუმენტს. პროექტში განხორციელდა ინფორმაციული ტექნოლოგიების ვირტუალური და ფიზიკური ინფრასტრუქტურული რესურსების კონსოლიდაცია ოკეანოგრაფიული მონაცემების მართვის საქმეში (მაგ. დაცულობა, ხელმისაწვდომობა და ა.შ.).

2.პროექტის განხორციელების პერიოდია 2019-2020 წწ და იგი წარმოადგენს ჰარმონიულ გაგრძელებას იმ კვლევების რაც მიმდინარეობდა თსუ-ში პროექტების EMBLAS-1 და EMBLAS-2 სახით. EMBLAS-Plus მთავარი მიზანია EMBLAS-1/2 პროექტების ფარგლებში

შემუშავებული ახალი მეთოდოლოგიის დანერგვა, რაც ითვალისწინებს პროექტის ყველა მონაწილისათვის საზღვაო სტრატეგიის ჩარჩო დირექტივის (MSFD) პრინციპებისა და მეთოდოლოგიების საფუძველზე ზღვის ღრმა ნაწილის ეკოსისტემის მდგომარეობის შეფასებას. კერძოდ გაგრძელდება საზღვაო მყარი ნარჩენების მონიტორინგი ბათუმის, ქობულეთის, ურეკის, ფოთისა და ყულევის აკვატორიებზე (სანაპირო ზოლიდან 400 მეტრში); ასევე ოთხი ძირითადი მდინარის რიონის, სუფსას, ნატანების და ჭოროხის შესართავების მონიტორინგი. მიმდინარე წელს ჩატარდა სამი საზღვაო ექსპედიცია, ამჟამად მიმდინარეობს მასალების დამუშავება, მიღებული შედეგები განთავსდა პროექტის ვებ გვერდზე და აისახა სამეცნიერო ანგარიშებში.

პროექტის ფარგლებში მომზადდა სამი სამეცნიერო სტატია, სამუშაო ჯგუფის მიერ ითარგმნა, გადამუშავდა და ქართულ ენაზე გამოიცა ევროპის ზღვებში მყარი ნარჩენების მონიტორინგის სახელმძღვანელო.

4. პატენტები

4.1. საერთაშორისო პატენტები:

№	საპატენტო თემატიკის სათაური	გამომგონებელი/ები და პატენტმფლობელი/ები	პატენტის საიდენტიფიკაციო კოდი

4.2. ეროვნული პატენტები

№	საპატენტო თემატიკის სათაური	გამომგონებელი/ები და პატენტმფლობელი/ები	პატენტის საიდენტიფიკაციო კოდი

5.ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში

5.1. მონოგრაფიები/წიგნები

№	ავტორი/ავტორები	მონოგრაფიის/წიგნის სათაური, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების ფვრაოდენობა
1				
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)				

5. 2. სახელმძღვანელოები

№	ავტორი/ავტორები	სახელმძღვანელოს სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	კ. ბილაშვილი ნ. მაჩიტაძე ნ. გელაშვილი	ევროპის ზღვებში მყარი ნარჩენების მონიტორინგის	უნივერსალი, თბილისი	88

	ი. კუზანოვა ვ. ტრაპაიძე	სახელმძღვანელო (ქართული გამოცემა) ISBN 978-9941-26-763-5		

ევროკომისიის გენერალური დირექციის საზღვაო საქმეთა და მეთევზეობის დეპარტამენტის (DG MARE), წევრი ქვეყნების, კანდიდატი ქვეყნების და ევროპის თავისუფალი ვაჭრობის ასოციაციის (EFTA) ქვეყნების მიერ ერთობლივად შემუშავებულია ზოგადი სტრატეგია „2008/56/EC საზღვაო სტრატეგიის ჩარჩო დირექტივის (MSFD)“ შესრულების ხელშეწყობის მიზნით. სტრატეგიის მთავარი მიზანია დირექტივის თანმიმდევრული და შეთანხმებული განხორციელება. ძირითადი ყურადღება გამახვილებულია საზღვაო სტრატეგიის ჩარჩო დირექტივის ტექნიკურ და სამეცნიერო მდგენელების ზოგად კვლევებთან დაკავშირებულ მეთოდოლოგიურ საკითხებზე. კერძოდ, სტრატეგიის ერთერთი მთავარი მიზანია არასაკანონმდებლო და პრაქტიკული დოკუმენტების შემუშავება, როგორიცაა რეკომენდაცია დირექტივის სხვადასხვა ტექნიკურ საკითხებზე. ეს დოკუმენტები გამიზნულია იმ ექსპერტებისათვის, რომლებიც პირდაპირ ან ირიბად არიან დაკავშირებული დირექტივის (MSFD) რეალიზაციასთან საზღვაო რეგიონებში. სახელმძღვანელო დოკუმენტი უნდა დაეხმაროს ევროკავშირის წევრ ქვეყნებს საზღვაო ნარჩენების შეთანხმებული მონიტორინგის პროგრამის შექმნაში. ვინაიდან აღნიშნული თემატიკა და მიმართულება მიმდინარე სამეცნიერო კვლევების საფუძველზე ჯერ კიდევ ჩამოყალიბების პროცესშია და სწრაფად იძენს ახალ გამოცდილებას, წინამდებარე სახელმძღვანელო უნდა განვიხილოთ როგორც ცოცხალი და რეგულარულად განახლებადი დოკუმენტი. საზღვაო სტრატეგიის საკოორდინაციო ჯგუფმა შეათანხმა ამ დოკუმენტის, როგორც MSFD-ს იმპლიმენტაციის ზოგადი სტრატეგიის შესახებ შექმნილი ტექნიკური სახელმძღვანელოს გამოცემა.

სახელმძღვანელოში მოცემულია საზღვაო ნარჩენების მონიტორინგის ძირითადი მიდგომები და სტრატეგიები, მონიტორინგის ინსტრუმენტების/მეთოდოლოგიების შეფასება, პლაჟებზე, ზღვის ზედაპირზე და ფსკერზე ნარჩენების მონიტორინგის თავისებურებანი და სხვა

სახელმძღვანელოში მოყვანილი მეთოდოლოგია გამოყენებული იქნა თსუ-ს მიერ განხორციელებულ ევროგაერთიანების (EU), გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) და შავი ზღვის პროგრამის (ENPI CBC BSB 2014 – 2020) მიერ დაფინანსებულ შემდეგ პროექტებში: „ემბლას პლუს - EMBLAS Plus“ და „რედმარლიტერ - RedMarLitter”, ხოლო, საველე სამუშაოების შედეგად მიღებული მონაცემები, ასევე, ევროგაერთიანების შავი ზღვის სინერგიის ინიციატივის ფარგლებში (EU Black Sea Synergy Initiative), მიეწოდა, საერთაშორისო პროექტებს - სიდატანეტ-ს (SeaDataNet/SeaDataCloud) და ემოდნეტ-ს (EMODnet).

5.3. კრებულები

№	ავტორი/ავტორები	კრებულის სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა

		ISBN		
1				
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)				

5.4. სტატიები ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდის (DOI) მითითებით

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI	ჟურნალის/ კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1					
ვრცელიანოტაცია (ქართულენაზე)					

5.5. სტატიები ISSN-ის მითითებით

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათა-ური, ISSN	ჟურნალის/ კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1					
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)					

6. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა უცხოეთში

6.1. მონოგრაფიები/წიგნები

№	ავტორი/ავტორები	მონოგრაფიის/წიგნის სათაური, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1				
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)				

6.2. სახელმძღვანელოები

№	ავტორი/ავტორები	სახელმძღვანელოს სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა

6.3. კრებულები

№	ავტორები	კრებულის სახელ-წოდება, საერთაშო-რისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1				
ვრცელი ანოტაცია (ქართულენაზე)				

6.4. სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI ან ISSN	ჟურნალის/ კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი	გამოცემი სადგილი, გამომცემლო ბა	გვერდების რაოდენობ ა
1	Nino Machitadze , Kakhaber Bilashvili, Vakhtang Gvakharia, Nino Gelashvili, Inesa Kuzanova, Vazha Trapaidze	Analysis of the monitoring of the beach marine litter in the coastal area of the Black sea, Georgia. ISBN: 978-975-8825-48-6	MARINE LITTER IN THE BLACK SEA, #56	Turkish Marine Research Foundation, Turkey	12, pp. 37-48
2	Maria Pogojeva, Daniel González-Fernández, George Hanke, Nino Machitadze, Yuliia Kotelnikova, Iryna Tretiak, Oksana Savenko, Nino Gelashvili, Kakhaber Bilashvili, Dmitry Kulagin, Aleksey Fedorov	Composition of floating macro litter across the Black Sea ISBN: 978-975-8825-48-6	MARINE LITTER IN THE BLACK SEA, #56	Turkish Marine Research Foundation, Turkey	10, pp,161-170
3	Nino Machitadze , Kakhaber Bilashvili, Daniel González-Fernández, Vakhtang Gvakharia, Nino Gelashvili, Inesa Kuzanova, Vazha Trapaidze	Results of the monitoring of the marine and riverine floating macro litter in the coastal area of the Black sea, Georgia ISBN: 978-975-8825-48-6	MARINE LITTER IN THE BLACK SEA, #56	Turkish Marine Research Foundation, Turkey	12, pp. 171-182
4	Daniel González-Fernández1,	Anthropogenic litter input through rivers in the Black	MARINE LITTER IN THE	Turkish Marine	9, pp.183-191

	Maria Pogojeva2, George Hanke, Nino Machitadze, Yuliia Kotelnikova, Iryna Tretiak, Oksana Savenko5, Nino Gelashvili, Kakhaber Bilashvili, Dmitry Kulagin, Aleksey Fedorov, M. Çağan Şenyiğit8, Ülgen Aytan8	Sea, ISBN: 978-975-8825-48-6	BLACK SEA, #56	Research Foundation, Turkey	

1. მყარი ნარჩენები ევროპულ საზღვაო სტრატეგიის ჩარჩო დირექტივაში (დირექტივა 2008/56EC MSFD) წარმოდგენილია, როგორც ზღვის გარემოს ეკოლოგიური სტატუსის შესაფების ერთერთი დესკრიპტორი - დესკრიპტორი 10. შავი ზღვის აუზში მყარი ნარჩენები სერიოზულ ეკოლოგიურ პრობლემად განიხილება. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის და სამეცნიერო კვლევითი ფირმა „გამა“-ს სამეცნიერო ჯგუფის მიერ საქართველოს შავი ზღვის სანაპირო ზონაში 2015 წლიდან ტარდება მყარი ნერჩენების მოიტორინგი EC-UNDP-ის საერთაშორისო პროექტების “EMBLAS I and II” და“EMLAS Plus” სამეცნიერო კვლევითი პროგრამების ფარგლებში. ამ მიზნის განსახორციელებლად მოხდა მონიტორინგის მეთოდოლოგიის ჰარმონიზება ევროპულ მეთოდოლოგიასთან და მისი ადაპტირება ჩვენი რეგიონისათვის. მონიტორინგისათვის საქართველოს სანაპირო ზონაში შეირჩა 5 საიტი. პლაჟების შესწავლილი მონაკვეთები განსხვავდება ერთმანეთისაგან ზაფხულის სეზონზე ვიზიტორთა რიცხვით, და ასევე ინფრასტრუქტურული განვითარების დონით. კვლევის პროგრამა მოიცავდა მაკრო ნარჩენების (> 2,5 სმ ფრაგმენტები) იდენტიფიცირებას და კატეგორიზებას. მიღებული შედეგების მიხედვით ნარჩენების რაოდენობა მერყეობდა 0.07 -დან 1.12 ერთეულამდე 1 კვ.მ. პლაჟებზე ძირითადად წარმოდგენილია პლასტიკის ნარჩენები, დანარჩენი კატეგორიის ნარჩენების (რეზინი, ლითონი, მინა, ტექსტილი და სხვა) წილი ჯამურად არ აღემატება 5%-ს. მიღებული შედეგების ანალიზი გვიჩვენებს, რომ ადგილი აქვს ნაჩენების აკუმულაციას მდინარეების შესართავების ზონებში, სავარაუდოდ როგორც ხმელეთზე, ასევე ზღვაში მდებარე წყაროებიდან.
2. ნაშრომში წარმოდგენილია მოტივტივე მყარი ნარჩენებით შავი ზღვის დაბინძურების პირველი საერთაშორისო კომპლექსური კვლევების მინაცემები. პროექტ EMBLAS-ის ფარგლებში, 2016 – 2019 წწ, ზღვის ზედაპირზე მოტივტივე ნარჩენების კვლევა ჩატარებულია ღია ზღვის ერთიანი კვლევის პროგრამის, ასევე სპეციალური ეროვნული პროგრამების ფარგლებში, საგანგებოდ აღჭურვილი გემების ბორტიდან, და ასევე შემთხვევითი საზღვაო ტრანსპორტის გამოყენებით. კვლევაში მონაწილეობდნენ მკვლევარები საქართველოდან, უკრაინიდან და რუსეთიდან. სემინარებსა და ტრენინგებში მონაწილეობდნენ მკვლევარები რუმინეთიდან, ბულგარეთიდან და თურქეთიდან. აღნიშნული საპილოტე კვლევები ადასტურებს სხვადასხვა რეგიონებს მონაცემების ჰარმონიზების მნიშვნელობას. დაკვირვებები ტარდებოდა დატრენინგებული დამკვირვებლების მიერ, რომლებიც აგროვებდნენ გეოგრაფიულ კოორდინატებთან ბმულ მონაცემებს პლანშეტული

კომპიუტერის გამოყენებით, რომლისთვისაც შესაბამისი აპლიკაცია შემუშავებულია გაერთიანებული კვლევითი ცენტრის ISPRA (JRC) -ის მიერ, სადაც პირველად იყო გათვალისწინებული ევროპულ საზღვაო ჩარჩო დირექტივის (MSFD) მიდგომები. დაკვირვებები ადასტურებს, რომ მყარი ნარჩენები ფიქსირდება ზღვის ყველა რეგიონში და ძირითადად შედგება პლატიკისაგან. აღნიშნული კვლევის მიზანია ზღვის სხვადასხვა რეგიონში აღმოჩენილი მოტივტივე მყარი ნარჩენების ძირითადი კატეგორიების სიის შედგენა და მათი რაოდენობის, შემადგენლობის და ზომითი კატეგორიების შედარება.

3. ნაშრომში მიმოხილულია შავი ზღვის საქართველოს სექტორში 2016-2019 წწ ზღვის ზედაპირზე მოტივტივე ნარჩენების რაოდენობისა და წყაროების შეფასების მიზნით ჩატარებული კვლევები. კვლევები წარმოადგენდა საერთაშორისო პროექტების “EMBLAS II” და “EMBLAS Plus” ნაწილს. მოტივტივე ნარჩენებზე დაკვირვება განისაზღვრება ევროპის საზღვაო ჩარჩო დირექტივის მე-10 დესკრიპტორით და გამოიყენება ზღვის გარემოს ეკოლოგიური სტატუსის შესაფასებლად. მონიტორინგი ჩატარებულია 4 ძირითად მდინარეზე: ჭოროხი, სუფსა, ნატანები და რიონი. მონაცემები გროვდებოდა მდინარეებზე არსებული ხიდებიდან, ერთ საათიანი დაკვირვების განმავლობაში. ზღვის ზედაპირზე დაკვირვება ტარდებოდა გემების ბორტიდან. მდინარეებზე დაკვირვების შედეგების მიხედვით, ბუნებრივი ნარჩენების რაოდენობა მერყეობს 300-დან 700 ერთეულამდე საათში. პლასტიკის ნარჩენების რაოდენობა მერყეობს 50-დან 130 ერთეულამდე საათში, რომელშიც ჭარბობს შესაფუთი მასალა, ბოთლები და საკვების კონტეინერები. საქართველოს სანაპიროების გასწვრივ, 2016 წლის მონაცემების მიხედვით, ზღვის ზედაპირზე ნარჩენების საშუალო სიმჭიდროვე შეადგენდა 76,3 ერთ/კვ.კმ. ზღვის გარემოში ნარჩენები ძირითადად ხმელეთზე მდებარე წყაროებიდან ხვდება. აღსანიშნავია, რომ ზღვაზე მდებარე შესაძლო წყაროები შეიძლება იყოს პორტების გარე რეიდებზე მდგარი საკონტეინერო გემები (ფოთის პორტის ჩრდილოეთით).
4. შავ ზღვაში მყარი ნარჩენებისა და პლასტიკით დაბინძურების მოცულობა და წყაროები ჯერჯერობით დადგენილი არ არის. მნიშვნელოვანია განისაზღვროს ნარჩენების მოხვედრის ძირითადი გზები, რათა შემუშავდეს ზემოქმედების შედეგების შერბილების სტრატეგია ზღვის გარემოში პლასტიკის ნარჩენების შესამცირებლად. ამ თვალსაზრისით, მოსალოდნელია, რომ ამ რეგიონში მდინარეებს აქვთ მნიშვნელოვანი როლი არასწორად მართული ნარჩენების ზღვის გარემოში ტრანსპორტირებაში, თუმცა მონაცემები ამ საკითხთან დაკავშირებით ჯერ ისევ არასაკმარისია. აღნიშნული ნაშრომი წარმოადგენს შავ ზღვაში შემავალ მდინარეებში მყარი ნარჩენების შესახებ მონაცემების პირველ კომპილაციას. ვიზუალური დაკვირვებებით შესაძლებელი გახდა საქართველოს, უკრაინის, თურქეთისა და რუსეთის 10 მდინარეზე ნარჩენების რაოდენობის და დინების სიჩქარეების შესახებ საორიენტაციო ინფორმაციის მიღება. ყველზე მაღალი მაჩვენებელი 83,7% აქვს პლასტიკს, რომელშიც ჭარბობს თავსახურები, შესაფუთი მასალა, ბოთლები, ცელოფანის პაკეტები. ნარჩენების რაოდენობა მდინარეებში ცვალებადია, საშუალო მაჩვენებელი სხვადასხვა მდინარეების მიხედვით მერყეობს 4-დან 75 ერთეულამდე საათში, მაქსიმალური რაოდენობა 700 ერთეულამდე საათში დაფიქსირდა მონიტორინგის ცალკეული სესიების დროს. მომავალში მონიტორინგის პროგრამების შედგენა მოითხოვს მიდგომების ჰარმონიზების დანერგვას და მონაცემების შეგროვების პერიოდულობის დადგენას, რათა უზრუნველყოფილი იყოს მონაცემების რეპრეზენტატიულობა, რაც შესაძლებელს გახდის შავ ზღვაში მდინარეების მიერ შეტანილი ნარჩენების შესახებ თანხვედრილი

შეფასებების ჩატარებას.

7. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

7.1.საქართველოში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	*კ. ბილაშვილი,* *ვ. გვახარია,* *ნ. მაჩიტაძე,* *ვ. ტრაპაიძე* ნ. გელაშვილი, ი. კუზანოვა	შავ ზღვაზე გარემოს დაცვის მონიტორინგის გაუმჯობესება (EMBLAS-Plus)	მე-8 საფაკულტეტო კონფერენცია ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში, თბილისი 2020, 3-7 თებერვალი, http://conference.ens-2020.tsu.ge
2	*კ. ბილაშვილი,* თ. რაზმაძე, *ვ. ტრაპაიძე,* *ზ. სავანელი*	საზღვაო მონაცემთა მენეჯმენტი “SeaDataCloud“	მე-8 საფაკულტეტო კონფერენცია ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში, თბილისი 2020, 3-7 თებერვალი, http://conference.ens-2020.tsu.ge
3	*დ. დემეტრაშვილი*	შავი ზღვის სანაპირო ზოლში მყარი ნარჩენების გავრცელების მოდელირება	თსუ-ში EU, UNDP და BSB 2014 – 2020 ეგიდით მიმდინარე შავი ზღვის პრობლემატიკასთან დაკავშირებული პროექტების საინფორმაციო დღე თბილისი
4	*ი. კუზანოვა*	„შავი ზღვის აუზი 2014- 2020“ - პროექტი „RedMarLitter BSB 552“	თსუ-ში EU, UNDP და BSB 2014 – 2020 ეგიდით მიმდინარე შავი ზღვის პრობლემატიკასთან დაკავშირებული პროექტების საინფორმაციო დღე თბილისი
5	*ნ. მაჩიტაძე*	პროექტი „EMBLAS-Plus	თსუ-ში EU, UNDP და BSB 2014 – 2020 ეგიდით მიმდინარე შავი ზღვის პრობლემატიკასთან

			დაკავშირებული პროექტების საინფორმაციო დღე თბილისი
6	*ზ. სავანელი*	პროექტი EMODnet Ingestion	თსუ-ში EU, UNDP და BSB 2014 – 2020 ეგიდით მიმდინარე შავი ზღვის პრობლემატიკასთან დაკავშირებული პროექტების საინფორმაციო დღე თბილისი
7	*თ. რაზმაძე*	პროექტი SeaDataCloud (Horizon 2020)	თსუ-ში EU, UNDP და BSB 2014 – 2020 ეგიდით მიმდინარე შავი ზღვის პრობლემატიკასთან დაკავშირებული პროექტების საინფორმაციო დღე თბილისი
8	*ს. კობაიძე*	პროექტი Black Sea Connect (Horizon 2020)	თსუ-ში EU, UNDP და BSB 2014 – 2020 ეგიდით მიმდინარე შავი ზღვის პრობლემატიკასთან დაკავშირებული პროექტების საინფორმაციო დღე თბილისი

1. ევროკომისიის და გაეროს განვითარების პროგრამის (EC/UNDP) ერთობლივი პროექტის EMBLAS-Plus - ის მთავარი მიზანია EMBLAS-1/2 პროექტების ფარგლებში შემუშავებული ახალი მეთოდოლოგიის დანერგვა, რაც ითვალისწინებს პროექტის ყველა მონაწილისათვის საზღვაო სტრატეგიის ჩარჩო დირექტივის (MSFD) პრინციპებისა და მეთოდოლოგიების საფუძველზე ზღვის ეკოსისტემის მდგომარეობის შეფასებას. პირველი და მეორე ფაზის დროს ჩატარდა მნიშვნელოვანი სამუშაოები მონიტორინგის ახალი მეთოდების შესამოწმებლად და ეროვნული მონიტორინგის პროგრამების ანალოგიურ ევროპულ მეთოდოლოგიებთან შესაბამისობის შესაფასებლად. დღის წესრიგში დადგა ზუსტი და საიმედო საზღვაო მონაცემების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება, რაც ითვალისწინებს მონიტორინგის გლობალური პროგრამების ანალოგიურად, შავი ზღვის გარემოს მონიტორინგის პერმანენტულ გაგრძელებას. შესაბამისად, 2019 წელს ჩატარდა ორი ექსპედიცია საზღვაო მყარი ნარჩენების (დისკრიპტორი 10 - მარინლიტერი) შესაფასებლად ბათუმის, ქობულეთის, ურეკის, ფოთისა და ყულევის აკვატორიებში (სანაპირო ზოლიდან 400 მეტრში); ასევე, ოთხი ძირითადი მდინარის - რიონის, სუფსას, ნატანების და ჭოროხის შესართავების მონიტორინგი. მასალების წინასწარი დამუშავების შედეგად მოხდა ნარჩენების კატეგორიზაცია და „ცხელი წერტილების“ გამოვლენა. ასევე, ქალაქ ფოთში ჩატარდა

უორქშოფი დაინტერესებულ მხარეების მონაწილეობით, რომელთაც მიეწოდა დეტალური ინფორმაცია მიმდინარე საზღვაო კვლევების შესახებ.

2.ოკეანოლოგიურ მონაცემთა მართვის (მენეჯმენტის) არსებული ფილოსოფია სტრუქტურა და მიდგომა მსოფლიო ოკეანის დაკვირვების სისიტემის პარარელურად ჩამოყალიბდა. ოკეანოგრაფიულ მონაცემთა მენეჯმენტის სისტემის განვითარებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს ევროკომისიის "HORIZON 2020" პროგრამის ფარგლებში მიმდინარე პროექტს „SeaDataCloud"-ს რომელიც წარმოადგენს დასრულებული საერთაშორისო პროექტების SeaDataNet 1 -ს და SeaDataNet 2-ის მესამე ფაზას. პროექტი, როგორც ინტეგრირებული კვლევის ინფრასტრუქტურული ინიციატივა, უზრუნველყოფს ოკეანოგრაფიულ მონაცემთა მენეჯმენტის სისტემის კიდევ უფრო განვითარებას, ადაპტირებულს, როგორც ფრაგმენტარული დაკვირვებების ბაზების გამოყენებაზე, ასევე მომხმარებლის იმ მოთხოვნების დაკმაყოფილებაზე, რომელიც ეხება მონაცემთა შესახებ ინფორმაციას (მეტადატა), საბოლოო პროდუქტს და ინტეგრირებულ მომსახურეობას. უკანასკნელ დრომდე, საზღვაო მონაცემები, რომელთაც ასეულობით ორგანიზაცია მოიპოვებს, ძნელად მისაღწევი რჩება. შექმნილი მდგომარეობა მოითხოვს ოკეანოგრაფიული ინფორმაციის დამუშავების სტანდარტების გაუმჯობესებას, კომუნიკაციის ერთიანი სისტემის შექმნას და დახვეწას. ევროგართიანების მიერ მიღებული საზღვაო სტრატეგიის ჩარჩო დირექტივაში მოცემული ეკოსისტემური მიდგომის საფუძველი სწორედ ოკეანოგრაფიული მონაცემებია. აღნიშნული დირექტივა, ასევე, წარმოადგენს საქართველოს, როგორც ევროგაერთიანების ასოცირებული წევრის საზღვაო პოლიტიკის, სახელმძღვანელო დოკუმენტს. პროექტი მოწოდებულია განახორციელოს ინფორმაციული ტექნოლოგიების ვირტუალური და ფიზიკური ინფრასტრუქტურული რესურსების კონსოლიდაცია ოკეანოგრაფიული მონაცემების მართვის საქმეში.

3. მათემატიკური მოდელირების მეთოდის გამოყენებით შავი ზღვის სანაპირო ზოლში გამოთვლითი (რიცხვითი) ექსპერიმენტების გზით შეფასებულია მყარი ნარჩენების გავრცელების არეალი და მასშტაბები და დადგენილია მისი გავრცელების თავისებურებანი ზღვის სხვადასხვა რეალური ცირკულაციური რეჟიმის პირობებში.
4. მოხსენებაში წარმოდგენილია „შავი ზღვის აუზი 2014- 2020" - პროექტი „RedMarLitter BSB 552" ფარგლებში გაწეული სამუშაოები
5. მოხსენებაში წარმოდგენილია პროექტი „EMBLAS-Plus" ფარგლებში გაწეული სამუშაოები
6. მოხსენებაში წარმოდგენილია პროექტი EMODnet Ingestion ფარგლებში გაწეული სამუშაოები
7. მოხსენებაში წარმოდგენილია პროექტი SeaDataCloud (Horizon 2020) ფარგლებში გაწეული სამუშაოები
8. მოხსენებაში წარმოდგენილია პროექტი Black Sea Connect (Horizon 2020) ფარგლებში გაწეული სამუშაოები

7.2.უცხოეთში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	S.Kobaidze V.Melikidze K. Bilashvili	Outputs of National Consultations in Georgia on the Strategic Research and Innovation	Research and Innovation in the Black Sea: Empowering the next generation for a healthy, resilient and productiveBlack Sea 29th-30th October 2020, Turkey
მოხსენება შეეხებოდა საქართველოში SRIA- ს სემინარის შესახებ ინფორმაციას, რომლებიც ჩატარდა შავი ზღვისპირეთის ქვეყნების ეროვნული კვლევისა და ინოვაციების პრიორიტეტების განსაზღვრის მიზნით. ასევე საქართველოში SRIA– ს შემდგომი ხედვებისათვის პოტენციური ინფორმაციის შეგროვებას,			

დამატებითი ინფორმაცია:

1. 2020 წლის 28 სექტემბერს თსუ-ში პროგრამა „Horizon 2020"– ს მიერ დაფინანსებული პროექტის „საზღვაო კვლევებისა და ინოვაციების კოორდინირება შავ ზღვაზე - Black Sea Connect" - ის ფარგლებში (http://connect2blacksea.org/). ჩატარდა ევროკავშირის მიერ ინიცირებული „შავი ზღვის სტრატეგიული კვლევებისა და ინოვაციების დღის წესრიგის" განხილვა, შეხვედრის დროს წარმოდგენილი იქნა მოხსენებები, რომელიც შეეხება ინოვაციების დღის წესრიგის ოთხ ძირითად საფუძველს:

- შავი ზღვის ფუნდამენტური კვლევის გამოწვევებზე რეაგირება –„შავი ზღვის ცოდნის ხიდი";
- შავი ზღვის ლურჯი ზრდისთვის პროდუქტებისა და გადაწყვეტილებების შემუშავება და კლასტერების ჩამოყალიბება – შავი ზღვის ლურჯი ეკონომიკა;
- კრიტიკული მხარდაჭერის სისტემებისა და ინოვაციური ინფრასტრუქტურების შექმნა – ძირითადი ერთობლივი ინფრასტუქტურა და პოლიტიკის ინსტრუმენტები;
- განათლება და შესაძლებლობების შექმნა – გაძლიერებული მოქალაქეები და გაძლიერებული სამუშაო ძალა.

შეხვედრის ბოლოს ინოვაციების შესაბამის სტრატეგიული დოკუმენტის და შავი ზღვის ლურჯი ეკონომიკის განვითარებასთან დაკავშირებით საქართველოს ერთიანი ხედვის ჩამოყალიბებისათვის გაიმართა დისკუსია. აღნიშნული შეხვედრა მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს შავი ზღვის სტრატეგიული კვლევების და ინოვაციების დღის წესრიგის წარმატებულ განხორციელებას. შეხვედრა ჩატარდა ონლიან, zoom-ის პლატფორმის გამოყენებით.

2.2020 წლის 28 ოქტომბერს ჩატარდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ევროგაერთიანების (EU), გაეროს განვითარების პროგრამის

(UNDP) და შავი ზღვის აუზის პროგრამის (BSB 2014 – 2020) ეგიდით მიმდინარე შავი ზღვის პრობლემატიკისადმი მიძღვნილი პროექტების ერთიანი საინფორმაციო დღე, სადაც წარმოდგენილი იქნა შემდეგი პროექტების ფარგლებში გაწეული ძირითადი საქმიანობები და მიღებული შედეგები: „შავი ზღვის სანაპირო ზოლში საზღვაო ნარჩენების შემცირების ინოვაციური მეთოდები და ტექნოლოგიები, RedMarLitter)“; „შავ ზღვაზე გარემოს დაცვის მონიტორინგის გაუმჯობესება - შერჩეული ღონისძიებები, EMBLAS-Plus“; ევროპული ზღვების ოკეანოგრაფიული მონაცემების საკვლევი პროექტები - „SeaDataCloud, Horizon 2020”, “EMODnet”, “Emodnet Ingestion” და „საზღვაო კვლევების და ინოვაციების კოორდინირება შავ ზღვაზე, Black Sea Connect, Horizon 2020”. შეხვედრას ესწრებოდა როგორც სახელმწიფო სტრუქტურების, ისე სამეცნიერო-კვლევითი და არასამთავრობო ორგანიზაციების 60-მდე წარმომადგენელი. შეხვედრაზე ასევე განხილულ იყო საზღვაო კვლევებთან და ზოგადად ზღვასთან დაკავშირებული პრობლემური საკითხები და ერთბლივი თანამშრომლობის საკითხები. შეხვედრა ჩატარდა ონლიან, zoom-ის პლატფორმის გამოყენებით.

ანგარიშის ფორმა № 2

2020 წელს გაწეული სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ანგარიში

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი

გეოლოგიის დეპარტამენტი

ასოც. პროფ. ზურაბ ლებანიძე, ასოც.პროფ. გურამ ქუთელია

1. სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის მიერ ერთობლივად შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

1.1.

№	**გარდამავალი** (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	მიმართულება: გეოლოგია დარგი: პალეონტოლოგია კავკასიონის კიდურა ზღვის აღმოსავლეთ აუზის ცარცული ნალექების სედიმენტოლოგიური და პალეოიქნოლოგიური კვლევა	2014-2021 წწ	ასოცირებული პროფესორი ზურაბ ლებანიძე - პროექტის ხელმძღვანელი და შემსრულებელი; სტუდენტი ჯუმბერ ღუღუნიშვილი - თანახელმძღვანელი და შემსრულებელი

გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2020 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები

მდინარე ივრის აუზის ცარცული ნალექების იქნოლოგიურ-სედიმენტოლოგიური კვლევა

2020 წლის საველე სამუშაოების პერიოდში ჩვენს მიერ შესწავლილ იქნა მდ. ივრის აუზის ცარცული ნალექების რამდენიმე ჭრილი სედიმენტოლოგიური კვლევის და მათში იქნოფაუნის დადგენის მიზნით.

საკვლევი ტერიტორია მდებარეობს კავკასიონის სამხრული ფერდის ნაოჭა ზონის შოვი-ფასანაურის სტრუქტურულ-მორფოლოგიური ერთეულის ფარგლებში. ჩვენს მიერ ნამარხი ნაკვალევები დადგენილ იქნა მხოლოდ ზედაცარცულ ნალექებში.

ა. ცაგარელის (1954), ნ. მრევლიშვილის (1997) მონაცემებით და ჩვენი დაკვირვებით საკვლევ რაიონში ზედაცარცული ფლიშური ნალექების ჭრილი ზოგადად შემდეგნაირად გამოიყურება: უძველესი წარმონაქმნია უკუღმართის წყება, რომელიც თანხმობით აგრძელებს ქვედაცარცული

(ალბური) ასაკის პავლეურის (ნავთისხევის) წყებას და აგებულია კონგლომერატებით, ტუფქვიშაქვებით, პოლიმიქტური ქვიშაქვებით, მერგელოვანი ფიქლებით და მერგელებით. წყება მოიცავს ქვედა სენომანს და შუა სენომანის ქვედა ნაწილს. სტრატიგრაფიულად ზევით თანხმობით განლაგებული ანანურის წყება სამად ნაწილდება: ქვედა ნაწილი წარმოდგენილია 4-45 მ სიმძლავრის გაკაჟებული ფიქლების, ქვიშაქვების და გრაველიტების დასტით, რომელიც შუა სენომანის ზედა ნაწილს და ზედა სენომანს შეესატყვისება. დამახასიათებელი შავი სილიციტები წყების შუა ნაწილშია წარმოდგენილი (4-55 მ), რომლებიც მათზე განლაგებულ გაკაჟებული კირქვების, მერგელების და ქვიშაქვების დასტასთან (6-35 მ) ერთად ქვედა ტურონულს მიეკუთვნება. ანანურის წყებას თანხმობით აგრძელებს 40 მ-მდე სიმძლავრის ზედატურონული მარგალიტისკლდის წყება, რომელიც აგებულია დამახასიათებელი წითელი და ვარდისფერი შეფერილობის კირქვების, მერგელების და გრაველიტების მორიგეობით. ზევით მას თანდათანობით ცვლის მოყვითალო-თეთრი ფერის ლითოგრაფიული კირქვებისა და მერგელების მორიგეობა - ეშმაკისხევის წყება. წყება ხასიათდება ცვალებადი სიმძლავრით (30-350 მ) და კონიაკურ- სანტონურად თარიღდება. კარბონატულია კამპანური ნალექებიც - მარცვლოვანი კირქვების და ფერადი (მწვანე და წითელი) მერგელების მორიგეობა (25-40 მ), რომელსაც ჯორჭის წყების სახელით აღწერენ. ზედა ცარცულის ჭრილი მთავრდება მაასტრიხტული ასაკის საბუეს წყებით, რომელიც უთანხმოდ არის განლაგებული ჯორჭის წყების ქანებზე ან უფრო ძველ ნალექებზე. წყება აგებულია კირქვებით, ქვიშიანი კირქვებით, კარბონატული ქვიშაქვებით, მიკროკონგლომერატებით და ბრექჩიებით. სისქე 25-200 მ.

აღნიშნული ნალექები, შედგენილობისა და მასალის წყაროს მიხედვით, ხასიათდებიან რა ფლიშისთვის დამახასიათებელი ყველა თვისებით, ქვედაცარცულ ნალექებთან ერთად შეადგენენ კავკასიონის რკალსუკანა აუზის აღმოსავლეთ ნაწილის - აღმოსავლეთ (ჭიაური-დიბრარის) ფლიშური აუზის - ერთიან კარბონატულ-კლასტურ ფლიშურ ფორმაციას.

საკვლევი ტერიტორიის ფარგლებში ჩვენს მიერ ნამარხი ნაკვალევები დადგენილია მდინარეების: საჭურეს, ივრის და საგამეს ხეობებში. იქნოფაუნის შემცველია კამპანური "ჯორჭის" (მდ. საჭურე) და მაასტრიხტული "საბუეს"(მდ. იორი და საგამე) წყებების ქანები.

კამპანურ ნალექებში ჩვენს მიერ წინასწარი განსაზღვრით დადგენილია იქნოგვარების: *Bergaueria,Ophiomorpha, Thalassinoides* წარმომადგენლები, რაც შელფურ *Skolithos-Cruziana*-ის იქნოფაციესზე მიუთითებს. მაასტრიხტულ ნალექებში წინასწარი განსაზღვრით დადგენილი იქნოკომპლექსი: *Chondrites affinis (Brongniart), Ch. intricatus (Brongniart), Ch. targionii (Brongniart), Phycosiphon insertum Fischer-Ooster, Planolites isp, (?)Polykampton isp., Trichichnus isp.ატიპიურია, მაგრამ კონტინენტური ფერდობის Zoophycos-ის იქნოფაციესის მსგავსია.*

სანტონ-მაასტრიხტულის ფაციესების და პალეოგეოგრაფიის რუკის (ცაგარელი, 1954, ნახ. 33) მიხედვით შოვი-ფასანაურის სტრუქტურულ-მორფოლოგიური ერთეულის სამხრეთ ნაწილი წარმოადგენდა კახეთი-ჯავის ხმელეთის მიმდებარე არეს, ჩრდილო ნაწილი კი - ტურბიდიტური ნალექდაგროვების წყალღრმა აუზს, რაც იქნოკომპლექსის შემადგენლობის ანალიზითაც დასტურდება.

1.2.

№	**დასრულებული** პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	2	3	4
დასრულებული კვლევითი პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)			

1.2. დასრულებული პროექტები

№	დასრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	2	3	4
	ფილტრაციული მოვლენების (პროცესების) შესწავლა ჟინვალისა და სიონის წყალსაცავების მაგა-ლითზე.	2016-2020	ასოც. პროფესორი გურამ ქუთელია (ხელმძღვანელი), ნარგიზა აბუთიძე, ლაბორანტი; ნონა ლურსმანაშვილი, ლაბორანტი; ელენე გოდერძიშვილი, სტუდენტი (თანახელმძღვანელი)

დასრულებული კვლევითი პროექტი

ჟინვალის წყალსაცავი – ფართობი 11.5, მაქსიმალური სიღრმე 75 მ.

ვიზუალური დაკვირვებითაც ნათლად ჩანს, რომ კაშხალზე და მის ნაპირებზე ადგილი აქვს ფილტრაციულ პროცესებს და ცალკეულ უბნებზე დაიკვირვება ნიადაგის გაწყლიანება. ტერიტორია გამოკვლეული იქნა ძიების ელექტრული მეთოდებით, კერძოდ პოტენციალისა და დამუხტული სხეულის მეთოდებით. ცალკეულ ტერიტორიებზე შეიქმნა პროფილების ბადე, თუმცა რელიეფის სირთულის გამო ამის გაკეთება ყველგან არ იყო შესაძლებელი.

საველე სამუშაოებისას გამოყენებულ იქნა გატარდა ელექტრული პროფილები და პირველადი კამერალური დამუშავება ჩატარდა ველზე ვაწარმოებდით ველზე აღებული მონაცემების კამერალურ დამუშავებას. მოპოვებული მონაცემების საფუძველზე აიგება იზოპოტენციალების რუკა, და მოხდა ანომალური უბნების შემოკონტურება

სიონის წყალსაცავი – საშუალო სიღრმე – 25,4 მ, მაქსიმალური სიღრმე – 67 მ. წყალსაცავი ხეობის ტიპისაა, ფსკერი დაფარულია თანამედროვე ალუვიონით. მარჯვენა ნაპირი ციცაბო და კლდოვანია, დაფარულია მძლავრი დელუვიური მასალით, აღინიშნება მეწყრული მოვლენები, მარცხენა ნაპირი დამრეცია. მაქსიმალური დონე ივლისის მეორე ნახევარშია, მინიმალური – მარტში.

კვლევა ჩატარდა ბუნებრივი ელექტრული ველისა და ვერტიკალური ელექტრული ზონდირების (ვეზ) მეთოდებით. მიუხედავად იმისა, რომ როგორც წესი, ივლისის მეორე ნახევრიდან წყალსაცავში წყლის დონე მაქსიმალური უნდა იყოს, აღმოჩნდა, რომ წყლის დონე მინიმუმს ოდნავ სჭარბობდა. ბუნებრივი ელექტრული ველი წყნარი იყო, რაც გამორიცხავს ფილტრაციული პროცესების არსებობას. ბუნებრივი ელექტრული ველის პოტენციალის მნიშვნელობა არ აღემატებოდა 15-20 მ.ვოლტს. თუმცა პირველი გაზომვებისას ადგილი ჰქონდა ინტენსიურ

ფილტრაციას. როგორც ჩანს, ჩატარებულმა საინჟინრო სამუშაოებმა შედეგი გამოიღო.
რაც შეეხება მარჯვენა ნაპირზე არსებულ ელექტრული ველის ანომალიას, ის ჩვენი აზრით, გამოწვეული უნდა იყოს შემოვლითი ფილტრაციით, ანუ მდ. იორის ძველი კალაპოტის ფილტრატებით.

2. შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტით დაფინანსებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

2.1.

№	**გარდამავალი** (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	„აჭარა-თრიალეთის ნაოჭა-შეცოცებითი სარტყელის (საქართველო) პალეოცენ-ქვედაეოცენური ნალექების იქნოლოგია და სედიმენტოლოგია“ - გეოლოგია, FR-18-3765	2019-2022	ზურაბ ლებანიძე - სამეცნიერი ხელმძღვანელი სოფიო ხუციშვილი - პროექტის კოორდინატორი კობა ლობჟანიძე - ძირითადი პერსონალი კახა ქოიავა - ძირითადი პერსონალი ნინო ხუნდაძე - ძირითადი პერსონალი თამარ ბერიძე - ძირითადი პერსონალი, ახალგაზრდა მეცნიერი ნინო კობახიძე - ძირითადი პერსონალი, ახალგაზრდა მეცნიერი დავით მაქაძე - ძირითადი პერსონალი, ახალგაზრდა მეცნიერი

გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2020 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

პროექტის ფარგლებში ჩვენი კვლევის მიზნებია:

აჭარა-თრიალეთის ნაოჭა-შეცოცებითი სარტყელის ფარგლებში პალეოცენ-ქვედაეოცენური ნამარხი ნაკვალევების ახალი ადგილსაპოვებლების გამოვლენა;

ნამარხი ნაკვალევების განსაზღვრა, აღწერა, კლასიფიკაცია;

ნამარხი ნაკვალევების შემცველი წყებების ფაციესური/სედიმენტოლოგიური ანალიზი;

ადგილსაპოვებლების ფარგლებში ნალექდაგროვების გარემოს ინტერპრეტაცია;

არსებული და ახლადმოპოვებული მონაცემების შეჯერების გზით პალეოცენ-ქვედაეოცენური დროისათვის აჭარა-თრიალეთის ნაოჭა-შეცოცებითი სარტყელის ნალექდაგროვების გარემოს აღდგენა.

პროექტის საბოლოო მიზანია საქართველოში კომბინირებული იქნოლოგიურ-

სედიმენტოლოგიური კვლევებისათვის საფუძვლის ჩაყრა და ფუნდამენტური სამეცნიერო ბაზის შექმნა სამომავლო კვლევებისათვის, იქნოლოგიის, როგორც გეოლოგიური მეცნიერების ერთ-ერთი თანამედროვე და საჭირო დარგის პოპულარიზაცია აკადემიურ გეოლოგიურ წრეებში და წარმოებაში ჩართულ გეოლოგებს შორის. ამგვარი კვლევა უდავოდ ახალ მიდგომას წარმოადგენს ქართულ გეოლოგიაში და ფასდაუდებელი შედეგი ექნება, როგორც ფუნდამენტური კვლევების, ასევე, ეკონომიკური თვალსაზრისით. პროექტის მეორე ეტაპზე (2020 წელი) ჩატარდა მოსამზადებელი და სარეკოგნოსცირო გეოლოგიური სამუშაოები მდინარეების: ძამას, ტანას და თეძამის აუზებში. დეტალური სედიმენტოლოგიურ-იქნოლოგიური კვლევა განხორციელდა რამდენიმე ლოკაციაზე (მუხილეთი, გაგლუანთუბანი, ტუსრები, ორმოცი, ლული). მოხდა დიდი რაოდენობის ბიოგენური და სედიმენტაციური სტრუქტურების, ლითოფაციესების და მათთან დაკავშირებული ნამარხი ნაკვალევების იქნოკომპლექსების გამოვლენა, აღებულია ქვიური მასალა პეტროგრაფიული, იქნოლოგიური და ლაბორატორიული შესწავლისთვის. მზადდება სედიმენტოლოგიური ჭრილები და სამუშაო რაიონის ციფრული გეოლოგიური რუკა.

2.2.

№	**დასრულებული** (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	2	3	4
დასრულებული კვლევითი პროექტის 2020 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)			

3. უცხოური გრანტებით დაფინანსებული სამეცნიერო პროექტები

3.1. **გარდამავალი** პროექტი

№	**გარდამავალი** (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი, დამფინანსებელი ორგანიზაცია/ სამეცნიერო ფონდი, ქვეყანა	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	2	3	4
გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2019 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)			

3.2. **დასრულებული** პროექტი

№	**დასრულებული** (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი, დამფინანსებელი ორგანიზაცია/სამეცნიერო ფონდი, ქვეყანა	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	2	3	4
დასრულებული კვლევითი პროექტის 2019 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)			

4. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში

4.1. მონოგრაფიები/წიგნები

№	ავტორი/ავტორები	მონოგრაფიის/წიგნის სათაური, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1				
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)				

4. 2. სახელმძღვანელოები

№	ავტორი/ავტორები	სახელმძღვანელოს სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1				
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)				

4.3. კრებულები

№	ავტორი/ავტორები	კრებულის სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1				
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)				

4.4. სტატიები დიგიტალური საიდენტიფიკაციო კოდის (DOI) მითითებით

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათა-ური, დიგიტალური საიდენტიფიკაციო კოდი DOI	ჟურნალის/ კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1					
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)					

4.5. სტატიები ISSN-ის მითითებით

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათა-ური, ISSN	ჟურნალის/ კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	Victor Alania, Tamar Beridze, Onise Enukidze, **Zurab Lebanidze,** Alexander Razmadze, Nino Sadradze, Niko Tevzadze	**Structural Model of the Frontal Part of the Eastern Achara-Trialeti Fold-and-Thrust Belt: the Results of Seismic Profile Interpretation.** ISSN - 0132 - 1447	საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მოამბე, ტ. 14, #2, 2020	თბილისი, საქ. მეცნ. ეროვნ. აკად.-ის გამომცემლობა	7
წარმოდგენილია აღმოსავლეთ აჭარა-თრიალეთის ნაოჭა-შეცოცებითი სარტყლის ფრონტული ნაწილის (სოფ. ძეგვი და მისი მოსაზღვრე ტერიტორიები) სტრუქტურული მოდელი სეისმური პროფილის ინტერპრეტაციის გამოყენებით. სეისმური პროფილი ცხადყოფს ზედა და ქვედა სტრუქტურული კომპლექსების არსებობას. სეისმური პროფილიდან ჩანს, რომ სტრუქტურები ძირითადად წარმოდგენილია ჩრდილო და სამხრეთ-ვერგენტული შეცოცებებით, ჩრდილო-ვერგენტული დუპლექსებით და სტრუქტურული სოლით. ზედა სტრუქტურული კომპლექსი წარმოდგენილია სამკუთხა ზონით და მისი დაბოლოება განლაგებულია მიოცენურ ნალექებში. ქვედა სტრუქტურული კომპლექსი წარმოდგენილია სტრუქტურული სოლით და მისი დაბოლოება განლაგებულია ზედა ცარცულ ნალექებში. ინტერპრეტირებულ სეისმურ პროფილებზე დაყრდნობით აგებულია აჭარა-თრიალეთის ნაოჭა-შეცოცებით სარტყელზე გამავალი სტრუქტურული ჭრილი. სეისმური პროფილი და სტრუქტურული ჭრილი გვიჩვენებს, რომ არმაზის ანტიკლინი არის ”breakthrough” რღვევა-გავრცელებადი ნაოჭი და განვითარებულია ტექტონიკური ზეწრის თავზე. არმაზის ანტიკლინის ქვეშ განვითარებული რთული სტრუქტურისთვის დამახასიათებელია ”break-backward” შეცოცებების განვითარება.				

5. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა უცხოეთში

5.1. მონოგრაფიები/წიგნები

№	ავტორი/ავტორები	მონოგრაფიის/წიგნის სათაური, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1				
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)				

5.2. სახელმძღვანელოები

№	ავტორი/ავტორები	სახელმძღვანელოს სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1				
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)				

5.3. კრებულები

№	ავტორი/ავტორები	კრებულის სახელ-წოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1				
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)				

5.4. სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, დიგიტალური საიდენტიფიკაციო კოდი DOI ან ISSN	ჟურნალის/ კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	Alfred Uchman, **Zurab Lebanidze,** Tamar Beridze, Nino Kobakhidze, Koba Lobzhanidze, Sophio Khutsishvili, Rusudan Chagelishvili, Davit Makadze, Kakha Koiava, Nino Khundadze	Abundant trace fossil *Polykampton* inPalaeogene deep-sea flysch deposits of the Lesser Caucasus in Georgia: palaeoecological and palaeoenvironmental implications. ISSN **0031-0182**	PALAEO3, vol.558(2020) 109958	Elsevier	16

		,			

ახალი იქნოსახით *Polykampton georgianum* (ჰოლოტიპი პირველად გამოიყო საქართველოში) მდიდარი ადგილსამყოფელი გამოვლინდა ბორჯომის ფლიშში, კერძოდ კი 45.3 მ სიმძლავრის არდაგანი-1 ჭრილში. ჭრილი აგებულია ნაცრისფერი ალევროლითებისა და არგილითების მორიგეობით, ქვიშაქვების იშვიათი შუაშრეებით. ნამარხი ნაკვალევი მდებარეობს ჭრილის შუა და ზედა ნაწილში. ნამარხი ნაკვალევი აგებულია საშუალო ზომის გვირაბითა და განშტოებებით (წილებით - lobes), რომლებიც ამოვსებულია შემცველი სედიმენტისგან განსხვავებული მასალით. ნამარხი ნაკვალევი ინტერპრეტირებულია როგორც სექვესტრიქნიონი. ნაკვალევის შემქმნელი „ასაწყობებდა“ ორგანიკით მდიდარ შლამს წილებში (lobes) როგორც მარაგს საკვების დეფიციტის პერიოდისთვის. ამჟამად, ცენტრალური გვირაბის გამოჟანგვა მასში არსებული პირიტის ხარჯზე მიუთითებს მის სანათურსა (lumen) და გარემომცველ არეს შორის არსებულ ძლიერ ქიმიურ გრადიენტზე. ქიმიური ქცევა, როგორც ჭიის-მსგავსი ნაკვალევის შემქმნელის (რგოლოვანი ჭიის სახეობა - polychaete?) კვების სტრატეგია, ასევე არ არის გამორიცხული. ის იკავებს შუა იარუსს/დონეს და როგორც წესი გადაკვეთილია *Trichichnus*, *Chondrites* და *Scolicia-ით.* ღრმა ზღვის წვრიმარცვლოვანი ნალექებისთვის დამახასიათებელი სხვა ნამარხი ნაკვალევების სიმწირე ან არარსებობა მიუთითებს სუსტად გამოხატულ დიზოქსიაზე. ან ეპიზოდურ ანოქსიაზე. ჭრილის ქვედა ნაწილში ნამარხი ნაკვალევების არ არსებობა კი ძლიერი დიზოქსიის ან ეპიზოდური ანოქსიის მანიშნებელია. ნამარხი ნაკვალევების ასოციაცია ატიპურია, მაგრამ ზოგადად *Nereites-ის იქნოფაციესის Nereites-ის იქნოსუბფაციესის* მსგავსია, რომელიც თავის მხრივ დამახასიათებელია ტურბიდიტების დალექვის სისტემების დისტალური ნაწილებითვის. კონტრასტი გრავიტაციული ნაკადების დაკნინების/შესუსტების ფაზაში დალექილ მუქინაცრისფერიდან-ნაცრისფრამდე ალევროლითებსა და არგილითებსა და მომწვანო პელაგურ შლამს შორის შორის მიუთითებს, რომ არგილითები და ალევროლითები ორგანული მასალით მდიდარი ნალექდაგროვების პირობებშია წარმოქმნილი, სავარაუდოდ, ჟანგბადის მინიმუმის ზონაში, ზედა ფერდობსა და გარე შელფს შორის სივრცეში. ორგტანული მასალით მდიდარი შლამის სეკვესტრირება *Polykampton georgianum* -ის წარმომქმნელი ორგანიზმების წარმატებული ადაპტაციის წინაპირობა იყო ამ სპეციფიურ გარემოპირობებში.

6. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

6.1. საქართველოში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	**ზურაბ ლებანიძე,** თამარ ბერიძე, სოფიო ხუციშვილი, ვალერი ბუჩუკური,	კავკასიონის კიდურა ზღვის აღმოსავლეთ ფლიშური აუზის მაასტრიხტული ნალექების ნამარხი ნაკვალევები	2020, 3-7 თებერვალი, თბილისი, საქართველო; ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი; მერვე ყოველწლიური საფაკულტეტო სამეცნიერო კონფერენცია ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში, გეოლოგიის სექცია; http: // conference. enc – 2020.tsu.ge/
2	ა. უჯმანი,**ზ. ლებანიძე,** თ. ბერიძე, ნ. კობახიძე, კ. ლობჟანიძე, ს. ხუციშვილი, რ. ჩაგელიშვილი, დ. მაქაძე, კ. ქოიავა, ნ. ხუნდაძე.	Sedimentological-Ichnological Analisis of the Ardagani -1 Section (Palaeocene-Lower Eocene Borjomi Suite, Georgia)	2020, 24-25 სექტემბერი, თბილისი, საქართველო; 6th International Scientific-Practical Conference on Up-to-date Problems of Geology
მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა)			

6. 2. უცხოეთში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1			

ანგარიშის ფორმა №2

2020 წელს გაწეული სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ანგარიში

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება - - - - - - - - - - - - - - - - - - -
- ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის დასახელება -
ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ელექტრული და ელექტრონული ინჟინერიის დეპარტამენტი

სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა ხელმძღვანელის მითითებით -

1. გიორგი ღვედაშვილი - ელექტრული და ელექტრონული ინჟინერიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, პროფესორი;
2. დავით კაკულია - ელექტრული და ელექტრონული ინჟინერიის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი;
3. ლევან შოშიაშვილი - ელექტრული და ელექტრონული ინჟინერიის დეპარტამენტის ასისტენტ პროფესორი;
4. ლევ გეონჯიანი - ელექტრული და ელექტრონული ინჟინერიის დეპარტამენტის ასისტენტ პროფესორი;
5. ცისანა გავაშელი - ელექტრული და ელექტრონული ინჟინერიის დეპარტამენტის ასისტენტ პროფესორი
6. ზურაბ შერმადინი - ელექტრული და ელექტრონული ინჟინერიის დეპარტამენტის ასისტენტ პროფესორი

1. სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის პერსონალის მიერ შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

1.1.

№	გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	2	3	4
გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2020 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)			

1.2.

№	დასრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	2	3	4
დასრულებული კვლევითი პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)			

2. შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტით დაფინანსებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

2.1.

№	გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	2	3	4
№	ავტორი/ ავტორები	სტატიისსათა-ური, ISSN	ჟურნალის/ კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი	გამოცემისადგილი, გამომცემლობა	გვერდებისრაოდენობა
1					
ვრცელიანოტაცია (ქართულენაზე)					

6.ბეჭდური პროდუქციის გამოცემა უცხოეთში

6.1. მონოგრაფიები/წიგნები

№	ავტორი/ავტორები	მონოგრაფიის/წიგნის სათაური, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1 2	Arnold Gegechkori	Biomes of the Caucasus: comprehensive review	Nova Science Publishers, USA	474pp.

ვრცელიანოტაცია (ქართულენაზე)

მონოგრაფიაში კავკასიის ორგანული სამყაროს თაობაზე პირველი ინტერდისციპლინური ნაშრომი გამოქვეყნდა დაახლოებით 100 წლის წინათ, ცნობილი მეცნიერის გუსტავ რადეს მიერ. აშშ-ში გამოსაცემი ჩემი მონოგრაფია წარმოადგენს მეორე ასეთ შემთხვევას გ. რადეს შემდეგ. ცხადია, უკანასკნელი 100 წლის განმავლობაში კავკასიის ბუნებამ (ფლორა-ფაუნა) ძირითადად ადამიანის ანუ ანთროპოგენური ზემოქმედებთ განიცადა ძირეული ცვლილება. მსგავსი პროცესი არ შეეხო მხოლოდ დიდი კავაკსიონის სამანქანო გზებით მიუდგომელ მაღალმთიან რეგიონებს. მონოგრაფია ინტერდისციპლინური კუთხით ასახავს კავკასიის რეგიონის (440 000 კვადრატული კილომეტრი) ორგანული სამყაროს როაბას, მისი გეოგრაფიული ზონების ანუ ბიოლოგიის ენაზე ბიომების რაობას. გაკეთებულია ცალკეული ბიომის ფლორა-ფაუნის დეტალური ანალიზი და რაც მთავარია, ახსნილია მოცემულ ბიომთა

ცოცხალი ორგანიზმების, განსაკუთრებით ენდემებისა და ენდემებისა-რელიქტების რაობა თანამედროვე პირობებში. მონოგრაფიაში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა რა სხვადასხვა იშვიათ სახეობებს, ცხოველთა და მცენარეთა ასეთი საკვანძო სახეობები დაწვრილებით არის აღწერილი ქოროლოგიის სიმაღლებრივი სარტყლიანობის და ზოგადად პალეონტოლოგიის გათვალისწინებითაც.

ნათქვამი ეხება კავკასიის უდაბნოებსა დ ნახევრად უდაბნოებს, არიდულ ნათელ ტყეებს, სტეპებს, მთის ქსეროფიტებს, ფართოფოთლოვან ზაფხულმწვანე ტყეებს, ტაიგის ტიპის წიწვოვან ტყეებს, სუბალპურ და ალპურ სარტყლებს და მათ შორის გარდამავალ ეკოტონებს. პირველად არის მოცემული სრულყოფილი დიფერენციაცია კავკასიის უდაბნოების, კერძოდ, გრუნტის თავისებურებების მიხედვით. მონოგრაფიაში აქცენტი არის გაკეთებული ასევე დღევანდელ ბიომებზე ანთროპოგენული დატვირთვის თაობაზე, კერძოდ, მომთაბარე მეცხოველეობის ზეგავლენაზე, როგორც მაღალმთიან ჰაბიტატებში, ისე ზამთრის საძოვრებზე; პირიქით; ცალკე განიხილება მომთაბარე მეფუტკრეობის საკითხი, როგორც მაღალმთიანეთში ყვავილოვან მცენარეთა დამატებით დამტვერვის საშუალება. ყველა თავს ახლავს შემაჯამებელი დასკვნები და დაბოლოს, ზოგადი ხასიათის დასკვნა. ეს უკანასკნელი მოიცავს გარდა ზემოთ ნახსენები საკთხებისა კავკასიის ორგანული სამყაროს ევოლუციური ტენდენციების ფორმირებისა და ეკოლოგიის საკითხებს.

წიგნი უხვად არის ილუსტრირებული (200-ზე მეტი ფოტო). ეს საილუსტრაციო მასალა ასახავს ცალკეულ ლანდშაფტურ ერთეულებს, მათში გამოყოფილ ჰაბიტატებს, ამ უკანასკნელში წარმოდგენილ მცენარეთა და ცხოველთა უნიკალურ სახეობებს. ეს ფერადი ილუსტრაციები, რიგ შემთხვევაში პირველად არის გადაღებული ავტორის მიერ და ამდენად ფრიად ამდიდრებს მონოგრაფიას ვიზუალურადაც.

მონოგრაფიას ახლავს ტოტალური ნუსხა ლათინური ტერმინებისა და წიგნში გამოყენებული კავკასიელი და უცხოელი ავტორების ნაშრომები, რომელბიც გატანილია ნაშრომის ბოლოს როგორც დამოუკიდებელი ნუსხა.

6.2. სახელმძღვანელოები

№	ავტორი/ავტორები	სახელმძღვანელოს სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1 2				
ვრცელი ანოტაცია (ქართულენაზე)				

6.3. კრებულები

№	ავტორები	კრებულის სახელ-წოდება, საერთაშო-რისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1				

ვრცელი ანოტაცია (ქართულენაზე)

6.4. სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI ან ISSN	ჟურნალის/ კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1					
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)					

7. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

7.1.საქართველოში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმისჩატარების დროდაადგილი
1	არნოლდ გეგეჭორი	კავკასიის მლაშნარი უდაბნოები და ნახევრად უდაბნოები, მათი თავისებურებები (ქოროლოგია) და კლასიფიკაცია	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი; მეერვე ყოველწლიური საფაკულტეტო სამეცნიერო კონფერენცია ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებში,XI კორპუსი. 2020წ. 11-15 თებერვალი

მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა)

სამეცნიერო ლიტერატურაში კავკასიის არიდული რაიონების და, კერძოდ, უდაბნოებისა და ნახევრად უდაბნოების თაობაზე არსებობს წინააღმდეგობრივი მოსაზრებები. ერთნი თვლიან, რომ რეგიონში უდაბნოები და ნახევრად უდაბნოებია (მაგალითად, გულისაშვილი და სხვ., 1975). მეორენი მიიჩნევენ, რომ ყველა მწირნალექიანი გარემო პირობები უდაბნოებს მიეკუთვნება (მაგ., ლაჩაშვილი, ხაჩიძე, 2010), სხვები (მაგ., გროსჰეიმი, 1948) თვით მლაშნარ უდაბნოებსაც კი ,,სტეპებად“ მოიხსენიებენ. ჩვენ (გეგეჭკორი, 1984, 2008, 2019) მივიჩნევთ, რომ კავკასიის მწირნალექიანი (წლიური საშუალო - 250-200მმ და ქვემოთ) რაიონები უდაბნოებია, ხოლო შედარებით უხვნალექიანი (400-200მმ) რაიონები კი ნახევრად უდაბნოები. ამ მონაცემებით აღმოსავლეთ საქართველოში მხოლოდ ნახევრად უდაბნოებს ვხვდებით (გეგეჭკორი, 1984,2008,2019). მათ ფონზე, აქა-იქ, დისკრეტულად ჩაწინწკლულია მცირე ფართობის მქონე უდაბნოები, ამ უკანასკნელთათვის დამახასიათებელი მიკროკლიმატით, ნიადაგით, იშვიათი ფლორითა და შესატყვისი აუტოეკოლოგიის ფაუნით. ასეთებია: (1) დავითგარეჯას ღრმულის (კახეთი) თიხნარ-თაბაშირიანი უდაბნო, (2) ასპინძის

(მესხეთი) მიდამოების თაბაშირის შემცველი უდაბნოს გორაკები, დაბოლოს, (3) ადიგენის (მესხეთი) თიხნარი უდაბნოები. მსგავსი უდაბნოები ირან-თურანის ზოგიერთი, იშვიათი - ავტოქტონურ მცენარეთა და ასევე ცხოველთა სახეობების თავშესაფრები ანუ რეფუგიუმებია. მსგავსს რეფუგიუმებში ისინი პალეორელიქტურ ფორმებს წარმოადგენენ. მაგალითად, მწირნალექიან უდაბნოებსა და ნახევრად უდაბნოებში ვხვდებით იშვიათ, ოლიგოტიპურ სახეობებს გვარებიდან: *Halimodendron, Nitraria, Reaumuria* და სხვა. ბიოგეოგრაფიული თვალსაზრისით ბიოტოპურად, ისტორიულად და გენეტიკურად განსხვავებული ფლორა-ფაუნის ეს და მსგავსი წარმომადგენლები, კერძოდ მათი პოპულაციები, ერთმანეთისაგან იზოლირებულები (დიზუნქცია) არიან, ე.ი. სივრცეში გეოგრაფიულად სიმპატრირებენ (ვიკარირებენ). როგორც ცნობილია, მსგავსს, ერთმანეთისაგან დათიშულ პოპულაციებში აღარ ხდება გენების გაცვლა. ეს უკანასკნელი კი სახეობათწარმოშობის (ხშირად მეორადი ცენტრის სახით) წინაპირობაა. მეორეს მხრივ, ბუნებრივი და განსაკუთრებით ანთროპოგენული პრესის პირობებში მსგავსი, მცირერიცხოვანი რელიქტური პოპულაციები გადაშენების პირას იმყოფებიან. აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველოს დანაწევრებულ უდაბნოთა მსგავსი ადგილები შემოფარგლულია განსხვავებული ფიტოცენოზების მქონე ეკოტონებით, სახელდობრ, არიდული ნათელი ტყეებით, შიბლიაკებით, სტეპებითა და, ზოგჯერ, მცირე ფართობის ფართოფოთლოვანი ტყეებითაც კი. მსგავსი ეკოტონები უდაბნოს სახეობებისათვის კლიმატურ-ნიადაგური პირობების განსხვავების გამო გადაულახავია. სწორედ ეს გარემოება უწყობს ხელს ზემოთ აღნიშნულ სამ რაიონში წყვეტილად წარმოდგენილ უდაბნოთა მწირ ნალექებთან შეგუებულ სახეობათა დათიშულობა-დისკრეტულობას. მსგავსი ჰიპერქსეროფიტები მიეკუთვნებიან ირან-თურანის ფიტოგეოგრაფიულ რაიონს, გაერთიანებულებს ტეთისის (ძველი ხმელთაშუაზღვეთი) ქვესამეფოსა და ჰოლარქტიკის სამეფოში, ირან-თურანისა, რომელიც წარმოადგენს თანამედროვე ავტოქტონურ, ქსეროფილურ ტაქსონთა პირველად ცენტრს (ტახტაჯანი, 1997). ჩვენს მიერ, დაახლოებით 50 წლის განმავლობაში, კავკასიის ყველა კლიმატურ-ისტორიული რაიონის (14) ფენოლოგიური შესწავლისას, პირველად კავკასიის ბუნების ისტორიაში, უწინარესად, მცენარეული საფარის მიხედვით, კლასიფიცირებულია კავკასიის მლაშნარი უდაბნოები.

7.2.უცხოეთში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	Arnold Gegechkori	Impoverishment of the Turanian biota in discrete relict patches of painted deserts across East Georgia (On behalf of Organizing Committee, I am happy to inform you that your abstract entitled “Impoverishment of the Turanian biota in discrete relict patches of painted deserts across East Georgia” has been accepted for oral presentation)	6th Edition of Global Conference on Plant Science and Molecular Biology(GPMB 2020), September 10-12, 2020, Paris, France.

2	Arnold Gegechkori	Colchis Part of the Euxino-Hyrcanian Refugial Centers (South Caucasus) of the Arcto-Tertiary Geoflora (This letter is to confirms that Dr. Arnold Gegechkori, Georgia , abstract titled “Colchis Part of the Euxino-Hyrcanian Refugial Centers (South Caucasus) of the Arcto-Tertiary Geoflora ” has been accepted for Oral Presentation as our beloved *Keynote Speaker* at Plant Science 2020).	3rd International Conference on Plant Science and Agriculture” that will be held in Amsterdam, Netherlands from July 06-07, 2020.
3	Arnold Gegechkori	Interpreting of Circum-Euxinian (Russian Black-Sea to Turkey) disjunctive distribution of sub-Mediterranean pseudomaquis plant community (We came through your abstract entitled “Interpreting of Circum-Euxinian (Russian Black-Sea to Turkey) disjunctive distribution of sub-Mediterranean pseudomaquis plant community”. I would like to take the privilege to invite you to be an honorable speaker and deliver a presentation of the same at our International Conference on Plant Science).	International Conference on Plant Science during June 17-18, 2020, Vancouver, Canada
4	Arnold Gegechkori	Glacial refugia of South Caucasus – Colchis and Talysh: new vision of disjunct distribution of relict plant and animal species (We warmly solicit your esteemed support as an Organizing Committee Member for 3rd Global Conference on Plant Biology and Plant Science (Plant Biology-2021)	3rd Global Conference on Plant Biology and Plant Science (Plant Biology-2021), Osaka, Japan, November 04-06, 2021.
მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა)			

- მნიშვნელოვანი აქტივობები

1.2020 წელს წარმატებით განხორციელდა ზაფხულის სასწავლო-საველე პრაქტიკა ბიომრავალფეროვნებაში ბიოლოგიის (I და IIIკურსი), ეკოლოგიისა და ბიოტექნოლოგიის სტუდენტებისათვის.

2.2020 წელს განხორციელდა სამეცნიერო ექსპედიცია, საქართველოს სხვადასხვა ლანდშაფტურ ერთეულში კათედრაზე არსებული სამეცნიერო თემატიკის და საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო ნაშრომების შესასრულებლად

3. სამაგისტრო ნაშრომი

ბიოლოგიის დეპარტამენტი

1. **ხელმძღვანელი** - არნოლდ გეგეჭკორი

სტუდენტი - თამარ ნოზაძე

თემისდასახელება: ასპინძა-ადიგენის (მესხეთი) გალწარმომქმნელ უხერხემლო ცხოველთა ზოგიერთი ჯგუფი: ტაქსონომია, ეკოლოგია
Some groups of gall-producing invertebrate fauna of Adigeni and Aspindza (Meskheti region): taxonomy and ecology

4. გამომცემლობა Springer-ში, ხელშეკრულების საფუძველზე მომზადდა და გაიგზავნა სქელტანიანი (დაახლოებით 400გვ. - იგულისხმება სარედაქციო საქმიანობის შემდეგ გვერდების დაზუსტება) მონოგრაფია სათაურით: ,,**Caucasus Ecoregion and Its Two Refugia: Colchis and Hyrcania: Patterns of Unique Biodiversity“** (წიგნის გამოცემა გათვალისწინებულია 2021 წელს)

5. გამოსაქვეყნებლად მომზადებულია სამეცნიერო სტატია - ,,Insular distribution patterns in the Goravan Sands (Armenia) exemplyfied by the Calligonum-feeding psyllids (Hemiptera: Psylloidea)

6. 2020 წელს გადმომეცა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საიუბილეო ოქროს მედალი.

ანგარიშის ფორმა №2

2020 წელს გაწეული სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ანგარიში

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის დასახელება - ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ბიოლოგიის დეპარტმენტი, ადამიანისა და ცხოველთა ფიზიოლოგიის კათედრა.

სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა ხელმძღვანელის მითითებით -

პროფესორი, ბ.მ.დ, ნანული დორეული - ხელმძღვანელი, ფიზიოლოგიის კათედრის გამგე; ბ.აკად. დ., ასოცირებული პროფესორი მაგდა ალანია; ბ.აკად.დ, ასოც. პროფესორი ბუციკო ჩხარტიშვილი; პედაგოგი მანანა ჩიქოვანი; ბ.აკად. დ. ეკატერინე მითაიშვილი; ბ. აკად. დ. როზა ბუკია; ბ.მ.აკად.დ. ხათუნა ფარქოსაძე, ბ.მ.დ. ბესარიონ ფარცვანია; ფიზიოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ლაბორატორიის გამგე, ბ.აკად.დოქ., ივანე კობაიძე, ლაბორანტები ბ.მ.აკად.დ. მელიცა სვანიძე, სადოქტორო პროგრამა დოქტორანტები: ცირა კაპანაძე, მარიამ ქურასბედიანი, ქეთევან ჩუბინიძე. დოქტორანტი - გია ქუთელია, დამხმარე პერსონალი - ანი ჭახნაკია.

1. სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის პერსონალის მიერ შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

1.1.

№	გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	2	3	4
გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2020 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)			

1.2.

№	დასრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	2	3	4
დასრულებული კვლევითი პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების			

შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

2. შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტით დაფინანსებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

2.1.

№	გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	2	3	4
	ქვერცეტინ-დაკავშირებული მაგნიტური ნანონაწილაკების ანტიეპილეფსიური პოტენციის შესწავლა ეპილეფსიის ცხოველურ მოდელებში	დაწყება (19.12.2017) დამთავრება (19.12.2020)	პროფ. ნანული დორეული -პროექტის ხელმძღვანელი, მარიამ ქურასბედიანი- დოქტორანტი, პროექტის კოორდინატორი. მანანა ჩიქოვანი, როზა ბუკია, ბუციკო ჩხარტიშვილი, ბესარიონ ფარცვანია, გია ქუთელია, ქეთევან ჩუბინიძე - ძირითადი პერსონალი, ანი ჭამხნაკია- დამხმარე პერსონალი -IT სპეციალისტი, ლაბორანტი.

გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2020 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

გარე სტატიკური მაგნიტური ველის გავლენა რკინის ნანონაწილაკებთან დაკავშირებული ქვერცეტინის ეფექტებზე ლაბორატორიული ვირთაგვების ჰიპოკამპში

მედიცინაში გამოყენებულ ბუნებრივ ნაერთებს შორის მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ქვერცეტინს. მიუხედავად მრავალი ბიოლოგიური ეფექტისა, ქვერცეტინის მოქმედება ცენტრალურ ნერვულ სისტემაზე შეზღუდულია წყალში ცუდი ხსნადობისა და ცუდი ბიოშეღწევადობის გამო. ქვერცეტინი ცუდად გადის ჰემატოენცეფალურ ბარიერს, ამიტომ შემუშავებულია გარკვეული სტრატეგია პრობლემის დასაძლევად და ქვერცეტინის თავის ტვინზე ზემოქმედების ეფექტურობის გასაზრდელად. ნანოტექნოლოგიაზე დაფუძნებული ნივთიერებათა მიწოდების სისტემები წარმოადგენს ახალ იმედისმომცემ მიდგომას, რათა მოხდეს ნივთიერებათა ბიოშეღწევადობის გაზრდა. ნანონაწილაკებს შორის მაგნიტური ნანონაწილაკები ფართოდ გამოიყენება როგორც წამალთა ნანოგადამტანები, ამასთანავე მაგნიტურინანონაწილაკის ტრანსპორტი ორგანიზმში

შესაძლოა მართული იყოს მაგნიტური ველით.
კვლევის მიზანს წარმოადგენდა სისტემურად შეყვანილი რკინის ნანონაწილაკ დაკავშირებული ქვერცეტინის (ქ-მნნ) ელექტროფიზიოლოგიური ეფექტების განსაზღვრა ჰიპოკამპის CA1 ველში და აღნიშნულ ეფექტებზე გარე სტატიკური მაგნიტური ველის (გსმვ) ექსპოზიციის გავლენის შეფასება. ასევე გსმვ-ის ტემპორალური წილის პროექციაზე უნილატერალური ექსპოზიციის გავლენა რკინაშემცველი ჩანართების რაოდენობაზე. მიღებული მონაცემები სტატისტიკურად დამუშავდა პროგრამა PRIZMA - მეშვეობით.
ექსპერიმენტმა აჩვენა, რომ ქ-მნნ-ის ეფექტები ჰიპოკამპის CA1 ველში შემაკავებელია: იწვევს სუმარული ნეირონული აქტივობის ამპლიტუდური მაჩვენებლების შემცირებას გსმვ-ის ექსპოზიციის პირობებში, გსმვ-ის გარეშე ქ-მნნ-ის იგივე დოზის კუდის ვენაში ინექცია არაეფექტური იყო. მორფოლოგიურმა კვლევამ კი აჩვენა, რომ რკინაშემცველი ჩანართების რაოდენობა მაგნიტური ველის ექსპოზიციის მხარეს სტატისტიკურად სარწმუნოდაა გაზრდილი კონტრალატერალურ მხარესთან შედარებით.
ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ გარე სტატიკური მაგნიტური ველი იწვევს კუდის ვენაში შეყვანილი ქ-მნნ-ის ეფექტურ გადაადგილებას მაგნიტური ველის ექსპოზიციის ლოკუსისკენ და ზრდის ექსპოზიციის ლოკუსში ქვერცეტინის კონცეტრაციას, რაც თავის მხრივ აკავებს ნეირონული აქტივობას.
(სამაგისტრო ნაშრომი (მაგისტრი ირაკლი ბარათაშვილი) შესრულებულია შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი, გრანტი FR17_629 ფარგლებში).

რკინის ნანონაწილაკებთან დაკავშირებული ქვერცეტინის გავლენა ეპილეფსიით გამოწვეულ ქცევით და ელექტროფიზიოლოგიურ დარღვევებზე

ეპილეფსია ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული ნევროლოგიური დაავადებაა, რომელიც ხასიათდება განმეორებითი კრუნჩხვებით და სხვადასხვა ტიპის ფსიქიკური დარღვევებით. ამჟამად, ეპილეფსიის შემთხვევების 30%-ზე მეტი რეზისტენტულია მკურნალობის მიმართ. ითვლება, რომ დაავადების ძირითადი მიზეზია ნეირონებში აგზნებისა და შეკავების პროცესებს შორის დისბალანსი. ანტიეპილეფსიური საშუალებების ახალი თანამედროვე საშუალებების ძიებისას, განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ფლავონოიდები - მცენარეული ანტიოქსიდანტები. ჩვენს კვლევაში ყურადღება გამახვილდა ქვერცეტინზე, რომელიც არის პოლიფენოლების ფლავონოიდური ოჯახის წევრი, ანთების საწინააღმდეგო და ანტიოქსიდანტური მახასიათებლებით, მაგრამ დაბალი ბიოშეღწევადობით. ჩვენ შევისწავლეთ ქვერცეტინის გავლენა კაინის მჟავას (კმ-ეს) ეპილეფსიური სტატუსით გამოწვეულ ქცევით დარღვევებზე და ჰიპოკამპის ელექტროფიზიოლოგიურ მახასიათებლებზე ლაბორატორიულ ვირთაგვებში. ქვერცეტინის დაბალი ბიოშეღწევადობის დასაძლევად განხორციელდა ქვერცეტინის დაკავშირება მაგნიტურ ნანონაწილაკებთან (მნნ) და ლაბორატორიული ვირთაგვებში კუდის ვენაში ქ-მნნ-ის ინექციის შემდეგ, ცხოველები თავსდებოდნენ ცალმხრივი გარე სტატიკური მაგნიტური ველის ქვეშ (გსმვ), რომელიც მიმართული იყო ტემპორალური წილის პროექციაზე.

ქცევითი ექსპერიმენტების ტესტმა აჩვენა, რომ მხოლოდ გსმვ/მნნ არ ცვლის ცხოველების ქცევას. კვარცეტინი/ქ-მნნ აადვილებს საკონტროლო ვირთაგვებში დასწავლას. მხოლოდ ქ-მნნ გსმვ-ის ექსპოზიციის პირობებში იწვევს კმ-ეს-ით გამოწვეული მეხსიერების დარღვევის სტატისტიკურად სარწმუნო გაუმჯობესებას. მარტო ქვერცეტინი ან ქ-მნნ გსმვ-ის ექსპოზიციის გარეშე, არაეფექტური იყო ეპილეფსიით გამოწვეული მეხსიერების დარღვევის წინააღმდეგ.

ელექტროფიზიოლოგიური ექსპერიმენტების მონაცემთა ანალიზმა აჩვენა, რომ კმ-ეს

ცვლის ქვერცეტინის ეფექტებს, რაც შეიძლება აიხსნას ეპილეფსიური სტატუსის გამო ჰემატოენცეფალური ბარიერის დარღვევით. ქ-მნნ-ის ინექცია ჰიპოკამპის პროექციაზე მაგნიტური ველის ექსპეზიციის პირობებში მნიშვნელოვნად ცვლის ჰიპოკამპში ნეირონული განმუხტვების ამპლიტუდას და სიხშირეს. ქ-მნნ-ის მოქმედება ჰიპოკამპის CA1 ველში შემაკავებელია, რითაც შეიძლება აიხსნას მისი დადებითი ეფექტები ეპილეფსიური სტატუსით გამოწვეული ქცევითი დარღვევების წინააღმდეგ.

(სამაგისტრო ნაშრომი (მაგისტრი გია ქუთელია) შესრულებულია შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი, გრანტი FR17_629 ფარგლებში).

რკინის ნანონაწილაკებთან დაკავშირებული ქვერცეტინის გავლენა კაინის მჟავით გამოწვეულ ეპილეფსიურ განმუხტვებზე ჰიპოკამპში

კვლევის მიზანს წარმოადგენდა ქვერცეტინისა და რკინის ნანონაწილაკებთან დაკავშირებული ქვერცეტინის ეფექტების შესწავლა ფონური და კაინის მჟავას ინტრაჰიპოკამპური აპლიკაციით გამოწვეული პასუხების ელექტროფიზიოლოგიურ მახასიათებლებზე ჰიპოკამპის CA1 ველში.

კეტამინით ანესთეზირებული და სტერეოტაქსულ აპარატში ფიქსირებული ვირთაგვების ლაბორატორიულ ვირთაგვებში, ხდებოდა მეტალის ტრიპოლარული ელექტროდების ბილატერალური ჩანერგვა, ჰიპოკამპის ნეირონული აქტივობის უნიპოლარული რეგისტრაციისა და ბიპოლარული სტიმულაციის მიზნით. ექსპერიმენტში გამოყენებულ იქნა ერთხელობრივი და წყვილადი სტიმულაციის პროტოკოლი. ფონური აქტივობის რეგისტრაციის შემდეგ, ეპილეფტიფორმული აქტივობის გენერაციის მიზნით მოვახდინეთ კაინის მჟავას ინტრაჰიპოკამპური 5-ჯერადი ინექცია უნილატერალურად (ჰიპოკამპის CA3 ველში). კაინის მჟავით გამოწვეულ ეპილეფტიფორმულ აქტივობაზე ქვერცეტინის და ნანონაწილაკებთან დაკავშირებული ქვერცეტინის ეფექტების შეფასების მიზნით, ვირთაგვას კუდის ვენაში განვახორციელეთ ქვერცეტინის/ქმნნ-ის ინექცია, გარე მაგნიტური ველის (1 ტესლა) 60-წუთიანი ექსპოზიციის პირობებში. ჰიპოკამპის ნეირონული აქტივობის რეგისტრაცია და ანალიზი განხორციელდა კომპიუტერული პროგრამა Chart5.5-ით, მიღებული მონაცემების სტატისტიკური დამუშავებისთვის კი გამოვიყენეთ პროგრამა PRIZM.

ექსპერიმენტმა აჩვენა, რომ რომ ქ-მნნ-ის წინასწარი ადმინისტრაცია სტატისტიკურად სარწმუნოდ ამცირებს კაინის მჟავას ინტრაჰიპოკამპური ინექციით გენერირებული ეპილეფტიფორმული განმუხტვების სიხშიროვან და ამპლიტუდურ მაჩვენებლებს. ცალკე ქვერცეტინი არაეფექტური იყო. დამოუკიდებლად ქვერცეტინი ან ცალკე მაგნიტური ველი მნიშვნელოვნად არ ცვლიდა ჰიპოკამპის ნეირონული აქტივობის ამპლიტუდის და სიხშირის საშუალო მაჩვენებლებს. მნნ-თან დაკავშირებულმა ქვერცეტინმა გამოიწვია ერთხელობრივი გამოწვეული პასუხების შემცირება და წყვილადი გაადვილების სიძლიერის ცვლილება. ეს უკანასკნელი ქ-მნნ-ის პრესინაფსურ ლოკუსზე ზემოქმედების მაჩვენებელია და სავარაუდოდ, უნდა იწვევდეს გლუტამატური ტრანსმისიის პრესინაფსური გამონთავისუფლების ბლოკირებას.

(საბაკალავრო ნაშრომი ბაკალავრი რუსუდან ანსიანი) შესრულებულია შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი, გრანტი FR17_629 ფარგლებში).

ამ წლის კვლევის მოკლე ანოტაცია

კვლევა მიზნად ისახავდა in vivo ელექტროფიზიოლოგიური მეთოდის გამოყენებით კაინის მჟავას ეპილეფსიური სტატუსის (კმ-ეს) მქონე ვირთაგვებში

შეგვესწავლა ჰიპოკამპის CA1/CA3 ველების როგორც ფონური ნეირონული აქტივობა, ისე ინტრაჰიპოკამპური ელექტრული სტიმულაციით გამოწვეული პასუხები მარჯვენა და მარცხენა ჰიპოკამპის შესაბამის ველებში და აღნიშნულ აქტივობაზე შეგვეფასებინა ქვერცეტინისა და ქვერცეტინ-დაკავშირებული მაგნიტური ნანონაწილაკების (ქ-მნნ) ეფექტები. სისტემურად შეყვანილი მაგნიტური ნანონაწილაკებისა და მასთან დაკავშირებული ქვერცეტინის მიმართული გადაადგილებისთვის გამოვიყენეთ გარე სტატიკური მაგნიტური ველი (გსმვ), რომლის ექსპოზიცია ხორციელდებოდა უნილატერალურად ტემპორალური წილის პროექციაზე. წინა მორფოლოგიურმა ექსპერიმენტებმა აჩვენა, რომ არსებობს დადებითი კორელაცია რკინაშემცველი ჩანართების რაოდენობასა და მაგნიტური ველის ექსპოზიციის ლოკუსს შორის.

აღნიშნული მიზნის მისაღწევად დაიგეგმა ექსპერიმენტები, რომლებიც თანმიმდევრულად განხორციელდა გეგმა-გრაფიკის შესაბამისად საანგარიშო პერიოდის პირველი 3 თვის განმავლობაში. ვირთაგვებში კმ-ეს-ის გამოსაწვევად ვიყენებდით ფარმაკოლოგიურ მიდგომას, 10-12მგ/კგ კაინის მჟავას ინტრაპერიტონული ინექცია ვირთაგვებში იწვევდა ეპილეფსიური სტატუსისათვის დამახასიათებელ ქცევით დარღვევებს. კმ-ის შეყვანიდან მე-3 მე-5 დღეს (3-5დღიანი ეპილეფტოგენეზის სტადიაზე) ვირთაგვებში კეტამინის საერთო ნარკოზის ფონზე ვახდენდით ჰიპოკამპის შესაბამის ველებში მეტალის ტრიპოლარული ელექტროდების სტერეოტაქსულად ჩანერგვას ელექტრული აქტივობის უნიპოლარული რეგისტრაციისა და ბიპოლარული ინტრაჰიპოკამპური სტიმულაციის მიზნით. გამოვიყენეთ წყვილადი გაღიზიანების პარადიგმაც, რათა შეგვეფასებინა ქვერცეტინისა ზემოქმედების ლოკუსი. კმ-ეს-ით ვირთაგვების ჰიპოკამპის ველებში განისაზღვრა ფონური აქტივობის ამპლიტუდური და სიხშიროვან მაჩვენებლები, ასევე ელექტრული სტიმულაციით გამოწვეული პასუხების ამპლიტუდა და წყვილადი გაადვილების პროცენტული მაჩვენებელი. აღნიშნულ მახასიათებლებზე შევისწავლეთ სისტემურად (კუდის ვენაში ინექცია) შეყვანილი ქვერცეტინის (SIGMA, 25მგ/კგ, გახსნილი 300მკლ DMSO-ში) ეფექტები. მიღებული მონაცემების ანალიზმა აჩვენა, რომ სისტემურად შეყვანილი ქვერცეტინი ეპილეფიის სტატუსის მქონე ვირთაგვებში იწვევს ფონური აქტივობის ცლილებას, ამასთან მარცხენა ჰიპოკამპში გამოვლენილი ფონური აქტივობის ამპლიტუდური მაჩვენებლის გაძლიერება იყო სტატისტიკურად სარწმუნო. მარჯვენა ჰიპოკამპში აღინიშნა მხოლოდ ზრდის ტენდენცია. მარჯვანა და მარცხენა ჰიპოკამპში ეფექტების საერთო მონაცემებმა კი გამოავლინა, რომ კმ-ეს-ით ვირთაგვებში ქვერცეტინი იწვევს ფონური აქტივობის სტატისტიკურად სარწმუნო გაძლიერებას, ზდის როგორც ამპლიტუდას, ისე განმუხტვების რაოდენობას.

აღნიშნულ საანგარიშო პერიოდში შევისწავლიდით მაგნიტური ნანონაწილაკებთან დაკავშირებული ქვერცეტინს (ქ-მნნ) (ქვერცეტინი იგივე დოზით დაკავშირებული რკინაშემცველ მნნ-თან Iron oxide (II,III)MNN – SIGMA) ეფექტებს ჰიპოკამპის ფონურ და გამოწვეულ პასუხებზე კმ-ეს-ით ვირთაგვებში. ქმნნ-ის ინექცია ვირთაგვებში ხორციელდებოდა გარე სტატიკური მაგნიტური ველის (1ტესლა) ტემპორალური წილის პროექციაში უნილატერალური (მარჯვენა) ექსპოზიციის ფონზე. მაგნიტური ველის ზემოქმედება იწყებოდა ქ-მნნ-ის შეყვანამდე 30წთ-ით ადრე და მიმდინარეობდა 60წთ-ის განმავლობაში. ელექტროფიზიოლოგიური კვლევების მონაცემთა ანალიზმა გამოავლინა, რომ ცალკე მაგნიტური ველი არ ცვლის ნეირონული აქტივობის ამპლიტუდურ მაჩვენებლებს. სუსტად გამოხატული გაადვილება აღინიშნა სიხშიროვან მაჩვენებელში, თუმცა მონაცემი არ იყო სტატისტიკურად სარწმუნო. ამისგან განსხვავებით, ქ-მნნ იწვევს ფონური აქტივობის ამპლიტუდის ფონთან მიმართებაში პროცენტული ცვლილების სტატისტიკურად სარწმუნო სუსტად

გამოხატულ დეპრესიას, რაც მიმდინარეობდა საერთო აქტივობის დესინქრონიზაციის ფონზე.

საანგარიშო პერიოდში განხორციელდა მიღებული მონაცემების სტატისტიკურ დამუშავებასა და მათ ურთიერთშედარებას. ასევე განხორციელდა ამ მონაცემთა შედარება საკონტროლო ვირთაგვებში ქვერცეტინითა და ქ-მნნ-ით გამოწვეულ ეფექტებთან. მიღებული მონაცემების ანალიზისა და სტატისტიკური დამუშავებისთვის გამოვიყენეთ Chart5.5 და PRIZM პროგრამები.

მონაცემთა ანალიზმა აჩვენა, რომ ქვერცეტინის ეფექტები საკონტროლო და კმ-ეს-ის ვირთაგვებში განცხვავებულია, საკონტროლო ვირთაგვებში ქვერცეტინი (25მგ/კგ) არაეფექტური იყო, მისი კრინის-ნანონაწილაკებთან დაკავშირება და გარე მაგნიტური ველით მიმართული გადაადგილება კი ზრდიდა მის ეფექტურობას, რაც გამოვლინდა ჰიპოკამპში ფონური და გამოწვეული პასუხების ამპლიტუდის შემცირებაში საერთო დესინქრონიზაციის ფონზე. აღნიშნული ეფექტი კორელირებდა რკინის ჩანართების აკუმულაციასთან მაგნიტური ველის ექსპოზიციის მხარეს. კმ-ეს-ით ვირთაგვებში ქვერცეტინის სისტემური შეყვანა, კონტროლისგან განსხვავებით, იწვევდა ფონური აქტივობის ამპლიტუდური და სიხშიროვანი მაჩვენებლის ფონთან მიმართებაში გაზრდას, რაც შეიძლება აიხსნას კმ-ეს-ით გამოწვეული ცვლილებებით ჰემატოენცეფალურ ბარიერის განვლადობაში.

ქ-მნნ-ის ეფექტები კმ-ეს-ით ვირთაგვების ჰიპოკამპში, ისევე როგორც საკონტროლო ვირთაგვებში იყო შემაკავებელი: იწვევდა ამპლიტუდური მაჩვენებლების შემცირებას საერთო დესინქრონიზაციის ფონზე. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ გარე მაგნიტური ველი ზრდის რა ჰიპოკამპსა და მიმდებარე ახალ ქერქში ქვერცეტინის კონცენტრაციას, უშუალოდ ჰიპოკამის სტრუქტურაში ავლენს შემაკავებელ ეფექტს. სისტემურად შეყვანილი ქვერცეტინით კმ-ეს-ით ვირთაგვების ჰიპოკამპში გამოწვეული გაადვილება შეიძლება განვიხილოთ როგორც მისი როგორც თავის ტვინის სტრუქტურებზე, ისე პერიფერიულ სისტემებზე ზოგადი მოქმედების შედეგი. ამ მოსაზრებას აძლიერებს ის მონაცემებიც, სადაც ვაჩვენეთ რომ ქვერცეტინის ინტრაჰიპოკამპური აპლიკაცია იწვევს აქტივობის შესუსტებას. აღნიშნული მოსაზრებების განმტკიცების მიზნით მიმდინარეობს დამატებითი კვლევა.

2.2.

№	დასრულებული (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	2	3	4
დასრულებული კვლევითი პროექტის 2020 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)			

3. უცხოური გრანტებით დაფინანსებული სამეცნიერო პროექტები

3.1. გარდამავალი პროექტი

№	გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი, დამფინანსებელი ორგანიზაცია/ სამეცნიერო ფონდი, ქვეყანა	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	2	3	4
გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2020 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)			

3.2. დასრულებული პროექტი

№	დასრულებული (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი, დამფინანსებელი ორგანიზაცია/სამეცნიერო ფონდი, ქვეყანა	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	2	3	4
დასრულებული კვლევითი პროექტის 2020 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)			

4. პატენტები

4.1. საერთაშორისო პატენტები:

№	საპატენტო თემატიკის სათაური	გამომგონებელი/ები და პატენტმფლობელი/ები	პატენტის საიდენტიფიკაციო კოდი

4.2. ეროვნული პატენტები

№	საპატენტო თემატიკის სათაური	გამომგონებელი/ები და პატენტმფლობელი/ები	პატენტის საიდენტიფიკაციო კოდი

5. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში

5.1. მონოგრაფიები/წიგნები

№	ავტორი/ავტორები	მონოგრაფიის/წიგნის სათაური, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1				
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)				

5. 2. სახელმძღვანელოები

№	ავტორი/ავტორები	სახელმძღვანელოს სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1				
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)				

5.3. კრებულები

№	ავტორი/ავტორები	კრებულის სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1				
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)				

5.4. სტატიები ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდის (DOI) მითითებით

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათა-ური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI	ჟურნალის/ კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1					
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)					

5.5. სტატიები ISSN-ის მითითებით

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათა-ური, ISSN	ჟურნალის/ კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა

1	მ. ქურასბედიანი, გ. ქუთელია, მ. ჩიქოვანი, ბ. ჩხარტიშვილი, რ. ბუკია, ბ. ფარცვანია, ნ. დორეული	გარე სტატიკური მაგნიტური ველის გავლენა რკინის ნანონაწილაკებთან დაკავშირებული ქვერცეტინის ეფექტებზე ლაბორატორიული ვირთაგვების ჰიპოკამპში	ბიომედიცინის სერია. საქართველოს ივანე ბერიტაშვილის ფიზიოლოგთა საზოგადოების საერთაშორისო ყრილობა მასალები 2020, #3-4, ISBN-0321-1665	საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მაცნე. თბილისი, 2020	7

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

მედიცინაში გამოყენებულ ბუნებრივ ნაერთებს შორის მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ქვერცეტინს. მისი ტვინზე მოქმედება შეზღუდულია წყალში ცუდი ხსნადობისა და ცუდი ბიოშეღწევადობის გამო. ნანოტექნოლოგიაზე დაფუძნებული წამალთა მიწოდების სისტემები წარმოადგენს ახალ მიდგომას, რათა მოხდეს ნივთიერებათა ბიოშეღწევადობის გაზრდა. მაგნიტური ნანონაწილაკები(მნნ) ფართოდ გამოიყენება როგორც წამალთა ნანო-გადამტანები, მათი ტრანსპორტი კი ორგანიზმში შესაძლოა მართული იყოს მაგნიტური ველით.

კვლევის მიზანს წარმოადგენდა სისტემურად შეყვანილი მნნ-დაკავშირებული ქვერცეტინის (ქ-მნნ) ელექტროფიზიოლოგიური ეფექტების განსაზღვრა ჰიპოკამპის CA1 ველში და აღნიშნულ ეფექტებზე გარე სტატიკური მაგნიტური ველის (გსმვ) ექსპოზიციის გავლენის შეფასება.

კვლევის ობიექტებად გამოყენებული იყო ველური ხაზის თეთრი ლაბორატორიული ვირთაგვები. კეტამინით ანესთეზირებული ვირთაგვების ჰიპოკამპის CA1 ველში სტერეოტაქსულად ინერგებოდა მეტალის ელექტროდები (კოორდინატები: AP-3.8, L-2.8, H-2.8მმ)[]. ნეირონული აქტივობის სტაბილიზაციის შემდეგ აღირიცხებოდა 60წთ-იანი ფონური აქტივობა 10წთ-იანი ინტერვალებით. შემდეგ, ცდის სერიიდან გამომდინარე, ვახდენდით კუდის ვენაში ფიზიოლოგიური ხსნარის ან ქ-მნნ-ის ინექციას (ქვერცეტინი 25მგ/კგ. ერთ მოლეკულა რკინის ნანონაწილაკზე გათვლილი იყო ქვერცეტინის 100 მოლეკულა). ნივთიერებათა ინექცია ხორციელდებოდა გსმვ-ის (1ტესლა) ტემპორალური წილის პროექციაზე უნილატერალურად 30წთ-იანი ექსპოზიციის შემდეგ, რომლის წარდგენა გრძელდებოდა ინექციის დასრულებიდან კიდევ 30წთ-ის განმავლობაში. ცდებში გამოვიყენეთ მნნ 30ნმ-ის დიამეტრის (Sigma, N747408) და ქვერცეტინი (Sigma, Q4951). გსმვ-ის გავლენით ტვინის სტრუქტურებში მნნ-ის გადაადგილების შესაფასებლად განხორციელდა მორფოლოგიური ექსპერიმენტები. ელექტროფიზიოლოგიური მონაცემების რეგისტრაცია/ანალიზისთვის გამოვიყენეთ კომპიუტერული პროგრამა Chart5.5. მონაცემები სტატისტიკურად დამუშავდა პროგრამით PRIZMA.

ექსპერიმენტებმა აჩვენა, რომ ქ-მნნ-ის ეფექტები ჰიპოკამპის CA1 ველში შემაკავებელია: იწვევს ნეირონული აქტივობის ამპლიტუდის შემცირებას გსმვ-ის ექსპოზიციისას, გსმვ-ის გარეშე ქ-მნნ-ის იგივე დოზა არაეფექტურია. მორფოლოგიურმა კვლევამ აჩვენა, რომ რკინაშემცველი ჩანართების რაოდენობა მაგნიტური ველის ექსპოზიციის მხარეს სტატისტიკურად სარწმუნოდაა გაზრდილი კონტრალატერალურ მხარესთან შედარებით.

შეიძლება დავასკვნათ, რომ გსმვ იწვევს ქ-მნნ-ის ეფექტურ გადაადგილებას მაგნიტური ველის ექსპოზიციის ლოკუსისკენ, ზრდის ქვერცეტინის კონცეტრაციას ექსპოზიციის ლოკუსში და იწვევს ნეირონული აქტივობის შეკავებას.

6. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა უცხოეთში

6.1. მონოგრაფიები/წიგნები

№	ავტორი/ავტორები	მონოგრაფიის/წიგნის სათაური, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1				
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)				

6.2. სახელმძღვანელოები

№	ავტორი/ავტორები	სახელმძღვანელოს სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1				
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)				

6.3. კრებულები

№	ავტორები	კრებულის სახელ-წოდება, საერთაშო-რისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1				
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)				

6.4. სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI ან ISSN	ჟურნალის/ კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	Mariam Kurasbediani, Butsiko Chkhartishvili,	Targeted delivery of quercetin-loaded magnetic nanoparticles	Journal of Biological Physics and Chemistry. Scientific	Copyright © 2020 Collegium Basilea and AMSI	Accepted, in press

	Manana Chikovani, Besarion Partsvania, Nanuli Doreulee	inhibits kainate-induced epileptiform discharges ISSN 1512-0856	Integrity		

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

ეპილეფსია არის პროგრესული ნევროლოგიური დაავადება, რომელსაც ახასიათებს განმეორებითი კრუნჩხვები და ქცევითი თანმხლები დაავადებები. ეპილეფსია გვხვდება მსოფლიოს მოსახლეობის 1% -ში. ეპილეფსიის განვითარება დაკავშირებულია მრავალი ფაქტორის რთულ ურთიერთქმედებასთან. 20 – ზე მეტი დამტკიცებული ანტიეპილეფსიური პრეპარატის მიუხედავად, პაციენტთა დაახლოებით 30% არ ექვემდებარება მკურნალობას. იმის გათვალისწინებით, რომ ჟანგვითი სტრესი მნიშვნელოვანია ეპილეფსიის პათოგენეზში, ასევე გლუტამატით გამოწვეულ ნეიროტოქსიკურობაში, გამოითქვა ვარაუდი, რომ ანტიოქსიდანტური და ანთებისსაწინააღმდეგო სამკურნალო საშუალებებით შესაძლებელია შემსუბუქდეს ან მოხდეს თავიდან აცილება იმ ნეიროდეგენერაციული დარღვევებისა, რაც გამოიწვევა გლუტამატერგული სისტემის ჭარბი აგზნებით.

ანტიოქსიდანტებს შორის განსაკუთრებით საინტერესოა მცენარეული წარმოშობის ფლავონოიდები. ამ ჯგუფის ერთ-ერთი საუკეთესოდ აღწერილი ფლავონოიდია ქვერცეტინი. ამასთან, ფარმაცევტულ სფეროში ქვერცეტინის გამოყენება ნაკლებად ხდება ორგანიზმში მისი ცუდი ხსნადობისა, დაბალი ბიოშეღწევადობის, ცუდი გამტარობითა და არასტაბილურობის გამო. მეორეს მხრივ, ნანონაწილაკებს აქტიურად იყენებენ ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების მიზანმიმართულად სხეულის სხვადასხვა უბნებზე მიწოდებისთვის. ნანონაწილაკებით წამლების დატვირთვა ზრდის მათ სტაბილურობას და მათი მიზნამდე მიტანის შესაძლებლობას. აღნიშნული კვლევით ჩვენ ვაჩვენეთ, რომ ტვინისათვის მაგნიტურ ნანონაწილაკებთან დაკავშირებული ქვერცეტინის მიზანმიმართული მიწოდება გარე სტატიკური მაგნიტური ველის საშუალებით იწვევს კაინის მჟავით გამოწვეული ეპილეპტიფორული აქტივობის დათრგუნვას ჰიპოკამპში.

7. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

7.1. საქართველოში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	მ.ალანია ნ. დორეული,	უხერხემლოთა ორი ტიპის წარმომადგენლების კვებითი სტრატეგიები და მათი მაკონტრელებელი ნერვული სტრუქტურები ევოლუციურ ჭრილში.	მერვე საფაკულტეტო კონფერენცია ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში 3-7 თებერვალი 2020. თბილისი, თსუ http://conference.ens-2020.tsu.ge/page/search

2	მ. ქურასბედიანი, მ. ჩიქოვანი, ბ. ჩხარტიშვილი, რ. ბუკია, ბ. ფარცვანია	ქვერცეტინ-დაკავშირებული მაგნიტური ნანონაწილაკების გავლენის შესწავლა კაინის მჟავას ეპილეფსიური სტატუსით განპირობებულ ცვლილებებზე ვირთაგვებში	მერვე საფაკულტეტო კონფერენცია ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში 3-7 თებერვალი 2020. თბილისი, თსუ http://conference.ens-2020.tsu.ge/page/search
3	რ. ანსიანი მ. ქურასბედიანი, მ.ჩიქოვანი, ბ. ჩხარტიშვილი, ნ. დორეული	ქვერცეტინ-დაკავშირებული მაგნიტური ნანონაწილაკების გავლენის შესწავლა კაინის მჟავას ინტრაჰიპოკამპური ინექციით გამოწვეულ ნეირონების განმუხტვების პატერნზე ვირთაგვებში	მერვე საფაკულტეტო კონფერენცია ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში 3-7 თებერვალი 2020. თბილისი, თსუ http://conference.ens-2020.tsu.ge/page/search
4.	Nanuli Doreuli*, Mariam Qurasbediani, Rusudan Ansiani, Mariam Chitasvili, Manana Chikovani, Besarion Partsvania	Influence of Quercetin/Quercetin-Loaded Magnetic Nanoparticles on the Firing Patterns of Hippocampal Neurons in Control and Kainic Acid-Injected Rats	The 1st Annual Meeting of Georgian Center for Neuroscience Research, 20-22 February, Tbilisi, Georgia **Year: 2020, Volume: 2, Number: 2 0** https://europub.co.uk/articles/677937/view
5	Ts. Kapanadze, M. Qurasbediani, M. Chikovani, B. Chkhartishvili, N. Doreulee	Investigation the Effects of Orexins on Behavioral, Morphological and Electrophysiological Alterations Induced by the Kainic Acid Model of Temporal Lobe Epilepsy.	The 1st Annual Meeting of Georgian Center for Neuroscience Research, 20-22 February, Tbilisi, Georgia **Year: 2020, Volume: 2, Number: 2 0** https://europub.co.uk/articles/677937/view
6	G. Kutelia, N. Doreulee	Effects of Quercetin Loaded Magnetic Nanoparticles on Electrophysiological and Behavioural Disturbances in the Animal Models of Epilepsy	The 1st Annual Meeting of Georgian Center for Neuroscience Research, 20-22 February, Tbilisi, Georgia **Year:** 2020, **Volume:** 2, **Number:** 2 0 https://europub.co.uk/articles/677937/view
მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა)			

7.2. უცხოეთში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1			
მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა)			

ანგარიშის ფორმა №2

2020 წელს გაწეული სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ანგარიში

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება

__ ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი __

სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის დასახელება

- ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი, ბიოლოგიის დეპარტამენტი, **უჯრედული და მოლეკულური ბიოლოგიის კათედრა**
- ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე არსებული **სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი - „უჯრედული და მოლეკულური მედიცინა“**

სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა ხელმძღვანელის მითითებით

*კათედრის გამგე, ბ.მ.დ., პროფესორი - **ნანა კოტრიკაძე***
ბ.დ. ასოც. პროფესორი - მანანა გორდეზიანი
მოწვეული ლექტორი/ ლაბორანტიის თანამშრომელი - ბ.დ., ლიანა რამიშვილი
მოწვეული ლექტორები: ბ.დ. მანანა ალიბეგაშვილი
ბ.დ. მაია ზიბზიბაძე

სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის - „უჯრედული და მოლეკულური მედიცინა“ პერსონალური შემადგენლობა ინსტიტუტის დირექტორის მითითებით:

ინსტიტუტის დირექტორი, *ბ.მ.დ., პროფესორი - ნანა კოტრიკაძე*
ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე - ბ.დ. მანანა ალიბეგაშვილი
უფროსი მეცნიერ- მკვლევარი: ბ.დ. ირინა ნაკაშიძე
კლინიკური მედიცინის განყოფ. გამგე: მ.მ.დ. პროფესორი- თეიმურაზ ჩიგოგიძე
უფროსი მეცნიერ-მკვლევარი - მ.დ. ნინო გაბუნია
მეცნიერ-მკვლევარი - ბელა სეფიაშვილი
მეცნიერ-მკვლევარი - ანა ხაზარაძე

1. სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის პერსონალის მიერ შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

1.1.

№	გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	2	3	4

გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2020 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1.2.

№	დასრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	2	3	4
დასრულებული კვლევითი პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)			

2. შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტით დაფინანსებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

2.1.

№	გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	2	3	4
გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2020 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)			

2.2.

№	დასრულებული (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	2	3	4
დასრულებული კვლევითი პროექტის 2020 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)			

3. უცხოური გრანტებით დაფინანსებული სამეცნიერო პროექტები

3.1. გარდამავალი პროექტი

№	გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი, დამფინანსებელი ორგანიზაცია/ სამეცნიერო ფონდი, ქვეყანა	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	2	3	4
გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2020 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)			

3.2. დასრულებული პროექტი

№	დასრულებული (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი, დამფინანსებელი ორგანიზაცია/სამეცნიერო ფონდი, ქვეყანა	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	2	3	4
დასრულებული კვლევითი პროექტის 2020 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)			

4. პატენტები

4.1. საერთაშორისო პატენტები:

№	საპატენტო თემატიკის სათაური	გამომგონებელი/ები და პატენტმფლობელი/ები	პატენტის საიდენტიფიკაციო კოდი

4.2. ეროვნული პატენტები

№	საპატენტო თემატიკის სათაური	გამომგონებელი/ები და პატენტმფლობელი/ები	პატენტის საიდენტიფიკაციო კოდი

5. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში

5.1. მონოგრაფიები/წიგნები

№	ავტორი/ავტორები	მონოგრაფიის/წიგნის სათაური, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1				
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)				

5. 2. სახელმძღვანელოები

№	ავტორი/ავტორები	სახელმძღვანელოს სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1				
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)				

5.3. კრებულები

№	ავტორი/ავტორები	კრებულის სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1				
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)				

5.4. სტატიები ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდის (DOI) მითითებით

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათა-ური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI	ჟურნალის/ კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1					
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)					

5.5. სტატიები ISSN-ის მითითებით

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათა-ური, ISSN	ჟურნალის/ კრებულის დასახელება და	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა

			ნომერი/ტომი		
1					
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)					

6. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა უცხოეთში

6.1. მონოგრაფიები/წიგნები

№	ავტორი/ავტორები	მონოგრაფიის/წიგნის სათაური, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1 2				
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)				

6.2. სახელმძღვანელოები

№	ავტორი/ავტორები	სახელმძღვანელოს სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1 2				
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)				

6.3. კრებულები

№	ავტორები	კრებულის სახელ-წოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	N. Kotrikadze, M Alibegashvili, L Ramishvili, I Nakashidze, T. Tevdoradze, M.Zibzibadze, M. Gordeziani, A. Khazaradze, B. Sepiashvilli, S Ahmad	Thermodynamic parameters of Blood Plasma Proteins in Women with Breast Tumors	**Gynecologic Oncology** IF = 4.623 (2020)	v. 159, pages: 357
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)				

სისხლის პლაზმის ცილების კვლევას ონკოლოგიურ პაციენტებში სადიაგნოსტიკო მნიშვნელობა ენიჭება. დადგენილია, რომ მკერდის სიმსივნეებით დაავადებული ქალების სისხლში ადგილი აქვს პლაზმის ცილების არამარტო რაოდენობრივ, არამედ თვისობრივ ცვლილებებს. აქედან გამომდინარე კვლევის მიზანს წარმოადგენდა სისხლის პლაზმის ცილების თერმოდინამიკური პარამეტრების ცვლილების შესწავლა მკერდის სიმსივნეებით დაავადებული ქალების სისხლში (მენოპაუზის პერიოდი).

კვლების ობიექტს წარმოადგენდა მკერდის კეთილთვისებიანი და ავთვისებიანი სიმსივნეებით დაავადებული ქალების (მენოპაუზის პერიოდი, 50-65წ) სისხლის პლაზმის ნიმუშები (n = 20, თითოეული ჯგუფისათვის). სისხლის პლაზმის თერმოდინამიკური პარამეტრების კვლევისათვის გამოყენებულ იქნა დიფერენციალური სკანირებადი მიკროკალორიმეტრიის მეთოდი.

მკერდის სიმსივნეებით დაავადებული პაციენტების სისხლის პლაზმის თერმოგრამაზე დაფიქსირებული განსხვავებები საშუალებას იძლევა განხორციელდეს მკერდის კეთილთვისებიანი და ავთვისებიანი სიმსივნეების დიფერენცირება დიფერენციალური მიკროკალორიმეტრიის მეთოდის გამოყენებით. მიღებული შედეგები შესაძლოა გამოყენებულ იქნას მკერდის სიმსივნეების დიფერენცირებისათის, როგორც დამხმარე სადიაგნოსტიკო ტესტი.

6.4. სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI ან ISSN	ჟურნალის/ კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	N. Kotrikadze, I. Bochorishvili, M. Alibegashvili, L .Ramishvili, T. Chigogidze, M. Gordeziani, A. Khazaradze, B. Sepiashvili N. Gabunia, J. Monaselidze S. Ahmad	Alterations of the physical and chemical characteristics of blood plasma in men with prostate tumors **სტატიის ნომერი:** **(*IJEB EB190525-3*)**	**Indian Journal of Experimental Biology** ***Impact factor-1.050*** **(2020)**	ჩაშვებულია დასაბეჭდად	
2	Kotrikadze, N; Tuphinashvili, T; Alibegashvili, M; Ramishvili, L; Nakashidze, I; Artmeladze, M ; Gordeziani, M; Zibzibadze, M; Khazaradze, A; Sepiashvili, B; Sarfraz, A	Blood formed elements of the women with uterine tumors as one of the criteria for assessment of severity of the pathology	**Clinical and Translational Medicine**	გადის რეცენზირების ეტაპს *Manuscript ID*: CTM2-2020-07-0671	

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1. კვლევის მიზანს წარმოადგენდა პროსტატის სიმსივნეებით დაავადებული მამაკაცების სისხლის პლაზმის ფიზიკურ - ქიმიური მახასიათებლების ცვლილების სპეციფიურობის დადგენა და შესაძლო სადიაგნოსტიკო მნიშვნელობა;

პროსტატის სიმსივნური პროცესის განვითარების პირობებში სისხლის პლაზმაში მიმდინარე ცვლილებების შესასწავლად გამოყენებულ იქნა:

- სპეტროფლუროსცენტული ანალიზის მეთოდი;
- დიფერენციალური სკნირებადი მიკროკალორიმეტრიის მეთოდი;
- ელექტროფორეზის მეთოდი (ცილების დაყოფა პოლიაკრილამიდის გელში)

დადგენილ იქნა პროსტატის სიმსივნეებით დაავადებული მამაკაცების სისხლის პლაზმის ცილებში მიმდინარე ცვლილებები.

გამოვლენილ იქნა პირველი პიკის პირდაპირი დამოკიდებულება ფლუორესცენციის სპექტრში პიკების ინტენსივობების ცვლილებასა და პროსტატის სიმსივნეებს შორის. გამოვლენილ იქნა პროსტატის სიმსივნეების შემთხვევაში ფლუორესცენციის პირველი პიკის ინტენსივობის მატება, რაც შესაძლებელია განპირობებული იყოს სისხლის პლაზმაში სიმსივნურ ზრდასთან ასოცირებული ცილების: "მწვავე ფაზის" ცილების კონცენტრაციის ზრდით, კიბოემბრიონული ანტიგენის, ასევე სისხლის პლაზმის ალბუმინის ფრაქციაში ე.წ. მოდიფიცირებული ალბუმინის გაჩენით.გამოვლენილ იქნა ნიკოტინამიდური კოფერმენტების (NADH da NADPH) შესატყვისი II პიკის ინტენსივობის მატება (HGPIN და CaP შემთხვევაში) აღნიშნული ფაქტი შესაძლებელია გამოწვეული იყოს პათოლოგიის განვითარებისა და დაავადების პროგრესირების ფონზე ფერმენტული სისტემის მოშლით და მათი აქტივობის შემცირებით, შესაბამისად აღნიშნული კოფერმენტების დაგროვებით, ასევე სიმსივნურ უჯრედებში მიმდინარე ენერგეტიკული პროცესების ცვლილებით. გამოვლენილ იქნა პროსტატის კეთილთვისებიანი ჰიპერპლაზიით დაავადებული მამაკაცების სისხლის პლაზმაში ძირითადი პიკის (T_d) მაქსიმუმი 66-67°C ტემპერატურულ ინტერვალში, მაშინ როდესაც HGPIN და ადენოკარცინომის შემთხვევაში აღნიშნული მაქსიმუმი შეესაბამება T_d = 63-64°C ტემპერატურულ ინტერვალს.

დადგენილ იქნა 70-71°C ტემპერატურულ ინტერვალში მხარის არსებობა კეთილთვისებიანი ჰიპერპლაზიისა და HGPIN შემთხვევაში. დადგენილ იქნა, რომ დენატურაციის სითბო (Q) ანუ ენთალპია (ΔH) იცვლებოდა შემდეგი თანმიმდევრობით : CaP – კეთილთვისებიანი ჰიპერპლაზია PIN უბნებით - საკონტროლო ჯგუფი.

ამგვარად, შეძლებისდაგვარად შევაფასეთ აღნიშნული ცვლილებების სპეციფიურობა და დიფერენციალური სკანირებადი მიკროკალორიმეტრიის მეთოდის სადიაგნოსტიკო მნიშვნელობა. დადგენილ იქნა ცილოვანი ფრაქციების (220 kD, 41 kD, 38 kD, 32 kD, 135 kD, 88 kD, 78 kD) მკვეთრი ცვლილება ელექტროფორეზის მეთოდით. ვვარაუდობთ რომ აღნიშნული ცვლილებები ერთი მხრივ სიმსივნე სპეციფიურია, და მეორეს მხრივ პროსტატ სპეციფიური.

2. სისხლის ფორმიანი ელემენტების სტრუქტურული მაჩვენებლების შესწავლა პათოლოგიების დიაგნოსტიკის და სიმძიმის ხარისხის შეფასების საშუალებას იძლევა. აქედან გამომდინარე, საინტერესო იყო დაგვედგინა აისახებოდა თუ არა საშვილოსნოს ტანის კეთილთვისებიანი და ავთვისებიანი სიმსივნეებით დაავადებულ ქალებში (მენოპაუზის პერიოდი) ჰორმონალური დისბალანსის ფონზე ორგანიზმში მიმდინარე ცვლილებები სისხლის ფორმიანი ელემენტების სტრუქტურულ მახასიათებლებზე. ***შესწავლილ იქნა ერითროციტების, ლეიკოციტების, თრომბოციტების მორფო-სტრუქტურული მაჩვენებლების ცვლილება***

ტრანსმისიული ელექტრონული მიკროსკოპის საშუალებით.

მასალის ტრანსმისიული ელექტრონული მიკროსკოპიის მეთოდით შესწავლამ გვიჩვენა, რომ საშვილოსნოს ტანის როგორც კეთილთვისებიანი, ასევე ავთვისებიანი სიმსივნის შემთხვევაში (მენოპაუზის პერიოდში) ადგილი აქვს ერითროციტების ზომის, ფორმის, ჰემოგლობინის განაწილების ცვლილებას. აღნიშნული ცვლილებები ქმნის წარმოდგენას ერითროპოეზის მდგომარეობაზე და ასრულებს მნიშვნელოვან როლს პათოლოგიების დიაგნოსტიკასა და სიმძიმის ხარისხის შეფასებაში.

სისხლის ფორმიანი ელემენტების ტრანსმისიული მიკროსკოპიის მეთოდით შესწავლამ გვიჩვენა, რომ საშვილოსნოს ტანის ავთვისებიანი სიმსივნის შემთხვევაში ადგილი აქვს სისხლის ფორმიანი ელემენტების სტრუქტურული მაჩვენებლების მკვეთრად გამოხატულ ცვლილებას, რომელიც კარგად ასახავს ჰორმონალური დისბალანსის ფონზე ორგანიზმში მიმდინარე ცვლილებებს. კერძოდ, გვხვდება დიდი ზომის ახალგაზრდა უჯრედები, ბირთვების სეგმენტიზაცია, ბირთვის სეგმენტების პიკნოზი, ციტოპლაზმაში დიდი რაოდენობის ჩანართები, უხვი გრანულაცია, პლაზმურ მემბრანაზე წანაზარდები, რაც არ გვხვდება არც კეთილთვისებიანი და არც პრაქტიკულად ჯანმრთელი ქალების სისხლში.

ამგვარად, აღნიშნული სტრუქტურული მაჩვენებლების ცვლილება შესაძლებელია გამოყენებულ იქნას აღნიშნული პათოლოგიის სიმძიმის ხარისხის შესაფასებლად.

7. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

7.1. საქართველოში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1			
მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა)			

7.2. უცხოეთში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	N. Kotrikadze, M Alibegashvili, L Ramishvili, I Nakashidze, T. Tevdoradze, M.Zibzibadze, M. Gordeziani, A. Khazaradze, B. Sepiashvilli, S Ahmad	Thermodynamic parameters of Blood Plasma Proteins in Women with Breast Tumors	**SGO 51st Annual Meeting on Women's Cancer,** March 28–31, Toronto, Canada, 2020
მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა)			

ანგარიშის ფორმა № 2

2020 წელს გაწეული სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ანგარიში

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის დასახელება
იმუნოლოგიისა და მიკრობიოლოგიის კათედრა

სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა ხელმძღვანელის მითითებით
ხელმძღვანელი - პროფესორი ნინო ფორაქიშვილი

პერსონალი:

ნუნუ მიცკევიჩი, ასოცირებული პროფესორი;

ნინო გაჩეჩილაძე, ასოცირებული პროფესორი;

ნინო ჭიკაძე, სამეცნიერო კვლევითი ლაბორატორიის გამგე;

თამარ ცერცვაძე, სამეცნიერო კვლევითი ლაბორატორიის ლაბორატი, გამდინარე

ციტომეტრიის მთავარი ტექნოლოგი

ქეთევან სიჭინავა, მასწავლებელი

მაია ხარიბეგაშვილი, ლაბორანტი-მიკრობიოლოგი

1. სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის მიერ ერთობლივად შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

1.1.

№	**გარდამავალი** (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	2	3	4
გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2020 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)			

1.2.

№	**დასრულებული** პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	2	3	4
დასრულებული კვლევითი პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)			

2. შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტით დაფინანსებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

2.1.

№	**გარდამავალი** (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	ახალგაზრდა მეცნიერთა 2018 წლის კვლევების საგრანტო კონკურსში გამარჯვებული პროექტის-YS-18-042 ,,ქრონიკული ლიმფოციტური ლეიკემიის დროს CD180 რეცეპტორის ექსპრესიის ქრომოსომულ აბერაციებთან კორელაციის პროგნოსტიკული მნიშვნელობა”	2018-2020 წწ	ახალგაზრდა მეცნიერი, პროექტის ხელმძღვანელი - თამარ ცერცვაძე ახალგაზრდა მეცნიერის მენტორი- პროფესორი ნინო ფორაქიშვილი
გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2020 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე) მიუხედავად იმისა, რომ ქრონიკული ლიმფოციტური ლეიკემიის იმუნობიოლოგიის ცოდნა მკვეთრად გაუმჯობესდა, დაავადების ეტიოლოგია კვლავაც უცნობია. ქლლ-ის უჯრედების *in vivo* ექსპანსიას ბიძგს აძლევს ენდოგენური ან ეგზოგენური			

(აუტო)ანტიგენ(ებ)ი, რომლებსაც გამოიცნობს B-უჯრედული რეცეპტორი (Bურ) და მიკროგარემოს ფაქტორების გამომცნობი რეცეპტორების დიდი ჯგუფი, რომელსაც მიეკუთვნება თოლლ- მსგავსი რეცეპტორები. შესაბამისად, დაავადების მკურნალობის შესარჩევად მეტად მნიშვნელოვანია როგორც ზემოთ აღნიშნული ანტიგენის იდენტიფიცირება, ასევე ქლლ-ის უჯრედებში არსებული პრო-გადარჩენის სასიგნალო გზების შესწავლა.

ქლლ-ს მკურნალობის ერთ-ერთი მთავარი პრობლემა ისაა, რომ ბევრი ავადმყოფის შემთხვევაში სტანდარტული მკურნალობის სქემები არაეფექტურია. ჩვენი მიზანია, ახალი სტრატიფიკაციის პარამეტრებზე დაფუძნებული პერსონალიზირებული მკურანლობის მიდგომის დამუშავება. ეს მოიცავს B-ურ გაშუალებული სიგნალო გზების შეფასებას, TP53, DLEU1 და ATM გენების მუტაციების გამოვლენასა და ახალი სტრატიფიკაციის პარამეტრის, CD180 რეცეპტორის ექსპრესიისა და სასიგნალო გზების შესაწავლას.

ჩვენ ვგეგმავთ PK ინჰიბიტორებზე დაფუძნებულ მკურნალობის ოპტიმიზაციის მიზნით, დეტალურად შევისწავლოთ CD180 ექსპრესიის პროფილისა და მისი გავლენა Bურ (sIgM და sIgD) სასიგნალო გზებზე, ქლლ პროგნოზულ ჯგუფებში, დაფუძნებულს ქრომოსომულ აბერაციებზე, ფენოტიპურ ცვლილებებსა და კლინიკურ მაჩვენებლებზე. სრული სურათის მისაღებად ჩვენ შევისწავლით ისეთ მონაცემებს, როგორიცაა კლინიკური თავისებურებები, CD38 და ZAP70 ექსპრესია, რომლებიც ხშირად დაკავშირებულია დაავადების აგრესიულ კურსსა და სავალალო პროგნოზთან.

ამ მპოექტში პირველად განხილული იქნება შემდეგი საკითხები: 1) ქლლ უჯრედებზე CD180-ის ექსპრესიისა და ქრომოსომული აბერაციების კორელაცია და პროგნოსტიკული მნიშვნელობა. 2) ქლლ უჯრედებში CD180-ის სასიგნალო გზები და მათი კორელაცია პროტეინკინაზების იჰიბიტორების (PK) მიმართ მგრძნობელობას, ქრომოსომულ აბერაციებს, კლინიკურ და ფენოტიპურ ცვლილებებსა და დაავადების გამოსავალთან. 3) PK ინჰიბიტორების მიმართ მგრძნობელობის დასადგენად CD180-ის გავლენა sIgM-ით გაშუალებულ სასიგნალო გზებზე.

ჩვენ ვიმედობნებთ, რომ ამ კვლევას ექნება მნიშვნელოვანი გავლენა ქლლ-ს პერსონალური თერაპიული მიდგომების განვითარების მხრივ. იმის მიხედვით, თუ როგორ მოქმედებს CD180 Bურ-ის სასიგნალო გზებზე, ჩვენ გამოვყოფთ პაციენტთა ჯგუფებს, რომლებიც ყველაზე მეტად ისარგებლებენ სიგნალის გზების ინჰიბიტორებით მკურნალობით, რაც საშუალებას მოგვცემს შევამციროთ მკურნალობის ტოქსიკურობა, გააუმჯობესდეს დაავადების პროგნოზი და

მკურნალობის ეფექტურობა.			
2	საკვერცხის კისტის მუცინების მონაწილეობა სიმსივნის ზრდის ფაქტორ ადამიანის ქორიონულ გონადოტროპინთან და მის სუბერთეულებთან ჯვარედინად მორეაგირე IgG აუტოანტისხეულების წარმოქმნაში FR-19-479	2020-2023წწ	პროექტის ხემძღვანელი ნინო ჭიკაძე ძირითადი პერსონალი ნინა ფორაქიშვილი ძირითადი პერსონალი თამარ ცერცვაძე ძირითადი პერსონალი მაია ჯანელიძე

გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2020 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

სულ უფრო და უფრო მეტი მონაცემი ამტკიცებს საკვერცხის სიმსივნეების მქონე პაციენტებში იმუნური გადარჩენის მექანიზმების არსებობას. მათ შორის არიან სიმსივნე - ასოცირებული და სიმსივნე-სპეციფიური, სიმსივნის ზრდის ფაქტორების საწინააღმდეგო აუტოანტისხეულები. გლიკოპროტეინული ჰორმონი ადამიანის ქორიონული გონადოტროპინი (აქგ) და ჰორმონ-სპეციფიური β ჯაჭვი ასოცირებულია ისეთ ეპითელურ სიმსივნეებთან, როგორებიცაა შარდის ბუშტის, ფილტვების, პირის/სახის, მკერდის საშვილოსნოს ყელის, საკვერცხეების, საშოს, პროსტატის, თირკმელების და პანკრეასის კარცინომებთან. მიჩნეულია, რომ სიმსივნური უჯრედებისათვის აქგ-ს აუტოკრინული ზრდის ფაქტორის როლი აქვს. წინა კვლევების შედეგად ჩვენს მიერ ნაჩვენებია, რომ საკვერცხის კისტის მქონე პაციენტების უმეტესობას, და არა საკვერცხის კარცინომების მქონე პაციენტებს, აქვთ IgG იზოტიპის აუტოანტისხეულები აქგ-სა და მისი სუბერთეულების მიმართ. შემდგომში, ჩვენ ასევე მოვახდინეთ იმის დემონსტრირება, რომ ეს აუტოანტისხეულები უმეტესწილად IgG2 ქვეკლასს მიეკუთვნება და როგორც ჩანს, ისინი ჯვარედინად უკავშირდებიან აქგ-სა და მისი სუბერთეულების გვერდით შაქრებს, თუმცა წარმოქმნილნი არიან სხვა გლიკოპროტეინების წინააღმდეგ. საკვერცხის კისტა წარმოადგენს სისხლის ჯგუფის მუცინების ერთ-ერთ ყველაზე მდიდარ წყაროს.

ჩვენს მიერ გამოითქვა ვარაუდი, რომ საკვერცხის კისტის მქონე პაციენტებში ჩვენს მიერ აღმოჩენილი დამცველობითი აუტოანტისხეულები აქგ-ს და მის სუბერთეულებს უკავშირდებიან ჯვარედინად, გვერდითი შაქრების მეშვეობით, მაგრამ წარმოქმნილნი არიან

საკვერცხის კისტის მიერ წარმოებული სისხლის ჯგუფის მუცინების ოლიგოსაქარიდების წინააღმდეგ. ამ პროექტით, ჩვენ მიზნად გვაქვს დასახული შევამოწმოთ ეს ჰიპოთეზა და შევისწავლოთ კეთილთვისებიანი საკვერცხის კისტის მქონე პაციენტებში არსებული, ბუნებრივად გაჩენილი, აქგ-სა და მის სუბერთეულების მიმართ მიმართული, აუტოანტისხეულების ჯვარედინი დაკავშირების უნარი საკვერცხის კისტის მუცინებთან. გამოვიყენებთ რა პირდაპირ, არა-პირდაპირ და კონკურენტულ ელაიზებს, ჩვენ დავახასიათებთ ამ ჯვარედინად მორეაგირე ანტისხეულების ქვეკლასებს და შევისწავლით ანტიგენთან მათი დაკავშირების აფინობებს. ჩვენ ვვარაუდობთ, რომ ამ კვლევით დადასტურდება ის რომ ზოგიერთი კეთილთვისებიანი სიმსივნის შემთხვევაში, აქგ-სა და მისი სუბერთეულების მიმართ არსებული დამცველობითი აუტოანტისხეულები შესაძლოა ნახშირწყლოვანი ანტიგენების სპეციფიურობის არიან და გამომუშავებულნი არიან ამ ანტიგენების წინააღმდეგ. ამ პროცესებში უკეთ გარკვევა, ხელს შეუწყობს სიმსივნეების პრევენციისა და მკურნალობის ახალი სტრატეგიების განვითარებას. შრატში ანტი-აქგ ანტისხეულების ტიტრები, შესაძლოა გამოყენებული იქნას როგორც საპროგნოზო ბიომარკერი საკვერცხის კისტის ავთვისებიანად ტრანსფორმაცის შესაძლებლობის შეფასებისას.		
3	2018 წლის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების დაფინანსების საგრანტო კონკურსის გამარჯვებული პროექტი (პროექტის შიფრი PHDF-18-238),,ქრონიკული ლიმფოციტური ლეიკემიის სიმსივნური მიკროგარემო და მისი გავლენა უჯრედულ სასიგნალო გზებზე”.	2018-2021წწ	დოქტორანტი- ანი ბილანიშვილი დისერტაციის ხელმძღვანელი- ნინო ფორაქიშვილი თანახელმძღვანელი- თამარ ცერცვაძე
გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2020 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)			
4	2019 წლის გამოყენებითი კვლევების საგრანტო პროგრამის კონკურსის CARYS-19-976 ანტისიმსივნული ფუნქციონალიზებული	2019-2020წწ	ძირითადი პერსონალი ახალგაზრდა მეცნიერი თამარ ცერცვაძე ძირითადი პერსონალი დოქტორანტი- ნინო მაისურაძე

	მაგნიტური ნანონაწილაკების თერაპიული ზემოქმედების შეფასება სარძევე ჯირკვლის სიმსივნურ უჯრედებზე		
გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2020 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)			
5	ახალგაზრდა მეცნიერთათვის სტიპენდიის მოსაპოვებლად “ 2019 წლის კონკურსის YSS-002	2019-2020წწ	ი. ბერიტაშვილის სტიპენდიის სტიპენდიანტი თამარ ცერცვაძე
გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2020 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)			
6	2019 წლის „დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების გრანტით დაფინანსების კონკურსი გამარჯვებული პროექტი (პროექტის შიფრი PHDF-19-2646) „ანტიგენწარმდგენი უჯრედებსა და ეფექტორული T ლიმფოციტებზე ეპიგენეტიკური მოდიფიკაციის გავლენა პროსტატის სიმსივნის ექსპერიმენტულ მოდელში“	2019-2022წწ	დოქტორანტი- ნინო მაისურაძე დისერტაციის ხელმძღვანელი- ნუნუ მიცკევიჩი თანახელმძღვანელი- გიორგი გურული
გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2020 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)			
7	2019 წლის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების დაფინანსების საგრანტო კონკურსის გამარჯვებული პროექტი (პროექტის შიფრი PHDF-19-1247 ,, Vδ1 და Vδ2 T უჯრედების ფენოტიპური თავისებურებები, თოლლ-მსგავსი რეცეპტორების ექსპრესია და ფუნქცია ფილტვის ტუბერკულოზით	2019-2022წწ	დოქტორანტი- თეკლე ყალიჩავა დისერტაციის ხელმძღვანელი- ნინო ფორაქიშვილი თანახელმძღვანელი-ნუნუ მიცკევიჩი

	დაავადებულ პირებში”.		
გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2020 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)			

2.2.

№	**დასრულებული** (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1			
დასრულებული კვლევითი პროექტის 2020 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)			

3. უცხოური გრანტებით დაფინანსებული სამეცნიერო პროექტები

3.1. **გარდამავალი** პროექტი

№	**გარდამავალი** (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი, დამფინანსებელი ორგანიზაცია/ სამეცნიერო ფონდი, ქვეყანა	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	2	3	4
გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2020 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)			

3.2. დასრულებული პროექტი

№	**დასრულებული** (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი, დამფინანსებელი ორგანიზაცია/სამეცნიერო ფონდი, ქვეყანა	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	2	3	4
დასრულებული კვლევითი პროექტის 2020 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)			

4. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში

4.1. მონოგრაფიები/წიგნები

№	ავტორი/ავტორები	მონოგრაფიის/წიგნის სათაური, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1 2				
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)				

4. 2. სახელმძღვანელოები

№	ავტორი/ავტორები	სახელმძღვანელოს სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1 2				
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)				

4.3. კრებულები

№	ავტორი/ავტორები	კრებულის სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1				

2 3				
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)				

4.4. სტატიები დიგიტალური საიდენტიფიკაციო კოდის (DOI) მითითებით

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათა-ური, დიგიტალური საიდენტიფიკაციო კოდი DOI	ჟურნალის/ კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	ნ. ჭიკაძე, მ. თევზაძე მ. ჯანელიძე ნ. ფორაქიშვილი	NATURALLY-OCCURRING AUTOANTIBODIES TO HUMAN CHORIONIC GONADOTROPIN AND ITS SUBUNITS IN OVARIAN CYST PATIENTS	Georgian Med News. 2020 Jan;(298):100-105.	სარედაქციო კოლეგიისა და აშშ-ის მეცნიერების, განათლების, ინდუსტრიის, ხელოვნებისა და ბუნებისმეტყველების საერთაშორისო აკადემიის ერთობლივ გამოცემას	6
2	ნ. ჭიკაძე, მ. თევზაძე ნ. გაჩეჩილაძე ნ. ფორაქიშვილი	ELEVATED LEVELS OF NATURALLY OCCURRING AUTOANTIBODIES TO HUMAN CHORIONIC GONADOTROPIN B CORE FRAGMENT IN A FEMALE PATIENT WITH THYROID FOLLICULAR ADENOMA: CASE REPORT	Georgian Med News. 2020 Feb;(299):106-110.	სარედაქციო კოლეგიისა და აშშ-ის მეცნიერების, განათლების, ინდუსტრიის, ხელოვნებისა და ბუნებისმეტყველების საერთაშორისო აკადემიის ერთობლივ გამოცემ	5

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1. **საკითხის აქტუალურობა:** სულ უფრო და უფრო იზრდება იმ მონაცემების რაოდენობა, რომლებიც სიმსივნეების მქონე პაციენტებში იმუნური გადარჩენის მექანიზმების არსებობას ადასტურებენ. მათ შორის განიხილება სიმსივნის ზრდის ფაქტორების, სიმსივნე-ასოცირებული და სიმსივნე-სპეციფიური ანტიგენების საწინააღმდეგო აუტოანტისხეულების არსებობა. გლიკოპროტეინული ჰორმონი ადამიანის ქორიონული

გონადოტროპინი (აქგ) და მისი ჰორმონ-სპეციფიური აქგβ სუბერთეული, ასოცირებულნი არიან ისეთ ეპითელურ სიმსივნეებთან, როგორებიცაა შარდის ბუშტის, ფილტვის, პირის ღრუს/სახის, მკერდის, საშვილოსნოს ყელის, საკვერცხის, საშოს, პროსტატის, თირკმლის და პანკრეასის კარცინომები. ითვლება, რომ სიმსივნეებისთვის აქგ-ს აუტოკრინული ზრდის ფაქტორის როლი აქვს. ჩვენი კვლევის შედეგების თანახმად, საკვერცხის კისტის მქონე პაციენტების უმრავლესობის სისხლის შრატში, წარმოდგენილია ბუნებრივი აუტოანტისხეულები, უმეტესწილად IgG2 იზოტიპის, რომლებიც რომლებიც მაღალი აფინობით უკავშირდებიან აქგ-ს და მის სუბერთეულებს.

მასალა და მეთოდები: ჩატარდა 22—61 წლის ასაკის 36 პაციენტი ქალის და შესაბამისი ასაკის 12 ჯანმრთელი მოხალისე პირის, სისხლის შრატების ტიტრირება ეთკის კომისიის ნებართვის და ინფორმირებულ თანხმობაზე ხელიმოწერით თანხმობის განცხადების შემდეგ. ტიტრირებისთვის გამოყენებული იყო კლასიკური იმუნოფერმენტული ანალიზი (ELISA). შეფასდა შრატების შემდეგ ანტიგენებთან დაკავშირების უნარი: აქგαβ, აქგβ, აქგα, აქგβ –კარბოქსი ტერმინალური პეპტიდი (აქგβკტპ), აქგβ –ცენტრალური ფრაგმენტი (აქგβცფ). აღმოჩენილი აუტოანტისხეულების ქვეკლასების შესასწავლად და დაკავშირების აფინობის შესაფასებლად, გამოყენებული იყო იგივე ტიპის ELISA საჭირო მოდიფიკაციებით.

შედეგები: ჩვენს მიერ მიღებული შედეგები გამოხატავს, რომ საკვერცხის კისტის მქონე პაციენტების უმრავლესობის სისხლის შრატში არის ბუნებრივი IgG ისეთი აუტოანტისხეულების მაღალი დონე, რომლებიც უკავშირდებიან აქგαβ-ს, აქგβ-ს, აქგα-ს, აქგβკტპ-ს და აქგβცფ-ს განსხვავებით ჯანმრთელი კონტროლებისაგან. ბუნებრივი IgG ანტისხეულები, აქგαβ ჰეტეროდიმერს უკავშირდებოდა შემთხვევათა 78%-ში, აქგβ-ს – შემთხვევათა 61%-ში, აქგα-ს - შემთხვევათა 78%-ში, აქგβკტპ-ს – შემთხვევათა 69%-ში და აქგβცფ-ს – შემთხვევათა 83%-ში. ეს აუტოანტისხეულები ძირითადად IgG2 ქვეკლასს მიეკუთვნებოდნენ და ხასიათდებოდნენ დაკავშირების მაღალი აფინობით. სავარაუდოა, რომ ეს ანტისხეულები უკავშირდებიან აქგ-სა და მისი სუბერთეულების გვერდით ჯაჭვებს.

დასკვნა: ჩვენი შედეგების მიხედვით საკვერცხის კისტის მქონე პაციენტების უმეტესობის სისხლის შრატი შეიცავს ბუნებრივ, IgG აუტოანტისხეულებს, რომლებიც უკავშირდებიან აქგ-ს და/ან მის სუბერთეულებს. ამ აუტონტისხეულების დიდი უმრავლესობა IgG2 იზოტიპისაა, რაც იმის მანიშნებელია, რომ შესაძლოა ისინი მიმართული არიან მაღალი გლიკოზილირების მქონე აქგ-ს ნახშირწყლოვანი ანტიგენებისაკენ

2. წარმოგენილია პაციენტი ქალის შემთხვევა, რომელსაც აღმოჩნდა ადამიანის

ქორიონული გონადოტროპინის (აქგ) β ცენტრალური ფრაგმენტის (აქგβცფ) საწინააღმდეგო ბუნებრივი აუტოანტისხეულების მაღალი დონე ფარისებრი ჯირკვლის ფოლიკულური სიმსივნის განვითარებამდე ერთი წლით ადრე. პაციენტს ჩაუტარდა ქირურგიული ოპერაცია და ჰისტოლოგიურმა ანალიზმა აჩვენა, რომ აღმოჩენილი სიმსივნე ფოლიკულური ადენომა იყო. აქგβცფ-ის საწინააღმდეგო ბუნებრივი აუტოანტისხეულების როლის შემდგომი შესწავლა ფარისებრი ჯირკვლის სიმსივნეების პათოგენეზში, შესაძლოა გამოყენებულ იქნას ახალი დიაგნოსტიკური მეთოდის განვითარებისთვის, რომელიც დაფუძნებული იქნება ანტი-აქგβცფ ბუნებრივი ანტისხეულებზე, როგორც თირეოიდული სიმსივნის აღმომჩენ მარკერზე.					
2	თ.ცერცვაძე ი.დათიკაშვილი ნ.მიცკევიჩი დ.ღირდალაძე ნ. ფორაქიშვილი	Attachment of Chronic Lymphocytic Leukaemia (CLL) cells by autologous polymorphonuclear neutrophils (PMNs) mediated by Bispecific anti-CD19/CD64 antibody	Georgian Med News. 2020 November; 11 (308) ბეჭდის პროცესშია	სარედაქციო კოლეგიისა და აშშ-ის მეცნიერების, განათლების, ინდუსტრიის, ხელოვნებისა და ბუნებისმეტყველების საერთაშორისო აკადემიის ერთობლივ გამოცემ	11
ქრონიკული ლიმფოციტური ლეიკემია (ქლლ) - ლეიკემიის ყველაზე გავრცელებული ფორმაა აშშ-სა და ევროპაში, საქართველოს ჩათვლით. ქლლ ლიმფოპროლიფერატორული დაავადებაა, რომელიც ხასიათდება მონოკლონური $CD19^{+}CD5^{+}CD23^{+}$ ლიმფოციტების დაგროვებით პერიფერიულ ლიმფურ ორგანოებს, სისხლსა და ძვლის ტვინში. ქლლ განუკურნებელი დაავადებაა, თუმცა დღეისათვის შემოთავაზებულია მოლეკულური და იმუნოთერაპიის თანამედროვე მეთოდები რომლებიც, ქიმიოთერაპიასთან ერთად, ცნობილია ე.წ. ,,ზუსტი თერაპიის" სახელით. იმუნოთერაპიული მიდგომების უმეტესობა ეფუძვნება თერაპიული ანტისხეულების უნარს მოახდინოს იმუნური პასუხების ფართო სპექტრის მობილიზება. ქლლ მკურნალობისთვის ასევე განიხილება ბისპეციფიური ანტისხეულები (ბსას), რომელთა თანაობისას ფაგოციტური უჯრედები მნიშვნელოვან ეფექტურ როლს ასრულებენ სამიზნე ქლლ უჯრედების განადგურებაში. ანტი-CD19/ანტი-CD64 ბსას უკავშირდება CD19 რეცეპტორს ქლლ უჯრედებზე და CD64 რეცეპტორებს (FcγRI) მონოციტებსა და გააქტიურებულ ნეიტროფილებზე, რითაც იწვევს ლეიკემიური უჯრედების ფაგოციტოზს. ამ კვლევის მიზანს წარმოადგენდა დაგვედგინა ანტი-CD64/ანტი-CD19 ბისპეციფიური ანტისხეულის უნარი გააძლიეროს ქლლ ლეიკემიური უჯრედების ადჰეზია G-CSF და IFNγ ციტოკინებით გააქტიურებული ან ინტაქტური პოლიმორფულბირთვიანი ლეიკოციტების (პმნ) მიერ. 16 ავადმყოფის პერიფერული სასხლიდან გამოყოფილ ქლლ უჯრედებს ვღებავდით წითელი ფლუორესცენტული საღებავეით და ვაინკუბირებდით 4 ან 24 სთ განმავლობაში აუტოლოგიურ პოლიმორფულბირთვიან ლეიკოციტებთან, რომლებიც იყო					

ინტაქტური, ან გასტიმულირებული G-CSF ან/და IFNγ-ით. პმნ/ქლლ უჯრედების ადჰეზიას ვსწავლობდით გამდინარე ციტომეტრის საშუალებით ნეიტროფილების ფანჯარაში.

მიღებულმა შედეგებმა აჩვენეს, რომ ანტი-CD64/ანტი-CD19 ბისპეციფიურ ანტისხეულებს გააჩნიათ აუტოლოგიური პოლიმორფულბირთვიანი ნეიტროფილების მიერ ლეიკემიური უჯრედების მიერთების ინდუქციის შეზღუდული უნარი. ეს ნაწილობრივ აიხსნება ნეიტროფილების სპონტანური უნარით დაიკავშირონ აუტოლოგიური ქლლ უჯრედები. ქლლ ნეიტროფილების წინასწარმა დამუშავებამ G-CSF– ით ან/და IFNγ–ით არ აძლიერებდა ლეიკემიური უჯრედების ადჰეზიას. უფრო მეტიც, G-CSF და IFNγ ერთობლივმა ეფექტმა განაპირობა პმნ– ების ადჰეზიის უნარის მნიშვნელოვანი დაქვეითება.

როგორც ჩანს, ანტი-CD64/ანტი-CD19 ბისპეციფიური ანტისხეულების თერაპიული ეფექტი ქლლ ავადმყოფებში სისხლის ნეიტროფილების მიერ ლეიკემიური უჯრედების ადგეზიის გაძლიერებაზე შეზღუდულია, და მისი გამოყენება უნდა მიმდინარეობდეს პაციენტების ინდივიდუალური მგრძნობელობის დადგენის საფუძველზე.

4.5. სტატიები ISSN-ის მითითებით

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათა-ური, ISSN	ჟურნალის/ კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1					
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)					

5. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა უცხოეთში

5.1. მონოგრაფიები/წიგნები

№	ავტორი/ავტორები	მონოგრაფიის/წიგნის სათაური, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1 2				
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)				

5.2. სახელმძღვანელოები

№	ავტორი/ავტორები	სახელმძღვანელოს სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა

		ISBN		
1 2				
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)				

5.3. კრებულები

№	ავტორი/ავტორები	კრებულის სახელ-წოდება, საერთაშო-რისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	Nina Porakishvili, Sergey Krysov, Emanuela Volpi, Uzma Sayed, Kristina Zaitseva, Ketki Vispute, Tamar Tsertsvadze, Ani Bilanishvili, Nunu Mitskevich, Amit Nathwani, Nicholas Chiorazzi, Peter Lydyard	Patterns of CD180 expression and function in the peripheral blood and lymph nodes of patients with chronic lymphocytic leukaemia (CLL) Vol 61	LEUKEMIA & LYMPHOMA, Vol 61 pg 139-141 Publisher TAYLOR & FRANCIS LTD	Vol 61 pg 139-141 2გ3
2	Nunu Mitskevich, Tamar Tsertsvadze, Natela Melikidze, Mariam Sukhiashvili, Ketevan Machavariani	Expression of T-helper Cytokines by γδT Cell Subsets in Respiratory Allergic Diseases	Journal of Allergy and Clinical Immunology Publisher Elsevier	Volume 145 Issue 2 AB158 1გ3
3	Chikadze Nino, Tevzadze Marina, Tsertsvadze Tamar Gachechiladze Nino Janelidze Maia	Naturally-occurring autoantibodies against human chorionic gonadotropin (hCG) and its subunits in	Journal of Allergy and Clinical Immunology DOI: 10.1111/all.13960	348გ3

	Porakishvili Nina	patients with benign ovarian tumours		
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)				

5.4. სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, დიგიტალური საიდენტიფიკაციო კოდი DOI ან ISSN	ჟურნალის/ კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)					

6. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

6.1. საქართველოში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1			
მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა)			

6. 2. უცხოეთში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	Nina Porakishvili, Sergey Krysov, Emanuela Volpi, Uzma Sayed, Kristina Zaitseva, Ketki Vispute, Tamar Tsertsvadze, Ani Bilanishvili, Nunu Mitskevich, Amit Nathwani, Nicholas Chiorazzi, Peter Lydyard	Patterns of CD180 expression and function in the peripheral blood and lymph nodes of patients with chronic lymphocytic leukaemia (CLL)	XVIII International Workshop on Chronic Lymphocytic Leukemia 2019, 20-23 სექტემბერი, ედინბურგი, შოტლანდია
მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა)			

ანგარიშის ფორმა № 2

2019 წელს გაწეული სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ანგარიში

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება
__ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ბიოლოგიის დეპარტამენტი

სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის დასახელება
_მორფოლოგიის კათედრა

სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა ხელმძღვანელის მითითებით

_პროფ. დიანა ძიძიგური(კათედრის გამგე), ასოც.პროფესორი ეკატერინე ბაკურაძე, ასოც. პროფესორი ირინა მოდებაძე, ასისტ. პროფესორი ელენე თავდიშვილი, ასისტ. პროფესორი ლევან რუსიშვილი

1. სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის მიერ ერთობლივად შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

1.1.

№	**გარდამავალი** (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	ღვიძლის სტრუქტურული ტრანსფორმაცია ნაწილობრივი ჰეპატექტომიის და განმეორებითი ნაწილობრივი ჰეპატექტომიის შემდეგ ვირთაგვებშიი: განახლებული მოსაზრება ღვიძლის რეგენერაციის შესახებ 2	2018-2020წწ.	პროფ. დ.ძიძიგური, პროფ.დიმიტრი კორძაია(ხელმძღვანელები) შემსრულებლები: ასოც. პროფ.ი.მოდებაძე, დოქტ. ნინო ქარუმიძე, დოქ. ქეთი ცომაია და სხვა.

ღვიძლის რეზექციის საჭიროებამ უკანასკნელ 2 ათწლეულში მოიმატა, ერთი მხრივ, ღვიძლის მოცულობითი პათოლოგიების, ხოლო მეორე მხრივ, ცოცხალი დონორიდან ნახევარი ღვიძლის ტრანსპლანტაციის გახშირების გამო. როგორც გადანერგილი, ასევე დონორის დარჩენილი ღვიძლის ნაწილის წარმატებით ფუნქციონირება ბევრად არის განპირობებული მისი უნიკალური რეგენერაციის უნარით. ღვიძლის რეზექციის შემდგომი ღვიძლის რეგენერაცია ერთ-ერთი ყველაზე ინტენსიურად შესწავლადი პროცესია [6, 9, 18, 19, 20, 42, 45, 47, 51, 69, 78, 79]. ამას ხელს უწყობს ისიც, რომ ღვიძლის რეზექციის სხვადასხვა მოდიფიკაცია ადვილად მოდელირებად ოპერაციას წარმოადგენს ექსპერიმენტულ კვლევებში, განსაკუთრებით მცირე ლაბორატორიულ ცხოველებში (მღრღნელებში) [23, 25, 36, 37, 39, 51, 82]. მეტიც, მღრღნელებში (ვირთაგვებში) ღვიძლის რეზექციისშემდგომი რეგენერაცია - მიიჩნევა „რეგენერაციის“ კლასიკურ მოდელად [61, 87].

ექსპერიმენტულად დადასტურებულია, რომ ღვიძლის რეზექციის (პარციული ჰეპატექტომიის _ პჰ) შემდგომ მე-7 - მე-8 დღეს (ზოგი ავტორის მონაცემით კი - 2 კვირის თავზე) ღვიძლი პრაქტიკულად სრულად აღიდგენს თავის ზომებს და მასას.

რეზექციისშემდგომი ღვიძლის რეგენერაციის ფენომენის შესწავლაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს, ერთი მხრივ, ღვიძლის რეგენერაციის აღმძვრელი სტიმულების (ტრიგერების) კვლევას [11, 13, 19, 40, 42, 45, 52, 56, 66, 67, 68, 72, 74, 78, 79]., ხოლო მეორე მხრივ, ღვიძლის მასის აღდგენის შემდეგ - მისი შემწყვეტი მექანიზმების კვლევას [4, 40, 42, 47, 49, 58, 61, 64].

დღეისათვის დადასტურებულია, რომ ღვიძლის რეზექციისშემდგომი რეგენერაცია, ხოლო ღვიძლის მასის აღდგენის შემდეგ მისი შეწყვეტა, ეფუძნება მოლეკულურ-ბიოლოგიური და ბიოქიმიური მექანიზმების რთულ, ურთიერთგანმსაზღვრელ და მარეგულირებელ კომპლექსს, რომლის ტრიგერული მექანიზმია ღვიძლის დიდი მოფუნქციე მასის ერთბაშად დაკარგვის გამო მწვავედ განვითარებული პორტული ჰიპერტენზია, ხოლო ღვიძლის ზომაში მატების შემდეგ - მისი ნიველირება.

ღვიძლის რეგენერაციის მექანიზმების კვლევისადმი მიძღვნილ ნაშრომთა სიმრავლის ფონზე გარკვეულწილად პარადოქსულია ის ფაქტი, რომ პრაქტიკულად შეუსწავლელია პჰ-ის შემდგომი ღვიძლის რეგენერაციის სტრუქტურული მხარე: როგორი შენებისაა რეგენერირებული ღვიძლი? რითი განსხვავდება ის ნორმული ღვიძლისაგან? აღმოჩნდა, რომ ინტენსიურად გამოიკვლევა თუ „რა მიზეზით“ და „როგორ“?, ხოლო ყურადღების ფოკუსს მიღმა რჩება, თუ „რა“? ლიტერატურის მიმოხილვა უჩვენებს, რომ ავტორთა უმრავლესობა პჰ-ის შემდგომ ადასტურებს ჰეპატოციტების პროლიფერაციას [6, 10, 17, 18, 41, 45, 46, 78]. ზოგი ავტორი მიუთითებს ჰეპატოციტთა ჰიპერტროფიაზე [32, 48] და/ან ორივე პროცესის ერთდროულად არსებობაზე [21, 54, 87].

გადაუწყვეტელია, მატულობს თუ არა ღვიძლის წილაკთა ზომები (რაც მოხდებოდა როგორც არსებული ჰეპატოციტების რიცხვის მატების, ისე მათი ჰიპერტროფიის პირობებში) [85], თუ ვითარდება ახალი, თუნდაც უჩვეულო არქიტექტონიკის მქონე წილაკები [79, 80], თუ მიმდინარეობს ორივე პროცესი? ამ თვალსაზრისით, ყურადღებას იმსახურებს ბოლო წლების რამოდენიმე ნაშრომი [35, 83], რომელიც ადასტურებს, რომ როგორც ონტოგენეზის მოგვიანებით ვადებზე, ისე პჰ-ის

შემდგომ ვირთაგვებში მატულობს ღვიძლის წილაკების ზომა და არა რაოდენობა. ამასთანავე, ნაშრომებში არ არის ნათლად ნაჩვენები, ღვიძლის წილაკების აღნიშნული ზრდა გამოწვეულია ჰეპატოციტთა რაოდენობის თუ ზომის მატებით.

ასევე დასაზუსტებელია, თუ როგორ რეგენერირებს ღვიძლის სხვა მილოვანი სტრუქტურები? როგორ „მიჰყვება“ ისინი ორგანოს მოცულობაში ზრდას: „ახალი დატოტიანების“ გაჩენით თუ ძველი ტოტების „დაგრძელებით“? რა ტრანსფორმაციას განიცდის ღვიძლის წილაკის და მისი მიკროცირკულაციური მოდულის არქიტექტონიკა?

პრაქტიკულად პასუხის გარეშეა დარჩენილი კითხვა იმის თაობაზე, თუ რა ხდება ღვიძლის პარციული ჰეპატექტომიის შემდგომ რეგენერირებული ღვიძლის განმეორებით რეზექციის შემდეგ, როდესაც ღვიძლი კვლავ „იზრდება“ და იბრუნებს საწყის ზომებს? არქიტექტონიკის ტრანსფორმაცია განსხვავებულია, თუ ხორციელდება იმავე ტიპით, როგორითაც განხორციელდა პირველი რეგენერაცია?

ამასთანავე, მნიშვნელოვანია ღვიძლის ქსოვილის გამოკვლევა მოხდეს არა მხოლოდ უშუალოდ რეზექციის შემდგომი რეგენერაციის პერიოდში, არამედ ოპერაციიდან მნიშვნელოვანი დროის გავლის შემდეგაც, როდესაც სტრუქტურული ტრანსფორმაციები დასრულებულია. ასეთმა კვლევამ უნდა გასცეს პასუხი კითხვას: „რა განსხვავებაა ნორმული და რეგენერირებული ღვიძლის არქიტექტონიკებს შორის?“

კვლევის მიზანი: ღვიძლის პარციალური ჰეპატექტომიისა და განმეორებითი პარციალური ჰეპატექტომიის შემდგომ ღვიძლის წილაკებისა და ცირკულაციური კალაპოტის ტრანსფორმაციის გამოკვლევა ოპერაციებიდან შორეულ ვადებზე - ნორმული და რეგენერირებული ღვიძლების არქიტექტონიკის შედარებითი ანალიზისათვის.

მასალა და მეთოდები. ოპერაციები ტარდებოდა ცხოველებზე დილით, უზმოზე, დიეთილეთრის ნიღბით ზოგადი გაუტკივარებით. 70%-იანი ჰეპატექტომია ჰემიჰეპატექტომია ხორციელდებოდა Claudia Mitchell & Holger Willenbring- ის პროტოკოლის დაცვით, ორკვანძოვანი მეთოდით (double knot surgery) გამოყენებით (ავტ). ვირთაგვის მუცლის ღრუ გახსნის შემდეგ ხდებოდა ღვიძლის მობილიზაცია ღვიძლის იოგების გადაკვეთით. პირველი კვანძის დადების შემდეგ, იკვეთბოდა მარცხენა ლატერალური წილი (ღვიძლის მასის ~ 26%), მეორე კვანძის დადების შემდეგ - ღვიძლის მედიანური წილი (ღვიძლის მასის 38-42 %). რეზეცირებული ღვიძლის ქსოვილი მოწმდებოდა მაკრო-მიკროსკოპულად რაიმე პათოლოოგიის გამორიცხვის მიზნით (ZEISS, Jena, Germany equipped with a digital video camera - ZEN 2.3 SP

განმეორებითი 70%-იანი ჰეპატექტომია. რეგენერირებული ღვიძლის განმეორებითი რეზექცია ხორციელდებოდა პირველი ოპერაციიდან 9 თვის შემდეგ. ნარჩენი ღვიძლი, რომელიც წარმოადგენილი იყო მარჯვენა ლატერალური წილის ზემო და ქვემო სეგმენტებით და წინა და უკანა კაუდალური წილებით, გადიდებული იყო იმდენად, რომ მისი მოცულობა შეესაბამებოდა ნორმალური ვირთაგვის ღვიძლის მოცულობას. „ერთკვანძოვანი მეთოდით“ ვახდენდით მარჯვენა ლატერალური წილის ორივე სეგმენტის როგორც აფერენტული, ისე ეფერენტული სისხლძარღვების ლიგირებას ქვემო ღრუ ვენიდან 2 მმ-ის დაშორებით ისე, რომ არ შეფერხებულიყო ქვემო ღრუ ვენაში სისხლის მოძრაობა. ღვიძლის რეზეცირებული ქსოვილი შეესაბამებოდა დარჩენილი ღვიძლის 70%.

იმუნოჰისტოქიმია. ანტისხეული Kertain-8 (KRT8), რომელიც წარმოებულია MyBiosourse- ის მიერ (კატალოგი # MBS8510691), გამოყენებულ იქნა ჰეპატოციტების უჯრედის მემბრანის ფორმალდეჰიდის ღვიძლის ქსოვილის ფიქსირებული ნიშნისთვის. ანტისხეული განზავებულია 1: 200-ით 0,01 მ ფოსფატის ბუფერული მარილწყალში (PBS) pH7,4 (სიგმა ოლდრიხი).

სითხის საშუალებით ჩატარდა ანტიგენის მოპოვების ეტაპი ციტრატის ბუფერში. შემდეგ მოხდა ქსოვილის დაბლოკვა და ანტისხეულთან ინკუბაცია 22 საათის განმავლობაში 2 საათის განმავლობაში. მეორადი გამოიყენეს HRP კონიუგირებული თხის საწინააღმდეგო კურდღლის ანტისხეული.

მორფომეტრია.მორფომეტრიული ანალიზისათვის ჩვენს მიერ შერჩეულ იქნა:


ა)ღვიძლის აცინუსის პირველი ზონის ის ჰეპატოციტები, რომელიც განლაგებულია პერიპორტულად - მეზობელი პორტული ტრიადების დამაკავშირებელი ხაზის მიმდებარედ (ორივე მხარეს), რაც შეესაბამება ღვიძლის მომიჯნავე კლასიკურ წილაკების ცენტრალური ვენების შემაერთებელი ღერძისადმი პორტული ველიდან დაშვეულ პერპენდიკულარული ხაზის მიმდებარე ზონას (Figure 1 a - არე აღნიშნულია შტრიხებით);

ბ) ღვიძლის აცინუსის მესამე ზონის ის ჰეპატოციტები, რომლებიც განლაგებულია ღვიძლის კლასიკური წილაკის ცენტრალური ვენის ირგვლივ და ამასთანავე, შეესაბამება პორტული წილაკის მწვერვალთან არსებულ უბანს (Figure 1 b - არე აღნიშნულია შტრიხებით).

კვლევის მორფომეტრიული ანალიზისთვის გამოყენებული იყო CK 8 მარკერით შეღებილი ჰისტოლოგიური პრეპარატები. CK8 იძლეოდა ჰეპატოციტების მემბრანის კარგ ვიზუალიზაციას და უზრუნველყოფდა გასაზომი ფართის მონიშვნის მაღალ სიზუსტეს.

ჰეპატოციტების ფართობისა და პერიმეტრის ანალიზი ჩატარდა როგორც საკონტროლო ისე პირველი და მეორე საკვლევი ჯგუფის ცხოველთ ღვიძლების კაუდალურ წილებზე იქედან გამომდინარე, რომ ეს წილი შენარჩუნებულია ღვიძლის განმეორებითი რეზექციის შემდეგაც.


ჰისტოლოგიური პრეპარატები დასკანერდა Motic Digital Slide scanner-ზე და ანალიზი ჩატარდა motic digital scanner assistant software Motic VM 3.0.-ის საშუალებით. სამუშაო არე გადიდდა 40ჯერ და უჯრედების მემბრანები მოიხაზა მანუალურად, რადგან ჰეპატოციტების ფორმა ჩვეულებისამებრს ზუსტად არ შეესაბამება რომელიმე გეომეტრიულ ფიგურას. მორფომეტრიული ანალიზისთვის შეირჩა ის უჯრედები, რომელდა მემბრანა და ბირთვი სრულად ვიზუალიზდებოდა.



სურ.1. ღვიძლის ლობულის ქიმიური და ჰისტოლოგიური ფიგურები. "კლასიკური" და "პორტალური" ლობულების სქემატური ილუსტრაცია ღვიძლის აცინებთან. I, II, III - აცინის ზონები.


ჰეპატოციტების დნმ-ის კონცენტრაციის განსაზღვრა: CG, SG1 და SG2 ვირთაგვების ღვიძლის ქსოვილი დაიშალა უჯრედებში ფოსფატის ბუფერების გამოყენებით. მიღებული შეჩერებისგან მომზადდა ნაცხები. გამოყოფილი უჯრედების ბირთვებში დნმ-ის კონცენტრაციის დასადგენად გამოიყენეს ფეულგენის მეთოდი (შიფის რეაქცია) [32,33]. შიფის რეაქტივით შეღებილი ნიმუშის აღება განხორციელდა მსუბუქი მიკროსკოპის გამოყენებით (ZEN 2.3 SP1; 100 × 10). ბირთვების შეღებვის ინტენსივობა შეფასდა კომპიუტერული პროგრამით Image J.

შედეგები. დიპლოიდური (2c) და ორბირთვიანი უჯრედების რაოდენობა (2c × 2) მნიშვნელოვნად შემცირდა SG1 და SG2 ჯგუფებში CG ჯგუფთან შედარებით ($P < 0,05$), ხოლო პოლიპლოიდური (4c და 8c) უჯრედების რაოდენობა მნიშვნელოვნად გაიზარდა ($P < 0,05$). ამავდროულად, მაღალი პლოიდური (8c) უჯრედების რიცხვი SG2– ში გაიზარდა, როგორც CG, ასევე SG1 ჯგუფებთან შედარებით (სურათი 1.) ჰეპატოციტების პლოიდია ნორმაში (კონტროლი), რეგენერირებული (SG1) და რეგენერაცია (SG2) (სურ.1 და 2).



სურათი 2.

ჰეპატოციტების პლოიდობა ინტაქტურ (კონიტროლი)რეგენერირებად (SG_1) და რე-რეგენერირებად (SG_2) ღვიძლში.



სურ.2 იმუნოჰისტოქიმია. სადინარული რეაქცია. A და B: პორტალი / პერიპორტული სადინარული რეაქცია SG1– ში (CK8); C: ინტრალობულური სადინარული რეაქცია SG1-ში (H&E); D-F: ინტრალობულური სადინარული რეაქცია SG2– ში (CK8).

განხილვა. ღვიძლის რეგენერაციისა და რე-რეგენერაციის პროცესი კომპლექსური მორფოლოგიური ცვლილებების ფონზე/ხარჯზე მიმდინარეობს. ცვლილებების ეხება ორგანოს როგორც პარენქიმულ, ასევე სტრომულ კომპონენტს. დამატებით კვლევებს ამ მიმართულებით, რათა დავრწმუნდეთ რომ რეგენერაციის პროცესი გარდა წილაკების გადიდებისა და რემოდელირებისა, მიმდინარეობს ასევე მათი გამრავლების ხარჯზე, რაც თვის მხრივ იწვევს წილაკის აგებულების შეცვლას - რემოდელირებას. ამასთნავე უნდა აღინიშნოს, ცვლილებები მიმდნარეობს არა მხოლოდ ერთი კლასიკური ვენი კვლევებით მიღებული ანალიზის საფუძველზე, რომელიც შეეხება ისეთი რეგენერირებული ღვიძლების გამოკვლევას, სადაც დასრულებულია ყველა შესაძლო მორფო-ფუნქციური გადქმნები, შესაძლებელია დავასკვნათ, რომ რეზექციის შემდეგ ღვიძლის მასის აღდგენა ხდება ჰეპატოციტების ჰიპერტროფიის, სინუსოიდთა დილატაციის და პროლიფერაციის, ასევე არსებული სისხლმილთა დაგრძელების, დუქტულების რაოდენობისა და წილაკთშორისი შემართბელქსივილოვანი კომპონენტის გამრავლება წილაკის შიგნით, არამედ მომიჯნავედ მდებარე წილაკების გაერთიანებით და „მეგაწილაკის“ წარმოქმნით.

დასკვნა. დეგენერაციულ და რეგენერაციულ ღვიძლში ნორმალურ ღვიძლთან შედარებით ვლინდება ჰიპერტროფიული ჰეპატოციტები გაზრდილი პლოიდობით, რომლებიც გარდაქმნილ სინუსოიდულ და სანაღვლე ბადეებთან ერთად ქმნიან რემოდელირებულ ლობულას.

<u>გამოყენებული ლიტერატურა: (წარმოდგენილია ნაწილი)</u>

1. Wen PH, Lin KH, Chen YL, Hsieh CE, Ko CJ, Kuo SJ. Extracorporeal hepatic resection and

autotransplantation using temporary portocaval shunt provides an improved solution for conventionally unresectable HCC. Dig Dis Sci. 2013;58:3637–3640. [PMC free article] [PubMed] [Google Scholar]

2. Zhang GQ, Zhang ZW, Lau WY, Chen XP. Associating liver partition and portal vein ligation for staged hepatectomy (ALPPS): a new strategy to increase resectability in liver surgery. Int J Surg. 2014;12:437–441. [PubMed] [Google Scholar]

3. Sharma A, Ashworth A, Behnke M, Cotterell A, Posner M, Fisher RA. Donor selection for adult-to-adult living donor liver transplantation: well begun is half done. Transplantation. 2013;95:501–506. [PMC free article] [PubMed] [Google Scholar]

4. Irie R, Nakazawa A, Sakamoto S, Takeda M, Yanagi Y, Shimizu S, Uchida H, Fukuda A, Miyazaki O, Nosaka S, Kasahara M. Living donor liver transplantation for congenital hepatic fibrosis in children. Pathol Int. 2020;70:348–354. [PubMed] [Google Scholar]

5. Goldaracena N, Barbas AS. Living donor liver transplantation. Curr Opin Organ Transplant. 2019;24:131–137. [PubMed] [Google Scholar]

6. Michalopoulos GK. Hepatostat: Liver regeneration and normal liver tissue maintenance. Hepatology. 2017;65:1384–1392. [PubMed] [Google Scholar]

7. Abu Rmilah A, Zhou W, Nelson E, Lin L, Amiot B, Nyberg SL. Understanding the marvels behind liver regeneration. Wiley Interdiscip Rev Dev Biol. 2019;8:e340. [PMC free article] [PubMed] [Google Scholar]

8. Almau Trenard HM, Moulin LE, Padín JM, Stringa P, Gondolesi GE, Barros Schelotto P. Development of an experimental model of portal vein ligation associated with parenchymal transection (ALPPS) in rats. Cir Esp. 2014;92:676–681. [PubMed] [Google Scholar]

9. Wei W, Zhang T, Zafarnia S, Schenk A, Xie C, Kan C, Dirsch O, Settmacher U, Dahmen U. Establishment of a rat model: Associating liver partition with portal vein ligation for staged hepatectomy. Surgery. 2016;159:1299–1307. [PubMed] [Google Scholar]

10. Mitchell C, Willenbring H. A reproducible and well-tolerated method for 2/3 partial hepatectomy in mice. Nat Protoc. 2008;3:1167–1170. [PubMed] [Google Scholar]

11. Saito S, Togo S, Morioka D, Matsuo K, Yoshimoto N, Nagano Y, Tanaka K, Kubota T, Nagashima Y, Shimada H. A rat model of a repeat 70% major hepatectomy. J Surg Res. 2006;134:322–326. [PubMed] [Google Scholar]

12. Palmes D, Spiegel HU. Animal models of liver regeneration. Biomaterials. 2004;25:1601–1611. [PubMed] [Google Scholar]

13. Miyaoka Y, Miyajima A. To divide or not to divide: revisiting liver regeneration. Cell Div. 2013;8:8. [PMC free article] [PubMed] [Google Scholar]

14. Duncan AW, Dorrell C, Grompe M. Stem cells and liver regeneration. Gastroenterology. 2009;137:466–481. [PMC free article] [PubMed] [Google Scholar]

15. Michalopoulos GK. Liver regeneration. J Cell Physiol. 2007;213:286–300. [PMC free article] [PubMed] [Google Scholar]

16. Tao Y, Wang M, Chen E, Tang H. Liver Regeneration: Analysis of the Main Relevant Signaling Molecules. Mediators Inflamm. 2017;2017:4256352. [PMC free article] [PubMed] [Google Scholar]

17. Kang LI, Mars WM, Michalopoulos GK. Signals and cells involved in regulating liver regeneration. Cells. 2012;1:1261–1292. [PMC free article] [PubMed] [Google Scholar]

18. Köhler C, Bell AW, Bowen WC, Monga SP, Fleig W, Michalopoulos GK. Expression of Notch-1 and its ligand Jagged-1 in rat liver during liver regeneration. Hepatology. 2004;39:1056–1065. [PMC free article] [PubMed] [Google Scholar]

19. Huck I, Gunewardena S, Espanol-Suner R, Willenbring H, Apte U. Hepatocyte Nuclear Factor 4 Alpha Activation Is Essential for Termination of Liver Regeneration in Mice. Hepatology. 2019;70:666–681. [PMC free article] [PubMed] [Google Scholar]

20. Nishii K, Brodin E, Renshaw T, Weesner R, Moran E, Soker S, Sparks JL. Shear stress upregulates regeneration-related immediate early genes in liver progenitors in 3D ECM-like microenvironments. J Cell Physiol. 2018;233:4272–4281. [PubMed] [Google Scholar]

21. Tsomaia K, Inauri N, Patarashvili L, Karumidze N, Azmaipharashvili E, Bebiashvili I, Kordzaia M, Kakabadze M, Dzidziguri D, Kordzaia D. To fill the missing fragments of a complex mosaic of liver regeneration. Transl Clin Med - Georg Med J. 2018;3:32–37. [Google Scholar]

22. Bangru S, Arif W, Seimetz J, Bhate A, Chen J, Rashan EH, Carstens RP, Anakk S, Kalsotra A. Alternative splicing rewires Hippo signaling pathway in hepatocytes to promote liver regeneration. Nat Struct Mol Biol. 2018;25:928–939. [PMC free article] [PubMed] [Google Scholar]

23. Tarlá MR, Ramalho FS, Ramalho LN, Silva Tde C, Brandão DF, Ferreira J, Silva Ode C, Zucoloto S. A molecular view of liver regeneration. Acta Cir Bras. 2006;21 Suppl 1:58–62. [PubMed] [Google Scholar]

24. Fausto N, Campbell JS, Riehle KJ. Liver regeneration. Hepatology. 2006;43:S45–S53. [PubMed] [Google Scholar]

25. Dezső K, Papp V, Bugyik E, Hegyesi H, Sáfrány G, Bödör C, Nagy P, Paku S. Structural analysis of oval-cell-mediated liver regeneration in rats. Hepatology. 2012;56:1457–1467. [PubMed] [Google Scholar]

26. Wagenaar GT, Chamuleau RA, Pool CW, de Haan JG, Maas MA, Korfage HA, Lamers WH. Distribution and activity of glutamine synthase and carbamoylphosphate synthase upon enlargement of the liver lobule by repeated partial hepatectomies. J Hepatol. 1993;17:397–407. [PubMed] [Google Scholar]

27. Kandilis AN, Koskinas J, Vlachos I, Skaltsas S, Karandrea D, Karakitsos P, Pantopoulou A, Palaiologou M, Nikiteas N, Tiniakos DG, Perrea DN. Liver regeneration: immunohistochemical study of intrinsic hepatic innervation after partial hepatectomy in rats. BMC Gastroenterol. 2014;14:202. [PMC free article] [PubMed] [Google Scholar]

და სხვა.

Liver structural transformation after partial hepatectomy and repeated partial hepatectomy in rats: A renewed view on liver regeneration

Keti Tsomaia, Leila Patarashvili, Nino Karumidze, Irakli Bebiashvili, Elza

Azmaipharashvili, Irina Modebadze, Diana Dzidziguri, Marom Sareli, Sergey Gusev, and Dimitri Kordzaia

World J Gastroenterol. 2020 Jul 21; 26(27): 3899–3916.

Published online 2020 Jul 21. doi: 10.3748/wjg.v26.i27.3899

https://www.ncbi.nlm.nih.gov/pmc/articles/PMC7385567/

1.2.

№	**დასრულებული** პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	ოქროს ნანონაწილაკებითა და ფლუორესცენციური საღებარებით ფუნქციონალიზირებული კალმოდულინით წარმოებული პროცესების მოდელირება ქსოვილებში 2	2018-2020წწ.	პროფ. დ.ძიძიგური, ომარ მუკბანიანი, გია პეტრიაშვილი (სამეც. ხელმძღვანელი), შემსრულებელი: დოქტორანტი ქეთევან ჩუბინიძე * 1,2

დამზადებული დაა გამოკვლეულია ნანომასალები, რომელიც შედგება ფლუორესცენციური საღებარებითა და ოქროს ნანონაწილაკებით ფუნქციონალიზირებული კალმოდულინისაგან. ნაჩვენებია, რომ კოვალენტურად დაკავშირებულ კალმოდულინს, აღგზნებულ მდგომარეობაში მყოფ საღებართან და ოქროს ნანონაწილაკებთან ერთად, შეუძლია სტიმულირება მოახდინოს ზედაპირულ-პლაზმონურ-დაკავშირებულ გამოსხივებასთან, რომელიც იწვევს ფლუორესცენციის მნიშვნელოვან გაძლიერებას. ამასთან, კალმოდულინის მოლეკულები ფუმქციონალიზირებული და სტაბილიზირებული იყო ოქროს ნანონაწილაკებსა და ფლუორესცენციურ საღებარებთან, როგორც თხევად, ისე მყარ გარემოში. შემოთავაზებული, ახალი ნანომასალების ფოტო-ოპტიკური თვისებები პერსპექტიულია კალმოდულინთან დაკავშირებულ მონიშვნისა და ვიზუალიზაციის ისეთი მარტივი და ეფექტური მეთოდის განვითარებისათვის, როგორებიცაა: პროლიფერაცია, ანთება, მეტაბილიზმი, აპოპტოზი, კუნთების შეკუმშვა, უჯრედშიდა მოძრაობა და ა.შ.

თავისი განსაკუთრებული ფიზიკური, ქიმიური და ბიოლოგიური თვისებების გამო, ნანომასალები უდიდეს პოტენციალს ფლობენ ნანომედიცინაში, ბიო-მგრძნობელობის, ბიოსამედიცინო გამოსახულებების, წამლის მოწოდების და ფოტოთერმული თერაპიის

მიმართულებებში გამოყენებისათვის. ამ სტრუქტურების ბიოლოგიური აქტიურობა დამოკიდებულია გარემოზე, რაც მნიშვნელოვან როლს ასრულებს ამ ნივთიერებების აგებულობაში. ნანონაწილაკებს შეუძლიათ გადალახონ სისხლძარღვები და ლოკალიზდნენ ნებისმიერ მიზნობრივ ორგანოში, რაც განაპირობებს მათ გამოყენებას თერაპიული, გამოსახულებითი და ბიოსამედიცინო მიზნებისათვის. ოქროს ნანონაწილაკები (ონწ) ყველაზე ფართოდ შესწავლილ ნანომასალებს წარმოადგენს. ონწ არის ძვირფასი მეტალი, რომელსაც აქვს ფართო ზედაპირი, ადვილად ფუნქციონალიზირებადია, გამოირჩევა მაღალი სტაბილურობით და კოროზიის მიმართ რეზისტენტულობით და პლაზმონ-რეზონანსული დიაპაზონის მდებარეობით ოპტიკური სპექტრის ხილულ უბანში. გარდა ამისა, მისი ყველაზე მიმზიდველი თვისებაა მგრძნობელობა აგრეგაციის მიმართ. ონწ-ების თვისების გაერთიანება ცნობილ ორგანულ საღებარებთან უკვე გამოიყენება მრავალ პერსპექტიულ მიმართულებებში, შესაბამისი ბიოქიმიური მოლეკულების მგრძნობიარობის ჩათვლით. ნანონაწილაკებთან სხვადასხვა ბიოლოგიური სტრუქტურების შეკავშირება ხორციელდება ქიმიური ან ბიოლოგიური ბმებით, რაც იდეალურია მათი კლინიკური მიზნებით გამოყენებისათვის.

ფუნქციონალიზირებული ჯგუფები, რომლებიც შეიძლება მიეკროს ნანონაწილაკებს, მოიცავს დაბალმოლეკულურ ლიგანდებს, პეპტიდებს, პროტეინებს, პოლისაქარიდებს, გაუჯერებელ და გაჯერებულ ცხიმოვან მჟავებს, დნმ, პლაზმიდებს, რნმ და ა.შ. ბიოსამედიცინო გამოყენებაში განსაკუთრებულ ინტერესს წარმოადგენს მიმართულება, რომელიც უშუალოდ იყენებს პლაზმონით გაძლიერებულ მოვლენას უჯრედის პროლიფერაციისათვის, ტარგეტირებისა და ვიზუალიზაციისათვის, რომელიც კონტროლდება მრავალი რეგულატორი პროტეინებით. ცნობილია, რომ კალმოდულინის და კალმოდულინ-დამოკიდებული სისტემები აკონტროლებენ ხერხემლიანთა უჯრედების პროლიფერაციას, უჯრედების კვდომის პროგრამირებას და აუტოფაგიას. ლიტერატურის თანახმად, სიმსივნურ და ტრანსფორმირებულ უჯრედებში აღინიშნება კალციუმის იონის ($Ca2^{+}$) მობილიზების ცვლილება, რომელიც სიმსივნის განვითარებისა და პროგრესირების შედეგს წარმოადგენს. მრავალი კვლევების საფუძველზე ნაჩვენებია, რომ კალციუმის რაოდენობრივი ზრდა წარმოადგენს საშიშ სიგნალს, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს უჯრედის სიკვდილი. ეს შეიძლება მოხდეს სხვადასხვა გზით, მათ შორის ნეკროზისა და აპოპტოზის ჩათვლით. მიჩნეულია, რომ კალმოდულინს გააჩნია პოტენციური თერაპიული ეფექტი სიმსივნურ უჯრედებზე, რაც გამოწვეულია მისი დამრთგუნველი ზემოქმედებით უჯრედების პროლიფერაციაზე, მის უნარზე შექცევადად იმოქმედოს სიმსივნური უჯრედების, (მათ შორის პროსტატის) მიერ წამლების მიმართ გამომუშავებულ რეზისტენტულობაზე. უფრო მეტიც, მრავალი ეფექტები უჯრედში ხორციელდება კალციუმის მეშვეობით, კერძოდ, მისი დაკავშირებით კალმოდულინთან, რაც თავის მხრივ იწვევს მის მონიშნულ პროტეინებთან შეერთებას და აქტივაციას. შესაბამისად, ბიოლოგიურ ქსოვილებში იმ უბნების მონიშვნა და ვიზუალიზაცია, რომლებიც გამოირჩევიან კალციუმ/კალმოდულინის კომპლექსის სიჭარბით, შეიძლება გახილული იყოს, როგორც მნიშვნელოვანი თერაპიული მიდგომა კალმოდულინის საშუალებით წარმოებული მონიშვნისა და ვიზუალიზაციისათვის, როგორებიცაა: ანთება, მეტაბოლიზმი, აპოპტოზისი, კუნთების შეკუმშვა, უჯრედშიდა მოძრაობა და სიმსივნური უჯრედების დეტექტირება. ფლუორესცენციული მონიშვნისა და ნანომასალების გამოყენებით ბიოლოგიური ნივთიერებების ვიზუალიზაცია ზოგადად დაკავშირებულია


ბიოვიზუალიზაციასთან და ქმნის მისი გამოყენების ფართე არეალს. შესაბამისად, ნანოკომპოზიტი, რომელიც შედგება კალმოდულინთან დაკავშირებულ ფლუორესცენციურ საღებარისა და ოქროს ნანონაწილაკებთან, დიდ ინტერესს იწვევს, როგორც პოტენციური ოპტიკური ინდიკატორი ბიოლოგიური, (მათ შორის სიმსივნური) უჯრედების მონიშვნისათვის. მოცემულ სამუშაოში ჩვენ გამოვიკვლიეთ ფლუორესცენციური საღებარებითა და ოქროს ნანონაწილაკებით ფუნქციონალიზირებული კალმოდულინი და ვაჩვენეთ, რომ კოვალენტურად დაკავშირებულ კალმოდულინს აგზნებულ ფლუორესცენციურ საღებარსა და ოქროს ნანონაწილაკებთან, შეუძლია სტიმულირება მოახდინოს ზედაპირულ-პლაზმონ-შეწყვილებულ გამოსხივებასთან, რომელიც იწვევს ფლუორესცენციის ძლიერ გაზრდას.

მასალა და მეთოდები.

№	გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	2	3	4
1.	ქვემო ქართლის მხარეში სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობის შეფასების გეოგრაფიული საინფორმაციო სისტემის შექმნა საგრანტო ხელშეკრულება № FR-19-14993	09.03.2020-09.03.2023	ბელა კვირკველია - სამეცნიერო ხელმძღვანელი; მარიამ ელიზბარაშვილი - კოორდინატორი; შ. ელიზბარაშვილი - მკვლევარი, გის სპეციალისტი; თ. ხუნწელია - ახალგაზრდა მეცნიერი, გის სპეციალისტი; მარინა ტატანაშვილი - გის სპეციალისტი.
2.	კლიმატის ცვლილების პროგნოზირებული ზემოქმედების შეფასება საქართველოში ძალიან მაღალი გარჩევადობის კლიმატური მოდელის გამოყენებით საგრანტო ხელშეკრულება № FR-19-8110	09.03.2020-09.03.2023	მარიამ ელიზბარაშვილი - სამეცნიერო ხელმძღვანელი; მაგდა ცინცაძე - კოორდინატორი ცეზარი მშვენიერაძე - ახალგაზრდა მეცნიერი
3	ტოქსიური ნაერთებიდან თერმული წყლის გამწმენდი პილოტური დანადგრის მონტაჟი და გაუმჯობესებული	2020 წლის აგვისტო - 2021 წლის ივლისი	1. ლ.ახალბედაშვილი - ხელმძღ. 2. ჯანაშვილი-თსუ დოქტ. (ქიმ.ანალ.) 3. ჯალაღანია -თსუ დოქტ.

	ეკოლოგიურად სუფთა ტექნოლოგიური პროცესის შემუშავება“ – საგრანტო ხელშეკრულება CARYS-19-1704		(ქიმ.ანალ.) 4. გოგოჭური - თსუ დოქტ.(საველე ანალ.) 5. მერებაშვილი- ტექნ.უნივერ.დოქტ. (საველე ანალ.) 8. გიგაური - პილოტ.სისტ.საველ. გამოც.
4	ნაგავსაყრელების მიმდებარე ტერიტორიების ეკოლოგიური მონიტორინგი და მოსახლეობის ჯანმრთელობის რისკების შეფასება. საგრანტო ხელშეკრულება № FR-19-5196	6.03. 2020–6.03 2022	დავითი კეკელიძე – ხელმძღვ. გულსუნდა ცოტაძე – კოორდინ. გიორგი მაისურაძე – ახალგაზრდა მეცნიერი. მანანა ჩხაიძე – მკვლევარი. ზ.ჩუბინიშვილი - დამხმ. პერს. ი. ამბოკაძე - დამხმ. პერს.
5	ენერგიის მართვის სისტემის დამუშავება მაღალტექნოლოგიური კონტროლერის გამოყენებით ელექტროგამანაწილებელ ქსელთან და მომხმარებელთან მიკროგენერატორების მისაერთებლად. CARYS-19-106	31.07.2020 – 31.07.2021	თ. ბერბერაშვილი - ხელმძღვ. ა. გიგინეიშვილი - ძირით. პერს. ჰ. ბახთიარი - ძირით. პერს. ე. ხუციშვილი - ძირით. პერს. გ. კეკელიძე - ძირით. პერს. ბ. კვირკველია - ძირით. პერს. ზ. ჩუბინიშვილი - ძირით. პერს. გ. კეკელიძე - ძირით. პერს. ი. ამბოკაძე - დამხმ. პერსონ.

1. პროექტის საბოლოო პროდუქტის - ქვემო ქართლის მხარის სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობის გეოგრაფიული საინფორმაციო სისტემის შექმნა მიმდინარეობს პროექტის ფარგლებში გათვალისწინებული თეორიული და საველე კვლევების საფუძველზე.

   ამ ეტაპზე მიმდინარეობს ქვემო ქართლის მხარის საგზაო ქსელის, ხიდების, საზოგადოებრივი ტრანსპორტის შესახებ სტატისტიკური, თეორიული და კარტოგრაფიული მასალის შეგროვება, მათი ანალიზი და კატალოგიზაცია. შექმნილია კატალოგის ნაწილი.

   ასევე დაწყებულია ქვემო ქართლის მხარის ჯანდაცვის ინფრასტრუქტურის (პირველადი, მეორეული და მესამეული ჯანდაცვის ობიექტები, სასწრაფო დახმარება, აფთიაქები) შესახებ სტატისტიკური, თეორიული და კარტოგრაფიული მასალის შეგროვება, მისი ანალიზი და კატალოგიზაცია. შექმნილია კატალოგის ნაწილი.

   შეიქმნა ქვემო ქართლის მხარის გზებზე საგანგებო სიტუაციების წარმომქმნელი საშიში ჰიდრომეტეოროლოგიური მოვლენების მონაცემთა ბაზა, მიმდინარეობს მონაცემების სტატისტიკური ანალიზი, მათი სხვადასხვა კომპლექსის განხორციელების პროცესის და მახასიათებლების გამოკვლევა.

მიმდინარეობს ქვემო ქართლის მხარის საგზაო ქსელში მეწყერის, ღვარცოფების თვალსაზრისით ყველაზე დაუცველი და რისკიანი სეგმენტების შესწავლა/იდენტიფიცირება ლიტერატურული, კარტოგრაფიული და სტატისტიკური მასალის თუ საველე გასვლების საფუძველზე.
ჩატარდა ორი საველე გასვლა ქვემო ქართლის მხარის საგზაო ქსელის, ხიდების, ჯანდაცვის ინფრასტრუქტურის და სხვა მონაცემების შეგროვებისა და განახლება/გადამოწმებისთვის.

2. პროექტი მიზნად ისახავს უზრუნველყოს ძალიან მაღალი გარჩევადობის (12 კმ) რეგიონალური კლიმატური მოდელის კლიმატის ცვლილების პროგნოზირების საიმედო კომლექტი საქართველოსთვის 2081-2100 და 1986-2005 წლების პერიოდისათვის, პარიზის COP21 ატმოსფეროს სათბური აირების (GHG) შემარბილებელი და ბიზნეს-ჩვეულებრივი სცენარების ფარგლებში.
IPCC-ის უახლესი ატმოსფერო-ოკეანის გლობალური კლიმატური მოდელების AOGCMs შედეგების დინამიკური დაუნსქეილინგისათვის მოხდა აბდუს სალამის თეორიული ფიზიკის საერთაშორისო ცენტრის (ICTP, ტრიესტი, იტალია) რეგიონალური კლიმატური მოდელის RegCM4 უახლესი ვერსიის დაყენება და კონფიგურაცია, შემავალი მონაცემების მომზადება, მოდელის კონფიგურაციების შერჩევა, დომენის შერჩევა. დომენი შეირჩა ისე, რომ საკმარისი ყოფილიყო შესაბამისი ფართომასშტაბიანი პროცესების გათვალისწინებისათვის, (მაგალითად, ფართომასშტაბიანი ნაკადის მოდულაცია გამოწვეული ოროგრაფიული მახასიათებლებისა და წყლის ობიექტების გამო).

   ჩატარდა მოდელის სხვადასხვა კონფიგურაციის პირობებში სენსიტიურობის ექსპერიმენტები. საუკეთესო ფიზიკური პარამეტრიზაციისათვის RegCM4 -ის სიმულაცია მოხდა 1986-2005 წლებისათვის the European Centre for Medium-Range Weather Forecasts, ECMWF-ის მონაცემებით, რომელიც მიიჩნევა საუკეთესო, ხელმისაწვდომ ფართომასშტაბიანი დაკვირვებათა მონაცემებზე დაფუძნებულ მონაცემთა ბაზად. მიმდინარეობს საანგარიშო პერიოდისათვის (1986-2005) სიმულაციებისას RegCM4-ის შედეგების ანალიზი და შედარება (წლიური და სეზონური ტემპერატურა, ნალექი) კლიმატის კვლევის ცენტრის (CRU) და დელავერის უნივერსიტეტის (UDEL), ასევე საქართველოს მეტეოროლოგიური სადგურების ყველა ხელმისაწვდომ მონაცემთა ბაზებთან.

3. პროექტის პროგრამის მიხედვით I საანგარიშო პერიოდის ძირითადი ამოცანაა საცხოვრებელ სახლებში შეყვანილი ცხელი წყლის მონიტორინგი გოგირდ წალბადის შემცველობაზე. ამ მიზნით გამოკითხული იყო ცინცაძის და ბახტრიონის ქუჩის 106 მოსახლე, რომლებიც ცხელწყალმომარაგების სისტემაში მოიხმარენ ჭაბურღილ იპოდრომ № 4–ის თერმულ წყალს. მინერალური ნედლეულის კავკასიის ინსტიტუტის ქიმიურ ლაბორატორიაში „გეოანალიტიკა“ ჩატარდა ამ წყლების ძირითადი 20 პარამეტრების განსაზღვრა აპარატურული - ფოტომეტრული, ალური, ატომურ-აბსორბციული, და ტრადიციული მოცულობითი და გრავიმეტრული მეთოდების გამოყენებით. აღებული იყო არა უმეტეს 25 სინჯისა, ვინაიდან პრაქტიკულად ეს ერთი წყლის სინჯებია და მათი რაოდენობა საკმარისია სტატისტიკური მონაცემების მისაღებად. ლაბორატორიული ანალიზის მიღებულმა შედეგებმა გვიჩვენა, რომ ჭაბურღილის ცხელი წყალი ტემპერეტურით ≈ 70^{0}C ხასიათდება დაბალი მინერალიზაციით არ შეიცავს არც აზოტის ნაერთებს (ნიტრატს, ნიტრიტს და ამიაკს), არც მძიმე მეტალებს და სრულიად პასუხობს სასმელი წყლის ნორმებს გოგირდწყალბადის მოცილების შემდეგ.

4. პროექტის ფარგლებში დისტანციურ რეჟიმში მომზადდა პროექტის გეგმით

გათვალისწინებული ამოცანების შესაბამისი სამუშაოები: ჩატარდა ლიტერატურული მიმოხილვის სამუშაოები. შესწავლილ იქნქ სხვადასხვა ქვეყნების ნაგავსაყრელების მიმდებარე ტერიტორიების ეკოლოგიური კვლევა. (word file);

შედგენილ იქნა საკვლევი ნაგავსაყრელების მიმდებარე ტერიტორიების გარემოს ობიექტების (წყალი, ნიადაგი, ჰაერი) საკონტროლო პუნქტების და ადგილმდებარეობის რუკები (word file).

დამუშავებულ იქნა გარემოს ობიექტების სინჯების აღების და წინასწარი დამუშავების სტანდარტული პროცედურული ოპერაციების (SOP)-ები. (შექმნილია პანდემიური მდგომარეობის გათვალისწინებით, word file).

ქვეყანაში არსებული ეპიდსიტუაციიდან გამომდინარე, ყველა სამუშაო პროცესი წარიმართა დისტანციურად. სამწუხაროდ ჯერჯერობით ვერ მოხერხდა საველე და ლაბორატორიული სამუშაოების სრულად ჩატარება, თუმცა საარჩევნო პერიოდის დამთავრებამდე (მარტი 2021წ.) ყველა სამუშაო იქნება სრულად შესრულებული: ეკოლოგიური მონიტორინგი ნაგავსაყრელების მიმდებარე ტერიტორიებზე, ჩატარდება მომავალი წლის პირველ კვარტალში. საქართველოს მთავრობის, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შესაბამისი მითითებების დაცვით ვაგრძელებთ მუშაობას დისტანციურ რეჟიმში.

5. შესწავლილ იქნა საქართველოში ელექტროენერგიის მიწოდება და მოთხოვნა სხვადასხვა სამთავრობო და კერძო მონაცემთა წყაროებიდან, ასევე ვებგვერდებიდან, სემინარებიდან, შეხვედრებიდან და სტატიებიდან შეგროვებული მონაცემების მიხედვით. ენერგორესურსების მიმოხილვამ აჩვენა, რომ ძირითადი ყურადღება ექცევა ჰესების რესურსებს (78%). განახლებადი ენერგია და განსაკუთრებით მზის ენერგია საქართველოში 1300 კვტსთ/წელიწ. მნიშვნელოვანი წყაროა. გარდა ამისა, საქართველოში 500 მეგავატიანი ფოტოვოლტაიკის წყარო აჩვენებს მზის ენერგიის შესაძლებლობას. პროექტის ფარგლებში განხილულია ენერგიის მართვის სისტემის ახალი დიზაინი, რომლის პროტოტიპის შექმნა წარმოადგენს პროექტის მიზანს. პროექტში მონაწილეთა მიერ შესწავლილ იქნა განახლებადი ენერგიების, მათ შორის მზის ენერგეტიკის პოტენციალი; შეისწავლილ იქნა მზის ენერგეტიკის ზოგადი ასპექტი და განხილულ იქნა მისი წარმოების შესაძლებლობა საქართველოს ყველა რეგიონში. გამოკვლეულ იქნა მზის ენერგეტიკისათვის (ფოტოვოლტაიკებისათვის) პირობები და გამოყენების შესაძლებლობები საქართველოში; განხილულ იქნა მზის სისტემის ძირითადი მოწყობილობები და სიმულაციური პროგრამები, რომლებსაც, სავარაუდოდ, შეუძლიათ შექმნან რუტინული სისტემები. შესწავლილია მზის ენერგეტიკული სისტემის მიზანშეწონილობა კავკასიის რეგიონში და მომზადებულია ენერგიის მართვის სისტემის მნიშვნელობა. ამჟამად მიმდინარეობს ენერგიის მართვის სისტემის დიზაინის მომზადებისთვის საჭირო სამუშაოები.

2.2.

№	დასრულებული	პროექტის დაწყების და	პროექტში ჩართული

	(მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი	დამთავრების წლები	პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	2	3	4
დასრულებული კვლევითი პროექტის 2020 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)			

3. უცხოური გრანტებით დაფინანსებული სამეცნიერო პროექტები

3.1. გარდამავალი პროექტი

№	გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი, დამფინანსებელი ორგანიზაცია/ სამეცნიერო ფონდი, ქვეყანა	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	2	3	4
1	Impact of climate change on glaciers and associated risks in the Georgian Caucasus, IMPCLIM, the Agence Universitaire de la Francophonie Research and Innovation of Romania, Institute of Atomic Physics (IFA), რუმინეთი	01.03.2019-31.12.2021	იულიან ჰოლობაცა - სამეცნიერო ხელმძღვანელი, მარიამ ელიზბარაშვილი - თანახელმძღვანელი, ლევან ტიელიძე - მკვლევარი, გიორგი გაფრინდაშვილი - მკვლევარი, თამარ ხუნწელია -მკვლევარი, ზურაბ რიკაძე - მკვლევარი, დანიელ გერმანი - მკვლევარი. ოლიმპიო ტრაინერ - მკვლევარი, მირცა ალექსე - მკვლევარი, კინგა ივანა - მკვლევარი, იონელა ჯეორჯიანა გავრილა - მკვლევარი
გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2020 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)			
უშბის, შხარას და ჭალაადის მყივარებზე საველე ექსპედიციების დროს დენდრო კვლევებისათვის შეირჩა ადგილები და შეგროვდა ნიმუშები, საველე კვლევების შედეგად მიღებული 300-მდე ხის ნიმუშის ლაბორატორიული დამუშავების, ასევე არსებული მეტეოროლოგიურ დაკვირვებათა მონაცემებისა და თანამგზავრული მონაცემების ანალიზის შედეგად შესწავლილ იქნა ღვარცოფული ნაკადები და მათი ქრონოლოგია.			

3.2. დასრულებული პროექტი

№	დასრულებული (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი, დამფინანსებელი ორგანიზაცია/სამეცნიერო ფონდი, ქვეყანა	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	2	3	4
	Urban Heat Island in Bulgaria - Causes and Tendencies, დედამიწის შემსწავლელი მეცნიერება, Sofia University Scientific Fund, ბულგარეთი	06.05.2019 - 06.05.2020	ნინა ნიკოლოვა - ხელმძღვანელი, მარიამ ელიზბარაშვილი - მკვლევარი.
დასრულებული კვლევითი პროექტის 2020 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)			
ქალაქ სოფიაში "სითბოს კუნძულის" შესწავლისათვის შეირჩა ქალაქში მეტეოროლოგიური დაკვირვებისათვის ოპტიმალური ადგილები, შეძენილ და დამონტაჟებული იქნა მეტეოროლოგიური ხელსაწყოები. მიმდინარეობს დაკვირვებები ტემპერატურასა და ნალექებზე და იქმნება მონაცემთა ბაზა, რომელიც მრავალწლიურ რეჟიმში დაგვეხმარება ქალაქ სოფიაში არსებული სხვა მეტეოროლოგიური სადგურის მონაცემებთან ერთად ანალიზის გზით გამოვავლინოთ ქალაქის განაშენიანების გავლენა „სითბოს კუნძულების" ჩამოყალიბებაზე, შევისწავლოთ „სითბოს კუნძულის" სეზონური ცვალებადობა.			

4. პატენტები

4.1. საერთაშორისო პატენტები:

№	საპატენტო თემატიკის სათაური	გამომგონებელი/ები და პატენტმფლობელი/ები	პატენტის საიდენტიფიკაციო კოდი

4.2. ეროვნული პატენტები

№	საპატენტო თემატიკის სათაური	გამომგონებელი/ები და პატენტმფლობელი/ები	პატენტის საიდენტიფიკაციო კოდი

5. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში

5.1. მონოგრაფიები/წიგნები

№	ავტორი/ავტორები	მონოგრაფიის/წიგნის სათაური, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1 2				
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)				

I. 2. სახელმძღვანელოები

№	ავტორი/ავტორები	სახელმძღვანელოს სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1 2				
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)				

I.3. კრებულები

№	ავტორი/ავტორები	კრებულის სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1				
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)				

I.3. სტატიები ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდის (DOI) მითითებით

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათა-ური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI	ჟურნალის/ კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1					
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)					

I.3. სტატიები ISSN-ის მითითებით

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათა-ური, ISSN	ჟურნალის/ კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	E. Tulashvili, B. Tutberidze, M. Akhalkatsishvili, L.	Cesium-137 in the soils in the territory of Tbilisi City (Georgia).	Annals of Agrarian Science. Vol. 18, No. 2	Agricultural University of Georgia	6

	Mtsariashvili, M. Chkhaidze, I. Ambokadze.	ISSN 1512-1887			
მოცემულ ნაშრომში მოყვანილია ტექნოგენური რადიონუკლიდის Cs-137-ის კონცენტრაციის კვლევების შედეგები საქართველოს დედაქალაქის - თბილისის ზოგიერთი რაიონის ტერიტორიის სხვადასხვა ტიპის ნიადაგში. შესწავლილ ტერიტორიაზე აღებული და გამოკვლეული იყო ნიადაგის 56 ნიმუში. Cs-137-ის კონცენტრაციის აქტივობა შესწავლილ ნიმუშებში იცვლებოდა 0.19-დან 118-მდე Bq/kg (საშუალო მნიშვნელობა - 18.7 Bq/kg). აღნიშნულია ცეზიუმ-137-ის განაწილების ზოგიერთი თავისებურება, კერძოდ, ნიადაგის ტიპის და ნიმუშების აღების ადგილმდებარეობის მიხედვით.					

6. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა უცხოეთში

6.1. მონოგრაფიები/წიგნები

№	ავტორი/ავტორები	მონოგრაფიის/წიგნის სათაური, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1 2				
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)				

6.2. სახელმძღვანელოები

№	ავტორი/ავტორები	სახელმძღვანელოს სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1 2				
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)				

6.3. კრებულები

№	ავტორები	კრებულის სახელ-წოდება, საერთაშო-რისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	N. Kekelidze, T. Jakhutashvili, B. Tutberidze, E. Tulashvili, M. Akhalkatsishvili, L. Mtsariashvili, M. Chkhaidze,	“Radionuclides: Properties, Behavior and Potential Health Effects” ISBN: 978-1-53617-379-6	Nova Science Publishers, Inc., Hauppauge, NY, USA	27

	I. Ambokadze			

მოცემული კვლევის მიზანი იყო ბუნებრივი და ტექნოგენური რადიონუკლიდების განაწილების შესწავლა ქანების ნიმუშებში აღმოსავლეთ საქართველოს ორ რეგიონში - მცხეთა-მთიანეთის და შიდა ქართლის რეგიონებში. ეს ტერიტორია ხასიათდება რთული გეოლოგიური სტრუქტურით, ამასთანავე დღემდე ნიადაგის და ქანების რადიოაქტივობა არ იყო გამოკვლეული. ქანების სხვადასხვა ტიპის 47 ნიმუში, მათ შორის მაგმატური, დანალექი და მეტამორფული, იყო შესწავლილი გამა-სპექტრომეტრული მეთოდით. 21-მდე ბუნებრივი რადიონუკლიდი და ერთი ტექნოგენური რადიონუკლიდი Cs-137 იყო იდენტიფიცირებული ამ ნიმუშებში. Th-232-ის ოჯახის რადიონუკლიდების კონცენტრაციის საშუალო აქტივობა იცვლებოდა 0.39-დან 67.0-მდე Bq/kg; U-238-ის ოჯახის - მინიმალური დეტექტირებადი აქტივობიდან 93.5-მდე Bq/kg, ხოლო U-235-ის ოჯახის - 0.072-დან 4.3-მდე Bq/kg. ყველაზე მაღალი კონცენტრაცია დაიმზირებოდა K-40-ის - მაქსიმალური მნიშვნელობით 1263 Bq/kg. ტექნოგენური რადიონუკლიდის Cs-137-ის აქტივობა იზომებოდა რამდენიმე ნიმუშში - 0.12-დან 6.3-მდე Bq/kg. დაიმზირებოდა რადიონუკლიდების განაწილების ზოგიერთი თავისებურება, კერძოდ, ქანების ტიპის, ტექტონიკური ზონისა და ასაკის მიხედვით. შესწავლილი იყო რადიონუკლიდების აქტივობის რამდენიმე შეფარდება, კერძოდ, U-238/U-236, U-238/Th-232, Ra-226/U-238, Pb-210/Ra-226, და ჩატარდა შედარება ლიტერატურულ მონაცემებთან.

6.4. სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI ან ISSN	ჟურნალის/ კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	E.Sh.Elizbarashvili, M.E. Elizbarashvili, Sh.E. Elizbarashvili, M.G.Pipia, L.G.Kartvelishvili	Blizzards in Mountain Regions of Georgia DOI:10.3103/S1068373920010082	Russian Meteorology and Hydrology, 2020, Vol. 45, No 1, pp. 110–114	USA	5

1. საქართველოს 20 მეტეოროლოგიური სადგურის დაკვირვების საფუძველზე გამოკვლეულია მაღალმთიან რაიონებში ქარბუქის დღეების რაოდენობა, ინტენსივობა, ხანგრძლივობა, მათი დადგომის პერიოდები და დინამიკა. დადგენილია ქარბუქის დროს ქარის და თერმული რეჟიმების თავისებურებები. ქარბუქიანი დღეების უდიდესი რაოდენობა აღინიშნება დიდი კავკასიონის მწვერვალზე (მამისონის უღელტეხილი, კაებეგი) -235-246 დღე. აქ ქარბუქი გვხვდება მთელი წლის განმავლობაში. ის ყველაზე აქტიურია დეკემბრიდან აპრილამდე. ქარბუქის მაქსიმალური ინტენსივობა 4-5 ბალს აღწევს, ხოლო ხანგრძლივობა 1000 საათს აღემატება. სამხრეთ საქართველოს მაღალმთიანეთის მაღალმთიან ზონაში, სადაც ძლიერი ქარის ალბათობა მაღალია (რადიონოვკა, ცხრაწყარო), ქარბუქიანი დღეების უდიდესი რაოდენობა 117-163-მდეა. აქ ქარბუქი გვხვდება ოქტომბრიდან მაის-ივნისამდე და მათი უდიდესი აქტივობა დეკემბრიდან მარტამდე (6-14 დღე) აღინიშნება. შუა მთის ზონაში მნიშვნელოვნად იკლებს ქარბუქიანი დღეები, მცირდება ინტენსივობა (მაქსიმალური ინტენსივობა 2 ბალი) და იკლებს წარმოქმნის პერიოდის ხანგრძლივობა (წალკა, ბაკურიანი, ახალქალაქი).

2	E.Sh.Elizbarashvili,	Investigation of the			

	M.E. Elizbarashvili, Sh.E. Elizbarashvili	Frequency of Occurrence of the Most Dangerous Weather Events for Georgia DOI:10.3103/S1068373920100076	Russian Meteorology and Hydrology, 2020, Vol. 45, No.10, pp. 727–732	USA	6
2.	საქართველოს 20–ზე მეტი მეტეოროლოგიური სადგურის დაკვირვების საფუძველზე გამოკვლეულია საქართველოსთვის ყველაზე საშიში მეტეოროლოგიური მოვლენების - კატასტროფული ნალექების, სეტყვის, ქარიშხლების, ქარბუქი, საშიში ნისლების ერთდროული განხორციელების ალბათობა და სიხშირე. სტოქასტიკის კანონების საფუძველზე დგინდება კომპლექსის ერთ-ერთი მოვლენის დადგომის ალბათობა, როგორც კომპლექსის მოვლენათა ერთობლივი წარმოშობის ალბათობა და რისკების განმეორების პერიოდები. განიხილება ბუნებაში დაფიქსირებული ფენომენების ყველაზე საშიში და შედარებით რეალური კომბინაციები. განხილულია დამოუკიდებელი და თავსებადი ორგანზომილებიანი კომპლექსებია: •კატასტროფული ნალექები - ქარიშხალი ქარი **(R50-Hu);** •კატასტროფული ნალექები - საშიში ნისლი **(R50-Fd);** •სეტყვა - ქარიშხალი ქარი **(Ha- – Hu);** •სეტყვის საშიში ნისლი **(Ha-Fd);** •ქარიშხალი ქარი - საშიში ნისლი **(Hu-Fd);** •ქარიშხალი - საშიში ნისლი **(B-Fd).**				
3	E.Sh.Elizbarashvili, M.E.Elizbarashvili, Sh.E.Elizbarashvili, N.B.Kutaladze	Waves of heat and cold over the territory of Georgia in conditions of global warming	European Geographical Studies, 7(1), pp. pp. 50–60	Slovakia Hungary	20
3.	საქართველოს 12 მეტეოროლოგიური სადგურის დაკვირვების საფუძველზე, გამოკვლეულია თბილი და ცივი ტალღების სტატისტიკური სტრუქტურა. განსაზღვრულია მათი საშუალო უწყვეტი, ჯამური და გრძელი ტალღის ხანგრძლივობა, მათი რეალიზაციის ალბათობა, გავრცელების არეალები და განმეორებადობა. შეფასებულია მათი ცვლილების სიჩქარე, ცვლილებების სტატისტიკური მნიშვნელობის კრიტერიუმი. საქართველოში სითბოს ტალღების საშუალო საერთო ხანგრძლივობა წელიწადში 13-20 დღემდეა, მაქსიმალური შავი ზღვის სანაპიროზე და მთაში. ცივი ტალღების საერთო ხანგრძლივობაა 10-14 დღე, მაქსიმალურია შავი ზღვის სანაპიროზე, კოლხეთის დაბლობში და აღმოსავლეთ საქართველოს ვაკეზე. სითბოს ტალღების ყველაზე დიდი საერთო ხანგრძლივობაა 40-90 დღე, ხოლო ცივი ტალღების ყველაზე დიდი საერთო ხანგრძლივობაა 20-50 დღე. სითბოს ტალღების უწყვეტი ხანგრძლივობაა 6-11 დღე და მისი საშუალო ხანგრძლივობაა დაახლოებით 8 დღე, ხოლო ცივი ტალღების ხანგრძლივობაა 6-8 დღე და საშუალოდ 7 დღე, რაც კარგად ეთანხმება ჰაერის მასების ტრანსფორმაციის პროცესს.				
4	Daniel Germain, Ionela-Georgiana Gavrilă, Mariam Elizbarashvili,	Multidisciplinary approach to sediment connectivity between debris-flow channel network and the Dolra River, Mazeri Valley,	Geomorphology, Volume 371, 15 December 2020, 107455		14

	Olimpiu Traian Pop	Southern Caucasus, Georgia https://doi.org/10.1016/j.geomorph.2020.107455			
4.	დენდროლოგიური კვლევების შედეგად მაზერის ხეობაში შესწავლილია ღვარცოფული პროცესები და მათი ქრონოლოგია. შერჩეულმა 161 ხემ აჩვენა ბოლო 65 წლის განმავლობაში 12 მნიშვნელოვანი მოვლენა, რაც დაკავშირებული იყო მდინარე დოლრას სისტემაში შესაძლო შესვლასთან. ამ თანმიმდევრულმა მოვლენებმა 5,4 წლის გამეორების შუალედით ნაწილობრივ დესტაბილიზაცია მოახდინა მდინარის სისტემაში. რეკონსტრუირებული მოვლენების უმეტეს პერიოდს ახასიათებს მინიმუმ ერთი თვის ნალექების საშუალო მნიშვნელობის გადაჭარბება.				
5	N. Kekelidze, E. Khutsishvili, T.Qamushadze, N. Kobulashvili, Z. Chubinishvili	Producing of InGaAs bulk crystals by direct fusion.	European Chemical Bulletin, vol. 8, #6, pp.188-192, 2019 DOI: 10.17628/ecb.2019.8.188-192	Budapest, Hungary	5
5.	დამუშავებულია ტექნოლოგია და მიღებულია სამმაგი $In_{1-x}Ga_xAs$ მყარი ხსნარების მოცულობითი კრისტალები სისტემის InAs-ით მდიდარ მხარეში. InAs და GaAs ნაერთების უშუალო შედნობით შესაძლებელია კომპონენტების სხმულის კვეთში ერთგვაროვნების მიღწევა. InAs-ის შემადგენლობის სუსტი დამოკიდებულება შენადნის გამყარებულ ნაწილზე იძლევა InGaAs მყარი ხსნარების InAs-ით მდიდარ მხარეში ცალკეული შემადგენლობების თავისუფლად შერჩევის საშუალებას.				
6	E. Khutsishvili , T. Qamushadze, N. Kobulashvili, Z. Chubinishvili, N. Kekelidze	X-ray phase analysis of impurities in silicon crystals made from metallurgical silicon with directional crystallization.	European Chemical Bulletin, vol. 8(#3), 85-87, 2019 DOI: 10.17628/ecb.2019.8.85-87	Budapest, Hungary	2
6.	მინარევების კონტროლი არის პირველადი აქტუალური პრობლემა Si-ის გაწმენდის პროცესის თითოეულ ეტაპზე. Si ტექნოლოგიაში. მინარევების შემადგენლობის განსაზღვრის ტექნიკა უნდა იყოს მრავალ ელემენტიანი და მინარევების დაბალი ლიმიტირებით. ამ თვალსაზრისით, მიმზიდველია Si-ის ფაზური შემადგენლობის რენტგენის სტრუქტურული ანალიზი, რენტგენის დიფრაქციული ხაზების იდენტიფიკაციის საფუძველზე. დღეისათვის Si- ს გაწმენდის დაბალი ფასის და მაღალი ეფექტურობის ახალი მეთოდების ძიებისას მკვლევარები ხშირად მიმართავენ მეტალურგიულ მეთოდებს. ამიტომ, Si– ს მოპოვების გამოკვლევა MG-Si– დან მიმზიდველია მიმართულების კრისტალიზაციის ფიზიკური შესაძლებლობების გამოსავლენად. მოცემულ ნაშრომში განხილულია შესაძლებლობები გამოვლენილი მინარევებისა და მათი გამოვლენის ლიმიტებისთვის ამ ტიპის Si- ში რენტგენის დიფრაქციული მეთოდით. ნაჩვენებია, რომ Si- ს ფაზური შემადგენლობის რენტგენის				

	სტრუქტურული ანალიზის გამოყენება, რენტგენის დიფრაქციული ხაზების იდენტიფიკაციის საფუძველზე, დამოკიდებულია Si-ის გაწმენდის ეტაპზე.				
7	R.Kobaidze, E.Khutsishvili, Z.Chubinishvili, G.Kekelidze, N.Kekelidze	Computation of chemical potential and Fermi- Dirac integrals applied to study the transport phenomena of semiconductors.	European Chemical Bulletin, vol. 8, #9, 307-312, 2019. DOI:10.17628/ecb.2019.8.307-312	Budapest, Hungary	6
7.	დამუშავდა სხვადასხვა ინდექსის ფერმი-დირაკის ინტეგრალების მაღალი სიზუსტით გამოსათვლელი (Software) ორი ციფრული კომპიუტერული მეთოდი; დამუშავდა დენის მატარებელთა სხვადასხვა ტემპერატურაზე და მუხტის მატარებელთა სხვადასხვა კონცენტრაციისთვის მინარევების იონებზე მუხტის მატარებელთა გაბნევის პროცებთან დაკავშირებული ძვრადობის გამოსათვლელად ციფრული გამოთვლების მეთოდის პროგრამა მატლაბ-ში.				
8	Z. Chubinishvili, R. Kobaidze, E. Khutsishvili, N. Kekelidze	Numerical calculations of impurity scattering mobility in semiconductors	European Chemical Bulletin, vol. 8, #1, 19-22, 2019 DOI: 10.17628/ecb.2019.8.19-22	Budapest, Hungary	4
დამუშავდა კომპიუტერული ციფრული გამოთვლების პროგრამები გადატანითი მოვლენების ექსპერიმენტული მონაცემების მაღალი სიზუსტით ინტერპრეტაციისთვის არსებული თეორიების საფუძველზე დენის მატარებელთა აირის ნებისმიერი გადაგვარების ხარისხისთვის და III-V–ტიპის ნახევარგამტარული ნაერთებისთვის.					
9	Ахалбедашвили, Кваташидзе.Тодрадзе, Лория,Джанашвили, Брокишвили, Джалагания	Присутствие йода в подземных водах Внутренней Картли (Грузия), ISSN 162-2364	Science of Europe, Vol. 1, No 59, 2020	Czech Republic	5
9.	საქართველო იმ ქვეყნებს მიეკუთვნება, რომელსაც გააჩნია იოდდეფიციტის პრობლემა. მოსახლეობის 47% აქვს ენდემური ჩიყვი, და არა მხოლოდ მაღალმთიან რეგიონებში. ამიტომ ამ საჭირო მიკროელემენტის მოპოვებას ნიადაგში და ბუნებრივ სასმელ წყალში საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში, მისი რაოდენობის, ფორმების და სეზონური განაწილების შესწავლას არსებით როლი ენიჭება იოდშემცველი ნაერთების გამოყენებაში. მოცემულ სამუშაოში წარმოდგენილია მიწისქვეშა წყლების ქიმიური ანალიზების შედეგები როგორც ცნობილი და გამოყენებადი წყაროების, ასევე ახალაღმოჩენილი - შიდა ქართლში, სადაც იოდის შემცველობა აღწევს 48 მკგ/ლ.				
10	L. Akhalbedashvili, N. Gagniashvili, S. Jalaghania, N. Janashvili, R. Kvatashidze, G. Todradze, and N. Loria	The Modified Natural Zeolites in Ion-Exchange Adsorption of Some Heavy Metals	კრებული „Advanced Materials, Polymers, and Composites“ **Hard** **ISBN:** 9781771889513 December, 2020	Canada, Apple Academic Press	8
10.	ბუნებრივი მორდენიტი (MOR), წყლის სხვა გამწმენდებთან ერთად, განსაკუთრებულ ადგილს იკავებს უნიკალური ადსორბციური და იონმიმოცვლითი თვისებების გამო.				

MOR- ის მაღალი შემცველობა საშუალებას იძლევა უზრუნველყოს მისი ფართო გამოყენება, ვინაიდან ჩვენს ქვეყანაში სინთეზური ცეოლიტის წარმოება არ არის და მათი შეძენა საკმაოდ ძვირია.

ამ სამუშაოს მიზანი იყო ბუნებრივი ცეოლიტის MOR– ის ადსორბციული თვისებების შესწავლა ზედაპირული წყლებიდან მძიმე მეტალების Pb, Cu, Mn, Cd და Zn–ის შთანთქმის მიმართ. იონმიმოცვლითი მეთოდით დამუშავება განხილულია როგორც გაუმჯობესებული ადსორბენტების მიღების ერთ-ერთი გზა. ადსორბციული ექსპერიმენტები ჩატარდა სტატიკურ-ცირკულაციურ რეჟიმში. გაანგარიშებულია სორბციული ტევადობა, სორბციის და განაწილების კოეფიციენტები, გახტომის სიდიდე.

11	L. Nadiradze, M. Kapanadze, B.Kvirkvelia	USE OF TECHNOLOGIES, AS THE EFFECTIVE INSTRUMENT FOR ENHANCING OF MOTIVATION IN THE PROCESS OF PHYSICS TEACHING	INTED2020 Proceedings, 14th International Technology, Education and Development Conference, 2nd-4th March, 2020, Valencia, Spain, pp. 2768-2773, ISBN: 978-84-09-17939-8, ISSN: 2340-1079. DOI: 10.21125/inted.2020.0828	Valencia, Spain	6

11. დღეისათვის მსოფლიოში საბუნებისმეტყველო მეცნიერებების მიმართ ინტერესი საკმაოდ დაბალია და ფიზიკა ამ მხრივ ითვლება განსაკუთრებით პოპულარულ თემად. ამ მიმართულებით არც საქართველო წარმოადგენს გამონაკლისს. შესაბამისად, ფიზიკის პოპულარიზაციას სკოლის მოსწავლეებში, მათი მოტივაციის ამაღლებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. 2017-2018 წლებში, მოცემული სტატიის ავტორთა ჯგუფის მიერ თბილისის კლასიკურ გიმნაზიაში ჩატარებულმა კვლევის შედეგებმა გვიჩვენა, რომ თანამედროვე ინოვაციური ტექნოლოგიების ფართო გამოყენება ფიზიკის სწავლების პროცესში, მნიშვნელოვნად გაზრდის მოტივაციას. ამისათვის ფიზიკური მოვლენების ამსახველი ანიმაციების დამუშავებისა და სასწავლო პროცესში ჩართვის, შედეგების შესწავლისა და ბოლოს ფიზიკის სწავლების დონის ამაღლების მიზნით, შ.რუსთაველის სახელობის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მხარდაჭერით მოხდა პროექტის რეალიზება ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში. წარმოდგენილი სტატია აღწერს ზემოთაღწერილი კვლევების შედეგებს - თანამედროვე საგანმანათლებლო პროცესებში ციფრული ტექნოლოგიების დანერგვის მნიშვნელობას სხვადასხვა უპირატესობების ანალიზთან ერთად. ვირტუალური ლაბორატორიების გამოყენება მოვლენის მოდელირების შეუზღუდავ შესაძლებლობებს იძლევა. შესაძლებელია მოსწავლეებს წარვუდგინოთ მაკრო და მიკრო პროცესები, რაც ამაღლებს მათ ინტერესს და აძლევს მოტივაციას ღრმად და მრავალმხრივად შეისწავლონ მოვლენა. ციფრული რესურსის კგამოყენება ხელს უწყობს მოსწავლეებში შემოქმედებითი აზროვნების განვითარებას, ასევე, საგნის ცოდნის კორექტირებას, მის სტანდარტიზაციას და შემდგომ გაღრმავებას.

7. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

7.1. საქართველოში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	L.Akhalbedashvili N. Gagniashvili S. Jalagania N.Janashvili R. Kvatashidze g. Todradze N. Loria	The modified natural zeolites in ion exchange adsorption of some heavy metals	6th International Caucasian Symposium on Polymers & Advanced Materials, 17-20 July, Batumi, Georgia
მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა) ***გამოქვეყნებულია***			

7.2. უცხოეთში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	L. Nadiradze, M. Kapanadze, B.Kvirkvelia	USE OF TECHNOLOGIES, AS THE EFFECTIVE INSTRUMENT FOR ENHANCING OF MOTIVATION IN THE PROCESS OF PHYSICS TEACHING	2nd-4th March 2020 Valencia, Spain
2	Olimpiu Traian Pop, Ionela Georgiana Răchită, Daniel Germain, Zurab Rikadze, Iulian Horia Holobâcă, Tamar Khuntselia, Mircea Alexe, Mariam Elizbarashvili, George Gaprindashvili, Kinga Ivan, and Levan Tkhelidze	Tree-ring dating of colonized moraine surfaces in deglacierized areas of Greater Caucasus Mountains	Online | 4–8 May 2020 https://meetingorganizer.copernicus.org/EGU2020/EGU2020-6711.html
მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა) **გამოქვეყნებულია** **Pages:** 2768-2773, **Publication year:** 2020, **ISBN:** 978-84-09-17939-8, **ISSN:** 2340-1079, **doi:** 10.21125/inted.2020.0828			

ანგარიშის ფორმა №2

2020 წელს გაწეული სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ანგარიში

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის დასახელება
ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის „ნახევარგამტართა ფიზიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი“.

სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა ხელმძღვანელის მითითებით

სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის პერსონალური შემადგენლობა ხელმძღვანელის ჩათვლით.

შოთა მირიანაშვილი -ინსტიტუტის დირექტორი

ა) ნახევარგამტართა მასალათმცოდნეობის განყოფილება

1. თენგიზ ქამუშაძე-განყოფილების გამგე, დირექტორის მოადგილე.
2. ანზორ ბერძენიშვილი - უფრ. მეცნიერ თანამშრომელი.
3. ქეთევან ედილაშვილი - მეცნიერ თანამშრომელი,
4. ზურაბ რაზმაძე - უფრ. მეცნ. თანამშრომელი.
5. რუსუდან შალამბერიძე - მეცნ. თანამშრომელი.
6. მეგი ჯოჯუა - უფრ. მეცნ. თანამშრომელი.
7. ომარ დავარაშვილი - მთავარი მეცნ. თანამშრომელი.

ბ) AII BVI ნახევარგამტართა კვლევის განყოფილება

1. მაია შარვაშიძე - განყოფილების გამგე.
2. თამაზ ბუთხუზი - მთავარი მეცნიერ თანამშრომელი.
3. ეკა კეკელიძე - უფრ. მეცნიერ თანამშრომელი.
4. ლია ტრაპაიძე - უფრ. მეცნიერ თანამშრომელი.

გ) ფოტოენერგეტიკის განყოფილება.

1. ვასილ შველიძე - განყოფილების გამგე.
2. ჯანო ბურჯანაძე - უფრ. მეცნიერ თანამშრომელი.
3. მიხეილ ელიზბარაშვილი - უფრ. მეცნიერ თანამშრომელი.
4. ჟორა გაბრიჭიძე - უფრ. მეცნიერთანამშრომელი

1. სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის პერსონალის მიერშესრულებული სამეცნიერო-კვლევითიპროექტები

1.1.

№	გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	რადიაციული დონორების და აქცეპტორების ურთიერთკომ პენსაციის მოვლენის ფიზიკუ რი საფუძვლების გამოკვლევა In As-(III-V) ტიპის ნახევარგამტარული ნაერთების მყარ ხსნარებში.	2020-2021	თ. ქამუშაძე, ა. ბერძენიშვილი ზ. რაზმაძე, ქ. ედილაშვილი- ტექნოლოგიური პროცესების მართვა - ო. დავარაშვილი, რ. შალამბერიძე მ. ჯოჯუა, მოცულობითი კრისტალების და ეპიტაქსიური ფენების პარამეტრების კვლევა.
2	ფართოზონიანი (AIIBVI) ნახე-ვარგამტართა ბაზაზე მაღალი პარამეტრების მქონე მზის ბატარეების შექმნა, ნახევარგამტა ფიზიკა (ZnS, ZnO, ZnSმ ZnTe ნაერთები)	2019-2020	თ. ბუთხუზი - პროექტის ხელმძღვანელი. მ. შარვაშიძე, ნ. გაფი- შვილი, ე. კეკელიძე, ლ.ტრაპაიძე- ტექნოლოგიური პროცესების მართვა. (რსკე მეთოდი), ნიმუშების ელექტრო-ოპტიკური პარამტრების კვლევა.

3	მევენახეობა-მეღვინეობაში ტრადიდიციულად გამოყენებული შხამქი-მიკატების ჩანაცვლება ეკოლოგიურად სუფთა პრეპარატებით		ვ. შველიძე- პროექტ. ხელმძღვანელი, ჟ. გაბრიჭიძე - ექსპერიმენტების კოორდინატორი, ჯ. ბურჯანაძე და მ. ელიზბარაშვილი ოზ. გენერატ. კონსტრუირ.

ანოტაცია

პროექტის აქტუალობის მიუხედავად, რისი დასტურიცაა მრავალი სამეცნიერო პუბლიკაცია, რომელიც ნახევარგამტარებზე ხისტი გამოსხივების გავლენის საკითხებს ეხება, რადიაციულად მდგრადი ნახევარგამტარული მასალის მიღების საკითხი, დღემდე გადაუჭრელი რჩებოდა.

InPxAs i-x შენაერთების კრისტალურ მესერში დამზერილმა ორმოდიანმა რხევებმა, დაბადა აზრი, მათ In InAs და InP ქვემესერების ინდივიდუალობის შესახებ. აქედან გამომდინარე, რადიაციული დონორებისა და აქცეპტორების შესაძლო ურთიერთკომპენსაციის მოვლენის გამო, ასეთი შენაერთები უნდა ავლენდნენ იმუნიტეტს რადიაციული დასხივების მიმართ, რაც დადასტურდა კიდეც InPxAsi-x - ის მაგალითზე.

2020 წლის სამეცნიერო გეგმა ითვალისწინებდა InAs – GaAs მყარი ხსნარების მოცულობითი კრისტალებისა და ეპიტაქსიური ფენების მიღებას, მათში რადიაციული დონორებისა და აქცეპტორების ურთიერთკომპენსაციის პროცესის მექანიზმის ფიზიკური საფუძვლების დადგენას, ასევე, მათ ბაზაზე ნახევარგამტარული ხელსაწყოების რამოდენიმე მოდელის შემუშავებას.

სხვადასხვა შემადგენლობის InAs –GaAs მყარი ხსნარების n და p ტიპის მოცულობითი კრისტალების მიღება (გაზრდა) ხდებოდა ჩოხრალსკის დანადგარზე (C984-M), რომელიცსაფუძვლიანად იქნა მოდერნიზებული აქროლადკომპონენტიან მასალათა გათვალისწინებით.

სხბადასხვა შემადგენლობის (InAs – GaAs) ელექტრონული და ხვრელური გამტარებლობის მქონე ეპიტაქსიური ფენების გაზრდა ხდებოდა თხევად - ფაზური ეპიტაქსიის მეთოდით, ჩვენს მიერ აწყობილ დანადგარზე, რომელიც აღიჭურვა რიგი სიახლეებით და მათ შორის ტემპერატურის მართვის და სტაბილიზაციის ელექტრონული სისტემებით.

ეპიტაქსიური ფენების ელექტროფიზიკური პარამეტრების (კუთრი წონა, დენის მატარებელთა კონცენტრაცია, ძვრადობა) იზომებოდა ვანიდერ პაუსის მეთოდით, როგორც მოსალოდნელი იყო, არალეგირებული InxGai-xAs მყარი ხსნარები ხასიათდებიან n გამტარებლობით. ტელური და სელენი გვაძლევენ

დონორულ მინარევებს, ხოლო გარმანიუმი, ცინკი და მაგნიუმი - აქცეპტორულს.

საინტერესოდ იქცევა სილიციუმი! (949 – 930) C^0 ინტერვალში იგი დონორულ მინარევს გვაძლევს, ხოლო უფრო დაბალ ტემპერატურაზე აქცეპტორულს.

P - n გადასვლების შესაქმნელად დაბალომიან p - ტიპის GaAs საფენზე გაზრდილი იყო n ტიპის InxGai-xAs ეპიტაქსიური ფენა. შედეგად მივიღეთ დიოდიnIn_xGa_1-xAs – pGaAs, რომელიც 1-1,5 სმ. ხისტი გამოსხივების პირობებში მდგრადობას ინარჩუნებს.

ქვემოთ მოცემულია ჩატარებული სამეცნიერო - კვლევით სამუშაოს მოკლე ანოტაცია:

სამუშაო ეძღვნება InAs – III – V ტიპის ნახევარგამტარულ მყარ ხსნარებში რადიაციული დონორებისა და აქცეპტორების ურთიერთკომპენსაციის მოვლენის ფიზიკური საფუძვლების გამოკვლევას და მათზე ზოგიერთი ნახევარგამტარული ხელსაწყოს დამზადების გადაწყვეტას.

ნაშრომი შესწავლილი და განხორციელებულია InAs-GaAs მყარი ხსნარების მიღების ორი ტექნოლოგიური მეთოდი - მათი მოცულობითი კრისტალების მიღების ჩოხრალსკის და თხელი ფენების მიღების თხევადფაზური ეპიტაკსიის მეთოდები. ნაშრომში დეტალურადაა აღწერილი სხვადასხვა შემადგენლობის InGa1-xAs - ის, როგორც მოცულობითი სხმულების, ასევე ეპიტაქსიური ფენების მიღების ტექნოლოგიური პროცესები, კაზმების სუსტი შემადგენლობები, მათი შემადგენელი კომპონენტების ქიმიური დამუშავების რეჟიმები, პროცესების მიმდინარეობის ტემპერატურულ-დროითი დიაგრამები და სხვა. მიღებული ნიმუშების ელექტრო-ფიზიკური პარამეტრების გასაზომად გამოყენებულია ჰოლისა და ვან-დეგ-პაუს მეთოდები და ფართოდაა წარმოდგენილი ამ გაზომვების შედეგები. ნაშრომში დეტალურადაა აღწერილი მიღებული მყარი ხსნარების საფუძველზე p-n - გადასასვლელების, შოტკის ბარიერების და ჰოლის მაგნიტური ველის სენსორების დამზადების პროცესები და მოყვანილია მათი მახასიათებლების გრაფიკები.

არსებული თეორიების საფუძველზე დადგენილიაInAs – III-V ნახევარგამტარული ნაერთების მყარ ხსნარებში დენის მატარებელთა გაბნევის მთავარი მექანიზმი და გაბნევის მექანიზმების სხვადასხვა კომპონენტების წვლილის ცვლილება ჯამურ გაბნევაში ტემპერატურის და მუხტის მატარებელთა კონცენტრაციის ცვლილებისა. კერძოდ დადგენილია, რომ გაბნევის ყველა შესაძლებელი მექანიზმიდან InAs-III-V ნახევარგამტარული ნაერთების მყარ ხსნარებში 300K ტემპერატურის მახლომლობაში ძვრადობა განისაზღვრება ძირითადად მხოლოდ ოპტიკურ ფონონებზე და მინარევების იონებზე გაბნევის კომბინაციით. $n\sim10^{16}$-10^{17}კონცენტრაციის InAs-III-V ნახევარგამტარული ნაერთების მყარ ხსნარებში პრივილეგირებული გაბნევის მექანიზმი 300K უბანში არის გაბნევა ოპტიკურ ფონონებზე, $n\sim10^{18}$-10^{19}სმ$^{-3}$ კონცენტრაციის InAs- III-V ნახევარგამტარული ნაერთების მყარ ხსნარში ჭარბობს გაბნევა მინერავების იონებზე, ხოლო როცა T

<150 K დაn~10^{16}-10^{17}სმ$^{-3}$InAs- III-V ნახევარგამტარული ნაერთების მყარ ხსნარებში გაბნევა ოპტიკურ ფონობებზე მცირდება და დომინირებას იწყებს გაბნევა მინარევების იონებზე.

ექსპერიმენტულ მონაცემებზე დაყრდნობითჩატარებული თეორიული გათვლებით დგინდება, რომ $InAs_{1-x}P_x$ შენადნობებში ორი ქვემესერის კომბინაცია, როდესაც დასხივების დროს ადგილი აქვს ორი ერთმანეთის მიმართ საწინააღმდეგოდ მიმართულ პროცესს, შენადნობების გარკვეულ შემადგენლობაზე ხდება ამ პროცესების გაწონასწორება და ავტომატურად ხდება, მასალის „თვითგანკურნება“ რადიაციული დეფექტების ეფექტებისგან, რის შედეგადაც რადიაციულად მდგრადი მასალა მიიღება. ამ რადიაციული პროცესების ეფექტური ურთიერთკომპენსაცია შენადნობებში ხორციელდება, როცა x-ის მნიშვნელობა 0.3-სა და 0.4-ს შორისაა.

დინამიური თერმოგრავიმეტრული TG - თერმული და დიფერენციალური თერმოგრავიმეტრული DTG ტემპერატურულმა ანალიზმა გამოავლინა, რომ რადიაციულად მდგრადი $InAs_{0,7}P_{0,3}$შენადნობი სამუშაო ტემპერატურის არეში 25C-700C ამჟღავნებს ქიმიურ და თერმულ სტაბილურობას.

2. II – VI ფართოზონიანი ნახევარგამტარები დღეს ფართოდ გამოიყენება გამომსხივებელ და ფორმიმღებ სტრუქტურების შესაქმნელად. სპექტრის მწვანე, ლურჯ, იისფერ და ულტრაიისფერ დიაპაზონში. მიუხედავად ამისა ამ კლასის ნივთიერებებისათვის მოცემული ქიმიური შემადგენლობის მქონე, მყარი ხსნარების სტრუქტურულად სრულყოფილი ეპიტაქიმიური ფენების და სტრუქტურების მიღება, დღემდე გადაუჭრელ პრობლემად რჩებოდა.

ჩვენმა გამოკვლევებმა აჩვენა, რომ ჰეტერო ეპიტაქსიური თხელი ფენების ხარისხობრივი მაჩვენებლები ძლიერად არის დამოკიდებული დეფექტების სიმკვრივეზე, რომლებიცფენების ზრდის საწყის ეტაპზე წარმოიქმნება. II-VI/GaA-ის შემთხვევაში დეფექტების უმრავლესობის წარმოქმნის წყაროს წარმოადგენს საფენის ქიმიური ურთიერთქმედება VI ჯგუფის ელემენტებთან, რომლის დროსაც წარმოიქმნება III-ჯგუფის ჰალკოგენიდური შენაერთები. ასე მაგალითად ZnSe/GaAs ჰეტეროსტრუქტურების მიღებისას თავს იჩენს Se - ის ნარჩენი ორთქლის საფენის ზედაპირთან ურთიერთქმედების პრობლემა, რაც იწვევს , ეპიტაქსიური პროცესის დაწყებამდე, საფენისადმიასკოჰერენტულიდეფექტურიფენისფორმირებას, რომელიც სტექიომეტრულად ახლოსაა Ga_2Se-ის შემადგენლობასთან.

ნაჩვენები იქნა, რომ ეპიტაქციის პროცესში დეფექტების სიმკვრივის მნიშვნელოვან შემცირებას იწვევს GaAs - ის ბუფერული ეპიტაქსიის ფენის შეყვანა, რომელიც წინ უნდა უსწრებდეს II –VI - ის სუფთა სტაბილიზირებული ზედაპირის მიღება და შედეგად GaAs -ის ფენის წარმოქმნის მნიშვნელოვანწილად გამორიცხვა.

რადიკალურ სხივური ჰეტერირებადი კვაზი ეპიტიქსია იძლევა შესაძლებლობას შეიქმნას p-i-n სტრუქტურები ZnTe ესბაზაზე, კერძოდ - ZnS/ZnTe, ZnO/ZnTe, CaS/ZnTe, რომლებსაც ექნებათ მაღალი რადიაციული შედეგობა და მაქსიმალურად გამოიყენებს მზის გამოსხივების როგორც ულტრაიისფერს ასევე ხილულს პექტრს.

ამ მნიშვნელოვან კვლევით სამუშაოთა აღსრულება მნიშვნელოვნად შეაფერხა, როგორც ეპიდემიამ, ასევე თსუ-ს მერე კორპუსში მიმდინარე სარემონტო სამუშაოებმა, რომელთა

შედეგად ინსტიტუტს მოუხდა 150 ოთახის დაცლა, რომელშიც აწყობილი იყო კომპლექსური ექსპერიმენტალური დანადგარი, საკვლევი ნიმუშების ფოტო-ელექტრული და ოპტიკური პარამეტრების დასადგენად.

3. ოზონი, როგორც ყველაზე ეფექტური მადეზინფიცირებელი და მასტერილიზირებელი საშუალება, საუკუნეზე მეტია გამოიყენება სახალხო მეურნეობის თითქმის ყველა დარგში, რადგან, დღემდე ცნობილ ყველა მავნე მიკროორგანიზმს, როგორც ჰაერში, ისე წყალში რამდენიმე წუთში ანადგურებს. ოზონს ევროპა 1900 წლიდან იყენებს, საქართველოში კი მის კვლევა-წარმოება-დანერგვაზე, ჩვენი სამეცნიერო/კვლევითი ინსტიტუტი მუშაობს. უკანასკნელი 3-4 წლის მანძილზედამზადებული გვაქვსორათეულზე მეტი ოზონო-გენერატორი და ჩატარებულია ფართო საველე გამოცდები, რის შემდეგაც დავიწყეთ ოზონოტექნოლოგიის დანერგვა ქვეყნის სოფლის მეურნეობაში კერძოდ: მევენახეობაში, მემცენარეობაში და მებოსტნეობაში, როგორც დღეს გამოყენებული შხამქიმიკატების ალტერნატივა და მეღვინეობაში, როგორც გოგირდის ალტერნატივა.

ცნობილია, რომ ოზონი, არამდგრადია და მისი კონცენტრაცია ჰაერში ერთ საათამდე ნარჩუნდება, ხოლო წყალში 30 წთ-ის შემდეგ ნახევრდება. ეს კი საშუალებას არ იძლევა მისი გამოყენების მასშტაბი გაიზარდოს, რადგან დაოზონირებულ ასობით ლიტრი წყლის გახარჯვას ვაზის შესაწამლი ტექნიკა, ამ დროში ვერ ასწრებს, ამიტომ წყალში ოზონის კონცენტრაციის დროის გახანგრძლივებაზე, პირდაპირაა დამოკიდებული სოფლის მეურნეობაში ოზონის გამოყენების პერსპექტივა, ანუ ეს მსოფლიო დონის პრობლემაა, ჩვენი სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის მეცნიერებმა მიმდინარე წელს იმუშავა ამ პრობლემაზე. დღეის მდგომარეობით ეს პრობლემა გადაწყვეტილია, რაც შეეხება შედეგის დაპატენტებას და შემდგომი პრაქტიკული გამოყენებისათვის სახალხო მეურნეობისათვის შეთავაზებას, ამას ხელს უშლის წყალში ოზონის კონცენტრაციის გამზომი თანამედროვე ხელსაწყოს არქონება, რაც შეეხება ძველ ტრადიციულ მეთოდს, ამ მეთოდით გაზომილს დღეს აღავინ ენდობა. ამიტომ მომავალ წელს აუცილებელია შეძენილ იქნას წყალში და ჰაერში ოზონის კონცენტრაციის გამზომი ხელსაწყო. მუშაობაში ასევე ხელს გვიშლის ის, რომ ინსტიტუტი დღემდე საზოგადოებრივ საწყისებზე მუშაობს და არ გვაქვს დაფინანსება კვლევებისათვის საჭირო მექანიზმებისა და დანადგარების შეესაძენად.

მიმდინარე წელს ვაპირებთ მოვიწვიოთ სპეციალისტთა ახალი ჯგუფი, რომელიც იმუშავებს ფლორა-ფაუნის იმუნიტეტის ასამაღლებელი პრეპარატის შექმნაზე, რისთვისაც საჭირო იქნება დაფინანსება, კვლევებისთ საჭირო ხელსაწყოებისა და ქიმიკატების შესაძენად.

ანგარიშის ფორმა № 2

2020 წელს გაწეული სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ანგარიში

ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის კომპიუტერული მეცნიერებების დეპარტამენტის გამოყენებითი ინფორმატიკის კათედრა

კათედრის შემადგენლობა: პროფ. გია სირბილაძე (კათედრის გამგე), ასოც. პროფ. ზურაბ ქოჩლაძე, ასოც. პროფ. ტარიელ ხვედელიძე, ემერიტუს პროფ. რიჩარდ მეგრელიშვილი, ასოც. პროფ. თეიმურაზ მანჯაფარაშვილი, ასისტ. პროფ. გელა ბესიაშვილი, ასოც. პროფ. ფრიდონ დვალიშვილი, დოქტორანტები: დავით მიქაძე, გვანცა წულაია, ოლეგ გუგუნავა, სანდრო შეყლაშვილი, მოწვეული პირები: ასოც. პროფ. ბეჟან ღვაბერიძე, ასოც. პროფ. ირინა ხუციშვილი, ასოც. პროფ. ბიძინა მიდოდაშვილი, ფიზიკა მათემატიკურ მეცნიერებათა კანდიდატები: ანა სიხარულიძე და ბიძინა მაცაბერიძე.

<u>პროფესორი გია სირბილაძე:</u>

1. სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის მიერ ერთობლივად შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

1.1.

№	გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	ახალი აგრეგირების ოპერატორები მრავალკრიტერიუმიანი ჯგუფური გადაწყვეტილების მიღების მეთოდებში ინტუიციონისტური და მაღალი q-რანგის ორთოწყვილური ფაზი - გარემოებებისთვის	2016-მიმდინარე	პროფ. გია სირბილაძე (ხელმძღვანელი); მკვლევარები: მოწვეული პროფ. ანა სიხარულიძე, ასოც. პროფ. ირინა ხუციშვილი, ასოც. პროფ. ბიძინა მიდოდაშვილი, დოქტორანტები: გვანცა წულაია, დავით მიქაძე, ოლეგ გუგუნავა, სანდრო შეყლაშვილი, მაგისტრანტები... მოწვეული პროფესორები: ვარშავის სისტემების კვლევებისა და ინტელექტუალური სისტემების ინსტიტუდიდან,

			აკად. იანუშ კაქპრჟიკი; ბასკეთის ქვეყნის სან-სებასტიანის (ესპანეთი) უნივერსიტეტის ინტელექტუალური სისტემების ჯგუფის წამყვანი მეცნიერ თანამსრომელი, პროფ. რობერტო სანტანა

გრძელდება მუშაობა ამ თემის მიმართულებით. წელს განიხილებოდა ახალი აგრეგირების ოპერატორების აგების საკითხები მრავალკრიტერიუმიანი ჯგუფური გადაწყვეტილების მიღების ამოცანებში მაღალი q, q>1(არაინტუიციონისტური)-რანგის ორთოწყვილური ფაზი - გარემოებისთვის. კვლევა შედის დამამთავრებელ, გადამწყვეტ ფაზაში.

ზოგადად, გადაწყვეტილების მიღების რთულ ამოცანებში, განუზღვრელ პირობებში, როდესაც ობიექტური მონაცემები არასაკმარისია ან საერთოდ არ არსებობს და არსებული მონაცემები მხოლოდ ექსპერტული ბუნებისაა, ეს უკანასკნელი წარმოდგენილი იქნება შემდეგი ორი პოლუსით: ერთი მხრივ ეს არის ფაზი-უზუსტობის კატეგორიები: ფაზი-სიმრავლეები, ფაზი-რიცხვები, ფაზი-მიმართებები, ხოლო მეორე მხრივ ეს არის ფაზი-განუზღვრელობის ზომები, როგორიცაა: შესაძლებლობითი ზომები, დემპსტერ-შეიფერის ნდობის სტრუქტურა. ალბათური ზომები, სუჯენოს λ ზომები და სხვა. კათედრაზე, სემინარული მუშაობის ფარგლებში დავამუშავეთ ინტუიციონისტური და უფრო მაღალი q, q>1(არაინტუიციონისტური)-რანგის ორთოწყვილური ფაზი - გარემოებისთვის აგრეგირების ოპერატორების აგების ამოცანები. გავიარეთ მათი იდენთიფიკაციისა და კლასიფიკაციის საკითხები. შემუშავდა მეთოდები აგრეგირების ოპერატორების ინდიკატორების საფუძვლიანი შესაწავლისთვის.

განსხვავებით წინა წლებისა, მიმდინარე წელს განიხილებოდა ამოცანები, როდესაც ფაქტორებს/კრიტერიუმებს შორის ურთიერთდამოკიდებულება მჟღავნდება მაღალი ხარისხით.

ურთიერთმოქმედი ფაქტორების მქონე კონკრეტული ამოცანებიდან გამომდინარე შეიქმნა წინა პირობა ახალი აგრეგირების ოპერატორების ასაგებად q>1(არაინტუიციონისტური)-რანგის ორთოწყვილური ფაზი-გარემოში. გამოყენებულია დღევანდელ დღეს გადაწყვეტილების მიღების აგრეგირების ინსტრუმენტებიდან გამორჩეული შოკეს ინტეგრალური ტიპის ოპერატორი, რომელიც როგორც ცნობილია გარკვეული ხარისხით აღწერს ფაქტორებს შორის ურთიერთდამოკიდებულებას. მაგრამ როდესაც ურთიერთქმდედების ხარისხები ზალიან მაღალია, კორელაცია კრიტერიუმებს შორის მარელია, შოკეს ინტეგრალის ტიპის აგრეგირებების გამოყენება ალტერნატივების რანჟირებებში არადამაკმაყოფილებელია და საიმედოობას მოკლებულია. ჩვენს მიერ განვითარებულია შოკეს-ს ტიპის ახალი განზოგადოებები, როდესაც განუზღვრელობის და უზუსტობის პოლუსები წარმოდგენილია q>1-რანგის ორთოწყვილური ფაზი-გარემოში. განიხილება შემთხევა, როდესაც გადაწყვეტილების ატრიბუტებს შორის ურთიერთქმედება მაღალი ხარისხითაა წარმოდგენილი, როდესაც კლასიკური, შოკეს ინტეგრალის ტიპის აგრეგირების ოპერტორები ვეღარ იძლევიან დამაკმაყოფილებელ შედეგებს გადაწყევტილების ალტერნატივების რანჟირების ამოცანებში. აქ მნიშვნელოვანი ხდება ატრიბუტებს შორის ყველა შესაძლო ურთიერთქმედების ინდექსებისა და ატრიბუტების მნიშვნელოვნების ხარისხების (შეიფლის ინდექსების) გათვალისწინება აგრეგირების მეორე

პოლუსში - განუზღვრელობის ზომაში. ანუ საჭიროა განუზღვრელობის ზომის (ჩვენს შემთვევაში), მონოტონური ზომის იდენთიფიკაციის ამოცანის გადაწყვეტა K-რიგის ადიციურ ზომებში. ჩვენს ეს გადავწყვიტეთ K =2 -ის შემთხვევაში, სადაც გათვალისწინებულია ყველა წყვილური ურთიერთქმედება. აგრეგირების მეორე პოლუსის სიდიდეები, ექსპერტული შეფასებები კი წარმოდგენილია ზოგადი q>1(არაინტუიციონისტური)-რანგის ორთოწყვილებით.
ზემოდ წარმოდგენილი ამოცანის რეალიზაციის ბაზაზე კონკრეტული პრობლემატიკისთვის, პროექტებისთვის შეიქმნა გადაწყვეტილების მიღების მრავალკრიტერიუმიანი მოდელირება თავისი პროგრამული უზრუნველყოფით. გამოყენებული იქნა კონსტრუირებილი აგრეგირების ოპერატორები. გაკეთდა რიცხვითი გამოთვლები სხვა ცნობილი აგრეგირების ინსტრუმენტებთან შედარების მიზანით. დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ახალი აგრეგირებები წარმოადგენს სანდო და აქტუალურ ინსტრუმენტს, როცა ფაქტორებზე მონაცემები მხოლოდ ექსპერტული ბუნებისაა და აგრეგირებებში გამოყენებულია არასრული ექსპერტული ინფორმაციის ორივე პოლუსი -განუზღვრელობა და უზუსტობა. ახალი აგრეგირებით გამოთვლილმა სკალარულმა სიდიდეებმა ჯგუფური მრავალკრიტერიუმიანი მოდელების ალტერნატივების ოპტიმალური არჩევისა და რანჟირების შესაძლებლობა მოგვცა. ცხადია, რანჟირება გულისხმობს ალტერნატივების დალაგებას საუკეთესოდან უარესი გადაწყვეტილებისკენ.

მიღებულ შედეგებზე მოვამზადეთ სტატიები, რომლებიც დასაბეჭდად წარვადგინეთ მაღალ რეიტინგულ (იმპაქტ-ფაქტორის მქონე) საერთაშორისო ჟურნალებში - Journal of Intelligent & Fuzzy Systems; International Journal of Intelligent Systems; Advanced Control Techniques in Complex Engineering Systems: Theory and Applications; Iranian Journal of Fuzzy Systems; International Journal of Information Technology & Decision Making, და სხვ.
წარმოგიდგენთ მიდინარე წლის სიას:

1. Gia Sirbiladze & Janusz Kacprzyk, Associated fuzzy probabilities in MADM with interacting attributes. Application in multi-objective facility location selection problem, *International Journal of Information Technology & Decision Making, (Accepted for publication)* 2020 .
2. Gia Sirbiladze, Associated Probabilities' Aggregations in Interactive MADM for q-Rung Orthopair Fuzzy Discrimination Environment, *Internationa Journal of Intelligent Systems* 35(3) (2020) 335-372.
ასეთი ამოცანებისათვის დიდი გამოყენება ჰპოვა ღრმა სწავლების მეთოდებმა. ღრმას წავლება არის ერთერთი წამყვანი ტექნოლოგია IT-ში. Deep Learning არის მანქანური სწავლების მეთოდი, რომელიც ასწავლის კომპიუტერებს ადამიანებისთვის დამახასიათებელ ბუნებრივ ქმედებებს. DNN ღრმა ნეირონული ქსელების(და NVIDIA) გამოყენებით ისეთი შედეგის მიღწევა გახდა შესაძლებელი, რაც ადრე შეუძლებელი იყო. ღრმა სწავლებაში კომპიუტერული მოდელი სწავლობს შეასრულოს გამოსახულებების, ტექსტისა და მეტყველების (ხმის) კლასიფიკაციის, გამოცნობისა და პროგნოზირების ამოცანები. მოდელები იწვრთნებიან დიდი რაოდენობის (ეტიკეტირებული) მონაცემებისა და მრავალფენიანი (მრავალშრიანი) ნეირონული ქსელის არქიტექტურის გამოყენებით.

IBM’s Fairness 360 Kit,

OpenAI’s GPT-3.

LMU Munich,Pattern-Exploiting Training (PET)

ანგარიშის ფორმა № 2

2020 წელს გაწეული სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ანგარიში

ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის კომპიუტერული მეცნიერებების დეპარტამენტის პრაქტიკული ინფორმატიკის კათედრა

კათედრის შემადგენლობა: ასოც. პროფ. ირინა ხუციშვილი (კათედრის გამგის მოვალეობის შემსრულებელი), ასოც. პროფ. ბიძინა მიდოდაშვილი, ასოც. პროფ. ნათელა არჩვაძე, ასისტ. პროფ. ლიანა ლორთქიფანიძე.

<u>ასოცირებული პროფესორი ირინა ხუციშვილი</u>

2. შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტით დაფინანსებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

2.1.

№	გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო უცხოეთში მოღვაწე თანამემამულეთა მონაწილეობით ერთობლივი კვლევებისათვის სახელმწიფო გრანტების კონკურსის საგრანტო პროექტი DI_18-293 “სტანდარტული მოდელის ფარგლებში და მის მიღმა ტოპ კვარკების და ჩარმონიუმის საბოლოო მდგომარეობებით პროცესების შესწავლა და ცერნის ATLAS დეტექტორის გამოყენებით ადრონული ტაილ კალორიმეტრის ელექტრონიკის განახლებისათვის სატესტო აღჭურვილობების განვითარება.” მიმართულება: 1. საბუნებისმეტყველო მეცნიერებანი, მიმართულება: 2. ინჟინერია და ტექნოლოგიები.	2018-2021	თამარ ჯობავა - ხელმძღვანელი, ირაკლი მინაშვილი - თანახელმძღვანელი, არჩილ დურგლიშვილი, თამარ ზაქარეიშვილი – ახალგაზრდა მკვლევარები, გელა დევიძე – პროექტის მენეჯერი, ჯემალ ხუბუა, მაია მოსიძე, ირინა ხუციშვილი, აკაკი ლიპარტელიანი, ნუგზარ მოსულიშვილი – მკვლევარები
გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2020 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ:			

მონაწილეობა მივიღე პროექტის მე-2 ამოცანის „ტოპ კვარკის არომატის შემცვლელი ნეიტრალური დენებით გამოწვეული იშვიათი დაშლების ძიება ATLAS ექსპერიმენტის მეორე გაშვების (Run 2) განმავლობაში დაგროვილი მონაცემების გამოყენებით“ ამოცანის შესრულებაში. კერძოდ, ATLAS-ის მე-2 გაშვების დროს დაგროვილი ექსპერიმენტული მონაცემების სრული ნაკრები (დაგროვილი 2015-2018 წლების განმავლობაში) იქნა გაანალიზებული. მონაწილეობა მივიღე ანალიზის პროგრამული კოდის შექმნაში. ტოპ კვარკის არომატის შემცვლელი ნეიტრალური დენებით მიმდინარე იშვიათი დაშლების კვლევისას მნიშვნელოვანია სიგნალის პროცესების კარგი რეკონსტრუქცია და ფონური პროცესების ზუსტი შეფასება. ანალიზის კოდი სიგნალის და ფონური პროცესების რამოდენიმე საკონტროლო არის განსაზღვრის საშუალებას იძლევა მათი მოდელირების შესწავლის მიზნით, ასევე კოდის საშუალებით შესაძლებელია სისტემატიური ცდომილებების შეფასება და შესწალა, რათა შემცირდეს მათი გავლენა ძიების მგრძნობელობაზე. პროგრამული კოდის გამოყენებით შესაძლებელია: ჩატარდეს კომბინირებული მართლმსგავსების ფიტი საკონტროლო და სიგნალის რეგიონებში; ჩატარდეს სრული სტატისტიკური ანალიზი დაყრდნობილი `RooStats` პროგრამულ პაკეტზე; აშნდ დაშლის ფარდობითი ალბათობის საზღვრების გამოთვლა.

2.2.

№	დასრულებული (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	„ცერნ-ის დიდი ადრონული ამაჩქარებლის (ფაზა2) ATLAS ექსპერიმენტში იშვიათი პროცესების შესწავლა“, საგრანტო პროექტი # FR17_184 მიმართულება: 1. საბუნებისმეტყველო მეცნიერებანი, მიმართულება: 2. ინჟინერია და ტექნოლოგიები.	2017 - 2020	თამარ ჯობავა - ხელმძღვანელი, ირაკლი მინაშვილი - თანახელმძღვანელი, არჩილ დურგლიშვილი, თამარ ზაქარეიშვილი – ახალგაზრდა მკვლევარები, გელა დევიძე – პროექტის მენეჯერი, ჯემალ ხუბუა, მაია მოსიძე, ირინა ხუციშვილი, აკაკი ლიპარტელიანი, ნუგზარ მოსულიშვილი – მკვლევარები
დასრულებული კვლევითი პროექტის 2020 წლის ეტაპის შედეგების შესახებ:			

მონაწილეოა მივიღე პროექტის მე-2 ამოცანის „ ATLAS ტაილ კალორიმეტრის გაუმჯობესება LHC-ზე დიდი ნათებისას“ შესრულებაში. კერძოდ, ჩატარდა ATLAS დანადგარის ტაილ კალორიმეტრის დემონსტრატორის მუშაობის კვლევა ტესტური დასხივებების შედეგად მიღებული მონაცემების გამოყენებით, ATLAS ტაილ კალორიმეტრის ფაზა 2-ისათვის დემონსტრატორის ოპტიმიზაციის მიზნით. იმისათვის რომ გამოკვლეულ იქნას დემონსტრატორის მახასიათებლები მისი ტესტური დასხივების შედეგად მიღებული მონაცემების ანალიზი განხორციელდა სხვადასხვა ენერგიების და დამცემი კუთხეების მქონე მიონების გამოყენებით პროგრამული პაკეტის Root-ის ფარგლებში. ამ პაკეტის ფარგლებში ჩემი მონაწილეობით შეიქმნა ანალიზის პროგრამული კოდი, რომლის საშუალებით განხორციელებულ იქნა მონაცემთა შერჩევის ოპტიმიზაცია და ჩამოჭრის კრიტერიუმების დადება მიონების ენერგიებზე.

5. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში

5.5. სტატიები ISSN-ის მითითებით

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ISSN	ჟურნალის/ კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	Gia Sirbiladze, Irina Khutsishvili, Anna Sikharulidze, Teimuraz Manjapharashvili, Roberto Santana	A New Hesitant Fuzzy TOPSIS Approach in Multi-Attribute Group Decision Making	Bulletin of the Georgian National Academy of Sciences, 14(3), 2020, ISSN - 0132 - 1447	Georgian Academy Press Tbilisi	6
ანოტაცია					
წარმოდგენილი მრავალ-ატრიბუტული გადაწყვეტილების მიღების მეთოდოლოგია იყენებს TOPSIS მიდგომას ჰესიტანტურ ფაზი-გარემოში. განიხილება შემთხვევა, როდესაც ინფორმაცია ატრიბუტების წონებზე სრულიად არ არსებობს. ატრიბუტების წონების იდენტიფიკაცია, დაფუძნებული დე ლუკა-ტერმინის ინფორმაციულ ენტროპიაზე, წარმოდგენილია ჰესიტანტური ფაზი-სიმრავლეების კონტექსტში. ალტერნატივების რანჟირება სრულდება ორივე – ფაზი დადებით იდეალურ გადაწყვეტილებასა (FPIS) და ფაზი უარყოფით იდეალურ გადაწყვეტილებასთან (FNIS) სიახლოვის შესაბამისად.					

6. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა უცხოეთში

6.4. სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ციფრული	ჟურნალის/ კრებულის	გამოცემის ადგილი,	გვერდების რაოდენობა

		(დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI ან ISSN	დასახელება და ნომერი/ტომი	გამომცემლობა	
1	Gia Sirbiladze, Irina Khutsishvili and Bidzina Midodashvili	Associated Probability Intuitionistic Fuzzy OWA Operator in Multistage Decision-Making methodology for Optimal Investments	International Journal of Information Technology & Decision Making (Presented for publication) 2020	World Sci. Pub.	35
The Associated Probability Intuitionistic Fuzzy Order Weighted Averaging (As-P-IFOWA) and the Associated Probability Intuitionistic Fuzzy Order Weighted Geometric (As-P-IFOWG) aggregation operators are constructed. Expert's evaluations as arguments of the aggregation operators are described by intuitionistic fuzzy values. Some properties of the constructed operators are presented. The conjugate connections between the constructed operators are shown. The constructed operators are used in the multi-stage methodology of decision making for optimal investment in several projects. The methodology consists of three stages. In the first stage, to reduce a possibly large number of applicants for credit Kaufmann's expertons method is used. In the second stage, the model of refined decisions is constructed. A new modification of the previously proposed possibilistic discrimination analysis method for intuitionistic fuzzy environment is used based on the constructed operators. The projects selected in the first stage are compared in order to identify high-quality ones among them. Finally, the third stage deals with the bi-criteria discrete intuitionistic fuzzy optimization problem whose solution makes it possible to arrange the most advantageous investment in several projects simultaneously. The decision on funding the selected projects is made and an optimal distribution of the allocated investment amount among them is provided. An illustrative real example is considered.					

7. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

7.1. საქართველოში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	ირინა ხუციშვილი	საინვესტიციო პროექტების შერჩევის ამოცანა მერყევ ფაზი გარემოში	მერვე ყოველწლიური საფაკულტეტო კონფერენცია ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში თბილისი - საქართველო 3-7 თებერვალი, 2020 წ.
მოხსენების ანოტაცია			
ნაშრომში განიხილება საინვესტიციო პროექტების შერჩევის ამოცანა მერყევ ფაზი გარემოში. ამ ტიპის ამოცანები განეკუთვნება მრავალკრიტერიუმიანი ჯგუფური გადაწყვეტილების მიღების			

(MCGDM) ამოცანას. პროექტების შერჩევა ხდება შეწონილი კრიტერიუმების სიმრავლის მიხედვით საექსპერტო შეფასებების საფუძველზე, რომლებიც მოიცემა ექსპერტთა ჯგუფის მიერ ლიგვისტური თერმების სახით.

ნაშრომში შემოთავაზებული გადაწყვეტილების მიღების მხარდამჭერი მეთოდოლოგია ეფუძნება TOPSIS (დალაგების ტექნიკა იდეალურ გადაწყვეტილებასთან მსგავსების მიხედვით) მიდგომას მერყევ ფაზი გარემოში. განიხილება შემთხვევა, როდესაც კრიტერიუმების წონები უცნობია. წონების შეფასება კეთდება შენონის ენტროპიის გამოყენებით, განზოგადებული მერყევი ფაზი–სიმრავლისთვის.

პროექტების რანჟირება კეთდება როგორც ე.წ. ფაზი–დადებით იდეალურ, ისე ფაზი–უარყოფით იდეალურ გადაწყვეტილებებთან მანძილის სიახლოვის მიხედვით. შემოთავაზებულ მეთოდოლოგიაში გამოიყენება შეწონილი ჰემინგის მანძილი მერყევი ფაზი–სიმრავლის კონტექსტში. განვითარებული მერყევი ფაზი–TOPSIS მეთოდის ილუსტრირების მიზნით ნაშრომში განიხილება პროექტების რანჟირების მაგალითი.

ასოცირებული პროფესორი ბიძინა მიდოდაშვილი

6. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა უცხოეთში

6.4. სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI ან ISSN	ჟურნალის/ კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	Gia Sirbiladze, Bidzina Matsaberidze, Bezhan Ghvaberidze and Bidzina Midodashvili,	New Multi-Objective Emergency Service Facility Location Selection and Goods Transportation Problem under Q-Rung Orthopair Fuzzy Information	Computers & Industrial Engineering (Prepared for publication) 2020	Elsevier Pub.	
2	S. Kharibegashvili, B. Midodashvili	On the solvability of one boundary value problem for a class of higher-order nonlinear partial differential equations	Mediterranien Journal of Mathematics (Accepted for publication) 2020	Springer	17
3	S. Kharibegashvili, B. Midodashvili	On the Existence, Uniqueness, and Nonexistence of Solutions of One Boundary-Value Problem for a Semilinear Hyperbolic Equation, https://doi.org/10.1007/s11253-019-01713-9	Ukr Math J 71, 1282–1293 (2020).	Springer	1282–1293

1. The goal of this paper is to construct a new model of facilities locations selection problem with transportation constraints under fuzzy uncertain and extreme environments. The factors influencing the decision-making process in planning transportation of goods from selected facilities locations are considered.

Experts evaluate each candidate for humanitarian aid distribution centers (HADC) (service centers) against each uncertainty factor in q-rung orthopair fuzzy sets (q-ROFS). For representation of experts' knowledge in the input data for planning emergency service facilities locations a q-rung orthopair fuzzy TOPSIS approach is developed. Based on the offered fuzzy TOPSIS aggregation a new objective function is introduced which maximizes a candidate HADC's selection index. The HADCs location/transportation problem is reduced to the bi-criteria problem of partitioning the set of customers by the set of service centers: (1) – Minimization of opened HADSs' and goods transportation costs; (2) – Maximization of HADCs' selection index (or Minimization of "not selecting" index). Partitioning type transportation constraints are also constructed. Our approach for solving the constructed bi-criteria partitioning problem consists of two phases: In the first phase, based on the covering's matrix, we generate a new matrix with columns allowing to find all possible partitioning of the demand points with the opened HADCs (service centers). In the second phase, based on the generated matrix and using our exact algorithm we find the partitioning – allocations of the HADCs to the centers - which correspond to the Pareto-optimal solutions. The constructed model is illustrated with a numerical example.

2. The boundary value problem for a class of higher-order nonlinear partial differential equations is considered. The theorems on existence, uniqueness and nonexistence of solutions of this problem are proved.

3. We consider a boundary-value problem for a semilinear hyperbolic equation with iterated multidimensional wave operator in the principal part. The theorems on existence, uniqueness, and nonexistence of solutions of this problem are established.

ასოცირებული პროფესორი ნათელა არჩვაძე

5. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში

5.5. სტატიები ISSN-ის მითითებით

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათა-ური, ISSN	ჟურნალის/ კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	G. Chogovadze, G. Surguladze, N. Topuria, N.Archvadze	Implementation of a prediction model with cloud services. ISSN - 0132 - 1447	საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მოამბე	V.14, n.3	7 გვ.

ანოტაცია

ნაშრომში განხილულია პროგნოზირების მოდელი, რომელიც ეფუძნება ჰეტეროგენული მატრიცების გამოყენებას. პროგნოზირების პროცესი კი დაყვანილია ჰეტეროგენული მატრიცის დამუშავებაზე, რათა გამოვლენილი იყოს პროგნოზირების წინამორბედების ერთობლიობიდან ის კონკრეტული წინამორბედები, რომელთა ერთობლივი გამოყენების საფუძველზე იზრდება მოვლენის ხდომილობა. ნაშრომში შემოთავაზებულია ნივთების ინტერნეტის (IoT) გამოყენების იდეა მხოლოდ გამოყოფილი წინამორბედებისთვის, რაც იძლევა საშუალებას ღრუბლოვანი სერვისების შესაძლებლობები გამოყენებულ იქნას პროგნოზირების ტიპის ამოცანების გადასაწყვეტად ჰეტეროგენული მატრიცების გამოყენების საფუძველზე. დიდ მონაცემთა

სისტემები ასევე მოიცავს პროგნოზირების ამოცანებსაც, ამიტომ Azure IoT Hub გამოყენებულია როგორც მმართველი სერვისი, რომელიც მოთავსებულია ღრუბელში და როგორც hub-ის ცენტრალური მესიჯი მართავს ორმხრივ კომუნიკაციას IoT აპლიკაციასა და მენეჯმენტ მოწყობილობებს შორის. IoT Hub მხარს უჭერს კომუნიკაციებს Rigado-RuuviTag მოწყობილობის გადაწყვეტილებებს ღრუბლამდე და ღრუბლიდან მოწყობილობამდე. IoT Hub-ის მონიტორინგი დაგვეხმარება, რომ უზრუნველყოფილი იყოს სისტემის შეუფერხებელი მუშაობა ისეთ სიტუაციებშიც, როგორიცაა მოწყობილობის გაუმართაობა და მოწყობილობებთან დაკავშირების პრობლემები.

6. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა უცხოეთში

6.4. სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI ან ISSN	ჟურნალის/ კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	Z. Gasitashvili, M. Pkhovelishvili and N. Archvadze	Prediction of Events Means of Data Parallelism doi: 10.1109/ MACISE.2019.00013	*International Conference on Mathematics and Computers in Science and Engineering (MACISE)*	Madrid, Spain, 2019, https://ieeexplore.ieee.org/document/8944725	pp. 32-35
განხილულია პროგნოზირებისათვის შექმნილი ახალი მიდგომა. რომლის ძირითადი არსი მდგომარეობს არსებული პროგნოზირების მეთოდების სუპერკომპიუტერებზე რეალურ დროში ერთობლივ გამოყენებაში და არსებული მოდელებიდან მოცემული მიზნის მისაღწევად რამოდენიმე საპროგნოზე მოდელის ამორჩევაში, რომლებთა ერთობლივი ალბათობა იძლევა ყველაზე უკეთეს შედეგს. განხილულია ამ მიდგომის პრაქტიკული გამოყენების შესაძლებლობა ისეთი ამოცანის გადასაჭრელად როგორიცაა მიწისძვრის პროგნოზირება და ეკონომიკა.					

7. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

7.1. საქართველოში

№	მომხსენებელი	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	ნ.არჩვაძე	დაპროგრამების ენა F#-ის ზარმაცი და ენერგიული გამოთვლების შესახებ, მემოიზაცია	მერვე ყოველწლიური საფაკულტეტო კონფერენცია ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში. 3-7 თებერვალი, 2020, თბილისი
ფუნქციონალური პროგრამირებისთვის გამოთვლების ენერგიული (Force) და ზარმაცი (Lazy) სტრატეგიები ფუნდამენტური ცნებებია. არსებობს მთელი რიგი ენებისა, როგორიცაა,			

მაგალითად, Haskell, რომლებიც იყენებენ გამოთვლების ზარმაც სტრატეგიას.

ფუნქციონალური პროგრამირების ძირითადი ოპერაციაა აპლიკაცია - ფუნქციის გამოყენება არგუმენტზე, ამასთან, თავის მხრივ, არგუმენტი შეიძლება იყოს ფუნქციონალური გამოსახულება, რომელიც შეიცავს დამატებით ფუნქციონალურ გამოძახებებს. მაგალითად:

let NoLongLines f = length (filter IsLineLong (ReadLines f))

f x ფუნქციის გამოძახების ყველაზე ცხადი სტრატეგიაა, თავდაპირველად გამოითვალოს x არგუმენტი და შემდეგ მხოლოდ გამოთვლილი მნიშვნელობა გადაეცეს ფუნქციას. მსგავსად მუშაობს გამოთვლების ენერგიული სტრატეგია. მაგალითში, ჯერ მოხდება ფაილის წაკითხვა, შესრულდება ReadLines f, რის შემდეგაც მოხდება ფილტრაცია, ხოლო შემდეგ გამოითვლება მიღებული სტრიქონების სიგრძე. გამოთვლების ზარმაცი სტრატეგიის შემთხვევაში გამოსახულების გამოთვლა გადაიდება ბოლო მომენტამდე, როცა საჭიროა მისი მნიშვნელობა. მაგალითში ფუნქცია length არგუმენტად ღებულობს ფრჩხილებში მოთავსებულ მთლიან გამოსახულებას, რის შემდეგაც, მაშინ როცა სიგრძის გამოსათვლელად საჭიროა სიის პირველი ელემენტი, ის გამოიძახებს filter ფუნქციას. ეს ფუნქცია, თავის მხრივ, დაასრულებს იტერაციას სიის მიხედვით, გამოიძახებს რა აუცილებლობის შემთხვევაში ReadLines ფუნქციას.

ამრიგად, გამოთვლების ზარმაცი სტრატეგიის დროს საკმაოდ რთულია განსაზღვრო, რა თანმიმდევრობით შესრულდება გამოთვლა.

ასისტენტ პროფესორი ლიანა ლორთქიფანიძე

1. სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის პერსონალის მიერ შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

1.1.

№	გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	ქართული ენის კომბინატორული ონლაინ ლექსიკონი დარგი: ინფორმატიკა მიმართულება: კომპიუტერული ლინგვისტიკა	2018-2020	1. პროექტის ხელმძღვანელი - ლორთქიფანიძე ლიანა 2. პროექტის წამყვანი შემსრულებელი - კლოიანი მანველი
კვლევითი პროექტის 2020 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე) პროექტის 2020 წლის ეტაპის გეგმით გათვალისწინებული იყო კომბინატორული სალექსიკონო ერთეულების მორფოლოგიური და სემანტიკური ზონების გაერთიანება; ფუძეთა			

სალექსიკონო ბაზის ლექსიკური ფუნქციების პარამეტრების მახასიათებლებით შევსება (100 ერთეულამდე); სისტემის ინტერაქტიული რეჟიმის უზრუნველყოფა; ავტომატური ლექსიკონის ტესტირება და მისი შევსება-გაფართოების საბოლოო ინსტრუქციების ჩამოყალიბება; ავტომატური ლექსიკონის ინტერნეტში განთავსება.

სალექსიკონო ერთეულთა მორფოლოგიური და სემანტიკური ზონების გაერთიანება და მათი ურთიერთშეთანხმება, ერთი შეხედვით, წმინდა ტექნიკური, ანუ პროგრამული ამოცანაა. ბუნებრივია, რომ როდესაც მომხმარებელი რომელიმე კონკრეტულ ერთეულს მიმართავს, მას საშუალება უნდა ჰქონდეს ერთეულის შესახებ მაქსიმალურად სრული და სისტემატიზირებული ინფორმაცია მიიღოს, რომელიც მას გამოადგება როგორც ტექსტის წარმოქმნის (სინთეზის), ისე მისი წაკითხვის და გაგების (ანალიზის) დროს.

სათანადო ერთეულის არჩევა შეიძლება დამოკიდებული იყოს კონტექსტზეც, ანუ იმ სიტყვებზე, რომლებიც სინტაქსურად უშუალოდ დამოკიდებულია ასარჩევ ერთეულზე. ამ შემთხვევაში არჩევანი ხშირად განისაზღვრება მოცემული ერთეულის ლექსიკურ ფუნქციათა პარადიგმით (იხ. ქვემოთ). ზოგჯერ კი საჭირო ხდება უფრო იშვიათი (არასტანდარტული) ფუნქციებისადმი მიმართვა.

პროგრამულ-კომპიუტერული თვალსაზრისით, მორფოლოგიური და სემანტიკური ზონების გაერთიანების მთავარ კრიტერიუმს "ეკონომიის პრინციპი" წარმოადგენს, რომელსაც უნდა ექვემდებარებოდეს როგორც ხარჯები, ისე მეხსიერების მოცულობა. მაგალითად, ოპერაციული ხარჯების შესაკუმშად დიდი წვლილი მიუძღვის მორფოლოგიურ ზონას, რომლის გამოყენებით მორფოლოგიური გენერატორი წარმოშობს მთელ პარადიგმას და ამით თავიდან ვიცილებთ ზონაში პარადიგმების სიების შეტანას.

ასევე, სინონიმური მწკრივი შეტანილი იქნება სრული სახით მხოლოდ მისი დომინანტი წევრის სათანადო ზონაში; დანარჩენ წევრებთან მოცემული იქნება მხოლოდ შესაბამის დომინანტაზე მითითება. ანალოგიური ხერხი ნავარაუდევია გადატანითი მნიშვნელობების, მეტაფორების, ანდაზებისა და იდიომების სიმრავლისთვისაც.

ლექსიკური ერთეულის ინფორმაციული ზონების გაერთიანებას, ზემოგანხილულ გამოყენებით მნიშვნელობებთან ერთად, საკმაოდ სერიოზული თეორიული მნიშვნელობაც აქვს. სახელდობრ, სწორედ მაქსიმალურად სრული ინფორმაციის მქონე ერთეულს შეუძლია იმ ფუნქციის დემონსტრირება, რომელიც ბუნებრივი ენის მოქმედ სისტემაში აკისრია სიტყვას.

ეს მოკლე მონახაზი ალბათ საკმარისია იმისთვის, რომ წარმოვიდგინოთ ლექსიკონის და მასში დაგროვილი ინფორმაციის უზარმაზარი წვლილი ენის გლობალურ მოქმედებაში. სახელდობრ, გულისხმობს ბუნებრივი ენის სამივე ფუნდამენტური ასპექტის მოდელირებას: ენის ცოდნას, ამ ცოდნის შექმნას და გამოყენებას.

შედეგი: კომბინატორული ლექსიკონის ბაზა შეივსო ლექსიკური ფუნქციების პარამეტრებით დახასიათებული 100 ერთეულით. მიღებული შედეგების საფუძველზე დაიბეჭდა 4 სამეცნიერო ნაშრომი. კოვიდის ვირუსის ხელისშემშლელი სიტუაციის გამო ლექსიკონის ინტერნეტში განთავსება გადაიდო 2021 წლის 1 მარტამდე.

1.2.

№	დასრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების	პროექტის დაწყების და	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

	დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	დამთავრების წლები	
1	ქართული ენის კომბინატორული ონლაინ ლექსიკონის შემუშავება დარგი: ინფორმატიკა მიმართულება: კომპიუტერული ლინგვისტიკა	2018-2020	ჩიკოიძე გიორგი - პროექტის ხელმძღვანელი, ლორთქიფანიძე ლიანა - პროექტის წამყვანი შემსრულებელი, კლოიანი მანველი - შემსრულებელი, ამირეზაშვილი ნინო - შემსრულებელი, თუშიშვილი ალა - შემსრულებელი, თუშიშვილი მიხეილი - შემსრულებელი, სამსონაძე ლია - შემსრულებელი, ჩუტკერაშვილი ანა - შემსრულებელი, ჯავაშვილი ნინო - შემსრულებელი

დასრულებული კვლევითი პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

ენის მოდელირება თანამედროვე ლინგვისტიკის ერთ-ერთი მეტად მნიშვნელოვანი მიმართულებაა. მისი მთავარი დანიშნულება და მიზანია შექმნას ისეთი სისტემები, რომლებიც იმეორებენ ადამიანის ენობრივ ქცევას, ანუ ახდენენ მოცემული ენის ნებისმიერი ტექსტის ანალიზს (გაგება) ან სინთეზს (წარმოქმნა). სისტემა გულისხმობს კლასიკური სქემის - “შინაარსი| ტექსტი” - ჩამოყალიბებას და, საბოლოო ჯამში, მის კომპიუტერულ რეალიზაციას. შემოთავაზებული პროექტის ფარგლებში ჩამოყალიბდა უნივერსალური სახის ავტომატური კომბინატორული ლექსიკონის მორფოლოგიური და სემანტიკური ზონის შევსების პრინციპები (ქართული ენის სპეციფიკის გათვალისწინებით) და ინტერნეტში განთავსდება ლექსიკონის საპილოტე ვერსია.

პროექტში გამოყენებულია ორი მეთოდი. პირველი – პარადიგმატული, ორიენტირებულია ლექსემათა ისეთი ჯგუფების გამოყოფაზე, რომელთა წევრების შინაარსს მნიშვნელოვანი საერთო ბირთვი აქვთ, მაგრამ, ამავე დროს, რაღაც ნიუანსებით ერთმანეთისაგან განსხვავდებიან და, ამგვარად, ერთმანეთის კვაზი-სინონიმებს წარმოადგენენ. ეს მიდგომა, ერთი მხრივ, კუმშავს ლექსიკური ინფორმაციის მოცულობას, მეორე მხრივ, ავლენს და უფრო თვალსაჩინოს ხდის მის შინაგან სტრუქტურას, რაც მეტად მნიშვნელოვანია როგორც სათანადო ლექსემის ასარჩევად (სინთეზი), ასევე მისი შინაარსის დასადგენადაც (ანალიზი). მეორე მიდგომა – სინტაგმატური, გვთავაზობს ორი უკიდურესად განსხვავებული შემთხვევის გათვალისწინებას: ლექსიკური პარამეტრების ცნება მოიცავს როგორც ლექსიკურ ჩანაცვლებებს, ისე ლექსიკურ ფუნქციებსაც. პირველი მათგანი (ჩანაცვლება) შეესაბამება აბსოლუტურ სინონიმებს, კვაზისინონიმებს, ანტონიმებს და კონვერსივებს, რომლებიც უშუალოდ ან მცირე ტრანსფორმაციის შედეგად ჩაენაცვლებიან ერთმანეთს ტექსტში მისი შინაარსის შეუცვლელად.

ქართული ენის კომბინატორული ლექსიკონის მორფოლოგიურ ზონაზე მუშაობისას ძირითადად

დამუშავდა ქართული ენის გრამატიკის სახელმძღვანელოები და ქართული ენის ლექსიკონები. კომპიუტერული ბაზის შექმნის ტექნოლოგია შემდეგ ეტაპებს მოიცავდა:

- ელექტრონული გრამატიკული ლექსიკონის ლექსიკოგრაფიული სისტემის სტრუქტურის, მისი ნიშნების და იდენტიფიკატორების შემუშავება;
- ელექტრონული გრამატიკული ლექსიკონის პარადიგმული კლასიფიკაციის ალგორითმების შემუშავება და მათი რეალიზაცია;
- პარადიგმული სახით მიწოდებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით მონაცემთა ლექსიკური ბაზის ფორმირება (გრამატიკული კლასებისა და პარადიგმული კლასების ამოსავალ სიტყვათა ავტომატური ინდექსაცია მარკერებით);
- ელექტრონული ტექსტების სახით მიწოდებული პარადიგმების ავტომატური გარდაქმნა ლექსიკოგრაფიულ ბაზად.

სალექსიკონო ბაზის მუშაობის პრინციპების გათვალისწინებით, შეიქმნა კომპილაციური სინთეზის სტრუქტურა. სალექსიკონო ერთეულების საყრდენი სეგმენტების გახმოვანებისთვის გამოყენებულია კომპილაციური სინთეზი. სინთეზის პარამეტრების შერჩევა სალექსიკონო ერთეულების გახმოვანებისას, სხვა ენებთან შედარებით, საკმაოდ გაგვიადვილდა, ვინაიდან ქართული ტექსტი შესაძლებელია მივიჩნიოთ ფონეტიკურად ტრანსკრიბირებულ ტექსტად. გაბმულ მეტყველებაში ცალკეულ ფონემათა აღქმა მინიმუმ მარცვლის კონტექსტში ხდება. ეს კი გვაფიქრებინებს, რომ მეტყველების კომპილაციური სინთეზის საბაზო ეტალონებად ავირჩიოთ მარცვლები, რაც, რა თქმა უნდა, აღემატება ცალკეულ ფონემათა ეტალონების რიცხვს.

გამოყენებული სიგნალის დონის ანალოგური ნორმალიზატორი საშუალებას გვაძლევს მოვახდინოთ შემავალი ბგერითი სიგნალის 60 დბ-მდე ცვალებადობა დავიყვანოთ 3 დბ-მდე გამოსავალზე. ხდება ფონემების ფორმანტული სტრუქტურის შენარჩუნება. აღსანიშნავია, რომ სიტყვის აბსოლუტურ ბოლოში ინტენსივობის შესუსტების გამო ხმოვნების ფორმანტული სტრუქტურის დადგენა გაძნელებული იყო. კომპრესიის შედეგად ეს ხარვეზი გამოსწორდა.

კომპილაციური სინთეზის ალგორითმის სტრუქტურის დამუშავება, სალექსიკონო ბაზის მუშაობის პრინციპების გათვალისწინებით, შედარებით გაადვილდა, ვინაიდან არ გვაქვს გაბმული მეტყველება და, აქედან გამომდინარე, არ დაგვჭირდება გათვალისწინება თანხმოვან ბგერათა ამოვარდნის, მჟღერი ბგერის დაყრუების, ყრუ ბგერის გაჟღერების, მკვეთრი ბგერის შეცვლა ფშვინვიერით და, პირიქით, სისინა ბგერის შეცვლა შიშინათი, მჟღერი-ნაპრალოვნის შეცვლა ნახევარხმოვნით.

საანგარიშო პერიოდში, კომბინატორული ონლაინ ლექსიკონისთვის, ტრადიციული გრამატიკის შესაბამისად, გამოყოფილი იქნა სამი ზონა (მორფოლოგიური, სინტაქსური, სემანტიკური), რომლებიც ენობრივი მოდელის სამივე დონეს შეესატყვისება. ენობრივი მოდელის ფუნქციონირების ტექსტში გამოვლინდა, რომ ეს ინფორმაციული ზონები უბრალოდ “მეზობლები” კი არ არიან, არამედ შერწყმული არიან ერთი და იმავე სალექსიკონო ერთეულის ინფორმაციაში. ეს შერწყმა ვლინდება ენობრივი სისტემის მოქმედების ანუ მისი დინამიკის ფარგლებში, რომლის ყველაზე ზოგად და არსებით მახასიათებლებს წარმოადგენს ორმიმართულებიანობა და პარალელიზმი.

პარალელური მიმართულება ემთხვევა ტექსტის მეტყველების წარმოქმნის / აღქმის გზას; სწორედ ამ გზით ვითარდება გამონათქვამის აღქმა / წარმოქმნასთან ერთად მისი აღწერის, მისი სტრუქტურის ყოველი დონე, ფონეტიკურ / გრაფიკულიდან დაწყებული და

სემანტიკურ/პრაგმატიკულით დამთავრებული, რაც ფაქტობრივად ამოწურავს “შინაარსი↔ტექსტი” ენობრივი მოდელის მოქმედების არეს.

ორმიმართულებიანობა ვლინდება, გარკვეული თვალსაზრისით “პერპენდიკულარული” (“ვერტიკალური”, პარადიგმატული) მიმართულებით: მის რეალიზაციას წარმოადგენს ურთიერთობა პარალელურად მოქმედ დონეებს შორის. სწორედ ამ მიმართულებით ხდება “შინაარსი↔ტექსტი” მოდელის გლობალური ამოცანის გადაწყვეტა, ანუ ორმხრივი გადასვლა გამონათქვამის შინაარსიდან მის გამოხატულებამდე (სინთეზი) და პირიქით (ანალიზი).

აქედან გამომდინარე, ინფორმაციის ზონების “ურთიერთშერწყმა” გულისხმობს იმ მხარდაჭერას, რომელიც ამ მონაცემებმა უნდა გაუწიონ შესაბამის დონეებს მათ ინტრადონებრივ კავშირებში და მიმართებებში.

კომბინატორულ-განმარტებითი ლექსიკონის სემანტიკური დონე ლექსიკური ფუნქციებითაა წარმოდგენილი. ლექსიკური ფუნქციების სისტემას მოდელის ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად მრავალმხრივი პოტენციალი გააჩნია. მათი ნაწილი, პირველ რიგში, “ჩანაცვლებები” (Syn, Der, Conv) ორიენტირებულია სინონიმურ გარდაქმნებზე. სიტყვათა კორექტულ კომბინატორიკას (სინონიმური გარდაქმნების დროს) უზრუნველყოფს Oper, Func, Labor ფუნქციები, მაგრამ მათ ძირითად დანიშნულებას წარმოადგენს შესაბამისი ლექსემის (ანუ ზმნის) სემანტიკური დახასიათება. ლექსემის სემანტიკური ნიშნების (“პრიმიტივების”) შესაძლებლობას იძლევა ფუნქციები Gener, Mult, Incep, Proper და ა.შ. ლექსიკური ფუნქციების და სუპერ-პარადიგმები ნიადაგს ამზადებს სემანტიკური ნიშნების სისტემის ჩამოსაყალიბებლად, რომლებითაც შესაძლებელია ლექსემის სემანტიკის ფორმალიზებული აღწერა.

პროექტის ფარგლებში ჩვენს მიერ უკვე შევსებულია კომბინატორული ლექსიკონის მორფოლოგიური და სინტაქსური დონის ძირითადი ნაწილი. ლექსიკური ფუნქციების შევსების ჩანართში მომხმარებელი გაეცნობა ლექსიკური ფუნქციების სრულ ჩამონათვალს და აღწერას. სალექსიკონო ერთეულების ლექსიკური ფუნქციებით აღწერა უნდა შესრულდეს EXCEL-ის კომპიუტერულ ფაილში, რომელიც შეიძლება ჩამოიტვირთოს ლექსიკური ფუნქციების შევსების ჩანართიდან. ხოლო გამზადებული სახით ასევე შეიძლება აიტვირთოს ლექსიკონის ვებ-გვერდზე.

ქართული ენის კომბინატორული ლექსიკონის შექმნის გამოცდილებამ აჩვენა, რომ ამ მიმართულებით შედარებით მცირე დანახარჯების დროსაც კი შეიძლება მიღებულ იქნას სამეცნიერო თვალსაზრისით საინტერესო და პრაქტიკული გამოყენების პერსპექტიული შედეგები. როგორც ჩანს, პროგრამისტებისა და ენათმეცნიერების მცირე ჯგუფმაც კი ძალზე შეზღუდულ და გარკვეულ ვადებში შეიძლება მოახდინოს ონლაინ კომბინატორული ლექსიკონის კომერციულ დონეზე დაყვანა, როგორც შინაარსობრივი, ისე გარეგნულად სამომხმარებლო გაგებით. მაგალითად, ეს და სხვა მსგავსი ონლაინ-ლექსიკონები, რომლებიც დაფუძნებულია იმავე ქართული ენის კომბინატორულ, განმარტებით და გრამატიკულ ლექსიკონებზე, შეიძლება გახდეს პირველი ზოგადი გამოყენების უაღრესად სასარგებლო პროდუქტი ქართული ენის შემსწავლელთათვის. მეორეც, ასეთი ლექსიკონები შეიძლება გახდეს ხელსაყრელი ინსტრუმენტული გარემო ენათმეცნიერების და მასთან დაკავშირებული პროფესიების მკვლევარებისთვის. მესამე, კომბინატორული ლექსიკონები შეიძლება გახდეს უნივერსალური სემანტიკური (ონტოლოგიური) ქსელების საფუძველი, რომლის მხარდაჭერის გარეშე წარმოუდგენელია სერიოზული პროგრესი ბუნებრივი ენის ავტომატური დამუშავების

სფეროში.

5. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში

5.5. სტატიები ISSN-ის მითითებით

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათა-ური, ISSN	ჟურნალის/ კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
2	ლ. ლორთქიფანიძე	GeWordNet თესაურუსის გამოყენება ქართულენოვან დიალოგურ სისტემაში ISSN 0135-0765	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არჩილ ელიაშვილის მართვის სისტემების ინსტიტუტის შრომათა კრებული №24	თბილისი შპს „საჩინო“	8 გვ.
3	ლ. ლორთქიფანიძე	ქართული ენის კომბინატორული ლექსიკონი ISSN 0135-0765	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არჩილ ელიაშვილის მართვის სისტემების ინსტიტუტის შრომათა კრებული №24	თბილისი შპს „საჩინო“	7 გვ.

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1. სტატიაში გამოკვლეულია ქართული ენის ავტომატური დამუშავების ძირითადი ეტაპები: მორფოლოგიური, სინტაქსური და სემანტიკური ანალიზი. ნაჩვენებია კავშირი GeWordNet თესაურუსის სემანტიკური მოდელის, საძიებო მოთხოვნის, მონაცემთა ბაზის შიდა წარმოდგენის და დიალოგური სისტემის სუბიექტებს შორის.

შემოთავაზებულია GeWordNet თესაურუსის სემანტიკური მოდელის გამოყენება მონაცემთა ბაზებთან ქართულენოვანი სამომხმარებლო ინტერფეისის დასაკავშირებლად. ნაჩვენებია სემანტიკურ მოდელში მოცემული მონაცემების გარდაქმნა მოთხოვნის შუალედურ K-რეპრეზენტაციაში და შემდგომ მისი SQL ბაზის მოთხოვნად გარდაქმნა წინასწარგანსაზღვრული შაბლონის საფუძველზე.

აღწერილია GeWordNet თესაურუსის სემანტიკური მონაცემთა ბაზის მოდელის გამოყენების მაგალითი მომხმარებლის ქართულენოვანი ინტერფეისით. ნაჩვენებია NL (Natural Language) ბუნებრივენოვანი შეკითხვის მონაცემთა ბაზის SQL მოთხოვნაზე გადაყვანის მაგალითი.

შემოთავაზებული მიდგომის საფუძველზე გადაწყდება მომხმარებლის ბუნებრივენოვან შეკითხვაზე დაფუძნებული მოთხოვნის შესაბამისი ინფორმაციის GeWordNet თესაურუსის მონაცემთა ბაზაში მოძიების საკითხი.

2. სტატიაში აღწერილია ქართული ენის კომბინატორული ლექსიკონის ერთეულებს შორის პარადიგმატული, სინტაქსური და სინტაგმატური კავშირები. ლექსიკონი ამჟამად შეიცავს 3 მილიონ კავშირს მის 100,000 ჩანაწერს შორის. ბმულები პარადიგმატულია (ძირითადად მორფოლოგიური), სინტაქსური (ზმნურ-აქტანტური მიმართებები) ან სინტაგმატური (ლექსიკური ფუნქციები). ლექსიკონის სიტყვა-სტატიები ერთი ან მრავალსიტყვიანია

(შესიტყვებები). ისინი ეკუთვნის მეტყველების ოთხ ძირითად ნაწილს: სახელი, ზმნა, ზედსართავი სახელი, ზმნიზედა. სალექსიკონო ერთეულები წარმოადგენენ ეგრეთ წოდებულ გრამატიკულ ფორმებს და არა ლექსემებს: მაგ., სახელები წარმოდგენილია სახელობითი ბრუნვის მხოლობით რიცხვში; ზმნები წარმოდგენილია საწყისებად და მასთან დაკავშირებული ზმნის მყოფადის მხოლობითი რიცხვის მესამე პირის ფორმით. სალექსიკონო ერთეულებად წარმოდგენილი შესიტყვებები, თავის მხრივ, შეიძლება იყოს იდიომატურად თავისუფალი.

ანგარიშის ფორმა № 2

2020 წელს გაწეული სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ანგარიში

ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის კომპიუტერული მეცნიერებების დეპარტამენტის ტექნიკური ინფორმატიკის კათედრა

კათედრის შემადგენლობა: პროფესორი მანანა ხაჩიძე - კათედრის გამგე, ასოც. პროფ. მაგდა ცინცაძე, ასოც. პროფ. ლელა მირცხულავა, ასისტ. პროფ. მაია არჩუაძე, ასისტ. პროფ. პაპუნა ქარჩავა.

2. შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტით დაფინანსებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

2.1.

№	გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	2	3	4
	NTRU-ზე დაფუძნებული კრიპტოსისტემების დიზაინი და ანალიზი ფორმალური მეთოდების გამოყენებით. TÜBİTAK – SRGNSF ერთობლივი პროექტი. დარგი: ინფორმაციის უსაფრთხოება და კრიპტოგრაფია, ფორმალური ანალიზი.	2018-2021	მკვლევარი
გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2020 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)			
პროექტი შეეხება NTRU-ზე დაფუძნებული კრიპტოგრაფიული პროტოკოლების მოდიფიკაციას და ანალიზს ფორმალიზმში, რომელიც მიღებულია ლოგიკური პროგრამირების პირობითი გადაწერის წესების კომბინაციით. პროექტის მიზანია პოსტ-კვანტური კრიპტოგრაფიული პროტოკოლების ფორმალური ანალიზი. ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით ასეთი პროტოკოლების ფორმალური ანალიზისათვის სისტემა ჯერ არ არსებობს. უფრო მეტიც, ცნობილია, რომ NTRU-ზე დაფუძნებული კრიპტოსისტემების ფორმალური ანალიზი არ არის ღრმად შესწავლილი. აგრეთვე მნიშვნელოვანია, რომ შევისწავლოთ სასრულ რგოლებზე მოდულარული ოპერაციების თვისებების ფორმალური ვერიფიკაცია. მეთოდები, რომელსაც გამოვიყენებთ პროექტში დაფუძნებულია ძებნისა და გადაწყვეტადობის პრობლემებზე, ასევე ალგებრული ტექნიკების სხვადასხვა ინტერპრეტაციაზე. ჩვენ გამოვიყენებთ ამ მეთოდოლოგიას			

NTRU-ზე დაფუძნებული კრიპტოსისტემების კოდირებისა და (ნახევრად) ავტომატური ანალიზისათვის გაფართოებულ ρLog აღრიცხვაში.

3. უცხოური გრანტებით დაფინანსებული სამეცნიერო პროექტები

3.1. გარდამავალი პროექტი

№	გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი, დამფინანსებელი ორგანიზაცია/ სამეცნიერო ფონდი, ქვეყანა	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	2	3	4
	ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის საერთაშორისო ინტერდისციპლინარული ქსელი ციფრულ age-friendly სამყაროში. (COST Association, Horizon 2020) COST Association – European Cooperation in Science & Technology project “International Interdisciplinary Network on Health and Wellbeing in an Age-friendly Digital World” funded by Horizon 2020 Framework Programme of the European Union. Secondary Proposer.	2020-2024	მკვლევარი
გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2020 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)			

5. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში

5.5. სტატიები ISSN-ის მითითებით

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათა-ური, ISSN	ჟურნალის/ კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1.	მ. ცინცაძე, მ. ხაჩიძე, ლ. მამისაშვილი, ე.შიშნიაშვილი, ა. თურქიაშვილი	ავტოენკოდერი და ლოჯისტიკური რეგრესია: საკრედიტო ბარათების თაღლითობის გამოვლენის ალგორითმები და მათი შედეგები	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ა.ელიაშილის მართვის სისტემების ინსტიტუტის შრომათა კრებული № 24, 2020 წ.	თბილისი შპს „საჩინო“	6

6. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა უცხოეთში

6.4. სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI ან ISSN	ჟურნალის/ კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	მ. ხაჩიძე მ. ცინცაძე მ. არჩუაძე გ. ბესიაშვილი	One Model Of Software Fault Identification Theoretical Model	On - IOSR Journal of Computer Engineering, ISSN : 2278-8727(2020)	www.iosrjournals.org	8
2	დ.ხაჩიძე მ. ხაჩიძე	The Effect of Weight and Height Change Caused by Age-Related Growth on the Biomechanical Parameters of Wrestlers	IOSR Journal of Sports and Physical Education (IOSR-JSPE) e-ISSN: 2347-6737, p-ISSN: 2347-6745, Volume 7, Issue 3, (May - June 2020), PP 58-61	www.iosrjournals.org	4
4	ლელა მირცხულავა ლელა თვალიაშვილი ლუკა თვალიაშვილი	Environmental Monitoring In Flammable Climate Zones Over IoT Cloud. 1473-804x	International Journal of Simulation: Systems, Science and Technology. ტომი 21	ნოტინგემი, გაერთიანებული სამეფო, 2020	6
5	ერეკლე შიშნიაშვილი ლიზი მამისაშვილი ლელა მირცხულავა	Enhancing IoT Security Using Multi-Layer Feed Forward Neural Network With Tree Parity Machine Elements 1473-804x	International Journal of Simulation: Systems, Science and Technology. ტომი 21	ნოტინგემი, გაერთიანებული სამეფო, 2020	5
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)					

7. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

7.2. უცხოეთში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი

1	ლელა მირცხულავა. UKSim2020, 2020 22nd UKSIM-AMSS International Conference on Modelling and Simulation. University of Cambridge, UK. 2020	1. Environmental Monitoring In Flammable Climate Zones Over IoT Cloud. 2. Enhancing IoT Security Using Multi-Layer Feed Forward Neural Network With Tree Parity Machine Elements	კემბრიჯის უნივერსიტეტი, გაერთიანებული სამეფო. 2020
მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა)			

ანგარიშის ფორმა № 2

2020 წელს გაწეული სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ანგარიში

ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის კომპიუტერული მეცნიერებების დეპარტამენტის თეორიული ინფორმატიკის კათედრა

კათედრის შემადგენლობა: პროფ. ალექსანდრე გამყრელიძე (კათედრის გამგე), ასოც. პროფ. ლელა ალხაზიშვილი, ასოც. პროფ. ბეჟან ღვაბერიძე, ასოც. პროფ. რევაზ ქურდიანი, ასისტ. პროფ. გურამ კაშმაძე

5. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში

5.5. სტატიები ISSN-ის მითითებით

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ISSN	ჟურნალის/ კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	L. Alkhazishvili, M. Iordanishvili	The variation formula of solution for the linear differential equation considering the mixed initial condition and perturbation of delays. ISSN 1512-0066	Semin. I. Vekua Inst. Appl. Math., Rep., 46 (2020). ISSN 1512-0066	Publishing House of VIAM Tbilisi	4

7. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

7.1. საქართველოში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1.	ალექსანდრე გამყრელიძე, რევაზ ქურდიანი	კომპიუტერული ტოპოლოგია და ლის ალგებრა ხელოვნურ ინტელექტში	მერვე ყოველწლიური საფაკულტეტო კონფერენცია ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში თბილისი - საქართველო 3-7 თებერვალი, 2020 წ.
2.	ბეჟან ღვაბერიძე	დანიშვნის ორკრიტერიუმიანი ამოცანის შესახებ	
3.	გურამ კაშმაძე	კვანტური ლამბდა აღრიცხვა	

ანგარიშის ფორმა № 2

2020 წელს გაწეული სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ანგარიში

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის კომპიუტერულ მეცნიერებათა დეპარტამენტის სასწავლო-სამეცნიერო ლაბორატორია

ჯულიეტა გაგლოშვილი - ლაბორატორიის ხელმძღვანელი;
მაკა ოდილაძე - უფროსი ინჟინერი;
ირმა ასლანიშვილი - უფროსი ინჟინერი;
ცოტნე მსხალაძე - უფროსი ინჟინერი

5. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში

5.5. სტატიები ISSN-ის მითითებით

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათა-ური, ISSN	ჟურნალის/ კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1.	Tariel Khvedelidze, Irma Aslanishvili.	On the Behavior of One Finite Automaton in a Fuzzy Environment.	Proceedings of the 2nd International Conference on ICT for Digital,Smart and Sustainable Development. pp. 452-456.	Hamdard Nagar, New Delhi, India. '20	5

7. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა
7.1. საქართველოში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	ჯულიეტა გაგლოშვილი	ინოვაციური იდეების შეფასება TOPSIS მეთოდის ბაზაზე - „გეო იდეამეტრიკაში“ მრავალკრიტერიუმიანი ექსპერტული შეფასებათა	თსუ თბილისი 2020 წ. მერვე ყოველწლიური საფაკულტეტო სამეცნიერო კონფერენცია ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებში.

		სისტემა	

ანოტაცია: ინოვაციური იდეების შეფასება TOPSIS მეთოდის ბაზაზე - „გეო იდეამეტრიკაში“. მრავალკრიტერიუმიანი ექსპერტული შეფასებათა სისტემა

ინოვაციური იდეების მართვის ამოცანებში გადაწყვეტილებების მიღების მხარდამჭერი ექსპერტული სისტემისათვის „გეო იდეამეტრიკა“ დამუშავება ალგორითმი TOPSIS-ის მეთოდის გამოყენებით და შესრულდა შედეგების კომპიუტერული რეალიზაცია.

მეთოდი TOPSIS-ი (The Technique for Order Preference by Similarity to the Ideal Solution), საშუალებას იძლევა, არსებული ინსტრუმენტალური მიდგომების დახმარებით გამოვრიცხოთ შეფასების ექსპერტული მეთოდის ზოგიერთი ხარვეზი ან შევძლოთ მათი გაუმჯობესება. მეთოდი მოდიფიცირებულია ინოვაციური იდეების მართვის სისტემისათვის.


TOPSIS მეთოდის ძირითადი იდეა მდგომარეობს იმაში, რომ ყველაზე სასურველი ალტერნატივა არა მხოლოდ ახლოს უნდა იდგას იდეალურ გადაწყვეტასთან, არამედ სხვა ალტერნატივებთან შედარებით მიუღებელ გადაწყვეტილებებთან დაშორებული უნდა იყოს ყველაზე მეტად. აქ ყველაზე საუკეთესო (ოპტიმალური) ამოხსნა წარმოადგენს ვექტორს, რომელსაც გააჩნია მაქსიმალური მნიშვნელობები თითოეული მახასიათებლის მიხედვით სხვა ალტერნატივებთან შედარებით, ხოლო მიუღებელი (ყველაზე ცუდი) ამოხსნა არის ვექტორი, რომელსაც გააჩნია მინიმალური მნიშვნელობები თითოეული მახასიათებლისთვის. როგორც TOPSIS მეთოდის არსიდან გამომდინარეობს, ამ უკანასკნელის გამოყენებით საკმაოდ ეფექტურად არის შესაძლებელი არამკაფიო მრავალკრიტერიუმიანი ამოცანების გადაჭრა, რომლებიც წარმოადგენენ გადაწყვეტილებების მიღების მხარდაჭერის მათემატიკურ საფუძველს, ინოვაციური იდეების მართვის სიტემის ამოცანებში. გადაწყვეტილებათა მიღების თეორიაში მრავალკრიტერიულ ოპტიმიზაციაში იგულისხმება საუკეთესო გადაწყვეტილების არჩევა შესაძლო ალტერნატივებს შორის.

TOPSIS მეთოდის გამოყენებით ინოვაციური იდეების შეფასების ამოცანის დეტალები

ინოვაციური იდეების შეფასების ამოცანაში დაშვებების და შეზღუდვების შემდეგი დეტალებია გათვალისწინებული:

1. ამოცანის გადაწყვეტაში მონაწილეობენ კვალიფიციური შემფასებელი (შემფასებლები) და ექსპერტები.
2. ალტერნატივების მაჩვენებლები და შესაბამისად მახასიათებლები არის მხოლოდ ხარისხობრივი ტიპის;
3. შემფასებლის მიერ შეფასების ძირითადი პროცედურის დაწყებამდე საატის წყვილებად შედარების მატრიცის გამოყენებით უნდა დადგინდეს მაჩვენებლების და შესაბამისად მახასიათებლების მნიშვნელოვნების კოეფიციენტები;
4. მაჩვენებლების და მახასიათებლების ორ დონიანი სტრუქტურიდან მახასიათებლების ერთ დონიან სტრუქტურაზე დაყვანა და შესაბამისად მახასიათებლების წონების გამოთვლა მაჩვენებლების და მახასიათებლების მნიშვნელოვნების კოეფიციენტების გამოყენებით. ამ მეთოდში წინა მეთოდისაგან განსხვავებით, სადაც ალტერნატივის ინტეგრალური მნიშვნელობის გამოთვლის დროს გათვალისწინებული იყო მაჩვენებლების წონები, ითვალისწინება მახასიათებლების წონები;
5. მეთოდში გამოყენებულია ექსპერტების კომპეტენციის კოეფიციენტები;

შემფასებელმა ინოვაციური იდეების შეფასების ძირითადი პროცედურის დაწყებამდე უნდა მოახდინოს ექსპერტთა ჯგუფის ფორმირება და განსაზღვროს ამ ჯგუფის ექსპერტების გადაწყვეტილებებში კონსენსუსის და სიახლოვის ხარისხი



ოპტიმიზაციის ამოცანების გადაწყვეტა TOPSIS გამოყენებით გულისხმობს, იმ ხარისხობრივი ლინგვისტური ცვლადების მნიშვნელობათა გადაყვანას არამკაფიო რიცხვებში, რომლებიც მიუთითებენ, რომ ესა თუ ის ალტერნატივა რა მიკუთვნებით შეესაბამება შეფასების კრიტერიუმებს.

საკვანძო სიტყვები: იდეამეტრიკა, TOPSIS, ინოვაციური იდეების რანჟირება

Annotation: Multi- Criteria Expert Assessment System Of Innovative Ideas On The Basis Of Topsis Method In Geo Ideametrik

For the purpose of formation of efficient portfolio, other mechanism of assessment, ranging and selection of innovation ideas is proposed in the paper, in particular, multi-criteria method of analysis according to the proximity with optimal – TOPSIS (Technique for Order of Preference by Similarity to Ideal Solution), which is also based on the theory of fuzzy sets and hierarchic representation of assessment indicators. The procedures of formation and use of fuzzy scale are developed, and the peculiarities of determination of trapezoid, fuzzy numbers, corresponding to linguistic variables are determined. Relative coefficients of importance of the relevant characteristics, corresponding to the indicators and weights, denoting experts' competence are used for obtaining of integral assessment of each idea. Specific procedures of their calculation are given.

The algorithm of multi-criteria expert assessment of innovative ideas is created using TOPSIS method, transfer of coefficients of experts' competence, indicators and features from hierarchic two-tier system to

one-tier system, using procedures of calculation of coefficients of the values of indicators and features

F e a t u r e s	TOPSIS
Only qualitative feature	Yes
Only quantitative feature	No
Mixed – qualitative and quantitative	No
Consideration of experts' competences	Yes
Agreement of experts	Yes
Consideration of weights of the indicators	Yes
Consideration of weights of the features	Yes
Consideration of coefficients of indicators and features	Yes

Computer system of innovative idea management, based on web technology, was developed. The abovementioned software product is also a novelty in Georgian reality. In out opinion, it is a comfortable tool for decision-maker to assess the existing ideas with certain preciseness as early as on initial stage and select the best ideas out of them.

Use of the outcomes is possible for "express assessment" and selection of project proposals, projects and, in general, any number of multiplicity of alternatives. So, the above mentioned web product may be interesting for the organizations, oriented towards project assessment/selection, local self-governances, tender organizations, organizations, planning start-ups and similar contests, various foundations, banks, etc. The methods and the system as the whole can be introduced in educational process.

The results of theoretical researches are integrated into idea management system, testing, development, patenting and introduction of which will be one of the key outcomes of this Project.

Key words: Geo Ideametrik, TOPSIS, Intellectual System

7.2. უცხოეთში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1.	Irma Aslanishvili	SMART MODELS OF 5G NETWORK IN GEORGIA	Hamdard Nagar, New Delhi, India. 20
2.	Irma Aslanishvili	SMART MODELS OF COMPUTER SENSOR NETWORKS IN GEORGIA 2nd International Webinar entitled "Impact of Covid'19 on Technology with reference to Sustainable Development	Hamdard Nagar, New Delhi, India. 20

		Goals”	
3.	Irma Aslanishvili	“SMART CITIES IN THE GLOBAL SCENARIO” Jamia Hamdard organised an International Webinar	Hamdard Nagar, New Delhi, India. [illegible] '20
4.	Tariel Khvedelidze, Irma Aslanishvili.	On the Behavior of One Finite Automaton in a Fuzzy Environment.	Hamdard Nagar, New Delhi, India. [illegible] '20

3	J. Gielis , **I.Tavkhelidze**	The general case of cutting of Generalized Möbius-Listing surfaces and bodies	4 open 2020, 3, 7 - https://doi.org/10.1051/fopen/2020007	Published by EDP Sciences, 2020 www.4open-sciences.org	49
4	*G. Giorgadze, G.Gulagashvili	Riemann-Hilbert Boundary Value Problem with Piecewise Constant Transition Function Journal of Dynamical and Control Systems.	Journal of Dynamical and Control Systems (2020). https://doi.org/10.1007/s10883-020-09524-z	Springer -Nature	
5	***O. Jokhadze**, S. Kharibegashvili	Solvability of a Mixed Problem with Nonlinear Boundary Condition for a One-Dimensional Semilinear Wave Equation, DOI: 10.1134/S0001434620070123	*Mat.Zametki* **108** (2020), no. 1, 137–152 (in Russian). English transl.: *Math. Notes* **108** (2020), no. 1, 123–136.	Moscow	16
6	***O.Jokhadze**, S. Kharibegashvili, N. Shavlakadze	The contact problem for elastic plate, on the border which is adhered nonlinearly deformable stringer of finite length	*Prikl. Mat. i Mech.* **84** (2020), no. 5, 640-649 (in Russian). Eng. transl.: *J. Appl. Math. Mech.* **84** (2020).	Moscow	10

ვრცელი ანოტაცია (ქართულენაზე)

1) არაწრფივი ოპტიმიზაციის ამოცანისთვის დაგვიანებით მიღებულია ოპტიმალურობის აუცილებელი პირობები. დაგვიანებისთვის ტოლობის სახით,ხოლო მართვისთვის გაწრფივებული მაქსიმუმის პრინციპის ფორმით.

2) არაწრფივი შეშფოთებული დიფერენციალური განტოლებისთვის დაგვიანებით და წყვეტილი საწყისი პირობით დამტკიცებულია ამონახსნის წარმოდგენის ლოკალური ფორმულა. ფორმულაში გამოვლენილია საწყისი მონაცემების შეშფოთების ეფექტები.

3) მრავალი ასპექტით განხილულია განზოგადებული მებიუს-ლისტინგის სხეულების საბაზისო წირის პარალელურად განკვეთის საკითხები, როდესაც სხეულის რადიალური კვეთი ნებისმიერი სიმეტრიის მქონე მრავალკუთხედია და სხეულის „გრეხვაც“ ნებისმიერი რაოდენობითაა შესაძლებელი

4) ნაჩვენებია, რომ რიმანის სფეროზე განსაზღვრული ისეთი რეგულარული სისტემისათვის, რომლისთვისაც ყველა განსაკუთრებული წერტილი პირველი რიგის პოლუსია გარდა უსასრულობის, არსებობს რაციონალური მატრიცული ფუნქცია, რომლის კერძო ინდექსები ემთხვევა სისტემისაგან ინდუცირებული კანონიკური ფიბრაციის გახლეჩვის ტიპს. ნაჩვენებია, აგრათვე, რომ შესაბამისი რიმან-ჰილბერტის სასაზღვრო ამოცანის ამონახსნები ემთხვევა ინდუცირებული კანონიკური ფიბრაციის ჰოლომორფულ კვეთებს.

5) შესწავლილია შერეული ამოცანა ტალღის ერთგანზომილებიანი ნახევრად არაწრფივი განტოლებისათვის არაწრფივი სასაზღვრო პირობებით. როგორც განტოლებაში, ასევე სასაზღვრო პირობებში მონაწილე არაწრფივობის ბუნების გათვალისწინებით გამოკვლეულია დასმული ამოცანის ერთადერთობის, ლოკალური და გლობალური ამოხსნადობის საკითხები. განხილულია ამონახსნის არარსებობის შემთხვევები არა მარტო გლობალურად, ასევე ლოკალურადაც კი და აგრეთვე, როცა ამოცანას აქვს ფეთქებადი ამონახსნი

6) განხილულია მექანიკური ველის მოძებნის ამოცანა ერთგვაროვან ნახევარსიბრტყეში, რომელიც გამაგრებულია ჰუკის არაწრფივ კანონს დაქვემდებარებული სასრული ერთგვაროვანი სტრინგერით. ფირფიტასა და სტრინგერს შორის კონტაქტი ხორციელდება წებოს თხელი ფენით. დასმული ამოცანა ექვივალენტურად დაიყვანება არაწრფივ სინგულარულ ინტეგრო-დიფერენციალურ განტოლებაზე, რომლის ამონახსნის არსებობა შაუდერის უძრავი წერტილის პრინციპის გამოყენებით, ხოლო დასმული ამოცანის ერთადერთობა ენერგეტიკული უტოლობების გამოყენებით მტკიცდება. მცირე პარამეტრის მეთოდის გამოყენებით არაწრფივი სინგულარული ინტეგრო-დიფერენციალური განტოლება დაიყვანება მეორე გვარის წრფივ სინგულარულ ინტეგრალურ განტოლებათა რეკურენტულ სისტემაზე

6. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

6.1. საქართველოში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენებისსათაური	ფორუმისჩატარების დროდაადგილი
1	თ. თადუმაძე	ორსაფეხურიანი ვარიაციული ამოცანის ამონახსნის არსებობის შესახებ	თსუ მე- 8 ყოველწლიური საფაკულტეტო კონფერენცია ზუსტ და საბუნებისმეტყვე-

			ლო მეცნიერებებში, 3-7 თებერვალი, 2020
2	თ. თადუმაძე	ზოგიერთი კლასის ორსაფეხურიანი ექსტრემალური ამოცანების ამონახსნების არსებობის შესახებ	თსუ გმი სემინარის XXXIV საერთაშორისო გაფართოებული სხდომები, 17 სექტემბერი, 2020
3	რ. კოპლატაძე	n-რი რიგის დაგვიანებულ არგუმენტებიანი წრფივი ჩვეულებრივი დიფერენციალური განტოლების ამონახსნების რხევადობის ინტეგრალური საკმარისი პირობები	თსუ გმი სემინარის XXXIV საერთაშორისო გაფართოებული სხდომები, 17 სექტემბერი, 2020
4	რ. კოპლატაძე	n -ური რიგის წრფივი ჩვეულებრივი დიფერენციალური განტოლების ამონახსნების რხევადობის ინტეგრალური პირობები	თსუ მე- 8 ყოველწლიური საფაკულტეტო კონფერენცია ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში, 3-7 თებერვალი, 2020
5	**ი. თავხელიძე,** ი. ჰილისი, ს. პინელასი	„რთული“ კონფიგურაციის გეომეტრიული სხეულების ფართე კლასის ანალიზური წარმოდგენისა და მათი კლასიფიკაციის ზოგიერთი მეთოდი	თსუ მე- 8 ყოველწლიური საფაკულტეტო კონფერენცია ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში, 3-7 თებერვალი, 2020
6	ი. ჰილისი (ბელგია), **ი. თავხელიძე**	**პლენარული მოხსენება:** მებიუსის ფენომენი განზოგადებულ მებიუსლისტინგის სხეულებში,რომელთა	თსუ გმი სემინარის XXXIV საერთაშორისო გაფართოებული სხდომები, 16 სექტემბერი, 2020

		რადიალური კვეთა კენტ ან ლუწ გვერდიანი მრავალკუთხედია	
7	**ი. თავხელიძე,** ი. ჰილისი (ბელგია), ს. პინელასი (პორტუგალია)	**სექციური მოხსენება:** ფართე კლასის, „რთული“ კონფიგურაციის მქონე გეომეტრიული სხეულების მოძრაობის ტრაექტორიების ანალიზური წარმოდგენისა და კლასიფიკაციის ზოგიერთი მეთოდი	თსუ გმი სემინარის XXXIV საერთაშორისო გაფართოებული სხდომები, 16 სექტემბერი, 2020
8	გ, გიორგაძე	რიმან-ჰილბერტის სასაზღვრო ამოცანა უბან-უბანმუდმივი სასაზღვრო ფუნქციისათვის	თსუ გმი სემინარის XXXIV საერთაშორისო გაფართოებული სხდომები, 17 სექტემბერი, 2020
9	ო. ჯოხაძე	სიმის რხევის წრფივი განტოლებისათვის შერეული ამოცანის მიღება სასრულო ჯამის სახით	თსუ მე- 8 ყოველწლიური საფაკულტეტო კონფერენცია ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში, 3-7 თებერვალი, 2020
10	**ო.ჯოხაძე**, ს. ხარიბეგაშვილი	ასგეირსონის პრინციპი და მისი გამოყენება შერეულ ამოცანებში სიმის რხევის განტოლებისათვის	თსუ ანდრია რაზმაძის მათემატიკის ინსტიტუტის სამეცნიერო კონფერენცია, 11-14 თებერვალი,
11	ო. ჯოხაძე	On the exact solutions of the Karman's equation in the nonlinear theory of gas dynamics	2020International Workshop on the Qualitative Theory of Differential Equations “QUALITDE-2020”, December 19 - 21, 2020, Tbilisi, Georgia

მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა)

1) ორსაფეხურიანი სისტემის შესაბამისი ვარიაციული და ოპტიმალური ამოცანებისთვის დამტკიცებულია ამონახსნის არსებობის თეორემები.
2) ორსაფეხურიანი ვარიაციული ამოცანისთვის დამტკიცებულია ამონახსნის არსებობის ტონელის ტიპის თეორემა.
3) დადგენილია ამონახსნების რხევადობის ახალი საკმარისი პირობები
4) მიღებულია ამონახსნების რხევადობის ახალი საკმარისი პირობები
5) გამოკვლეულია მებიუსის ფენომენის არსებობა განზოგადებული მებიუს-ლისტინგის სხეულთათვის, რომელთა რადიალური კვეთა რეგულარული მარავალკუთხედებია, როგორც კენტი აგრეთვე ლუწი გვერდებით.
6) ძალიან ფართე სპექტრით არის მიმოხილული შედეგები რომელიც მიღებულია , როგორც თითოეული ავტორის მიერ (1999 წლიდან) ასგრეთვე ერთმანეთთან თანამშრომლობით 2010 წლიდან დღემდე!
7) გამოქვეყნებულია გაფართოებული სემინარის მასალებში!
8) ნაჩვენებია, რომ რიმანის სფეროზე ყოველი ფუქსის ტიპის დიფერენციალურ განტოლებათა სისტემისათვის არსებობს რაციონალური მატრიცული ფუნქცია, რომლის კერძო ინდექსები ემთხვევა განტოლებისგან ინდუცირებული ვექტორული ფიბრაციის გახლეჩვის ტიპს. აქედან მიღებულია რიმან-ჰილბერტის სასაზღვრო ამოცანის ამონახსნი უბან-უბან მუდმივი გადასვლის ფუნქციისათვის ჰოლომორფული ფიბრაციის კვეთების ტერმინებში და გამოთვლილია ამოცანის კერძო ინდექსები.
9) სიმის რხევის წრფივი განტოლებისათვის დირიხლეს სასაზღვრო პირობებით მიღებულია შერეული ამოცანის ამოხსნა სასრულო ჯამის სახით
10) ასგეირსონის პრინციპის გამოყენებით ნეიმანის სასაზღვრო პირობებით მიღებულია შერეული ამოცანის ამოხსნა სასრულო ჯამის სახით
11) გამოქვეყნებულია გაფართოებული ვორკშოპის მასალებში!

6. 2. უცხოეთში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	გ. გიორგაძე	Riemann-Hilbert boundary value problem with piecewise constant matrix functions	International workshop "Factorisation problems" New-Yourk University, Abu-Dhabi 29th January 2020 to 5th February 2020

მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა)

1) მოხსენებაში განხილული იყო გადაუგვარებელი უბან-უბან მუდმივი მატრიცული ფუნქციის ფაქტორიზაციის ამოცანა და მოყვანილი იქნა ამგვარი მატრიცული ფუნქციის კერძო ინდექსების

გამოთვლის ალგორითმი იმ შემთხვევაში, როდესაც მატრიცები წარმოადგენენ რომელიმე ფუქსის სისტემის მონოდრომიის მატრიცებს.

ერთეულს, თუ საჭიროდ მიაჩნია, შეუძლია ანგარიშში შეიტანოს სხვა, მისთვის მნიშვნელოვანი აქტივობაც.

1) თ. თადუმაძე - თსუ საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე.
2) დოქტორანტმა თეა შავაძემ, თ. თადუმაძის ხელმძღვანელობით, დაიცვა დისერტაცია დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად.
3) თ. თადუმაძის ხელმძღვანელობით მომზადდა ორი სამაგისტრო ნაშრომი (ნ, ბურჯანაძე, ს. ჩაჩანიძე).
4) ი. თავხელიძე - არჩეულია საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალ "Growth and Form" ("ზრდა და ფორმა") https://www.atlantis-press.com/journals/gaf/editorial-board რედაქციის წევრად (გეომეტრიის მიმართულებით) .
5) გ. გიორგაძე- არჩეულია თსუ საგანმანათლებლო სადოქტორო პროგრამა „მათემატიკა"-ს კოორდინატორად.
6) ი. თავხელიძე არის ავტორი სტატიის „გამონათქვამები მათემატიკის შესახებ", თსუ სამეცნიერო-პოპულარული ჟურნალი, მათემატიკა, 2020.
7) თ. თადუმაძე არის ავტორი სტატიის „აკადემიკოსი გურამ ხარატიშვილი", თსუ სამეცნიერო-პოპულარული ჟურნალი, მათემატიკა, 2020.
8) თ. თადუმაძე არის თსუ პროექტის „ ერთი დღე უნივერსიტეტში" მონაწილე. მასალა განთავსებულია youtube.com - ზე , (https://www.youtube.com/results?search_query=erti+dge+universitetshi).

ანგარიშის ფორმა №2

2020 წელს გაწეული სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ანგარიში

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება -ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის დასახელება ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი, მათემატიკის დეპარტამენტი, ალბათობის თეორიისა და მათემატიკური სტატისტიკის კათედრა

სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა ხელმძღვანელის მითითებით

ნადარაია ელიზბარი -კათედრის გამგე
ფურთუხია ომარი
შაშიაშვილი მალხაზი
დოჭვირი ბესარიონი
ბაბილუა პეტრე
ხეჩინაშვილი ზაზა

1. სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის პერსონალის მიერ შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

1.1.

№	გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	2	3	4
გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2020 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)			

1.2.

№	დასრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

1	2	3	4
დასრულებული კვლევითი პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)			

2. შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტით დაფინანსებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

2.1.

№	გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	2	3	4
გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2020 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)			

2.2.

№	დასრულებული (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	2	3	4
დასრულებული კვლევითი პროექტის 2020 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)			

3. უცხოური გრანტებით დაფინანსებული სამეცნიერო პროექტები

3.1. გარდამავალი პროექტი

№	გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

	დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი, დამფინანსებელი ორგანიზაცია/ სამეცნიერო ფონდი, ქვეყანა		
1	2	3	4
გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2020 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)			

3.2. დასრულებული პროექტი

№	დასრულებული (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი, დამფინანსებელი ორგანიზაცია/სამეცნიერო ფონდი, ქვეყანა	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	2	3	4
დასრულებული კვლევითი პროექტის 2020 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)			

4. პატენტები

4.1. საერთაშორისო პატენტები:

№	საპატენტო თემატიკის სათაური	გამომგონებელი/ები და პატენტმფლობელი/ები	პატენტის საიდენტიფიკაციო კოდი

4.2. ეროვნული პატენტები

№	საპატენტო თემატიკის სათაური	გამომგონებელი/ები და პატენტმფლობელი/ები	პატენტის საიდენტიფიკაციო კოდი

5. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში

5.1. მონოგრაფიები/წიგნები

№	ავტორი/ავტორები	მონოგრაფიის/წიგნის სათაური, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1 2				
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)				

5. 2. სახელმძღვანელოები

№	ავტორი/ავტორები	სახელმძღვანელოს სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1 2	**ავტორი**: ა.შირიაევი **მთარგმნელები:** ო. ფურთუხია, ზ. ხეჩინაშვილი. **რედაქტორები:** ე. ნადარაია, ო. ფურთუხია	ალბათობა - 2 ISBN 978-9941-13-557-6 ISBN 978-9941-13-945-1 (წიგნი 2)	თბილისი, თსუ გამომცემლობა	558 გვერდი
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე) საუნივერსიტეტო ალბათურ-სტატისტიკური საგანმანათლებლო კურსის აგებისას, როგორც წესი, იგულისხმება შემდეგი სამი თითო-სემესტრიანი კურსის არსებობა: „ალბათობის თეორია“, „შემთხვევით პროცესთა თეორია“ და „მათემატიკური სტატისტიკა“. წიგნის — „ალბათობა -1“ — შინაარსი ფარავს მთელ მასალას, რომელსაც, ჩვეულებრივ, რთავენ „ალბათობის თეორიის“ კურსის პროგრამაში. წარმოდგენილი წიგნი — „ალბათობა - 2“ — მოიცავს საკმაოდ ვრცელ მასალას „შემთხვევით პროცესთა თეორიის“ კურსის იმ ნაწილისათვის, რომელიც ეძღვნება შემთხვევით პროცესებს დისკრეტული დროით — შემთხვევით მიმდევრობებს (მკითხველს, რომელიც დაინტერესებულია გაეცნოს შემთხვევით პროცესთა თეორიას უწყვეტი დროით, შეიძლება რეკომენდაცია გავუწიოთ, გაეცნოს ბულინსკი შირიაევის „შემთხვევით პროცესთა თეორიას“, რომელიც მეტწილად შეესაბამება სახელმძღვანელოებს: „ალბათობა -1“ და „ალბათობა -2“). IV თავში, რომლითაც იწყება ეს წიგნი, ძირითადი აქცენტი გაკეთებულია ისეთი მიმდევრობების თვისებებზე ალბათობით ერთი („ნულისა და ერთის კანონი“, მწკრივების კრებადობა, დიდ რიცხთა გაძლიერებული კანონი, განმეორებითი ლოგარითმის კანონი და სხვა), რომლებიც წარმოქმნილია დამოუკიდებელი შემთხვევითი სიდიდეების ჯამებით. V და VI თავები ეძღვნება სტაციონარულ შემთხვევით მიმდევრობებს, რომლებიც სტაციონარულია შესაბამისად ვიწრო და ფართო აზრით. VII და VIII თავებში განიხილება შემთხვევითი მიმდევრობები, რომლებიც ქმნიან მარტინგალებს და მარკოვის ჯაჭვებს. Рროცესების ორივე ეს კლასი დისკრეტული დროით შესაძლებლობას იძლევა, შევისწავლოთ მრავალფეროვანი სტოქასტური სისტემების ყოფა-ქცევა „მომავალში“			

გამომდინარე მათი „აწმყოსა“ და „წარსულისაგან“, რაც განსაზღვრავს ასეთი პროცესების განსაკუთრებულ როლს თანამედროვე ალბათობის თეორიასა და მის გამოყენებებში. წიგნს ასრულებს „ალბათობის მათემატიკური თეორიის ჩამოყალიბების ისტორიის ნარკვევი“. მოსკოვი, 2003 ა. შირიაევი

5.3. კრებულები

№	ავტორი/ავტორები	კრებულის სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1				
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)				

5.4. სტატიები ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდის (DOI) მითითებით

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათა-ური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI	ჟურნალის/ კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1					
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)					

5.5. სტატიები ISSN-ის მითითებით

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათა-ური, ISSN	ჟურნალის/ კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	P**.** Babilua, E**.** Nadaraya	On the testing hypothesis of equality of two Bernoulli regression functions. ISSN: 2346-8092	*Trans. A. Razmadze Math. Inst.* **174**, no 2 pp. 135-146 (2020).	თბილისი, ა. რაზმაძის მათემატიკის ინსტიტუტის გამომცემლობა	12 გვერდი
2	P**.** Babilua, E**.** Nadaraya	On the Estimating the Bernoulli Regression Function Using Bernstein Polynomials ISSN:0132-1447	*Bull. Georgian Natl. Acad. Sci.* 14, no. 1, pp. 23-28 (2020).	თბილისი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის გამომცემლობა	6 გვერდი

3	P**.** Babilua, E**.** Nadaraya	On the Chi-Square Test of Homogeneity in Case of a Simultaneous Increase of the Number of Observations and the Number of Interval Partitions ISSN:0132-1447	*Bull. Georgian Natl. Acad. Sci.* 14, no. 2, pp. 14-17 (2020).	თბილისი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის გამომცემლობა	4 გვერდი
4	V. Jaoshvili, **O. Purtukhia**, Z. Zerakidze.	Stochastic derivative of Poisson polynomial functionals and its application. ISSN:0132-1447	*Bulletin of the Georgian National Academy of Sciences*, **14**, no. 1, pp. 29-38 (2020)	თბილისი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის გამომცემლობა	10 გვერდი
5	B. Mamporia, **O. Purtukhia**	Banach space valued functionals of the wiener process. ISSN: 2346-8092	*Transactions of A. Razmadze Mathematical Institute*, **174 (2)**, pp. 207-216 (2020)	თბილისი, ა. რაზმაძის მათემატიკის ინსტიტუტის გამომცემლობა	10 გვერდი
6	S. Davadze, M. Giorgadze, **O. Purtukhia**	Stochastic integral representation of some Brownian functional with explicit expression of integrand. ISSN: 1512-0066	ი. ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტის სემინარის გაფართოებული სხდომების მოხსენებები, ტომი 34, გვ. 15-18 (2020)	თბილისი, ი. ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტის გამომცემლობა	4 გვერდი
7	M. Shashiashvili	Representation of the Snell Envelope as the Future Supremum Process ISSN: 1512-0058	Seminar of I. Vekua Institute of Applied Mathematics, Reports, **45**, (2020)	თბილისი, ი. ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტის გამომცემლობა	4 გვერდი
8	B. Dochviri, Z. Khechinashvili	On a Fair Price of the European Option. ISSN:0132-1447	*Bulletin of the Georgian National Academy of Sciences*, **14**, 2, pp. 18-22 (2020)	თბილისი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის გამომცემლობა	5 გვერდი

9	გ. ტყემალაძე, ბ. დოჭვირი, ქ. მახაშვილი	პირობითი ალბათობის გამოყენების შესახებ ISSN: 1512-0287	საქართველოს საინჟინრო სიახლენი, N1, ტომი 90, გვ. 62-66.	თბილისი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის გამომცემლობა	5 გვერდი
10	გ. გუმბერიძე, ბ. დოჭვირი, ზ. ხეჩინაშვილი	ტოქსიკური ნივთიერების მათემატიკური მოდელირება ISSN 2233-3363	ცხუმ-აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის შრომები. ტომი **19-20**, გვ. 201-207 (2020)	თბილისი, გამომცემლობა მერიდიანი	7 გვერდი

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1. ნაშრომში დადგენილია ბერნულის რეგრესიის ფუნქციის შეფასებათა ინტეგრალური კვადრატული გადახრის ზღვარითი განაწილების კანონი. აგებულია ორი ბერნულის რეგრესიის ფუნქციის ტოლობათა შესახებ ჰიპოთეზის შემოწმების კრიტერიუმი. შესწავლილია აგებული კრიტერიუმის თვისებები. კერძოდ დადგენილია მისი ძალდებულობის საკითხი. გამოთვლილია აგებული კრიტერიუმის სიმძლავრე გარკვეული ტიპის დაახლოებადი ალტერნატივებისათვის.

2. ნაშრომში ბერნშტეინის პოლინომების საშუალებით აგებულია ბერნულის რეგრესიის ფუნქციის შეფასება. შესწავლილია შეფასების ძალდებულება და ასიმპტოტური ნორმალობა. ბერნულის რეგრესიის ფუნქციის სახის ჰიპოთეზის შემოწმებისთვის აგებულია კრიტერიუმი. აგებულია აგრეთვე ბერნულის რეგრესიის ორი ფუნქციის ტოლობის ჰიპოთეზის შემოწმების კრიტერიუმი. შესწავლილია აგებული კრიტერიუმების ასიმპტოტური ყოფაქცევა.

3. ნაშრომში დადგენილია პირსონის ერთგვაროვნების კრიტერიუმის ზღვარითი სიმძლავრე პიტმანის ტიპის დაახლოებადი ალტერნატივების მიმართ, როდესაც შერჩევის მოცულობა და ინტერვალის დაყოფათა რიცხვი ერთდროულად მიისწრაფვის უსასრულობისკენ. გარდა ამისა, ის შედარებულია სხვა კრიტერიუმთან, რომელიც დაფუძნებულია სიმკვრივის არაპარამეტრულ გულოვან შეფასებათა ინტეგრალურ კვადრატულ გადახრაზე. ნაჩვენებია, რომ აღნიშნული კრიტერიუმის ზღვარითი სიმძლავრე უფრო მეტია ვიდრე პირსონის ხი-კვადრატ კრიტერიუმის ზღვარითი სიმძლავრე.

4. სტოქასტური ინტეგრების თეორიაში, სტანდარტული ინტეგრების თეორიისგან განსხვავებით, გარდა იმისა რომ ინტეგრანდი არის ორი ცვლადის ზომადი ფუნქცია, იგი უნდა იყოს შეთანხმებული (არაწინმსწრები) პროცესი. სკოროხოდმა (1982) ეს მოთხოვნა ინტეგრანდის გარკვეული აზრით სიგლუვის მოთხოვნით შეცვალა. Gaveau-Trauber-მა (1982) აჩვენეს, რომ სკოროხოდის სტოქასტური ინტეგრების ოპერატორი ემთხვევა სტოქასტური გაწარმოების (ე.წ. მალივენის) ოპერატორის შეუღლებულს. ოკონემ (1982) დაამტკიცა, რომ ინტეგრანდი მარტინგალური წარმოდგენის თეორემაში არის ფუნქციონალის სტოქასტური წარმოებულის ჭვრეტადი პროექცია. ვინერის შემთხვევაში არსებობს სტოქასტური წარმოებულის ორი ეკვივალენტური განმარტება, მაგრამ საზოგადოდ ე.წ. ნორმალურ მარტინგალთა კლასისთვის ეს განმარტებები არაა ეკვივალენტური. შესაბამისი მაგალითი აგებული იყო Ma, Protter, Martin-ის მიერ (1998).

წარმოდგენილ ნაშრომში შემოღებულია პუასონის პოლინომიალური ფუნქციონალის სტოქასტური წარმოებულის ახალი კონსტრუქციული განმარტება. ნაჩვენებია, რომ ის ეკვივალენტურია ფუნქციონალის ქაოტურ გაშლაზე დაფუძნებული ზოგადი განმარტების და შესწავლილია მისი თვისებები. დამტკიცებულია სტოქასტური ინტეგრალური წარმოდგენის თეორემა ინტეგრანდის ცხადი გამოსახულებით.

5. ჩვენ შევისწავლით ერთგანზომილებიანი ვინერის პროცესის ბანახის სივრცეში მნიშვნელობების მქონე ფუნქციონალების იტოს სტოქასტური ინტეგრალით წარმოდგენის საკითხს. ადრე (2018) განვიხილეთ ეს ამოცანა იმ შემთხვევისთვის, როცა ვინერის პროცესს და ფუნქციონალს ვინერის პროცესიდან ჰქონდათ ერთობლივი გაუსის განაწილება. ეს ამოცანა გარკვეული აზრით იტოს სტოქასტური ინტეგრალის არსებობის ამოცანის შებრუნებული ამოცანაა: აქ ჩვენ გვაქვს სტოქასტური ინტეგრალი როგორც შემთხვევითი ელემენტი და ამოცანაა ვიპოვოთ ინტეგრანდი, როგორც ბანახის სივრცეში მნიშვნელობების მქონე არაწინმსწრები შემთხვევითი პროცესი. ჩვენ განვსაზღვრავთ ფართო კლასის არაწინმსწრები პროცესებისთვის განზოგადოებული სტოქასტური ინტეგრალის ცნებას და ინტეგრანდი პროცესის არსებობის ამოცანა დაგვყავს განზოგადოებული შემთხვევითი ელემენტის დაშლადობის ამოცანაზე.

6. ნაშრომში განხილულია ტრაექტორიაზე დამოკიდებული ზოგიერთი ბროუნის ფუნქციონალი, რომლებიც საინტერესოა სტოქასტური ფინანსური მათემატიკის თვალსაზრისით და გამოყვანილია კლარკ-ოკონეს ტიპის სტოქასტური ინტეგრალური წარმოდგენის ფორმულები ინტეგრანდის ცხადი ფორმით. ამ მიზნის მისაღწევად ჩვენ ვითვლით განსახილველი ფუნქციონალების სტოქასტური (მალივენის) წარმოებულის პირობით მათემატიკურ ლოდინს და ვიყენებთ კლარკ-ოკონეს ფორმულის ერთ ჩვენს განზოგადოებას. გასული საუკუნის 80-იან წლებში აღმოჩნდა, რომ მარტინგალური წარმოდგენის თეორემები (გირსანოვის ზომის შეცვლის თეორემასთან ერთად) მნიშვნელოვან როლს თამაშობს თანამედროვე ფინანსურ მათემატიკაში. კერძოდ, სტოქასტურ ინტეგრალურ წარმოდგენაში მონაწილე ინტეგრანდის გამოყენებით შესაძლებელია სხვადასხვა ტიპის ევროპული ოფციონების მაჰეჯირებელი სტრატეგიების აგება. კლარკის მიერ ბროუნის მოძრაობის ფუნქციონალებისათვის სტოქასტური ინტეგრალური წარმოდგენის ფორმულის მიღების შემდეგ, მრავალი ავტორი ცდილობდა დაედგინა ინტეგრანდის ცხადი სახე და შესაბამისი შედეგები მიღებულ იქნა გარკვეული აზრით გლუვი ფუნქციონალების შემთხვევაში. კონსტრუქციული ინტეგრალური წარმოდგენა დაფუძნებულია მალივენის (სტოქასტური) წარმოებულის ცნებაზე და ბროუნის მოძრაობის შემთხვევაში ის ცნობილია, როგორც კლარკ-ოკონეს ფორმულა (ოკონე, 1984). ფორმულაში მონაწილეობს ფუნქციონალის სტოქასტური წარმოებული და მისი პირობითი მათემატიკური ლოდინი. შესაბამისად, ცხადი სახის გამოსახულებები დადგენა ძალიან შრომატევადი საქმეა. ნაშრომში განხილულია ბროუნის მოძრაობით მართული სტოქასტური ინტეგრალის ხარისხოვანი ტიპის ფუნქციების სამი შემთხვევა და დადგენილია მარტინგალური წარმოდგენის ინტეგრანდები ცხადი სახით.

7. მარჯვნიდან უწყვეტი (და მარცხნიდან ზღვრების მქონე) X შემთხვევითი პროცესისთვის ჩვენ განვიხილავთ მის Y სნელის მომვლებს, ანუ მინიმალურ სუპერმარტინგალს, რომელიც ზემოდან მაჟორირებს X პროცესს და აქვს დაშლა Y=M-B. აქ M თანაბრად ინტეგრებადი მარტინგალია, ხოლო B არაკლებადი ჭვრეტადი პროცესი. ჩვენ ვასაბუთებთ, რომ Y განურჩეველია M+C პროცესისგან, სადაც C არის (X-M) სხვაობის ე. წ. მომავალი სუპრემუმის პროცესი. ამ შედეგიდან ვღებულობთ ოპტიმალური გაჩერების ფასის დუალურ წარმოდგენას, რომელიც ეკუთვნის Rogers [1] და Haugh და Kogan [2].

8. ნაშრომში განხილულია სტოქასტური ფინანსური მათემატიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანა, კერძოდ ევროპული ტიპის შემთხვევითი ვალდებულებების

ფასდადების და მაჰეჯირებელი სტრატეგიების პოვნის საკითხი. ვიხილავთ ფინანსური ბაზრის სქემას ერთი რისკიანი აქტივით S და k რაოდენობის ობლიგაციით $B_1, B_2, \dots, B_k$. შემოღებულია ერთიანი საპროცენტო განაკვეთი r რომელიც წარმოადგენს $r_1, r_2, \dots, r_k$ განაკვეთების ფუნქციას და ნაჩვენებია, რომ ამ შემთხვევაში არსებობს ერთადერთი მარტინგალური ზომა ანუ მოცემული ბაზარი სრულია. მიღებულ მოდელში გამოთვლილია ევროპული ტიპის ოფციონის სამართლიანი ფასი $C(N)$ და თვითდაფინანსებადი სტრატეგიების კლასში ნაპოვნია (γ_n, β_n) ოპტიმალური ჰეჯური სტრატეგიის გამოსახულება, სადაც γ_n და β_n შესაბამისად აქციის და ობლიგაციის რაოდენობებია n მომენტში.

9. ალბათურ სტატიქტიკურ მეთოდებში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია შემთხვევითი ხდომილების პირობით ალობათობას. ამ ცნების გამოყენებით განისაზღვრება შემთხვევითი სიდიდის პირობითი მათემატიკური ლოდინი და აგრეთვე შემთხვევითი პროცესების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ობიექტი მარტინგალი. ეს სიდიდეები არსებითად გამოიყენება თანამედროვე მეცნიერული კვლევისა და პრაქტიკული საქმიანობის თითქმის ყველა სფეროში. ნაშრომში განხილულია რაიმე დაავადებაზე დიაგნოსტიკური ტესტის ვარგისიანობის საკითხი. ექპერიმენტების მონაცემების საფუძველზე ცნობილია: პირობითი ალბათობა იმისა, რომ ტესტი იძლევა დადებით შედეგს იმ პირობით რომ პაციენტი დაავადებულია ტოლია 0,95- ის. პირობითი ალბათობის თვისებების გამოყენებით გარკვეული პოპულაციის პაციენტებისთვის დადგენილია: პირობითი ალბათობა იმისა, რომ პაციენტი დაავადებულია იმ პირობით რომ ტესტმა დადებითი შედეგი აჩვენა ტოლია 0,091-ის. გამოთვლილია აგრეთვე დაავადებასთან დაკავშირებული სხვა საინტერესო ალბათობები. ეს მაგალითი გვიჩვენებს რომ საჭიროა სიფრთხილით მოვეკიდოთ დიაგნოსტიკური ტესტებით დაფუძნებულ გადაწყვეტილებებს.

10. ბუნებაში არსებობს უამრავი ტოქსიკური ნივთიერება, რომელიც იწვევს გარემოს დაბინძურებას. დღეს უაღრესად მნიშვნელოვანია წყალში, ჰაერში და ნიადაგში სხვადასხვა ტოქსიკური ნივთიერებებით დაბინძურების პრობლემა და მისი განეიტრალების მეთოდების შემუშავება. აქ არსებითად გამოიყენება ალბათურ- სტატისტიკური მეთოდები. ბიოქიმიურ სამყაროში მიმდინარე პროცესები რთული ბუნების არის და საჭიროა ამ პროცესების ადეკვატური აღწერა სათანადო მათემატიკური მოდელებით. აგებულია მაგალითად ქიმიური და ბიოლოგიური რეაქციების აღმწერე დეტერმინისტული და სტოქასტური მოდელები. ნაშრომში რეგრესიული და კორელაციური ანალიზის გამოყენებით აგებულია ტოქსიკური ნივთიერების საშიშროების წრფივი და მაჩვენებლიანი მოდელები. ეს მოდელები ფაქტობრივად წარმოადგენს ტოქსიკური ნივთიერებების საშიშროების საპროგნოზო განტოლებებს.

6. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა უცხოეთში

6.1. მონოგრაფიები/წიგნები

№	ავტორი/ავტორები	მონოგრაფიის/წიგნის სათაური, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1 2				

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

6.2. სახელმძღვანელოები

№	ავტორი/ავტორები	სახელმძღვანელოს სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1 2				
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)				

6.3. კრებულები

№	ავტორები	კრებულის სახელ-წოდება, საერთაშო-რისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	A. Imomov, **O. Purtukhia,** S. Moiseeva, B. Tursunov	Abstracts of communications of the Conference “Modern stochastic models and problems of actuarial mathematics”. 2020. ISBN 978-9943-18-262-2	Karshi, Uzbekistan, “PPCH NASAF” 2020	166 გვერდი
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე) კრებულში მოცემულია”თანამედროვე სტოქასტური მოდელებსა და აქტუარული მათემატიკის პრობლემებში” ონლაინ კონფერენციის მოხსენებების რეზიუმეები, რომელიც ჩატარდა კარშის სახელმწიფო უნივერსიტეტში, 2020 წლის 25 სექტემბერს. მასში გადმოცემულია თანამედროვე სამეცნიერო კვლევების შედეგები ალბათობის თეორიაში, სტოქასტური პროცესების თეორიაში, რიგების თეორიაში, მათემატიკურ სტატისტიკაში, დინამიურ სისტემებში, ალგებრულ სტრუქტურებში, სისტემების მათემატიკურ მოდელირებასა და ანალიზში და ა.შ. ის სასარგებლო იქნება მკვლევარებისთვის, უნივერსიტეტის პროფესორებისთვის, სტუდენტებისთვის და ყველასთვის, ვინც დაინტერესებულია თეორიული და გამოყენებითი მათემატიკის თანამედროვე ტენდენციებით.			

6.4. სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური)	ჟურნალის/	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა

		საიდენტიფიკაციო კოდი DOI ან ISSN	კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი		
1	P. Babilua, E. Nadaraya	On Nonparametric Kernel-Type Estimate of the Bernoulli Regression Function doi.org/10.1007/978-3-030-56356-1_2	Springer Proceedings in Mathematics &Statistics, *volume* **334**, pp. 19-36 (2020)	New York, Publishing House Springer	18 გვერდი
2	P. Babilua, E. Nadaraya	On Nonparametric Kernel-Type Estimate of the Bernoulli Regression Function	PROCEEDINGS OF SCIENTIFIC CONFERENCE «MODERN PROBLEMS OF STOCHASTIC ANALYSIS» dedicated to the 100th anniversary of the birth of academician S.Kh.SIRAJDINOV. 2020	Tashkent, Uzbekistan, Institute of Mathematics, 2020	4 გვერდი
3	P. Babilua, E. Nadaraya	On the Estimating the Bernoulli Regression Function Using Bernstein Polynomials ISBN 978-9943-18-262-2	Abstracts of communications of the Conference "Modern stochastic models and problems of actuarial mathematics". Karshi, Uzbekistan, pp. 9-11 (2020)	Karshi, Uzbekistan, "PPCH NASAF" 2020	2 გვერდი
4	P. Babilua, E. Nadaraya	On estimating the Bernoulli regression function using Bernstein polynomials DOI: 10.1080/03610926.2019.1709872	*Comm. Statist. Theory Methods* Published Online: 31 Jan 2020	TAYLOR & FRANCIS INC, 530 WALNUT STREET, STE 850, PHILADELPHIA, PA 19106 USA **ISSN:** 0361-0926	12 გვერდი
5	**O. Purtukhia**, Z. Zerakidze	Objective and Subjective Consistent Criteria for Hypotheses Testing. doi.org/10.1007/978-3-030-56356-1_14	Springer Proceedings in Mathematics &Statistics, *volume* **334**, pp. 237-243 (2020)	New York, Publishing House Springer	7 გვერდი
6	B. Mamporia, **O. Purtukhia**	On the Clark-Ocone Type Formula for Integral Type Wiener Functional. ISBN 978-9943-18-262-2	Abstracts of communications of the Conference "Modern stochastic models and	Karshi, Uzbekistan, "PPCH NASAF" 2020	3 გვერდი

			problems of actuarial mathematics". Karshi, Uzbekistan, pp. 42-44 (2020)		
7	M. Shashiashvili, B. Dochviri, G. Lominashvili	A Note on the Nonlinear Volterra Integral Equation for Early Exercise Boundary DOI: 10.1515/gmj-2020-2057	Georgian Mathematical Journal, March 2020, vol.27.	Walter De Gruyter, Berlin	9 გვერდი
8	M. Shashiashvili	Nonasymptotic Bounds for the Quadratic Risk of the Grenander Estimator DOI: 10.1017/prm.2020.27	Proceedings of the Royal Society of Edinburgh, Section A, April 2020, vol.150,	Cambridge, UK	10 გვერდი

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1. ნაშრომში დადგენილია ბერნულის რეგრესიის ფუნქციის შეფასებათა ინტეგრალური კვადრატული გადახრის ზღვარითი განაწილების კანონი დაჯგუფებული მონაცემებისათვის. აგებულია ორი ბერნულის რეგრესიის ფუნქციის ტოლობათა შესახებ ჰიპოთეზის შემოწმების კრიტერიუმი. შესწავლილია აგებული კრიტერიუმის თვისებები. კერძოდ დადგენილია მისი ძალდებულობის საკითხი. გამოთვლილია აგებული კრიტერიუმის სიმძლავრე გარკვეული ტიპის დაახლოებადი ალტერნატივებისათვის.

2. ნაშრომში აგებულია ბერნულის რეგრესიის ფუნქციის არაპარამეტრული გულოვანი შეფასება. დადგენილია აგებული შეფასების ზღვარითი განაწილება. შესწავლილია მისი ძალდებულობის საკითხი.

3. ნაშრომში ბერნშტეინის პოლინომების საშუალებით აგებულია ბერნულის რეგრესიის ფუნქციის შეფასება. შესწავლილია შეფასების ძალდებულება და ასიმპტოტური ნორმალობა. ბერნულის რეგრესიის ფუნქციის სახის ჰიპოთეზის შემოწმებისთვის აგებულია კრიტერიუმი.

4. ნაშრომში ბერნშტეინის პოლინომების საშუალებით აგებულია ბერნულის რეგრესიის ფუნქციის შეფასება. შესწავლილია შეფასების ძალდებულება და ასიმპტოტური ნორმალობა. ბერნულის რეგრესიის ფუნქციის სახის ჰიპოთეზის შემოწმებისთვის აგებულია კრიტერიუმი. აგებულია აგრეთვე ბერნულის რეგრესიის ორი ფუნქციის ტოლობის ჰიპოთეზის შემოწმების კრიტერიუმი. შესწავლილია აგებული კრიტერიუმების ასიმპტოტური ყოფაქცევა.

5. ნაშრომში შემოღებულია ჰიპოთეზების შემოწმების ობიექტური და სუბიექტური ძალდებული კრიტერიუმების ცნებები: ჰიპოთეზების შემოწმების ძალდებულ T კრიტერიუმს ეწოდება ობიექტური თუ ნებისმიერი h-სთვის ჰიპოთეზათა H სივრციდან მისი წინარე სახე T ასახვის დროს წარმოადგენს ჰაარის ემბივალენტს, წინააღმდეგ შემთხვევაში ჰიპოთეზების შემოწმების ძალდებულ T კრიტერიუმს ეწოდება სუბიექტური. ბორელის ალბათური ზომების შემთხვევაში მოყვანილია აღნიშნული ტიპის კრიტერიუმების არსებობის საკმარისი პირობები. იმავდროულად აგებულია ჰიპოთეზების შემოწმების სუბიექტური ძალდებული კრიტერიუმის კონსტრუქცია. გარდა ამისა, აგებულია სტატისტიკური სტრუქტურა, რომელიც უშვებს ჰიპოთეზების შემოწმების ობიექტურ ძალდებულ კრიტერიუმს.

6. ნაშრომში განხილულია ტრაექტორიაზე დამოკიდებული ვინერის ინტეგრალური ფუნქციონალი, რომელიც კერძო შემთხვევაში იძლევა ბაშელიეს მოდელში ე. წ. აზიური

ოფციონის გადასახადის ფუნქციას და მისთვის დადგენილია კლარკ-ოკონეს ტიპის სტოქასტური ინტეგრალური წარმოდგენის ფორმულაში მონაწილე ინტეგრანდის ცხადი ცხადი სახე. გარდა ამისა, შესწავლილია უფრო ზოგადი სახის ტრაექტორიაზე დამოკიდებული ინტეგრალური ფუნქციონალების მარტინგალური წარმოდგენის პრობლემები. როგორც ცნობილია მარტინგალური წარმოდგენის თეორემები (გირსანოვის ზომის შეცვლის თეორემასთან ერთად) მნიშვნელოვან როლს თამაშობს თანამედროვე ფინანსურ მათემატიკაში. კერძოდ, სტოქასტურ ინტეგრალურ წარმოდგენაში მონაწილე ინტეგრანდის გამოყენებით შესაძლებელია სხვადასხვა ტიპის ევროპული ოფციონების მაჰეჯირებელი სტრატეგიების აგება. კონსტრუქციული ინტეგრალური წარმოდგენა დაფუძნებულია მალივენის (სტოქასტური) წარმოებულის ცნებაზე და ვინერის პროცესის შემთხვევაში ის ცნობილია კლარკ-ოკონეს ფორმულის სახელწოდებით (ოკონე, 1984). ფორმულაში მონაწილეობს ფუნქციონალის სტოქასტური წარმოებული და მისი პირობითი მათემატიკური ლოდინი. ნაშრომში ყველა ეს სიდიდე გამოთვლილია ცხადი სახით.

7. ამერიკული ოფციონების ფასდადების თეორიაში კლასიკური ბლექ-შოულსის მოდელში გორან პესკირმა აჩვენა რომ თუ უცნობი ფუნქცია $b(t)$ აკმაყოფილებს ერთ კერძო არაწრფივ ინტეგრალურ განტოლებას, მაშინ იგივე ფუნქცია $b(t)$ ავტომატურად აკმაყოფილებს ყველა დანარჩენ (არათვლადი რაოდენობის) არაწრფივ ინტეგრალურ განტოლებებს. ზოგად ერთგანზომილებიან დიფუზიურ მოდელში ჩვენ ვამტკიცებთ რომ ზემოაღნიშნული იმპლიკაცია პირდაპირი შედეგია პარაბოლურ სობოლევის ფუნქციათა სივრცეში ალექსანდროვის მაქსიმუმის პრინციპისა.

8. არაპარამეტრული სტატისტიკური შეფასებების თეორიაში ჩვენ განვიხილავთ $[0,1]$ ინტერვალზე განსაზღვრული არაზრდადი, საზოგადოდ შემოუსაზღვრელი და წყვეტილი, უცნობი ალბათური სიმკვრივის ფუნქციათა გრენანდერის შეფასებას ამ სიმკვრივეთა ფუნქციებზე სიგლუვის ყოველგვარი მოთხოვნების გარეშე. დამოუკიდებელი და ერთნაირად განაწილებული დაკვირვებების ნებისმიერი ფიქსირებული n რაოდენობისათვის ჩვენ ვამტკიცებთ უტოლობას, რომელიც გვაძლევს გრენანდერის სტატისტიკის წონიანი კვადრატული რისკის შეფასებას ცხადი მუდმივი თანამამრავლითა და n-ის სათანადო უარყოფითმაჩვენებლიანი რიგით.

7. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

7.1. საქართველოში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	ე. ნადარაია პ. ბაბილუა	ბერნულის რეგრესიის ფუნქციის არაპარამეტრული შეფასების ინტეგრალური კვადრატული გადახრის ზღვარითი განაწილების შესახებ	3-7 თებერვალი, 2020, თბილისი, მერვე ყოველწლიური საფაკულტეტო სამეცნიერო კონფერენცია ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში http://conference.ens-2020.tsu.ge/
2	ე. ნადარაია პ. ბაბილუა	ბერნულის რეგრესიის ფუნქციის არაპარამეტრული შეფასების ინტეგრალური კვადრატული გადახრის	3-7 თებერვალი, 2020, თბილისი, მერვე ყოველწლიური საფაკულტეტო სამეცნიერო კონფერენცია ზუსტ და

		ზღვარითი განაწილების შესახებ ორი შერჩევის შემთხვევაში	საბუნებისმეტყველო მეცნი-ერებებში http://conference.ens-2020.tsu.ge/
3	ე. ნადარაია პ. ბაბილუა	ბერნულის რეგრესიის ფუნქციის ბერნშტეინის პოლინომებით შეფასების შესახებ	16-19 სექტემბერი, 2020, თბილისი, ილია ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტის სემინარის XXXIV საერთა-შორისო გაფართოებული სხდომები http://www.viam.science.tsu.ge/enlarged/2020
4	ე. ნადარაია პ. ბაბილუა	ბერნულის რეგრესიის ფუნქციის ბერნშტეინის პოლინომებით შეფასების შესახებ	19-20 ნოემბერი, თბილისი, ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი „შემთხვევითი პროცესებისა და მათემატიკური სტატისტიკის გამოყენებანი ფინანსურ ეკონომიკასა და სოციალურ მეცნიერებებში V“
5	**ო.ფურთუხია**	პუასონის ფუნქციონალის სტოქასტური წარმოებულის შესახებ	3-7 თებერვალი, 2020, თბი-ლისი, მერვე ყოველწლიური საფაკულტეტო სამეცნიერო კონფერენცია ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნი-ერებებში http://conference.ens-2020.tsu.ge/
6	მ. გიორგაძე, ს. დავაძე, **ო. ფურთუხია**	პუასონის ფუნქციონალების სტოქასტური ინტეგრალური წარმოდგენა ინტეგრანდის ცხადი სახით	16-19 სექტემბერი, 2020, თბილისი, ილია ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტის სემინარის XXXIV საერთა-შორისო გაფართოებული სხდომები http://www.viam.science.tsu.ge/enlarged/2020
7	**ო. ფურთუხია**	ვინერის ინტეგრალური ფუნქციონალების მარტინგალური წარმოდგენების შესახებ	19-20 ნოემბერი, თბილისი, ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი „შემთხვევითი პროცესებისა და მათემატიკური სტატისტიკის გამოყენებანი ფინანსურ

			ეკონომიკასა და სოციალურ მეცნიერებებში V“
8	მ. შაშიაშვილი	სნელის მომვლების წარმოდგენა როგორც მომავალი სუპრემუმის პროცესი	3-7 თებერვალი, 2020, თბილისი, მერვე ყოველწლიური საფაკულტეტო სამეცნიერო კონფერენცია ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში http://conference.ens-2020.tsu.ge/
9	მ. შაშიაშვილი	სნელის მომვლების წარმოდგენა როგორც მომავალი სუპრემუმის პროცესი	16-19 სექტემბერი, 2020, თბილისი, ილია ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტის სემინარის XXXIV საერთაშორისო გაფართოებული სხდომები http://www.viam.science.tsu.ge/enlarged/2020
10	ბ. დოჭვირი	სტოქასტური ფინანსური მათემატიკის ზოგიერთი ამოცანა	3-7 თებერვალი, 2020, თბილისი, მერვე ყოველწლიური საფაკულტეტო სამეცნიერო კონფერენცია ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში http://conference.ens-2020.tsu.ge/
11	ზ. ხეჩინაშვილი	ოპტიმალური გაჩერება არასრული მონაცემების შემთხვევაში	3-7 თებერვალი, 2020, თბილისი, მერვე ყოველწლიური საფაკულტეტო სამეცნიერო კონფერენცია ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში http://conference.ens-2020.tsu.ge/
მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა)			

7.2. უცხოეთში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	P. Babilua, E. Nadaraya	On the Estimating the Bernoulli Regression Function Using Bernstein Polynomials	25 September, 2020, Karshi, Uzbekistan. International conference in “Modern stochastic models and problems of actuarial mathematics” confkarshi20@mail.ru

2	P. Babilua, E. Nadaraya	On Nonparametric Kernel-Type Estimate of the Bernoulli Regression Function	September 21-22, 2020, Tashkent, Uzbekistan Scientific Conference "Modern Problems of Stochastic Analysis" dedicated to the 100th anniversary of the birth of academician S. Kh. Sirajdinov
3	ბ. მამფორია, **ო. ფურთუხია**	On the Clark-Ocone Type Formula for Integral Type Wiener Functional	25 September, 2020, Karshi, Uzbekistan. International conference in "Modern stochastic models and problems of actuarial mathematics" confkarshi20@mail.ru
მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა)			

სხვა აქტივობები:

1) გადაცემული შრომები:

ა) ჟურნალში: „Ukrainian Mathematical Journal" (ავტორები- ო. ფურთუხია, ზ.ზერაკიძე): „Стохастическое интегральное представление винеровских функционалов";

ბ) ჟურნალში: „Communications on Stochastic Analysis" (ავტორები -- ბ. მამფორია, ე. ნამგალაური, ო. ფურთუხია): „On the Clark-Ocone Type Formula for Integral Type Wiener Functional".

2) დასაბეჭდად მიღებული შრომები:

ა) საქართველოს მათემატიკურ ჟურნალში (ავტორები -- ო. ფურთუხია, ზ.ზერაკიძე): „The Consistent Criteria for Hypotheses Testing".
DOI: 10.1515/gmj-XXXX, Received March 24, 2019; revised February 17, 2020; accepted March 15, 2020.

3) თარგმანი:

ა) ავტორი: ალფრედ რენი, თარგმნა ო. ფურთუხიამ: „წერილები ალბათობაზე (პასკალის წერილები ფერმასთან -- გაგრძელება)", სამეცნიერი-პოპულარული ჟურნალი „მათემატიკა", # **6**, გვ. 31-49 (2020). ISSN 2298-0938

4) გაგრძელდა 2018 წელს მოპოვებული საერთაშორისო გრანტი: **ნორვეგიის მეცნიერებისა და ტექნოლოგიის უნივერსიტეტი (ნმტი, NTNU),** ტრონდჰემი, ნორვეგია პროექტის CPEA-LT-2016/10003 GRANT CPEA-LT-2016 / 10003 "გლობალური ეკონომიკური, ტექნოლოგიური და გარემოსდაცვითი ცვლილებების მიხედვით კვლევის საფუძველზე განათლებისა და მომსახურების სფეროში რისკების მართვის თანამედროვე კოლაბორაციული პროგრამა: გაფართოებული ვერსია" (გრანტი #1649) 2022 წლამდე.

პროექტის **ძირითადი ამოცანებია:**

- ნორვეგია-უკრაინა-ევრაზიის საგანმანათლებლო და კვლევითი თანამშრომლობის ორგანიზაცია რაოდენობრივი რისკების მართვის სფეროში და მათთან დაკავშირებულ საკითხებში, მაგ. რისკისა და გაურკვევლობის შემთხვევაში ოპტიმალური გადაწყვეტილების მხარდაჭერა;
- უკრაინის, მოლდოვის, საქართველოსა და ნორვეგიის უნივერსიტეტების მდგრადი კავშირის შემუშავება, რომელიც შეძლებს როგორც სამაგისტრო ისე სადოქტორო დონეზე ერთობლივი

პროგრამებისა და კურსების შემუშავებას და გაშვებას რაოდენობრივი რისკების მართვის სფეროში.
პროექტის კოორდინატორი: ელიზბარ ნადარია;
პროექტის თანახელმძღვანელი: ომარ ფურთუხია;
პროექტის მონაწილე: პეტრე ბაბილუა.

5) გრძელდებოდა 2017 წელს მოპოვებული საერთაშორისო გრანტი (2017-2021) -- დოქტორანტურის ერთობლივი, სტრუქტურირებული საგანმანათლებლო პროგრამების განვითარებისათვის სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და გერმანიის ფოლკსვაგენის ფონდის ერთობლივი საგრანტო კონკურსში გამარჯვებული პროექტი # 93581 – „საერთაშორისო სადოქტორო პროგრამა მათემატიკაში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში“. პროგრამის თემატიკა მოიცავს: ალგებრულ ტოპოლოგიას, ფურიეს ანალიზს, რიცხვით ანალიზს, კერძოწარმოებულიან დიფერენციალურ განტოლებებს, სტოქასტურ ანალიზსა და ფინანსურ მათემატიკას. პროგრამის ძირითადი პერსონალის შემადგენლობაში არიან მალხაზ შაშიაშვილი და ომარ ფურთუხია (http://mathphd.tsu.ge/pages/programperson.html).

6) ქართულ ამერიკული უნივერსიტეტის ბიზნესის სკოლის დოქტორანტის ცოტნე კუტალიას ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი სადისერტაციო ნაშრომის „ორმხრივი ტარიფების გავლენა ვალუტის გაცვლით კურსზე და ეფექტური პორტფელების დახასიათება“ ოფიციალური ოპონენტი: ომარ ფურთუხია (ონლაინ დაცვა: 13 ივნისი, 2020 წელი, ქართულ ამერიკული უნივერსიტეტი)

7) რედკოლეგიის წევრობა:
ა) ჟურნალ „ი. ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტის სემინარის გაფართოებული სხდომების მოხსენებების“ რედკოლეგიის წევრი: ე. ნადარაია, ო. ფურთუხია;
ბ) სამეცნიერო-პოპულარული ჟურნალ „მათემატიკის“ რედაქტორის მოადგილე: ო. ფურთუხია;
გ)სამეცნიერო-პოპულარული ჟურნალ „მათემატიკის“ რედკოლეგიის წევრი: ე.ნადარაია

8) ორგანიზაციის/საზოგადოების წევრობა:
ა) საქართველოს სტატისტიკური ასოციაციის გამგეობის წევრი: ო. ფურთუხია; ე. ნადარაია
ბ) საქართველოს სტატისტიკური ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტი: ო. ფურთუხია;
გ) საქართველოს მათემატიკოსთა კავშირის სათათბიროსა და ეროვნული კომიტეტის წევრი: ო. ფურთუხია;
დ) საერთაშორისო სტატისტიკური ინსტიტუტის წევრი: ე. ნადარაია
ე) ბერნულის საზოგადოების წევრი: ე. ნადარაია

9) სტატიის რეცენზია:
ა) ი. ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტის სემინარის გაფართოებული
სხდომების მოხსენებებში დადაცემული მიხეილ მანიას და რევაზ თევზაძის სტატიის „On martingale transformation of the linear Brownian Motion“ რეცენზენტი: ომარ ფურთუხია.
ბ) ჟურნალ Communication in Statistics: Theory and Methods-სათვის ე. ნადარაიამ დაწერა ორი ნაშრომის რეცენზია

10) ილია ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტის სემინარის XXXIV საერთაშორისო გაფართოებული სხდომების (23-25 აპრილი, 2019, თბილისი) ალბათობის თეორიისა და მათემატიკური სტატისტიკის სექციის ხელმძღვანელი და საორგანიზაციო კომიტეტის წევრი: ელიზბარ ნადარაია და ომარ ფურთუხია.

11) საერთაშორისო კონფერენციის: „თანამედროვე სტოქასტური მოდელები და სადაზღვევო მათემატიკის პრობლემები“ (უზბეკეთი, კარში, 25 სექტემბერი) პროგრამული კომიტეტის წევრი: ომარ ფურთუხია.

12) მათემატიკის დეპარტამენტის სამეცნიერო სემინარის ხელმღვანელი: ე. ნადარაია.

აანგარიშის ფორმა №2

2020 წელს გაწეული სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ანგარიში

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება:
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის დასახელება:

ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი,

მათემატიკის დეპარტამენტი, მექანიკის კათედრა

სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა ხელმძღვანელის მითითებით:

გიორგი ჯაიანი - პროფესორი (ხელმძღვანელი),
ნატალია ჩინჩალაძე - ასოცირებული პროფესორი,
მაია სვანაძე - ასისტენტ პროფესორი,

1. სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის პერსონალის მიერ შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

1.1.

№	გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	2	3	4
	გარსული ტიპის წამახვილებული სტრუქტურები სხვადასხვა ველების ზემოქმედების პირობებში საბუნებისმეტყველო მეცნიერებები, მათემატიკა	2016-2020	გიორგი ჯაიანი (ხელმძღვანელი) ნატალია ჩინჩალაძე (ძირითადი შემსრულებელი) არჩილ საყევარაშვილი (თსუ დოქტორანტი, ძირითადი შემსრულებელი)
გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2020 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე) გამოკვლეულია პიეზოელექტრული დრეკადი უსასრულო ფენის დეფორმაციისა და რხევის ზოგიერთი ამოცანა. განხილულია პიეზოელექტრულ დრეკად უსასრულო ფენის სტატიკისა და			

დინამიკის ამოცანები, როცა კონსტიტუტიური მუდმივები შეიძლება ნულის ტოლი გახდნენ სხეულის გეგმილის საზღვრის ნაწილზე. განხილული ამოცანები ამოხსნილია ცხადი სახით.

1.2.

№	დასრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	2	3	4
